თემურ მდინარაძე

# ვეფხისტყაოსნის წინასწარმეტყველება

## რუსთაველი და კაბალა

თბილისი
2003 წელი

უაკ (UDK) 894.631.09
მ459



დედამიწაზე გაუნათლებლობა არის ბოროტების ზეობის საწინდარი.

იბერიული მოდგმის ორ ძმას შემს და იაფეტს, ებრაელებს და ქართველებს, ორ რჩეულთ განსაკუთრებული მისია აქვთ სიკეთის გამარჯვებისათვის. ეს მოდის ნოეს კურთხევიდან. ამიტომაც ებრძვის ბოროტება მათ ისტორიულ თავდადებულ ძმობას, სიყვარულს - რაც განსაკუთრებით ვლინდება დღეს.

ამ ყოველივეს აღწერს "ვეფხისტყაოსანი", მაგრამ მისი არსის სრულყოფილად ჩაწვდომა მხოლოდ წმინდა წიგნების არსის შემეცნების შემდეგ შეიძლება. ნათელი ხდება რა მისია აქვს მინიჭებული თითოეულ გმირს უფლის მიერ სამყაროში მესიის მოვლინებისათვის და შეხინის - სულიწმინდის დახსნისათვის. რა სულიერ დონეზე არიან ისინი. რომელ ქვეყნის რელიგიურ მიმართულებას განასახიერებენ. ადვილად იხსნება საქართველოს. ისრაელის სხვა იბერიული ქვეყნების მისიაც.

იხსნება ამოცანა ორი ლომის არსისა სამყაროს ქმნადობის შესახებ. რომელნიც გამოხატულია ბაგრატიონთა გერბზე და სინაგოგებში (სადაც ყველანაირი სხვა ნახატი აკრძალულია).

დასასრულს ვრწმუნდებით, რომ რუსთაველს "ვეფხისტყაოსანში" აღწერილი აქვს სამყაროს ისტორია ნოეს პერიოდიდან მოყოლებული. ამავე დროს ვხედავთ, რომ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით ხდებოდა მე-12 საუკუნის შემდგომი მოვლენები. ამდენად ჩვენი აზრით სამყაროს ხსნა და მესიის მოვლინება მისი წინასწარმეტყველური სცენარით უნდა მოხდეს, ყოველივე ეს თანხვედრაშია ბიბლიის სწორ აღქმასთან.

ამავე დროს "ვეფხისტყაოსნის" არსში ჩაწვდომა, უფრო ღრმად, ნათლად აგვისახავს წმინდა წიგნების არსს და საწინდარი გახდება რწმენის სიყვარულის, ცოდნის გაღრმავების. ყოველი დათრგუნული, გაურკვევლობაში მყოფი პიროვნება იპოვის ახსნას დღემდე აუხსნელი საკითხებისა. მისი ძალისხმევა წარიმართება რათა შეიტანოს წვლილი მესიის მოვლინების დაჩქარებისათვის.

შეიცნობ რუსთაველს და ჩათვალე, რომ შეიცანი ცოდნა - სიყვარული, რომელიც დღითი დღე სულიერად, მატერიალურად გამდიდრებს და მხოლოდ ამ შემთხვევაშია ყოველი დღე უკეთესი წინაზე.

· სანატრელია ის დრო, როცა იბერიელნი დაკარგული ჭეშმარიტი ცოდნის აღდგენას დაიწყებენ. აწმყო წარსულიდან უნდა იშვას.

ვფიქრობ ამაში ეს ორი ნაწარმოები დაგვეხმარება.

ISBN 99928-0-648-6

# ავტორისაგან

რუსთაველს ვერ შეიცნობ სრულიად თუ არ შეიცანი თანახი, ბიბლია, კაბალა, დიდი ცნისა და წმინდა ცნის სიბრძნე.

შეიცნობ რუსთაველს და ჩათვალე რომ შეიცნე ნათელი – ცოდნა, სიბრძნე, გადალახე უცოდინარობის ბნელი – სიბნელე, თანამედროვე მსოფლიო ინტელექტუალებს რომ დაუწესებიათ.

წინასწარმეტყველნი უფლის გონით ნაკარნახევ სიბრძნეს ფლობდნენ, ამიტომ "ვეფხისტყაოსანი" თითქმის ისევე ამოუწურავია, როგორც უფლის მიერ მოცემული სიბრძნე, წმინდა წიგნებში რომაა გადმოცემული.

აქ არის გზა სულის უკვდავების, მარადიულობის – არსი სამყაროს ქმნადობის, მოწყობის, ზნეობის, ყოვლადღვთიური ჰარმონიის და რაც მთავარია წინასწარმეტყველური ბრძოლა სიკეთის გამარჯვებისა. უკვე რვა საუკუნეა გზა აქეთკენ მიმავალი ქრონოლოგიური თანამიმდევრობით სრულდება. ვუძღვნი ამ სიბრძნეს – სახსარს, რომელიც დღითი-დღე ვამდიდრებს მშვიდობიანად, მატერიალურად, სიბრძნით, სიხარულით, სულიერად და მხოლოდ ამ შემთხვევაში ყოველი დღე უკეთესია წინაზე.

ამბობენ, რაც მეორე ტაძარი დაინგრა, წინასწარმეტყველნი აღარ იბადებიან. მაგრამ საქართველო ხომ მისი იბერიული ცხოვრების წესით – რელიგიათა შემწყნარებლობით, კაცთმოყვარეობით, უფლის მცნებათა თავგანწირვამდე დაცვით – თვითონ ტაძარი იყო. ამაში ჩვენ ნაწარმოების განხილვისას დავრწმუნდებით.

დღესაც ვნატრულობ იმ დროს, როცა იბერიელნი დაიწყებენ იმ ჭეშმარიტ ცოდნის აღდგენას დაიწყებენ, რაც მამაპაპიდან მოდის. მომავლის ნათელი მიბმული უნდა იყოს წარსულიდან და არა მსოფლიოს ინსტიტუტებიდან იბერიული სულის სიღარიბეს, ტანჯვას და მნეობრივ დეგრადაციას რომ იწვევს.

აი ამ შემთხვევაში გამოვლინდება მესია და იქნება ხსნა კაცობრიობისა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ რუსთაველს თავის გენიალურ ნაწარმოებში „ვეფხისტყაოსანში" აღწერილი აქვს სამყაროს ისტორია. იბერიული მოდგმის ისტორიული მისია სამყაროში სიკეთის გამარჯვებისათვის ბოროტებაზე, რაც სრულ თანხვედრაში მოდის ბიბლიასთან, მის სწორ აღქმასთან.

იგი განსაცვიფრებელი წინასწარმეტყველებით გადმოგვცემს მე-12 საუკუნის შემდგომ მოვლენებს – ბრძოლას ბოროტებისა სიკეთის წინააღმდეგ, სამყაროში მესიის მოვლინებას, ჰარმონიული თანაარსებობის შექმნას.

სრულყოფილად რომ ჩავწვდეთ ამ ნაწარმოებს, საჭიროა მოკლედ, მაინც, აღწერილი იქნას ქართულ–იბერიული მოდგმის ისტორია, ისტორიული მისია, ფუნქცია, რასაც ორას წელზე მეტია გვიყალბებენ გეოპოლიტიკის წარმართველნი.

დღეს გაუნათლებლობამ, სიბნელემ, ადამიანის უღმერთო მოქმედებამ აპოგეას მიაღწია. ამის გამო გლობალური პოლიტიკის წარმმართველთა მიერ შენიღბული ბოროტება წარმატებით ებრძვის სიკეთეს, სიწმინდეს, ჭეშმარიტებას, ღვთის გზას. ისინი ულმერთოდ სწირავენ, სასიკვდილო დარტყმებს აყენებენ ქვეყანას, სადაც უფლის ნებით ჩაისახა სიკეთის, მარადიულობის საძირკველი, ფუნდამენტი, მაგრამ იგი არ გაიწირება. ეს დღითი დღე ამძვინვარებს ბოროტს, უზომოა ერთი მუჭა პოლიტიკოსების ნებით გამოწვეული ხალხთა, განსაკუთრებით კი სიკეთის – იბერიული მოდგმის ციტადელის – ქართველი ერის განსაცდელი.

ქართველი ყოველთვის ცდილობდა, სიკეთით ეძლია ბოროტება. სიბნელე; სხვადასხვა ქვეყანაში შეეტანა ცოდნა, ნათელი, მოყვასისა და დამბადებლის სიყვარული, მისი მცნებების დაცვა. ეხსნა ადამიანთა გარდაუვალი გადაშენება მათი მოქმედების გამო.

ზემოაღნიშნული რომ სარწმუნო გახდეს და მსოფლიო ხალხებმა საკუთარ თავს სამუდამო სამარე არ გაუთხარონ, ამიტომ დავიწყე ფიქრი, შემექმნა ნაშრომი, რომელიც, პირველ რიგში, თვალს აუხელდა მსოფლიოს იმაზე, თუ რა საშინელებას სჩადიან საქართველოს გაწირვით. ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა განაპირობა ჩემი სულიერი მისწრაფებების თანხვედრამ ქართველი ერის თავლადებულ შვილთან ზვიად გამსახურდიასთან.

ჯერ კიდევ 80–იან წლებში, ერის ზნეობრივი გენოციდის წინააღმდეგ მიმართულმა ჩემმა წერილებმა დიდი მეცნიერის ზვიად გამსახურდიას ყურადღება მიიპყრო. მისი სურვილით მივიღე მონაწილეობა მრავალი მაგიდის წინა საარჩევნო ეკონომიკური პროგრამის შედგენაში, გავხდი უზენაესი საბჭოს წევრი და დავიწყე მუშაობა იმ ქართულ–იბერიული ცხოვრების წესის აღდგენაზე, რაც უფლის ნებით არის მოცემული ბიბლიის, პირველადი ენის საფუძველზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მას შემდგომ, რაც ვახტანგ VI–მ რუსულ ორიენტაციას დაუჭირა მხარი და წმინდა ქართული სამართალი წაბილწული აღმოჩნდა იმპერიული მისწრაფების ბიზანტიური სამართლით, რომლის მემკვიდრე რუსეთია, დაიწყო ქართული ცხოვრების წესის დალმასელა. ბოროტი, გლობალური პოლიტიკის ძალისხმევით ქართული სახელმწიფოებრიობა დღითი დღე სცილდებოდა რუსთაველის მიერ აღწერილ ზნეობრივ ქართული ცხოვრების წესს. მართალია, გენეტიკა სიკეთისა არ იცვლებოდა, მაგრამ საშინელ არტახებს უჭერდნენ საქართველოს.

ზ. გამსახურდიამ თავისი მოღვაწეობითა და ნაშრომებით შეახსენა ქართველ ხალხს მისი გმირული წარსული, სულიერი მისია და ერმა იწყო შემობრუნება ქართული ცხოვრების წესისკენ, რუსთაველის მიერ აღწერილი ტრადიციული საქართველოსაკენ. მის ირგვლივ გაერთიანდა ერი, რადგან ეს გზა იყო მისი გენის სულიერი მოთხოვნილება. სწორედ ამიტომ გასწირეს იგი, მაგრამ დარჩა მისი ღვაწლი, გზა, ნაპერწკალი, რომელიც ღვივის გიზგიზებს ყოველი ქართველის გულში და მალე იმ მანათობელ ცეცხლად გადაიქცევა, რომელიც სიკეთეს გაამარჯვებინებს.

მისი ნაშრომები, რომელიც ყოველი მამულიშვილის სამაგიდო წიგნი უნდა იყოს, წინ გვიძღვება მესიის ეპოქისაკენ.

ამ ნაშრომებმა შესძინეს ჩემს მიერ არჩეულ გზას, სულიერ მისწრაფებას აღმაფრენა და გამბედაობა. რამდენიმე ათეულ მეცნიერთან ერთად დავიწყე ქართული ცნობიერების, ცხოვრების წესის აღდგენის საკითხზე მუშაობა. მოძიებული იქნა უამრავი მიჩქმალული მასალა. გამოცემული იქნა მამულის აღორძინების ეკოლოგიურ–სოციალური კონცეფცია. გაკეთდა მათემატიკური ანალიზიც, რომ საქართველოს შეუძლია თავი დაიკმაყოფილოს ყველა აუცილებელი პროდუქტით და სოლიდური ექსპორტიც აწარმოოს. ეს იყო ლახვრის ჩაცემა იმ იმპერიული დოგმატებისა და სპეცსამსახურებისათვის, რომლებიც 200 წელიწადი ჩაგვჩიჩინებდნენ, მცირემიწიანი, მწირი რესურსების ქვეყანა ხართ და ურუსეთოდ, ან ინვესტიციების გარეშე უსათუოდ დაიღუპებითო. აღმოჩნდა, რომ ჩვენ მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ქვეყანა შეიძლება გავხდეთ და იქეთ დავეხმარებით ნახევარ ევროპას, თუ აღვადგენთ ტრადიციულ ეკონომიკას, ცხოვრების წესს, ადათ–წესებს.

იმ პერიოდში შეიქმნა ასევე საადგილმამულო, ანუ მიწის განკარგვის კოდექსი, მზადდებოდა ადმინისტრაციულ–ტერიტორიული მოწყობის კანონთა პაკეტი. უნდა აღმდგარიყო სიყვარულის, სიკეთის საწინდარი – ეროვნული ეკონომიკა. აგრარული, ზოოვეტერინარული და სხვა ინსტიტუტებში საჯარო გამოსვლებისას დუმდა წითელი ინტელიგენცია, მაგრამ იარაღით მოსული ხელისუფლების ზეობისას მიეცათ სტიმული და რისხვის კორიანტელი დაგვაყენეს სოფლის მეურნეობის აკადემიის აკადემიკოსებმა. რად გვინდა პური, მრავალდარგობრიობა, როცა კოლონიური სტატუსის მქონე მონოკულტურები გვაქვსო. ჩემს სამარცხვინო ბოძზე გაკვრას შვიდი აკადემიკოსი აწერდა ხელს, რამდენიმე მოგვიანებითაც შეუერთდა. დღეს ეს ხალხი დარცხვენილი მხედება, ღმერთმა შეუნდოს.

იარაღით მოსულნი მაშინვე შეუდგნენ ბოროტთა გეოპოლიტიკის აღსრულებას. მთავარი იყო ქართველთა დამათხოვრება და არასრულფასოვნების კომპლექსის დანერგვა რათა დაკნინებულიყო ჩვენი გენეტიკური თვისებები: გაცემა, გაყოფა, სიყვარული. ამისათვის დაადგნენ ეროვნული ეკონომიკის გადაგვარების მიწებისა და ეროვნული სიმდიდრის გასხვისების გზას. ზვიად გამსახურდიას მიერ ხელდასხმულმა მამულის აღორძინების საზოგადოებამ მრავალი გამოსვლით პრესაში, შეკრებებზე შევაჩერეთ ეს ვანდალური გეგმა. შემდეგ, როცა 1993 წლის მოწვევის პარლამენტში, ვხედავდით, რომ წყდებოდა საქართველოს დაქცევის და მთელი

ეროვნული სიმდიდრის გასხვისების პროცესი, გამოიცა ეკონომიური კონცეფციაც, რათა შეჩერებულიყო ანტიეროვნული რეფორმები. ზემოაღნიშნული კონცეფციები ვერ უარყო ვერც ერთმა პარლამენტმა, ვერც იმ მაკროეკონომიკური კონცეფციის მამამთავრებმა, რითაც საქართველო გაიყიდა. მათ ვერ გაბედეს მოსვლა მეცნიერებათა აკადემიაში თავიანთი პროექტის განხილვაზე. ვერ შეხედეს სიმართლეს თვალში და თავიანთი დამანგრეველი ეკონომიკური რეფორმების წყალობით, ერი ფიზიკურ და სულიერ გენოციდამდე მიიყვანეს.

ამ პარლამენტში მცირე ხნის მოღვაწეობის პერიოდში მაკვირვებდა იქ მყოფ ე.წ. ეროვნულ ლიდერთა შეგნებული მოქმედება, თუ უვიცობა. ისინი უპირობოდ უჭერდნენ მხარს ერის დამაქცეველ ეკონომიკურ რეფორმებს, მიწის გაყიდვის კანონს. გასაოცარია, მაგრამ მხოლოდ არაპარტიული სიით არჩეულ დეპუტატებთან შიდასაპარლამენტო დებატებით შევაჩერეთ მიწის გაყიდვის მცდელობა. მივახვედრეთ ისინი, რომ მიწის გაყიდვა სამშობლოს გაყიდვაა.

ჩემი რადიკალური გამოსვლათა გამო გამიუქმეს ფრაქცია. შედეგად სიტყვასაც აღარ მაძლევდნენ. როცა მიხვდი რომ მთავარი მიზანი მიღწეული იქნა უმრავლესობა ღალატს მიწის გაყიდვას არ დაუჭერდა მხარს, მივატოვე პარლამენტი და განმკითხავიც არავინ აღმოჩნდა, ამ ვაიეროვნული ლიდერების მხარდაჭერით ეკონომიკური კომიტეტის თავჯდომარემ მიომავალმა ვიცე–პრემიერმა ჩაატარა ისეთი რეფორმები, რის შედეგადაც ქართველი ხალხის უბედურება აღემატება ყველა ადრინდელს, ერთად აღებულს.

1995 წლის არჩევის პარლამენტმა მიიღო მიწის გაყიდვის კანონი. მიწის კადასტრირებაც არნახულად მოკლე ვადაში, 3–4 წელში ჩაატარეს, აი, ახლა კი ნამდვილად იყიდება საქართველო. დღეს თითქმის აღარ დარჩა ქართველი მიწაზე. განსაკუთრებით სამაჩაბლოში, აფხაზეთში, მესხეთ–ჯავახეთში. რა პასუხს ვაძლევთ შთამომავლობას. ისრაელში, სადაც მიწას უკვე ებრაელთა 80 პროცენტი პატრონობს, არ მიიღეს მიწის გაყიდვის კანონი, არც უზარმაზარმა რუსეთმა გაწირა საკუთარი ხალხი. თქვენ კი ერთი ხელის მოსმით დაუკანონეთ საკუთარი მამული გადამთიელთ. ამავე დროს, ბევრად უფრო დიდი სისასტიკით გრძელდება მეფის რუსეთის პოლიტიკა, პოლიტიკა ჩვენი კოლონიური სტატუსის მქონე სახელმწიფოდ გადაქცევის, ქართველი ხალხის გაღარიბების, დაკნინების და გადაშენებისა.

პარლამენტი რომ მივატოვე, ნათლად ჩანდა რომ ერთიანი ეროვნული მოძრაობა 70 პროცენტამდე მანდატის მოპოვების საშუალებას მოგვცემდა და საქართველოც გადარჩებოდა.

მაგრამ, ჰოი, საკვირველებავ! 200 წელი ტყუილად არ უმუშავიათ სპეცსამსახურებს საქართველოში. აქაც საკმაოდ აღმოჩნდნენ ის ადამიანები, რომელნიც მსოფლიო გეოპოლიტიკის მიმდინარეობაზე ასხამდნენ წყალს. ბევრი შეგნებულად, უფრო მეტი უცოდინარობის გამო. მავანთა და მავანთა მეცადინეობით, 1993 წელს ეროვნულ შეკრებაზე არჩეულმა ექვსმა ლიდერმა ვერ მოახერხეთ შეერთებული ენერგიით, ერთად გვეხელმძღვანელა ეროვნული მოძრაობისათვის. შედეგად, ხელთ შემოგვრჩა დაპირისპირებული ეროვნული მოძრაობა და გზააბნეული ქართველი ხალხი. ხალხი, რომელიც უფლის სასიკეთოდ, სასიყვარულოდ არის დაბადებული, უტიფრად გაიწირა.

## რა მიზანს ისახავს ეს ნაწარმოები. რატომ შეიქმნა იგი

დღეს ისეა გაყალბებული საქართველოს ისტორია და მისი ეკონომიკა, რომ ჰკითხოთ ნებისმიერ ეროვნული მიმართულების პარტიის წევრს, რა არის ეროვნული მოძრაობა, და რა უნდა გაკეთდეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, შეიძლება ვერც კი გიპასუხოთ. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა იმას შეეძლება, ვისაც ეცოდინება თავისი ქვეყნის ისტორიული წარსული, ფუნქცია, მისია და, რაც მთავარია, სახელმწიფოს მართვის ინსტიტუტი, ეკონომიკა, ადათ–წესები, ზნე–ჩვეულებები, მთლიანი ცხოვრების წესი, – ის, რაც საწინდარი იყო ქართველთა სიუხვისა და უძლეველობისა.

ამ ფაქტმაც განაპირობა დამეწერა ჩემი თვალით დანახული სიმართლე, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდებოდა, რომ საქართველო არის სიკეთის ციტადელი და თავისი ჩასახვის დღიდან მოყოლებული, ოთხი ათას წელზე მეტია ებრძვის ბოროტებას.

ამ ნაშრომის მეორე მთავარი მიზანი უკვე აღვნიშნეთ: დავარწმუნოთ მსოფლიო პოლიტიკის წარმმართველი ძალები მათი აღსასრულის მოახლოებაში. ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში გადარჩებიან, თუ აღადგენენ იბერიული ცხოვრების წესს, მიწათმოქმედებას, რომელიც ჩამოყალიბდა ნოეს დროს. გავიხსენოთ ბიბლია: უფალი ნოეს შეჰპირდა, სანამ მიწათმო-

ქმედების ეს წესი იქნება, წარღენას არ მოეაელენო. ამ წესის აღდგენისათვის, ცოდნასთან ერთად, სიყვარულის, სიკეთის გენეტიკაა საჭირო. ეს კი მხოლოდ საქართველოშია, ამიტომ საქართველო არ გაიწირება. გაიწირებიან მხოლოდ ისინი, ვისაც საქართველოს გაწირვა უნდათ.

ნაშრომის მესამე — მთავარი მიზანია, მცირედი წვლილი მაინც შევიტანოთ იმაში, რომ ქართველმა ერმა ირწმუნოს თავისი მესიანისტური ისტორიული მისია. ამ მისიის გამო ჩვენთან ნერგავენ იმას, რაც სხვა ქვეყნებს ახასიათებს: გაუტანლობა, მტრობა, წამლეჯელობა, კარიერიზმი, ულმრთოობა. ჩვენ კი იმ სიმართლეს ვადასტურებთ, რომ საპირისპირო თვისებები გვაქვს: სიყვარული, გაყოფა, გაცემა, მიმტევებლობა. იმთავითვე ვიყავით და არასოდეს გადავგვიხვევია მონოთეისტობიდან. ამ პრინციპისა და უდიდესი მიწათმოქმედების სიბრძნე პირველად ენაში გვაქვს.

ვადასტურებთ იმასაც, რომ იბერიელები რჩეული ერი ვართ და ეს ერი, გარდასული ქანაანში, ისრაელად ჩამოყალიბებული, ღირსჰყო უფალმა, რომ მიეღო ბიბლია* და ამის დასტურად ძირითადად ავტორიტეტულ ებრაელთა ნაშრომები მოგვყავს.

ამგვარად, ამ ნაშრომს აქვს ის მიზანიც, რომ თავისი წვლილი, ნათელი შეიტანოს ბურუსით მოცულ ქართულ ცნობიერებაში. ერთი მუჭა დღევანდელი ელიტარული საზოგადოება შეგნებულად აყალბებს ისტორიას და უქმნის არასრულფასოვნების კომპლექსს იმ ერს, რომელიც სიკეთის ფუნდამენტია, ხოლო მისი ცხოვრების წესი, მნეობა, ისტორია, ტრადიციები სამაგალითოა მთელ მსოფლიოში.

ჩემი ნაშრომები, რომლებიც ზემოაღნიშნულ თემას ეხებოდა, უნდა დაბეჭდილიყო 1995 წელს სამ ნაწილად, მაგრამ უსახსრობის გამო არ გამოცემულა. გაზეთ „კოლხურ კოშკში" დაისტამბა ბატონ ედიშერ გიორგაძის გამოხმაურებაც ამ ნაშრომების ირგვლივ, მათი შინაარსი მოკლედ გადმოცემულია პირველი წიგნის პირველ ნაწილში. აქვეა განმარტებული „ვეფხისტყაოსანში" მოცემული სახელები და სიმბოლიკები, რის გარეშეც გაგვეჭირდება წიგნის ძირითადი ნაწილის გაგება.

მეორე ნაწილი ეხება რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს". მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოებში მოქმედი პირები ქართველები არ არიან, ყველა ქართველი ფიქრობს, რომ სამივე გმირი: ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი, განახორციელებენ იბერიული, ქართული ფესვებიდან აღმოცენებულ ცხოვრების წესს. შევეცდებით ამაში უფრო ღრმად დავარწმუნოთ მკითხველი. ისტორიის მანძილზე ქართველთა უპირველესი ფუნქცია ხომ სხვადასხვა ქვეყნებში გადასვლაა, რათა მნეობა, მიწათმოქმედების ქართული წესი შეეტანათ და გადაერჩინათ ისინი გადაშენებისაგან.

ტარიელი ის იბერიული ეთნოსია, რომელიც გადავიდა ქანაანში,. ამასთან გენეტიკურად შენარჩუნებული აქვს ქართული — იბერიელთა თვისებები, ფლობს იმ უდიდეს ცოდნას, რაც იბერიელთა გენიდან განვითარდა ქანაანში კაბალისტიკის სახით.

ავთანდილი იგივე ცოდნის და თვისებების მატარებელია, ოღონდ მისი მოქმედება ასლია ქართული სახელმწიფოს ისტორიული მოქმედებისა. ნაწარმოებში ემთხვევა მათი ტრადიციული მისია ცოდნის გატანა, ხალხის დახსნა კერპთაყვანისცემლობისგან. ავთანდილი — საქართველო ასრულებს კიდევ ორ მისიას: გაჭირვებულთა შემფარებლობა და მედიატორობა მშვიდობისათვის, ერთობისათვის. იგი ამკვიდრებს სიყვარულს რელიგიათა, ეროვნებათა მორის, კაეშანში ჩავარდნილ ტარიელს უჩვენებს რელიგიათა ერთობის გზას. ამავე დროს, აპოვნინებს შემეცნების ობიექტს — საქართველოს, სადაც შეიძლება შეიქმნას ის ჰარმონიული სამყარო, ცხოვრების წესი, რაც მესიის გამოვლინების წინაპირობას შექმნის.

ჩვენს მიერ შექმნილი სათანადო საკანონმდებლო მასალით და ეკონომიკური გაანგარიშებით, ეს წესი საქართველოში 2–3 წელიწადში შეიძლება დაინერგოს, სხვაგან კი ასწლეულები არ ეყოფა, რადგან ჯერ მათი გენეტიკაა შესაცვლელი. იქ ადამიანი ადამიანში მისი დამონების, ღვთის მიერ ბოძებული მამულის წართმევის ხარჯზე გამდიდრების წყაროს ხედავს. ესაა მათი სიამოვნება. ჩვენი სიამოვნება ჰარმონია, მოყვასზე ზრუნვა, მისი პრობლემების მოგვარება, გაყოფა—გაცემაა, რადგან გენეტიკურად გვიყვარს მოყვასი. აქ ცხოვრების წესი სიყვარულზეა აგებული და ამიტომაც სიუხვეა და უგემრიელესი ნაყოფია. ესეც ნაწინასწარმეტყ-

*ნაწარმოებში ხშირად მოსეს ხუთწიგნეულის აღმნიშვნელი სიტყვა იქნება აგრეთვე „თორა". ამ ტერმინს იყენებს ამ წიგნის მიმღები ხალხი ბიბლია კი ბერძნულიდანაა შემოსული.

ეელეეი აღმოჩნდა "ეეფხისტყაოსანში", გარდა იმისა, თუ როგორ განეითარდება მოელენები აბრაამის ეპოქიდან და მეოცე საუკუნის შემდგომ.

გეინდა გაეაფრთხილოთ მკითხეელი, რომ თუ არ წაიკითხა პირეელი წიგნი გაუჭირდება მეორეს არსში ჩაწვდომა.

როგორც ეიცით, ორასწლოეანმა იმპერიულმა ბატონობამ ნულამდე დაიყეანა წინაპართა უდიდესი ცოდნა. ბურუსითაა მოცული ის საღეთო მეცნიერება, რომელიც საქართეელოში ნოეს მისი შეილების შემისა და იაფეტის, მიერ დაფუძნებულია. ნოეს ანდერძის თანახმად და ორიეე ძმათა მთამომაეალნი — იბერები ანეითარებდნენ ამ ცოდნას. კაბალისტიკური თეალსაზრისით ამ ცოდნამ სათანადო განეითარება ჰპოეა მე-18 საუკუნის უდიდესი მორწმუნე რაბი შნეურ ზალმან — ლიადელის წარმოსახეაში.

სასიქადულო ქართეელმა — ებრაელმა მოღეაწემ, ქართეელთა და ებრაელთა საამაყო შეილმა — მალომ დაეიდმა (დაეითამეილი) ეს ებრაულ-კაბალისტიკური ფილოსოფია გადმოგეცა ნაწარმოებში "სულის უკედაეება". ამ ნაწარმოებს გადმოგცემთ, ჩეენი გონის შეძლებისდაგეარად მეორე წიგნში.

უნდა აღინიშნოს, რომ მალომ დაეიდის ნაშრომებმა გაგეიადეილეს რუსთეელის გენიალური ნაწარმოების არსის გაგება.

ამ წიგნთა გამოცემა განაპირობა იმ საშურმა აუცილებლობამ, რომ სამყაროში ყეელა დროულად უნდა გაეცნოს რუსთაეელის წინასწარმეტყეელებას. იგრძნობენ რომ ძალიან ახლოა დასჯა და უნდა დაადგნენ სწორ გზას რაც აღასრულებს ღმერთის ნებას ადამიანთა საკეთილდღეოდ. დაადგებიან ჭეშმარიტების სულის გადარჩენის გზას, რაც დიდი სურეილია ჩეენზე დღენიადაგ მზრუნეელი დიდი მშობლის და შემქმნელის უფლისა. ამიტომ დაისტამბა ეს წიგნები წინა სამ წიგნზე ადრე. წინა მასალის შინაარსს შემდეგაც მრაეალჯერ ეიმოწმებთ. იქ ეს მსჯელობები უფრო დასაბუთებულია და, ღეთის შეწეენით, შეიძლება ისიც მალე დაისტამბოს.

წინამდებარე ნაშრომს აქეს პრეტენზია, რომ იგი ერთი ღერძიდან, ქართული ცხოერების წესიდან გამომდინარე კონცეპტუალური მიმართულებაა. მას დასჭირდება სხეადასხეა დარგის სპეციალისტთა ღრმა ანალიზი. რა თქმა უნდა, იქნება შეცდომებიც, მაგრამ მთაეარია მიმართულება არ იყოს მცდარი. უმთაერესი კი ის არის, რომ ეიყოთ მართალნი უზენაესთან. ეისურეებდით, ყეელას გექონდეს ასეთი შეცდომის შიში.

ამ თეალთახედეით, ყეელამ ეინც წაიკითხა ნაწარმოები, მიმითითებდნენ რომ შემშინებოდა არა ღმერთის, არამედ ადამიანების, კერძოდ, იმ საკითხში, რასაც ჰქეია ქართიულ სიტყეათა ეტიმოლოგია.

მიმაჩნია, რომ ჩეენი ენა დედა ენაა. იგი ღმერთის მიერ არის მოცემული. ისეეე, როგორც ხუთწიგნეულში აქ ყოეელ სიტყეაში და წინადადებაში უდიდესი აზრია ჩადებული. ხუთწიგნეულს ეძღენება სპეციალური კელეეები განმარტებები სხეასდხეა წმინდა წიგნების სახით. ეს ყოეელიეე იმით არის სასიხარულო და მისაღები რომ ამას აკეთებენ ხალხი—მართალნი ღეთისათეის და ერისათეის თაედადებულნი, მცნებათა დამცეელი. ნიჭი და ყოეელი მათი კომენტარი ზეციური ნებით არის ნაბოძები სული წმინდის — შეხინის მეშეეობით. ჩეენში კი რა ხდება. დღეს ეს სფერო ენის კელეეისა გამეცნიერდა, რაც მისასალმებელია, მაგრამ ეს მეცნიერნი ძირითადად არ არიან ღეთისმოსაეი. არ იწყება და არ მთაერდება მათი დღე ლოცეით, არ არიან ბიბლიაში ჩახედულნი. მათი ცენზი განისაზღერება იმ მეცნიერებით რომელიც ბიბლიას არ ექეემდებარება. ამიტომ ხშირია დაპირისპირება — დაუნდობელი პუბლიკაციები, რაც გამორიცხულია მორწმუნეთათეის. ასეთი მეცნიერული საზოგადოების შექმნას იმპერიული რუსეთი 200 წელზე მეტია ცდილობს, ანუ მათი მიზანია შეიქმნას ათეისტი მეცნიერნი, რომელნიც აბსოლიტურად გააყალბებენ, საქართეელოს ისტორიას — როგორც სიკეთის ციტადელსა და უძლეეელს. უნდა შეუქმნან იბერიულ მოდგმას არასრულფასოენების კომპლექსი. უდიდესი ამოუწურაეი სიბრძნეა თითოეულ სიტყეებსა და გამონათქეამებში, რომელსაც ხალხური ჰქეია. მე არ მინახაეს რომელიმე ამ მეცნიერთ შეექმნათ ასეთი გამონათქეამები. ენა მისი სულიერებაა, საფუძეელი იმ გებეტიკისა, რომ ქართეელი ერი მუდამ ღმერთისთეის, მოყეასისათეის თაედადებული იმპერიისათეის მიუღებელია. იმპერიათა მსახურნი თუ არ იქნებოდნენ ასეთებს მუდამ კეტაედნენ. სიტყეები და ხალხური სიბრძნე დაახლოებით იგიეეა, რაც ხუთწიგნეულის არსიდან გამომდინარე ზეპირი კომენტარები.

დღეს ჩეენ ამ კომენტარების არსის მიეიწყების მიჯნაზე ეართ.

ენის სიბრძნე ხალხურ ზეპირსიტყვაობაშია. ეს იგივე ბიბლიის მცნებების განმარტებებია და მორწმუნე სწავლულთა საკრებულომ დროზე უნდა გამოამზეუროს ეს სიბრძნე.

რა თქმა უნდა არა მაქვს პრეტენზია ასეთი მორწმუნე საზოგადოების წევრობისა მაგრამ მინდა დამოუკიდებელი ვიყო ჩემს აზროვნებაში. სამწუხაროდ არა ვარ ენის სპეციალისტი და ენათმეცნიერებმა ჩემი აზრი ეტიმოლოგიური მიმართულებით მინდა მიიღონ, როგორც არა მეცნიერული, სუბიექტური და ხალხური.

ერთს კი აღვნიშნავ ბიბლია მიიღო მოსემ მან იგი გადასცა იეშუას, მან უხუცესებს, უხუცესებმა წინასწარმეტყველებს, წინასწარმეტყველებმა უმაღლეს სწავლულთ საკრებულოს. ამ უკანასკნელებმა დაადგინეს სამი მიმართულება: თორის სწავლა, ღვთისმსახურება და კეთილი საქმეები. ალბათ ჩვენც უნდა შევქმნათ ასეთი რელიგიური საკრებულო. სწორედ მათ დაწერეს ბიბლია კომენტარები რომელიც ზეპირსიტყვაობით გადაიცემოდა, ჩვენთანაც ასე უნდა მოხდეს. ღვთისმოსავი ხალხი არ დაუპირისპირდება ჩემი კომენტარი სჯობსო. მრავალი უდიდესი სულიერი მოძღვარი, ებრაელთა რაბინები: რამბამი, რაში და სხვა ყოველ სიტყვას სხვანაირად ხსნიდნენ და ყველა მართალი იყო.

სიტყვას, რომელიც ღმერთის მიერ არის მოცემული, მრავალი მნიშვნელობა აქვს და ადამიანთათვის ამოუწურავი ცოდნის კიდობანია. მრ—ავ—ალჟამი—ერის სიმღერისას ამ სიტყვის სხვადასხვა დამარცვლა, ბრუნვაში ჩასმა, სხვადასხვა დატვირთვის, აზრის მატარებელია. საქართველოს ყველა მხარეს მისი შესრულების თავისი ვარიანტი აქვს, ისევე როგორც სიტყვებს პარ—ალ—ალეს, პარი—ალ—ალეს და ყველა სწორად, პარმონიულად მღერის. ასევეა ცეკვაც. ქართული ცეკვის ოსტატმა ფრიდონ სულაბერიძემ აღნიშნა: „ქართული ცეკვა ვერ ამოვწურეო“, მას ბევრი ილეთი დარჩა დასახვეწი, ანუ შეუსრულებელი. კიდევ რამდენი ცეკვაა ჩვენში. ცეკვით, ხალხის ტრადიციები, ენაზე დაფუძნებული იბერთა ცხოვრების წესი გადმოიცემა.

როგორც ენაა მდიდარი, ასეა ცეკვაც. ყველა ქართველისათვისაა ის, რათა თავისებურად ყველამ გამორჩეულად იცეკვოს. ნებისმიერ ილეთს ათასი ვარიანტი აქვს და ყველა პარმონიულად სრულდება. ყველა პირველია თავის შესრულების მანერით და ყველა კმაყოფილია, რადგან ამდიდრებს სიკეთეს, ზნეობას, რაინდულ თვისებებს და ამიტომაც ყველა სწორად ცეკვავს. მას ვერც ერთი გენიოსი ვერ ამოწურავს. ყველა სხვაგვარად იცეკვებს და ყველა პირველი, ბრწყინვალე იქნება.

ეს პაეროვნება ხალხისათვისაა, ათასებისათვისაა მოცემული და ასეა ენაც. ვინმეს კომენტარს კი არ უნდა დავუპირისპირდეთ „მე უფრო დიდი მეცნიერი ვარო“. იგი არაა ადამიანის მიერ შექმნილი, მოგონილი მეცნიერება. იგი უფლის მიერაა მოცემული და ნურავინ დაიჩემებს პირველობას. უნდა გვახსოვდეს რომ ენაში ჩახედვა ღმერთის მსახურებაა. საკამათო საკითხებზე კი უნდა მოვუსმინოთ იმ ენათმეცნიერებს, რომელნიც მორწმუნენი არიან. რათა სრულყოფილად ჩამოყალიბდეს ყოველი მიგნება. ეს კომენტარები ხომ ერისთვის იწერება და არა ერთისთვის. მივსდიოთ ქართულ ენას ნუ გავა—ღიზიანებთ ერთმანეთს. ეს ზიანს მოგვიტანს.

მე კარგად მაქვს გააზრებული, რომ ასეთი ნაშრომის წერა ყოველმხრივსა და სრულყოფილ განვითარებას მოითხოვს ადამიანისაგან, უბრალო მოკვდავი კი მას სიცოცხლის ბოლოსაც ვერ აღწევს, ამიტომ ყოველგვარ შენიშვნა—წინადადებას მადლიერებით გავიზიარებ.

ვისურვებდი, რომ ქართველი ერის რაც შეიძლება მეტ ნიჭიერ მოღვაწეს გამოეღოს ხელი და ახალგაზრდებისთვის მიეწოდებინოთ ჩვენი ერის ჭეშმარიტად საამაყო ისტორია. შეახსენონ, რომ ჩვენ ისტორიულად საუკეთესო თვისებების მატარებელნი ვიყავით: მამაცები, ერთგულები, გულუხვები, ქრისტიანული ზნეობის დამცველნი, ღვთის მიერ გამორჩეულნი და ამიტომ დღეგრძელნი.

ნაშრომში მოცემულია, თუ როგორი იყო იბერიული—ქართული ცხოვრების წესი. წესი პატრონყმობისა დაფუძნებული ქართულ ხალხურ გამონათქვამზე „არც არავის ყმა ვყოფილვარ, არც არავინ ყმად მყოლია“. მოცემულია აგრეთვე როგორ აღდგეს ქართული ცხოვრების წესი, გადარჩეს სიკეთე, საქართველო და მთლიანად მსოფლიო. ამიტომაც, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ არის საკაცობრიო მნიშვნელობის შედევრი, სადაც ნაწინასწარმეტყველებია სამყაროში სიკეთის გამარჯვების და ყველა გაჭირვებულთა შველის კონცეპტუალური მოდელი.

რაც შეეხება პირველ წიგნში მოხსენიებულ ბიბლიურ საკუთარ სახელებს, ზოგან მომყავს სახელთა წარმოთქმის როგორც ტრადიციული ქართული, ისე ებრაული ვარიანტები, ხოლო ამ სახელთა არსის განსაზღვრისას ვიყენებ ებრაულ ვარიანტებს, რათა დედანთან უფრო ახლოს

იყოს მათი ჟღერადობა, რასაც ტექსტის სპეციფიკა მოითხოვს და უცხოენოვანი მკითხველი არ შეგვედავოს. ეტყობა, ამ სახელებში ზოგიერთი განსხვავება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ არსებობს ბიბლიის ქართული თარგმანები ბერძნულიდან.

მინდა დიდი მადლიერებით მოვიხსენიო, ქალბატონები: თინა არაბული, ქართველოლოგი პროფესორი ნათელა ქუთელია, რუსთველოლოგები პროფესორი ნესტან სულავა თინათინ ცქიტიშვილი, აგრეთვე სალომე ზვიადაძე, ქეთი ღიღიშვილი, ნუნუ ჩხენკელი, ლეილა მირიანაშვილი. ბატონები: ზაურ მოლაშხია, ჯემალ აჯიაშვილი, თამაზ კოჭლამაზაშვილი, რომელთაც უანგარო შრომა გაწიეს ნაწარმოების კვალიფიციური განსჯისათვის. გარკვეულ მიზეზთა გამო, ვერ მოხერხდა წიგნის კორექტირება და რედაქტირება. ვფიქრობთ მოგვიტევებს მკითხველი. არ შეიძლება არ აღინიშნოს აბრამ ბაზელის ღვაწლი. მან ამ წიგნის შინაარსიდან შექმნა სცენარი რათა სათანადო ჩაცმულობაში წარმოსახოს იბერიელთა სულიერი კულტურა.

აკაკი წერეთლის მამა, დიდი თავადი როსტომ წერეთელი ამბობდა თურმე, რაც დასაწერი იყო, „ბიბლიასა“ და „ვეფხისტყაოსანში“ წერია და მეტის დაწერა საჭირო აღარ არისო. რაც მეტად კითხულობ და სწავლობ ამ ორ წიგნთა წიგნს, მით უფრო ეთანხმები როსტომ წერეთელს, რადგან ყველა თემა, რასაც მერმინდელნი შეეხნენ, ამომწურავადაა გაშუქებული ბიბლიაში, ჭეშმარიტად, „არა არის რა ახალი მზისა ქუეშე“.

გამოუქვეყნებელი მასალის მოკლე შინაარსი მოცემულია ნაწარმოებში, რომ კარგად გავიგოთ ძირითადი მრწამსი, რუსთველის წინასწარმეტყველებისა. რომ არ გადავტვირთოთ ეს თავი სამი განმარტება და თავი „რა არის ქართველობა“ გადავიტანეთ მასალის ბოლოს.

# წინათქმა

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება
და გზა უვალი შენგან თელილი მერანო ჩემო მაინც დარჩება.
ნიკოლოზ ბარათაშვილი

## გამოუქვეყნებული მასალის მოკლე შინაარსი, ზოგიერთი განმარტებანი, ბრძოლა სიკეთისა და ბოროტებისა

იმისათვის, რომ ჩაეწვდეთ რუსთაველის გენიალურ ნაწარმოებს, საჭიროა ზოგიერთი განმარტება. უნდა აღინიშნოს, რომ რუსთაველის ყოველი გმირის სახელი სრულყოფილად გადმოგვცემს ამ გმირის მოქმედების შინაარსს, სულიერ სამყაროს. ამავე დროს, ყველა უსულო თუ სულიერ ობიექტს თავისი არაპირდაპირი განმარტება, დანიშნულება აქვს. თუ ვერ ჩაწვდებით ამ განმარტებებს და სახელთა შინაარსს — ჩათვალეთ, რომ ეს ღვთაებრივი პოემა არ წაგიკითხავთ. ანუ თქვენ მოისმინეთ მარტო მუსიკა, ლექსთა წყობა, რომელიც გხიბლავთ, ლამაზია, მაგრამ ვერ ჩაწვდით ამ მუსიკის ნამდვილ დანიშნულებას, მის სულს. ისევე, როგორც ვერ ჩაწვდით ჩვენი ენის, ან ბიბლიის ნამდვილ დანიშნულებას და სულს.

ჩაუწვდომლობის მიზეზი ერთია — ღვთიური ჭეშმარიტი ცოდნის დავიწყება. ქართველთა ზნეობრივი ისტორიის გაყალბება. აი, ის უდიდესი ტრაგედია ქართველი ერისა, რაც მოიტანა იმპერიის 200 წლოვანმა ბატონობამ, ამიტომაც მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, მოკლედ გადმოგვეცა სამყაროს ისტორია, სიბრძნე — სიწმინდე იბერიულ–ქართული ცხოვრების წესისა.

ჯერჯერობით, ჩვენს ეპოქაში, ჩემი აზრით, ეს პოემა ყველაზე უკეთ წაკითხული აქვს ზვიად გამსახურდიას. მისი ნაშრომები დიდად დაგვეხმარა რომ ამ ნაწარმოების ჩვენებური გაგება ბევრად სრულყოფილად გადმოგვეცა.

„ვეფხისტყაოსანი", ჩვენი აზრით, არის პოემა სამყაროს ისტორიის აღწერისა, მისი სასიკეთო დასასრულის ჰიმნი. რუსთაველი ამ პოემაში ყველაზე უმაღლეს განზომილებად მიიჩნევს სიყვარულს. იგი რელიგიებზეც მაღლა დგას, რადგან რელიგიის მიზანი სიყვარულის დანერგვაა, მაგრამ პრინციპის გამო, „ჩემი ჯობსო", წარმოშობენ სიყვარულის საპირისპირო მოქმედებას — რელიგიათა დაპირისპირებას. დღემდე სიყვარულის მაგალითი იყო მხოლოდ ერთი იბერიული ცხოვრების წესი, რომელიც ეფუძნებოდა ბიბლიის და ენის სიბრძნეს.

ჩვენ ჯერ ამ ცხოვრების წესზე შევჩერდებით, მის ისტორიულ ბრძოლაზე ბოროტებასთან, მოკლედ ავღნიშნავთ წინა მასალიდან გამომდინარე. შემდეგ 1.2 თავში სხვა განმარტებებს შემოგთავაზებთ, განსაკუთრებით სახელთან და სიმბოლიკებთან დაკავშირებით.

# წიგნი პირველი - "ვეფხისტყაოსნის წინასწარმეტყველება"

## 1.1. რას ეფუძნება სამყაროს ისტორია, რა მისია აქვს ბიბლიას, ქართულ ენას და მათზე დაფუძნებულ იბერიულ–ქართული ცხოვრების წესს

ოთხი ათას წელზე მეტია მიმდინარეობს ბოროტების გააფთრებული ბრძოლა სიკეთის წინააღმდეგ. ნებისმიერ ჩვენგანს სიკეთის გამარჯვება სურს, მაგრამ დღეს ბოროტების მიერ ისე გაყალბებულია, დამალულია ყველაფერი, რომ ვერ მიმხვდარვართ, რა უნდა ვაკეთოთ მის დასამარცხებლად.

ნათლად რომ წარმოვიდგინოთ როგორ გადავარჩინოთ სამყარო, ჩვენი სამშობლო, საჭიროა განიმარტოს: როგორ ჩაისახა და განვითარდა სიკეთე, რა არის ქართულ–იბერიული ცხოვრების წესი, რა მისიას ასრულებს ბიბლია, დედაენა, რა არის ქართველობა – იბერიელობა; რა არის საფუძველი ბოროტებისა და რა – სიკეთისა.

ცნობილია რომ უფალმა თორის გეგმით შექმნა სამყარო. ადამს მიეცა ეს ცოდნა, ოღონდ არ მიეცა თორა, მაგრამ მიეცა ენა პირველადი და ამ ენით სიტყვით მიეცა თორის მცნებანი. ეს იყო უდიდესი ცოდნის მატარებელი, მას უთუოდ უნდა სცოდნოდა სამყაროს ქმნადობის პრინციპები, მისი ყოველი არსის ფუნქცია, მათი დანიშნულება საერთო ჰარმონიის მისაღწევად. ჰქონდა მას ამისათვის მიღებული ბიბლიის ინფორმაცია და ცნებები უფლისგან პირველადი ენის საშუალებით. უფრო მეტიც როგორც ჩვენ შემდგომ დავრწმუნდებით, მას უნდა სცოდნოდა ის 613 მცნება, რაც ბიბლიაშია მოცემული, და ეს გასაგებიცაა, ადამიანი – ის წარმომადგენელია უფლისა დედამიწაზე, რომელმაც უნდა მიიყვანოს სამყარო იმ დასრულებულ ჰარმონიულ სახემდე, რაც უფალს აქვს განსაზღვრული.

როგორი იქნება ისტორია და ეს ქმედებები. სწორედ ესა აქვს რუსთაველს გადმოცემული მის ნაწარმოებში. ამგვარად, თორა ბრძანებს: (ილია აივაზაშვილი „ებრაელი ხალხის ისტორია" იერუშალაიმი 5760–2000წ. გვ. 355.) „ადამიანი უფლის წარმომადგენელია დედამიწაზე და ამიტომ აქვს უნარი ამ ქვეყნად გაავრცელოს ღვთაებრივი სიმართლე, კეთილი ნება და სურვილი. ამისათვის მას ცხოველებისაგან განსხვავებით მიეცა გონება აზროვნება და დასკვნის უნარი. ამავე დროს ცხოველები შეიქმნენ სიტყვით, ხოლო ადამიანი შექმნა მიწისგან მისი სახის და მისი სული ჩაბერა მას უფალმა". ანუ იგი ხდება მისი წარმომადგენელი დედამიწაზე – მეფე მისი, რადგან ეს სიტყვა ანუ ენა პირველადი, რომლითაც შექმნა უფალმა მთელი სამყარო მისცა მხოლოდ ადამიანს. ამგვარად ადამიანის მოქმედება, მისი სიტყვა ენა–პირი ხდება წარმმართველი სამყაროსი. წესით ამ უფლის სიტყვიდან, გამომდინარე უნდა წარმოქმნილიყო ადამიანის აზროვნებაცა, მისი ქმედებაც და იქნებოდა ჰარმონია, მხოლოდ სიტყვათა სწორი აღსრულება იყო საჭირო.

შევიცნობთ სიტყვას უფლისას, ამ სიტყვის სულს, ჭეშმარიტებას ჩადებულს უფლის მიერ, არ შევბილწავთ და ვიაზროვნებთ მისი სიბრძნით. მაშინ წმინდაა ჩვენი მოქმედება, ზეცაშიც სიწმინდეს ვუშვებთ და არის ჰარმონია დედამიწაზე. ხარ სულიერად წმინდა მიილტვი შემოქმედის უსასრული სიბრძნისკენ, სიყვარულისკენ და შენს სიტყვას აქვს ძალა, რასაც ნატრულობ, ლოცულობ – ის გაქვს. ამ სიტყვას ემორჩილება ცხოველიც. ნებისმიერ ცხოველს მეგობრად იხდი და განაგებ მის მოქმედებას. არცერთი ცხოველი არ ერჩის ადამიანს, თუ ისინი მათზე ნადირობენ – ცხოველებიც თავს იცავენ. როცა ზნეობრივი იყო მოქმედება ნოეს ოჯახის, კიდობანში ასეთივე იყო ცხოველთა მოქმედება. ადამიანის მოქმედების ადეკვატურია ცხოველთა მოქმედებაც. ამიტომაც ქამის უზნეობას მიბაძა რამოდენიმე მათგანმა (რაზეც ქვემოთ აღვნიშნავთ).

ისიც ვიცით, რომ მესიის ერაში თხა და მგელი ერთად მოძოვს, თუ ადამიანები არ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, არც ცხოველები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. რამეთუ ისინი ემორჩილებიან სიტყვას, რომელიც უფლის მიერაა და ჩვენ გვაქვს ის მოცემული.

საერთოდ სწორად კვება განსაზღვრავს ადამიანის სულიერ სამყაროს კულტურას და მის ზნეობას. როცა ადამიანს გაუჩნდა მოთხოვნილება ცხოველური საკვებით კვებისა უფალმა ბიბლიაში ჩამოგვიყალიბა როგორ უნდა ვიკვებოთ, რათა სულიერი სიწმინდე შევინარჩუნოთ. არ არის მცენარეულ საკვებზე გამახვილებული ყურადღება. ეს იმიტომ რომ ზოგიერთ ცხოველურ საკვებს შეაქვს სიბინძურე ორგანიზმში, ზოგი აგრესიულობას იწვევს. ამას მოყვება პირველ რიგში სულიერი და მერე ფიზიკური დაავადებები. სწორი კვება განმსაზღვრელია, ადამიანის ადამიანობისა.* განა ცოტაა ნებადართული საკვებად? ადამიანი კი ცდილობს ყველა მიირთვას. თავის მშობელს — შემქმნელს არ უჯერებს და ყველა ხიდან ჭამს. შედეგად იგი ვერ იქნება მისი მიზნის განმახორციელებელი. ანუ მისი გონი არ ისმენს სიტყვას, ემორჩილება ცხოველურ პრინციპებს, იგი სულით ეცემა იმ ბიოლოგიურ არსებამდე, რომელიც სიტყვით შეიქმნა (და არა უფლის სულით) რომელზეც მან უნდა იმეფოს — უპატრონოს.

ადამს ჰქონდა ჩასაბარებელი გამოცდა. არ ეჭამა აკრძალული, მას უნდა დაეჯერა შემქმნელისათვის — მშობლისათვის, ისევე როგორც მის შვილს — მისთვის. ჩვენც ხომ ავუკრძალავთ ბავშვებს ჭუჭყიანი რომ არ ჭამონ, რადგან ეს მათ ავნებს. უფალმაც მოგვეცა სიტყვა გა—ნაყოფი—ერ—დით (რაზეც შემდგომ ვისაუბრებთ) ეს სიტყვა კონსტიტუციური სიტყვაა და გვეუბნება შენს გამონაყოფზე გამრავლდით. მან კი აკრძალული გამონაყოფიდან მიირთვა. აქ კი მისი განაყოფიერება აკრძალული იყო. ამიტომ გააძევა იგი ედემიდან.

ცხოვრების ანბანს ხომ მშობელი გადასცემს მას შვილს. ადამმა, თვითონ მშობელმა, ეს გამოცდა ვერ ჩააბარა, რადგან წასძლია სულმა; და იმიტომაც გაუჩნდა მას კაენი. ეს გამოცდა რომ ჩაებარებინა, უფალს, ჩვენის აზრით, შემდეგ შეიძლება მიეცა უფლება — ორივე ხიდან ეჭამა. უფლის, მშობლის ნება არ უნდა დაარღვიო. ამას გვასწავლის სიტყვა — უფლება, ანუ უფლის ნება, რაზეც ქვემოთ აღვნიშნავთ.

ამგვარად დავკარგეთ ჩვენ მარადისობა, დღეს მეორედ მიმდინარეობს გამოცდა ამ მარადისობის ჩაბარებისა. უფალმა ნახა რომ ადამიანს მოთხოვნილება ჰქონდა ცხოველურ საკვებზე, მან დართო ნოეს ნებართვა ეკვება ასეთი საკვებით ოღონდ დაუწესა წესი კვებისა. ეს წესი დაწერილებით გადასცა მოსეს თორაში, და დღეს მიმდინარეობს მეორე გამოცდა ადამიანთა ამ წესის დაცვისათვის, 613 მცნებათა დაცვისათვის, სადაც 365 ამკრძალველი და 248 აღსასრულებელი წესებია.* (ინდოევროპულ მოდგმაში ქრისტიანობა ზოგიერთ აკრძალულის კვების ნებართვას იძლევა, მაგრამ ჩვენი აზრით ეს იმიტომ მოხდა რომ არაიბერიულ მოდგმის, ხალხებს უჭირდათ სწორი კვება და მთავარი იყო რომ ჯერ ეწამათ ღმერთი, რაც აღსრულდა. ხოლო როცა მოვა მესია, ვინც არ იკვებება სწორედ, არ იქნება მასში სიწმინდე სულიერება და ის ვერ დაიმკვიდრებს სამუდამო სასუფეველს.)

ამგვარად უფალმა მოგვცა ის სიტყვა, ენა, სადაც ძალა, სულიერება, სიწმინდე და სიბრძნეა მისი ჩადებული და თუ მისით სწორად ვიაზროვნებდით სწორედაც მოვიქცეოდით და ვილაპარაკებდით, ვიარსებებთ მარადჟამს.

ყველა დაავადებები ენიდან მოდის, აქედანაა შენი ზი—ანი, ანუ ანბანიდან — ენიდან ზიანდებიან, ბრა—ზიანი კაცი ვერ იკავებს თავს და მიტომ აქვს მას ზიანი. ეს სიტყვა ამას გვეუბნება. ის ბევრჯერ ნანობს გაბრაზებისას წამოსროლილ სიტყვებს, რომელსაც ვეღარ დააბრუნებს. ღვარძლის გამო ენის მიტანაც უყვარს. შერიგების მაგიერ წაკიდებს ხალხს. არასდროს გაპატიებს ამას უფლის სამართალი. ეს ყველაფერი გულის ორგანიზმის და სულის დაავადებებს იწვევს. გავიხსენოთ შოთა „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა მერმე სულსა". არასწორი ქცევა სიყვარულის მაგიერ დაპირისპირების დათესვა — არის სათავე

---

*თორის მიხედვით ვინც ჭამს არაწმინდა ცხოველის ხორცს, მას საკუთარ თავში გადააქვს ამ ცხოველის დამახასიათებელი თვისებები და ამით თვითონაც უხეში, ულმობელი, მტაცებელი და მკვლელი ხდება. ეს მეცნიერულადაა დამტკიცებული: ნაჩვენებია, რომ ცხოველური საკვები ნივთიერებები გავლენას ახდენენ ორგანიზმზე და ადამიანის სულზე. ანუ არა მარტო უჯრედების, ქსოვილების მთლიანად ორგანიზმის შენება ხდება, ასევე უარყოფითია გავლენა ადამიანის სულიერ და ფსიქიკურ მდგომარეობაზეც (თ. ბიეამაშვილი იქვე გვ. 258). შეცვალოს ადამიანის სული გარდაქმნას იგი ცხოველურად აი ძირითადი მიზანი ბოროტებისა!

ადამიანში არსებობს ორი სული ღვთიური და ცხოველური. პირველის ადგილსამყოფელი ტვინშია და იგი გამგებელია ჩვენი მოქმედების. მისი სიამოვნება ნეტარება შემომქმედში შერწყმაა. ადამიანს აქვს არჩევანი საით წავიდეს, არ ზღუდავს მას ღვთიური სული, რადგან მეფე — ადამიანი დამოუკიდებელი უნდა იყოს.

*უფრო ფართო ინფორმაცია ამ საკითხზე I.1.2.3 თავში გვ38-39

დააეადებათა–სიკეღილიანობის. კაცთა კელის, სჯულის განდგომის. ეტყობა ადამიანის ადამიანად ჩამოყალიბებისათვის ცოდნის განმტკიცებისათვის დრო სჭირდებოდა ისევე როგორც ბავშვს. რომელიც, სანამ არ დააყადლება სიბინძურის ჭამით ვერ ხედება რატომ არ ჭამოს. ჩვენ შემდგომ აღენიშნავთ რომ ეს არის ფორმირების პროცესი ადამიანისა.

ენის განვითარება, მისი სიბრძნის განზოგადოება სამყაროს სრულყოფილად აღსაქმელად, თვით ადამმა დაიწყო. გავიხსენოთ თუ როგორ არქმევს ყოველ ცხოველს იგი სახელს. ანუ სახელი განსამღვრავდა ცხოველის ფუნქციას და რაობას, მაგალითად ავიღოთ ადამიანი. ადამა იერითულად მიწას ნიშნავს, ანუ მიწისგან შეიქმნა იგი, ხოლო ქართულად შეიძლება ვთქვათ ადამი-ანი ე.ი. მიწიერი ანით — ანბანით — სულიერი პროგრამით საერთო ჰარმონიისთვის. საერთოდ უფლის მიერ მიცემული ყოველი სიტყვის სიბრძნე იკითხება. ზოგი არის ფუნქციის განსამზღვრავი რომელიმე არსისა, ზოგი ადამიანთა სწორი მოქმედების აღმნიშვნელიც ანუ მცნება. იყო და არის მცნებათა განმმარტავი დამატებითი სიტყვები... ზოგი მათგანი ლოცვაა და ა.შ.

ამთავითვე უნდა ითქვას ის რაშიც თანდათან დაერწმუნდებით ნაწარმოების წაკითხვისას. არის ორი ძმა — ორი სიკეთე — ზნეობა. საქართველო სამშობლოა მათი. ამიტომ აქ დედით იწყება ყველაფერი: დედაენა, დედამიწა, დედატაძარი. ამ დედობილისათვის ჰქონდა უფალს შემონახული სიწმინდე ისრაელი, რომელსაც წარღვნაც არ გააკარა. შედეგად ისრაელში წმინდა ენაა, წმინდა მიწაა, წმინდა ტაძარია. ამგვარად ყველა დედა წმინდაა და ყველა წმინდა დედაა. ისინი სინონიმები არიან.

თორის — ბიბლიის გეგმით უფლისმიერაა ბოძებული ორივე იბერიული დედა და წმინდა ენები. მათ საფუძველზე შეიქმნა იბერიელთა გენეტიკაც — გამყოფთა — გამცემთა, ამიტომ იბერი მეუფეს ნიშნავს, უფლის ნაწილია. სხვა ხალხები ქმნილებაა რადგან მათ დაკარგეს ენის სიბრძნე და მათი ენები ქრისტეშობის შემდეგ წარმოიშვა. ამიტომ მათი კრედო წარმოშვებაა, გამოძალვა.

მეცნიერთა მიმართ აღენიშნავთ, ყველა სახელი უფლის ნებით ირქმევა. ნუ ვეცდებით ჩვენ მოვიგონოთ ახალი. ჩვენ მოდგმას მისი ნებით დაერქვა ებერი. მხოლოდ ჩვენ მოდგმაშია წიგნის ხალხი, — ებრაელნი და ამ წიგნით მომქმედნი ხალხი — მიწათმოქმედნი — ქართველნი. ვერავინ შეგვეედავება იმაში, რომ შემცდარია უფალი, როგორც იმაში, რომ დედობა და სიწმინდე იბერიელთა ორ განშტოებას მიეცა. ამიტომაც გვერქმევა სახელები იბერიელთ და ვართ რჩეული ერი ერთი მიზნით: ყველა ვინც უსახელოა, არ დაუმსახურებია იგი, გავსადოთ სახელიანი. შევიყვანოთ უფლის კარებში, სიწმინდის — დედის ანუ პირველადი უფლის წესით სახელიანად ვიაროთ.

## ცოდნა და სიყვარული

ცნობილია ბიბლიით, რომ ყოველი მომდევნო თაობა ცოდნის დონითა და ამიტომაც სიცოცხლის ხანგრძლივობით ჩამორჩება წინარეს. დღეს უცოდინარობის აპოგეაა.

საერთოდ, ცოდნა პირდაპირი პროპორციულია უფლის სიყვარულისა. უფლის სიყვარული კი ყოველ მომდევნო თაობებში მცირდება. ეს იგივეა როგორც მესამე — მეოთხე თაობებში დიდი პაპის სიყვარული — საერთოდ რომ ივიწყება. მითუმეტეს ივიწყებს ადამიანი უფალს არა მარტო როგორც დამბადებელს. მას ისიც ავიწყდება ანდა ეჭვობს რომ უფალი განაგებს ამ სამყაროს, მის ბედს მისი ქცევის დარად და რომ სული მის მიერ არის მოცემული. იგი უბრუნებს მას ყოველ ძილის მერე. გულბოროტზეც ზრუნავს უფალი, ისიც მისი შვილია. ის ასვენებს მის მიერ გატანჯულ სულს და ელოდება ყოველ დღე, ყოველ წამს გონს რომ მოვგოს და არ გადამენდეს.

ამგვარად, თუ გაქვს ცოდნა, გაქვს რწმენა, რომ უფალი არა მარტო შენი შემქმნელია, შენი ყოველდღიური გულშემატკივარია. მშობელი არ არის შენთან ყოველწამს, ის კი ყოველწამს გიფარავს, რომ გამოკეთდე. შენი ისტორია მასთან ყალიბდება და შენ დღეთა დასასრულს წინ დაგიდებს შენს ცოდვებს.

აქ მთავარი ფაქტორი იმაში მდგომარეობს, რომ თუ ადამმა უშუალოდ უფლისგან მიიღო ენა და მისი სიბრძნე მომდევნო თაობები უკვე მშობლებიდან იღებენ ამ სიბრძნეს. არიან გამონაკლისები — იბადებოდნენ ადამის დონის ბრძენნი, მაგრამ ეს იყო იშვიათად. თუმცა მათი სიბრძნე და ზნეობაც ადამისას სჭარბობდა, რადგან მათ ჰქონდათ ცხოვრებისული

გამოცდილება და სიყვარულთან ერთად შიში, თუ რას მოუტანდა მათ ამა თუ იმ მცნების არ შესრულება.

ამგვარად მიმდინარეობდა ფორმირების პროცესი. ბოროტების ბრძოლა სიკეთის წინააღმდეგ მიმდინარეობს სწორედ ცოდნის დასაქვეითებლად. ჭეშმარიტი ისტორიის გასაყალბებლად. იბერიული ფენომენის და მისი მისიის დასავიწყებლად. ანუ ადამიანი უნდა მოწყდეს ანბანს – სულიერებას.

სწორედ ამიტომ იბერიული ენა რომ პირველადია საკამათოა დღეს და აგრეთვე ისიც რომ ამ ენიდან განვითარდა სხვა ენები და არა ბერძნულიდან. საშინელებაა როცა კერპთაყვანისმცემელი ინდოევროპულ მოდგმას, რომელიც ებრძვის სიკეთეს – სინათლეს მიაწერენ კულტურის და მეცნიერებების განვითარებას. ამიტომაცაა მრავალი დღევანდელ მეცნიერები ბნელეთის მოციქულნი.ისინი მხოლოდ იმაში მეცნიერობენ რომ შეუქმნან ადამიანს ყოველდღიური პრობლემები სული რომ შეინარჩუნოს და არ ეცადოს სწორად ისწავლოს. ანუ ადამიანის ქცევის კონსტიტუცია გახდეს მათი სწავლება და არა ბიბლია პირველადი ენა.

უფალმა კი ისე შექმნა სამყარო, რომ თუ ერთმანეთს არ წავგლიჯავთ და იქნება გაყოფა, ეს პრობლემები არ იქნება.

ამავე დროს ერთი გასაოცარი თვისება ჩაუდო ადამიანებს – მშობლების სიყვარული, რომელიც თაყვანისცემამდეა მისული. მართალია ეს ის დონეა არ არის რომელიც უფალს აქვს ყველა ჩვენგანის მიმართ. მისი სიყვარული ხომ უსასრულოა. მაგრამ ზნეობრივი და მცოდნე ადამიანი უახლოვდება ამ უსასრულობას. აძლევს ცოდნას შვილებს და აქვთ მათ სიყვარული უფლის, მოყვასის, ზნეობა. სწორედ ამიტომ მიილტვის ბოროტება რომ ადამიანებს არ ჰქონდეთ საშუალება შეუქმნან შვილებს ისე როგორც ჩვენ გვიქმნის უფალი უპრობლემო ცხოვრება და ემიაროს ჭეშმარიტ ცოდნას, რითაც სიყვარული არ გაუნელდება ყველას მიმართ. კი მიაღწიეს არა იბერიულ სამყაროში დაპირისპირებებს, არის უზნეობანი. მაგრამ მშობლიური სიყვარული მაინც წმინდაა. თუმცა ზოგან ისიც იბილწება დღეს ბოროტთა მეცადინეობით.

იბერიელებში ამას ვერ აღწევენ, რადგან სიყვარული მშობლის და საერთოდ სიყვარული გენეტიკური ტრადიციაა სიტყვით, ენით ჩაკირული ჩვენში.

ეს ცოდნა აქვთ მხოლოდ იბერიელებს ქართველებს. ავიღოთ თუნდაც ტრადიციული სადღეგრძელოები უფლის სადიდებლის, წინაპართა დიდ პაპათა. ამიტომ არის ქართული მაგიდა ცოდნის აკადემია. მაგრამ ეს გენეტიკის მნეობის გამოა ჩვენში. ულმერთო 70 წლოვან ეპოქაში მოახერხეს ჩვენი ცოდნა ტრადიციული ნულამდე დაეყვანათ. ეს იყო საშინელი ტანჯვა გოლგოთა იბერიული გენისა, კერძოდ არა სწორი განათლებით ცდილობდნენ დაცილებოდა სული მის საწყის შემქმნელს უფალს.

მეცნიერული გამოგონებები, ტიტულები და აღიარება არ მაკლდა და თხუთმეტი წლის წინათ მივხვდი, რომ არარაობაა ჩემი ცოდნა იმასთან შედარებით ვინც სალოცავში დადის და თორის წაკითხვას ახლა იწყებს. მივხვდი რომ ფუჭად გავატარე ჩემი ცხოვრება.

კომუნისტების ხანაში იბერიელთ გენეტიკურად თაყვანისცემამდე თავზე უფრო გვიყვარდა სამშობლო, მშობლები, მოყვასი მაგრამ ვიყავით უბედური. რატომ? დაცილებული ვიყავი ამ სიყვარულის ბაზისს. გვასწავლიდნენ არა თორის – ბიბლიის, ენის, „ვეფხისტყაოსანის" სულს, არამედ უზნეობას ინდოევროპელთა  კონსტიტუციებს, კანონებს. მათი ხედვით სამყაროს, ცხოვრების წესის განვითარებას. მათ დამახინჯებულ გეგმებს ადამიანთა უბედურებობის. დღეს კაპიტალისტური ცხოვრების წესით ოღონდ ფული იშოვე და ვისაც გინდა მიუტანე უბედურება და ხან მოულობ, ხან არა, და არასდროს ხარ ბედნიერი სულიერად ჯანმრთელი. სულ შეჯიბრზე, მურზეა აგებული ყველაფერი. საერთოდ იბერიელთ მისცა ნიჭი უფალმა ყველა მწვერვალის დაპყრობისა, რათა მიხვდეს რა მოუტანს ბედნიერებას და რა უბედურებას, გაყიდე შენი სული, სამშობლო და დროებით გახდები მილიარდელი, მაგრამ სალხისგან დაწყევლილი უბედური.

ჭეშმარიტი ცოდნის დაუფლებისას კი რადიკალურად შეიცვლება შენი სულიერი სამყარო. ასეა საწყისს ყველაფრის უფალს არ უნდა მოცილდე. მან შექმნა სიყვარული და მასზე დააფუძნა იბერიული გენი. ამ გენში ღვთაებრივი სული გამგებლობს ის კი შემქმნელის – უფლის ნაწილია. მისი სურვილით იცავს იბერიელი 613 მცნებას და არის წმინდანი. ამიტომაც იბერიელი შემქმნელის განუყოფელი ნაწილია. ხოლო სხვა ხალხები ქმნილების ნაწილია.

ჩვენ შემდგომ გავეცნობით რომ არსებობს ორი სული, ცხოველური და ღვთიური. ეს უკანასკნელი ტვინშია და გამგებელია ჩვენი მოქმედების. იგი მიილტვის შემოქმედისკენ და სიწ-

მინდეს ზნეობას, განასახიერებს. ცხოველური სული რომელიც გულის მარცხენა პარკუჭშია ემორჩილება ღვთაებრივს, მაგრამ ადამიანს აქვს არჩევანი საით წავიდეს, რადგან იგი უფლის ნებით დამოუკიდებელია. ტვინის გათიშულობის ჟამს კი თუ ადამიანი უზნეობას ჩადის იგი მწარედ ინანიებს და აღარ იმეორებს მას. ვინც იმეორებს იმას სირცხვილის გრძნობა აღარა აქვს, ანუ მთლად დაკარგა იბერიული ზნეობა ძირითადად უცოდინარობის გამო და არ ინანიებს. ეს არის დღევანდელი ცხოვრების წესი, კაპიტალიზმი რომელიც აპოგეაა ბოროტების. დღეს როცა ისწრაფვი დაიბრუნო იბერიულობა, მიყევ შენი გენის ყივილს, ეს იმდენად ამოუწურავი სიმდიდრეა — უსასრულოა უფლის ცოდნა და სიყვარულიც რომ ყოველი დღე უკეთესი ხდება წინარესი. ყოველ დღეს ვეუფლებით ასეთ ცოდნას — რაც უფრო მეტად აღრმავებს ყველას მშობლის უფლის სიყვარულს და არის ამაზე მეტი ბედნიერება ამ ქვეყანად! გვეძინა და ყველას ძინავს, ვინც ამ ბედნიერებას ვერ შეიცნობს. ბრმები არიან ყველა ვინც მიილტვის ფულის შოვნისაკენ ნებისმიერი გზით. ყოველდღე სცილდებიან ისინი შემოქმედს, სულის ჰარმონიას, სიკეთეს და მიდიან ბოროტებისკენ, ჯოჯოხეთისკენ.

კაპიტალისტური წყობის მესვეურებზეა გადმოსული წყევლა მოშესი.

ყველამ უნდა წაიკითხოს „მეორე სჯულდება“ თავი ოცდაშვიდი. ავიღოთ 17 სტრიქონი: „წყეულიმც იყოს თავისი მოყვასის მიჯნის გადამწევი! იტყვის მთელი ხალხი: ამენ!“ დღეს ყველას მიტაცებული აქვს. უფლის სიტყვა გაყოფა ირღვევა და ამიტომაც ყველა ესეთი უბედური იქნება.

უფალს — მის ცოდნას, სიყვარულს, სიკეთეს არა აქვს საწყისი და არც სასრული. ეწაფები ამ ცოდნას და გრძნობ როგორ გემატება სიყვარული, ზნეობა, ნიჭი, კეთილშობილება, გაქვს სულიერი ჰარმონია. სწავლობ და კიდევ გინდა სწავლა, რადგან ამოუწურავია, უსასრულოა მისი სიბრძნე, რომელიც სიმშვიდეს, სულიერ ჰარმონიას გიმრავლებს ყოველდღე. შეგვიქმნეს ცხოვრება, სადაც უნდა ვყოფილიყავით ადამიანის — კერპის მოშიში. ჩვენი წარმატება ამ კერპების კეთილგავლენაზე იყო დამოკიდებული. დღეს კი როცა მოვისწრაფვით დავეუფლოთ უფლის უსასრულო ცოდნას, იძენ მას და გეზრდება სიყვარული. მართალია უზნეობაა დამკვიდრებული გვიჭირს ცხოვრება, მაგრამ არაფერი არ მოვა იმ სიმდიდრესთან, რასაც უფლის უსასრულო ცოდნისაკენ სიყვარულისაკენ მარადიული გზა ჰქვია. უფლის მცნებათა დაცვა ჰქვია. როგორც დავითი ამბობდა არ გტოვებს უფალი და გაჭირვებაც ადვილად გადაილახება, ამავე დროს კარგავ შიშს შენს კერპებისა, რომელზეც დამოკიდებული იყო შენი დღეები — ეს იყო მართლაც სულიერი წამების დღეები. უფალს ხომ არავისი ეშინია — იღებ მის ცოდნას და ნელ—ნელა ხდები მხოლოდ უფლის მოშიში, შემდეგ მოსიყვარულე და დავითივით უშიშარი.

## ცოდნა — თორაა, ბიბლიაა იგი ჯერ ენით მოგვეცა

არა სწორი სწავლა — აი საიდანაა უვიცობა, უნიჭობა, უბედობა, უზნეობა, დაავადებები. ადამმა ჯერ მოიშიშა როცა შეცდა, შემდეგ ჰქონდა რწმენა და სიყვარული მისი უშუალო მშობლის, შედეგად ნიჭიც და, ენით, ანბანით, სიტყვებით სწორად აღიქვა მასში მოცემული აზრი. შემდეგ თაობებს აკლდებოდათ რწმენა, სიყვარული და აქედან გამომდინარე ნიჭი, გამჭრიახობა სიტყვეთა შემეცნების და მცნებათა აღსრულებისა. ამიტომ მიმდინარეობდა ენის განვითარების პროცესი იმ ზნეობრივ თაობათა მიერ, რომელიც მოცემულია თორაში, ანუ მეთის მოდგმაში. უფლის ნებით მათ ეძლეოდათ ამ ზნეობის გამო სათანადო ცოდნა. ყოველი მომდევნო უფრო მეტი ცოდნით აღიჭურვებოდა.

პირველადი ენის სრულყოფილად აღმთქმელი და მის სულში ჩამწვდომი იყო ნოე. უფალმა მას მისცა დამატებითი მცნებანი. ეს მცნებანი და კიდევ სხვანი, იყო განმეორებული სინას მთაზე, როცა უფალმა ღირსყო ერთადერთი პიროვნება — მოსე — მიეცა მისთვის სრულყოფილად დაწერილი — თორა. /ტრაქტატი ავოდი, რუსულ ენაზე გამომც. „შამირი“, იერუშალაიმი 5760–1994 წ. 17 გვ/.

მთავარი აქ ის იყო, რომ ნოე საუბრობდა იმ პირველად ენაზე, სადაც ყოველი სიტყვა მცნებაა, კანონმდებლობაა და ლოცვაა. ყოველივე ეს განაპირობებდა იმას, რომ ის უფლის მიერ იყო მოცემული. ჰქონდა ენას ის დამცავი მექანიზმებიც რომ უზნეობა, გარყვნილება არ დაბუდებულიყო ადამიანებში.

ნოე და მისი ორი ვაჟი — შემი და იაფეტი — შეიქმნენ ბიბლიისა და დედა ენის საფუძველზე თვითონ სულიერ მოსიარულე კიდობნად. მათ სულში ამ დედა ენით ჩაიბეჭდა ბიბლია თორა,

მისი მცნებანი. ენას ისინი მთამომაელობას გადასცემდნენ და მათი მთამომაელობაც წარმოიქმნა როგორც მოსიარულე კიდობნები, ტაძრები — იბერები.

იბერები რომელნიც 613 მცნებას აღასრულებდნენ. ნოემ მხოლოდ ერთხელ გასინჯა, ისიც წმინდა ცხოველის ხორცი როცა მსხვერპლი შესწირა უფალს. ცხოველურით უსაზღვრო და უმნეო კევბა ქამის მემკვიდრე ნიმროდმა დააწესა.

ბიბლიით შეიქმნა სამყარო და მისით ნაკარნახები სწორი კვების, მიწათმოქმედების და სხვა წესები, ენის, სიტყვის, მოკლე ხალხური გამონათქვამების საშუალებით გადადიოდნენ თაობიდან თაობამდე. მაგალითად „სწაელის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების", „მიში შეიქმს სიყვარულსაო" და სხვა. და, მართლაც, ქართული ცხოვრების წესი, მის, წეს–კანონები, ქართული სოფელი, განაპირობებდნენ ამას რაზეც ქვემოდ აღვნიშნავთ.

რაკილა ასეთი წესი ჩამოყალიბდა ენის საფუძველზე, მაშინ ბიბლიაც არ იყო აუცილებელი. მითუმეტეს, რომ ისტორია იბერების — შემის, იაფეტის და მათ მემკვიდრეთა მონაწილეობით სამყაროს საკეთილდღეოდ შემდეგ უნდა შექმნილიყო. ასე შეიქმნა იბერია შეუბილწავ სულიერ ტაძრად, სადაც ყოველი სული ადიდებდა უფალს და ბუდობდა იქ შეხინა* — თინათინი. მრავლდებოდა იბერიაში ხალხი.

ამგვარად, როცა ლაპარაკია პირველადი ენის სიბრძნეზე, უნდა ვიგულისხმოთ თორის სიბრძნით ჩამოყალიბებული ენა ზნეობრივი მიწათმოქმედების ცხოვრების წესისა, ადამიანის სულიერებისა. განსხვავება იმაშია, რომ თორაში სრულყოფილად არის მოცემული სამყაროს ისტორია, მცნებანი.

არაიბერიელთათვის და ზოგიერთი დღევანდელი ქართველთათვისაც თორა უფრო გასაგებია, რადგან ბოლო დროს ბრძოლა აქვს გამოცხადებული ენას — ამ ერის სულიერ ტაძარს — მისი დაკნინებისათვის. ენის მთავარი უპირატესობა კი არის ადვილად აღქმა, განსხვაულება ანუ სიმარტივე ზნეობრივი თორის წესებისა. ანუ იბერიელში — ადამიანში უფლისგან მუდამ შემოდის სწორი აზრი. ქართულ ენაზე მოლაპარაკე სიტყვებში პოულობს ის სწორ აღთქმას, განვითარებას. ამიტომაც იბრიელის სიტყვით და ქმედებით აღსრულდებოდა უფლის აზრი. ამ ენით ყოველი ბავშვი ვითარდებოდა როგორც მოსიარულე სიყვარულის და სიკეთისაკენ მლტოლველი სულიერი ტაძარი.

განა ტაძარი ტაძარია თუ მასში უწმინდურეობა იბუდებს? ამიტომაც მთელი იბერია — კავკასია, სულიერ ტაძრად ჩამოყალიბდა. უმნეონი აქედან იკვეთებოდნენ. ეს იყო ამ ტაძრის დაცვის მექანიზმი — საფუძველთა საფუძველი. ეს წესი, იბერიელთა ანუ იბერიული სახელმწიფოს განმსაზღვრელი, ნოემ დააწესა, როცა გააძევა ქამი ქანაანზე. მოკვეთა, რადგან მიილტვოდა მთელი იბერია სულიერ ტაძრად ჩამოეყალიბებინა.

ენის, სიბრძნის ამსახველი კომენტარები არ იწერებოდა, ისევე როგორც ბიბლიისა. ამიტომაც ამ კომენტარებს ხალხური ეწოდა. უფლის მიერ მოცემული პირველადი ენა, მისი ხალხური კომენტარებით, იქცა ბიბლიად ზნეობის, სიყვარულის, სიკეთის განმტკიცებისათვის. იგი ბიბლიით განსაზღვრული პირველადი მიმართულებაა თუ როგორ უნდა შეიქმნას ადამიანი — ადამიანის სული მომქმედ ტაძრად. ტაძრად, სადაც ცხოველური ვერ შემოვა. ეს ის მიწათმოქმედების ცხოვრების წესია, რომელსაც გვმობლვრავს ბიბლია და ამ ენაზე მოლაპარაკე ერს შეუძლია შექმნას ჰარმონიული სამყარო თუ მის თავს მას აკუთვნებენ. არ დაუწყებენ ბრძოლას ენის, მამულის, სარწმუნოების გასაყალბებლად. აი რატომ მიაკუთვნა დიდმა კონსტანტინემ დიდ ილიას მოსეს მისია, როცა მან თქვა — „ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეყუდენოდესო".

მოსე იყო ის უდიდესი წმინდანი, რომლის ფასი არ არსებობდა მანამდე და არც მის შემდეგ /რამბამი/.

მთავარი ის არის, რომ ქართველთათვის ტკბილია ენა, ამ ტკბილი ღვთიური სულით იბადება ქართველი და ამიტომაც სულიერება ქართველთა დაუმარცხებელია.

## რა არის სიკეთე და ბოროტება

იმისათვის, რომ უფრო ჩავწვდეთ ბოროტების და სიკეთის ისტორიას განვმარტოთ რა არის იბერიული მოდგმა — სიკეთე და ბოროტება — არაიბერიული მოდგმა.

---

*შეხინა — იგივე სულიწმინდა, ზეციური მდედრობითი არსი, დიდი დედა, რისი განმარტებას ცოტა ქვემოთ 12 თავში შემოგთავაზებთ.

ეს უკანასკნელი ქადაგებს და მიიღწევს მეფობისკენ. ის არც ღმერთის მეფობას ცნობს და არც მის თვისტომთა ნათესავთა. იგი ამბობს ჩემიც ჩემია და შენიც ჩემია. მიილტვის რომ ყველა მისი მონა იყოს. მისი ჭკუით წარიმართოს სამყარო. რისი ფინალი — სტიქიური მოვლენები, დააავადებანი და სამყაროს კატასტროფა გარდუვალია, რაც ნათლად ჩანს.

იბერიელმა იცის რომ სამყაროს შემქმნელი და მეუფე შემომქმედია ფოთოლიც კი არ მოძრაობს მისი ნების გარეშე. იგი მიიღწევს ყველაფერში ასრულოს მისი სურვილი, ანუ სიტყვა მისი ასო „ტ" — ანუ ტანჯვის გარეშე, სიყვარულისთვის აღითქმევა, რადგან სიყვარულს თესავს. ამიტომ გულით სურს ყველამ იმეფოს — პირველი კაცი იყოს.

მან კარგად იცის უფლის სიტყვები. მიწა არ უნდა გაიყიდოს. რომ იგი მისია. მისი სიმდიდრე, მისი სახსარი ცოდნაა და არა მატერიალური ფასეულობა. ამიტომ იბერიელთა დევიზია მოყვასის მიმართ შენიც შენია, ჩემიც შენია, ყველაფერი კი უფლისაა, რადგან ჩვენ ყველა და მიწაც უფალისა ვართ. უფალს ვეკუთვნით, რამეთუ ჩვენი სულები ზეცაში მასთან უნდა ავიდნენ იქ ისინი მიწას და ქონებას ვერ აიტანენ. თუ იქ აიტანენ მცნებათა დაცვის ერთგულებას, ანუ ლტოლვას მოქმედებისა, როგორც უფალი მოქმედებს — გაცემას და არა წართმევას, ისინი სამოთხეში ჰარმონიაში იქნებიან. აი რატომ თქვა რუსთაველმა: „რასაცა გასცემ შენიაო". და კიდევ ვინც გასცემს მარადიულია. ამის მაგალითია იბერთა ერი, ქართველები, კავკასიელი იბერები, ებრაელები. მხოლოდ ისინი კითხულობენ წინაპრების ენაზე, რადგან ცხოვრობდნენ ბიბლიის მცნებებით. გასცემდნენ და არ იტაცებდნენ.

ამგვარად იბერობა — მეფობაა, ყველაფრის სიკეთის ბარაქის სიყვარულის გაცემაა. ბოროტება — ძალადობაა, ყველაფრის წართმევის მცდელობაა, შავი ფერებია. წამრთველს ყოველთვის აკლია. ანუ აკლია ღვთაებრივი სული და იგი მონა ხდება ცხოვრებისა. ამიტომ ბოროტება მონობაა. მხოლოდ გამცემი უფალივით არის მეუფე.

## 1.1.1. ბოროტების მოკლე ისტორია

წარღვნის შემდეგ, ქამი და მისი მოდგმა გამრავლდა კავკასიის საზღვარგარეთ. ნელ – ნელა დაამახინჯეს პირველადი ენა. შედეგად – დაივიწყეს უფლის მიერ მოცემული სიბრძნე და ამ ენაზე დაფუძნებული ცხოვრების წესი. იმ წესით ღმერთმა სამყაროს ფუნქციონირებას საფუძვლად დაუდო თანაბრად გაყოფის პრინციპი და ამიტომაც აღმოცენდა სიყვარული.

ენის დამახინჯება რომ დაიწყეს, ამიტომ მიეცათ ის ენა, რომელსაც იმსახურებდნენ და გახდნენ უცოდინრები. უვიცობა ღვთის მიერ მოწყობილი სამყაროს მართვის ბოროტების წისქვილზე ასხამდა წყალს. ბოროტების საფუძველი კი სისარბეა. ნოეს ვაჟის, ქამის მოდგმის დამახასიათებელი ეს თვისება* არის ძირითადი მიზეზი, რომ ადამიანებმა მოინდომეს განდიდება, კერპად, ღმერთად ქცევა ურთიერთდამონების ხარჯზე. მათ არ იკმარეს, რაც ჰქონდათ და დაიწყეს ათასების კუთვნილი მიწების მითვისება და ექსპლუატაცია. ადამიანმა ამდენი მიწის დამუშავება რომ მოასწროს, დღევანდელ პირობებში და ადრეც აღითარებს უსულგულო ტექნიკას, რათა აჩეხოს ტყეები, დათესოს მონოკულტურები და გამოყავს მიწები მწყობრიდან.

შედეგად, ადამიანი სამყაროშიც არღვევს პაერის, წყლისა და მიწის ენერგიის თანაფარდობას. მაგრამ, რადგან უფლის მიერ შექმნილია დამცავი მექანიზმებიც, აღწევს მხოლოდ მის დაბინძურებას, ეს კი შესაბამისად იწვევს ჩვენს დასჯას. არის დაავადებები, სტიქიური უბედურებები, მწირია მოსავალი, რადგან მცირდება ენერგიის – მადლის ეფექტიანობა.

შედეგად ის ერთი მიმტაცებელი დაახლოებით იმდენს აწარმოებს, რამდენსაც თითოეული ამ ათასიდან აწარმოებდა, სანამ მიწის გარეშე დარჩებოდა. ეს არ აღარდებს მას. მთავარია, ეს ათასი მონად, თვითონ კი კერპად იქცა. რადგან ათასი უკვე მისგან, ამ კერპისგან ელის წყალობას და არა ღვთისაგან. ასე გაძლიერებულებმა, უკანონობის დასამკვიდრებლად შექმნეს თავიანთი კანონმდებლობები, კონსტიტუციები და დაუპირისპირდნენ ენაში ჩადებულ მცნებებს.

როცა ვინმეს ვინმეზე მეტი აქვს, მაშინვე წარმოიქმნება შური, რაც წარმოშობს სიყვარულის საპირისპირო მოქმედებას, დაპირისპირებას. ამ ე.წ. ხელისუფალთა უკანონობამ დაბადა დაჩაგრულთა სწრაფვა გამდიდრებისაკენ, ასევე ძალადობით. ერთეულთა სიმდიდრემ და მასის დამონებამ უფრო დაავიწყა ხალხს ჭეშმარიტი ცოდნა და ასე დაკანონდა უზნეო, ცხოველური მისწრაფების ცხოვრების წესი. რომ არა ლმობიერება უფლისა, სამყარო დიდი ხანია აღიგვებოდა, რადგან დაპირისპირება აღემატება ყველა ცოდვას ერთად აღებულს. ადამიანი ვეღარ აცნობიერებს, რომ ღმერთის მიერ მოცემული სულის გარეშე ის არარაობაა.

კაბალის მიხედვით, ადამიანის სულიერი ჭურჭელი შედგება თავისაგან, ანუ რწმენისაგან უფლისა და, ტანისაგან, ანუ სურვილისაგან, რაც შეიძლება მეტი გასცეს ის, რაც უფლის მისწრაფებაა. რწმენა უფლისა ორი ფაქტორის გამო ხდება: ერთი მოშიშობით, მეორე კი – სიყვარულით. მოშიში ადამიანი ჯერ კიდევ არ არის უფლის მოყვარული. სიყვარული მასში შემოდის, თუ ეუფლება ბიბლიის, ენის ცოდნას და გენეტიკურად აქვს ზნეობა – სირცხვილ–ნამუსის გრძნობა. ეს გენეტიკა კი ყალიბდება იმ იბერიული ცხოვრების წესში, სადაც იცავენ ბიბლიის, პირველადი ენის, ცნებებს.

ამგვარად, არსებობს მხოლოდ ერთი ცოდნა – შეისწავლო ზენაარის სიყვარული. ეს მაშინ მოხდება, თუ შენ მიისწრაფვი მისი თვისებების დამკვიდრებისაკენ. მთავარი ეს არის, თორემ სრულყოფილად მის უსასრულო თვისებებს ვერავინ შეწვდება. ეს გენეტიკა მისწრაფებისა კი მთამომავლობით ყალიბდება. ამ შემთხვევაში ღვთიური სული რომელიც ტვინშია გამგებლობს ცხოველურს. ყველა ორგანო მისი ნებით მოქმედებს. ადამიანის თვალი ხილულია და იგი გრძნობს იმ განუმეორებელ მშობლიურ მზრუნველობას, რასაც უფალი იჩენს ყოველდღიურად ადამიანთათვის – რათა შეუქმნას მათ უპრობლემო ცხოვრება. ასეთი ცოდნის მქონენი არიან ისინი, ვინც ჩასწვდნენ ბიბლიის და პირველადი ენის დედაარსს. ისინი ასრულებენ ზნეობრივ

*როგორც ბიბლიის კომენტატორები გადმოქცესემენ ქამმა დაკოდა შიშველი მამა იმ მიზნით რომ მეწილე არ გაემრავლებინა ნოეს.

კანონებს, რაც უფლის, მღვდრობითი არსის უდიდესი სიხარულია.* ამიტომ ამ ხალხს აქვს უპრობლემო ცხოვრება — სიყვარული, გაცემა და მათი სულები სამარადჟამო ჰარმონიაში მკვიდრდებიან.

ურწმუნოებმა და უცოდინრებმა არ იციან ბიბლია და არც პირველად ენაზე საუბრობენ. შედეგად არა აქვთ კაცობრიობის, ყველას შემქმნელი და მზრუნველი მამის სიყვარული. თუ მამამზეციერი არ გიყვარს, არც ცხოვრება გიყვარს მისი კანონებით. იგონებ საკუთარს. უპირისპირდები შემოქმედს, იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი გქონდეს შენ. ასეთ უზნეო კაცს — სახელმწიფოებს, ღმერთი მაინც არ სწირავს, რადგან ისინი მისი შვილებია. უცოდინრობის გამო იგი არ უბრუნდება ღმერთს და იგონებს, აღითარებს იმ უსუსურ მეცნიერულ მიღწევებს, რომელსაც ყველაფრის მოწამელა, მოსავლის კიდევ უფრო შემცირება და ეკოლოგიური უბედურება მოაქვს.

ამგვარად, რწმენა და ჭეშმარიტი ცოდნა, მცნებების დაცვა იცვლება ადამიანში გამეცნიერებით ერთადერთი მიზნის მისაღწევად — იქცეს კერპად. ამას მოაქვს ის, რომ თვითონაც ხარბი ხდება — არ გასცემს, მის მიერ გაღარიბებულნი კი ვერ გასცემენ, რადგან მათ უფრო მწირი აქვთ მოსავალი. მოყვასში იგი ყვარებას კი არ ხედავს, არამედ გამდიდრება—განდიდების წყაროს, რომელსაც გამოგლეჯს, წაართმევს, უფლის მიერ მიკუთვნებულ მის წილ მიწას და ამონებს. აი, ძირი ბოროტებისა.

აქედან ჩაეყარა საფუძველი ბოროტების ბრძოლას მიწათმოქმედთა ქვეყნის, სიკეთის ციტადელის — იბერთა ქვეყნის წინააღმდეგ, სადაც გაკოფით მიწათმოქმედებენ და სიყვარული შეობს. ეს უგუნურები ვერ ხედებიან, რომ სიწმინდეს — დედას, მის ფიზიკური არსებობის წყაროს და ღმერთს, მათი სულის მომცემს, მაღალსულიერების წესს ებრძვიან.

უსულოდ ადამიანი ასევე მიწად იქცევა — დედამშობელი გვიხუტებს სამუდამოდ, სული ზეცაში ადის შემოქმედთან, ჩვენ კი მას და მის სასიკეთოდ მოცემულ მოძღერებას ომი გამოვუცხადეთ.

მთელი სამყაროს ისტორია სიკეთის ფუნდამენტის – გლეხის — შემოქმედის, მიწათმოქმედთა ქვეყნის შემოქმედის, ბიბლიის, ენის, წინააღმდეგ ბრძოლაა. ცდილობენ წაართვან ხალხებს მიწები, გამრავლების წყარო და აქციონ მონებად, ნარკომანებად, უზნეო, სუსტ ხალხებად, გაამრავლონ მონოკულტურები, მოწამლონ მოსავალი, მიწა გამოიყვანონ მწყობრიდან და დააჩქარონ საკუთარი გადაშენება.

წართმევისათვის იგონებენ ეკონომიკურ წყობებს, ფორმაციებს. ყველა წყობა მოგონილია ადამიანის მიერ ათასებზე საბატონოდ, თვითონ რომ იქცეს კერპად. ყოველი ახალი მეცნიერული პროგრესი და ფორმაცია ემსახურება ამ თემას, რაც მიიღწევა ადამიანთა გამათხოვრებით, ფიზიკური, გონებრივი, სულიერი დეგრადაციით, მიწების უსისტემო ექსპლუატაციით, მათი მწყობრიდან გამოყვანით, ყველა სულიერის ეკოლოგიური გენოციდით. ამიტომაც ბოლო ორი ფორმაცია, კაპიტალისტური და სოციალისტური, ბოროტების აპოგეაა.

*საქართველოში უძველესი დროიდანვე იცოდნენ ის, რაც ჭეშმარიტებაა და უმაღლესი ღვთაებრივი სამყაროს მართვა—გამგეობაა, რაც აქამდე არასწორად იყო მიჩნეული წარმართულ ხანად. დიდი დედის ე.წ. კულტში დიახაც უნდა მივიჩნიოთ ზეციური მღვდრობითი არსი – მეხინა — სულიწმიდა, სიყვარულის და ჰარმონიული სამყაროს ღვთაება.

## 1.1.2. სიკეთის ჩამოყალიბების მოკლე ისტორია

საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის პერიოდში გამომჟღავნდა მსოფლიო მეცნიერული კორიფეების მიერ აღიარებული ქართველი ერის ნამდვილი ისტორიული წარსული. ჩვენ იმთავითვე ვიყავით მონოთეისტები (აკად. ი.დავითი, ვახუშტი ბაგრატიონი, „ქართლის ცხოვრება"), ამ უდიდესი ცოდნის საფუძველი იყო სიტყვა, ანუ ენა, პირველად იყო სიტყუაი და სიტყუაი იგი იყო ღმერთთან და სიტყვა იგი იყო ღმერთი. რომ ეს სიტყვა იბერიულ-ქართული, ან მისი მონათესავე დიალექტი იყო, ამას ადასტურებენ პ. უელსი, ნ. მარი, პ. ჯონსტონი, ზ. გამსახურდია, ფრ. მიულერი, ვ. ჰუმბოლდტი. ამის დასტურია აგრეთვე, რომ მხოლოდ იბერიულ ენას ქვია დედა ენა, წმინდა ენა და ამ ენით ელაპარაკებოდა ნოე ღმერთს.* რომ იბერია – კავკასია – საქართველო სამშობლოა დედაა უფლის რჩეულთა – იბერების – ორი ძმის – შემის და იაფეტის, ანუ პირველადი ენის ასევე კულტურის. (ამ საკითხზე შემოკლებული მასალა იხილეთ ნაწარმოების ბოლოს – განმარტება 1)

ნამდვილი მორწმუნესათვის სამყაროს ისტორია და სწორი ცხოვრების წესი გადმოცემულია ბიბლიაში – თორაში, ღმერთმა სომ ჯერ იგი შექმნა და მერე მისი მიმართულებებით ააგო სამყარო. სწორედ ბიბლიით ებრაელებმა იციან, რისთვის არიან რჩეულნი. მათ უფლის მიერ მიეცათ ბიბლია და ხედათ პატივი, „რომ აღასრულონ მისი მცნებანი" და, ამავე დროს, დაუმტკიცონ ყველას, რომ მათაც უნდა იწამონ ეს წიგნთა წიგნი და ეღირსონ ჰარმონიულ ცხოვრებას მესიის ერაში.

ებრაელებმა 2448 წელს მიიღეს სინას მთაზე თორა და ეს ხალხი იქცა ერად. ერი კი, ქართული გაგებით, ის ერია, რომელიც იცავს მცნებებს და ენება აქვს, ანუ არის ხელო–ენება, ხელით–სწორი, მიწათმოქმედებითი ენება, ერო–ენება, პირო–ენება, არ არის პირი პირისპირ, ანუ სიყვარულის საპირისპირო მოქმედება – დაპირისპირება.

ჩვენი ერად ჩამოყალიბების პროცესი, ბიბლიის და ენის საფუძველზე, გაცილებით ადრე დაიწყო. ბოროტება ორას წელზე მეტია ცდილობს გააყალბოს ჩვენი ისტორია და ერის ისტორიული მისია, მაგრამ ერთ ფაქტს ვერავინ გაექცევა. როგორც სახელმწიფო, საქართველო მოდის წარღვნის შემდეგ უწყვეტლივ. გაუტანელი და კერპთაყვანისმცემელი ყველა ქვეყანა აღიგავა და 2000 წელზე მეტი ისტორია არც ერთ ქვეყანას არა აქვს. ისმის კითხვა: რატომ გამოგვარჩია უფალმა და ვართ ასე დღეგრძელი?* ამავე დროს, თუ ჩვენც ვართ უფლის რჩეული ერი, მაშინ უნდა იყოს სულიერ–ნათესაური კავშირები ორ ერს შორის და ერთიანობა ისტორიის მანძილზე ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამგვარად, ჩვენ გასახსენებელი გვაქვს როგორ შევიქმენით რჩეულ ერად, როდის ჩაეყარა სიკეთის ციტადელს – იბერიულ მოდგმას – ქართველ ერს საფუძველი. ამისათვის საჭიროა შევისწავლოთ ჯერ ბიბლია, ასაბუთებს თუ არა იგი მეცნიერთა ნააზრევს – ქართული ენის პირველადობას და მისი ცხოვრების წესს – როგორც სიკეთის ციტადელს, შემდეგ კი ენაშიც ჩავიხედოთ.

---

*აღსანიშნავია, რომ იბერიულ მოდგმას ვაინახურ ენაზე უწოდებენ ნოხჩის, ანუ ნოეს შთამომავლობას. იგულისხმება ნოეს ის მემკვიდრეები, რომლებმაც შეინარჩუნეს ნოეს ცხოვრების წესი.

* ენის არსებობის ხანგრძლივობით განისაზღვრება ქვეყანათა ასაკი. მხოლოდ ჩვენი სახელმწიფო არის დასაბამიდან ერთ ძირზე, ერთ ენაზე მონოთეიზმის საფუძველზე აღმოცენებული და მხოლოდ ჩვენ და ებრაელები ვკითხულობთ წინაპრების ენაზე. მათ ენა ბიბლიამ შემოუნახა, ჩვენ კი უწყვეტმა სახელმწიფოებრიობამ, რისი ღირსიც მხოლოდ ჩვენი ქვეყანა ჰყო უფალმა. მითების ეპოქაშიც კი ბეთლემთან ქართული ტაძრის იატაკს ამკობდა ბრწყინვალე ასომთავრული (იტალიელი მეცნიერი კორბო). და ჩვენს ნაწარმოებს თარგმნა არ სჭირდება. სხვაგან კი ეგვიპტური კოფტურმა შეცვალა, შუმერული – აქადურმა, ბაბილონური – ასირიულმა, ძველბერძნული – ახალმა ბერძნულმა, რომაული – იტალიურმა, გერმანიაში ნიბელუნგების ენას თარგმნიან.

## 1.1.2.1. წიგნთა წიგნში ასახული სიქეთის ჩამოყალიბების ისტორია

თორაში – ბიბლიაში მხოლოდ ორი სახეობის ნაგებობაა მოცემული, ორივე კიდობანი – იერითულად მაშქანი. განეიხილოთ, რა მისია ჰქონდა მათ, რა მოუტანა ამან კაცობრიობას. მეორე კიდობანი მაშინ შენდება, როცა ირგელივ წესრიგია და მასში ღვთაებრივი სიწმინდე უნდა დაბინაედეს, პირველ კიდობანს კი მაშინ აშენებენ, როცა ყველაფერს მოსპობა ემუქრება.

ჩვენ შემდეგ ნაწარმოებშიც დაეასაბუთებთ, რომ კიდო–ბ–ანი არის ანი ჰლიუს კიდო ბ – „ბანი", ანუ ანბანი. გარდა იმისა, რომ ნოემ ყველა სულიერი შეიყვანა, კიდობანში იგი შევიდა უდიდესი ცოდნით – ანბანით, ანუ იმ პირველადი ენით, რომლითაც იგი ღმერთს ელაპარაკებოდა. ნოეს აქვს გენეტიკა სიყვარულისა და მითით მოქმედებისა ჩამოყალიბებული ენის სიბრძნიდან გამომდინარე. ადამისგან განსხვაევებით იცის მწარე გამოცდილებაც სალხის დასჯისა. მან კიდობანში შეიყვანა ყველა ცხოველი. მან იცის, რომელია სუფთა, ანუ ეჭმევა ადამიანს და არასუფთა, გამომდინარე იქიდან, რომ უფალს მოსწონს გულით მირთმეული ნოეს მსხვერპლი. ნოე ფლობს მნეობრივ მიწათმოქმედების წესსაც, ამ ანბანიდან გამომდინარე.

ხოლო მეორე მაშქანში შეტანილი იყო წმინდა დაფები და სხვა სულიერი სიწმინდე.

თუ როგორ უნდა აგებულიყო ორივე კიდობანი, უფალმა უკარნახა მოსეს და ნოეს. რატომ მაინცდამაინც მათ? იმიტომ, რომ ისინი იყვნენ უდიდესი წმინდანები და მათმა სიწმინდემ დაისადგურა იმ ნაგებობებში. შედეგად არც მაშქანი და არც კიდობანი ადამიანის ხელით არ აოხრებულა, რადგან ის ვერ მისწვდებოდა იმ სიწმინდეს, სადაც ზეციურმა ნათელმა შეხისის – სული წმინდას სახით დაისადგურა.

ამგვარად, ნოემ თავისი სიწმინდით, წმინდა ენით გაასულიერა, სიწმინდე შეიტანა კიდობანში და მოწყდა უზნეო სამყაროს.

უკვე აღვნიშნეთ რომ, სამყარო ადამიანის სულიერ დონეზე და ქცევებზეა დამოკიდებული; თუ ადამიანი ზნეობრივია, იქ მგელიც და კრავიც ერთად ძოვენ, როგორც ადამის შეცოდებამდე. დასტურად ვიცით რომ კიდობანში შესული ცხოველები ერთმანეთს არ ერჩოდნენ. ამგვარად,ნოეს სიწმინდეს განაპირობებდა თორის ენის სიწმინდის დაცვა, ისევე როგორც მოსეს სიწმინდეს განაპირობებდა ორივე. ოღონდ მან უფრო სრულყოფილად მიიღო ბიბლია.

თორის კომენტატორები გადმოგვცემენ. ადამი ყაენის საქციელის შემდეგ მიხვდა რომ უნდა მოენანიებია. იგი 130 წელიწადი აკეთებდა ამას. მეუღლესთანაც არ ცხოვრობდა ამ ხანის განმაელობაში. შემდეგ შეეძინა შვილი სეთი რომელიც გავდა ადამს. ივიც ადამივით დაიბადა წინდაცვეთილი. ადამი მიხვდა, რომ ეს იყო აბელის მაგიერი შთამომავლობა. სახელი სეთი აღნიშნავს „სამყაროს ფუძემდებელი". ადამმა მას გადასცა კანონები ღმერთის მიერ მისთვის მოცემული პირველადი ენით და ტანისამოსი, რომელიც უფალმა ჩააცვა მას.

ახლა ჩავიხედოთ ბიბლიაში, რათა დავრწმუნდეთ, როგორ ასაბუთებს იგი მეცნიერთა მიგნებას, ქართული ენის პირველადობას. ბიბლიაში წერია: „კვლავ შეიცნო ადამმა თავისი ცოლი. შვა ვაჟი და უწოდა მას სახელად სეთი, რამეთუ აღმიდგინაო ღმერთმა სხვა ნაშიერი ნაცვლად აბელისა, რომელიც კაენმა მოაკვდინა". შესაქმე (4:25). სეთსაც შეეძინა ძე და უწოდა სახელად ენ–ოში. მაშინ დაიწყო უფლის სახელის მოხმობა (5:26). ამგვარად, უფალს მოუბრუნდა გული ადამისკენ და მისდა სასიხარულოდ ისევ აბელის მრწამსის ზნეობრივ შთამომავლობას ამრავლებს. ენ–ოში იწყებს უფლის სახელის მოხმობას, ანუ ის წმინდა პირველად ენაზე საუბრობს, იცავს ბიბლიაში და ენაში ჩადებულ მცნებებს და ეს ენა მიდის ღმერთთან. აქედანაა მისი სახელი ენ–ოში.

ახლა გავიხსენოთ, ქრონოლოგიურად როგორ მრავლდება ეს შთამომავლობა. ბიბლია კიდევ იმეორებს სეთის დაბადებას, სეთმა იცოცხლა ასხუთი წელიწდი და შვა ენ–ოში. შესაქმე (5:6). ენ–ოშმა იცოცხლა ოთხმოცდაათი წელი და შვა კ–ენ–ანი (5:9) კ–ენ–ანმა იცოცხლა სამოცდაათი წელი და შვა მაჰალალელი (5:12). მაჰალალელმა იცოცხლა სამოცდახუთი წელი და შვა ი–ერ–ედი (5:15). იერედმა იცოცხლა ასსამოცდაორი წელი და შვა ხ–ან–ოხი; (5:18). დავაკვირდეთ კარგად: ამ პიროვნებებმა სხვა მრავალიც შობეს მაგრამ მოხსენიებულია ის სახელები,

რომლებიც გვაუწყებენ, თუ როგორ მტკიცდება ბიბლიის, პირველადი ენის მცნებანი მათ მოდგ-მაში, ანუ ბიბლიის, ენის მცნებები ხდება სეთის შთამომავალთა გენეტიკა. ამგვარად, ჯერ იყო ენ–ომი, ომი – ლეჩხუმურად ოსშივარია, ან·უ ცოდნის ოხშივარი ენის საფ·უძველზე.

ცნობილი ებრაელი მეცნიერი იცხაკ დავიდი განმარტავს: „მაშინ იქნა დაწყებული ლოცვა იპვჰს სახელით“ და შემდეგ: „ესაა წიგნი ადამიანის წარმოშობისა.  იმ დღეს, როცა ღმერთმა გააჩინა ადამიანი, ღმერთის სახისა განსახა იგი“. ე.ი. როცა ადამიანი – ენოში განისახა ღმერთის სახის მქონე, მაშინ შეიქმნა შესაძლებლობა უკუქცევითი პროცესისა, როცა ადამი-ანმა მიმართა ღმერთს, ილოცა მასთან, ან შესძახა მას. ცხადია, ბიბლია სუბიექტურ ებრაულ თვალსაზრისს მტკიცედ იცავს, მისთვის იპვჰ–ს ღმერთება უკვე მაშინ გახდა ცხადი, როცა ღმერთის სახის მატარებელი ენოში (საზოგადოდ ადამიანი) დაიბადა. (ი.დავიდი, ნაწერები, ტომი II, გვ.18. თელავივი).

ამგვარად, ადამიანის სულიერი მრწამსი განისაზღვრებოდა ენით. შემდეგ იშვა კ–ენა–ნი, ე.ი. მრავალი გახდა ბიბლიის და ენის მცნებათა დამცველი, რადგან ენა მრავლობითშია. ამავე დროს კ–ენ–ანი ანით მთავრდება ანუ მიეწოდა ალბათ მათ ანბანი. შემდეგ ეს ხალხი ჩამოყალიბდა როგორც ალალი ხალხი და იშვა მაჰ–ალა–ლელი (გავიხსენოთ ქართველთა ისტორიული დასახელება ალა–როდიელნი).* შემდეგ კი სიწმინდის სიდიადის გამო ბიბლიის, ენის საფუძველზე ჩამოყალიბდა როგორც ერი, რადგან იშვა ი–ერ–ედი, რადგან სიწმინდეა ამ მოდგმაში დასადგურებული. მაგრამ ჯერ არ არის ჩამოყალიბებული იბერიელი ერი, რადგან არ არის თორმეტი შტო, არის 10, რადგან „ი“ გემატრიით 10–ს უდრის, მაგრამ მნეობრივი ერი უფლის მოყვარული ენის საფუძველზე უკვე ჩამოყალიბდა. ამგვარად, არის ერი და არის პირველადი ენა, და რომ ეს ენა ქართულია, სახელებიდან ჩანს.

## ასაბუთებს თუ არა ბიბლია, რომ სიკეთის ციტადელი პირველადი ენის საფუძველზე იბერიელი ერია?

ცნობილია რომ პარარელულად მრავლდებოდა ყაენის მოდგმა ისინი ელემენტარულ შეც-დომას ამ მოდგმისა ბოროტებისთვის იყენებდნენ. ენოშის დროს წარმოიქმნა აზრი თაყვანის-ცემისა მზის, მთვარის, ვარსკვლავების რიგორც ღმერთის მსახურთა. ყაენის მოდგმამ კი ისინი კერპებად გაიხადა. უფალმა მაშინ მისცა პირველი ნიშანი ხალხებს: მთებმა დაკარგეს პროდუქტიულობა (მაშინ მოსავალი მთებზეც მოდიოდა). ადამიანის ორგანიზმმა დაიწყო ლპობა სიკვდილის მერე (ეს იმიტომ რომ ადრე ღმერთისგან მოდიოდა მეტად უმტკივნეულოდ ჩვენი სიკვდილი და არ ვიხრწნებოდით. ეხლა კი სიკვდილის ანგელოზი ახორციელებს ამას). ადამი-ანები დაემსგავსენ უფრო მაიმუნებს რადგან კიდევ უფრო შემცირდა მათ სახეზე უფლის სხ-ივოსნობა. ადამიანში განვითარდა დემონის მსახურებაც. შედეგად გადმოვიდა ოკიანედან წყლები და მესამედი მოსახლეობის დაიღუპა. ეს იყო ყაენის მოდგმა რადგან საქართველო-კავკასიიდან შორს იყო ოკეანე. მაინც ემალებოდა ამ მოდგმას უზნეობა. უფლის ნებით ამ მოდგმაში მაინც იბადებოდნენ წმინდანები. როგორც ვიცით ადამიანს სახელი მისი მოღვაწე-ობიდან გამომდინარე ერქმევა. სოლომონს – ბრძენი, დავითს – აღმაშენებელი, გიორგის – ბრწყინვალე და სხვა. ეს სახელები განაპირობებენ მათ ღვაწლს მათი მოქმედების არეალში. ეს არეალი კი თანდათან ვიწროვდებოდა ბოროტების ზეწოლით.

ამგვარად იშვა ის წმინდანი – ხან–ოხი. რომელიც ზეცაში ავიდა, ანუ – ხანი, დრო უნდოდა, რომ ბიბლიის ენის მცნებანი ანუ ანი–ბანი, რაც ხ–ანში შედის, გამხდარიყო ადამიანის სულის კონსტიტუცია, გენეტიკა და მისი სიწმინდით უფლის სასუფეველის ღირსი, მანამდე კი იგი თავი-სი სიწმინდის და სიბრძნის გამო უფალთან მოლაპარაკე იყო.

ამგვარად, ბიბლიის ენის მცნებანი ხდება ხალხის გენეტიკა და მათში სიწმინდე იბ·უდებს. აქ ისიც საბუთდება, რომ პირველადი ენის და ბიბლიის მიმართულების დამცველი ხალხი აღწევს უმაღლეს ზეციურ სასუფეველს. „დაიარებოდა ხანოხი ღმერთთან და აღარ გამოჩნდა, რამეთუ წაიყვანა ღმერთმა იგი.“

*მთელმა მეცნიერულმა ელიტამ აღიარა დიდი გერმანელი სწავლულის ფრიც გომელის ფუნდამენტური მტკიცება. ალალოდიელური ოჯახის არსებობა, რომელთა შთამომავალნი არიან ქართველებში. მრავალი წყაროები მოჰყავს ამ მხრივ ანანია ჯაფარიძეს. ამის დასაბუთება პირველ განმარტებაშია ნაწარმოების ბოლოს.

აქ ერთ პარალელს უნდა გაესვას ხაზი: როცა მოსეს წინამძღოლობით ებრაელებმა სინას მთაზე მიიღეს თორა ანუ კონსტიტუცია, მხოლოდ მაშინ შეიქმნენ ერად. იერედის დროსაც კავკასიაში ჩამოყალიბდა ერი ბიბლიის პირველადი ენის საფუძველზე და იქმნება ისეთი ცხოვრების წესი, რომ უკვე იერედის შეილი ხანოხი არის ღმერთთან მოლაპარაკე და სიკვდილის შემდეგ ადის ღმერთთან.

ჩვენ ვიცით, რომ ჯერ ბარში მრავლდება მოსახლეობა. ამჯერად ბარში გამრავლებულ 10 კუთხეს დაემატა ორი და შეიქმნა იბ—ერი (ასოების „ი" და „ბ" ჯამი გემატრიით თორმეტია). ნოეს პაპა იყო მეთუშ—ელახი, მამა კი — ლემ—ეხი.

ამ სახელებშია საქართველოს მთიანეთის კუთხეები — თუშეთი* (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბილისი, 1960, გვ. 410). და სვანეთი.*

მაგრამ ამ ერს ექმნება საშიშროება უზნეობით გარშემორტყმული ხალხისგან და როგორც სოლომონის შემდეგ სრულიად დაიკარგა ცხრა შტო და აღარ იყო იბერიული ცხოვრების წესი ალბათ დაახლოებით ასეთი პროცესი მოხდა იბერია კავკასიაში. ამგვარად მთაში ჯეროვნად ვერ შემოიჭრა უზნეობა და აქ მოღვაწეობდა ეს ორი წმინდანი. ისმის კითხვა რა აზრი ჰქონდა მათ მოღვაწეობას? უნდა აღინიშნოს, რომ გარდა დამოუკიდებელი სახალხო მმართველობისა, სიტყვა „იბერია" ჩვენის აზრით აღნიშნავს, უფლის ძირითადი ათი თვისების მატარებელ ერს. ესენია: 1. აზროვნება, გონიერება, სიბრძნე; 2. მოთმინება, რწმენა; 3. მშვიდობა; 4. სიყვარული; 5. თანაბრად გაყოფა. 6. მართლმსაჯულება, შემწყნარებლობით — ღმობიერებით; 7. ქველობა — გაცემა, ყველაზე საუკეთესოსი. 8. ზრუნვა მთამომავლობისათვის. 9. ძლიერება, 10. მეფობა. განსხვავება იმაშია, რომ უფლის ეს ათი თვისება არის უსასრულო, ხოლო იბერი მიილტვის ამ უსასრულობისაკენ, რასაც, რა თქმა უნდა, სიცოცხლის ბოლოსაც ვერ აღწევს. ერთი კია, ვისაც მოჭარბებული აქვს ეს თვისებები, ანუ აქვს დიდი ცოდნა, იცავს 613 მცნებას, ის არის სულიერი მოძღვარი ერისა. (ამიტომ არის იბერი შემქმნელის ნაწილი — მეუფე, ხოლო სხვა ხალხი ქმნილების ნაწილი). ეს ათი თვისება ჩვენს მიერ ჩამოთვლილ ცხრა წმინდანში ნელ—ნელა ყალიბდებოდა პირველადი ენის საფუძველზე, დაბოლოს, კონცენტრირებული აღმოჩნდა ნოეში, მის ორ ვაჟში — შემსა და იაფეტში, რისი დასაბუთებაც ცოტა ქვემოთაა მოცემული.

ამგვარად, ადამი იყო მასალა წმინდა და ნამუსიანი კაცისა, მაგრამ არის სამყაროში ცთუნებები, რომელსაც უნდა გაუძლოს კაცმა, რათა უზნეობამ არ დაამქვეიდროს. ადამს რომ მოთმინება და რწმენა ჰქონოდა განმტკიცებული იგი აკრძალულს არ მიეკარებოდა. ყველამ იცის უფალმა იცოდა რომ წარღვნა იქნებოდა, მაშ რატომ ამრავლებდა შთამომავლობას? მაშინ ჩვენც ხომ ვიცით, რომ ჩვენი შვილი გარდაიცვლება რატომ ვბადავთ მას? მით უმეტეს თუ უფალი იმიტომ ამრავლებს შთამომავლობას, რომ ისწავლონ შეცდომებზე და დაიბრუნონ უკვდავება. როგორც ვიცით ბიბლიიდან ანგელოზებმა უთხრეს უფალს, ადამიანები იმდენ უზნეობას ჩადიან ჩვენ გაგვიშვი დედამიწაზე რომ ჰარმონია დავამყაროთ. უფალმა კი უთხრა: ქვეყანა ადამიანისთვის შევქმენი და თქვენ უარეს იზამთო. მათ იუარეს. ჩამოუშვა უფალმა ეს ორი ანგელოზი და ისინიც ჩაეფლნენ გარყვნილობის მორევში. /როგორც ცნობილია წარღვნამდე მათგან გამრავლდა გოლიათები. კიდევ მკვლელობა და მრუშობა/.

იერითულად სახელი ადამ სამი ასოსგან შედგება: "ა" — ადამი, "დ" — დავითი და "მ" — მაშიახი ჩვენებურად მესია, რომელიც უკვდავებას მოგვიტანს. აი რას შეიცავს ეს სახელი. ტყუილად არ აჩუქა ადამმა თავის 70 წელი დავითს, რომელიც დაბადებისთანავე უნდა გარდაცვლილიყო.

ამგვარად ადამშია იქიდან მისი სულიდანაა დავითიც და მომავალი მესიაც.

---

*აღნიშნული წყარო აღმოჩენილ იქნა ჩემს მიერ ამ სახელის გააზრების შემდგომ. აღმოჩნდა, რომ ივ. ჯავახიშვილმაც ასევე განსაზღვრა თუშეთის მიმართულებაში, ამან ჩემი უზომო სიხარული და რწმენის განმტკიცება გამოიწვია მასზედ, რომ სწორ გზას ვადექი. ჩვენს სათაყვანებელ მამულიშვილს სიცოცხლეში რომ ენახა დედნიდან თანამედროვე ნათარგმნი ქართველ ებრაელთა ანუ ლამეხი კი არა ლემ—ეხი, მგონია, რომ ამ სახელსაც ჩვენზე ადრე ანალოგიური განსაზღვრება ექნებოდა. ლემი სვანურად ლომს აღნიშნავს და ეს ამ კუთხის დროშაზეა გამოხატული. ამავე დროს, ლემ—მშვენიერა სასვანეთოს ნიშნავს.

* მაინც რატომ ვგულისხმობთ ჩვენ საქართველოს? ჯერ ერთი რომ ცოდნა ტიგროსის და ევფრატის მდინარეების საწყისში დაფუძნდა. მეორეც როგორც ბიბლიის კომენტატორები გადმოქვცემენ წმინდა მიწაზე წარღვნა არ ყოფილა. ე.ი. აქ ხალხი არ ცხოვრობდა.

რაკილა იმ პერიოდში გარედან ემალებოდა უმნეობა იბერიულ სულიერებას, გენს, ეტყობა, ეს გენი შენარჩუნებული იქნა ნოეს მიერ, რაც შეამჩნია უფალმა. ნოეს მთავარი ღირსება იყო ის, რომ, მას გულით უყვარდა უფალი და წინაპრები. იმ პერიოდში დიდი ასაკის გამო ხალხი იეიწყებდა წინაპრებს.

ბიბლიაში ხომ სახელი ალალმართალი ნოეზეც ითქმის. ამგვარად, ამ წმინდა მოდგმის წარმომადგენელს აქვს ცოდნა და ევალება დაუმტკიცოს უფალს, რომ შეიძლება ჩამოყალიბდეს ისეთი ცხოვრების წესი, მიწათმოქმედება, სადაც ადამიანი იცხოვრებს სიყვარულით, გაცემით, მის მიერ მოცემული ენის საფუძველზე. წარღვნის შემდეგ დაწერილია: „აუგო ნოემ სამსხვერპლო უფალს და (თითო—თითო) წამოიყვანა ყოველი წმინდა პირუტყვიდან და ყოველი წმინდა ფრინველიდან და აღავლინა აღსავლენი სამსხვერპლოზე; შესაქმე 8:20: „იყნოსა უფალმა კეთილსურნელება და თქვა უფალმა თავისთვის: აღარ დავწყევლი კვლავ დედამიწას ადამიანის გამო, რამეთუ უკეთურია ადამიანის გულის წადილი მისი სიყრმიდანვე. მეტად აღარ განვგმირავ ცოცხალ (არსს) როგორც მოვიმოქმედე ეს ვიდრე ქვეყნიერებაზე იქნება თესვა და მკა...“ 8:21 (ე.ი. სანამ მიწათმოქმედება იარსებებს).

ამგვარად, ნოეს სახელი ხდება ალალმართალი, ხოლო ქართველთა დასახელება ალალოდიელები იყო.

მეცნიერთა მიგნების გარდა, ჩვენი ენის პირველადობაზე ზემოთ ნათქვამიც უნდა გავიმეოროთ, რომ მსოფლიოში მარტო ქართველები ეძახიან ქართულ ენას დედა ენას. გერმანელები, რუსებიც, მშობლიურ ენას იძახიან. ასევე მხოლოდ ჩვენ ვეძახით დედა ქალაქს, დედა სამშობლოს, დედა მიწას, დედა ბეციერს, დედა ეკლესიას ადგილის დედას, დედაპურს, დედულეთს, დედაბოძს, გუთნის დედას, დედაენას, დედაარსს და, საერთოდ, ყველაფერი ფუნდამენტური ჩვენთან დედით იწყება. რაშია საქმე? რატომ დაერქვა ასე. დედა ხომ საწყისია ყველაფრის. მისგან ხდება განაყოფიერება.

არის კიდევ წმინდა ენა, წმინდა მიწა, წმინდა ტაძარი. ესეც იბერიული მოდგმის ებრაელთა ერია. მათი ენის ნათესაობაზე კი დედაენასთან ქვემოთ ვილაპარაკებთ.

## 1.1.2.2. ᲘᲑᲔᲠᲘᲐ—ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲓᲔᲓᲐᲐ — ᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘᲐ ᲘᲑᲔᲠᲘ-ᲣᲚᲘ ᲛᲝᲓᲒᲛᲘᲡ — ᲡᲘᲙᲔᲗᲘᲡ

### ᲘᲑᲔᲠᲘᲔᲚᲗᲐ ᲣᲡᲐᲡᲠᲣᲚᲝ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲛᲝᲜᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲠᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲡᲘ

დღეს მეცნიერთათვის ცნობილია, რომ ორმოცდაათამდე იბერიული წარმოშობის ენა მარტო კავკასიაშია; არსებობს აგრეთვე კუთხური მეტყველება დიალექტები საქართველოში, ლაზური, აფსაზური, მეგრულ — ჭანური, სვანური და სხვა.

ბატონი რევაზ ერისთავი ნაწარმოებში „მზის შვილები" ჟურნალი ქუჯი „ეგრისი" 2000 წ. 3–32 გვ. გადმოგვცემს: ორსქესიანი სასიცოცხლო ციკლი კვერცხი ეზოტერულ თეოსოფიაში აღინიშნება დიდი წრეხაზით „0" და მას მდედრობითი საწყისი მუტ—ი ეწოდება. ამ წრეხაზის დიამეტრი იგივე ფალოსის კულტია და მას მამრობითი საწყისი პქეია, იგი აღინიშნება „1". ეს სიტყვაც მეგრულიდან არის ნაწარმოები და კვირტის გაშლას ნიშნავს. (მუტიც ხომ ქართულიდანაა). ეზოტერულ თეოსოფიაში მდედრობითი საწყისის შეფარდება მას მამრობით საწყისთან, არის წრეხაზის სიგრძის შეფარდება მის დიამეტრთან, რომელიც იძლევა გაყოფის უსასრულო ციკლს, ანუ ცოცხალი ორგანიზმების უსასრულო გამრავლებას. ეს რიცხვი მათემატიკაში აღინიშნება „П" (პი) ასოთი. იგი მიახლოებით ტოლია 3,14159 და ასე მრავლდება მისი უსასრულობა.

მაგრამ ამ უსასრულო გამრავლების ფაქტორი ადამიანის სწორი მოქმედებაა — ამისათვის გავიხსენოთ, ბიბლიის პირველი სიტყვა რაც თქვა უფალმა ყველას მიმართ ეს არის „განაყოფიერდით". ამ სიტყვაში ჩადებულია სამყაროს ქმნადობის არსი და ისიც ქართულად იშიფრება ასე — ნაყოფზე გამრავლდითო და იქნება უსასრულო ენერგია უფლისა ჩვენთვის — კვირტთა მლა — გამრავლების ჰარმონია.

სიტყვა გაყოფის არსი ჩანს ამ წრეხაზშიც. თუ მის დიამეტრს ანუ ერთიანს წინ გამოვიტანთ მივიღებთ 10 რიცხვს. თუ წრესაზს შუაზე არ გავყოფთ მაშინ ერთიანი ნულზე პატარა იქნება და ათიანი უსიმეტრიო გამოვა. რაც უნდა ჩასწორდეს. აქედან ჩანს რომ მოხდეს უსასრულო გამრავლება-გაყოფა ადამიანებს შორის აუცილებელია. მითუმეტეს რომ ციფრი ათი საკრალური რიცხვია. ათობით ათვლაზე დააფუძნა უფალმა სამყაროს მარადიული არსებობის არსი რაზეც ბოლოში ვისაუბრებთ. ეხლა კი აღვნიშნოთ რომ 7 დღეში სწორედ ათი ქმედებით შექმნა სამყარო და ყველაფერში თანაბრად გაყოფის არსი ჩადო. „განაყოფიერდით ანუ ნაყოფზე გამრავლდითო" გაყოფაზე და არა მიტაცებაზეა არსი უსასრულო გამრავლების სიყვარულის, ჰარმონიის. ყოფს უფალი და უსასრულო მიუწვდომელი აქვს ჩვენთვის ყველა თვისება გაცემისა: სიყვარული, სურსათი, ენერგია, წყალი, ჰაერი და სხვა.

ამგვარად როცა ხდება მიტაცება ანუ მცდელობა ერთის მიერ მეორის დამონებისა მცირდება წრესაზის დიამეტრი და ბოლოს უმნიშვნელო წერტილად გარდაიქმნება. ეს მდგომარეობა სრულად განსაზღვრავს დღეს არსებულ მიმტაცებლურ კაპიტალისტურ ცხოვრების წესს და მასში მცხოვრებ საზოგადოების სულიერ ადგილს.

ი.აივაზაშვილი გადმოგვცემს: (ებრაელი ხალხის ისტორია იერუშალაიმი 5760–2000წ. გვ. 112) „აღსანიშნავია, რომ იუდაიზმში ძველთაგანვე ჩამოყალიბდა ძალიან საინტერესო ფილოსოფიური კონცეფცია, რომლის თანახმადაც ადამიანი, მთლიანი საზოგადოება ან მთელი მსოფლიო შეიძლება იმყოფებოდეს ორ მდგომარეობაში: წერტილის და ხაზის მდგომარეობაში." განმარტებულია რომ წერტილის მდგომარეობა, ეს არის დამთავრებული უმოძრაო შემოსაზღვრული. ასეთი ადამიანი ვერაფერს ხედავს თავისი წერტილური ადამიანის მიერ კანონებზე შექმნილი ფილოსოფიის გამო. იგი არ წუხს მოყვასზე, სამყაროზე. ხაზი ეს წერტილების უსასრულო ძაწკვია გლობალური და დინამიური, ასეთი ადამიანი ქველმოქმედია და ცდილობს ადამიანი გამოიყვანოს წერტილის მდგომარეობიდან. აღმოფხვრას მასში ბოროტი ისე როგორ აკეთებს ამას „ვეფხისტყაოსნის" გმირები. მათი ქმედება ღმერთის სიტყვის ენიდან გამომდინარე ხშირად ყველა კანონზე მაღლა დგას.

ამგვარად ციფრი 10-ის მაგიერ ჩვენ ვიღებთ წერტილს და ნულს, ანუ არარაობას. არ არის რიცხვი ათი და ათი ქმედება. ანუ ამის ფინალი შავი ფერები — სიკვდილია.

ყველა ანბანი ხაზებით ან წრებითაა შექმნილი და არა წერტილებით. ციფრების ათვლისას ქართულში ათი და ოცი მეორდება. ივრითულში და ქართულ ასომთავრულში კი ღმერთის

სახელი ასოთი და ხაზით აღინიშნება. ამ ანბანებით ერწმუნდებით რომ უფალი ჩვენზე ზრუნავს და მისი მოქმედება სამყაროს დინამიურობის მაგალითია. იგივეობისკენ უნდა ვისწრაფოთ ჩვენ და მუდამ იქნება კეთილის შლა. უფალი უსასრულო ათი და ოცი ქმედებით გვიქმნის ჰარმონიას გაყოფის შემდეგ. იგი გაცემის მაგალითია. ჩვენ კი ვეცდებით ამ ჰარმონიის უსასრულო ციკლს, დინამიურობას. არ ვყოფთ წრეს დედამიწას. მივისწრაფით რომ ბოლომდე წავართვათ ყველაფერი მოყვასს და აღარც წერტილი გვაქვს, გვრჩება მხოლოდ ნოლი.

ამგვარად, არ ვიცნობთ ერთიანს ერთ ღმერთს. მის სიტყვას რითაც უნდა წარიმართონ ყოველივე. მიმტაცებელ ადამიანთ მათი სიტყვით— —კონსტიტუციით სურთ წარმართონ სამყარო. ანუ წერტილოვანი თეორიით. ისინი კი საბოლოო ჯამში ნულად არარაობად გარდაიქცევიან. თვითონ ვილმერთებთ თავს აგვყავს იგი კერპის რანგში შედეგად რჩება ნოლი ანუ კერპი უსულო, უგულო და უპირო, მაგალითი თუნდაც ფარაონთა ქანდაკებებია. ეს არის ქამის ჯიშის ადამიანთა ხვედრი. აქ არის ჩაქსოვილი მარადიულობის არსიც.

ახსნა ამ მოვლენის შემდეგშია, ადამიანი ითვისებს რა ათასების კუთვნილ მიწას, კლავს მრავალფეროვნებას, დინამიურობას რადგან ვერ ასწრებს მის მოვლას. ამრავლებს მონოკულტურებს, ქარხნებს ნაგებობებს. იგი არ იცავს მცნებებს ანუ 613—დან შეიძლება იცავდეს რამდენიმეს. ე.ი. 613 ორგანოდან რამდენიმე ფუნქციონირებს, ისინიც მალე გამოდიან მწყობრიდან. ასე საკუთარ ორგანიზმშიც კვდება დინამიურობა — ნივთიერებათა ცვლა და ასეთი ადამიანი მალე კვდება. ხოლო მარადიულობა განისაზღვრება 613—ვე ორგანოს მუშაობით.

‘· როგორც კი დაარღვია ადამმა მცნება ნაყოფზე ანუ მას რაც არ გამოუყვეს მისი გამრავლებისთვის ის მიირთვა მაშინვე დავკარგეთ მარადიულობა. დავარღვიეთ არ დივიცავით ერთი მცნება, არ იმუშავა დატვირთვით ერთმა ორგანომ და დაირღვა ჰარმონიული თანაარსებობა ორგანიზმის ყველა ორგანოსი. გამოვიდა თანდათან მწყობრიდან ყველა და ცხრაას წელზე ცოტა მეტი იცოცხლა ადამმა. დღესაც ამ ერთი მცნებიდან გამომდინარე მრავალი მცნება არ სრულდება და ამიტომ შემცირდა სიცოცხლე დაახლოებით ათჯერ.

ორგანოები უნდა იყოს დინამიური ფიზიკური და სულიერი მიმართულებით. თუ 613 ძარღვი და სახსარი სასიცოცხლო ციკლშია ჩათული ანუ არის მცნებების დაცვა, ესეთი ადამიანი იქნება დაავადების გარეშე დინამიურიც და მარადიულიც. იქნება კვირტების შლა და გამრავლება.

აი ასე არ გამრავლდება ბოროტება, მალე გახდება იმპოტენტური ხოლო სიკეთე მარადიული. აქედან გაყოფიდან იწყება ათ—ვლის წერტილი. გაყოფაა ქართველთა ად—ათი, ლაზ—ათი, ნ—ათ—ელი სათავე ყველაფერი სიკეთისა ამიტომ შეიცავენ ეს სიტყვები ათს.

(საერთოდ სიტყვა გაყოფაზე უფრო დეტალურად ქვემოთ აღვნიშნავთ) ეხლა კი დაუმატებთ ერთს მსოფლიოში უწყვეტლივ მხოლოდ საქართველოში იყო მიწა მამულის თანაბრად გაყოფა (ივ. ჯავახიშვილი, ი. ჭავჭავაძე).

ამგვარად არა მარტო სიტყვებია ქართული, არამედ ქმედება ამ მიმართულებით, იყო საქართველოში. ვასრულებდით ამ სიტყვის არსს ისე როგორც უფალმა დაგვიწესა. არ ვტეხდით სიტყვას და ამიტომაა დედა — საწყისი რომ ჰქვია ჩვენში ყველაფერს მათ შორის ენასაც. და კიდევ, ვინც არ ყოფს ვიცით, რომ დაწყევლილია მისი შთამომავლობა ბიბლიაში, ჩვენ კი კურთხეული ვართ ბიბლიით ნოეს მიერ. (ბიბლია ცხადად მეტყველებს რომ უფლის ნებით გაყოფაზე და შესაბამისად გაცემაზე დაფუძნებული იბერიული ცხოვრების წესი ჩაისახა იბერია—საქართველოში.)

მუტ—ი და ფალოსიც რომ ქართულიდან არის ნაწარმოები ამაზე მიგვანიშნებს ასევე ქართული სიტყვა წრე—ხაზი. ამ სიტყვაში პირდაპირაა ქმნადობის არსი. აქ არის ორივე გამნაყოფიერებელი სასქესო ორგანო წრე და მის გამყოფი ხაზი და ამიტომაც არის უსასრულო ჰარმონია გამრავლება სიკეთისა — იბერიული ფენომენისა.

## დაკარგულ არს ენაში ჩადებული უსასრულო გამრავლების არსი

იოანე ზოსიმეს წინასწარმეტყველებით რომ ეს ენა „დაკარგულ არს" ანუ არ იხედებიან ამ ენაში და არ უსმენენ მრავალ მეცნიერთა მხოლოდ მინიშნებებიც გვიდასტურებს. (რუსთაველიც ხომ სხვა სახელმწიფოს სახეში გადმოგვცემს იბერიელთა ისტორიას).

მეცხრამეტე საუკუნის ცნობილი მისტიკოსი და კაბალისტი — რალსტონ სკანერი ცინცინათადან (აშშ) წერს (რ. ერისთავი იქვე გვ.18) „მე დარწმუნებული ვარ მასში, რომ არსებობდა

ერთი უძველესი ენა, რომელიც ჩვენს დროში დაკარგულად ითვლება, მაგრამ მისი კვალი მრავლად ჩანს თანამედროვეობაში. მე მივაკვლიე იმასაც, რომ ინტეგრალური დამოკიდებულება წრეხაზისა მის დიამეტრთან არის ყველაზე ძველი ღვთაებრივი გასაღები ხაზოვანი განზომილებისა (П რიცხვი). (რაც ქართულად წრესაზით გამოიხატება). ასევე დავამტკიცე ისიც რომ გეომეტრიული სისტემა იდეოგრამებისა და სიმბოლოებისა ცნობილი და გამოყენებული იყო ჩრდილო ამერიკაში იქ მცხოვრები უცნობი ხალხის მიერ, იმაზე გაცილებით ადრე, ვიდრე ეს სისტემები ცნობილი გახდებოდნენ უფრო მოგვიანებით პალესტინაში მცხოვრები სემიტებისათვის"

და აქ გასაკვირი არაფერი არაა რადგან ჯერ ამერიკის კონტინენტზე მოხდა იბერთა განსახლება. აქ ცივილიზაცია რომ ქართველებმა – იბერებმა შემოიტანეს ამას შესანიშნავად ადასტურებს რ. ერისთავი. საერთოდ კულტურა და ტოპონიმები რომ ქართულიდან გადავიდა, ამას ადასტურებენ გამოჩენილ მეცნიერები: რუსებიდან ს. კუფიშინი, გ.ვ. სერგიევსკი, ქართველი ებრაელები აკადემიკოსები ი. დავიდი, ე. მამისთვალაშვილი, ი. პაპიაშვილი, გერმანელები ე. ჰუმბოლდტი, ფრიდრიხ კაპნი, ფრანგები ფრანსუა ლენორმანი და სხვა.

ამგვარად, კაბალისტიკის საფუძლები კავკასიიდან გადავიდა სხვა ქვეყნებში.*

ამგვარად იბერიულ: ქართულ, ებრაულ, ბასკურ, კავკასიის სხვა ენებშია მსოფლიოს გასაღები და კაბალისტიკის საფუძვლებიც. ზოგი მეცნიერი უძველეს ენას მიიჩნევენ შუმერულ – დრავიდულ ენას, ჩვენ პირველ განმარტებაში დავამტკიცეთ რომ პირველადი ენა იბერიულ–ქართულია, ანუ ქართულის მონათესავეა: (ნ. მარი, ვ. ჰუმბოლდტი, ზ. გამსახურდია, ნ. ლოხოვარი და სხვა. ა. კიფიშინი და მრავალი სხვა ასაბუთებს რომ შუმერებამდელი ქართული ტომები კავკასიაში გამოჩნდნენ 1800 წლის წინათ ჩვენ ერამდე. (ჟურნალი „ტექნიკა მოლოდიოჟი" 1975, № 12, 56 გვ,) რაც ემთხვევა ნოეს მიერ დაფუძნებულ იბერთა ხანას და საერთოდ კარგი იქნება თუ ჩავიხედავთ ქართულ ენაში. ის ყველაზე დიდი მეცნიერია და შუ–მ–ერი ისე იშიფრება: შ–შუა, მ–მდინარეთის, ერი, ანუ ენამ, რომელიც უფრო ადრე იყო ასე დაარქვა მათ.

საერთოდ დღევანდელი მეცნიერება და მისი დოგმატიკები როგორც მათ მიერ მართვადი სამყარო იმიტომ არის უაზრობა რომ ყველაფერი აგებულია სიცრუეზე საწყისიდანვე. ივივე ფალოსს მრავალი ბერძნულს უკავშირებს. ბერძნებს კი თავისი არამცთუ ენა არც რელიგია აქვთ, მათი რელიგია კერპთაყვანისმცემლობაა, რომელიც ებრძოდა იბერიულ მონოთეიზმს.

ცდილობს ბოროტება დღეს რომ მიჩქმალოს იბერიული მრწამსი და წინ წამოწიოს ინდოევროპული, ბერძნული, სომხური, რუსული და სხვათა კულტურა, ე.წ. ცივილიზაცია, რომელიც მართლაც ცივია. (ჩვენ ქვემოთ კიდევ აღვნიშნავთ: მრავალი მეცნიერი ადასტურებს რომ ადრინდელი ბერძნები იყვნენ პელასგები ანუ იბერიულ–ქართული ტომები და მათი ადგილი მოსულმა ინდოევროპელ ტომებმა დაიკავეს.) აქაც ენაში უნდა ჩავიხედოთ სიტყვა ბერ–ძენი მეტი არაფერია თუ არა ბერ – ანუ იბერთა ძენი, ანუ განსწავლულთა ძენი.

თუ საძირკველი არაა ჩაყრილი ანუ თუ სწორად საწყისიდან არ იწყებ მეცნიერულ მსჯელობას მაშინ ყოველი შენობა, ანუ მეცნიერება ხუხულასავით დაგენგრევა და იქნება გაუთავებელი კამათი იმ სისულელეებზე, რასაც ბიბლიას, პირველად ენას მოცილებული ანუ ბოროტთა მიერ განვითარებული მეცნიერება ჰქვია. თუმცა ბოროტების სამყაროს არსიც ხომ კამათია და დაპირისპირებაა, რათა დავივიწყოთ ჭეშმარიტება ღმერთი. ისინი რელიგიებსაც შეგნებულად ყოფენ ამისათვის. ეს პროცესიც ხომ საბერძნეთიდან დაიწყო, მე–12 საუკუნეში როცა გაიყო ქრისტიანული რელიგია. თუნდაც ის სისულელე ავიღოთ რომ მრავალი მეცნიერი სამყაროს არსებობის 5763 წელს არ ცნობს, და თავისას უმატებს. ამავე დროს მეცნიერულმა ელიტამ ერთხელ და სამუდამოდ დაასაბუთა – (ის რაც სამყაროს შექმნამდე იყო ადამიანი ამის გაგებას ვერასდროს შეძლებს. ი. აივაზაშვილი იქვე გვ 15)

---

*1962 წელს კი პეიერ – დალი მიუნიშნებდა მეცნიერებს რომ ცივილიზაციის შემომტანი ამერიკაში კავკასიელთა მსგავსი ხალხი იყო ანთროპოლოგიურად. სახელიც ამერიკაც ქართული უნდა იყოს. გავიხსენოთ ამერ–იმერი ჩვენი მხარეები, ხოლო კა თუშურ დიალექტში მყარ კოჭებს ნიშნავს. /პროფ. მ.ვ.სერგიევსკი თვლის ეტრუსკების ენა მიეკუთვნება იბერიულ ენათა ჯგუფს. რ. ერისთავი გადმოგვცემს სახელი ინკი ანუ ინკები შემორჩათ ფერადკანიან ინდოელებს. ეს კი მეგრულად უცხო მხარიდან მოსულ ადამიანს ნიშნავს. არამცთუ ინკი მაიაც იბერიულიდან შემორჩენილი სახელია. მა – მეგრულ ენაში მზე–ს ნიშნავს, „აია" კი მზის ღვთაების დინასტიის შვილთა წარმომადგენლობას მიუთითებს მეფე აიეტის მმართველობის პერიოდში (ეტყობა აქედან შემორჩათ მეგრულ გვარებს დაბოლოება ია) /

პეგელის და სხვათა გამონათქვამებს ჩვენ ბოლოს მოგაწვდით. ახლა კი იბერიულ ქართული ფენომენის პირველადობაზე რამდენიმე მეცნიერის აზრით შემოვიფარგლებით.

გამოჩენილმა მეცნიერმა ნიკო მარმა პარიზში საჯარო ლექციაზე განაცხადა „ვიკადრებ თქმას, რომ დღეს იქნება თუ ხვალ, ქართული ენის შეუსწავლელად, და მის აღმოჩენილ საშუალებათა გაუცნობლად, ვერც ერთ საკაცობრიო კულტურულ სიძველეთა საკითხი ვერ გადაიჭრება".

მოგვიანებით 1984 წელს გამოჩენილი მეცნიერი თამაზ გამყრელიძე გაზეთ „კომუნისტში" (1984 წ. №2312) წერს; ინდოევროპული ენათმეცნიერების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის აუცილებელია ქართველური ენათმეცნიერების მონაცემების გათვალისწინება, ჩვენი ღრმა რწმენით, ახალი პერსპექტივები ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში გადაიშლება სწორედ ქართველური ენათმეცნიერების საფუძველზე. ქართველურ ენათა შედარებით ისტორიულ შესწავლის საფუძველზე". ამ გამონათქვამების სისწორეში მკითხველი მასალის გაცნობისას ნელ–ნელა კიდევ უფრო დარწმუნდება.

## იბერიელთა გადასელები

საერთოდ როცა სხვა ქვეყნებში გამრავლდა ქამის მოდგმის ხალხი გადადიოდა იბერიული მოდგმა, რათა ამ ქვეყნებში იბერიული განათლება შეეტანა და ასე ეხსნათ საკუთარი მოძმენი.

ეს გადასახლება და იბერიული კულტურის გატანა იწყება ორი იბერიული ძმის შტოდან შემის და იაფეტის და ისიც მაშინ როცა კავკასიაში მომრავლდა იბერიელნი მათი რწმენის ზნეობის ხალხი. (ბიბლია ი.დავითი) კარგად დაეიხსომოთ ეს არის მათი პირველი დაბადება. და მართლაც იბერთა გადასვლა იწყება ძ.წ. 2000–1500 წლიდან, რასაც ადასტურებენ მთელი მსოფლიოს მეცნიერული ელიტა იცსაკ დავიდი, პუმბოლდტი, მარკუს ტერენციუს ვარინი. ე. მამისთვალაშვილი, დორინვი, იპიანუ, დიურიკი, და სხვანი. ესპანეთს იბერიაც კი ერქვა. მხოლოდ მეხუთე საუკუნეში აღმოცენდა სახელწოდება ესპანეთი და ბასკების ქვეყნის სახელწოდება „ეგუს სკალდეს" ორივე წარმზავნილს ელჩს ნიშნავს. ხოლო ბასკთა სახელწოდება (ეგუს არის მზე) ანუ მზის ამომავალი ქვეყნიდან წარგზავნილს ნიშნავს. (რ.ერისთავი, იქვე გვ.11) (აქ ლაპარაკია სულიერ მზეზე) ირლანდიას კი ერქვა პიბერნია „პ" და „ნ" –ს გამოკლებით ესეც ხომ იბერიაა. (ამავე დროს ემთხვევა პერალდიკაც – წმინდა გიორგი თეთრ ბედაურზე შუბით გმირავს გველეშაპს).

შოტლანდიაში ერთ–ერთი დასახლებაა ივერ–ური ორივე ხომ ქართული ტოპონიმია. აბრამმაც როცა აღადგინა მისი მამაპაპათა მრწამსი აბრამ იბერ–ივერ–ყივრი დაერქვა. იგივე გადასელები მოხდა სხვა ქვეყნებში. მაგრამ ეს იბერიული მრწამსი იქ ჯეროვნად ვერ ვითარდებოდა. წარმატებით ებრძოდა მათ ბოროტება და ხშირად ის დიდი ცოდნა იბერებისა მესამე მეოთხე თაობებში კერპთაყვანისმცემლობაში გადაიზრდებოდა, რადგან სცილდებოდნენ პირველად ენის სიწმინდეს. თუმცა იყო პერიოდი რომ წმინდა იბერიული სახელმწიფოები ჭარბობდა მსოფლიოში, (ზ. გამსახურდია).

## სულიერი მზის უკმარისობა

ამგვარად, ისინი სცილდებოდნენ თავიანთ სულიერ საწყისებს – სულიერებას, სულიერ მზეს. ასე კარგავდნენ სიყვარულს. მათი გული უცივდებოდათ და ამიტომაც ქართულმა ენამ მათ უსულო, უზნეო კულტურას ცივი ანუ ცივილიზაცია შეარქვა. საერთოდ სულიერი მზის – თინათინის მოყვარული გენეტიკის ხალხის შემქმნელი ბიბლიის გეგმით სწორადაც ენაა. სულიერი მზის საწყისი და მუდმივმყოფელი ადგილი კი კავკასიაა – საქართველოა რამიც მრავალმხრივ დაერწმუნდებით.

„ძველ ქართულში მზეს ერქვა „არგი" – ასევე ბასკურად „არგ" ნიშნავს მზის მთვარის სხივს, მეგრულ ენაზე სიტყვა მ–არგ–ალი (მეგრელი) მზის სხივის ნათებას ნიშნავს. და ალი–ც ხომ თავისთავად ნათებაა. ისიც ცნობილია, რომ მსოფლიოს ხალხთა ყველა რელიგიაში ღმერთის მოიხსენიებენ სახელით „რა", რაც ქართულია. (წარმართები მასში აიგივებენ მზის ღმერთის). აქედანაა სიმღერებში უფლის საგალობლები ორე–რა, რა–მა და რა–ვო. (რ. ერისთავი იქვე, გვ.19).

ზ. გამსახურდია გადმოგვცემს: (ზ. გამსახურდია „ვეფხისტყაოსნის“ თბილისი მეცნიერება, 1991 წ. გვ. 189) ლომი თავის თავდაპირველი არსით მზეს უკავშირდება, იგი გამოხატავს მეფურ შემართებას, ნებას, ძალას, კეთილშობილებას, უძლეველობას, სულის გამარჯვების მატერიაზე“. ეს სამეფო ცხოველი განასახიერებს ცას, დღეს, ცეცხლს, ნათელს, ცნობიერების განათლებას (ამიტომაც არის რომ ავთანდილი ლომის სისხლით უბრუნებს ტარიელს ცნობიერებას). ლომთან მებრძოლი გმირები განასახიერებენ ადამიანის ბრძოლის თავის თავთან, საკუთარ ნებელობასთან, ეგოიზმთან, სიამაყესთან. ამგვარად ლომი ეს არის ცხოვრების ნათელი.

„ვეფხი არის ძალოვანი და აგრესიული ასპექტი ლომისა (მზიური მნიშვნელობის გამიჯვლებით). ვეფხვი უფრო ბნელის და ახალი მთვარის სიმბოლიკას ენათესავება, ვეფხის ტყავი კი სიმბოლოა სამეფო ინიხიაციისა, ვინაიდან დაკავშირებულია შობასთან და ხელახლა შობასთან ინიციაქმნილი ადეპტის. ამიტომ ეწოდება „ორგზის შობილი“. ეგვიპტური იეროგლიფებში სამი ურთიერთგადაჭდომილი ვეფხის ტყავი ნიშნავს „შობას“ აგრეთვე უკავშირდება სიტყვებს „ჩასახვა“ „ზრდა“, „ყრმა“. საერთოდ ფორმირების. იგი განაგრძობს რომ სულიერი სიბრძნის მისაღწევად იყო რიტუალი ვეფხისტყავში გასვლისა.

აქ ფაქტობრივად ჩანს ვეფხისტყაოსნის არსიც, რასაც შემდგომ უფრო განვავრცობთ. მთავარი კი ის არის რომ “ვეფხისტყაოსანი“ არის ინიციაქმნილი ადეპტი. იგი ჩასახულია, ზრდაშია, ებრძვის ბნელს და ეს ბნელთან ბრძოლა გამოხატული აქვს რუსთაველს ტარიელის, ავთანდილის და ფრიდონის მოქმედებაში. მიმდინარეობს მოყმის, მესიის ჩამოყალიბების პროცესი სამყაროში და ეს გასაოცარი სიზუსტით აქვს აღწერილი რუსთაველს. ორ გზის შობილი სწორედ ამ მეორედ შობას აღნიშნავს როცა სამუდამოდ დამარცხდება ბოროტება. „ვეფხისტყაოსანში“ კი ამ მეორედ გადასვლას იწყებენ იბერიელები ტარიელ–ავთანდილი ფრიდონი და საბოლოოდ მკვიდრდება იბერიული ცხოვრების წესი.

## ႫႤႱႨႠ ႭႰ ႢႦႨႱ ႸႭႡႨႪႨႠ ႱႳႪႨႤႰ ႫႦႨႧ

იცის ეს ყოველივე ბოროტებამაც რომელსაც აქვს გამოცდილება, იცის სამყაროს ისტორია და არ სურს მას რომ იშვას ორგზის შობილი სამყაროს მესია. მეორედ იმ შეცდომას აღარ დაუშვებს.

ჩვენ ვიცით ნოეს მერე სულიერი მზე ადგია საქართველოს რაზეც ცოტა ქვემოთ უფრო დაწვრილებით აღვნიშნავთ. გავიხსენოთ აიეტი მზის ქვეყნის მეფეთა დინასტიის წარმომადგენელი, იმიტომაც არგო დაერქვა გემს, რომელიც მზის ქვეყანაში მიდიოდა, რათა იბერიელთა ცოდნას და სულიერ მზეს დაუფლებოდნენ. ამაში ჩვენ დავრწმუნდებით ვეფხისტყაოსნიდან რამეთუ სულიერი მზე არის მეხინა – სულიწმინდა – თინათინის სახეში, იგივეა ნესტან დარეჯანიც, მაგრამ იგი ტყვეობაში აღმოჩნდება სწორედ იმიტომ რომ აქ ბერძნებმა მოახერხეს უფლის მცნებათა საპირისპიროდ მომქმედი ინტელექტუალები ჩამოეყალიბებინათ, რომელნიც დაუპირისპირდა მლოცველ დიასპორას.

ამიტომ არის იგი „ვეფხისტყაოსანი“ ანუ პიროვნება უდიდესი ცოდნის მქონე. ფლობს 613 მცნებას, მაგრამ აკლია (მზიური მნიშვნელობა) რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. მაგრამ ავთანდილი ფლობს ამ სულიერ მზეს. მას მზე იაფეტის – ლომის თვისებები არ დაუკარგავს. დაკარგა შემმა რადგან უცხო გარემოში არ არის სულიერი მზე. ამიტომ აგზავნის თინათინი ავთანდილს – ტარიელის იბერიის ძეთა მამის გადასარჩენად (ბიბლია). ანუ საქართველოს ამ შემთხვევაში აკლდება 613 მცნების მატარებელნი ხასნი რომელსაც ყვარობს თინათინი და ამიტომაც აკლდება სულიერი მზეც, რაზეც განრისხდა როსტევანი. მაგრამ გავიხსენოთ და ჩვენ მალე დავრწმუნდებით ავთანდილი სთხოვს არ მიატოვოს საქართველო, ჰქონდეს მზის თინათინის სულიერი მზის ნათელი. თინათინიც იგი მას მ–არგ–ალიტს აძლევს (არგი კი ჩვენ ვიცით ნათებაა) და ამით სრულქმნა მისი საწადელი. ამიტომაა რომ საქართველოში უგემრიელესი ნაყოფია დღესაც და არც სტიქიური მოვლენებია. ამ სულიერი მზის არსებობაში საქართველოში ჩვენ კიდევ მრავალგზის დავრწმუნდებით სახელების აბრამის იაფეტის და სხვათა გაანალიზებისას.

ამგვარად, საქართველო და კავკასია არის სიკეთის ყველა კულტურის საფუძველი და დასაბამი. აქ არის ცოდნა – ამირანი – პრომეთე მიჯაჭვული! დღევანდელი ბოროტი სამყაროს მიერ. აქ სიკეთისა და ყველა კულტურის საწყისია.

თუმცა ამასაც აღიარებენ ცნობილი მეცნიერები.

ქართულ–იბერიულმა კულტურამ მსოფლიოს მისცა:

– მმართველობის დემოკრატიული უნიკალური იბერიული სისტემა დაფუძნებული გაყოფა, სიყვარულზე, გაცემაზე – სიმბოლო სულიერი კულტურის, სიუხვის ურთიერთ და ერთმოყვარეობის.

–მიწათმოქმედება და ბუნებათსარგებლობა – ხორბალი და ვაზი, – საფუძველი, სიმბოლო, სახელმწიფოს სიძლიერის კეთილმოწყობისა და უფლის მამულის სიყვარულის.

– რკინა, ოქრო და სხვა მადნეული – სახელმწიფოს სიმდიდრის სიმბოლოები.

– მედიცინა – ყოველი ერის დღეგრძელობის, მეცნიერული მჭერმეტყველების სიმბოლო.

ეს არის უნაკლო ცხოვრების წესი – მონოთეიზმი. ანუ ლტოლვა ღმერთის უსასრულო სიყვარულისაკენ, ცოდნისაკენ ქართველს გენში აქვს გამჯდარი სიტყვიდან, ენიდან გამომდინარე, ამიტომ კარგი იქნება ჩავისედოთ ამ ენაშიც.

ისიც ხომ ფაქტია, რომ ამ პირველად ენაზე ლაპარაკობდა ნოე. მან კაცობრიობას საწყის ენის მცნებათა დაცვით განავითარა იბერიული მიწათმოქმედება საქართველოში. კიდობანი ხომ აქ გაჩერდა. (ყველამ ვიცით, რომ არამები – არმენები ურარტუს დაცემის შემდეგ დასახლდნენ, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ). ამგვარად, მან განავითარა ბიბლიაზე, ენაზე დაფუძნებული საწყისი ცოდნა, ზნეობა და ამიტომაც ამ ენით ყველაფერს საწყის არსებითს დედა დაარქვა, ანუ საწყისი უწოდა. სახელებიც ბიბლიური როგორც აღვნიშნეთ სანამ ენები აღირეოდნენ ენას შეიცავენ.

ნოე იყო უდიდესი წინასწარმეტყველი კაცობრიობის ზნეობის გადამრჩენი და ჩვენ არ გვაქვს უფლება არ დავუჯეროთ მას. დედა ყველაფრის სიკეთის ფუნდამენტი არის მის მიერ დაფუძნებული ქვეყანა იბერიელთა, ქართველთა.

ამგვარად, იყო სიკეთე და სიწმინდე, სურნელი ნოეს ცხოვრების წესში, მიწათმოქმედებაში. ახლა გავიხსენოთ, რითი მთავრდება სიტყვები, დედაკაცს რომ უთხრა უფალმა, როცა მან შესცოდა: „ქმრისკენ გექნება ლტოლვა და ის იბატონებს შენზე." შესაქმე 3:16. შემდეგ ასე გრძელდება: „ადამს უთხრა: რაკი ისმინე ხმა შენი ცოლისა და შეჭამე ხისგან, რომელზეც გამცნე ამ თქმით: არ შეჭამო მისი (ნაყოფი), წყეულიმც იყოს მიწა შენს გამო: სიმწუხარით ჭამდე სამრდოს მთელი შენი სიცოცხლე." 3:17. ნოეს შემდეგ კი იძახის რომ აღარ მოაჯლენს წარღვნას.

პირველადი ენის სიტყვის სიწმინდის დაცვამ ბიბლიის საფუძველზე ჩამოაყალიბა ისეთი ცოდნა, გენეტიკა და ბოლოს ცხოვრების წესი, რომ მდედრსა და მამრს შორის უკვე სიყვარულია, სიყვარულია მოყვასის და, რა თქმა უნდა, უფლისა. შედეგად უფალმა შექმნა ადამიანი, ანუ იბერიელი – შემქმნელის განუყოფელი ნაწილი, რომლის გული უკეთური არ ხდება ყრმობის პერიოდში, როგორც ეს მოუვიდა ადამს, სანამ იგი გენეტიკურად ჩამოყალიბდებოდა თორის ენის მცნებათა დამცველად.

თუ ენის მცნებანი გახდება ადამიანთა გენეტიკა, შეიძლება, რომ მან ზნეობრივი მიწათმოქმედება განავითაროს. აღარ შესცოდოს ადამივით. მიისწრაფოდეს უფლის ათი თვისებათა გაღრმავებისაკენ. უყვარდეს მეუღლე, ყველა მდედრობითი, ისე, როგორც საქართველოში იყო. ნოემ რომ სამსხვერპლოზე მხოლოდ წმინდა პირუტყვები შესწირა, ეს მოასწავებს სურნელს მხოლოდ საუკეთესო გაეცათ გულით და არაწმინდა ნოეს ცხოვრების წესში არ იზრდებოდა.

ანუ ცხოველური სული რომელიც გულშია ემორჩილება ღვთაებრივს რომელიც ტვინშია. გათიშულობის ჟამს კი (მაგალითად სმის დროს) თუ უზნეობას იდენს ადამიანი გულისთქმით შემდეგ მწარედ ინანიებს და აღარ იმეორებს.

პირველად ენაზე მოლაპარაკე ხალხი ძლევენ ქვენარე გრძნობებს, სხეულის მისწრაფებებს. ბიბლიის მცნებებით, მისი სულით მდიდრდება ენა და ხალხიც. გენეტიკურად და სულიერად ყალიბდება ზნეობრივი ერი. რაზეც უფრო კონკრეტულად დასკვნით ნაწილში ვისაუბრებთ.

ამგვარად, უფალი კიდობანს აგებინებს ნოეს, რათა მასში სიწმინდემ და შემდეგ შეხინამ–სულიწმიდამ დაისადგუროს. ნოეს სიწმინდემ განაპირობა, რომ კიდობანში დაისადგურა ზეციურმა ნათელმა – შეხინამ, რომ ცხოველებიც კი აღარ მტრობენ ერთმანეთს, არ ერჩიან.

სხვათა შორის, გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ კავკასიის ფაუნის რაინდული სული ყველასგან განსხვავებულია. აქაური მგელი მოძმის ხორცს არ ჭამს, კავკასიური ნაგაზები კი გენეტიკურად არიან გამორჩეული ჭკუით, ძალით. მოჩხუბარი ნაგაზები მხოლოდ ძალას აგრძნობინებენ ერთმანეთს, ისევე, როგორც ქართულ ჭიდაობაში, წაქცეულთან აღარავინ ჭიდაობს და აღარ ამცირებს. ყველა ხორციელი ამ მიწაზე საოცარი ერთგულებით, სიყვარულით და ზნეობრივი რაინდული თვისებებით გამოირჩევა. ამგვარად, ნოემ კავკასიაზე დაიწყო ზნეობრივი ცხოვრების წესის – მიწათმოქმედების დაფუძნება. დაერქვა ამ მიწას ღვდამიწა და დაისადგურა სულიწმიდის ნათელმა აქ მცხოვრებთა გულებში. დამკვიდრდა აქ სამუდამოდ სულიერი მზე – შეხინა – სულიწმიდა. დადო უფალმა საუკუნო აღთქმა ნოესთან, რომ აღარ მოავლენს წარღვნას და აკურთხა ნოე და მისი შვილები. ამავე დროს, დაარიგა იგი, როგორ ეცხოვრა.

ამრიგად, წიგნთა წიგნი გვიდასტურებს, რომ საქართველო ბიბლიის ენის საფუძველზე ჩამოყალიბებული, სიკეთის ციტადელია. რომ ენაში ჩადებულია უსასრულო ჰარმონიული გამრავლების არსი, დასტურად შევეცადოთ ჩავიხედოთ ჩვენს ენაშიც.

## 1.1.2.3. ენა ქართულ–იბერიული მოდგმის სიკეთის ციტადელის დამფუძნებელი

### ენა სულიერი სიწმინდის პროგრამა – გენეტიკა ჩვენი

უფალმა ადამიანი შექმნა მიწისაგან, ანუ მისი პირველი დედა–გამნაყოფიერებელი არის მიწა, შემდეგ როგორც დედა, ასე გვაძლევს იგი საკვებს და ამიტომაც ეძახის ქართველი მას დედამიწას.

მიწა საშენ მასალას, სათბობსაც, სხვა ორგანულ და არა ორგანულ ნივთიერებებსაც გვაძლევს, რათა ჩავიცვათ, დავიხუროთ, ვიცხოვროთ. სამივე სამყაროს წარმომადგენელნი – ცხოველური, მცენარეული, არაორგანული იმიტომ შექმნა უფალმა, რომ ურთიერთის ჰარმონიულ არსებობას შეუწყონ ხელი. ბატონობა და წინამძღოლობა ამ საქმეში ადამიანს დააკისრა. თუ როგორი იყო ეს წინამძღოლობა საერთო ჰარმონიისთვის, ეს მან ადამიანს თორის საფუძველზე სულიერი სიწმინდის პროგრამაში, პირველად ენაში ჩაუდო. ანუ მისცა ადამიანს მისი სიტყვა. ის სიტყვა, რითაც შექმნა სამყარო და არც ერთი სულიერი არ გადუხვევს მის სიტყვას. ოღონდ უნდა ასრულოს ადამიანმა ამ ენაში ჩადებული მცნებანი და მიილტვოდეს უფლის ათი თვისების გამყარებისკენ, რომელნიც უსასრულოა. უახლოვდები ამ უსასრულობას და იზრდება ადამიანის ზნეობა სიწმინდე სისპეტაკე, სიალალე სიყვარული. გაქვს ჰარმონია და შენი სი–ტ–ყვიდან იკარგება ასო „ტ“ ტანჯვა, რჩება სიყვარული უსასრულოდ თესავ მას და ამიტომაც მოცემული სიტყვა უფლისა შენი პირიდან გამონათქვამი აღსრულდება. იმიწათმოქმედებ ამ ენით? უნაკლოდ გაქვს ჰარმონია, შენი სიტყვა იგივე ლოცვა იქნება ყველასთვის, და თავის დროზე გექნება წვიმაც, მზეც, ქარიც, როცა ისურვებ. აი მაშინ ხდები უფლის წარმომადგენელი დედამიწაზე. შენი სიტყვა ღვთაებრივი სიმართლეა და აღსრულდება. როგორც დავითი გადმოგვცემს ვერ მოგერევა ვერც ერთი მხეცი, ყველაფერი დაგემორჩილება, რადგან ნამდვილად ხდები უფლის წარმომადგენელი დედამიწაზე. აი ასეთი წარმომადგენლები იყვნენ იბერები – ქართველები, მათი სიტყვა აღსრულდებოდა და იყო ეს ენა უდიდესი მიწათმოქმედთა კულტურის ენა. ამიტომ შეგვერქვა ჩვენ მიწათმოქმედნი.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ 613 მცნებიდან რომელიც ბიბლიაშია მოცემული 365 აკრძალვაა და ამდენი აქვს ადამიანს – ძა–რღვი. და რა გენიალურია ქართული ენა. ძა–ძარღვი არ უნდა არღვიო ანუ „ძარღვი არ უნდა გაიწყვიტოო! ანუ ნუ აკეთებ იმას, რაც უფლის მიერ აკრძალულია, მერე სხვა უზნეობასაც მიეჩვევი.

შემოიტანეს საქართველოში უზნეობა და მოკლე საცვლებიანი კაცებიც დადიან ქუჩებში. ისინი შარვლიან ქალებს მიყვებიან, თუ კაცი თვითონ იხდის ის ქალს როგორღა აუკრძალავს მას. ეს უკვე 365 ძარღვის გაწყვეტაა. ვის უნახავს ასე გაველილი ქართველი, უფალი რასაც არა იბერიელს პატიობს შენ არ გპატიობს იმიტომ მოგცა ზნეობის ენა, გენეტიკა, რომ მაგალითი იყო. მერე ამბობ რატომ ვარ ავადო. ასე იქნება ყველა უზნეო. ზნეობრივი კი – ჯამრთელი როგორებიც იყვნენ შენი წინაპრები. პატივი უნდა სცე უფალს ხალხს და არ უნდა გაშიშვლდე გადაგვარებული უცხოელისათვის.

ამგვარად, თუ გაგიწყდა ერთი – გიწყდება სხვა ძარღვებიც და აღარ გაქვს უზნეობის გამო 365 დღე ანუ ერთი წელი. წლის ტკივილიც იმიტომაა ეს სიტყვა ჩვენში. გაქვს დაავადებები გიმოკლდება დღეები წლები და ბოლოს სამუდამოდ გაქრება შენი სული. ამიტომაც არის ნათქვამი ჩვენში „სახელის გატეხვას, თავის გატეხვა სჯობიაო“. სახელი სიტყვით გერქმევა და ეს სიტყვა არ უნდა გატეხო, წაახდინო. დარჩენილი 248 მცნება ვიცით ის უნდა აღსრულდეს. ამდენივე აქვს ადამიანს სახსარი. და აქაც უნდა აღინიშნოს ქართული ენის გენია. ჩვენ არ ვამბობდით უფულობას უჩივისო „უსახსრობას უჩივისო“, ანუ მცნებებს არ ასრულებს, და არა მარტო სახსრები გიავადდება. – სახსარი სიმდიდრე შეწევა არა გაქვს უფლისა – ღარიბი ხარ. არ გიმართავს ხელს ღმერთი არაფერში. და ყველაფერზე ამბობ მაგის წელი არა მაქვსო ანუ წელი შენი ავადმყოფობაა და დღემოკლეობაა. ამგვარად სახსრები მცნების შესრულებაა სიმდიდრეა. ბევრ მცნებას ასრულებ გემატება სახსარი, ყველას ასრულებ გაქვს ჰარმონია არ ერჩი არაფერს. აი, რა მარტივად იხსნება ენით როგორ უნდა იცხოვრო. და აქვე უნდა აღინიშნოს იერითული – წმინდა ენის გენიალურობა, ცხოვრება იერითულად 613 უდრის გემატრიით.

არაეითარი ეკონომიკა დღევანდელ მეცნიერთა მოტანილი სიყალბე (რომ ხალხმა ეკონომია გასწიონ მათ კი მილიარდები ჰქონდეთ, რათა ისინი კერპები გახდნენ) არაეის არ სჭირდება. არც კონსტიტუციები ადამიანის მიერ დაწერილი. ბიბლია — თორა და ენა პირეელადი იყო საქართველოს კონსტიტუცია და ის უნდა გახდეს მთელი სამყაროს კონსტიტუცია.

ამ ენით სიტყვით შეიქმნა სამყარო. ამიტომ მასში არის ჩადებული სიბრძნე ყველა სულიერის ქცევისა, მოქმედების საერთო სიყვარულისთვის ჰარმონიისთვის.

„ყოველი საიდუმლო ამა ენასა შინა დამარხულ არს", ე.ი. ენაშია, ანბანშია ახსნა სამყაროს მოწყობის, მისი მუდმივმოქმედების. ასეთი შემეცნების ობიექტი იპოვა ტარიელმა — მესიამ ავთანდილის სახეში და გახსნა — საიდუმლოება, სამყაროს გადარჩ—ენი—ს, ჰარმონიული სამყაროს აღდგ—ენი—ს, შ—ენ—ების. შედეგად ამ ენით მოხდება სამყაროს მშ—ენ—იერების აღდგენა. ეს ენა არის რწმ—ენის სათავე, რადგან სიყვარული მუდმივია ამ ენაში.

ენა ჩვენი გენეტიკაა. ამ გენეტიკაში მწეობის, ცხოვრების წესია მოცემული. ყოველი ნაბიჯის წინ იბერიელი გენეტიკურად ენაში იხედება.

ებრაელებისთვის ყველაზე მთავარია თორის სწავლაა ბავშვობიდან და უმთავრესი ისაა, რომ მან ლაპარაკის დაწყებისას უნდა ისწავლოს უპირველესი თემა: „ისმინე ისრაელო, ღმერთი ერთია, ერთი". ქართველი კი ამას დედის ენით, ღედაენით ეცნობა. ერთი სიტყვით, მარტივად ღ—მ—ერთი, ანუ იგი არის ღვთიური — მაღალი — ერთი. იბერიელს ყველა საქმიანობისას, აზრობრივი გაფიქრებისას ზნეობრივი კანონები ენაში ჩადებული — ტვინში სამუდამოდ ჩაბეჭდილი და კოდირებული მწვანე ხალიჩასავით ეგებება წინ. აქ ყოველი სიტყვა კანონმდებლობაა, კონცეფციაა მარტივად გადმოცემული.

ეს კანონები ღვთაებრივი სულის არსია. მათი აღსრულება მისი სიხარულია რადგან უფლის მიერ არიან ორივე შექმნილი.

იბერიული გენი, დაფუძნდა რა ბიბლიის გეგმით ენის საწყისზე, აღიქმება როგორც სულიერად წმინდა, ნათელში მყოფი ხალხი და ამიტომაც მათი სიტყვა აღსრულდებოდა, როგორც ღმერთის სიტყვა.

შემდეგ როგორც ვიცით, როცა გადადიოდა ხალხი სხვა ქვეყნებში იეიწყებდნენ ენის სიწმინდეს ენაში ჩადებულ მცნებებს.

სიტყვა, რომელიც ითქმოდა უნდა აღსრულებულიყო ეს გენეტიკა უნდა ყოფილიყო. ენა იყო ღვთაებრივი სულის დასაყრდენი. ამ შემთხვევაში ენის არსის აღსრულებისკენ ილწვოდა ადამიანი. იგი ვერ ყვებოდა გულისთქმას უზნეობისკენ, რადგან ტვინი მბრძანებელია და აჩერებდა მას. ამიტომაც დაიწყეს პირველადი ენის სიტყვათა დამახინჯება, რათა დაემახინჯებინათ ზნეობა ხალხისთვის. უპირველეს დაივიწყეს ღ—მ—ერთი რომ ღვთიური მაღალი ერთია, დაივიწყეს ყვარებაც. სლავურ და მრავალ სხვა ტომებში საერთოდ ამოაგდეს ასო „ყ", დაიწყეს სიტყვათა აღრევაც.

მაგრამ ენას ვერ შეადგენ ისე თუ არ გამოიყენე ფუძემდებელი ძირითადი სიტყვები. მაგალითად შუმერები ენას ენ—ს ეძახდნენ, ერი კი „ერ" ასე ითქმოდა, ამიტომაც ძირძველი იბერიული ენები შეიცავს იმ ძირითადი ქართული სიტყვების ნაწილს, რომელზეც ენაა დაფუძნებული. ესენია: ენა, ური, ორი, ერი, ბერი, ივერი, იბერი, ალი, ანი, ალა, არი, ერთი, ათი, ოცი, და სხვა. განსხვავება ისაა, რომ ქართულში ისინი სიტყვის არს, სულს წარმართავენ და ერთ სიტყვაში გადმოგვცემენ აზრს, ანუ მცნებას და მრავალ წინადადებათა ტოლფასნი არიან. სხვა არაიბერიულ ენებში კი ასე არ არის. ისინი არ გამოხატავენ მეციურ აზრს, არ გვასწავლიან, როგორ ვიმოქმედოთ. უბრალოდ, ისინი მოსედნენ სასაუბრო სიტყვებში. მხოლოდ იბერიულ, მათ შორის ებრაულ ენაში იკითხება ამ სიტყვათა დანიშნულებები. მაგალითად მარცვალი „სპა" ქართულად ნიშნავს წარგზავნილს, ელჩს, ხოლო სახელწოდება ესპანეთი ასევე გამოხატავს ელჩს (რ. ერისთავი) რ ერისთავი ასკვნის: „ისეთი სიტყვები, რომლებიც სხვა ენათა ანალოგებს წარმოადგენენ ქართული ენიდან არიან მითვისებულნი" ამ ჭეშმარიტებაში ჩვენი ზოკლე ანალიზითაც ერწმუნდებით. თ. გამყრელიძე კი მიგვითითებს „ინდოევროპული ენათმეცნიერების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის აუცილებელია ქართული ენათმეცნიერების მონაცემების გათვალისწინება. ნიკო მარი კი პირდაპირ მიუთითებდა რომ მაგალითად სომხური ენა სინთეზია ქართული და ინდოევროპულის, ამიტომაც ძალიან ვცდებით როცა ბერძნულს ან ლათინურს ან სხვათ ვაკუთვნებთ იბერიელთა სიტყვებს. ყოველივე კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართული იბერიული ენების პირველედობას, ნათესაობას და რომ მათ-

გან წარმოიქმნენ სხვა ენები. ამიტომაც შემორჩათ მათ ქართული ენის ფუძემდებელი სიტყვები და ტოპონიმები, რომელთა წარმოშობა ქართულია.

მოგვეცა სამყაროს შე–მე–ცნების პროგრამა – პირველადი ენა. ანუ ამ ენით მოსაუბრე ყოველი „მე" შე–შეიცნობს ცნებებს რომელიც ექვსასცამეტია და ერთად გახდებიან სული–ერი. ანუ ერთ–სულო–ენება, სულიერება, მისი ენებაა დამახასიათებელი ამ ენაზე მოლაპარაკე ერისათვის. ასეთი ერის სიტყვა კი მიდის ღმერთთან.

ამგვარად, ენა ქართული ის ნათელი ჩირაღდანი, ცოდნაა, რომელშიც ყოველი სიტყვა ზნეობრივი ქცევის კონცეფციაა. აქ ყოველი სიტყვა სწორად გამოხატავს სახელთა მნიშვნელობას. იგი არსია, ანუ ცოდნაა ღვთიური კანონზომიერების. ზოგი სიტყვა მცნებაა, ზოგი ლოცვაა. ჩვენ არ გვჭირდება ბიბლიის სწავლა იმისათვის, რომ ღ–მ–ერთი, ერთია. არც იქ მოყვანილი გრძელი თავები, პოსტულატები, თუნდაც „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი", რადგან სიტყვა მო–ყვა–სში ისევე, როგორც ყვე–ლა სიტ–ყვა–ში, რაც ამ ენით ითქმება, ყვარებაა ჩადებული.

აღვნიშნეთ რომ თვითონ სი–ტ–ყვა, რომელიც იყო პირველად ანუ ენა ქართულად სიყვარულის სინონიმია, ასო ტ მიგვანიშნებს რომ ის სიყვარული, (რომელიც ქართველს ენაში და, აქედან გამომდინარე, გენში აქვს), სამყაროში მხოლოდ იბერიელთა ანუ ტარიელის, ავთანდილის, ფრიდონის ტანჯვის გზით მიიღწევა. ამგვარად, ამ სიტყვაში დევს სამყაროს ისტორია – მისი ხსნის გზა იბერიელთა მიერ, რაც „ვეფხისტყაოსანშია" ასახული.

ჩვენში შეერთება – ანუ გა–ყვა, და–ყვა, დაწ–ყვილდა, ასევე კავშირის შეწ–ყვეტაც ყვარებით, სიყვარულით ხდება. აქ დაწყვილებულ მამრსა და მდედრს შორის ღალატი იმიტომაც გამორიცხულია. დაცილება ხდება მეგობრებს შორის, სიყვარულის, ანუ ურთიერთ თა–ყვა–ნისცემის გამო არის გულდაწ–ყვ–ეტა, ისევე, როგორც რუსთაველის გმირებს შორის.

## თანაბრად გაყოფა: სიუხვის, ბარაქის, გაცემის, სიყვარულის, ზნეობის საწინდარია

ასეთი ცხოვრების წესის საფუძველი გა–ყოფაა. გა–ნაყოფი–ერება იმაზეც მიგვანიშნებს, რომ ერი მაშინ არსებობს, როცა თანაბრად ნაყოფი აქვს მიწა. მაშინ არის ერი სრულ–ყოფილი, ანუ სული–ერ–ად მომაღლებული. ამიტომაც ქართულში ჩვენი ყოფის ყოფადობის ფუძეც ყოფაა. სიტყვა თა–ნაბარიც ყველასათვის თანაბრად ნაბარი მიწის აღმნიშვნელია, აქედან იწყება თანაბრობა ყველასი – და ქართულ ყოფაშიც ხომ ყველა პირველი ანუ პირველკაცი იყო თავის საქმეში.

პატრონი, მშობელი ჩვენი უფალი არის სიყვარულის, სიკეთის, დოვლათის დამსახურების მიხედვით თანაბრად გაცემის მაგალითი, დამსახურება კი მცნებათა დაცვით ნაწარმოები მიწათმოქმედებაა. მთელი ბიბლიის შინაარსიც ეს არის. სწორედ ასეთ სიყვარულზე დაფუძნებული მიწათმოქმედება (ღმერთის, მოყვასის, მიწა მამულის), გამომდინარე ჩვენი მარადიული კონსტიტუციიდან – დედაენიდან, არის ქართული ცხოვრების წესი.

პლატონის მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, სამყაროს ფუნქციონირებას ღმერთმა საფუძვლად დაუდო თანაბრად გაყოფის პრინციპი ოთხ ელემენტს შორის, ისე, რომ ნაშთი არ დაუტოვებია და ამიტომაც აღმოცენდა სიყვარული. ამგვარად, გაყოფა სიყვარულთანაა დაკავშირებული, სიყვარული კი სამივე სამყაროს ჰარმონიული თანაარსებობის საფუძველია. ქართული ენა აქაც ამ ამრის კანონმდებლად გვევლინება. ნაყოფი ყვა–ვის. ამ ყვარების გამო მრავ–ალ–ფეროვნებაა, ანუ ღმერთის მრავალი ალი–შუქი წარმოქმნის ფერებს და მათი ენებაა, ჰარმონიაა ყველა – ფერის. ესე იგი, არის ბუნებრივ სახეობათა სიმრავლეც და სიუხვეც.

ამიტომაც ქართულში ერთი და იგივე ფუძე აქვთ გაყოფასაც და სიყვარულსაც („გა–ყო–ლა", „გა–ყვა" და სხვა). ამგვარად, ყოფა ჩვენი და სიყვარული ერთად მიდიან. არ არის შური, არის მხოლოდ სიკეთე და ერის–ენებაც, ამიტომაა, რომ ნა–ყოფიც ვემრიელი მოდის, ანუ ვემო–ენებაა. ეს მარგებლობის ნიშანი პიროვნებიდან მოდის, ანუ პირის ენებაა, ე.ი. ზურგს უკან სამარეს არ უთხრიან ურთიერთს, არც დაპირისპირებაა და არის პიროვნებათა პირით–ენება, სიამოვნება, რადგან ნა–ყოფზე სა–ყოფი ამოდის და ხელო–ენებაა, ხელო–ვანია, ერთიანი–ერთ–სულოვანია, სრულყოფილია ერი. არ არის ენითი წყ–ენა. კმა–ყოფი–ლებაც არის ნაყოფი მიწის გამო. სიტყვა შეურაცხ–ყოფა ან გამონათქვამი ყოფა ვატირე – შეურაცხყოფაა, ყველაფრის ნაყოფზე რომაა დაფუძნებული.

ამ გაყოფის ინსტიტუტის არსებობას, ჩაკირულს ქართულ ცნობიერებაში აღნიშნავდნენ როგორც ითქვა უკვე ილია ჭავჭავაძე, იოანე ჯავახიშვილი. სხვა ერის ისტორიაში, ებრაელთა გარდა, ანალოგი არ მოიძებნება. ამიტომაც იყო და არის ჩვენში გენეტიკურად სულიერი სიყვარული. ებრაელებმა იციან სამ—ყარო ნაყოფზე რომ უნდა იყოს დაფუძნებული და სამყაროს აღმნიშვნელი სიტყვა იერითული ყო—ლამი ყოფას შეიცავს. მაშინაა სამი სამყაროს სიმყარე — ჰარმონია. ეს ყველაფერი კი იმიტომ ხდება, რომ გაცემაა.

ამგვარად, გაცემით მოდის მო—სავალი, ანუ იმით, მო—მო—ვალეობას რომ შეასრულებ. მო—მა—ვალ თაობასაც ისე მოძღვრავს ენა: მო—მოდიხარ, მამაშვილიერის ვალი—დავალება რომ შეასრულო. ის დავალება გაცემისა, რასაც ასწავლიდა მამა თინათინს, ამის გამო იყო არნახული სიუხვე საქართველოში. იმდენი იყო მოსავალი, რომ ოთხ წელიწადში სამ წელს ვასვენებდით მიწას (აკად. პ. ჩიტაია). ამავე დროს მოსავლის ნახევარსაც არ ვკრეფდით. მისიონერებიც აღნიშნავდნენ, რომ მოსავლის აღებას ვერ ასწრებდნენ ქართველნიო, ფაქტობრივად კი ვიცავდით მცნებებს. ვტოვებდით მოსავალს, ნაყარს არ ვიღებდით, რათა გასაყოფიერებულიყო მიწაც და ცხოველთა სამყაროც. ბიბლიაც ხომ ასე გვმოძღვრავს.

რუსთაველმა ქართველთა ეს ჩვევა ერთ სტრიქონში აღწერა: „უხვად გასცემდი მდევართა შესდის და გაედინების". მდევაც ხომ ქართველივით, რაც ზედმეტი აქვს, სრულად გასცემს. გასცემდა ქართველი და მდევასავით უხვი, მუდმივი იყო ქართული სახელმწიფო, არ გასცემდნენ — იტაცებდნენ იმპერიები და როგორც არგამცემი ტბები შრებიან, ისე აღიგავა ყველა. მხოლოდ ჩვენ და ებრაელები მოვედივართ წარღვნის შემდგომ და ვკითხულობთ წინაპრების ენაზე, ხოლო უწყვეტი სახელმწიფოებრიობა მარტო ქართველებს ჰქონდათ. ასეა ადამიანიც. ვინც არ გასცემს, ის არ მრავლდება. ის არც ოჯახს და საკუთარ თავს არგია. მცენარეც, რომლისგანაც ნაყოფი აღარ იკრიფება, ან ვინმესთვის სიკეთე არ მოაქვს, ძალიან მალე წყვეტს არსებობას. ასეთი ადამიანი, მცენარე ფაქტობრივად უფუნქციოა.

ეს გაცემა დაინახა ბოროტების სამყაროდან მოსულმა ალექსანდრე დიუმამ კეთილი ხალხის ქვეყანაში. იგი აღფრთოვანებული ამბობდა: „იმდენად საუცხოო, კეთილშობილი, პატიოსანი, მამაცი, გულუხვი და შემართებული ერია, რომ მას სპეციალური გამოკვლევა უნდა მიეძღვნას" და წარმოთქვა, დაწერა ისტორიული ფრაზა, რომელიც კარდიოგრამა იყო სიკეთის ციტადელის — ქართველთა და გარშემორტყმული ბოროტების სამყაროსი. „ქართველ ერს ისევე უყვარს გაცემა, როგორც სხვა ერს საჩუქრის მიღება", ეს მიღება ქრთამის, უშრომელი ლუკმისადმი მიმსწრაფველობაა. სხვა მრავალი დასკვნით რომ არ გადავტვირთოთ მასალა, მოვიყვანთ გიუმბერტის გამონათქვამებს: „ქართველებს არ შეუძლიათ ვინმე შეაწუხონ და შეავიწროონ. პირიქით, მოყვასისთვის ქრისტესავით თავგამოდებული ხალხია. პერანგს გაიხდის, სხვას ჩააცმევს, უკანასკნელ ლუკმას მოიკლებს და სხვას დააპურებს".

გადადიოდნენ ქართველები, რათა ეს ნათელი, ცოდნა — მნეობა შეეტანათ სხვა ქვეყნებში და ეხსნათ ისინი გადაშენებისაგან, ამიტომაც დაუწყო ბოროტებამ ისტორიული ბრძოლა სიკეთეს — მიწათმოქმედთა ქვეყანას, იმ გლეხს, რომელიც იცავს ენაში ჩადებულ უფლის მცნებებს, ანუ აქვს რწმ—ენა და სიუხვის გაცემა. თვითონ სიტყვა სიუ—ხვ—ე ხვნას შეიცავს. სიუხვე მაშინაა, როცა იცავ მცნებებს, მაშინ ნაყოფი მარგებელიცაა. სიტყვებს მ—არგებელი და დ—არგვე ერთი ფუძე აქვთ. ანუ ფიზიკური და სულიერი სიწმინდე სწორი მიწათმოქმედებიდან, დანერგვიდან, დათესვიდან იწყება. ამიტომაც სიტყვა უ—კე—თესიც ასევე თესვას შეიცავს. ამ სიტყვის ასოები რომ გადავაადგილოთ, ასო უ—ს გარეშე სიკეთეს მივიღებთ, რაც ასევე სწორი მიწათმოქმედებიდან — თესვიდან იწყება.

ამგვარად, ენა გვიდასტურებს, რომ სიკეთის ციტადელი მიწათმოქმედთა ქვეყანაა. ეს არის ხე—ლოვნება და სა—ხე სა—ხე—ლმწ—ფოსი — პირველი სიტყვა ხეთავნებას გადმოგვცემს. ხეთავნების გამო აქვს სახელმწიფოს სიმწიფე, სიტკბო, მარგებელი ნაყოფი, რადგან არის დარი, ანუ მდიდარია ხალხი. დარი — განა ერთი რომელიმე კერპის, არამედ ყველას სიმდიდრეს განაპირობებს მაშინ, როცა გაყოფით ყოფაა და არა ადამიანის მიერ მოგონილი ცხოვრების წესი, სადაც ყველაფრის კულტი ფუ—ლია. ხედავთ როგორ იფურთხება ქართული ენა იმ ხალხის მიმართ, ვინც ფუ—ლი და საკუთარი თავი გახადა კერპად. მათ სულიერი სიმდიდრე, მიწა, მიითვისეს და ხორციელი სიმდიდრის, ფულის, დაგროვების მიზნით მის ექსპლუატაციას — მოწამვლას აწარმოებენ. ექსპლუატაციაა ადამიანისაც, რათა ფუ—ფუ—ენებით, გან—ცხ—რომით იცხოვროს. ფუ—ფუ—ნებაც ორჯერ იფურთხება, განცხრომა და ცხოველური ერთი და იგივე ფუძეს შეიცავს. ფუნაც ცხოველთა ნაყოფია და ისიც იფურთხება. უფრო მეტიც ფულის

მომხვეჭელები ხომ მაფიოზები არიან და სიტყვა მაფიაც მეგრულ ენაზე ფუნას ნიშნავს. ასეთი ხალხი ქონ–ებ–იანია ანუ „ქონი ედებათო“, ნათქვამია: ბევრი ქონი კი დაავადების მომტანია. სისხლძარღვები ვიწროვდება, ტვინიც არ მუშაობს, ზეობს ცხოველურობა, უცოდინარობა. ადამიანის ორგანიზმიც ზომი–ერე–ბაზე და გაცემაზეა აგებული. თუ ბევრს იყრის, მაშინ ორგანიზმის ფერმენტული სისტემა ვერ ასწრებს გადამუშავებას, ადამიანი ვერ გასცემს, ქონი ედება და ავადდება. როცა ვინმე მიწასაც ბევრს ითვისებს, ხომ ვერ ასწრებს მის გადამუშავებას და აავადებს. აი, რა განსხვავებაა ქონიანსა და მდიდარს შორის.

სიმდიდრე საერთო სიუხვეა. ამაზე სიტყვა კალე–ნ–დარი მიგვანიშნებს. კალე კალოობას, პურის აღებას ნიშნავს ნ–ნამატით, დ–დარით. რაც საქათველოში იყო წლების განმაველობაში, რადგან სულხან–საბასეული განმარტებით ეს სიტყვა წლის შესატყვისია.

მრავალია ქართულ სიტყვებში მიწაზე მოქმედების ტერმინები. სიმკა–ცრეც კი მკას შეიცავს. ამიტომაცაა ჩვენში ზნეობა – რუსთაველიც ხომ სამთა გმირთა დადებით ქმედებებს მიწაზე ბარაქის მოცემულ ტერმინებში აიგივებს. ამ მიწათმოქმედების სიკეთის საფუძველი ხალხთა გა–ყოფითი ყოფაა. იმიტომ, რომ ბრუნავს დედამიწა და თუ გაყოფის ბალანსი დაირღვა, იკარგება სიყვარული, შედეგად მწირია მოსავალი, არის სტიქიური მოვლენები, დაავადებები, ანუ წარმოიქმნება დისბალანსი. ასეთ სამყაროს კატასტროფა ემუქრება, სანამ არ აღდგება გაყოფით ცხოვრება.

აბა, წარმოვიდგინოთ ნებისმიერი მანქანის მბრუნავი დეტალი, თუ მასზე არსებულ წახნაგებში სადმე სიმეტრია დარღვეულია, ანუ რომელიმე წახნაგის წონა უმნიშვნელოდ მეტია ცვეთის გამო. მაშინვე ირღვევა ჰარმონიული ბრუნვა და თუ თანაფარდობა წონისა, ანუ სიმეტრია არ აღდგა, წარმოიქმნება დისბალანსი, რომლის ფინალი მთელი მანქანის მწყობრიდან გამოყვანაა. ასეთი ფინალი გველის ჩვენ, რადგან მეტ–ნაკლებად ყველგანაა დარღვეული გაყოფის პრინციპი. ამიტომ არის ჯერ დისბალანსი, ეკოლოგიური უბედურებები. ამას უფალი, რა თქმა უნდა, არ დაუშვებს და ახლოვდება დასჯა, თუ გონს არ მოვეგეთ.

ამგვარად, ამ ფაქტით დასტურდება ჩვენი დასკვნაც როცა ვინმეს ვინმეზე მეტი აქვს, წარმოიქმნება შური, არის ნერეთა ჭიდილი უფრო მეტის მითვისებაზე, უზომოდ მრავლდება დაავადებები და მწირია მოსავალი. ეს არის საფუძველი ბოროტებისა. ხოლო, როცა გაყოფაა – ზეობს სიყვარული. არის სიუხვე, დღეგრძელობა, ჰარმონიაცაა; საამოა, ხანგრძლივია ადამიანთა ცხოვრებაც. ასევე ჰარმონიულია დედამიწის და სხვა მბრუნავი მექანიზმების ბრუნვა.

რაკიღა საქართველოს და იბერიული მოდგმის ქვეყნების გარდა, სხვა ქვეყნებს არა აქვთ გა–ყოფა, მათ არც სულიერი, ზნეობრივი სი–ყ–ვარული აქვთ. ამიტომაც მათ ანბანში არა აქვთ ასო „ყ“ და ვერც ამ ასოს წარმოთქვამენ. ყველა არ არის ღირსი სიყვარულზე, გაყოფაზე დაფუძნებული სამ–ყ–აროსი – ივრითულად ყოლამი. სხვათა შორის, სხვა იმპერიული ქვეყნიდან მოსული ებრაელები ისრაელში ამ ძირძველ ივრითულ ანბანშიც ცდილობენ ამოაგდონ ეს ასო ზოგიერთი სიტყვებიდან. სიტყვა შემაყ – ისმინე! ებრაელთა ყოველდღიურ სამ ლოცვას შეიცავს: „შახრითი“, „მილხა“, „ყარბითი“, მათ კი ასე აქედანაც ერთი ლოცვა ამოაგდეს. ამავე დროს ისინი ოლამს ეძახიან სამყაროს. გაყოფას იღებენ მისგან, რაც პროტესტს იწვევს ქართველ ებრაელებში. სლავური და სხვა ეროვნებების ებრაელთა ჭარბობას თავისი გააქვს. ესენი იმ იმპერიული ენიდან – ანბანიდან აზროვნებენ, მოდიან, სადაც სიტყვებს – შემოგვევლეს, გ–ენა–ცვალეს – ნეტავეს – თარგმანი არა აქვთ. ისინი მოყვასს, ნათესავს, უფალს არ ენაცვლებიან. ასეთი სულიერი სიყვარული არ არსებობს, რადგან საკუთარი მე–ს ეგოიზმის განცხრომაა, უზნეობაა აქ მთავარი. მან, გამჩენმა პირველად ენაში ჩადო სიყვარულზე დაფუძნებული მცნებანი. ამ ენის სიბრძნეში ჩაწვდომა მიგვიყვანს მასთან, რადგან ენა ქართული ერთსახოვანია უფლი–სა. ამიტომ შეიცავს მისი სახელი გამჩ–ენ–ი ენას. გა–გააჩინა მ–მან ჩ–ჩვენთვის, ენა–სიტყვა, რომლის სიბრძნე – საფუძველი – სიყვარულის, სიწმინდის საშუალებას გვაძლევდა, გვქონდა კავშირი მასთან. ასევე შეიცავს სიტყვა რ–წმ–ენა – ენას. იგი გვეუბნება, ენა ჩვენი ქართული, ანუ ქართველობა რ–რელიგიაა. ხოლო მათი შუა წმ–სიწმინდეს მოასწავებს ჩვენი ენისა.

რომ ენა ჩვენი უზენაესია ჩვენთვის, ამას თვითონ გამჩენის შემდგომი სახელიც უზ–ენ–აესიც გვეუბნება. რომ იგი ზენა ენაა პირველადი, ამასვე გვეუბნება უფლის კიდევ ერთი სახელი

ზ–ენა–არი, ანუ ზენა ენა არის. და მასში ჩადებული სიყვარული კი შინაგანი სულიერი მოთხოვნილებაა გ–ენ–ეტიკაა ჩვენი. აქ ჩანს რომ გ–ენიც ენას შეიცავს.*

უკვე აღვნიშნეთ, რომ თუ გიყვარს უფალი, მაშინ ყველაფერი გიყვარს. მისი სიყვარული კი ყალიბდება, თუ გაქვს ერთადერთი ჭეშმარიტი ცოდნა სამყაროს მმართველობის მოწყობისა, მაშინ შეიცნობ მის ამოუწურავ მზრუნველობას, რათა გვიყვარდეს ერთმანეთი, რაც საფუძველია სიუხვის, სულიერი სიმდიდრის.

ეს ცოდნა ბიბლიასა და ენაშია. ამ საკითხში სხვა ფაქტების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ეს ცალკე ნაშრომის თემაა. თუმცა ამ მასალაშიც კიდევ ჩავწვდებით სხვა სიტყვათა სიბრძნეს.

## რატომ გვებრძვიან

იმდენად უზნეო შეიქმნა კავკასიის მიღმა მთელი სამყარო, რომ, მაგალითად, მუსლიმანებში რძალს აკრძალული აქვს მარტო დარჩენა და ლაპარაკი მამამთილთან. საქართველოში კი ეს არ სჭირდებოდათ, რადგან აქ ენის საფუძველზე შეიქმნა ზნეობრივი, ყველა სულიერის, განსაკუთრებულად ქალის, ჯერ სულიერად მოსიყვარულე ერი. ცხოველური, ველ–ური ანუ მომთაბარეთა და არა მიწათმოქმედთა ქვეყნიდან მოსული უზნეობანი ჩვენში გამორიცხული იყო. ამიტომ დაიწერა ბიბლიაში ბევრი ისეთი კანონი, რომელიც ქართველს არ სჭირდებოდა.

ამავე დროს, როგორც ებრაელთა ტანჯვა არავის შერჩება, იმავეს პირდება ნოეს უფალი: „და თქვენს სისხლს თქვენი სულების წილ მოვიკითხავ ყოველი მხეცისგან, მოვიკითხავ ადამიანისაგან. კაცსა და მის მოყვასს მოვკითხავ ადამიანის სულს.“ შესაქმე 9:5.

ჩვენ ვიცით, რომ შემდეგ მოსეს აშენებული წმინდა კიდობანი დავანდა სინას მთაზე ტაძარში, ხოლო ნოეს კიდობანი – მისი მრწამსი კავკასიაშია დავანებული. თუ მეორე კიდობანი ტაძარში აღარ არსებობს, პირველი კიდობანი ისევ კავკასიაშია, რამეთუ აქ მცხოვრები იბერიელები, – ამ მოდგმის კავკასიის ყველა ხალხი (ინდოევროპელთა გარდა) ერთმანეთის მონათესავეა და პირველადი ენის მცნებანი, ზნეობრივი კანონები მათ ენასა და გენეტიკაშია ასახული.

კავკასიის გული, წინამძღოლი საქართველოა, რამეთუ ყველა ქვეყანა კავკასიისა მას ესაზღვრება. აქედან მართავდნენ ბიბლიური დავითის შთამომავალნი კავკასიას. იმიტომაც განსაკუთრებული ძალისხმევით უტევს ბოროტება ამ ქვეყნებს. ამგვარად, წმინდა ენის, ცოდნის მემკვიდრეობა კავკასიაშია. აქ ყველა ადამიანის სული მცირე კიდობანია, სადაც მეციური ნათელი – შეხინა იბუდებს, რადგან ეს ნათელი ოთხი ათას წელზე მეტია იცავს კავკასიას.

როდესაც ავთანდილმა – საქართველომ ხილული ბრძოლა გამოუცხადა ბოროტებს, მათ ჯერ ცხოვრების წესი გამოგვაცალეს, მაგრამ სულიერად ვერ გარდაქმნეს, ქართველი რუსად, იმპერიულად მოაზროვნედ, რადგან ენა ჩვენი ღმერთისმიერი მცნებებითაა შექმნილი. არის კიდევ ერთი მთავარი! ჩვენ იაფეტის გენისა, მოდგმისა ვართ. ამიტომ შეცვალა ბოროტებამ ულმობელი კაპიტალიზმი უღმერთო სოციალიზმით, მაგრამ ვერ ამოძირკვეს ქართველში ღმერთის სიყვარული.

სალოცავში შესვლა აგვიკრძალეს, მაგრამ გვქონდა ღვინით ლოცვის ტრადიცია და ყოველი სახლი სიყვარულის, ერთობის, ღვთის მცნებათა სადიდებელ სულიერ ტაძრად გადაიქცა. ქართველ ებრაელობას კი ხელს უწყობდნენ თორაში ეჭვირნახულათ. ყოველი ქართული მაგიდა – ანუ სახლი, მთა – გორი, სრულიად საქართველო ამ ენით ურთიერთის სიყვარულით ლოცავდა.

არის კიდევ ერთი მთავარი: ყველასა და ყველა ქვეყნისგან გამორჩეული იაფეტელების თვისება საუკეთესოს გაცემისა მოყვასზე. დასტურად ა. დიუმას გამონათქვამისა ქართველის სიამოვნება მოყვასის სიამოვნებაა. ეს თვისება აქ მცხოვრებ სხვა ეროვნებებშიც გადადის. აქ ყველა გასცემს: მგზავრობისას, საუზმისას სადალაქოში თუ აბანოში ერთმანეთს ასწრებენ ჩხუბიც კი მოსდით რომ ფული გადაიხადონ, მაგიდაზე უმრავლონ საჭმელ სასმელი. ხურდას არ ართმევენ. მსგავსი თვისებები არც ერთ ქვეყანაში არ არის ტრადიცია. უფალს თვითონ უსასრულოდ გაცემის მაგალითს უყვარს მის მიერ ჩამოყალიბებული გენი იაფეტისა. ამიტომ იყო ბარაქა და ყველა ქვეყნის სურსათზე გამრიელი, მარგებელი ნაყოფი. იმ ეპოქაშიც ჩვენ

---

*შეიძლება შემოგვედავონ გენი ბერძნული სიტყვაო. ბერძნებმა იცოდნენ, რომ ენით ყალიბდებოდა ადამიანთა გენეტიკა და ქართული ენის აქ არსებობა მის პირველადობასაც მიუთითებს. დასტურად ეს სიტყვა თითქმის ყველა ენაში სხვა ძირითად ქართულ სიტყვასთან ერთად მრავლად მოიხსენიებიან.

ენამ და ტრადიციებმა გადაგვარჩინა. ყოველი ქართველი პოეტიაო, ეს იმიტომ თქვა გამოჩენილმა სომეხმა პოეტმა თუმანიანმა, რომ ენა ქართული თავისთავად ლოცვათა კრებულია, შემეცნების სახელმძღვანელოა და უტკბილეს, გულში ჩამწვდომ ლექსად, სადღეგრძელოდ, სიმღერადაც უფლის ძალით ქართველთა სიტყვით თვითონ ჩამოიქნება. აქ სადღეგრძელო, ლექსი და ლოცვა მხოლოდ სასმისის ხელში აღებისას ყალიბდება, რადგან ორპირობა გამორიცხულია. ამიტომაც ყველაზე ლამაზად, ლექსი, სიმღერა, სადღეგრძელო, ლოცვა ამ ენით ითქმის. და მიდის უფალთან სიტყვა ქართული და გუგუნებს სალოცავეთა საკრებულოები, – იუდეველთა და ქრისტიანთა, მუსულმანთა, როცა ღმერთის დიდებას – სიკეთის, სიყვარულის გამარჯვებას წარმოთქვამენ – ამ–ენ, ანუ ამ ენით, იმ პირველადი წმინდა ენით, რომელიც ხალხებს მიეცათ.

და ახლა, როცა მთელ ერს გამოუცხადეს ეკონომიკური გენოციდი, რათა ცხოველური უმნეობა დაინერგოს, ქართველები ბოროტთა გასაოცრად, გაასკეცებული ენერგიით დაეწაფნენ სულიერ საზრდოს და შიმშილით ძალაგამოცლილნი საყდრებს აშენებენ, იცავენ მარხვას, ხალხი ისევ უბრუნდება ღმერთს. უფლისმიერ სიტყვით – ენით მოცემული ზნეობა – მცნებათა დაცვა, არის ჩვენს კომპიუტერში – ტვინში კოდირებული. ამ ენით ბავშვში ჩანასახიდან კოდირდებოდა დედის მიმართ სიყვარული. რატომაა, რომ ინკუბატორის ხორცი დაავადებათა მომტანია მხოლოდ? იქ გამოზრდილი ქათმები ადვილად ავადდებიან და დებილებივით გამოიყურებიან იმ ქათმებთან შედარებით, რომელთაც კრუხი ჩეკს (სხვათა შორის, ანალოგიურია სურათი ბიბლიის ან ენის მცნებაზე გაზრდილ და სხვა ბავშვებს შორის). კრუხი ყოველდღიური მზრუნველობით, სხეულის სითბოთი და ნისკარტის კაკუნით სათანადო ინფორმაციას აძლევს, უნერგავს ჩანასახს როგორ იცხოვროს. ასევეა იბერიულ ენაზე მოლაპარაკე და ბიბლიის მცოდნე დედის გული. ენის მცნებანი დედას გენში – ტვინში აქვს კოდირებული. ეს სულის, აღმაფრენაა. ტვინიდან დედის გული და ბავშვის ტვინი იღებს ინფორმაციას. ასე კოდირდება, გენეტიკა. ხდება ბავშვში ღმერთის, მოყვასის მოყვარული, რაც მისი სულის ჰარმონიას იწვევს. მოზარდობის პერიოდში თუ მოხდება ენის მცნებებიდან გადახვევა, ეს ტანჯავს სულს, არის სირცხვილის უდიდესი გრძნობა. სწორი ცხოვრების წესის დროს ეს არ ხდება. ამიტომ საქართველოში ცხოვრების წესი ამტკიცებდა ამ თეზას. სხვაგან კი ბავშვობიდან დავაჟკაცებამდე ეცუებიან იმ ცხოვრების წესს, სადაც ურთიერთ გამოძალვაა. ამიტომ ისინი ღმერთის მოყვარულად და, აქედან გამომდინარე, მოყვასის მოყვარულად არ იზრდებიან, არამედ მხოლოდ ღმერთის დასჯის ეშინიათ. ასე რომ, ზნეობრივი ადამიანის აღზრდა დედის მიერ ჩანასახიდან იწყება.

ამგვარად, მთავარია სიყვარული, რომელიც მაშინ ხდება შენი თვისება, შინაგანი მოთხოვნილება ანუ გენეტიკა, თუ ენაში გაქვს ჩადებული. ანბანის სწავლებასთან, სიტყვის წარმოთქმასთან ერთად, ზნეობრივი, სულიერად მომაღლებული ქცევებიც ისწავლება, ინერგება. ეს ყოველივე ჩანასახიდანვე კოდირებული ხდება, იმ იბერიელ დედათა მიერ, რომლებიც ისტორიულად ზნეობას განასახიერებდნენ, იგი კი გულს სხვა ორგანოებს გადაეცემა, ამიტომ გვაქვს ცოდნა და ნიჭი უფლის მიერ ბოძებული. აი, სად არის საიდუმლოება სიკეთის დაუმარცხებლობისა, სანამ ქართველი ქართულად მეტყველებს და ქართულ მიწაზე დგას, იგი დაუმარცხებელია. უპირველესია სიყვარული მისი, ვინც გაა–ნაყოფი–ერა ქვეყანა. ამ სიტყვით იგი ჩვენგან გაყოფას მოითხოვს. მხოლოდ ასეთ ერს აქვს დღეგრძელობა. თუ არ გაყვე არ გამრავლდები. ბოროტს არ უნდა სხვა გამრავლდეს,ართმევს მოყვასს მიწებს და პირველი თვითონ გადაშენდება იქ სადაც არაფერი ამოდის. ამიტომაც ისტორიულად ხომ ბევრი ერი და ენა ალიგავა – დანარჩენებსაც იგივე მოელით თუ გონს არ მოეგებიან.

ეს მასალა სრულყოფილი რომ იყოს, საჭიროა ვთქვათ კონკრეტულად ირიოდ სიტყვით: რას ნიშნავს იბერიული გენი. ასევე უნდა ითქვას იბერიული მოდგმის გამრავლების ცეტადელზე – კავკასიაზე, მის ისტორიაზე. ორი ძმის შემის და იაფეტის ერთსულოვნებაზე, შემდეგ კი იბერიულობის განმსაზღვრელ ცხოვრების წესზე, ტერიტორიულ მოწყობაზე.

## 1.1.2.4. რას ნიშნავს იბერიული გენი?

ის რასაც აქ შემოგთავაზებთ, ჩვენ ნაწარმოების განხილვისას თანდათან დაერწმუნდებით, უფრო კონკრეტულად კი მეორე წიგნში. უპირველეს ყოვლისა იბერიელობა ნიშნავს უფლის მშობელის ყველა დამოძღვრებათა აღსრულებას რაც განპირობებულია იბერიელთა მისწრაფებით გააღრმაოს უფლის უსასრულო ათი თვისება უსასრულობამდე. ეს განზომილებები პირდაპირ პროპორციულია ადამიანთა ცოდნისა. მიიღწევა ამ განზომილების გაღრმავებისთვის უსასრულობამდე და გეზრდება აზროვნება, გონი, სიბრძნე პირველი თვისება და გეზრდება ათივე მათ შორის მეათე მეფობა. ანუ დასაბამიდან გაუწყებ დასასრულს და სრულყოფილი მეფე ხარ სამყაროსი. სახედ მისად შექმნა იმას გულისხმობს, რომ როგორც ღვთიური სული შემქმნელს განუყოფელი ნაწილი ხარ და მის თვისებებთან მიახლოებული მისი სიკეთის ქველმოქმედების გამგრძელებელი დედამიწაზე.

იბერიელობას, ისრაელობას არა აქვს საწყისი და სასრული, განსხვავებით რელიგიებისაგან. რელიგიები იმიტომ შეიქმნენ რომ ადამიანები, რომელნიც არ არიან იბერიელები ანუ შემქმნელის განუყოფელი ნაწილი და არიან მხოლოდ ქმნილებანი, თორის—ბიბლიის საშუალებით მიეიდნენ ამ დონემდე. დაუახლოვდნენ უფლის უსასრულო ათ თვისებას, 10 და 613 მცნების სრულყოფილად აღსრულებით, გარდაიქმნან ქმნილებიდან მეფედ პირველკაცებად სამყაროსი, რაც საფუძველი იქნება შეხინის — ზეციურ სულიერ ნათელთან შეუღლების, მისი კელავ დაბრუნების სამყაროში (როგორც ადამის დროს იყო), და სამარადჟამო ედემში — სამოთხეში კელავ ადამიანთა დაბრუნებისა.

რელიგიები ეს გზაა უფლით მოვლინებული რომ ხალხი მონოთეიზმიდან იბერიად გარდაქმნან. მათი დაპირისპირება კი პირუკუ შედეგს გვაძლევს. სიკეთე, სიყვარული იბერიულობა უფლის გეგმით გარდაუვალია. ამისათვის საჭიროა ადამიანთა ნება. ნება—ყოფილობა — ამ სიტყვაში ჩადებულია უფლის მიერ, რომ ყოფა ჩვენი გაყოფით უნდა მოხდეს. აი, რაგენიალურია დედა ენა ჩვენი. აქეთკენ მიყავს შემომქმედს ეს სამყარო. მისთვის შეიქმნა რელიგიებიც. მას არ სურს მის შვილთა დასჯა და ნაბი—ნაბიჯ მიყავს ჩვენი გონება შეგნება ამის ნებაყოფლობით აღსრულებისაკენ. ანუ ჭუჭყიდან სიწმინდეში, ჰარმონიაში, მარადიულობაში.

დღეთა დასასრულს თუ ყველა არ მიხედა ამას უკვე იქნება მათი დასჯაც. როცა იბერიელი დაეშვება ქმნილებამდე ეს დიდი ცოდვაა. ეს იგივეა ტვინი გაითიშოს ბორანში იყოს ანუ დაუჯეროს ცხოველურ სულს და გაეთიშოს ღვთაებრივს. ამგვარად რომ კეთილ გვეყოს ჩვენ უნდა აღვდგეთ იბერიელად რათა აღვასრულოთ მისია აეთანდილთა ტარიელთა, ფრიდონთა. გარდაიქმნას ყველა ქმნილებიდან შემქმნელის ნაწილად, მეფედ სამყაროსი.

ჩვენ მესიონერი წინამძღოლი ერი ვართ. იბერიულობით, იბერიული ცხოვრების წესით უნდა მივაღწიოთ რომ ყველა ხალხი მესიის ერაში შეეიდნენ უფლის — იბერიელთა, შემის, იაფეტის — იაკობის — ისრაელის სახლში.

ჩვენ მუდამ ვიდექით რელიგიურ პრინციპებზე მაღლა. არ იყო დაპირისპირება ჩემი ჯობსო. აქ ყველა ჰარმონიაში იყო. მიუხედავად იმისა რომ სხვა რელიგიები დევნიდნენ ქრისტიანობას ჩვენ მიეილტვოდით სიყვარულით მათკენ. ეს არის ქრისტეს — ავთანდილის მისია, რაც ვეფხისტყაოსანში ჩანს: მაშინ როცა მესია ტარიელი გალახავს სამ ძმას დაპირისპირების გამო ავთანდილი იგივე მესიასთან წილნაყარი მათ სამყოფელს მიუჩენს. ამგვარად თუ ერთი ძმა იბერიელი — ებრაელობა ვომება მათ მეორე არიგებს, მედიატორობს, რაც ქართველთა მისიაა. ვეფხისტყაოსნით ჩვენ დაერწმუნდებით რომ ეს ორივე საჭიროა. ამიტომ დროზე უნდა დაუბრუნდეთ ქართველები წინაპართა კარვებს. ამისკენ მიყავს რუსთაველს მისი გენიალური ნაწარმოები. დღეს როცა ჩვენ ყველა ვისწრაფვით დაუბრუნდეთ იბერიელობას, მივყვეთ ჩვენ გენის ყივილს, წინაპართა ფესვებს.

## 1.1.2.5. კავკასია — სიკეთის ციტადელი, იბერიული მოდგმის ორი რჩეული ერის სამშობლო

რომ ბედში მყოფი, შენ ძმად მიგაჩნდეს
ეგ ვერაფერი სიყვარულია.
საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია.

ილია

კაე–კა–სიაც ასე შეიძლება გაემიფროთ. კაე–ი ქიზიყურ დიალექტში ჰქეია მეტად მყარ კოჭებს, რაზეც სახურავი იხურება. კა–თუშურ დიალექტში კარგია, ანუ კავკასიას კარგი კოჭები, ანუ ენა აქეს. აქ ყოველ მე — სიაში შედის ზნეობრივი წესის დანერგვისათვის და მათ მოპყაეთ მე–სია. როგორც დაერწმუნდებით ტარიელიც — მესიაც საქართველოში მიდის ყოველი მე–ს გენეტიკური ზნეობის გამო. აქედანაა სია–მოენება ანუ ენება აქეთ სიაში მყოფთ.

### რას ნიშნავს ვენახი იბერიელთათვის

ამგვარად, კაეკასია არის გამჩენის ის საყრდენი ადგილი, რომლის სულიერი სახურავი ზეცაშია და აქ სულიწმიდა სამუდამოდ დაევანებულია. ამისათვის იღვაწა ნოემ კიდევ 350 წელი. იღვაწა იმისათვის, რომ ენით დამკვიდრებულიყო ბიბლიის მცნებანი მისი შთამომავლობის გენეტიკაში. შესაქმე 10:20 „და დაიწყო ნოემ მიწის დამუშავება და დარგო ვენახი." საქართველო ხომ ვაზის და ღვინის სამშობლოა, ამიტომაც იყო ბარაქა.

ბიბლია ტყუილად არ ამახვილებს აქცენტს ნოეს ცხოვრების ამ ფაქტზე. ამით ქართულ ენაზე მოსაუბრეთ — სრულიად საქართველოს და მის უწმინდეს ერისკაცებს ნება დაერთოთ უფლისგან ელოცათ სამყაროში მშვიდობისათვის. ქართველი ხომ მამულს და ვ–ენ–ახს აიგივებს, ყურძ–ენ–იც ენას შეიცავს. ღვინით ლოცვის ტრადიცია ყოველდღიური სიყვარულის დამამტკიცებელია. ქართველთა სიბრძნის აკადემია — ქართული სუფრა აერთიანებდა და კრავდა საქართველოს. აქ დაპირისპირება გამორიცხული იყო. ნოეს მიერ დანერგილი ამ სიყვარულის ამოძირკვას ცდილობდა ყველა მოძალე ვაზის აჩეხვით, მაგრამ ქართველი კაცი ვაზთან, ანუ სიყვარულთან იყო შეზრდილი ენის საფუძველზე და მაშინ ენაც უნდა ამოეძირკვათ. ვერ ამოძირკვეს ეს სიყვარულის განმტკიცების აკადემია.

ძირკვავდნენ იმიტომ რომ როცა ცხოველურ სულს უჯერებ უზნეობის მორევში ეხვევი. (ამიტომ არის სპირტიანი სასმელები მუსლიმანებში აკრძალული) ჩვენ კი სმის პროცესში კი არ ვეთიშებოდით ტვინს — ღვთაებრის სულს უბიწო სიტყვებით, პირიქით სულიერ ცოდნას ვაღრმავებდით, ვლოცულობდით — ერთმანეთს სიყვარულით ვეფერებოდით, რაც ღვთაებრივი სულის აღმაფრენაა, უფლის სიხარულია და იმარჯვებდა სიკეთე. გვქონდა ბარაქა.

ქართველები საზღვარგარეთაც ვენახის დანერგვით ცდილობდნენ სიყვარული ჩაენერგათ ხალხში. სხვათა შორის, იერითულ ენაზე ვენახის დასახელება კ–ერ–ეხ ერს შეიცავს, ხოლო ბიბლიური ხეები ლელვი და კე–დარი შეიცავენ ენას და ერს: თე–ენა, კ–ერ–ემ, ანუ ხაზი ესმევა მიწათმოქმედების სამშობლოს, როგორც ენას და ასევე ერს.

მას სახელმწიფოს ზნეობის სულიერ ემბლემად მიიჩნევს დავითიც. მის ფსალმუნებში ეს სულიერება ამ ნაყოფებით გარდმოსული იქნა ქანაანზე, ხოლო ეგვიპტეში „მოისრა ვაზი მათი და ლელვი მათი და დაამსხვრია ხეები მათ საზღვრებში." 105.33

შედეგად, ვენახი როგორც საქართველოს, ასევე ისრაელის ეროვნული ემბლემაა, მშვიდობის და კეთილდღეობის სიმბოლო. ნოეს მიერ განმტკიცებული, ისეთი მმართველობის ინსტიტუტი, ტერიტორიული მოწყობა, სადაც უპირველესი საუკეთესოს გაცემაა, დაკანონდა ერში. შემდეგ მან გაყოფით მიაკუთვნა თავის შვილებს სამყაროს მიწები. ეს გაყოფა დააწესა მან კავკასიაში იაფეტის მოდგმაში. ისევე, როგორც ქართულ ცხოვრების წესშია, მამის სამკვიდრო უმცროსს — იაფეტს ერგო. ქამს — ქანაანი, ეგვიპტე და სხვა ქვეყნები ერგო. იგი გაძევებული აღმოჩნდა იმ იბერიული გარემოდან, სადაც ენაზე დაფუძნებული სიწმინდე უნდა ჩასახულიყო. მიზეზი ამისა ჯერ კიდევ კიდობანში ჩადენილი უზნეობა იყო.

## უფლის და ნოეს დამოძღვრება – დანიშნულება ძეებისა მათი ზნეობიდან გამომდინარე

ეიცით, კიდობანში უმაღლესმა სიწმინდემ, ზნეობამ დაისადგურა. ცხოველები ერთმანეთს არ ერწყოდნენ და არც სქესობრივი ურთიერთობა უნდა წარმართულიყო. თორის კომენტატორების აზრით, ეს უკანასკნელი განახორციელეს ქამმა, ძაღლმა და ყორანმა. აქედანაა გამოთქმა: „არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა". ანდა „ძაღლი – მამაძაღლი." ხედავთ რა გენიალურია ქართული ენა. ამიტომაც მეორედაც შეცდა ქამი. როცა ქამმა არ დამალა მამის სირცხვილი, ასე შესთხოვა ნოემ ღმერთს: შესაქმე: 9:25 „თქვა: წყეულიმც იყოს ქანაანი! მონათა მონა იყოს თავის ძმათათვის." 9:26. „თქვა: კურთხეული უფალი, ღმერთი სემისა და ქანაანი იყოს მის მონად." 9:27. „განავრცოს ღმერთმა იაფეტი, დაემკვიდროს სემის კარვებში, და ქანაანი მის მონად იყოს." აქ უკვე ჩანს, რომ იაფეტსაც და სემსაც ერთი ზნეობა, ნოესეული იბერიული ცხოვრების წესი აქვთ. ისინი, ძმები ძმურად მრავლდებიან ქანაანზე, ხოლო ქანაანი, მეილი შთამომავალი ქამისა, მათი მონაა.

თანახში, რომელშიც შედის მოსე ხუთწიგნეულის განმარტებელი წიგნები მოყვანილია უფლისა და ნოეს დამატებითი კურთხევები შემის და იაფეტის მიმართ.

აქ მთავარი არის ის, რომ უფალი მიაკუთვნებს შემის ციციტს – ამაზე ცოტა ქვემოთ დაწვრილებით ვისაუბრებთ. ახლა კი აღვნიშნავთ, რომ ეს არის ის ჭრელი წამოსასხამი, რომელიც ავეია ვეფხისტყაოსანს. ანუ იგი ფლობს 613 მცნებას. რატომ მისცა იგი შემს უფალმა? იმიტომ რომ შემი ნოეს ანდერძის თანახმად უნდა გახდეს მეფე ქანაანზე. ამისათვის იგი უნდა იყოს დაუმარცხებელი, რაც ამ ტყავით მიიღწევა. ანუ ამ ტყავის მატარებელს აქვს დიდი ცოდნა ღმერთის მცნებათა დაცვა და მუდამ აქვს გამარჯვება. სხვათა შორის, მსგავსი ტყავით შემოსა უფალმა ადამი მასზე ცხოველები იყო გამოსახული (რის გამოც ადამს ყოველი ცხოველი ემორჩილებოდა. ეს ტყავი მემკვიდრეობით ჰქონდა ნოეს და ბოლოს იაკობს.)

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ამ ტყავით შემს აკლია ის ნათელი, რაც აქვს ლომს. ეს გასაგებიცაა სულიერი მზე რჩება საქართველოში ლომთან იაფეტთან. ხოლო შემს აქვს მესიონისტური მისია, იგი უნდა იშვას მეორედ ლომად, რომ დააბრუნოს სულიერი მზე შეხინა იაფეტთან ერთად მთელ სამყაროში. აი, რას ნიშნავს ორჯერ შობილი.

უფალი ამავე დროს წმინდა მიწას აკუთვნებს ქართველებს. ისინი საქართველოში სიკეთის ციტადელში უნდა ვითარდებოდნენ, ხოლო ისრაელში მათ ეძლევათ დასამარხავად განსაკუთრებული ღირსების ადგილი /ცნობილია რომ როცა შემოვა მესია მიცვალებულები ჯერ წმინდა მიწისა გაცოცხლდებიან/.

უფლის ეს სურვილი რომ აღსრულდა, ამას მოწმობის ისტორიული ფაქტები. კერძოდ, გრიგოლ ფერაძე ნაშრომში (გამომცემლობა „კანდელი" „ქართული ეკლესიის ისტორია" გამოცემული მკვლევართა ჯგუფის მიერ, მათ შორის: ჟან–პიერ მაე, რობერტ ტომსონი, ბერნარ უტიე), მრავალ სხვა ცნობილ მკვლევარებზე დაყრდნობით ასაბუთებს, რომ ქართველებს საკუთარი სასაფლაო ჰქონდათ იერუსალიმში.

ნოეს დამატებითი კურთხევა მოყვანილი თანახში გახლავთ ის, რომ სულიწმინდა – შეხინა უნდა იყოს მხოლოდ შემის შტოსთან, ხოლო მეორე ტაძარს ააშენებს იეფეტელი. მართლაც ლიდოსპარსეთის მეფენი, რომლთა მეფობისას და ხელის შეწყობით ისრაელში აშენდა მეორე ტაძარი იყო იეფეტის მოდგმისა.* აქ მთავარი ნოეს პირველი დალოცვაა მასზედ, რომ შემის კარვებში ვითარდება იაფეტი, ანუ მასზედაც იქნება გარდმოლსული შეხინის სულიწმინდის სული. ეს ჩანს იმაშიც რომ საქართველოს ეს ნათელი აქვს ნოეს პერიოდიდან მოყოლებული. ხოლო შემს ჯერ არ ექნება იგი. ვიცით რომ მოსემ დააბრუნა ეს ნათელი ქანაანზე რომელიც დაიკარგა და მეორედ მესია ტარიელი დააბრუნებს.*

---

* ცნობილია, რომ მიდიას ეძახსნენ მედეას კოლხურ ტომს, კოლხი მედეას სახელის მიხედვით (ჰეროდოტე – წიგნი I, – ისტორია, 1975წ. გვ-28) მიდო–სპარსეთის მეფენი კი მიდიიდან იყვნენ. მიდიას და კოლხურ ტომთა მემობლობაც ცნობილია და რაც მთავარია ნოეს დამოძღვრება უნდა აღსრულებულიყო.

*საინტერესოა კვართხის ისტორიაც. იგი ჯერ ქონდა ადამს. შემდეგ იმ წმინდანებს რომრლთაგანაც იშვა ნოე. ნოემ იგი შემს გადასცა. შემმა იაკობს, იაკობმა იოსებს. ფარაონის სასახლეში ამ კვართხს მოსეს სიმამრი ითრო დაეპატრონა. ითრომ იგი ბაღში ჩაარჭო და დადო აღთქმა, ვინც მას ამოიღებდა მიათხოვებდა ქალიშვილს. ეს შეძლო მოსემ, ის ხომ ამ კვართხით ახდენდა სასწაულებს. ამბობენ მომავალი მესიაც ამ კვართხით მოვაო.

ჩვენ ხშირად გვიკვირს, რატომ მიისწრაფოდნენ ქართველნი წმინდანები წმინდა მიწაზე – ან რატომ არ იდევნებოდნენ ებრაელნი საქართველოში. ეს უფლის კურთხევიდან ჩანს და ნოემაც ხომ ორივე ძმა აკურთხა, რომ ბატონები ყოფილიყვნენ წმინდა მიწისა.

ზემოთ მოყვანილ ნაშრომში გრიგოლ ფერაძისა ნათლად ჩანს რომ როცა ებრაელები განიდევნენ წმინდა მიწიდან ქრისტეშობიდან მოყოლებული მე–17 საუკუნემდე, მისი ფაქტიური პატრონი ქართველები იყვნენ. შემდეგ ისევ ებრაელნი დაეუფლნენ წმინდა მიწას, ანუ ნოეს ანდერძი არ იცვლებოდა. ამაში დიდად გვიწყობდნენ ხელს მამლუქები. მოვიყვანთ ციტატას ნაშრომიდან: „ეგვიპტის მამლუქებმა, ქართველთა მონასტრებს დიდძალი წყალობა უბოძეს. მამლუქები წარმოშობით კავკასიელები იყვნენ, ხოლო მაჰმადიან–კავკასიელ მთიელებში ბევრი ნამდვილი ქართველი ერია. ეგვიპტის მამლუკთა მმართველობის ხანაში ქართველთა გავლენამ პალესტინაში თავის ზენიტს მიაღწია". კავკასიელნიც ხომ იბერები ჩვენი მოძმენი არიან.

ნებისმიერი დამპყრობი იერუშალაიმისა იძულებული იყო ქართველთა მეფის ნება სურვილს დამორჩილებოდა. ისტორიული ფაქტია, რომ მონღოლეთის ხანმა ყაზანმა იერუშალაიმი როცა აიღო 1299 წელს იგი ქართველებს უბოძა. მანამდე კი ცნობილია რომ 1180 წელს ლათინთა გამარჯვების მერე დამასკოს გამგებელმა კორადინმა განიზრახა იერუშალაიმის კედლის დანგრევა ქართველთა ნებართვის გარეშე, რისთვისაც ქართველებმა სასტიკად დასაჯეს.

დასტურდება აგრეთვე რომ პალესტინაში ჯვაროსანთა ჭეშმარიტი მემკვიდრე ქართველები იყვნენ. ლათინური ქრონიკებით კი საქართველო ქრისტიანული კულტურის ბურჯად მიაჩნდათ. ჩვენს ხელში იყო გოლგოთა, სადაც ადამის თავის ქალა ძევს. ეპისკოპოსი იქ ქართველთა მეფისაგან ინიშნებოდა. სულ 26 ტაძრამდე იყო ქართული წარმოშობისა პალესტინის მიწაზე. მკვლევარნი ადასტურებენ აგრეთვე:

„მხოლოდ ქართველნი შემოდიოდნენ წმინდა ქალაქში ცხენზე ამხედრებულნი დროშებგაშლილი არც ხარკს, არც ბაჟს, არავის უხდიდნენ, წყენას ვერავინ უბედავდა"

–როცა იერუშალაიმში წასვლას გადაწყვეტენ, ისე მიემართებიან, ვითარცა ომში, ალმებმიფრიანელნი.

– ქართველები კეთილნი და უბრალონი არიან, მაგრამ მიუხედავად ამისა ძლიერნი და შეუპოვარი მეომრები გახლავთ. ქართველთა ვაჭრები (იგულისხმება ალბათ ქართველი ებრაელები, თუ ჭიჭინაძეს დავეყრდნობით) ხშირად მოდიან უზარმაზარი ქარავნებით ალეპოში.

– ქართველი ბერები ძალზე ღვთისმოსავნი არიან. თვითონ მუშაობენ თავიანთ მინდვრებსა და ზვრებში, ყველა უცხოელს იღებენ და ეხმარებიან. ამგვარად წმინდა მიწის ბატონ პატრონი მონაცვლეობით  ქართველნი და ებრაელნი არიან. მეორე წმინდა მიწა ხომ საქართველოა, ეს კი სამყაროს პატრონობასაც ნიშნავს.

ამგვარად მართალია ებრაელნი განიდევნენ, მაგრამ ფაქტიური ბატონები წმინდა მიწისა ქართველნი იყვნენ. იმპერიათა ბატონობა იცვლებოდა იქ და ნებისმიერი დამპყრობი წმინდა მიწისა ქართველთა ნებას ემორჩილებოდა. (ყველა იმპერია დამარცხებული გვყავს საქართველოს და არც ისეა საქმე საბჭოთა ისტორიკოსების მიერ რომაა გაყალბებული საქართველოს ისტორია. ეს აზრი ამ ნაშრომიდანაც კარგად ჩანს). ასე იცავდნენ წმიდნა მიწას თავიანთ მოძმეთა ისტორიულ ძეგლებს ქართველნი – ტაძარს, გოლგოთას, ადამის სამყოფელს და სხვა. ვენის უნივერსიტეტის პროფესორი რობერტ ბლაის მტაინერი აღნიშნავდა: „შუა საუკუნეებში დასავლეთის რაინდობა ქართულთა ზეგავლენას განიცდიდაო". გავიხსენოთ ნაპოლეონიც, ეგვიპტელებს რომ მიმართა: „როდემდე უნდა იყოთ ქართველების ტყვეობამიო" (მხედველობაში მამლუქები იყვნენ).

ამგვარად, უფალმა, ნოეს თხოვნით, ყველაზე უფრო მოჰმადლა და განავრცო იაფეტის და სემის ძენი: ისინი, ვინც ნოემ 350 წლის განმავლობაში ჩამოაყალიბა გენეტიკურად ენის მცნებათა დამცველ ერად კავკასიაში. მათ ჰქონდათ ზნეობრივი მიწათმოქმედება, ამიტომაც უდიდესი იყო სიკეთის, იბერიული მოდგმის განსახლების არეალი.

ზემოთ მოყვანილ ბიბლიის სამ ქვეპუნქტში კარგად ჩანს, რომ აბრაამი იყო თავისი რწმენით, ზნეობით ნოეს მრწამსის – მიწათმოქმედთა ქვეყნის შვილი.* მან ხომ თავისი დიდი პაპის ნოეს სწორი ცხოვრების წესის ცოდნა აღადგინა და ამიტომაც დაერქვა სახელი ებერი. ის

*აბრაამის იბერიულობას ამტკიცებს ხალხური გამონათქვამებიც: „ბავშვი არ დაბადებულიყო და აბრამს არქმევდნენო". ან „მამა აბრაამის ბატკანი". იგი ხომ თითქოს მხოლოდ ებრაელთა მამაა.

წესი, რომელიც ნოეს პაპამ ი–ერ–ედმა დააფუძნა და ამიტომაც იქცნენ ერად (ბიბლია ამ ფაქტს თითქოსდა სპეციალურად უსვამს ხაზს, რათა ნოეს რწმენა არ აცვერიოს არაბეთის ქამის და შემდეგ მისი შეილის ქანაანის მოდგმის მოსახლეობაში). შესაქმე 10:21. შეეძინა (შეილები) შემსაც, ებერის ძეთა მამას, იეფეტის უფროს ძმას. აქ შეილები ფრჩხილებშია ანუ ყურადღებაა გამახვილებული რომ შემი იბერთა ძეთა მამაა. ანუ იგი მამამთავარი ხდება იბერიული მრწამსისა, იმიტომ ჰქვია ებერთ ძეთა მამა. ქართული წესით, თუ მამული უმცროსს რჩება, ტახტის, ანუ რწმენის მემკვიდრე და წინამძღოლი ამ ღიადი მიმართულების — უფროსია, ამიტომაც სემი აქ იბერიელ ძეთა მამა, ანუ ნოეს რწმენის ძეთა, იბერიელ ძეთა მამაა. ხოლო ამ სემის რწმენის კარვებში იაფეტი უნდა განავრცოს ღმერთმა, ანუ რწმენას, რომელსაც სემი წინამძღოლობს, იაფეტი სრულად იზიარებს. იგი მრავლდება სემის სულიერ მრწამსში — კარავში.

ნოეს ასეთი დალოცვა გამომდინარეობდა ძმების ხასიათიდან, რაც ალბად უფლით იყო განსაზღვრული. ებრაელთა წმინდა წიგნი აგადა გადმოგვცემს: შემი სწავლობდა მამისგან ღმერთის მოძღვრებებს. მიისწრაფოდა უშუალოდ ღმერთის მსახურებისკენ. მას ჰქონდა რწმენა უფლისა ყოველგვარ საქმეში ემყარებოდა მის სწავლას.

იაფეტის მიმართულება იყო ადამიანების მოყვასის ყველა სულიერის მომსახურება. იგი თვლიდა რომ ამით უფალსაც ემსახურებოდა.

სხვათა შორის 613 მცნებიდან ჯერ მოყვასის მსახურებაზე გამახვილებული ყურადღება. ამრიგად იაფეტის გენეტიკური კოდი ახლია ქართველთა ამ მიწაზე მცხოვრებთა გენეტიკური კოდისა. ხოლო შემის ებრაელთა კოდისა, რამეთუ კომუნისტების პერიოდშიც კი არ სცილდებოდნენ ღმერთის რწმენის კარავს.

ქამისათვის ეს ორივე მიმართულება უცხო იყო. ეს ხასიათი სამი ძმისა, ანუ იბერიელთა სამი რელიგიისა განაპირობებს სამყაროს ისტორიას, რაც შესანიშნავადაა გადმოცემული „ვეფხისტყაოსანში". ანუ ქამის მოდგმა არის ბოროტება, ხოლო სიკეთე არის ორი ძმის მოდგმა. მათი მისწრაფებაა ლტოლვა ღმერთის უსასრულო სიყვარულისაკენ. ეს არის მთავარი, რადგან სიყვარული არ ჰქონდა ჩამოყალიბებული ადამს თორემ შეასრულებდა უფლის დამოძღვრებას არ ეჭამა აკრძალული ხილი. საერთოდ შემის თვისება კარდიოგრამაა ებრაელთა ერის მოქმედებისა ისტორიულად და ვეფხისტყაოსანში ტარიელის მოქმედებაშია გადმოცემული. ისევე როგორც იაფეტის თვისება ვეფხისტყაოსანში ავთანდილის, აგრეთვე ფრიდონის ანუ კავკასიის — იბერების მოქმედებაშია გადმოცემული. ფაქტიურად კი ეს ორი თვისება ერთიმეორისგან გამომდინარეობს და ორივე ძმაშია შერწყმული, რაც საფუძველი გახდათ ქართულ–იბერიული მიწათმოქმედების ცხოვრების წესის ჩამოყალიბებისა. ეს არის მნეობის ნამუსიანობის წესი და არც შემთხვევით იყო რომ ნოეს მეუღლეს ერქვა სახელი ნამუსი, ხოლო ქამის სახელი მეგრულად ითარგმნება როგორც რქიანი ანუ უნამუსო.

ნამუსიანობის ანალოგიაა ძმებს შორის ურთიერთობა სამყაროს ისტორიის მანძილზე. ერთი ახლახან მოხდა. რუსების მიერ ინსპირირებულ ომში აფხაზეთის და სამაჩაბლოს ტერიტორია, როგორც ქართველებმა დატოვეს ასევე პირწმინდად დატოვეს ებრაელებმაც. არც ერთ სხვა ეროვნებას ეს არ გაუკეთებია. ანალოგიური მოქმედებაა ქართველთა მთელი ისტორიის მანძილზე რაშიც ვეფხისტყაოსნის განხილვისას დავრწმუნდებით, ამ ურთიერთობას შესანიშნავად ესადაგება დიდი ილია სიტყვები, მოცემული ამ თავის ეპიგრამაში.

## ძმების სულიერი ერთობა

ნოეს ამ დამოძღვრის აღსრულებას ადასტურებს ისტორიაც. „იერუსალიმის ყოველი მაჯისცემა თავის ექოს გამოსცემდა მცხეთაში", ამბობდა კირიონ XI. ქართული ეკლესიაც ხომ იერუსალიმის ორიენტაციისა და მასზე დაფუძნებული იყო. ზაქარია ჭიჭინაძე, „ქართლის ცხოვრებაზე" დაყრდნობით გადმოგვცემს: „ცნობილია, რომ მთელი აზიის თემთა მცხოვრებნი მცხეთისკენ ისე მიილტვოდნენ, როგორც ბეთლემს, სიონს, იერუსალიმს. მთელი კავკასიის უპირველეს სამონასტრო წმინდა ადგილად მცხეთას თვლიდნენ. მცხეთა იყო მათი — ებრაელთა მაკავშირებელი იერუსალიმთან". დაბოლოს, იგი ასკვნის: „როგორც ჩანს ცნობებიდან, ისრაელნი საქართველოში სჯულით ყოფილან შთენილნი". კორნელი კეკელიძეც აღნიშნავდა, რომ „მცხეთა ქართული იერუსალიმია". მას ხომ ირგვლივ იგივე ტოპონიმები — წმინდა ადგილები აკრავს, რაც იერუსალიმს: სიონი, ბეთლემი, ბეთანია და სხვა. V საუკუნემდე საეკლე-

სიო ღვთისმსახურების წესებიც ხომ პალესტინური იყო. უპირველესად, ებრაელები აღიარებდნენ მცხეთას იერუსალიმიეით წმინდა ადგილად. იგი, როგორც იერუშალაიმი, სხვა ეროვნების მლოცველთა ცენტრი, მწიგნობრობისა და განათლების სულიერი კერა იყო. ამაზე ცოტა ქვემოთ უფრო სრულად აღვნიშნავთ, ისევე როგორც იმას, რომ ქანაანზე ღმერთის იბერიული რწმენის განმტკიცებას საფუძველი სემმა დაუდო და მისმა შეილისშეილმა, რომელსაც სიმბოლურად ასევე ერქვა ებერი. პირველი რწმენის და ცოდნის ტაძარი, სამლოცველო, იერითულად იემეეა, იერუსალიმში მათ გახსნეს. ამიტომაც სემი მოიხსენიება როგორც „იერუშალაიმის მეფე" (ბიბლია, ბიბლიის კომენტარები. რაში, რამბამი).

შემდეგ, როცა ისრაელს აკლდებოდა მწიგნობართა და მცოდნეთა ნათელი შუქი, საქართველოდან, სიკეთის ციტადელიდან იესებოდა იგი. როგორც იცხაკ დავითი ასაბუთებს, (მას მოჰყაეს მეფეთა წიგნში აღნიშნული წყარო) აქედან იყო ელია წინასწარმეტყეელი – ერთ–ერთი უდიდესი მოძღვარი, რომელიც ასევე ზეცაში აეიდა. მეორე ებრაელი ისტორიკოსი იაკობ პაპიაშვილი წერს, რომ აქ ცხოვრობდა ბიბლიური დავითი (125–ე ფსალმუნში დავითი გადმოგვცემს, რომ ცხოვრობდა მეშეს – ეს არის მესხეთის ძველი დასახელება. ასე ერქვა ასევე იაფეტის ვაჟს).

როცა ებრაელები დაბრუნდნენ ნაბუქოდონოსორის აოხრების შემდეგ იერუსალიმში, აქედან გადავიდა უდიდეს მცოდნეთა, სულიერ მოძღვართა დიდი არმია, რათა განემტკიცებინათ რჯულის კანონები. ამას ადასტურებს ამერიკის ქართველ–ებრაელთა წინამძღოლი მთავარი რაბინი არონ ხენი (ხახიაშვილი). როცა დაბრუნებულმა ებრაელებმა შემოუთვალეს ქართველ ებრაელებს, ჩამოდითო, მათ უარი შეუთვალეს და უთხრეს, რომ აქ ისინი სულიერად იერუსალიმის დონეზე არიან. მაგრამ მაინც, მოძმეთა სულიერი შეჭირვებიდან გამოსაყვანად ებრაელ მცოდნეთა – მოძღვართა დიდი არმია ლევიტების და ქოჰენების სახით მთლიანად გადავიდა საქართველოდან.

მათ შექმნეს უმაღლეს სწავლულთა საკრებულო. ეს საკრებულო იყო ბოლო სტადია თორის გავრცელებისა. მოსემ თორა გადასცა იოშუას, მან უხუცესებს, უხუცესებმა წინასწარმეტყველებს, წინასწარმეტყველებმა ამ საკრებულოს. საკრებულომ დაადგინა თორის გავრცელების სამი მიმართულება: არ იჩქაროთ სწავლისას და დასკვნებისას; რაც შეიძლება მეტი მოსწავლეები გამოზარდონ თორის გასავრცელებლად ხალხში. და შეუქმნან საფარი თორას. მათი ნამოღვაწარია თორის გამოცემა ეზრას ხელმძღვანელობით.

მესამე პუნქტი ითვალისწინებდა დამატებით ახსნა–განმარტებებს შაბათის და სხვადასხვა მცნებათა აღსასრულებლად.

მათი ნამოღვაწარია თორის კითხვის ლიტურგიკული წესები.

საქართველოში რომ ქრისტეშობამდე სრულიად იცავდნენ რჯულის კანონებს, იყო წინდაცვეთა, ქუდის ტარების ტრადიცია და სხვა, ამაზე ქვემოთაც აღვნიშნავთ. შემდეგ, ქრისტიანობის დამკვიდრებაზე რომ მიდის მსჯელობა, იერუსალიმში იგი არ იმართება ქართველი სულიერი ძმების – იაფეტიდების გარეშე. ქართველთა ამრს რომ დიდ პატივს სცემდნენ, იმიტომაც ჩამოიტანეს მათ მაცხოვრის კვართი, ისევე როგორც ადრე ელია წინასწარმეტყველის ხალენი (ლეონტი მროველი) და ისინი მცხეთაში მარხია.

მანამდე, „ქართლის ცხოვრებიდან" ჩვენ ვიცით, რომ როცა მოსემ ებრაელები ეგვიპტიდან გამოიყვანა, იყო ისეთი სულიერი კავშირები, რომ ეს ამბავი მაშინვე გავრცელდა საქართველოში და მათ „აქეს ღმერთი ისრაელთა", ანუ იბერთა. (ქართლის ცხოვრება).

როცა ისრაელმა დაიწყო სულიერი პრინციპებიდან გადახვევა, გახშირდა შერეული ქორწინებები და ენაც ირეოდა, განსაკუთრებით არამეულით, მაშინ სრულყოფილად გადაიწერა მოსეს ხუთწიგნეული ძვ.წ VII–VI საუკუნეში. მაშინვე ორი ეგზემპლარი გამოაგზავნეს სემის და იაფეტის სამშობლოში, სამკვიდრებელში, კერძოდ, სვანეთში. ანუ არაფერი სულიერი არ კეთდებოდა ცალ–ცალკე.

ამგვარად, იბერიიდან გარდასულმა ხალხმა, ანუ ქამის შთამომავლობამ, ძირითადად დაივიწყა პირველადი ენა და შეიქმნა ბოროტი სახემმწიფოები იბერიის საზღვრებს გარეთ – მათ შორის ქანაანზე, მიცრაიმში – ეგვიპტეში. უფლის ნებით კიდევ შეიქმნა იბერიული მოდგმის ერთი ერი, რომელნიც ფარად დაუდგნენ საქართველოს და 4000 წელი მონოთეისტური მრწამსის განმტკიცებისათვის უდიდეს დევნას, ტანჯვა–წამებას განიცდიდნენ. ამ იბერიულმა ტომებმა, უფლის ნებით, ჯერ ქანაანზე განავითარეს იბერიული მიწათმოქმედების ტრადიციები და აქციეს

ეს მიწები, როგორც საქართველო, თაფლით, რძით, პურით და ზეთისხილით მდიდარ ქვეყანად. მათი გადასვლა მოხდა დაახლოებით 2000 წელს ძ.წ. აღრიცხვით.

იბერიელი ტომების ქანაანზე ამ პერიოდში გადასვლის ფაქტს ადასტურებს მრავალი ცნობილი მეცნიერი, მათ შორის გერმანელები. (პროფ. ელდარ მამისთვალაშვილი.). ქართველი ებრაელი ი. პაპიაშვილი ასაბუთებს, რომ გადავიდნენ იუდეაში ყ—იეერ—ები ანუ იეერ—ები. აკადემიკოსები ი. დავიდი და დ. მამისთვალაშვილი კი ასაბუთებენ, რომ მთელ ისრაელში ჩასახლდა იბერიელთა ერთ—ერთი განშტოება ჰაბირიუს—იბერიელთა ტომები, შემდეგ გადავიდა აბრაამიც.

იცხაკ დავიდი და ე. მამისთვალაშვილი ამტკიცებენ იმ ჭეშმარიტებას, რომ, როდესაც ებრაელები დაბრუნდნენ საქართველოში მათ, აღიდგინეს წინაპრების გენეტიკური მონაცემები, ხოლო ისინი, ვინც გადავიდნენ საქართველოდან სხვა ქვეყნებში განიცადეს ორჯერადი რასობრივი სახეცვლილება. 1904 წ. ცნობილი ებრაელი მკვლევარი ი.მ. იუდიტი ნაშრომში: — ებრაელები როგორც ფიზიკური რასა (გვ. 1—3) ასკვნის რომ კავკასიელმა ებრაელებმა დაგვაბნიეს ებრაელურ რასის დადგენაშიო, რადგან ისინი გენეტიკურად არ განსხვავდებიან აღგილობრივებისაგან. მალხაზ აბდუშელიშვილი უზარმაზარ არქეოლოგიურ და ანთროპოლოგიური კვლევის საფუძველზე ამტკიცებს ქართველთა და ქართველ ებრაელთ ერთ წარმომავლობას. ქალბატონმა დენიზა სემბაძემ კი აღმოაჩინა რომ რუსული ანთროპოლოგია იგივე აზრისაა და მათ არქმევენ ქალდეურ ტიპს.

მონოთეიზმს დაცვა უნდოდა არაბიზაციის, ქამის შთამომავალთაგან, კერპთაყვანისმცემელთაგან და არა სემიტური გარემოსაგან. ამავე დროს, საჭირო იყო ბიბლიაში დაფიქსირებული იბერიელის სახელი, რათა ისტორიას შემოენახა სინამდვილე — წარმოშობა და მნეობა ამ ტომებისა (და დღეს ბოროტების დასამარცხებლად ეს მათი გაერთიანების საბაბიც უნდა გახდეს). თანაც იბერიელს უნდა ებატონა ქანაანზე — წმინდა მიწაზე და მოაცლინა გამჩენმა აბრაამი — პატრიარქი — კაცი, ქალაქ ურიდან, რომელიც მონოთეიზმს განამტკიცებდა. კაცი, რომელიც კერპთაყვანისმცემელთა ოჯახში იზრდებოდა. როდესაც აღადგინა დიდი ცოდნა, ანუ მრწამსი იბერიელ მამა პაპათა, აბრაამს მიენიჭა სახელი იერი, ევერ, ებერი.

ზ. გამსახურდია ავტორიტეტულ მეცნიერთა გამოკვლევებზე დაყრდნობით, იზიარებს მოსაზრებას რომ პალესტინელთა მოსახლეობა იყო იბერიული. იგი ნაშრომში (ზ. გამსახურდია, წერილები, ესეები. თბილისი, 1991 წ. გვ. 199). იბერიული მოდგმის და დასახლების არეალზე გადმოგვცემს: „საუბარია იმ მოსახლეობაზე, იმ მოდგმაზე, რომელნიც სახლობდნენ პირინეების ნახევარკუნძულიდან ხმელთაშუა ზღვის აუზში, ეგეოსის აუზში, ბალკანებზე, თანამედროვე საბერძნეთში, კავკასიაში და ინდოეთის თანამედროვე ტერიტორიაზე, აგრეთვე მცირე აზიაში და პალესტინაში. ეს არის გაერცელება იმ პროტოიბერული მოდგმისა, რომელსაც ვილჰელმ ჰუმბოლდტის გამოკვლევების მიხედვით, ჰქონდა მრავალი განშტოება. ენა მოდგმისა, რასისა იყო ძირითადი, რომელსაც ჰქონდა მრავალდიალექტური განშტოება და თუ ეს ენა კავები ღებულობდნენ ცალკე ენების ხასიათს, ისინი იყვნენ მონათესავენი და ვითარდებოდნენ, როგორც ურთიერთმონათესავე ენები. ამიტომ დამკვიდრდა ტერმინი პროტოიბერიული". ამ მოდგმას ნიკო მარის და სხვათა გამოკვლევებით, დაემატა სუმერულიც და, რა თქმა უნდა, მესხები, კაბადოკიელები, კოლხები, ტაოხები და სხვანი. შემდეგ იგი განაგრძობს: „როგორც ხედავთ, ეს არის სხვადასხვა განშტოება ერთი და იგივე მოდგმისა, რომელსაც მეცნიერებაში ქართველური ან პროტოიბერიული მოდგმა ეწოდება, ხოლო საკუთრივ საქართველო, საკუთრივ ქართველი ერი, ლოკალიზებული კავკასიის მასშტაბით, დაკავშირებულია იბერიულ—კავკასიურ განშტოებასთან. იბერიულს აქვს მრავალი განშტოება და დღესდღეობით შემორჩენილია პირინეულ—იბერიული და კავკასიურ—იბერიული, ანუ ქართული და მისი მონათესავე ტომები ჩრდილოეთ კავკასიაში".

სხვაგან იწყება ამ რასის შევიწროება ძ. წ. მეორე ათასწლეულიდან მოსული ინდოევროპული ტომების მიერ. როგორც ვიცით, ებრაელები არა მარტო შევიწროვდნენ, არამედ განიდევნენ კიდევაც.

ბიბლიის მესაქმეს 10:21 პუნქტში სპეციალურად არის ხაზგასმული, რომ სემი არა მარტო იბერიელთა, არამედ იბერიული მრწამსის მამამთავარია. იგი ებერ ძეთა მამა და იეფეტის, ანუ იბერთა უფროსი ძმა და სულიერი წინამძღოლია. ქამი არ არის ამ მრწამსის, ამიტომაც არ მოიხსენიება იგი იბერთა ძმად. სემიტობა და იეფეტიანელობა, პირველ რიგში, მნეობრიობაა, იბერთა მრწამსია, ამიტომ არ მიმაჩნია სწორად, როცა ეგვიპტეში და ქანაანზე მცხ-

ოერები ქამის მრწამსის ხალხი მოიხსენიებიან სემიტებად. ამაზე რამდენიმეჯერ აქვს გამახვილებული ყურადღება დავითსაც თავის ფსალმუნებშიც „და მოვიდა ისრაელი ეგვიპტეში და გადასახლდა იაკობი ქამის ქვეყანაში." 105.23. „განგმირა ყოველი პირმშო ეგვიპტეში პირველშობილი ქამის კარვებში." 28.51. უბრალოდ, სემიტებს ჰქონდათ იბერიული ენის დიალექტური განშტოება, წმინდა ენა რომელმაც ქამის მოდგმის ხალხის ენობრივი გავლენა განიცადა. სხვათა შორის, ბიბლიური დავითიც აღნიშნავს ენის ცვლილებას 81 ფსალმუნში. „დაადგინა მოწმობად იოსებისათვის, როცა გამოვიდა ეგვიპტის ქვეყნად, ენა, რომელიც არ ვიცოდი, ვისმინე". ე.ი. ეგვიპტეში ძირეული ცვლილება განიცადა მონობის პერიოდში პირველადმა იბერიულმა ენამ რომელსაც დღეს წმინდა ენას ეძახიან. გახშირებული იყო შერეული ქორწინებები და ამიტომაც გადაიწერა ბიბლია, რათა კიდევ არ აღრეულიყო ენაც და მნეობაც. აბრაამის ქანაანში ჩასვლაც ნოეს წინასწარმეტყველური ანდერძით მოხდა.

ამგვარად, ბიბლიით ივერ, ევერ—ებერის სახელი ნიშნავს, რომ აბრაამი ცოდნის მეორე მაღალ ნაპირზე მდგომი ხდება. ამასთანავე არავითარი სხვაობა ივერს და ისრაელს შორის არ არსებობს, ისრაელი — ეს სახელი მიეკუთნა იაკობს როცა ის ანგელოს ებრძოდა და აღნიშნავს გამჩენის რჩევას. იგივე დატვირთვისა იბერიელიც, ანუ იერი რაც ასევე მოძლვარს მეუფეს ნიშნავს. სხვა ქვეყნებში ამ უდიდეს მცოდნეთ მოსულს ეძახდნენ. მოსული ითქმის აბრამზე. იაკობი კი უკვე ადგილობრივია. ებრაელთა იბერიულმა ენამ კი განიცადა ტრანსფორმაცია (განსაკუთრებით იგრძნობა არამეული ენის გავლენა).

იცხაკ დავიდი ებრაელთა წარმომავლობას ანუ იბერიელის სახელის ცვლილებას უკავშირებს აბრაამის პერიოდს. მაშინ მის მიერ ღმერთშეცნობა მოხდა: „და გამოეცხადა იაჰვე აბრამს... და გააშენა სამწირველო იაჰვე—ი—სთვის, რომელიც მას გამოეცხადა..."

იგი შემდეგ განაგრძობს: „ეჭვს გარეშეა ისიც, რომ ებრ. ეთნოეპონიმური სახელწოდებების გაფორმება ივრი (ისრაელ), იეჰუდა (ბიბლიის ქრონოლოგიური ასპექტით) ასახავდა ცალკე ეტაპებს ამ ხალხის არა მარტო ეთნო—ტომობრივი თვითგაფორმების პროცესში, არამედ სათანადო რელიგიურ ცნობიერებასაც ღმერთის ნებით წარმომსახველებს."

იმავეს ადასტურებს პროფესორი სიმონ სიმონიშვილი, ჟურნალ „რწმენის წყაროში" /ყ293 14.11.47/, ნაშრომში — „აბრაჰამ ჰაივრი" — „პირველი ებრაელი" — გადმოგვცემს: „სიტყვა იერი წარმოებულია სიტყვიდან „ავას" ან „ევეს", რაც სიტყვა—სიტყვით ნიშნავს მოსულს სხვა მხრიდან, მდინარის გაღმიდან, უცხოს, გადამთიელს".

კაბალის მიხედვით, ადამიანი, რომელსაც სურს სულიერი ამაღლება და გამჩენთან დაახლოება და რომელსაც შეუძლია ყველა თავისი სურვილიდან გამოყოს ერთ—ერთი მათგანი, გამჩენთან შეერთების სურვილი, თითქოსდა გადადის სხვა სამყაროში, სულიერი ინტერესების სფეროში და ამიტომ მას „იერი" გაღმელი, უცხოელი ეწოდება.

ალბათ დადგა დრო ვაღიაროთ ჭეშმარიტება: „იერის" როგორც გაღმელის, უცხოელის გაგება წამოვიდა იქიდან, რომ ეს გაღმელები ანუ შემქმნელის ნაწილი ივერთა სამშობლოდან, საქართველოდან არიან. სწორედ ამ თავისი მონოთეისტური მრწამსით, მიწათმოქმედებით არიან სულიერად ამაღლებული საქართველოში. სახელი ევერი ბიბლიაში ღირსყო უფალმა რომ მინიჭებოდათ სემს და იაფეტს. ამგვარად, მხოლოდ სემის და იაფეტის შთამომავლები იყვნენ ივერები — იბერები.

ბატონი სიმონი გადმოგვცემს, რომ ევერიდან წარმოებული აბრაჰამის მეორე სახელი „ჰაივრი" საფუძველი გახდა ებრაელთა დასახელებათა. ასე, მაგალითად, გარკვეული ტრანსფორმაციის შედეგად წარმოიქმნა ბერძნული „ებრაოს" და ბიზანტიური „ებრეოს", რომელთა საფუძველზე წარმოქმნილი ლათინური „ჰებრა უს"—დან წარმოებულია ინგლისური „ჰიბრუ", გერმანელი „ჰებრაერ", ფრანგული „ჰებრეუ", იტალიური „ებრეო", ესპანური „ჰებრეო", რუსული „ევრეი", ქართული „ებრაელი". აქედანაა წარმოშობილი ასევე ეპითეტი „ხაბირუ" ან აპირუ....

ამგვარად, ჩვენ ერთი და იგივე რწმენის წარმოშობის ხალხი ვართ. მთავარი რწმენაა, მაშინ ძმობაც მყარია. ამიტომაც რუსთაველი, როგორც დავრწმუნდებით ტარიელს და ავთანდილს უფროს და უმცროს ძმებად მოიხსენიებს.

სამყაროს გადარჩენა ამ ძმების ფრიდონის დამატებით ანუ იბერიელთა გაერთიანების მეშვეობით მოხდება.

მართალია, ენები შეგვეცვალა, მაგრამ თუ ჩავიხედავთ იერითულ ენაში, იქ ძირითად სიტყვებში მრავლადაა ქართული ენის ამგვარი ძირითადი სიტყვები — ენა — ური — ორი — ათი—ოცი

— ალი–ალა და სხვა. ამიტომაც ამ ენასაც იერითი ეწოდა. ყველაფრიდან ჩანს იერითულ და ქართულ ენათა მსგავსება თუნდაც ის, რომ დიდი ასოებით სიტყვები არ იწყება, ხოლო ასტროლოგმა დავით ბუტიკაშვილმა აღმოაჩინა, რომ ქართულ ასოთა რიცხვითი კოდი ძველ ებრაულ ასოთა კოდს შეესაბამება. (ჟურნალი სარკე 19 2002 წ.) ამავე დროს, ენის დიფერენციაცია მოხდა ძმების შთამომავალთა რამდენიმე თაობის შემდეგ და ამიტომაც სემის შთამომავლობაში ორჯერ იბადება ებერი, რათა ვიცოდეთ, რომ იბერიული ცხოვრების წესის მატარებელია სემის შთამომავლობა. მესამედ კი აბრაამს ენიჭება ეს სახელი. რაკილა სემიტი შეცდომით განიმარტება როგორც ეგვიპტური კულტურის მატარებელი მოდგმა, იცხაკ დავიდი იძულებით ასაბუთებს მხოლოდ ებრაელთა იბერიულობას: „ავტოქტონური ებრაელი ტომები არ ყოფილან სემიტები... და პალესტინაში განიცადეს ენობრივ–კულტურული სემიტიზაცია".

ამასთანავე, როგორც ჩვენ ვხედავთ, სანამ ენა აღირევოდა, ბიბლიაში მოყვანილი ეს სახელები შეიძლება ქართულად განვმარტოთ, ხოლო შემდეგ სახელები განიმარტება იერითულად. რაც შეეხება იაფეტს, იერითულად იგი ნიშნავს მშვენიერს. ეტყობა, იერითულში ეს სახელი გაიგივდა მშვენიერ — ერთან ისევე, როგორც ამი–რამი. იერითულად ამი არის ჩემი, რამი — მომაღლებული ერი, ანუ ებრაელს მისი მშვენი–ერი, მომაღლებული მოძმე ერი კავკასიაში ეგულება.* გავიხსენოთ რომ „რა" შეხინას სულიერ მზე აღნიშნავს — რასაც იმსახურებს ამი–რა–ნის მოდგმა. ამგვარად, როგორც ივერი დაფიქსირდა იერითულში გადმოსლად — უცხოელად და აღნიშნავს სულიერად ამაღლებულ კავკასიელს, იმავეს აღნიშნავს იერითულში ამირამი და იაფეტი.

## მედეა და ოქროს საწმისი

ჩვენ ხშირად ვამბობთ: ენაა ქართველთა კონსტიტუცია და ქართველებს აქვთ ათი სიტყვა, ანუ მათთვის საკრალურია ციფრები 10 და 20 — ჯამი 10 სიტყვის და 10 მცნების, რაც ენაშია ასახული. ამ ყოველივეს დასაბუთება შემდგომ მასალაშია, ხოლო ქართველთა უდიდესი ცოდნა ბერძნულ მითოლოგიაშია შემონახული.

მრავალი მეცნიერი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ოქროს საწმისი — ეს იყო წიგნი — ანუ დაფები, ქართულ ენაში ჩადებული ზნეობრივი ქცევის წეს–კანონები (აპოლონიოს როდოსელი, ძვ.წ. III საუკუნე, ხარაქსი პერგამიელი, იოანე ანტიოქიელი (VII ს.) და სხვა.) ამ სიბრძნის ჩაწვდომა ზნეობის, ღმერთის მცნებათა დაცვის და უძლეველობის საფუძველი იყო. ეს იყო უნივერსალური სამკურნალო საშუალებაც. ამ უძლეველობის სიბრძნის ჩასაწვდომად, გასახსენებლად მოდიან თავიანთი წინაპრების სამშობლოში არგონავტები. ჰერაკლეს აქვს ეს ზნეობა, ცოდნა და ამიტომაც წყვეტს მოგზაურობას. ხოლო იაზონი ეუფლება უდიდეს განძს — ენაში ჩადებულ მცნებებს, და ალბათ იმ ათი სიტყვის არსს, რაც საწმისზე იყო დაწერილი. რაკი ენა მდედრობითია, იგი ალეგორიულად ეუფლება მედეას, რომელიც არის უდიდესი სიბრძნის, ზნეობრივი მეცნიერების — მედიცინის წყარო. ანუ ის ნათელი ცოდნა, სულიერება, რასაც ეძებდნენ ძველ მისტერიებში. მაგრამ, როცა ჰპოვებდნენ, ვერ ითავსებდნენ იმპერიული აზროვნების გამო. ამიტომაც ღალატობს მედეას ზნეობას იაზონი, ივიწყებს ენის მცნებებს, ანუ სხვა შეყვარებულს — უზნეო ცხოვრების წესს გაიჩენს. აქ მედეას შვილების სიკვდილი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ასეთი ზნის პიროვნება და ენის ზნეობრივი კანონები შეუთავსებელია, ისევე, როგორც ნესტანი და ფატმანის ქვეყნის უფლისწული. მათი სული ვერ გაერთიანდება ერთ ნაყოფში — შვილებში — და თუ ასეთი შვილები მოტყუებით მაინც იშვნენ, ისინი არ უნდა გამრავლდნენ.

ამიტომაც ქართველი ქალის სულიერ, გარეგნულ სილამაზეს და გენიას გამორჩეულად განადიდებდნენ ბერძნები, ლათინები — ვინკელმანი, გრიფიუსი, ლერმონტოვი და სხვანი, მათ შორის გოეთე, რომელმაც წინსვლის ქვაკუთხედად მარადიული ქალური საწყისი აღიარა. აქა დევს სიკეთის ციტადელის, ქართული ფენომენის მარადიულობის არსი. ის იმპერიულ აზროვნებასთან ვერ შეთავსდება.

აქვე კიდევ უნდა გაესვას ხაზი, რომ ებრაელები შეცდომით თვლიან ბერძნებს იაფეტიდებად. როგორც მრავალი ავტორიტეტული მეცნიერი გადმოგვცემს (ს. ყაუხჩიშვილი, ზ. გამსახუ-

---

*ამგვარად, ეგვიპტეშიც და არაბეთშიც გამრავლდა ხამის მტო. ბიბლიური დავითიც ფსალმუნში 106 (22), 78, 105 ასე მოიხსენიებს ამ ქვეყანას. ამიტომაც არ შეიძლება არაბეთს, ეგვიპტეს და ისრაელს სემიტური ეწოდო. სემიტები იაფეტებიც იბერიული მრწამსისანი არიან. ისრაელს არავითარი საერთო არა აქვს ეგვიპტესთან. სხვა მრწამსის ხალხი რომ იყო, ამიტომაც აწამებდნენ მათ ეგვიპტეში.

რდია და ი. პაპიაშვილი სხვები.) ძვ.წ.აღ. 2000 წლიდან იწყება აქ მკვიდრი იბერიული ტომების შევიწროება ინდოევროპული ხალხებისაგან, რომლებიც დაეუფლნენ იაფეტების საცხოვრებელს და თავიანთი კერპთაყვანისმცემლური მრწამსი შემოიტანეს.

სიკეთისა და მონოთეიზმის ციტადელი – იბერიული მოდგმის სამშობლო საქართველოა თავის ცხოვრების წესით, მიწათმოქმედებით, ენის საფუძველზე. იგი ასევე არის ებრაელთა მონათესავე და ასევე რჩეული ერი. მხოლოდ რჩეულთ აქვთ ენა შენარჩუნებული ბერძნები კი ვერ კითხულობენ პელაზგების–იბერიელების ენას: ისმის ლოგიკური შეკითხვა: ჩანს თუ არა ეს გამორჩეულობა და კავშირები ამ ორ ერს შორის შემდგომ ბიბლიაში და ემთხვევა თუ არა წიგნთა წიგნში მოცემული ცხოვრების წესი ქართულს – ანუ იბერიულს? საჭიროა ავხსნათ, რა კავშირი აქვს 10 სიტყვას 10 მცნებასთან და სხვა. წინა მასალაში ჩვენ ეს საკითხები დავასაბუთეთ, აქ კი რამდენიმე ფაქტით შემოვიფარგლებით.

## 1.1.3. ორი ერის გამორჩეულობის დასტური ბიბლიაში. იბერიელობის დამახასიათებელი მათი ცხოვრების წესის იდენტურობა

> ქართულ ისტორიაში ვერ შეხვდებით იმას, რომ ქართველი ერი დესპოტურად მოპყრობოდეს სხვა ერს და ახლა საჭიროა ჩვენი ვალი გადავუხადოთ მათ მტკიცე ფრაზებით, ყვირილით და ლაპარაკით კი არა, არამედ საქმით. ჩვენი ეროვნება თუ კი ჩვენში შეიძლება გაძლიერდა, არამც თუ ხელს არ უშლიდა ქართველი ერის სიყვარულში, არამედ ნათლად დაგვანახვებს ჩვენ ვალს მათ წინაშე.*
>
> რაბინი დავით ბააზოვი

ბიბლიაში ნათქვამია, რომ აბრაამმა თავის მტრებს ხობამდე სდია „და განაწილდნენ მათ წინააღმდეგ ღმერთის და მისი მსახურები და მიაყენეს მათ დარტყმა და სდიეს ხობამდის.“ (შესაქმე, თავი 14.15). „მალქიცედეკმა, შალემის მეფემ, გამოიტანა პური და ღვინო, ხოლო ის იყო ქურუმი უზენაესი ღმერთისა“ (14:18.) „აკურთხა (აბრამი) და თქვა: კურთხეულია აბრამი უზენაესი ღმერთის, ცისა და დედამიწის გამჩენის მიერ“ (14:19). „კურთხეული იყოს უზენაესი ღმერთი, რომელმაც შენი მტერნი გადასცა შენ ხელს და მისცა მას (აბრამმა) ყველაფრის მეათედი.“ (14:20). მდინარე ხობი და ქალაქი ხობიც რომ საქართველოში, სამეგრელოშია, ესეც ცნობილი ფაქტია. ეს ადასტურებს ფაქტს რომ იბერიელებს ქართული ტოპონიმები სხვა ქვეყნებში გადაჰქონდათ. ამავე დროს, ბიბლიაში წერია: მალქიცედეკი არის ქურუმი უზენაესი ღმერთისა, ანუ უზენაეს ღმერთის მოძღვარი. ჩვენ ვიცით, რომ ღვთის შეწევნით აბრაამმა 318 კაცით ოთხი ძლიერი სახელმწიფო დაამარცხა და გააკვირვა მთელი მსოფლიო. დასტურად ჩვენი ნათქვამისა, მოვიყვანთ დავითის 110 ფსალმუნს.

1. უთხრა უფალმა მეუფეს ჩემსას:
იჯექი ჩემს მარჯვენივ,
ვიდრე დავამარცხებდე შენს მტრებს შენს ფეხთა ქვეშ.
2. კვერთხს შენი ძალისას გამოგიგზავნის უფალი სიონიდან, იბატონე შენს მტერთა მორის.
3. შენი ხალხი მოხალისედ (წამოვა) შენი გალაშქრების ჟამს.
წმინდა ბრწყინვალებით. (რამეთუ) დაბადებიდან რჩეულ ხარ შენ,
ნამიეით სასიამოვნო ხარ ბავშვობიდანვე.
4. დაიფიცა უფალმა და არ გადაუხვევს: შენ ხარ მღვდელ—მოძღვარი უკუნისამდე ჩემი სიტყვისამებრ, მელქისედეკის მსგავსად. წესსა ზედა მელქისედეკისა.
5. უფალი შენს მარჯვენივ არის, გაანადგურებს თავისი რისხვის დღეს მეფეებს.
6. განსჯის წარმართებს, აავსებს მძორებით, მრავალს გაუსრესს თავს მიწაზე.
7. ნაკადულიდან დაალევს გზაში ამიტომ მაღლა ასწევს თავს.

აბრაამი ახალი ჩასული იყო ქანაანში, ფსალმუნში კი წერია, შენი ხალხი მოხალისედ წამოვაო. ჩვენ ვიცით, რომ აბრაამის ხალხი მისი რწმენის, ანუ იბერიული მონოთეისტური რწმენისა უნდა ყოფილიყო, დასტურდება, რომ მას ქანაანში დასხდნენ იბერიელნი, რომლებშიც განამტკიცა მან მამაპაპური რწმენა. ამავე დროს, აბრაამს ქანაანში ხვდება მელქისედეკი, იგივე მელქიცედეკი (ივრითულად: მალქა — დედოფალი, მეუფე სამეფოსი, ცადიკი — სამართლიანობა, ერთგულება, სიწმინდე.)

როგორც აღვნიშნეთ, მალქიცედეკი არის ნოეს უფროსი შვილი სემი, იერუსალიმის მეფე და მაშინ იერუსალიმს შალემი ერქვა. ამავე დროს, მას იერუსალიმში ჰქონდა გახსნილი იეშივა — რწმენის და სიბრძნის სალოცავი და ამ იეშივაში მასთან ერთად მოღვაწეობდა აბრაამის

---

*ეს სიტყვები დაისტამბა გაზეთ „სამშობლოში“ 1916 წ. რაბინი დავით ბააზოვი გახლდათ ცნობილი ქართველი ებრაელი, საზოგადო მოღვაწე. ებრაული თემის ერთ—ერთი თვალსაჩინო სელმძღვანელი. სწორედ მან გააკვირვა მსოფლიო, ებრაელთა კონგრესზე, კიევში, სიტყვებით: არის ქვეყანა, სადაც ანტისემიტიზმი კი არა მხოლოდ სიყვარული იყო და არის მუდამ. ეს ქვეყანა ქართველთა ქვეყანაა.

4. თ. მდინარაძე

ერთ–ერთი დიდი პაპა ებერი. დიდი მცოდნეს ღირსეული სახელი უკვე მინიჭებული ჰქონდა აბრაამის დიდ პაპას. ჩვენ ისიც ვიცით რომ შემს ჰქონდა ციციტი ანუ იგი ფლობდა და ასრულებდა 613 მცნებას. შედეგად იბერიელებს ჩატანილი აქვთ ქანაანში იბერიული მრწამსის ისეთი დონე, რომ ამარცხებს ბოროტებას და სემი არის მეფე იერუსალიმის. ამგვარად დასტურდება მეცნიერთა – ქართველ ებრაელ და სხვა მათ შორის ზ. გამსახურდიას მტკიცება რომ იბერიელნი არა მარტო გადასახლებულნი არიან ქანაანში მეფობენ იქ. აღსრულდა ნოეს ანდერძიც.

ისმის კითხვა: რატომაა სემი იმ სახელით მოხსენიებული. ჩვენი აზრით, კიდევ ერთხელ გაესმის ხაზი, რომ იგი არის პირველადი ენის, იბერ–ებერიული მრწამის მატარებელი. მალქა–დედოფალში – ენა უნდა ვიგულისხმოთ, რომელიც მართლა წმინდაა და ერთგულია ღვთის მსახურების (ამიტომაც აქვს მხოლოდ საქართველოს 4 ათასწლოვანი ისტორია). ეს ენა რომ უფლის მიერ ბოძებული პირველადი ენაა, ანუ სიტყვაა, ეს ჩანს ფრაზაში – „ჩემი სიტყვისამებრ მელქისედეკის მსგავსად!" ანუ მელქისედეკი სიტყვით, ენით იყო მომაღლებული. მაშინ ენაში სიტყვით ზეპირად იყო გადმოცემული ბიბლიის დამოძღვრებანი, იმ დონემდე რომ იცოდნენ 613 მცნება. აქ ხაზი იმასაც უნდა გაესვას რომ იერითულ ენას ჰქვია წმინდა ენა, ისევე როგორც ქანაანს წმინდა მიწა. ანუ ფუძე დედა ენის განშტოება ხდება წმინდა ენა. აბრამისა და მისი იბერიული განშტოებისათვის განსაზღვრული იყო ბიბლიის გადმოცემა, რაც უფლის პირველი სიტყვა, შემოქმედებაა.

როგორც ვიცით, უკვე წარმოქმნილი იყო მრავალი ენა და პირველადი ენის სიბრძნე მიუწვდომელი იყო ყველა სხვა ხალხისათვის, კავკასიელ იბერიელთა გარდა – აქ იგი ხალხის, ერის გენეტიკაა, მათი სულის მისწრაფებაა და ამიტომაცაა კავკასია სიკეთის ციტადელი. ისმის ერთი შეკითხვაც: საიდან აღმოცენდა სახელი შა–ლემი? იერითულად „შაპა" არის ფუძე ზმნისა ლიშ–პოთ და ნიშნავს მდებარეობას წარსულ დროში, ანუ მდებარეობდა. თუ სად მდებარეობდა, ამას სიტყვა ლემი გვიხსნის. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სვანურად ხომ ლემი ლომს ნიშნავს (და იგი სვანეთის დროშაზეა გამოსახული), ხოლო ლემ–მშვენიერა – სასვანეთოს. იაფეტიც ხომ მშვენი–ერს აღნიშნავს.

გავიხსენოთ, რომ ნოეს მამა იყო ლემეხი ანუ ლემ–ესი. ეხი ხევსურულ, ფშაეურ, თუშურ დიალექტში არის გამოქვაბული, მღვიმე, გამოქვაბული კლდე, ავდრის დროს თავშესაფარი. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სვანეთში მოღვაწეობდა ჯერ ნოე, რომელზეც თორაში ითქვა: „ის გვანუგეშებს ჩვენს საქმეებში და ჩვენი ხელების მძიმე შრომაში მიწაზე, რომელიც დაწყევლა უფალმა". ის რომ სვანეთში მოღვაწეობდა, სახელი ლემის გარდა მისი დაბოლოება ეხი მოწმობს. სვანეთი ხომ კლდეებითა და გამოქვაბულებითაა ცნობილი. ამავე დროს, ამაში შემდგომ დაერწმუნდებით, კლდე, გამოქვაბული არის იბერიელი მრწამსის უმაღლეს მცოდნე ქურუმთა (აბრაამი, დავითი, ფარნავაზი და სხვა) სამყოფელი, მათი შეყრის და შემდგომ განდიდების ადგილი. აქ მოღვაწეობს ტარიელი და აქ შეეყრება ავთანდილს.

ეტყობა სახელი „ლემი" და სულიერი მრწამსი იბერთა, სემმა თავისი დიდი პაპის ნოეს და მისი მამის პატივსაცემად გადაიტანა ქანაანზე, ანუ იერუშალაიმის წმინდა მიწაზე. აქედან ახსნა აქვს იერუშალაიმსაც. ი–ერ–უ სვანურად ორს ნიშნავს. ამგვარად, არის ორი იერუშალაიმი: ერთი ისრაელში ქანაანზე, მეორე კავკასიაში – იბერიაში. ამავე დროის ი–ერ–უ შეიცავს ერს, ასე იწყებოდა სემის დიდი პაპის ი–ერ–ედის სახელი. ეს ყოველივე დაკავშირებულია სვანეთთან. უკვე აღვნიშნეთ. შორეულ წარსულში სვანეთი და მთელი კოლხეთი იწოდებოდა, როგორც სვანურ–კოლხური ტომი. ხოლო შემდგომ იბერთა სულიერი ცენტრი გადაინაცვლებს მცხეთასა და თბილისში და ისინი შეიქმნებიან იერუშალაიმის ფუნქციის მატარებლად (ზ. ჭიჭინაძე). მათ ასევე მთები აკრავთ გარშემო და ერთი და იგივე ტოპონიმები გვხვდება. სხვათა შორის, ყველა აღნიშნავს თბილისისა და იერუშალაიმის კლიმატური პირობების იდენტურობას.

ამგვარად, ძმებმა ნოესთან ერთად ჯერ იბერია–კავკასიაში დააფუძნეს იბერიული მრწამსი, შემდეგ სემი გადავიდა ქანაანში თავის შვილიშვილთან, ებერთან ერთად. ამ იბერიული სულის გენეტიკის მატარებელია თავისი თვისებებით აბრაამი და იმიტომ არის ძლევამოსილი. ეს დაინახა მისმა დიდმა პაპამ და ამიტომაც დალოცა იგი, შეუქო ზნეობა და მადლობა შესწირა უფალს, რომელმაც გაამარჯვებინა აბრაამს. მან იგი ღმერთის მიერ მოცემული პირველადი ენით აკურთხა და დაულოცა პატრიარქის ტახტი – მისი ებერთა მამის მემკვიდრეობისა.

აღსრულდა ნოეს ანდერძი. დაელოცა მეფობა ქანაანზე იბერთა მამის მიერ იბერიულ მრწამსს (აბრაამს ხომ უკვე მინიჭებული ჰქონდა საამაყო სახელი აბრაამ (იერი, ეეერ, ებერ). პურით და ღვინით კურთხევა საღვთო ზიარებაა. ამ კურთხევას უსმენს უფალი და ისმინა მან სიტყვა სემისა, როგორც ადრე ნოესი. ამიტომაც ამ დალოცვის შემდეგ გამოეცხადა უფალი აბრაამს. „ამ ამბების შემდეგ აბრაამს ხილვაში გამოეცხადა სიტყვა უფლისა, ამ თქმით: ნუ გეშინია აბრაამ! მე ვარ მფარველი შენი, ფრიად დიდია საზღაური შენი". შესაქმე თავი 15:1. რის შემდეგაც განაყოფიერდა აბრაამის შთამომავლობა. აბრაამი აძლევს შემოსავლის მეათედს მელქისედეკს. გავიხსენოთ, ჯერ ხომ ნოემ გასცა ყველაფერი საუკეთესო. ეტყობა, აქაც მელქისედეკის სწავლებით აბრაამი გაცემის იბერიულ წესს თავის მოდგმაში, ქანაანზე აწესებს.

ამგვარად, არის ორი ძმა, ერთი და იგივე დონის მემკვიდრე, ნოეს იბერიული მრწამსის, დიდი პაპის ანდერძი აღსრულდება იმით, რომ უფროსის შთამომავალი გადადის ქანაანზე სამეფოდ. იაფეტის შთამომავალნი კი, ძირითადად კავკასიაში რჩებიან. დედა, დაუშრეტელი მზე, სულიერი სითბო, გული იბერიისა, კავკასიისა, ქართლოსიანთა ქვეყანა საქართველოა. მხოლოდ მას ეკვრის კავკასიის იბერთა ყველა ქვეყანა. იაფეტი ტრადიციით მამის სახლის ნოეს მემკვიდრეა და უმცროსი ძმის შთამომავლობა კავკასიაში რჩება. ამ შთამომავლობის დიდი ნაწილი აბრაამს ქანაანზე დახვდება, რათა მას ზურგი გაუმაგროს. აი, ეს ორი ძმა იბერიულ — ქართული სულიერებითა და ზნეობით აღზრდილი — სემი და იაფეტი — გამოყავს „ვეფხისტყაოსანში" რუსთაველს. ამის დასტურია ისიც, რომ ისინი ორივენი ლომთან არიან შედარებულნი. ეს ორი ლომი ხშირად არის გამოხატული სინაგოგებში (აქ ხომ ყველა ნახატი აკრძალულია ლომთა გარდა), ლომია გამოსახული ბაგრატოვანთა სამეფო გერბზეც.

პირველად ენაზე მოლაპარაკე ერი, აბრაამის შორეული წინაპარი — რჩეული ერია. ბიბლიის ენაში ჩადებულ მცნებებს, ანუ თავის მამა—პაპათა მრწამსს, ცხოვრების წესს იცავს აბრაამი. ეს წესი განამტკიცეს და დანერგეს პატრიარქებმა: ნოემ, სემმა, იაფეტმა კავკასიაში, შემდეგ სემმა იერუსალიმში, ქანაანში, ებერთან ერთად. მათ სემის შეილთაშვილი, ასევე ებერად წოდებული აბრაამი უერთდება.

## ცხოვრების წესის იდენტურობა

აქვე წარმოიშვება აზრი, რომ მაშინ ენაზე დაფუძნებული წესი უნდა წააგავდეს ბიბლიაში გადმოცემულს. ანუ იბერიელი აბრაამი უნდა ავითარებდეს ქართული სახელმწიფოს იბერიული ცხოვრების წესს. ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ: როგორც ი. ჯავახიშვილი გადმოგვცემს, გვარი და საგვარეულო წესწყობილება ქართული სახელმწიფოს დედაბოძი იყო. რეგიონის გამგებელი ყველაზე დიდგვაროვანი იყო. საერთოდ საქართველოც ხომ ძმებს შორის გაიყო. იყო ერთი ფუძე გვარი, რომელიდანაც განვითარდა სხვა გვარები. დიდგვაროვანობას ან გვარში გამორჩეულობას უფალი წარჩინებულთ არგუნებდა, ამიტომ მათი მმართველობა მემკვიდრეობითი იყო. ისინი სოფლებს, ქალაქებს, რეგიონს ხალხის რჩეულობით, მეკომურთა საბჭოებით მართავდნენ და დაცული იყო ყველა მცნება, ხოლო საერთაშორისო, ანუ ქვეყნის პოლიტიკის საქმეები ყველაზე განსწავლულების — ქურუმების ხელში იყო. თვით რეგიონის გამგებელი, ანუ მეფეები ხშირად ქურუმები იყვნენ, ამიტომაც აბრაამს უზენაესი ქურუმი ელაპარაკა. შემდეგ ეს დიდსაგვარეულოები საერისთავოებში გადაიზარდა. იგივე იყო ისრაელშიც, დიდგვაროვანთა მტო მართავდა რომელიმე მხარეს, რეგიონს ანუ ტომს. ამავე დროს, აქაც და იქაც იყო სოფლის, ქალაქის, რეგიონის ანუ ტომის რჩეულთა ინსტიტუტი, რომელიც დამოუკიდებლად, ხალხის ნებით, ანუ ქვემოდან ზევით მართავდა ქვეყანას. ეს რჩეულთა ინსტიტუტი მეტად განსწავლული ზნეობრივი ფენის წარმომადგენელთაგან შედგებოდა, ძირითადად — თავადაზნაურობა. ჩვენ ვიცით რომ ისრაელში ესენი იყვნენ ლევიტები და ქოენები. ისინი არასოდეს ბატონობდნენ, იყო მხოლოდ პატრონობა — ახალგაზრდობისა და აღზრდის ინსტიტუტი. აქ ყველა ფენა ემსახურებოდა ერთმანეთს და ყველა ერთად — ღმერთს.

პატრონყმობის წესის გამო არასდროს ყოფილა არც კლასობრივი და არც რელიგიურ—ეროვნული დაპირისპირება. იყვნენ თანაბრად მდიდარნი და ამაყნი, რადგან ქართული ცხოვრების წესის თანახმად, მიწა — მამული თანაბრად ჰქონდათ განაწილებული, ამიტომ აღმოცენდა ჩვენში სიყვარული, არ იყო შური, იყო სიუხვე, სიკეთის გაცემის და არა მიტაცების მცდელობა.

ამავე დროს, ყველა სოფელს ჰქონდა საერთო ტყე, სამეურნეო მიწები, სათიბი, საძოვარი, სარემერეო მიწა და სხვა, ისინი ყველასათვის თანაბრად გამოიყენებოდა.

ხალხს — რჩეულებს სახალხო კრებებზე საჯაროდ ირჩევდნენ და გამორიცხული იყო უღირს კაცთა არჩევა. ისინი არეგულირებდნენ რომ კომლი, სოფელი, ქალაქი, რეგიონი დამოუკიდებელი იყო თავის მოქმედებაში, რადგან მეფეც ამ ხალხისგან შექმნილი საკრებულოების დასტურის გარეშე გადაწყვეტილებებს ძნელად იღებდა.

ეს იყო ქვემოდან ხალხისმიერი მმართველობის დემოკრატიული ინსტიტუტი. ანუ ყველა დამოუკიდებელი იყო თავის მოქმედებაში. ეს არის მთავარი მრწამსი იბერიული სახელმწიფოსი! სხვათა შორის, უფალი ნაადრევად თვლიდა ისრაელის სახელმწიფოში მეფის ინსტიტუტის შემოღებას, რადგან ადრე, როგორც ისრაელში, ასევე საქართველოში იყვნენ ქურუმები ანუ გვარში გამორჩეულნი განაგებდნენ სახელმწიფოს. როცა ერთ—ერთმა უდიდესმა წმინდანმა წინასწარმეტყველმა შმუელმა შესჩივლა უფალს, რომ მე მოვბეზრდი ისრაელებს და მეფეს მოითხოვენო, უფალმა უპასუხა: შენ კი არა მე მოვბეზრდი მათ და ნუ წახვალ წინააღმდეგიო. მეფის ინსტიტუტი მაშინვე გაერცელდა საქართველოშიც. მაგრამ ჩვენ იქ მთავარზე უნდა შევაჩეროთ ყურადღებაბ იბერიულობა ნიშნავს 7— დან 12 მხარეებამდე დამოუკიდებელ მმართველობას, ერთიანი სიყვარულით შეკრული უფლის მცნებათა დამცველი სახელმწიფოს შექმნას! სადაც ყველა დამოუკიდებელია და უფროსობა განსწავლულობით განისაზღვრება, რათა ეს ცოდნა, პატიოსნება გადასცენ ყველას და ემსახურონ ერს. ეს წესი იყო საქართველოში.

ძველი ქართულით განსწავლულ ფენას თავად—აზნაურებს ეარგს, ანუ ეარგის კაცებს ეძახდნენ. ამ ფენას ასე იხსენიებს რუსთაველიც. ეს ის განსწავლულნია რომელთაც უსასრულო უფლის ათი თვისება ყველაზე მაღალი დოზით აქვთ. იბერიული წესის ეს პატრონყმობა აქვს გადმოცემული რუსთაველს. ავთანდილი როსტევანის ყმაა, შერმადინი ავთანდილის, შერმადინსაც თავის ყმები ჰყავს. ანუ ისინი ზრდიდნენ და პატრონობდნენ განსწავლულ ზნეობრივ შთამომავლობას. ესენი იყვნენ უფლის მსახურთა ერთ—ერთი რგოლი, რათა მათი ადგილ—მამული მცნებათა დაცვით წარემართათ. ისინი და მეფე საქართველოში მხოლოდ ხელს უწყობდნენ გლეხებს, დაეცვათ მცნებები და ყოფილიყვნენ ღვთის რწმენის დამცველნი, განსწავლულნი. ისინი იყვნენ ზნეობის, სიმამაცის, სიკეთის გაცემის მაგალითი კაი ყმათა აღსაზრდელად.

ყოველდღიურ ყოფაში ასეთი თვისებების ერს, უფლის ცხრა ძირითად თვისებასთან ერთად მეათე თვისებაც ჩამოუყალიბდა. ყველა პირველი კაცი ანუ მეფე — მეუფე — იერი იყო. აქ დაჩაგრულს, უფლებააყრილს, ვიღაცის მონას, ვერ ნახავდით. ქართულ მიწაზე მცხოვრები ყველა თანასწორი იყო.

ქართველი თუ პირველობდა, მოწინააღმდეგის პიროვნული თვისებები, თავმოყვარეობა არ იჩაგრებოდა, პირიქით, ქართველს ამ პირველობით ჰარმონია, სიყვარული მოჰქონდა, ამიტომ იგი მუდამ ცდილობდა პირველკაცობისაკენ სწრაფვაში ჩაება, ოპტიმისტურად განეწყოდა ახალი ენერგიით შეევსო სხვა. რის შემდეგაც მოწინააღმდეგის პირველობა სხვა საქმეში ჩნდებოდა.

აი, რას წერს ამ საკითხზე გრიგოლ რობაქიძე: „თავმომწონე ქართველი თავგამოჩენის ჟინითაა აყვანილი, ხოლო ეს თავისჩენა, თუ ძირეულად ეწვდებით მას, სხვის წინაშე კი არ ჩნდება, რომ დაიჩრდილოს იგი, ან დაჩრდილოს იგი. ქართველის მენ, ეხმარობ ნამდვილ ფორმას ამ სიტყვისა, იფინება იმდენად, რამდენად იგი შენში სხივოსნდება. ფესვი ქართველის თავმოწონებისა აქ იმალება: სხივოსნდება იგი. ამ რიგად, იწონებს თავს — გაახარე — გაიხარე. ეს მეტყველებს: შეუწყვე ხელი სხვის ზრდას, რათა ამით თვითონ იზრდებოდე. აქეთგან ერთი მოვლენა: არც ერთ შვილს რომელიმე სხვა ერისა არ ძალუძს ისეთი სისრულით იყვეს ერთგული, თავდადებული მეორისათვის, სხვისთვის, როგორც ქართველს. უკანასკნელი მსახურია მოყვასისა. მსახური, ამ სიტყვის უკეთილშობილესი მნიშვნელობით". გავიხსენოთ იეფეტის თვისებაც.

ამ სიტყვებით ნათლად ჩანს ქართველთა ავთანდილობა. თუ ქართველი ხარობს, სხვასაც ახარებს, თუ პირველობს სხვას არ ჩაგრავს, ამის გამო, გასხივოსნებულია ღვთის მიერ და სხვაც იქეთკენ მიჰყავს, რაც მისი უდიდესი ბედნიერებაა. მისი მოწოდებაა დაჩაგრულს, წაქცეულს იმდენი ენერგია, შემართება მისცეს, რომ ჭირი ლხინად უქციოს, როგორც მოიქცა ავთანდილი ტარიელთან მიმართებაში. იგი ისე გასცემს სიკეთეს, რომ მიმღებიც (თუნდაც დათრგუნული სიღარიბის გამო) სიკეთის გამცემი ხდება, რადგან ქართველს მადლის გაკეთების საშუალება

მისცა, მასში სიხარული, სიყვარული იბუდებს და წარმოიქმნება ადამიანებს შორის ჰარმონიული ურთიერთობა.

ეს ჰარმონია გარე სამყაროშიც ვრცელდება. ყველა სულიერის ჰარმონიული თანაარსებობა, ცის სიწმინდის დაცვა, იძლეოდა საშუალებას ქართველს უზომოდ მიეღო ზეცის წყალობა, უდიდესი ენერგია, ძალა, პოტენცია და ნიჭი. ამ ენერგიას სრულყოფილად მხოლოდ კეთილი საქმისათვის იყენებდა. ამავე დროს, ნებისმიერ მოქალაქეს ჰქონდა თვითნებობა, შეეძლო, რისი ნიჭიც ჰქონდა, იმ საქმეში ყოფილიყო პირველი, და უძლიერესი რქმეოდა თავის მიკროგარემოში. ამ პირველობას ზოგი სიმღერისას აღწევდა, ზოგი ცეკვისას, ზოგი ზეპირსიტყვაობაში, ზოგი ძალაში, ზოგი სისწრაფეში, ზოგი შეშის ჭრაში, ზოგი სოფლის მეურნეობაში (აქ ხომ მთელი არმია იყო პირველთა) და ა.შ. ერთი და იგივე საქმეშიც რამდენიმე პირველი იყო. ამგვარად, პირველკაცთა მიერ იმართებოდა სოფელი და სახელმწიფო. ყველას უჩნდებოდა ის საქმე, სადაც მისი ნიჭისა და მისწრაფების შესაფერისად პირველი იქნებოდა, არ დაიჩაგრებოდა.

ამგვარად, ყველა კმაყოფილი იყო, რადგან პირველობდნენ და მათი შემოქმედება ერთმანეთს ავსებდა. მთლიანობაში კი ეს ჩვენი ყოფის, ბუნების მრავალფეროვნებას, საერთო ჰარმონიულ თანაარსებობას უწყობდა ხელს.

აი, ფულის გაგებით როგორ უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი ადამიანი და რატომ შექმნა მან იგი დამოუკიდებელი. ყველა პირველი რომ დამოუკიდებელი ანუ მეფური თვისებების რომ იყო სადაც მთავარი გაცემაა, რაც დიუმამაც აღნიშნა და არავინ იჩაგრებოდა, ამიტომაცაა „ქართველისთვის უცხო პირფერობა, ფარისევლობა, დასმენა, ზურგს უკან სამარეს გათხრა და სხვა" (იცხაკ დავიდი). ეს ყველაფერი იმ სამყაროში ვლინდება, სადაც იზღუდება ნიჭი, არ არის დამოუკიდებელი, თვითნებური მმართველობა, ბოროტი ცხოვრების წესია, გაცემის მაგიერ მიღების სურვილია, მრავლდებიან მონები და საპირველო ადგილებიც შეზღუდულია. აქ პირველის შემცვლელი, მის მონათა იერარქიაა. მხოლოდ ერთია პირველი. დანარჩენი კი ერთმანეთის მონები არიან. ასეთი მონები, შეზღუდული ფულების ხალხი, ვერც თვითონ ხარობს და ვერც სხვას ახარებს. ვერ ხარობს, რადგან მისი ნიჭი მხოლოდ ბოროტი ცხოვრების წესში არსებული ბრძანებების, ინსტრუქციების შესასრულებლად იხარჯება. მაშინ, როცა შეეძლო კონკრეტულ ვითარებაში უკეთ ემოქმედა და სიკეთე მოეტანა; რადგან დამოუკიდებელი არ არის, იგი ილტვის ამ დამოუკიდებლობისკენ, პირველკაცობისაკენ და რომ მიაღწიოს ამას, ბევრ ბოროტს უნდა გადააბიჯოს. ამას კი მზაკვრული მეთოდები სჭირდება. შედეგად თვითონ ისედაც მკაცრი და პატარა, უფრო მეტად უხეში და პატარა და, რაც ყველაზე სავალალოა, შურიანი ხდება. თუ სიკეთე დათრგუნულია და აღარ არსებობს, ეს ორმაგად საშიშია, რადგან ის იმარჯვებს, ვინც დიდ ბობროტებას ჩაიდენს და დღითი დღე უფრო ვანდალური და საშინელი ხდება. იგივე შეიძლება ითქვას სახელმწიფოზე.

იბერიელის სულის ტანჯვაა ასეთი ცხოვრების წესი.

სიყვარული ხომ ღვთიური ნიჭია, რის ძალითაც ავთანდილივით მოყვასის პრობლემები გაწუხებს და ამიტომაც ვიყავით სტუმართმოყვარენი, სიკეთის, დოვლათის გამცემნი. ჩვენ ამ მადლისკენ ვილტვოდით, იმპერიული ქვეყნები კი მოყვასის დამონებისკენ, მათ ვერც ქრისტიანობამ, ვერც მუსულმანობამ ვერ უშველა.

ქართული ენის სიბრძნეზე იყო დაფუძნებული ის ცხოვრების წესი, რის შედეგადაც საქართველო სამ ძირითად ფუნქციას ასრულებდა: 1. იფარავდა, აპურებდა ყველა დევნილს; 2. იყო მედიატორი და მშვიდობის ჩამომგდები ყველა რელიგიის წარმომადგენელთა და ერთა შორის; 3. გაჰქონდა ცოდნა (მონოთეიზმი სხვადასხვა ქვეყანაში, რათა ეხსნა ისინი საშინელი სასჯელისაგან კერპთაყვანისმცემლობის გამო), ქართველებს დაახლოებით 100–ზე მეტი ტაძარი და კულტურის სხვა ძეგლები აქვთ აგებული სხვა ქვეყნებში.

ჩვენში, ლტოლვილს თუ მოსულს მიწა იმდენი ეძლეოდა, რამდენიც ადგილობრივ მცხოვრებს, ოღონდ დროებით სარგებლობაში. ამავე დროს, გადასახადები ადგილობრივ მოსახლეობაზე ბევრად ნაკლები ჰქონდათ, რათა მათსავით მდიდარი გამხდარიყვნენ, შური არ ჰქონოდათ. თუ ის შემდეგ ქართველივით შეიყვარებდა მოყვასს, ღმერთს და მდელს, მიწას, ანუ სიყვარულის მცნება, მიჯნურობა ქართველივით მისი გენეტიკა გახდებოდა, მის შთამომავლობას იგი საკუთრებაში გადაეცემოდა. აქ ან მოსულთა მცნებათა დაცვისკენ, ქართველობისკენ მოქცევა ხდებოდა, ან მოკვეთა. ქართული სოფელი იყო ქართული სახელმწიფოებრიობის საფუძველი. უცხოთა მრავალათასწლოვანი ასიმილაციის მიუხედავად, შეურყვნელი იყო ზნეობის, სიყვარ-

ულის, მცნებების დაცეის, გაცემის და არა მოხეეჭის ინსტიტუტი. აღნიშნულის გამო, იყო და ახლაც არის ჩეენში უფლის მიერ ბოძებული სიუხეე და უგუმრიელესი ნაყოფი (ბიბლიის მცნებით იმ ქეეყნებშია სიუხეე და ნაყოფი მარგებელი, სადაც მცნებათა დაცეაა). ერთი ფაქტიც არ ყოფილა ჩეენში, რუსეთთან შეერთებამდე, სიღარიბის გამო მიწის, მამულის გაყიდეის და ქურდობა–ავაზაკობის (ილია ჭაეჭაეაძე). ანალოგიურ წესს, ყეელა ადამიანის სიყეარულის პირეელკაცობას მოითხოეს ბიბლია.

საკვირეელი კიდეე ის არის, რომ იდენტური იყო ადმინისტრაციულ ტერიტორიათა რაოდენობა – 12. აფხაზეთი, სამეგრელო, გურია, იმერეთი, ქართლი, კახეთი, სეანეთი, რაჭა–ლეჩხუმი, ფშაე–ხეესურეთი, ხეეი, თუშეთი, სამცხე–საათაბაგო. ამ უკანასკნელში შედიოდა მესხეთ–ჯაეახეთი, აჭარა და დღეს თურქეთში მოქცეული ტერიტორიები.

ამაეე დროს, ამ მხარეთა რიცხეი, ისევე როგორც ისრაელში, ხან მცირდებოდა, ხან მატულობდა.

ამგეარად, ჩეენთანაც 12 ადმინისტრაციული ოლქი იყო და ამდენიეე დიდგეაროეანი შტოა გამორჩეული. გაეისსენოთ საქართეელოს მხარეებიც შეილებში გაიყო როგორც იაკობის დროს. არ არსებობს დედამიწაზე ასეთი მსგაესი ორი ქეეყანა – ფართობითაც კი. ყეელა კუთხეს თაეისი გამორჩეული თეისებები გააჩნდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ თეისებათა ნაკრები იყო საფუძეელი იბერიული ერის ჩამოყალიბებისა, რადგან გემატრიით „იბ" უდრის 12 ანუ 12 კუთხეს, საგეარეულო არის ერთი ერი იბ–ერი. 12 ზნეობის, ეკონომიკის, კაცობის ნაკრებნი არიან იბერიელები. ასეთი 12 ზნეობის ნაკრები იყო ქანაანზე. აქაც და იქაც ეალი და ეახში, სხეა არაკაცობა დანაშაულად ითელებოდა. აი, აქ არის ახსნა ებრაელთა იბერიული წარმოშობისა. 12 კუთხე მისთეის დამახასიათებელი ეკონომიკით, დიალექტით, ყოფით ერთი – ერთიანად შეკრული ქეეყანა სახალხო მმართეელობით. აქედან იწყება ზნეობა, ხალხის აზრით მართეა და არა მათი ექსპლუატაცია. ეს არის იბერთა ქეეყნის მართეის გასაღები. როგორც კი ამ ცხოერების ანბანს დაარღეეე, მაშინეე დაგენგრეეა ქეეყანა.

ეს დაემართა სამყაროს უგანათლებულეს წინასწარმეტყეელს სოლომონ ბრძენს (ამიტომ მიიჩნეედა უფალიც ნაადრეეად მეფობის შემოღებას). თაეისი მმართეელობის ბოლო წლებში მან ჩამოართეა გეარტომებს მმართეელობა, საკუთარი გარნიზონებიც კი ჩაუყენა. მას სიცოცხლეშიეე აუჯანყდა ერთ–ერთი მხარე, ხოლო მისი გარდაცვალების შემდგომ ისრაელის სახელმწიფო ისე დაინგრა, რომ სრულიად დაიკარგა 10 შტო–საგეარეულო. დაირღეა იბერთა მმართეელობის წესი და ისრაელმაც ეეღარ იარსება. თუმცა იცაედნენ წეს–კანონებს, მაგრამ შეირყა ხალხით მმართეელობის ცხოერების წესი.

ამ ფაქტმა სიყეარულის ნაცელად ერში დაპირისპირება წარმოშვა და ბოლოს აღიგაეა სახელმწიფო ისრაელისა, რადგან დარჩა მხოლოდ სამი საგეარეულო. არც ერთი ბრძენი არ დგას ხალხზე მაღლა. ყეელანი ხალხის წიაღიდანაა და არა აქეს უფლება იბატონოს კერპად შეიქმნას. იგი უნდა ემსახუროს ხალხს. მოსეს ყეელაზე დიდი დანაშაული იყოს უფლის წინაშე ხალხს რომ უყვირა თუნდაც კერპის შექმნის გამო. იბერიელი სახალხო მმართეელობა არის სიბრძნის ანუ ხეთით მმართეელობა.

თუ რამდენი საგეარეულოა საკმარისი რომ იყოს ერი, ამის ახსნაც ბიბლიაშია და ჩეენც აეღნიშნეთ. იქ მოყეანილია საგეარეულოთა მინიმალური რაოდენობა, ებ–ერი ამაზე მიგეანიშნებს. „ებ" ხომ გემატრიით შეიდს ნიშნაეს, საქართეელოც ხომ გიორგი ბრწყინეალეს დროს შეიდ მხარეზე დაეიდა. ჩეენი ეარსკვლაეიც შეიდქიმიანია, 7–12 ანუ ებერი–იბერი განსაზღერავს მხარეთა ოპტიმალურ რაოდენობას. აი, რას ნიშნაეს იბერიელობა. მისი, ყეელას სიხარულის, სიყეარულის, პირეელკაცობის ინსტიტუტის აღდგენა არის ანბანი, საწყისი ზნეობრიეი ცხოერების წესისა.

უფალმა წელიწადიც ხომ 12 სხეადასხეა ზოდიაქოს ნიშანში მოაქცია. ყეელა თეე – ზოდიაქო რიგრიგობით არის პირეელი, არაეინ არაეის არ ითეისებს. თაეისი დრო, მნიშენელობა აქეთ მათ საერთო სიუხეისათეის, ჰარმონიისათეის. ასე იყო საქართეელოშიც: 12 მხარე, 12 პირეელი და, საერთოდ, პირეელკაცებით იმართებოდა სრულიად საქართეელო. აქ ჩაგრულს, მაწანწალას, ქურდს ეერ ნახაედით. ებრაელობა ყეელა ამ კუთხეებში პროპორციულად ჩასახლდა, ე.ი. ყეელას თაეისი ზნის კუთხე ერგო. ეტყობა, ისრაელშიც იყო თაეისი აჭარა, კახეთი და სხეა. ხომ ერთია, ბათუმი–ბათიამი, თელაეი–თელაეიეი, სულო–ხულონი და სხეა. ჩეენ ეიცით, რომ იოსების შტო ორად იყო გაყოფილი. იყო 13 შტო. ერთ შტოს კი არ ერგო ტერიტო-

რია.* ჩვენში ყველა ერის, კუთხის გამორჩეულობის აღმნიშვნელი მრავალი ფაქტორია. ავიღოთ ქუდები, – ჩაცმულობა. ყველა კუთხეს თავისი დამახასიათებელი ქუდი და ჩაცმულობა გააჩნია. მითხარით რომელიმე ქვეყანა თავისი დამახასიათებელი ჩაცმულობით, გარდა იბერიული მოდგმის, ბასკების, შოტლანდია–ირლანდიელების და ებრაელების. ასევეა სოფლის მეურნეობა, თუნდაც ღვინოები და სხვა. ჩვენში ყველა კუთხეს თავისი ტექნოლოგიის ყველი თუ ხაჭაპური აქვს. ასევე ცეკვები, სიმღერები.

მსოფლიოში სამ ხმაზე მღერიან, ჩვენში კი – ოთხზე და ხუთზეც. იქ სიმღერის, ცხოვრების წესის დამახასიათებელი ახალი საოპერო კულტურა ჩამოყალიბდა, სადაც ერთი მეფობს – რომელიმე ტენორი, ან ბანი, ან ორი–სამი კერპია, როგორც დღევანდელ კერპთაყვანისმცემელ სახელმწიფოში, ჩვენში კი რამდენიც მღერის, იმდენი პირველკაცია. აქ დაჩაგრული არავინაა. ყველას თავის დამახასიათებელი ჰარმონია აქვს. მომღერალთა ოპტიმალური რაოდენობაც 7–12 ან ცამეტია (ასე იკვეცებოდა მხარეები ისრაელის და საქართველოს ისტორიაში). იმღერებოდა სხვადასხვა სიმღერები და ყველას ეძლეოდა საშუალება თავისი ხმით რომელიმე სოლო ემღერა. ჩვენში სიმღერისას ერთმანეთს ენაცვლებიან, ახალი ძალით ავსებენ, სიყვარულით ხელს გადახვევენ და ყველას ხმის ჰარმონია ერთ დიდ სიტყვით, ცოდნით, სიყვარულით ანთებულ ჰარმონიაში გადაიზრდება და მიდიოდა ეს ზნეობრივი პანგები ღმერთთან. მიდიოდა, რადგან ჩვენში ამბობენ, პირველს ან მეორეს, ან მესამეს იტ–ყვ–ისო, ანუ ყვარებას ჩადებს, ასე იყო მხარეები. ყველა მხარე პირველი იყო თავის საქმეში. ეს პირველები, თანასწორი, ხელიხელგადახვეული ედგნენ გვერდში ერთმანეთს და ეჯიბრებოდნენ ერთურთს სიყვარულში, მსახურებაში. ერთი საქმე – სიყვარული აკავშირებდათ და იმიტომაც არის, რომ ქართულ სიმღერას, ცეკვას, სუფრას, ღვინოებს, ჩაცმულობას, ხმლის სიმტკიცეს, ნიჭს, გარეგნობას და ა.შ. ვერაფერს ვერც შევადარებთ.

მიზეზი ერთია: სოფლის მეურნეობა, ცხოვრების წესი უნდა იყოს ენის პრინციპებზე ჩამოყალიბებული. ბიბლიის მცნებანიც ხომ ასეთი ცხოვრების წესს აყალიბებენ.

ამგვარად, უფალი შეეცადა თავისი თვისებები გენეტიკურად დაენერგა იბერიულ მოდგმაში, ენის საფუძველზე და მოხდა კიდეც ეს. უპირველესი მისი თვისება ხომ შთამომავლობისათვის, მისი შვილებისთვის, ადამიანებისთვის ზრუნვაა. აი, რას წერს წინასწარმეტყველი: „შევქმენი სამყარო (ამბობს უფალი) იმისთვის, რათა მასზედ საბატონოდ შემექმნა ადამიანი" (იესაია 35.12). აი, რატომ შექმნა ადამიანი შაბათის წინა საღამოს. ის მოველინა სამყაროს, როდესაც ყველაფერი მზად იყო, მას აღარ სჭირდებოდა ზრუნვა რაიმეს შესაქმნელად.

იგივე თვისებები გაუჩნდათ ჩვენს მშობლებს. ისინი ცდილობდნენ და ცდილობენ შთამომავლობისთვის შეექმნათ უპრობლემო ცხოვრება, ქართველი იმდენ შვილს აჩენდა, რამდენსაც შეუქმნის ასეთ ცხოვრებას. გაჭირვებაში ქართველი არ მრავლდება, რადგან ქართველთა სულიერი მისწრაფება გაცემაა–მათხოვარი ქართველი არ არსებობს (ამიტომაცაა, რომ დღეს ყველა სხვა ეროვნებათა მატებაა, ქართველობა კი საკუთარ მიწაზე განახევრდა). ეს იმიტომ, რომ ჩვენში სიყვარული სულიერ ბაზისზე, ენაზეა აღმოცენებული.

როცა სიყვარული გაქვს მოყვასის, აუცილებლად გსურს, რომ გასცე ცოდნა, გასცე საჩუქარი, რათა აღზარდო და ასიამოვნო. როცა სიახლოვეა, კავშირია, გაცემის საშუალებაა უფრო ღრმაა სიყვარული, ამიტომ უფრო ღრმაა ქართველების სიყვარული მშობლებისადმი, ნათესავებისადმი, საერთოდ, მოყვასისადმი. ამავე დროს, ქართველი არ უშვებს შემთხვევას ჭირსა და ლხინში გასცეს. არც ერთ ერს არა აქვს ეს თვისებები ასე მუდმივად. ამავე დროს, ქართველმა იცის, რომ რაც მას აქვს, უფლის მიერ აქვს ბოძებული, ჯერ სული და შემდეგ სურსათი. ამიტომაა უსაზღვრო სიყვარული ქართველში, იბერიელში, კავკასიელში უფლის, მოყვასის. იგი მასში მხოლოდ გაცემის ობიექტს ხედავს. სხვაგან კი მოყვასში წაგლეჯის, გამდიდრების ობიექტს ხედავენ.

იბერიელთა გენეტიკური თვისებები რომ დაენერგა, მიტომ მოავლინა ღმერთმა აბრაამი, მაგრამ აქაც შემოუტია ბოროტებამ აბრაამის იბერიელთა მრწამსს. გაჭირვებაში მყოფი უფრო შეიცნობ ღმერთის ძალას, სიწმინდეს და მოხდა აბრაამის ნამი–ერის გამრავლება ეგვიპტე-

*რატომ ვიძახით ხან ივერიას, ხან იბერიას, ხან 12, ხან 13 მტოს. ჩვენთან ხომ ფშავი და ხევსურეთი ხან ერთად, ხან ცალ–ცალკე ფუნქციონირებდნენ. ჩვენ ხომ ჩამონათვალში მთიულეთ-გუდამაყარიც არ შეგვიყვანია. იგიც ხან ცალკე იყო ხან მთიან რეგიონთან მიერთებული. ანუ იყო ხან 12 ხან 13 მხარე. სხვათა შორის, ივრითულში ბეტის და ვეტის აღმნიშვნელი ასო ერთი და იგივეა და ორივენაირად შეიძლება მისი წაკითხვა.

ში. შემდეგ უდაბნოში მიეცა უფლის მიერ მოსეს მეშვეობით წიგნთა–წიგნი სამყაროს, ხალხთა ზნეობრივი ქცევის კონსტიტუცია — ბიბლია.

ებრაელებმა და ქართველებმა ჯერჯერობით შეძლეს ამ წიგნთა წიგნის საშუალებით ერწმუნათ, ხალხებს რომ უფალი ერთია და მხოლოდ მოიშიშეს მისი, მაგრამ ფარული ბრძოლა მაინც გამოუცხადეს ამ წიგნთა–წიგნს, რადგან მიტაცების, ურთიერთდამონების სურვილი ვერ ამოიძირკვა. შედეგად არა აქვთ გაცემა–სიყვარული, ამიტომაც საკუთარი კონსტიტუციებით და კანონებით იმართებიან, ე.ი. უგულვებელყოფილი აქვთ უფლის კანონმდებლობა. მისი შინაარსი კი ის არის, რომ ნაყოფიერების მომცემი ყველა მდედრობითი–შესინა, თორა, ენა პირველადი, ქალი, მიწა–მამული და, პირველ რიგში, შენი გამნაყოფიერებელი უფალი უნდა გიყვარდეს გულით.

ამგვარად, გამნაყოფიერებელს, დედამიწას მოსწყდა კაცი, მაშინვე იეიწყებს ჩვენი ცხოვრების ძირითად პრინციპს — გაყოფას. ამიტომაც ჩაუდო უფალმა ადამიანს, ნებისმიერ არსებას ყველაზე დიდი სიყვარული დედის და პირიქით, დედის სიყვარული შვილისადმი ასევე შეუდარებელია.

იმავეს გვინერგავს ბიბლიაც: „ღმერთმა ადამიანი მიიყვანა ედემის ბაღში, რათა მოევლო და დაეცვა იგი", ე.ი. ედემის ბაღი, ანუ მარადიული ჰარმონიული სამყარო მაშინ აქვს ადამიანს, როცა მიწას უვლის და იცავს, ანუ მოვლა და დაცვაა საჭირო შენი წილის, რათა არ მიითვისოს სხვამ, რომელიც მის მოვლას კი არა, ექსპლუატაციას დაიწყებს, რადგან ვერ ასწრებს ამდენი მიწის დამუშავებას. მთელი ბიბლიის შინაარსიც ზნეობრივი მიწათმოქმედება და მისგან გამომდინარე ცხოვრების წესია.

იგივე მიმართულებას ნერგავს ღმერთის მიერ მოცემული პირველადი ენა ქართული. ენას ის უპირატესობა აქვს, რომ მისი სულიერება გადმოდის ჩანასახში, ცნებანი ხდება გენეტიკა ხალხისა. ბიბლია კიდევ უნდა შეისწავლო, მწიგნობრობა განაჟითარო. მაგრამ ენას ვერ თარგმნი. იგი უფლის მიერაა მოცემული და ადამიანს არ შეუძლია გაიმეოროს უფლის სიბრძნე. ამიტომაც შეიქმნა იბერიელთა — ებრაელთა მისია, გაეერცელებინათ წიგნთა წიგნი — სამყაროს ჰარმონიული მოწყობის კონსტიტუცია.

შედეგად სამყაროში შეიქმნა მხოლოდ ერთადერთი წიგნი, დედა წიგნი ბიბლია და ამიტომაც მხოლოდ ებრაელებს ეძახიან წიგნის ხალხს, ხოლო რეალურია ცხოვრების წესი, სადაც იყო ის მიწა–მოქმედება, როგორც გვმოძღვრავს ბიბლია, იყო განუწყვეტლივ მხოლოდ საქართველოში და ამიტომაც სამყაროში მხოლოდ ჩვენ — ქართველებს მოგვეენიჭა მეტად საამაყო სახელი გეორგიანელები, ანუ მიწათმოქმედნი.

რატომ საამაყო? გავიხსენოთ, როცა ნოემ ჩამოაყალიბა ეს წესი, აღუთქვა უფალმა: მეტად აღარ განვგმირავ ცოცხალ (არსს), როგორც ვიმოქმედე, ვიდრე იქნება თესვა და მკა. ოღონდ თესვა და მკა ზნეობრივ იბერიელთა მიერ განხორციელებული. ამ წესის კეთილსურნელება იყნოსა უფალმა.

უნდა იცოდნენ ბოროტების მესვეურებმა. რომ სანამ იბერიელი იმიწათმოქმედებს, მანამ იქნება სამყარო. ამიტომ სთქვა გრიგოლ რობაქიძემ: „დღეს რასის მეიმია, რასიული თვალსაზრისი უნდა ბატონობდეს ყველგან და ყველაფერზე. ზეიმობს ქართული რასა, ქართული ჯიში, ქართული სისხლი. ქართულმა რასამ გადაარჩინა კაცობრიობა ადამიანის ჯიშის მოსპობისაგან. ქართული რასა რასიული დახვეწილობის სიწმინდის კრისტალურობის სიმბოლოა და არ იქნებოდა ადამიანთა მოდგმა ამ რასის გარეშე. ამიტომ დღეგრძელობა მათი მუდმივია და საშინელი სასჯელი ელით ბოროტებს, რადგან ებრძვიან უფლის მიერ დაწესებულ ცხოვრების წესს.

ის ქვეყნები, სადაც იწამეს ბიბლია, დროებით გადაურჩნენ საშინელ სასჯელს, განადგურებას, რადგან ყველა კერპთაყვანისცემელი ერი აღიგავა. აი, ამ სიკეთის გამო ებრძვის ბოროტება ფარულად ბიბლიის მიმღებ და დამცველ ერს, ანუ იბერიელებს მიწათმოქმედთა ქვეყანას. ამ ქვეყანას კი სათუთი მოპყრობა უნდა, რადგან მხოლოდ ის გახდა გარანტი ადამიანში სიკეთის გამარჯვებისა და უფლის გულის შემობრუნებისა ადამიანებისაკენ. ამ ორ ერს სულიერი ერთობის გამო მუდამ ჰქონდათ ძმური ისტორიული კავშირები, რათა გადარჩენილიყვნენ ბოროტთა შეტევისაგან. პირველ რიგში, სიყვარულით, სიკეთით, ცოდნით დაემარცხებინათ ისინი.

## I.1.4. მოკლედ ძმურ ისტორიულ კავშირებზე

განსაკუთრებით ღრმა იყო ამ ორი ერის სულიერი კავშირები, ეს ლიტერატურაშიც კარგად ჩანს. ჩვენ რამდენიმე ისტორიულ ფაქტზე გავამახვილებთ ყურადღებას. ჯერ გაგაცნობთ ისრაელში ჟურნალ „ეოზროჟდენიაში" 1975 წელს გამოქვეყნებული მეცნიერული სტატიის მოკლე შინაარსს (ეს წერილი ისრაელში შემდეგ გადმოქართულდა და დაიბეჭდა ჟურნალ „საუნჯის" №5–ში 1997 წელს).

ირკვევა, რომ სვანეთში არის მეტად დიდი სოფელი ლახამულა. ამ სოფელში სალაპარაკო ენა მდიდარია ძველებრაული სიტყვებით. აქ ინახება თორას ხის გრაგნილი (სეფერ–თორა). მას აქაური მცხოვრებნი იშვიათად იყენებენ. მხოლოდ განსაკუთრებული გაჭირვების შემთხვევებში კითხულობენ ლოცვებს, ან ფიცის დადებისას გამოაქვთ. ეკლესიას, სადაც იგი ინახება, შეიარაღებული მცველები დარაჯობენ. საქმე ისაა, რომ სეფერ–თორის მოტაცების მცდელობა არაერთხელ ყოფილა. თურქეთის ფაშამ განძის ხელში ჩაგდება განიზრახა. მისმა შეიარაღებულმა ხალხმა მოკლა მცველი და მოიპარეს წიგნი – მაგრამ მოხდა სასწაული, რომელიც მხოლოდ თორის ძალას შეეძლო: წამოვიდა კოკისპირული წვიმა, გამტაცებლებს გზა აებნათ და ისევ სოფელში მოხვდნენ, სადაც ისინი ამოხოცეს და განძიც დაიბრუნეს.

ასე გადადიოდა სეფერ–თორა თაობიდან თაობაში, როგორც წმიდათაწმიდა განძი. დასტურდება, რომ იგი ებრაელ წინასწარმეტყველთა ეზრას და ნეჰემიას დროინდელი ყოფილა, რომელთა ხელმძღვანელობით აშენდა მეორე ტაძარი 2500 წლის წინ.

მთავარი აქ ის არის, რომ როგორც კი ებრაელთა სწავლულებმა პირველად გადაწერეს ხუთწიგნეული, მაშინვე ორი ეგზემპლარი გამოგზავნეს სემის სამკვიდრებელში, სასვანეთოში. ასე იცავდნენ ანდერძს. სემის კარეებში პოულობენ სულიერებას იაფეტიდები, იყო პირიქითაც.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მეცნიერთა მტკიცებით, ამ სოფელში არ ცხოვრობდნენ ებრაელები. ამ სოფელში ისევე, როგორც საქართველოს უმეტეს მთიან რაიონებში, არ ჭამდნენ ღორის ხორცს. საერთოდ საქართველოში მეცხვარეობას, მესაქონლეობას მისდევდნენ. მხოლოდ რუსეთთან შეერთების შემდგომ მოხდა ღორის სულადობის გამრავლება (თ. მღინარაძე, მამულის აღორძინების კონცეფცია, 1991 წ.).

### რას ნიშნავს ური, ორი

ამგვარად, აქ ჩანს მჭიდრო სულიერი კავშირი. ამავე დროს, ქართველ – ებრაელთა დასახელება ური–ურია არის სუფთა ქართული ტოპონიმი. ამაზე მოკლედ ვიტყვით. საჭიროა ენაში ჩახედვა: სადა–ური ხარ. შინაური ურს შეიცავს, გარეული კი – არა. ამავე დროს, თითქმის 50 პროცენტი ძირძველი ქართული გვარები და ტოპონიმები ურს შეიცავენ. ისიც საგულისხმოა, რომ სულხან–საბას ლექსიკონით „ურია" წმინდანის დონეზეა. ეს რუსეთის სპეცსამსახურები 200 წელი ცდილობდნენ დაეპირისპირებინათ ქართველნი და ქართველიებრაელები და „ური" და „ჟიდი" გაეიგივებინათ (ი. პაპიაშვილი). კიდევ ერთხელ ჩავიხედოთ ბიბლიაში, შესაქმე 15:7. „უთხრა მას: მე ვარ, უფალი, რომელმაც გამოგიყვანე ქალდეველთა ური–დან, რომ დასამკვიდრებლად მოგცე ეს ქვეყანა." რატომ ქალდეველთა? როგორც ი. პაპიაშვილი გადმოგვცემს, ქალაქი ური იყო საქართველოშიც. ჩვენ კი აღვნიშნეთ, იბერიელებს ჩვეულად ჰქონიათ თავიანთი დასახელებები სხვასთანაც გადაეტანათ. მაშინ ხომ იბერიული მოდგმის ხალხი თითქმის მთელი მსოფლიოს ნახევარზე მეტს განაგებდა (ს. ჯანაშია, ნ. მარი, უ. ჰუმბოლდტი, ზ. გამსახურდია), ამიტომაა გამახვილებული ყურადღება რომ ეს ქალდეველთა ური იყო.

საერთოდ საქართველოს ძველ ისტორიულ წარსულში სხვადასხვაგვარად მოიხსენიებენ. თუ იბ–ერი–ა ერს შეიცავს, ხ–ური–ტები ურს,* ალა–ლოდიელნი ალა–ს. ი. პაპიაშვილი აღნი-

---

*ი. პაპიაშვილი ასევე გადმოგვცემს: საქართველოში დღესაც იხმარება ურია მამაკაცის, ხოლო პურია ქალის სახელად. ურია და პურია რომ დიდგვაროვანი წარმომავლობის აღმნიშვნელი სიტყვაა „ქართლის ცხოვრებიდან" მრავალი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ.

შნავს, რომ ურ – ნიშნავს მანათობელს, ცეცხლს, ხოლო ორ – ნათელს. ასე ჰქვია არამეულად ამ ქართულ ტოპონიმებს. იცოდნენ, რომ აქ იყო ნათელი, ცოდნა. და ამიტომ იყო გე–ორ–გია, სწორად რგავდნენ, სწორად მიწათმოქმედებდნენ. „ორი", ხომ ჩვენი ცხოვრების წესის აღმნიშვნელ სახელში – გე–ორ–გიაში შედის. მეგრულად გეორგე ნიშნავს „დარგე". საერთოდ გავიხსენოთ „არგო" რომ მზეს ნიშნავს. გეორგია და სიტყვა კარგი შეიცავს ფუძე „რგი"-ს.

ამგვარად ასო „რ" – თან არსებული ხმოვანი ბგერების არსებობა „ურ", „ორ", „რა" მიუთითებს რომ ესენი ნათებას, სულიერ მზეს აღნიშნავდნენ. ამგვარად სწორი მიწათმოქმედება დარგვა, მარგებლობა კარგია და ეს იწვევს სულიწმიდის ღმერთის სხივოსნებას ენერგიას, მადლს. ამიტომაც ეს სიტყვები ნათებას აღნიშნავენ ასო „რ"–ს თანხმოვანებით შეიცავს სიტყვები ივერ–ევერი, ქართველი, ებრაელიც.

ეტყობა აქედან აქვთ ბერძნებს ეს სახელი ნაწარმოები.

ჩვენი აზრით, „ორ"–ს სამი ახსნა აქვს. პირველი ზემოთ აღვნიშნეთ. მთავარი არსი ამ სიტყვისა გასლავთ ის, რომ ადრე საქართველოში შემავალ ორი მდინარის (ტიგროსი და ევფრატი) სათავეში მცხოვრებ ურებს მიეცათ ცოდნა (ნ. მარი, ე. კანტი, ს. ჯანაშია), შემდეგ ორ ძმას – სემს და იაფეტს, (მცხეთა–თბილისს და იერუსალიმს შორის, ხომ იყო ტრადიციული სულიერი კავშირი).

მესამე ახსნაც, ამ ცოდნიდან გამომდინარე, იბერიული დემოკრატიული მმართველობიდან, ოჯახიდან იწყება. ორნი – ქალი და კაცი, ცოლ–ქმარი ერთიანი, ერთმანეთის ერთგულნი უნდა იყვნენ. ეს კი მაშინ არის, თუ ერთი სურვილებით ფეთქავს მდედრისა და მამრის გული. ამიტომაა ქალი მეორე ნახევარი. მამაკაცს ამ სიტყვით არავის მეტობა არა აქვს. უმთავრესი კი, სიყვარული, მათ შორის თანაბრად არის განაწილებული, ისევე როგორც ოჯახის პრობლემებზე ზრუნვა. ქალი ცოდნას, ერთგულებას გადასცემს შთამომავლობას. კაცი ოჯახის მშენებელი, მოსიყვარულეა. საერთოდ ქართულში ცოლ–ქმარი ერთი სიტყვაა. მათი შეერთება განგების ნებით ხდება. ადამიანი ქალსაც და კაცსაც მაშინ ჰქვია, როცა მათ შორის სიყვარულია, წმინდაა მათი სარეცელი. მაშინ ამ ოჯახს შეხინის – სულიწმიდის ნათელი აქვს. არის ბარაქა, ჯანმრთელობა, გამრავლება, დღეგრძელობა, გონი–ერება (ანუ ასეთი ოჯახებისგან შემდგარ ერს აქვს გონი და აღნიშნული თვისებები).

სხვათა შორის ადამიც ისე დაიბადა რომ მასში ორივე საწყისი იყო გაერთიანებული. ადამის თხოვნით მისი ნეკნისგან შექმნა ქალი უფალმა. ამიტომ ქალში ჩვენი სული სულთაგანი და ხორცი ხორცთაგანი უნდა ვიგულისხმოთ. სხვაგან ეს არ იციან. ამიტომ სხვაგან ოჯახებში ქალთა ექსპლუატაციაა. იგი გართობის საგანია. მისი ერთგულება, ცოდნა – ოჯახის, სამშობლოს სიმტკიცისათვის, იკარგება. არ არის სიყვარული, ერთი გული, ერთი სული. ამ თვისების განმტკიცებისათვის არ არიან შეერთებულნი. აქ უფროსობას, მიტაცებას ცდილობს ორივე და ამიტომაც ასეთი ოჯახები, და აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებიც ინგრევა.

როგორც აღვნიშნეთ, ძველ მისტერიებში კი იტაცებდნენ ცოდნას – ქალს, მდედრობითს. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანშიც" ხომ დაახლოებით ასეა, მაგრამ ცოდნას, სიმდიდრეს მაინც ვერ ჰპოვებდნენ. ქალს მოტაცება–დამწყვდევა კი არა, ნდობა, თავისუფლება, სიყვარულის გაცემა სჭირდება, ისიც იმავეს გასცემს და არის დღეგრძელობა, ჰარმონია. ორივე ცდილობს მეტი გასცეს და ეს ზეობა თანაბრად იზრდება. თუ მამაკაცი ასეთ სიყვარულს ვერ გასცემს და დამონებას დაიწყებს, ასეთი ქალის ძალისხმევა ოჯახის არსებობისათვის, ერთგულებისათვის, რისთვისაც იგი მოწოდებულია, იკარგება და თვითდაუკმაყოფილებლობის გამო ორგულობას იწვევს. ანუ მისი სულიერება უძლურდება და ცხოველური იმარჯვებს. მდედრი და მამრი სხვადასხვა გულისა ხდება და ორივე ცდილობს საკუთარი ცხოველური მისწრაფება დააკმაყოფილოს, ანუ ორის შეერთება ცოდნის, სიყვარულის გამარჯვება კი არა, დაპირისპირებაა. ასეთი ოჯახი კი არ იარსებებს, არ გამრავლდება, გადაგვარდება, გაქრება. ბუნებაში ასეთი გაქრობა ელის ყველას, ვინც სიყვარულს დასცილდება. როცა ქართველს რაიმეს გადაწყვეტა სურს, იგი სვამს კითხვას: რო–გ–ორ. ეს სიტყვა ორივე მხრიდან ერთნაირად იკითხება. ანუ როგორი ცოდნით იმიწათმოქმედოს – ანუ იბერიულ ცხოვრების წესით, რომელიც ოჯახიდან, ორის ურთიერთობიდან იწყება.

ამგვარად, მამაკაციდან იწყება ყველაფერი. თუ ქალთან ერთად ერთგულად, ერთი მიმართულებით არ იარა, იქმნება დისბალანსი, რყევა და სიკვდილია ასეთი ოჯახების ხვედრი. ხოლო, როცა სიყვარულია, მსგავსი წარმოშობს მსგავსს და სახელმწიფოც ასე სიყვარულით იმართება. მხოლოდ ნოეს იბერიულ მოდგმას – ქართველებს და ებრაელებს და სხვა იბერიულ

მიდგმას აქვს მდედრობითის დიდი სიყვარული. ეს ის მაღალი სულიერების ფაქტორია, რის გამოც დღევანდლამდე მოვედით ერთ. ეს კარგად ჩანს წინა მასალაში, ამიტომ დალოცვილი ვართ გამჩენისაგან, რაც სიუხვის, სიმდიდრის, დღეგრძელობის, ძლევამოსილების, გამორჩეულობის საწინდარია. როგორც ანანია ჯაფარიძე გადმოგვცემს (ა. ჯაფარიძე, „ქართველი ერის წარმოშობის შესახებ", ზეციხე, თბილისი, 1997 წ. 36 გვ.) – ჩვენზე ასე ამბობდნენ, ალა–ალი ხალხიაო. საერთოდ ქართველთა ეს დასახელება ურარტუს დაცემის შემდეგ ნელ–ნელა გაქრა, იმ ტერიტორიებში, სადაც მოსულმა არმენულმა ტომებმა დაიკავეს მათი ადგილსამყოფელი (იცხაკ დავიდი). ეს იყო არარატის მიდამოებში, სადაც ცხოვრობდნენ იბერიელნი, ქართველთა მონათესავენი. (მამა სომხური ისტორიოგრაფიისა – მოვსეს ხორენაცი, არმს უწოდებს სომხურ ტომებს („სომხეთის ისტორია" – 1984 წ., გვ. 17). აქედანაა გამოთქმა „მიეიდა არამი და გაამეფა ალალიო", ამ დროს იდევნებოდა ქართული ენაც და ი. პაპიაშვილის, ზ. ჭიჭინაძის მტკიცებით, ებრაელთა სამჯერადმა ჩამოსვლამ სამჯერვე განამტკიცა იგი.

საერთოდ მონოთეისტურ საქართველოში ალალე ღმერთის სახელი იყო. ალილუიაც, დიდება ღმერთო, ხომ ძალიან წააგავს ამ სახელს. ამავე დროს, ალა–ებრაელურად წარსულ დროში მაღლა ასვლას ნიშნავს. გამჩენი ხომ ყველაზე მაღალია. მუსულმანებიც ალა–ს ამ სახელში აიგივებენ ღმერთს.*

## დედა ენა ქართველთა და ქართველ ებრაელთა ენა

რომ ქართული ენა ებრაელთა მშობლიურიც უნდა ყოფილიყო, ამას ადასტურებს ზ.ჭიჭინაძის მსჯელობა. „ქართველი ებრაელები საქართველოში". თბილისი, 1904 წ. 7–8.

„ებრაელნი საქართველოში ქართულ ენას სულიერად ძველთაგანვე შეისწავლიან. მათ სამშობლო ენას ძველთაგანვე ქართული ენა შეადგენდა, ისინი ერთობ ადვილად ითვისებდნენ ამ ენას. საქართველოდან ებრაელნი სადა კი სახლდებოდნენ, ყველგან მათ მიჰქონდათ ქართული ენა, ქართველი ერის ტანსაცმელი და წერილების წერასაც კი ქართულად მიეწყნენ. უცხოეთშიც მათ ქართული ენა კარგა ხანს შეინახეს." /ჩვენ ვიცით, იცხაკ დავიდის მტკიცებით, რომ ებრაელები გადავიდნენ ყველგან მხოლოდ საქართველოდან, რათა მიწოთვიმში განვერცელებინათ/.

„ქართველმა ებრაელებმა უძველეს დროიდან ქართული ენა შეინახეს თვის ადმოსავლეთის უშორეს ქვეყნებში, ასევე მოსდა ლაზისტანისკენ, ტრაპიზონშიც კი შეინახეს ქართველ ებრაელებმა ენა, ტრაპიზონს დღესაც ამ ენით ლაპარაკობენ. თვით ქართველი შთამომავალი ქართველ მაჰმადიანებმა ვერ შეინახეს ქართული ენა და დაიკარგეს. ჩვენ ვიცით რომ ენამ შემოგვინახა ჩვენ ქართველობა და ეს ერიც ასე ერთგულობდა მას საკუთარ ეროვნულობას ქართველობას. მაჰმადიანური რელიგია კი ამ ეროვნულობასაც დევნიდა, ეტყობა."

ეხლაც ისრაელში ქართველი ებრაელები ქორწილს ისე არ გადაიხდიან თუ ნეფე-დედოფალმა ქართული არ იცეკვა. საერთოდ ქორწილი და სხვა ქართული ტრადიციები იქ უფრო შემონახული. მარტო ის რად ღირს რომ იქ დაისტამბა ძველი აღთქმის ორი სხვადასხვა ავტორის ქართული თარგმანი დედნიდან. ისრაელში იძახიან ქართველი ებრაელები ლექსომანიის დაავადებამ შეიპყროო. ლექსომანია კი არა ქართული ენის საქართველოს მონატრების გამოა ეს.

## ძმების თავდადება ურთიერთათვის – სიკეთისათვის

ებრაელი მკვლევარი ი. პაპიაშვილი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ ქართლში ბაგრატოვანთა – სოლომონის შვილიშვილთ წინამძღოლობა ძ.წ.–ად მე–6 საუკუნით თარიღდება. ეს გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან ჩვენ ვიცით, რომ ბიბლიური დავითიც მესხეთში ცხოვ-

---

*ძველ ურარტულ და ქართულ სიმღერებში ეს სიტყვა ხშირად მეორდება. მაგ. ურარტულ ენაზე არის ასეთი სიმღერა „იერი ჰალალე" „თარი არალე" „თარა ალალე". „ასი ალალე". იერი ანუ იბერი–ივერი, დაბოლოს იერითი. იერი ურარტულად მეუფე–ბატონს ნიშნავს, თანაც ბატონს, ძლიერს (სვანურად მთავარს). ე.ი. აქ არის ერთი გამჩენის მეუფების დიდება. ალილ დიდებას ნიშნავს (ჩვენც სიმღერებში ალალეს ალალეს ეხმარობდით, რაც უზენაესის ძლევამოსილებას აღნიშნავს, ხოლო არ ალალე ურარტულად აღნიშნავს მთლიან დიდება, ძლევამოსილება. გურულად კი ასე წაიმღერებენ ჰარი ჰალალო იერი ჰალალე ჰარალალო და ჰარიალალე მრავალჟამიერო.

რობდა. უფრო მეტიც მისი მტკიცებით მათი შტო აქედან იყო. იმ დროში ქართველთა ეს ტომები ხომ მესოპოტამიასა და სხვა ტერიტორიებს ფლობდნენ. არ არის გამორიცხული, რომ ქართული ტერიტორიები ესაჩლერებოდა მათ მოძმე ებრაელ–იბერიელთა სამფლობელოებს. მთავარი აქ ის არის, რომ როგორც შეჰპირდა დავითს უფალი, თუ მისი შთამომავლობა დაიცავს მცნებებს, სამარადჟამო იქნება მათი მეფობა. საქართველოში მათი მეფობა ამ მხრივ მართლაც სამაგალითო იყო. ისინი როგორც ისრაელში, ისე აქ სამაგალითონი იყვნენ ზნეობრივი მსახურებისა. ამის საფუძველი კი ბიბლია და ენა გახლავთ. ისიც ნიშანდობლივია, რომ ქართული ენის საისტორიო მისიის დამადასტურებელი დოკუმენტი, იოანე ზოსიმეს მე–12 საუკუნის ძეგლი "ქებაი და დიდებაი ქართული ენისაი" სინას მთაზე იქნა აღმოჩენილი.

ეს ძეგლი უპირველესად იმ ჭეშმარიტებას ქადაგებს, რომ ოთხი ათასი წელი დამარხულ არს და ეწამება ბოროტების მიერ ენა ქართული – ჭეშმარიტება, და „ამას ენასა ლაზარე ჰქვია" გადმოგვცემს იოანე ზოსიმე. ქართული ცხოვრების წესი ებრძვის ბოროტებას ამ ხსნის განმაელობაში.

სამყაროს ისტორია ჭადრაკის დაფას წააგავს. ჭადრაკის დაფაზეც ლაზი–ერი იმ როლს ასრულებს, რასაც ლაზი ერი დედამიწაზე, ანუ ლაზარე ენა, იბერიული ფენომენი სულ მოძრაობაშია, რათა დაიცვას მეუფის მიერ მოცემული სიბრძნე, თორა ანუ ერთადერთი ჭეშმარიტება. მოძრაობს, იღვწის, რათა ცოდნა–ნათელი, მცნებათა დაცვა შეიტანოს ხალხებში, რომელნიც უცოდინრობის გამო ძლევამოსილებით ჩამორჩებიან. ისინი ცოდნასთან ისევე მარცხდებიან, როგორც ყველა სხვა ფიგურა დედოფალთან, მაგრამ ეს ფიგურები ბევრნი არიან, ჩუმად იკრებიან, რადგან ბოროტებას შეკავშირება შეუძლია და ებრძვიან მზაკვრულად დედოფალს, მაგრამ რაკიღა მეუფე სამყაროსი მარადიულია, დედოფალიც, ენა ქართული მის მიერ მოცემული, უკვდავია. იგი წარმოშობს პაიკებს – ახალგაზრდობას იბერიელთა მიწაზე. მათ ცოდნა აქვთ და უმალ გადიან მდინარის მეორე ნაპირზე, მიუხედავად მოწინააღმდეგეთა ძალადობისა, დედოფლად იქცევიან. მელქიცედეკი და აბრაამი ღმერთისათვის დაუზოგავი თავგანწირვის და სიყვარულის გამო ისინი მისი პირველი ქალიშვილის – და მათი დედოფლის თორის ღირსნიც კი გახდნენ. ეს ის დედოფალია, რომელიც მუსრს ავლებს მათ ფიგურებს მარცხნივ თუ მარჯვნივ. შეაქვს ცოდნა ხალხში. მთელი მსოფლიო იზიარებს ბიბლიის სიბრძნეს, ქართველი ლაზიერიც (ენა–დედოფალი) იღვწის გაასკეცებული ენერგიით. ჩვენ ვიცით, რომ 100–ზე მეტი ცოდნის ტაძარი ააგეს ქართველებმა საზღვარგარეთ – არანაკლები ებრაელებმა და ამარცხებდნენ ტარიელი და ავთანდილი თორისა და ენის ძალით ბოროტებას. თუ ებრაელები სხვადასხვა ქვეყნებში ძირითადად მრჩევლები, ვეზირები იყვნენ, ცოდნის დასანერგად ქართველები ამ ქვეყნების უპირველესი მხედართმთავრები იყვნენ. გარეთ ერთი ცოდნით, და მახვილით სპობდნენ ბოროტებას, ხოლო მეორენი, როცა იბერიის საზღვრებს მოადგებოდა ბოროტება, გამოჩნდებოდნენ მეფენი, რომელნიც მთელ საქართველოს, შემდეგ კავკასიის იბერიულ მოდგმას, აერთიანებდნენ და ძალით ძლევდნენ მას. ათავისუფლებდნენ დატანჯულ ხალხს მითრიდატე, ფარნავაზი, ფარსმან ქველი, გორგასალი, დავითი, თამარი, გიორგი ბრწყინვალე და სხვანი.

ქართველებმა ბოროტების დასათრგუნად მუსულმანურ სამყაროში მამლუქთა იმპერიაც კი შექმნეს. ბოროტება უკვე ველარ იცლიდა იბერიელთა დევნისათვის, მაგრამ მიაგნო ხსნის გზას ბოლოს ნაპოლეონის სახეში. ცნობილია მისი მიმართვა ეგვიპტელებისადმი: „როდემდე უნდა იყოთ ქართველთა ტყვეობაშიო". ასე გაჰქონდათ ცოდნა და ბრძოლითაც იცავდნენ ქართველნი თავიანთ მოძმეს – იბერიელთ. მთელი ისტორიის მანძილზე ისინი – ქართველნი და ებრაელნი ერთად, ძმურად ებრძვიან ბოროტებას, კერპთაყვანისცემლობას. მათი ურთიერთთანადგომა, სიყვარული არის სამყაროს ისტორიის სიკეთის ნაწილი, აქ სხვა ფაქტების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

თუ ებრაელებს საქართველოს გარდა ყველა სხვა ქვეყნებში დევნიდნენ, საქართველოს გაუთავებელი ომები ჰქონდა ებრაელთა და ქართველთა ყველა საერთო მტერთან (არაბეთი, ირანი, ავღანეთი, ერაყი, რომი, საბერძნეთი და სხვა ი. დავიდი). საქართველოს ყველა კუთხე თავისი ზნეობით ნამუსის ქუდით იცავდა თავს. მე–18 საუკუნეში მარტო ერეკლე II–მ ასამდე ბრძოლა მოიგო. არანაკლები იბრძოლეს სოლომონ მეფემ, გურიის და სამეგრელო–აფხაზეთის სამთავროებმა. ბოროტს ბოროტთან შერიგება შეუძლია და ამიტომ ვერ დამისასელებთ ქვეყანას, რომ თავის ისტორიის მანძილზე იმდენი ბრძოლა, ჩაეტარებინოს რამდენიც საქართველოს. გავიხსენოთ ებრაელთა მასობრივი დევნაც, ხოცვა, ჟლეტა, ორივე ერისთვის ავბედითი

9 რიცხვიც. აი, ასეთი იყო ბოროტების მეწოლა ორივე ქვეყანაზე, – სიკეთის ციტადელზე. აი, სად იმალება საიდუმლოება, რატომ არ იდევნებოდნენ ებრაელნი მხოლოდ ერთ ქვეყანაში – საქართველოში.

საქართველო ხომ სიკეთის ციტადელი იყო. იგი არა მარტო თავიანთ სულიერ მოძმე ებრაელებს, სხვა ეროვნებათა დევნილ წარმომადგენელთაც იფარავდა, ასე იყო ადრე ისრაელიც. ამავე დროს, ჰქონდათ ქართველებს ძლევამოსილება მნეობის გამო, ეშინოდათ მისი. ებრაელები ადრე და ქართველნი მთელი ისტორიის მანძილზე იყვნენ მედიატორნი, მშვიდობის ჩამომგდები რელიგიათა, სახელმწიფოებს შორის. აღიარებდა კიდეც მსოფლიოს მეცნიერთა ელიტა: თბილისი რომ არა, ევნაში მეჩეთი იქნებოდაო. და საერთოდ, „მთელი დასავლეთის რაინდობა ქართველთა ზეგავლენას განიცდიდაო“ (ავსტრალიელი პროფესორი რობერტ ბლაის მტაინერი). იერუსალიმშიც ხომ ცხენზე დროშებით ამხედრებულნი მხოლოდ ქართველი რაინდები შედიოდნენ. სხვათა შორის, ქართველთა მიერ ბრძოლით, ებრაელთა ანუ საერთო მტერთა დევნა სახელებშიაც ჩანს. ისრაელის ისტორიული მტერია ესავი და მისი შთამომავლობა. „ვეფხისტყაოსანშიც“ ავს დევნის ავ–თა–ნდილი. („ნდილი“ რომ ავთა დევნაა ამას ჩვენ ცოტა ქვემოთ განვმარტავთ). როგორც ი. დავიდი ასაბუთებს, ჩვენ მუდამ ერთი და იგივე მტრები გვყავდა.

კიდევ ერთი ფაქტი ჩვენი მსჯელობის არგუმენტად. საქართველოში ებრაელები სულიერი კულტურის მსახურნი იყვნენ, სხვაგან კი ინტელექტუალური, რომელიც ხშირად ბიბლიის კანონებს ეწინააღმდეგება, თუმცა ებრაელთა დანიშნულება მხოლოდ სულიერი კულტურის მსახურებაა. ამან წარმოქმნა მცდარი შთაბეჭდილება, თითქოს სხვა ქვეყნის ებრაელნი უფრო განათლებულნი იყვნენ. სინამდვილეში კი ებრაელთა ასეთი განვითარების მიზეზი ყველა სხვა ქვეყანაში მათი დევნაა. 813 „უკაზი“ გამოსცა რუსეთის იმპერიამ, რომ ისინი არ გამრავლებულიყვნენ. ებრაელი არც პირველი გილდის ვაჭარი არ უნდა ყოფილიყო. ასეთ შემთხვევაში მათი მოღვაწეობის სფერო ის დარგები გახდა, სადაც ვაკუუმი იყო, მედიცინა – კულტურა – მეცნიერება – ეკონომიკა. მათი გამეცნიერება ეკონომიკური და ეკოლოგიური მიმართულებით, უღმერთო იმპერიულ სახელმწიფოებში იწვევდა სჯულის კანონებიდან გადახვევას და სამყაროს ეკოლოგიურ კრიზისს. ეს კი ბოროტებას დიდად აწყობდა, რადგან ებრაელთა მისია ღმერთის მსახურება და ბიბლიაში ჭირნახულობაა. გავიხსენოთ როგორ აკურთხა ისააკმა ესავი თუ ებრაელი გადაუხვევს რჯულის კანონებს ესავი ანუ ევროპელი მოსახლეობა სჯის მას.

ამიტომაც უფალი აღარ იცავდა მათ და ისჯებოდნენ, იდევნებოდნენ ისინი ამ ქვეყნის ხელისუფალთა მიერ.

საქართველოში კი ებრაელნი ძირითადად თორაში ჭირნახულობდნენ.

ებრაელებმა შეიმუშავეს დამცავი მექანიზმებიც ასეთი დევნის გამო. მათ დააგროვეს სხვების მიერ გამოცემული ფული და მოექცნენ სათავეში (ესეთი კურთხევა უფლის ნებით მიაქვთ მათ, რასაც მოინდომებენ იმას მიაღწევენ). დადგა დრო მიხედონ სულიერ კარევებს. ეს ასეც მოხდება, რაშიც ნაწარმოების ბოლოს დაერწმუნდებით. ამისათვის ქართველ მეფეებს ჯარშიც კი შეგნებულად არ მიჰყავდათ. ზ. ჭიჭინაძეს ამის დასტურად მრავალი ფაქტი მოჰყავს. სამაგიეროდ ვაჭრობაში მხოლოდ მათ ენდობოდნენ მეფენი და თავადაზნაურობა. ამტკიცებდნენ ისინი ქვეყნის ეკონომიკას. შეიარაღებული ქართველნი კი იცავდნენ, მათ სხვის ქვეყნებში ვაჭრობისას. ბევრია ებრაული გვარით თავადები ღაზნელი, ბატონიშვილი, ციციშვილი. არც ბიბლიის კომენტარები სჭირდებოდათ, რადგან გენეტიკურად ისინი ქართული ენის სიბრძნიდან, ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ისედაც იცავდნენ მოყვასის სიყვარულის – გაცემა–გაყოფის მნეობრივ კანონებს. ისინი ლოცულობდნენ ებრაულ ენაზე, მაგრამ მათი მნიშვნელობა ერთეულებმა იცოდნენ. ამგვარად, ქვეყანაში, სადაც არ იყო ვალი და ვახში, არც მონოკულტურები და იყო მხოლოდ დახმარება, ებრაელთა მნეობა, სულიერი მსახურება უმაღლეს დონეზე იყო. სხვაგან კი ერთად ებრძოდნენ კერპებს ტარიელი და ავთანდილი. მეფის რუსეთის დამხობა, რომელიც სასტიკად დევნიდა ებრაელებს, ხომ ქართველთა და ებრაელთა ლიდერობით მოხდა.

ებრაელთა მრავალი სიტყვა ქართულად იშიფრება, თუნდაც ჯამაათი რომელიც ნიშნავს ჯამში ათი. ებრაელები, თუ ათი კაცი ანუ ჯამში ათი მორწმუნე არ არის, ვერ ლოცულობენ, რადგან გარდაცვალებულთა მოსახსენებლადაც 10 კაცი უნდა იყოს. თუ კაცი აკლიათ, იძახიან ჯამაათი ან მინი–ანი არ არის. მინი მინიმალური რაოდენობაა, ანი–თ ანუ ქართული ენით

ან–ბან–ით. სხვა ფაქტები შორს წაგვიყვანს. ქართველთა შორის წინდაცვეთაც ხომ იყო, ქუდის ტარებაც, დასტურად გამოგვადგება ისტორიის მამად წოდებული ძვ.წ.–ალ მე–6–7 საუკუნეებში მოღვაწე ჰეროდოტეს ნაშრომი... ჰეროდოტე – ისტორია ტომი I. გამომც. თ.ს.უ., 1975წ. მთარგ. თ. კაუხჩიშვილი 357გვ.

ბიბლიით ცნობილია რომ ებრაელები არ უნდა დაითვალოს. ღვთის ერთერთი ცოდვა ეს იყო. ებრაელნი – იბერიული ითვლებიან მხოლოდ ქუდების რაოდენობად, ამიტომაა საქართველოში აღწერა რომ მიდიოდა ქუდოსანთა რაოდენობას იძახდნენ. აქედან გამოიქმა „ქუდზე კაციო". უქუდო კაცი პატივ აყრილად ითვლებოდა. მხოლოდ ღვთაების წინაშე იხდიან ჩვენში ქუდს.

გავიხსენოთ ენაში ჩადებული გამონათქვამებიც: „კაციც შენა ყოფილხარ და ქუდიც შენა გხურებიაო", ე.ი. უქუდო კაცი ურწმუნო არაკაცი იყო.ამას ადასტურებს როსტევანის და ავთანდილის ნიძლავი, სადაც წაგებულმა სამი დღე უქუდოდ უნდა იაროს. ანდა „ქუდზე კაცი". დაბოლოს, ჩვენში ყველა კუთხეს თავისი განუმეორებელი კაცობის და ზნეობის ქუდი ახურავს. ეს ქმნის თავისებურ ჰარმონიას, გამორჩეულ მრავალფეროვნებას ყველაფერში. მთლიანობაში კი ერთ დიდ ულამაზეს ჰარმონიულ ხალიჩას, შექმნილს უფლის გამორჩეულად მოსიყვარულე ხალხის მიერ. ამ სიყვარულში ეჯიბრებიან ისინი ერთმანეთს: 12 კუთხე – 12 კაცობის ულამაზესი ქუდი, ამიტომაც შეიქმნა ერთი დიდი სიყვარულით მლოცველთა ტაძარი – საქართველო. სხვაგან არც სიყვარულია და არც ქვეყნის კუთხეების დამახასიათებელი ქუდები ახურავთ ებრაელთა გარდა. ჩვენში კი შეჯიბრია ქუდების – კაცობის, სილამაზეში, სიყვარულში. თავ–სახ–ური – სახეა ადამიანისა – ურისა და ქვეყნისაც. ქუდის დახურვა პირველ რიგში ზნეობას თავდამბლობას აღნიშნავს უფლის წინაშე. ამიტომაც გფარავს უფალი და აქედან მეორე სიტყვა თავ–საფარი, ყველა კუთხეს თავისი განსხვავებული სახე და ქუდი ჰქონდა, ამით ამაყობდნენ ისინი, რადგან ყოველი ქუდის ფორმაში არის ჩადებული რაღაც მისტერული. ამის ახსნა შორს წაგვიყვანს. აქ არის ახსნა იმ ფაქტისაც, რომ მხოლოდ ამ ორ სახელმწიფოში იყო ყველა რელიგიის, ეროვნებათა სიყვარული, ერთობა.

გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსანი". ტარიელს აკლია სულიერი მზე ისევე, როგორც ვეფხვს, ლომთან შედარებით, ეს მზე სითბო სათანადო მიწათმოქმედების წესი აქვს ავთანდილს – საქართველოს. მისი დახმარებით ტარიელი აღიდგენს იბერიულ სახეს ლომისას – სითბოს, სიყვარულს. ივიწყებს სამხრეებს ანუ გამეცნერებით მიღებულ მაღალ ტიტულებს, რის გამოც მას დევნიდნენ ყველგან, და ებრაელები იღწვიან შეაერთონ სამი რელიგია.

„ვეფხისტყაოსანში" ავთანდილი ახსენებს ტარიელს, რომ მუსულმანებმა თავის დროზე ბევრი გააკეთეს, რომ ყველას ეწამა მონოთეიზმი, ამიტომაც ეს სამი გმირი, სამი რელიგია უბრუნდება წინაპრების ფესვებს, სიყვარულს. აღმოფხვრიან დაპირისპირებას და ერთად აშარცხებენ ბოროტებას.

## თორა და ენა უკვდავია და გამარჯვებული

დღეს თითქოს იმარჯვებს შავი ფიგურები – ბოროტებისა, მაგრამ თეთრი მხარე მაინც გამარჯვებულია, რადგან მას სიყვარული, გაყოფა–გაცემა აქვს. ის ღიაა. ასეთი ღია წესით დაუგეგმა უფალმა ადამიანს ცხოვრება. მერე ჩაუსაფრდა მას შავი ბოროტება გველის სახით და შეაცდინა ადამის მოდგმა, მაგრამ რაკიდა სამყაროს მეუფე, მარადიული ღვლოფალი – თორა და ენა უკვდავნი არიან, გაიმარჯვებს ისევ ლაზი–ერი იბერიაში, მერე ქანაანზე და ორივე – თორა და ენა, ასევე როგორც ორი და შეხინის სახით ნესტანი და თინათინი სწორად დაიწყებენ ნათებას.

დღეს უნდათ ქართველებს დაავიწყონ თავიანთი დანიშნულება, რომ ის რჩეული ერია. უკეთურებს უნდათ, რომ ჩაუნერგონ ქართველთ, თითქოს გაუტანელი ერი ხართ – გაუტანელი ერი ყველა აღიგავა. დღეს ბრძოლა აქვს გამოცხადებული ენასაც და ქართულ სოფელსაც. მომრავლდა უზნეო ცხოვრების წესის მიმდევარი ხალხიც ქართული გვარებით. ამიტომ ყველამ უნდა დავიმახსოვროთ – რა არის ქართველობა.

მკითხველისათვის, იმედია, გასაგებია, რომ იბერიელობა და ქართველობა ერთი მცნებაა, ისევე, როგორც ებრაელობა და იბერიელობა, ჩეჩნობა და იბერიელობა, ირლანდიელობა და იბერიელობა და ა.შ.

უპირველესად უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენ ერთ–ერთი ისეთი მისიონერი ერი ვართ, რომელიც სიკეთის ციტადელია ღვთის მიერ ბოძებული სიტყვის, ენის საფუძველზე...

ჩვენს წინააღმდეგ ათასგვარ სასჯელს იგონებდა და იგონებს ბოროტება. იმპერია ჯერ შიმშილით შეეცადა ქართული სულის გადაგვარებას, შემდეგ უღმერთო საზოგადოებაც კი შექმნეს, დღეს გაუსაძლისი შიმშილი აღადგინეს, მაგრამ უფლის, მოყვასის სიყვარული ვერ ამოძირკვეს. იბერიელობის გამო ბოროტების მიერ იდევნებიან ბასკებიც, ირლანდიელებიც და სხვანი. უფრო მეტიც როგორც კი შემოვიდა იმპერია საქართველოში, ორი მიზანი დაისახა: ღმერთის მოცილების გარდა, იბერიელთ ქართველთა – ებრაელთა — მთის იბერიელთა დაპირისპირება. ჯერჯერობით მხოლოდ აფხაზები დაგვიპირისპირდნენ, ესეც დღევანდელი ხელისუფალის მოღვაწეობის შედეგია.

## 1.1.5. მარადიული სიყვარულის ათი სი–ტ–ყვა

ნებისმიერი სიტყვა, ციური გამჩენიდანაა. ჩვენ ვიცით რომ მისი ნებით ათი ციურით სრულდება ყველანაირი ციკლი. თუნდაც სამყარო ათი ქმედებით რომ შექმნა. აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ უფლის ნებით ენაში უნდა იყოს ისეთი ათი სიტყვა რომელიც ბაზისი იქნება მიწათმოქმედების, ისევე როგორც ათი მცნება ბაზისია ბიბლიის, საერთოდ ზნეობრივი ცხოვრების წესის, ან ციური 10 ბაზისია ყველა რიცხვისა. ამიტომ შევარჩიეთ ჩვენ ასეთი ათი სიტყვა. შეიცავს თუ არა იგი დასრულებულ ციკლს მიწათმოქმედებისა, ეს მხოლოდ უფალმა იცის. ჩვენ მხოლოდ ჩვენი გონით ვმოქმედებთ სიყვარულისთვის.

ჩვენ გვაქვს ათობითი და ოცობითი ათვლის სისტემა. ამ სიტყვებს სოკრარული მნიშვნელობა აქვს. ისინი კავშირში არიან ათ მცნებასთან. ოცი იმასაც აღნიშნავს, რომ მეორე დიდი მოძღვარი იქნება მესია რაზეც ბოლოში აღვნიშნავთ.

ჩვენს მიერ აღნიშნული იყო ქართული ენის ფუძემდებელი სიტყვების არსებობა სხვადასხვა ენებში, განსაკუთრებით, ებრაულ ენაში. ამიტომ სრული პასუხისმგებლობით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ თითქმის ყველა ენა შეიცავს, განსაკუთრებით, ტოპონომებისა და გვარების სახით, იმ ძირითად ქართული სიტყვებს და მარცვლების ნაწილს რომელზედაც ენაა დაფუძნებული. რაკიღა ღმერთთან მიმავალი სიტყვა იმპერიული მისწრაფების ხალხს აღარ ჰქონდა, მათ შექმნეს საკუთარი კანონები — წინადადებები — თუ როგორ ებატონათ ერთეულებს მილიონებზე. ამის პირველი მაგალითი იყო შუმერეთი და შემდეგ ბაბილონში ჰამურაბის კანონები. როგორ დაისაჯა ეს ხალხი ამის გამო, ჩვენ კარგად ვიცით.

კერპთაყვანისმცემელთა ტრადიცია და ამის შესაბამისად უფლის მიერ დასჯა რომ არ გაგრძელებულიყო, რაკიღა აღრეული გახდა პირველადი ჭეშმარიტი ენა, უფალმა ებრაელებს წიგნთა წიგნი — ბიბლია მისცა, რადგან საჭირო შეიქმნა მიცემოდა ხალხს საკანონმდებლო მასალა, რომლის თარგმნა შეიძლებოდა ნებისმიერ ენაზე. ამავე დროს, ბიბლიაში აღწერილი იყო ისტორია, რათა სცოდნოდათ, თუ რა უზნეობა მოაქვს კერპთაყვანისმცემლობას, ღვთისაგან განდგომას. და, რაც მთავარია, ამ წიგნით ებრაელებმა გაიხსენეს თავიანთი მოდგმა — იბერიული წარმომავლობა, სულიერი მისია. ისინი 40 წლის განმავლობაში უდაბნოში ჩამოყალიბდნენ ბიბლიის ძირითადი 10 მცნებისა და 613 მცნების დამცველ ერად, ანუ აღიდგინეს რა წინაპრების გენეტიკა სრულყოფილად, ღვთის, მოყვასის სიყვარული, გაყოფა და გაცემის სურვილი, ისინი მზად იყვნენ ქანაანში შესვლისას აღედგინათ იბერთა ცხოვრების წესი — მიწათმოქმედება. ამგვარად, ბიბლია მათ უცხო არაიბერიულ მრწამსით გარშემორტყმულ ქვეყნებში აუცილებლად სჭირდებოდათ იბერიული სულის გადასარჩენად.

ბიბლიის სახით ებრაელებს მიეცათ უფრო სრულყოფილი ცნებები ზნეობრივი ქცევისა. ბიბლია მთელ მსოფლიოში გავრცელდა, მაგრამ არც ერთი ერი არ იცავს მცნებებს. ეს განპირობებულია იმით, რომ ისინი ჩანასახიდან პირველად ენას არ ისმენენ. მათ ენაში კი არ არის სიტყვა წამოსული უზენაესიდან. მათი ენა სტიქიურად ჩამოყალიბდა სხვადასხვა ეთნოგარემოში გადასვლის გამო. ამით ისინი აბსოლუტურად მოსწყდნენ მთავარს — იბერიულ მმართველობის წესს და ათასში ერთი სიტყვა თუ აღმოჩნდება, რომელიც სწორი ცხოვრების წესს გვასწავლის. ადამიანს ყოველთვის სჭირდება მასწავლებელი. თუ ენაში არ არის ჩადებული სიკეთე, მიმართულება ზნეობრივი ქცევისა, მაშინ შენი გენეტიკა არ არის სიყვარული, არ იცავ მცნებებს, ზნეობაც გეკარგება და ხორციელი იმარჯვებს შენში.

ამგვარად, ბიბლიამ მხოლოდ ის მისია შეასრულა, რომ იწამეს ერთი ღმერთი და გაჭირვების ჟამს მაინც ახსენდებოდათ ღმერთი. ამავე დროს, რაკი წიგნთა წიგნის ყველა წინასწარმეტყველება ახდა და ებრაელები მცნებების დაუცველობის გამო დაისაჯნენ, ისინიც მიხვდნენ თავიანთ შეცდომებს.

მცნებათა დაცვით ცხოვრების პრობლემა იბერიელებს ნაკლებად აქვთ. ენა ქართული წარმმართველია, ის ყოველ წამს გასწავლის სწორად მოქცევას, ბიბლიაში კი ყოველ წერილმანზე ვერ ჩაიხედავ. ქართულ ენაში ჩადებული სიტყვები შეუცვლელი კანონებია, აქ რასაც ლაპარაკობ, ის უნდა აკეთო, სხვას ვერ გააკეთებ, ასეთ კაცს ჩვენში უპირო კაცს ეძახიან. ეს კაცი სხვაგან უნდა წავიდეს, სხვა ენაზე ილაპარაკოს. დღეს ქართულ ენაში შემოიჭრა სხვადასხვა სიტყვები და ქართული ენა კნინდება. ამიტომ დროზე უნდა ენის სიწმინდეს მიხედვა. ჩაწვდომა უნდა იმ სიბრძნეს, რომელიც ჯერ ისევ ხელის გულზე გვაქვს. სიტყვებიდან: ღმერთი —

ერთობა, ყვა—ყვარება, ენა, ერი, ური, იეერი, ალი, ათი, ოცი და სხვა, უნდა იკითხებოდეს ენის სული. არის რამე ღმერთზე, ერზე, სამშობლოზე, ენაზე, ერთობაზე, სიყვარულზე, 10 მცნებაზე, 10 სიტყვაზე, — მათ ჯამზე 20—ზე, გაყოფა—გაცემაზე უფრო ძვირფასი?

მაინც რა არის იბერიული მოდგმა?

ჩვენი აზრით, იბერიული მოდგმა არის ადამიანთა კატეგორია, რომელნიც მიილტვიან მხოლოდ სულიერი ამაღლებისაკენ. ანუ უფლის სურვილის აღსრულებისაკენ — შეერწყან მას, რათა დაინერგოს მათში გამჩენის ძირითადი თვისებები, 613 მცნება, რისთვისაც ეწაფებიან მხოლოდ ერთი მეცნიერების — ბიბლიისა და პირველადი ენის მის განშტოებეთა იბერიულ ენათა ღრმა — ამოუწურავ აზრთა ჩაწვდომას და მათ დამოძღვრებათა დაცვას.

ეს მოდგმა არის ბიბლიის, ენის სულით ჩამოყალიბებული, ხოლო უზნეობა, სულიერი დაცემა გამორიცხულია. შედეგად ამ მოდგმას ახასიათებს: ნიჭი, ძლევამოსილება, დღეგრძელობა, ერთობა, ცოდნა და სიყვარული იმ დონემდე, რომ მზად არიან თავი გასწირონ უფლისათვის, მოყვასისათვის. ეს განსამღერავს ამ მოდგმის დემოკრატიულ სახალხო პირველკაცთა მმართველობას.

ამგვარად, დემოკრატიულად არსებობისთვის აუცილებელი სიტყვებისგან უნდა შედგებოდეს ენა. ენა კი, მისი სულიერება სრულყოფილად მაშინ ალაპარაკდება, გადმოიცემა, როცა ძირითადი სიტყვა — ძირი ანუ საფუძველი სიტყვის არსისა გამოიყოფა და დამარცვლით წაკითხვის დროს აქცენტი გადაიტანება მასზე. აღდგება ის, რაც ისედაც ხდება ჩვენს გენეტიკურ კოდში, რადგან ეს ჩვენი სულის მისწრაფებაა. ამიტომაა ჩაბეჭდილი მწყობრივი ქცევებით მცნებათა დაცვა. ამიტომაც ცდილობს ბოროტება ჩაგვინერგოს არასრულფასოვნების კომპლექსი და ნიჰილიზმი; უტყუარი დოკუმენტი, სიტყვა ქართული სხვაგვარად წარმოგვიჩინოს ან სულ დაფაროს. მაგრამ ჩვენ სილუსლად გვასწავლის ენა მცნებებს, სწორ ქცევას, რაც უფალმა ჩადო სიტყვაში. ამიტომაც დავისახეთ მიზნად, რომ გამოყოფილი უნდა იყოს 10 სიტყვაც და დანარჩენი სიტყვებიც, რომელნიც ამ ჰარმონიის საფუძველია. განა ბიბლია ბიბლიაა 10 და 613 მცნების გარეშე? ასეა ენაც. იგი გონი — ერია, ანუ გონია ერთათვის, რათა მათ მარადიულად იარსებონ მარადიულ სამყაროში. ამ გონს წვდებოდნენ ქართველი მოაზროვნენი.

განა გონიერება აკლდა რობაქიძეს, როცა წერდა, რომ სიტყვა გამ—ბედავი გვეუბნება თუ გაბედული იქნები, ბედს ეწევიო. გავიხსენოთ სიტყვა სულ—ელიც. სულ რომ ელი, გამბედავი რომ არა ხარ, ხარ სულელი, ბედს არ ეწევი. ეს იგივეა, რაც სიტყვა მორი—დებული ანუ მორიდებით დებული ხარ იმ შემთხვევაში. ანდა როგორც აღვნიშნეთ უსახსრობა უფულობას კი არა მცნებათა არ აღსრულებას დააკავშირებს ნიშნავს. აქედანაა უფულობაც. აი, როგორ გვასწავლის ზნეობას, გვმოძღვრავს ქართული ენა. გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსანი“: ტარიელი როგორ ლიზიანდება, როცა ავთანდილს არ ყოფნის გამბედაობა დაბრუნდეს საქართველოში. ანდა ავიღოთ თუნდაც სიტყვა ბრა—ზიანი და გალი—ზიანებული. ბიბლიით ცნობილია, რომ სიბრაზე კუჭნაწლავის, გულის მუშაობას აზიანებს, იმიტომ რომ ბოროტების წილხვედრია. დაწერილია: „მოიშორე ბრაზი გულიდან და მოაცილებ ბოროტებას შენს სხეულს“. ქართული სიტყვა კი მოკლედ გვეუბნება, ზიანს მოგვიტანსო. მე მგონია, დადგა დრო შევისწავლოთ ყოველი სიტყვა, ჩავწვდეთ, რა რას გვკარნახობს და გამომზიურდება მრავალი დაფარული საიდუმლოება და ვიცხოვრებთ ჰარმონიულ სამყაროში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დედა და წმინდა წიგნები მშობლიურია მთელი იბერიული მოდგმისათვის. ამის მაგალითია ქართველთა თავდადება ბიბლიისათვის და ქართველ-ებრაელთა ზრუნვა ქართული ენის განმტკიცებისათვის. შთამომავალთა დედაენაზე, იავნანაზე აღზრდის დაუოკებელი ჟინი.

ჩამოვთვალოთ ის ათი სიტყვა, რომელიც, ჩვენის აზრით საფუძველია მწყობრივი მიწათ—მოქმედების. იგი ადამიანის ინტელექტუალური განვითარების, სამყაროში ჰარმონიული თანაარსებობის შემდგომი საფეხურია, ათი მცნების უპირობო დაცვის შემდეგ.

1. ღმერთი
2. გაყოფა
3. გაცემა (ჩუქება), გულმოწყალება
4. უფლება
5. სამშობლო
6. ხელოვნება
7. მრავალფეროვნება
8. მდიდარი

9. ერთობა

10. ეროენება

მიჩვეაჩნია რომ, ეს 10 სიტყვა არის ის ძირითადი, რომელიც წარმართველია ზნეობრივი მიწათმოქმედების, ქართული ცხოვრების წესის, მაგრამ არის კიდევ მრავალი სხვა სიტყვა, რომელიც შეიძლება უფრო რეალურად წარმოსახავს ცხოვრების წესის არსს და სხვამ უფრო შინაარსიანად ჩამოაყალიბოს ისინი. ჩვენი სიხარულიც ეს იქნება. მთავარი ერთია, რომ ალბათ ნამდვილად იყო უფლის მიერ მოცემული ასეთი 10 სიტყვა, რასაც ენაც გვიდასტურებს და ამაში მალე დავრწმუნდებით. ღმერთმა ინებოს და ისევ გამრავლდნენ ზესაართან მოლაპარაკე ქართველნი და სრულყოფილად აიხსნას ყოველი სიტყვის არსი.

ამგვარად, მიწ—ათ—მოქმედება ჩვენში მიმართულია ამ 10 სიტყვის დაცვით. ყოველ მათგანს ერთი აქვს საერთო: განაპირობებს უსაზღვრო სიყვარულს, არა მარტო ღვთისა და მოყვასის, ყველა სულიერის — მთლიანი სამყაროსი. პირველი უფალი, როგორც სიყვარულის, ასევე გაყოფა—გაცემის მაგალითია. პირველი სამი სიტყვის დაცვა (სადაც პირველი სიტყვა გვასწავლის, რომ ღ—მ—ერთი ერთია) იბერიული ცხოვრების წესის საფუძველია. შედეგად გვაქვს მონიჭებული უფლება, ანუ უფლის ნება დამოუკიდებლობის და დანარჩენი ექვსი შედეგია ამ უფლებისა.

მაშინ გაქვს სამშობლო, ხელოვნება, მრავალფეროვნება, სიმდიდრე, ერთობა და ეროენება, ანუ ხარ ერი და გაქვს ჰარმონიული თანაარსებობა იმ გაგებით, როგორც ისტორია გვისაბუთებს და ჩვენც ჩამოვაყალიბეთ. რომ აწარმოო ასეთი მიწათმოქმედება, უნდა იყო იბერიელი, უნდა იცავდე 10 და ბიბლიის დანარჩენ მცნებებს, მაშინ გენეტიკაა შენი სიყვარული. სხვაგან ცალკეულ პიროვნებებს ხელეწიფებათ ეს აკეთონ, მაგრამ თუ არ არის იბერიული დემოკრატიული მართველობით მიწათმოქმედება — ბარაქა არ ექნებათ და ათი სიტყვის დამცველნი არ იქნებიან. გამოსავალი ერთია: ცხოვრების წესი უნდა იყოს ბიბლიის მცნებათა დამცველი ენის საფუძველზე. ეს ენა გენეტიკურად აყალიბებს ზნეობრივ მოდგმას. მაშინ იქნება იბერიული მიწათმოქმედება, ერთობა, ერის ვნება, სიმდიდრე, მრავალფეროვნება, ნამდვილი ხელოვნება და სიყვარული მშობლების, სამშობლოსი.

ამგვარად, ბიბლიის მცნების დაცვა ერთა — სახელმწიფოთა პირველი და აუცილებელი ეტაპია. აქ წესრიგდება ღმერთთან და მოყვასთან ურთიერთობები. ხოლო 10 სიტყვით (ჩავთვალოთ ჩვენი ფანტაზიის ნაყოფად რადგან შეიძლება ვცდებით) წესრიგდება, როგორი უნდა იყოს ეს ურთიერთობები რეალური მიწათმოქმედებისას. ანუ რა განზომილებები წარმართავენ არა მარტო ურთიერთობებს, არამედ მთლიანად იბერიული ცხოვრების წესს. რა ღირებულებებია, საჭირო, არა მარტო ურთიერთობისას, არამედ იბერიული დემოკრატიული მმართველობისას, ოჯახის, სოფლის, თემის, ქალაქის, რეგიონის, მთელი იბერიული მოდგმის. ათი სიტყვით ქმედება ზნეობრივი ცხოვრების წესია, მიწ—ათ—მოქმედებაა. როცა ეს მიწათმოქმედება გახდება შენი სულიერი მოთხოვნილებაა — გენეტიკა — ადათი, ისე როგორც საქართველოშია, — აი, მაშინაა შენი თვალები ხილული, მაშინაა სიყვარული, სიწმინდე, ზნეობა, სიკეთე. ტვინი და მასში არსებული ღვთაებრივი სული მეფობს შენში. ეს წესი — შემეცნების ობიექტი — ჰპოვა მესიამ, ტარიელმა, ავთანდილის სახემი. ქართულში ყველა სიტყვა სიბრძნეა, ანუ დამატებითი განმარტებებია 10 სიტყვის საფუძველზე ზნეობრივი ცხოვრების წესის აღსრულებისა, ისევე როგორც ბიბლიაში 613 მცნებაა 10 მცნებისათვის.

ეს ენა იგივე ლოცვაა, იგი ისევე გულით უყვარს ქართველს, როგორც ყველა მორწმუნეს — ბიბლია. ამიტომ თქვა ი. გოგებაშვილმა: „მხოლოდ დედა ენაზე შეიძლება ილოცოს კაცმა გულმხურვალედ".

რომ არ გადავტვირთოთ გამოუქვეყნებელ მასალათა მოკლე შინაარსი ეს თავი განმარტება №2 სათაურით გადავა მასალის ბოლოში.

## 1.1.6. ქართველთა დანიშნულება, ისტორიული მისია ჰარმონიული სამყაროს დამკვიდრებისათვის

ამგვარად, სამყაროს ისტორია მეტი არაფერია, თუ არა ბოროტების, ცხოველური ჩნეობის ბრძოლა სიკეთის, სიყვარულის, იბერიული მოდგმის, საერთოდ ცხოვრების წესის წინააღმდეგ.

მართალია, მცირდებოდა იბერიული მოდგმა მის საზღვრებში, მაგრამ სანამ იცავდნენ მცნებებს, მუდამ გამარჯვებულნი იყვნენ, ყველა იმპერიას ამარცხებდნენ, რადგან ჰქონდათ ღვთის შეწევნა. იმპერიათა დასამარცხებლად საქართველოში მუდამ გამოჩნდებოდნენ მეფენი, რომელნიც სრულიად საქართველოს და კავკასიას, იბერიულ მოდგმას აერთიანებდნენ და შემდეგ ისევ სამხარეო, ანუ რეგიონალურ დემოკრატიულ მართველობაზე გადადიოდნენ. გადადიოდნენ მანამ, სანამ ახალი იმპერიები თავის ძლიერებას არ გადააჭარბებდნენ, რადგან ჩვენს მდიდარ ქვეყანას სასურსათო ხარკის გადახდა არ უჭირდა.

ვერაფრით ვერ ერეოდა ბოროტება იბერიულ მოდგმას, სიკეთეს, რადგან ცოდნა, ღვთის რწმენა ის ნათელი ჩირაღდანია, რომელიც ანათებს და ამარცხებს ბნელეთს. ქართველი სრულად, უშურველად გასცემდა ყველაფერს, ამ თვისების გამო არ მოხერხდა ჩვენში სხვა და სხვა ეროვნებათა და, განსაკუთრებით, რელიგიათა დაპირისპირება. აი, ამ წესში არსებული, სიყვარულზე დაფუძნებული ყოფა, მიაჩნია რუსთაველს გადარჩენის გზად.

ამგვარად, სიყვარული არის შუამავალი ღმერთთან. მისი რწმენიდან, მოძღვრებიდან გამომდინარეობს მოყვასის, მღვდრობითი არსის, მიწა—მამულის სიყვარული.

ამავე დროს, საქართველოში შემონახულია ცხოვრების წესის ის მიმართულებანი, სადაც არის დემოკრატიული მართველობა ქვევიდან ზევით, რაც ბიბლიის ყველა მცნებათა დაცვის საწინდარია.

წინა მასალით დავასაბუთეთ და რუსთაველიც წერს, რომ მესიის გამოცხადებისათვის, ჯერ რომელიმე ქვეყანაში უნდა დაინერგოს ჰარმონიული ცხოვრების წესი, შემდეგ კი ის უნდა განზოგადდეს.

მთავარი მოთხოვნილება არის სიყვარული, გაცემის სურვილი, რაც მიწა—მამულის თანაბრად გაყოფიდან იწყება. რამდენიმე თაობაა საჭირო, რათა ბიბლიის მცნებანი და სიყვარული გახდეს მათი გენეტიკა. არ იყოს დაჩაგრული, არამედ ყველა პირველი კაცი იყოს. რაკილა ენის მცნებანი, მისი სული ანუ ღვთის, მოყვასის სიყვარული ქართველის გენეტიკაა იგი უკვე მზად არის ამისათვის. მზად არის ბუნებაც, ქართული მიწაც. გავიხსენოთ უფალმა ჯერ ცხრა წმინდანში ჩამოაყალიბა იბერიული გენი რომელიც შემმა და იაფეტმა გაამრავლეს. სწორედ ამიტომ ჩვენი მიწა ყველაზე უხვ, მარგებელ და გემრიელ მოსავალს იძლევა. ამავე დროს, იმდენად მდიდარი ვართ წყლებით, რომ მარტო გრუნტის წყლების 20 პროცენტით მთელ მსოფლიოში არსებული დეფიციტის შევსება შეგვიძლია. სხვაგან ასეთ დონემდე მისვლას საუკუნეები დასჭირდება, ჩვენთან კი 2–3 წელიწადში შეიძლება აღდგეს ცხოვრების ჰარმონიული მოწყობის წესი – ანუ სწორი მიწათმოქმედება, რადგან ადმინისტრაციული მოწყობის პრინციპებიც შემონახული გვაქვს. როგორც აღვნიშნეთ, ქართულმა გენეტიკამ ურწმუნო კომუნისტების ეპოქაშიც შემოგვინახა ღვთის მადლი, ბარაქა. თუნდაც ქართული სუფრის მსვლელობა ავიღოთ: აქ ისმება ყველა გაჭირვებულთა შველის, მშვიდობის, სადღეგრძელო, ურთიერთს ეფიცებიან, ჯანმრთელობას, ბარაქას უსურვებენ, ღმერთთან შუამდგომლობენ, რომ ერთმანეთს პრობლემები მოუხსნან, ამიტომ ჩვენში ყველა სახლი ყოველდღიური სიყვარულის დანერგვის ტაძარი იყო.

როცა მაგალითი და საკანონმდებლო მასალაც ექნებათ ბიბლიის სახით, სხვა ქვეყნებიც უმალ გადაიღებენ ამ წესს და დანერგავენ. დანერგავენ, რადგან ნახავენ, რომ აქ ყოველი კაცი უფრო გამართული, ღვთისაგან გასხივოსნებული, ბედნიერი, მდიდარი და ჰარმონიულად მცხოვრებია, ვიდრე მათთან – ერთეული მილიარდელები.

რელიგიები, რომელთაც ნათელი მიზანი ამოძრავებთ, თვითონაც ვერ ხვდებიან, რომ როცა ერთმანეთს უპირისპირდებიან, სიკეთეს კი არა, ბოროტების საქმეს აკეთებენ. წარმოშვეს ყველაზე დიდი ცოდვა – დაპირისპირება. მათ მაინც იციან, რომ თუმც კერპთაყვანისმცემლობა აღკვეთეს, დაპირისპირება აღემატება სამ უდიდეს ცოდვას (კერპთაყვანისმცემლობა,

კაცთაკელა, უმნეობა), ერთად აღებულს. ქრისტიანული და მუსულმანური რელიგია ორ მიმართულებადაც გაიყო, რითაც მთელი გარე სამყარო იქცა დაპირისპირების კერად. ჭეშმარიტება და ღმერთი მხოლოდ ერთია. გადარჩენის გზა რომ ქართული ცხოვრების წესის აღდგენაშია „ვეფხისტყაოსნიდანაც" ჩანს.

ჩვენ ზეციდან თინათინის – შესინის – სულიწმიდას მიერ მოგვეცა სულიერი მზე – მარგალიტი უფლის, მოყვასისათვის თავდადებული სიყვარულის გამო. ამიტომ არ გვცილდება სულიერი მზე დღესაც როცა გაჭირვებაა.

მაგრამ სრულყოფილად რომ აღვიქვათ ეს ნაწარმოები, საჭიროა ერთადერთი ჭეშმარიტი ცოდნის, ღვთიერი კანონზომიერების ჩაწვდომა. უნდა აღვადგინოთ ის ცოდნა, რაც მისაწვდომი იყო ბიბლიის მიმღებ და იბერიულ ენებზე მოლაპარაკე ერთათვის.

## I.2. ზოგიერთი სხვა განმარტებანი გამოუქვეყნებელი მასალიდან გამომდინარე

ისმის ერთი კითხვა, რატომ არაფერი იწერებოდა ქართველებზე? ჩვენ ამაზე უკვე აღვნიშნეთ. ისრაელმა წიგნთა — წიგნის ბიბლიის, სამყაროს ცხოვრების წესის, კონსტიტუციის მიღებით აშკარა ღია ბრძოლა გამოუცხადა კერპთაყვანისმცემელთ, მაგრამ ვერას გახდა. შემდეგ ისინი საქართველომ, რომელსაც უფლის მცნებანი ენაში ჰქონდა კოდირებული, გაშიფრული, შეიფარა და მათაც ფარულად აქედან დაიწყეს მონოთეიზმის გავრცელება. ამიტომაც ქრისტიანდებოდნენ ისინიც და შემდეგ ქართველებიც. შედეგად, არ იყო საჭირო გამჟღავნებულიყო სიკეთის ციტადელი დროზე ადრე. აი, რატომ არ წერია ღიად ბიბლიაში საქართველოზე და რუსთაველმა საქართველო არაბეთში გამოსახა, ისრაელი — ინდოეთში.

რუსთაველი თავის გმირთა სახეებსა და სახელებშიც აიგივებს ქვეყნების, ხალხთა ცხოვრების წესს, რელიგიებს და ღვთიურ არსებებს. ასევე ამ პოემის შინაარსის სრულყოფილად ჩაწვდომა მაშინ შეიძლება, თუ ადამიანს აქვს იმის ცოდნა, როგორ, ან რა კანონებით იმართება სამყარო უფლის მიერ.

უპირველესად, უნდა აღვნიშნოთ ის განსხვავება, რაც არსებობდა გარემომცველ ცხოველურ მიმართულების ქვეყნებს და საქართველოს შორის, სადაც მცნებების დაცვა, ანუ სულიერი მზეობა იყო წარმმართველი.

### სულიწმინდა — შეხინა — ზეციური დედა. მისი ნათელი მადლი.

ოჯახში ქალის და მამაკაცის ურთიერთობიდან იწყება ყველაფერი. აქ ჩანს სახელმწიფოს სახე. საჭიროა გავიხსენოთ, თუ რას ნიშნავს ჩვენი მიწიერი წამება. ნეტარხსენებული ელიავ წინასწარმეტყველის მსოფლმხედველობიდან გამომდინარე (ქართულ—ებრაული სიდურ-ლოცვანი, მალომ დავიდი, თელავივი, 1993 გვ 15—21). იგი გვეძლევა ღვთაებრივი, შემოქმედებითი ენერგიის — ემანაციის გათიშვის გამო. ემანაციის პროცესში მოქმედებს ორი ურთიერთდამაკავშირებელი ფაქტორი. ერთი მამრობითი, ანუ ყოვლად წმინდა, კურთხეული მამამთავრული გადმოსცემს ენერგიას, ხოლო მას აღიქვამს შეხინა, მდედრობითი არსი და გადმოსცემს მიწიერ სამყაროს. ეს კავშირი — შეწყვილება და ენერგია—შუქი, მაშინაა მიწიერი სამყაროსთვის მადლის, სიუხვის, სიკეთის, წყალობის, სილამაზის, კარგი ამინდის მომცემი, როცა დედამიწაზეც არ არის მდედრსა და მამრს შორის კავშირის შებღალვა. ანუ არის ის წმინდა სიყვარული, რაც საქართველოშიც იყო და ისრაელშიც, სანამ იცავდნენ მცნებებს. ამ ენერგიას კაბალისტიკის ენით შეხინას უწოდებენ.

ცნობილია, რომ როცა უფალმა შექმნა სამყარო, შეხინა სუფევდა ყველგან. პირველი ადამიანი სამოთხეში იყო. უფალი სამყაროს განაგებდა შესინით. ანგელოზებსაც კი შეშურდათ პირველი ადამიანისა, როცა იხილეს იგი. მაგრამ პირველი ადამიანის ცოდვებმა დააცილა შეხინა მას. თვითონ კი დაქვეითდა და სამოთხიდან გამოაძევეს.

შემდეგ ჩვენ ვეფხისტყაოსანის განხილვისას დავრწმუნდებით რომ შეხინის დავანებას იმსახურებს ნოე და მისი ორი შვილი სემი და იაფეტი კავკასიაში. რუსთაველს იგი გამოხატული ჰყავს თინათინის სახეში. მაგრამ რაკიღა არ არის ყველგან ის სიწმინდე, რაც პირველი ადამიანის დროს იყო, კავკასია — საქართველო, ავთანდილი მხოლოდ მიჯნურია მისი და სულიერი შეუღლება მოხდება მაშინ, როცა ეს წესი დამყარდება მთელ სამყაროში საქართველოს მაგალითზე. ამ მიჯნურების სიწმინდეს და ლტოლვას შეხინასკენ კი განსაზღვრავს ენა ქართული — უფლის მიერ მოცემული, რომელთანაც სულიერად შეუღლებულია ქართველი ერი ნოეს იაფეტის, სემის შთამომავალი. რატომ სემის, უდავოა, რომ ებერის ძეთა მამამ ჯერ საქართველოში იმოღვაწა, აქ გამრავლდნენ მისი შვილები. შემდეგ, ნოეს ანდერძის თანახმად, იქ გადავიდნენ ისინიც და იაფეტის შთამომავლობაც.

ანალოგიურია შეხინის დავანება ქანაანზე. იგი განაპირობა ჯერ ებრაელთა ერის სიწმინდემ მოსეს დროს უდაბნოში აგებულ კიდობანში, რომელიც შემდეგ დავანებული აღმოჩნდა პირველ ტაძარში იერუსალაიმში. დავანდა შეხინა, იმიტომ რომ აქაც მოხდა სულიერი შეუღლება ებრაელთა ერისა ტარიელისა თორასთან წიგნთა წიგნთან. ანუ ტარიელი ხდება სული-

ერი მიჯნური შეხინისა, ნესტან–დარეჯანისა, რომელიც მაშინ იმეფებს და შეუღლდება ტარიელთან, როცა სრულყოფილად დაიცავენ ბიბლიის მცნებებს /სულიერი შეუღლების არსს ქვემოთ კიდევ განვმარტავთ/.

როცა რწმენა მტკიცეა და არის მცნებების დაცვა, იგი დედამიწაზე ეშვება ანუ იმ ტაძარში დაივანებს, სადაც ერთობაა, ყველა ერთად ლოცულობს. ზვიად გამსახურდია განმარტავს „ტაძარი სავანეა სულიწმიდისა" — ანუ შეხინის, „ხოლო ეკლესია სავანეა ქრისტესი". ამიტომაც ჰქვია იერითულად ტაძარს — ბეთამიკდაში — ანუ სიწმინდის სახლი ებრაელ სინაგოგებს კი ჰქვია ბეითქნესეთი ანუ თავშეყრის სახლი. მათ როგორც სინაგოგას, ეკლესიას, ასევე მეჩეთს აქვს საწყისი და სასრული. მხოლოდ ტაძარს არა აქვს არც საწყისი და არც სასრული, რადგან ტაძრად შექმნა უფალმა მთელი სამყარო და მესიის ერაში აღდგება იგი, ანუ ყველა ერთად ილოცებს.

საყურადღებოა, რომ ოთხჯერ იყო ისრაელში შეხინა ტაძარში დავანებული და ეს ოთხი მისი დავანება ანუ აღმაფრენა ისრაელი ერის მცნებათა დაცვის გამო გასაოცარი სიზუსტით აქვს გადმოცემული რუსთაველს ებრაელთა ერის — ტარიელის ისტორიის აღწერისას. მხოლოდ საქართველოში იყო მუდმივი მისი შუქი ზეციური, ენერგია. რატომ? საქართველოში არცერთი რელიგია არ იდევნებოდა, არ იყო გაყოფა აღმსარებლობით. იყო სიყვარული ურთიერთმეგობრობა. სოლომონმაც, როცა ტაძარი ააგო, მიილტვოდა რომ ყველა მოქალაქეს ერთად ელოცა.

ამგვარად, შეხინას უფლის მიერ წარმოებულ გამუდმებულ გამოვლინებას, შუქს, ენერგიას — ბერძნულად, ქართულად კი — მადლს, უფლის ნებით წარმართავს დიდი დედა, ზეციური მდედრობითი არსი. იგი სრულყოფილად გადმოეცემა როგორც სახელმწიფოებს, ისევე ცალკეულ წმინდა ოჯახებს, თუ არის მცნებების დაცვა. ეს არის დიდი სინათლე.

უნდა აღინიშნოს, რომ შეხინის ფუნქციონალური მიმართულება ემთხვევა იმ მიმართულებებს, რასაც ზ. გამსახურდია გადმოგვცემს თავის შესანიშნავ ნაწარმოებში „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება" სულიწმიდის აღწერისას. იგი ასაბუთებს, რომ ეს არის მდედრობითი არსი, „მსოფლიო სული, ანუ სულიწმიდა, რომელიც ქრისტიანული თვალსაზრისით, ბუნების სულია, მასთან არის დაკავშირებული ვეგეტაცია (რაც სიმბოლიზირებულია სულიწმიდის გადმოსვლის დღესასწაულებზე ქრისტიანული ტაძრების მცენარეულობით და ყვავილებით შემკობით), ამიტომაც აღნიშნავს გამსახურდია, რომ ცრემლი სულიწმიდის მადლია, ანუ როცა ნაწარმოებში გმირთა მიერ ინერგება მნეობა, არის ბარაქა და სიუხვე, ეს ცრემლით გადმოიცემა. მას მოჰყავს გრიგოლ ნოსელის განმარტება. „ალბათ არ შევცდებით, თუ პირველ მიზეზს ჩვენი ყოფისას ვუწოდებთ დედას... სიყვარული და სიკეთე ღვთისა არის წიაღი, საიდანაც ჩვენ წარმოვიშვით", მისივე ტერმინოლოგიით, ღვთის ქველმოქმედება გადმოიცემა სიტყვით „დედა ენა". ამიტომაც სულიწმიდის მნიშვნელოვანი განსაზღვრაა „ცხოველმყოფელი" ანუ სიცოცხლის მომცემი.

ისიც მნიშვნელოვანია, რომ სიტყვები „მიზეზი", „მტრედი", „ღრუბელი", „კაცთმოყვარეობა", „საღვთო სიყვარული", მდედრობითი სქესისანი არიან.

ზ. გამსახურდია (ზ. გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება", მეცნიერება, 1991 წ., გვ. 67, 73) განიხილავს რა სხვა წყაროებსაც, ასკვნის, რომ "სულიწმიდა ნიშნავს მედიატორს". ამავე დროს — „ნუგეშისმცემელს". ნუგეშის ცემა კი განწმენდაც არის, მლხენელიც (გავიხსენოთ რუსთაველის „სულთა ლხენა"), ამავე დროს, „დამსჯელიც არის". იგი გამომდინარეობს ალბათ ელია წინასწარმეტყველის ცნობიერებიდან, როცა განიხილავს გვიანდელ იუდაიზმს და ასკვნის იგივე მისიას სულიწმიდისა: „ვითარცა მედიატორი, შუამდგომელი კაცსა და ღმერთს შორის", რაც შეხინას მისიაც არის. გამომდინარე იცხაკ დავიდის ნაშრომების მტკიცებიდან, რომ ელია წინასწარმეტყველი საქართველოდან იყო (ი. დავიდი, ჩანაწერები, თელავიევი ტ. 2. გვ. 22. 15) (იქვე 68 გვ.). ამიტომაც ჩვენ უფრო ხშირად ადრინდელ, ელიასეულ ტერმინოლოგიას დავეყრდნობით.

ამგვარად, შეხინა — სულიწმიდა ეს იგივეა, რაც ღვთის ქველმოქმედება. ეს ქველმოქმედება აიხსნება პირველადი ენით — სიტყვით. ამავე ენით ჩვენ მივისწრაფით დავიცვათ მცნებები, დავნერგოთ ჩვენში უფლის თვისებები. იგივე ლტოლვა ქველმოქმედებისაკენ სიხარულს იწვევს ზეცაში და გვეძლევა მარადიულობა შეხინის მეშვეობით. ეს არის აგრეთვე ნუგეში უფლისა. გავიხსენოთ ბიბლია, შესაქმე, 5.29, „უწოდა მას სახელად ნოე ანუ ნოასი (ნუგეში), ამ თქმით: ეს გვანუგეშებს ჩვენ შრომასა და ჩვენს საგანჯველში ამ მიწაზე, რომელიც დაწყევლა უფალ-

მა". ამგვარად, ენა ქართული „დედაენა" ხდება მედიატორი უფალსა და იბერიულ მოდგმის ადამიანებს შორის. იგი არის ის ნუგეში, რომელიც განწმენდს ადამიანებს და დასჯის კიდეც თუ შებღალავენ მის სიწმინდეს. ე.ი. დედაენა, მისი სიწმინდის დაცვა, იმსახურებს ზეციურ მღვდლობითი არსის მიერ გამოვლინებულ შეხინის ნათელს, რომელიც იმისდა მიხედვით, როგორ ვიცავთ ენის სიწმინდეს, გვაძლევს ჩვენ ბარაქას, ამინდს. თუ საჭიროა გვსჯის, რათა არ დავცილდეთ ენის სიწმინდეს.

როგორც ვიცით, ენის სიწმინდე დაფუძნდა იბერიაში ნოეს მიერ. მთელი იბერია შეიქმნა სიწმინდის სახლად ტაძრად და მის მერე აქვს იბერიას შეხინის — სულიწმიდის ნათელი. ნაწარმოებში იგი თინათინის სახელშია გამოხატული. მოგვიანებით კი თორის, ბიბლიის სიწმინდე დაფუძნდა ებრაელებში და მათაც ჰქონდათ შეხინის ნათელი. ამიტომაც ნაწარმოებში მას ნესტან–დარეჯანი ჰქვია.

იუდაიზმის და ქრისტიანობის ერთი და იგივე მიზანიც ნათლად ჩანს, თუ ამ ტერმინს ერთ სახელში გავაიგივებთ. ქრისტიანული რელიგია აღიარებს ერთარსება სამებას: ღმერთი, ძე ღვთისა და სულიწმიდა — ე.ი. ძე, რომელშიც გადმოვიდა სამუდამოდ სული წმიდისა.

თუ ადამიანი იცავს მცნებებს ენის ან ბიბლიის საფუძველზე, მასზე იქნება გადმოსული შეხინის ნათელი, სული წმიდა. ამავე დროს, საბოლოო მიზანი იუდეველთა და ქრისტიანთა გახლავთ ის, რომ ცხოვრების წესი იყოს ისეთი, სადაც ყველა ადამიანი იქნება ზნეობრივი, ანუ იქნება გაყოფა, იქნება სიყვარული და გაცემის, სტუმრის მიღების უდიდესი სურვილი, როგორც საქართველოში იყო. შედეგად შეიკვრება ზნეობრიობის წრეში შემოქმედთან შეხინის მეშვეობით. მაშინ ზეციური დედა, სრულყოფილად გამოავლენს უფლის ენერგიას — შეხინას — სული წმიდას, რათა დედამიწაზე იყოს ბარაქა და ყველა სულიერის ჰარმონიული თანაარსებობა, ანუ იქნება ადამიანთა ზნეობით გამოწვეული ერთობა შემოქმედს, ზეციურ დედასა და ადამიანთა შორის. ამაზე ლოცულობენ ებრაელები დღენიადაგ, რადგან მესიის მიზანიც ეს არის. მაშინ ჩვენი თვალი და გონი ხილული იქნება.

## სულიწმინდა — შეხინა და ადამიანის სახის ნათელი, მეიდსანთლით გასხივოსნებული

როგორც აღვნიშნეთ, როდესაც ადამიანებმა დაიწყეს შემეცნება ბოროტისა და კეთილისა, მათ შერყვნეს სულიერი ჭურჭელი, ანუ თავი, რომელიც განასახიერებდა რწმენას და, ტანი, რომელიც განასახიერებდა სურვილს — სხვებზე გაცემისა. პირველი შეიცვალა მისწრაფებით ცოდნისაკენ, ანუ თვითონ, თავის ჭკუით ღვთიური კანონების უგულებელყოფით მოიყვანოს ადამიანმა ნაყოფი, რის შედეგად გაცემის სურვილი შეიცვალა მისწრაფველობით, რაც შეიძლება მეტი მიითვისოს. ადამიანი მოშორდა ცხოვრების ხეს, სამოთხეს, ღვთაებრივ ცნობიერებას. მან დაკარგა კავშირი ღმერთთან, ღვთაებრივი სულის მეშვეობით. მისი ჭვრეტის უნარი — მისი სულიერი თვალები „უნათლო" ხდება. ცხოველური სული გამგებლობს მასში, შედეგად იგი აღარ არის უკვდავი, თანდათან მომძლავრდა დაავადებები და შემცირდა მოსავალი, სიცოცხლის ხანგრძლივობა.

სულიწმიდა, იგივე შეხინა, არის ანგელოზებზე უფრო მაღალი გამოვლინება, რომელიც უდიდეს სიმშვენიერეს და სინათლეს გამოსცემს. მისგან ნათელის მიღების ღირსნი კი როგორც აღვნიშნეთ, ზნეობრივი ოჯახებია, მაშინ მიწაც სრულყოფილად იღებს მას. სამწუხაროდ, სამყაროში დღეს ჭარბობს ცოდვები, რის შედეგადაც ზეცაში გამოვლინებულია ღრუბლები და არ აძლევს საშუალებას ამ სინათლეს დედამიწაზე სრულყოფილად წარმოქმნან დოვლათი, ბარაქა. ან მზის ზედმეტად ცხუნებაა. არის ასევე უწყლობაც. მეცნიერები ამ სულთა გამნათლებელ სულიერ მზეს — სინათლეს ფოტოსინთეზს უწოდებენ, ანუ იმ ფოკუსს, რომელსაც შეუძლია გარდაქმნას დაბალმოლეკულური ნივთიერებები ისეთ მაღალმოლეკულურ ნივთიერებებად, როგორიცაა მცენარე — ადამიანთა საკვები. როცა ადამი ედემში იყო შხინა დავანებული იყო დედამიწაზე. შეცოდების მერე ავიდა ის ზევით, მარა მაინც იყო იმდენი საკვები რომ წარღვნამდელ მოსახლეობას ერთხელ დათესილი 40 წელი ყოფნიდა. ამგვარად, მოსავლის სიუხვე, გემრიელი, მარგებელი ნაყოფი, დამოკიდებულია ჩვენს ქცევებზე. არავითარი არაორგანული, ქიმიური, ბიოქიმიური და მიკრობიოლოგიური მეცნიერების განვითარება, სურსათის მოყვანა–გადამუშავების საქმეში არ არის საჭირო. ამით უფრო ეცემა და იწამლება მოსავალი. არის ამინდის გაუარესება, მიწების ეროზია.

მენორა არის შვიდი სანთელი. ეს არის ადამიანის სახის აგებულება, მისი სახის ნათელი შეხინა მაშინ არის, როცა ის იცავს მენორას პრინციპს. ქართულად მ—ენ—ორა ასე შეიძლება გაიშიფროს: მამამზეციერის ენა არის ორი შუქი ნათელი, ანუ კონცეფცია ზნეობრივი ქცევისა.

ახლა გავშიფროთ რატომაა სახე მენორა, პირველი სანთელი არის ენა, მერე მოდის ორი ცხვირის ნესტო, ორი თვალი, ორი ყური, სულ არის შვიდი. აქედან ენას განსაზღვრული აქვს მხოლოდ ერთი სანთელი, მაშინაა მენორა ნათელი. ერთპიროვნება არის ერთობის საფუძველი, ორპირობა მენორაში გამორიცხულია. ამას ქართული ენა გვიდასტურებს. ორპირი, ანუ ჭორის მოყვარული ხომ სალანძღავი სიტყვაა და მართლაც ჭ—ორი ასე გაიშიფრება: ჭ—ჭირი ექნება მას, ვინც ორპირია, ჭორიკანაა. ცხვირით შეიძლება ორი სუნი იყნოსო, მაგრამ თუ ადამიანის ენა უფლის მიერ მოცემულ პირველად ენაზე სწორად ლაპარაკობს, არ არის ორპირი, ის კარგისკენ წავა, კარგს იყნოსებს და კარგად იელის მუდამ. ასევეა თვალები, ის კარგის ყურებას შეეცდება და კარგსაც დაინახავს მუდამ. თუ ენა სწორად ლაპარაკობს და ყურებიც კარგს ისმენს, ცუდს არ იგონებს, ცუდს არ დაინახავს და არც მოისმენს. ასეთი კაცი სახელოვანი იქნება, სიტყვა სა—ხელი ყალიბდება — სა—სახით ანუ კეთილსიტყვაობით პირისა და ხელით მოქმედებით. სწორი გარჯით — მიწათმოქმედებით, რადგან ხელიც და სახეც სე—ს შეიცავს. ამასვე აღნიშნავს სიტყვა — სასა—ხელო. სიტყვა სა—მართალიც სახით მართალს ნიშნავს. სახე მენორაა ყველაფრის წარმმართველი.

უფალს უყვარს მართალი, ამბობს დავითი ფსალმუნებში. ეს მაშინ ხდება როცა თორაა — ენაა ადამიანის სულის კონსტიტუცია. მათი, უფლის დამოძღვრებათა ტყვეა ღვთაებრივი სული. ადამიანი მაშინაა ჩვენთვის შეუცნობელ ჰარმონიაში. ანუ ტვინი წარმართავს ჩვენ ქცევებს და არა მუცლის მოთხოვნილება ცხოველური სული. მაშინ აქვს ადამინის სახეს ნათელი — შეხინა, ანთია შვიდივე, ყველა სანთლები. როგორ? ენას აქვს ორი სარქველი: კბილები და ტუჩები. ენა გადმოცემს იმას, რასაც ისმენს, ხედავს და იყნოსს ადამიანის ყურები, თვალები და ცხვირი. მაგრამ ეს ინფორმაცია ჯერ ტვინს გადაეცემა. მანამ ტვინი ბრძანებას გასცემს კბილები და ტუჩები კეტავენ ენას. ტვინი და ღვთაებრივი სული მხოლოდ კარგს ისმენს, ხედავს და იყნოსს. უზნეობა სიბინძურე მათთვის მიუღებელია. და ენაც სიყვარულს, მშვიდობას, სიკეთეს თესავს.

ამგვარად, თორის ენის შუქით განათლებული გონება ქმედებამდე აზრის წარმოთქმამდე ტვინით შვიდ გონიერების სანთელს ანთებს. ინთება ანბანის ბგერებიც სახეზე. ბგერები თანასწორობის სიკეთისა სიყვარულისა და პირი მხოლოდ სიკეთეს ლაპარაკობს, სიბრძნე აქვს და მშვიდობას, ერთობას თესავს ადამიანი. ასეთი ადამიანი უყვარს უფალს და შეხინა — სულიწმიდაა გადმოსული მასზე. ამის გამო ამ კაცის სახეს, მისი სანთლები ანთებენ, ენერგიას და გადმოსცემენ. ორპირი კაცი ასეთ კაცს ვერ დაელაპარაკება. მისი შუქი ენერგია დასწვავს მას. უფალს აქვს უსასრულო სიბრძნე და მას აქვს უსასრულო ნათება. ამიტომ იყო რომ მოსე თორის მცოდნე სიწმინდის და პატიოსნების სახე ელაპარაკებოდა მას, მეტი ვერავინ ისრაელთაგან. ხოლო მოსე როცა ისრაელებს ელაპარაკებოდა, მათ პირბადე ჰქონდათ აფარებული, რადგან ვერ უძლებდნენ მის შუქს. ასეთი ნათელი ჰქონდათ, ვიცით, ტარიელს, ავთანდილს „ვეფხისტყაოსანში", რასაც ქვემოთ ავღნიშნავთ. ისინი თორის ენის მცოდნენი სამყაროს ანათებდნენ. ავთანდილთან საუბრობდნენ ვეზირი მისი ყმანი — სხვა სახეები. ანუ საქართველოში მრავალი იყო, რომელზეც გარდმოსული იყო შეხინა, სულიწმიდა, მათი ნათელი, ანუ ჰქონდათ სიბრძნე, ზნეობა. აი რა მნიშვნელობა აქვს მენორას და ვის ექნება სახეზე შეხინის სხივოსნება.

რაბი მოშე ვეისმანი ნაწარმოებში — თორის კომენტარები — იგავარაკებით გადმოგვცემს: ერთერთი სახელმწიფოს დედოფალი ეწვია სოლომონს, რათა დარწმუნებულიყო მის სიბრძნეში. როცა მრავალჯერ დარწმუნდა, მან უთხრა: ოცდაათ ბავშვში მხოლოდ ერთია მონათლული და გამოიცანი რომელია ისო. მაშინ რწმენა ისეთი იყო, რომ ყველა მონათლულში სულიწმიდის ნათელი იყო გარდმოსული. გამოატანინა სოლომონმა რჯულის კიდობანი, სადაც შეხინა — სულიწმიდა იყო დავანებული. მოუნათლავმა ბავშვებმა ვერ გაუძლეს მის მხურვალებას და თავი დახარეს. მხოლოდ მონათლულმა არ დახარა თავი.

ჩვენ ვიცით, ბილამი მოსეს დონის წინასწარმეტყველი იყო, მაგრამ მოუნათლავი და ვერ უძლებდა შეხინის სხივოსნებას. მონათლა, ეს არის კავშირის დამყარება შემოქმედთან. აუხსნა სოლომონმა გაკვირვებულ დედოფალს.

## ებერ-იბერ შეიდი და თორმეტი მხარე – ნათელი სანთელი

სახის შეიდი სანთლის ნათება ერთი პირით, ერთსულოვნებით შეერთებული სახელმწიფო არის ებ–ერი ანუ შვიდი მხარე. ხოლო თორმეტი სანთლის ნათელი – იბერი. ამგვარად, შეიდ სანთელს ემატება ორი ფეხი, ორი ხელი, თავი და ტანი. ერთად არის თორმეტი თუ თავი და ტანი ცალ–ცალკეა, არის ცამეტი.

საერთოდ, როდესაც ძმებში იოსების შტოს ორი მხარე ერგო, არცერთი მხარე არ ერგოთ ლევიტებს. ამ შტოში იყვნენ უდიდესი წმინდანები, მათ შორის მოსეს მამა ამრამი, რომლისგანაც აინთო სამი დიდი სანთელი ნათელი, რამეთუ ისრაელს აქვს სამი გვირგვინი: წინასწარმეტყველნი, მოშეს სახით, ქურუმები–კოენები უდიდეს მცოდნენი და სისპეტაკის გამსახიერებლები მოშეს ძმის აარონის სახით,* და მეფობა მოშეს დის მირიანის სახით. მირიანის შტოდან იყო დავითის დედა ხოლო მამა იუდას შტოდან.

ამგვარად, ეს სამი გვირგვინი, თორის ცოდნით განათებულნი, არიან თავი ისრაელისა ანუ სწორი ლოცვის ამროვნებისა და გნეობისა. ამ გნეობას წარმართავს ღვთიური სული რომელიც ტვინშია. სომ არ შეიძლება ადამიანის ნაწილად ჩაითვალოს. იგი უფლის ნაწილია ამიტომაც ტანი ერთ შტოთი არის წარმოდგენილი. თუმცა თავი აქ წარმართველია ამიტომ მათ ამ შტოს ლევიტებს იდეოლოგიური წინამძღოლობა ევალებოდათ. ისინი იყვნენ იგივე როგორც საქართველოში თავადები ანუ განსწავლულნი და მათ არ ერგოთ მიწა დასამუშავებლად. ისინი ყველა მხარეში თავი იყვნენ. ამგვარად, ებერი არის სახე, ხოლო იბერი მთელი ტანი ადამიანისა.

მთავარი არის სახე, თავი, რომელიც ზეცისკენ მიილწვის და არა ტანი. თუ შეიდი სანთელი უნთია ადამიანს, ინთება თორმეტივეც. თავი აქ უფლის მცნებებია, თორაა, ანბანია. თუ მათით მოქმედებს სახელმწიფოს მეფე, არა აქვს მნიშვნელობა შეიდი მხარე იქნება თუ თორმეტი. ანუ ებერი იქნება თუ იბერი. კვირაში შვიდი დღეა, თუ ამ შეიდ დღეს მოიქცევი ზნეობრივად, ასევე თორმეტ თვეში მოიქცევი ზნეობრივად. ამიტომაა შეიდქიმიანი ჩვენი ეარსკვლავი – იგი შეიდ მხარეს ნათებას ერთ ნათელში უნდა გამოხატავდეს. ამიტომაა მენორას ანუ შეიდ სანთელს რომ ანთებენ ებრაელები.

ამგვარად, თუ ადამიანის სახეს ერთი პირი აქვს, იცავს თორის ენის მცნებებს, ასეთ ადამიანს აქვს შეხინის – სულიწმიდის ნათელი. არის სულიერი მიჯნურება მათ შორის სისპეტაკის, სისუფთავის, ღმერთის მსახურების გამო ორივე მხრიდან. თუ ასეთი ადამიანებისგან შედგება სახელმწიფო ანუ ავთანდილებისგან, (რომელსაც ყოველ დროში ჰყავს ავთანდილი თავი) მაშინ არის მიჯნურობა შეხინის და ქორწილიც მთელი ერისა – ავთანდილის მასთან გარდუვალია.

საქართველოში გენეტიკურად იყვნენ და არიან ასეთი ხალხი სახეები, თუმცა გაფერკმთალებული ამიტომაც ჯერ მიჯნურობაა. ისრაელს დააკლდა ასეთი ხალხი და განიდევნა ნესტანი – შეხინა. თუმც ის ებრაელებს თორის ერთგულების გამო თან დაჰყვება და მრავლდება ებრაელებში ხასები, წმინდანები. ამგვარად, ერთპირიანობა უნდა იყოს შეიდიდან თორმეტ ნებისმიერ მხარეს. ამიტომაც არის რომ ჩვენში მომღერალთა ოპტიმალური რაოდენობა 7–12 ან ცამეტია. ისინი ერთ ენაზე ერთი სიყვარულით შეკრული, ერთ პარმონიულ სიმღერას მღერიან. ყველას თავის წვლილი შეაქვს, არავინ არის გამორჩეული, ან დაჩაგრული. ასეა იბერიის მხარეები, ყველას უსარია, მეტნაკლებობა, ვინმეს დაჩაგვრა არ არსებობს.

კარგი ამინდი და ბარაქიანი, მარგებელი მიწათმოქმედება მაშინაა, როცა ჩვენში, პირველ რიგში, მამაკაცებში მიახლოებით არსებობს ისეთი სულიერი სიყვარული, როგორც უფალს აქვს ყველაფრის მიმართ, რაც შექმნილია დედამიწაზე. განსაკუთრებით მღვდრობითის, მისი, ვინც უფლის მუდმივმოქმედ ენერგიას გარდასახავს ნაყოფიერებაში. ეს ხდება ბიბლიის და ენის პრინციპების დაცვით. ასეთ ოჯახს მუდმივად აქვს შეხინის მადლი. (შემდგომში თუ იქნება ტერმინი შესინა – სულიწმიდა – ზეციური დედა უნდა ვიგულისხმოთ მათში). დედა მიწა, ქალი – დედა, აგრეთვე მდედრობითნი. „თორა–ბიბლია", „დედა–ენა" გვასწავლიან როგორ შევქმნათ სრულყოფილი ოჯახები, როგორ გამოვიყენოთ სრულყოფილად მამაკაცებმა ჩვენი

---

*ქოენები – მოძღვართა ეს ის შტოა, რომელნიც ებრაელთა ლოცვისას ღმერთთან ამყარებენ კონტაქტს. მხოლოდ ქო–ენე–ბს ჰქონდათ და აქვთ უფლება საყდარში მენორის ანთებისა, ანუ მათი ენა სწორად უნდა ლაპარაკობდეს. მხოლოდ ქოენი შედიოდა რჯულის კიდობანთან – საყდარში, სადაც შეხინა იყო დავანებული. უბიწო აზრის გაფიქრებაც კი მათ სიკვდილს იწვევდა.

ენერგია უხეი მოსაელის მიღებისთეის და ზნეობრიეი, ჯანმრთელი მთამომაელობის გამრაელება–აღზრდისათეის.

ამგეარად, მამაკაცის შეგნებიდან იწყება ყეელაფერი. როცა ოჯახში და სახელმწიფოშიც ნაყოფიერების მომცემი მდედრობითი ქალი–მიწა, ბიბლია–თორა, ენა, საყდარი, და ბოლოს, ზეციური დედა უმაღლეს რანგშია აყეანილი და მათი უღრმესი პატიესცემა გეაქეს – მაშინ არის ჰარმონიული სამყარო.

## 1.2.1. ოჯახური სიწმინდის წესი

უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიაში არის ასეთი გაგება — „ოჯახური სიწმინდის წესი". აქ არის ღრმა სიმბოლური აზრი, რადგან არის სიწმინდის და უწმინდურობის კანონები. ეს არ უნდა აურიოთ ჰიგიენის გაგებაში. ჰიგიენური უწმინდურობა მხოლოდ შედეგია სულიერი უწმინდურობისა. სულიერი დაცემა — ეს არის სიკვდილთან კონტაქტი, რამეთუ ის სიკვდილის მომტანი სხვადასხვა დაავადებების გამომწვევია. ავიღოთ კეთრი, მას ხომ სიკვდილი მოაქვს, ან ვენერიული დაავადებები. უწმინდურია ისიც, ვისი სხეულიდანაც თესლი გამოედინება, რადგან თესლის ასეთი გამოდინება პოტენციური სიცოცხლის დაკარგვაა. და თუ ეს გამონაყოფი ჩირქოვანია, მას უარყოფითი გავლენა აქვს მამაკაცის სანაყოფე ორგანოზე, რომელიც სიცოცხლის წყაროა. ამგვარად, უწმინდურობაში ცხოველურობა სულიერ და შემდეგ ფიზიკური სიკვდილი იგულისხმება, ხოლო სიწმინდე სიცოცხლეს განასახიერებს. წმინდა კაცი არ ავადდება. ხოლო თუ ადამიანი უზნეოა, მასში დაავადება ზეციდან ჩაისახება. ყველაზე დიდი წამალი ჩვენი ზნეობაა. ზნეობა, რომლის მასწავლებელი პირველადი ბიბლია და ენაა.

ბიბლია — ესაა მოძღვრება სიცოცხლის შესახებ. სიცოცხლის ხეა იგი მისთვის, ვინც მას მიეკედლება. ჩვენ აღვნიშნეთ ბიბლიას აქვს ორი მიმართულების კანონები. პირველი — რისი გაკეთებაც გევალება და რისი გაკეთებაც გეკრძალება. პირველს ქალიც და კაციც ასრულებს. აკრძალვის კანონები ორ ნაწილად იყოფა. კანონები, რომლებიც დაკავშირებულია რაიმე განსაკუთრებულ დროსთან და რომელიც არაა დამოკიდებული დროზე. მხედველობაში გვაქვს ადგილის, დღის, სიწმინდის პატივისცემა. დროის სიწმინდის კანონების დიდ ნაწილს ქალი არ ასრულებს, ვინაიდან დროის სიწმინდეს იგი თავისივე შინაგანი სამყაროთი გაცილებით უფრო ღრმად, ინდივიდუალურად და ინტიმურად ეზიარება, ვიდრე მამაკაცი. კაბალაში ნათქვამია: „ქალს ცხოვრების უფრო მეტი ესმის, ვიდრე კაცს. ამიტომაც ხშირად ტირის". ქალი მიტომ ტირის ხშირად, რომ მას აქვს სალვთო სიყვარული — კაცთმოყვარეობა. ეს სიტყვებიც ხომ მდედრობითები არიან ისევე, როგორც შეხინა — სულიწმიდა და ცრემლიც მისი ის მადლია, რომელიც ზეციდან მოეფინება ქვეყანას, როცა ლოცვას ცრემლიც ახლავს, ის ლოცვა გულიდან მოდის და მიდის ღმერთთან. სიყვარულსაც, როცა ცრემლი ახლავს, ის ზნეობრივია. ეს ზნეობრიობა კი ქალში კოდირებულია ბიბლიის, ან ენის საფუძველზე. შედეგად დედა არა მარტო მშობელია, სულიერი მკვებავია ჩანასახის, ის ზნეობრივი ცხოვრების წესის აღმასრულებელიცაა. ეს ყოველივე ქართველ, ებრაელ, სხვა იბერიელ მოსახლეობას ახასიათებს. რადგან აქ ოჯახები იმართებიან ბიბლიის და ენის მცნებებით. მამაკაცისგან განსხვავებით, უფლისგან ქალს გააჩნია საკუთარი „ბიოლოგიური საათი", ფიზიოლოგიური პროცესების ციკლურობა, ეს ქმნის შინაგან ბიოლოგიურ რითმს, რომელიც მისი არსებობისგან განუყოფელია. თუმცა ეს შინაგანი რიტმი წმინდაყოფილი არ იქნება, თუ ქალი ვერ შეიგრძნობს დროის სიწმინდეს — ამის ხელის შეშლა კი მხოლოდ მამაკაცს შეუძლია უზნეო ცხოვრების წესის დამკვიდრებით. ცხოვრების წესი კი ოჯახის სიწმინდიდან იწყება.

როდესაც ქალი ოჯახის სიწმინდეს იცავს, ამით განაპირობებს ბიოლოგიური საათის ისეთ მოქმედებას, რომელიც დროის სიწმინდეს შეაგრძნობინებს. ამგვარად, „ოჯახის სიწმინდის დაცვა" ქალს აძლევს საშუალებას ღრმად ჩაწვდეს დროის სიწმინდეს და მას კანონების შესრულების შეხსენება არ სჭირდება. შინაგან რიტმს მოკლებული მამაკაცი დროის სიწმინდესთან გასაზიარებელ მრავალ კანონს უნდა ასრულებდეს. ეს კანონები მას მიიყვანს ქალის პატივისცემამდე, რომელიც ოჯახში სიწმინდის საფუძველია. ამ ოჯახში შეხინაც იბუდებს, შეხინას წყალობა აქვს.

ჩვენ წინა გამოქვეყნებულ მასალაში დავასაბუთეთ, რომ ქართულ ოჯახში ქალი იყო ზნეობის მაგალითი და ამიტომაც ქართულად მისი სახელი ქ—ალი, ალის, ანუ შეხინის ზეციური ალის ენერგიის — მადლის მომტანია. ამავე დროს, ოჯახში ჩქეფს სიცოცხ—ლე. ამ სიტყვის ფუძეც, ცოცხ—ალი შეიცავს ალს. და ბოლოს, უწმინდურობათა გაწმენდა შეიძლება მხოლოდ ბუნებრივი წმინდა წყლით. ებრაულად „მაიმ—ხაიმ" ცოცხ—ალი წყალი, ანუ წყალი, რომელიც შეიცავს გამჩენისგან მოცემულ ალს. ქართულად ეს ითქმის ერთი სიტყვით — წყ—ალი ან წყ—ალობა, სადაც ასევეა მისი ალი, ნაწყალობევი წყალი. ამგვარად, სიწმინდის სამი ნიშანწყალი — „ქალი", „სიცოცხლე—ცოცხალი" და წყალი ქართულად ალს, გამჩენის შუქს შეიცავს. ამიტომაც არის გამოთქმა ჩვენში „ქალი — ქვეყნის თვ—ალი". ეს ყოველივე, ჩვენი ენის სიბრძნი-

დან გამომდინარე, ყველა ქართველის ოჯახშია. იგი დაფუძნდა ჩვენს ოჯახებში ქართული სახელმწიფოს დაფუძნებისთანავე.

ამგვარად, ქალში არსებობს ის პატარა ღვთიური ნაპერწკალი, რაც მის მისწრაფებას სიწმინდისკენ, მცნებების დაცვისკენ გენეტიკურად აყალიბებს. აქედანაა ქართული გამოთქმაც „ღმერთ–ქალიო", რადგან ქალი უფრო მიისწრაფვის დაიცვას მცნებები, დაიბრუნოს ის ცხოვრების ხე, ის სამყარო, როცა ჩვენი თვალები ხილული იყო. ალბათ ამიტომაცაა, რომ ბიბლიური დავითის მთამომავლობა იწყება თამარიდან. აქ სახელს აქვს ძირითადი მნიშვნელობა. ზ. გამსახურდია (იქვე გვ. 137) აღნიშნავს, რომ ბიბლიური სახელი „თამარ" აღნიშნავს „პალმის ხეს", რაც აგრეთვე ცხოვრების ხეს განასახიერებს. თამარი სემის პირდაპირი მთამომავალია, იუდას ძეზე იყო დაქორწინებული და როცა იგი გარდაიცვალა, განგების ნებით ისე, რომ არც თამარმა და არც იუდამ არ იცოდა მოხდა მათი შეწყვილება და აქედან წამოვიდა იესიან–დავითიანთა შტო (რომელთაც განამტკიცეს სჯული ღვთის საქმის განსახორციელებლად დედამიწაზე). ამიტომაც აიგივებს რუსთაველი თამარს ზეციურ მღვდლობით არსთან – შეხინასთან და ეს შემთხვევითი არ არის, რადგან თამარ მეფის ისტორიკოსი და ასევე ჩახრუხაძე, თამარს ადარებს შეხინას. უფრო სწორად, მისი მოქმედება ზნეობრივი სულიერად ერწყმოდა ღვთის შეხინის მოთხოვნებს და იყო წყალობა მათგან ქვეყანაში.

რუსთაველი ღვთიურ არსებებთან მხოლოდ ქალების სახელს აიგივებს. თუ ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი გარკვეული ზნეობრივი, რელიგიური მიმართულების ხალხს და მათი ცხოვრების წესს გამოხატავენ, ამავე დროს, ისინი ერთ, ნოეს ენაზე მოლაპარაკე იბერიელნი არიან, სადაც ტარიელი იუდეური რელიგიაა, ავთანდილი და ფრიდონი – ქრისტიანული და მუსულმანური. (ამაში ნაწარმოების განხილვისას დავრწმუნდებით).

როგორც აღვნიშნეთ, თინათინი და ნესტან–დარეჯანი ამ შემთხვევაში ნაწარმოებში გამოყვანილნი არიან იმ ღვთიურ არსებად, ზეციურ დედად, რომელიც სწორი მიწათმოქმედების, ანუ ზნეობრივი მოქმედების გამო, ხალხს და სახელმწიფოს აძლევს ბარაქას, სიუხვეს, სხვა ხალხს კი სჯის მეტად მწირი მოსავლით და დაავადებებით, რითაც არის გაჯერებული დღევანდელი ბოროტების სამყარო. ამავე დროს, ნაწარმოებში ნესტანი ასრულებს უფლის ნების, იმ გონის ფუნქციას, რომელიც დროის ერთელ მონაკვეთში რამდენჯერმე სწორად წარმართავს რელიგიას (ტარიელის მეშვეობით) – ებრაელი ერის, ფარსადანის მოქმედებას. მაგრამ მაინც ბოროტება იმარჯვებს ისრაელის ქვეყანაში. ვერ მტკიცდება ბიბლიის მცნებანი. საქართველო კი, იმართება რა ენის სიბრძნით, მიილტვის იქითკენ, რომ ეს მცნებები დანერგოს გარემომცველ სამყაროში, იხსნას სხვა ქვეყნები. აქეთკენ მიუთითებს მას ასევე უფლის ნების გამომხატველი თინათინის გონი.

## I.3 სიმბოლიკები

8. გამსახურდია აღნიშნავს (იქვე გვ. 249), რომ თინ–ათ–ინი ძველი ეტრუსკული ღვთაებაა დღისა, ნათლისა და წარმოადგენს სინათლის პერსონიფიკაციას. იგივეს გადმოგვცემს ენა ქართული. ეს სახელი თენებასთან არის დაკავშირებული. ლიტერატურული ფორმაა „თინათი“, რაც ნიშნავს სინათლის ციმციმს, ნათებას, აგრეთვე საბასეული განმარტებით ეს სიტყვა „სარკით, ანუ მისთანათა რაიმე მზის შუქის კედელზე ციალს“, სინათლის სარკისეულ ანარეკლს ნიშნავს, ხოლო სარკე როგორც ანტიურ, ისე შუა საუკუნეობრივ ფილოსოფიაში, საყოველთაო სიმბოლოა გონებისა. ნაწარმოებში მისი ანარეკლი – თინათინი მართლაც არის წარმოდგენილი იმ გონად, რომელიც სწორად წარმართავს ავთანდილის – სრულიად საქართველოს მოქმედებას და ამაში დიდი როლი მიუძღვის სწორი ცხოვრების წესს, მიწათმოქმედებას.სახელ ავთანდილში, რომელშიც ქართული ცხოვრების წესი უნდა ვიგულისხმოთ, შედის „დილი“, რომელიც დილას, ხოლო სხვადასხვა სიტყვებში დილაბნელი, დილღამიანი, დილათევნება, დილბინდი ცისკარს, ადრე დილას, გამთენიას, ალიონს აღნიშნავს. ამავე დროს დილ–ღვაბიანი იმერულ დიალექტში სიმდიდრეს, შეძლებას აღნიშნავს. ამგვარად, როგორც ჩვენ აღვნიშნეთ, ავთა დევნა მოხდება დილის, ნათელის, ცისკრის, ცოდნის ამ სიმდიდრეთა შეტანით ავთა გულებში, კაცობრიობის ბნელეთიდან სადათას ძილიდან გამოფხიზლებით, რაც საქართველოს – ავთანდილის მისიაა. ამ ცოდნის ცისკარი კი სწორი მიწათმოქმედება ცხოვრების წესია. იგი სა–ცოდ–ავი ხალხიდან ავის მდევნელია, რათა გადარჩნენ გადაშენებას. აქეს სულიწმიდის – მეხინის ნათელი, ბარაქა და სიუხვე საქართველოს.

ამგვარად, შესინა დავანებული ქართულ მიწაზე, ნათელ, სრულ ჰარმონიას ქმნის. ამიტომაა ცისკრის ვარსკვლავის ნათება შედარებული თინათინთან („მთვარე ცისკრისა ვარსკვლავსა რა თანა შეესწოროსა, ორივე სწორად ნათობენ.– მოშორდეს, მოეშოროსა“). ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ავთანდილი, ქართული ცხოვრების წესი, ამ ნათელზე თავდავიწყებითაა შეყვარებული. ამ ნათელს განაპირობებს მეორე მდედრობითი – ენა, მისი მცნებანი, აქედან იწყება სიყვარული, ქართველთა მოდგმისა, ავთანდილის.

საყურადღებოა, რომ ასეთი სიყვარული ჰქონდა ტარიელსაც, მაგრამ დაკარგა იგი, ანუ ისრაელი, სანამ ბიბლიის მცნებებს იცავდა, იმსახურებდა ზეციურ ნათელს, მადლს. მცნებების არდაცვა არის მიზეზი ტარიელის ველად გაჭრის. ამას უზენაესი არ დაუშვებს, ამიტომ აგზავნის თინათინი ავთანდილს ტარიელთან, რომ მათ ერთობლივად აღადგინონ სამყაროში ბიბლიის მცნებანი, რათა ისრაელობაც აღდგეს.

ებრაელთა წმინდა წიგნში, თალმუდში ებრაელი ხალხი გამოყვანილია როგორც ხათანი – ანუ მეფე, ხოლო თორა – 19 წლის ქალიშვილი, რომელიც ისრაელ ხალხზე ქორწინდება (მასესხეთ იებამოთ, 63, ფესახიმ, 49; რაბენუ მორენუ ჰაგაონ შმუელ ელიეზერ ჰალევი). ამრიგად, ამ ქორწინებით ისრაელის მეფე ფარსადანი ხდება სწორი მნეობრივი წესი. ამ სულიერი ქორწილის ნაყოფია ის, რომ ებრაელი ხალხი ღირსი ხდება შეხინის დავანების. ამიტომაც ნაწარმოებში იგი ფარსადანის შვილად არის მოხსენიებული. მაგრამ ისრაელის მიწაზე იყო ცხრა მუხლი–მტო. მათ შორის ყველაზე მეტად მცნებებს სარიდანი–ტარიელის მამა იცავდა. ეს იუდეა უნდა იყოს საიდანაც იყო დავითის მტო. ამიტომაც ხდება ტარიელი ნესტანის მიჯნური. ჩვენი აზრით, სახელი ს–არი–დანი ქართულად ასე განიმარტება: სამყაროში არის დარი, როცა იცავ თორის პრინციპებს.

ქართველი ხალხის და ენის შეუღლების შედეგად კი წარმოიქმნება ქართული ცხოვრების წესი – ანუ როსტევანი. აქაც დაიბუდებს ამ სულიერი შეუღლების ქალიშვილი შეხინა – თინათინი, რომლის მიჯნური ხდება ავთანდილი (თუ რას ნიშნავს სახელი როსტევანი, ამაზე ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ). ქორწინების გამო, დავანდა ისრაელში შეხინა ნესტან–დარეჯანის სახით. ხოლო საქართველოში ზეციური არსის, თინათინის ასევე შეხინის ნათელის საფუძველია ღვთის მიერ მოცემული ენა. შეხინა საქართველოს დაარსებიდან არის დავანებული ამ ქვეყანაში ნოეს მიერ, ხოლო, როცა ფარნავაზმა განამტკიცა ენაზე დაფუძნებული ქართული ცხოვრების წესი, მან უფრო მტკიცედ დაიწყო მეფობა.

თორისა და პირველადი ენის მსგავსება, გარდა მცნებათა დაცვისა, იმაში გამოიხატება, რომ ისინი მდედრობითები არიან. ჩვენ ხომ ენას დედაენას ვეძახით. ამ ცოდნას დაუფლებულ ხალხში შეხინის ზეციური მდედრობითი არსის მადლი–ალი იბუდებს, ისევე, როგორც ბიბლიის

მცნებათა დამცველ ხალხში. ამ ორ ერში მდედრი — მდედრობითია, ყველაფრის წარმმართველია.

ჩვენში ყველაფერი არსებითი დედიდან იწყება. მათ შორის უმთავრესი კონსტიტუცია — დედაენაა, რომელიც გვასწავლის, რომ ღმერთი ერთია და უნდა გვიყვარდეს იგი. როგორ მოვექცეთ მეორე მდედრობითს — მიწას, ანუ ჩვენ მკვებავ დედამიწას და საერთოდ ჩვენი ზნეობის განმსაზღვრელ ქ—ალს. ენა ჩვენი სულის ალმაფრენაა, გენეტიკაა და ამიტომაც სანამ ამ ენაზე ვიმეტყველებთ, მდედრობითის სამუდამო სამფლობელო აქვს ჩვენს გულებში.

უფალი ხომ ჩვენს მიმართ ქველმოქმედია. ადამიანებმა მისი ეს ქველმოქმედება, ანუ მისი ენერგია, რითაც ჩვენ ვფუნქციონირებთ, არ უნდა გამოვიყენოთ ურთიერთის დასამონებლად. ჩვენ უნდა შევიყვაროთ ერთმანეთი და ვეცადოთ ქველმოქმედნი ვიყოთ. ამიტომ მოგვეცა მან ჯერ პირველადი ენა — ანუ დედაენა. ვინც ამ ენაზე ისაუბრებს, სიყვარული და ქველმოქმედება მისი სულიერი მისწრაფება, გენეტიკა ხდება. ასევეა ბიბლიაც, თუ დაიცავ მის მცნებებს. ამგვარად ის, ვინც პირველად ენაზე საუბრობს, მისთვის ღმერთის, მოყვასის სიყვარული და გაცემის სურვილი, გენეტიკური მოთხოვნილებაა, ანუ სულიერი ჭურჭელი სავსე აქვს. ამიტომ შესინა, მდედრობითი არსის მადლი მას თან დაჰყვება.

იგივე მდგომარეობაშია ებრაელი ხალხი, სანამ ბიბლიის მცნებებს იცავს.

ფრიდონს არ ჰყავს შეყვარებული. ქვეყანაზე ჭეშმარიტი ცხოვრების წესის დამნერგავი მხოლოდ ორი მდედრობითია — ბიბლია და ენა ქართული. როგორც შემდგომ დავრწმუნდებით, ფრიდონის ქვეყანა საქართველოს მოსაზღვრე — იბერიული მხარეა, ოღონდ მუსულმანური მიმართულებისა. რადგან ის იბერიელია, კავკასიაშია, საქართველოზე გადმოფრქვეული შეხინის მადლი მასაც, ტოლსწორად ეკუთვნის და კიდევ სხვა იბერიული ძნის ქვეყნებსაც სწვდება, რაც ჩანს ნაწარმოებშიც. მათი ენა ხომ დედაენიდან განვითარდა და ისინიც იბერიელები არიან. ისინი გენეტიკურად მიაგებდნენ უდიდეს პატივს მდედრობითს. აუცილებელია ქალის, დედის, მეუღლის ფენომენის, საერთოდ მდედრობითი არსის, მეციური დედის, ბიბლიის, ქართული ენის და მიწის თაყვანისცემა და მიწის თავდაუზოგავი, ერთგული სიყვარული, რომ დაიმსახურო მადლი. ეს ის დონეა, რისი ძალითაც ქალი — სათაყვანებელი პიროვნებაა და ამიტომაც საქართველო, მთლიანად იბერია და ისრაელიც, მუდამ უღალატო ღვთის მსახურების მაგალითის მომცემი იყო.

დღესაც ბევრი სვამს შეკითხვას, რატომ არიან ქართველი ქალები მსოფლიო ჩემპიონები ჭადრაკში და მამაკაცები კი — არა.* პასუხი ერთია. მსოფლიო ჩემპიონობას სჭირდება მრავალ ამქვეყნიურ, ხორციელ ნეტარებაზე უარის თქმა და დაუღალავი შრომა, რაც აქვთ ქართველ ქალებს. ისინი პირველ რიგში დედები არიან, ზნეობრივი ბავშვების აღმზრდელები. მათთვის მთავარი სულიერია და არა ხორციელი. ქართველი კაცი კი ისტორიულად უფრო მებრძოლი სულისაა. მას არ აკმაყოფილებს მარტო ჭკუაში გაჯიბრება. მას ძალაში გაჯიბრებაც სურს და ამიტომაც არის, რომ ჭადრაკში, ან ჭიდაობაში მათი სადარი იშვიათია.

ერთი საყურადღებო ეპიზოდია გასახსენებელი ბიბლიიდან: როცა მოსეს არყოფნის დროს კერპი შეიქმნა, არც ერთმა ქალმა არ მისცა ოქრო. იგი მამაკაცებმა გაიღეს. ამავე დროს, მოსემ პირველად ქალებს შეასწავლა ბიბლია. აი, რატომაა მსოფლიო ჩემპიონები ამ ორ ერში. აი, რას ეძებდნენ ძველ მისტერიებში მდედრის სახელში და კოშკებშიც აშწყვდნევდნენ მათ, მაგრამ ამით სიმდიდრის — შესინის, და მით უფრო, გამჩენის კეთილგანწყობას ვერა ჰპოვებდნენ. ამიტომაა, რომ რუსთაველის სამი მეტად უმაღლესი ზნეობრივი გმირიდან, მხოლოდ ერთ ქვეყანას ხედა პატივი, ჰქონოდა სულიწმიდის — შესინის მუდმივი სიყვარული და წყალობა. ფრიდონის ქვეყანა იბერიულია, საქართველოს მოსაზღვრე და მასაც აქვს სულიწმიდის — შეხინის მადლი, ხოლო ტარიელს კი პერიოდულად. (ჩვენ აღვნიშნეთ რომ ოთხჯერ დაცილდა ებრაელებს შეხინა და ოთხჯერ დავანდა იგი.). ამიტომ ეძებს იგი ამ დროებით დაკარგულ სიყვარულს. იმ სიყვარულს კი მაშინ ჰპოვებს ებრაელობა, როცა სუყველა აღადგენს იბერიელობას — აბრაამობას — გენეტიკურ სიყვარულს უფლისას — მაშინ ის აღიდგენს ცოდნას რომ დაიცვას 613 მცნება — ბიბლია ვისთანაც შეუღლდა. მაშინ ექნება სწორი ქმედება — მიჯნურობა შეხინის — ნესტანის ტყვეობიდან დასახსნელად. პირველად ენაზე მოსაუბრე ხალხის გენეტიკაა მოყვასის, ღვთის სიყვარული, გაცემის სურვილი და მათი სულიერი ჭურჭელი სავსეა. ამიტომაც შეხინა—მდედრობითი არსის მადლი მას თან დაჰყვება. ბიბლიის მცნებების

*თუნდაც 2001 წელს მოზრდილთა ხუთ ასაკობრივ ჯგუფში ხუთიდან სამი მსოფლიო ჩემპიონი ქართველი ქალი გახდა.

დაცეა კი ბიბლიის სწაელით ხდება. ამიტომ ყოეელთეის არ იცაეღნენ ებრაელები მცნებებს, იბერთა მმართეელობის ცხოერების წესს. შედეგად შეხინა – მეორე ტაძრის დანგრეეის შემდგომ გამოეყო ემანაციის წყაროს.

ებრაელთა მიერ ცხოერების წესის აღრეეის, ანუ ურთიერთდაპირისპირების გამო დროებითი გასიიშეა მოხდა, როცა დაინგრა მეორე ტაძარი და მაშინ იყო, რომ შეხინა აღმოჩნდა განდეენილობაში. ეს პროცესი რუსთაეელს ნესტან–დარეჯანის ინდოეთიდან, ანუ ისრაელიდან ებრაელთა განდეენილობაში აქეს აღწერილი.

ამგეარად, ნაწარმოებში თინათინი – გონი – ზეციური დედა, მანამ იქნება ჩეენთან, სანამ არის ენა ქართული. მაგრამ აღარ არის ბიბლიის მცნებებზე დაფუძნებული ცხოერების წესი – ის, რაც დაკარგეს ებრაელებმა. არ არის ეს წესი და არც ისრაელშია შეხინა, ზეციური დედა. იგი განდეენილობაშია და აქაც სწორად აქეს რუსთაეელს სახელი მონახული. ისეე ზ. გამსახურდიას ნაშრომს დაეუბრუნდეთ (იქეე, გე. 263). „ნესთ ან–არე ჯეჰან" ნ. მარისა და ი. აბულაძის განმარტებით სიტყეასიტყეით ნიშნაეს „არ არის ქეეყნად". ამგეარად, ქაჯების – ბოროტების სამყაროს მიერ ამ საღეთო სიბრძნესთან, ანუ ბიბლიის მცნებების დანერგეისკენ მიმაეალი გზა დახშულია და შეხინაც მათ ტყეეობაშია.

## მამრობითი სიმბოლიკები

ტარიელი ამ შემთხეეეაში (ზ. გამსახურდია, იქეე, 265) განასახიერებს სამეფო ინიციაციას. მისი შაეი ცხენი გამოხატაეს საიდუმლოებას, მისტიურობას. ამგეარად, ტარიელი მომაეალი სამყაროს მეფე–მესიაა. საიდუმლოება მისი განსწაელულობაა, ბიბლიის უფრო ღრმა განეითარება – კაბალისტიკაა, ამიტომაც ჰქეია მას ტარიელი. ამ სახელის ახსნაც ებრაელთა ენაში უნდა ეეძებოთ. არიელ – ხომ ლომს ნიშნაეს. ლომგეარი ლოეენება კი იუდას შტოს აქეს დანათლებული, საიდანაც არიან დაეითის შთამომაეალნი, ასო ტ–ს დამატება აქ გამომდინარეობს იქიდან, რომ ტარ კაეკასიურ (კოლხურ) მისტერიაში სამყაროში ღეთაების აღმნიშენელია. ისიც გასათეალისწინებელია, რომ (ზ. გამსახურდია, იქეე, 244–245) არაბულ ენაში, კერძოდ, სუფიზმში ტარ–ის და ელის კომბინაცია გეაძლეეს ტარიელს, საღეთო გზას, ღეთაებრიე ზეციურ საწყისს, ეს სახელი არის აგრეთეე სინონიმი მიქაელისა (ძალი ღეთისა) ამაეე დროს, ტარ–ის შესატყეისი სახელი დარ – მეფობაა – ეს ურთიერთს უკაეშირდება და მესიას უნდა აღნიშნაედეს. მართლაც, მესია სამყაროს შეიძლება მოეელინოს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დაინერგება ბიბლიის მცნებები, ანუ ტარიელის ცხოერების წესი, როდესაც ის ნათარგმნია ყეელა ენაზე. აი, ამის შემდგომ დაბრუნდება – დაიბუდებს ისრაელის მიწაზე შეხინა – ნესტან–დარეჯანი, მიჯნური ტარიელისა.

ამგეარად, უფლის მთაეარი მიზანი შეხინის – ზეციური დედის მიწაზე დაეანებაა. ამიტომ ააგებინა იბერიელებს – ჯერ ნოეს და შემდეგ მოსეს უფალმა კიდობანი. ამით შესინამ დაისადგურა ყეელა იბერიელის და, მათ შორის, ებრაელის გულში ისე, რომ განდეენილობაშიც შეხინა ნამდეილ მორწმუნე ისრაელის გულშია. ამგეარად, ნაწარმოებში ზეციური მდედრობითი არსი გაიგიეებულია ნესტან–დარეჯანსა და თინათინში.

ამის გამო, ნაწარმოებში ნესტან–დარეჯანთან და თინათინთან დიალოგისას მამები ფარსადანი და როსტეეანი ხშირად უფლის ენით ლაპარაკობენ, რადგან მათი დარიგება მხოლოდ უზენაესს შეუძლია.

ისმის კითხეა. რატომ?

ჩეენ აღენიშნეთ, რომ ენის შეუღლება იბერიული მრწამსის მატარებელ ქართეელ ერთან მოხდა ნოეს მიერ. მის მერე ქართეელთა ზნეობა, წარიმართება ღეთიური სულით ენის მცნებებით. ენა და ქართეელი ერთი სულია ერთი სხეულია. ამ ფაქტს საფუძეელი დაუდო ნოეს კიდეე რეა უდიდესმა წინაპარმა. ხოლო ყეელას მშობელი და შემქმნელი თეით უფალია. ამიტომ როსტეეანის სახეში ხან უფალი იგულისხმეეა, ხან ნოე. ხან დიალოგი მიდის ბიბლიური დაეითის შთამომაეალთან, გააჩნია, რომელ ეპოქაში მიმდინარეობს მოელენები და რომელი მეფის სულიერი მრწამსია მეფე როსტეეანში. ძირითადად ნოე და ბიბლიური დაეითის შთამომაეალნი უფლის მიერ ნაკურთხი და მირონცხებული ერთადერთი მტო ხელმწიფეთა არიან ნაგულისხმები. ამ უკანასკნელთაგან მოითხოედა იგი დაეცეა მისი მცნებანი, რათა მეფობა მათი ყოფილიყო სამარადჟამო. მათ ჰქონდათ სახე მის მიერი. ამბობს კიდეეაც ბიბლიური დაეითი 89 ფსალმუნში 25. ჭეშმარიტება და წყალობა ჩემი მასთან არს და ჩემი სახელით

მომაღლდება ღირსება მისი, 28. მეც უფროსობას ვუბოძებ, დედამიწის მეფეებზე უმაღლეს. 30. და აღვნიშნე უკუნისამდე მისი ნაშიერი და მისი ტახტი, ვითარცა დღენი ცისანი.

ამ სიტყვებით ყველაფერია ნათქვამი. უფლის საქმეთა მკეთებელი, მემკვიდრე დედამიწაზე ტახტის მფლობელი დავითია და მისი შთამომავლობა — ვითარცა დღენი ცისანი.

ხოლო როცა მცნებების დაცვა იყო ქვეყანაში, უფალი ასეთ ერს რაცხდა ღირსად, რომ დალაპარაკებოდა შეხინის მეშვეობით. იგი მის მიერვე მოვლინებულ წინასწარმეტყველთ ელაპარაკებოდა ხანდისხან შეხინის გარეშეც. (ნოე, მოსე, დავითი და სხვა). აი, რატომ აქვს ნაგულისხმევი რუსთაველს მეფის საუბარში უზენაესის საუბარი ზეციურ მღვდრობით არსთან. მხოლოდ მათ ჰქონდათ ხელი მწიფე სიუხვის, სიკეთის სრულყოფილად გაცემისათვის. ამ თვალთახედვით, მათი მოქმედება მიახლოებული იყო უფლის მოქმედებასთან და როგორც ისინი განასახიერებდნენ უფლისგან ამ ჩვევას, ასევე მათი ხალხი განასახიერებდა მეფეთა ასეთ ჩვევას. ამ მოსაზრების დასტური პოემის დასაწყისშია:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“.

ბოლო სტრიქონში ლაპარაკია რომ ყველა ადამიანი ხელმწიფეა.

სიტყვა „განსახიერება“ იგივე მნიშვნელობისაა, რაც „სახითა მის მიერითა“. ე.ი. ქართული ენა აქ კანონმდებლად გვევლინება და გვეუბნება, ჩვენ უნდა ვიყოთ მათი განსახიერება, ვისგანაც წარმოშობილნი ვართო. რატომ ჩვენ? იმიტომ, რომ ეს სიტყვა „სახეს“ და „ერს“ შეიცავს. ხოლო „გა“ გამჩენს უნდა აღნიშნავდეს. ამიტომ ყოველი კაცი ხელმწიფე არის, მისგან მის სახიერია. რადგან ის ერის ნაწილია. ხოლო ამ ხელმწიფეთა ხელმწიფე უფლის მიერ მირონცხებული დავითია, რათა ემსახუროს გამჩენს და ხალხს. არავის აქვს უფლება დაჩაგროს, დაიმონოს ის, ვინც უფლის სახიერია — ანუ ხელმწიფეა, მეფეა. ეს უდიდესი ცოდვაა. უზენაესი განსაზღვრავს ჩვენს ქცევას — გადმოცემულს ენასა და ბიბლიაში. ხოლო მეფე კაცთა—მეფეთა ყოველთვის უმაღლესად განსწავლული პიროვნებაა, რომელიც წინამძღოლია და ზნეობრივი ქცევის წარმართველია. იგი მაგალითია ყველაფერში, ომშიც კი.

როსტევანში რომ ნოეს, დავითის სულის მატარებელი საქართველოს მეფენი უნდა ვიგულისხმოთ, ეს ჩანს იმაშიც, რომ როსტევანი თავიდან ბოლომდე ზნეობრივად იქცევა. მართლაც ქართველი მეფენი ისტორიულად იცავდნენ მცნებებს და არ ღალატობდნენ ეროვნულ ინტერესებს, ისრაელის სახელმწიფოში კი ისინი კერპთაყვანისმცემლებიც კი ხდებოდნენ. სცილდებოდნენ მცნებებს. ეს ზნეობრივი არა მდგრადობა შეინიშნება ფარსადანში.

როსტევანი ძირითადად ნაწარმოებში პერსონიფიკაციაა მოხუცი მეფის. ანუ იგი მამაა კაცობრიობის ნოეს სახეში. და თუ ეპოქაა საქართველოში მაგ: ბაგრატიონთა მეფობის, ამ მეფეთა სახეში მაინც ნოეს მისწრაფებაა. მისი სულის მოთხოვნილებაა ნაწარმოებში გადმოცემული.

როსტევანის შესახებ ზ. გამსახურდია ამიტომაც განმარტავს (იქვე, გვ. 256): მოხუცი მეფე, ეს არის კაცობრიობის ძველი ოკულტურული, მისტერიული სიბრძნის პერსონიფიკაცია, რომელიც დაყრდნობილია ძველ ინსტინქტურ ნათელხილვაზე. ამავე დროს, იგი აღნიშნავს, რომ მამა—მეფე, ტრადიციული, ზოგადი მსოფლმხედველობის სიმბოლოა, რომელიც კოლექტიური ცნობიერებიდან მომდინარეობს. მართლაც იბერთა მმართველობა ხომ ხალხურია — კოლექტიურია. როსტევანში განსხეულებულია კაცობრიობის ძველ მისტერიათა სიბრძნე, სულის პირვანდელი მდგომარეობა, განუყოფელი და ერთიანი, ინდივიდუალიზაციის ცხოვრების დაწყებამდე.

ამგვარად, როსტევანი არის ზნეობრივი ტრადიციული წესის მატარებელი მეფე, სადაც არის ერთიანი ხალხური და არა ინდივიდების მმართველობა, ამიტომაც შეხინა დავანებულია საქართველოში. მეფე ფარსადანი, რომელიც ისევე, როგორც როსტევანი, ისრაელთა მრავალსაუკუნოვან ცხოვრების წესს ასახავს, პერიოდულად გვევლინება ზნეობრივი ცხოვრების წესის მაგალითად — ისევე, როგორც ისრაელის სახელმწიფო. როცა ეს ქვეყანა წარიმართებოდა ზნეობრივი ცხოვრების წესით, მაშინ, რა თქმა უნდა, დავანებული იყო ზეციური მღვდრობითი არსი ნესტანის სახით. დიდი ცოდნისა და სიწმინდის გამო ჰქონდათ მათ ღვთის შეწევნა და ამიტომაც იყვნენ უძლეველნი. ისინი განსაზღვრავდნენ თავიანთი სახელმწიფოს ცხოვრების

წესს, რომელიც გარემომცველი სამყაროს გაელენის გამო არ იყო იდეალური, ანუ ისეთი, როგორსაც მოითხოვს უფალი ჩვენგან.

ნაწარმოებში სარიდანი, ტარიელის მამა, ტარიელი ანუ ისრაელის ერი იუდაიზმის, ანუ ბიბლიის, ისრაელის კონსტიტუციის და პირველადი ენის დამცველია. ავთანდილიც, ასევე ენა ქართულის და ბიბლიის, საქართველოს კონსტიტუციის დამცველია, ამიტომ ისინი იდეალური ცხოვრების წესის მაგალითნი არიან. ე.ი., ვინც ჯერ არ მეფობენ. მათი მეფობა (ტარიელი, ავთანდილი) განსაზღვრულია მესიის ერაში, ანუ როცა ყველგან აღმოფხვრილია უზნეობა და ამ წესს შებილწვა არ ემუქრება. დღეს რომ ეს საშიშროებაა, ამიტომ როსტევანიც კი ვერ იცავს სრულყოფილად მცნებებს. როცა ისრაელის მეფემ გადაუხვია ზნეობრივ ცხოვრების წესს, ანუ არ იცავს ბიბლიის მცნებებს, ეს იწვევს ებრაელი ხალხის ტანჯვას, ბნელებს და სხვა, რაც ნაწარმოებში გადმოცემულია როგორც ტარიელის ტანჯვა, ბნელები. ამიტომაც ნაწარმოებში უნდა ვიგულისხმოთ, რომ ისევე, როგორც ავთანდილის, ტარიელის პიროვნება თავის თავში სრულიად შეიცავს ქართველი და ისრაელი ერის ბედს. (ჩვენ ისიც აღვნიშნეთ, რომ სხვადასხვა ქვეყნებში ებრაელთა გენოციდი მაშინ მიმდინარეობდა, როცა ისინი ითქვეფებოდნენ უზნეობაში, არ იცავდნენ მცნებებს).

ავთანდილი და ტარიელი იმეფებენ, მაგრამ ჯერ მოხდება მათი სულიერი შეუღლება, ანუ ქორწინება ნესტანთან და თინათინთან. როცა ისრაელის სახელმწიფოში სრულად იცავდნენ მცნებებს, მაშინ იყო სარიდანი მხოლოდ ერთერთი მხარის მმართველი, ხოლო ტარიელს მთელი ისრაელის მეფის მემკვიდრედ ზრდიდნენ. მაგრამ მათ ვერ შეძლეს ეს, რადგანაც არ ხდებოდა მცნებათა დაცვა. ამიტომაც იტანჯება ტარიელი და შედეგად ისრაელი ხალხიც. ფინალი კი ამ ტანჯვისა მათი დაცილებაა შეხინასთან, სულიერ სიყვარულთან და სამშობლოსთან.

ავთანდილის ტანჯვა სხვაგვარია, ქართველთა მეფენი არ ჩადიან ისეთ უზნეობას, რომ დაიტანჯონ. ამიტომ შესინა არ აკლებს საქართველოს ბარაქას, ჰარმონიას და არ იქცა ეს ქვეყანა ისრაელივით უდაბნოდ. ის იტანჯება მოყვასისათვის, ტარიელისათვის და ორივე ერთად იტანჯებიან გარემომცველ სამყაროს უზნეობის გამო. ზნეობრივი ცხოვრების წესი საქართველოში ბევრად ხანგრძლივია, რადგან ენა ქართული ღვთაებრივი სულის დასაყრდენია რათა ზნეობამ გაიმარჯვოს და ქართველთა გენეტიკაა, ამიტომ ქართველებს მცნებების შესწავლა არ სჭირდებათ. შედეგად გარედან შემოსული უზნეო ცხოვრების წესები ვერ ცვლის ჩვენს ჩვევებს.

საქართველოში ყველა სული უფლის და მოყვასის სასიყვარულოდ ზნეობრივი ქცევისკენაა მიმართული, ერთ–სულო–ვნებაა. სხვაგან ასეთი რამ რომ იყოს, ბიბლია უნდა შეისწავლო. სამწუხაროდ, ბოროტების მსახურნი ცდილობენ ასწავლონ ხალხს უზნეო ლიტერატურა.

## სამი გმირის ცხოვრების წესის გამომსახველი სიმბოლოები

ნაწარმოებში სშირად ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი, ანუ სწორი ცხოვრების წესი შედარებულია სწორ მიწათმოქმედებასთან, რაც გამოიხატება ხან ხეში (კვიპაროსი, ედემის სარო, ალვის ხე), ხან დარში და უღრუბლო ცაში. ამ მხრივ დამახასიათებელია ტარიელის და ავთანდილის შეხვედრა. ეს ორივე ზნეობრივი ცხოვრების წესი — ებრაული და ქართული, წარმართავს სწორ მიწათმოქმედებას.

„გამოეგება ტარიელ, მართებს ორივე მზე დარად,
ანუ ცით მთვარე უღრუბლო მუქთა მოჰფენდეს ქვე ბარად,
რომე მათთანა ალვისა ხეცა ვარგიყო ხედ არად,
ჰგვანდეს შეიდთავე მნათობთა, სხვადამც რისად ვთქვი მე და რად!"

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ სამივე გმირი განსაზღვრავს რა ნაწარმოებში სწორ მიწათმოქმედებას, ანუ ზნეობრივ ცხოვრების წესს, ისინი ასევე შედარებულნი არიან მზეს, მთვარეს, უღრუბლო ცას. ზნეობის გამო ჰქონდათ ძლევამოსილება და ამ მხრივ ლომსაც ადარებს მათ რუსთაველი.

როგორც ზ. გამსახურდია აღნიშნავს (წერილები, ესეები 91, გვ. 220) იესიან–დავითიან ბაგრატოვანთა დინასტიის მეფენი „მორჩნი" ანუ რტონი არიან ცხოვრების ხისა ანუ წესისა, რაც იყო ედემის ბაღში, სანამ ევა შეცოდებდა. ამიტომაც გვხედება ქართველ მეფეთა სიგელ-



ჩ. თ. მლინარაძე

ბჭე წარწერა „დავითის მორჩი“. ამავე დროს ხე ცხოვრებისა, რომლის ძირიც იესეს უჭირავს და რომლის შტოებშიც იესიან–დავითიანია გამოსახული, საყოველთაოდ ცნობილი მოტივია შუა საუკუნეთა ქართულ ჭედურ ხელოვნებაში, ხე ცხოვრებისა გამოსახულია საქართველოს ეკლესიის მთავარ საკათედრო ტაძარზე – სვეტიცხოველზე, რომლის შიდა „სვეტიც აგრეთვე სიმბოლურად ცხოვრების ხეს განასახიერებს“. აი ამ დონის ცოდნა და რწმენა ჰქონდათ ორივეს. ეს ის დონეა, როცა მშვენიერი დარია, შუქი – შეხინა მოეფინება სამყაროს და ცხოვრების ეს წესი რომ დაინერგოს, უხვი მოსავალი იქნება. აქ ნათლად ჩანს ჩვენი ბოროტი მოქმედება როგორ ავნებს მიწას, სამყაროს, ხალხს.

ზ. გამსახურდია ეყრდნობა რა ი. აბულაძეს (იქვე, გვ. 280–281),ასაბუთებს, რომ „ავთანდილის“ არაბული ვარიანტი ნიშნავს „სარწმუნოების ბინას“, სამშობლოს, ბურჯს, მტკიცეს. მისი ყმის სახელი „შერმადინ“ ასევე ნიშნავს სარწმუნოების სინდისს, კდემას, მორცხვობას, კრძალულობას. ასევე ნურადინ არაბულად გაიშიფრება, როგორც ნდობის „სარწმუნოების ნათელი“, ხოლო ნურადინის სამკვიდრებელი მულღანზარზარი, ფრინველთა ქვეყანას ნიშნავს. ფრინველი კი განასახიერებს სულის ზეაღსვლას ზეგრძნობად სამყაროში. ეს სახელი შეიძლება ასეც გაიშიფროს მ–ურ–ღ–ა–ნ–ზარ–ზარი. მ–მუსულმანი, ურ–ურების, ღ–ღვთიური, ა–ადგილსამყოფელი, ნ–ნადირთა, ანუ ცხოველური მისწრაფების ხალხთათვის შიშის ზარ–ზარი. აი, ასეთი შიშის ზარის მომგვრელნი არიან ისინი უზნეოთათვის, რაც დღევანდელი ომითაც მტკიცდება რუსეთთან.

## სამი გმირი და რელიგია

ამგვარად, იბერიული მოდგმა მყარად არის დაკავშირებული რწმენასთან. ავთანდილი – ქართული ცხოვრების წესი სამშობლოა სარწმუნოების, რადგან აქედან გადავიდნენ ებრაელები ქანაანის მიწაზე. ამიტომ საქართველოში მცხოვრები ხალხი შერმადინის სახეში წარმოადგენენ სარწმუნოების სინდისს, აქეთ მისდამი კრძალვა, შიში, კდემამოსილება, მორცხვობაც, ანუ სინდისის ქენჯნაც, თუ გადაუხვევენ ამ წესს.

ასევეა იბერიული მოდგმის მუსულმანური მოსახლეობა, ანუ ფრიდონი. ისინი თავიანთი სარწმუნოების განმტკიცების მაგალითნი არიან. ზ. გამსახურდიაც თავის ნაწარმოებში ამახვილებს ყურადღებას, რომ ავთანდილის სახის ანალიზი წარმოადგენს სწორედ სარწმუნოებას, რწმენის პერსონიფიკაციას ანუ განსახიერებას.

როგორც აღვნიშნეთ და თანდათან დავრწმუნდებით, რუსთაველს ამ სამი გმირის სახეში აღწერილი აქვს სამი რელიგია: ტარიელი – არის პირველწყარო ამ რელიგიათა, იუდაიზმი – ანუ ძველი აღთქმა – თორა; ავთანდილი ქრისტიანობა და ფრიდონი მუსულმანობა. სამივე პირველად ენაზე ქართული ცხოვრების წესზე, ანუ იბერიულ–კავკასიურ მოდგმის წესზეა დაფუძნებული. აქედან გამომდინარე, არცთუ შემთხვევით, ზ. გამსახურდია აღნიშნავს (იქვე, გვ. 249) „სამი საღვთისმეტყველო სათნოების: სარწმუნოების, სასოების და სიყვარულის პერსონიფიკაციები მოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ სამ მთავარ გმირში. ესენი არიან: ავთანდილი (სარწმუნოება), ფრიდონი (სასოება), ტარიელი (სიყვარული). თუმცა ქრისტიანულ მოძღვრებაში ამ სამთაგან პრიორიტეტი ენიჭება „სიყვარულს“, ჩვენ ამაზე დასაწყისშივე ვთქვით, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ რადგან ავთანდილი ქართული ცხოვრების წესია, ხოლო ტარიელი დამატებით წარმოადგენს რელიგიათა პირველ წყაროს, ფრიდონი კი ასევე იბერიული მოდგმის წარმომადგენელია, ეს სამივე თვისება, სამივე გმირისთვის არის დამახასიათებელი, რამეთუ მათი ჩამომავლობის პირველი წყარო არის იბერიული მოდგმა, სადაც ცხოვრების წესში დღენიადაგ მეობდა სიყვარული და იგი ენაზე, ანუ გენეტიკაზე და ცხოვრების წესზე იყო დაფუძნებული. იყო სათნოება და შორს იყო სივავე. ალბათ ამიტომაც სახელი ავთა–ნდილის გაშიფვრის ქართული ვარიანტი ჩვენ წარმოგვიჩნდება როგორც ავთა–მდევნელის, სიკეთის, სიყვარულის დამნერგავის, რა თქმა უნდა, ქრისტიანულ, მუსულმანურ და იუდეურ სარწმუნოების განმტკიცების ხარჯზე. ხომ მხოლოდ საქართველოში იყო ეს სამი რელიგია ურთიერთჰარმონიაში და სიყვარული სუფევდა მათში – ამ სამი რელიგიის ურთიერთსიყვარული და ჰარმონიაა საჭირო და არა დაპირისპირება, რაც აწყობს ბოროტებას.

უმაღლეს სწავლულთა საკრებულოს ბოლო სწავლული, მისი სულიერი ხელმძღვანელი მართალი შიმონი ამბობდა: სამ სათავეზეა დაფუძნებული სამყარო: თორის სწავლებასთან, ღმერთის მსახურებასთან და კეთილ საქმეებთან.

როგორც აღვნიშნეთ, მოსემ მიიღო თორა. ხოლო მან გადასცა იეშუას, იეშუამ გადასცა უხუცესებს, უხუცესებმა წინასწარმეტყველებს, მათაც გადასცეს უმაღლეს სწავლულთა საკრებულოს. ანუ აქ ესმევა ხაზი ჯერ მიღებას და შემდეგ გადაცემას. პირველ შემთხვევაში მოსემ მიიღო და არ გადაეცა. ანუ იგი არ არის უზენაესის დონეზე და ვერ აღითქვა ყველაფერი. მოსემ კი გადასცა სრულყოფილად რაც აღითქვა, ანუ ყველა ეს ხალხი ცოდნის დონით იყვნენ მოსეს დონემდე. შიმონი იყო ასეთი ცოდნის მქონე. იგი იყო განმანათლებელის ფუნქციის შემსრულებელი საკრებულოში ეზრას შემდგომ და, როგორც ნათქვამია, მასავით არავის იცოდა თორა ეზრას მერე.

რატომ იძახის იგი ჯერ თორის სწავლებას, იმიტომ, რომ რაც მიღებულია ის უნდა ისწავლო. არავის არ აქვს უფლება დამოუკიდებლად შეიტანოს ახალი თორაში. წინასწარმეტყველთაც, რომელნიც უდიდეს ინტელექტუალურ ცოდნას ფლობდნენ. შიმონის მეორე მიმართულება. ღმერთის მსახურება სწორედ ამ პირველიდან გამომდინარეობს. ადამიანი ამ მსახურებიდან არ უნდა ელოდეს ღმერთისგან რამე ჯილდოს. განა არსებობს იმაზე დიდი ჯილდო, რაც თორაა. როცა ადამიანი მას სწავლობს და იცავს მის მოძღვრებებს. იგი თვითონ გადაიქცევა იმ დიდ სულიერ ტაძრად, სადაც სულიერი ჰარმონიაა, მშვიდობაა. აღარ არის მასში უწმინდურობა, დაავადებები, ყველაფერში ხელი ემართება, ნათელი აქვს — გონება. მეტი რაღა ჯილდოა საჭირო? ამას მოსდევს მესამე მოძღვრების კეთილი საქმეების შესრულებაც. განა უმდიდრესი არ არის ადამიანი ამით განა ამაზე მეტი ჯილდო არსებობს — აკეთო კეთილი საქმეები. გასცე, გქონდეს ჰარმონია, ბოროტების გადაშენების მაგიერ? სახელ მისად რომ შეგვექმნა ხომ შეგვეძლია ჩვენ ყველა ვიქცეთ მოსიარულე სულიერ ტაძრებად, სადაც სული წმიდა ბუდობს. არის რამე უდიდესი ჯილდო ამაზე?

რაკილა ტარიელში იუდეველთა სულიერი მრწამსი უნდა ვიგულისხმოთ, ტარიელიც მოსეს დონეზე ფლობს თორას, ხოლო როსტევანი, ავთანდილი და ფრიდონი კი ვერ არიან მის დონემდე. ამიტომ მათ უნდა გააგრძელონ თორის სწავლება. რაც შეეხება ბოლო ორს სათავეს — აქ ისინი თითქმის თანაბარ დონეზე მოქმედებენ.

ავთანდილი, ფრიდონი, როსტევანი თორის კანონებს ფლობენ ადამის, ნოეს სწავლებებიდან, ისინი ენით, ზეპირსიტყვაობით გადადიოდნენ შთამომავლობაში. იცავენ 613 მცნებას ეს წიგნთა—წიგნი სამყაროს საფუძველი უმაღლეს ცოდნის დონემდე აქვს აყვანილი ტარიელს. გავიხსენოთ უფალმა მას უბოძა ციციტი ამიტომაა იგი მესია და მისი შუქი ანათებს ყველაფერს.

ავთანდილი — ქართული ცხოვრების წესი, მათგან, ებრაელთაგან ეცნობა ბიბლიის მხოლოდ საკანონმდებლო მიმართულებებს. ეს ინერგება კიდეც საქართველოში ძე. წ. აღ. მე—7—დე საუკუნიდან. მაგრამ „ნოეშ" მოხუცმა მეფემ ეს არ იცის. არ იყო მის დროს იგი ჯერ საჭირო. ისიც უნდა გავიხსენოთ რომ ებრაელები ამ საკრებულოს გადაწყვეტილებით აღრეც ავითარებდნენ სწავლებას და თან იცავდნენ თორას უშნეოთაგან. მაგრამ მაინც იხედებოდნენ მის კანონებში ბოროტი მეცნიერნი და სამყაროს საზიანოდ იყენებდნენ ამ ცოდნას, ასლა ებრაელებმა უფრო უმაღლეს რანგში აიყვანეს მისი სწავლება „იმ დონემდე" რომ მარტო იბერიელნი ჩაწვდნენ. თუ შენი სულიერება არაა მაღალ დონეზე, ვერც თორას და მითუმეტეს კაბალას ვერ შეისწავლი. და ამიტომაც გაასაიდუმლეს იგი.

რატომ უმაღლეს რანგში? მათ ტაძრის დანგრევის შემდეგ დაკარგეს დამოუკიდებლობა ანუ იბერიული ცხოვრების წესი — მიწათმოქმედება. თორას სწავლას კი უნდა დიდი დრო და ჭირნახულობდნენ ისინიც დღეღამეში 20 საათამდე. ქართველები კი განაგრძობდნენ მიწათმოქმედებას. ანუ გენეტიკურ და სულიერ მოთხოვნას იკმაყოფილებდნენ.

ამგვარად, ებრაელებმა დაკარგეს ცხოვრების წესი, მიწათმოქმედება და აღარა აქვთ სულიერი მზე — შეხინის ნათელი. ეს აქვს ავთანდილს — საქართველოს, მაგრამ ებრაელები განაგრძობენ თორის სიბრძნეში ჩაწვდომას. ისინი ეითარდებოდნენ ამ წიგნით თუმცა აკლდათ შეხინა რომელსაც მისტირიან. ამიტომაც დადის ტარიელი ვეფხის ტყავით. გავიხსენოთ „ვეფხის ტყავი არის ძალოვანი და აგრესიული ასპექტი ლომისა მზიურ მნიშვნელობის გამოკლებით. შემის კარვებში ვითარდება იაფეტი და ასრულებს მეორე და მესამე ფუნქციას. მიწათმოქმედებას და იბერიულ ცხოვრების წესს მთელი ერი ახორციელებს. მიწათმოქმედება ღმერთის მსახურებით, მისი წესებით, ლოცვებით იწყება და კეთილი საქმეებით მთავრდება. ამიტომაც იძახდა შიმონი ამას. ამავე დროს მხოლოდ ამ წიგნის უპირობო მიღება გაამარჯვებინებს ავთანდილს, ფრიდონს ბოროტებაზე და დაპირისპირებაც მოიპობა. ეტყობა, განგების

სურეილია, რომ დღეს მაინც ჩაწედეს ხალხი ჭეშმარიტებას და აიცილოს დაპირისპირება, დაიბუდოს სიყვარულმა. ამიტომაც რუსთაველი ნაწარმოების დასაწყისშიეე გვიმხელს თავის საიდუმლოებას. ამას იგი ქართულ, იმ პირველად ენაზე აკეთებს, რომელიც მოდიოდა ღმერთიდან.

„აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება, —
ძალი მომეც და შეწევნა შენგნით მაქეს, მიესცე გონება;
მით შეეეწიენეთ ტარიელს, ტურფადცა უნდა ხსენება,
მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირთ ერთმანეთის მონება“.

პირველი სტრიქონი გვეუბნება, რომ ენა ქართული უნდა გამოთქმად — ანუ სამყაროში სიყვარულმა რომ დაიბუდოს, ენის სულით ჩამოყალიბებული გენეტიკა — ქართული ცხოვრების წესი და მცნებები უნდა იყოს წარმმართველი. ამისათვის საჭიროა ადამიანთა ნება, ამიტომაც ყველა სტროფის ბოლოში ეს სიტყვაა. რუსთაველს კი სჭირდება გული, ხელოვნება, ძალა, ნებისყოფა. სოლო შეწევნა შენგნით მაქესო, ანუ უზესაესი ამას ბიბლიის, ენის მცნებების დაცვის გამო მისცემს, რადგან გონება მას კარნახობს, რომ გვერდში უნდა დაუდგეს ტარიელს, ბიბლიის მიმღებ ებრაელ ერს. ამისათვის ერთმანეთის მონებაა საჭირო, ანუ სიყვარული და არა დაპირისპირება, რისი მაგალითიც იყო საქართველო ისტორიულად, რამეთუ ენა ქართული ნერგავდა აქ ყველას სიყვარულს, განურჩევლად რელიგიური მიმართულებისა. აი, ამ ენის მცნებების დანერგვით ჩვენ შევეწევით ტარიელს, დაინერგება ბიბლიის მცნებები მთელ სამყაროში, შემდეგ მიწათმოქმედება, ათი სიტყვა და „ტურფადცა უნდა ხსენება“, ანუ წარმართველი იქნება მდედრის სიყვარული — ტურფანი და მდედრობითი არსი მოაფრქვევს ცხოველმყოფელ სხივებს, რათა იყოს ჰარმონია, სიტურფე მთელს სამყაროში. ამგვარად, ეს სტროფი გადმოგვცემს პოემის იმ არსს, რისკენაც მიისწრაფვის რუსთაველი. მაგრამ ამაში უშუალოდ ნაწარმოების განხილვისას დავრწმუნდებით. დავრწმუნდებით ასევე ამ გენიალური ნაწარმოების წინასწარმეტყველებით მნიშვნელობაზე და ამავე დროს, იმ უმთავრესსაც ვირწმუნებთ, რომ, თუ ბიბლია არის სამყაროს გადარჩენის, სწორი ცხოვრების წესი, კონსტიტუცია, „ვეფხისტყაოსანი“ ის გზა—მიმართულებაა, კომენტარებია, რომელიც განმარტავს სამყაროს — იბერთა ისტორიას. გვმოძღვრავს როგორ მოვიქცეთ და გვასწავლის როგორ, რანაირად, რა თანმიმდევრობით, როდის და ვის მიერ დაინერგოს ის ცხოვრების წესი, რაც მესიის გამოცხადების წინაპირობაა, რომ მოევლინოს სამყაროს. ანუ სამივე საფუძველი სამყაროსი თორის — ბიბლიის სწავლება, ღმერთის სამსახური და კეთილი საქმეები უნდა განხორციელდეს. ეს უნდა იყოს სამივე რელიგიის მისწრაფება ამიტომ მას მესიანისტური მნიშვნელობა აქვს.

სანამ უშუალოდ ნაწარმოებს განვიხილავდეთ აღნიშნული კუთხით, თავიდან ბოლომდე, საჭიროა ითქვას ორი სიტყვა, რომელი ეპოქიდან იწყება ნაწარმოები და რა არის მიზეზი, რომ დღეს ბოროტების აპოგეაა.

## 1.3.1 რომელი ეპოქიდან იწყება ნაწარმოები, მიზეზი დღეს არსებული ბოროტების ზეობისა

ჩვენი აზრით, პოემაში ავთანდილის, ანუ ქართული ცხოვრების წესის განმტკიცება საქართველოში ემთხვევა პერიოდს, როცა ფარნავაზმა განამტკიცა ენა ქართული და იგი ისევე მტკიცედ გახდა საქართველოს კონსტიტუცია. შემდეგ, პოემაში აღწერილია პერიოდი, როცა ტაძარი მეორედ დაინგრა. ებრაელთა დიდი დიასპორა მოადგა საქართველოს, თავის პირველად სამშობლოს. ეს მათი მესამედ მოსვლაა. პირველად ისინი, როგორც ვიცით, ცოტა აღრე, ძვ.წ.–აღ. მე–8–7 საუკუნეშიც მოვიდნენ აქ ჩამოსულა თითქოს დაკარგული 10 შტო (კირიონ მეორე, იცხაკ დავიდი). შემდეგ მე–6–5 საუკუნეში წმინდა ადგილიდან – წმინდა ადგილზე მცხეთაში და აქ მოითხოვეს „ქვეყანა ხარკითა", ე.ი. მათ ჰქონდათ ამის უფლება და დამსახურებაც.

რუსთაველს ამ სამ გმირს შორის თითქოს ყველაზე მეტად ტარიელი უყვარს. რატომ? ჯერ ერთი ის არის იბერთა მამის იაფეტის უფროსი ძმის სემის შტოდან. ამ შტოდან უნდა მოევლინოს სამყაროს მესია იაფეტის შტოსთან ერთად. მეორეც (ებრაელები) ყველაზე მეტადაა დაჩაგრული. მან ხომ სამშობლო და, რაც მთავარია, რწმენის წყარო, ტაძარი და მიჯნური სულიერ მზე სიყვარულის სიკეთის გულის სულის გამთბობი დაკარგა. მისი მისიაა ქვეყნები იხსნას საშინელი ცოდვისაგან – კერპთაყვანისმცემლობისაგან, რათა არ აღიგავონ ისინი პირისაგან მიწისა. ქართველს, პირველ რიგში, დაჩაგრული ეცოდება, მისი შველა და ლხენა სურს, რაც მისი სულიერი მისიაცაა. ეს ნაწარმოების თავშივე ჩანს:

„მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვღის შეუშრობილი;
მისებრი მართ დაბადებით ვინმცა ყოფილა შობილი!
დავჯე, რუსთაველმან გაველექსე, მისთვის გულ–ლახვარ–სობილი,
აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი".

ამავე დროს, ტარიელი ანუ ებრაელობა იმიტომ გადავიდა ქანაანში, რომ იბერიელთა ცხოვრების წესი, მწეობა დაენერგათ მთელ სამყაროში. ამისათვის მიიღეს მათ ბიბლია უზენაესის ნებით. სიბრძნით ცხოვრების ჭეშმარიტება მხოლოდ ერთია, ორი ჭეშმარიტება არ არსებობს, რადგან არ არსებობს სამყაროში ორი ღმერთი. მხოლოდ ერთი გზა უნდა იწამოს ხალხმა. ენა ქართულიც მხოლოდ ერთია, მეორე ენა არ არსებობს. ღასტურად, როგორც წინა მასალით დავასაბუთეთ, ჩვენში მცხოვრები ქრისტიანები მწეობრივად, ცოდნით, სულიერი კულტურით მეტად მაღლა დგანან სხვა ქრისტიანულ ქვეყნების მცხოვრებლებზე. ასევე მუსულმანები და იუდეველებიც, რადგან მათი რელიგიები ორგანულად შეერწყა მონოთეიზმის იმ საფუძველს, სიწმინდეს, რასაც ნოეს მიერ ქართულ–იბერიულ სულზე, ენაზე დაფუძნებული ცხოვრების წესი ჰქვია.

აი, ამ წესის გამყარება–გამტკიცებას იწყებენ სამი რელიგიის წარმომადგენლები: ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი. ფაქტობრივად, ისინი სამივე მესიაა, რადგან სწორ მიმართულებას აძლევენ ხალხს, სწორად იყენებენ ამ ცოდნის მემკვიდრეობას, რაც ბიბლიაში და ენაშია. ეს მემკვიდრეობა კი, როგორც ვიცით, სწორი მიწათმოქმედება და, რაც მთავარია, უფლის სიყვარული, რწმენა, მდედრის და საერთოდ მდედრობითი არსის პატივისცემაა. ამაზე იყო დაფუძნებული იბერიული (ქათრულ – ებრაული) მწეობა და ყოფა.

ისეთი ქვეყნები, სადაც არის მდედრის სიყვარული, რა თქმა უნდა, უძლეველია და დაუმარცხებელი. ამ დაუმარცხებლობას, მტერთა ძლევას ქართველი ხომ მწეობრივი მოქმედების, უფლის მცნებათა დაცვის გამო აღწევდა, ამიტომ რუსთაველი ამ პოემაში სიბრძნით, ცოდნით, ხორციელი მისწრაფების ბოროტი ხალხის მწეობაზე მოქცევას ხატავს ნადირობაში, ბევრი ნადირის დახოცვასა და კარგად სროლაში. ანუ ცხოველური მისწრაფების ხალხის სულიერი გარდაქმნა – განსწავლულობით ხდება. იგივე უნდა ვიფიქროთ ომის დროს ადამიანთა ძლევისას, თუმცა ხანდახან ფიზიკურ განადგურებას აქვს ადგილი. აქაც ძლევის საწინდარი უფლის შეწევნაა მცნებათა დაცვის გამო. ერთი სიტყვით, ეს ის მიმართულებაა, რასაც ახორციელებდა საქართველო და ისრაელი რეალურად.

პირველ შემთხვევაში ნადირობა მიმდინარეობს იმ ქვეყანაში, სადაც თინათინის გონი მეფობს ანუ იმარჯვებს რწმენა და სიბრძნე, სულიერი ხორციელ ენებებზე. ზ. გამსახურდია აღნიშნავს: „ისართა უცდომელობა სხივთა ტყორცნის მეტაფორაა" (იქვე, გვ. 258), ანუ მონადირე, ამ შემთხვევაში ავთანდილი ისეთი ცხოვრების წესია, რომ, გამომდინარე მღვდრობითი არსიდან, მზის ნათელი სხივები ქმნის ჰარმონიას, სიუხვეს, ამიტომაც ავთანდილი ადვილად ამარცხებს სიბნელეს — ბოროტებას.

ამგვარად, როსტევანისა და ავთანდილის ნადირობაში არის ცოდნის, ცხოვრების წესის, მიმართულების შეჯიბრი, რომელიც საჭიროა ჰარმონიული სამყაროს შესაქმნელად. ამიტომაც იყო, რომ საქართველოსა და ისრაელის მეფეები ომში უძლეველნი იყვნენ. ისინი ფიზიკურად ომობდნენ. ისრაელის მეფენი, ბიბლიური დავითი და მისი შთამომავლობა, როგორც ისრაელში, ასევე საქართველოში, უბადლო მეომრები იყვნენ და თითქმის ყველა ორთაბრძოლაში იმარჯვებდნენ. არც ერთ სხვა ქვეყანას არ ჰყოლია ამდენი მეომარი და მწიგნობარი, პოეტი მეფეები, რადგან სხვები არ იყვნენ ცოდნის, მნეობის გამო უფლის მიერ ძლევამოსილნი. ერთეული შემთხვევები აქ მხედველობაში არაა მისაღები, ამიტომაც რუსთაველის გმირები ცოდნის დონით, ნათელით, სიკეთით, სილამაზით მზესთან გაიგივებული არიან. გავიხსენოთ როგორ აგვიწერს რუსთაველი ტარიელის სწორი მნეობრივი ცხოვრების წესს:

„თხუთმეტისა წლისა ვიყავ, მეფე მზრდიდა ვითა შვილსა;
დღისით ვიყვი მას წინაშე, გამიშვებდის არცა ძილსა;
ძალად ლომსა, თვალად მზესა, ტანად ვჰგვანდი ედემს ზრდილსა,
სროლასა და ასპარეზსა აქებდიან ჩემგან ქმნილსა".

ეს სტროფი ადასტურებს ჩვენს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ ტარიელში უნდა ვიგულისხმოთ ებრაელი ხალხის ბიბლიის მცნებათა დაცვით ნაწარმოები ცხოვრების წესი. მაშინ ისრაელის მეფეები ტარიელის ცხოვრების წესს, ანუ ბიბლიის მცნებებს თითქმის უნაკლოდ იცავდნენ, რაც ჩანს სიტყვებში „გამიშვებდის არცა ძილსა" — აქ რომ ვინმე პიროვნებაზე იყოს ლაპარაკი, დასაძინებლად 15 წლის ბავშვს რომელი არ გაუშვებდა. აქ ლაპარაკია ბიბლიის სწავლაზე, რომელიც დღენიადაგ უნდა მიმდინარეობდეს, იქ ხომ ამოუწურავია ცოდნა. იმის გამო, რომ იცავდნენ მცნებებს, ისრაელს ჰქონდა ლომის ძალა, მზისგან ედემის ბაღის დარი, ბარაქა და ძლევამოსილება ასპარეზობისას. უძლეველი იყო ტარიელიც, ანუ ებრაელთა ხალხიც ლაღობდა.

ამგვარად, ტარიელში თორის მცნებების დამცავი ებრაელთა დიასპორა უნდა ვიგულისხმოთ, რომელთაც დროებით დაკარგეს ცხოვრების წესი, მაგრამ ისინი ბიბლიაზე არიან დაქორწინებულნი და ამ სულიერი ქორწილის გამო ძლევამოსილება, მნეობა, ცოდნა და პატივმოყვარეობა არ დაუკარგავთ. ამ ქორწილის გამოა რომ მათ ცოტა ძინავთ იმისათვის, რომ მეტი ხანი იჭირნახულონ ბიბლიაში. საერთოდ ბევრი მათ ძინავთ, ვინც არასწორად ცხოვრობს. ეს ტანჯავს მათ სულს, ძილში კი სული ისვენებს. ამგვარად, გაუნათებლებს ძინავთ ბევრი. ამიტომ ჰქონდა ტარიელს მწუხარების ჟამი.

მას, ტარიელს — ებრაელ ერს აქვს უდიდესი მისია უფლისაგან დაკისრებული: განავრცონ ცოდნა სამყაროში.

## რატომაა ჩვენი მარტვილობა? მიწიერი წამება

როგორც აღვნიშნეთ, ადამიანის უმნეო ქმედებებმა გამოიწვია ზეციურ შემოქმედებით ძალთა ენერგიის ემანაციის გათიშვა. წინა მასალიდან ვიცით, რომ ადრე თუ დედამიწის სამ თანაბრად დაცილებულ წერტილში მოხდებოდა ამ იბერიული ცხოვრების წესის დამკვიდრება, როგორც იყო ძვ.წ.–ად. მე—10—8 საუკუნეებში ისრაელსა და საქართველოში, მაშინ მესიის გამოვლინებას არაფერი შეუშლიდა ხელს.

ჩვენ ვიცით, რომ მიიღწოდნენ იბერიული ტომები, რომ ეს მესამე წერტილი საბერძნეთი ყოფილიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, მოსულმა ინდოევროპულმა რასამ, კერპთაყვანისმცემელთა მიმდევრებმა იმარჯვეს.

რატომ სამ თანაბრად დაცილებულ ადგილას? იმიტომ, რომ ისინი იმოქმედებდნენ გარემომცველ სახელმწიფოებზე სიკეთით, რომელიც უძლეველია. ეს შეძლო საქართველომ, რადგან

ჩაისახა სიკეთის დერიტა მის ენაში და მას გარს ერტყა მისი ცხოვრების მატარებელი ის იბერიული მოდგმა, რომელსაც ერთი დედა–ენა, ანუ ცხოვრების წესი ჰქონდათ. ისინი ხომ ამ ენისა და ცხოვრების წესის განშტოებას წარმოადგენდნენ.

ებრაელებმა კი ეს ვერ შეძლეს, რადგან გარემომცველი სამყარო არ იყო მათი იბერიული. თუ იბერიული ცხოვრების წესი — მიწათმოქმედება დაკარგე, მაშინ თორა უნდა ისწავლო რომ შეინარჩუნო სულიერება — სულიერ მზე შეხინა, მეორე და მესამე თვისება ღმერთის თაყვანისცემა და სიკეთე. ეს პირველი თვისება — თორის სწავლება კი ყველა ებრაელს არ ჰქონდა. იჭრებოდა მათში უზნეობა, ამიტომაც გაწყდა ემანაციის ძაფი ამ ტერიტორიაზე, დაირღვა ერთობის წრედი ხალხში და შემდეგ შემოქმედთან. ამან დიდი გავლენა იქონია საქართველოზე, რადგან ბოროტთა ძალისხმევა მხოლოდ საქართველოზე გახდა კონცენტრირებული. მოაწყდა სიკეთის ამ ციტადელს ბოროტებით გატანჯული, მისგან დევნილი ხალხი ძვ.წ.–აღ. მე–8 საუკუნიდან. ებრაელთა გარდა, ყველამ შემოიტანა თავიანთ ენაზე დაყრდნობილი უზნეო ცხოვრების წესი — კერპთაყვანისმცემლობა. ილებდა მათ სტუმართმოყვარე საქართველო და როგორც ვიცით, ქართულმა ენამ, მონოთეიზმმა გაუძლო კერპთაყვანისმცემელთა ამ მოძალებას.

ამგვარად შეხინას ტყვეობამ, იერიიულად გალეთობამ დედამიწის ერთ–ერთი ღვთით კურთხეულ ადგილზე გამოიწვია ქვეყნის მარტვილობა, მიწიერი წამება. ეს წამება არ არის მარტო ისრაელ–ტარიელისა. ტარიელი და ავთანდილი, სემი და იაფეტი ხომ ერთი სულია, ერთი სხეულია. ამიტომ ეს წამებაა ავთანდილის და ფრიდონისაც, ანუ პირველად ენაზე მოსაუბრე იბერიელთა, შემდგომში კი ქრისტიანთა და მუსულმანთა, ანუ სამივე გმირის წამებაა, ყველაფერი კი ამ რელიგიათა პირველწყაროდან — ისრაელიდან დაიწყო. ამიტომ არის დღეს ყველა რელიგიათა ერთობა საჭირო, რათა აღადგინოს ისრაელმა თავის ცხოვრების წესი.

სამწუხაროდ, დღეს პირუკუ სურათი გვაქვს. ისინი დაპირისპირებულნი არიან და ურთიერთში კარგის კი არა, ცუდის ძებნითა და მისი გამომზეურებით არიან დაკავებულნი. მთელი ისრაელი ემსხვერპლა დაპირისპირებას და დღეს ბოროტება რომ იმარჯვებს, ჩვენ რომ ვეწამებით, სწორედ დაპირისპირების ბრალია. ამ დაპირისპირების ნაყოფია ვათიშვა, სიძულვილის დანერგვა. რატომ ამბობს უფალი გიყვარდეს მოყვასი, ანუ ახლო მდგომი? ხომ არ გვეუბნება რომ გიყვარდეს მხოლოდ იუდეველი ან ქრისტიანი. თუნდაც ეს ჭეშმარიტება, ანუ ფუძემდებლური მცნება რომ დავიცვათ, მაშინ დაიბუდებს სიყვარული და ურთიერთპატივისცემა.

როგორც ამბობდა ზ. გამსახურდია: „დიდ რელიგიებს უფრო მეტი აქვთ საერთო, ვიდრე დასაპირისპირებელი". სწორედ ასეთი ფინალისკენ მიჰყავს რუსთაველს ეს პოემა — რაშიც ჩვენ ნაწარმოების განხილვისას დავრწმუნდებით — ეს ფინალი კი ქართული ცხოვრების წესია, სადაც ისტორიის მანძილზე ჰარმონიასა და ურთიერთსიყვარულში ცხოვრობდნენ ყველა რელიგიისა და სჯულის წარმომადგენლები. ჯერ ამ ცხოვრების წესის აღდგენაა საჭირო, შემდეგ მისი გავრცელება. მაგრამ ეს რომ მოხდეს, გარემომცველი სამყარო უნდა გარდაიქმნას, მან ბიბლიის მცნებებით უნდა იცხოვროს. ამისთვის იღვწის ტარიელი.

ავთანდილი, ანუ ქართველობა და ებრაელობა, იღვწის სხვაგან გაიტანოს ცოდნა, რათა გარემომცველ ქვეყნებში აღდგეს ზნეობა. მაშინ ისრაელიც აღადგენს აღრინდელ კავშირს შემოქმედთან. რა საოცრად ჰგავს ავთანდილის მოქმედება საქართველოს მოქმედებას, მის იმ სამ ისტორიულ მისიას, რაც წინა თავში აღვნიშნეთ.

თუ რატომ არის საქართველოში დღესაც მღვდრობითი არსის წყალობა, ამაზე უკვე ვთქვით. სანამ ენა გვაქვს, ქართული გენეტიკა, ზნეობა, — ულამაზესი სიყვარული მღვდრისადმი არ შეიცვლება.

დაბოლოს, რუსთაველი რომ მიჯნურობაში დებს ზეციური, სულიერი ნეტარებისკენ სწრაფვას, ეს პოემის ბევრ ადგილას ჩანს და ამაში თანდათან დავრწმუნდებით. ავიღოთ თუნდაც დასაწყისში ნათქვამი:

„მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს, მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიუხვე, სიმდიდრე, სიყმე და მოცალეობა,
ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა.
ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა."

ეს სტროფი ღვთის მიერ მომადლებულ დადებით თვისებებს ჩამოგვითვლის, ადამიანს თუ აქვს ღვთის, ყველა სულიერის მიმართ სიყვარული, იგი თვალად ტურფაა აქვს მეობა. ანუ შეხინის ნათელი და მნეობაც. არის ბრძენი და აქვს სიუხვეც, ყველასთვის მოიცლის, ანუ დროში ყველაფერს ასწრებს — ე.ი. დღეგრძელია. მისი ენის, მცნებების დაცვა მტრებს ამარცხებინებს.

ამიტომაც არის, რომ რუსთაველის პოემაში მიჯნურები მხოლოდ სულიერად წმინდა, ბიბლიის და ენის მცნებების დამცველი, ზეციური მადლით დაჯილდოებული გმირები არიან. ეს მიჯნურობა რომ ამ მადლის გამოვლინებაა, ცრემლში ჩანს.

ზ. გამსახურდია აღნიშნავდა: „მიჯნურობა ცრემლის გარეშე არ არის ჭეშმარიტი მიჯნურობა. აღმოსავლეთის ეკლესიის მამათა მოძღვრებაშიც ცრემლი სულიწმიდის მადლია. წმ. იოანე სინელის კლემაქსის მიხედვით ცრემლის მადლი უტყუარი ნიშანია იმისა, რომ ადამიანის გული ღვთისადმი სიყვარულით არის აღვსილი. მართლაც „თამარს ვაქებდეთ მეფესა, სისხლისა ცრემლდათხეული".

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ამ პოემის თითოეული სტროფი, სტრიქონი და სიტყვა მეტად ღრმა შინაარსის, დატვირთვის მატარებელია. აქ არის უდიდესი საღვთისმეტყველო სიბრძნე, რომლის აღქმა—გაგება მხოლოდ ღვთიურ რჩეულთა ხვედრია.

„ვეფხისტყაოსნის" მრავალჯერადი გადაწერისას იყო მრავალი გამარტივებები, შესწორებები, ინტერპოლაციები" (ზ. გამსახურდია, წერილები, ესეები, 1991, 164) ზ. გამსახურდია მართებულად აღნიშნავდა: „დიახ, ეს იყო ხანა „ვეფხისტყაოსნის" ჯვარცმისა, გოლგოთისა". (იქვე, 166). იგი საიუბილეო გამოცემასაც მართებულად აკრიტიკებდა. ამიტომ სანამ ავტორისეული სული არ აღდგება ამ სტრიქონებში, ძნელია ყოველი სიტყვის დეტალური განხილვა. ეს მხოლოდ ნათელში მყოფთა ხვედრია და იმედია, ასეთ ქართველთ კიდევ მოავლენს ზენაარი ჩვენში, როგორც ადრე არაერთგზის მოუვლენია. ამიტომ ჩვენ მიზნად დავისახეთ მთლიანობაში განემარტოთ, რა მიზანი ამოძრავებდა რუსთაველს ამ ნაწარმოების დაწერისას. რა არის ჩადებული მასში დღევანდელთათვის, რათა მოეგონ გონს. წავიდნენ ამ გზით და იხსნან სამყარო, საკუთარი სულები უდიდესი ტანჯვისაგან, აქ არის, როგორც წინასაუკუნეთა ისტორია, ასევე მომავალი, ანუ როგორ, რა ცოდნის დაუფლებით მოხდება მესიის გამოვლინება. რაც მთავარია, ეს გზა სრულყოფილად ემთხვევა ჩვენს მიერ ნავარაუდევს და თავისი კორექტივები შეაქვს.

ეს შესავალი ნაწარმოების განმარტებისას, განხილვისას უფრო განვეიმტკიცდება. მისი განხილვისას ვნახავთ, თუ როგორ გამოეყო შეხინა ისრაელს მისი მნეობრივი დაცემის შემდეგ, რაც ნაწარმოებში ნესტანის იმ ქვეყნიდან წასვლაში გამოიხატება, ხოლო საქართველოს იგი არ მოსცილებია, მიუხედავად იმისა, რომ ავთანდილი დროებით ტოვებს ამ ქვეყანას. აქ არის ახსნა იმისაც, თუ რატომ არ გამოეყო საქართველოს შეხინა, როცა მან დაკარგა ცხოვრების წესი. რადგან ავთანდილი და ტარიელი განასახიერებენ უმწიკვლო, ბიბლიის და ენის პრინციპების დამცველ ცხოვრების წესს, მათში უნდა ვიგულისხმოთ მომავალი მეფენი სამყაროსი — ანუ მესია, რომელნიც თავიანთი მზითვის თორის და ენის ერთგულნი არიან, რაშიც შემდგომ დავრწმუნდებით. რატომ ენისაც და ბიბლიისაც? იმიტომ, რომ ეს საქართველოს მარადიული კონსტიტუცია გახდა ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე. ამგვარად, ბიბლიური დავითის შთამომავალთ დანათლებული აქვთ მესიის გამოვლინება ქვეყნიერებაზე. ეს არის მათი მისია, ამიტომაც მხოლოდ საქართველოში იმეფეს 10 საუკუნეზე მეტი.

## ტარიელის გამოჩენა ნაწარმოებში

ნაწარმოებში ტარიელი იმ პერიოდში ჩნდება, როცა ისრაელი ხალხი ურთიერთდაპირისპირების გამო დასაჯა უფალმა და აჰყარა საკუთარი ტერიტორიიდან. ესეც ალბათ უფლის ნებით მოხდა, რადგან სხვა ხალხებმა არ მიიღეს თორა (არ მიიღეს რადგან იბერიელებივით არა აქვთ აღნიშნული მეორე და მესამე თვისება). ეს რომ მომხდარიყო, სამყაროში უმალ ჰარმონიული წესი დამყარდებოდა.

უფალს არ სურს ხალხთა, ანუ თავის შვილთა დასჯა, იმიტომ მიანიჭა მან იბერიელებს — ებრაელებს მისია — დაენერგა ბიბლიის მცნებანი სხვადასხვა ხალხში მონოთეიზმის გასავრცელებლად.

ებრაელებს ძალიან უჭირთ შეასრულონ ეს მისია. გავიხსენოთ უმაღლეს სწავლულთა საკრებულოს უპირველესი მიზნები: თორის სწავლულთა მომზადება და ხალხში მათი გასვლა. ამით ვერ აღკვეთეს მათ კერპთაყვანისცემელნი. ეს გზა იოლდება ქრისტიანული რელიგიის გავრცელებით. გავიხსენოთ ზ. გამსახურდია: „როდესაც ქვეყნად მოვიდა იესო ქრისტე, დადგა ქრისტიანული ერა, აღორძინდა, სტიმული მიეცათ რასებს, ერებს, ადამიანებს. ყოველივე დამდაბლებულისა და დაწუნებულის აღდგომისა და ამაღლების საწინდარი გახდა ქრისტეს იმპულსი იოანე ნათლისმცემლის სიტყვისამებრ. „ყოველი ხევნი ამოივსოს და ყოველი მთანი და ბორცვნი დამდაბლდნენ“ (ლუკა IV 5).

ავთანდილის პიროვნების შესახებ ცოტა ადრეა ნაწარმოებში გადმოცემული. როსტევანისგან განსხვავებით, ის ვერ გრძნობს უზნეობებს რაც ენაზე დაფუძნებულ წესის სიწმინდეს ბღალავს. ამისათვის ეს რომ არ მოხდეს საჭიროა სხვა ხალხმა (რომელიც გენეტიკა ენის მცნებანი ვერ გახდება) ისწავლონ ბიბლია. ამგვარად ავთანდილი ის მომავალი ქართული ცხოვრების წესია, რომელიც კარგად ეხამება ტარიელის მიერ იუდაიზმის ფესვებიდან წამოსულ ბიბლიის მცნებებს. ჩვენ ვიცით, რომ საქართველო ქრისტეშობამდე მოსეს სამართლით იმართებოდა (ისიდორე დოლიძე). შემდეგ თვითონ ებრაელებმა გაავრცელეს ჩვენში ქრისტიანობა.

ჩვენ ადრეც აღვნიშნეთ, რომ, როცა ებრაელები შემოდიან საქართველოში, ბიბლიის მცნებები მტკიცდება და ეს თავისთავად ენის ქართული ცხოვრების წესის განმტკიცებას იწვევს (ეს ორივე ხომ უფლის შემოქმედებაა, რომელთაც არც საწყისი აქვთ და არც სასრული). ამაში პოემის განხილვისას დავრწმუნდებით, რადგან ტარიელს – ებრაელებს მაღლი შესძლაქეს. ეს ქრისტიანობის მადლზეა ლაპარაკი. გავაგრძელოთ ზ. გამსახურდიას ზემოთ მოყვანილი ფრაზა. „ყველაზე მეტად დამდაბლებულ და დაწუნებულ ქართულ მოდგმას, ქართულ ენას მიეცა სტიმული აღდგომისა ლაზარეს მსგავსად. ისევე, როგორც ჯვართან მდგარ იოანე–ლაზარეს ჯვარცმულმა მაცხოვარმა ანიშნა ღვთისმშობელზე და უთხრა: „აჰა ძე შენი“ (იოანე 19 26 27). ასე გახდა საქართველო, იბერია ღვთისმშობლის წილხვედრი. ასე რომ ლაზარე, იოანე და საქართველო თითქმის ერთდროულად იშვილა ღვთისმშობელმა მაცხოვრის ნებისამებრ. აი კიდევ რატომ ჰქვია ქართულ ენას ლაზარე სახარებისა შინა!“

აი, მოკლედ, რაც გვინდოდა გვეთქვა განმარტების სახით. ახლა დავიწყოთ ნაწარმოების თანამიმდევრობით განხილვა და ჩვენი მსჯელობის სისწორეში თანდათან დავრწმუნდებით. მისი სრულყოფილად წაკითხვის შემდეგ მისი სულის და დანიშნულების წვდომაც არ გაგვიჭირდება.

# 2. „ვეფხისტყაოსნის“ წინასწარმეტყველება

## 2.1. ძველი წელთაღრიცხვით III–I და ახალი წელთაღრიცხვით I საუკუნეების მიმოხილვა

### ტრადიციული ქართული ცხოვრების წესი

ნაწარმოებში თაეიდან აღწერილია, თუ როგორი ცხოერების წესი და მნეობაა საქართეელოში:

იყო არაბეთს როსტეეან, მეფე ღმრთისაგან სეიანი,
მაღალი, უხეი, მდაბალი, ლაშქარ–მრაეალი, ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, განგებიანი,
თეით მეომარი უებრო, კელა მოუბარი წყლიანი.

სხეა ძე არ ესეა მეფესა, მართ ოდენ მარტოდ ასული,
სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული;
მან მისთა მჭერეტთა წაუღის გული, გონება და სული,
ბრძენი ხამს მისად მაქებრად და ენა ბეერად ასული.

მისი სახელი – თინათინ, არს ესე საცოდნარია!
რა გაიზარდა, გაიესო, მზე მისგან საწუნარია.
მეფემან იხმნა ეაზირნი, თეით ზის ლაღი და წყნარია,
გეერდსა დაისხნა, დაუწყო მათ ამო საუბნარია.

პირეელი სტროფი გეამცნობს, რომ საქართეელოში სწორი ზნეობრიეი ცხოერების წესია. როგორც აეღნიშნეთ, როსტეეანის პიროენებაში საქართეელოს მეფენი, ანუ ნოეს მიერ ფუძეჩაყრილი ქართული ცხოერების წესი უნდა ეიგულისხმოთ.

ჩეენ ეიცით, რომ კაციდან, – ადამიანიდან იწყება ყეელაფერი. ქართული ანდაზა სრულად ასახაეს ამას: „სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერია“. როსტეეანის გონიერება ნაწარმოებიდან ნათლად ჩანს. გონი–ერება კი გამოიხატება, როგორც ეს სიტყეა გეკარნახობს – ერის გონით ანუ ხალხის მიერ მართული იბერიულ მართეელობაში, ცხოერების წესში. რაც განაპირობებს პირეელ რიგში უფლის სიყეარულს – ანუ ცოდნას. ეს ცოდნა გონი ერისა როგორც ეიცით, ქალის, მოყეასის სიყეარულით, მისდამი უზადო პატიეისცემით იწყება, ამიტომაც არის სოფელი ღონიერი. ამიტომაც არის მეფე, ანუ საქართეელო ღმრთისაგან სეიანი. აი, ასეთი ცხოერების წესი იმსახურებდა ღეთაებრიე წყალობას და საქართეელოს ადგა უფლის ნათელი – შეხინა. აქ მეობდა მღედრობითი არსი. ეინც მას უჭერეტდა, ანუ ჰქონდა ცოდნა, გული, გონება და სული, მისი მიჯნურობით, ზნეობით იესებოდა. მიზეზი ამისა, რა თქმა უნდა, ენაა, რომელიც მოდიოდა ღმერთიდან, რამეთუ ამ ენაში იყო ჩადებული ცოდნა სწორი მიწათმოქმედებისა. ამიტომაც ენა და ბრძენი გაიგიეებულნი არიან ამ შემთხეეეაში, რამეთუ სიბრძნეა ენა ქართული. ამიტომაც იყო როსტეეანი ქართული ცხოერების წესი, უებრო მეომარი, ენაწყლიანი მოუბარი.

(თეითონ სახელი თი–ნ–ათ–ინ გეეუბნება, რომ ნათელი ადგა საქართეელოს და ეს ნათელი მის მიერ 10 სიტყეის დაცეის გამო ეფინა.) ქართეელი ხალხის – კაეკასიის იბერიული მოდგმის, ანუ როსტეეანის სულიერ შეუღლებას ენასთან საფუძეელი ჩაუყარა ნოემ, როცა ააშენა კიდობანი და ზეციურმა ნათელმა დაისადგურა ჯერ კიდობანში, შემდეგ კაეკასიაში. სულიერი შეილი ამ შეუღლებისა გახლაეს თინათინი, რომელიც გადმოსცემს უფლის ენერგიას ჩეენი მოქმედების ცხოერების წესის დარად ჰარმონიისათეის. ამაეე დროს, რა თქმა უნდა, ამ ზეციური ნათელისათეის მზე საწუნარი იქნებოდა, მაგრამ თეითონ მზე (რომელიც განიმარტება მ–მაღალი ზე–ზეციური) მიილტეოდა იქეთკენ, რომ ამ ღეთიური დაეანების ტოლფასი მაინც გამხდარიყო, რაც ჩანს სტროფში: „მზე მისგან საწუნარია“.

## ბოროტების მოძალება

როდესაც როსტევანი დაბერდა, იგი კრებს ვეზირებს და მოითხოვს შეხინის – თინათინის მეფობას. რატომ დაბერდა როსტევანი და კრებს მათ? იმიტომ, რომ ენის მცნებათა დაცვის საფუძველზე არსებული ცხოვრების წესი, რომელიც შეხინის საწინდარია, კვლავ გაგრძელდეს საქართველოში.

გაჭირვება კი გამოიწვია იმან, როცა ძვ.წ.–ის მე–8–7 საუკუნეებიდან საქართველოს მოეძალა მრავალი ლტოლვილი, მათ თავიანთი ენა და კერპთაყვანისმცემელთა ცხოვრების წესი შემოიტანეს, რადგან, როგორც ვიცით, საქართველოში ყველა ერს ჰქონდა უფლება თავისი ცხოვრებით ეცხოვრა. ამით ქართული ცხოვრების წესს შეექმნა შერყვნის და შეხინის მადლის, ანუ თინათინის დაკარგვის საშიშროება. ეს ჩანს შემდეგი სტროფიდან:

„მე გარდასრულვარ, სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია,
დღეს არა, ხვალე მოვკვდები, სოფელი ასრე მქმნელია;
რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!
ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია".

ე.ი. უფლის მიერ ენის საფუძველზე არსებულ ქართული ცხოვრების წესს შემოეპარა ბნელი, რომელიც შემოსულია საქართველოში დევნილ კერპთაყვანისმცემელთა სახით. ამ ბნელთა მოქცევა სინათლისაკენ ცოდნის, ანუ ქართული ენის საფუძველზე უჭირს ქართული ცხოვრების წესს.

გაჭირვების მიზეზი ის არის, რომ შემოსული ხალხი თავის ენაზე საუბრობს და უმრავლესობა ჭარბობს მათში, მანამ ქართულს ისწავლიან და შემდეგ რამდენიმე თაობაში ენის მცნებანი გახდება მათი გენეტიკა ამას ასი წელი მაინც უნდა, რაც საშიშროებას უქმნის საქართველოს. ქართული ცხოვრების წესი, ანუ ქართველობა რომ აღდგეს, უნდა იმეფოს მდედრობითმა, ანუ ენა ქართულმა, რომელთანაც შეუღლებულია ქართველი ერი, ამ შემთხვევაში ძენი ღვთისა — ანუ ძენი ღვთისა და ენა ერთი სხეულია, თითოეული ერთმანეთის მეფობას განაპირობებენ. ამიტომ არის ნათქვამი ჩემი ძე, როცა ენის მცნებანი დაცულია, არის იბერიული დემოკრატიული მმართველობა და მთელი ერი მეფობს ამას მოითხოვს ამ სტროფში უკვე სამყაროს მეუფე—უფალი მეფის პირით: „ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ". ენის მეფობა კი აღექვატურია ზეციური მდედრობითი არსის შეხინის მეფობისა, ვისგანაც მზე საწუნელია.

## ბიბილია ამტკიცებს ენას და შეხინის — უფლის ნათელი მეფობს იბერია — საქართველოში

ვეზირებიც ხოტბასასხამენ რა როსტევანის მეფობას, ურჩევენ, რომ მეფობა ქართულ ენას უნდა ჰქონდეს, ვისგანაც თათბირი, ანუ მოძღვრება, სხვისი კარგის მჯობია. ანუ ენის სული—სულიერება ბავშვს, როგორც ვიცით, ჩანასახიდან გადაეცემა და მით მტკიცდება ზნეობა—გენი. ამიტომაც ენის მცნებები უნდა იყოს ჩვენი ძირითადი კონსტიტუცია:

„მაგას ნუ ჰბრძანებთ, მეფეო, ჯერთ ვარდი არ დაგჭნობია,
თქვენი თათბირი ავიცა, სხვისა კარგისა მჯობია;
ხმდა განაღამცა საქმნელად, რაცა თქვენ გულსა გლმობია;
სჯობს და მას მიეც მეფობა, ვისგან მზე შენაფლობია.

თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია;
არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლა დია;
შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია.
ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია".

ამგვარად, უნდა იმეფოს მდედრობითმა, ენამ უფლისძემ და ხელმწიფედაც — შეხინა უნდა დაჯდეს. ანუ უნდა დამკვიდრდეს ისეთი ზნეობრივი ცხოვრების წესი, რომელსაც ბზარი არ გაუჩნდება. ამიტომ როსტევანი რადიკალურ რეფორმებს ატარებს. ამისათვის გავიხსენოთ

ფარნავაზის ეპოქა, როცა ქართული ენის გარდა არღა იმრახებოდა, ანუ აღდგა ყველგან ზნეობრივი ცხოვრების წესი ენის საფუძველზე.

ებრაელთა მიერ შემოტანილი ბიბლიის მცნებანი, ქართული ენის სიმტკიცეს განაპირობებს (ამ საკითხზე ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.) უპირველესად, იმიტომ, რომ ებრაელებმა სრულყოფილად იცოდნენ თავიანთი წინაპრების ენა. მათმა შემოსვლამ ზნეობა მოაღონიერა და განამტკიცა. ამავე დროს, ბიბლია რომლის საკანონმდებლო მიმართულებები იდენტურია ქართულად მოლაპარაკე ეთნოსის გენეტიკური მიმართულებისა, იგი ადვილად ითარგმნება სხვა ენებზე და ის პირველი აუცილებელი ფუძემდებელი კომპონენტია, რის ძალითაც ქართველი თავისი ორი თვისებით, ღვთის მსახურებით, სიკეთით დაუმარცხებელი ხდება. და ხდება სხვა ენებზე მოსაუბრე ხალხის მოქცევა ზნეობაზე. შემდეგ ენასაც შეისწავლიან ისინი და ენაში ჩადებული მცნებანი მათი გენეტიკა ხდება. ეტყობა, აქედან დაედო იმ ტრადიციას საფუძველი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საქართველოში ბიბლიის მცნებანი ქრისტეშობამდე იყო გავრცელებული. ამიტომაც ქართული სამართალი შეჯერებული იყო წმინდა, ქართული ენიდან გამომდინარე სამართლებრივი ძეგლებით და მოსეს სამართლით.

ჩვენ ვიცით, ისრაელის სახელმწიფოსაც მოეძალნენ ამ პერიოდში კერპთაყვანისმცემელნი — სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ხალხი. ისრაელი და იბერია ხომ ერთი და იგივეა. ამიტომ ეს პერიოდი აქვს აღწერილი დავითს მე—12 ფსალმუნში, 12 (5), რომელნიც ამბობენ: „ჩვენი ენებით ვიძლავრებთ, ჩვენთანაა ჩვენი ბაგეები. ვინ არის ჩვენი ბატონი".

როცა ნაბუქოდონოსორმა აოხრა ისრაელი, მათ ისტორიულ სამშობლოს მოაშურეს. შეემატა ზნეობა ზნეობას. ბიბლიის მცნებებმა და ებრაელთა ცოდნამ ენისა განამტკიცა ენა ქართული, მისი მცნებანი. შედეგად ებრაელნი ენის მცნებებს ამტკიცებდნენ მრავალგზის (ი. პაპიაშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე).

ამგვარად, ლაპარაკია აქ ქართული ენის გავრცელებაზე, სიტყვაში ჩადებული ზნეობრივი ქცევების აღსრულებაზე., რისთვისაც უცხო ხალხს, სანამ ენას ისწავლიან, ბიბლიის სამართალი მიეცათ გადათარგმნილი. მოხდა ტრადიციული სახალხო იბერიული მმართველობის განმტკიცება.

ავთანდილის ნატვრაა ენის მცნებების სრულყოფილი დაცვა, რათა შეხინის მეფობის ნათელი ადგეს საქართველოს. მაშინ იმეფებს ავთანდილი — უმწიკვლო ზნეობრივი ცხოვრების წესი.

რომ ღრმად ჩავწვდეთ დედაარს, კიდევ ერთხელ საჭიროა გავავლოთ პარალელები ავთანდილსა და ტარიელს, როსტევანს და ფარსადანს შორის.

ავთანდილივით ტარიელშიც უნდა ვიგულისხმოთ ებრაელი ხალხის უმწიკვლო ცხოვრების წესი, რომელიც იცავს ბიბლიის მცნებებს და პირველადი ენის სიწმინდეს. ხოლო ფარსადანი ის ცხოვრების წესია, რომელსაც ხშირად უჩნდება ბზარი, რადგან ხდება პირველადი ენის აღრევა და სახეცვლილება სხვა ენების გავლენის გამო. ეს და შერეული ქორწინებები იბერიული გენეტიკური კოდის სახეცვლილებასაც იწვევს.* შედეგად იბერიული დემოკრატიული მმართველობის წესი დაფუძნებული ათ მცნებას და ათ სიტყვაზე გაყოფა—გაცემა სიყვარულზე ნელ—ნელა იცვლება იმპერიული მმართველობით — მიმტაცებლობით, შურით, დაპირისპირებით და სხვა უზნეობით.

როგორც აღვნიშნეთ, გენეტიკური კოდის სიმტკიცეს ენის მცნებანი განაპირობებს, რადგან იგი ჩანასახიდან გადაეცემა ბავშვს, ბიბლიას კი შემდეგ სწავლობ. ამიტომაა ქართული ცხოვრების წესი — როსტევანი, რომელიც არ გადავიდა ქანაანზე და არ მოხვდა სხვა ენაზე მოლაპარაკე გარემოში, მიილტვის ენის სიმტკიცის დაცვისკენ და უფრო ძლევამოსილია. აქ რომ სიყვარული უფლისა და ზნეობა მარადიულია, ესაა მთავარი. გაცემა—გაყოფა, სიყვარული არ იცვლება. ეს არის ლტოლვილი, სხვა ენაზე მოლაპარაკე, ანუ იმპერიული აზროვნების ხალხი ქართული ცხოვრების წესის გაფერმკრთალებას იწვევს. აი, მათთან საბრძოლველად კი ავთანდილი, ქართული ცხოვრების წესი — ტარიელივით ენის და ბიბლიის მცნებათა დამცველი უფრო აღწევს გამარჯვებას, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ენას ვერ თარგმნი, ბიბლია კი ითარგმნება არა მარტო ქართულ, არამედ მათ ენაზეც და ხდება მათი ზნეობაზე მოქცევა.

---

*გავიხსენოთ ბიბლია. რომ მოესპო იბერიული — ისრაელური გენეტიკური კოდი, რწმენა უფლისა და ზნეობა ბალაკმა წინასწარმეტყველ ბილამის რჩევით მისი ქვეყნის ქალები შეგზავნა ისრაელთა ბანაკში — უდაბნოში. ეს საბაბი გახდა შერეული ქორწინების, მრუშობის, ანუ უზნეობის დასაწყისი. ამიტომ უფალმა თუ კერპის შექმნის დროს 3 ათასი ებრაელი დასაჯა, ახლა 24 ათასი ებრაელი იქნა დაავადებით დახოცილი.

ეს უფრო ამტკიცებს ენასაც. აი სად დევს უმაღლეს სწავლულთა საკრებულოს გენიალურობა, რაც გამოხატა რაბ შიმონმა. ამიტომაც იყო, რომ ებრაელთა შემოსვლა საქართველოში, უმაღლესი ცოდნის ბიბლიის შემოტანასთან ერთად, განაპირობებდა მათ მიერ ენის მცნებების დაცვას და განმტკიცებას. ისინი პირველად ენაზე, ქართულ იავენანაზე ზრდიდნენ შთამომავლობას. საქართველოში იყო მათი სულის ჰარმონია ქართველებთან ერთად. ქანაანზე კი კარგავდნენ პირველად ენას — გენეტიკას და იბერიული ცხოვრების წესს. ალბათ უფლის ნებით, ამიტომაც საპიეე დევნილობის დროს ჯერ საქართველოში მოდიოდნენ, რომ აღედგინათ გენეტიკური კოდი და შემდეგ სხვა ქვეყნებში შეეტანათ მონოთეიზმი, რათა ეხსნათ ისინი საშინელი აღვეისაგან.

ამგვარად, ამ ეპოქაში, როსტევანში ნოეს მიერ ენაზე დაფუძნებული ცხოვრების წესი უნდა ვიგულისხმოთ. იგი ფლობს ბიბლიასაც, ამ უდიდეს და უპირველეს წიგნთა—წიგნს, მაგრამ იმ დომით და განვითარებით ვერა, როგორც ტარიელი, ანუ მოსე, რადგან, როგორც ვიცით, ნოეს ენაში ჰქონდა ჩადებული მცნებანი, ხოლო მოსემ ბიბლია მიიღო სრულყოფილად, თავისი ისტორიით. ავთანდილმა კი იცის ბიბლიის კანონმდებლობა, რაშიც შემდგომ დაერწმუნდებით. ფარსადანი კი ის ცხოვრების წესია, რომელიც შემდგომ ივიწყებს პირველად ენას — იბერიულ ცხოვრების წესს — მიწათმოქმედებას, 10 სიტყვას ხშირად თორსაც ივიწყებს და მაშინ ერში უზნეობა იბუდებს.

აქ მეორე სტროფში დასტურდება, რომ საქართველოში მეფობს ენა მღვდრობითი, რომელიც "ღმრთისა დანაბადია", ანუ მისი შექმნილია. შედეგად "საქმეცა მისი მზებრ განაცხადია" ანუ არის ზნე — არის ჰარმონია და ენა შვილი ღვთისა, მღვდრობითი, მისი სწორია.

## ავთანდილი — მუდამ გამარჯვებული — უფლისთვის, მოყვასისათვის თავდადებული უმწიკვლო ქართული ცხოვრების წესი

ამგვარად მეფობს ენის მცნებანი საქართველოში, რომელთანაც შეუღლებულია ქართველი ერი. როსტევანის სურვილია, (რაც ღვთიდან არის) და იგი უკვე ღვთის ენით ლაპარაკობს, რომ იმეფოს ღვთის შობილმა შეხინამ — ზეციურმა მღვდრობითმა არსმა. ამისათვის საჭიროა, რომ მოხდეს შეუღლება ქართველი ერისა მასთან. ეს შეუღლება კი, როგორც ვიცით, მოხდება მაშინ, როცა საქართველოში იქნება უნაკლო — უმწიკვლო ცხოვრების წესი. როსტევანისებურ ქართულ ცხოვრების წესს კი ქართული ენის მცნებებით უჭირს გარედან შემოსულ უზნეობასთან ბრძოლა. ეს შეეძლება ავთანდილს, რომელიც მოწოდებულია შემდგომში შეაჯეროს ღვთის ორი დანაბადი სიბრძნე ბიბლია (ებრაელთ მიერ კომენტარებით გაღრმავებული. დაიწერა ზეპირი თორაც, კაბალაც) და ენა ქართული და ეს გახდეს საქართველოს კონსტიტუცია. მაშინ შენარჩუნებული იქნება ენის, ანუ ქართული ცხოვრების სიწმინდე, უზნეობებსაც აღკვეთენ და თინათინიც სულიერად შეუღლდება ავთანდილთან. რატომ? ეს გამომდინარეობს თვითონ ნოესგან. უნდა იმეფოს სემმა ქანაანზე და იაფეტი მისი ძმა განვითარდეს მის კარვებში. სურვილი ერთია, მაგრამ დანერგვა ასეთი წესისა არის რთული. სურვილი შეუღლებისა, ანუ მიჯნურობა ავთანდილისა — ქართველი ერისა თინათინთან, რაც ღვთის გზით სიარულია, უსამღეროა. ამგვარად გარემომცველ სამყაროსთან საბრძოლველად საჭიროა სიკეთის ციტადელის მარადიული კონსტიტუცია იყოს ბიბლია და პირველადი ენა ქართული, რომელნიც უკვდავნი არიან, რამეთუ ღვთის დანაბადნი არიან. ამ ბრძოლისთვის მზადაა ქართველი ერი — ავთანდილი. ცოტა განსხვავებულ და მეტად რთულ მდგომარეობაში ვითარდება ისრაელის სახელმწიფო, სადაც კარგავენ ცხოვრების წესს მიწათმოქმედებას.

ამიტომაც, რაკიღა ბიბლიის მცნებანი უფრო გასაგებია სხვა ენაზე მოსაუბრე ხალხისთვის, შემდგომ ტარიელის და ავთანდილის მისია ხდება ამ ცნებათა დანერგვა სამყაროში.

„ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირ—სპასალარისა,
საროსა მჯობი ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა,
ჯერთ უწვერული, სადარო ბროლ—მინა საცნობარისა;
მას თინათინის გონება პკლვიდის წამწამთა ჯარისა."

უნდა გვახსოვდეს რომ მარცვალი სპა — ქართულად ნიშნავს წარგზავნილს ელჩს — ასეთი მრავალი სულიერი ელჩი იგზავნებოდა საქართველოდან.

იგი მსგავსია მნათობთა მზისა და მ—თ—ე—არის (მაღალი, თეთრი, ქარსკელაევების არეში მყოფი), რამეთუ მისი ზნეობა ამ მნათობთა სასიკეთო მოქმედებას იწვევს საქართველოსთვის, იქნება ეს მოსავალი, ამინდი თუ სხვა.

მაგრამ ეს ჰარმონია, ცხოვრების წესი არ არის სრულყოფილი, რადგან მრავალჯერ მოხდა უზნეობათა შემოჭრა — ენის შებილწვა. თუმცა ენა ამ მუმლს მუსასაეით მუდამ წყალს ატანდა, სუფთავდებოდა, იმხელა სიწმინდე და ნათელი აქვს უფლის მიერ მოცემულ ამ ურთიერთობის კონსტიტუციას.

როსტევანის მეფობისას მრავალმა ასეთმა წყალმა ჩაიარა და უნდა ჩაიაროს, რათა საფუძველი ჩაუყაროს ქართველმა ხალხმა ისეთ შეუბღალავ ცხოვრების წესს, ანუ ავთანდილის მეფობას საქართველოში, როცა არ შეიბილწება ენა — ზნეობა ქართული სახელმწიფოსი. ანუ ქვეყანა გახდება სიწმინდის სახლი — ბეთმიკდაში, მაშინ უკვე თინათინი სრულყოფილად მოაფენს უფლის მიერ გამოგზავნილ მადლს — ენერგიას სამყაროს და მოხდება უკვე ახალგაზრდა წმინდა ზნეობრივი ცხოვრების წესის — ავთანდილის, ანუ ქართველი ხალხის სულიერი შეუღლება თინათინთან, ანუ ქორწილი.

ქორწილი ამ შემთხვევაში სულიერი სიწმინდის დანერგვის და საბოლოო გამარჯვების ნიშანია ბოროტებაზე. როცა ადამმა შესცოდა, იგი აღმოჩნდა სულიერი ყოფიდან მატერიალურ ყოფაში — ქორწილი—შეუღლება კი ნიშნავს სულიერ სამყაროს კვლავ დაბრუნებას.

ავთანდილი გამოსახავს ქართველი ერის მისიას ჯერ ცოდნით, ან ბრძოლით — აღკვეთოს ბოროტება, ავი მოდგმა, ამიტომაა იგი ამირსპასალარის ძე, მემკვიდრე.

როგორც ნოეს დროს მოხდა შეუღლება ერისა ქართულ ენასთან, ანალოგიურია ფარსადანის, ანუ ებრაელი ხალხის შეუღლება ბიბლიასთან. ამან შეაქმნევინა მაშქანი (ებრაელებმა უდაბნოში ააგეს სჯულის კიდობანი, სადაც დაავანეს მათი სულიერი სიწმინდე თორა — ბიბლია) და იშვა სულიერი ძე, ქალიშვილი შეხინა, ანუ ნესტან—დარეჯანი. იგი სრულყოფილად მაშინ იმეფებს, როცა ბიბლიის მცნებებს არ გაუჩნდება ბზარი — ანუ იმეფებს სამყაროს მესია — ტარიელი. ეს კი ასევე ქორწილით აღინიშნება — ქორწილით ნესტან—დარეჯანთან.

ქორწილი კი მაშინ მოხდება, როცა ავთანდილი უკვე მესია — ტარიელის და ფრიდონის დახმარებით შექმნის ამის წინაპირობას, ანუ ჯერ საქართველოში განამტკიცებს და მერე სამყაროში დაამყარებს იბერიულ ცხოვრების წესს — მიწათმოქმედებას.

როსტევანი მიილტვის შექმნას ასეთი წესი, ე.ი., რომ იმეფონ თინათინმა და ავთანდილმა. ამიტომ უნდა, რომ ტახტი მთლიანად დაუთმოს თინათინს, ანუ თინათინის გონმა იმეფოს. მაგრამ ჯერ ეს ნაადრევია.

ქართული ცხოვრების წესი — ქართული ენა — ღვთის მსახურება, სიკეთე და ბიბლია — ქრისტიანობა — აი, სად არის ავთანდილის დაუმარცხებლობა, ისევე როგორც ბიბლია — იუდაიზმი და ენა პირველადი საფუძველი ტარიელის ძლევამოსილების და ასევე ბიბლია — მუსლიმანობა და იბერიული — ენა პირველადი საფუძველი ფრიდონის ძლევამოსილების.

რომ შეაკავშირონ ისინი, ამიტომ აგზავნის თინათინი ავთანდილს ტარიელის დასახმარებლად. ისინი მიჯნურები არიან, ანუ აქვთ სულიერი ერთობა — მისწრაფება ურთიერთისკენ და როცა იქნება ბიბლიის და ენის მცნებათა დაცვა სრულყოფილად, ანუ ტარიელისებური, ავთანდილისებური ცხოვრების წესი, მაშინ სულ მუდამ კარგი ამინდი იქნება — და თინათინიც შეუღლდება მასთან. ასე მიყავს რუსთაველს თავისი გენიალური ნაწარმოები მესიის გამოვლინების წინაპირობისკენ. ამგვარად სტროფის ბოლო სტრიქონი გვეუბნება, რომ ავთანდილი მღვდრობითი არსის გონზე, ცოდნასა და ნებაზეა სამუდამოდ შეყვარებული.

ამიტომაც თინათინი იბარებს ავთანდილს და ამიტომაც ავთანდილია ის მოყმე, რომელიც უნდა განვითარდეს შუმის კარვებში, ანუ უნდა იზიარებდეს და ავითარებდეს ბიბლიის მცნებებს. ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ქართველი ერი — ქართული ცხოვრების წესი ზეციურ დედაზეა შეყვარებული, ანუ იმ გონზე, რაც უფლის მიერ არის მოცემული და მიილტვის, რომ მოხდეს მასთან სულიერი შეუღლება—ერთობა. ანუ ერთად გასწიონ სიკეთის უღელი.

„გულსა მისსა მიჯნურობა მისი ჰქონდა დამალულად;
რა მოშორდის, ვერ—მჭვრეტელმან ვარდი შექმნის ფერ—ნაკლულად;
ნახის, ცეცხლი გაუახლდის, წყლული გახდის უფრო წყლულად.
საბრალოა, სიყვარული კაცსა შეიქმის გულ—მოკლულად!"

ისე არ არის საქმე, როსტევანს რომ უნდა. ვერ მეფობს სრულყოფილად შეხინა, რადგან ემატება საქართველოს დევნილი — უცოდინარი ხალხი, რის გამოც მღდრობითი არსის მიერ გამოგზავნილი მზის კეთილმყოფელი სხივები ფერ–ნაკლულია. ავთანდილის სიკვდილი შეხინას დედამიწიდან წაბრძანებაა, ავთანდილის სიცოცხლე სრულყოფილი ჰარმონიული თანაარსებობაა და შეხინასთან სულიერი შეუღლებაა, ანუ ზნეობათა ერთობა. ამიტომ უზომოა ავთანდილის სიხარული, როცა მეფის ნებით უფრო მტკიცდება საქართველოში ენასა და ბიბლიაზე დაფუძნებული ცხოვრების წესი, რისი საფუძველიც წინა სტროფებში გადმოცემული ვაზირთა რჩევაა. ამგვარად, ისრაელთა შემოსვლა ენის სიმტკიცეს იწვევს.

„რა მეფედ დასმა მეფემან ბრძანა მისისა ქალისა,
ავთანდილს მიხვდა სიამე, ესება სჭირს მის სოქალისა;
თქვა: „ზედა–ზედა მომხვდების ნახვა მის ბროლ–ფიქალისა,
ნუთუ მით ვპოვო წამალი მე ჩემის ფერ–გამქრქალისა!"

## თინათინის მეფობის განმტკიცება. გასცემს ერი სიუხვეს და იგის არ აკლებს ბარაქას

ამგვარად, ავთანდილს ეჭვი ეპარება მათ შეუღლებაში. რადგან ცხოვრების წესი ფერ–გამკრთალია, რაც ბოლო სტრიქონში ჩანს. როსტევანი ძალისხმევას არ აკლებს, რათა განმტკიცდეს ენის მცნებანი. თინათინიც, მღდრობითი არსიც ისევ კაშკაშებს და მფარველობს საქართველოს, რადგან მტკიცდება ენა ქართული. ავთანდილს ემატება ნათელი შეხინა — ესება სჭირს მას აქ ალისა.

„არაბეთს გასცა ბრძანება დიდმან არაბთა მფლობელმან:
„თინათინ ჩემი ხელმწიფედ დავსვი მე, მისმან მშობელმან;
მან განანათლნეს ყოველნი, ვით მზემან მანათობელმან.
მოდით და ნახეთ ყოველმან შემსხმელმან, შემამკობელმან!"

მოვიდეს სრულნი არაბნი, ჯარი გამრავლდა ხასისა;
ავთანდილ პირ–მზე, სპასპეტი ლაშქრისა ბევრ–ათასისა,
ვაზირი სოგრატ, მოახლე მეფისა დასთა დასისა;
მათ რომე დადგეს საჯდომი, თქვეს: „უთქმელია ფასისა!"

„მოვიდნენ სრულნი არაბნი", ანუ სრულად მცოდნენი ქართული ენისა, სიბრძნის, ცხოვრების წესის. ხასი — მესხურ დიალექტში რჩეულია, ებრაულად წმინდანია. ის, რაც საქართველოში რჩეულია წმინდანიც არის აუცილებლად. მათი სარდალია — მეფეა ავთანდილი — ლაშქრისა ბევრ–ათ–ასისა, ანუ ბევრი ასეულებია ლაშქარი, ათი მცნების დამცველი. ამიტომაა, რომ მათ დადგეს მათი ცოდნის, სიწმინდის, ზნეობის გამო თინათინის სამყოფელი, რომელსაც იმხელა სიწმინდე აქვს, რომ ვერ შეაფასებენ. აქ ხდება შეხინის ბრწყინვალების დავანება ქართველთა ზ–ნე–ობის გამო, ანუ ზენაარსის ნე–ნებით ნეობით, რადგან მან მოგვცა ენა ცხოვრების წესი, საწინდარი ს–იუხვის, ძლევამოსილების. მეფესაც მოჰყავს შეხინა დამსახურებულ საბრძანისზე, ანუ ადგილზე დასაბრძანებლად.

ამგვარად, ფარნავაზის მეფობის ხანაში განმტკიცდა, განიწმინდა ენა. არ არის გამორიცხული, რომ დაიწერა განმარტებითი ლექსიკონი თითოეული სიტყვისა, რომელიც მცნებების დაცვის საწინდარია. შემდეგ სტროფში მამაში შეიძლება მამა ღმერთის ანუ უზენაესის გულისხმობა, რადგან გვირგვინს და ნათელს თინათინს, ანუ შეხინას იგი ადგამს, რათა ეს ნათელი საქართველოს მოაფინოს, იგი ხომ მზეებრ სჭვრეტს.

„თინათინ მიჰყავს მამასა პირითა მით ნათელითა,
დასვა და თავსა გვირგვინი დასდგა თავისა ხელითა,
მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა სამოსელითა.
ქალი მზეებრ სჭვრეტს ყოველთა ცნობითა ბრძნად მხედველითა"

ამ აზრს ადასტურებს შემდეგი სტროფი, რადგან ახლა უკვე მეფე, სპასთან ერთად თაყვანს სცემს თინათინს.

„უკუდგეს და თაყვანის–სცეს მეფემან და მისთა სპათა,
დალოცეს და მეფედ დასვეს, ქება უთხრეს სხვაგნით სხვათა,
ბუკსა პკრეს და წინწილანი დაატკბობდეს მათთა ხმათა.
ქალი ტირს და ცრემლსა აფრქვევს, სრის ყორნისა ბოლო ფრთათა."

ყველამ, მეფემ და სპათაც, პატივი სცა მღვდრობითი არს. ხოლო ქალის ტირილი, როგორც ვიცით, მადლის გადმოფრქვევაა, სიკეთის გადმოფრქვევაა, რაც ამარცხებს ბოროტებას. ამგვარად, ისევ მტკიცდება საქართველოში ენაზე დაფუძნებული ზნეობრივი ცხოვრების წესის მეფობა. როსტევანი მიილტვის, რომ ქართული ცხოვრების წესი უნაკლო იყოს და მოხდეს ზეციურ მღვდრობით არსთან სულიერი შეუღლება, ერთობა. ამისათვის უნდა იმეფოს მღვდრობითმა ქართულმა ენამ, დაამარცხოს ბოროტი, რათა სრულყოფილად იმეფოს ზეციურმა არსმა, რომელიც შეუღლდება მხოლოდ უნაკლო ქართულ ცხოვრების წესთან — ავთანდილთან.

ბევრს დაებადება კითხვა. წინა თავში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ არის მღვდრობითი არსის ერთობა მამაზეციერთან. ახლა კიდევ ქართველ ერთან უნდა მოხდეს შეუღლება. საქმე ისაა, რომ შეერთება–შეუღლება აქ განიხილება როგორც სულიერი ერთობა ერთი მიზნის, საერთო ჰარმონიის მისაღწევად. ზეცაში ეს დიდი ხანია გადაწყვეტილია და არის მღვდრობითი არსის მიერ უღალატო მსახურება, რათა მან უფლის სიმართლის უღელი სწიოს. ზეციური მღვდრობითი არსი სიწმინდის და სიბრძნის განსახიერებაა. ამიტომ ეს შეუღლება მოხდება მაშინ, როცა იგივე სიწმინდე იქნება დედამიწაზეც. ანუ ყველა ერი დაიცავს მცნებებს. ამ შემთხვევაში შეიკრება სიწმინდის საღვთო, სულიერი მიჯნურობის წრედი ებრაელი და ქართველი ერისა. ებრაელები ლოცვისას ხშირად იმეორებენ, რომ იმიტომ ილვწიან მცნებების დაცვისთვის, რომ იყოს მამაზეციერთან ერთობა შეხინის მეოხებით.

ამიტომაც აქვთ მათ გლოვის დღედ დაწესებული ის დღე, როცა დაინგრა ტაძარი და შეხინა აღმოჩნდა განდევნილობაში — ტყვეობაში. ნაწარმოებში ეს შეუღლება ხდება მხოლოდ ბიბლიის მიმღებ ერთან — ტარიელთან, და პირველადი ენის მიმღებ ერთან — ავთანდილთან. ოღონდ მათი ქორწილის უშალო მონაწილეა ფრიდონი, და შემდეგ უკვე მთელი სამყარო, სრულყოფილად ამკვიდრებს ტარიელის და ავთანდილის ცხოვრების წესს. ვინაიდან ჯერ ვერც ისრაელი და ვერც საქართველო ვერ იცავენ სრულად მცნებებს, ამიტომ მათი შეუღლება ნაწარმოებში მოგვიანებით ხდება. ამ შეუღლებაში კი მღვდრობითი არსის დიდი სიბრძნეა გადმოცემული, რაშიც ჩვენ შემდეგში ვრწმუნდებით.

ნაწარმოებში ჩანს მღვდრობითი არსის დიდი მოკრძალება და პასუხისმგებლობა:

„მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ ეღირსებოდა,
ამად ტირს, ბაღი ვარდისა ცრემლითა აივსებოდა;
მეფე სწერთნის: „მამა ყოველი ძისაგან ითავსებოდა,
ამისად ქმნამდის დამწველი ცეცხლი არ დამევსებოდა".

აქ ასევე ჩანს ზეციური არსი, თინათინი მამაღვთის ღირსად არ თვლიდა თავს. იგი ხომ საქართველოს — იბერიელთა ამ უძველეს მიწაზე მის შუქს, ენერგიას გადმოსცემდა სიკეთისათვის, სიყვარულისათვის. შემდეგი სტროფი ასევე უნდა მივიჩნიოთ ღვთის დარიგებად შეხინასადმი და ქართველ მეფეთადმი:

„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების!
უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების.
უხვად გასცემდი, ზღვათამცა შესდის და გაედინების."

იგი ეუბნება შეხინას — სულიწმიდას რომ ზოგის უზნეობის მიუხედავად, საქართველოში მაინც უნდა გაიცეს. და ვინც უხვი გამცემია, ახსნილ ბოროტს დააბამს, ანუ. მოაქცევს ზნეობისკენ. ამიტომ საქართველოში დიდთა, ე.ი. ზნეობრივთა და წვრილთა, ანუ დაბალზნეობრივთა, უცოდინართა წყალობა ერთნაირად უნდა გაუნაწილო (და ეს თვზა, მიუხედავად იმისა,

რომ ბოროტებამ დღეს აპოგეას მიაღწია, აქ მაინც გრძელდება. ამიტომ ზეციდან მაინც მადლი გადმოიფრქვევა. უგემრიელესია ქართული ნაყოფი. ყველაზე ბარაქიანია ქართული მიწა, რაც ერის და ქართველთა გენეტიკის დამსახურებაა). ქართველებიც, როგორც ერი, ასევე მეფენი, ასევე ზღვასავით უხვად გასცემენ, მას, რაც შემოდის არ იჩერებენ, და ამიტომაც ყველა ქართველი და საქართველო ზღვასავით მდიდარია. შემდეგი დარიგება კიდევ უფრო განამტკიცებს ამრს, რომ უხვი და კეთილი, მცოდნე იმორჩილებს ძუნწს და ბოროტს:

„მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა, რგულია,
უხვსა მორჩილობს ყოველი, იგიცა ვინ ორგულია;
სმა—ჭამა — დიდად შესარგი, დება რა სავარგულია?!
რასაცა გასცემ, შენია; რაც არა, დაკარგულია!"

ეს სტროფი გადმოგვცემს, რომ საქართველოში ისეთი ცხოვრების წესია, რომ იმსახურებს მეხინის, ანუ ზეციური არსის მოწყალეობას. ამიტომ იწყება იგი სტრიქონით „მეფეთა შიგან სიუხვე", ანუ ქართველთ სიუხვე. საქართველოში ხომ ყველა ქართველი მეფე იყო, მეფობდა, რადგან გასცემდა, უხვი კეთილი იყო და მათ შიგან სიუხვე ვით ედემის ბაღში, ისეა დანერგილი. ქართველებმა იციან ასევე ღრმა, ცხოვრებისეული აზრი. ადამიანი როცა ბევრს ჭამს, ეს მაშინ მას ისევე სიამოვნებს, როგორც ბევრი ქონების მოხვეჭა. მაგრამ ზედმეტი ტვირთავს ორგანიზმს და იწვევს გულისა და სხვა ორგანოთა დაავადებებს. ასევე ზედმეტია ქონება, თუ სხვა მშიერია. სულ სცდილობ ეს ზედმეტი, უკანონოდ მითვისებული სხვას რომ წაგლიჯე, დაიკანონო და შეინარჩუნო. ეს უზნეობა დაავადებების გამომწვევია. დაავადებებს ორი ძირითადი მიზეზი იწვევს: ზედმეტი კვება და ხნერვიულობა. არც ერთი არ გექნება, თუ რაც ზედმეტი გაქვს — გასცემ. მაშინ იქნები სულიერად ზღვასავით მდიდარი. ზღვა რომ გასცემს, იმიტომაა ზღვა დიდი, დღეგრძელი — ვითარცა ქართული სახელმწიფო. ტბა არ გასცემს, იმიტომაა იგი პატარა, და ამიტომაც მისი ბოლო ჭაობად გადაქცევაა, დაშრება, ვითარცა იმპერიული სახელმწიფოები. ქართული სიტყვა გა—მდი—ნარი—ც, გა—მდინ—არი, ამას გვეუბნება: გა—გამცემი, მდი—მდიდარი, რომელიც მდინ—არია, მდინარეობს, ე.ი. მუდმივია ეს გაცემა. აი, ასეთი იქნება ქონების გამცემი კაცი...*

უხვი, სიკეთის გაცემით ამარცხებს ბოროტს. მისთვის ჭამა არ არის მთავარი. მისთვის მთავარია გასცეს. ეს არის მისი ყველაზე დიდი სიამოვნება. ეს სიტყვები დღევანდლამდე საქართველოს მოქმედების კარდიოგრამაა. ამაზე მიგვანიშნებს შემდეგი სტროფებიც:

„ამა მამისა სწაველასა ქალი ბრძნად მოისმინებდა,
ყურსა უპყრობდა, ისმენდა, წვრთასა არ მოიწყინებდა;
მეფე სმასა და მღერასა იქმს, მეტად მოილხინებდა;
თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინებდა.

მოიხმო მისი გამზრდელი, ერთგული, ნაერთგულევი,
უბრძანა: „ჩემი საჭურჭლე, შენგან დანაბეჭდულევი,
მომართვი ჩემი ყველაი, ჩემი ნაუფლისწულევი".
მოართვეს, გასცა უზომო, უანგარიშო, ულევი.

მას დღე გასცემს ყველაკასა სივაჟისა მოგებულსა,
რომე სრულად ამოაგებს მცირესა და დიდებულსა.
მერმე ბრძანა: „ვიქმ საქმესა, მამისაგან სწავლებულსა,
ჩემსა ნუვინ ნუ დამალავს საჭურჭლესა დადებულსა".

უბრძანა: „წადით, გახსენით, რაცა სად საჭურჭლენია!
ამილახორო, მოასხი რემა, ჯოგი და ცხენია!"

---

*ამ ცხოვრების წესის დასტურია ქართველთა სახელწოდებაც იბ—ერი, ანუ 12 კუთხისაგან შემდგარი ერი. ბასკურ ენაზე „იბ" ნიშნავს წყალს, მდინარეს, ზღვას ანუ ზღვის ქვეყნის ხალხი. საქართველო ხომ ორ ზღვა შუა იყო მოქცეული (ამიტომაც მცდარია როცა ქართველებზე კავკასიაში მოსულს იძახიან) მოსვე იბერიული ცხოვრების წესის განმსაზღვრელი წიგნთა წიგნის მიმღები ხომ წყლიდან ამოსულს ნიშნავს. ალბად ამიტომაც ატლანტიდის ოკეანეს ძველად იბერიის ზღვას უწოდებდნენ.

მოილეს, გასცა უზომო, სიუხვე არ მოსწყენია.
ლარსა ხვეტდიან ლაშქარნი, მართ ვითა მეკობრენია.

ალაფობდეს საჭურჭლესა მისსა, ვითა სათურქალსა,
მას ტაიჭსა არაბულსა, ქვე-ნაბამსა, ნასუქალსა,
რომე პკვანდა სიუხვითა ბუქსა, ზეცით ნაბუქალსა;
არ დაარჩენს ცალიერსა არ ყმასა და არცა ქალსა."

პირველი სტროფი გადმოგვცემს, როგორ უსმენს ზეციური მდედრობითი არსი მეფეს, რათა სწორად მოიქცეს. აძლევდა იგი სიუხვეს და მეფეც ილხენდა, რაც ჩანს მესამე სტრიქონში. მესამე სტროფი გვეუბნება, რომ მდედრობითი არსი ისე იქცევა, როგორც მამალმერთმა დამოძღვრა. ამიტომ არ მოსწონს მას ხალხი, ვინც შეინახავს საჭურჭლეს, ანუ გადამალავს ქონებას. საქართველოში კი რაკიდა არ მალავდნენ და ქალები სრულად გასცემდნენ სიჟაჟის, მამაკაცების მოგებულს, ყველა მდიდარი იყო. ქართველი, როცა გასცემს, ვიღაცას ახარებს, მას ეს ეამება, იგი ხარობს: „მოილეს, გასცა უზომო, სიუხვე არ მოსწყენია". ხოლო გარედან მოსული ხალხი მეკობრეებივით ხვეტენ სიკეთეს.

გავიხსენოთ ბიბლიის მცნებით ებრაელებს უფალმა 10 პროცენტამდე გაცემა დაუწესა. ეს რაოდენობა გასცა აბრაამმა მელქისედეკთან. ჩვენ კი თითქმის 100 პროცენტს გავცემდით. ამიტომ იყო უზომო ბარაქა. უკვე აღვნიშნეთ თუ ისრაელში მიწას 7 წელიწადში ერთხელ ასვენებდნენ, ჩვენ 4 წელიწადში 3 წელს ვასვენებდით (აკადემიკოსი გ. ჩიტაია).

ამგვარად, როსტევანმა განამტკიცა ენის სიწმინდე და მასზე დაფუძნებული ქართული ცხოვრების წესი. მიუხედავად მრავალ უმნეო–ურწმუნო ხალხთა შემოსვლისა, მეხინა — ნათელი მეფობს საქართველოში. დარჩა მეხინა საქართველოში უფლის ნებართვით, რათა ერთნაირად მისცეს ბარაქა ბრძენსა და უგუნურსა, მცოდნეს და არა მცოდნეს, მორწმუნეს და კერპთაყვანისმცემელთ. დარჩა, რამეთუ ენა ქართული, ცოდნა იმარჯვებს და ისიც გასცემს იმდენ სიკეთეს და სიუხვეს, რომ „არ დაარჩენს ცალიერსა არ ყმასა და არცა ქალსა".

ბიბლია და ენა ქართული ამარცხებს კერპებს — ბოროტებას. აღიგავა ყველა ენა და სახელმწიფოები. იქმნებიან ახალნი, ახალებური ენით და რელიგიით

დასვა მეფემ ლომის სწორი მეფე ქალი ხელმწიფედ და თითქოს სადარდებელი არ უნდა ჰქონდეს. ჩვენ ვიცით, რომ ეს არის მდედრობითი არსის — მეხინას დავანება საქართველოში, მისი მნეობრივი ცხოვრების წესისაგან გამომდინარე. მაგრამ როდემდე შეძლებს საქართველოს მეფე მოერიოს გარედან შემოსულ უმნეობებს. აქ მართლდება ავთანდილის ეჭვი და ვერ მყარდება ისეთი ცხოვრების წესი, რომ მოხდეს ავთანდილისა და თინათინის შეუღლება, სულიერი ქორწილი. იგი ხედავს, რომ მეფის ძალისხმევა დროებით აძლევს შვებას საქართველოს, რადგან სხვა ქვეყნებში ქართული ცხოვრების წესი ენის საფუძველზე არ არის დანერგილი. ამიტომ მეფე თითქოს უქეიფოდ შეიქმნება.

„დღე ერთ გარდახდა. პურობა, სმა–ჭამა იყო, ხილობა,
ნადიმად მსხდომთა ლაშქართა მუნ დიდი შემოყრილობა.
მეფემან თავი დაჰკიდა და ჰქონდა დაღრეჯილობა.
„ნეტარ, რა უმძიმს, რა სჭირსო?" — მექმნეს ამისი ცილობა".

ავთანდილი და ვეზირი სოგრატი უხასიათობის მიზეზს ჰკითხავენ. სოგრატი გაკადნიერდება და შემდეგსაც ეტყვის:

„დაგიღრეჯია, მეფეო, აღარ გიცინის პირიო.
მართალ ხარ: წახდა საჭურჭლე თქვენი მძიმე და ძვირიო,
ყველასა გასცემს ასული თქვენი საბოძვარ–ხშირიო;
ყოლამცა მეფედ ნუ დასვი! თავსა რად უგდე ჭირიო?

ეგე არ მიმძიმს, ვაზირო, ესეა, რომე მწყენია:
სიბერე მახლავს, დავლიენ სიყმაწვილისა დღენია,

კაცი არ არის, სითგანცა საბრძანებელი ჩვენია,
რომე მას ჩემგან ესწავლნეს სამამაცონი ზნენია.

ერთაი მიზის ასული, ნაზარდი სათუთობითა;
ღმერთმან არ მომცა ყმა–შვილი, – ვარ საწუთროსა თმობითა
ანუმცა მვევანდა მშვილდოსნად, ანუ კელაჲ ბურთაობითა;
ცოტასა შემწევს ავთანდილ ჩემგანვე ნაზარდობითა".

მეფეს აფიქრებს ეპოქალური უბედურება.

ჩვენ ვიცით, რომ დიდი იყო იბერიული მოდგმის მოსახლეობის არეალი (ვ. ჰუმბოლდტი, ნ. მარი). იგი თანდათან განიცდიდა შევიწროებას ინდოევროპულ, თუ ქამის ენაზე მოლაპარაკე კერპთაყვანისმცემელთა მიერ. დაბერდა ქართული ცხოვრების წესი, ანუ ენაზე დაფუძნებული ვეღარ ერეოდა სხვა ხალხთა ბოროტების მომტან ენებს და ცხოვრების წესს. „დაელიენ სიყმაწვილისა დღენია", ანუ გაიარა სიყმაწვილის ხანამ, იბერიულ მოდგმაში სიკეთე მარცხდება, ვიწროვდება და პატარავდება.

დაპატარავების მიზეზი კი ის არის, რომ ქართული ენა, დედა ენა ნოესი და მისი ცხოვრების წესი განიცდის დევნას და სხვა ენები მეფობენ იქ, სადაც მეფობდნენ ერის მცნებანი. ანუ იქ, სადაც როსტევანის საბრძანებელია. რაკილა სხვა ენები მეფობდნენ, იქ უზნეობაც, ბოროტებაც მეფობს. ამიტომაც იძახის იგი, „რომე მას ჩემგან ესწავლნეს სამამაცონი ზნენია". მხოლოდ საქართველო — კავკასია — ავთანდილი შემორჩა როსტევანს.

ამავე დროს, იგი განიცდის, რომ ამის გამო არ მოხდა ავთანდილისა, ქართველთა — ზნეობრივი ქართული ცხოვრების წესის, და თინათინის ქორწილი. უფლის ასულთან ვერ უღლდება ავთანდილი. რადგან მხოლოდ ამ ერთ ქვეყანაში – კავკასიაში არის შეხნის მოწყალება. მას ეჭვი ეპარება, რომ მის მიერ შექმნილი ზნეობრივი ცხოვრების წესი და მისი მემკვიდრე ავთანდილი როდესმე, სხვა დროს მაინც შეძლებენ შეუღლებას უფლის სულიერ შვილთან – თინათინთან. ამიტომაც, მას სურს, რომ მის მიერ ნაზარდი, უმწიკვლო ქართული ცხოვრების წესი ავთანდილი გამოსცადოს. „ცოტასა შემწევს ავთანდილ, ჩემგანვე ნაზარდობითა". ეშინია, რომ იგი ვეღარ გაუძლებს ბოროტებისგან შევიწროებას. ამაზე ავთანდილი პასუხობს:

„მიწაცა თქვენი ავთანდილ თქვენს წინა მშვილდოსანია;
ნაძლევი დავდვათ, მოვასხნეთ, მოწმად თქვენნივე ყმანია;
მოასპარეზედ ვინ მგავსო? — ცუდნიღა უკუთქმანია.
გარდამწყვეტელი მისიცა ბურთი და მოედანია!"

ჩვენ ვიცით, ენასთან შედარებით ბიბლიის მცნებებს ის უპირატესობა აქვს, რომ ისინი ითარგმნებიან სხვა ენებზე, კანონად იდება ადამიანთათვის. ენით გაზრდილს კი აქვს ზნეობა, იბერიული ცხოვრების წესი. იგი ის ნათელი შუქია რომლითაც საუბარი და დაცვა მისი სიწმინდის ადამიანს მოსიარულე სულიერ ტაძრად აქცევს. ხდის გონიერს, დაუმარცხებელს. შედეგად მთლიანი ბიბლიის და კაბალისტიკის გონის ჩაწვდომას მხოლოდ იბერიელი შეძლებს. ამას ვერ შეძლებს კერპთაყვანისმცემელი. ამიტომ გაჭირდა ძველი აღთქმის გავრცელება. მაცხოვრის თავდადება კაცობრიობის სულიერი ზეობის კეთილდღეობისათვის უფრო მისაწვდომს ქმნის ძველ და ახალ აღთქმას. ვრცელდება ქრისტიანობა და მარცხდება კერპთაყვანისმცემლობა — ბოროტება. ხალხი მესიონისტური იდეებით იმსჭვალება.

რაკილა იწამე ერთი ღმერთი გონიც გეხსნება რომ სწორედ ისწავლო ბიბლია. ამისათვისაა მოწოდებული ქრისტიანობა. მისი მისია სამყაროში მოსეს სჯულის კანონების განმტკიცებაა.

იწყება ახალი ეპოქა, ეპოქა ღმერთის შემეცნებისა და კერპთაყვანისცემელთა დამარცხებისა. ქრისტიანობის გავრცელება ეს არის პირველი ეტაპი ბოროტებასთან ბრძოლისა. ეს არის უფლის მიერ დაწესებული საქართველოს ახალი მისია. საზღვარგარეთ უნდა გაიტანონ ბიბლია, რათა დაამარცხონ კერპთაყვანისმცემლობა. შინ კი, ენაზე დაფუძნებული ზნეობრივი ცხოვრების წესით, გენეტიკით — ღმერთის უმწიკვლო მსახურებისა და სიკეთისა უნდა განამტკიცონ ეს მცნებანი. მათ შორის, სისხლის აღრევის აკრძალვა შვიდი თაობის განმავლობაში. ქალის უდიდესი პატივისცემა და ის უდიდესი სამიწათმოქმედო კულტურა, რისკენაც მიეყავართ ბიბლიის მცნებებს. მარტო კავკასიის იბერიულ მოდგმაშია რომ არა ქალიშვილი —

უზნეო არ შეირთვების. აქეთკენ მიჰყავს ნაწარმოები რუსთაველს, მანამდე კი ავთანდილის ცხოვრების წესი ეჯიბრება როსტევანის ცხოვრების წესს — ანუ ენის მცნებების გარდა ავთანდილმა დამატებით იცის საკანონმდებლო მასალა ძველი ართქმისა და ახალი აღთქმაც, რითაც ის უფრო ამარცხებს და მოაქცევს ცხოველური მისწრაფების ხალხს.

სიტყვა მშვილდოსანი შვიდს შეიცავს. ამიტომ აქ სამყაროს კანონზომიერების იმ ცოდნაზეა ლაპარაკი, სამი ოთხში რომაა ჩადებული და სამოთხისებრი ჰარმონიაა.* მისი ჯამი ხომ შვიდია, და საერთოდ, წინა მასალიდან ვიცით, რომ შვიდი საკრალური ციფრია. მშვილდოსნებს ეძახის იაკობი უდიდეს მცოდნეებს ბიბლიაში იოსების ძმებს, როცა იოსებს აძლევს კურთხევას. აქ რომ ცოდნაზეა ლაპარაკი, ეს როსტევანის პასუხიდანაც ჩანს:

„— მე არ მეგარჩენ შენ ჩემსა მაგისა დაცილებასა.
ბრძანე, ვისროლოთ, ნუ იქმო შედრეკილობა — კლებასა,
კარგთა ყმათასა ვიქმოდეთ მოწმად ჩვენთანა ხლებასა,
მერმე გამოჩნდეს მოედანს, ვისძი უთხრობდნენ ქებასა!“

მოწმედ კარგი ყმანი — უნდა გავიგოთ, მეტად განსწავლულნი, რადგან სიტყვა მოყმე ქართულ ცნობიერებაში განსწავლულია. საყურადღებოა შემდეგი სტროფის ბოლო სტრიქონის აზრი:

„ავთანდილცა დამორჩილდა, საუბარი გარდასწყვიტეს,
იცინოდეს, ყმაწვილობდეს, საყვარლად და კარგად ზმიდეს,
ნაძლევიცა გააჩინეს, ამა პირსა დაასკვნიდეს:
„ვინცა იყოს უარესი, თავ—შიშველი სამ დღე ვლიდეს!“

რატომ იყო თავშიშვლად ყოფნა ძველ საქართველოში დამცირება? ებრაელები დღესაც ქუდით დადიან. ეს უზენაესის მიმართ თავმდაბლობის ნიშანია, და მისი პატივისცემის გამოხატულებაა. ესეც ადასტურებს წინა თავში გამოთქმულ აზრს, რომ მონოთეისტურ საქართველოშიც ქუდის დახურვა წესი უნდა ყოფილიყო ისევე, როგორც წინადაცვეთა.

როგორც თორის კომენტატორები გადმოგვცემენ თავსაბურავი ებრაელთა კიპა შეიცავს ოთხ ასოს. აქედან პირველი და მესამე გამჩენის სახელის შემადგენელია, ხოლო მეორე და მეოთხე ხელს აღნიშნავს. ანუ გამჩენის ხელია მათზე ვინც მისი პატივისცემის აღსანიშნავად თავის კოკროჭინას იფარავს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ სწორად ავსახავთ ეპოქას. ქრისტიანობის მიღების შემდეგ თავშიშველობა აღარ იყო სირცხვილი. თუმცა ქართული ქუდით სიარული დღესაც საამაყოა ქართველთათვის და სწავლულთათვის.

მკითხველს ალბათ დაებადება აზრი, ხალხის განსწავლულობა და ზნეობაზე მოქცევა როგორ მოხდებოდა მოკლე დროში ერთი ნადირობისას, ანუ განსწავლულობისას. ეს რომ მოკლე დრო არ არის და მინიმუმ 12—წლიანი ეპოქაა, ამის მასალებს თვითონ რუსთაველი გვაძლევს შემდეგ სტროფში:

„უბრძანეს: „მონა თორმეტი, მოდით, ჩვენთანა ვლიდითა,
მშვილდსა, ფიცხელსა მოგვეცემდით, ისარსა მოგვართმიდითა,
ნაკრავსა შეადარებდით, ნასროლსა დასთვალვიდითა!“
დაიწყო მოსვლა ნადირმან, ყოველთა მინდორთა კიდითა“.

ამის ახსნა მიცემული აქვს ზ. გამსახურდიას („ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“, მეცნიერება, 1991, გვ. 253). 12 მონა განასახიერებს 12 ზოდიაქოს. ეს არის შედეგის განხილვა ჟამიერი და სივრცული კატეგორიებით, ანუ დროის რა მონაკვეთში, რამდენ 12 წლეულში მოხდა უზნეობათა ზნეობაზე მოქცევა და რა მოიტანა მან სივრცეში. ანუ როგორ გამოკეთდა ამის გამო ამინდი. გაიზარდა მიწის ნაყოფიერება, რაც ზეციდან მდედრობითი არსის მიერ ხდება. ამას ადასტურებს სიტყვები „ნაკრავსა შეადარებდით, ნასროლსა დასთვალვიდითა“.

*სამი არის სამი სამყარო: ცხოველური, მცენარეული და არაორგანული; ოთხი კი წყალი, ჰაერი, მიწა, ენერგია მადლი უფლისა. კაბალისტიკაში ცხოველური იყოფა ადამიანებად და ცხოველურად

ანუ როგორი მაღალი ზნეობა, ცოდნა მიიღეს და ამინდი სად უჟრო გამოკეთდა. ეს არის პირველი ორი სიტყვის არსი, ხოლო მომდევნო ორი სიტყვა გვამცნობს რამდენი ადამიანი, სოფელი, ქალაქი, სახელმწიფო მოექცა ზნეობაზე.

ნაწარმოებში ნადირობა ასე მთავრდება:

„იგი ველი გაირბინეს, ჯოგი წინა შემოისხეს,
დახოცეს და ამოწყვიტეს, ცათა ღმერთი შეარისხეს.
ველნი წითლად შეღებნეს, ნადირთაგან სისხლი ისხეს.
ავთანდილის შემხედველთა: „ჰგავსო ალვას, ედემის ხეს".

ერთმანეთსა, თუ: „მე გჯობო", სიცილით ეუბნებოდეს,
ამხანაგობდეს, ლაღობდეს, იქით და აქათ დგებოდეს.
მერმე მოვიდეს მონანი, რომელნი უკან ჰყვებოდეს,
უბრძანა: „თქვითო მართალი, ჩვენ თქვენგან არა გვთნებოდეს".

მონათა ჰკადრეს:

„მართალსა გკადრებთ და ნუ გვემცთარებით;
მეფეო, ყოლა ვერ ვიტყვით შენსა მაგისად დარებით,
აწვცა დაგვხოც, ვერა ჰგავ, — ვერათ ვერ მოგვცხმარებით,
— ვისგან ნაკრავნი გვინახვან მხეცნი ვერ წაღმა წარებით.

ორთავე ერთგან მოკლული ყველაი ათჯერ ოცია,
მაგრა ავთანდილს ოცითა უფროსი დაუხოცია:
არ დასცდომია ერთიცა, რაც ოდენ შეუტყოცია,
თქვენი მრავალი მიწითა დასვრილი გაგვიხოცია".

ამგვარად, ორივე — ძველი და ახლად განმტკიცებული ქართული ცხოვრების წესი ეჯიბრებიან იმ ცოდნის დანერგვაში, რასაც ბოროტთა, ნადირთა, უცოდინართა, ცოდნისკენ, განსწავლულობისკენ, ზნეობაზე მოქცევა ჰქვია. ხომ იფარავდა საქართველო დევნილ ქერპთაყვანისმცემელთ, რომელთაც ცხოველური მისწრაფებები ჰქონდათ. ამიტომაც „ჯოგი წინა შემოისხეს". დახოცვაში მათი ზნეობის მსოფლმხედველობის გარდაქმნა უნდა ვიგულისხმოთ. იმ მსოფლმხედველობის, რომელიც ცათა ღმერთის რისხვას იწვევდა. ეს ნადირის გრძნობები ამ ადამიანებში უვნებელყვეს, ანუ „ნადირთაგან სისხლი ისხეს".

ამ ეპოქაში მიმდინარეობს იბერიული დედაენის გაწმენდა.

ჩვენ ვიცით, რომ იგი სახეშეცვლილი, დაკნინებული აღმოჩნდა შუამდინარეთში საბერძნეთში და სხვა ქვეყნებში. იბილწებოდა ენის სიწმინდე ცხოველური მიმართულების ხალხისაგან. ეს ჯოგი შემოისხეს, ამოწყვიტეს ანუ მათ სწორად დაიწყეს ლაპარაკი, დედაენით ან მიიღეს სულ სხვა ახალი ენა. ინერგება ბიბლიის მცნებანი საკანონმდებლო მასალა და ამით სჯობს ავთანდილი როსტევანს. ენის გაწმენდა როგორც აღვნიშნეთ ფარნავაზის ეპოქიდან მოდის და მთავრდება ებრაელთა — ტარიელის შემოსვლით, ანუ დაემატა სიწმინდეს სიწმინდე და ადვილად მარცხდებიან უზნეონი.

შემდეგ ინერგება ზნეობა, სწორი მიწათმოქმედება, ცხოვრების წესი, ის, რაც არის ავთანდილი, რომელიც „ჰგავსო ალვას, ედემის ხეს". ამგვარად, ისინი ეჯიბრებოდნენ, ჰარმონიული სამყარო, ანუ სამოთხე როგორ შეექმნათ ქვეყანაზე, ამიტომაც ცხოველური მხეობა ამოკვეთეს და ასეთ ხალხში ზნეობა შეიტანეს. ისინი ამ ხალხს სროლაში და საბრძოლო ხელოვნებაშიც ამარცხებდნენ, რაშიც ავთანდილი სჯობნის როსტევანს. რაც შეეხება ცოდნაში ჯობნას, ამას ბოლო სტროფი გვამცნობს, რომ აქ ქართული ცხოვრების წესი ყოველგვარი უზნეობის გარეშეა, ანუ ავთანდილი ჯობნის როსტევანს, რომელიც უშვებს სხვა ენებით მოტანილ უზნეობას. ახალი აღთქმით ბევრი რამ გამარტივდა. თუ ისინი ამასაც ვერ გაიგებენ, მაშინ მოიკვეთებიან. ასე ადვილად ამარცხებს სხვა ენებით მოტანილ უზნეობებს ავთანდილი.

რატომ წერია „ათჯერ ოცია" და არა ორასი. ჩვენ ვიცით, რომ ქართულ ენაში ეს რიცხვები საკრალურია და იგი მუდამ მეორდება. ეს არის 10 მცნება, ხოლო 20–10 მცნების და 10 სიტყვის ჯამი, ანუ აქ ლაპარაკია ქართული ენის და ბიბლიის მცნებათა სიბრძნის სრულყოფილად

ცოდნის გავრცელებაზე. პრაქტიკაში ახალი მიმართულება – ქრისტიანობა უფრო მარტივად, ადვილად ვრცელდება. ამიტომ ავთანდილი უფრო უკეთ იყენებს ოცი მიმართულების ცოდნას. როსტევანი კი მიწას სერის მაინც, ე.ი. მთლად ჰარმონიული სამყარო ვერ იქმნება ამ შემთხვევაში. ე.ი. ენის და ბიბლიის ცხოვრების წესი, ურთიერთს ამტკიცებს, ხოლო სხვა წესი ვერ შეერევა მათ. ეს უზომო სიხარულს იწვევს როსტევანში.

ამგვარად, იმარჯვებს – ავთანდილი, რომლისთვისაც ამ ეტაპზე როსტევანის, ანუ წინაპრებისგან განსხვავებით, დამახასიათებელია ნაწილობრივ ძველი და ახალი აღთქმის, ბიბლიის მცნებათა არსის უფრო ღრმად ჩაწვდომა და მათი დანერგვაც საქართველოში და მის საზღვრებს გარეთაც. სხვა ენები და მათი ცხოვრების წესი უნდა აღიკვეთოს, ისინი „მიწას სერიან", უწმინდურობა სიწმინდეში ვერ შეერევა. ალბათ, ამიტომაც, როგორც სამყაროს ისტორია ადასტურებს, ყველა ენა, ანუ კერპთაყვანისმცემელი ქვეყანა აღიგავა ქრისტეშობის შემდგომ.

ეს ნადირობაც რეალურად მოხდა. ეს არის ისტორიული ფაქტი. ფაქტი იმისა რომ სამყაროში ყველამ – ენამ და სახელმწიფომაც შეწყვიტა არსებობა, გარდა იბერიელთა დედა ენისა. უფლის შეწევნით, მხოლოდ ქართული ენა და სახელმწიფო იყო გამარჯვებული. გადარჩა ებრაელთა წმინდა ენაც – ენა თორისა – ბიბლიისა. ოღონდ მათ სახელმწიფო დაკარგეს. ეს რა თქმა უნდა, უფლის ნებით მოხდა პირველ რიგში. ხომ ქრისტეშობის შემდეგ არც ერთმა სახელმწიფომ არ იარსება. ანუ არც ერთი ენა და რელიგია – კერპთაყვანისმცემლობა არ შემორჩა. ასრულდა ნოეს ანდერძი – შემი და იაფეტი მეფობენ თავიანთი ენებით, ქამის ენა აღარ არსებობს. ყოველნი სევნი ამოსვენ. დამდაბლდნენ კერპები ქედმაღალნი, გადაგვარდნენ ყველანი მათი ენებით, დარჩა თორა, ბიბლია, ენა ბიბლიისა ებრაელთა და ენა ქართული განწმენდილი უზნეობისგან.

ამგვარად, საქართველო, რომელიც იმთავითვე ენის პრინციპებით იმართებოდა და ჰქონდა 10 სიტყვა კანონმდებელი, იმ წესში მიმტაცებლობა, დაპირისპირება გამორიცხული იყო. როცა ხალხმა დაივიწყა ეს ენა და ეს წესი მიწათმოქმედებისა, მომთაბარეებად და მიმტაცებლებად გადაიქცნენ. მათი განწმენდისათვის არამიწათმოქმედ, ანუ არაიბერიულ ცხოვრების წესში საჭირო შეიქმნა ჯერ დაეცვათ 10 მცნების პრინციპი, რათა შემდეგ შეძლებოდათ მიწათმოქმედება და 10 სიტყვის დაცვა. ავთანდილი ის ცხოვრების წესია, რომელშიც ხალხი აუცილებლად იცავს 10 მცნებას და 10 სიტყვას, ანუ 20 მიმართულებას.

ქრისტიანობის გავრცელებით ბიბლია ითარგმნება სხვადასხვა ენებზე, ამით საქართველოს საშუალება ექმნება გაიტანოს მისი უდიდესი ცოდნა, მნეობა, იბერიული მიწათმოქმედების წესი, და დაამარცხოს ბოროტება. თუ 10 მცნებას არ იცავს ეს ხალხი, მაშინ ეს მიწათმოქმედება თითქმის ვერ ინერგება მათში. ამას ვერც ასრულებს სხვა ხალხი. ამიტომ ამ ეტაპზე კრიტერიუმი ხდება რომ იწამონ ერთი ღმერთი და მესიონისტური იდეა. ეინც იწამებს ამას, ის ერი თავისი ახალი ენით ვითარდება ქრისტეშობის მერე. ანუ კერპები, ცხოველურობა სრულიად აღმოფხვრეს, ნელნელა ათ მცნებასაც, სწორ მიწათმოქმედებასაც ეუფლებიან და აქ ავთანდილი უფრო მოხერხებულია. აი, ამიტომ ავთანდილი, ქართული ცხოვრების წესი, აღჭურვილი ბიბლიის მცნებათა ცოდნით, უფრო ძლიერია, ვიდრე ძველი ქართული ცხოვრების წესი – როსტევანი. ეს ძალიან ახარებს როსტევანს.

„მეფესა ესე ამბავი უჩს, ვითა მღერა ნარდისა,
უხარის ეგრე სიკეთე მისისა განამარდისა,
აქვს მიჯნურობა ამისი, ვითა ბულბულსა ვარდისა,
სიცილით ლაღობს, მიეცა გულით ამოსვლა დარდისა.

იგი ორნივე საგრილად გარდახდეს ძირსა ხეთასა.
ლაშქართა შექმნეს მოდენა, მოდგეს უფროსნი ბზეთასა.
ახლოს უთქს მონა თორმეტი, უმხნესი სხვათა მხნეთასა.
თამაშობდეს და უჭვრეტდეს წყალსა და პირსა ტყეთასა".

მეორე სტროფის პირველ და მეოთხე სტრიქონებში ჩანს, რომ მტკიცდება სოფლის მეურნეობა, მრავლდება ხალხი. „ლაშქართა შექმნეს მოდენა" და ეს ყველაფერი მიმდინარეობს

დროში და სივრცეში, რასაც ვეანიშნებს თორმეტი მონის ახლოს ყოლა. და შემდეგ არის მეხეედრა უცხო მოყმესთან.

## წიგნთა წიგნის უსასრულო სიბრძნით შემოსილი ტარიელი და მისი მისია

ზ. გამსახურდია აეთანდილისა და როსტეევანის ცოდნის დონეს, ცხოვრების წესს მიიჩნევს სიბრძნეც და ფილოსოფიურ რწმენად, ანუ გონებით განათებულად. ისინი ხელებიან უცხო მოყმეს, რომელსაც შემეცნებული აქეს ზენა სულიერი სამყარო. იგი მისი სულიერებით ზენაართა დონეზეა. ანუ ტარიელი — ბიბლიის მიმღები ერი ამ წიგნით, ზნეობრივი ცხოვრების წესის გარდა, რაც სწორი მიწათმოქმედებაა და რაც იყო საქართველოში, უფლის ნებით, ღრმად ჩაწედა კაბალისტიკას, სამყაროს ქმნადობის უმაღლეს მეცნიერებას. აუცილებლობა ამ მეცნიერების ჩაწედომისა გამოიწვია შემდეგმა ფაქტორებმა.

როცა ებრაელებმა დაკარგეს იბერიული მიწათმოქმედების წესი, კონცენტრაცია გადაიტანეს წიგნთა—წიგნის ღრმად ძირფესვიანად შესწავლა—კომენტირებაზე. მათთვის ეს გახდა ცხოვრების მიზანი, წესი. ეს წიგნი იყო წყარო ებრაელთა სულიერი და ზნეობრივი პარმონიისა. ადამიანისთვის მიუწვდომელია უფლის ყველა მოქმედება. უსასრულოა მისი სიყვარული, სიბრძნე. ამიტომ მოსეს მიერ გადმოცემულ ამ წიგნის სიბრძნეს განმარტებებით, კომენტარებით გადმოგვცემდნენ შემდეგი თაობები. ამ წიგნში მოჭირნახულე ებრაელი ყველაფერში გამარჯვებული ხდებოდა, ხოლო ეინც ცილდებოდა მას — დამარცხებული.

მიზეზი ერთია და ეს არის მთავარი ფაქტორი. მათ აღუთქვეს უფალს რომ დაქორწინების შემდეგ, ამ დიდი მეორე ნასვეარის დედა წიგნის სულით აღზრდიდნენ შთამომავლობას. ანუ აგრძელებდნენ საკრებულოს სწავლულთა სამიდან უმთავრეს პოსტულატს — თორის სწავლებას. იცავდნენ უკლებლივ ყველაფერს და სამყაროს შემეცნების ყველა დარგს მხოლოდ ამ წიგნის კანონიკური მიმართულებიდან აღიქვამდნენ.

ამდენად, ებრაელ მორწმუნეთა მიერ შეცნობილი და განვითარებული მეცნიერება იყო მეტად ღრმა, ერთადერთი ჭეშმარიტი სამყაროს პარმონიული მოწყობის მოქმედების აღსაქმელად. რამეთუ ეს ეროვნული საგანძური მათი სიბრძნის ამოუწურავი კიდობანია კაცობრიობისათვის. რასაც აღნიშნავდნენ კიდეც უდიდესი მეცნიერები: აინშტაინი, გალილეი და სხვანი. მანამდე კი მათი წმინდანები რამბამი, რაში, რამბანი და ა.შ.

აღსანიშნავია ერთი ფაქტორიც: ებრაელებს უპირისპირდებოდნენ ბნელი ძალები, რომელნიც ფლობდნენ სატანურ ცოდნას და მის დასამარცხებლად ღრმა განათლება იყო საჭირო. ასეთი განათლება, დამკვიდრებული იბერიულ მოდგმაში უდიდეს განვითარებას პპოვებს ქანაანში. საერთოდ როსტევანის და ტარიელის ცოდნის დონის შეფარდება ისეთ თანაფარდობაშია, დაახლოებით, როგორც ნოესი და მოსესი, რომლის ცოდნა შემდეგმა თაობებმა კიდევ ღრმად განავითარეს. ნოემ კი იცის ბიბლია, მაგრამ არა ისე სრულყოფილად როგორც მოსემ. ამიტომ სიბრძნე და ფილოსოფიური რწმენა როსტევანისა ვარდება სასოწარკვეთილებაში, როცა ის ცდილობს უცხო მოყმის შემეცნებას, ანუ ცოდნის დონის ჩაწედომას.

ეს არ არის წამიერი შეხვედრა, როგორც ნაწარმოებშია. ტარიელი მტირალი შის წყლის პირას, მადლს აფრქვევს, ამტკიცებს ენის პრინციპებს დროში და სივრცეში, რასაც განასახიერებს 12 მონა (12 ზოდიაქო, დრო, ჟამი). ამით ტარიელი მთელი ამ ხნის განმავლობაში ეხმარება ნადირობაში უზნეობათა აღმოფხვრაში როსტევანს და ავთანდილს. ისინი ხომ ნადირობისას წააწყდებიან მას. მაგრამ ტარიელის სანადირო არ არის მცნებათა დამცველი საქართველო. ამიტომ ცდილობს გაეცალოს მას. როსტევანი უძლურია შეიცნოს ტარიელის მისია, თუ რატომ ეცლება მას ამხელა ცოდნის მატარებელი ერი, რომლის ახალი მისიაა განავრცოს სამყაროში ბიბლიის მცნებანი.

მან, როსტევანმა ისიც იცის, რომ მესია რომ მოგვევლინოს სამყარო ისტორია უნდა განმეორდეს. ანუ ორმა ძმამ, ნოეს ვაჟებმა, როგორც საქართველოში შექმნეს ზნეობრივი ცხოვრების წესი ნოეს დახმარებით, ასევე უნდა შექმნან ეს წესი მთელს სამყაროში, მისი, ნოეს სულის მატარებელი მოხუცი მეფის დახმარებით, ანუ თორის და ენის მეშვეობით აღმოფხვრან ბოროტება. მან დაინახა ტარიელში ამ უფროსი ძმის ფუნქციის მატარებელი — მესია, რომელიც უნდა წარუდგინოს ელიამ, ქართველმა იაფეტმა სამყაროს. მან ისიც დაინახა, რომ ბოროტება სამივემ დაამარცხა. გაბრწყინებულია იბერია. ბიბლიის მადლით უფრო ეფექტურად ნადი-

რობენ როსტევანი და ავთანდილი ბოროტების აღმოსაფხვრელად და ამ დროს ტარიელი გაექცევა მათ.

საქმე იმაშია, რომ ტარიელმა — ებრაელობამ, რომელიც გარშემორტყმული იყო უზნეო სახელმწიფოებით, იცის, რომ მთელს სამყაროში იბერიული ცხოვრების წესს ვერ დაამყარებს. იქ ყველას გენეტიკა წართმევაა. იბერიელთა ათი თვისება გაყოფა—გაცემა მხოლოდ თორის მცოდნეთ და ენაზე მოლაპარაკეთ აქეთ. ჯერ ამ წიგნის გავრცელებაა საჭირო. უნდა დაიწეროს ახალი ისტორია როგორ დაუწყებს ბრძოლას ბოროტება ამ სიკეთეს წიგნთა—წიგნს — როგორ დაისჯება ის ნელნელა და თუ არ მოეგება გონს მაშინ სამუდამოდ დაისჯება.

მართლაც ჩვენ ვიცით, რომ მეორე ტაძრის დანგრევის შემდეგ ისინი ცოტა ხანს ჩერდებოდნენ საქართველოში და სხვა ქვეყნებში გადადიოდნენ (ზაქარია ჭიჭინაძე). ამიტომ აქ მეჯიბრიც კი არ გამოდის.

ანუ ერთი ან რამოდენიმე 12 წლეულში შეიძლება მოხდეს რომ ხალხებმა იწამონ მონოთეიზმი, მაგრამ გენეტიკა მიმტაცებლობისა მათში არ შეიცვლება. ამისათვის საჭიროა თავისი თვალით ნახონ რას მოუტანს მათ ეს, რასაც ათასწლეულები სჭირდება. ამავე დროს აქ ჩანს, რომ თორის — ბიბლიის ცოდნით შეიარაღებული ტარიელი ზოდიაქოს ნიშნებს არ ექვემდებარება, მისთვის არ არსებობს მათი გავლენა, პირიქით მისი მესიის მოქმედება, როგორც უფლის კარავში ნაზიარისა მიიღწევს და შეუძლია შექმნას მუდმივი ჰარმონია, აღმაფრენა. არ არსებობს დეპრესიები და აღმაფრენები. ეს მოხდება ყველასათვის, როცა ის დააბრუნებს სულიერ მზეს მთელ სამყაროში — ნესტანს, ანუ ყველა შეისწავლის ბიბლიას. აი რას ნიშნავს 12 მონა, თორემ რუსთაველმა იცის რომ ათია საკრალური ციფრი და მაშინ 10 მონას გააგზავნიდა როსტევანი როგორც ეს მოიმოქმედა ფატმანმა ავთანდილის მის ქვეყანაში მოსვლისას.

ტარიელის თორის სრულყოფილ ცოდნასთან მიწიერი, ქამიერი კატეგორიებით ვერ მიხვალ და 12 მონა უძლურია, ისევე, როგორც სხვა განსწავლულნი, რომელნიც მიეძალებიან ტარიელს, რათა დატოვონ ებრაელობა — ტარიელი და შეიცნონ იგი. ნაწარმოებში ტარიელის მიერ მონათა მოკვლა სიმბოლურად გამოხატავს უძლურებას, ჩაწვდნენ ტარიელის, მომავალი მესიის ცოდნის დონეს, თუმცა ავთანდილს და, ალბათ როსტევანს ძალუძთ ჩასწვდნენ ამ დონეს. ტარიელი და ავთანდილი ხომ ის იბერიული წესია, სადაც უზნეობა გამორიცხულია. კიდევ ამიტომაც გაეცილება მათ ტარიელი.

კიდევ აღვნიშნავთ რომ ჩვენში იცოდნენ და იცავდნენ მოსეს სამართალს, თორის კანონებს. მისი ისტორია ბოლომდე იციან. არ იციან ზეპირი თორა ანუ კომენტარები რომელნიც სხვა წიგნებში ანუ თანახშია ასახული. არ იციან რატომ დაინგრა ტაძარი ორჯერ და სხვა.

ჩვენ ვიცით, ტარიელი თავის სახელში სრულიად შეიცავს იმ დიდ ცოდნას, რაც ბიბლიაში და მისი სიბრძნის აღმქმელ სხვა წიგნებშია გადმოცემული. მართალია, ტარიელი როსტევანის ქვეყანაში დამწუხრებული მოსულა, მაგრამ დიდი მადლი მოიტანა.

ამგვარად, ტარიელში ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ საქართველოში მესამედ მოსული ებრაელობა. მაშინ, როცა ისრაელის მიწაზე დაინგრა მეორე ტაძარი და ის კიდობანი, სადაც მეხინა იყო დავანებული, თან ჩაიტანა. მეხინა — ნესტან—დარეჯანი ტარიელის — ისრაელის ცხოვრების წესის მიჯნური გამოეყო ემანსიპაციის წყაროს და მარტვილობაში, უზნეოთა ტყვეობაში აღმოჩნდა. განა წმინდა მიწიდან აყრილნი ტარიელივით დამწუხრებულნი არ იყვნენ?

გავიხსენოთ ტარიელის აღწერა:

„ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა,
შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა,
ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ—აბჯარ—უნაგირსა.
ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდუღრად ანატირსა."

ებრაელები ხომ მცხეთას მოადგნენ და წყლის პირას დაეპატრონენ მამულებს. მათ მადლი, ცრემლი შემოიტანეს, ქართული ენა განამტკიცეს და იყო ჰარმონია — რადგან „ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა".

ამგვარად, თუ ადრე ებრაელები მოდიოდნენ საქართველოში, რათა სული მოეთქვათ და ქართული ცხოვრების წესიც განემტკიცებინათ, ახლა მათ ახალი მისია ენიჭებათ. მათ დაკარგეს

შეხინა. ის უზნე სახელმწიფოთა ტყეეობაშია მათ აძლეეს იძულებით ბარაქს. იქ ყეელგან უნდა დანერგონ ბიბლიის მცნებანი, ანუ არა მარტო ერთი ღმერთი და მესიონისტური მისია იცნონ მათ. ისინი ცრუ მეცნიერებიდან – ქაჯებიდან წმინდანებად უნდა გარდაიქმნან, ან უკიდურეს შემთხეევაში გადაშენდნენ. მაშინ დაიხსნიან ებრაელნი ტარიელი – მიჯნურს, ნესტანს – შეხინას. ამიტომ მათ უნდა გააერცელონ ბიბლია და მისი მცნებები. ეს სჭირდება იმ ერებს, რომელნიც ახლიდან იწყებენ ცხოერებას ქართული წესით, მიწათმოქმედებით. ხომ ამას ნერგაეენ როსტეეანი და აეთანდილი (გაეიხსენოთ მსოფლიოში სოფლის მეურნეობის ენდემურ ჯიშთა ნახეეარზე მეტი ქართულია). ტარიელი ხომ უფროსი ძმაა და მის კარეებში უნდა განეითარდეს იაფეტი. საქართეელო ასეც ეითარდება. ამიტომაც ებრაელები აღარ ჩერდებიან საქართეელოში. მათ ენიჭებათ მეტად საპატიო მისია, ბიბლიის მცნებების დაცეა და გაერცელება სამყაროში, რათა გადარჩნენ ქეეყნები და კერპთაყეანისმცემლობის გამო არ აღიგაეონ პირისაგან მიწისა. აი, ეს ოდნაეი გაჩერება ებრაელთა და შემდეგ გადასელა სხეა ქეეყნებში, აღელეებს როსტეეანს.

მას ჰგონია რომ რაკილა დედა ენა განიწმინდა, რაც ქართლის ცხოერებით ეიცით, ფარნაეაზის ეპოქიდან დაიწყო კერპთაყეანისმცემელთა შებილწეისგან მისი განწმენდა დადგა დრო განმეორდეს ისტორია. ის ელის იაფეტის – აეთანდილის უფროს ძმას ტარიელს, რათა ორმა ძმამ მყარად დანერგოს ქართული ცხოერების წესი, რაც ნაადრეეია. ჯერ ცოდნაა, ანუ ბიბლია ღმერთის სიყეარული და საერთოდ სიყეარულია დასანერგი ამ ხალხის ცნობიერებაში.

ამგეარად ტარიელს გააქეს ცოდნა იუდეეელთა ძეელი და ახალი აღთქმის სახით. ეს ის ცოდნაა, რომელიც ხელმისაწედომია სხეა ხალხისათეის, მათ ზნეობაზე მოქცეეისათეის. რატომ? ქართული ენის სიბრძნე მიწათმოქმედების ის წესია, რომელსაც არ მიიღებს ბიროტება. გარე სამყაროს არ სურს მიწების განაწილება თანაბრად. მათ სურთ, მოყეასი კი არ შეიყეარონ, არამედ მონად აქციონ. აქეთკენ მიდის ეს სამყარო. ესაა მათი გენეტიკა და არა ქართეელისნაირი სიყეარული მოყეასის, მიწის და, რა თქმა უნდა, შემოქმედის. ეს გენეტიკა მხოლოდ ქარული ენის და ბიბლიის ცოდნით ყალიბდება. გაეიხსენოთ ქამმა იმიტომ დაკოდა მამა რომ მეოთხე ძმა მოწილე არ გასჩენოდა მას. ამიტომ ასეთი გენეტიკის ხალხი ამ ეტაპზე მხოლოდ უფლის შიშით, რომ ის დასჯის მათ, დაამსხერეეს კერპებს, გახდება მონოთეისტი, ზოგი შეიყეარებს მოყეასსაც. მიწას კი მაინც გაუწეეს ექსპლოატაციას. როგორც ქართეელი, მას ისე არ მოეელის, რადგან შიშით ინერგება მათთან უფლის სიყეარული. ეს შიში ეუფლებათ მათ ბიბლიის გაცნობისას. ამიტომ ამ ეტაპზე ბიბლიის მცნებათა დანერგეაა საჭირო. უფალს სურს გადაარჩინოს ნოეს მესამე შეილის ქამის შთამომაელობა. ბიბლია არის უდიდესი სიბრძნე, ცოდნა, რომლის შესრულების გამო ადამიანს აქეს ნათელი, უდიდესი ძალა და უფლის შეწეენა. ამ სიბრძნის დიდ ძალას აღიარებს თეითონ როსტეეანიც:

„უცხოსა და საკეირეელსა, ყმასა რასმე გარდეეკიდე,
მისმან შუქმან განანათლა სამყარო და ხმელთა კიდე.
რა უმძიმდა, არ ეიცოდი, ან ტიროდა ეისთეის კიდე;
ჩემად ნახეად არ მოეიდა, გაეგულისდი, წაეეკიდე."

ებრაელებს იმსელა ცოდნა ჰქონდათ, რომ ნათელი შეხინა თან მოჰყეებოდათ და ამიტომაც მისმან შუქმა სახის – მენორის ნათელმა განანათლა სამყარო და ხმელთა კიდე. ე.ი., ებრაელთა – ტარიელის ცოდნის დონე სამყაროს განანათლებს.

„ან ტიროდა ეისთეის კიდე", თუ როსტეეანს უკეირს კიდეე რისთეის ტიროდა. მან არ იცის ისტორია, არ იცის, რომ დაინგრა ტაძარი და მიჯნური ებრაელთა ერისა ნესტან-დარეჯანი ტყეეობაშია. ამაეე დროს მას ეგონა რომ ყეელგან დაამარცხეს უზნეობა, ის კი კიდეე აფრქეეედა მადლს საქართეელოში და მის საზღერებს გარეთ.

# რაშია რუსთაველის საიდუმლო ანუ რას ნიშნავს ოცი და ორზგის მობილი ასევე ორი ლომი

საქართველოში კი მათდამი ქართველთა ერთგულება და სიყვარული, ჯერ ერთი, გენეტიკური წარმომაელობიდანაა და, მეორეც — ორივე მამა—ზეციერის ერთგულები არიან: ამიტომ სწყინს, რომ მის სანახაეადაც არ მივიდა ტარიელი:

„მე რა მნახა, ცხენსა შეჯდა, თვალთა ცრემლნი მოიხოცნა:
შესაპყრობლად შეეუზახენ, სპანი სრულად დამიხოცნა,
ვითა ემმა დამეკარგა, არ კაცურად გარდამკოცნა,
ჯერთცა ესე არა ვიცი, ცხადი იყო, თუ მეოცნა.

აწ ესე მიკვირს, რა იყო, ანუ რა ვნახე და რული!
მან დამიხოცა ლაშქარი, ადინა სისხლი ღვარული.
კაცთა ხორცისად ვით ითქმის ისრე თვალთაგან ფარული?!
უცილოდ ღმერთსა მოვსძულდი აქამდის მე მხიარული.

ტკბილნი მისნი წყალობანი ბოლოდ ასრე გამემწარნეს,
დამავიწყდეს, რაცა დღენი მხიარულსა წამეარნეს.
ყოველმან პირმან ვაგლახ მიყოს, ველარავინ მინეტარნეს,
სადამდისცა დღენი მესხნენ, ველარამან გამახარნეს!"

პირველ სტროფში ჩანს, რაც უკვე აღვნიშნეთ, ტარიელის უდიდესი ცოდნა, როსტევანის სპანი რომ ვერ ჩაწვდნენ. ტარიელი, რომელიც სულით იბერიელი—ქართველია, ფლობს როგორც ბიბლიას, ასევე ქართული ცხოვრების წესსაც. ამაზე მიგვანიშნებს პირველი სტროფის სტრიქონებში, ბოლოში რომ ოცი ციფრია, ანუ ათი მცნება და ათი სიტყვა. მაგრამ როსტევანს აწუხებს ისიც, რომ ებრაელებმა არც კი გადაკოცნეს მოძმე დამშვიდობებისას. როსტევანმა იცის (ჩვენ შემდეგში კიდევ გავიმეორებთ) ოცი იმასაც აღნიშნავს რომ: სემი და იაფეტი მეათე იყო ბიბლიაში, აღნიშნული წმინდანები, ვინც ნოესთან ერთად საბოლოოდ დააფუძნა იბერიული ცხოვრების წესი იბერია—კავკასიაში.

ამავე დროს ისრაელში ისევ იბადება კიდევ ცხრა წმინდანი მესიის დონის, ანუ სულ ცხრამეტია დღევანდლამდე და მეოცე უკვე იქნება მესია. ეს მეოცეა ტარიელი, მესია, რომელშიც სემის სულია. ქართული სიტყვა, ოც—ნება ხსნის ამ საიდუმლოს. ანუ ამ მე—ოც—ეზე ოცნებობს იბერიელი ერი. ამ სა—ოც—რებაზე, მესიაზე. ანუ ისტორიის გამეორება იმაშია, რომ ახლა უკვე მთელ სამყაროში აღადგენენ შემი და იაფეტი იბერიულ ცხოვრების წესს და ისინი მეოცენი არიან. ლ—ოც—ვა ჩვენი აქეთკენ მიმდინარეობს, ამიტომ შეიცავს ეს სიტყვაც ოცს. როსტევანმა ეს საიდუმლო რა თქმა უნდა იცის. მაგრამ არ იცის ისრაელის ერის ისტორია, რომელსაც ნაწარმოებში ტარიელი მის უმცროს ძმას ავთანდილს გააცნობს და ისინი მეოცენი იქნებიან, ვინც იხსნის სამყაროს. ისტორიის გაცნობა უნდა მივიჩნიოთ ავთანდილის მიერ თორის — ბიბლიის სიბრძნის სწავლებად.

უნდა აღინიშნოს რომ, როცა ვამბობთ ბიბლია, ეს ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „წიგნებს", ანუ აქ ნაგულისხმევია მხოლოდ ხუთწიგნეული თორა. ამის გარდა არის 19 წმინდა წიგნი. სულ ამ წიგნებს ჰქვია თანახი. არსებობს, აგრეთვე არაკანონიური წიგნები 15—ი.

აი ამ უდიდეს ცოდნას უვლება ავთანდილი სამყაროს მოწყობის მისი ქმნადობის ისტორიას. როსტევანისთვის გამ—ოც—ანაა როგორ უნდა მოველინოს სამყაროს ეს მეოცე მესია, ამიტომ შეიცავს ეს სიტყვა ოცს. აი რას ნიშნავს ენაში ჩახედვა, იქ მესიის მოვლინებაა კოდირებული, სა—ოც—ნებოა ამ გამ—ოც—ანის ამოხსნა. და ეს მაშინ მოხდება თუ ჩავწვდებით თორის ახსნა განმარტებებს — ისრაელის ისტორიას და აქეთკენ მიმავალ გზას გამარჯვებისას რაც „ვეფხისტყაოსანში" ხელის გულზე გვიდევს. თუ თორას, მის კომენტარებს, მეფეთა, წინასწარმეტყველთა და სხვა წიგნებს არ ჩაწვდი ვერ დაინახავ და ვერ მიწვდები ამ დადებულს. სიცოცხლეა მარადიული თორა და ამიტომ შეიცავს იგი ოცს. თუ არ შეისწავლე სიც—ოც—ხლეს გაგვიმწარებს ისე როგორც როსტევანს გაუმწარდება სიც—ოც—ხლე. ქართველის სიცოცხლე

– ცოდნის აღდგენაა და ქმედებაა ამ ცოდნით. ისეეა საჭირო ებრაელთა ქმედებაც – ვეფხისტყაოსნის შინაარსით, ის რაც იწინასწარმეტყველა რუსთაველმა.

ჩვენთვის ეს ის სწავლებაა, რითაც ავთანდილი ქართველი ერი დღეს რუსთაველის მეორე საიდუმლოსაც ხსნის – რატომ ჰქვია ტარიელს „ვეფხისტყაოსანი", გავიხსენოთ ლომი გამოხატავს მეფურ ზეავობას, ნებას, ძალას, კეთილშობილებას, უძლეველობას, სულის გამარჯვებას მატერიაზე, ცის ნათელს, ცნობიერების განათლების. ვეფხვს ყველა ეს თვისება აქვს, იგი ძალოვანი ასპექტია ლომისა მხოლოდ მზიური მნიშვნელობა არა აქვს. იგი უფრო ბნელის და ახალი მთვარის სიმბოლოს ენათესავება. ანუ მას უწევს ბრძოლა სასტიკი ბნელის წინააღმდეგ, რათა მან დაამარცხოს იგი, მოიტანოს ნათელი. ვეფხობა გარემოთია განპირობებული. გარშემორტყმული ბნელი ძალები არ უშვებენ რომ იყოს უფლის სინათლე, სულის გამარჯვება მატერიაზე. ასეთი მდგომარეობაში აღმოჩნდა ქანაანზე ჩასული სემი, რომელიც მეფობს, მაგრამ არ არის ნათელი – ცოდვილთა გამო – შესინა სულიერი მზე. გავიხსენოთ იმიტომაც უბოძა უფალმა მას და არ იაფეტს ციციტი ანუ ვეფხის ტყავი ლომად რომ შეიქმნას ვეფხვი–შემი – აბრაამი, ისაკ იაკობი უნდა დაამარცხოს ბნელი ძალები, რომელნიც ებრძვიან ებრაელებს – იბერიელებს.

მათ ამ უფროსი ძმის მოდგმამ თავი გადადო იმისთვის რომ ეს ბნელი ძალები არ მიეძალონ საქართველოს ლომს, სადაც არის ასეთი ნათელი შეხინის – თინათინის სახეში. მათ უნდათ შესინამ იმეფოს ჯერ ქანაანზე და მერე მთელ სამყაროში. აი სადა დევს ახსნა ვეფხისტყაოსანის – ტარიელისა და ახსნა იმისა თუ რატომ არის სინაგოგებში (სადაც ყველანაირი ნახატია, ანუ კერპის შექმნა აკრძალულია) ორი ლომის გამოსახულება და ბაგრატიონთა ბიბლიური დავითის მთამომავალთა სამეფო გერბზე ორი ლომი (თუ რატომ არის ვეფხისტყაოსანი იუდეველი ამის ახსნას ცოტა ქვემოთ შემოგთავაზებთ).

ახლა კი განვმარტოთ ორგზის შობილი, რაც დაკავშირებულია შობასთან და კვლავ შობასთან.

პირველად როცა შესცოდა ადამმა. მას მოსცილდა სულიერი მზე შესინა გამრავლდა მისი შვილის ყაენის მთამომავლობაც. იგი კი შეთის შთამომავლობას ამრავლებს, რათა დააბრუნოს სულიერი, მზე შეხინა – სამოთხის ნეტარებით ცხოვრება და მოსდა ეს ნოეს მიერ რომელმაც შვა ორი ლომი შემი და იაფეტი. დავანდა შეხინა საქართველოში. ამგვარად ორჯერ იშვა ლომი რათა დავანებულიყო შეხინა. მაგრამ მოეძალა ბნელი ძალები ქამის სახით და როგორც აღვნიშნეთ ამ შემთხვევაში მზეს თავისი ნებით მამის ანდერძით ჩამოსცილდა უმფროსი ძმა, რათა დაიცვას უმცროსი სიკეთის ციტადელი (ამბობს კიდევაც ავთანდილი ერთ–ერთ დიალოგში მან ჩემთვის დადო თავიო). იმოსება სემი უფლის ნებით ვეფხის ტყავით. აი ამ მოდგმაში კიდევ მეორედ უნდა იშვას ლომი სამყაროს მესია ტარიელი და შემდეგ ეს ორი ლომი შემი და იაფეტი – ტარიელი და ავთანდილი დაამარცხებენ ბნელ ძალებს.

ორგზის შობილის ახსნაც შემის მოდგმის ტარიელის ისტორიაა. იგი ორგზის უნდა იშვას.

ამგვარად ერთხელ იშვა ლომი და იბერია-კავკასიაში დამყარდა ზნეობრივი ცხოვრების წესი. ეხლა მეორედ უნდა იშვას, ანუ ორგზის რომ მთელ სამყაროში დამყარდეს ეს წესი.

ერთხელ იგი იშვა ვეფხისტყავიდან, როცა დაამარცხა ბნელი ფარაონის ძალები და მოწყდნენ უდაბნოში ბნელეთს. დაისადგურა სულიერმა სიწმინდემ და დავანდა ნათელი – სულიერი მზე – შეხინა უფლის ნებით კიდობანში, ისრაელებში. გაიხარა მაშინ ძლიერ უფალმა. აღადგინეს მათ იბერიელი მიწათმოქმედება ისრაელში – ლომობდა ტარიელი, ჰყავდა მას მიჯნური შეხინა – ნესტან დარეჯანი – მეფობდა ბიბლიური დავითი იუდას შთამომავალი. მას დაანათლა იაკობმა მეფობა. გავიხსენოთ, დაბადება 49.8. იეჰუდა, შენ გიმადლიან ძმები, შენს მტერთა ქედზეა შენი ხელი! გეთაყვანებიან შენ მამაშენის ძენი.

49.9. ლომის ბოკვერი ხარ იეჰუდა! აღმართული ხარ, შვილო, ნადავლით ხელში... 49.10. არ განშორდება კვერთხი იეჰუდას და არც არგანი მის ფეხს შუიდან ვიდრე არ მოვა შილო და მასთან ხალხები ქედს მოიხრიან, შილო აქ მესიაა ნაგულისხმევი. ამგვარად იუდას შტოდან არის ბაგრატოვანებიც.

ამგვარად აღადგინა ისრაელმა ლომის ფუნქცია. პირველი ხუთწიგნეული ამ ისტორიას აღწერს. სამოთხე ქვეყანა გახდა ისრაელი თავისი იბერიული მიწათმოქმედებით. კი აღდგება შეხინის ნათელი, მაგრამ ვეფხის ფუნქციას ბრძოლის გარშემორტყმულ ხალხთან მათ ზნეობაზე მოსაქცევად მაინც აგრძელებენ ებრაელები. რატომ? იმიტომ რომ თუ საქართველო - კავკასია თვითონ ქვეყანა იქცა ტაძრად, ისრაელში ჯერ კიდობანი იყო და შემდეგ ტაძარი სადაც

ლოცულობდნენ ისრაელნი-იბერნი. იქ ქვეყანა ვერ იქცა ტაძრად. ამ ხალხით მოტანილი უბნეობანი არ უშვებენ ისრაელს სრულყოფილად აღადგინათ მიწათმოქმედება, ინათის იმეფის სულიერმა მზემ — შეხინამ. ორგზის უნდა იშვას ეეფხიდან ლომი. და მაშინ იქნება შეხინა მეფედ ამ ქვეყანაზე. ამიტომაა იგი დავანებული ისრაელში ჯერ მხოლოდ ტაძარში და ფარსადანიც როსტევანისგან განსხვავებით ნესტანს მეფედ არ სვამს.

ამიტომ არ იცილებდნენ ისინი ვეფხის ტყავს — მოსეს წმოსასხამს. (რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ). და მეორედ მოხდა რომ მოსცილდათ მათ ქვეყანას შეხინის ნათელი სულიერი მზე და მთელი ისრაელი ებრაელნი ისევ ვეფხვებათ იქცნენ, გაიფანტნენ მთელს მსოფლიოში, რათა დაამარცხონ ბნელი ძალები. მოუტანონ ხალხს ნათელი და თვითონაც დააბრუნონ მიჯნური შესინა, რომლის დაკარგვასაც გლოვობენ ისინი ორიათასი წელია.

ამასთანავე ვაჟკაცურად ებრძვის ბნელეთს, რათა მეორედ იშვას ლომი, არც პირველი ლომი არ ისვენებს — ავთანდილი ისიც დრტვინავს, ამარცხებს გლეჯს ბოროტებას. მისი მისიაა უმფროს ძმას გვერდში დაუდგეს. მან უნდა შემოინახოს იაფეტისებური გენეტიკური სიყვარული მოყვასის ცხოვრების წესი მიწათმოქმედება, რომელსაც გაავრცელებენ მთელ მსოფლიოში. ამიტომაც ჰყავს მიჯნური — შეხინა — თინათინი ანუ აქვს ლომის ნათელი ქველობა. არა აქვს ეს მიწათმოქმედება ცხოვრების წესი ტარიელს. დაკარგა ნათელი შეხინა — ნესტანი და ამიტომაც არის იგი ვეფხისტყაოსანი. ამიტომაც როცა ლომად იქცევა დაიბრუნებს ნესტანს, მიყავს უმცროსი ლომი სამშობლოში ნაწარმოებში, რათა ეს წესი განამოგადოს დანერგოს მთელს მსოფლიოში და ისრაელშიც.

## ქართველნო! ლომის მისია რომ ვასრულოთ ცოდნა უნდა აღვიდგინოთ

აი ასე ორი ლომი, ორი ძმა, სული სულთაგანი, ხორცი ხორცთაგანი, სული მესიისა ღმერთის უანგარო თავდავიწყებითი სიყვარულის სიმბოლონი გადაარჩენს სამყაროს.

აი რა ცოდნას უნდა დაეუფლოს ანუ აღიდგინოს — ავთანდილმა და დღეს ყველა ქართველმა, რომ აღადგინოს მზეობრივი ცხოვრების წესი. ამ ისრაელის ლომად გარდასახვას მეორედ ანუ ორგზის რომ იშვას და სამყაროს ხსნას ეწირება დღეს საქართველო რაზეც ნაწარმოებში ნელ-ნელა დავრწმუნდებით.

რომ არ შევეწიროთ — ისევ ლომად უნდა ვიქცეთ. ლომად რაც ცოდნით მოვა. ანუ საქართველოს კონსტიტუცია უნდა გახდეს ბიბლია და ენა.

რუსთაველის წინასწარმეტყველებით ქართველი ებრაელები გაგვახსენებენ, გვასწავლიან ამ ცოდნას. ჩვენ კი აღდგენილი ცხოვრების წესით სამყაროს ხსნის გზას — ავთანდილის მოქმედების გეგმას გავაცნობთ, რასაც თანდათან ჩავწვდებით ამ ნაწარმოების წაკითხვისას.

## რატომ ცდილობენ დაპირისპირებას

ამიტომაც იმ სიყვარულის რაც ორ ძმაშია გამეტებით იბრძვიან იმპერიათა აგენტები, რომ გათიშონ ეს ძმობა ორი ლომი სამყაროს მესია. ეს სიყვარული იყო ღრმა წინაპრებში, ესლა კი შენელდა მათი ძალისხმევით (გაეიხსენოთ გერმანელებიც კი დაარწმუნეს საფრანგეთში ქართველებმა რომ ქართველი ებრაელი ქართველია. მხოლოდ რელიგია აქვთ იუდეური და ხელი არ ახლეს მათ).

აი ამ სწავლების ღირსად მიიჩნევს ის მხოლოდ ავთანდილს, მის ძმას, რადგან იცის, რომ იგი განგებამ გამოუგზავნა, აქვს იბერიული გონი და ისიც ანუ ქართველი ერი მიჯნურია შეხინის — თინათინის სახით და ოცნებობენ მასთან შეუღლებას.

აი კიდევ რატომაა ჩვენთვის სიტყვა ოცი და რატომაა ჩვენში ოცობითი ათვლის სისტემა. ამგვარად ეს მესია დაინახა ტარიელის სახეში როსტევანმა და ე—ოც—ნა.

## იბერთა ქვეყანა ჯერ დაფარული უნდა იყოს ბოროტთათვის

რა თქმა უნდა, დრო და გარემოება არ იყო დამდგარი, რომ ტარიელს საქართველოში ემოღვაწა. ამიტომ გაეცლება იგი როსტევანს და ის, რაზეც როსტევანი ოც—ნებობს, ნაწარმოების ბოლოში აუხდება როგორც ვიცით. აი ეს მეოცე მესიის ცოდნა განაცვიფრებს როსტევანს იმდენად, რამდენადაც ასეთ ცოდნაზე ოცნებობს იგი, რაც ჩანს ბოლო სტროფში.

ამგვარად, ტარიელი გაურბის როსტევანს, იმიტომ, რომ არ უნდა ამ ეტაპზე სიკეთის ციტადელის ქვეყანა საქართველო იდევნებოდეს მასავით. ეს საპატიო დევნა უფალმა მას მიაკუთვნა რამეთუ შემს ერგო ჭრელი სამოსი – ციციტი. ბიბლიის მცნებათა დანერგვით ქამის მოდგმის გარდა მას გადასარჩენი ჰყავს მისი მოძმე, აბრაამის შვილის იშმაილის და აბრაამის შვილიშვილის ესავის შთამომავლობა. ეს უკანასკნელი ევროპაშია და ნერგავს იგი იქ ქრისტიანობას. შემდეგ იშმაილის შთამომავლობაში მუსლიმანობა ინერგება იუდაიზმის საფუძველზე. იგი მარტოა ამ საქმეში, რაც მეტად ძნელია. იმდენად ძნელი, რომ ტარიელი ბოლოს სასოწარკვეთილებამდეც მიდის. თუმცა მას არ უნდა პრობლემები შეუქმნას სხვას. ეს თვისება ახასიათებთ უდიდეს მცოდნეებს და მცნებათა დამცველებს. ისინი არსებობენ სხვათა სიკეთისათვის და არა საკუთარ დარდზე ზრუნვისთვის.

ტარიელმა იცის, რომ თუ გაუზიარა მეფეს გაჭირვება (ის რაკილა იბერიის მეფეა), იგი მის დახმარებას დაიწყებს. ამან კი შეიძლება ქართული ცხოვრების წესი დააზარალოს. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ბიბლიის მცნებების დანერგვა სამყაროში. სიკეთის ციტადელი – ქვეყანა, რომელიც იცავს მცნებებს, სადაც არის გაცემა და სიყვარული, უნიკალური მიწათმოქმედება ერთიღა შემორჩა სამყაროს. მან ჯერ დამოუკიდებლად უნდა იმოქმედოს თუ იგი აშკარად დაეხმარება ტარიელს, ბოროტთათვის ნათელი გახდება, რომ ეს ქვეყანაც უნდა მოიკვეთოს, ამიტომ ახლოს არ იკარებს მეფეს, გაეცლება და დიდად ამწუხრებს მას. ამწუხრებს, რადგან მცნებათა დამცველი საქართველოსთვის დიდი ცოდვაა, თუ გაჭირვებულ სტუმარს არ დაეხმარა, მადლი არ ჩაიდინა. ცოდვაა, რადგან როგორც აღვნიშნეთ, ეს ქართველთა მისიაც უფლის მიერ არის მონიჭებული. ქართველთათვის მცნების არშესრულება სიცოცხლის გამწარებაა. როსტევანი იქამდეც კი მიდის, რომ ამბობს – ღმერთს მოვძულდიო. რატომ? იმიტომ, რომ იგი აღარ ეხმარება ტარიელს, მის სულიერ შვილს ბოროტების დამარცხებაში. ისრაელი ისევე სიკეთის ნაწილია, როგორც საქართველო. ამ მწუხარების გამო მხიარული დღეებიც კი აეწყდება. გენეტიკურად ასეთია ქართველი ყველა გაჭირვებულისადმი.

## ქრისტიანობა მადლი ებრაელთა მიერ შემოტანილი

ამავე დროს, ეს ის ისტორიული პერიოდია, როცა ებრაელებს ახალი შემოტანილი ჰქონდათ საქართველოში მადლი ქრისტიანობის სახით. ზ. გამსახურდია გადმოგვცემს: „ცნობილია, რომ მცხეთაში იყო ებრაელთა თემი, რომელიც თავიდანვე გაქრისტიანდა. ვინაიდან ხედავდნენ ერთობას ეზოტერულ იუდაიზმს და ქრისტიანობას შორის" (ზ. გამსახურდია, წერილები, ესსეები, 1991, გვ. 209).

ეს ქრისტიანობა უკვე შესწავლილი აქვს ქართველთ–ავთანდილს. ის საქართველოს რამდენიმე რეგიონში იკიდებს კიდეც ფეხს. მაგრამ არ არის ოფიციალურად გამოცხადებული სახელმწიფო რელიგიად, რაც ჩანს იმაში რომ როსტევანი ვერ ფლობს მას. რატომ გაქრისტიანდნენ? იბერიელებმა უნდა გაავრცელონ ის სწავლება სამყაროში, რომელიც იბერიული მიწათმოქმედების წინა ეტაპია. ანუ მტკიცდება ქართული ცხოვრების წესი და ენა ქართული–ლაზური. აი, ამ მადლს ასრულებს ტარიელი, უცხო იუდეველი მოყმე, როცა იგი ზის „მტირალი წყლისა პირსა". მან მოიტანა მადლი, ხოლო როსტევანს არ ჩაადენინა იგივე. ებრაელთა შემოტანილ მადლს რუსთაველი შემდეგი სტრიქონითაც გადმოგვცემს: „მუნვე წვიმს, წვიმა ბროლისა, ჰგია გიშრისა ღარისად".

როსტევანის დამწუხრების მიზეზი ისიც უნდა იყოს, რომ მოიმალა სიკეთის ციტადელი სამყაროს კიდევ ერთ ნაწილში – ისრაელში, რომელიც ადრე ზურგს უმაგრებდა საქართველოს. ამავე დროს ისინი საქართველოდან გადიან. ახლა ყველა მხრიდან მოეძალება ბოროტება მის სამშობლოს. მას ძალიან გაუჭირდება, რადგან ისევ უნდა გააგრძელოს თავისი მისია და გარჯა. იგი კიდევ უფრო უნდა დაეხმაროს ებრაელთა ერს იმაში, რომ აქ დაფუძნდნენ ისინი და განუწყვეტელი იყოს მათი გადასვლა ყველა ეპოქაში, რათა არ დაიკარგოს სიკეთე. ამ მისიის გამოც არ სურს ტარიელს საქართველოს აშკარად გაწირვა. მაგრამ როსტევანი ვერ ხედება ამას. მან იცის, რომ უნდა დაიცვას უძველესი იბერიული ცხოვრების წესი. ცხოვრების ეს წესი არ უნდა დაიკარგოს. ეს უდიდესი მისია აკისრია როსტევანს. ამის გამოა რომ, ვარსკვლავების ნებით, მას არ შეუძლია ტარიელის დახმარება. ამაში რომ დარწმუნდეს, თინათინი ურჩევს გაგზავნოს „კაცნი ყოველგნით მისთა ამბავთა მცნობელი".

„კაცნი წავიდეს, იარეს, მართ ერთი წელიწადია,
მონახეს, ძებნეს იგი ყმა, იკითხეს კელა და კელა დია,
ვერცა თუ ნახეს ნახული ღმრთისაგან დანაბადია,
ცუდად მაშვრალნი მოვიდეს, მათსავე გულსა ზადია.

მონათა პკადრეს: „მეფეო, ჩვენ ხმელნი მოვიარენით,
მაგრა ვერ ვპოვეთ იგი ყმა, მით ვერა გავიხარენით,
მისსა მნახავსა სულ–დგმულსა კაცსა ვერ შევეყარენით,
ჩვენ ვერა გარგეთ, საქმენი სხვანი რა მოიგვარენით".

პირველ სტროფში „ვერცა თუ ნახეს ნახული ღმრთისაგან დანაბადია", ე.ი., მათ ვერ შეიცნეს ნახული. ე.ი., ღმრთისაგან დანაბადი დასანახავი, ანუ ტარიელის თორის სიბრძნე. ვერ შეიცნეს და ვერც იმას ხსნიან, თუ ტარიელი მეოცეა რატომ არ ჩერდება საქართველოში. მეორე სტროფის ყველა სტრიქონი ენით მთავრდება, ანუ ხმელნი რომ მოიარეს, ისინი ენის მცნებებს იცავდნენ. ამით ვერ გაიხარეს, რადგან ვერ შეეყარენ ტარიელს, ანუ ტარიელი მეტად განვითარებულ ბიბლიის მცნებებს ნერგავს. ესენი ენის დანერგვას ცდილობენ და ამიტომაც გარეთ საქმეებს ამ ენის პრინციპებიდან გამომდინარე ვერ აგვარებენ. აქ ბიბლიის მცნებებია საჭირო. მეფეც ხედება, რომ მისი მიმართულება — სხვა არის, ტარიელის — სხვა.

„მეფე ბრძანებს: „მართალ იყო ასული და ჩემი ძეო,
ვნახე რამე ეშმაკისა სიცუდე და სიბილწეო,
ჩემად მტერად წამოსრული, გარდმოჭრილი ზეცით ზეო.
გამიშეია შეჭირვება, არა მგამა ყოლა მეო".

აქ იგი ისრაელის გაჭირვებას თავის მტრად, წარმოსახულად თვლის და ის ზეციდან არის გადაწყვეტილიო. ამავე დროს, მასპინძლობა რომ ვერ გაუწია სათანადოდ, ამის დარდი აღარ აქვს. ამიტომ აგრძელებს იგი თავის ცხოვრების წესს.

„ესე თქვა და სიხარულით თამაშობა ადიადა.
მგოსანი და მუშაითი უხმეს, პოვეს რაცა სადა
დია გასცა საბოძვარი, ყველა დარბაზს შემოხადა
მისი მსგავსი სიუხვითა ღმერთმან სხვამცა დაბადა!"

ამგვარად, როსტევანი აგრძელებს ღმერთის მიერ დაკისრებულ არანაკლებ საპასუხისმგებლო მისიას.

მაგრამ ტარიელს ძალიან უჭირს. გაქრისტიანდნენ იბერიელნი და გაყვენენ მას, მაგრამ ეს გაძლენა უნდა იყოს ყველა დროში, თორემ მათი ძალისხმევა დაიკარგება. ქართველი უნდა დაეხმაროს მას — ქართველს, იბერიელს, ებრაელ — ტარიელს. ისე როგორც ადრე აკეთებდა იეფეტი. ანუ უნდა დაეხმაროს ისე, რომ საკუთარ ქვეყანაში არ უნდა დაიკარგოს სიყვარული, სიკეთის გენეტიკა — სწორი მწეობრივი ცხოვრების წესი — მიწათმოქმედება. ამისათვის უნდა დარჩეს როსტევანი საქართველოში, ანუ ტრადიცია, მწეობა არ იკარგება. ქვეყანა, რომელიც არის სიკეთის ციტადელი, აგრძელებს თავის ფუნქციას, ანუ სტუმართმოყვარეობას, დევნილთა და ლტოლვილთა შეფარებას, მედიატორობას ხალხთა შორის მშვიდობის ჩამოსაგდებად.

## მაგრამ იბერები უფლის დავალებით თავის მესამე ფუნქციას უნდა ასრულებდნენ

აი, მესამე ფუნქციას, ცოდნის გატანას კი ასრულებს ავთანდილი. იგი პირველი და მეორე თვისებებითაც არის დაჯილდოებული, ამიტომაც სჯობნის როსტევანს სხვა ხალხთა მწეობისაკენ მოქცევისას. ნაწილი ქართველთა, ანუ მეტად განსწავლულთა, ავთანდილის სახელით უნდა დაეხმაროს ტარიელს, შეეშველოს მას, რადგან ძალიან უტევს ბოროტება ებრაელებს. მათი დაცვა, მოყვასის პრობლემების გათავისება, სამყაროში მხოლოდ ქართველს შეუძლია. იმ ქართველთ, რომელთაც გათვითცნობიერებული აქვთ ბიბლიის დიდი ცოდნა და ქართული

ცხოერების წესი და ამიტომაც აქვთ ტარიელის დიდი სიყვარული. თინათინი ჯერ ქართეელთა ამ თეისებებზე ესაუბრება აეთანდილს – „ქართეელთა ზნეობას".

„შენ არ გატეხა კარგი გჭირს, ზენაარისა ფიცისა,
ხამს გასრულება მოყვასის, სიყვარულისა მტკიცისა,
ძებნე წამლისა მისისა, და ცოდნა ხამს უიცისა"

ანუ გენეტიკურად აქეს ურყეეი რწმენა, ღეთის, მოყვასის უზომო სიყვარულისა. არაფერს ერიდება და ეძებს გზას, წამალს, რათა შეეშეელოს გაჭირეებულ მოყვასს და ეს წამალი მისი უდიდესი ცოდნაა. ეს ცოდნა შემეცნებაა. ის, რაც არ იციან მათ (ამას აღნიშნაეს „უიცი„) ანუ რაც უბრალო მოკვდაეისთეის მიუწედომელია. აქ არის იმის ახსნა, თუ რატომ ელგა გულღში ძმასაეით ქართეელი კაცი ებრაელთა ერს, როცა მათ უჭირდათ მცნებათა დანერგეა. აეთანდილს აქეს ურყეეი სიყვარული და იგი თაეს დადებს, რომ მოყვასს ჰარმონია შეუქმნას. ამაეე დროს, აქეს ღეთის ძლეეამოსილება და უდიდესი ცოდნა. შემდეგ თინათინი ახსენებს აეთანდილს:

„გახსოეს, ოდეს შენ და როსტანს მინდორს მხეცი დაგეხოცა,
ყმა გენახა უცხო ვინმე, რომე ცრემლი მოეხოცა?
მას უკანით გონებამან მისმან ასრე დამამხოცა,
შენ გენუკეე მონასეასა, კიდით–კიდე მოლახო ცა."

პირეელი სტრიქონის ბოლოში სიტყეა დახ–ოც–ეაა, ე.ი. ის, რაც ჩეენ აღვნიშნეთ. პაექრობა მიდიოდა ოცი მიმართულების, სიბრძნის სრულყოფილ ცოდნაში და ამით მხეცთა ცხოეელური მისწრაფების დახოცეაში, ანუ განდეენაში. მას ყმას ცრემლი მო–ეხ–ოცა, ანუ ტარიელმა – ებრაელობამ შემოიტანა თაეის მადლი ცრემლის სახით. ეს მადლი კი მზე სულიერი ისრაელის მიწამ დაკარგა. მღედრობითი არსი ისრაელის სახელმწიფოს აღარ აძლეედა ზეციდან ბარაქას, ნათელს. მაგრამ თეითონ ტარიელი, ანუ მორწმუნე ებრაელობა, მათი მოქმედება. გისება იმსახურებს სიკეთეს. ამიტომ უნდა თინათინს, რომ ტარიელი, რომელიც სამყაროში ოცი მცნების, ბიბლიის ათ, მცნების – და ათი სიტყეის (ქართული ენის სიწმინდის) აღდგენისათეის იღვწის, მონახოს აეთანდილმა და ხელი შეუწყოს კიდით კიდეში მის აღსადგენად. შემდეგ თინათინი აგრძელებს:

„ასრე გითხრა, სამსახური ჩემი გმართებს ამად ორად:
პირეელ, ყმა ხარ, სორციელი არაეინ გეყაეს შენად სწორად,
მერმე, ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია არ ნაჭორად;
წადი, იგი მოყმე ძებნე, ახლოს იყოს, თუნდა მორად.

შენგან ჩემი სიყვარული ამით უფრო გაამყარე,
რომე დამხსნა მეჭირეება, ემმა ბილწი ასაპყარე,
გულსა გარე საიმედო ია მორგე, ეარდი ყარე,
მერმე მოდი, ლომო, მზესა, შეგეყრები, შემეყარე."

პირეელ სტროფში ჩანს, რომ აეთანდილი ქართული ცხოერების წესი, თინათინისგან გან-სხეაეებით, ხორციელია და სხეა ქეეყანა, გარდა საქართეელოსი, რომელიც ტარიელს შეეშეე-ლება, ზეცაში არ ეგულებათ: „არაეინ გეყაეს შენად სწორად".

მოყმის ძებნა მოგზაურობა, ეს არის ინიციაციის ცოდნის დანერგეა, ანუ კერპთაყვანისმ-ცემლური მიმართულების აღმოფხერა მონოთეიზმის დანერგეით სხეა ქეეყნებში. ამას აკეთ-ებს ტარიელიც. აეთანდილმაც ეს უნდა აკეთოს ახლო და შორეულ ქეეყნებში. აქ მთაეარია ის, რომ ტარიელს უკეე დანერგილი აქეს ქრისტიანობა. ამ საქმეში მას კი ესმარებოდნენ ქართეელები–აეთანდილი, მაგრამ არა მთლიანად სახელმწიფო. მან ხომ ახლოს არ გაიკარა როსტეეანი, რაც ნაწარმოებში გამოიხატება იმითაც, რომ როსტეეანი ეერ პოულობს მას. შემდეგ უფრო მოგეიანებით ინერგება მუსულმანობაც.

მონოთეიზმის დამკეიდრებით ტარიელმა ანუ ებრაელობამ იხსნა ქეეყნები გადაშენებისა-გან. მაგრამ ამან ახალი დაპირისპირება მოიტანა. ისინი დაუპირისპირდნენ თაეიანთ პირ-ეელწყაროს იუდაიზმს და იუდაიზმი მათ. მხოლოდ საქართეელოში არ იყო დაპირისპირება.

აქ ენის მცნებანი მეფობდნენ და ჰარმონია გრძელდებოდა. ამიტომაც, უფლის ნებით, აეთანდილი უნდა მიშველებოდა ტარიელს. ცოდნითაც და მკლავის ძალითაც უნდა ეხსნა ებრაელობა დევნისა და ტანჯვისაგან.

აღვნიშნეთ – უკვე მოყმის ძებნაში გამოიხატება აეთანდილის მიერ აგრეთვე ტარიელის – ისრაელის ისტორიის შეცნობა. აეთანდილი ტარიელისგან ეუფლება ძველი აღთქმის ცოდნას უფრო სრულყოფილად. მისი მისია ტარიელთან ერთად რომ მესიონისტურია, იქიდანაც ჩანს, რომ ისიც შესინის, თინათინის მიჯნურია. ისინი ორივე მეოცენი არიან, რომ დააბრუნონ შესინა სამყაროში და ჰარმონია მოიტანონ. და ესეც უნდა შეიცნოს აეთანდილმა.

ამავე დროს, საქართველო უნდა აღმოჩნდეს ის შემეცნების ობიექტი, სადაც უნდა დაინერგოს ბიბლიის მცნებანი. და განმოვადდეს მთელ სამყაროში. კიდევ აღვნიშნავთ რატომ არის ასე? საქმე იმაშია, რომ საქართველო თვითონ ქვეყანა შეიქმნა ტაძრად. აქ არ არის დაპირისპირება ხალხთა შორის. ხოლო ისრაელში ეს ვერა და ვერ მოხერხდა.

ამგვარად, ორივეს მისია არის გარე სამყაროში დანერგონ მცნებანი საქართველოს მაგალითზე და მერე ისრაელში, ანუ სამყარო აქციონ იბერიად – ისრაელად – ტაძრად. ეს ყოველივე აპოვნინებს აეთანდილს – მოყმე ტარიელს, სამყაროს მესიას, რადგან იგი ნერგავს მცნებებს, რომ მესიის გამოცხადება დააჩქაროს, ეშმაკი დაამარცხოს, ვარდი ახაროს. ამით იგი უფრო ამყარებს თინათინის სიყვარულს, რაც ჩანს მეორე სტროფში.

ამგვარად, საქართველომ თავისი ტრადიციული მისია – სხვა ქვეყნებში ცოდნის შეტანა და მედიატორული ფუნქცია უნდა განამტკიცოს. ეს უფრო ამყარებს მღვდრობითი არსის სიყვარულს ამ ქვეყნისადმი.

იწყება ქართველთა მიერ ქრისტიანული რელიგიის შემეცნების და დანერგვის ახალი ეტაპი საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც.

## 2.2. I–XII საუკუნეების მიმოხილვა

### ზეციური დედა მუდამ იქნება პატრონი საქართველოსი

თინათინმა იცის, რომ, როცა ქართველთა სულიერი ელიტა დაიწყებს გასვლას სხვა ქვეყნებში, ეს დიდად დააზარალებს საქართველოს, იმ დედამიწას, რომელსაც თვითონ ბიბლიური ებრაელები უფრთხილდებიან.

როგორც აღვნიშნეთ, მეორე ტაძრის დანგრევის შემდგომ, როცა ისრაელში დაბრუნდნენ ებრაელები, მათ დააკლდათ ასეთი სულიერი მოძღვარნი და შემოუთვალეს საქართველოში მცხოვრებ ებრაელთ, რომელნიც 3 საუკუნით ადრე, ისრაელის სახელმწიფოს დაშლის შემდგომ ჩამოსახლდნენ, რომ ჩამოსულიყვნენ ისრაელში და შეშველებოდნენ სულიერი კულტურის აღდგენაში. მათი პასუხი იყო, რომ ისინი იერუსალიმის სულიერ დონეზე არიან საქართველოში და ვერ ჩაეიდოდნენ,* მაგრამ მეორე შემოთვლის შემდეგ, იძულებულნი იყვნენ იუდეველთა მცირედი ნაწილი, ოღონდ უდიდესი მცოდნე ქოჰენები და ლევიტიანები მაინც გაეშვათ. იმ ხალხმა იუდეა უმალ აქცია ორთოდოქს მორწმუნე სახელმწიფოდ. და ჩვენ ვხედავთ ხუთი საუკუნის მერე როგორი სხვაობაა როსტევანის და ტარიელის ცოდნაში. მაგალითისათვის ეს ისტორიული მომენტიც გამოგვადგება, როცა ამ მცოდნე ხალხის გასვლა ისე ამტკიცებს ისრაელთა ცოდნის დონეს და აუფერმკრთალებს ქართველ განსწავლულთა ელიტას, რომ როსტევანი — საქართველო, რომელიც ბაზისი იყო ასეთი ცოდნის, ვერ შეიცნობს ტარიელის ცოდნას. აი, ამხელა მნიშვნელობა აქვს განსწავლულობას.

ახლა საჭირო ხდება, ცოდნის გატანა, არა მარტო ისრაელში, არამედ მთელ სამყაროში, რაც დიდად დააზარალებს საქართველოს. ნელ–ნელა გაუფერმკრთალდება ქართული ცხოვრების წესი. ამიტომ თინათინი ეუბნება ავთანდილს, რომ ის ყოველთვის დაიფარავს საქართველოს. ამიტომ იქცა ის ღვთისმშობლის წილხვედრად. ეს ჩანს თინათინის შემდგომ მიმართვაშიც.

„ფიცით გითხრობ: შენგან კიდე თუ შევირთო რაცა ქმარი,
მზეცა მომხვდეს ხორციელი, ჩემთვის კაცად შენაქმარი,
სრულად მოვესწყდე სამოთხესა, ქვესკნელს ვიყო დასანთქმარი,
შენი მკლავდეს სიყვარული, გულსა დანა ასაქმარი".

ე.ი. სხვა ქვეყანაში არ დაივანებს იგი, მარტო საქართველოს — იბერიელთა მიწას ექნება წყალობა. თუ დაარღვიოს ეს აღთქმა, მაშინ არ შეესრულებინოს მას მისი მისია, ანუ ქართველთა სულიერი ერთობა მამაზეციერთან, მოსწყდეს სამოთხეს და ხორციელთა ბედი გაიზიაროს. ამ აღთქმას დღესაც ასრულებს მდედრობითი არსი, ხოლო საქართველო — მის მიერ დაკისრებულ მისიას. ამიტომაცაა ჩვენთან სიუხვე და უგემრიელესი მარგებელი ნაყოფი. ავთანდილის პასუხი ამ მისიას გამოხატავს.

„თქვა: „მზეო, ვარდსა სიშორე შენი დამაჩნდეს ეს ადრე,
ბროლი და ლალი გასრულვარ ქარვისა უყვითლესად–რე
მაშინ რადა ვქმნა, ვერ–ჰვრეტა რა მომხვდეს კელა უგრძესად–რე!
ხამს მოყვრისათვის სიკვდილი ესე მე დამიც წესად–რე"

„ბროლი და ლალი გასრულვარ ქარვისა უყვითლესად–რე", ანუ გადის ცოდნა და „მაშინ რადა ვქმნა, ვერ ჰვრეტა რა მომხვდეს კელა უგრძესად–რე", ანუ ველარ მექნება სიბრძნე, ვერ ჰვრეტა. მაგრამ მოყვასისათვის სიკვდილი ქართველის მისიაა. აქ ავთანდილი გამოხატავს თავისი ერის წესს, ანუ ტრადიციას მისიას მოყვასის კეთილდღეობისათვის. გავიხსენოთ პოეტის თვისება ჩანერგილი უფლის მიერ. შემდეგ ავთანდილი როსტევანსაც მოახსენებს თავის გადაწყვეტილებას.

---

*ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ აქ ისინი საუბრობდნენ პირველად ენაზე; იღდგენდნენ, იმტკიცებდნენ ტრადიციულ იბერიულ კოდს — ზრეობას.

## გადის ავთანდილი – ქართველი უფლის დავალებით თინათინის მეფობის განმტკიცებისათვის

„დარბაზს ეჯიბი შეგზავნა, მართ მისგან შენაროსნია,
შესთვალა: „გკადრებ, მეფეო, მე ესე გამიგონია:
ყოველი პირი მიწისა თქვენ ხრმლითა დაგიმონია,
აწ თუ სჯობს, ესე ამბავი ცნან, რაცა გარემოსნია.

მე წავიდე, მოვიარო, ვილაშქრო და ვინავირო,
თინათინის ხელმწიფობა მტერთა თქუენთა გულსა ვპკმირო,
მორჩილ–ქმნილთა გავახარო, ურჩი ყოველი ავატირო,
ძღვენნი გკადრნე ზედა–ზედა, არ სალამი დავაძვირო".

ადრე საქართველო ბოროტებას უფრო ხშირად სმლით კვეთდა. ასლა არის ბიბლიის მცნებანი, რომელიც ითარგმნება. მისი დანერგვით, სიკეთით, სიბრძნით იძლევა ბოროტი. რაც გაამყარებს თინათინის ხელმწიფობას. ეს ხელმწიფობა განმტკიცდება ტარიელის მესიის მოძებნით. ხოლო ავთანდილი, ქართული ცხოვრების წესი, იწყებს ქრისტიანობის შემეცნებას, მის შესამებას იმ უმაღლეს ზნეობასთან, რაც იბერიელთ გააჩნიათ და მის დანერგვას ჩვენში და საზღვარგარეთ, რათა იხსნას დევნილნი ისრაელნი.

მხოლოდ ამის შემდეგ გაეცნობა ძველ აღთქმას უფრო სრულყოფილად. მიიღებს ტარიელისაგან ამ წიგნთა წიგნს ცოდნას, რაშიც უდიდესი სიბრძნეა. კი არის საქართველოში ძველი აღთქმა გამოგზავნილი. მაგრამ არის კიდევ მისი კომენტარები. ზეპირი თორა-ბიბლია რომელსაც ებრაელნი მხოლოდ ურთიერთს გადასცემენ. ამგვარად, საქართველო აგრძელებს სიკეთის დანერგვის ტრადიციას, რათა სძლიოს ბოროტს, მაგრამ ძლევა ხდება ძირითადად ცოდნის დანერგვით, სიყვარულით, სიკეთით, მიმტევებლობის გზით. რაც ქრისტიანობის დანიშნულებაცაა და ქართველთა თვისებაც. ამან კიდევ უნდა განამტკიცოს თინათინის მეფობა საქართველოში, რადგან ნაკლებად მოეძალება ბოროტება საქართველოს. ამას, რა თქმა უნდა, უწონებს ავთანდილს როსტევანი, იმდროინდელი მეფე საქართველოსი.

„მეფესა ეთქვა ამისი დიადი მადრიელობა,
ებრძანა: „ლომო, არა გჭირს შენ ომთა გამდრეკელობა,
აწ მაგა შენსა თათბირსა ჰგავსო შენივე ქველობა.
წა, მაგრა მომხედეს, რაღა ექმნა, თუ სიშორისა გრძელობა!

მეფე ყელსა მოეხვია, გარდაკოცნა ვითა შვილი,
სხვა მათებრი არ ყოფილა არ გამზრდელი, არ გაზრდილი!
ყმა ადგა და წამოვიდა, მას დღე მათი ჩანს გაყრილი;
როსტან მისთვის აატირა გონიერი გული, ლბილი".

საქართველო რომ იმ პერიოდში შვილებს ზრდიდა, მათებრი ძნელად მოიძებნებოდა ქრისტიანობამდე და ქრისტიანობის შემდეგაც, რადგან მცნებების დაცვა, მონოთეიზმი და ზნეობა არ შეცვლილა. თანაც იგი ეუბნება რომ ლომი ხარო. (ანუ მომავალი მეფე სამყაროსი მზიერ მნიშვნელობითი) და ნებისმიერ ომს მოიგებო. ავთანდილი რომ ოცი მიმართულების დასანერგად და მე–ოცე მესიის მოსაძებნად მიდის. ეს ჩანს შემდეგ სტროფში:

„გამოემართა ავთანდილ, მოყმე მხნე, ლაღად მავალი,
ოც დღე იარა, ღამეცა, დღეს ზედა წართო მრავალი,
იგია ლხინი სოფლისა, იგია ნივთი და ვალი.
არ მისცილდების თინათინ, მისი მას, ვისგან სწვავ ალი."

ამგვარად, ენა ქართული, მისი ცხოვრების წესი, ავთანდილი და თინათინი – შეხინა ერთიანი სულიერი სხეულია. „ოც დღე იარა" – ეს სტრიქონი რომ ოცი დღის სიარულს არ მოასწავებს, შემდეგი სიტყვები გვეუბნება: ღამეცა დღეს ზედა წართო მრავალი. ანუ ინერგება

10 სიტყვა და 10 მცნება. და ეს ხდება ქართველთა მიერ საქართველოში და საზღვარგარეთაც. ავთანდილს უხარია ამ საქმის კეთება, რაც ჩანს შერმადინთან საუბარშიც:

„მე მოვუკლავ თინათინის სურვილისა და სიყვარულისა,
ცრემლი ცხელი ასოვლებდის. ნარგისთაგან ვარდსა ზრულსა,
ვერ ვაჩვენდი აქანამდის ჭირსა ჩემგან დაფარულსა,
აწ მიბრძანა საიმედო, ამად მხედავ მხიარულსა".

მიბრძანა: „მიცან ამბავი. მის ყმისა დაკარგულისა,
;მოხვიდე, სრულ–ექმნა მაშინდა შენი წადილი გულისა,
ქმარი არ მინდა უშენო, მომხვდეს ხისაცა რგულისა!"
მომცა წამალი გულისა, აქამდის დადაგულისა."

„პირველ, ყმა ვარ, წასვლა მინდა პატრონისა სამსახურად, –
ხამს მეფეთა ერთგულობა, ყოფა გემართებს ყმასა ყმურად, –
შერმე, ცეცხლი დაუვსია, აღარა მწვავს გულსა მურად.
ხამს, თუ კაცი არ შეუდრკეს, ჭირს მიუხდეს მამაცურად."

პირველი სტროფი გვეუბნება, რომ ავთანდილი პატრონის სამსახურად, ანუ სამყაროს მეუფის სამსახურად მიდის, „ვერ ვაჩვენდი აქანამდის ჭირსა ჩემგან დაფარულსა". ჭირი მისგან დაფარული არის ისტორია ისრაელისა. ეს სიბრძნე უნდა შეიცნოს ავთანდილმა, რომ მოესმაროს ტარიელს.

აქ ჩანს, რომ ავთანდილის გულის წადილიც ყოფილა ტარიელის მიშველება და ამიტომაც მხიარულია. მხიარულია, რადგან ეს მისია — ყველა ხალხის, სახელმწიფოების რელიგიათა ერთობა, სიყვარულის დანერგვა, ზეხაარიდან მონიჭებული მისიაა ქართველი მეფეთათვის და მათ ყმათათვის:

აქამდე ავთანდილი ვერ ამჩნევდა, ტარიელის, ებრაელთა ჭირს — მიზეზს ისრაელის დაძაბულებისა. რომლის ჭირი მისი ჭირია. ეს იმიტომ რომ, საქართველოში იყო ზნეობა, იბერიული ცხოვრების წესი. შემდგომ ამ წესში სამივე რელიგიის წარმომადგენლები ძმურად ცხოვრობდნენ. ეს ისტორიამაც დაასაბუთა. აქ სამივე რელიგია ურთიერთს ემსახურებოდა. საქართველო სამივე რელიგიის ერთგული იყო და, რაც ყველაზე მთავარია, ქართველნი იყვნენ და არიან ქრისტიანნიც, იუდეველნიც, მუსულმანნიც. მაგრამ მათ, პირველ რიგში, ევამაყებოდათ, რომ არიან ქართველნი, ენის, მცნებების დამცველნი. ქართველობა — ეს სამივე რელიგიის სიწმინდე და საუძველია. გავიხსენოთ, როგორ მისტირიან წმინდა მიწაზე მცხოვრები ებრაელები იმ ზნეობას, რაც საქართველოში იყო. დაბოლოს, იბერიელი — ქართველი მუსულმანებისთვის ხომ ქართველი ქრისტიანი უფრო ახლოა, ვიდრე სხვა ქვეყნის მუსულმანი, ისევე, როგორც ქართველი ქართველ ებრაელისთვის და პირიქით, ისინი ჩვენთვის სხვა ქვეყნის ქრისტიანებზე ახლო არიან, ეს არც ერთ ერს არ ახასიათებს.

## მთავარია იბერიელობა — ისრაელობა. რელიგიები ამ ზნეობის — ცხოვრების წესის სიყვარულის დანერგვისთვის შეიქმნენ

ამგვარად, ენის სიბრძნიდან გამომდინარე, ქართული ზნეობა, ცხოვრების ტრადიცია სხვაა. ამიტომ ავთანდილს უჭირდა ტარიელის ამხელა ცოდნის დონის ერთა გასაჭირის მიზეზის შეცნობა. ახლა ნაწილობრივ იცის რომ ისრაელში დაპირისპირება იყო და, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მცნებებს იცავდნენ, უფალმა არ აპატია მათ და აჰყარა საკუთარი ქვეყნიდან. ისიც იცის, მესია — ტარიელი, რომლის ამბავი ავთანდილმა უნდა ცნოს (სხვა ქვეყნებში ბიბლიის მცნებათა დანერგვის შედეგად), მანვე უნდა მოიყვანოს ჯერ საქართველოში. იქ, სადაც მღდრობითი არსის მფარველობა გამოულეველად იქნება. ამას აპირდება თინათინი ავთანდილს. იცის, რომ ებრაელებმა შეასრულეს მისია, – დაინერგა მონოთეიზმი ქვეყნებში, მაგრამ საწყისშივე ბოროტებამ ახალი ხერხი მოძებნა. მონოთეისტური რელიგიები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ცალ–ცალკე იცავენ მცნებებს. ამას, რა თქმა უნდა, არ

გეაპატიებს უფალი, ამიტომ მდედრობითი არსი მედიატორად მოუხმობს აეთანდილს — საქართველოს.

მან ერთობის, სიყვარულის გზაზე უნდა დააყენოს ჯერ ისრაელი, ფუნდამენტი სამივე რელიგიისა. იქიდან უნდა დაიწყოს ურთიერთმსახურების პროცესი. ორთოდოქსობა გვერდზე უნდა გადავდოთ და ურთიერთშორის სიყვარულის ხიდების გადება დავიწყოთ. ის რაც იბერიელთა ზნეობაა მხოლოდ მაშინ იქნება მესიის გამოვლინება შესაძლებელი.

ისრაელმა შეასრულა ვეფხვის ფუნქცია. ყველა მონოთეისტები გახდნენ ეხლა უნდა გარდაიქმნას ისევ ლომად სითბო — სიყვარულია საჭირო. ომით გალახვით არაფერი გამოვა. სიძულვილი წარმოშობის სიძულვილს. ეს უნდა შეიგნოს ამ რელიგიათა ფუნდამეტურმა ქვეყანამ — ისრაელმა და მთელმა სამყარომ.

ეს იცის იუდაიზმის ფუძემ, ენის მცნებათა დამცველმა — მესია ტარიელმა იბერიელმა — ისრაელმა. მან იცის, რომ ყველა ხალხი უფლის შვილია. მას ერთნაირად უყვარს ყველა. ოღონდ ის მკაცრი ხდება უზნეოთა მიმართ. რამეთუ ჯერ ისინი სასტიკად დევნიდნენ ებრაელებს იმ სიკეთისათვის რომ ისინი გადაარჩინეს გადაშენებისაგან. ეხლა გახლეჩილობას თესავენ. საკუთარ რელიგიებსაც ხლიჩავენ სექტებად ყოფენ — რაც არ არის დამახასიათებელი იუდაიზმისათვის იბერიელთათვის. გახლეჩილობის გამო დაკარგა ტარიელმა — ისრაელმა შეხინა. იგი მარტოა და მას დამხმარე სჭირდება. ამ დახმარების პრაქტიკაში განმახორციელებელი, მხოლოდ ისევ იბერიელთია — ავთანდილია — საქართველოა, რომლის შვილებიც ადრეც ავრცელებდა ტარიელთან ერთად მონოთეიზმს სხვა ქვეყნებში. ამიტომ აგზავნის მას მდედრობითი არსი — ტარიელთან. ამის შემდგომ ნაწარმოებში ისრაელი და საქართველო ნერგავენ ღვთის მოშიშობას, ძლევენ უზნეობას. ახლა დაპირისპირებისაგან საქართველომ უნდა იხსნას სამყარო და მესიაც გამოვლინდება.

ამისკენ მიჰყავს რუსთაველს თავისი ღვთაებრივი პოემა, რაშიც კიდევ უფრო დავრწმუნდებით შემდეგი თავების განხილვისას.

აეთანდილი რომ იბერთა, მიწათმოქმედთა ქვეყანა — საქართველოა, ეს ჩანს იქიდანაც. შერმადინს რომ უბარებს წასვლისას:

„ლაშქრობა და ნადირობა შენი, ჩემსა დაასახე,
აქათ სამ წელ მომიცადე, ხვაშიადი შემინახე,
მე ნუთუმცა შემოვბრუნდი, ალვა ჩემი არ დაჭნა ხე,
არ მოვბრუნდე, მომიგლოვე, მიტირე და მიავგლახე".

ამგვარად, მტკიცდება ქრისტიანობა ქართველთა მიერ საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ. და კიდევ სამი წლით — ანუ სამი საუკუნით გადის აეთანდილი (ჩვენ ვიცით რომ უფლის ყოველ საუკუნე ან ათასწლეული ერთი დღე ან წელიწადია. დავითი დღეებს ადარებს ათასწლეულს. რაკიღა რუსთაველს წლებიც უნდა გამოესახა მისით 1 დღე წელიწადის ტოლფასია, ხოლო წელიწადი — საუკუნის. ამ შემთხვევაში იკითხება ეს ნაწარმოები სწორად.). ამიტომ ეუბნება შერმადინს: „ალვა ჩემი არ დაჭნა ხე", ე.ი. მიწათმოქმედება არ წაახდინოო. ხეში ხომ მიწათმოქმედება უნდა ვიგულისხმოთ. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ აეთანდილი განგების ნებით მიდის და მისი იმედი აქვს. ეს ჩანს ამ თავის ბოლო სტროფში:

„განგებაა, სწორად მოპკლავს, ერთი იყოს, თუნდა ასი;
მარტოობა ვერას მიზამს, მცავს თუ ცისა ძალთა დასი;
აქათ სამ წელ არ მოვიდე, მაშინ გმართებს გლოვა, ფლასი;
წიგნსა მოგცემ, გმორჩილობდეს, ვინცა იყოს ჩემი ხასი".

ჩვენ ვიცით, რომ ხასი რჩეულია, წმინდანია. ამ წმინდანებს, რჩეულებს მიმართავს აეთანდილი — ქართული ცხოვრების წესი:

„დაწერა, თუ: „ჩემნო ყმანო, გამზრდელნო და ზოგნო ზრდილნო,
ერთგულნო და მისანდონო, ამას ზედა გამოცდილნო,
თქვენ ჩემისა საწადლისა მიდგომილნო, ვითა ჩრდილნო,
წიგნი ჩემი მოისმინეთ, ყოველნო ერთგან შემოხდილნო!"

აი, ასეთ მოყმეებს ზრდიდნენ ჩვენში მეფენი თუ თავადაზნაურნი.

ამგვარად, ავთანდილი ილეწის თავისი ცხოვრების წესის დამკვიდრება—განმტკიცებისათვის, სამყაროში მესიის — ტარიელის მოვლინებისთვის. მას ქართული ცხოვრების წესზე — მიწათმოქმედებაზე დაყრდნობილი ქრისტიანობა, ცოდნა შეაქვს სხვა ქვეყნებში, რაც ჩანს შემდეგ სტროფებში:

„ავთანდილ იგი მინდორი, ოთხ—ახმით გარდაიარა,
დააგდო ზღვარი არაბთა, სხვათ ზღვართა არე იარა,
მაგრა მის მზისა გაყრამან სიცოცხლე გაუზიარა;
თქვა: „თუ მე მასმცა ვეახელ, აწ ცხელსა ცრემლსა ვღვრი არა“.

ახალმან ფიფქმან დათოვა, ვარდი დათრთვილა, დანასა;
მოუნდის გულსა დაცემა, ზოგჯერ მიმართის დანასა;
თქვის: „ჭირი ჩემი სოფელმან, ოთხმოცდაათი ანასა,
მოვშორდი ლხინსა ყველასა, ჩანგსა, ბარბითსა და ნასა!“

აქვე ჩანს, რომ ის უნდა გააკეთოს, რაც თინათინმა დაავალა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი — ავთანდილი ქართული ცხოვრების წესი, ამით დაზარალდება, რაც შემდეგი სტროფიდან ჩანს:

„ვარდი მის მზისა გაყრილი უფრო და უფრო ჭნებოდა,
გულსა უთხრის, თუ: „დათმე“, ამად არ დია ბნდებოდა.
უცხო უცხოთა ადგილთა საძებრად იარებოდა,
მეზავრთა ჰკითხვიდის ამბავთა, მათ თანა—ემოყვრებოდა.“

ავთანდილი — ქართული ცხოვრების წესი, სხვაგან ნერგავდა ცოდნას, ზნეობას, რასაც სტროფის ბოლო სტრიქონი და სიტყვა დამოყვრება გვამცნობს. ანუ ყვარება—სიყვარულის დანერგვაა. სიყვარულმა, სიკეთემ რომ გაიმარჯვოს და მესია რომ გამობრწყინდეს, ამისათვის საჭიროა მოგზაურობა, ანუ როგორც ძველ მისტერიებში — ინიციაციის გზით სიკეთის, სწორი ცხოვრების წესის დანერგვა. შემდეგ არის უფლის წყალობა და დიდი სულიერი ცოდნის პოვნა. პოვნა ტარიელისა რომელიც ცოდნას მხოლოდ ავთანდილს მის ძმას იბერიელს გადასცემს. მათი მეოხებით იბერთა ერთობა კი საწინდარია საუნჯის, სიმდიდრის პოვნის, რაზეც მოგვიანებით ვისაუბრებთ. ჯერჯერობით ავთანდილი ამ საუნჯეს ვერ პპოულობს. იგი მხოლოდ თავის ცოდნას, შუქს, ზნეობას ნერგავს ყველგან. მედიატორობს, აერთებს ერებს, მშვიდობას ნერგავს, მაგრამ ამით ზარალდება ქვეყანა, ქართული ცხოვრების წესი — ავთანდილი. თუმცა ავთანდილი გრძნობს, როს ეს ღვთის განგების მიერ არის განზრახული და იმედს არ კარგავს, რაც ჩანს შემდეგი სტროფებიდან:

„იტყვის: „ღმერთო, სამართალნი, შენნი ჩემთვის რად ამრუდენ?
მე ვმომნი სიარულნი კიდე რად, გლახ, გამიცუდენ,
გულით ჩემით სიხარულნი. აჰფხვრენ, ჭირნი დააბუდენ?
დღეთა ჩემთა ცრემლნი ჩემნი ვერაოდეს დაიყუდენ“.

კვლავცა იტყვის: „დათმობა სჯობს“, და თავსავე ეუბნების:
„დღეთა მეტად ნუ მოჰკვდები, გული ჩემი ნუ დადნების,
უღმრთოდ ვერას ვერ მოვაწევ, ცრემლი ცუდად მედინების,
განგებასა ვერვინ შესცვლის, არ — საქმნელი არ იქმნების“.

ყოვლნი არსნი ცათ ქვეშეთნი ერთობ სრულად მომიელიან,
მაგრა საქმე მის კაცისა ვერასადა შემიგნიან;
უღონიოდ მართალ იყვნეს, რომელთაცა ქაჯად თქვიან.
აწ ტირილი არას მარგებს, ცუდად ცრემლნი რასა მდიან?“

პირველი სტროფის ბოლო სტრიქონში იგი ამბობს: „ცრემლნი ჩემნი ვერაოდეს დაიყუდენ“, ე.ი. იგი სეტიალობს და ყველგან ცრემლს, მადლს აფრქევს. რადგან სხვათა შველით, განსწავლულობით არის დაკავებული. ამან გაღაღალა იგი. „მაგრა საქმე მის კაცისა ვერასადა შემიგნიან“, ანუ იგი ხედავს, რომ სამყაროში მაინც არის დაპირისპირება რელიგიათა შორის. მიუხედავად იმისა, რომ ტარიელმა სიკეთე დანერგა, კერპთაყვანისმცემლობა აღგავა, ტარიელის მიერ დანერგილი იუდაიზმის პრინციპებიდან წარმოშობილი სამი რელიგია ერთმანეთს უპირისპირდება. ის კი სულიერად უმწიკვლო პიროვნება, ადამის ტომის წესით განგრძობსცხოვრებას. თუმცა ამღენი უზნეობის შემხედვარე თითქმის მხეცქმნილი შეიქმნა:

„თუცა მხეც—ქმნილი ავთანდილ, გულ—ამოსკვნით და კვნესით—ა,
ვერვცა ჭამა მოუნდის, ადამის ტომთა წესითა,
ისრითა მოკლის ნადირი, როსტომის მკლავ—უგრძესითა,
მამბისა პირსა გარდასდა, ცეცხლი დაავმო კვესითა.“

## მეურა სამი ძმის – სამი რელიგიის

ამ დროს შენიშნავს ავთანდილი ცხენოსნებს. იგი მათთან მშვილდ—ისრით, ანუ ცოდნით მივა და უპირატესობას გრძნობს:

„ხელთა ჰქონდა მშვილდ—ისარი, მათკენ მივა მხიარული,
ორთა კაცთა წვეროსანთა ყმა მოჰყვანდა უწვერული,
თავსა იყო დაკოდილი, შეებნიდა სისხლსა გული,
ტიროდეს და იჭირვოდეს, ცოტა ედგა მას, გლახ, სული.“

ბოლო სტროფი მიგვანიშნებს მათ დაბალ სულიერ მდგომარეობას. შემდეგ არის მათ შორის დიალოგი:

„უყიელა, თუ: „ძმანო, ვინ ხართ? მეკობრეთა დაგამსგავსენ!“
მათ მიუგეს: „დაგვეიწყნარდი, ვეიმეელე რა, ცეცხლნი ავსენ,
ვერა გვარგო, მოგვიმატენ, ჭირნი ჭირთა მოგვისავსენ,
სატირალნი მოგვეიტირენ, ლაწენი მენცა დაიმსავსენ“.

ავთანდილ მიდგა, ეუბნა მათ კაცთა გულ—მდუღარეთა;
მათ უთხრეს მათი ამბავი, ტირილით მოუბარეთა:
„ჩვენ ვართო ძმანი სამნივე, მით ვიდენთ ცრემლთა მწარეთა,
დია გვაქვს ციხე—ქალაქი, სატავთს არე—მარეთა.

კარგი გვესმა სანადირო, ნადირობას წამოვედით,
გვყვეს ლაშქარნი უთვალავნი, წყლისა პირსა გარდავხედით,
სანადირო მოგვეწონა, თვესა ერთსა არ წავედით,
ეხოცდით მხეცსა უზომოსა მინდორით და მთით და ქედით.“

ამ სტროფებში სამ ძმაში უნდა ვიგულისხმოთ ისრაელთა ერთი მამის შვილები, ძმები, ანუ აბრაამის შვილი იშმაილი – მუსლიმანური რელიგია, ესავი – ქრისტიანული რელიგია /რომელიც საქართველოს სამღვრებგარეთ ევროპაში გავრცელდა/ და იმღროინდელი იუდეური რელიგია. აქ არის ამ რელიგიათა ისტორიის აღწერა. დასაწყისში თავისთავად, ყველა რელიგია დიდი ცოდნაა და თავის დრომე მათ დიდი მისია შეასრულეს. კერპთაყვანისმცემელნი მონოთეისტები გახდნენ. ამიტომ „წყლისა პირსა“ ნადირობდნენ, ანუ ჰქონდათ ამ საქმეში წყალობა და უზომოდ დასოცეს მხეცნი, ან-უ სხვა კერპთაყვანისმცემელნი გახდნენ მონოთეისტები. შემდეგ კი თუ ერთმანეთს გაუგებენ და არ დაუპირისპირდებიან, ბედნიერად იცხოვრებენ, პარმონია იქნება:

„ჩვენ სამთა ძმათა ჩვენთანა მესროლნი დავაწბილენით,
მით ერთმანეთსა სამნივე ჩვენ კიდე დავეცილენით:
„მე უკეთ მოვკალ, მე გჯობო“, სიტყვანი ვავაქილენით
ვერ გავარჩინეთ მართალი, ვისარჩლეთ, ვითაკილენით.“

ეს სტროფი გვეუბნება, რომ რელიგიურ რწმენას კი არ ცვლიდნენ, რადგან სამივე „მესროლნი“ იყვნენ, მაგრამ ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან. შენიშ ბოლოს, ყველა სტრიქონის ბოლო ნაწილი ენით მთავრდება, ანუ დავაწბილ—ენით დავეცილ—ენით — ვითაკილ—ენით, ე.ი. მათი სალაპარაკო ენა დაპირისპირებაა, დაცილებაა, ურთიერთის გაწბილებაა. იგი სიყვარულს კი არა, ქიშპობას თესავს, რაც თანდათან მძაფრდება. ეს ჩანს მესამე სტრიქონში: „მე უკეთ მოვკალ, მე გჯობო“ სიტყვანი ვავაქილ—ენით“. აქ ჩანს, რომ ისინი ცვლიან საკუთარი რელიგიის პრინციპებს. ისინი საქმისთვის კი არ ზრუნავენ, ეკამათებიან ერთმანეთს, ჩემი რელიგია სჯობსო. „ვისარჩლეთ, ვითაკილ—ენით“, ანუ დასცინიან კიდევაც ერთმანეთს. ჩვენ ვიცით, რომ დაპირისპირება ერთად აღებულ სამ უდიდეს ცოდვაზე „კერპთაყვანისმცემლობა, უზნეობა და კაცის კვლა“ უფრო დიდი ცოდვაა. ეს მიმართულება გავრცელდა ხალხში. ამგვარად, ჯერ კერპთაყვანისმცემლობა კი აღკვეთეს, ღვთის მოშიშნი გახდნენ, მაგრამ უფრო დიდი ცოდვა დაამკვიდრეს. ამით კი შეურაცხყვეს რელიგიები, რაკიღა დაივიწყეს თავიანთი პირველადი ენა, ზნეობა ველარ დაამკვიდრეს. არ ჰქონდათ გაყოფა — ერთი მეორის წაგლეჯას, მასზე ბატონობას, განდიდებას ცდილობდა. მარტო შიშით არ გახდება ბიბლია შენი კონსტიტუცია — სულიერი კულტურა. დაპირისპირება მოაქვს ამპარტავნებას. მიმართულება — მე შენზე უკეთესი ვარ და მეტი უნდა მქონდეს, საკუთარი თავის კერპის რანგში აყვანის მცდელობას, ანუ კერპთაყვანისმცემლობას ნერგავს. ამგვარად, მათ არც ენა შემორჩათ და არც რელიგიის პრინციპებს იცავდნენ. ამიტომ ისევ იქცნენ არაიბერიული წარმოშობის, ქამის მიმართულების ქვეყნებად — ერებად. ამ ქვეყნებმა კერპთაყვანისმცემლობა თითქოს უკუაგდეს, გახდნენ მონოთეისტები, მაგრამ ეს მხოლოდ გარედან ჩანს ასე. ეს ნაბიჯი გადადგეს მხოლოდ საკუთარი გადარჩენისათვის. ამიტომ არა აქვთ გაყოფა — სიყვარული, არც პირველკაცობა. ისინი ცდილობენ ისევ კერპებად იქცნენ, ერთი იყოს პირველი კაცი, ათასები კი მონები. არც მცნებებს იცავენ ისინი:

„დღეს აეყარენით ლაშქარნი, სავსენი ირმის ტყავითა,
ვთქვით: „გავარჩინოთ მართალი, ვინ ესჯობთ თავისა მკლავითა
თავსა ვეახლნეთ მარტონი, დავდგეთ მართ ოდენ თავითა,
თვით დანახულსა მოვჰკლევიდეთ, ნუ ვესვრით დამნახავითა.“

ჩვენ ვიახლენით სამთავე სამნივე მეაბჯრენია,
ლაშქართა წასვლა ვუბრძანეთ, მით არას მოაშრენია,
მოვინადირეთ მინდორი, ისი ტყენი და ღრენია,
დავხოცეთ მხეცი, ფრინველი, რაცა მზე გარდაჰფრენია.“

ეს რელიგიები ერთი ფუძიდან — მოსეს რჯულიდან წამოვიდნენ. სანამ ერთად ებრძოდნენ ბოროტებას, ეხედავთ რა წარმატება ჰქონდათ, ლაშქარი ანუ ხალხი იყვნენ „სავსენი ირმის ტყავითა“, შემდგომ თვით რელიგიებში მიდის ქიშპი პირველობაზე. ქონების დაგროვება ხდება მოყვასის დამონებით. ანუ გამოიკვეთნენ კერპნი გამორჩეულნი თვისი მკლავით. ისინი ქონებას აღარ აჩენენ. „ნუ ვესვრით დამნახავითა“. ლაშქარი გაუშვეს, რადგან მოაშრენი — თანაშიარნი ქონებისა არ უნდოდათ. დაიტოვეს მხოლოდ მეაბჯრენი — დამცველნი. ლაშქარის გაშვება, გამრავლების ჰარმონიული თანაარსებობის შეწყვეტას, ერთის მიერ ათასის, ათიათასის კუთვნილი მიწის მითვისებას ნიშნავს. სულ თვითონ ითვისებენ, ანუ შეჯიბრი გადადის უკვე სიუხვის მითვისებაში, ქონების დაგროვებაში, თითოეული პიროვნების და მათი დამქაშების — მეაბჯრეების მიერ. (მეაბჯრეები ის „სამართალდამცავი“ ორგანოებია, რომელნიც ხალხის სისხლს სწოვენ და ერთეულთ, უზნეო ხელისუფალთ მილიარდერებს იცავენ. ის, რასაც აკეთებს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება).

მიტაცებები იწვევს შურს, სიყვარულის მაგიერ მკვიდრდება სიხარბე, მკვიდრდება გაუთავებელი ლტოლვა სიმდიდრისაკენ. ისინი უკვე ნადირობენ, რათა მიითვისონ ყველას მიწ-

ბი. თესაეენ და ამრაელებენ მონოკულტურებს, რაც იწეევს ცხოეელთა და ფრინეელთა ბუნებრიეი საკეების კატასტროფულ შემცირებას. აღარ არის ჰარმონიული თანაარსებობა. ეს ჩანს მეორე სტროფის ბოლო ორ სტრიქონში. ამგეარად, კერპნი, მდიდარი ხალსი, რელიგიებში სათაეეს უდებენ რელიგიათა დაპირისპირებასაც. ამით არის ომები, რაც უფრო აღარიბებს ხალხს და ამდიდრებს მათ. ისეე იქმნებიან კერპნი. ამ კერპებმა სხეების რომ მიითეისონ, ომები რომ გახშირდეს, ამიტომ იყოფა რელიგიები, მრაელდება სექტებიც. აი, რა მოაქეს დაპირისპირებას.

ამის შემდეგ გამოჩნდება ტარიელი, 613 მცნების დამცეელი ანუ ის იბერიულ–ქართული ფენომენი, რომელიც ფლობს ათ მცნებას, ათ სიტყეას და ამიტომაც მისთეის დაპირისპირება მიუღებელია. ამ იბერიულ საწყისზე აღმოცენებული პირეელადი რელიგია, რომელიც არ უწონებს მათ, ანუ დღეეანდელ იუდაისტებს, ქრისტიაანებს და მუსულმანებს, საქციელს:

„ანაზდად მოყმე გამოჩნდა კუშტი, პირ–გამქუშაეია,
ზედა ჯდა შაესა ტაიჭსა, — მერანი რამე შაეია, —
თაესა და ტანსა ემოსა გარე — თმა ეეფხის ტყაეია,
ჯერთ მისი მსგაესი შეენება, კაცთაგან უნახაეია.“

აქ ჩანს რა შორს არიან დღეეანდელი რელიგიები მათი პირეელწყარო, — ტარიელისაგან. ეერც მშეენიერებაში შეედრებიან ტარიელის შუქს, ნათელს, ეერც მის ცოდნას სწეედებიან. მათ მოინდომეს ამ ცოდნის დაუფლება.

## ტარიელის წარმომაელობა და მისია, ჩაცმულობაშია გამოხატული

შეეეცადოთ განემარტოთ ჯერ სტრიქონი — „თაესა და ტანსა ემოსა გარე — თმა ეეფხის ტყაეია“. აქ ჩანს ტარიელის პირეელ რიგში შემიტკობა გაეიხსენოთ უფალმა რომ შემოსა იგი. მოსემ დაიბრუნა ეს სამოსი და ეს მის იბერიელობას — ისრაელობას და იუდეეელობასაც აღნიშნაეს. როგორც გადმოგეცემს ზ. გამსახურდია, ცნობილია, ეეფხის ტყაეის ნათესაობა იოსების ჭრელ სამოსთან, ანუ არის იგი იოსების მთამომაეალი? ხოლო შაეი ფერი კი განმარტოებას აღნიმნაეს. ამაეე დროს, იგი განდეგილობის, ტანჯეის ნიშანია.

ზ. გამსახურდია სწორად განსაზღერაეს ჭრელი სამოსელის გამო ტარიელის მთამომაეალს. იგი გადმოგეცემს: გაეიმეოროთ მისი ნათქეამი (ზ. გამსახურდია, „ეეფხისტყაოსნის“ სახისმეტყეელება“, თბილისი, მეცნიერება 1991 გვ. 190), „ეეფხის ტყაეი სიმბოლოა სამეფო ინიციაციისა, ეინაიდან დაკაეშირებულია შობასთან და ხელახლა შობასთან. ინიციაციად ქმნილ ადეპტს ამიტომ ეწოდება „ორგზის შობილი“. ეგეიპტურ იეროგლიფებზე სამი ურთიერთ გადაჭდობილი ეეფხის ტყაეი ნიშნაეს „შობას“, აგრეთეე უკაეშირდება სიტყეებს „ჩასახეა“, „ზრდა“, „ყრმა“, საერთოდ ფორმირებას“.

ზ. გამსახურდია აღნიშნაეს, რომ „ეეფხის ტყაეი, რომელიც მოსაეს ქეიუმარს, ანალოგიაა ამ ტყაეისა, რომლითაც ღმერთმა შემოსა ბიბლიური პირეელკაცნი. დაბადების ასეთი სახეა ეზოტერული იუდაიზმის „ადამ კადმონი“, პირმშო ღეთისა, ძე ღეთისა“. იგი არის პირეელი კონფიგურაცია საღეთო ნათლისა, დაფარული ღეთის... იგი არის პირეელი ხელმწიფე „სახითა მის მიერითა“.

ჩეენ ეიცით, რომ პირეელად იყო სიტყეა. ჯერ სიტყეით მოგეეცა ბიბლიის წეს–კანონები, რომლებიც მოდიოდა ღმერთიდან, ანუ პირეელადი ენის სიბრძნის ცოდნით, მცოდნეობით იყო შექმნილი პირეელი ხელმწიფე „სახითა მის მიერითა“.

შემდეგ ადამმა როცა შესცოდა მანაც დაკარგა სულიერი მზე — შეხინა. იცოდა 613 მცნება და იგიც როგორც აღენიშნეთ ტყაეით არის შემოსილი. ჩეენ ეიცით რომ ნოე იმსახურებს მის შეილებთან ერთად ამ ნათელს — შეხინას. ამიტომ ენის პრინციპების დამცეელი პირეელკაცის გენეტიკური მემკეიდრეა იბერია — საქართეელო. „ეეფხისტყაოსანში“ ასეთი ნათლის კონფიგურაცია გამოკეეთილად ჩანს როსტეეან–აეთანდილის და ფრიდონის პიროენებებში. ისინი განასახიერებენ იბერიული მოდგმის სახეს და ეს არის პირეელი დაბადების დასრულებული ფორმირება.

ზ. გამსახურდია ამ პირეელ დაბადებას შემთხეეეით არ აკაეშირებს ქართეელთა სათაყეანებელ ღეთაებასთან წმინდა გიორგისთან, რომლის ზეციური დანიშნულებაც იგიეეა, რაც

ქართველთა (მიწათმოქმედება ქვეყნის), ანუ ავთანდილის მიწიერი დანიშნულება. მას მოყავს ხევსურულ ზეპირსიტყვაობაში შემორჩენილი ლექსი, ქაჯეთს მოლაშქრე გიორგიძე (იქვე. 208).

„გიორგი ნუ გაიქცევი,
სამძიმარ მოგდევს ხელაო,
გიორგი არ გაიქცევის,
ტანთ კაბა აცვის ჭრელაო."
ჭრელი კაბა აქვს ლომსაც

ამგვარად, ჭრელი კაბა ძლევამოსილების, დიდი ცოდნის საწინდარია ქართულ ცნობიერებაშიც. იბერიელთა ხელახალი შობა მიწათმოქმედ ერად მოხდა ქანაანში მოსეს მეშვეობით, როცა უფალმა ისინი ეგვიპტიდან აღთქმულ მიწაზე წაიყვანა.

მოსე იყო ის უდიდესი წმინდანი, რომელმაც მიიღო უფლის მიერ თორა – ბიბლია, ხალხთა კონსტიტუცია — წეს–კანონები ზნეობრივი მიწათმოქმედების და სამყაროს ისტორიისა. კაცი, რომელმაც ამ კონსტიტუციით ყველა ხალხი უნდა „განახლოს სახითა მის მიერითა" და იგიც ჭრელი სამოსელით იერითულად ციციტით, ან ტალითით იმოსება. ანუ იგი იბრუნებს დიდ ცოდნას შემის და იმოსება მისი სამოსით. ამ სამოსელს აგრეთვე ეძახიან მოსეს მოსასხამს.* ამ სამოსელის არსია ცოდნა ბიბლიის მცნებათა და დაცვა. ამგვარად დაიბადა და რომ იმეფოს ორგზის უნდა იშვას მიწათმოქმედი ერი.*

ამიტომაც ზ. გამსახურდია არცთუ უსაფუძვლოდ ქართველთა მისიას, გაიგივებულს წმინდა გიორგისთან, აიგივებს დავით სოსლანთან, რომელიც იოსების შთამომავალია, (იქვე, გვ. 212): „ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ დავით სოსლანი ოსეთის ბაგრატოვანთა (და არა ოსი), „ეფრემიანია", ე.ი. ბიბლიური იოსების შთამომავალი, რომელიც არის წინასახე მესიისა ძველ აღთქმაში, ამაზე ნაწარმოების ბოლოში კიდევ გვექნება საუბარი.* იოსების ჭრელი სამოსის ნათესაობა ვეფხის ტყავის სიმბოლოსთან ზემოთ უკვე დავახასიათეთ, და დავიმოწმეთ ბასილი დიდი, რომელიც ამ ორ სიმბოლოს აიგივებს... ბიბლიაში ლომი იუდას ცხოველად ითვლება.

ამგვარად, ნაწარმოებში ტარიელის შემოსელა ვეფხის ტყავით როგორც აღვნიშნეთ მისი მეორედ დაბადების სამყაროს მეუფედ – ლომად დასაწყისია, ამიტომ აქვს მას ვეფხისტყავი. იცავს 613 მცნებას იგი არის ის პიროვნება, რომელიც ასეთად შექმნის სამყაროს თორის გავრცელებით. ავთანდილს არ აცვია ვეფხისტყავი, რადგან ზნეობრივ ლომის თვისებების ერად ჩამოყალიბება უკვე მოხდა საქართველოში და მას აქვს, ალგია სულიერი მზე თინათინის სახით. ახლა ამ ორმა ძმამ მსოფლიოში უნდა მიახდინონ ეს. ამისათვის უფროსი ძმის — ტარიელის, ანუ სემის ცოდნის კარებში აქვს ადგილი უმცროს ძმას იაფეტს — ავთანდილს. ამიტომაც შემდგომ ბიბლია, ქართველთა ის დაუმარცხებელი იარაღი ხდება, რითაც ადვილად ამარცხებდნენ ბოროტებას. ანუ ქართველთ ჰქონდათ ორი თვისება სამიდან, რაზეც არის სამყარო დაფუძნებული და მიიღეს მესამეც თორა სრულყოფილებისათვის. ჯერ ძველ აღთქმას იცავდნენ შემდეგ ახალ აღთქმასაც. რაც გამოჩნდება შემდგომ ავთანდილის მოქმედებაში.

ამგვარად, იუდაიზმის ფესვებიდან აღმოცენებული და განვითარებული ბიბლიის ცოდნა ემატება პირველად დაბადებულ და ფორმირებულ ცოდნას, ენისა და ბიბლიის საფუძველზე, რომელიც პრაქტიკულადაა დანერგილი, ანუ მტკიცეა საქართველოში. ამასთან დაკავშირებით ზ. გამსახურდია აღნიშნავს (იქვე გვ. 200). „ვეფხი (პანტერა) სიმბოლოა ქრისტესი, ხოლო

---

*იერითულ სახელებს ციციტს და ტალითს აქვს ქართული ახსნა. ციცი ნიშნავს ძალიან თხელ ტყავს, ხომ ასეთია მოსეს წამოსასხამიც. ხოლო ტალ–ი მზისგან გადამწვარ სახეზე წინწკლებს ქვია. ტალავარი ტანისამოსია; ტალმა — მოსასხამი (თუშურ–ხევსურული დიალექტი). იხილეთ „ქართულ კილო–თქმათა სიტყვის კონა". (შემდგენელი ალ. ღლონტი. „განათლება", თბილისი, 1984, გვ.798). ამავე დროს სულხან–საბას ლექსიკონით (სულხან–საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1993, ტ.II, გვ 339) ციცი — კატასაც ნიშნავს. დიდი კატა ხომ ვეფხვია და ესეც ამტკიცებს ჩვენს მსჯელობას.

*უნდა აღინიშნოს რომ, როცა უფალი ებრაელებს თორას აძლევდა, მან მოსთხოვა გარანტია მის აღსრულებაზე და როცა გარანტად დადგნენ ისრაელთა შვილები — ახალგაზრდობა, მაშინ მისცა მხოლოდ თორა. ამიტომ, როცა რჯულის კიდობანის აგების წესი უკარნახა მოსეს ქერუმარები კი არ ჩამოასხმევინა, ჭედური ბაჯაღლო ოქროთი გააკეთებინა. (თანაც ნებისმიერ დეტალში შეიძლება შეცვლილიყო ოქრო შათი კვეთებისას კი არა.) ე.ი. ახალგაზრდობას ბიბლია, ის რაც ბაჯაღლო ოქროა, ნელნელა უნდა ესწავლათ.

*სოსლანში, ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში, ავთანდილის ქმედება უნდა ვიგულისხმოთ, ამაზე ჩვენ ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ.

მისი ტყაეი მშვენიერებით ედარება იოსების სამოსს. ამდენად ვეფხის ტყაეით „მოსილის“ გაგებას ფუნქციურად ემთხვევა პაგიოგრაფიული „ქრისტეშემოსილის“ გაგებას. იოსები მზიური სახეა ძველი აღთქმისა, იგი სოლიდარულ მითთან არის დაკავშირებული და არის მესიის წინასახე ძველ აღთქმაში“. (ჩვენ მერე დავწმუნდებით რომ იოსები ეგვიპტეში იმ იბერიულ ცხოვრების წესის აღადგენას ცდილობს, რასაც მესია დანერგავს მერე). „მშვენიერებით შედარება“ აქ უმაღლეს ცოდნასა და განსწავლულობაში შედარებაა. ესეთი განსწავლულია მოსე, სწორედ მისი მეშვეობით დაუწესა ეს ზოლიანი ჩასაცმელი, ანუ ციციტი უფალმა ეგვიპტიდან გამოსულ ებრაელებს, როცა მისცა თორა, იმიტომ, რომ იცოდნენ და ასრულებდნენ ათ მცნებას და 613 ზნეობრივ კანონს, რომელიც მოცემულია თორაში – ბიბლიაში. ამავე დროს, უნდა ახსოვდეთ უფლის სასწაულები ეგვიპტიდან გამოსვლისას. ამგვარადვე ჭრელი სამოსელი ის მოსეს წამოსახამია, რითაც დაიბადა ებრაელთა ერი. იგივეა ვეფხის ტყაეიც, მშვენიერებით ედრება იოსების სამოსელს. მაცხოვარიც ხომ ამ სამოსელით დადიოდა. იგი ხომ იმიტომ მოვიდა, რომ განემტკიცებინა რჯულის კანონების დაცვა და წინასწარმეტყველთა ქადაგებანი, ანუ ებრძვის ბნელს.* წინასწარმეტყველი იყო მოსეც და, მართლაც, ქრისტიანობის შემოტანით მრავალი ერი იქნა ხსნილი, რამეთუ იწამეს ერთი ღმერთი და აღარ გადაშენდნენ. ანუ იწყება მათი დაბადებაც მონოთეიზმის დასამკვიდრებლად. მაგრამ ისინი არ იცვამენ ამ წამოსასხამს. ეს იმიტომ რომ ჩასახვა, ზრდა და ფორმირება ტარიელმა – ებრაელთა ერმა უნდა წარმართოს. უფალმა ხომ შემის მოდგმა ღირსყო ამ სამოსელით. მანამდე კი, როგორც ვიცით, ყველა ერი, ამ სამოსელის მატარებელი ანუ ებრაელთა და ასევე ქართველთა – იბერიელთა გარდა, აღიგავა პირისაგან მიწისა.

უფრო მეტიც, ეს სამოსელი მიგვანიშნებს, რომ ტარიელი იუდეველია, რადგან ებრაელები ყოველი დილის ლოცვისას აუცილებლად იცვამენ ზოლიან წამოსასხამს, რომელსაც ბოლოში აქვს ფოჩები. ეს წამოსასხამია აღწერილი სიტყვებში „გარე–თმა ვეფხის ტყავისა“ ანუ ზოლიანი წამოსასხამი ფოჩებით. აქ არის ახსნა ვეფხისტყაოსნის არსისაც.

ამგვარად, ამით ჩვენი მიგნებაც, რომ ტარიელში უნდა ვიგულისხმოთ ებრაელთა ის ცხოვრების წესი, რომელიც უნაკლოდ იცავს მცნებებს, დასტურდება. ამ სტრიქონში ტარიელის იუდეველობას დამატებით ამტკიცებს სიტყვები ტანსა და თავსა ემოსა. იუდეველი უქუდოდ არ დადის. ამავე დროს, არის ციციტ კატანი, ანუ პატარა ციციტი. ეს კი იუდეველს აუცილებლად უნდა ეცვას ყოველთვის დილითაც და ძილის დროსაც, ისევე, როგორც უნდა ეხუროს ქუდი. ამიტომ დადის ტარიელი ციციტით, ანუ ვეფხის ტყავით და ჰქვია „ვეფხისტყაოსანი“. ქვემოთ კიდევ გვექნება დამატებითი ახსნა ციციტის თაობაზე, რადგან ებრაელები დიდ ციციტთან ერთად ლოცვისას თავზე და მარცხენა მკლავზე იდებენ თეფილიმს – თუმცა ციტიტი საღამოს ლოცვისასაც წამოისხმება.*

## ტარიელი გაასამტვერებს დაპირისპირებულ ძმებს – რელიგიებს, ხოლო ავთანდილი ადგილს მიუჩენს რათა ჰქონდეთ ჰარმონია

„ეუჭვერიტეთ, მისთა ელვათა, მუქნი ძლიე გაეიცადენით,
ეთქვით, თუ „მზეაო ქვეყანად, ნუ ვეუბნებით ცად ენით!“
მისი მოგვინდა შეპყრობა, ვჰკადრეთ და შევეცადენით,
ასრე სულთქმით და ვაებით, მით ვართ, ცრემლისაცა დენით.“

„მისთა ელვათა მუქნი ძლივ გაეიცადენით“, ანუ ისინი უკვე ენით ძნელად აღიქვამენ ბიბლიის და პირველადი ენის ცოდნას. „მისი მოგვინდა შეპყრობა, ვჰკადრეთ და შევეცადენით“. თითოეული ცდილობს, რომ თავი ამ ჭეშმარიტი ცოდნის მემკვიდრედ გამოაცხადოს, თავისას მიუსადაგოს მოსეს ხუთწიგნეული და მისი განმარტებანი. ამიტომ სამივე რელიგია ცდილობს თავისი ერთადერთობა და სიბრძნე დაამტკიცოს, ანუ „ვჰკადრეთ და შევეცადენით“, მაგრამ რადგან შორს არიან ჭეშმარიტებიდან, ამიტომაც არის დღეს ყველა სულთქმით, ვაებით და

*„ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ დახსნად სჯულისა გინა წინასწარმეტყველთა: არა მოვედ დახსნად, არამედ აღსრულებად“ (მათე 5.17)

*როდესაც მალვა ნუცუბიძემ მის რუსულ ენაზე ნათარგმნ „ვეფხისტყაოსანის“ ერთ–ერთ სურათში ტარიელი ვეფხის ტყავის გარეშე გამოხატა, სტალინმა ეს სურათი ამოაღებინა. მანაც, ალბათ, იცოდა ვეფხის ტყავის დანიშნულება.

ცრემლის დენით. აქაც ყველა სტრიქონის ბოლოს ენაა, ანუ პირველად ენაზე რომ ილაპარაკონ არ იქნება უმწეობა, დაპირისპირება.

მისი, ტარიელის ტანჯვა და განდევნილობა, ანუ ბიბლიის სიწმინდის არ დაცვა, გამოწვეულია დღევანდელობით, როცა რელიგიები უპირისპირდებიან ერთმანეთს. ამავე დროს, გარეგნულად თითქოს ყველა რელიგია ეთაყვანება წმინდა წიგნს, ძველ აღთქმას. მესიას – ტარიელს, რა თქმა უნდა, არ მოსწონს ეს:

„მე უხუცესმან უმცროსთა კაცი დაესთხოვე ქენებით,
ჩემმან შედეგმან ტაიჭი მისი მით აქო ხსენებით;
ამან მართ ოდენ მორევნა ვეითხრა, ვუალღეთ ჩვენ ნებით,
მიემართეთ, იგი აგრევე წყნარად მივა და შვენებით.

ბროლმან, ლალსა გარეულმან, ვარდნი თხელნი ანატიფნა,
იგი ტკბილნი ჟონებანი ჩვენთვეის მეტად გაამყიფნა;
არ აგვეხსენა, არცა დაგვეხსნა, ყოლა არად ამოგვეკრიფნა,
მისნი მკვახედ მოუბარნი მათრახითა შეგვამწიფნა!

უმცროსსა ძმასა მიეყცით, უფროსნი დავეზიდენით;
ხელი მოჰკიდა, „დადევო!" ესეცა ჰკადრა კიდ ენით;
მან ხრმალსა ხელი არ მიჰყო, ჩვენ ამად დავერიდენით,
თავსა გარდაჰკრა მათრახი, ენასეთ სისხლისა კი დენით."

პირველ სტროფში ჩანს, როგორ აქებენ არა ტარიელს არამედ ტაიჭს „ტაიჭი აქო ხსენებით". ტაიჭი აქ ცხოველური, ანუ ტანის მოთხოვნილებაა, ანუ მათი ენა სხვას ვერ ჩერგავს. რაც ასასიათებთ ძირითადად დღეს განდიდების მოყვარულთ. მეორე სტროფში „მისნი მკვახედ მოუბარნი მათრახითა შეგვამწიფნა". აქ ჩანს, რომ თითქოს ტარიელმა ხმალიც არ იკადრა, მათრახით დაჯაბნა ისინი. სინამდვილეში კი მან ენით, ლოგიკური აზროვნებით, ცოდნით გააცამტვერა მათი საქციელი, რაც ჩანს მესამე სტროფში, სადაც ყველა სტროფის ბოლო სიტყვა ასევე ენით მთავრდება. ეს ბრძოლა მომდინარეობს თავიდან სისხლის დენის დონემდე უმწეო საქციელისათვის. შემდეგ სტროფში უფრო მდაბლდება ამ რელიგიათა მწეობა:

„მით ერთითა მათრახითა თავი ასე გარდაპყრიწა.
ვითა მკვდარი უსულო ქმნა, ვითა მიწა დაამიწა,
მისი რასმე მკადრებელი მოამდაბლა, მოამიწა,
თვალთა წინა წაგვიგდა, ლაღი, კუშტი, ამაყი, წა–!"

ამგვარად, ტარიელი, მესია, ჰარმონიული ცხოვრების წესი, არ ეკარება და არც მიეკარება სამყაროს, სანამ იქნება დაპირისპირებანი, „მისი რასმე მკადრებელი მოამდაბლა, მოამიწა". არც ერთი რელიგია არად ღირს, თუ ის დაპირისპირებას თესავს. ტარიელი არ ცნობს რელიგიებს, თუ ისინი დაპირისპირებას ნერგავენ. გავიხსენოთ უმაღლეს სწავლულთა საკრებულოს პირველი გადაწყვეტილების მესამე პუნქტი. დაცული უნდა იყოს თორა – წმინდა წერილი, ანუ მის მოძღვრებათა სიწმინდე. ეს ახარებს ავთანდილს, იგი რწმუნდება, რომ ჭეშმარიტი იუდეველი იგივე ქართველია, იბერიელი, მათ ერთი სული აქვთ. ახლა შეიგნო ამ კაცის სიკეთე. მას არ უნდოდა დაპირისპირება. იგი 10 სიტყვის დამცველია, ისევე როგორც ქართველი მეფენი. ისინი ხომ ყველა რელიგიის ტაძრებში შედიოდნენ. ამგვარად ავთანდილი ხედება, რომ ერთი მიზანი, ერთი გენეტიკა აქვთ ორივეს. ერთი პირველადი სალაპარაკო ენაც ჰქონდათ. იგივე უნდა ითქვას იბერიული წარმოშობის მუსულმან ფრიდონზე. რომელიც გვიან მუსლიმანდება. აი, რატომ განსაჯა განგებამ ასე, რომ მხოლოდ ის და ტარიელი უნდა გაერთიანდნენ. შემდეგ ფრიდონთან ერთად ყველას მოიყვანენ მწეობაზე:

„აპა, მიხედა ავთანდილსა ლაწვთა ცრემლით არ – დათოვნა,
რათგან ცუდად არ წაუხდა მას ემომი გარეთ ყოვნა.
კაცსა მისედეს საწადელი, რას ეძებდეს, მისი პოვნა,
მაშინ მისგან აღარა ხამს გარდასრულთა ჭირთა ხსოვნა.

უთხრა, თუ „ძმანო, ვარ ვინმე ღარიბი უადგილოსა,
მე იმა ყმისა საძებრად მოვშორდი საგაზრდილოსა,
აწ თქვენგან მიეხედი საქმესა ყოლა არ–საადეილოსა,
ღმერთიმცა ნურას ნუღარ იქმს თქვენსა დასაღრეჯილოსა!"

ავთანდილს მოსწონს ტარიელის საქციელი. მან იპოვა მისი მსგავსი თვისება ტარიელში. რაც ჩანს პირველი სტროფის მესამე სტრიქონში. იგი ხედება, რომ ტყუილად არ გარჯილა და ერთი მიზნები აქვთ მას და ტარიელს, იაფეტს და სემს. ისინი ნოეს მიერ დანერგილი იბერიული მრწამსის მატარებელნი არიან. მისი და ტარიელის მისია, მესიის გამოვლინებაა, ანუ ზნეობრივი ცხოვრების წესის აღდგენაა. მეორე სტროფში იგი ეუბნება ამ რელიგიის წარმომადგენელთ, რომ იოლი საქმე არ მოგსვლიათ და იქნებ ახლა მოეგოთ გონსო. სტრიქონების ბოლოში სიტყვებია: „უადგილოსა", ანუ იგი ცუდ გარემოშია. საგაზრდილოსა — ანუ მოშორდა წესს, სადაც ზრდილნი იზრდებიან. არ–საადეილოსა — ანუ ძალიან დიდი არ საადვილო ცოდვა გაქვთო. დასაღრეჯილოსა — ანუ ისე უნდა მოიქცეთ აწი, რომ ზეცის განაჩენი დასაღრეჯილო აგცდეთო. ამგვარად, დაპირისპირებული არის დღევანდელი სამყარო, მაგრამ იგი გამორიცხულია ისრაელში — ტარიელში, რომელიც არსებობდა როგორც სახელმწიფო. ეს ასევე გამორიცხულია საქართველოში, ქართველ კაცში, მის გენეტიკაში. იგი — ქართველობა, მისი ცხოვრების წესი, ამაზე მაღლა დგას. ამიტომ უყრო მიილტვის ავთანდილი ტარიელისკენ და ტარიელიც თავის ქართულ ხასიათს, გენეტიკას, იმით ვეიდასტურებს, რომ გულს უხსნის მხოლოდ ქართულ მოდგმას, მის სწორს, რაშიც შემდგომ ვრწმუნდებით.

შემდეგ ავთანდილი არიგებს ამ სამ ძმას:

„ვითა მე მიეხედი წადილსა, ჩემის გულისა ნებასა,
აგრემცა ღმერთი ნურას იქმს ძმისა თქვენისა ვნებასა!"
უჩვენა მისი სადგომი: „მიდითო ნება–ნებასა,
ჩრდილსა გარდასვით მაშვრალი, მიეცით მოსვენებასა".

მიუთითა მათ, როგორ უნდა ემოქმედათ, რომ ჰარმონია ყოფილიყო. ანუ ასწავლა ქართული ზნეობა, ცხოვრების წესი, რაკიღა უჩვენა ყველას მისი სადგომი, ანუ ადგილი და მიმართულება როგორ მოქცეულიყვნენ.

აქ ჩანს ავთანდილის ზრდასრულობა ლომის სახეში — კეთილშობილება. მან კი არ გალახა დაარიგა შეარიგა — იმედიატორა რაც ქართველთა მისიაა და ყველას თავის საგამრდილო ანუ საიდან წარმოიქმნენ ის ადგილი მიუჩინა.

## ორი მოყმის მესიის ერთი გზა და მათი ფიქრები

ამგვარად, ტარიელი და ავთანდილი აგრძელებენ თავიანთ მისიას, ხალხები რომ არ აღიგავონ იწამონ რომელიმე რელიგია. ამავე დროს ახლა საჭიროა რელიგიათა ერთობა, სიყვარული, რათა შეიქმნას ჰარმონიული სამყარო. იყოს იმ მიმართულების უპირატესობა, რაც ზნეობას, სიყვარულს დანერგავს. დადგა დრო ერთობლივად იმოქმედოს ერთი ქართული ფენომენიდან გამოსულმა ბიბლიის მიმღებმა ერმა და პირველადი ენის მცნებების დამცველმა ერმა. ორივე მოდგმამ ერთადერთი მიზნის მსახურებმა, ანუ მიწათმოქმედებმა. მათი ცხოვრების წესი და მისწრაფებანი ხომ არ განსხვავდებიან. ამ დაახლოებას და ურთიერთმოქმედების პროცესსაც დიდი სირთულე გააჩნია. ტარიელი გულაყრილია ყველაზე. მან შეიძლება ავთანდილი ცუდად მიიღოს. აქ ვიღაცამ უნდა ითავოს მედიატორის ფუნქცია. ამაზე ფიქრობს ავთანდილი გზაში:

„რათგან ისი არის სადმე უცნობოდ და ისრე რეტად,
რომე კაცსა არ მიუშვებს საუბრად და მისად ჭვრეტად,
მიევწევი, შევიყრებით ერთმანეთის ცემა–ქლეტად,
ანუ მოვჰკლავ, ანუ მომკლავს, დაიმალვის მეტის–მეტად".

რადგან ტარიელი ავთანდილს — საქართველოს გააიგივებს იმ ქრისტიანობასთან, რაც დასავლეთის ქვეყნებს აქვთ, იგი ფრთხილობს. მაგრამ მისასვლელი პირი მას ნამღვილად აქვს. მათ ხომ ერთი წარმომავლობა აქვთ, ამიტომაც მარტო ის რად ღირს, რომ ებრაელობა ჩვენში გაიგივებული იყო ქართველობასთან. აქ არ ამბობდნენ — ორი ერის ხალხი, ეს იყო ერთი ერის დედაენაზე აღზრდილი და ორი სხვადასხვა რწმენის ხალხი. ამიტომ მიჰყვება მის კვალს და მიდიან ტარიელის სადგომში:

„წინა—უკანა იარნეს, ორნი დღენი და ღამენი,
დღისით და ღამით მაშვრალნი, არ საჭამადთა მჭამელნი,
არსადა ხანი არ დაყვეს, ერთნი თვალისა წამენი.
მათ თვალთა ცრემლნი სდიოდეს, მინდორთა მოსალამენი.

დღისით ვლეს და საღამო—ჟამ გამოუჩნდს დიდნი კლდენი,
კლდეთა შიგან ქვაბნი იყვნეს, ძირსა წყალი ჩანადენი,
წყლისა პირსა, არ ითქმოდა, შამბი იყო თუ რასდენი,
ხე დიდრონი, თვალ—უწდომი, მაღლა კლდემდის ანაყრდენი.

მან ყმამან ქვაბსა მიმართა, გაელნა წყალნი და კლდენია,
ავთანდილ ცხენსა გარდახდა, მონახნა დიდნი ხენია,
მას ზედა ჭერეტად გაეიდა, ძირსა დააბა ცხენია,
მუნით უჭერეტდა, იგი ყმა მიეა ცრემლ—მინადენია.“

მაგრამ სანამ ეს ორი გზა შეერთდება, ისინი კიდევ დიდხანს ივლიან სწორად, მაგრამ ცალ—ცალკე, სხვადასხვა გზით.

პირველი სტროფი გვეუბნება, რომ ორ დღეს იარეს. შეიძლება ეს ორი ან ორასი წელია და, საერთოდ, ქართველთა და ებრაელთა ცალ—ცალკე ქმედებას აღნიშნავს. იყო წინსვლა — და უკანსვლაც ამ პერიოდში, ანუ წარმატებას იმედის გაცრუება მოსდევდა. მაგრამ სწორად მიდიოდნენ. შორს იყო მათში ცხოველური მისწრაფება „მაშვრალნი, არ საჭამადთა მჭამენი მიდიოდნენ“ — ანუ აკრძალულის არ მირთმევა, მარხულობა და მცნებების დაცვაა, მათი გზაა. არსად ხანი არ დაყვეს — ანუ უამროდ არ უვლიათ, ყველგან მადლს აფრქვევდნენ, რაც ერგებოდა მინდორს, მიწათმოქმედებას, სიტყვები „მინდორთა მოსალამენი“ ადასტურებს ამ მოსაზრებას.

კიდევ ერთხელ უნდა განიმარტოს, ზ. გამსახურდიას მიყოლებით, რას ნიშნავს წყალი, აგრეთვე კლდენი და ქვაბნი. წყალი განასახიერებს საღვთო მადლს, გადმოსულს პირველადი სამყაროდან და აცოცხლებს სააქაო ყოფას. სანამ წყალთან და ქვაბთან მიდიან, ჯერ კლდეს გადიან ისინი. რა თქმა უნდა, ისინი ტანჯვის გზით მიდიან შეხვედრისაკენ — ნესტანისაკენ. ეს არის მეტად მძიმე კლდეთის, სიმშრალის — უდაბნოს გზა. მხოლოდ ამის შემდეგ არის კათარზისი და მართლაც, მხოლოდ ამის შემდეგ მიაღწევენ ისინი ქვაბს და წყალს კლდეთა შიგან, ანუ ჯერ კიდევ სიმშრალეში არიან ისინი მანამ, სანამ არ შეერთდებიან და ეს უნდა მოხდეს ქვაბში.

ქვაბი არის ღვთაებათა შეხვედრის ადგილი. მითებსა და ლეგენდებში სიმდიდრე, განძი მუდამ ქვაბში მოიპოვება. აქ მოიპოვება მიუღწეველი საუნჯე, მისტერიული ცენტრი, უმაღლესი სულის — მე. აქ გმირი ამარცხებს დრაკონებს და საკუთარ თავს, ქვეყნა ბუნებას. ამგვარად, ორივე გმირმა გაიარა კათარზისი, მრავალი მადლი მოაფრქვიეს, არის წყალობა, განაყოფიერეს მიწათმოქმედება, რაც მეორე სტროფში ჩანს: „ხე დიდრონი“ და ისინი მიუახლოვდებიან მადლიან ღვთაებათა დონეზე ხალხთა შეხვედრის მისტიურ ადგილს, ქვაბს, ადგილს, საიდანაც უნდა დაიწყოს გამარჯვება.

ზ. გამსახურდია გადმოგვცემს, რომ „ბიბლიური აბრაამი ფლობდა მაქფელაქის ქვაბს, სადაც იგი დაიმარხა. დავით წინასწარმეტყველი ადულლუმის ქვაბში მკვიდრობდა, სადაც ჰქონდა საკურთხეველი, ლოტი ქვაბში იყო სოდომის განადგურებისას, იბერიის მეფე ფარნავაზი ქვაბში პპოვებს საუნჯეს, მიწიერი ინაციაციის მიღებისას.“ (იქვე, 265–266).

ამგვარად, ეს არის ადგილი იბერიული მოდგმის ხალხის სულიერი გამარჯვების დასაწყისისა და მართლაც ასე ხდება ნაწარმოებში, რადგან ტარიელმა ნახა ავთანდილში ის, რაც მას

აკლდა და პირიქით. სამყაროს მომავალმა მესიამ — ტარიელმა იცის ბიბლიის შინაარსი — მეტი არაფერია, თუ არა მცნებათა ლაცეით ნაწარმოები მიწათმოქმედება, როგორ დაინერგოს ეს მიწათმოქმედება პრაქტიკულად. სადაა ნოეს, სემის, იაფეტის — აბრაამის — მრწამსი, ანუ იბერიელნი, ხალხი, რომელთაც გაყოფა—გაცემა აქეთ. ანუ ორი ძირითადი თვისება: ღმერთის უშწიკელო მსახურება და კეთილი საქმეებიძ თორას — ბიბლიას კი ის შეასწაელის მათ უმაღლეს დონეზე — ეს არის მისი როგორც მესიის მისია. მან იცის, რომ სიყვარულმა უნდა დაიბუდოს ადამიანებში, რომ მათ უნდა იზრუნონ სხვათა პრობლემებზეც. ამას გეასწავლის ეს წიგნთა წიგნი — ანუ ტარიელის გზა. მაგრამ იგი ვერ ხედავს თავისი შემეცნების რეალურად განხორციელების, დანერგვის ობიექტს. იგი ხედავს, რომ ადამიანთა გენეტიკა მხოლოდ მითვისებისა და დაპირისპირებისკენაა მიმართული და სასოწარკვეთილებაშია, თუ როგორ დანერგოს მათში ჰარმონიული ცხოვრების წესი, დაარწმუნოს ისინი, რომ ამ შემთხვევაში, სულიერად, მატერიალურად ბევრად უფრო მდიდარნი იქნებიან, და შეიქმნება მესიის გამოცხადების წინაპირობა. ამავე დროს, მისი ცოდნა, კაბალისტიკა გასაიდუმლოებულია. ეს იციან მხოლოდ იუდეველებმა და აქაც იმლუდება იგი. მარტო იუდეველთა მოქცევა მნეობრივი ცხოვრებისკენ, ჰარმონიულ სამყაროს ვერ შექმნის. თუმცა ეს მოქცევაც განუხორციელებლად ეჩვენება, თუ არ გამოჩნდა ობიექტი, ქვეყანა, ხალხი, რომლის გენეტიკა: სიყვარული — გაყოფა — გაცემა, ზნეობრივი ცხოვრების წესია.

ასეთი კაეშანის აღმნიშვნელია მისი შავი ცხენი, რომელიც, როგორც ვიცით, აღნიშნავს საიდუმლოებას, მისტერიულობას, განმარტოებას, განდეგილობას, ტანჯვას. თუ ტარიელი ვერ დანერგავს ჰარმონიულ ცხოვრების წესს, მისი მიჯნური ნესტანი არ დაუბრუნდება მას. ეს არის მისი მთავარი მისწრაფება — ცხოვრების არსი. „შავი რაინდი არის ის, ვინც გადის ცოდვის, ბნელეთის, ტანჯვით გამოსყიდვას, რათა მიაღწიოს უკვდავებას, მიწიერი დიდების გზით, ეზიაროს ზეციურ ნეტარებას" (ზ. გამსახურდია, გვ. 168). ეს ნეტარება ნათელი აქვს ლომს. და უნდა დაიბრუნოს ის უნდა გახდე მეორედ შობილი. ვინ მოეხმაროს ამაში თუ არა ლომი — ავთანდილი რომელსაც აქვს ეს ნათელი. კი, იტანჯებიან ებრაელები, უარს ამბობენ ბევრ ყოფიერ ნეტარებაზე, მაგრამ ისინი ამ საქმეში თითქმის მარტონი არიან. არც ერთი ქვეყანა საქართველოს გარდა არ იმართება ბიბლიით, არ არის ბიბლია მათი კონსტიტუცია.

## როგორ მიაღწიოს მიწიერ დიდებას?

მაგრამ განგება არ ტოვებს ტარიელს, ებრაელ ერს, რომელთაც ცხოვრების ორომტრიალის გამო დაავიწყდათ ვინ შეიფარა ისინი. კი იციან, რომ იბერიელები არიან, რომ აქიდან აქეთ გენეტიკურად ღმერთის, სტუმრის, მოყვასის, ყველა მდედრობითის სიყვარული. მაგრამ დაავიწყდათ რომ არის მათი სამშობლო, თეთრი რაინდი — საქართველო, თეთრი გიორგი — ავთანდილი. თეთრი რაინდი — სულიერი განათლების სიმბოლოა, თეთრი სიწმინდის, უცოდველობის ფერია, „თეთრი რაინდი" ყველაზე მეტად უკავშირდება წმინდა გიორგის. იგია ბუნების მეუფე, რჩეული (ზ. გამსახურდია, იქვე, გვ. 168). აქაც ნათლად ჩანს, როგორ ჰგავს ავთანდილის — წმინდა გიორგის მისწრაფება საქართველოს მისწრაფებას ბნელეთის დასამარცხებლად. ეს გზა გახლავთ ის ობიექტი, ცხოვრების წესი, რომელიც სჭირდება ტარიელს. ამან უნდა გამოიყვანოს სასოწარკვეთილებიდან.*

---

* ღრმა შესწავლა უნდა სამყაროს ისტორიას. უფლის ნებით ალბად ბევრჯერ ყისადებოლა ქართველი იეფეტი მხსნელად ისრაელს. ყველამ ვიცით,რომ შორეულ წარსულში მიდიას მეღეას კოლხურ ტომად მოიხსენიებდნენ. ითრო იყო ფარაონის ერთ-ერთი მრჩეველი-ქურუმი. ფარაონმა სიზმარი ნახა რომ ერთ მხარეზე მისი დიდებულები იყვნენ, ხოლო მეორე მხარეზე ცხვარი და ამ ცხვარმა გადაწონა მისი დიდებულები. ბილამმა ახსნა რომ დაიბადება მხსნელი დაამარცხებს ფარაონს და გაიყვანს ებრაელობას, ამიტომ ურჩია ყოველი პირმშო ებრაელი ნილოსში ჩაეხრჩო.

იითრო წინააღმდეგი წავიდა ამ აზრის წინააღმდეგ. გაახსენა ფარაონს რომ ებრაელები დაუმარცხებლები არიან. მოიყვანა აბრამის ისტორია, რომელსაც ცეცხლი არ გაეკარა. იაკობის ისტორია ლავანის მცდელობის მიუხედავად რომ სულ გამარჯვებული იყო და იოსების დამსახურებაც გაახსენა, მაგრამ ამან არ გაჭრა. ამ გამოსვლით ითრომ მტრები გაიმრავლა და შემდეგ გაიქცა თავის სამშობლოში მადიამში.

იითროს სიკეთე ჩანს იმაშიც, რომ იგი შემდეგ მოსეს ასწავლის იბერიული ცხოვრების წესიდან გამომდინარე როგორ მართოს ისრაელები უდაბნოში. გავიხსენოთ ელიას მოღვაწეობაც ისრაელის საკვთილდღეოდ. ჩვენს შემდგომ ენახავთ რომ მეორე ტაძარი იეფეტელთა ძალისხმევით აიგება.

და ბოლოს თვითონ ავთანდილი არის იითროს, ელიას სხვა იეფეტელთა გამგრძელებელი, რათა გაიმარჯვოს ისრაელმა, იბერიელმა ქვეყანაზე.

იგი ხედავს, რომ ხალხი ყველგან მიმტაცებლობისაკენ მიისწრაფვის. გაყოფა–გაცემის გენეტიკის ხალხია საჭირო. მხოლოდ მათი დახმარებით შეიძლება შეიქმნას ჰარმონიული სამყარო. ამიტომაც, „მას სჭირდება რწმენის განმტკიცება, სჭირდება დახმარება, მიწათმოქმედთა ქვეყნის, გონების, ფილოსოფიისა, რათა კვლავ ჰპოვოს გზა ღვთაებისაკენ. განგება უგზავნის რწმენას — ავთანდილს, რომელთანაც მას დააკავშირებს მისი საკუთარი ცნობიერება (მხევალი ასმათი) (ზ. გამსახურდია, იქვე, 263). ეს უკანასკნელი სარწმუნოების ნათელსაც გამოხატავს.

ამდაგვარად, სამმა ძმამ, მტომ იბერიული მოდგმისა, თავისი მნეობით დღეს შემორჩენილი ქართული ცხოვრების წესი, ერთობის, სიყვარულის ძალა — კვლავ აღდგენილი უნდა აჩვენოს სამყაროს. ეს წესი უნდა გახდეს ფუნდამენტი იმ გზისა, რასაც ტარიელი ისახავს, ანუ მიწიერი დიდების გზა. ამიტომ ხვდებიან ისინი ქვაბში, სადაც წყალი–წყალობაა, დიდი ხვებია, ანუ სწორი მიწათმოქმედებაა, ცხოვრობს ქალი ასმათი — მიწაც ხომ მღვდრობითი არსია. აქ მცნებების დაცვას სახელიც გვეუბნება ასმ–ათი. ანუ ასმაგადაა დაცული 10 მცნება. მაგრამ არა ოცი მიმართულება, რადგან არ არის დანერგილი იბერიული ცხოვრების წესი. ამიტომ აკლია ტარიელს სულიერი მზე შეხინა. აქ ტარიელი უამბობს ასმათს მისი გულგაცრუების მიზეზს, ანუ სამი რელიგიის ურთიერთქიშპობის შესახებ:

„ყმამან უთხრა: „დაო ასმათ, ხიდნი ზღვასა ჩაგვიცვივდეს:
ვეღარ მიეხდით ქამიერად, ჩვენ ვისნიცა ცეცხლნი გვწვიდეს".
ესე თქვა და მკერდსა ხელნი იკრნა, ცრემლნი გარდმოსწვიმდეს.
ქალი შებნდა, მოეხვია, ერთმანეთსა სისხლი სწმიდეს."

ესე იგი ძმობის ხიდი გავაბით, მივეცით სალხებს მონოთეიზმი, რათა ყვარებოდათ შემოქმედი და ერთმანეთი, ახლა კი ყველა ხიდი დამსხვრეულია და ზღვამ წაიღო, რადგან დაპირისპირებაა. შემდეგ აღწერილია მათი მწუხარება ამის გამო:

„იგი ტევრი გაეხშირნა, დანაგლეჯსა მათსა თმასა,
ერთმანერთსა ესვეოდეს: ყმა ქალსა და ქალი ყმასა;
იმახდიან, მოსთქმიდიან, მოსცემდიან კლდენი ხმასა.
ავთანდილ სჭვრეტს გაკვირევებით მათსა ეგრე ქცევა–ზმასა."

## შეყრა ორი მოყმისა

მათი დამაკავშირებელი რომ ქალი უნდა გახდეს, ესეც გასაგებია. ქალი ხომ მანდილის ჩამომვლებია. ამიტომაც ავთანდილი ცდილობს ასმათისგან გაიგოს ყველაფერი:

„აწ ამას ჩემთვის ღმრთისაგან სხვა საქმე რა ვაჯობინო?
ქალი შევიპყრა, მის ყმისა ამბავი ვაამბობინო,
ჩემიცა ვუთხრა ყველაი, მართალი გავაბრჭობინო,
მას ყმასა ხრმალი არა ეპკრა, არც მისი დავისობინო".

ანუ ავთანდილი მოწყურებულია თორის უფრო ღრმა შესწავლისათვის და ამბავი, ისტორია მისი უნდა აამბობინოს ტარიელს. ის, რასაც ებრაელები «ოველ წმინდა დღეებში და შაბათს ლოცულობენ.

როდესაც ტარიელი წავა, ავთანდილი ცდილობს განმრახვა შეისრულოს. ბევრი უარის მერე ასმათი მიხვდება, რომ ავთანდილიც იგივე ცხოვრების წესია, მიჯნურია, როგორც ტარიელი და დახმარებას ჰპირდება.

ალბათ მხოლოდ ქალებმა უნდა ჩაუნერგონ იუდეველებს, რომ მათ ისტორიულ წინაპრებთან, საქართველოსთან ერთად შეძლებენ შექმნან ის ცხოვრების წესი, რაც მესიის გამოვლინების წინაპირობაა.

„ქალმან უთხრა: „მომეწონა, ყმაო, შენი ნაუბარი,
ხარ უცილოდ კარგი ვინმე, მოყმე, ბრძენთა საქებარი;

ხარ ეინათგან აქანამდის მაგა ჭირთა დამთმობარი,
რაცა გითხრა, მომისმინე, გიპოვენია საძებარი.

„იმა მოყმისა ამბავი, არსადა არ იპოების;
თვით თუ არ გითხრობს, არ ითქმის, არვისგან დაიჯერების,
მოილოდინე, მოვიდეს რაზომცა დაგვეყოვნების,
დადუმდი, ვარდსა ნუ აზრობ, ცრემლითა ნუ ითოვნების.

„გითხრა, თუ ცოდნა გწადიან ჩვენისა შენ სახელისა:
ტარიელ არის სახელი იმა მოყმისა ხელისა;
მე ასმათ მქვიან, რომელსა წვა მაქვს ცეცხლისა ცხელისა,
სულთქმა სულთქმისა ბევრისა, მაშა თუ არ ერთხელისა."

საერთოდ, კაბალა არის მოძღვრება, რომელიც შემონახული აქვთ ებრაელებს. იქ არის შეხვის განმარტება და ეს უცოდინართათვის გაუგებარი და დაუჯერებელია. რაღა თქმა უნდა, ეს ავთანდილისთვის გასაგებია, ამიტომ ეუბნება ასმათი ავთანდილს, თვით უნდა გითხრას მისი მიჯნურობის ამბავიო. ანუ ებრაელებმა ნებაყოფლობით უნდა გადასცენ თორის და კაბალის ცოდნა მის მოძმეთ — იაფეტიდებს — ქართველებს, რათა ერთად მოაქციონ ხალხი მნეობისაკენ. ალბათ დროა, რომ ისეთი უმაღლესი ცოდნის ქართველნი ბევრნი იყვნენ დღეს. ჩვენი უახლოესი წინაპრები ხომ ფლობდნენ ამ ცოდნას. ხომ ფლობდ ამ ცოდნის საფუძვლებს ელია წინასწარმეტყველი. ხოლო ბოლო სტროფში ნათქვამია: რომ თუ ცოდნა გწადიან, ვინ არის მოყმე იგი, ის ტარიელია, ანუ ლომი, ანუ იმ იუდას ტომის შთამომავალი, რომლიდანაც მეორედ შობილი მესია უნდა მოევლინოს სამყაროს. მაგრამ ავთანდილს არა მარტო სახელი მთელი ბიბლიის არსის ჩაწვდომა ეს უდიდესი ცოდნა სურს. ამისათვის აგზავნის თინათინი, რადგან ამის მერე უფრო შეიყვარებს უფალს, მოყვასს.

ახლა გადავხედოთ ისტორიას, როდის შეიძლება მომხდარიყო ტარიელის და ავთანდილის შეხვედრა. ეს თამარის ეპოქა უნდა იყოს, როცა საქართველო — ავთანდილი, ყველა იმპერიული რელიგიის წარმომადგენელთ ძლევდა. შინ კი საქართველოში, ჰარმონიული ცხოვრების წესი სუფევდა. გავიხსენოთ დავით სოსლანი, რომელიც მიდის წმინდა მიწაზე, როცა ქრისტიანებს და მუსულმანებს შორის იერუსალიმისთვის ომი ჩაღდება.

როგორი ძლევამოსილება ჰქონდათ ქართველებს, რომ მხოლოდ მათ შეეძლოთ იერუსალიმში ცხენზე ამხედრებული დროშებით შესვლა და მთელი დასავლეთის რაინდობაც ხომ ქართველ რაინდთა ზეგავლენას განიცდიდა (ვენის უნივერსიტეტის პროფესორი რობერტ ბლაის შტაიმერი). ეს ხომ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია.

ისიც აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში მოღვაწეობდა ორი უდიდესი ღვთის მოსავი პიროვნება, რამბამი — მაიმონიდი და შოთა რუსთაველი. ქართველი და ებრაელი დიდგვაროვანნი ხშირად მიილტვიან წმინდა მიწაზე დასამარხად, მათ შორისაა თამარი და თვითონ რუსთაველიც. თუმცა მათი საფლავები უცნობია. ამგვარად, თამარი უყრის საფუძველს რელიგიათა შორის სიყვარულის დანერგვას სამყაროში, რომელიც ერთნაირად მისაღებია საქართველოსთვის, იბერიელთათვის, ფრიდონისთვის და ტარიელისთვის.

„ქალსა ცრემლი გადმოსცვივდა, ას—ნაკვეთი, ბევრის—ბევრად,
მოახსენა: „მხეცთა თანა იარები მარტო ტევრად,
არას კაცსა არ იახლებ საუბრად და შემაქცევრად;
მას მაგითა ვერას არგებ, დღეთა შენთა ცუდად ლევ რად?

„ყოვლი პირი ქვეყანისა ერთობ სრულად მოგივლია,
ერთი კაცი შემაქცევრად შენად ვითა დაგვლია?
გეახლოს და არ გამშვალდე, თუცა ჭირი არ გალია;
შენ მოჰკვდე და იგი წახდეს, ესე შენთვის რა მადლია?

უბრძანა: „დაო, ეგეა მსგავსი შენისა გულისა,
მაგრა რა არის ქვეყანად წამალი ამა წყლულისა!
ვის ძალ—უც პოვნა კაცისა, თვით სოფლად არ—მოსრულისა?
ჩემი ღხინია სიკვდილი, გაყრა ხორცთა და სულისა.

„ღმერთმან სხვამცა ეტლსა ჩემსა რაცა კაცი სად დაბადა,
სიახლე და საუბარი თუმცა მისი მე მეწადა!
ვინმცა გასძლნა ჭირნი ჩემნი ანუ ვინმცა შეეცადა?
შენგან კიდე ხორციელი, დაო, მივის არასადა".

ტარიელი ცხოველური მიმართულების ხალხთან იარება, მათი კანონების შეცვლას მარტო ცდილობს და უნდა ვინმე ნახოს, ვინც დაეხმარება ამ საქმეში. ბოლო ორი კუპლეტი გვეუბნება, რომ ტარიელმა არ იცის ქვეყანა, სადაც ხალხი ასმათის მსგავსი და ზნეობრივად წმინდაა. იუდაიზმზე დაფუძნდა ახალი რელიგიები, მაგრამ ტარიელმა ვერ ნახა მათში ის სიკეთე. რომ ჭირის აღმოფხვრაში დახმარებოდნენ. აქ ლაპარაკია, რა თქმა უნდა, კაცობრიობის ჭირის აღმოფხვრაზე, მცნებათა დაცვით ცხოვრებაზე, მაგრამ იმდენადაა უზნეობა ფესვგადგმული, რომ სიკვდილი წამალია ადამიანთა ამ ყოფიდან გამოსასვლელად: „ჩემი ლხინია სიკვდილი, გაყრა ხორცთა და სულისა". ამაზე ასმათი უპასუხებს:

„ქალმან ჰკადრა: „არ გამიწყრე, ვიშიშვი და ვიაჯ დია;
რათგან ღმერთსა ვაზირობა შენი ჩემზედ მოუგდია,
ვერ დავემალავ, უკეთესი რაცა საქმე გამიცდია,
არა ვარგა უსაზომო, თავი ზომსა გარდგიხდია".

ყმამან უთხრა: „რას მენუკვე, არა ვიცი, გამიცხადე.
კაცი ჩემად სამსახურად უღმრთოდ მემცა ვით დავბადე!
ღმერთსა ჩემი უბედობა უნდა, მემცა რას ვეცადე!
განაღამცა გავნადირდი, თავი ასრე გავიხადე.

ქალმან კვლა ჰკადრა: „გაგსაჯე მეტითა შეგონებითა,
მაგრა თუ კაცი მოგცვარო, მოგყვეს თავისა ნებითა,
იგი გვახლოს, ილხენდე მისითა შემეცნებითა,
ფიცე, არ მოჰკლა, არ იყო არ–სავნებლისა ვნებითა."

ყმამან უთხრა: „თუ მიჩვენებ, ვნახავ, დიდად გავიხარებ,
სიყვარულმან მისმან, ვისთვის ხელი მინდორს თავსა ვარებ,
არას ვუზამ უგემურსა, არაოდეს გავამწარებ;
რაცა ჩემგან ვამების, ვაამებ და შევიყვარებ".

სამყაროში უზნეო ცხოვრების წესის დამკვიდრების გამო ტარიელს მიაჩნია, რომ ღმერთმა იგი — სწორი ცხოვრების წესი უბედოდ დაჰბადა. მას არ სჯერა, რომ არსებობს ისეთი ქვეყანა, სადაც ღმერთის სიყვარულია. „კაცი ჩემად სამსახურად უღმრთოდ მემცა ვით დავბადე". ანუ ღმერთმა უნდა შექმნას ასეთი სულის გენეტიკის სალხიო. ასმათი ბოლოს ასე აჯერებს: „იგი გვახლოს, ილხენდე მისითა შემეცნებითა" — ანუ ცოდნით, მცნებათა დაცვის დონით, ე.ი. ტარიელს რომ მოეწონება, ისეთი განათლება, ზნეობა აქვს ავთანდილს. ამგვარად, განცდა ახვედრებს ტარიელს იმ რწმენასთან, რომელიც პრაქტიკულად დანერგილია მის ქვეყანაში. სწორი სწორს შეეფერება:

„ქალი ადგა და წავიდა, მის ყმისა მოსაყვანებლად;
„არ ეწყინაო", უამბობს, არს მისად მაგულვანებლად,
ხელი მოჰკიდა, მოჰყვანდა, ვით მთვარე მოსავანებლად;
იგი რა ნახა ტარიელ, თქვა მზისა დასაგვანებლად.

გამოეგება ტარიელ, მართებს ორთავე მზე დარად,
ანუ ცით მთვარე უღრუბლო, შუქთა მოჰფინდეს ქვე ბარად,
რომე მათთანა ალვისა ხეცა ვარგიყო სედ არად,
ჰგვანდეს შვიდთავე მნათობთა; სხვადმცა რისად ვთქვი მე და რად!"

ებრაელთა წიგნში „მიშნა“, რომელიც არის თორის კომენტარები იგავ—არაკის სახით, გადმოგვცემს: მზე არიან რაბები — ბრძენნი, თორის მცოდნენი, მთვარე თალმუდები. ვარდები არიან ფულის შემგროვეელნი ადამიანები, რათა ისინი ამით გაჭირვებულებს დაეხმარონ.

მენორა არის ადამიანი, ვინც თორას ასწავლის ხალხს თავისი ცოდნით, შუქით, ნათლით იზიდავს მათ.

ჩვენ ვიცით, რომ ავთანდილიც დიდ ცოდნას ფლობს ქართული ცხოვრების წესის სახით. მან ტარიელის ძებნისას რა თქმა უნდა, განამტკიცა ძველი და ახალი აღთქმა. ამიტომ არის ორივე მზეს შედარებული. ეს სახელია ებრაელთა უმაღლეს განსწავლულ ქურუმთა. ნაწარმოებში ფრიდონი ვიცით მთვარეს არის შედარებული. მისი რელიგია, მუსლიმანობა მოგვიანებით ინერგება. ამიტომ იგი წარჩინებული მოსწავლის თალმუდის დონეზეა, ოღონდ შემდეგ, როცა ერთიანდება სამი რელიგია, იგი მზე ხდება. სამი მზე, ასე მოიხსენიებს რუსთაველი. ვარდიც ხშირად არის ნაწარმოებში. მაგრამ მთავარი ის არის, რომ პოემის ბოლოს ტარიელი დიდ ქონებას შეიძენს, ასევე ავთანდილიც ვაჭრობის პერიოდში. ამ ფულს ახმარენ ისინი ჰარმონიულ სამყაროს შექმნას, რათა საერთოდ აღარ იყვნენ გაჭირვებულნი. ეს არის მათი მისია, მათი სალაპარაკო ენა.

გავიხსენოთ, მხოლოდ ქართველებსა და ებრაელებს არ აქვთ ანბანში დიდი და პატარა ასოები, სხვებს აქვთ. ეს არის მათი სახე. ისინი ყოველთვის კერპს ეძებენ. მათი სიმღერებიც კერპებითაა გამორჩეულობი. ჩვენთან, როგორც ვიცით, ყველა პირველი კაცია, ყველა ქმედებაში სიმღერისას, ცეკვისას და ა.შ. ყველას თავის წვლილი შეაქვს საერთო ჰარმონიისათვის.

ეს ყველაფერი კი ანბანიდან მოდის, ეს არის ჩვენი სასე, ყველა პირველი კაცი მეფე უნდა იყოს სამყაროში. დაბოლოს ფრაზა „ჰგვანდეს ვიდთავე მნათობთა“ გვეუბნება, რომ მათი სახე არის შვიდი სანთლის მენორის ნათელი, ანუ არიან დიდი მცოდნენი ბიბლიის, ქართული ცხოვრების წესის, ენის მცნებათა, ეს არის მარადიული უსასრულობისაკენ ღმერთის მიერ მოცემული ცოდნა. ამ ცოდნის შუქით იზიდავენ ხალხს. მათი სახე არის შვიდი სანთლის მენორის ნათელი. ისინი არიან განმანათლებელნი, ასეთია სამყაროს მომავალი ორი მესია.

როცა ცოდნით, მნეობით თანასწორნი შეხვდნენ ერთმანეთს, მათ საკუთარი მადლი, შუქი, მეხინის ნათელი გადმოაფრქვიეს. ქართულ ენაზე დაფუძნებული ავთანდილი და ბიბლიის მცნებებზე დაფუძნებული ტარიელი ერთნაირი ცხოვრების წესით შეერთებული ისეთ ჰარმონიას მოუტანს სამყაროს, რომ ბუნების მშვენიერებაც კი არაფერი იქნება მასთან. ეს ჩანს სხვა სტროფებში. შემდეგ, როცა ტარიელი ეკითხება „მითხარი, რად მოსულხარო“, ავთანდილი ჯერ მათ შეხვედრას ახსენებს, მონები რომ დაუხოცა. ამაზე ტარიელი პასუხობს:

„ტარიელსაც აეხსენა, ომი მათი მაშინდელი,
იტყვის: „მახსოვს ეგე საქმე, თუცა არის ადრინდელი,
ერთგან განახენ ნადირობას შენ და შენი მე გამზრდელი;
მით ეტიროდი, მომეგონა მე, გლახ, ჩემი წარმწყმედელი.“

ამ სტროფიდან კიდევ ერთხელ ჩანს, რომ ტარიელმა მოიგონა ის მნეობრივი ცხოვრების წესი, რაც მის ქვეყანაშია, რამაც მოჰგვარა სევდა. შემდეგი სტროფი კარგად ხსნის ყმათა დახოცვის მიზეზს ტარიელის მიერ:

„რას მაქნევდით, რა გინდოდა, ერთმანერთსა რითა ეპგვანდით?
თქვენ მორჭმულნი სთამაშობდით, ჩვენ მტირალნი ლაწვთა ვბანდით.
რა მონანი შესაპყრობლად, მომწიენით, გაპგულვანდით,
აწ ვეჭვ, რომე ჩემად ნაცვლად თანა მკვდართა მიიტანდით.“

„ჩვენ მტირალნი ლაწვთა ვბანდით“ გვარწმუნებს ჩვენი მსჯელობის სისწორეში. ანუ გამარჯვებული ქართველნი ილხენდნენ, ხოლო ებრაელობამ საქართველოში მადლი შემოიტანეს, რამაც დააჩქარა ეს გამარჯვება და ისინი იმხელა ცოდნას ფლობენ, ომშიც თავიანთ სიბრძნეს და ძალას აჩვენებენ:

„მოვიხედენ, მომეწია, რა პატრონი შენი, ვნახე,
ხელმწიფობით შემებრალნეს, ამად ხელი არ შევახე,

თვალთა წინა გამოვექეც, მეტი არა შევუბრახე.
ჩემი ცხენი უჩინოსა ჰგავს და სხვასმცა რას ევსახე"!

ტარიელმა იცოდა, რომ საქართველოში ხელმწიფე უფლის მიერ იყო ხელდასმული და ამიტომაც გაეცალა, არ გაეკარა მას, ისევე, როგორც მის იბერიულ მოდგმას, რომელიაც ვერ შეიცნეს იგი.

მთლიანობაში კი აქ ისტორიული მომენტია მოცემული. ჩამოსული ებრაელობა — იბერიული მოდგმა ქართველებივით ამაყი ხალხია. ისინი სიბრალულს კი არა, თანადგომას იმსახურებენ, რამეთუ ეწირებიან ღვთიურ საქმეს. იმ საქმეს, რამაც ხალხები უნდა გადაარჩინოს უმწეობათა გამო საშინელ დასჯას. ამიტომაც დიდი ნაწილი ებრაელებისა წავიდა — თავის დროზე კავკასიიდან — საქართველოდან, რათა შეესრულებინათ თავიანთი მისია, დაენერგათ მონოთეიზმი და დაეჩქარებინათ მესიის გამოვლინება. მისი ცხენი რომ უჩინოს ჰგავს — აქ ისიც უნდა ვიგულისხმოთ, რომ ებრაელები ჩინმედლებისთვის და კარგი ცხოვრებისკენ, გაკერპებისკენ არ ისწრაფვიან. კომუნისტების ეპოქაშიც, როცა ყველა კარიერისკენ, კომუნისტებისკენ მიილტვოდა, ისინი სინაგოგისკენ მიიჩქაროდნენ სალ–ოც–ავად, ანუ იღვწოდნენ ოცი მიმართულების დასანერგად. ამიტომ ღმერთი ეწევათ და სიკეთის კეთების დროსაც კი არ ჩანან. შემდეგ ტარიელი შეაქებს ავთანდილს:

„აწ ვაშად მოსვე, მევმა ნახვა შენისა პირისა!
ტანად სარო და პირად მზე, მამაცად მსგავსი გმირისა,
მაგრა გარჯილხარ, არა ხარ გარდაუხდელი ჭირისა.
ძნელია პოვნა კაცისა ღმრთივე მეცით განაწირისა!"

ამ შექებას ქართული ცხოვრების წესის, ქრისტიანობის დანერგვის საქმეში, ავთანდილის ღვაწლი იმსახურებს. ამავე დროს, ის რაინდული სული, რაც ჰქონდათ ქართველებს, რაც პირველი ორი სტრიქონიდან ჩანს. შემდეგი ორი სტრიქონი კი განწირული კაცისთვის საქველმოქმედო გარჯას უქებს. ეს გარჯა ხომ არ ჩამოირჩება ტარიელის — ებრაელთა გარჯას, ცოდნის დანერგვის, კაცობრიობის გადარჩენის საქმეში. ტარიელი ავთანდილშიც თავის თავს ხედავს, იცის, რომ ღმერთისგან მრავალ ჭირგამოვლილია. ამავე დროს, მან ნახა კაცი მისებრ ღმერთით განაწირი, ანუ როგორც ბიბლიის მიმღები ერი, ასევე პირველადი ენის მფლობელი ერი, განიცდის უდიდეს მეწოლას ბოროტებისგან. ამაზე ავთანდილი უპასუხებს:

„ავთანდილ უთხრა: „ვით მაქებ საქები ბრძენთა ენისა?
მაგისად ნაცვლად რამც გიყავ ღირსი ქებისა თქვენისა!
სახე ხარ მზისა ერთისა, მეცით მნათისა ზენისა,
რათგან ვერ შეგცვლის პატივი ეგზომთა ცრემლთა დენისა

ამა დღემან დამავიწყა, გული ჩემი ვინ დაბინდა;
დამივლია სამსახური მისი, იქმნას, რაცა გინდა;
იაგუნდი ეგრეცა სჯობს, ათასჯერმცა მინა მინდა,
შენ გეახლო სიკვდილამდის, ამის მეტი არა მინდა!"

პირველ სტროფში ყველა სტრიქონი ენით მთავრდება. ბრძენთა ენა კი მათი პირველადი ენაა. აქ ჩანს, რომ იგი — ტარიელში, მის მისწრაფებაში ხედავს ღმერთის საქმის აღმსრულებელს და ამ საქმისთვის თავი აქვს გადადებული.

ამიტომაც სიკვდილამდის მას ერთგულებას ეფიცება. ღმერთის საქმის აღსრულება ჩანს სიტყვებში „სახე ხარ მზისა ერთისა". იოანე პეტრიწის მიხედვით, „ერთი მზე" იგივე ღმერთია, ანუ იგი განასახიერებს ღმერთის მისწრაფებას დედამიწაზე (ზ. გამსახურდია). ამ აზრს ადასტურებს სტრიქონის გაგრძელებაც: „მეცით მნათისა ზენისა", ანუ სულიერი ციდან ასხივოსნებს მენაარი. და ეს გასხივოსნება მაშინ მოხდება სამყაროსთვის, თუ ტარიელი აღასრულებს მის დანიშნულებას. დანიშნულებას მესიის, მეორედ დაიბადოს დაიბრუნოს შესინა და შექმნას ჰარმონიული სამყარო. ამიტომ ეწოდება ხშირად ტარიელს — პოემაში „სამყაროს მზე". ავთანდილის მისიაც სამყაროს ხსნაა. მას — ქართული ცხოვრების წესს, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, ამიტომ იგი სიკვდილამდე ერთგული რჩება ტარიელისა. იაგუნდში აქ ღვთის სიყვარ-

ულია ნაგულისხმევი (ზ. გამსახურდია, იქვე, გვ. 285). ამგვარად, ტარიელის — ბიბლიის მიმღები ერის სიბრძნე — სახეა შემოქმედებისა.
ამაზე უარობს ტარიელი:

„ტარიელ უთხრა: „მე შენი გული აწ მემხურვალების;
მიკვირს, თუ ნაცვლად მაგისად შენ ჩემი რა გეეალების!
მაგრა წესია, მიჯნური მიჯნურსა შეებრალების,
შენ საყვარელსა გაგყარო, ესე რათ გენაცვალების!"

„მიჯნური მიჯნურსა შეებრალების". აქ ლაპარაკია, რომ მხოლოდ მათ იბერებს ერთნაირი ღვთაება, ზეციური მდედრობითი არსი ჰყავთ მიჯნური. განსხვავება ისაა, რომ ავთანდილი, ქართული ცხოვრების წესი, თუნდაც რომ აღარ იყოს საქართველოში, იქ ენა იმეფებს და მდედრობითი არსის მიჯნურობას სულიერ მზეს საქართველო — ავთანდილი არ დაკარგავს. ტარიელმა კი უნდა აღადგინოს ბიბლიის მცნებანი. მას მეტად რთული მისია აკისრია. ავთანდილი რომ შეეშველოს მას, უნდა დატოვოს საქართველო. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, საშიშროება ელოდება ქართული ცხოვრების წესს. ტარიელს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ სურს ეს, რაც ჩანს მეოთხე სტრიქონში:

„ასმათ უთხრა: „ლომო, ცრემლით მაგა ცეცხლსა რა ერგების!
მე ვითა ვთქვა წვევა თქმისა, რათგან ეგრე არ ეგების!
ეხედავ, ესე ხელი ვინმე მოყმე შენთვის წაეგების,
.ცნას მიზეზი შენთა წყლულთა, ქმნას, რა ღონე აეგების."

აქაც ისევ ქალი აყენებს სწორ გზაზე ტარიელს.
ასმათი თავის საუბარს ასრულებს იმით, რომ ღმერთის ნებით არის იგი შენს მოსახმარებლად მოსულიო და იმაზე უკეთესი, რაც განგებას სურს, არ არსებობს. „არს უკეთესი, რაცაღა სწადს განგებასა ზენასა". ზენაარით დრო დადგა ორი ძმის ერთობის. ამიტომ საჭიროა ავთანდილმა ცნოს შენი დამწუხრების მიზეზი ანუ რაც უკვე აღვნიშნეთ, იგი უფრო სრულყოფილად უნდა დაეუფლოს ბიბლიას, მის კომენტარებს, გასდეს ტარიელის დინის ამ ცოდნით. ავთანდილი თავისას გადაცემს, მას ხომ სწორი რჩევა და მოქმედებაც შეუძლია. ბოლოს ტარიელი გადასცემს ამ ცოდნას იმით, რომ იწყებს თავისი ამბის თხრობას:

## 2.3. ტარიელის ანუ ისრაელი ხალხის ისტორია მათი ჩამოყალიბებიდან XII საუკუნემდე

„ყმასა უთხრა: „ეინცა კაცმან ძმა იძმოს, თუ დაცა იდოს,
ხამს, თუ მისთვის სიკვდილსა და ჭირსა თავი არ დარიდოს;
ღმერთმან ერთი ვით აცხოვნის, თუ მეორე არ წაწყმიდოს!
შენ ისმენდი, მე გიამბობ, რაცა გინდა წამეკიდოს“.

ასმათს უთხრა: „მოდი, მოჯე, თანა წყალი მოიტანე,
დაბნედილსა მაპკურებდი, გული მითა გარდამბანე;
მკედარი მნახო, დამიტირე, სულთქმა გაათანისთანე,
მე სამარე გამითხარე, აქა მიწა მიაკვანე“.

დილ–ჩახსნილი საამბობლად დაჯდა, მხარნი ამოყარნა;
ვითა მზე ჯდა მოღრუბლებით, დიდხან შუქნი არ ადარნა;
ვერ გაასვენა სასაუბროდ მან ბაგენი, გაამყარნა,
მერმე სულთქნა, დაიზახნა, ცრემლნი ცხელნი გარდმოყარნა.

მოსთქვამს: „პაი, საყვარელო, ჩემო, ჩემთვის დაკარგულო,
იმედო და სიცოცხლეო, გონებაო, სულო, გულო,
ვინ მოგკვეთა, არა ვიცი, ხეო, ედემს დანერგულო!
ცეცხლმან ცხელმან ვით ვერ დაგწვა, გულო, ასჯერ დადაგულო?!“

ნათლად ჩანს, რომ აქ არის ლაპარაკი არა გულის საგრძნობზე, არამედ იმ ცხოვრების წესზე, რომელიც ბიბლიის მცნებათა დაცვის საწინდარია და რის გამოც იყო დავანებული ისრაელის მიწაზე ტარიელის, ანუ ბიბლიის ცხოვრების წესის მიჯნური მღვდრობითი არსი – მეხინა. ვინ მოგკვეთაო, ხეო, ანუ სწორი იბერიული ცხოვრების წესო (მიწათმოქმედება), არ ვიციო. ამგვარად აქაც ჩანს რომ მიწათმოქმედება იბერიული საწინდარია სამოთხე ქვეყნის და მეხინის დავანების. ამიტომ გადმოყარა ცრემლნი ცხელნი და შემდგომაც თხრობის დროს ტარიელი მრავალჯერ გახდება ცუდად.

საქმე ისაა, რომ ებრაელები ყოველთვის გულით ლოცულობენ და გულით მისტირიან ისრაელის სახელმწიფოს, იმ ცხოვრების წესს, როცა მცნებებს იცავდნენ. გაეიხსენოთ, როგორ გაკვირდა ნაპოლეონი, როცა ნახა, როგორ გლოვობდნენ ებრაელები 1800 წლის წინანდელ ამბავს – მეორე ტაძრის დანგრევას. ისინი ამ დღეს თავიანთ მიცვალებულებთანაც – წინაპრებთან მიდიან რომ გლოვა საყოველთაო იყოს. ასე გულით გულისწასელამდეც კი იხსენიებენ ებრაელები სხვა დღეებსაც.

### ისრაელის სახელმწიფოს წყობა

გავყვეთ რუსთაველის მონაყოლს. ვნახოთ ემთხვევა თუ არა ტარიელის მონაყოლი ისრაელის ისტორიას, საქართველოს ისტორიას, ანუ ისტორიას ერისას, ენაში ჩადებულ სიბრძნეს რომ იცავს. როგორია იბერიულია თუ არა მათი სახელმწიფოებრივი წყობა. ტარიელიც ავთანდილივით ამირსპასალარის შვილია.

ამავე დროს, ისრაელის მეფის, ანუ მეფე ფარსადანის დახასიათება ძალიან წააგავს ქართველთა მეფე როსტევანის დახასიათებას.

„ინდოეთს შვიდთა მეფეთა ყოველი კაცი ხართ მცნობელი;
ექვსი სამეფო ფარსადანს ჰქონდა, თვით იყო მპყრობელი,
უხვი, მდიდარი, უკადრი, მეფეთა ზედა მულობელი,
ტანად ლომი და პირად მზე, ომად მძლე, რაზმთა მწყობელი.“

აქ ისმის კითხვა — ჩვენ ვიცით, რომ ისრაელის სახელმწიფო თორმეტ ნაწილად იყო დაყოფილი და თორმეტი მტო—გვარი მართავდა მას, ისევე, როგორც საქართველოში. რატომაა ნაწარმოებში შვიდი სამეფო? ჩვენ წინა თავში აღვნიშნეთ, რომ არ იყო საჭირო ბოროტებას ეცნო საქართველო. თუ ისრაელს სწორად აღწერდით საქართველოც გამოიცნობოდა, ამავე დროს კიდევ უფრო დაირაზმებოდა ისრაელის წინააღმდეგაც. ისედაც ვიცით, როგორ იდევნებოდნენ ისინი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო, მისი, როგორც სამეფოს არსებობის ბოლო წლებში, შვიდ სამთავროდ იყო დაყოფილი. „ვეფხისტყაოსანში" საქართველოს მაგიერ არაბეთია მოხსენიებული და როსტევანი მის მეფედ. ისტორიულად საქართველოს მეფე, არა მარტო შვიდი რეგიონის, არამედ მთელი იბერიული მოდგმის მეფე იყო კავკასიაში. ეს იყო ერთი ზნის ხალხი განსხვავებით ისრაელისგან და ამიტომაც იყო სიკეთე უძლეველი კავკასიაში.

როგორც აღვნიშნეთ, ნაწარმოებში ისრაელის მეფეთა ცხოვრების წესი ფარსადანშია განზოგადებული, ხოლო ტარიელში განზოგადებულია საერთოდ ბიბლიის პრინციპებზე დაყრდნობილი მცხოვრებ ისრაელთა უმწიკვლო სწორი ცხოვრების წესი, მისი მთელი ისტორია. როდესაც ისრაელში არის გადახრა ამ მცნებებიდან, მეფეთა მიერ იტანჯება — ტარიელი — ისრაელი ხალხი — სწორი ცხოვრების წესი. ამიტომაც ამბის მოყოლის დროს ტარიელს რამდენჯერმე შეუწუხდება გული. ამგვარად, არცთუ იოლია ცოდნის გადაცემა.

ბიბლიიდან ჩვენ ვიცით, რომ ისრაელის მეფენი მისი არსებობის დასაწყისში და ბოლოში სხვადასხვა ტომის შთამომავალნი იყვნენ. მხოლოდ შუა პერიოდში იყვნენ იუდას შთამომავალნი. ისიც ცნობილია, რომ ამ ტომს შთამომავალი მოევლინება ქვეყანას როგორც მესია. მაშინ, როცა ისრაელი ხალხი დაიცავს მცნებებს. ამიტომ რუსთაველს ნაწარმოებში, როგორც აღვნიშნეთ, ტარიელის სახით გამოყვანილი ჰყავს მცნებათა დამცველი ებრაელ ხალხთა სული — სულიერი ლიდერი ყველა დროში, რომელიც მესიის ეპოქაში მოგვევლინება როგორც მეფე მესია. ამიტომაც ვგულისხმობთ ტარიელში მცნებათა დამცველ ისრაელ ხალხს, და ამიტომაც ტარიელს — სწორი ცხოვრების წესს — მომავალ მესიას, იუდას, დავითის შთამომავალს ისრაელის სახელმწიფოს არსებობის პერიოდში არ უწევს მეფობა (ისევე, როგორც ავთანდილს საქართველოში).

მართლაც, არასდროს ყოფილა ისრაელში სრულად დაცული ბიბლიური ცხოვრების წესი, თორემ ტარიელი — მესია იმეფებდა ქვეყანაზე. ამას, რა თქმა უნდა, უშლიდა გარე სამყაროს არაზნეობრივი ცხოვრების წესი, იქიდან შემოსული უზნეობანი, თორემ მოსეს და დავითს შეეძლოთ ეს.*

ტარიელის მამა სარიდანი იუდეას მეფე უნდა იყოს, ანუ იმ ქვეყნის, სადაც იცავდნენ მცნებებს და ტაძარიც იქ აშენდა. ამავე დროს, იუდეა ის მეშვიდე სახელმწიფოა, საიდანაც მესია უნდა მოევლინოს ქვეყნიერებას. ჩვენ ვიცით, რომ, როცა ისრაელის სახელმწიფო დაიშალა, იუდეამ განაგრძო არსებობა.

ამიტომაც ტარიელის მამა, ფარსადანისაგან განსხვავებით, რაკიღა იცავდა მცნებებს, სულ გამარჯვებული იყო, შედეგად ის არა მარტო კარგი მეომარი, კარგი მონადირეცაა:

„მამა—ჩემი ჯდა მეშვიდე, მეფე მებრძოლთა მზარავი,
სარიდან ერქვა სახელად, მტერთა სრვად დაუზარავი;
ვერვინ ჰკადრებდის წყენასა, ვერ ცხადი, ვერცა მპარავი;
ნადირობდის და იშვებდის საწუთრო—გაუმწარავი".

სარიდანი მცნებების დაცვის მაგალითი იყო. ამიტომ იყო იგი ისრაელის ჯარების სარდალი. მცნებების სრულყოფილი დაცვა ძლევამოსილების საწინდარი იყო. შემდეგ ნაჩვენებია, თუ რაოდენ აღემატება სარიდანი, ანუ იუდეიას იმდროინდელი მეფე თავისი დანიშნულებით

*სხვათა შორის, არც ერთს ააგებინა უფალმა ტაძარი ისრაელში. ისმის კითხვა: რატომ? ამას კარგად ხსნის მოსეს მაგალითი, როცა იგი შესთხოვს შემოყვანე ერეც ისრაელშიო. უფალი ეუბნება: შენ რომ ტაძარს ააგებ, იქ ისეთი სიწმინდე დაიბუდებს, რომ მის შებილწვას, ალბათ, არ ვაპატიებ ისრაელ ერს და ამოვხოცავო. მოსე უპასუხებს: თუნდაც ერთი ისრაელის სიცოცხლე უფრო მეტია, ვიდრე ათასი მოსესიო.

უფალმა იცოდა რომ კიდევ გაუჭირდება ისრაელს და ისევ ვეფხვად უნდა იქცეს რომ დაიბრუნოს მეფობა — ღომობა.

ისრაელისას. ეს დანიშნულება კი ძირითადად იმით განისაზღვრება, რომ სწორედ იუდეას მთამომავალი უნდა იყოს მესია.

„ერთი სამეფო საკარგმყო, უბოძა ამირბარობა,
თვით ამირბარსა ინდოეთს აქვს ამირ–სპასალარობა.
მეფედ რა დაჯდა, არა სჭირს ხელისა მიუმწვდარობა;
სხვად პატრონია, მართ ოდენ, არა აქვს კეისარობა."

## მცნების დაცვაა პატრონი იბერთა – ისრაელის – საქართველოსი

ე.ი. თორის – ბიბლიის მცნებების დაცვაა ისრაელის მეფე. პატრონი ბრეობისა. რაც ნათლად ჩანს სტრიქონში „სხვად პატრონია მართ ოდენ არა აქვს კეისარობა". კეისრობა ხომ მეფობაზე მეტს ნიშნავს. კეისარი სამეფოთა მეფედ, სამყაროს მეფედ უნდა აღვიქვათ. მართლაც, ბიბლია ღმერთმა მოგვცა იმიტომ, რომ მისი მცნებანი სამყაროს განაგებდნენ, მაგრამ ხალხმა ეს ჯერ ვერ შეიგნო და ამიტომ არა აქვს კეისრობა სარიდანს:

„თვით მეფემან მამა–ჩემი დაიჭირა სწორად თავსა,
თქვა: „ჩემებრი ამირბარი, ნაძლევი ვარ, ესმცა ჰყავსა!"
ლაშქრობდის და ნადირობდის, აძლევდიან მტერნი ზავსა.
მას არა ეპვაე ასრე ვითა, მე სხვა კაცი არა მგავსა."

პირველი სტრიქონი გვამცნობს, რომ მეფენი გარეგნულად მაინც ცდილობდნენ, რათა მცნებების სრული დაცვით ემართათ სახელმწიფო. ამიტომ ამირბარი ისრაელთა მტერს ყოველთვის ძლევდა, ისევე, როგორც ყველა კაცი, ვინც იცავდა მცნებებს. ამიტომ იყო საქართველოში ავთანდილი – სწორი ცხოვრების წესი – ბიბლიაზე, ენაზე დაფუძნებული და ისრაელში – სარიდანის შემდეგ – ტარიელი, ბიბლიის ენის მცნებებზე დაფუძნებული სწორი ცხოვრების წესი, ჯარის სარდალი. ამიტომ ძლევდა ყველას ისრაელი – სარიდანი, რაც მესამე სტრიქონში ჩანს.

ჩვენ ვიცით, ნადირობა იმას აღნიშნავს, რომ ძლევა ძირითადად ცოდნის დანერგვით ხდებოდა. ისრაელის ცხოვრების წესის მეფობას განსაზღვრავდა ბიბლია, თორა და არა მეფე ისრაელთა. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ისრაელთა ხალხი არის მეფე, რომელიც ქორწინდება თორაზე, ანუ ღალატი ისრაელისა, ეს იგივეა, რაც ოჯახში ქმრის ღალატი. ასეთი ოჯახი კი არაა მტკიცე, იგი იშლება. ამიტომ ისრაელის სახელმწიფოს სიმტკიცეს განაპირობებს ბიბლია, რა თქმა უნდა, პირველად ენასთან ან მის განმტოებასთან ერთად. ამ შემთხვევაში, ისრაელის ხალხის შემდეგ მეფეს წარმოადგენს ტარიელი.

იგივე პარალელის გავლება შეიძლება ავთანდილს – ქართული ცხოვრების წესს, ანუ ქართველ ხალხსა და ენას შორის. ენა ჩვენი გენეტიკაა და ამიტომაც ქართველები ენას არასდროს ღალატობენ. ამიტომ ავთანდილი არ იტანჯება. მას ბნედები არ მოსდის. ისრაელის მეფენი ხშირად არ იცავდნენ მცნებებს და იტანჯება ტარიელი.

ავთანდილს კი ტანჯავს ტარიელის ტანჯვა. რატომ? იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში იმ მცნების ღალატია, რაც ავთანდილის მისწრაფებაა, რათა სამყაროში დაისადგუროს ჰარმონიამ და ამიტომაც ეს მისი ტანჯვაც არის.

გავიხსენოთ მესამე თვისება – კეთილი საქმეები. ეს რომ აკეთო მოყვასის ტანჯვა შენი ტანჯვა უნდა იყოს. აი, ამიტომაა, რომ ნაწარმოებშიც და რეალურად – ტარიელის ცხოვრების წესის აღდგენისათვის იბრძოდა ავთანდილი, ქართველი ხალხი.

დაიცავდა ისრაელის მეფე ამ წესს, სწორად წარიმართებოდა სახელმწიფო, შემდეგ სამყარო, თუ არადა – დაისჯებოდა. რაც ჩანს შემდეგ სტროფებში. ისრაელში რაკიღა იყო სარიდანი – ტარიელი, იყო თორა მეუღლე, ამიტომ მფარველობდა – შეხინა, ზეციური მღდლობითი არსი, ისევე, როგორც საქართველოს:

„ძე არ ესვა მეფესა და დედოფალსა მზისა დარსა,
ჭმუნვა ჰქონდა, ჟამი იყო, მით აეხვნეს სპანი ზარსა.

ეა, კრულია დღემცა იგი, მე მიეეცი ამირბარსა!
მეფემან თქვა: „შეილად გაეზრდი, თეით ჩემიეე გვარი არსა“.

ისრაელის ხალხი ხშირად უხვევდა რჯულის პრინციპებიდან, რისი ძირითადი მიზეზი ზოგიერთი ხელმძღვანელი — მეფე იყო. ამიტომ ამ პერიოდში „ძე არ ესვა მეფესა და დედოფალსა“, ისრაელის ხალხს არ ჰყავდა მემკვიდრე — ძე, რომელიც დაიცავდა მცნებებს. ამიტომ მეფეს – ხალხს და დედოფალს — თორას „ჭმუნვა ჰქონდათ“, შედეგად „მით აეხვნეს სპანი დარსა“ — დარი, ჰარმონია არ იყო, ანუ აღარ იყო სიმტკიცე. ამიტომაც თითქმის ნანობს კონკრეტული პერიოდის მეფე მესამე სტრიქონში, თავის იბერიელობას რომ უნდა დაიცვას თორის — მზეობის, ამირბარის მცნებანი.*

„მეფემან და დედოფალმან, მიმიყვანნეს შეილად მათად,
საპატრონოდ მზრდიდეს სრულთა ლაშქართა და ქვეყანათად,
ბრძენთა მიმცეს სასწავლელად ხელმწიფეთა ქცევა–ქმნათად;
მოეიწიფე, დაეემსგავსე მზესა თვალად, ლომსა ნაკვთად.“

ამგვარად, მტკიცდებოდა ბიბლიის მცნებებზე დაყრდნობილი ცხოვრების წესი. ისრაელის ხალხი სწავლობდა და იცავდა ბიბლიას, განსაკუთრებით დავითის ეპოქაში. ბიბლია იყო ქვეყნის ლაშქრის პატრონი. მესამე სტრიქონი გვეუბნება, რომ ბრძენი ხალხი, რომელთაც იქორწინეს ბიბლიასთან, ასწავლიდნენ ხელმწიფეებს მცნებათა დაცვით ქცევას. ამას მაშინ აკეთებდნენ წინასწარმეტყველნი, ამიტომ მტკიცდებოდა ტარიელი მზისა და ლომის სადარი.

ამგვარად, ტარიელმა ჯერ აღწერა მისი, მამამისის, ისრაელი ხალხის დანიშნულება, მეფეთა ქმედებები.

## აბრამიდან — მოსემდე, როგორ შეიქმნა წიგნის ხალხი

შემდეგ ნაწარმოებში მოყვანილია ისრაელის ისტორია. იგი იწყება, როცა ისრაელის ხალხმა, ფარსადანმა უდაბნოში მიიღო ათი მცნება, მათ ამით დიდად ასიამოვნეს უფალს. მაგრამ ებრაელებს მაშინ არ ჰქონდათ სახელმწიფო. მთავარი ისაა, რომ ისრაელის ხალხი მზად იყო ამისათვის და მოხდა ქორწილი მასსა და თორას შორის. სულიერი შვილი ამ ქორწინებისა უნდა იყოს მესია.

სამყაროს შექმნის მთავარი მიზანი იყო ადამიანსა და უფალს შორის შეხვედრის დასადგურება, რაც მოხდება მაშინ, როცა დამყარდება სრულყოფილება, ანუ ადამიანიც თავის განსაზღვრულ მისიას შეასრულებს და აღარ ექნება ის სულიერი სიცარიელე, რაც ადამს და ევას მოუვიდათ. მართალია, ამას დრო უნდა, მაგრამ დასაწყისი — ქორწილი უკვე შედგა, ებრაელთა წიგნი გემარა ასე ხსნის ამ მომენტს: „ამ დღეს გაიხარა უფალმა, კურთხეულ არს იგი, როგორც ცისა და დედამიწის შექმნის დღეს (მასეხეთ მეგილა, გვ. 10).

ჩვენ გავიმეორებთ, რომ ჯერ ასზანის სიბრძნით შევიდა ნოე კიდობანში. აქედანაა მისი დასახელება. ნოე და მასთან მყოფნი წყლის მეშვეობით გათიშულნი სდებიან უზნეო სამყაროდან. შემდეგ ენის, 10 მცნების, სიტყვის საფუძველზე აყალიბებს მიწათმოქმედების წესს. უკვ–თვისი სიტყვა იმასაც მიგვანიშნებს, რომ თესავენ უკეთესად. მიწას, როგორც დედას ისე ეპყრობიან და ენიჭებათ სახელი მამულის — შვილი, ანუ მიწის შვილი. მარტო ქართველი ეძახის დღეს ქართველთ: „მამულიშვილნო!“

იგივე ხდება ებრაელთა მიმართებაშიც. ისინი ეთიშებიან უზნეობას უდაბნოს მეშვეობით. შემდეგ თორის მიღებისას ხდება მათი სულიერი განწმენდა. ფიზიკური ნაკლიც, ვისაც ჰქონდა და დაავადებებიც, ყველა განიკურნა. არ მიწათმოქმედებენ, ცხოვრობენ უდაბნოში იმიტომ რომ ბევრი დრო ჰქონოდათ თორის სასწავლად, რათა აღიდგინონ წინაპრების ნოეს, შემის, იაფეტის, აბრაამის გენეტიკა. ნოემ იცის ბიბლია, ის პირველადი ენით მიეცა უფლის მიერ მას მაგრამ არა ისე სრულყოფილად როგორც მოსეს. და გადადიოდა შთამომავლებს შორის ცოლ-

---

*ჩვენ ვიცით, რომ მხოლოდ ებრაელებმა მისცეს თანხმობა უფალს მიეღოთ თორა და როცა ისინი არ იცავდნენ მცნებებს, ჯერ ისრაელში და შემდეგ სხვადასხვა ქვეყანაში, ამისათვის სამართლიანად იტანჯებოდნენ. საქართველოში ამიტომაც არ იდევნებოდნენ ისინი, რომ დღენიადაგ იცავდნენ ბიბლიის მცნებებს, რადგან აქ ხალხიც აქეთკენ იყო მემართული.

ნა ენით. როგორც აღვწერეთ, სიტყვებში გვქონდა მცნებანი. მან იცის სწორი კვებაც. რა ჭამოს რომ არ დაიმძიმოს სული და ცხოველურმა არ დაიხუდოს. ლოცულობს ღღესიადაგ, აკეთებს კეთილ საქმეებს და აქვს სულთა ლხენა.

ასევე იყო მოსეც. მისი წინამძღოლობით ებრაელნი ცხოვრობენ მხოლოდ თორის კანონებით. თორის კანონებით კი ჯერ ათი მცნება უნდა დაიცვა, ანუ უდაბნოში სულიერად უნდა აღდგეს გაყოფითი და არა მიმტაცებლური გენეტიკა იბერიელთა, რათა 40 წლის მერე აღადგინონ წინაპართა ცხოვრების წესი — მიწათმოქმედება, ამ სიტყვის დაცვა.

ამგვარად, სახელმწიფო იბერიელთა მიერ იქმნება თორის გეგმით — პირველადი ენის საფუძველზე, შემდეგ კი დაწერილი და ზეპირი თორის საფუძველზე — ქანაანში. მთავარია, რომ ამ განმარტოებაში უზნეობა არ იჭრება და ისადგურებს შეხინა. ანუ უდაბნოში ისინი აღარ ებრძოდნენ ბნელ ძალებს. აქეთ სულიერი მზე ნათელი და იწყეს ლომის ფუნქციის შესრულება თორის კანონებით მოსდა პირველი დაბადება. თუმცა არ აქვთ მიწათმოქმედის ცხოვრების წესი რაც მერე ექნებათ ქანაანზე, მაგრამ აქვთ ბიბლია და მის საშუალებით ამკვიდრებენ მნეობრივ წესს. და ებრაელთაც მიენიჭათ სახელი — წიგნის ხალხი. სხვა ერს არავითარი სახელი გააჩნია. იგი განუვებითი ენიჭება ყველას. აღვნიშნეთ, რომ არც ერთი კიდობანი დღეს არ ჩანს.

კიდობანი — მაშქანი დამარხულია საყდრის, ანუ ბეით-ჰამიკდაშის ქვეშ. ამას თორის განმმარტებელნი შემდეგნაირად ხსნიან: „ის სიდიადე, რაც მამქანს ჰქონდა, რითაც უკვდავყოფა მოიპოვა და არც მტრების ხელში ჩავარდა, გამოწვეული იყო იმით, რომ მასში ინახებოდა აღთქმის დაფები, მეორეც, მის აგებას ხელმძღვანელობდა მოშე რაბინუ. მესამეც, ლევიების მუშაობას დიდმოძღვარი აჰარონის ვაჟი ითამარი ედგა სათავეში. მეოთხე, მშენებლობის უფროსი იყო ბეცაალელი, ძე ურისა ძისა ხურისა, იუდას შტოდან, ე.ი. უფროსობა მოშეს მერე იუდას შტოს ჰქონდა.

კიდობანი ააგო ისეთმა სალხმა, რომ შეიქმნა ტაძარი იგი ზეციური, სიწმინდის დარი და დაისადგურა იქ შეხინამ, რადგან აქ დავანდა წმიდათაწმიდა თორა, რომლის სწავლება ადამიანის სხეულსაც აქცევს მცირე წმინდა კიდობნად, სადაც ზეციური ნათელი შეხინა დაისადგურებს. ადამიანის ხელს არ შესწევდა ძალა მასზე გაბატონებულიყო. ეს არის მიზეზი, რომ იგი არასოდეს არ აოხრებულა. ისრაელის ერი ამ დროს უწმინდესი იყო. იგი შემდეგაც მტკიცდებოდა. ამაზე მოგვითხრობს შემდეგი სტროფი „ვეფხისტყაოსნისა":

„ასმათ, შენცა ხარ მოწამე ჩემისა ფერ–მიხდილისა,
მზესა მე ვსჯობდი შვენებით, ვით ბინდსა ჟამი დილისა;
იტყოდეს ჩემნი მნახავნი: „მსგავსია ედემს ზრდილისა".
აწ მამინდლისა ჩემისა, სახე ვარ ოდენ ჩრდილისა."

ბოლო სტრიქონი გვეუბნება, რომ ახლანდელი ტარიელი ებრაელთა ცხოვრების წესი, ჩრდილია იმ წესთან შედარებით, რომელიც მაშინ იყო. ამ პერიოდის თარიღიც არის დაზუსტებული:

„მე ხუთისა წლისა ვიყავ, დაორსულდა დედოფალი".
ესე რა თქვა, ყმამან სულთქვნა, ცრემლით ბრძანა: „შობა ქალი"
დაბნედასა მიუწურა, ასმათ ასსა გულსა წყალი;
თქვა: „მაშინვე მზესა ჰგვანდა, აწ მედების ვისგან ალი!"

ე.ი. გაკეთდა კიდობანი. მოსემ, სანამ ქანაანში შეიყვანდა ებრაელებს, ორმოცი წელი სულიერად მოამზადა ერი მიწათმოქმედებისთვის, ანუ ისინი იცავდნენ ათ მცნებას, შემდეგ განუმარტა წინაპრების იბერიული ცხოვრების წესი — მიწათმოქმედება, ანუ უფლის მიერ ნაბოძები კონსტიტუციის, ბიბლიის საფუძველი, და შეხინამ დაისადგურა ისრაელის გულში, ანუ მაშქანის აგებისას იშვა ქალი.

ამგვარად, დაახლოებით ხუთი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ყალიბდებოდა ისრაელის ერის ცხოვრების წესი — ტარიელი, ანუ აბრაამმა დაიბრუნა წინაპრების იბერიელთა მიმართულება მოხოთეიზმი და ეწოდა მას იბ–ერ, ებ–ერ, ყივ–ერ (ი. დავითი). ანუ აბრაამში აღდგა მამაპაპური ტრადიციაც — გაცემის — სიკეთის — სიყვარულის. მას შემდეგ ხუთი საუკუნე

გაეიდა, აშენდა უდაბნოში კიდობანი. ამის მერე, ეიცით, რომ ებრაელები შემოდიან აღთქმულ მიწაზე, სადაც სიწმინდემ — შეხინამ დაისადგურა.

## შეიდი საუკუნე ისრაელის — იბერთა უძლეველობისა

შემდეგ მყარდება კიდეე სწორი ცხოერების წესი და ეს პერიოდია აღწერილი წინა სტროფებში. იყო ამ პერიოდში მცნებებიდან ოდნავ გადახეეეა, საულის მეფობის ხანაში, მაგრამ ეს იმიტომ ხდება, რომ შემდგომ და შემდგომ უფრო მტკიცედ დაეცეათ მცნებანი. ისინი ნათელით არიან გაცისკროენებულნი, რადგან იცაეენ მცნებებს. ასე გრძელდება დაახლოებით 7 საუკუნე. ტარიელი ხდება უძლეველი.

„მას ქალსა ნესტან—დარეჯან იყო სახელად ხმობილი,
შეიდისა წლისა შეიქმნა ქალი წყნარი და ცნობილი,
მთეარისა მსგაესი, შეენებით მზისაგან ეერ—მეფრობილი;
მისსა ეით გასძლებს გაყრასა გული ალმასი, წთობილი!

იგი ასრე მოიწიფა, მე შემეძლო შესლეა ომსა;
მეფე ქალსა ეით ხედეიდა მეფობისა ქმნისა მწთომსა,
მამასაეე ხელთა მიმცეს, რა შეეიქმენ ამა ზომსა;
ებურთობდი და ენადირობდი, ეით კატასა ეხოცდი ლომსა."

გაეიხსენოთ ზ. გამსახურდია გადმოგეცემს (იქეე გე. 189) „ლომთან მებრძოლი გმირები, განასახიერებენ ადამიანის ბრძოლას საკუთარ თაეთან, საკუთარ ნებელობასთან, ეგოიზმთან, სიამაყესთან... ანუ ისრაელი იმართებოდა მცნებებით რადგან ამბობს ტარიელი: „ეით კატასა ეხოცდი ლომსა"

გადის შეიდი საუკუნე, რაც მამქანი აშენდა და შეხინამ დაიეანა ისრაელში. ამ პერიოდში შორს იყო გაეარდნილი ისრაელის ცოდნა, იცაედნენ მცნებებს და ჰქონდათ ძლეეამოსილება. ყეელაფერში იმარჯეებდა ებრაელთა ცხოერების წესი, რადგან მფარეელობდა მას მღედრობითი არსი — შეხინა, რაც ნაწარმოებში ნესტან—დარეჯანის სახეში სახიერდება. ამიტომაც ნესტან—დარეჯანიც მშეენდებოდა. ისრაელის ცხოერების წესი ძლეეამოსილებას და აპოგეას აღწეეს ძ.წ. მე—7—6 საუკუნეში, ანუ 7 საუკუნის გასელის შემდეგ, რაც შეიქმნა კიდობანი და თორა მიიღეს — ანუ ძ.წ. 1313 წლიდან და დაისადგურა შესინამ — ნესტან—დარეჯასმა. ეს პერიოდია აღწერილი შემდგომ, როცა ქალი შეიდი წლისა შეიქნა, ანუ შეხინა შეიდი საუკუნეა ისრაელში.

ამ პერიოდში ძ.წ. 610 წლიდან მოხდა დაეითის მიერ კიდობანის გადმობრძანება იერუშალაიმში. შემდეგ ახალ კიდობანს — ტაძარს აგებს სოლომონი და იქ დაეანდა შეხინა. ეს იყო დიდი სიხარული უფლისა. მეორედ შეხინა სრულყოფილად მეფობდა ყეელა ისრაელის გულში — სულიერებაში. პირეელად ეს მოხდა, როცა უდაბნოში აიგო კიდობანი. /ჩეენ აღენიშნეთ რომ ოთხი იქნება ზეცაში და ხალხში, ასეთი სიხარული/. ეს პერიოდიცაა აღწერილი შემდეგ სტროფში:

„მეფემან კოშკი ააგო, შიგან საყოფი ქალისა:
ქეად ფაზარი სხდა, კუბო დგა იაგუნდისა, ლალისა,
პირსა ბაღჩა და საბანლად სარაჯი ეარდის წყალისა;
იგი მუნ იყეის, მედების ეისგან სახმილი ალისა!"

## ძ.წ. 6-7 საუკუნე. ისრაელის დაცემის წლები. მიზეზი ტაძრის დანგრეეისა

მაგრამ ისრაელის მეფე, როგორც საქართეელოში, მეფობას არ აძლეეს შესინას — თაეის ქალიშეილს. რატომ? ეს იმიტომ, რომ იგი ისე ეერ ამტკიცებს ცხოერების წესს, როგორც საქართეელოში იყო, როცა ფარნაეაზმა განამტკიცა ენის მცნებანი. ეერ ჩამოყალიბდა ის მიწათმოქმედების წესისადაც ათი სიტყეაა დაცული.

აი აქ არის იმის ახსნაც თუ რატომ არ შეიყვანა ისრაელში და არ ააგებინა ტაძარი მოსეს. ის ამ სიწმინდეს არ დაანგრევდა და ისრაელის ხალხს კი ამოხოცავდა უმწეობათა გამო. ეს ქართველთა გაფრთხილება უნდა იყოს დღეს. ჩვენთან დავანებულია შეხინა — სიწმინდე — ენით გვაქვს მწეობა და ამის შელახვა არ გვეპატიება. შეხინა — მეფე-ხელ-მწიფე უნდა იყოს ებრაელთათვის დღენიადაგ, მაგრამ ვიცით, რომ გარემომცველ სამყაროში ვერ დამკვიდრდა მცნებანი და შეხინის მეფობა გარკვეული პერიოდით გადაიდო. ამგვარად, კი დავანდა ტაძარში კიდობანი, მაგრამ შეხინა, რომელიც დაეშვა დედამიწაზე, ჯერ ისევ კიდობანში უნდა იყოს, რადგან ახლოვდება უმწეობის დაწყების ჟამი.

ჩვენ ვიცით, რომ ძ.წ. 610 წლის შემდგომ უკვე სოლომონის მეფობის პერიოდში მკვეთრად ეცემა ისრაელში მწეობა, მცნებათა დაცვა. სოლომონი არღვევს ბიბლიის იბერიული ცხოვრების წესის უმთავრეს ფუნდამენტს, — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის, დემოკრატიული მმართველობის პრინციპს. შედეგად, როგორც ვიცით, ღაიმღება საგვარეულო მმართველობა, ცხრა შტო გამოიყოფა იუდეას და შეიქმნება ისრაელის სახელმწიფო, რომელნიც ნელნელა ალიგვებიან იქიდან.

და ამ ეპოქაშიც ქართველთა-იაფეტელთა ტრადიციულ ფუნქციას, ავთანდილობას ანუ მედიატორობას ერთობისა და მშვიდობის ჩამოსაგდებად კისრულობს ელია წინასწარმეტყველი. გავიხსენოთ რამდენი იღვაწა ისრაელი და იუდეა რომ ისევ გაერთიანებინა, თუმცა ბოლოს მაინც უშედეგო აღმოჩნდა ყოველივე.

შემდგომ იუდეას მეფენიც კერპთაყვანისმცემელთა გავლენას განიცდიან. ამიტომ მოხდა იუდეის დასჯა (რადგან ისრაელის სახელმწიფო აღარ არსებობდა). პირველი ტაძრის დანგრევა და ბაბილონის ტყვეობა 586 წ. იყო ე.ი. როცა ნესტანის ანუ მაშქანის არსებობა ტაძარში 100 წელს ანუ ერთ წელს გადასცდა. ამ პერიოდში ტაძარი კი დაინგრა, მაგრამ კიდობანს არაფერი არ დამართნია. უმწეობის დასადგურების ეს პერიოდი შემდეგნაირად არის აღწერილი:

„დღე და ღამე მუჯამრითა ეკმეოდის ალვა თლილი;
მოგჯერ კომკს ჯდის, მოგჯერ ბაღჩას ჩამოვიდის, რა დგის ჩრდილი.
დავარ იყო და მეფისა, ქერივი, ქაჯეთს გათხოვილი,
მას სიბრძნისა სასწავლელად თვით მეფემან მისცა შვილი".

მ. გამსახურდია აღნიშნავს (იქვე 274): ჩვენ ვიცით, რომ აღმოსავლეთში ვარსკვლავთა შესწავლამ წარმოშვა მაგია. ასეთ ცოდნას ფლობს დავარი. აღმოსავლეთში ეს უფრო ძველი მოვლენაა, ვიდრე რელიგია. ეს არის შავი, ბნელი ძალების მიმართულება, რომელნიც ცდილობენ თორის — ტარიელის მცნებები არ განვითარდნენ — ებრძვიან ადამიანის ჰარმონიული განვითარების კანონზომიერებას. რაკი აქ მაგია უფროსია, ამიტომ წერია, რომ მას სასწავლებლად მისცა შვილი. ამავე დროს, იგი ისრაელში ქვრივი, ანუ მივიწყებული იყო, რამეთუ ისრაელი მეუღლდა თორასთან.

ამგვარად, ბიბლიის მცნებათა დაცვა, წმინდა ცხოვრების წესი მეფეთა მიერ იბილწება. გახშირდა შერეული ქორწინებები, ბინძურდება პირველადი ენა, ქვეითდება სულიერება, გენეტიკა. ყოველივე ეს იწვევს ებრაელ ხალხში უმწეობის დამკვიდრებას და მათი, ანუ ტარიელის ტანჯვას. ამ პერიოდში ისრაელში იბუდებს სამი ცოდვა: უმწეობა, კაცთა კვლა, კერპთაყვანისმცემლობა, რაც შეხინის ყოფნას ისრაელში სათუოდ ხდის.

ამგვარად, დგება ჩრდილი, აღარ არის ნათელი, რადგან ამ პერიოდში მეფეებმა გადაუხვიეს ტარიელის ცხოვრების წესს და ქაჯეთის ცხოვრების წესს ნერგავენ, რაც შეხინასათვის მიუღებელია.

## ძ.წ. VI-V საუკუნე იაფეტელის მთამომავლის ძალისხმევით შენდება მეორე ტაძარი

გავიდა ხანი, და ჩვენ ვიცით, რომ ბაბილონის აოხრების და ტყვეობის შემდეგ მიხვდნენ ებრაელები, რომ მცნებები უნდა დაეცვათ და უბრუნდებოდნენ ისინი მონოთეისტობას. ებრაელი ხალხი — ტარიელი მწეობრივად იწმინდება, აღადგენს მცნებების დაცვას. ამაში მათ ხელს უწყობს სპარსეთის მეფე კიროსი. მისი ნებართვით მოხდა ტაძრის მეორედ აშენებაც. კიროსი

პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩნდა ძე.წ. 558 წელს. მან დაიპყრო ბაბილონიც და შექმნა უზარმაზარი მიდიო—სპარსული სახელმწიფო. უნდა აღინიშნოს რომ კიროსის პაპა იყო მიდიადან. აქ რომ სახლობდნენ კოლხური ტომები ესეც ისტორიული ფაქტია. ამგვარად ასდა უფლის განზრახვა. იაფეტის შთამომავალი აშენებს მეორე ტაძარს. ტაძრის მშენებლობა დასრულდა კიროსის მემკვიდრის დარიოს ძალისხმევით. არა მარტო ტაძრის მშენებლობის სულიერი მსახურების აღორძინებაშიც საქართველოში მცხოვრები ებრაელები იღებენ მონაწილეობას. გავიხსენოთ საქართველოდან ჩადიან იქ უმაღლეს განსწავლულთა საზოგადოება ლევიტები და ქოენები. იქმნება უმაღლეს სწავლულთა საკრებულო. ამ პერიოდში ტარიელი 15 წლის იყო. ანუ გავიდა 15 საუკუნე მას შემდეგ, რაც აბრაამმა დაიწყო მცნების აღდგენა ქანაანზე. ეს არის დაახლოებით III საუკუნე. ძ.წ., რაც აღწერილია შემდგომ სტროფში:

„თხუთმეტისა წლისა ვიყავ, მეფე მზრდიდა ვითა შვილსა;
დღისით ვიყვი მას წინაშე, გამიშვებდის არცა ძილსა;
ძალად ლომსა, თვალად მზესა, ტანად ვპგვანდი ედემს ზრდილსა;
სროლასა და ასპარეზსა აქებდიან ჩემგან ქმნილსა.

მოსრნის მხეცნი და ნადირნი, ისარმან ჩემმან სრეულმან;
მერმე ვიბურთი მოედანს, მინდორით შემოქცეულმან;
შევიდი, შევქმნი ნადიმი, ნიადაგ ლხინსა ჩვეულმან;
აწ საწუთროსა გამყარა პირმან ბროლ—ბალახშეულმან!"

პირველი სტროფის მესამე სტრიქონი გადმოგვცემს რომ ისრაელი მეფობს რადგან მეფენი იცავენ მცნებებს „მზრდიდა ვითა შვილსა".

იგი — ტარიელი ძლევამოსილია, ძ.წ. მე—5 საუკუნიდან ძ.წ. მესამე საუკუნემდე. აიგო მეორედ ტაძარი და ისევ იყო სიხარული უფლისა ასლა უკვე მესამედ. შეხინა ბუდობდა ყველა ისრაელის გულში. მაგრამ რაკიდა აღარ იყო თორმეტი მტო, აღარც იბერიული ცხოვრების წესი იყო. თორაში მოჭირნახულენი კი არ იყო ყველა და ეცემოდა ზნეობა. აღირია პირველადი ენა. იძალა ისრაელს საზღერებს გარეთ არსებულმა უზნეობებმა და წარმოიქმნა ერებში დაპირისპირება. ისჯება ტარიელი — სწორი ზნეობრივი ცხოვრების წესი, რაც ჩანს მეორე სტროფის ბოლო სტრიქონში.

## ძ.წ. 330-170 წწ აღარ არის იბერიელთა თორმეტი მტო — იბერიული მიწათმოქმედების წესი და ელინიზმი აღწევს წარმატებას, რაც გამოიხატება ტარიელის ბნედებსა და ტანჯვებში

ჩვენ ვიცით, რომ ახლო აღმოსავლეთი და მათ შორის ისრაელი, დაიპყრო ალექსანდრე მაკედონელმა 333 წელს. ებრაელებს ამ პერიოდშიც ჰქონდათ ავტონომია და ავითარებდნენ თავიანთ სულიერ კულტურას. მაკედონელის სიკვდილის შემდეგ კი მოეძალა ებრაელებს ელინისტური — ინტელექტუალთა — ხორციელი მისწრაფების კულტურა. ეს არის პერიოდი, როცა ისრაელი აღმოჩნდება ჯერ ფტოლემეელთა დინასტიის გამგებლობაში, შემდეგ კი ისრაელს იპყრობს ელინისტური სირია. ელინიზმი „სამყაროს მოქალაქის შეგრძნება" აერთიანებს მსოფლიო იმპერიებს ებრაელთა სულიერი კულტურის წინააღმდეგ თითქმის 200 წელი. ეს პერიოდი, რუსთაველს გადმოცემული აქვს ტარიელის მამის სიკვდილში.

„მამა მომიკვდა, მოვიდა დღე სიკვდილისა, ვიშისა;
ქმნა გაუცუდდა ფარსადანს, ნიშატისა და ნიშისა;
მათ გაეხარნეს, ვის ზარი დალევდის მისგან შიშისა;
ერთგულთა შექმნეს ვაება, მტერთა — ხსენება იმისა."

ეს სტროფი გვეუბნება, რომ დაპირისპირებათა გამო კნინდებოდა ცხოვრების წესი, ზნეობა. აღარ ჰქონდა ძლევამოსილება ფარსადანს — ისრაელს. მართალია, სოლომონმა დაუშვა შეცდომა, მაგრამ დავითის შთამომავალნი მაინც გარანტი იყვნენ მცნებათა დაცვისა, სწორი ზნეობრივი ცხოვრების წესის. ამის მერე ის დინასტია აღარ მეფობს ისრაელში. ამავე დროს,

იკარგება ზნეობრივ მცნებათა დაცვით ნაწარმოები მიწათმოქმედება, რადგან აღარ არის 12 შტო იბერი. რუსთაველმა ეს „ვეფხისტყაოსანში" ტარიელის მამის სიკვდილში გამოხატა. შემდეგად შემდეგი სტროფი გვეუბნება, რომ ერთი საუკუნე ისრაელი წინააღმდეგობას არ უწევდა ბერძნებს, რომელნიც ბოლოს ისე გათავხედდნენ, რომ შერყვნეს ისრაელთა სალოცავები და დევნიდნენ ებრაელებს, რათა არ აღესრულებინათ თავიანთი წეს–ჩვეულებანი. თუმცა უფალი მუდამ იცავდა ისრაელებს. ერთ–ერთმა მეფემ, ფტოლომე IV–მ, მოინდომა ტაძარში იმ ადგილას შესვლა, სადაც შეხინაა დავანებული და სადაც წელიწადში ერთხელ შედის მხოლოდ პირველი ქურუმი. მეფეს გული შეუღონდა, ძლივს გადარჩა. შემდეგ სპილოებით მოინდომა ებრაელთა გადათელვა. სპილოებმა კი პირი იბრუნეს და დამპყრობლები გადაითელეს. ეს იყო ძნელი წლები ებრაელი ხალხისთვის, მაგრამ დამპყრობლები უფლის შიშით ხელს ვერ უშლიდნენ მათ მცნებების დაცვაში:

„მე წელიწდამდის ბნელსა ვჯე საწუთრო–გაცუდებული,
დღისით და ღამით ვვაებდი, ვერვისგან სულ–დაღებული;
გაყვანად ხასნი მოვიდეს, მითხრეს მეფისა მცნებული,
ებრძანა: „შვილო ტარიელ, ნუ ხარ მავითა ღებული."

და მართლაც, დაახლოებით ერთი წლის, ანუ საუკუნის განმავლობაში ბიბლიის მცნებებს, ცხოვრების წესს ისრაელის ხალხი ნაკლებად იცავდა. შემდეგ იყო ისრაელის აღზევება–დაცემის პერიოდები, რაც ჩანს შემდეგ სტროფებში. ჯერ აღდგება ტარიელის მამის ცხოვრების წესის დამოუკიდებლობა. ტარიელი — თორის მცნებანი, ზნეობა ხდება ახლა ამირბარი:

„ჩვენ უფრო გვეტკივის იგი — ვინ, დაგვაკლდა სწორად თავისა".
ასი ებოძა საჭურჭლე, ებრძანა ახდა შავისა,
ბოძება მისეულისა სრულისა საკარგავისა;
„შენ გქონდეს ამირბარობა, ქმნა მისვე საურავისა".

სტროფის მეორე სტრიქონში ჩანს, როგორ გაიცემა ისევ სიკეთე, ამიტომ ბოროტი ძალა უკან იხევს. აქ „ებრძანა ახდა შავისა", ისევ ფუძნდება ტარიელი — სწორი ცხოვრების წესი თორის მიხედვით. ამას უკვე აკეთებს არა ბიბლიური დავითის შტო, არამედ ხასნი, ანუ ხასიდიმები, ისინი ტაძარს განანათლებენ. ესენი არიან ებრაულად ნათელში მყოფი წმიდანები, რომელთაც აქვთ დიდი ცოდნა. ჭირნახულობენ მხოლოდ თორაში და იცავენ მცნებებს. მხოლოდ ამ წმინდა ხალხის ძალისხმევით ებრაელთა სულის მიმართულება ისევ თორაა. ისინი ტარიელის გამოყვანით ბნელეთიდან („ახდა შავისა") ცდილობენ რომ აღდგეს ტარიელი — ბიბლიის მცნებათა დაცვის ცხოვრების წესი. ეს ეპიზოდიც ადასტურებს ჩვენს მიერ ამ ნაწარმოების სწორად წაკითხვას:

„ავენთი, დამწვეს მამისა სახმილთა დაუშრტობელთა;
უკანის გამომიყვანეს ხასთა მათ წინა–მდგომელთა:
გამოსვლისათვის ზეიმი შექმნეს ინდოეთს მჟღლობელთა,
შორს მომეგებნეს, მაკოცეს პატივით ვითა მშობელთა."

სამყაროში რომ მხოლოდ ორი ზნეობრივი ცხოვრების წესი წააგავდა ერთმანეთს, ამაში დაერწმუნდებით, თუ გავიხსენებთ ავთანდილის ხელმძღვანელობით რომ მოდიან მეფესთან ასევე ხასები — ხასიდიმები. „მოვიდნენ სრულნი არაბნი, ჯარი გამრავლდა ხასისა" და მათ რომ დაუდგეს თინათინს საჯდომი, თქვა: უთქმელია ფასისა, ანუ შეუფასებელია.

მაგრამ მაინც არ აღდგა ის ზნეობა — ცხოვრების წესი, რაც ადრე იყო. ინდოეთს ანუ ისრაელს ახლა სხვანი მართავენ. მიზეზი მარტივია — აღარ იყო 12 შტო — იბერი — ბალავარი იბერიული ცხოვრების წესისა — მიწათმოქმედებისა — ადამიანთა მიერ სახელმწიფოს მართვისა — ერთობით და სიყვარულით, თუმცა თორაში ჭირნახულობენ, სწავლობენ მას, ტარიელის მრწამს — ბიბლიის მცნებების დაცვას, მით მეუფეობას საკადრის პატივს მიაგებენ. მაინც აღარ არის ის ზნეობრივი ცხოვრების წესი, რასაც ამკვიდრებდნენ ბიბლიური დავითის შთამომავალნი. ეს კარგად ჩანს შემდეგ სტროფში:

„მათ საჯდომთა ახლოს დამსვეს, პატივს მცემდეს ძისა დარად,
მის ხელისა საურავი მათ ორთავე მითხრეს წყნარად;
ურჩ ვექმენ და მისეულთა წესთა ქცევა მიჩნდა ზარად.
არ მომეშვნეს, დავემორჩილდი, თაყვანის–მცეს ამირბარად."

აქ ჩანს, რომ ცხოვრების წესს ხელისუფალი აყალიბებს. ბიბლიით — ტარიელით არ იმართება სახელმწიფო. ბიბლია აქ მხოლოდ ფასადია. ტარიელი იძულებულია დაყვეს მას. მესამე სტრიქონში ჩანს, რომ ტარიელს არ მოსწონს მათი ქცევა და წესების დაცვა. შემდეგ ასწლეულში ისინი ავლენენ თავიანთ უმნეობას. ამირბარს, სიკეთეს — ანუ ბიბლიურ ცხოვრების წესს უპირისპირდება შემდგომ ასწლეულში მუხთლობა, სიავე, რაც ჩანს შემდეგ სტროფში:

„აღარა ვიცი, დამეიწყდეს თუცა დიადი წელია;
გიამბო ჩემი ამბავი, განა რაზომცა ძნელია!
ცრუ და მუხთალი სოფელი მიწყივ ავისა მქმნელია,
მისთა ნაკვესთა წინწალი დამეცა ხანგრძლად მწველია".

ტარიელი — ებრაელთა ზნეობრივი ცხოვრების წესი, ისევე იმპერიულ სახელმწიფოთა მეგავლენის ქვეშ ხვდება.

ბიბლიიდან ცნობილია, და ზემოთაც აღვნიშნეთ რომ იქ, სადაც რჯულის კიდობანი იდგა, იყო ისეთი შეხინა — ელვარება, რომ ყველას არ შეეძლო შესვლა, შედიოდნენ მხოლოდ ქოენები, ხასიდიმები, მეფენი სწორი ცხოვრების წესის მატარებელნი. ისიც ცნობილია, რომ შესულ ხალხს ხანდახან შეხინის ენით უფალი ელაპარაკებოდა. გავიხსენოთ შეხინის მოსესთან საუბარი, როცა აშენდა კიდობანი და მან შეიპატიჟა მოკრძალებულად მდგარი მოსე (ფტოლომეს გულის წასვლაც გავიხსენოთ), მაგრამ, როცა შეილახა ცხოვრების წესი, ანუ ტარიელი, ამ ცხოვრების წესის განმსაზღვრავი, იგი, ტარიელი, ისრაელთა სულიერი ლიდერი ვეღარ უძლებს მისი შუქის, ცოდნის ელვარებას. მიზეზი მარტივია შეხინის მადლს ცხოვრების წესი ვეღარ განაპირობებდა. მას განაპირობებდნენ თორაში მოჭირნახულე მლოცველი ხალხის სიმრავლე და მცნებების დაცვა — ანუ ხასნი.

ამგვარად, ისრაელის ხალხი, ფარსადანი, მისი მემკვიდრე ტარიელი შეუღლებულია ბიბლიასთან. ებრაელი ხალხის ცხოვრების წესი ვერ იქნება ისეთი, რომ ტარიელი — უმწიკვლო ცხოვრების წესი, შეუღლდეს ზეციურ მდედრობით არსთან, რომლისკენაც მიილტვის ისრაელის ხალხი და თორა — დედოფალი. მათ ვერ ჩამოაყალიბეს ზნეობრივი ცხოვრების წესი, სადაც თორის მცნებანი ინერგება, ანუ იცავე მცნებებს — ესე იგი, გაქვს ღმერთის, მოყვასის, მდედრობითი არსის სიყვარული და სიყვარულიც ღვთიური, ადეკვატურია. ანუ ის სამი საფუძველი, რამეც დგას სამყარო. რის შემდეგ მდედრობითი არსი ხდება შუამავალი ღმერთთან, რათა მენ მოგცეს ბარაქა, სიუხვე, აღდგეს ედემისეული ყოფის ჰარმონია — ანუ ის სამეფო, სადაც უკვე მეფე ხდება ტარიელი. ქორწინება, ამ შემთხვევაში, მეფე ტარიელისა ზეციურ მდედრობით არსთან არის სულიერი სამყაროს კვლავ დაბრუნება. ის, რაც დაკარგა ადამმა. ამ შემთხვევაში გვირგვინი ედგმევა შეხინას. ანუ ჯერ გვაქვს შეუღლება მცნებებთან, კონსტიტუციასთან, შემდეგ კი ქორწილი იგივე მდედრობით არსთან, შეხინასთან. როცა ტარიელი — ებრაელთა ერი, სრულყოფილად შეიყვარებს ღმერთს და ზეციურ მდედრობით არსს (რაც მაშინ მოხდება, როცა ყველა ჩაწვდება თორის არსს), მაშინ უკვე უპრობლემოდ დანერგავენ თორას, ანუ კანონებს და მისი მოძღვრებით იცხოვრებენ.

მოხდება შეხინას მეშვეობით მიწიერი და სულიერი სამყაროს ერთიანობა, ანუ წრედის შეკვრა უზენაესთან. იქნება ქ–ორ–წილი, ანუ ორის წილი — ტარიელის — ებრაელების და ზეციური მდედრობითი არსის ჰარმონიული სამყაროს შესაქმნელად. ამას კი განაპირობებს ყველა ოჯახის ორის–მდედრის და მამრის წილი. ანუ ჰარმონია იბუდებს ერთ ოჯახში.

დღითი დღე ებრაელობა ცილდება იმ იბერიულ წესს, რაც შეხინის, ტარიელის ნატვრაა, რათა იყოს მათი ქორწილი. ამიტომ არიან ისინი ურთიერთის თავდავიწყებელი მიჯნურები. მაგრამ მამაკაცის, ტარიელის — ებრაელი ხალხის სისუსტე ამ საქმეში სამართლიანად იწვევს შეხინის წყრომას ტარიელის მიმართ.

„კვლა დაიწყო თქმა ამბისა მან, რა ხანი მოიტირა:
„დღესა ერთსა მე და მეფე მოვიდოდით, გვენადირა;

მიბრძანა, თუ „ქალი ენახოთ“, ხელი ხელსა დამიჭირა.
მის ჟამისა მხსენებელი მე სულ-დგმული არ გიკვირა?

ვიცოდი, სწადდა არვისგან ნახვა მის მზისა დარისა,
მე გარე ვდეგ და მეფემან შეელო ფარდაგი კარისა;
ვერას ვხედვიდი, ოდენ ხმა მესმოდა საუბარისა.
ასმათს უბრძანა გამოხმა დურაჯთა ამირბარისა.

ასმათ ფარდაგსა აზიდნა, გარე ვდეგ მოფარდაგულსა;
ქალსა შევხედენ, ლახვარი მეცა ცნობასა და გულსა.
მოვიდა, მიესცნე დურაჯნი, მთხოვა ცეცხლითა დაგულსა.
ვაიმე, მას აქათ სახმილსა დავეუწვავე ნიადაგულსა!“

ამ სტროფებში აღწერილია ტაძარში ადგილი, სადაც შეხინაა დავანებული და მისი გულის წყრომა სწორედ ტარიელზეა — ისრაელის ხალხზეა მიმართული, რამეთუ მათ უნდა აასრულონ 10 მცნება და 613 საკანონმდებლო აქტი. და არ უნდა იყვნენ დამოკიდებული მეფეზე, ვინც ლახავს პირველად ზნეობას და ცხოვრების წესს. აქ ის მიზეზიც არის, რომ სწორედ დავითის მთამომავალნი შეპირდნენ უფალს, რომ დაიცავენ მის მცნებებს და მისი მეფობა იქნება სამარადისო. მათ კი ეს არ შეასრულეს. ამიტომაც აღარ მეფობენ. მეორე სტროფის პირველი სტრიქონი გვეუბნება, როგორ არის განაწყენებული მღვდრობითი არსი იმდროინდელ ცხოვრების წესზე — ისრაელზე და არავის ნახვა არ სწადდა. ეს იცოდა ტარიელმაც. ამიტომ ტირის შებღალული სწორი ცხოვრების წესი და ასევე ასმათი. ჩვენ ვიცით, რომ ცრემლი, მათ მიერ გადმონთხეული მადლი, ამ შემთხვევაში მიჯნურობის გამომხატველია, შეხინის, მღვდრობითი არსის, რჯულის კანონების — კიდობანის მიმართ. ამავე დროს, როცა არ არის ქვეყანაში მცნებათა დაცვა, ზარალდება ცხოვრების წესი — ტარიელი და ადეკვატურად შეხინა — ნესტანი. ეს იწვევს მის რისხვას, მიჯნურისადმი ცუდად მოპყრობას. ცხოვრების წესის დაცემის და ნესტანის წყრომის გამოა, რომ ტარიელს წამდაუწუმ მისდის გული.

ტარიელია, მისი მოქმედებაა წმინდა მიწაზე შეხინის დავანების განმაპირობებელი და ნესტანის ასეთ დღეში ყოფნაც ტარიელის, ანუ მორწმუნე ებრაელთა უნიათო მოქმედების ბრალია.

„დურაჯნი მიევსცენ, გაეიღე სხვა ვერა გზადა თავისა,
დავეცი; დავბნდი, წამიხდა ძალი მხართა და მკლავისა,
რა სულად მოვე, შემესმა ხმა ტირილის და ვისა;
გარე მომრტყმოდეს ჯალაბნი, ვითა ჩამსხდომნი ნავისა.“

შემდეგ კუპლეტი აღწერს დაცემულ ისრაელს — ტარიელის ცხოვრების წესს, რომელსაც მისტირიან იმდროინდელი ისრაელის მეფენი, რამეთუ ისინი ისჯებიან, არა აქეთ ბარაქა და მარცხდებიან მტრებთან.

„მიგან ეწევ დიდთა დარბაზთა ტურფითა საგებელითა,
ზედ დამტიროდეს მეფენი ცრემლითა უშრობელითა,
პირსა იხოკდეს ხელითა, ლაწვისა გამპობელითა.
მუყრნი მოასხნეს, სენითა მთქვეს გამაბელზებელითა.“

რატომ მეფენი? ეს დაცემის პერიოდი იმდენ ხანს გრძელდება, რომ რამდენიმე მეფე გამოიცვალა. ეს მარცხი — დაცემა, ტარიელის ბნედებში და გულის წასვლებშია გამოსახული, ანუ ისჯებოდა ისრაელის ხალხი. ისჯებოდნენ დამპყრობლებიც. ამიტომ მოეგებოდნენ ხოლმე დამპყრობელი მეფენი გონს და იყო პერიოდები, როცა იცავდნენ მცნებებს. ისინი ხვდებოდნენ, რომ მათში ის იმარჯვებდა, ვინც ებრაელებს მცნებათა დაცვაში ხელს უწყობდა. ნაწარმოებში ეს მათ ტირილში, ანუ მადლის ჩადენაშია წარმოსახული. ისევ მძლავრობდა ტარიელი — სწორი ცხოვრების წესი, ცოტას მოიხედავდა, დაამარცხებდა მტრებს. მაშინ კი თითქმის სრულიად გამოჯანმრთელდებოდა, მაგრამ დროებით და ეს ასე გრძელდება, იუდეას დაცემამდე,

რადგან იბერთა საძირკეელი, ენა, 10 სიტყვა — სწორი მიწათმოქმედება დაკარგულია. აი, ეს პერიოდია შემდგომ აღწერილი ნაწარმოებში.

„ჱე რა მნახა თვალ—ახმული, მეფე ყელსა მომეხვია,
ცრემლით მითხრა: „შეილო, შეილო, ცოცხალ ხარ—და? სიტყვა თქვია!
მე პასუხი ვერა გაეეც, ეითა მმაგი შეეკრთი დია,
კელა დავეცი დაბნედილი, გულსა სისხლი გარდმეთხია.

სრულნი მუყრნი და მულიმნი მე გარე შემომცვიდიან;
მათ ხელთა პქონდა მუსაფი, ყოველნი იკითხვიდიან:
მტერ—დაცემული ვეგონე, არ ვიცი, რას ჩმახვიდიან.
სამ დღემდის ვიყავ უსულოდ, ცეცხლნი უშრეტნი მწვიდიან.

აქიმნიცა იკვირვებდეს: „ესე სენი რაგვარია?
სამკურნალო არა სჭირს რა, სევდა რამე შემოპყრია".
ზოგჯერ მმაგად წამოვიჭრი, სიტყვა მცთარი წამერია.
დედოფალი, მღვასა შეიქმს, მას რომ ცრემლი დაუღერია

სამსა დღესა დარბაზს ვიყავ არ ცოცხალი, არცა მკედარი;
მერმე ცნობა მომივიდა, მივხედი რასმე მიუმსედარი;
ვთქვი, თუ: „პაი, რამიგან ვარ, მე სიცოცხლე—გარდამსდარი!"
თმობა ესთხოვე შემოქმედსა, ეპკადრე სიტყვა სამუდარი.

ვთქვი, თუ: „ღმერთო, ნუ გამწირავ, აჯა ჩემი შეისმინე,
მომეც ძალი დათმობისა, ცოტად ვითა აღმადგინე,
აქა ყოფა გამამჟღავნებს, სასლსა ჩემსა მიმაწვინე!"
მანვე ქმნა და მო—რე—ვჯობდი, გული წყლული გავარკინე.

ზე წამოვჯე. მეფისასა კაცი დია მოვიდოდა.
ახარებდეს: „წამოჯდაო", დედოფალი გამორბოდა;
მეფე მორბის თავ—შიშეელი, არ იცოდა, რას იქმოდა,
იგი ღმერთსა ადიდებდა, სხვა ყველაი უჩუმოდა.

იქით და აქათ მომისხდეს, მახვრიტეს სახერეტელია;
მე მოვახსენე: „პატრონო, გული აწ უფრო მრთელია;
ცხენსა შეჯდომა მწადიან, ენახნე წყალნი და ველია".
ცხენი მომგვარეს, შე—ცა—ვჯე, მეფე ჩემთანა მელელია."

ტარიელის უსულობა („დავეცი, დავბნდი, წამიხდა ძალი მხართა და მკლავისა.") ქვეყანაში უზნეობის დანერგვას ნიშნავს, ამას არ ურიგდება მდედრი — დედოფალი ისრაელისა. იგი ხედება, რომ მეფობა ხანმოკლე ექნება, თუ ებრაელთა სულიერი კულტურა არ აღდგა. მისი დამსახურებაა, რომ მეფენი დროებით მაინც აღადგენენ ტარიელს. დედოფლის ეს გარჯა ჩანს მესამე სტროფის მეოთხე სტრიქონში და მეექვსე სტროფის მეორე სტრიქონში. აქვე მესამე სტრიქონში თვით მეფესაც უხარია ტარიელის აღდგენა, მაგრამ იგი თავშიშველია. ე.ი. რაკიდა უქუდოა, მცნებებს არ იცავს. ამიტომ „არ იცოდა, რას იქმოდა", ანუ ეს იყო მისი და მისი სახელმწიფოს უბედურების მიზეზი. ამიტომ, შემდეგ იგი ღმერთს ადიდებს და უვლის ტარიელს. მეორე სტროფში აღნიშნულია: „მათ ხელთა პქონდა მუსაფი". ეს არის ლოცვანი ებრაელთა ანუ ლოცულობენ ტარიელი — ისრაელი რომ მძლავრობდეს. შედეგად ბოლო სტროფის ბოლო სტრიქონში ტარიელი ისევ ცხენზე ჯდება, ანუ ამ პერიოდის მეფის ქცევა ნაწილობრივ განაპირობებს სწორი ცხოვრების წესის აღდგენას. „ცხენი მომგვარეს, შე—ცა—ვჯე, მეფე ჩემთანა მელელია". სიტყვა შე—ცა—ვჯე, ამ შემთხვევაში იმიტომაცაა დამარცვლული, რომ ცამდე აღის ყოველთვის ტარიელის ზნეობრივი ქცევა, მაგრამ შემდგომ სტროფში ჩანს, ისევ როგორ ეცემა ზნეობა. ამის გამო, ისევ ავადმყოფობს ტარიელი.

ბევრს ცდილობენ მეფენი ტარიელის — ანუ ცხოვრების წესის გამომჯობინებას. სისხლსაც გამოუშვებენ მას ხელიდან. ეს იმდროინდელ ხელისუფალთა მიერ მონანიების უკიდურეს ფორმას უნდა ნიშნავდეს.

„კაცი მოვიდა მეფისა: „სწადსო ამბისა სმინება".
მოყვანა ეუთხარ, ებრძანა: „ქმნაცა სისხლისა დინება?"
მე ვაკადრე: „ხელი გაეიხსენ, დამიწყო მოჯობინება
წინაშე მოვალ, ამისთვის, კვლა უფრო მმართებს ლხინება".

დარბაზს მივე, მეფე ბრძანებს: „ამის მეტსა ნუ იქმ აბა!"
ცხენსა შემსვა უკაპარჭო, წელთა არა არ შემაბა,
შეჯდა, ქორნი მოუტივნა, დურაჯები დაინაბა,
მშვილდოსანნი გასაგანნა, იტყოდიან: „შაბა, შაბა!"

შინა დავსხედით ნადიმად მას დღესა მინდორს რებულნი;
მომღერალნი და მუტრიბნი არ იყვნეს სულ—დაღებულნი;
მეფემან გასცა მრავალნი თვალნი, ღარიბად ქებულნი.
აუვსებელნი არ დარჩეს მას დღესა მათნი ხლებულნი."

როგორც ვხედავთ, ტარიელის შედარებითი მომჯობინება, მეფეებზე ხდება დამოუკიდებელი. თუ მეფეს ყოფნის ცოდნა და გნეობა, სწავლობს თორას, იცავს მცნებებს, ხალხიც მწყურვალია ასეთი წესის. ისინი ხომ იბერიელები არიან და იცავენ მას. ტარიელიც კარგად არის. სისხლის გამოშვებით მონანიება მოხდა. გნეობა განიწმინდა იულეამი. ამიტომ მომჯობინდა და ნადირობაც შეძლო ტარიელმა. შეძლო, რადგან მეფემ გასცა მრავალი სიმდიდრე. მაგრამ, როგორც მრავალჯერ აღვნიშნეთ, ის იბერიული ცხოვრების წესი, ის სოფლის მეურნეობა აღარ იყო, რაც შემდგომ სტროფშია გადმოცემული:

„ვეცდებოდი, არა მცალდა სვედისაგან თავის კრძალვად;
ვიგონებდი, ცეცხლი უფრო მედებოდა გულსა ალად;
ჩემნი სწორნი წაეიტანენ, ჩემსა დავჯე, მთქვიან ალვად,
შევქმენ სმა და ნადიმობა პატიჯთა და ჭირთა მალვად."

„ჩემნი სწორნი წაეიტანენ, ჩემსა დავჯე, მთქვიან ალვად" — ანუ ის, რაც ჩემი დარის იბერიული ცხოვრების წესი იყო — წავიტანენ და უბრალოდ მთქვიან, ანუ მქვია ალვად—მიწათმოქმედად. ამიტომაც შექმნა სმა და ნადიმობა ჭირთა მალვად. ეს ჩანს იმ სტროფიდანაც, როცა ასმათი მოდის ნესტან—დარეჯანისგან და ტარიელს ჰგონია სამიჯნუროდ მოვიდაო:

„შევე, დავჯე ტახტსა ზედა; ქალი მოდგა ნოხთა პირსა,
ჩემსა ახლოს დასაჯდომლად თავი მისი არ აღირსა;
ვარქვი: „მანდა რად ზი შენ, თუ სიყვარული ჩემი გჭირსა?"
მან პასუხი არა მითხრა, ჩემთვის ჰგვანდა სიტყვა—ძვირსა."

ე.ი. ტარიელის გნეობა მას აღარ მოსწონდა, რამეთუ ტარიელს — ებრაელთა ერს — ერთი მიჯნური უნდა ჰყავდეს — შეხინა და ამ აზრს ბოლო სტროფი ამტკიცებს. ამ პერიოდში ბერძნებმა ძლიერ შერყვნეს ებრაელთა სულიერი კულტურა. იჭრებოდა ცხოველური უმწეობანი. მაგრამ ასმათს იმედი აქვს, რომ ტარიელი არ დაეცემა და შეეცდება გნეობამ გაიმარჯვოს.

„მითხრა: „დღე ეგე სირცხვილად, მედების გულსა ალობა:
გგონია ჩემგან წინაშე მაგისთვის მომავალობა,
მაგრამ აწ მიდებს იმედსა, შენგან ცდისაღა მალობა.
ამას თუ ღირს ვარ, ვერ ვიტყვი, მაკლია ღმრთისა წყალობა".

და გადასცემს ნესტან—დარეჯანის წიგნს.

## ნესტან-დარეჯანის მიერ დაეოძლერილი ებრაელთა ერის – ტარიელის გამარჯვება მაკაველთა წინამძღოლობით. დროებით აღდგენილი ისრაელის სახელმწიფო (ძ.წ. 167-67 წწ)

ამ წიგნიდან ჩანს, რომ როგორც საქართველოში* ისევე ისრაელში საგმირო საქმეებისკენ, სიკეთის გამარჯვებისაკენ, მამაკაცებს მდედრობითი არსი მოუწოდებს. მდედრობითმა არსმა იცის, რომ ტარიელის – ისრაელის უბედურების მიზეზი არის პერიფერიიდან შემოჭრილი უზნეობა და დამოუკიდებლობის დაკარგვა.

დამოუკიდებლობისთვის საბრძოლველად, მოძღვრავს იგი ყურებჩამოყრილ ტარიელს – ისრაელის ხალხს, ასმათის პირით. როცა ისრაელმა დაკარგა დამოუკიდებლობა, ერთი საუკუნე ბნელეთში იჯდა ტარიელი. შემდეგ უკვე სხვადასხვა დამპყრობლები სთელავდნენ იუდეას და იპრებოდა უზნეობა, ირყვნებოდა წმინდა სალოცავი. და ძ.წ. 167 წელს იფეთქა მაკაბელთა აჯანყებამ. 27 წლოვანი ომების შედეგად იუდეა ამარცხებს მტრებს და ძ.წ. 140 წელს იგი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქცა. ჩვენი აზრით ეს მოვლენებია შემდგომ აღწერილი:

„წიგნი ენახე, მისი იყო, ეისი მდაგავს ცეცხლი გულსა;
მოეწერა მზისა მუქსა: „ნუ დაიჩენ, ლომო, წყლულსა;
მე შენი ვარ, ნუ მოჰკვდები, მაგრა ბნედა ცუდი მძულსა.
აწ ასმათი მოგახსენებს ყველაკასა ჩემგან თქმულსა.

ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია?
სჯობს, საყვარელსა უჩვენნე საქმენი საგმირონია!
ხატაეთს მყოფნი ყოველნი ჩვენნი სახარჯონია,
აწ მათნი ჯავრნი ჩვენზედა ჩვენგან არ დასათმონია!

შენგან ჩემისა ქმრობისა წინასცა ვიყავ მნდომია,
მაგრა აქამდის საუბრად კვლა ჟამი არ მომხდომია,
ძოლან ხელ–ქმნილსა გიჭვრეტდი კუბოსა შიგან მჯდომია,
მანდა ყველაი მასმია, რაცა შენ გარდაგხდომია."

ე.ი. მდედრობითი არსი ზნეობრივი ცხოვრების წესის მოყვარული, უყურებს რა ტარიელის დაცემას, საერო საგმირო საქმეებისკენ მიუთითებს ტარიელს. მან იცის რომ სანამ იუდეას სხვა მართავს, იბერიული ცხოვრების წესი არ აღდგება და ტარიელს სულ ბნედები ექნება. მითუმეტეს არ მოხდება მათი სულიერი შეუღლება, რაც მდედრობითი არსის სურვილიც არის. ასეთი პერსპექტივა სტიმულს და ენერგიას აძლევს ტარიელს. ასეა აღწერილი აქ მაკაბელთა აჯანყება. ამ აჯანყების შემდგომ იყო რომ მეოთხედ გაისარა უფალმა. შეხინა ისევ ძველებურად გადმოსცემდა ნათელს ისრაელის სახელმწიფოს. (ცნობილია რომ მეხუთედ ეს გახარება იბერიული ცხოვრების წესის სრული აღდგენით, ნესტანის და ტარიელის ქორწილით დამთავრდება. სამუდამოდ დავანდება ზეციური ნათელი).

„მართლად გითხრობ, მომისმინე ესე, რაცა მოგახსენე:
წა, შევბი ხატაელთა, თავი კარგად გამაჩვენე;
გიჯობს, ცუდად ნუღარა სტირ, ვარდი კვლამცა რად დასტვენე?
მზემან მეტი რაღა გიყოს, აპა, ბნელი გაგითენე!"

მას მართლაც გაუნათდება ბნელი. ამის შემდეგ ტარიელი ფიზიკურად და სულიერად სასიკეთო საქმეების კეთებისათვის გარდაიქმნება. ნაწარმოებში კარგად ჩანს როგორ მოუბრუნდება ამის გამო გული ნესტანს. ადრე მისი ნახვისას ტარიელს ბნედა ემართებოდა, ნესტანიც დარწმუნდა, რომ ებრაელთა ბიბლიის მცნებებისადმი სიყვარული გულწრფელია. ისრაელი – ტარიელი თუ ცილდება ბიბლიას, იგი ავადდება და ეს ავადმყოფობა, ანუ უმოქმედობა სწორედ

---

*უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო სიტყვა იმასაც აღნიშნავს, რომ ქალების ზნეობის გამოა ეს ქვეყანა მცნებათა დამცველი. ქა–რთველი „ქა"–თი–ქალიდან" იწყება და მიტომაა აქ რთველი, მოსავალი გამორჩეული, საქ–ებარი სიტყვაც საქალეთიდან–საქართველოდან უნდა იყოს.

ნესტანის რისხვას იწვევს. ახლა კი უკვე მისი ნახვის საშუალება მისცა. ოღონდ ხმა ჯერ მაინც არ გასცა.

„ამიგდო ქალმან ფარდაგი მძიმე თავისა ძალითა,
სადა დგა კუბო შემკული ბალახშითა და ლალითა;
მიგან ჯდა იგი პირითა მზისაებრ ელვა-მკრთალითა,
მე შემომხედნის ლამაზად მის მელნის ტბისა თვალითა.

დიდხან ვდეგ და არა მითხრა სიტყვა მისსა მონასურსა,
ოდენ ტკბილად შემომხედნის ვითამცა რა შინაურსა;
ასმათ უხმო, მოიუბნეს; ქალი მოდგა, მითხრა ყურსა:
„აწ წადიო, ვერას გითხრობს", მე კელა მიმცა ალმან მურსა."

ხმა რომ გასცეს, ამას დამსახურება, იბერიული ცხოვრების წესის აღდგენა უნდა. შეიდი მხარე მაინც უნდა იყოს ისრაელში. ამიტომ ტარიელი – ბიბლიის ცხოვრების წესი, ისევ იბრუნებს თავის პოზიციებს, რაც ჩანს ლაშქრის მოწვევაში, რათა აღასრულოს ნესტანის დავალება. მკითხველს შევახსენებთ, რომ ხატაეთის მეფე რამაზი არ იღებს ტარიელის მოწვევას, რაც იმას ნიშნავს, რომ არ იზიარებს მნეობრივი ცხოვრების წესს.

ეს პერიოდი ისრაელში იოან პირვანის ძ.წ. (135–104) მბრძანებლობის წლები უნდა იყოს. მან სახელმწიფოს საზღვრები თითქმის სოლომონის დროინდელამდე გააფართოვა. ხატაეთის ქვეყანაში სამარიელები, ებრაელთა დაუძინებელი მტრები უნდა ვიგულისხმოთ. ამ ომით ისინი დაიმორჩილა იოანმა. გაანადგურა მათი ტაძრები და აიძულა მიეღოთ იუდეველთა სარწმუნოება. სწორედ ეს არის ასახული შემდგომ:

„ავმართე დროშა მეფისა, ალმითა წითელ-შავითა,
დილასა ებრძანე გამართვა ლაშქრითა უთვალავითა,
თავსა ვსტიროდი, ვიტყოდი ბედითა მეტად ავითა:
„მზე თუ არ ენახო, არ ვიცი, ვიარო ვითა და ვითა!"

ამით იგი იმსახურებს ნესტანის კეთილგანწყობილებას. ანუ გაფართოვდა ისრაელი. და შეიძლება აღდგეს დემოკრატიული მმართველობაც – მიწათმოქმედება ღმერთის მსახურებით ანუ ლოცვები და კეთილი საქმეები, რადგან ბარაქას მისცემს უფალი ისრაელს. იგი უკვე ესაუბრება ტარიელს:

„შევე, წავედეგ ნოხთა პირსა, მე დამიწყო ცეცხლმან შერეტად.
გულსა ბნელი განმინათლდა, ზედა ლხინი ადგა სვეტად.
მას ბალიში შემოვედო, მზისა შუქსა სჯობდა მეტად,
ჩემგან პირსა იფარვიდა, აიხედნის წამის ჭვრეტად.

უბრძანა, თუ: „მოასხსენე, ასმათ, დაჯდეს, ამირბარსა!"
მან ბალიში დამართებით დადვა მას მზედ საქებარსა,
დავჯე, მივეც გულსა ლხინი, საწუთროსა დამგმობარსა;
მიკვირს, სულნი რადღა მიდგან, ვიტყვი მისგან ნაუბარსა!

მიბრძანა: „ძოლან გეწყინა გაშვება უუბარისა,
მზემან გაყრითა დაგაჭნე, ვითა ყვავილი ბარისა:
დაგსჯიდა ღენა ცრემლისა, ნარგისთათ ნაგუბარისა,
მაგრა ხამს ჩემგან სირცხვილი და რიდი ამირბარისა."

პირველ სტროფში ისევ ჩანს, რომ ეს არის ზეციური მღვდრობითი არსი. მეორე სტროფი გვეუბნება იმ ჭეშმარიტებას, რომ მნეობრივი ცხოვრების წესი და მღვდრობითი არსი – შეხინა განუყრელნი არიან. ეს იმიტომ რომ ყველაფერი ზენაარიდან მოდის. ამას ადასტურებს შემდეგი სტროფიც:

„ერთმანერთისა, მას აქათ, რაცა ორთაეე ეიცითა,
აწცა მიცოდი საშენოდ მითეე პირითა მტკიცითა;
ამას შესჯერდი დიდითა ზენაარით და ფიცითა.
გეცრუო, ღმერთმან მიწა მქმნას, ნუმცა ცხრითაეე ეზი ცითა.

წა, შეები ხატაელთა, ილაშქრე და ინაპირე;
ღმერთმან ქმნას და გაგიმარჯედეს, მორჭმულიმცა ჩემ კერძ ირე!
მაგრა რა ექმნა, კელაცა ნახეა მომსედებოდეს შენი ეირე?
გული მომეც გაუყრელად, ჩემი შენთეის დაიჭირე."

იცის ტარიელმა, რომ იგი გაიმარჯვებს, ღმერთი მის მხარეს იქნება, რადგან ებრაელობა დამოუკიდებელია. დაამარცხა ბოროტება და იბერიელთა გენი მიილტვის აღიდგინოს ცხოვრების წესი. იცაეს მცნებებს, შედეგად გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევს, ამარცხებს ბოროტებას და ქველობასაც ჰპირდება ნესტანს. ეს შემდეგი სტროფიდანაც ჩანს:

„მოეახსენე: „არ მეწყალეის თაეი შენთეის დასაწეელად,
მაგრა რათგან დამარჩინე, არ გამოსჩნდი ჩემად მკლეელად,
შენ სინათლედ თეალთა ჩემთა მიჩნდე, მზეებრ სანახეელად,
აწ შეეება ხატაელთა, მუნ გამოეჩნდე ლომი ქეელად".

შემდეგი სტროფი გვეუბნება:

„ზედა წიგნსა საფიცარსა შეფპფიცე და შემომფიცა,
მისგან ჩემი სიყეარული ამით უფრო დაამტკიცა:
„უშენოსა მოწონება ვისიმცაო გულსა მიცა,
ღმერთი მომკლაეს, ამას იქით თაესა ეეტყეი, ამას ესწერთიცა".

ტარიელი ბიბლიაზე, ღმერთის წინაშე ეფიცება ერთგულებას, სიყეარულს მღედრობით არსს და ისიც თანადგომას, სიყეარულს ჰპირდება შემდეგ სტროფში:

„დაეყაე ხანი მას წინაშე, ერთმანერთსა ეეუბენით,
ეჭამეთ ამო ხილი რამე, სიტყეანიცა ტკბილნი ეთქეენით,
მერმე აედეგ წამოსაელად ტირილით და ცრემლთა დენით.
მისთა შუქთა შეენებანი, ნათლად მადგას გულსა ფენით".

აქ კარგად ჩანს შეხინის მეოთხედ დაეანება ებრაელთა სულიერ ტაძარში.

რა თქმა უნდა, სატირალი ტარიელს არაფერი აქეს. აქ უკეე მის მადლზეა ლაპარაკი. იმ მადლზე, რაც სწორი ცხოერების წესს მოაქეს, რომელსაც აეითარებდნენ ისრაელში იუდას მთამომაეალნი — ქოენები და ლეეიტები.

ამგეარად, ტარიელი და მასში განზოგადებული ისრაელის სახელმწიფო — ცსოერების წესი და ნესტანი — სიბრძნე, ებრძეიან ისრაელის გარემომცველ ბოროტებას. თორის სიბრძნეს ეწაფებიან გულით რათა აღიდგინონ ცხოერების წესი. ეს ბოროტება ნაწარმოებში ხატაელთა სახეშია გამოსახული. ჩვენ ეიცით, როგორ ვერაგობს ხატაელთა მეფე. იმეტებს ტარიელს სასიკედილოდ, მაგრამ სიკეთე ხომ უფალია ჩეენი. იგი ყოეელთეის მიმტეეებელია. ამიტომ მიუხედაეად ღალატისა, როცა ისრაელი — იბერიელი ერის სულიერება — ტარიელი — სიყეარული — მნეობა, ხატაელთა მეფეს დაატყვეეებს, ყეელანაირად ცდილობს, რომ ნესტანის მამამ — ინდოეთის მეფემ აპატიოს ღალატი:

„რამაზ მეფე მის წინაშე მეპყრობილი მოეიყეანე;
ტკბილად ნახა ხელმწიფემან, ეითა შეილი სააკეანე,
ორგული და მოღალატე ნამსახურსა დაეაგეანე,
ესე არის მამაცისა, მეტის—მეტი სიგულეანე!

მე ეპკადრე: „ღმერთი ეინათგან შეუნდობს შეცოდებულსა,
უყაეით თქეენცა წყალობა მას ღონე-გაცუდებულსა“.
რამამს უბრძანეს: „იცოდე, გაგვმაენით შეწყალებულსა,
მაგრა ნუ გნახაეთ კელაცაღა ჩეენს წინა გაწბილებულსა!“

საერთოდ ბიბლიის სამართალი მეტად შემწყნარებელია. იგი გვასწაელის მოწყალებას, ყოეელთეის უნდა ეეცადოთ ადამიანი გაეამართლოთ.

აი, რამხელა დიდსულოენება ახასიათებს სიკეთეს. მოღალატეს გაუშეებენ, მაგრამ ბოროტი არასოდეს არ პატიობს კეთილს, იგი ყველგან, სადაც შეუძლია, ლაჩრულად ესაფრდება მას და მისი სიკედილისთეის იბრძეის.

იუდეაში ტარიელის — ცხოერების წესის აღდგენის მცდელობის პერიოდი ორ ნაწილად იყოფა. ნაბუქოდონოსორის შემოსეეის მერე ებრაელობამ განამტკიცა რჯულის კანონები და რწმენა, მაგრამ აკლდათ მთაეარი — დამოუკიდებლობა. ამიტომ თანდათან ძლიერ ილახებოდა რწმენა. მაკაბელთა გამარჯეების მერე ებრაელები რეალურად რწმუნდებიან რომ როგორც ღმერთია ერთი, ასევე მხოლოდ ერთი სწაელებაა — მეცნიერებაა — თორა. მისი წესით თუ იცხოერებ გამარჯვებული, უკედავი ხარ. ვერც ერთი სხვა მეცნიერება ვერ ხსნის სამყაროს ქმნადობას, მის მოწყობას, სულის მარადიულობას. მხოლოდ უფალი განკარგავს ყოველდღიურ ჩეენს ყოფას. თუნდაც, როცა გეიბრუნებს სულს ძილის შემდეგ, ან ჩეენი დამსახურების დარად გეაძლეეს სურსათს, ძლეეამოსილებას. ამიტომ დაუღალაეად ეწაფებიან ამ მეცნიერებას. იქმნება შედეერები, კომენტარები, განმარტებები. ინერგებოდა იუდაიზმი და გამარჯეებას ბრძნული ომით აღწეედა ტარიელი. ეს ყოეელიეე რუსთაეელს ჩაცმულობაში აქეს გამოხატული — ეს ჩაცმულობა კი, როგორც უკეე აღენიშნეთ, უფლის მიერ არის დაწესებული. ებრაელს ყოეელთეის უნდა ეცეას ფოჩიანი კაბა, ანუ „ციცით კატანი“, ანუ პატარა ციცითი. ნიშნად იმისა, რომ იგი ასრულებს 10 მცნებას და 613 უმაღლესი ზნეობის კანონს. გარდა ფოჩიანი კაბისა, ანუ ციციტისა, ებრაელმა ყოეელდღე ლოცეისას ხელსა და შუბლზე თეალთა შორის უნდა შეიბას თეფილიმი — რადგან ასე მოძღერაეს უფალი მოშეს: „გქონდეს ხელზე ნიშნად და მონახაზად შენს თეალთა შორის, რამეთუ ძლიერი ხელით გამოგიყეანა უფალმა ეგეიპტიდან“. „გიყეარდეს უფალი, შენი ღმერთი, მთელი შენი გულით და მთელი სულით, მთელი შენი შეძლებით. და ეს სიტყეები, რომელსაც დღეს გამცნობ, გულში გქონდეს. შთააგონებდე შენს ძეებს და საუბრობდე მათ შესახებ სახლში ჯდომისას და შენი სელის ჟამს, გზაზე ოდეს შენ წეები და ოდეს შენ დგები. მიიბნიე ნიშნად ხელზე და სამკაულად შენ თვალთა შორის. წააწერე ისინი შენი სახლის ამყოლებს და კარებს.“

ეს დანერგა მეფემ ხატაეთში, სადაც არ იცაედნენ მცნებებს, რაც ჩანს შემდეგ სტროფში: „სხეა სტავრა, სხეა ატლასია, მერმე ყველაი დამოსა, იგი და მისი ხასია, შეწყალებული გაეზაენა, ეყო რისხეისა ფასია“. ხასი—ხასიდი ხომ წმინდანს, მორწმუნეს ნიშნაეს.

ყველას ჩააცეა მეფემ რწმენის ტანისამოსი, რაც ტარიელის დამსახურებაა. სწორედ ამას ამბობს ცოლთან ინდოეთის იმდროინდელი მეფე:

„იდუმალ ცოლსა ეუბნა, მართ ჩემგან უცოდნელია:
ომით მოსრული ტარიელ საჭერეტლად სასურეელია,
მან განანათლოს მჭერეტელთა გული, რაზომცა ბნელია,
რაცა დაგეედრო საქმნელად, ქმენ, არა საზოზღნელია.“

იგიეეს ამბობს ტარიელი:

„ჩემთა მჭერეტელთა მოეცეა ქალაქი, შუკა და ბანი,
ომ—გარდასდილსა მშეენოდეს მე ენიანნი კაბანი;
ფერმიხდილ—გეარად ემეენოდი ეარდი, ცრემლითა ნაბანი,
ეინცა მიჭერეტდის, ბნდებოდის, — მართლად არს, არ კატაბანი.“

„რიდენი რომე მეშოენეს ქალაქსა ხატაელთასა,
იგი მეხეიენეს, მშეენოდეს, ეახელებ გულსა ხელთასა.
მეფე გარდახდა, დარბაზსა შეეედით ჩემთა მზრდელთასა,
შეეხედენ, დაეპკრთი ელეასა ღაწეთა მზეებრ ნათელთასა.

მას მზესა ტანსა ემოსნეს ნარინჯის–ფერნი ჯუბანი,
ზურგით უთქს ჯარი ხადუმთა, დას–დასად, უბან–უბანი;
სრულად ნათლითა აევსო სახლი, მუკა და უბანი,
მენ ეარდსა მუა მეენოდეს ძოწ – მარგალიტნი ტყუბანი".

„ენიანი კაბანი" – ამ ორ სიტყვაშიც არის „ვეფხისტყაოსნის" არსის ახსნა. საერთოდ, ებრაელბს აქეთ ორი ციციტი – ერთი ზემოთ ნახსენები „ციცით კატანი", რომელსაც მუდმიეად ატარებენ და მეორე, ასევე ზოლიანი, უფრო დიდი წამოსასხამი „ციციტი", რომელსაც მხოლოდ ლოცვის დროს წამოისხამენ. ენიანი კაბანი დიდი ციციტია – ანუ ვეფხის ტყავეია, რომელიც ზოლიანია. რაკიდა ტარიელი ვეფხის ტყავეით, ანუ ციციტით არის, ე.ი. ებრაელობა მუდმიეად მლოცველნი არიან, სადაც არ უნდა წავიდნენ ისინი, მადლს აფრქევენ. გავიხსენოთ მტირალი, ანუ მადლის მფრქეეველი მოყმე, როსტევანმა და ავთანდილმა რომ ნახეს.

ბიბლიაში ნაწინასწარმეტყველია ებრაელთა გადახვეწა და სულიერი მზის – მიჯნურის ნესტანის ტყვეობა. ვეფხისტყავეი კი უნდა ეცვათ რათა ახსოვდეთ თორა, 613 მცნება ეგვიპტიდან გამოსვლისას უფლის სასწაულები, ასსოვდეთ როგორ გაიმარჯვეს ერთხელ ბნელზე და ესლაც ხელმეორედ უნდა გაიმარჯვონ. არ აყვნენ ქვენარე გრძნობებს ამაში მათ ქალები ესმარებიან. ჩვენ შეეხედებით სტროფს ტარიელი რომ ეუბნება ვეფხისტყავს ქალი – ასმათი მიკერავსო. ამგვარად ვერ მეფობს შესინა მიმდინარეობს ბრძოლა ბნელეთის წინააღმდეგ რაც გამარჯვებით დამთავრდება. მიტომ რომ აქეთ ებრაელებს – ვეფხისტყავი – რწმენა და ცოდნა.

მართალია, უფალმა უთხრა ებრაელებს, რომ „ცისფერი ძაფი ჩაატანონ კიდურა ფოჩს", მაგრამ ამ ფერადი ქსოვილის შეღებვის ტექნოლოგია ტაძრის დანერგვის შემდეგ დაიკარგა. ეს ტექნოლოგია მანამ არ გაირკვევა, სანამ არ აღდგება ძველი ტაძარი. ამიტომაც ტარიელს მხოლოდ ზოლიანი ვეფხის ტყავი აცეია. აქვე ტარიელი ეუბნება ავთანდილს, რომ ხატაეთს ნამოვნი უცხო მოსასხამი ეხვია. აქვეა შეხინის ჩაცმულობა და ანგელოზთა საკრებულო, რომელიც მას ზურგს უკან ედგა.

ყურადღება უნდა მიექცეს სტროფის ბოლო სტრიქონს, „მართლად არს, არ კატა–ბა–ნი". ბა–ს გარეშე ის არის კატანი – ანუ პატარა ციცითი, რომელიც „მართლად არს", ანუ მართლა ინერგება მცნებანი. ბა – არის თანდებული. ივრითულში აღნიშნავს, თუ რაშია ესა თუ ის, სულიერი თუ უსულო საგანი. ტარიელში მართლაც არის ბიბლიის ცოდნა და დაცვა, რასაც კატანი მიგვანიშნებს. ამავე დროს ყველა სტრიქონი ბანი–თ მთავრდება და ეს რითმულობას უწყობს ხელს.

აქ ერთ გარემოებასაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომ ომს – ტარიელის და ავთანდილის დონის ხალხი ძირითადად იგებს სიბრძნით – ენის, ბიბლიის მცნებათა დაცვით და არა კაცთა კელით. ასე უნდა გვესმოდეს ნაწარმოებში გადმოცემული ომები. ასე უნდა გვესმოდეს ბიბლიაც – თუნდაც ებრაელები რომ შედიან ქანაანში. მათ იმხელა რწმენა ჰქონდათ, რომ თუ რამ ბოროტება იყო იქ მცხოვრებში, ცოდნით განანათლეს და აღმოფხვრეს. გავიხსენოთ დავითის 44 ფსალმუნი დასტურად ჩვენი მსჯელობისა:

2. ღმერთო, ჩვენი ყურით მოვისმინეთ,
ჩვენი წინაპრები გვიამბობდნენ,
თუ რა საქმე მოიმოქმედე მათ დღეებში, უძველეს დროში.
3. შენ შენი ხელით განდევნე ხალხები, ხოლო ისინი დანერგე;
გაანადგურე ერები და განდევნე.
4. ვინაიდან მათ ხმლებით არ მოუპოვებიათ ქვეყანა,
და მათ მკლავებს არ დაუხსნიათ ისინი, არამედ
შენმა მარჯვენამ, შენმა მკლავმა და შენი სახის ნათელმა,
რამეთუ ისურვე ისინი.

ერი მაშინ ნადგურდება, როცა სალაპარაკო ენას ივიწყებს. იღებს იმ ენას, რომელიც კერპთაყვანისმცემლობას ქადაგებს და არ აღიარებს ბიბლიას, ანუ ერთ ღმერთს და ბიბლიის, ენის იმ ცოდნას, რომელიც მღედრობითია და რომელიც შვენის ომგადახდილ ტარიელს – თორას და ამიტომ აცვია მხოლოდ ენიანი კაბანი ტარიელს.

კერპთაყვანისმცემელთა მემკვიდრე „არისტროკრატია" - „ინტელექტუალები" – მეცნიერები – რწმენის – ბიბლიის ანუ ღმერთის და დამოკიდებლობის მოწინააღმდეგენი ანგრევენ ისრაელის სახელმწიფოს (ძ,წ, 67 ახ.წ.აღრ.70 წლები)

ღმერთის ძალამ აღგავა კერპთაყვანისმცემლობა, იმპერიული მისწრაფების ქვეყნები. მაგრამ ნაწარმოებიდან კარგად ჩანს ისრაელის რეალური ისტორია. კი მოხდა ხალხის განწმენდა, როცა შეეიდნენ ქანაანზე, მაგრამ იმპერიულმა საბერძნეთმა უდიდესი დაღი დაასვა ებრაელთა სამყაროს სულიერ კულტურას. ელინიზმი – ინტელექტუალთა მისწრაფება ცხოველურობისაკენ, საკუთარი მე–ს განდიდებისაკენ მოთხოვნილება გახდა პატარა იუდეას სახელმწიფოს გარეთ მცხოვრებთა და ამიტომაც ტერიტორიების შემოერთებით მაინც ვერ აღდგა იბერიული ცხოვრების წესი. აქ იბერიელთა ცხრა მტოს ნაცვლად სხვა სულიერი მისწრაფების ხალხი ცხოვრობდა.*

ერთი უმთავრესი ფაქტორიც იყო – მეფობა იაკობის და მოსეს კურთხევით უნდა ჰქონოდა დავითის შთამომავალს. მაკაბელებმა ეს არ გააკეთეს, თვითონ მიისაკუთრეს ტახტი და მათ ვერ შეძლეს ემართათ სახელმწიფო უფლის მცნებებით. ამ უდიდესი შეცდომისათვის, მიუხედავად მათი უდიდესი გმირობისა, ეს მტო არ გაამრავლა უფალმა, რაზეც ქვემოთ კიდევ ვისაუბრებთ. ყოველივე ამის გამო ვერ აღდგა საფუძველი იბერიული ცხოვრების წესის, ანუ როცა არის ხალხის მმართველობა, მართვა მისი რჩეულებით არის და გაყოფა–გაცემა – სტუმარ–მასპინძლობა – სიყვარული დაკარგულია. ეს ჩანს შემდეგი სტროფებიდან:

„დააგდეს მღერა მუტრიბთა, „სულეთო!", თავი ხარიან;
მიბრძანეს: „შეილო ტარიელ, ვით გითხრათ, ვით გვიხარიან?!
ნეტარძი გვაქვსო, მებრძოლნი მით ჩვენნი ვაგლახ არიან;
მართალან შენნი მჭვრეტელნი, არ ცუდად იმქვეხარიან.

აწ თუცა გემართებს შემოსა, ვის მორჭმით მოგივლენიან,
აწ შეგმოსთ, მაგა კაბათა არ აგხდით, ტურფად გშვენიან;
აწ გქონდეს ასი საჭურჭლე, ვის მუქნი მოგიფენიან,
თვით შეიკერე, რაცა გწადს, ჩვენგან ნუღარა გრცხვენიან".

პირველ სტროფში მეფე–დედოფალი შესჩივიან ტარიელს – მებრძოლნი აღარ გვიღარვიან და შენი მჭვრეტელნი შენ არ გვგვანან, მხოლოდ ცუდად იქვეხნიანო. ამიტომ ისინი მარტო ტოვებენ, ივიწყებენ ტარიელს – მნეობრივი ცხოვრების წესს. მდედრობითი არსი ნესტანი კი სიმტკიცისაკენ მოუწოდებს და მართლაც, ისრაელი იხსნა ხალხმა – ტარიელმა, და არა ისრაელის მეფემ. ისინი აჯანყდნენ, როცა თორის – მათი დედოფლის სიწმინდე ილახებოდა. ამისკენ ქალები მოუწოდებდნენ ისრაელთ. ეს ის პროცესია, როცა იუდეაში მორწმუნეებსა და ინტელიგენტებს – ელინური კულტურის მიმდევრებს შორის დაიწყო დაპირისპირება. იყო პერიოდი, როცა დაპირისპირება ალიკვეთა, რადგან გაიმარჯვეს მორწმუნეთ და ეს ნაბიჯი შეცამო გამართლებული იქნა, მაგრამ ამას უსწრებდა – ერის გახლეჩის პერიოდი, რომელიც დაიწყო მაშინ, როცა გარდაიცვალა იეუდა მაკაბი. შემდეგ ისრაელს მართავდნენ მისი ძმები და ისრაელში ჩამოყალიბდნენ ფარისები, თორის მცოდნენი, და სადუკები – ანუ არისტოკრატია.

ერის გახლეჩა მაშინ იწყება, როცა საზოგადოება ფენებად, კლასებად იყოფა. ამიტომ ეს იყო ერის გახლეჩის დასაწყისი. დამნაშავეენი, რა თქმა უნდა, მეორე მიმართულების ხალხი – არისტოკრატია იყო. მათ ბერძნებისგან გადმოყოლილი ხორციელი ნეტარებისკენ ლტოლვა

---

*ინტელექტუალობა და მათი მეცნიერება დაცილებული ბიბლიის მცნებებს, გზაა ღვთიური სულის დაუ-ილებისა და ცხოველური სულის მოთხოვნების აღსრულებისა. ღვთიური სული მაგალითია ღმერთის უსაზღვრო სიყვარულის, მისთვის თავდაუზოგავი ერთგულების, სიწმინდის. შედეგად ღვთის თვისება უსასრულო სიყვარულისა გადმოდის ადამიანზე. იგი ცდილობს მიუახლოვდეს მას, ანუ უსასრულობისაკენ მიილტვის მოყვასის ყველა სულიერის სიყვარულისას, რადგან განუზომელია მიუღწეველია უფლის სიყვარული მის მექმნილთა – მეილთა ადამიანის მოდგმისადმი. ამგვარად, ზრდა უფლის სიყვარულისა აბსოლუტურია ზრდისა მოყვასის სიყვარულისა. რა თქმა უნდა, ეს ცოდნით მოდის და ამიტომაც იბერიელობა ეს ცოდნაა უსასრულო სიყვარულისა, სიწმინდისა. დაცილდები ამ მოდგმას და ეფლობი ცხოველურ სიბინძურეში, უპრობასა და უზნეობაში, საკუთარი მე გაქცევს პატარა წერტილად კაცუნად, რომელსაც გაქრობა ელოდება.

ამგვარად, იბერიელობა – ტარიელობაა, ავთანდილობაა, ფრიდონობაა. ღვთისადმი უსაზღვრო სიყვარულია, ცოდნაა, სიწმინდე და მარადიული პარმონიული ნეტარებაა.

ჰქონდათ გამჯდარი. ერთ–ერთმა მეუემ ხასმინელიმ დაამყარა კავშირი არისტოკრატიასთან და ამავე დროს ეყრდნობოდა ფარისევს. უფრო მეტს მიაღწია მეუემ, რომელიც ქალი იყო და ერქვა შლომციონი (სალომეია – ალექსანდრა). იგი მხოლოდ ფარისევს ეყრდნობოდა. მაშინაც იუდეამ მიაღწია მაღალ სულიერ და ეკონომიკურ განვითარებას. აი, ეს პერიოდია აღწერილი ნაწარმოებში, როცა ზეცაში ტარიელს უწონებენ მმართველობას თორის მცოდნეთა დაწინაურებით. მაგრამ იგი გარდაიცვლება ძ.წ. 67–ში. ამის მერე შვილებს, ანუ ორ ძმას შორის გაჩაღდება ომი. ერთს აქვს არისტოკრატიის მხარდაჭერა, მეორეს – ხალხის და მლოცველებისა. ეს ორი ძმა მიდის იმ უმეცრებამდე, რომ მათ გასაშველებლად რომაელებს მიიპატიჟებენ და ძ.წ. 63–ში პომპეუსი შემოდის იერუსალიმში, რათა ვითომ მოაგვაროს კონფლიქტები. ასე დაიწყო რომაელთა ბატონობა. აი, რა მოიტანა დაპირისპირებამ (სხვათა შორის, საქართველოშიც ურწმუნო ინტელიგენციამ დააკარგვინა ნამდვილი (და არა ასლანდელი ფიქტიური) დამოუკიდებლობა ეროვნულ ხელისუფლებას). ჩვენ ვიცით, რომ ამის შედეგად ჩვენი წელთაღრიცხვის 70 წელს დაინგრა მეორე ტაძარი. ჩვენი აზრით, რუსთაველს ტარიელის მონათხრობში ეს პერიოდი აქვს აღწერილი. ამის დასტურია მეორე სტროფში რომ ტარიელს სხვა სამოსელს სთავაზობენ, თუმცა აღიარებენ, რომ რაც აცვია, ის შვენის მას. ტარიელიც, რა თქმა უნდა, ამ აზრისაა, იგი თორის ერთგული იქნება მუდამ. შემდეგ იწყება ჩვენ მიერ უკვე აღწერილი ქალბატონის მმართველობის პერიოდი:

„მომართვნეს ასნი კლიტენი ასთავე საჭურჭლეთანი;
თაყვანის–ვეც და დაელოცვნ დაელანი მათთა სვეთანი;
მაკოცეს, ადგეს ორნივე, თვით იგი მზენი მზეთანი,
რა გასცეს, ზომნი ვით გითხრნე ლამქართა სისავსეთანი!

კვლავცა დაჯდა მხიარული, მოიმატა სმა და მღერა;
კვლა გაგრძელდა ნადიმობა, ბარბითი და ჩანგთა ჟღერა.
დედოფალი წამოვიდა, შეეყარა მწუხრსა დღე რა.
ძილ–პირამდის სიხარულსა სიხარული ჰგვანდა ვერა."

მაგრამ დედოფალის მწუხრის დღის შეყრაში უნდა ვიგულისხმოთ ქალბატონ სალომეას გარდაცვალება. ეს ტარიელზეც მოქმედებს და ძმების დაპირისპირების გამო იგი ზნეობა – სწორი ცხოვრების წესი – ტყვედქმნილია, ანუ უმოძრაო შეიქმნება, რაც ჩანს შემდეგ სტროფში:

„ავიყარენით, მივეჭირდა სმა დოსტაქნისა მეტისა.
საწოლს შემოვე, შემექმნა ცნობა მართ ვითა რეტისა
ვალი არ მქონდა ტყვე–ქმნილსა, მე ამა ცეცხლთა შრეტისა.
მეგონებოდის, მალხენდის გონება მისგან ჰერეტისა".

აქ ჩანს, რომ ზომაზე მეტს სვამენ, ანუ კუჭის გადატვირთვა – უზნეობათა დანერგვა ხდება. ეს იწვევს ტარიელის, ანუ ბიბლიის ტყვედქმნილობას, რაც ძმების დაპირისპირების ბრალია. მანამდე კი ნესტანს მოსწონს ტარიელის ომით ქველობა, სიკეთის გამარჯვება და მათი სიყვარული უფრო და უფრო მტკიცდება, რადგან ამით ტარიელი ნესტანის – შეხინის სასიკეთო (ის, ვისთვისაც მოწოდებულია იგი მამაზეციერისგან) მოქმედებას აძლიერებს. მაგრამ ნესტანი ხედება, რომ ქვეყანა მაინც დაბლა მიდის და უგზავნის წიგნს ასმათის ხელით:

„წიგნი მომართვა, ჩავხედენ, პირისა თვმთა მთვნისა.
ეწერა: „ვნახე სიტურფე წყალ–ჯავარისა შენისა,
ომ–გარდახდილი შევნოდი, შენატვევები ცხენისა,
არ–ავი მიჩანს მიზეზი ჩემისა ცრემლთა დენისა.

ღმერთმან თუ მცა ენა ჩემი ქებად შენდა უშენოსა,
შენთვის მკვდარი, აღარ ვიტყვი, მაშა მომკლავ უშენოსა,
მზემან ლომსა ვარდ–ვიშერი ბაღჩას ბაღად უშენოსა,
შენმან მზემან, თავი ჩემი არვის მართებს უშენოსა!

თუცა მიგდის ღვარი ცრემლთა, მაგრა ცუდად არ იდენო,
ამას იქით ნუღარ იდენ, გულსა ჭირსი არიდენო;
შენნი მჭვრეტნი ჩემთა მჭვრეტთა აგინებენ, არ იდენო;
რომე წყლან მოგეხვიენეს, იგი ჩემთვის არიდენო

იგი მე მომცენ რიდენი, რომელნი წყლან გშვენოდეს,
რა მნახო, მენცა გვამოს, მენევლითა მშვენოდეს;
ესე სამკლავე შეიბი, თუ ჩემი გა–და–გვლენოდეს;
ერთი ასეთი ცოცხალსა სხვა ღამე არ გაგთენოდეს".

პირველ სტროფში იგი ეუბნება, რომ ჩემი მადლი მოელენილა თქვენს ქვეყანას. მაგრამ არ არის სწორი ცხოვრების წესი. ამიტომ იგი აგრძელებს „არ–ავი მიჩანს მიჩეში ჩემისა ცრემლთა დენისა". მღვდრობიისმა არსმა იცის რომ ეს წესი დავითის შთამომავალმა უნდა დაამყაროს. იგი კი, ვიცით, არ აღდგა მეფედ. ამიტომ მეორე სტროფში მოძღვრავს ტარიელს – ანუ მლოცველ ებრაელებს, გააგრძელონ ბიბლიის სწავლა და ეუბნება, შენს გარდა, ანუ ბიბლიის მცნებათა დამცველი ცხოვრების წესის, ებრაელთა გარდა, მიჯნური არ ვიქნები – „თავი ჩემი არვის მართებს უშენოსა".

ებრაელებმა ვერ დაამყარეს ის ცხოვრების წესი, რაც მცნებების დაცვაა, ერთობაა, რითაც იყვნენ ისინი ძლევამოსილნი. თუ მცნებებს არ იცავ დაპირისპირებაა, გაქლდება ძლევამოსილება და დამპყრობლები ეძალებიან იუდეას. ეს რომ არ მოხდეს, ისინი უკვე მფარველს ეძებენ რომელიმე იმპერიის სახით და იღიწყებენ უფლის გზას. ამიტომ ეტყობა, ზეცაში უკვე გადაწყვეტილია, რომ ისრაელთა სახელმწიფოს გადარჩენისათვის აღარ იზრუნონ, რადგან ყოველივე ფუჭია. ერმა თვითონ უნდა შეიგნოს, რას კარგავს და რას ებღაუჭება.

ამასთანავე, ეტყობა, გადაწყდა, რომ ბოროტების აღმოფხვრა უნდა მოხდეს ბოროტების სამჭედლოშივე, ბიბლიის გავრცელებით მათ სახელმწიფოებში. ამიტომ ებრაელებმა უნდა შეასრულონ სამყაროში ცოდნის შეტანის მისია. ბიბლიის გავრცელებით. მესამე სტროფში იგი აფრთხილებს, რომ შენ ნუღარ ანთხევ შენს მადლს და თავს გაუფრთხილდი, რადგან ინერგება დაპირისპირება – ამ შემთხვევაში მცნების დაცვა, მხოლოდ მოშიშობით ხდება და არა გულით, რაც ჩანს სიტყვებში „შენნი მჭვრეტნი ჩემთა მჭვრეტთა აგინებენ", ანუ დაპირისპირებული ხალხი ბილწავს თორის და შეხინის სიწმინდეს. მეოთხე სტროფში ხდება ტანსაცმლის გაცვლა. ტარიელი ციცინთან ერთად უცხო შავ მოსასხამს უგზავნის ნესტან–დარეჯანს. რატომ ხდება ეს? ჩვენ ვიცით, შავი ფერი შეესაბამება სასჯელს, განმარტოებას, სიბნელეს, განდევნილობას, ტანჯვას – ის, რაც ელის შეხინას და ებრაელთა ერს, თუ არ დაიცავენ მცნებებს. იგი ასევე აფრთხილებს ებრაელებს – ტარიელს, რომ თუ არ მოეგებიან გონს, დაინგრევა ტაძარი. და ამ პერიოდში იღიწყება ციცითის ცისფერი ძაფის შეღებავის ტექნოლოგია კიდურა ფოჩთან. ეს ფერი იცის, ახსოვს მესიას – ტარიელს და როცა აღდგება მესამე ტაძარი, მერე გამოაჩენს ამ ფერს. მაგრამ ებრაელებს ყოველდღე უნდა ახსოვდეთ ღმერთი და ამიტომ უგზავნის თეფილიმს, ანუ სამკლავურს, რომ მკლავზე შეიბას ყოველი დილის ლოცვისას, რათა მუდამ ახსოვდეს უფალი, მისი ძლიერი ხელი. ამავე დროს, მისი ციცითი ხდება ვეფხის ტყავი, ანუ თეთრი და შავი ზოლები:

„ასმათის ნასვა მეამა, ჩემგან დად საესავისა,
წიგნი რა ენახე, მომართვა ესე საბამი მკლავისა.
მკლავსა შევიბი მაშინვე, მოვიხსენ რიდე თავისა,
იგი უცხო და ღარიბი, მტკიცისა რასმე შავისა".

„უცხო და ღარიბი", ის, რაც ხატაელთა წესია, რომ ჰქონდეს ტარიელს, შეხინას არ უნდა. ტარიელიც გრძნობს საკუთარ დაძაბუნებას, რაც გამოიხატება ხალხის მიერ ბიბლიური წესებით ცხოვრების გზის უარყოფაში:

„მიეუწერე: „მზეო, მუქი შენი, შენგან მონაფენი,
გულსა მეცა, გამიცუდდეს სიჩაუქე–სიალფენი;
ხელმან შენნი გავიცადენ სინატიფე–სიტურფენი,
სულთა ნაცვლად სამსახურნი რამცა ვითა გიმუქფენი?!

განაღამცა ეიწინაშე, აჰა რიდე, რომე მთხოეე;
ყაბაჩაცა ასეთიეე, ამისებრი ვერა ეპოვე;
დაბნედილსა ნუ დამაგდებ, მიშეელე რა, მარგე, მიეე;
სოფელს მყოფსა უშენოსა კაცსა ვისმცა შეეეპოვე!"

ტარიელის სიცოცხლე – ბიბლიის მცნებათა დაცვაა, იგი ხედება, რომ ტაძარი იბილწება, ამიტომ იგი სთხოვს ზეციურ არსს დაბნედილსა ნუ დამაგდებო. მართლაც, ტარიელის ცხოვრების წესი – მცნებების დაცვა მისაღები არ ხდება, რადგან ძმებში და ერში დაპირისპირებაა და როგორც უკვე ითქვა ისინი მშველელს რომაელში ეძებენ. ანუ იმდროინდელი ხელისუფალნი იმპერიული რომის ცხოვრების წესს აღიარებენ. ეს ნაწარმოებში გამოიხატა ხელისუფალთა მიერ ნესტანის სასიძოს, ანუ ახალი ცხოვრების წესის ძებნაში, რასაც ეუბნებიან მეფე და დედოფალი ტარიელს:

„გეიბრძანეს, თუ: „ღმერთმან ასრე დაგვეაბერნა, და–ცა–გვლია;
ჟამი გვეახლაეს სიბერისა, სიყმაწვილე გარდგვეიელია;
ყმა არ მოგვეცა, ქალი გვეიეს, ვისგან მუქი არ გვეაკლია,
ყმისა არ–სმა არად გვეგავა, ამად ზედა წაგვეითელია.

აწ ქალისა ჩვენისათვის ქმარი გვინდა, სად მოვნახოთ,
რომე მიესცეთ ტახტი ჩვენი, სახედ ჩვენად გამოვსახოთ,
სამეფოსა ვაპატრონოთ, სახელმწიფო შევანახოთ,
არ ამოვწყდეთ, მტერთა ჩვენთა ხრმალი ჩვენთვის არ ვამახოთ!"

პირველი სტროფი გვამცნობს, რომ დაილალა და დაბერდა იუდეას სახელმწიფო. მარტო ჩვენ მცნებათა დაცვით გვიჭირს ცხოვრებაო. გასაგებია, ისინი გარემოცულნი იყვნენ კერპთაყვანისმცემელი ქვეყნებით, მაგრამ მცნებები რომ დაეცვათ, დაუმარცხებელნი იქნებოდნენ. მესამე სტრიქონში ჩანს, რომ ისრაელმა ხალხმა – მეფემ, რომელმაც იქორწინა თორასთან, ვერ შობა ყრმა, იბერიული ცხოვრების წესი, ტარიელი, რომელიც დაიცავდა მცნებებს, ანუ ექნებოდა ჭეშმარიტი დემოკრატიული მმართველობა, იბერიული ცხოვრების წესისა. (გავიხსენოთ ტარიელს ხომ ყმად ზრდიდნენ, ხომ არ ესვა ყრმა მეფესა) ამ შემთხვევაში ეს ყმა ღირსი იქნებოდა ნესტან–დარეჯანთან ქორწინებისა, თუმცა აქვთ თორა ქალი – ვისგან მუქი არ აკლიათ – ანუ ბარაქას აძლევს ნესტანი სახელმწიფოს. ამის გამო, ისინი ფიქრობენ სხვა ყმასთან, ანუ გარედან მოსულ უზნეო ცხოვრების წესთან დააქორწინონ ის, ვინც ბარაქას აძლევს მათ. მათ იმედი აქვთ, რომ მღვდრობითი არსი წყალობას არ მოაკლებს, რადგან რომაელთა მოწვევის შემთხვევამიც დაიცავენ მათი მუქის თორის მცნებებს. მათ სურდათ ეს მეომარი სახელმწიფო მათ ზნეობაზე მოექციათ „და ისინი სახედ ჩვენად გამოვსახოთ"–ო, ანუ ჩვენი ცხოვრების წესი იუდეიზმზე, მონოთეიზმზე მოვაქციოთ, რათა არ ამოვწყდეთ ომებშიო.

აქ ორი პარალელი შეიძლება გაივლოს. როსტევანიც ამას ჩივის დავბერდიო, მაგრამ მშველელის ძებნა არ დაუწყია. მან პირიქით, უფრო გაამყარა ენაზე დაფუძნებული ზნეობრივი იბერიული ცხოვრების წესი – ავთანდილი. გახადა რა საქართველოს კონსტიტუცია ენასთან ერთად ბიბლია, რადგან გარე ხალხისთვის ეს უკანასკნელი უფრო იყო ხელმისაწვდომი. ხოლო ისრაელმა დაიწყო მშველელის ძებნა და თითქმის უარს ამბობს ტარიელზე. მათ დაკარგეს იბერიული ცხოვრების წესი. და ახლა უნდათ სამუდამოდ აკრძალონ იგი. თუმცა თავს ისე წარმოაჩენენ თითქოს პირიქით ილვწიან.

მეორე პარალელი კი ისაა, რომ ვახტანგ VI პერიოდამდე კი გაუძლო ქართველმა ერმა, მაგრამ ბოლოს იგივე შეცდომა ჩვენც გავიმეორეთ, როცა მშველელი რუსში მოვძებნეთ. ოღონდ ჩვენ მართლა მოვტყუვდით და პირველი, რაც მათ გააკეთეს, მაშინვე გაგვიუქმეს ცხოვრების წესი. და, მართლაც, როგორ ჰგავს იმდროინდელი ისრაელის ისტორია ბოლო წლების საქართველოს ისტორიას, როცა ომებისგან დაღლილებმა მშველელს მოვუხმეთ და რუსეთის მონობაში ჩავიგდეთ თავი. თუმცა მღვდრობითი არსი მაინც ჩვენთანაა, რადგან ჯერ კიდევ გვაქვს ზნეობა, გენეტიკა და, რაც მთავარია, ქართული ენა. ამიტომაა, რომ საქართველო იცავს ენაში ჩად-

ბულ მნეობრივ კანონებს, ხოლო ისრაელი ვერ იცავს თორაში ჩადებულ მცნებებს. გავიხსენოთ, რომ როსტევანმა მისცა თავის ქალიშვილს მეფობა, ხოლო ფარსადანმა — ვერა.

ამ თათბირზე ტარიელმა, ანუ მცნებათა დამცველმა ებრაელობამ ვერაფერი თქვა. ან ვერარა გააწყო ინტელექტუალურობის გამო მონური მნეობის ფენასთან. გამბედაობა ყოველთვის უნდა ჰქონდეს კაცს, ამას გვასწავლის რუსთაველიც და ნესტან–დარეჯანმაც ეს დუმილი სწორედაც ღალატად მიიჩნია,* ტარიელის, ანუ მორწმუნე ისრაელის ხალხის, რომელიც თორაზე დაქორწინდა. სხვა სიძე, სხვა მმართველობა, ნესტანისთვის, ანუ შეხინისათვის, ვინც მოსეშ დაავანა კიდობანში, არ უნდა ეკადრებინათ. თუმცა მათ ისიც იცოდნენ, რომ უზნეობასთან უმაღლესი სულიერება ვერ შეუღლდება. მართლაც ეს ღვთის ღალატი იყო, რაც შესაბამისად აისახა ნესტან–დარეჯანის შემდგომ მოქმედებაში:

„მეტმან სევდამან მიმწურა გულსა დაცემად დანისად.
ასმათის მონა შემოდგა, მე ეჯე ლაღი და ჯანი სად,
წიგნი მომართვა, ეწერა: „ვინ სჩან ალვისა ტანისად,
ადრე მოდიო, გიბრძანებს, დაუყოვნებლად ხამისად“.

„ვინ სჩანს ალვისა ტანისად“ ბრჭყალებში იმიტომაა, რომ შენ მხოლოდ სჩანხარ, სინამდვილეში არ ყოფილხარ სწორი ცხოვრების წესის — მიწათმოქმედების ღირსი. ტარიელი მასთან შეხვედრას ასე აღწერს:

„ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირ–გამეხებული,
არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, სე ალვა, ედემს ხებული;
ასმათმან დამსვა შორს — გვარად მულსა მე ლახვარ–ხებული;
მერმე წამოჯდა წარბ–შერჭმით, გამწყრალი, გარისხებული.“

ნესტანი ემდურის და უხსნის ტარიელს მისი მოქმედების შედეგს:

„შენ არ იცი ხვარაზმშასი საქმროდ ჩემად მოყვანება?!
შენ ჯდომილხარ სავაზიროდ, შენი რთულა ამას ნება,
შენ გასტეხე ფიცი ჩემი, სიმტკიცე და იგი მცნება,
ღმერთმან ქმნა და დაგირჩინა ცუდად შენი ხელოვნება!“

აქ მეციური არსი უფლის ენით ლაპარაკობს. იგი ტარიელში კიცხავს ებრაელთა ერს, რომელთაც იმ დროინდელ ხელისუფალთ თანხმობა მისცეს უცხო ქვეყნის მმართველობაზე. იმ ქვეყნის, რომელსაც არა სწამს ბიბლია — თორა.

შემდეგ სტროფებში იგი უფრო კიცხავს მას და ბოლოს ეუბნება იმ სიმართლეს, რაც უფლის მიერ გადაწყვეტილია ისრაელის სახელმწიფოს მიმართ:

„ცოცხალ ვიყო, შენ ინდოეთს, ღმერთო, ხანი ვერა დაჰყო!
თუ ეცადო დაყოფასა, ხორცთა შენთა სული გაჰყო!
სხვა ჩემებრი ვერა ჰპოვო, ცათამდისცა ხელი აჰყო!“
ესე სიტყვა დაასრულა, ყმა ატირდა, სულთქმნა, აჰ–ყო.“

ე.ი. ტარიელი — ისრაელობა აღარ დარჩება, ვინც დარჩება, გარდაიცვლება, რადგან მცნებებს ველარ დაიცავს. ანუ იუდეა აღარ იქნება. ეს ყოველივე ახდა, რადგან, როცა იმპერია ვმართავს, იბერიული ცხოვრების წესის აღდგენაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ის თავისი ინტელექტუალ — მეცნიერებით ყოველთვის თიშავს, ყოფს და აპირისპირებს ერს და ასე მართავს სახელმწიფოს. ეს კი სულიერების მოშლას ნიშნავს. და სწორედ ეს დაპირისპირება არ აპატია გამჩენმა ებრაელებს. რაკილა არ უნდოდა, რომ მათ სულიერება, იბერიული გენეტიკა დაეკარგათ და ებრაელთა ერი აღგვილიყო, ამიტომ აყარა ისინი, მოაცილა იმ გარემოს, სადაც ეს პროცესი მიმდინარეობდა და პირწმინდად გაიდევნენ ისინი ისრაელის მიწიდან.

*ამას გვასწავლის ენაც როგორც გ. რობაქიძე, აღნიშნავდა, გამ–ბედავი–ბედს ეწევა.

რუსთაველმა ნაწარმოებში აღწერა ისრაელის ისტორია. როცა გამჩენმა აპატია ადრე ჩადენილი უგნეობა, რელიგიიდან განდგომა, კაცის კელაც და ახლა, როცა მორწმუნენი გახდნენ, დაუპირისპირდნენ ურთიერთს – რაც სიყვარულის საწინააღმდეგო მოქმედებაა. ეს უკვე აღარ აპტია უფალმა.

მთავარი ის იბერიული ცხოვრების წესია, რაც უფალმა მოგვცა, რათა ყოველ ადამიანს ჰქონდეს ცოტა დოზით მაინც მისი ჩვეევები: გაცემა–გაყოფა–სიყვარული და მოქმედებდნენ სიკეთით. ამ მოძღვრებათა დაცვის გარეშე, უსიყვარულოდ მარტო ლოცვას არავითარი ძალა და მნიშვნელობა არა აქვს. აი, რა გამოიწვია ინტელექტუალთა გაერთიანებამ, რომელნიც დაუპირისპირდნენ მლოცველებს. ამას გამოყოფს რუსთაველის გენია ამ ნაწარმოებში და სამყაროში ამ დაპირისპირების, იქნება ის რელიგიური თუ სხვა, მოსპობისკენ მოგვიწოდებს, რათა გამოვლინდეს მესია, რამიც შემდგომ დავრწმუნდებით.

ტარიელი – მორწმუნე ებრაელთა ერი, რომ ნაკლებდამნაშავეა ამ საქმეში და რომ ბრალი ხელისუფლებას, გეოპოლიტიკის წარმართველთ მიუძღვის, ამის დამტკიცებას ცდილობს ტარიელი მისი მიჯნურისთვის, რომელიც ჯერ ღმერთის მაქებარია და მერე მათი:

„შევხვედრ, ენახე სასთუნალ მუსაფი გაშლით მდებარე,
ავიღე, ავდევ მე ღმრთისა და მერმე მათი მქებარე,
ეპკადრე, თუ: „მზეო, დაგიწვავ, ჩემიცა დაწვი მზე ბარე,
რათგან არ მომკალ, პასუხი ერთაი გკადრო მე ბარე."

მუსაფი – ვიცით რომ, ეს არის წიგნი, რომელსაც კითხულობენ ებრაელები ლოცვისას. ამით ტარიელი ახერხებს დაარწმუნოს, რომ ის ღმერთის და შემდეგ მათი, ანუ შეხინის და ღვთის ანგელოზთა მაქებარია. აქაც ჩანს, რომ ნესტანი მღედრობითი არსია. შედეგად ტარიელი გულს მოულბობს მდედრობით არსს. მართლაც, მხოლოდ უმოქმედობა იყო ტარიელის დანაშაული და არა რწმენის ღალატი. ამიტომ ნესტანი უპასუხებს:

„არ დავიჯერებ მე შენსა ღალატსა, ორგულობასა,
უარის ქმნასა ღმრთისასა, ამისთვის არ მადლობასა;
იაჯდი თავსა ჩემსა და მორჭმით ინდოეთს ფლობასა!
მე და შენ დაესხდეთ ხელმწიფედ, სჯობს ყოვლსა სიძე–სძლობასა.

მოლმობიერდა, მომიტკბა, გამწყრალი, გამქისებული,
ანუ მზე იყო ქვეყანად, ან მთვარე პირ–გაესებული;
ახლოს დამისვა, მაღირსა აქამდის არ–ღირსებული;
მეუბნებოდა, დამივსო ცეცხლი ამითა გზებული.

მიბრძანა, თუ „გონიერი ხამს აროდეს არ აჩქარდეს,
რაცა სჯობდეს, მოაგვაროს, საწუთროსა დაუწყნარდეს;
თუ სასიძო არ მოუშვა, ვა თუ მეფე გაგიმწარდეს,
შენ და იგი წაიკიდნეთ, ინდოეთი გარდაქარდეს!

კვლა თუ სიძე შემოუშვა, მე შემირთოს, იყოს ასდენ,
ერთმანერთსა გავეყარნეთ, ძოწეულნი გაგვიფლასდენ,
მათ მორჭმულთა მოივლინონ, ჩვენ პატიჟნი გაგვეიასდენ,
ესე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გაგვეიხასდენ".

პირველი სტროფის ორი სტრიქონი გვეუბნება, რომ ღმერთის, მდედრობითი არსის ღალატი და მცნებების არ დაცვა ერთი და იგივეა. და იგი არ იჯერებს, რომ ისრაელს, ებრაელთა ერს შეუძლია ეს გააკეთოს. დაივიწყოს უფლის სასწაულები, ამაგი. ამგვარად, უფრო მტკიცდება კავშირი ისრაელს – მორწმუნეთა და ღმერთს შორის. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო დაცემისკენ მიექანება, ხელმწიფედ მაინც არიან მორწმუნეები და მდედრობითი არსი. იგი – შეხინა მუდამ მათთანაა და მფარველობს. შემდეგ კუპლეტებიდან კი ჩანს, რომ გამორიცხულია ნესტანის უგნეობასთან შეუღლება და მისი მადლი მათთვის. სხვათა შორის, ეს ისრაელის ისტორიამაც დაამტკიცა. როცა ებრაელები წავიდნენ, ქვეყანა ხრიოკად, უდაბნოდ იქცა.

მღვდრობითი ასე ამთავრებს, რომ სპარსნი ვერ გახდებიან ხასიდები ანუ იბერიელები – ისრაელები და ამიტომაც გამორიცხულია მისი მათთან შეუღლება – კავშირი. შემდეგ ნესტანი არიგებს ტარიელს, როგორ აიცილოს იმპერიასთან შეერთება ისრაელმა, რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლით.

„მიბრძანა, თუ: „ხამს დიაცი დიაცურად, საქმე–ღედლად,
დიდსა სისხლსა ვერ შეგაქნევ, ვერ ეიქმნები შუა კედლად:
რა მოეიდეს სიძე, მოკალ, მისთა სპათა აუწყეედლად.
ქმნა მართლისა სამართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად."

შემდეგ ეუბნება, როგორ იღვაწოს ტარიელმა – ზნეობამ, რომ შეუღლდეს ნესტანი მასთან.
მართალია, ისრაელს მაგრად ემძლავრება ბოროტება და მარწუხებში აქცევს, მაგრამ იმ ბარაქას, რაც ისრაელს ჰქონდა ნესტან–დარეჯანისგან, იგი ვერ ეღირსება. რადგან შეუთავსებელია ნესტანის სიყვარული და ბოროტება, ამიტომ აკვლევინებს ტარიელს სიძეს.
მკითხველი ალბათ ხვდება, რომ სასიძოს სიკვდილი არაა ვინმე კონკრეტული პიროვნების სიკვდილი. სასიძოს მოკვლა თორის მორწმუნე ხალხის დამოკიდებულებისკენ სწრაფვაა, რაც შემდგომ ისრაელის ხალხის თვისებამიც გამოიხატება. ზ. გამსახურდია განმარტავს (იქვე გვ. 276), „სასიძო არის ქვენარე საწყისი, რომელიც ცდილობს ზემთაცნობიერების, ზემთაგონების ყურადღების მიპყრობას, – მის დაუფლებას, თავის სფერომდე, თავის დონემდე დაყვანას". ანუ ადამიანის ცხოველური, იმპერიული მისწრაფებები, რომელიც ცდილობს მილიონების კუთვნილი მიწა – მამული მიითვისოს და მილიონები მონებად პყავდეს, და ამოძირკვოს სიკეთის – იბერიული გენეტიკა სულიერება. კეთილი საქმეები ბოროტით შეცვალოს და ასე დაეუფლოს ნესტანს. ზემოცნობიერების სახით პყავდეს შუამავალი ღმერთთან, რათა ჰქონდეს კარგი ამინდი და ბარაქა. მაგრამ ეს უგუნურნი ვერ ხვდებიან, რომ თუ არ ექნა ადამიანს ადამიანის სიყვარული, მიწა–მამულის გაყოფა – ნესტან–დარეჯანი ვერ და არ შეეწევა მათ, ექნებათ სიდუხჭირე და ავადმყოფობა, ეკოლოგიური კატასტროფები.
იგივე მეორდება შემდგომ, როცა ნესტანი თითქოს სხვა ბოროტთა ტყვეობაში ხვდება. მასზე დაქორწინებას ცდილობენ, ასევე მელიქ სუხნავი და ქაჯეთის სეფენელ როსანი, მაგრამ იგი მათთვის მიუწვდომელი რჩება. აქ არის იმის ახსნა, თუ ძველ მისტერიებში როგორ და რატომ იტაცებდნენ იმპერიელები ქალს და რატომ იყო, რომ ვერ ეუფლებოდნენ იმ ბარაქას, სიმდიდრეს, რაც ჰქონდა მხოლოდ ისრაელს და საქართველოს.
თუ არა გაქვს ქალის, დედის სიყვარული, არ გაქვს სიკეთე, ბოროტთან შეხინა ისევე შეუთავსებელია როგორც წყალი და ცხიმი. ბარაქას – სიმდიდრეს რომ დაეუფლო, თვითონაც კეთილი უნდა გახდე, რაც მცნებების დაცვით ხდება.
ნაწარმოებში ჩანს საქართველოს სიკეთის ფუნქციაც. აქ მეფეც და ხალხიც ერთიანია, ენა მათი გენეტიკაა და საქართველოს ვერ ეძალება, ვერ ერევა ბოროტი: შეიძლება შეცვალო იბერიელთა მართველობის ცხოვრების წესი, მაგრამ ქართველთა სულიერი კულტურის სამრდოს, ენას ვერ შეცვლი, ქართველს სხვა ენაზე ვერ ალაპარაკებ. ენა – მისი სული ქართველთა სულიერების – გენეტიკის – სიკეთის განმაპირობებელია და ამიტომაც ამ ენით მუდამ უცბად აღიდგენ იბერიულ ცხოვრების წესს დამოუკიდებლობის შემთხვევაში. ამიტომაა, რომ საქართველო რჩება იმ სიკეთის ციტადელად, მიწათმოქმედთა ქვეყნად, რომელმაც უნდა ასწავლოს სამყაროს, ხალხებს, როგორ შეიქმნება ჰარმონიული სამყარო. ამიტომ თინათინი – შეხინა, მუდამ მფარველობს საქართველოს, ანუ მეფედ ზის საქართველოში. ამავე დროს, თინათინი და ავთანდილი განასახიერებენ საქართველოს მისიას, დახმარებას ხალხთა საკეთილდღეოდ – იგივე იბერიელების მიერ მიღებულ ტარიელის – ბიბლიის მცნებების დანერგვით საქართველოს საზღვრებში და საზღვარგარეთ.
ამგვარად, ქალთა მემკვიდრეობა, ორივე სახელმწიფოში განასახიერებს სიკეთეს, ცოდნას, რწმენის მცნებათა დაცვას. ისრაელში – ტარიელში, მცნებათა დაცვა ჭირს – ამიტომაც იტანჯება. ამ ტანჯვის აღმოფხვრისათვის იღვწის საქართველო – ავთანდილის სახით. ამავე დროს, არცთუ ტყუილად არის ინდოეთთან გაიგივებული ისრაელი. ნესტანის მსგავსება თინათინთან ჩანს, როცა ტარიელი მასთან შედის:
„მზე ველარას ქმნის მის მეტსა, მას განენათლა რომ არე".

იმდროინდელი მეფის ხელისუფლებას, ტარიელის მიერ ხვარაზმშას შაჰის მკვლელობა (რაც გამოიხატება ისრაელი ერის წინააღმდეგობაში, რათა არ შეუერთდნენ რომაელებს), არ სიამოვნებთ. ნაწარმოებში იგი ტარიელს კაცებს უგზავნის:

„ცისკრად ავდგა, შევეკაზმე, რა გათენდა ღამე დილად,
ვნახენ სამნი დიდებულნი მეფისაგან მოგზავნილად;
ებრძანა, თუ: „ღმერთმან იცის, გამეზარდე ვითა შვილად,
ჩემი ასრე რად შესცვალე სისარული სიმძიმილად?

ხვარაზმშას სისხლი უბრალო სახლად რად დამადებინე?
თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა შემაგებინე?
მე, ბერსა შენსა გამზრდელსა, სიცოცხლე მაარმებინე,
დღედ სიკვდილამდის შენიცა თავი არ მაახლებინე!"

ტარიელი ასე პასუხობს:

„მე შევუთვალე: „მეფეო, ვარ უმაგრესი რჯულისა,
თვარა რად მიშლის სიკვდილსა, ცეცხლი სირცხვილთა ალისა?
მაგრა, თვით იცით, ხელმწიფე სამს მქნელი სამართალისა,
მე, თქვენმან მზემან, მაშორის ნდომა თქვენისა ქალისა!

იცით, ინდოთა სამეფო რაზომი სრა–საჯდომია! —
ერთიღა მე ვარ მემკვიდრე, — ყველაი თქვენ მოგხდომია:
ამოწყდა მათი ყველაი, მამული თქვენ დაგრჩომია!
დღესამდის ტახტი უჩემოდ არავის არ მონდომია!"

პირველი სტროფის პირველ სტრიქონში („ვარ უმაგრესი რჯულისა.") ჩანს, რომ ტარიელი – სწორი ცხოვრების წესი დაუმარცხებელია და იგი მუდამ სამართლიანად იქცევა, ხოლო ისრაელის მეფეს, ვინც მცნებებს არ იცავს, ტარიელი ეუბნება: „მე, თქვენამან მზემან, მაშორის ნდომა თქვენისა ქალისა". ხოლო მეორე სტროფში იგი ეუბნება, რომ ინდოეთის, ანუ ისრაელის ქვეყნის მემკვიდრე მარტო მე ვარ, დანარჩენების მამულიც, ტახტიც თქვენ მიგითვისებიათ. მაგრამ აურთხილებს, რომ დღემდე ტახტი უჩემოდ არავის არ მონდომია, ანუ ისრაელის ტასტი უტარიელოდ, ზნეობრივი ცხოვრების წესის, თორის მცნებების დაცვის გარეშე არავის მონდომებია, ანუ არავის შეერგება:

„ვერ გათნევ, თქვენმან კეთილმან, აწ ვგრე არ–მართალია:
ღმერთმან არ მოგცა ყმა შვილი, გიზის ერთაი ქალია,
ხვარაზმშა დასვა ხელმწიფედ, დამრჩების რა ნაცვალია?
სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მე მერტყას ჩემი ხრმალია?!

შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე, გამარიდე!
ინდოეთი ჩემი არის, არვის მიესცემ ჩემგან კიდე.
ვინცა ჩემსა დამეცილოს, მისით მასცა ამოვფხვრიდე,
სხვას მეშველსა გარეგანსა, მომკალ, ვისცა ვინატრიდე!"

ინდოეთი ჩემია, ჩემს სამშობლოს მე უნდა ვუპატრონო. მე ჩემი ხმალი უნდა მერტყას, ანუ თორა — ბიბლია მის მცნებათა დაცვა, სიმართლე — სწორი ცხოვრების წესი — უნდა იყოს ებრაელთა მეგზური. შენი ზნეობის მაგვარია შენი ქალი, ამიტომ მე იგი არ მინდაო. ინდოეთი — მცნების დაცვის, ბიბლიის გარეშე არ იქნების.

ამგვარად, აქაც ჩანს ის, რომ ნესტან–დარეჯანი ისრაელის მეფის ასული კი არა, ზეციური მღვდრობითი არსია. როგორც ვიცით, ისრაელში შემოიჭრა უზნეობა ისე, რომ დაინგრა მეორე ტაძარი და შეხინა აღმოჩნდა განდევნილობაში. ისრაელის ქვეყნიდან აიყარნენ ებრაელები, ისინიც განდევნილობაში აღმოჩნდნენ.

ხორციელი, მიწიერი ბოროტება ისეა მოწოლილი ისრაელის სახელმწიფოში, რომ ტარიე-ლი ვერას ხდება. ამ პროცესს თვითონ სახელმწიფოს პირველ პირთა არასწორი მმართველობა უწყობს ხელს.

გავიხსენოთ როგორ მიუწვევთ გული მეფეებს მაგიებისკენ. მაგიამ, დავარმა, ღვთის მტერ-მა, შეძლო მოეხვია საკუთარი გავლენა მეფეზე, დავარმა რომ ცემა იმის შემდეგ ნესტან–დარეჯანს კიდობანში ჩაასვენებენ. დიახ, ეს მართლაც წმინდა ცხოვრების წესი ნაცე-მი, შელახული აღმოჩნდა. ეს შეხინის ცემაცაა, ამიტომ იგი აღმოჩნდა განდევნილობაში გალუთში – ანუ ტყვეობაში. ასე ამბობენ ებრაელები დღეს. ეს ყველაფერი რუსთაველმა ქალის, ნესტან–დარეჯანის შემდგომ ისტორიაში განასახიერა:

„რა დავარ გაძღა ცემითა, მისითა ღალურჯებითა,
წამოდგეს ორნი მონანი პირითა მით ქაჯებითა,
მათ კიდობანი მოჰქონდა, ეუბნეს არ აჯებითა,
მას შიგან ჩასვეს იგი მზე, ჰგავს, იქმნა დარაჯებითა."

„პირითა მით ქაჯებით" ანუ ეს არის ინტელექტუალები – თანამედროვე მეცნიერები, რომელთ პირი – ენა სულიერებას ებრძვის.

თუმცა ის, ვინც მღვდრობითი არსის დატყვევება ჰქმნა, იცის თავისი ცოდვა და თავს იკ-ლავს. მაგიის მიმდევართათვის ეს ყოველთვის ილია (ზ. გამსახურდია).

„მღვითკე გააელნეს სარკმელნი; მაშინვე გაუჩინარდა.
დავარ თქვა: „მქმნელი ამისი, ვინ არ დამქოლოს, ვინ არ და–!
ვირე მომკვიდეს, მოვკვდები, სიცოცხლე გასაწყინარდა".
დანა დაიცა, მო–ცა–კვდა, დაეცა, გასისხლმდინარდა."

## ებრაელები ცდილობენ წიგნთა-წიგნის გამრავლებით გაანადგურონ სამყარო. იქმნება ქრისტიანული და მუსულმანური რელიგიები ამისათვის. (I-XII საუკუნე)

შემდეგ აღწერილია როგორ ვერ ეგუება მცნებათა დაცვით მცხოვრები ხალხი ისრაელში უმნეობას და ტარიელის სახით იწყებენ ძებნას და შეხინის დაბრუნების მცდელობას. შედეგად ისინი აღმოჩნდებიან განდევნილობაში – გალუთში:

„შევე, ფიცხლად შევეკაზმე, ცხენსა შევჯე შეკაზმული;
ას სამოცი კარგი მოყმე, ჩემსა თანა ხან–დამზმული,
წამომყვა და წამოვედით კართა გარე დარაზმული,
ზღვის პირს მივე, ნავი დამხვდა, მენავემან მნახა ზმული.

ნავსა შევჯე, ზღვასა შევე, ზღვასა შიგან გავალაგდი,
არსით ნავი მომავალი უნახავად არ დავაგდი;
მოველოდი, არა მესმა, შმაგი უფრო გა–ვე–ემმაგდი,
რომე სრულად მომიძულვა, ღმერთსა თურე ასრე ესძაგდი.

რომე დავყავ წელიწადი, თვე თორმეტი გამეოცა,
მაგრა მისი მნახავიცა სიზმრივ კაცი არ მეოცა;
თანა–მყოლი ყველა̈კაი ამომიწყდა, დამეხოცა,
ვთქვი, თუ „ღმერთსა ვერას ეჰკადრებ, რაცა სწადდეს, აგრე ეყოცა".

ზღვა–ზღვა ცურვა მომეწყინა, მით გამოვე ზღვისა პირსა,
გული სრულად გამიმხეცდა, არ ვუსმენდი არც ვაზირსა;
ყველაკაი დამეფანტა, დარჩომოდა რაც ჭირსა,
კაცსა ღმერთი არ გასწირავს ასრე, მისგან განაწირსა!

ერთაი ესე ასმათი და დამრჩეს ორნი მონანი,
ჩემნი გულისა მდებელნი და ჩემნი შემაგონანი.

მისნი ვერა ეცნენ ამბავნი, ვერცა დრამისა წონანი,
ტირილი მიჩნდის ლხინად და მდინდიან ცრემლთა ფონანი“.

ცხენზე მჯდომი და ზღვაში შესული ნიშნავს, რომ ტარიელი ნერგავდა მწეობას. ამას ადასტურებს მისი ნავზე გადაჯდომაც. ნავი ხომ ბარაქის აღმნიშვნელია. ბარაქა კი მწეობას მოაქვს. „არსით ნავი მომავალი უნახავად არ დავაგდი“. მაგრამ ძნელი იყო ეს გზა, სხვა ნავი არ დადიოდა, რადგან ყველგან უმწეობა იყო. იყო ებრაელთა დევნა და „შმაგი უფრო გა—ვე—ვშმაგდი“. მით უმეტეს, რომ მეოთხე სტროფში წერია, ამ დევნის გამო ყველა კაი დამეფანტაო, მაგრამ როგორც ვიცით, მათ მუდამ ღმერთის იმედი ჰქონდათ, რაზეც ბოლო სტრიქონი გვეუბნება. ამიტომ ტარიელი განაგრძობდა კეთილ საქმეს — მონოთეიზმის დანერგვას სამყაროში. ბოლო სტრიქონში ტირილი უჩნდის ლხინად. ტირილი ორი მიმართულებით უნდა გავიგოთ: პირველი — მონოთეიზმის დანერგვის მადლი ლხინია მისთვის.

მეორეც შეხინის განდევნილობის და ტაძრის დანგრევას ყოველ წელს ცხარე ცრემლით გლოვობენ ებრაელები.

ჩვენ ვიცით, მონოთეიზმის ერთ—ერთი მიმდინარეობა მუსულმანური რელიგიაა. ნაწარმოებში ამ რელიგიის მატარებელ ხალხად ფრიდონის ქვეყანა უნდა ვიგულისხმოთ, ოღონდ ტარიელთან შეხვედრამდე ისინი იყვნენ ისვეთივე ქრისტიანები, როგორც ქართველები. მთავარი მაინც ცხოვრების წესია. იგი განსაზღვრავს ამა თუ იმ რელიგიის სიმტკიცეს. ჩვენ ვიცით, უნიკალური იყო იბერიული მოდგმის ხალხთა ცხოვრების წესი. ამიტომ ქრისტიანული რელიგია მოერგო ქართულ მწეობას და იგი განსხვავებული მწეობისა იყო ქრისტიანულ სამყაროში. ასევე ითქმის მუსლიმანურ რელიგიაზე, რომელიც მიიღეს საქართველოს მოსაზღვრე იბერიულმა ტომებმა. აქაც განსაკუთრებულ, განსხვავებულ მწეობრიობაზე დაფუძნდა ეს რელიგია. ამიტომაც როგორც საქართველოში, აქაც იყო უნიკალური ცხოვრების წესი, სოფლის მეურნეობა, ბარაქა, სიუხვე. ეს არის აღწერილი ტარიელის მიერ ნურადინ ფრიდონის ქვეყანაში მოგზაურობისას. იბერიული მოდგმის სიკეთე მას გააკვირვებს.

„ღამით მეელო, მოვიდოდი, ზღვისა პირსა აჩნდეს ბაღნი;
ჰგვანდა, ქალაქს ვეახლვნით, ცალ—კერძ იყვნეს კლდეთა ნაღნი;
არ მეამის კაცთა ნახვა, მიდაღვიდეს გულსა დაღნი.
მუნ გარდავხდე მოსვენებად, დამსხდეს რამე ხენი ლაღნი.

ხეთა ძირსა მივიძინე, მათ მონათა ჭამეს პური;
მერმე ავდეგ სევდიანი, მიღამებდა გულსა მური:
ვერა მეცნა ვგზომ გრძელად ვერ ჭორი და ვერ დასტური,
ველთა ცრემლი ასოვლებდა, თვალთა ჩემთა მონაწური.“

პირველ სტროფში გადმოცემულია „ზღვისა პირსა აჩნდეს ბაღნი“, იყო ასევე ხენი ლაღნი, რაც მიუთითებს სწორი ცხოვრების წესზე — სოფლის მეურნეობაზე და აქ მცხოვრებთა იბერიელობაზე. ისინი ხომ ზღვის ხალხნი არიან. ამიტომაც აქ ტარიელი თავის ცოდნის შესაფერ დასასვენებელ ადგილსაც ხედავს. მეორე სტროფის ბოლო სტრიქონი კი გვეუბნება, რომ მისი თვალებიდან ამონაწური მადლი ჰქონდა მოურქვეული ამ ქვეყანას, ანუ იყო იმ მცნებების დაცვა, რაც ახასიათებს ბიბლიას.

## შეყრა ფრიდონთან ტარიელისა. ტარიელი ანუ ბიბლიის მცნებანი ამარჯვებინებს იბერიელს

იბერიაში დაფუძნებული ქრისტიანული და მუსულმანური ქვეყნები, რომ ზნეობრივ ზრდას განიცდიან, იქიდანაც ჩანს, რომ სწორი ცხოვრების წესის გამო, სამივე გმირი ლომს არიან შედარებული. პოემის ბოლო ნაწილში კი რუსთაველს სამივე გმირი მნათობებად ჰყავს მონათლული, ოღონდ ტარიელი და ავთანდილი მზედ, ფრიდონი კი მთვარედ. რაც დასტურია ამ იბერიული ხალხის მუსულმანობის. ფრიდონს ხედებოდა წინააღმდეგობანი კერპთაყვანისმცემელთა მხრივ. ამ წინააღმდეგობის აღმოფხვრაში ტარიელი ესმარება ფრიდონს. ეს წინააღმდეგობა ჩანს შემდეგ სტროფებში:

„ზახილი მესმა. შევხედენ, მიყმე ამაყად ყიოდა,
შემოირბეოდა ზღვის პირ–პირ, მას თურე წყლული სტკიოდა;
ხრმლისა ნატეხი დასერილი აქვს, სისხლი ჩამოსდიოდა,
მტეროა ექადდა, წყრებოდა, იგინებოდა, ჩიოდა.

ზედა ჯდა შავსა ტაიჭსა, აწ ესე მე მითქს რომელი,
მართ ყითა ქარი მოქროდა, გაფიცხებული, მწყრომელი;
მონა მიესწიე, მისისა შეყრისა ეიყავ მნდომელი;
შეესიტყვალე: „დადეგ, მიჩვენე, ლომსა ვინ გაწყვენს, რომელი?"

აქ ჩანს, რომ ფრიდონს, მართალია, წინააღმდეგობები აქვს, სისხლი სდის, ებრძვის, მაგრამ იგი მაინც ამაყია.

ტარიელი ხედავს მის ეაჟკაცობას და სურს დაეხმაროს, რაც ჩანს მეორე სტროფის ბოლო სტრიქონში:

„მას მონასა არა უთხრა, არცა სიტყვა მიუსმინა;
ფიცხლა შეყჯე, ჩავეგებე. მე ჩავუსწარ, ჩავე წინა,
ვუთხარ: „დადეგ, გამაგონე შენი საქმე, მეცა მინა!"
შემომხედნა, მოეეწონე, სიარული დაითმინა.

გამიცადა, ღმერთსა ჰკადრა: „შენ ასეთი ხენი ვით ხენ!"
მერმე მითხრა: „მოგახსენებ, აწ სიტყვანი რომე მკითხენ:
იგი მტერნი გამილომდეს, აქანამდის რომე ვითხენ,
უკაზმავსა მიღალატეს, საჭურველნი ასრე ვითხენ".

ფრიდონი შეიცნობს ტარიელში იბერიულ მიწათმოქმედს, მის ძმას. იგი ხედება, რომ ტარიელი არის დიდი ცოდნის მატარებელი, რაც ჩანს პირველი სტროფის ბოლო სტრიქონში და მეორე სტროფის პირველ სტრიქონში. აქ მიტომ სწერია „ღმერთსა ჰკადრა", რომ ვიცით, ტარიელის ცოდნა ბიბლიისა ღმერთიდან იყო.

სწორი მიწათმოქმედება რომ ღმერთიდან მოდის და სიკეთის, სიყვარულის სიმბოლოა, ეს ნაწარმოების მრავალ სტროფში ჩანს. ამიტომ ჰკადრა მან ღმერთს. აქ ფრიდონის გაკვირვებაც ჩანს; შენ ასეთი ზნეობრივი, შესინის — ნათელის მატარებელი, რომელ იბერიულ მიწათმოქმედთა ქვეყნიდან ხარო:

„მე ვუთხარ: „დადეგ, დაწყნარდი, გარდავხედეთ ძირსა ხეთასა;
არ შეუდრკების ჭაბუკი კარგი მახვილთა კვეთასა".
თანა წამომყვა, წავედით უტკბოსი მამა–ძეთასა.
მე გავეკვირვე ჭვრეტასა, მის ყმისა სინაზეთასა".

გარდავხედეთ ძირსა ხეთასა, ანუ ჩავხედეთ ჭეშმარიტების ძირს, ხოლო სიტყვებს — „უტკბოსი მამა–ძეთასა–ს" გადმოგვცემენ. რომ ებრაელები იბერიული მოდგმისა არიან, ნოეს ძენი, ანუ მისი მრწამსის გამგრძელებელნი. აი, ამ ურთიერთშორის სიყვარულის საფუძველს იხსენებენ და ამყარებენ ისინი.

შემდგომ ამისა, ფრიდონი უყვება მის გასაჭირს. ტარიელი გულით იყვარებს ფრიდონს:

„ამა ყმამან შემიკვეთა, გული მისკე მიმიბრუნდა.
მოეახსენე: „აჩქარება შენი ყოლა არა უნდა,
ჩეცა თანა წამოგყვები, დაისოცნენ იგი მუნ, და —!
ჩვენ ორთავე შეომარი, განაღამცა შეკვეიძრწუნდა!"

არიგებს მას, თუ როგორ დაამარცხოს ურწმუნონი ომით და უდიდეს ცოდნით. ფრიდონის გაბრამებულობა ნათესავთა ღალატის გამო და ჭრილობები სულიერების წინააღმდეგ ბრძოლას მიგვანიშნებს. ტარიელი სულიერად განკურნავს მას და აქებს მის ომს და ცოდნის, სიბრძნის

დონეს. ფრიდონი რომ იბერიული ცხოვრების წესის და ბიბლიის მცნებათა მიმდევარია, ეს შემდეგი სტროფებიდან ჩანს:

„კელა მოეეწონე, ეეტურფე, მე მისი გარდნაკიდარი;
შეიასხმიდიან ქებასა: „მზეო, შენ ჩვენთვის იდარი!"
მიეედით, ენახეთ ქალაქი მისი ტურფა და მდიდარი,
ყველასა ტანსა ემოსა ზარქაში განაზიდარი."

მოჯობდა, ომი შეეძლო, სმარება ცხენ—აბჯარისა;
დაეკაზმეთ ნავი, კატარღა და რიცხვი სპათა ჯარისა;
კაცი ხმდა, მისთა მჯერეტთათვის დონემცა ვაჯა რისა!
აწ გითხრა ომი მოყმისა, მებრძოლთა დამსაჯარისა.

როცა დაინგრა ტაძარი, ებრაელები აქაც მრავლად დასახლდნენ. მათ აქაც განამტკიცეს მწეობა, ცხოვრების წესი, რადგან ფლობდნენ, როგორც ვიცით, უდიდეს ცოდნას. ტარიელი ფრიდონს ესმარება ცოდნის გაღრმავებაში, სწორი ცხოვრების წესის განმტკიცებაში. აქეს მას ბარაქა, მნეობა, ხალხიც მრავლდება, რაც ჩანს მეორე სტროფში "დაეკაზმეთ ნავი, კატარღა და რიცხვი სპათა ჯარისა". იგი ასე აღწერს ფრიდონის მამაცობას:

„ზღვა გაეიარეთ, გაეედით, შემოგვეიტიეს ცხენია,
კელა შეეიბენით, შეაქმნეს ომისა სიმარცხენია.
მუნ მოშეწონნეს ფრიდონის სიქველე—სიფიცხენია:
იბრძეის ლომი და პირად მზე, იგი ალვისაც ხენია."

როგორც ზ. გამსახურდია აღნიშნავს: — მითისა და ზღაპრის სიმბოლიკაში ზღვა, წყალი განასახიერებს არაცნობიერების ნეგატიურ სიღრმეებს, დაცემულ ყოფას, ქამიერებას, წარმავლობას... ორფიულ მოძღვრებაში წყალი სულის სიკვდილია.

მისი საპირისპირო სიმბოლოა „წმინდა წყალი", ე.ი. შესაქმნელი წყალი, ზეციური წყალი. სხვათა შორის, ნაწარმოებში წყლის ახსნის პირველი ვარიანტი ზღვას უკავშირდება, ხოლო მეორე, როცა ტარიელი კლდეთს, უდაბნოს სიმშრალეთს გაივლის, ანუ ტანჯვის გზით ნესტანისკენ მარადისობის, უკვდავების გზას. ამგვარად, მათ გაიარეს ზღვა, ანუ ქამიერი, დაცემული ყოფა, „შემოგვეიტიეს ცხენია", ანუ ცხოველურმა მისწრაფებებმა. „შეიქმნეს ომისა სიმარ—ცხენია", ანუ სიმარცხე განიცადეს ცხენებმა, ცხოველურმა მისწრაფებებმა.

ბოლო სტრიქონი გვეუბნება, რომ ფრიდონსაც აქვს უდიდესი ცოდნა, მნეობრივი ცხოვრების წესი. ამიტომ იგი ომში შეუდარებელია.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც. კარგად ჩანს, რომ ფრიდონს — იბერიელს არ აკლია ცოდნა, მნეობა, მაგრამ იგი ვერ უმკლავდება გარედან შემოსულ უმნეობებს. ამის გამკლავება კი შეუძლია ტარიელს, ანუ ბიბლიის მცნებებს, რადგან ესას ვერ თარგმნი, ანუ აქ იგივე პრობლემებია, როგორიც ავთანდილს აქვს. ამავე დროს, ეტყობა, ზეცაშია გადაწყვეტილი, რომ ავთანდილმა — იბერიულმა მოდგმამ უნდა განამტკიცოს ქრისტიანობა, ხოლო ფრიდონმა, ასევე იბერიელმა, ოღონდ საქართველოს მოსაზღვრე ქვეყანამ — უნდა განამტკიცოს მუსულმანური რელიგია, რომელსაც მოგვიანებით მიიღებს, რამეთუ მნეობა, სიკეთე, სიყვარული მათი გენეტიკაა. ამ ენით ნასწავლი ბიბლიის მცნებანი, ცხოვრების წესი — ის გამორჩეული მარგალიტია ქართული ცხოვრების წესისა, რომელიც შესასწავლი და გასანერგია.

ზ. გამსახურდია, როგორც ავთანდილის, საქართველოს მისიას აღარებს წმინდა გიორგის მისიას, იგივეს აღნიშნავს ფრიდონის მიმართაც. პლანეტარულად კი ეს სამი სახე უნდა უკავშირდებოდეს მზეს იუპიტერის ასპექტში (ტარიელი), მზეს, მერკურის ასპექტში (ავთანდილი) და მთვარეს (ფრიდონი). ასე რომ, ფრიდონი უნდა იყოს წმ. გიორგის ის სახე, რომელმაც საქართველოში გააგრძელა მთვარის კულტი, ანუ აქ ლაპარაკია მუსულმანურ რელიგიაზე, იბერთა მიწაზე. ანუ ფრიდონის არის პერიფერიული სახელმწიფოები, რომლებიც გარს ერტყმიან საქართველოს. აქვე დასტურდება ისიც რომ სულიერი მზე — შეხინა ნაწარმოებში მიჯნურია მხოლოდ ტარიელის და ავთანდილის. ისინი უფრო ინტენსიურად გრძნობენ იმპერიაათა დაწოლას. ამიტომ უჭირს ფრიდონს და, ავთანდილისგან განსხვავებით, საჭიროებს ტარი-

ელის დახმარებას. ეს ის იმპერიებია, რომელთაც შეწყვიტეს არსებობა ქრისტემობის შემდეგ. ანუ ომი ტარიელისა და ფრიდონისა უმნეო ქვეყნების, ერების აღმოფხვრისათვის ასევე ისტორიული ფაქტია და რეალურად მოხდა. ამ ომის პერიოდი თითქმის ემთხვევა როსტევანის და ტარიელის ნადირობას იმავე მიზნით.

ამგვარად, ტარიელი — ბიბლიის მცნებანი აღვილად ამარჯვებინებს ფრიდონს. ტარიელი ცოდნით ესმარება ფრიდონს იბერიელთა ცხოვრების წესის განმტკიცებაში, რათა ბიბლიის მცნებების დანერგვით დაამარცხოს ბოროტნი მათ ქვეყანაში, რაც განამტკიცებს საქართველოს.

„ფრიდონ ნახნა საჭურჭლენი და ბეჭედნი მისნი დახსნა.
თვით ორნივე ბიძაძენი დაპყრობილნი წამოასხნა
მისთა ნაცვლად სისხლნი მათნი მოლხინა და ველთა ასხნა;
ჩემი თქვეს, თუ: „ღმრთისა მადლი, ვინ ალვისა ხენი ასხნა!"

ჩვენ ვიცით, რომ სარიდანი, ტარიელის მამის სახელი მიგვანიშნებს ოქროს თავს. ე.ი. პიროვნებას, რომელმაც მიაღწია ცოდნის, ცნობიერების უმაღლეს მდგომარეობას. თავისი ცნობიერება გარდაქმნა ოქროდ, ე.ი. გაასპეტაკა (გაასუფთავა). ტარიელი ამ ცოდნის კიდევ უმაღლეს რანგში ამყვანი, აჩვენებს ფრიდონს საჭურჭლეთ — ბეჭედს, ანუ ამტკიცებს მის შემეცნებას, ცოდნას და შედეგად იგი ამარცხებს ქვეყნარე მიმართულებას, გარედან შემოჭრილს მათსავე ტერიტორიაზე.

რატომ არიან ბიძაძენი? აქ ქამი და მისი შვილის ქანაანის შთამომავლობა არის ნაგულისხმევი, რომელნიც კავკასიაში დაბრუნდნენ.

ამგვარად, საჭურჭლეში, ბეჭედში, სიმდიდრეში, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მათ ცოდნით ღვარეს სისხლნი უმნეოთა, ანუ მათი მნეობაზე მოქცევა ზოგან ფიზიკური სიკვდილითაც დამთავრდა. შედეგად არის „ველთა ასხნა", ანუ სწორი მიწათმოქმედების აღდგენა. ამიტომ სწირავენ ღმერთს მადლს მეოთხე სტრიქონში, რომ მათ ტარიელის გამოგზავნით შეეწია. „ვინ ალვისა ხენი ასხნა":

„ლაშქარნი ფრიდონს მეფედ და მიხმობდეს მეფედ—მეფობით,
თვით თავსა მათსა — მონად და ჩემსა — ყველასა სეფობით;
დაღრეჯით ვიყავ, ვერ მპოვეს ვეროდეს ვარდთა მკრეფობით,
ჩემი ვერ ცნიან ამბავი, მუნ იყო არ — ივეფობით".

ბოლო სტრიქონში ჩანს რომ ფრიდონი ბოლომდე ვერ ჩაწვდა ბიბლიის არსს. როგორც აღვნიშნეთ ტარიელის ამბის ცნობა ეს ბიბლიის შესწავლაა. თუმც ფრიდონი განსწავლულია, მაგრამ ამ უმაღლესი მეცნიერების შესწავლა არ არის ადვილი. ამას დრო უნდა. ავთანდილი ბევრი მოგზაურობის ანუ ცოდნის დაუფლების შემდგომ მიდის ამ დონემდე.

ეს სტრიქონი მიგვანიშნებს აგრეთვე რომ ტარიელი — მნეობა, მოვლენილია არა რომელიმე ქვეყნის მეფეთ—მეფედ, ეს იაფობაა მისთვის, არამედ იგი მთელი სამყაროს მესიაა. მან ყველგან უნდა შეიტანოს ცოდნა, ისევე, როგორც ავთანდილმა და ფრიდონმა. რადგან ეს იბერიელი ხალხის მისწრაფებაა, გენეტიკაა, მნეობაა.

ეს მოდგმა საქართველოს საზღვრებთან პერიფერიაში იყო, სადაც ხშირად იჭრებოდა უმნეობანი, ამიტომ ჰქონდა ხშირი ომი ფრიდონს ამ უმნეობებთან და იგი წარმატებით ახორციელებდა მათ, რათა დაეცვა მნეობის ცენტრი — თბილისი, საქართველო. ჰქონდა მას მოსაზღვრე ინდოევროპული წარმოშობის კერპთაყვანისმცემლებთან ყოველდღიური ომები.

## ფრიდონისა და დატყვევებული ნესტანის შეყრა

ფრიდონის ქვეყანაში რომ მეობაა და იმ ცხოვრების წესისკენ მიილტვის, რასაც მცნებების დაცვა ჰქვია, იმიტომ ეღირსა იგიც იმ მეხინის ზეციური არსის ნახვას, რაც ტარიელმა დაკარგა:

„მე ეპკითხევდი. ფრიდონ მეტყვის მართ ამბავსა ესოდენსა:
„დღე ერთ მწადდა ნადირობა, შევჯე ამა ჩემსა ცხენსა, —

ზღვათა შიგან იხვსა ჰგავს და ხმელთა ზედა შავარდენსა, —
აქა ვდეგ და თვალს ვუგებდი ქორსა, იქით განაფრენსა.“

შემდეგ ფრიდონი განაგრძობს:

„ვთქვი: „რა არის, რას ვამსგავსო, მფრინველია ანუ მხეცი!“
ნავი იყო, გარ ეფარა სამოსელი მრავალ–კეცი;
წინა კაცნი მოზიდვიდეს; თვალი ამაღ დავაცეცი,
მოვარე უჯდა კიდობანსა, ცა შეშვიდე მასმცა ვეცი.

ამოძვრეს ორნი მონანი, შავნი მართ ვითა ფისანი.
ქალი გარდმოსვეს, სისხონი ვნახენ მისისა თმისანი.
მას რომე ელვა ჰკრთებოდა, ფერნიმცა ჰგვანდეს რისანი!
მან განანათლა სამყარო, გაცუდდეს შუქნი მზისანი!

სიხარულმან ამაჩქარა, ამათრთოლა, და–ცამლეწა,
იგი ვარდი შემიყვარდა, რომე თოვლსა არ ეხვწა;
დავაპირე შეტევება, ვთქვი: „წავიდე მათე მე, წა —,
ჩემსა მავსა სულიერი რამცა ვითა გარდესვეწა!“

ცხენი გავქუსლე, იქმოდა შამბი ხმასა და ხრიალსა,
ველარ მივუსწარ, გამესწრნეს, რაზომცა ვსცემდი წრტიალსა,
ზღვის პირსა მივე, შევხედენ, ჩნდა ოდენ მზისა ტიალსა,
გამშორებოდეს, წამსვლოდეს, ამისთვის დავევწვი ალსა“.

აქ ნაჩვენებია როგორ ეუფლება მესინის მადლს ბოროტება, შავი ფერები. ტარიელი გაძევებულია ისრაელიდან. მთელი სამყარო, იბერიის გარდა, შავბნელმა ძალებმა დაიპყრეს. მიწები მათ ხელშია და შეხინა იძულებულია მისცეს მათ ამინდი, ოღონდ ძალიან მწირი. ისინიც წამლავენ და წამლავენ მიწას. რა თქმა უნდა, ამის გამო, დიდია შესინის რისხვა და არა აქვთ მათ მისი მოწყალება, მისი ენერგია სიკეთისათვის, მოსავლისათვის. ეს ჩანს მესამე სტროფის მეოთხე სტრიქონში. თუმცა შესინა ნათელს ჰფენს სამყაროს, მზის შუქი არ არის ეფექტური სიუხვისათვის, ჰარმონიისათვის. ამგვარად, ფრიდონიც — ჩვენობა ცდილობს შესინის დახსნას ბოროტთაგან. მაგრამ — წიგნთა წიგნი ბოროტების ტყვეობაშია. მათთვის ეს წიგნი ფასადია, რომ თითქოს სწამთ ღმერთი. სინამდვილეში კი საკუთარი დაწერილი კანონებით ცხოვრობენ და არა ბიბლიით. ამიტომ შეხინამ მათაც რომ მისცეს მზე, ბარაქა ეს მისი ტყვეობაა. მესამე სტროფის მეოთხე სტრიქონით და მეოთხე სტროფის მეორე სტრიქონიდან, ჩანს რომ ეს ზეციური არსია. ფრიდონი ხომ ტარიელის საცოლეს არ შეიყვარებდა. შეხინას, მის შუქს იყვარებს ზნეობრივი ცხოვრების წესი და პირიქით. შავი ძალები არ იყვარებდნენ მას, მათ მისი გამოყენება სურთ. ფრიდონმა მოინდომა შესინის დახსნა, მის ქვეყანაში დავანება, მაგრამ უშედეგოდ. ტარიელი ასე უპასუხებს ფრიდონს:

„ესე მესმა ფრიდონისგან, მომემატა ცეცხლთა სიცხე.
ცხენისაგან გარდავიჭერ, თავი სრულად გავიკიცხე,
ჩემთა ლაწვთა დანადენი, მე ჩემივე სისხლი ვიცხე.
ვუთხარ: „მომკალ, უჩემოსა ვნახამცა ვისცა ის ხე!“

„მომემატა ცეცხლთა სიცხე“, ანუ „ტანჯვის გზა“, რადგან ბიბლია — თორა, და აქედან გამომდინარე შეხინაც ბოროტების ხელშია და ისინი ამ ცოდნას ადამიანთა დასაპირისპირებლად, შემდეგ კი მათზე საბატონოდ და დასამორჩილებლად იყენებენ. მისი დანერგვის მიზანი კი ურთიერთსიყვარულია. შემდეგ ტარიელი უყვება, თუ როგორ გახდა ნესტანის მიჯნური, ფრიდონი უპასუხებს:

„ფრიდონს ვუთხარ ყველაკაი ჩემი — თავსა გარდასრული;
მან მითხრა; თუ: „რას ვიტყოდი მოცთომილი, გაბასრული!

შენ, მაღალი ინდოთ მეფე, ჩემსა რადმე ხარ მოსრული,
სახელმწიფო საჯდომი და ტახტი გმართებს, სრაცა სრული".

ე.ი. შენმა ბიბლიამ, თორის ცხოვრების წესმა უნდა იმეფოს ქვეყნად. შემდეგ ფრიდონი განაგრძობს:

„მან მითხრა: „ბედი ღმრთისაგან მიჯობსღა ამას რომელი?
მოსულხარ ჩემად წყალობად მეფე ინდოეთის მჯდომელი;
მემცა რად ვიყავ ამისთვის მადლისა რასმე მნდომელი?
ერთი ვარ მონა მონებად წინაშე თქვენსა მდგომელი."

ამგვარად, ფრიდონს აქვს იმდენი ცოდნა, რომ ხედება, ვინ არის ტარიელი, რა მისია აქვს მას და ფრიდონი — ცდილობს ხელი შეუწყოს ტარიელს ბიბლიური ცხოვრების წესის დანერგვაში, რათა შემდეგ დააფასონ შეხინა ისრაელში, იბერიაში და მთელ სამყაროში:

„ესე ქალაქი გზა არის ნავთა, ყოველგნით მავალთა,
შემომკრებელი ამბავთა, უცხოთა რათმე მრავალთა;
აქა მოგესმის წამალი, შენ რომე დაუწვავ ალთა.
ნუთუ ქმნას ღმერთმან გარდახდა მაგ შენთა ჭირთა და ვალთა!"

იგიეუბნება, რომ აქ, იბერიაში არის სიუხვე „გზა არის ნავთა", სტუმართმოყვარეობა. ეს ნავთა გზა ხომ ფრიდონის მოსამღერე, იგივე იბერიულ ქვეყანაში, საქართველოშია, რადგან თბილისზე გადის ყველა გზა. ამავე დროს, სავი ბარაქის აღმნიშვნელია, ზნეობის, სტუმართმოყვარეობის გამო. „აქა მოგესმის წამალი", რომ ეუბნება ფრიდონი ტარიელს, ეს იმას ნიშნავს, რომ აქ არის ის ცხოვრების წესი — მიწათმოქმედება, დაფუძნებული ენაზე, რომელიც ბიბლიის ასლია. შემდეგ ფრიდონი ნესტანის საძებნად კაცებს აგზავნის.

„აჴინნა კაცნი, სადაცა სადგურნი ნავთა სჩვენოდეს;
უბრძანა: „ძებნეთ ყოველგან, რაცა ვის მისი გსმენოდეს".
მოლოდნა მიჴნდა სალხინოდ, პატიჟნი მო-რე-მლხენოდეს,
უმისოდ ლხინი მინახავს, ამა დღისათვის მრცხვენოდეს!"

პირველი სტრიქონი გვეუბნება, რომ ფრიდონი ნესტანს იქ ეძებს, სადაც სიკეთეა. მასაც უმისოდ სიცოცხლე არ უნდა. ამავე დროს, ამტკიცებს ცხოვრების წესს, მცნების დაცვას თავის ქვეყანაში. ანუ მხოლოდ იბერიელს შეუძლია ჰქონდეს სწორად გაგებული ბიბლია, უყვარდეს ყველა რელიგიის წარმომადგენელნი, მდედრი, გამჩენი და მოყვასი. ძებნა შეხინისა ცოდნის დაუფლებას ნიშნავს.

„ფრიდონ საჯდომნი დამიდგნა ადგილსა საპატრონოსა,
მითხრა, თუ: „მცთარევარ აქამდის, ვერ მიეხედი გასაგონოსა:
ხარ დიდი მეფე ინდოთა, რა ვით ვინ მოგაწონოსა!
ვინ არის კაცი, რომელმან თავი არ დაგამონოსა?!"

ეს სტროფი გვეუბნება, რომ მან ცნო ტარიელი, ანუ მესია. მაგრამ ებრაელებმა საკუთარ ქვეყანაში შეხინა რომ დააბრუნონ, ამას სხვა ძალისხმევა სჭირდება. ჯერ ყველგან უნდა ამოიძირკვოს, დამარცხდეს ბოროტება. მაშინ შეუღლდება შეხინა მასთან. შემდეგ ტარიელმა უნდა განამტკიცოს იბერიულ—ქართული ცხოვრების წესი, რომელიც სხვა ქვეყნებშიც უნდა დანერგოს. ამიტომ შეხინის პოვნა ასე ადვილად არ მოხერხდება. ტარიელმა იცის, რომ ამისათვის სხვა ძალისხმევაა საჭირო.

„მაშა მე მისსა ამბავსა რათგან აღარას მოველი,
ველარ ვიქმნები, გამიშვი, ვარ ფარსმანისა მთხოველი!"
ფრიდონს რა ესმა,ატირდა, სისხლითა მოერწყო ველი,
მითხრა, თუ: „ძმაო, დღეითგან ცუდ ჩემი ლხინი ყოველი.

თუცა დია მოიჭირეეს, ვერცა ეგრე დამიჭირეს;
მისთა საათა მუხლ–მოყრილთა თავი მათი ჩემ–კერძ ირეს,
მეხვეოდეს, მაკოცებდეს, ატირდეს და ამატირეს:
„ნუ წახვალო, დაგვემონნეთ, სიცოცხლეა ჩვენი ვირეს!"

ეგრე ვუთხარ: „თქვენი გაყრა მეცა დია მეძნელების,
მაგრა ლხინი უმისოსა ჩემგან ძნელად გაიძლების:
ჩემსა ტყვესა ვერ გაესწირავ, თქვენცა დია გებრალების,
ნუვინ მიშლით, არ დაედგები, არცა ვისგან დამეშლების".

## ტარიელმა მსოფლიოში უნდა დანერგოს ბიბლიის მცნებანი. ამიტომ ტოვებს ფრიდონს

ტარიელმა ჰპოვა ხალხი, რომელნიც მისი სისხლი და ხორცი, სულის ნაწილი, გენეტიკაა, ანუ მან იბერიელნი ჰპოვა. მასაც არ უნდა გასცლა. ამიტომ იგი ეუბნება მათ, რომ ჯერ შესინა, რომელიც მარტვილობს, ტყვეობაშია, ის უნდა გამოიხსნას. რომ მისი ლხინი, შეხინის გამოხსნის გარეშე, ლხინი არაა. ამ აზრს შემდეგი სტროფი გადმოგვცემს:

„მერმე ფრიდონ მოიყვანა, მიძღვნა ესე ჩემი ცხენი,
მითხრა: „ხედავ პირი მზისა, თქვენ საროსა ეგეც ხენი,
ვიცი, მეტი არა გინდა, ძღვენნი რადმცა გავეკიცხენი?
თვით ამანვე მოგაწონოს, სახელრობა, სიფიცხენი".

ფრიდონმა, მცნების განმტკიცების გამო, ტარიელს მის ქვეყანაში მადლი ჩაადებინა, რაც ტარიელის მისიაც არის. ამიტომ იგი ცხენზე ჯდება. ჩვენ ვიცით, რომ მხედარი მცნებების დანერგვას ნიშნავს. თან ეუბნება: „ხედავ პირი მზისა, თქვენ საროსა ეგეც ხენი". აი, შენი ნამოქმედარი ხენი, ანუ სწორი მიწათმოქმედების ცხოვრების წესის განტკიცება და ამაზე მეტი შენთვის ძღვენი არც არსებობსო. შემდეგ ჩანს თუ როგორ ტირის ყველა, ანუ მადლი ინისხევა ფრიდონის ქვეყანაში:

„ფრიდონ გამომყვა, წავედით, ორთავე ცრემლნი ვღვარენით;
მუნ ერთმანეთსა ვაკოცეთ, მახილით გავიყარენით.
სრულად ლაშქარნი ტიროდეს გულითა მართლად, არ ენით.
გაზრდილ–გამზრდელთა გაყრასა, ჩვენ თავნი დავადარენით."

შემდეგ ტარიელი მოუთხრობს ავთანდილს, როგორ ნერგავს მცნების დაცვას მონოთეიზმს სხვა ქვეყნებში. ანუ სრულდება ქამის ეპოქა. ყველა წამობს ერთ ღმერთს და ამიტომაც ეს ქვეყნები ახალი ენით აგრძელებენ ცხოვრებას. ჩვენ მიერ მოყვანილ შემდეგ სტროფში კი ჩანს, როგორ იდევნებიან ბოროტი, კერპთაყვანისმცემელი ძალები დევების სახით ებრაელთა მიერ და ებრაელები ეუფლებიან მათ საუნჯეს, თუმცა ებრაელებიც ეწირებიან ამ საქმეს, რაც ჩანს მესამე სტრიქონში:

„ესე ქვაბნი უკაცურნი ვპოვენ, დევთა შეეკაფნეს,
შემომებნეს, ამოვწყვიდენ, ყოლა ვერას ვერ შეხაფნეს,
მათ მონანი ღამიხოცნეს, ჯაჭვნი ავად მოექაფნეს.
საწუთრომან დამაღრიჯა, ცქაფი მისნი კვლა მეცქაფნეს."

პირველი სტრიქონი გვეუბნება, რომ დევებმა გააფუჭეს ადგილი, ანუ არ იყო მცნებების სწორი დაცვა – მიწათმოქმედება. შემდეგ ტარიელი განაგრძობს:

„აპა, ძმაო, მაშინდითგან აქა ვარ და აქა ვვედები;
ხელი მინდვრის გავიჭრები, მოვჯერ ვტირ და მოვჯერ ვბნდები,
ესე ქალი არ დამავდებს, – არს მისთვისვე ცეცხლ–ნადები, –
ჩემად ღონედ სიკვდილისა, მეტსა არას არ ვეცდები!

რომე ვეფხი შვენიერი სახედ მისად დამისახავს,
ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომიახავს;
ესე ქალი შემიკვრავს, ზოგჯერ სულთქვამს, ზოგჯერ ახავს;
რათგან თავი არ მომიკლავს, ხრმალი ცუდად მომიმახავს.

მისსა ვერ იტყვის ქებასა ყოველი ბრძენთა ენები;
მას დაკარგულსა ვიგონებ მე, სიცოცხლისა მთმენები;
მას აქათ ვახლავ ნადირთა, თავისა მათებრვე მხსენები;
სხვად არას ვიაჯ ღმრთისაგან, ვარ სიკვდილისა მქენები".

ამგვარად, პირველი სტროფი გვამცნობს, რომ ტარიელი ველად გაიჭრება და ტირის, ანუ მიწათმოქმედებას — მცნებებს ნერგავს და მადლს აფრქვევს.

ამიტომ მიმდინარეობს ისრაელი ერის ფორმირება, ხალხი უფრო მტკიცე და ერთიანი რომ იყოს, 613 მცნების დამცველი. აქ ლაპარაკია, რა თქმა უნდა, ღმერთის სიყვარულზე და შეხვის მიჯნურობაზე. აქლია სულიერი მზე — შეხინა ტარიელს და იმიტომ არის ვეფხისტყაოსანი რაც ჩანს მეორე სტროფის პირველ სტრიქონში. ამავე დროს, ქალი ყოველთვის შეუწყობს ხელს ისრაელს დაიცვას მცნებები, რადგან ბიბლიის მცნებათა უპირველესი დამცველი ქალი, მღვდრობითი არსი, იქნება. ის ხელს შეუწყობს ტარიელს, მომავალ მესიას, ახალი მზეობრივი, სულიერი სამეფოს ხელახლა შობას. ეს სამეფო ჰქონდა ადამს, ახლა მთელ კაცობრიობას ექნება. მაშინ გადაუხვევია ადამმა სწორი გზიდან და მის მერე ამას აკეთებს ყოველი არაიბერიელი. არასწორი კვება — ტანის მოთხოვნილება — არის საფუძველი ბოროტებისა, ტარიელის მიერ შექმნილი სამეფო კი იქნება მყარი და სულიერად წმინდა. ქალისადმი პატივისცემა არის მცნებების მთავარი არსი, ვეფხის ტყავი, მშვენიერებით ლამაზ ქალს წააგავს და ქალი უკერავს მას.

ასევე უნდა აღინიშნოს იბერიელთა საერთო თვისება, ქალისადმი უდიდესი სიყვარული, პატივისცემა. ამიტომ ამბობს ტარიელი: „ესე ქალი არ დამავიწყებს". ეს არის სულიერი სიბრძნის საფუძველზე ზნეობრივი ცხოვრების წესის დანერგვის წინაპირობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქალის და ვაჟის ერთგულება არის ოჯახის, სახელმწიფოს ზნეობის საფუძველი. ნაწარმოებში კარგად ჩანს, რომ ავთანდილი ცოდნით ტარიელის დონეზეა.

## ავთანდილის განსწავლა და გზის ძიება სულიერი ძმის საშველად

ახლა იგი უფრო ღრმად ჩაწვდა ტარიელის მეშვეობით მის ისტორიას, ბიბლიის სულს. იგი ხედავს, მსოფლიოში ჰარმონიამ რომ დაისადგუროს, ამისათვის ცხრა უდიდესმა წმინდანმა იღვაწა ისრაელში. მეათენი არიან ისინი ტარიელი და ავთანდილი. ორი ძმა შემი და იაფეტი. მათ უნდა დაამყარონ ზნეობრივი წესი მთელ მსოფლიოში დაამარცხონ ქაჯები. ამისათვის ნოეს ანდერძიც აღსრულდა. შეიძინა მან ცოდნა და შემის კარვებში ეითარდება იაფეტი. ამ უდიდეს ცოდნაზე ქართველთა მეტყველებს რუსთაველი.

ამგვარად ავთანდილმა უკვე შეიცნო, რატომ არის ქართულში. სიტყვა ოცი ასეთ საკრალური. და როცა ტარიელს სცილდება, იგი დამატებით სტიმულს აძლევს მას:

„ავთანდილ უთხრა: „მე შენი გაყრა არ მომეთმინების;
თუ გაგეყრები, თვალთაგან ცრემლიდა დამედინების.
მართალსა გითხრობ, ამისი კადრება ნუ გეწყინების,
შენ ვისთვის ჰკვდები, მაგითა მას არა არ ელხინების.

რა აქიმი დასნეულდეს, რაზომ გინდა საქებარი,
მან სხვა უხმოს მკურნალი და მაჯასისა შემტყვებარი,
მას უამბოს, რაცა სჭირდეს სენი, ცეცხლთა მომდებარი:
სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი.

რაცა გითხრა, მომისმინე, ბრძენი გეტყვი, არა ხელი:
ასი ვმართებს გაგონება, არ გეყოფის, არ, ერთხელ,

კარგად ვერას ვერ მოაელენს კაცი აგრე გულ–ფიცხელი,
აწ მე მინდა ნახვა მისი, ვისგან დამწვავს ცეცხლი ცხელი.

იგი ვნახო, სიყვარული მისი ჩემთვის დავამტკიცო;
მოვახსენო, რაცა მეცნას, მეტი საქმე არა მიცო;
შენ გესუკეი, შემაჯერო, ღმერთი იღმრთო, ცაცა იცო,
ერთმანეთი არ გაეწიროთ, მაფიცო და შემომფიცო."

ამით იგი ეუბნება, ამხნევებს, რომ მოქმედებაა საჭირო და არა ყურების ჩამოყრა. სხვათა შორის, იმისათვის, რომ სხვა ქვეყნები მიექციათ მონოთეიზმისკენ, ებრაელმა ერმა იმდენი ტანჯვა–წამება, დევნა და დამცირება განიცადა, რომ ბევრჯერ ყოფილა სასოწარკვეთილი, მაგრამ მაინც იმხნევებდა თავს და იბრძოდა, რომ დაემსახურებინა ჯერ ისრაელში დაბრუნება, შემდეგ შეხინას დახსნა ტყვეობიდან. ამაში რომ დიდი როლი მიუძღვის საქართველოს, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ. გავიხსენოთ კ. გამსახურდიას და სხვათა ნაშრომები.

ამგვარად, ებრაელობა უნდა დარწმუნდეს, რომ მესიის გამოვლინების ღირსნი რომ გახდეთ, საქართველო — იბერიელები უნდა დადგნენ ებრაელების გვერდში, რის შემდეგაც, შეხინა დაიყვანებს დედამიწაზე.

ამავე დროს, მესამე სტროფში ავთანდილი ბრძნულ აზრს ეუბნება, მას. ნახვა უნდა იმის, ვინც ტარიელის ნესტანის სადარია, ვინც აქ გამოგზავნა, რათა ტარიელს გადარჩენის გზა უჩვენოს, თანაც მას არ უნდა ტარიელივით მისი დაკარგვა. სურს, რომ განამტკიცოს სიყვარული, ქართული ცხოვრების წესი, რათა საქართველოს მდედრობითი არსის მფარველობა ჰქონდეს.

ამგვარად, ავთანდილი ბრუნდება საქართველოში. ხომ არ უნდა მივიჩნიოთ ეს დავით სოსლანის დაბრუნებად, ჯვაროსნული ომების შემდეგ? თამარის დავალება ხომ არ იყო რომ სოსლანი და სხვა მამულიშვილნი — ავთანდილნი ღრმად ჩაწვდა ტარიელის — ისრაელის ხალხის ისტორიას. ხომ არ ლაპარაკობს ეს ფაქტი, რომ თამარის სახით ზეციური, მდედრობითი არსი, სოსლანს და სხვა ქართველებს ავთანდილებს უკავშირდება. ქართველებმა ხომ განსაკუთრებით თამარის ეპოქიდან უფრო გააასკეცეს მთელ მსოფლიოში ტაძრების აგება, ცოდნის გატანა. ამას ემატება ქართველ ღვთისმსახურთა მიერ ებრაელთა გაასკეცებული მფარველობაც. გავიხსენოთ რომ ძლევამოსილია საქართველო ქრისტეშობიდან მოყოლებული. შემდეგ ავთანდილი ამბობს, რომ ღმერთმა მისცა მას ეს მისია, რომ ტარიელისთვის მოკვდეს და არ დაამწუხროს იგი; არც ტარიელმა უნდა გასწიროს ავთანდილი:

„რომე აქათ არ წავიდე, შენ თუ ამას შემეპირო,
მეცა ფიცით შეგაჯერო, არასათვის არ გაგწირო,
კვლა მოვიდე შენად ნახვად, შენთვის მოვკვდე, შენთვის ვირო,
ღმერთსა უნდეს, ვისთვის ჰკვდები, მისთვის აგრე არ გატირო".

ამ ეპოქაში ტარიელი — ებრაელობა გაუსაძლის მდგომარეობაშია. ამიტომ სთხოვს ავთანდილი ტარიელს, არ წავიდეს. ტარიელიც ჰპირდება ამ თხოვნის შესრულებას:

„ამაზედა შეიფიცნეს მოყვარენი გულ–სადაგნი,
იაგუნდნი, ქარვის–ფერნი, სიტყვა–ბრძენნი, ცნობა–შმაგნი,
შეუყვარდათ ერთმანერთი, სწვიდეს მიწყივ გულსა დაგნი,
მას ღამესა ერთგან იყვნეს მშვენიერნი ამხანაგნი".

მშვენიერ ამხანაგობაში გამოისახება ღმრთის იდეალების ერთგულება–ცოდნა, მცნებების დაცვის გამყარება— განმტკიცება. ჩვენ ვიცით, როგორ ასრულებდნენ ებრაელები, ტარიელი და ქართველები — ავთანდილი, მათი ცხოვრების წესით, ამ მისიას. ერთმანეთის შეყვარება ნიშნავს ბიბლიის უფრო შეყვარებას ავთანდილის მიერ და ქართული ცხოვრების წესის მისი წინაპრების სამშობლოს უფრო შეაყვარებას ტარიელის მიერ. რუსთაველის მიხედვით მესიის წინა პერიოდი სწორედ ამ ცხოვრების წესის აღდგენაა, რაშიც შემდგომ დავრწმუნდებით.

## 2.4. მეთორმეტე საუკუნის მიმოხილვა

### ავთანდილი ბიბლიის ცოდნას ამტკიცებს საქართველოში

„იგი მუნით წამოსრული სევდამანცა განა მოკლა!
პირსა იხოკს, ვარდსა აზრობს, ხელი მისი გაამხოლა;
სისხლსა, მისგან დადენილსა, მხეცი ყოველი გაამლოკლა;
მისმან ფიცხლა სიარულმან შარა გრძელი შეამოკლა."

პირსა იხოკს ე.ი. განიცდის ებრაელთა ტარიელის გასაჭირს. „სისხლსა, მისგან დადენილსა" – ე.ი. უდიდესმა მადლმა მხეცნი ყოველი გაამლოკლა. შემდეგ აღწერილია როგორ ბრუნდება ავთანდილი საქართველოში, სადაც უფრო მტკიცდება სწორი ცხოვრების წესი:

„მოვიდეს, სადა საყოფად სახლი დგა მუნ აგებული
მოვიდა ნახვად ყოველი მის ქალაქისა კრებული
მაშინვე დაჯდა ნადიმად მორჭმული, ლაღი, შვებული
ენა მის ღვისა შვებასა ყოლა ვერ იტყვის კლებული".

ამგვარად, იმ ქართულ წესს, რაც ავთანდილშია, რომელიც სრულყოფილად ფლობს ბიბლიას, მის მცნებებს, ასამებს ქართველთან ისე, რომ ამ მცნებებს ამდიდრებს და, პირიქით, მცნებები ამდიდრებენ ქართული ცხოვრების წესს. ახლა მას მეფის – თინათინის ნახვა სურს. ამისათვის ავთანდილი როსტევანთან და თინათინთან შერმადინს აგზავნის. საქართველოს იმდროინდელ მეფეში თამარი უნდა ვიგულისხმოთ, ხოლო როსტევანში, როგორც აღვნიშნეთ, ნოე და მისი სახით საქართველოს ყველა დროის მეფენი. ისინი მიეგებებიან ავთანდილს, ქართული ცხოვრების წესს. ავთანდილი თაყვანს სცემს მათ:

„მეფე შეჯდა, გაეგება ყმასა, მუნით მომავალსა;
ამას პირ–მზე მეფისაგან ივალებდა ვითა ვალსა.
მიეგება, მოეგება მხიარული გულ–მხურვალსა,
დიდებულთა ჯარისაგან ზოგი ჰგვანდა ვითა მთვრალსა.

რა მიეახლა, გარდახდა ყმა, თაყვანის–სცა მეფესა;
აკოცა როსტან, მიმხვდარმან ნიშაკთა სიტყვესა;
გულ–მხიარულნი, შვებულნი მიველენ დარბაზსა მეფესა;
მის ყმისა მოსვლა უხარის ყოველსა მუნ მეკრეფესა.

მას ავთანდილ თაყვანის–სცა, ლომთა ლომმან მზეთა მზესა.
მუნ ბროლი და ვარდ–გიშერი გაეტურფა სინაზესა,
პირი მისი უნათლევა სინათლესა მზესთა–მზესა,
სახლ–საყოფი არა მართებს, ცამცა გაიდარბაზესა!"

აქ პირველ სტროფში ჩანს, რომ ავთანდილის, ქართული ცხოვრების წესის, დანერგვას ყველა მეფე როგორც ვალს ივალებდა. ამიტომაც საქართველოში დიდებულთა, ანუ სწორად მცხოვრებთა ჯარი იყო. ავთანდილი, სწორი ცხოვრების წესი, ლომთა–ლომია რადგან მას აქვს მზიური ნათელი თინათინის მზეთა–მზეს სახით. ნერგავენ ისეთ მზეობას, რომ ცაშიც სიხარულია, დარბაზობაა, რადგან სრულიად იცავენ მცნებებს. შემდგომი სტროფი გადმოგვცემს:

„მას დღე დასხდეს ნადიმობად, გაამრავლეს სმა და ჭამა;
ყმასა მეფე ასრე უჭვრეტს, ვითა შვილსა ტკბილი მამა.
მათ ორთავე ამშვენებდა, ფიფქსა – თოვნა, ვარდსა – ნამა,
უხვად გასცეს საბოძვარი, მარგალიტი, ვითა დრამა."

მარგალიტი ვითა ღრამა. გავიხსენოთ არგი ძველ ქართულში მზეს ერქვა. ბასკურად არგ ნიშნავს მზის სხივს. საქართველოსი ერთ–ერთი კუთხეს სახელი მ–არგ–ალი შეიცავს ამ დასახელებას. ალი–ც მზესგანაა ნაწარმოები. მაგრამ აქ უნდა ვიგულისხმოთ სულიერი მზე, რომელიც მოდის მამაზეციერიდან. ასე შეიძლება გაიშიფროს მ–არგ–ალი–ტი. ასეთ სულიერ მზეს იმსახურებდნენ თავიანთი ქმედებით საქართველოში მეფე ავთანდილი — ქართული ცხოვრების წეს–ჩვეობა. იყო სიუხვე და მოსავალი.

ქართული ცხოვრების წესი ხომ მეფეთა მიერ იყო დანერგილი, შობილი. მაგრამ მარგალიტი ამ შემთხვევაში ცოდნას სიმდიდრეს გამოხატავს. შემდეგ ავთანდილი აუწყებს მეფეს და დიდებულთ ტარიელის ამბავს. ანუ იგი ტარიელისგან მიღებულ ბიბლიის ცოდნას გადასცემს დიდებულთ:

„მას ვახსენებდე, ნუ გიკვირს, თქმა მჭირდეს მიწყივ ახისა!
მზე თუ ვთქვა, მსგავსი მისი და ანუ მისისა სახისა,
ვინ უნახავ–ქმნის გონება ყოველთა კაცთა მნახისა;
ვარდი დამჭნარი ეკალთა შუა, შორს მყოფი, ახ, ის–ა!

ქვაბნი ომითა წაუხმან, სახლად აქვს დევთა სახლები,
საყვარელისა მისისა ქალი ჰყავს თვით ნაახლები,
ვეფხისა ტყავი აცვია, ცუდად უჩს სტავრა–ნახლები,
აღარა ნახავს სოფელსა, ცეცხლი სწვავს ახალ–ახლები".

პირველ სტროფში ჩანს, მისი სახის მენორის ნათელი შუქის მსგავსი მხოლოდ მზეაო. რომ ტარიელი, ვარდი დაჭკნა ეკალთა შუა. ისრაელი, რომელიც უმდიდრესი მიწათმოქმედთა ქვეყანა იყო, დღეს ბოროტებით აღვსილ სამყაროში თითქმის უდაბნოდ იქცა. მეორე სტროფში ჩანს, რომ ისინი დევნილნი არიან და ცხოვრობენ სხვა ქვეყნებში, დევთა ანუ ბოროტთა სამფლობელოში. აქვთ სახლები, ანუ ნელ–ნელა ეუფლებიან მათ სიმდიდრეს. ამავე დროს, „ვეფხის ტყავი აცვია", იცავს მცნებებს, ამტკიცებს მის დაცვას ერში ებრძვის ბოროტებას, და ამიტომაც მომავალი მეფეა — მესიაა, ფლობს დიდ სულიერ სიბრძნეს, თორას — ბიბლიას.

ბოლო სტრიქონი კი გვეუბნება ტარიელის უიმედობას, რადგან ბოროტნი ებრძვიან ებრაელთ, აწამებენ მათ. თითქმის ყველა ქვეყანაში და ყოველთვის „ცეცხლი სწვავს ახალ–ახლები". თინათინს ეს ამბავი გაახარებს, ახარებს განა მათი წამება, იცის, რომ ებრაელთა ეს წამება დროებითია, ახარებს მათი გამბედაობა, რომ იღწვიან მცნებების დასანერგად. მას ისიც ახარებს, რომ ტარიელმა ავთანდილში მისი ძმა — თვისტომი — იბერიელი, მისი სისხლი და ხორცი იცნო, მოწილე მეგობარი მთელ სამყაროში მცნებათა დანერგვის საქმეში. ხოლო ავთანდილმა ცოდნა და სიყვარული მოიმატა.

შემდეგ არის თინათინისა და ავთანდილის შეხვედრა:

უფლის ნათელი უქებს ქართველთ უფლის, მოყვასის ერთგულებას,
ცოდნის გაღრმავებას.

„გამხიარულდა თინათინ ამა ამბისა სმენითა,
მას დღე იხარებს სმისა და ჭამისა არ–მოწყენითა,
კელა საწოლს დახედა მის მზისა მონა სიტყვითა ბრძენითა:
მისვლა ებრძანა, ვამა, თქვა არ ეგების ენითა."

თინათინის მხიარულებას კი ენის მცნებების დაცვა იწვევს, ქართველთა, ანუ ავთანდილის მიერ, ამიტომ ყოველი სტრიქონი ენით მთავრდება. ენა ღმერთის მიერაა მოცემული და თინათინიც მონაა მისი. ეს ჩანს მესამე სტრიქონში.

შემდეგ გადმოიცემა როგორ მიდის ავთანდილი თინათინთან:

„ყმა წავიდა მხიარული, ლმობიერი, არ გამწყრალი,
ლომი მინდორს ლომთა თანა მოარული, ფერ–ნამკრთალი,
ყმა სოფლისა ხასიათი, ჯავარ სრული, მრავალ–წყალი,
მაგრამ ქონდა გულისათვის გული გულსა განაცვალი."

ყეელა სტრიქონის ბოლო ალით მთაერდება, ანუ შეხინა გამჩენის ალი აეთანდილს — ქართული ცხოერების წესს, თან დაყეება, რომელიც მრაეალ—წყალია, ანუ ღმერთის წყალობა, ალიც აქეს და თეითონაც მოწყალეა. მრაეალმა წყალმა ჩაიარა, რაც ქართული ცხოერების წესი არსებობს. „ჯაეარ სრული მრაეალწყალი“, მაგრამ ჰქონდა გული გულსა განაცეალი, ანუ გულისხმიერება, რაც უმაღლესი განმომილებაა:

შემდეგ რუსთაეელი გადმოგეცემს:

„ყმა მხიარული წინაშე დასეა სკამითა მისითა;
სხენან საესენი ლხინითა, ორთაეე შესატყეისითა;
უბნობენ ლაღნი, წყლიანნი, არა სიტყეითა მქისითა;
უთხრა: „ჰპოეეა, პატიენი ნახენ ძებნითა ეისითა?“

„დაისეა სკამითა მისითა“, ე.ი. დამსახურებითა მისითა. ამიტომ სხედან საესენი ლხინითა. თამარის ეპოქაში ხომ მცნებების დაცეა იყო. ბარაქა, ლსინი აქეს საქართეელოს — ეს კი მეციური მღედრობითი არსის ლხინიც არის. ხარობს, მეობს იგი. უსეად აგმაენის ცხოეელმყოფელ სხიეებს. უბნობენ ლაღნი, წყლიანნი, ანუ არის წყალობა და არა სიტყეები, დაპირებები. აეთანდილი შეკითხეამე „ჰპოეეა“... უპასუხებს:

„მუნ სარო, მსგაესი ეარდისა, ენახე, მისჭირდა, მი–, ნები;
იტყეის: „დაეკარგე ბროლი და, სადა რთაეს ბროლსა მინები“.
მით ეიწეი, რათგან ჩემებრეე ცეცხლი სწაეს მოუთმინები“.
მერმე კელა ჰკადრა ამბაეი მან, მისგან მონასმინები.“

აქ მესამე სტრიქონში ჩანს, რომ აეთანდილს და ტარიელს ერთი და იგიეე მიმანი აქეთ. ყეელგან, ყეელა ქეეყანაში დანერგონ მცნებანი, მეიტანონ მნეობა და რაც შეიძლება ჩქარა მოხდეს შეხინის დაეანება სამყაროში. მაგრამ ადამიანთა უმნეობის გამო არ ხდება ასე და ამიტომაც არ ეჩქარება უფალს, ელოდება, როდის მოეეგებით გონს. აეთანდილი თინათინს აუწყებს, რომ ბოროტთა სამყაროში ებრძეიან ტარიელს, ურებს.* ის კი მადლს ნერგაეს, ბოროტებას სიკეთით პასუხობს: „ოდენ ხელი მხეცთა თანა, იარების მინდორს, ტირსა“. აეთანდილი ასე ამთაერებს:

„წერილად ჰკადრა, რა იცოდა, რა ნახულად, რა ნასმენად:
„ეითა ეეფხსა წაეარნა და ქეაბი აქესო სახლად, მენად;
ქალი ასლაეს სასურეელად, სულთა დგმად და ჭირთა თმენად.“
ეა, სოფელმან სოფელს მყოფი ყოელი დასეა ცრემლთა დენად!“

აქ ჩანს, რომ ებრაელებს ქალების პატიოსნება, თორის, მცნებების ერთგულება, ატანინებს გაჭირეებას. ქალები მათი სულიერი სიმტკიცის საფუძეელნი არიან — „ქალი ახლაეს სასურეელად, სულთა დგმად და ჭირთა თმენად“. ამიტომ სადაც ცხოერობენ, ყეელა ქეეყანაში სჩადიან მადლს. ეს სიამოენებს თინათინს. მან იცის, აეთანდილის და ტარიელის ერთობის შემდგომ გაიმარჯეებს სიკეთე. იგი ხედება, რომ აეთანდილმა შეისისხლხორცა ტარიელის ბედი და ტანჯაეს მისი კაეშანი.

„ქალსა რა ესმა ამბაეი, მიხედა წადილი ნებისა,
განათლდა პირი მთეარისა, ეით ნათლად ნაეანებისა,
იტყეის: „რა ეუთხრა პასუხი მას სათნებლისა თნებისა,
რაა წამალი მისისა წყლულისა განკურნებისა?“

აეთანდილი თეითონეე პასუხობს:

---

*განა ჩეენი შეილები ისე იქცეეიან, როგორც ჩეენ გეინდა? ისინი მხოლოდ სიბერეში ნანობენ, რომ არ გეიჯერებდნენ. ასეა სამყაროშიც. უნდა შეეიცნოთ ბოროტის უკეთურება, რომ ეიცხოეროთ სიკეთით, უფლის მცნებებით.

„ყმა ეტყვის: „ვის აქვს მინდობა კაცისა მომცქაფავისა?
მან ჩემთვის დაწვა თავისა დადვა, არ–დასაწვავისა;
დრო დამიც ჩემგან მისლვისა, მითქვამს დადება თავისა,
მზე შემიფიცავს თავისა, ჩემგან მზედ სახელდვისა."

ამ სტროფში ჩანს იბერიელთა ისტორია. ჩვენ ვიცით, რომ იბერია არის სიკეთის ციტადელი. როცა მოაწვა ბოროტება იბერიას, ბოროტების დაწოლა რომ შენელებულიყო საქართველოზე, იბერიელთა ტომები გადავიდნენ ისრაელში, – ქანაანის ტერიტორიაზე, განავითარეს მზეობრივი ცხოვრების წესი. შემდეგ მიიღეს ბიბლია. ამგვარად, დაამკვიდრეს სიყვარული, სიკეთე ქანაანში. ის სიყვარული, რაც საქართველოში იყო. ოღონდ დაფარულად, რადგან ქართველებს ენაში ჰქონდათ მცნებანი. ებრაელნი კი ღიად დაუპირისპირდნენ ბოროტებას, ამიტომ შეიკრიბნენ მთელი მსოფლიოს ბოროტნი და ებრაელობამ საშინელი დარტყმები მიიღო. იგერიებდა მათ და უფრო მრავლდებოდნენ ისინი, როგორც ზღაპარში, ამირანი ერთ თავს რომ მოსჭრის დევს და უფრო მეტი ამოდის. ავთანდილი ხედავს, რომ ტარიელი მზეობრივი ცხოვრების წესის დანერგვისათვის სწირავს თავს. ეს ჩანს მეორე სტრიქონში. ამიტომ ახლა დადვა ავთანდილის, მისი თავის დადების დრო, რაც ჩანს მესამე სტრიქონში. ამგვარად, ავთანდილი – საქართველო იწყებს ღია, აშკარა ბრძოლას ბოროტების წინააღმდეგ:

„სამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად,
კელა მიჯნურსა მიჯნურისა ჭირი უჩნდეს ჭირად დიდად,
აპა, მაქვსმცა უმისობა ლხინი არმად, თავი ფლიდად!"

სანამ ტარიელის პრობლემები არ მოგვარდება, ავთანდილს ლხინი არმად და თავი ფლიდად უჩანს. შემდეგ თინათინი კმაყოფილი ეუბნება:

„მზე იტყვის: „მომხვდა ყოველი ჩემი წადილი გულისა:
პირველ, შენ მოხვე მშვიდობით, მპოვნელი დაკარგულისა,
მერმე, ზრდა სიყვარულისა გაქვს, ჩემგან დანერგულისა,
ეპოვე წამალი გულისა, აქამდის დადაგულისა!"

ამ სტროფის შინაარსი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ებრაელები არიან საქართველოდან გადასული ტომები, რათა დანერგონ სიყვარული – ქართული ცხოვრების წესისათვის დამახასიათებელი ეს უმაღლესი მზეობა. მართალია, იყო ცალკეულ ებრაელებში რჯულის პრინციპებიდან გადახვევა, მაგრამ ტარიელი, მზეობა, მათში სამარადჟამოდაა, არ დაიკარგება. ამ მზეობამ რომ გაიმარჯვოს, საჭიროა იმ მზეობასთან შეერთება, საიდანაც ისინი არიან. ავთანდილმა ეს შეიცნო, ანუ იგი „მპოვნელია დაკარგულისა", იმ ცოდნისა რაც იცოდნენ მისმა წინაპრებმა. აქედანაა ზრდა სიყვარულისა. ცოდნის ზრდა სიყვარულის ზრდის პროპორციულია. განამტკიცა რა უდიდესი ცოდნა, ამით ზრდა აქვს სიყვარულისა გამჩენის, მისი მცნებების, მღვდრობითი არსის, მისი სულიერი ძმის – ტარიელისა. «ოვველივე გაითავისა, რაც ძალიან ახარებს თინათინს, მღვდრობითი არსს და ამიტომაც იძახის: „ეპოვე წამალი გულისა, აქამდე დადაგულისა". ანუ დადაგული ჰქონდა მას გული ებრაელთა – ტარიელის გამო და ახლა რეალურად ეჩვენება, რომ ავთანდილი თავგანწირვით დაუდგება გვერდში, შეეწევა სიკეთე სიკეთეს, ძმა – ძმას, თვისტომი – თვისტომს. მაშინ სიკეთე გაიმარჯვებს ბოროტებაზე, ამიტომ მათი ძმობა ებრაელთათვის წამალია. ეს ახარებს ზეციურ არსს. ასეა, ჩვენი მზეობა, ზეციურ არსთა, ანგელოზთა და, პირველ რიგში, ღმერთის სიხარულია.

სიყვარულის. ზრდა მიგვანიშნებს აგრეთვე ძმათა გაძლიერებაზე, რადგან ორი ერის, ქართველთა და ებრაელთა, ანუ სიკეთის მისწრაფებები შეერთდა. ეს ზრდის ორივეს, როგორც ავთანდილს, ისე ტარიელსაც და ეს მღვდრობითი არსიდან მოდის, მისგან ინერგება, რადგან თუ არის სიყვარული, არის მიწათმოქმედთა ქვეყნის ბარაქა. ამგვარად, სიყვარული ნიჭია, გენეტიკაა. ეს ნიჭი ღვთისგან ბოძებულია ენით, მისი სულიერებით და მისი პირველ რიგში ბიბლიის ცოდნის გამო. ეს სტროფიც გვარწმუნებს, რომ თინათინი მღვდრობითი არსი შეხნაა.

ამიტომაა, რომ ქართველს ყველა უყვარს. ყველა ადამიანში ადამიანს ხედავს და მიილტვის იქითკენ, რომ როგორმე ემსახუროს მას, რათა სიყვარულის ხიდი კიდევ უფრო განამტკიცოს. აქედან — სტუმართმოყვარეობა, ჩუქების თვისება და სხვა. იმპერიულად მოაზროვნე ადამიანი — პიროვნება კი უცინის, იღებს მის მიერ გაცემულ სითბოს, მაგრამ სულ იმის ძიებაშია, როგორ გამოიყენოს იგი. თვითონ ამაღლდეს, ქართველი კი მისი მონა იყოს. ასეთი ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან, თუნდაც საქართველოსა და რუსეთს შორის, ახლაც გრძელდება. უბედურება ის არის, რომ სიყვარული არ შეუძლიათ, რაც სიკეთის გაცემით მოდის. ერთხელ რომ გასცენ, მიანიჭონ სხვას სიამოვნება, მიხვდებიან რაოდენ დიდი სიამოვნება, (რადგან მდიდარი ის არის, ვინც გასცემს) და ჰარმონია დაიბუდებს მათში და მოეშვებიან სხვათა დამონებისკენ ლტოლვას.

## თინათინი აშკარა ღია ბრძოლისკენ მოუწოდებს ქართველთ

„საწუთრო კაცსა ყოველსა, ვითა ტაროსი უხვდების;
ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხდების.
აქამდის ჭირი ჩემმზედა, აწ ესე ლხინი უხვდების.
რათგან შევება აქვს სოფელსა, თვით რად ვინ შეუწუხდების?“

განსაცდელი და ტანჯვა მოუხდათ ებრაელებს. ეს რომ არა, ისინი უკვე კარგავდნენ მცნებათა დაცვის წესს. ახლა ლხენაა ზეცაში და ეს ლხენა მალე დედამიწამდეც იქნება:

„შენ არ—გატეხა კარგი გჭირს ზენაარისა, ფიცისა.
ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა,
ძებნა წამლისა მისისა და ცოდნა ხამს უვიცისა,
ჩემი თქვი, რა ექმნა ბნელ—ქმნილმან, მზე მიმეფარის, მე—, ცისა?“

პირველი სტრიქონი გვეუბნება, რომ ქართველი არ გასცემს ზენაარის რწმენას, ის გენეტიკურადაა ღმერთის მორწმუნე, რადგან ენაში აქვს მისი მცნებები. ჩვენ ადრეც აღვნიშნეთ, რომ ებრაელებმა მცნებები რომ დაიცვან, ბიბლია უნდა ისწავლონ. ეს კი ყველას არ შეუძლია. შენ ეძებ მოყვრისთვის წამალს. ხშირად ეს წამალი ცოდნის, ზნეობის დასწრგვაა, ამისათვის გასვლაა საჭირო. თინათინი სწუხს, რომ ეს შეასუსტებს საქართველოს, რადგან იგი იწყებს აშკარა, ღია ბრძოლას ბოროტებასთან. მან იცის, რომ ეს საქართველოს ზიანს მოუტანს. ისინი მოინდომებენ სიკეთის ციტადელის აღმოფხვრას, მოეძალება ქვეყანას უზნეობა და იგი, მღვდლობითი არსი ბარაქას ისე ვერ გამოაგზავნის, ანუ მზე მოეფარება ღრუბლებს:

აეთანდილი ასე უპასუხებს:

„ეა თუ გაეიჭრე, გაჭრილსა სადა, გლახ, დამწვავს სამ—ალი!
გული ძეს საგნად ისრისა, მესრვის საკრავად სამალი;
დრო სიცოცხლისა ჩემისა დღესითგან ჩანს ნასამალი;
მალვა მწადს, მაგრა გარდახდა ჟამი პატივთა სამალი!“

აქამდე ქართული ცხოვრების წესი დამალული, დაფარული იყო. ახლა რომ გაეიჭრები, მოეძალება საქართველოს ბოროტება და დამწვავს სამად, ანუ სამი სამყაროს — ორგანულის, მცენარეულის და ცხოველურის ჰარმონიული თანაარსებობა აღარ იქნება. შემდგომ იგი იმით ამშვიდებს მღვდლობით არსს, რომ მას მალვა წადს, ანუ ხშირად უნდა დაფაროს ის, რაც სურს, რაც მისი მისწრაფებაა და სერხით სძლიოს ბოროტს. იგი ბოლოს ასე ამთავრებს:

## ავთანდილი სთხოვს ქართული მიწის ბარაქას,
## ანუ თინათინის უწყვეტ დაეანებას ყულის ნებით

„მესმა თქვენი ნაუბარი, გავიგონე, რაცა ჰბრძანე!
ვარდსა ქაცვი მოაპოვნებს, ეკალთამცა რად ევფხანე!
მაგრა, მზეო, თავი მზესა ჩემთვის სრულად დააგვანე!
სიცოცხლისა საიმედი ნიშანი არ წამატანე!“

ე.ი. მან გააგრძელოს თავისი მისია სხვა ხალხის, გაჭირვებულთა დახმარებისა, მაგრამ ამისათვის სთხოვს, რომ თავი მზესა მისთვის სრულად დაამგვანოს, ანუ ბარაქისათვის, დოვლათისათვის ამინდი და მზის ცხოველყოფელი სხივი მოეფინოს საქართველოს, რაც მისი სიცოცხლის საიმედო ნიშანია.

„ყმა ტკბილი და ტკბილ–ქართული, სიკეთისა ხელის მხდელი,
ამაზედა ეუბნების, ვით გამზრდილსა ამო მზრდელი;
ქალმან მისცა მარგალიტნი, სრულ–ქმნა მისი საწადელი,
ღმერთმან ქმნას და გაუსრულდეს ლხინი ესე აწინდელი!“

პირველი სტრიქონი გვიდასტურებს, რომ ავთანდილი ცხოვრების ტკბილქართული წესია, სიკეთის ხელის მხდელი, ხოლო თინათინი მისი გამზრდელი, ანუ ენა ქართულზე დაფუძნებული ცხოვრების წესის განმტკიცებელი. თინათინი აძლევს ავთანდილს, მოთხოვნის დარად, ბარაქას, რაც მესამე სტრიქონში მარგალიტის მიცემაშია გამოხატული, ანუ საქართველოს – ავთანდილს, მზეობის გამო ეძლევა მუდმივი სულიერი მზე. შეჭირვების დროსაც გვექნება ბარაქა. (ასე ფასდება ზეცაში მოყვასისათვის თავდადება ცხადია მდედრობითი არსი უფლის ენით ლაპარაკობდა), რაც დღესაც ხდება.

მაგრამ ავთანდილის ლხენა არ იქნება სრულყოფილი. სრულყოფილი მაშინ იქნება, როცა ტარიელსაც იგივე ექნება. ამას გვეუბნება ბოლო სტრიქონი. „ღმერთმა ქმნას და გაუსრულდეს“. ქართული გენეტიკის თვისებაა, რომ მოყვასის კეთილდღეობისათვის იზრუნოს. ჩვენში დანერგილ ამ ღვთიურ სიყვარულს შემდეგი სტროფები ადასტურებენ:

„რა სჯობს, რა კაცმან გიშერი ბროლ–ლალსა თანა ახიოს,
ანუ ბაღს ალვა საროსა ახლოს რგოს, მორწყოს, ახიოს,
მისსა მჭვრეტელსა ალხინოს, ვერ–მჭვრეტსა აეაგლახიოს!
ვაი მოყვრისა გაყრილსა, ახი ოს ვყოს, ახი ოს!“

ამ სტროფში რუსთაველი გადმოგვცემს ქართულ ბუნებას: საქართველოში მყოფთ ლხინი აქვთ, მაგრამ ვერ მჭვრეტელთ, ანუ მის ფარგლებს გარეთ კი არა – ეს ქართველისათვის უკვე ტრაგედიაა, როცა თვითონ ხარობს, სხვა კი იტანჯება. მას შეუძლია, რომ ილხინოს იმ სიუხვით, რაც მას აქვს, მაგრამ ამჯობინებს მოყვრის ვაი გაითავისოს.

ამგვარად, თაღება საქართველოს ოქროს ხანა, აღმშენებლობის, თამარის ხანა. ბოროტებამაც კარგად იცის, სადაა სიკეთის ციტადელი და იწყებს მასზე შემოტევას, ისევე, როგორც ისრაელზე. მაგრამ ზეცაში ქართული გენეტიკის იმედი აქვთ. ქართველი და ღმერთის სიყვარული ერთი და იგივეა. ამგვარად, იწყება მეცამეტე საუკუნე და იწყება ქართველთა გაუთავებელი ომების პერიოდი, მაგრამ აქვს საქართველოს ბარაქა და ამიტომ უძლებს იგი ომებს. გენეტიკურად აქვს ღმერთის სიყვარული და იცავენ მცნებებს. იწყება მეცამეტე საუკუნე, ახალი ეპოქა, ეპოქა იბერიული მოდგმის, მისი ციტადელის – საქართველოს წინააღმდეგ ბოროტების გაერთიანებული ბრძოლისა:

„მათ მიხედა ლხინი ყოველი ერთმანეთისა ჭვრეტითა.
ყმა წამოვიდა გაყრილი, მივა გულითა რეტითა.
მზე ტირს სისხლისა ცრემლითა, მღვისაცა მეტის–მეტითა.
იტყვის: „ვერ გაძლა სოფელი, ვა, სისხლთა ჩემთა ხერეტითა!

ყმა წავიდა სევდიანი, მკერდსა იცემს, ამად ილებს,
რომე კაცსა მიჯნურობა ატირებს და გააფრდილებს;
რა ღრუბელი მიეფარეის, მზე ხმელეთსა დააჩრდილებს,
მის მოყვრისა მოშორევბა, კელა ამბინდებს, არ ადილებს.

სისხლმან და ცრემლმან გარევით ღაწვი ქმნის ღარად და ღარად;
იტყვის: „მზე ჩემგან თავისად კმა დასადებლად აღარად;
მიკვირს, თუ გული ალმასი შაემან წამწამმან დალა რად!
ვირე ენახვიდე, სოფელო, მინდი სალხინოდ აღარად!

ეინ უწინ ედემს ნაზარდი ალვა მრგო, მომრწყო, მახია,
დღეს საწუთრომან ლახვარსა მიმცა, დანასა მახია,
დღეს გული ცეცხლსა უშრეტსა დაბმით დამიბა, მახია,
აწცა ეცან, საქმე სოფლისა ზღაპარია და ჩმახია!"

იგი, ქართული ცხოვრების წესი, ედემს ნაზარდია, ჰარმონია სუფევს, მაგრამ ხალხი იტანჯება – ტარიელი იტანჯება და ასეთი სოფელი მხოლოდ ზღაპარია და ჩმახია. სამშობლოს უნდა მოსცილდეს ავთანდილი, რათა მიეშველოს ტარიელს, ცოდნა გაიტანოს, მადლი აურქიოს. ეს კი ტანჯვის გზაა. იგი უნდა მოწყდეს ქართული მიწის ჰარმონიას, სულიერ მზეს. ამაზე ფიქრობს ქართული ცხოვრების წესი, რაც შემდეგ სტროფშია გადმოცემული:

## 2.5 XIII–XVII საუკუნეების მიმოხილვა

### ავთანდილის განცდები

„ამას მოსთქვამს, ცრემლსა აფრქვევს, ათრთოლებს და აწანწარებს,
გულ–ამოსკვნით, ოხვრა–სულთქმით მისრის ტანსა, მიაწარებს.
საყვარლისა სიახლესა მოშორევება გაამწარებს,
ეა, საწუთრო ბოლოდ თავსა ასუდარებს, ამეწარებს!

ყმა მივიდა, საწოლს დაჯდა – ზოგჯერ ტირს და ზოგჯერ ბნდების,
მაგრა ახლავს გონებითა საყვარლისა, არ მოსწყდების;
ვით მწვანილსა თრთვილისაგან, პირსა ფერი მოაკლდების,
ხელავთ, ვარდსა უმზეობა როგორ ადრე დააჩნდების!"

„გონებითა საყვარელსა არ მოსწყდების". უდიდესი მეოლნეთათვის შესინის სიყვარული უფლის სიყვარულიდან გამომდინარეობს. მას აქვს იმხელა ცოდნა, რომ მისი გონება თინათინის გონებასთან იქნება, არ მოსწყდება სიყვარულს, მაგრამ უმზეობა, უთინათინობა მალე დააჩნდება. შემდგომ რუსთაველი გადმოგვცემს იმ ადამიანთა ბუნებას, ვინც ქართული ცხოვრების წესით არ იზრდებიან.

„გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი,
გული–ჟამ–ჟამად ყოველთა ჭირთა მთმო, ლხინთა მნდომელი,
გული – ბრმა, ურჩი ხელვისა, თვით ვერას ვერ გამზომელი,
ვერცა ჰპატრონობს სიკვდილი, ვერცა პატრონი რომელი!"

ჩვენ ვიცით რომ ცხოველური სული გულშია. ამიტომ გული ძალიან ხშირად სცილდება გონებას, ცოდნას, გრძნობებს, უჩნეობაზეც ფიქრობს. ეს ყოველთვის შეიძლება მოუვიდს ყველას მათ შორის ავთანდილსაც ოღონდ წამიერად. როგორც აღვნიშნეთ, ქართველთა ცოდნის საფუძველი, დედა – დედაენაა, ღვთისგან მოცემული მისი სულია, ანუ დედიდან–მღვდრობითიდან იწყება ყველაფერი. დედის სიყვარული კი გენეტიკურად, ქართველთა ცნობიერებასთან განუყრელია. აქ არის ქართველთა სულიერი სიწმინდის საფუძველი – რაც მხოლოდ ენის დავიწყებით შეიძლება შეირყვნას.

მარტო ჩვენ გვეუბნება დედა ენა რომ ყველა ქალი – ქალბატონია ჩვენი სულის წარმართველია ეს ენა დედოფალი კვეთკებს უზნე გულის წადილსაც.

რუსთაველი აქ ნათლად გვიჩვენებს, რომ ქართველთა – ავთანდილის ცოდნა, იმ დონეზეა, რომ შეუძლია დათმოს ლხინი და სხვისი ჭირით, პრობლემებით იცხოვროს, რათა მასაც ლხინი მისცეს და ამით დიდი მადლი გააკეთოს, რაც ჩანს შემდეგ სტროფში:

„რა გულსა უთხრა გულისა, სიტყვანი საგულისონი,
მან მარგალიტი მოისხენა მის მზისა სამეყვისონი,
მის მზისა მკლავესა ნაბამნი, მათ კბილთა შესატყვისონი,
პირსა დაიდვა, აკოცა, ცრემლი სდის, ვითა ბისონი".

საქართველოს – ავთანდილს აქვს მარგალიტი: „მის მზისა მკლავესა ნაბანნი, მათ კბილთა შესატყვისანი" ანუ მუდმივი ბარაქაა მიუხედავად იმ სულიერი შეჭირვების ავთანდილთა გასვლას რომ მოაქვს. საქართველო იწყებს ღია ბრძოლას ბოროტების წინააღმდეგ მთელ მსოფლიოში. ეს იმას ნიშნავს რომ ის უნდა შეენაცვლოს ისრაელს მიიღოს თავის თავზე დარტყმები, რათა ისრაელმა დაიბრუნოს ჯერ ქვეყანა და მერე ის ცხოვრების წესი, რაც შეხინის ტყვეობიდან დახსნას განაპირობებს.

დღეს ჩვენ ყველა ვსედავთ ამ სულიერი შეჭირვების ფინალს და საქართველოს გაუსაძლის მდგომარეობას, მაგრამ მაინც გვაქვს ბარაქა შესანიშნავი ამინდი (რაზეც კიდევ აღვნიშნავთ). მარგალიტი მოიხვნა ანუ მიწათმოქმედებით მიიღო სულიერი მზე, ბარაქა და ცრემლი სდის

ანუ მაღლს ჩადის გასცემს ამ ბარაქას. ეს კი ქართველის ჰარმონია სულის ალმაფრენაა. გავიხსენოთ იაფეტის თვისება მოყვასზე ზრუნვა. ამის მერე არის იგი ლაღი, რაც შემდგომ ჩანს როცა მეფე ავთანდილს უხმობს:

„რა გათენდა, კაცი მოვა მომკითხავი, დარბაზს მხმობი.
ყმა წავიდა ლაღი, ნაზი, ნაღვიძები, ძილ–ნაკრთობი,
ერთმანერთსა ეჯავრიან, დგას მჭვრეტელთა ჯარი მსწრობი;
მეფე მინდორს ეკაზმოდა, მოემზადა დაბდაბ–ნობი.

მეფე შეჯდა, მამინდელი ზარი აწმცა ვით ითქმოდა!
ქოს–დაბდაბთა ცემისაგან ყურთა სიტყვა არ ისმოდა,
მზესა ქორნი აბნელებდეს, ძაღლთა რბოლა მიდამოდა;
მას დღე მათგან დანაღვარი სისხლი ველთა მოესხმოდა!

ინადირეს, შემოიქცეს მხიარულნი, მინდორს რულნი,
შეიტანნეს დიდებულნი, თავადნი და სპანი სრულნი;
დაჯდა, დასხდეს მოკაზმულნი საჯდომსა და სრანი სრულნი,
ხმას სცემს ჩანგი ჩაღანასა, მომღერალნი იყვნეს რულნი!

ყმა ახლოს უჯდა მეფესა, პკითხავიდა, ეუბნებოდა;
ბაგეთა გასჭვირს ბროლ–ლალი და კბილთაც ელვა პკრთებოდა.
ახლოს სხდეს ღირსნი, ისმენდეს, შორს ჯარი დაიჯრებოდა,
უტარიელოდ ხსენება არვისგან იკადრებოდა."

აქ ჩანს, როგორი ჰარმონიული ცხოვრებაა საქართველოში, სანამ ავთანდილი ტარიელის საძებრად წავა. მეორე სტროფის პირველი სტრიქონი გვეუბნება: „მეფე შეჯდა. მამინდელი ზარი აწმცა ვით ითქმოდა", ე.ი. იმ კონკრეტული პერიოდის მეფეზეა ლაპარაკი, რამეთუ საქართველოს ყველა მეფენი თითქმის არ განსხვავდებოდნენ იმ მისწრაფებაში, რომ მცნებანი დაეცვათ. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს აზრს, რომ როსტევანში ყველა დროის მეფენი უნდა ვიგულისხმოთ. ამ ჰარმონიისათვის შემოჭრილ უზნეობათა აღმოფხვრა საჭირო შეიქმნა, რასაც ახორციელებენ ისინი, ანუ „მათგან დანაღვარი სისხლი ველთა მოესხმოდა". შემდეგად მესამე სტროფში სიტყვა რული–რულნი, ანუ სიამოვნება, ჰარმონიული ყოფა, ყველა სტრიქონის ბოლოში მეორდება. იგი მინდორშია, ხალხშია, ანუ ყველა სულიერი ასეთ ყოფაშია, ამიტომ მომღერალნი იყვნენ რულნი, ანუ მთელი საქართველო ჰარმონიულ სიმღერას, სიტყვას წარმოთქვამდა, რომელიც ღმერთიდან მოდიოდა. ბოლო სტროფი გვეუბნება, რომ მათი საუბარი ტარიელისკენ იყო მიმართული, ანუ საქართველოს მეფე და ქართული ცხოვრების წესი — ავთანდილი თავიანთ მისწრაფებებში განუყოფელნი იყვნენ. მხოლოდ გზებში შეიძლება ყოფილიყო სხვაობა. ილტვოდნენ, რომ შეექმნათ მესიის გამოვლინების წინაპირობა. შემდეგ ავთანდილი ბრუნდება სახლში და გადმოცემულია მისი ფიქრი:

„წევს, იტყვის: „გულსა სალხინო, რამცაღა დავეუსახვო?
მოგმორდი, ედემს ნაზარდო ტანო ლერწამო და ხეო,
შენთა მჭვრეტელთა ნიშატო, ვერ–მჭვრეტთა საყაგლახეო,
ცხადად ნახვასა არ ღირს ვარ, ნეტარმცა სიზმრივ გნახეო!"

მეორე სტრიქონში ჩანს, რომ იგი უნდა დასცილდეს საქართველოში ენისა და ბიბლიის მცნებათა დაცვით წარმოებულ მიწათმოქმედებას, რომელსაც აწი სიზმარში თუ ნახავს და შემდეგ ამართლებს ამ გზას.

„ამას მოსთქმიდის ტირილით ცრემლისა დასაღვაროთა;
კვლა გულსა ეტყვის: „დათმობა პგვანდეს სიბრძნისა წყაროთა.
არ დავთმო, რა ექმნათ, სვედასა, მითხარ, რა მოეუბვაროთა?
თუ ლხინი გეინდა ღმრთისაგან, ჭირიცა შეეიწყნაროთა".

ქალა იტყვის: „გულო, რამომცა გაქვს სიკვდილისა წადება,
სჯობს სიცოცხლისა გაძლება, მისთვის თავისა დადება,
მაგრა დამალე, არ გაჩნდეს შენი ცეცხლისა ქალა დება,
ავად შეჰფერობს მიჯნურსა მიჯნურობისა ცხადება!"

ამავე დროს, მან იცის, რომ მისი სწავლება საქართველოდან, ცოდნის გატანა სხვათა საშველად, შეჭირვებას მოუტანს საქართველოს. მაგრამ ამართლებს ამ გზას. მაინც სიკვდილის შვილები ვართო და სიცოცხლე კარგი იქნება, თუ მისთვის — ტარიელისთვის თავს დავდებთო. ამისათვის სულიერ მზეს მიჯნურს უნდა მოსცილდეს რაც ძალიან უჭირს. მაგრამ ამას გამხელა არ სჭირდება. „ავად შეჰფერობს მიჯნურსა მიჯნურობისა ცხადება", რას ნიშნავს ეს სტრიქონი? აქ არის ის საიდუმლოება დაფარული, რომ საქართველო სიკეთის ციტადელის მისიას ასრულებდა, რაც ბოროტებისთვის დამალულ—დაფარული იყო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამ სიკეთის ციტადელს — საქართველოს, გულს კავკასიისა, გარშემო ასევე სიკეთის ქვეყნები ერტყნენ, იბერიული მოდგმის ხალხი და ბოროტება ვერ იჭრებოდა. მეორეც და, რაც მთავარია, იმიტომ, რომ სამყაროსათვის, ბოროტებისთვის ხილული არ იყო ქართული ცხოვრების წესი — სიკეთე. ებრაელობამ — ტარიელმა კი ღია ბრძოლა გამოუცხადა ბოროტებას. მან მიიღო ბიბლია, ხმამაღლა ამხილა ბოროტი, უთხრა ხალხებს, რომ ღმერთი ერთია და სიკეთის გამარჯვებისათვის მისცა მათ მცნებანი. ვიცით, რომ ბოროტი ლაჩარია, ტაძარშიც დადის თვალის ასახვევად, მაგრამ ებრძვის, დევნის ებრაელობას. მათ, ვინც გაავრცელა იუდაიზმის საფუძველზე ქრისტიანობა და მუსულმანობა. ბოროტება ფარულად ებრძვის ებრაელობას. ის აღიარებს ჭეშმარიტებას, მას ვერ გმობს, მაგრამ მცნებათა დაცვით არ ცხოვრობს, იგონებს საკუთარ კანონებს, კონსტიტუციებს.

მართალია, იცის ბოროტებამ სიკეთის ციტადელი რომელი ქვეყანაა, მაგრამ მას გახლეჩილი აქვს იბერიელთა ერთობა რელიგიათა დაპირისპირებით. თუ საქართველომ გაერთიანება დაიწყო მთელი ბოროტი ძალები მის წინააღმდეგ აღიძვრებიან. მათ იციან რომ გაერთიანება მათი სიკვდილია.

ახლა, ავთანდილმა ღიად უნდა ნერგოს ენაზე დაფუძნებული სიკეთე. ავთანდილი — საქართველო, სიკეთის ციტადელი, აქ თავის ისტორიული მისიის აღსრულებას იწყებს. იგი ხვდება, რომ დადგა დრო დაცილებული ქართულ—იბერიული ფენომენის შეერთებისა და ღია ბრძოლას იწყებს.

მან იცის, რომ სიყვარულის დასანერგავად სამყაროს მიეცა წიგნთა—წიგნი, რომელიც გასაგებია ყველა ენაზე. ეს ქართველისათვის ისეთივე მშობლიურია, როგორც მისი ენა და ცოდნის, ბიბლიის გავრცელებით საშუალება ეძლევა დანერგოს ის უმაღლესი განზომილება, რასაც სიყვარული, თავდავიწყებული მიჯნურობა ჰქვია. ეს პირველი ეტაპია, რომ ხალხი მოემზადოს მიწათმოქმედებისათვის — იბერიული წესისათვის. მას თავისი წვლილი შეაქვს ამაში. შემდგომ იგი ახერხებს ენაზე დაფუძნებული მწეობა—იბერიული წესი შეიტანოს ქრისტიანობაში, იგივეს აკეთებენ იბერიული მუსულმანები. ხოლო ქართველი ებრაელობა, რომ ყველაზე მწეობრივად იცავდა მცნებებს, ეს ზემოთ უკვე აღვნიშნეთ.

არა მარტო სიკეთის ციტადელ ქვეყანაში იფარავს ავთანდილი — ტარიელს — ებრაელობას, არამედ მთელ მსოფლიოში. როგორც ფიზიკურად ასევე ქრისტიანობის გავრცელებით — რაც მოყვასის სიყვარულს ნერგავს. დევნის კერპთაყვანისმცემელთ და ებრაელნიც ხელუხლებელნი რჩებიან. განსაკუთრებით იქ ჩადიან ქართველნი სადაც ბევრია ებრაელობა რუმინეთში (30—ზე მეტი ტაძარი აიგო), ასევე რუსეთში და სხვა. ფაქტები მრავალია (ისიც ვიცით, რომ ებრაელები ომშიც არ მიყავდათ ქართველებს, ხოლო მოგვიანებით, საუკუნეების განმავლობაში ილეაწა რუსმა, რომ შუღლი ჩაეგდო მათში).

ამიერიდან ავთანდილი — სიკეთე იხსნება მსოფლიოსათვის. მათთვის ხილული უნდა გახდეს არამარტო სიკეთის ციტადელი, არამედ ის ფაქტი, რომ ებრაელი და ქართველი ერთი სულია — ქართულ—იბერიული ფენომენია, ამ შეერთების ეშინიათ მათ.

ასეთი მისიის აშკარად გაცხადების ეშინიათ ქართველ მეფეებს. ისინი ხვდავენ, როგორ იტანჯება ამისათვის მათგან აღრე გაღასული ქართულ—იბერიული ფენომენი, ტარიელი,

ებრაელობა. მათ იციან, რომ საქართველოს ეს მტრებს გაუმრავლებს, მრავალ უბედურებას მოუტანს. რაც უვიცებმა შეიძლება ლაიჯერონ.

ეს მიმართულება ხომ დღესაც ვრცელდება. სულ იმის მცდელობაშია და იყენენ სპეციამსახურები, რომ დააპირისპირონ ორი ერი.ავრცელებენ ვერსიას, რომ თალმუდური მოძღვრება და მასონები ერთი და იგივეა.

ნაწარმოებში ჩვენ ვხედავთ, რომ ეს როსტევანის განრისხებას გამოიწვევს. მაგრამ ისტორიულად ხომ გადიოდა საქართველოდან ტარიელივით, ავთანდილივით სულიერად მცოდნე, ამაღლებული და ძლევამოსილი წმინდა ხალხი, რათა ნათელი, შუქი, ცოდნა შეეტანათ სხვა ქვეყნებში. ეს ქართული შუქი, მაღლი აკლდებოდა, ავერმკრთალებდა, აძაბუნებდა საქართველოს. მაგრამ იგი მაინც მიდიოდა ამაზე, რადგან მისთვის ამის გარეშე პარმონია არ არსებობდა. მიდიოდნენ ქართველი სწავლულნი და მხედართმთავარნი, იერუსალიმსა თუ საბერძნეთში, ყველგან — აღმოსავლეთის და დასავლეთის ქვეყნებში და ბოლოს — რუსეთში. რაც რუსთაველს ავთანდილის გასვლაში აქვს გადმოცემული.

როსტევანის მთავარი შიში ღვევასდელობაშია. ეხლა ისრაელს აღარ ერჩიან. ერჩიან ავთანდილს იმ ქვეყანას სადაც უნდა შემოვიდეს მესია და აღდგეს იბერიული ნოესეული შვმის და იაფეტისეული ცხოვრების წესი.

ავთანდილი რომ ცოდნაა და ნათელი აღგია მეცილან — ნაწარმოებში ეს ნათლად ჩანს, როცა იგი მიდის ვეზირთან, რათა მან უშუამდგომლოს იმდროინდელ საქართველოს მეფესთან, სხვა ქვეყნების დასახმარებლად წასვლის საქმეში.

„ყმა გარდასვა მასპინძელმან, არ დაფალმან, ავმანნ, უქმან;
ფერხთა ქვეშე ხატაურსა უფენენ და მიწად უქმან.
ყმამან სახლი განანათლა, ვით სამყარო მზისა შუქმან;
თქვეს: „სურნელის სული ვარდთა დღეს მოგვბერა ქვენა ბუქმან“.

უნდა გავიხსენოთ, როგორ ამბობს როსტევანი ტარიელზე: „მისმან შუქმან განანათლა, სამყარო და ხმელით კიდე“. ტარიელი როსტევანს იმ უდიდესი ცოდნით აკვირვებს, რომელმაც სამყარო უნდა განანათლოს, აქაც ავთანდილის იმ შუქზე ანუ ცოდნაზეა ლაპარაკი, რომელიც ღვთის რჩეულებს ახასიათებთ. უფალს ელაპარაკებიან და უფლის ენით ლაპარაკობენ, ხშირად შეხინის მეშვეობით. ამიტომ მათ თან დაჰყვებათ შესინა — ნათელი. ამ ნათელით, ცოდნით, ამარცხებენ ბოროტებას და უცოდინარობას.

ამგვარად, ავთანდილიც, როგორც ტარიელი, ცოდნით ანათებს სამყაროს.

აი, ასე ანათლებდნენ ქართველები სხვა ქვეყნებს. ჩვენ ვიცით, რომ ბოლოს, როცა საქართველომ ამკარა, უკვე დაუფარავი ბრძოლა დაიწყო ბოროტების წინააღმდეგ, ისე მოეძალნენ იმპერიული ქვეყნები მსოფლიოს ყველა კუთხიდან, რომ საქართველოს სწორედ ეს ცოდნა—ნათელი დააკლდა. ამიტომ იმძლავრა შემოგზავნილმა იმპერიათა მსახურებმა — ემისრებმა ვახტანგ VI—ესა და სხვებს დაავიწყეს ქართული სახელმწიფოს ფუნქცია და ისრაელისავით მშვენლელად იმპერიული რუსეთი მოიძიეს. როგორ დააძაბუნა ამან საქართველო, გააფერკმრთალა მისი მისია, ყველამ ვიცით. აი, ამ ფინალს ჭვრეტენ ვაზირიც, მეფეც. ამიტომ არ უნდათ მათ მასობრივად იმ ერთეულების გასვლა, რომელთაც დიდი ცოდნა და ნათელი აქვთ მომადლებული, რომელზეც დაფუძნებულია ქართული გონი, თაობათა აღზრდა, ქართველ მეფეთა და სახელმწიფოს ფუნქციონირება. რომელნიც არ დაუშვებენ ამ ემისართა აზრის გავრცელებას. ავთანდილი ვაზირს მეფესთან შუამდგომლობას სთხოვს, რომელსაც იგი ასე არწმუნებს:

„მის ყმისა ცეცხლი მედების, წვა მჭირს მისისა მწველისა;
მკლავს სურვილი და ვერ—ნახვა ჩემისა სასურველისა;
მას ჩემთვის სულნი არ შურდეს, მეზღვა ხამს შეუძლველისა;
ხამს სიყვარული მოყვრისა უხვისა, უმურველისა.“

მესამე სტრიქონი გვეუბნება, რომ ტარიელიც ამიტომაა ამ დღეში, რომ მან მისი სული გადადო ჩემთვის და იმ საქმისთვის, რასაც მცნების სიყვარულის დანერგვა ჰქვიაო. გავიხსენო იგი იაფეტი იყო ლომი ჰქონდა მზე ნათელი შეხინა და გავიდა სამღვარგარეთ ბნელეთში

იქცა ეეუხად და ებრძეის ამ ბნელს რათა იგი იბერიას არ მოეძალოს. მანაც ცოტა ადრე მიატოვა მიჯნური სულიერი მზე საქართველოსი და ეს ხომ ზენაარიდან მოდის. იგი ასე არწმუნებს ვეზირს:

„ყოველსავე მართლად გითხრობ, არ სიტყვასა საქვესელსა.
მიმელის და ვერ მისრულვარ, ესე მიდებს ცეცხლსა ცხელსა;
ვერ გავუტეხ ზენაარსა, ვერ გავსწირავ ხელი ხელსა,
რამცა სადა გაუმარჯვედა კაცსა, ფიცთა გამტეხელსა!"

ზენაარის დავალებით გზავნის მდევრობითი, ამ ფიცს, რა თქმა უნდა, ავთანდილი არ გასტეხს. აქ ჩანს, რომ ავთანდილი და ტარიელი ერთი მოდგმის, ერთი შტოს, გენეტიკის წარმომადგენლები არიან. ვაზირი ასე უპასუხებს ავთანდილს:

„თუ მეფეცა გაგიშვებდეს, თვით ლაშქარნი რად მოლორდენ!
რად გაგიშვან, რად დალონდენ, ანუ მზესა რად მოწორდენ?
შენ წახვიდე, მტერნი ჩვენში დაგვეთამამდენ, გაგვეისწორდენ.
ვგე ასრე არ იქმნების, ვითა ჩიტნი არ გაქორდენ".

ანუ აქ ლაპარაკია რომ საქართველო გადის ღიად საბრძოლველად, იგი უნდა გაიხსნას ბოროტებისთვის როგორც სიკეთის ციტადელი. ეს გადაარჩენს ისრაელს. მაგრამ, ამავე დროს დაიკარგება ცოდნა.

უფლის 10 თვისებებისკენ მიმსწრაფველი და 613 მცნებათა დამცველთა შუქი დააკლდება საქართველოს.

ვაზირი აქაც იმ ცოდნის დაკარგვას წინასწარმეტყველებს, რითაც იმარჯვებდა საქართველო ბოროტებაზე. თუ ეს ცოდნა გავიდა, ლაშქარი, რა თქმა უნდა, მოლორდება, მცნებებს ნაკლებად დაიცავს. გაუერმკრთალდება ქართული ცხოვრების წესი. ეს მტრებს გააძლიერებს და საქართველოს დააძაბუნებს. და ისრაელივით ჩვენში სხვები დაიწყებენ მეფობას. იმართება დიალოგი და ბოლოს ვაზირი გაუგებს ტარიელს:

„ვაზირმან თქვა: „შენი ცეცხლი მეცა ცეცხლად მომედების,
ველარ ვუჭვრეტ ცრემლთა შენთა, სოფელიცა გაქარდების;
ზოგჯერ თქმა სჯობს არა–თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების
ვიტყვი, მოვკვდე, არა მგამა, ჩემი მზეცა თქვენ მოგსვდების!"

აქ ლაპარაკია იმ ცეცხლზე, ცოდნაზე, ნათელზე, შესინაზე, რომელიც სამყაროს გადასარჩენად აქვს ტარიელს. „მის ყმისა ცეცხლი მედების" — ამბობს ავთანდილი. იგი იზიარებს ტარიელის მისწრაფებას. ხედება, რომ უპირველესი მიზანია სამყაროს ტარიელის — ბიბლიის ცოდნა მიეწოდოს. ეს ის ცოდნაა, რომელიც ვეზირს, ანუ ქართველ დიდებულთ (რომელნიც გრძნობენ, რომ საქართველო დაძაბუნდება) არწმუნებს, რომ სამყაროს გადარჩენისთვის ასე სჯობს. ამიტომ „ვაზირსაც" — დიდებულებს, ტარიელის, ავთანდილის ცეცხლი–ნათელი მოედებათ, „შენი ცეცხლი მეცა ცეცხლად მომედების". ასეა, ჭეშმარიტება ცეცხლივით გადადის ერთმანეთზე.

მაგრამ, როცა ვეზირი მეფეს ეტყვის ამ ამბავს, მეფე განრისხდება.

„დაღრკა, სკამნი შემოსტყორცნა, ჰკრნა კედელსა, შეალეწნა;
დააცთუსნა, მაგრა მისთვის აალმასნა, არ აძეწნა:
„ვით მიამბე წასლვა მისი, ვინ ალვისა მორჩი ხე წნა!"
ვაზირისა ცრემლმან ცხელმა ლაწვნი თეთრნი აახეწნა".

მესამე სტრიქონი გვეუბნება, რომ საქართველოდან წინასწარმეტყველთა დონის ის სალხი გადის, ვინც მცნებებს, უნიკალურ მიწათმოქმედებას აფუძნებდა. მეფე გრძნობს რომ დიდი ბრძოლა მოუწევს ბორტებასთან. ავთანდილი შერმადინთან საუბარში მეფის ამ ნაბიჯს ასე განსჯის:

„იტყვის: „როსტან არ გამიშვა, არცა სიტყვა მომისმინა;
მან არ იცის, რათა, ვინა და სულ–დგმული ვისგან ვინ–ა;
უმისომცა ნუ ცოცხალ ვარ ნუცა გარე, ნუცა შინა!
რაცა საქმე უსამართლო ღმერთმან ვისმცა შეარჩინა!"

მან არ გამიშვა და ვერ ხედება, რომ ჩემი წასვლა ღმერთის ნებაა და ეს უსამართლო საქმეა. რა თქმა უნდა, როსტევანს არ აკლია ცოდნა, მაგრამ არ უნდა გაიგოს „სულდგმული ვისგან ვინაა" — ღმერთისგან ვართ ყველანი და ეს ღმერთის ნებაა. მან ენის სულით შექმნა ქართული გენი და ეს ქართველთა გენეტიკის წინააღმდეგ წასვლაა. ვერ შეიცვლება ის მისია, რაც უფლის მიერ აქვს ქართველთ მინიჭებული. ტარიელი და ავთანდილი ერთ საქმეს ემსახურებიან, ეს ერთი სხეულის ორი ხელია. ცალხელა სხეული კი უძლურია.

„სამი არის მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა;
პირველ, ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ–მოთმენა,
მიცემა და არას შური, ჩუქებისა არ–მოწყენა,
გაელენა და მიხმარება, მისად რგებად ველთა რბენა."

აქ სრულად არის გადმოცემული ქართველთა გენეტიკა, სამი მიმართულება, რომელიც მცნებების დაცვის საფუძველთა საფუძველია. პირველი ნდომა სიახლისა, ანუ ეს ის ღმერთის შუქია, რომელსაც ნათელი წინსვლა მოაქვს მოყვასისთვის. და ამ სიხარულის გასაზიარებლად იგი ახლოს უნდა იყოს. ანუ ეს სიახლე, ახალი ალი, თვითონ ავთანდილი, ცოდნაა, რომელიც ემატება ტარიელის ცოდნას და ამტკიცებს მის რწმენას. ამიტომ სიშორე ვერ უნდა მოითმინოს. ვისაც ცოდნა აქვს, იგი მას უფლის საქმისათვის გასცემს. ამიტომ აქვთ რუსთაველის გმირებს მხოლოდ გაცემა და არა შური. თუ გაქვს შური, რაც უნდა ბევრი გქონდეს, მაშინ არ გასცემ, თუ არა გაქვს შური, ჩუქება არ მოგწყინდება. ამდენად, ავთანდილმა თავისი ცოდნა უნდა გასცეს, შეაერთოს მისი ძალისხმევა ტარიელთან, რათა დაეხმაროს მას. ამიტომაც გაელენაც უნდა ჰქონდეს, რაც მაშინ ექნება, თუ დაიცავს მესამე თეზას: „გაელენა და მოხმარება მისად რგებად ველთა რბენა", ე.ი. ყველამ უნდა იბრძოლოს, რომ მწყობრიყი ცხოვრების წესი, სოფლის მეურნეობა დანერგოს სხვა ქვეყნებში.
ამავე დროს, მართალია, ავთანდილი მიდის, მაგრამ მისი წესი, ბჭეობა რჩება, მის მო–ყმესთან ანუ ყმასთან — ყმაწვილთან, რომელიც მისი მოწაფეა, ალმრდილი, ანუ იგი მისი პატრონია.

## ავთანდილი — ქართული ცხოვრების წესი. ზნე ქართველთა, დამრიგებელი მეფეთა და მოყმეთა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ცხოვრების წესის თანახმად, ჩვენთან მუდამ იყო პატრონ–ყმობა და არა ბატონყმობა. პატრონები იყვნენ განსწავლული, მკვიდრი მოსახლეობა (მეტწილად თავადაზნაურობა — იყვნენ გლეხებიც) და ისინი ახალგაზრდებს — ყმებს მონებს კი არა, მოყმეებს ცოდნას აძლევდნენ, რათა პირნათლად ემსახურათ ღვთისა და ერის საამებლად. ეს ისრაელის ქოჰენების და ლევიების მსგავსი ინსტიტუტია. აქაც და იქაც ცოდნით განსწავლულობით ემსახურებოდნენ ღმერთს. გლეხობაც უნაწილებდა მათ მოსავალს. გავიხსენოთ როგორი ნათელი დააკლდა საქართველოს როცა ქოჰენები და ლევიტები ისრაელში გადავიდნენ. ისრაელში კი ნათელი შეიტანეს. როცა გადადიოდნენ ეს განსწავლულნი სხვა ქვეყნებში განმანათლებლად, მათ ადგილს სხვა მოყმე იკავებდა. ეს კარგად ჩანს ავთანდილის შერმადინთან საუბარში:

„აწ მეფეთა სამსახურად პირველ თავი დაამზადე,
სიკეთე და უკლებლობა შენი ერთობ გააცხადე;
სახლი ჩემი შეინახე, სპათა ჩემთა ეთაყვანე,
სამსახური აქამდისი, კვლა გაელენა გააკვლავე,

მტერთა ჩემთა ენაპირე, ძალი ნურა მოგაკლდების,
ერთგულთათვის კარგი ნუ გშურს, ორგულიმცა შენი კვდების!

შემოვიქცე, შენი ჩემგან ვალი კარგად გარდიხდების;
პატრონისა სამსახური არაოდეს არ წახდების".

რატომ მეფეთა სამსახურად? იმიტომ, რომ საუკუნეების განმავლობაში გადიოდა ცოდნა – ქართული – ავთანდილი. დარჩენილთ უპირველესი მოვალეობა კი მეფის მსახურებაა, ხალხს, ანუ სპათა ვითავადოს. ეს არის სამსახური, ანუ სამი სამეფოს მსახურება. ამავე დროს, „მტერთა ჩემთა ენა–პირე", მართალია, ამ სიტყვის ძირი „ნაპირ"–ია, მაგრამ ეს სიტყვა „პირ"–ს შეიცავს. ანუ ენის მცნებების დაცვით გქონდეს კონტაქტი და ძალა არ მოგაკლდებათ. თუ ერთგულს კარგს გაუკეთებ, ორგული თვითონ დამარცხდება. დარიგებას ასე ამთავრებს:

„რა მოგშორდე, მახსენდები, სიყვარული ჩემი გქონდეს,
არ ვეშიშვი მტერთა ჩემთა, თავი მონად მომიმონდეს.
სამს, მამაცი გაგულოვნდეს, ჭირსა შიგან არ დაღონდეს.
მძულს, რა კაცსა საავუგო საქმე არა არ შესწონდეს.

მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვჰკრევ კიტრად ბერად,
ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად;
ჩემსა მზესა დავეთხოვე, გავუმვივარ, დავდგე მე რად!
მას თუ დავსთმობ, სახლსა ჩემსა ვეღარ დავსთმობ ვისსა ვერად?"

პირველ სტროფში სიტყვები „სიყვარული ჩემი გქონდეს" განსაზღვრავს, რომ მის მემკვიდრეს ქართული ცხოვრების წესი უნდა უყვარდეს. მაშინ ის მტერს დაამარცხებს. ამავე დროს, ქართული ცხოვრების წესი, რომელიც კარგ ნაყოფს იძლევა, არ უნდა დაბერდეს საკუთარ ქვეყანაში, არამედ სხვა ქვეყანაშიც უნდა დაინერგოს. ამისათვის ქართველს სიკვდილი თამაშად უჩანს. ასეთი სიკვდილი სიმღერაა, სიამოვნებაა. ავთანდილი მეფესაც შემდეგნაირად წერს:

„ვიცი, ბოლოდ არ დამიგმობ ამა ჩემსა გაზრახულსა.
კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა;
მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლა–თქმულსა:
„სიცრუვე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა".

რათგან თავია სიცრუვე ყოვლისა უბედობისა,
მე რად გავწირო მოყვარე, ძმა უმტკიცესი ძმობისა?!
არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა!
მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა".

გავიხსენოთ მენორას ახსნა. პირიდან გამოსული სიცრუვე და მით უმეტეს ორპირობა რომ გულის დაავადებებს იწვევს, დაავადებული გული კი ვნებს ხორცსა მერმე სულსა. მან სიტყვა მისცა ჯერ ტარიელს და მერე თვითონ უფალს, ანუ შეხისას უფლის წარმომადგენელს დედამიწაზე.

მეორე სტროფში ჩანს, რომ ცრუ კაცი ღმერთისგან უბედოა. მეორე სტრიქონი ალბათ უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ამ უმტკიცესი ძმობის განმსაზღვრელი ქართველთა და ებრაელთა ერთი ფესვები, მოყვრობაა. ამავე დროს, იგი ეუბნება, რად მინდა ცოდნა, თუ მოყვარეს გავწირავ, ვერ შევეწევიო. ნაწარმოებში ტარიელი და ავთანდილი ყველგან როგორც ძმები მოიხსენიებიან. მათ იციან, რომ მათი ცხოვრების წესი იწყება ორი ძმიდან — სემიდან და იაფეტიდან. ისინი აგრძელებენ ნოეს მიერ დამკვიდრებულ იბერიული ცხოვრების წესს. შემდეგ სტროფებს კომენტარიც კი არ სჭირდება.

„წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ?
ვით იტყვიან, ვით აქებენ? ცან, ცნობანი მიაყერენ.
„სიყვარული აღგვამაღლებს", ვით ეჟვანნი, ამას ჟღერენ,
შენ არ ჯერ ხარ, უსწავლელნი კაცნი ვითმცა შევაჯერენ!

ყინ დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად;
ვინ არს ძალი უხილავი შემწედ ყოველთა მიწიერთად,
ვინ სამღვარსა დაუსაზღვრებს, ჩის უკვდავი ღმერთი ღმერთად,
იგი გახდის წამის—ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად.

რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების,
მზისა მუქთა ვერ—მჭვრეტელი ია ხმების, ვარდი ჭნების;
თვალთა ტურფა საჭვრეტელი უცხოდ რაღმე ემედინების;
მე ვით გავსძლო უმისობა, ან სიცოცხლე ვით მეთნების!

არას გარგებს სიმძიმილი, უსარგებლო ცრემლთა დენა;
არ გარდავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა;
წესი არის მამაცისა მოჭირვება, ჭირთა თმენა,
არვის ძალ—უც ხორციელსა განგებისა გარდავლენა.

რაცა ღმერთსა გაუგია თავსა ჩემსა გარდასავლად,
გარდამხდეს და შემოვიქცე, აღარ დამრჩეს გული ავლად;
თქვენვე გნახნე მხიარულნი, დიდებით და დავლა—მრავლად;
მას რა ვარგო, დიდებად და კმარის ესე ჩემად დავლად."

აქ ნათლად ჩანს, რომ ავთანდილი — ქართული ცხოვრების წესია — მისი შნეა, რაღგან მეფეს იგი არიგებს. ეს წესი ყოველთვის სწორ ქცევას ასწავლიდა მეფეებს. მეორე და მესამე სტროფები გვასწავლის, რომ თუ მნეობრივად ვიქცევით, ყველაფერი სიკეთე — ძლევამოსილება დამბადებლიდან არის. ყველაფერი, ყველა საქმე მისგან არის გადაწყვეტილი. და ეს საქმე რაც უნდა მოხდეს ბიბლიაში მის კომენტარებში წერია. მეოთხე და მეხუთე სტროფები გვეუბნება, რომ მართალია, მისი წასვლით საქართველოს გაუჭირდება, მაგრამ ჭირს მოთმენა უნდა და რაც არის, განგების ნებით ხდება. შეჭირვება მაინც არ აგვცდება და ჯლომით საქმეს არ ეშველება.

მეოთხე სტროფის სტრიქონები ენით მთავრდება. ენის სიბრძნის ჩაწვდომაა საჭირო. იგი ზ—ენა ენაა და მისი კეთილი საქმე არ დაიკარგება.

„არ დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა;
ეპგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა!
ვერ ვეცრუები, ვერ ვუზამ, მას ხელმწიფესა მზიანსა
რა უარეა მამაცსა სულ—დიდსა, წასვლა—ვეიანსა!

რა უარეა მამაცსა ომშიგან პირის მხმეჭელსა,
შემდრკალსა, შეშინებულსა და სიკვდილისა მეჭველსა!
კაცი ჯაბანი რითი სჯობს დიაცსა ქსლისა მეჭველსა?
სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;
მისგან ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძალ—გულოვანი;
ბოლოს შეყარნეს მიწამან ერთად მოყმე და მხცოვანი.
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!

მერმე ვიშვიში, მეფეო, თქვენად კადრებად ამისად:
სცთების და სცთების, სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად;
მოვა შემყრელი ყოველთა ერთგან დღისა და ღამისად
თუ ვერა გნახე ცოცხალმან, სიცოცხლე გქონდეს ჟამისად."

პირველი სტროფის სტრიქონები ასი—თ მთავრდება. ანუ ანბანში გვაქვს ჩვენ მცნებანი სიყვარულისა და არ აღსრულება ღალატია უფლისა. ტარიელი მის მიერ დანიშნული მომავალი ხელმწიფეა მზიანი. მეორე სტროფში უფლის წინაშე სახელის მოხვეჭაა ჩვენი თავდადების გამო. დღეს ჩვენ გადავარჩინეთ ისრაელი. ჩვენ გვეკვეთნენ გაშმაგებით იმიტომ რომ აქ

იშეას მესია. მალე ის გადაგვარჩენს ჩვენ. აი ასე უნდა შეიცვალოს როლები. ეს უნდა იცოდეს ებრაელმა ხალხმა. მესამე და მეოთხე სტროფში იგი იმით ამართლებს საქართველოს მისიას, რომ სიკედილი ყველას გარდაუვალი გვაქვს. იგი არიგებს მეფეს, რომ გასცეს სიკეთე:

„მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები,
მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები,
შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არას მქონები:
მილეწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები.

რაცა თქვენთვის არ ვარგიოს, საჭურჭლესა დასადებლად,
მიეც მოგი სანაგათა, ზოგი ხიდთა ასაგებლად;
ნურა ნუ გშურს საქონელი ჩემი ჩემთვის წასაგებლად!
შენგან კიდე არვინ მიეის ცეცხლთა ჩემთა დამაესებლად.“

„მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები" – სიმდიდრე, ბარაქა არის ავთანდილის – ქართული ცხოვრების წესის – მწეობის გამო. ამ მწეობის გაგრძელებას, გაცემის აუცილებლობას არიგებს ავთანდილი, რათა საქართველოს არ მოაკლდეს შეხინის მადლი. ეს კიდევ ადასტურებს, რომ ავთანდილის ქცევა–სიბრძნე სრულიად ქართველთა ქცევაა, სიბრძნეა და წესია. იგი ასე ამთავრებს ანდერძს:

„გასრულდა ჩემი ანდერძი, ჩემგან ნაწერი ხელითა.
აპა, გამზრდელო, მოგშორდი, წავე გულითა ხელითა.
ნუ სჭმუნავთ ჩემთვის მეფენი, ნუ ხართ მოსილნი ბნელითა,
სუფევითმცა ხართ თავითა, მტერთაგან საკრძალეველითა!"

მესამე სტრიქონი გვეუბნება, რომ ეს ანდერძი ბაგრატოვანთა დინასტიის ყველა მეფეს ეხება „ნუ სჭმუნავთ ჩემთვის მეფენი, ნუ ხართ მოსილი ბნელითა", ე.ი. ნუ შემოდის თქვენთან ბნელი ფიქრები, ჩემი საქართველოდან გასვლის გამო. ყოველთვის აასრულეთ ქართული ცხოვრების წესის ანდერძი, რომელიც გენეტიკურად და წეს–კანონების სახით გადადიოდა შთამომავლობაში. როგორც ვიცით, ამ კანონებში ბნელი ვახტანგ VI–მ შემოიტანა, რის გამოც დღესაც ისჯება საქართველო. ესეც იწინასწარმეტყველა რუსთაველმა. თუმცა ქართული ცხოვრების წესი საკუთარი თავის განწირვით ინტენსიურად აგრძელებს თავის მისიას, სხვა ხალხთა განსწავლულობას და მესიის დაჩქარებას.

ROგOR მიმდინარეობდა იმპერიათა განსწავლულობა. ორი ძმის თანადგომა.

ჩვენ ვიცით დანიელის სიზმრიდან და, საერთოდ, სამყაროს განვითარების ისტორიიდან, რომ არსებობდა სამი რომი: პირველი რომის განსწავლულობა, იქ ქრისტიანობის შეტანით, ისრაელმა განახორციელა. იქ ქართულ მწეობას და დაუმარცხებელ სულს ქართველ მეფეს ცხენზე მჯდომს აუგეს ასევე ძეგლი. მეორე რომის განსწავლულობაშიც ისრაელმაც და საქართველომაც გამოიღო ხელი. ვიცით, წმინდა მამათა მოღვაწეობის წლები ბიზანტიაში და აქ ქართველთა მიერ აგებული მონასტრები.

აი, მესამე რომი, რუსეთი – ყველაზე ულმობელი იმპერიული სულისკვეთების აღმოჩნდა. ალბათ, ისიც უფლის ნებით იყო, რომ რომმაც და საბერძნეთმაც დაიპყრო ისრაელი. იგივე მტრები გვყავდა ჩვენ. რუსეთში და მის მოსაზღვრე სლავურ ქვეყნებში ებრაელთა ისეთი წამება–დევნა მიმდინარეობდა, რომლის მსგავსი ისტორიას არ ახსოვს. გავიხსენოთ ზემოთ აღნიშნული 815 ბრძანება, რომელიც გამოსცა ნიკოლოზმა, რომ არ გამრავლებულიყო ტარიელი – სიკეთე.

ისინი ისევე სრულიად ქართველთა სულიერების, მწეობის, ცხოვრების წესის გადაგვარებისთვის იღწოდნენ. ქართველები კი იღწოდნენ როგორც ბიზანტიაში, ასევე რუსეთშიც. რათა ამ ხალხში ცოდნა შეეტანათ და გადარჩენილიყვნენ სამინელ სასჯელს. ასევე იღწოდა ცოდნის, კულტურის შესატანად ჩასული ებრაელობა, რათა ეხსნა ისინი და საკუთარი თავი – სიკეთე.

დარჩეულ და განსწავლულ ქართველთა დიდი არმია მიყვება თეიმურაზ ჩეუის შეილიშვილს დავითს. ეს ის არმიაა, რომელიც ქმნის რუსეთის კულტურას, მათი საეკლესიო საგალობლებიც კლასიკური მუსიკაც კი ქართული ფუძიდან იქმნება. მოწინავე ევროპის კულტურული ქვეყნების რიგში აყენებს რუსეთს მამით ქართველი ბაგრატოვანი — პეტრე პირველი, ქართველი დიდგვაროვნებით გარშემორტყმული. სიტყვა გვაროვნება გვეუბნება, რომ ჩვენში ნებისმიერ გვარს ენება—ზნეობა მოაქვს. ამ კულტურის ასაღორძინებლად უგანათლებულესი ქართველნი მონაწილეობდნენ. შორს წაგვიყვანს ამის ჩამოთვლა. მათ შორისაა ასობით კულტურის მოღვაწენი და გენერლები: ბოროდინი, პეტრე ბაგრატიონი. თუნდაც ჯუღაშვილის რუსეთსა და უკრაინაშიმოღვაწეობა რად ღირს.

ამგვარად, ებრაელი ერი გმინავს რომაელთა, ბიზანტიელთა და სლავური ქვეყნების ულელქვეშ. თითქმის უიმედოა ამის გამო ტარიელი. და ყველა ამათ ეაკაცურად ებრძვის მსოფლიოში მხოლოდ ერთი ქვეყანა — საქართველო, რომ გაწიროს თავი, რათა კულტურა, სიყვარული შეიტანოს და იხსნას ტარიელიც, თვით რუსეთიც საშინელი ხელდრისაგან და საქართველოსაც შეუმსუბუქდეს ამ მეზობლის ავი, მონღოლური, იმპერიული მრახვები.

ებრაელთა გმინვა, ტანჯვა, წამება რომ შეწყვეტილიყო, ამიტომ აწყობენ ტარიელი და ავთანდილი რევოლუციას რუსეთში. გაეიხსენოთ ყველა გამოჩენილი რევოლუციონერი ან ებრაელი, ან ქართველი იყო. პეტრე I—ის შემდეგ რუსეთის მეორე მეფეც — სტალინი — ქართველი იყო. გაეიხსენოთ მრავალი ფაქტი, როგორ აღშფოთდა ქართული ინტელიგენცია, როცა მე—18 საუკუნეში უკრაინაში, ბელორუსიაში ებრაელებს დევნიდნენ. როგორ შეეწირა ერთერთ ასეთ რბევას ქართველი თავადი ს. კლდიაშვილი. რამდენი ებრაელი გადაარჩინეს ქართველებმა საკონცენტრაციო ბანაკებში. საფრანგეთში კი მათ დაასაბუთეს, რომ ებრაელები ქართველები არიან, მათ მხოლოდ რწმენა აქვთ იუდევური. შედეგად, ჰიტლერის მიერ დაპყრობილ საფრანგეთში, რამდენიმე ათასი ებრაელი გადარჩა ლახვრეტას, რადგან ამით ისარგებლეს სხვა ქვეყნის ებრაელებმაც.

კიდევ მრავალია გასახსენებელი, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს. მთავარი ისაა, რომ ქართველი და ებრაელი სამღვარგარეთ თავს ძმებად გრძნობდნენ, რაც მათი გენეტიკური კოდიდან გამომდინარეობს.

ყველამე მთავარი კი ისაა, რისიც ეშინოდა როსტევანს. აღსდგა ისრაელი და მის მაგიერად გმინავს საქართველო. ყველა მტრები მსოფლიოს შავი ძალები დღევანდელი გეოპოლიტიკა ჩვენ გვეკვეთა. ჩვენ კი აღვასრულეთ ჩვენი დანიშნულება.

## ებრაელები — იბერიელები სტალინის დასაყრდენი ძალა ბოროტებასთან ფარულად ბრძოლისას.

რუსი ხალხი არ იცავდა მცნებებს, რადგან სამისლად დევნიდა მოყვასს — ებრაელ ხალხს. ამიტომ მოევლინა მათ უღვთო, კომუნისტური მენტალიტეტის მქონე ლენინი, ტროცკი. მათი იდეოლოგია იყო საკონცენტრაციო ბანაკები, ხალხთა დახვრეტა, ეკლესიათა ნგრევა, მოძღვართა დევნა. ეს იძულებითი ინერციით გააგრძელა სტალინმა, ოღონდ შემდეგ, როცა მყარად გამეფდა, თანდათან შეანელა ყოველივე. ხალხმა იწყო ეკლესიაში სიარული. მისი დასაყრდენი რუსეთის კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში, მხოლოდ ებრაელები და ქართველნი იყვნენ. პოლიტბიუროს და მთავრობის შემადგენლობის 80—ზე მეტი პროცენტი ებრაული ეროვნების იყო, რაც სტალინის სიკვდილის შემდეგ ნულამდე დავიდა. ბევრი შემომედავება, რომ მან ბოლოს დაკეტა სალოცავები, დააპატიმრა მოძღვარნი. ეს მოხდა მაშინ, როცა მათ დაარღვიეს საბჭოთა კანონმდებლობა და მალულად ინახავდნენ სიმდიდრეს. რუსული მენტალიტეტიც არ აპატიებდა თვალის დახუჭვას.

არის ასეთი ფაქტიც, რომ 1952 წელს თბილისის სინაგოგა დაკეტეს. მაშინ ერთი ხეიბარი ებრაელი ჩავიდა მოსკოვში და აუწყა სტალინს ეს ამბავი. სინაგოგა მეორე დღესვე გაიხსნა. რა თქმა უნდა, სტალინი სრულად ვერ აკონტროლებდა რუსული მენტალიტეტის უჩნეო, ულმერთოდ მზარდ მისწრაფებებს. იგი, ერთი კაცი, ვერანაირ ცოდნის შეტანით ვერ შეცვლიდა იმ მენტალიტეტს, რაც ამ ხალხის გულის მისწრაფებაა — სხვათა მიწების დაპყრობა, სხვათა დამონება. გაეიხსენოთ, თითქმის ყველა ქალაქს თუ ქვეყანას წინ „ელადის", „დაეუფლეს" უწერდნენ. ასეთი ხალხისთვის ღმერთის მიერ მიცემული ცოდნაც გაუგებარი იყო.

მათი მენტალიტეტი მოითხოვდა კერპს და სტალინმაც თავის თავისგან შექმნა ის კერპი, რომელიც დაანახვებდა მათ, რომ სხვისი დაპყრობის გარეშეც შეიძლება იყოს პარმონია და სიყვარული. მან ხომ ღმერთის გარეშე გააკეთა ეს. ამიტომ იცოდა რომ ეს ფუჭი იქნებოდა მალე დაინგრეოდა და ჯერ ეროვნულ საკითხების წამოწევა დაიწყო 1952 წელს კი როცა მან ეროვნული საკითხები წამოწია და უკვე ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნა მოინდომა, ბოროტების გეოპოლიტიკამ არ აპატია მას. მათ აწყობდათ დესპოტი კერპი — სტალინი და არა სიკეთის, სიყვარულის ჩამომგდები. ამიტომ მოწამლეს იგი.

აი აქის მერე იწყება რელიგიების ფარული და აშკარა დევნა, ავიწროებენ სასულიერო აკადემიებს.

მანამდე კი, რაც არ უნდა დავწამოთ სტალინს, გავიხსენოთ, რომ სწორედ მისი უდიდესი ძალისხმევით და მოთხოვნით შეიქმნა ისრაელის სახელმწიფო. განა არ იცოდა მან ამით რომ იქ ლოცვებს გაამრავლებდა. არ უნდოდა და ეწინააღმდეგებოდა ამას ბოროტება — ამერიკის შეერთებული შტატების სახით. მან კი მიაღწია იმას, რომ ყველას ესცნო ისრაელი. მთავარი იყო ეს. დაუძინდა. უფროსი ძმა თავის სულიერ კარავში. შემდეგ კი თვითონ ებრაელმა ხალხმა შეაცვლევინა ბოროტებას გეოპოლიტიკა. სტალინის ძალისხმევით შეიქმნა გაეროც. მართალია, იგი ვერ არის პრინციპული, მაგრამ ე.წ. ზეიმპერიული ქვეყნები უნამუსობას, ბოროტებას აშკარად ვეღარ ჩადიან.

ბრძოლა მკვდარ სტალინს იმიტომ გამოუცხადეს, რომ იბერიელთა — ებრაელთა მმართველობა მოესპოთ. საბჭოთა კავშირში ზოგი მოხსნეს, ზოგი დაიჭირეს, ზოგი გაანადგურეს. მთელი სიმძაფრით დაუპირისპირდნენ ისრაელსაც. აი, რა რუსულ შოვინიზმს აჩერებდა სტალინი. თუ სანდასან რაღაცას წამოიწყებდა, ეს არ იყო მისი ბრალი, თუნდაც ებრაელ ექიმთა ან მეგრელთა საქმე. იგი აიძულეს საკუთარი სისხლი და ხორცი გაესამართლებინა. ორასი მილიონი იმპერიული მისწრაფების ადამიანი ვერ იტანდა ერთ იბერიელს. ეს ხომ აშკარად გამოჩნდა მისი სიკვდილის მერე.

როცა გოლდამეიერმა მოუტანა მას ისრაელში წამსვლელთა სია ისინი ბირაბიჯანში გადაასახლაო ამბობენ. მაშინ ეს სამშობლოს ღალატად ითვლებოდა და არც ამაზე თვალის დახუჭვას აპატიებდნენ. ამდენი ტვინის გასვლა ხომ იმ პერიოდში მის მიერ შექმნილი სახელმწიფოს დაქცევის ტოლფასი იქნებოდა. იგი საერთო საქმისათვის თვისტომთ არ ;;::ადებოდა. ხომ ცნობილი ფაქტია რომ მას თურქეთში არსებული მიწები უნდა დაებრუნებინა, მაგრამ ამერიკელთა მიერ ატომური ბომბის შექმნამ შეაჩერა ის. მაგრამ მთავარს მაინც მიაღწია. ეს ისრაელის სახელმწიფოს შექმნაა.

რომ აღარ დაბადებულიყო მეორე სტალინი, პეტრე პირველი ამისათვის დაუწყეს სამინელი არტახების მოჭერა საქართველოს. ამუშავდა სპეცსამსახურები რათა მოესპოთ ქართული ფენომენი — ავთანდილი. მთელი ძალისხმევა ბოროტთა აქეთაა მიმართული რადგან იციან ავთანდილმა უნდა გააერთიანოს ახლა უკვე იბერიული მოდგმა და სიკეთეც გაიმარჯვებს ამით ისრაელი სარგებლობს მომძლავრდა იგი თუმცა დღეს საქართველო გაუსაძლის მდგომარეობაშია.

## საქართველოს შეჭირვება

ამგვარად, სამყაროში რომ სიკეთე დაინერგოს, მიდის ავთანდილი — ქართული ცხოვრების წესი ტარიელის — მესიის დასახმარებლად. იცის, რომ ეს უფლის ნებაა. იცის, რომ მტრები გაუმრავლდება საქართველოს და ლოცულობს, რომ არ დაიკარგოს სიყვარულზე დაფუძნებული ქართული ცხოვრების წესი, რასაც გვეუბნება მისი ლოცვა, მეორე სტროფის მესამე და მეოთხე სტრიქონები:

„ილოცავს, იტყვის: „მაღალო ღმერთო ხმელთა და ცათაო,
ზოგჯერ მომცემო პატიჟთა, ზოგჯერ კეთილთა მზათაო,
უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო,
მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულის–თქმათაო!

ღმერთო, ღმერთო, გევაჯები, რომელი ჰფლობ ქვენათ ზესსა,
შენ დაჰბადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა,

მე სოფელმან მომაშორა უკეთესსა ჩემსა მზესა,
ნუ ამოჰფხვრი სიყვარულსა, მისგან ჩემთვის დანათესსა!"

ავთანდილი ხომ უმაღლესი ცოდნაა, სულიერება, ზნეობაა, სხვათა საშველად. სამყაროს დღეს ეს ზნეობა სჭირდება. საქართველოს ბედზე ზრუნვა ჩანს ვეზირის პასუხში და თვით მეფის ვანცდებში:

„კვლა შევა დარბაზს ვაზირი დაღრეჯით, არ–მხიარულად;
მეფემან ჰკითხა: „წასრულა მზე დაუდგრომლად, მთვარულად?"
მან მოახსენა ყველაი, ვით წასრულიყო და რულად:
„მზე აღარ მზეობს ჩვენთანა, დარი არ დარობს დარულად!"

რა მეფემან მოისმინა, დაიზახნა მეტის–მეტნი;
მოსთქვამს, იტყვის: „ვა, გაზრდილო, ველარ გნახვენ თვალნი რეტნი!–
პირსა ხოკით, წვერსა გლეჯით გააკვირვნა მისნი მჭვრეტნი, –
სად წაჰხე და სად დაჰკარგვენ სინათლისა ეგე სვეტნი?

თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები,
მაგრა მე რა ვქმნა, გაზრდილო, აწ სახლად მმართებს სენები!
გამაღარიბე, დამაგდე, გულსა, გლახ, ვისთვის ენები?
შენად შეყრამდის პატიჟთა ჩემთა ვერ იტყვის ენები!"

„მზე აღარ მზეობს ჩვენთან, დარი არ დარობს დარულად", რა იქმა უნდა, ის ბარაქა აღარ აქვს საქართველოს, რადგან სხვათა საშველად გადიოდა ზნეობრივი ხალხი, ცოდნა. ამავე დროს, ექვეთნენ მას — სიკეთის ციტადელს ბოროტნი, მთელი მისი ისტორია როსტევანის — ავთანდილის — საქართველოს ბრძოლაა ბოროტების იმპერიების წინააღმდეგ. შემოდიოდნენ, ბილწავდნენ პერიფერიებს. მაინც ებლეოდით სიკეთით ბოროტებას. არადა არ ისვენებდნენ ისინი, იყო ომებიც, კაცთა კვლაც და ბოლოს უდიდესი სინათლის, ცოდნის მატარებელი და მადლიანი ხალხის გასელამ დააკნინა ჩვენი აზროვნება: „სად წაჰხე და სად დაჰკარგვენ, სინათლისა ეგე სვეტნი?". ამან მოიტანა საქართველოს რუსეთთან შეერთება.

მაინც იყო ბარაქა, თუმცა შემცირდა იგი, რადგან გამოჰყვა(ცალეს) ავთანდილი, ქართული ცხოვრების წესი, რომელსაც სათავე დაუდო ცხრა წმინდანმა მესიამ. ბოლო იყვნენ ნოე, შემი და იაფეტი შემდეგ ბაგრატოვანნი მას საუკუნეების განმაელობაში ჭედდნენ. ამიტომ ამბობს როსტევანი „გაზრდილო". ამ ფინალს ჭვრეტს როსტევანი, მეფე საქართველოსი „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები", ანუ ქართული ცხოვრების წესი. ენა მისი კონსტიტუცია თუ აქვს საქართველოს, ის მდიდარია. მაგრამ ჭვრეტს როსტევანი, რომ დაიკარგება ეს წესი, ამიტომ იქნება ს–ენ–ები. ანუ ენას დაუწყებენ მტრობას. თუ ქართული ცხოვრების წესი არ იქნა, ენა მართლაც დასენიანდება, შეილახება. ეს სენი შეუძინება. ეს გააღარიბებს, დააგდებს საქართველოს და „ვისთვის ენ–ები", ანუ აღარ იქნება ენა საქართველოს კონსტიტუცია და „შენათ შეყრამდის", ანუ ქართული ცხოვრების წესის აღდგენამდე, საქართველოს ტანჯვას ენა ვერ აღწერს. ეს ყველაფერი მართლაც ხდება დღეს. აქ რუსთაველი ჭვრეტს მე–18 საუკუნის საქართველოს. თუნდაც სტრიქონში „გამაღარიბე, დამაგდე, გულსა, გლახ, ვისთვის ენები". ისიც ჩანს, რომ მთავარი ქართული ცხოვრების წესის შეყრა–დაბრუნება მაინც იქნება. მას ტასტიც, ანუ საჯდომი არა სრულად მიაჩნია და ამასაც სტირის შემდეგ სტროფში:

„ოდეს გნახავ მხიარულსა, ნადირობით შემოსრულსა?
ველარ გიჭვრეტ ნაზურთალსა, ტანსა მჭვერსა, ჯავარ–სრულსა
ველარ ვისმენ ხმასა შენსა, სასმენელად მე მას რულსა,
აწ უშენოდ რა, გლახ, ვუყო საჯდომსა და სრასა სრულსა?"

„ნადირობით შემოსრულსა", ანუ როცა ავთანდილის და ტარიელის მიერ ღამარცხდება უზნეობა სამყაროში. შემდეგი სტროფი ამტკიცებს, რომ არ გადაშენდება, აღდგება საქართველო-

ში ქართული ცხოვრების წესი, სიკეთე, მაგრამ ისიც ნაწინასწარმეტყველებია, რომ მეფობა საქართველოში შეწყდება, რაც ჩანს მეოთხე სტრიქონში:

„ეიცი, არ მოგკლავს შიმშილი, რაზომცა დია ირები:
შენ შენი მშვილდი დაგარჩენს, შენთა ისართა პირები,
ნუთუ კვლა ღმერთმან წყალობით გაგიადვილოს ჭირები,
მაგრა, თუ მოეკვდე, გამრდილო, ვისგანღა დავიტირები?"

აქ ჩანს, რომ მართალი ცხოვრების წესი — სიკეთე — სიყვარული მარადიულია. იგი არ გაიწირება, მშვილდი, ანუ ცოდნა ენის სიწმინდე, ბიბლიის მცნებები, გაამარჯვებინებს ავთანდილს. დახოცენ ნადირს.

საერთოდ ემუქრება მეფეთა მეფობას საქართველოში, რასაც ასევე ჭვრეტს როსტევანი მეოთხე სტროფში. სწორედ ამიტომ დიდია გლოვა ავთანდილის წასვლის გამო:

„ზარი გაისმა, შემოკრბა ჯარი მრავალი კაცისა,
დარბაზს ხასთაგან ჯარია ხელითა წვერთა ტაცისა,
იგლეჯს და იცემს ყვრელსა, ხმა ისმის თავსა ტკაცისა;
თქვეს: „ბნელი გვმართებს დღე-კრულთა, რათგან მზე მიგვეიდრკა ცისა!"

ბოლოს მეფე ასე ასრულებს:

„რა ანდერძი წაიკითხეს, კვლა იტირეს დიდი ხანი;
მერმე ბრძანა: „მხიარულსა ნუ ჩაიცმენ ჩემნი სპანი,
ვამლოცველნეთ დავრდომილნი, ობოლნი და ქვრივნი სხვანი,
შეეწიენეთ, მშვიდობისა ნუთუ მისცნეს ღმერთმან გზანი!"

ბოლო სტრიქონი გვეუბნება, რომ რაც გველის, ეს მშვიდობისათვის კეთდება და ღმერთს ამ გზის აღსრულებას შესთხოვს.

როგორც აღვნიშნეთ, ავთანდილის — ცოდნის გასვლამ გამოიწვია ის, რომ საქართველოს დააკლდა გონი და ვასტანგ მეექვსე თავის დიდებულებთან ერთად შექმნა საკანონმდებლო მასალა, სადაც სიკეთესთან ერთად შემოპარული იყო იმპერიული კანონები. სიწმინდის სიბინძურეში აღრევა უფალმა არ გვაპატია, არ გვაპატია, რადგან ამ სიწმინდეს ათასწლეულები აყალიბებდა ქართული ენა, ქართული გონი. ესეც არ იყოს, ტალახი მაშინვე სვრის სიწმინდეს. აი, რატომ გლოვობდა იმდროინდელი საქართველოს მეფე, ავთანდილის — ქართველთა გასვლას, რომელნიც გადიან რუსეთში — საბერძნეთში, თურქეთში, ირანში, ბულგარეთში — რუმინეთში... ყველგან, ყველგან, რათა, როგორც ყოველთვის, ებრაელებს დაუდგნენ გვერდში, რათა შეუმსუბუქონ ტანჯვა, დარდი და ერთად იბრძოლონ შეხინას, ნესტანის ისრაელში დავანებისათვის.

## 2.6 XVII საუკუნე

### ებრაელთა გაუსაძლისი ყოფა და ქართველთა თავდადება.

მრავალი საუკუნეა ნერგავს ავთანდილი ცოდნას. გვერდში უდგას ებრაელობას – ტარიელს. მაგრამ დგება მეჩვიდმეტე საუკუნე და ავთანდილი გაუსაძლის მდგომარეობაში ნახავს ტარიელს. ებრაელობა – ტარიელი უკვე თითქმის ცოცხალ–მკვდარია. ასე იტანჯებოდნენ ისინი მეჩვიდმეტე–მეთვრამეტე საუკუნეში რუსეთში, ევროპაში, ამიტომაც არ დახვდება მას ტარიელი ქვაბში, სადაც მცნების დაცვა და ჰარმონია სუფევს.

საქართველო – ავთანდილი რომ სიკეთის, ცოდნის შესატანად მიდის მსოფლიოს ქვეყნებში, რათა იხსნას დევნილ ებრაელთა დიასპორა, ამაზე მიგვანიშნებს რუსთაველი ავთანდილის წასვლის შემდეგ:

„აწ და დავიწყებ ამბავსა, მის ყმისა წამავლობასა.
მივა და მიტირს გულ–მდუღრად, ვერ ვიტყვი ცრემლთა მცრობასა,
წამ–წამ მობრუნდის, იაჯდის, მისთვის მზისავე მზობასა,
უჭვრეტდის, თვალი ვერ მოხსნის, თუ მოხსნის, მიხდის ცნობასა.

რა მიეახლის დაბნედად, ვერ ხელ–ყვის გაძვრად ქნისად,
მაგრა სდის ცრემლი თვალთაგან, მსგავსად დიჯლისა ღვნისად,
ზოგჯერ დაბრუნდის, იჭვრეტდის ლონედ პატიჟთა თმენისად,
რა გაემართის, არ იცის, მას თუ არბევდის ცხენი სად.“

პირველი სტროფის მეორე სტრიქონი გვეუბნება, რომ ავთანდილი დიდ მადლს აკეთებს, „ვერ ვიტყვი ცრემლთა მცრობასა“. ეს მცოდნე ხალხი რომ ჩადიოდა სხვადასხვა ქვეყანა და შემდეგ მეტად შემცირებულად ბრუნდებოდა, ამაზე მესამე სტრიქონი მიგვანიშნებს. კიდევ სხვები ჩადიოდნენ და ჩაჰქონდათ მზეობა, რაც მზის, კარვი ამინდის, ბარაქის საწინდარია. იმავეს იმეორებს მეორე სტროფის მეორე და მესამე სტრიქონები. შემდეგ ისევ გადადიან, ოღონდ წინასწარ არ იციან უზნეონი ცხოველნი ანუ „ცხენი“ (ცხენში ხომ ცხოველური მისწრაფების ხალხთა ნაგულისხმევი.) სად არბევენ ხალხს და სად, რომელ ქვეყანაში შეიტანონ ცოდნა, სიკეთე, მზეობა. შემდეგ ავთანდილი ევედრება მნათობებს, რომ გაჭირვება გადაატანინოს.

ამგვარად, ქართველი თავს სწირავს სხვადასხვა ქვეყანაში სიკეთის დანერგვისათვის. იგი ამით თავის ქვეყანას აკლებს, თუმცა გულიც და გონებაც სამშობლოში რჩება:

„თქვა: „ჩემო, შენი მორს მყოფი კრულია, ვინცა დადუმდეს,
რათგან შენ დაგრჩა გონება, გული შენკენვე ლაბრუნდეს,
თვალთა მტირალთა შეხედვა შენივე სწადდეს და უნდეს,
სჯობს, საყვარელსა მოყვარე რაზომცა დაუძაბუნდეს!“

ბოლო სტრიქონში ჩანს, რომ ქართველი საყვარელს იმ მოყვასის გულისათვის თმობს, რომელიც გაჭირვებულია. აი, საოცრება ერისა აღმრდილისა უფლის მიერ ნაბოძები ენის საფუძველზე. ასეთი იყო იაფეტის თვისებები.

გაჭირვებულია ტარიელი – ებრაელობა, რადგან კერპთაყვანისმცემელთა ცხოვრების წესია ირგვლივ გამეფებული.

თუმცა ყველა სახელმწიფო გარეგნულად თითქოს მონოთეისტია, მაგრამ ერთმა რომ მილიონის მიწა მიითვისოს, უსაზღვროდ რომ გამდიდრდეს, კერპად იქცეს, ამისკენ მიისწრაფვიან ისინი. მაგრამ ისინი ყველაზე მეტად არიან გაჭირვებულნი, რადგან არ იციან, რა ჰარმონიულად იცხოვრებენ გაყოფა რომ იყოს. ახლა კი მტაცებლობის ერაა. იტანჯებიან და გაუსაძლისად დაიტანჯებიან შემდეგ მათი სულები. ქართველი კი მიდის იმიტომ, რომ ეს ცოდნა შეიტანოს, რადგან ებრაელებს უჭირთ ამ ქვეყნებში ცოდნის დანერგვა. უჭირთ, რადგან უპ-

ირისპირდებიან, იუდეველებს ეძახიან. ჩვენ ვერ გვეპირისპირდებიან, რადგან ქრისტიანები ვართ. აი კიდევ რატომ მივიღეთ ქრისტიანობა.

ეს გადასვლა ებრაელთაც სჭირდებოდათ, რადგან ვეღარ უძლებდნენ, ვერ იცავდნენ მცნებებს და თვითონ კერპთაყვანისმცემელთა გავლენის ქვეშ ექცეოდნენ. ამიტომაც ისჯებოდნენ იმ ქვეყნებში, სადაც ებრაელები ვერ იცავდნენ მცნებებს, იყო მათი გენოციდი. ეს მომენტია ებრაელთა — ტარიელის ცხოვრებაში ავთანდილის ჩასვლისას. ეს რუსთაველმა ტარიელის არ დასვენდრაში გამოხატა. აქ ჩანს პირის გატეხვაც. ეს ძალიან გაალიზიანებს ავთანდილს, რადგან მან ყველაფერი დათმო, რაკილა შეცდომა იყო ეს გადაწყვეტილი. დათმო სამშობლოს კეთილდღეობა, რათა ეხსნა ტარიელი — მისი ისტორიული მეწყვილე. ტარიელი კი ტეხს, არა ავთანდილთან, არამედ შენაართან მიცემულ პირობას, რაც ჩანს ქვემოთ მოყვანილ სტროფში:

„მე უმისოდ სოფელს ყოფა რათგან ჩინად არ მიღირდა,
რად ლაგვიწყლი, რა მიესცილდი, რად ვერ გასძლო, რა მისჭირდა?
მან გატეხა შენარისა რად შემართა, ვით გაპირდა?
მაგრა ავის ბედისაგან ჩემი რამცა გამიკვირდა!"

მესამე სტრიქონში ჩანს, რომ საუკუნო აღთქმა გასტეხა შენაართან. როგორც აღვნიშნეთ, ეს არ უნდა გავიგოთ ისე, რომ თუ ტარიელი ავთანდილს არ შეხვდა, ამით აღთქმა გასტეხა. საუკუნო აღთქმა მოცემულია ბიბლიაში. ქანაანზე შესვლის წინ მოსე აფრთხილებს ერს რომ იყვნენ ერთიანი, არ იწამონ კერპები. ავთანდილმა იცის რომ ამის გამო არ არის ტარიელი თავის ადგილზე ანუ ქვაბში. ჩვენ ვიცით, რომ ებრაელები მაშინ იტანჯებოდნენ და იდევნებოდნენ სხვადასხვა ქვეყანაში, როცა არ იცავდნენ ბიბლიის სჯულის კანონებს — ითქვიფებოდნენ ურწმუნოებაში. მაშინ უფალი მათი მიცემული ფიცის გატეხვის გამო, რომ ისინი იქნებიან თორას ერთგულნი, უგზავნიდა მათ განსაცდელს, ტანჯვას. გავიხსენოთ ისაკის კურთხევა ესავისათვის. თუ ისრაელი — იაკობი არ დაიცავს მცნებებს ესავი დასჯის. ესავის შტოს კი ევროპის მიწები ერგო. აი, ამის გამო იტანჯებოდნენ ისინი ყველგან. მართალია, ასმათი არ ამართლებს ტარიელს ავთანდილთან, მაგრამ ასე პასუხობს:

„კვლა ქალი ეტყვის: „მართალ ხარ მაგისსა დამძიმებასა,
მაგრა რა გავბრჭო მართალი, ნუ მეჭვ რასაცა თნებასა:
არ გული უნდა ფიცის და პირისა გასრულებასა?
იგი უგულო მიულის მართ დღეთა შემოკლებასა."

ამდენ უგულო, უსიყვარულო ხალხში ყოფნამ ტარიელიც დააძაბუნა. უგულობამდე მიიყვანა იგი. უგულო კაცი ვერ კაცობს და გონებაც უჩლუნგდება. შემდეგ იგი იბრალებს ტარიელს და ეტყვის, რომ ძნელია იმ სასჯელის ატანა, რომელსაც ტარიელი (ებრაელი ერი) იტანდა მცნებების დაცვისათვის.

„ჯერთ მისი მსგავსი სასჯელი არცა ვის ამბად სმენია:
არათუ კაცთა, სასჯელი ქვათაცა მესაძრწენია,
დიჯლადცა კმარის, მას რომე თვალთაგან ცრემლი სდენია;
თქვით რაღა ჰბრძანოთ, მართალ ხართ: სხვა სხვისა ომსა ბრძენია."

შემდეგ ავთანდილი ასრულებს თავის მისიას — მცნებების დანერგვას, ცოდნის შეტანით უადვილებს ტარიელს ყოფას და ეხმარება მას თავისი მისიის განხორციელებაში და შველის კიდევაც.

აქ უნდა ვიგულისხმოთ პერიოდი ქართველთა გასვლისა რუსეთში ვახტანგ მეექვსის მოღვაწეობის პერიოდიდან. შეიძლება ამიტომაც აიღო ამ მეფემ ორიენტაცია რუსეთისკენ, რომ იქ ცოდნა შეეტანა, რათა ეხსნა, მისი მოძმენი ებრაელობა. აქ უნდა ვიგულისხმოთ თეიმურაზ მეფის შვილიშვილის გადასვლაც და ერთიბლივი რევოლუციის პერიოდიც.

„მივიდოდა, მიუბნობდა ყმა მტირალი, ფერ—შეცვლილი,
ქედსა რასმე გარდაადგა, ველი ახნდა მზიან—ჩრდილი;

ნახა, მაგი შამბითა პირსა დგა სადაც—უკუყრილი;
თქვა: „უცილოდ იგიაო, არა უნდა ამას ცილი.“

პირველ სტრიქონში ჩანს, რომ იგი მადლს ჩადიოდა. დადიოდა ქვეყნებში და ცოდნა–ნათელი შეაქონდა. გავიხსენოთ რამხელა იყო საბჭოთა კავშირი. ბიბლიის წესით უკუმვლები ფირმაციის წინააღმდეგ ბრძოლა ქართველებმა და ებრაელებმა დაიწყეს. ისინი იყვნენ ლიდერები. ამ დროს იტანჯებოდნენ ებრაელები. მათ ყველგან დევნიდნენ. ძნელი იყო მათი ნახვა. როცა ავთანდილმა ებრაელები, ანუ ტარიელი ნახა, ისინი ძალიან ცუდ მდგომარეობაში დახვდნენ:

„რა ტარიელ დაინახა, განაღამცა დაედრიჯა:
ახლოს მყოფი სიკვდილისა ჯდა და პირი დაებღნიჯა,
საყელონი გარდესხიენეს, თავი სრულად გაეგლიჯა,
მას აღარა შეესმოდა, სოფლით გაღმა გაებიჯა.“

ამავე დროს, ავთანდილი დაინახავს ტარიელის ნამოქმედარს:

„ერთ–კერძ უც ლომი მოკლული და ხრმალი სისხლ–მოცხებული,
კვლა სხვაგნით – ვეფხი უსულო, მკვდარი, ქვე–დანარცხებული;
მას წყაროსაებრ თვალთაგან ცრემლი სდის გაფიცხებული.
მუნ აგრე გულსა უნთებდა ცეცხლი მცხინვარე, ცხებული.“

გავიხსენოთ ვეფხისტყაოსანის სიმბოლიკა თურანზე ბნელეთზე გამარჯვება, ხოლო ლომთან მებრძოლი გმირები განასახიერებენ ადამიანის ბრძოლას თავის თავთან, ეგოიზმთან, სიამაყესთან, ეგოსა და სიამაყის ყალბ გაგებასთან. ეს ჭიდილი ჰქონდათ ებრაელებს და აჯობეს ბოროტებას, რადგან ჰქონდათ შეუფასებელი განძი თორა – ბიბლია. ამგვარად, მხოლოდ განსწავლულობით ამარცხებდნენ ისინი ბოროტთა ქვენარე გრძნობებს საკუთარ ეგოიზმს.
მიხვდება, რომ იგი ილეწოდა მცნებების დასანერგად. ცხოველთა დახოცვაში კი იმპერიული, ცხოველური მისწრაფების ქვეყანათა დამარცხება უნდა ვიგულისხმოთ. მან რომ ამ დასოცეით უდიდესი მადლი ჩაიდინა, ამას მესამე სტრიქონი გვეუბნება. ამგვარად, ავთანდილი მიხვდება, რომ ტარიელს ფიცი არ გაუტეხია. იგი მის მისიას ასრულებს. ეს ოდნავ მოსულიერებული ტარიელის პასუხშიც ჩანს:

„უთხრა: „ძმაო, არ გიტყუე, გიყავ, რაცა შემოგფიცე,
ვნახე სულთა გაუყრელმან, ფიცი ასრე დაგამტკიცე;
აწ დამეხსენ, სიკვდილამდის, ვიტირო და თავსა ვცე.
მაგრა გვედრებ დამარხვასა, მხეცთა საჭმლად არ მიმიცე“.

ამაზე ავთანდილი უპასუხებს:

„თუ ბრძენი სარ, ყოველნი ბრძენნი აპირებენ ამა პირსა:
ხამს მამაცი მამაცური, სჯობს, რამომცა ნელად ტირსა.
ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა.
თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა.“

„სჯობს, რამომცა ნელად ტირსა“, – ე.ი. ნელ–ნელა დიდი ხანი უნდა აკეთო მადლიო. ამისათვის ტანჯვაც მოგელის, უცბად არაფერი არ კეთდებაო. შემდეგ ავთანდილი განაგრძობს:

„ბრძენი სარ და გამორჩეეა არა იცი ბრძენთა თქმულებ,
მინდორის სტირ და მხეცთა ახლავ, რას წადილსა აისრულებ?
ვისთვის ჰკვდები, ვერ მისვდები, თუ სოფელსა მოიძულებ,
თავსა მრთელსა რად შეიკრავ, წყლულსა ახლად რად იწყლულებ?

ვინ არ ყოფილა მიჯნური, ვის არ სახმილნი სდებიან?
ვის არ უნახვან პატიჟნი, ვისთვის ვინ არა ბნდებიან?

მითხარ, უსახო რა ქმნილა, სულნი რად ამოგხდებიან?
არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრებიან!

ვარდსა ჰკითხეს: „ეგზომ ტურფა რამან შეგქმნა განად, პირად?
მიკვირს, რად ხარ ეკლიანი? პოვნა შენი რად არს ჭირად?"
მან თქვა: „ტკბილსა მწარე ჰპოვებს, სჯობს, იქმნების რაცა ძვირად",
ოდეს ტურფა გაიეფდეს, აღარა ღირს არცა ჩირად".

ისმინე ჩემი თხრობილი, შეჯე, წავიდეთ ნებასა,
ნუ მიჰყოლისარ თავისსა თათბირსა, გაგონებასა,
რაცა არ გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა.
ასრე არ სჯობდეს, არ გეტყვი, რად მეჭე რასაცა თსებასა!"

აქ ჩანს ქართველის მისია — ენერგია, ოპტიმიზმი მისცეს სულიერად დაცემულ და ნატანჯ ერს. ერი რომელიც არ ეპუება ბოროტებას. ისიც აპირველოს, თვითონაც იპირველოს, რათა დანერგონ სიკეთე, სიყვარული. რაც არ გწადის, არ გსიამოვნებს, იგი უნდა ქმნა გამარჯვებისათვის, რადგან ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია. ტკბილიც სიმწარის მერე შეიგრძნობა — ეუბნება იგი. ბევრი ხვეწნის მერე ტარიელი მოიხედავს ამ სოფლისკენ. ბოლოს იგი სთხოვს ცხენზე შეჯდეს:

„ესვეწებოდა: „შეჯეო", აჯას ხვეწნითა არევბდა,
იცოდა, რომე შეჯდომა კაეშანს მოაქარევებდა,
ლერწმისა სარსა დასდრეკდა, გიშერსა დააკარევებდა,
დაიმორჩილა, ვამა, არ იავგლახა, არ ვებდა.

ცხადად უთხრა: „შეეჯდებით, მომიყვანე ცხენი წინა".
მან მიჰგვარა, წყნარად შესვა, არ სიჩქარით ააქშინა;
მინდორთაკე წაიყვანა, ტანი მჭევრი აძრევვინა,
ხანი წავლეს, სიარულმან მოჯობება დააჩინა.

შეაქცევს და ეუბნების საუბართა შვენიერთა,
მისთვის სძრვიდა სასაუბროდ მათ ბაგეთა ძოწის—ფერთა,
მისი სმენა გააყმობდა მსმენელისა ყურთა ბერთა;
მოიმორვა კაეშანი, დათმობავე შეაერთა."

ცხენზე შეჯდომაში აქ უნდა ვიგულისხმოთ ოპტიმიზმის ჩანერგვა მცნებების დაცვის გზით ფეხზე დაყენება. ასეა ეს ცხოვრება, მეგობარმა მეგობარს უნდა ჩაუსახოს ოპტიმიზმი. ერთი რომ კაეშანს მიეცემა, მეორემ უნდა გამოაფხიზლოს, შემდეგ კი — პირიქით. ამიტომ არის ეს ნაწარმოები უნიკალური. აქ ჩანს, თუ როგორ უნდა გიყვარდეს მოყვასი, რაც მცნებების დაცვის და მესიის გამოვლინების საწინდარია.

აი, ასე ილაწა ქართველმა, ქართულმა ცხოვრების წესმა სხვა ქვეყნებში. აქ ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ტარიელი წინა, ანუ მოწინავე ცხენზე ჯდება და წინამძღვრობს. ნელ—ნელა მიდის და არ ჩქარობს, როგორც ავთანდილმა დაარიგა. ბევრი სიარულის შემდეგ ტარიელი ასე აფასებს ავთანდილის ნამოღვაწარს:

„მან უბრძანა: „რაცა გითქვამს, უმართლე ხარ მეტის—მეტად;
საბრალოა ასმათ მისად მგონებლად და ჩემად მჭვრეტად;
მე სიცოცხლე არ მეგონა, შენ მომესწარ ცეცხლთა მრეტად,
რათგან დავრჩი, გვალე, ვნახოთ, თუცავე ვარ ჯერითა რეტად".

აქ ჩანს ქართველთა უმცროსი ძმის თავდადება, რაც რეალურად მოხდა, როგორც ვიცით, ამ შეხვედრის წინა სტროფებში ავთანდილი ეუბნება საყვედურს სამხრეებზე:

„სამხრე გაბია ოქროსა, ოქრომჭედლისა დნობილი,
უასაკო და უსულო, არსიტყვიერი, ცნობილი;

ღარად გინდა ასმათი, – ნახე მართალი ბრჭობილი!
პირველ, გლახ მისი ნაჭერეტი, თეით მერმე შენი ლობილი.

აქ ლაპარაკია ზოგიერთ ებრაელებზე, რომელთაც ვერ გაუძლეს ბოროტთა ცდუნებას მია-ტოვეს უდიდესი აუწონელი, შეუფასებელი განძი თორა მოძღვრება და ბოროტეის სამსახურში ჩადგნენ. ამათ გამო იყო რომ იტანჯებოდა ჭეშმარიტი მლოცველნიც – ტარიელი – იეიწყებო-და ჰარმონიული ოჯახური სიამოვნების ზნეობის, ცოლქმრის ერთგულების სიყვარული, ბიბ-ლიაზე დაფუძნებული.

ეს წესი ზნეობა მაშინაც და ეხლაც მტკიცე იყო საქართველოში, ქართველებში, ქართველ მამაკაცთა ზნეობის გამო. ებრაელ ქალებს აქეთ ეს სიმტკიცე. ისინი არ ღალატობენ თორის მცნებებს, კაცები იცნენ ლოყლაპიობას და ურჩევს ქალებს დაუჯერეთო ასმათის სახეში (ამავე დროს ებრაელები ხელაღნენ მაგალითს: მათი თვისტომი ქართველი ებრაელები ასევე მტკიცედ იცაედნენ საქართველოში თორის ბიბლიის მცნებებს და გადასული სხვა ქვეყნებში ჩაპქონდათ ეს უანგარო ზნეობრივი მსახურება ღმერთისა). ამგვარად ასმათის მიტოვებაში ზოგიერთ ებრაელთა დევნისა და შიმშილისაგან ფიზიკური დაუძლურებლობის გამო წიგნთა წიგნის მიტოვებაც უნდა ვიგულისხმოთ, რასაც არ ეგუებიან ებრაელი ქალები.* ტარიელი ყველაფერში ეთანხმება ავთანდილს.

დამორჩილდა გაემართნენ ავთანდილ და ამირბარი:
ვერ მიქია ქება მათი, ვერა ქება საქებარი;
კბილნი ვითა მარგალიტნი, ბაკე–ვარდი ნაბოძარი
გველსა ხერელით ამოიყვანს, ენა ტკბილად მოუბარი

„დამორჩილდა გაემართნენ ანუ გამართულად დაიწყეს სიარული. ასეა იმართები კაცი როდესაც ჭეშმარიტებას უბრუნდები.

ეს არის დიდხნიანი პერიოდი. ებრაელნი სხვადასხვა ქვეყნებში თითქოსდა გადარჩენისა-თვის უზნეო ვაი მეცნიერებათა განვითარებაში იწყებდნენ მოღვაწეობას, რაც სიყალბის საწინდარია. ამის გამო იღებდნენ დიდ წოდებებს – საპრემიებს, ნობელის პრემიებსაც მასმედ, თუ როგორ მოიწამლოს ქიმიკატებით ადამიანი, სამყარო და სიტყვის გაიზრდება მოსავალი – მისი გაზრდის საფუძველი კი ვიცით ზნეობა თორის პრინციპების დაცვაა ის რაც იყო იბერიაში. აი, რატომ დევნიდა მათ ბოროტება.* მათ მიაღწიეს რომ ეს ნიჭიერი ხალხის საკუთარ სამსახ-ურში ჩაეყენებინათ. უფალი ენდობა მათ. მოშეს პირით არის ნათქვამი რა საქმესაც მოიმოქმე-ბენ ყველაფერში აქეთ შეწევნა, მაგრამ ამას მოსდევს წყევლა მათი. ამიტომაც იმ მეცნიერების მსახურება, რომელის ეწინააღმდეგება თორას დიდი ცოდვაა.

## რატომ ვიმარხვებდით მაინც? ორი ძმის ერთობაა ამის საწინდარი

ყველამე დიდი ჯილდო უფლის – შეხინის კეთილგანწყობაა. ამის გამო ქართველნი მხ-ოლოდ მლოცველ ებრაელებს, ტარიელს ედგნენ გვერდში. ამიტომაც ჩვენთან არ იყვნენ ეგრეთ-წოდებული „დიდიმეცნიერნი" ის რასაც სხვაგან იძულებით აკეთებდნენ, რადგან ამათი დევ-ნა იყო მთელს მსოფლიოში. ეწირებოდნენ კიდევაც მსოფლიოს იმპერიებთან კერპთაყვანისმ-ცემლებთან ბრძოლას, ქართველნი, რათა ეხსნათ მოძმენი. კლავდნენ მათ ამიტომაც ისე, როგორც მოკლეს ანთიმოზ იბერიელი, საბა კლდიაშვილი ათასობით მამულიშვილი შეეწირა რუსულ იმპერიას, რათა იქ განათლება შეეტანათ და ეხსნათ ებრაელნი გაუსაძლისი ყოფის-გან.

---

*იქნებ ამიტომაც იყო სტალინმა ყველა ეს ინტელექტუალები რომ არ გაუშვა ისრაელში. ისინი ერთად ჯერ ბირობიჯანში შეჰყარა რათა დაევწყოთ თორაში ჭირნახულობა და არ ქქონოდათ ასპარეზი ინტელექტუ-ალური ნიჭის გამომჟღავნებისა.

*სხვათა შორის საბჭოთა კავშირის პერიოდში ებრაელებს რომ არ უშვებდნენ თითქოს რუსული დისიდენ-ტები მეტი იყვნენ, შემდეგ გმირებადაც მიგვყავდინენ ისრაელში. მაგრამ მხოლოდ ქართველმა ებრაელმა დისიდენტებმა – 30–მდე კაცმა დაუდეს საფუძველი აღთქმულ მიწაზე დაბრუნებას. მათ შიმშილობის გამოცხ-ადებით ქ. მოსკოვში მიიქციოს მსოფლიოს ყურადღება და იძულებული შეიქნენ გაუშვათ ისინი აღთქმულ მიწაზე. მათთან იყო კიდევ რამდენიმე ბალტიისპირელი.

საქართველოს ინტელიგენცია არ სტოვებდა არცერთ ფაქტს მსოფლიოში ებრაელთა დარბეისა, ისინი საჯაროდ აღიმაღლებდნენ ხმას იმდროინდელ პრესაში თუ მასობრივ გამოსვლებზე, ფაქტების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ასეთმა ძმობამ გვერდში დგომამ მისცა სტიმული ებრაელებს ჩაეტარებინათ ებრაელთა საყოველთაო შეკრება 1907 წელს. გავიხსენოთ დავით ბააზოვის სიტყვები, როცა იქ შეკრებილი დათრგუნულნი ყვებოდნენ მხოლოდ მათი დარბევის ფაქტებს, რათა არ ეჭირნახულათ წიგნთა წიგნში. მან გაამხნევა ყველა ისინი რომ იბერთა ქვეყანა ედგა გვერდში. ასე აძლევს ავთანდილი ლომი – ნათელს სულიერებას ვეფხის ტყავში მყოფ ტარიელს, რომელსაც აკლია ყოველივე, რათა გაიმარჯვოს ბნელეთზე. (რომელსაც გამოხატავს მისი ჩაცმულობა). აი სად ადგება ძმას ძმა თავისი თვისებით ზრუნვა მოყვასზე ის ღვთის საქმეს არგებს. ასე სრულყოფილად უბრუნდება ტარიელი სულიერ სამყაროს და მათი კბილნი არიან ვითა მარგალიტნი. ისე იბრუნებს ტარიელი ცნობიერებას, ამარცხებს ბნელეთს, რათა გარდაიქმნას ლომად, ასეა როცა ორი ძმა ერთდება.

ავიღოთ. თუნდაც ბოროტების აპოგეის კაპიტალიზმის – კერპების უკუგდება რუსეთში და ხალხთა გათანასწორება, მათი გაუსაძლისი მდგომარეობის გამოსწორება. ხომ დაამარცხეს ეს იმპერია და მოუტანეს ხალხებს კერპთაგან შველა თუნდაც 70 წელი.

შემდეგ ამ შეერთებით სძლიეს ებრაელთა მიმართ – გენოციდის ჩამტარებლურ ფაშიზმს – ყველას უკვირდათ სტალინის ლოზუნგი ჩვენ გავიმარჯვებთ როცა მტერი მოსკოვთან იდგა. მან იცოდა ორი ბიბლიური ძმის ერთად ყოფნა იყო საჭირო და ამიტომაც ექნებოდა ღმერთის შეწევა! მან იცოდა ისტორია – ყველა მარცხდება ბოლოს, ვინც მათ ებრძვის. ჩაიხედეთ კიდევაც ყველაზე მეტი პროცენტულად ამ ბრძოლაში ებრაელი და ქართველი. მათმა გენიამ მხედართმთავრულმა ნიჭმა სძლია ბოროტებას.

სტალინმა იცოდა ბიბლია და ისიც იცოდა რომ ნოემ დალოცა ისინი ღმერთის სურვილით რომ ერთ კარავში ყოფილიყვნენ დაუნდა ემეფათ ქანაანზე. ქენანი კი მონად უნდა ჰყოლოდათ.

ამავე დროს მოსეს გამოსამშვიდობებელ სიმღერისას ქანაანზე შესვლის წინ აქ იყვნენ უმცროსი ძმის იაფეტის წარმომადგენელიც. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვიცით. რომ მის სიმღერას ისმენდა ყველა ისრაელი – იბერიელი, ვინც ფიზიკურად არ იყვნენ იქ. იქ იყო მათი სულებიც. ამას მოწმობს ამ სიმღერის ერთი სტროფი. მეორე სჯულდება 32.8 უზენაესი სამკვიდრებელს რომ ურიგებდა ერებს, როდესაც მან დაყო ადამის ძენი, დაუდგინა საზღვრები ხალხებს ისრაელის ძეთა რიცხვისამებრ.

ჩვენ ვიცით ისრაელი დაექვა იაკობს. მანამდე იყვნენ იბერ-ებერნი და იბერთა რიცხვი იყო 12. და ეს თორმეტი მხარე იყო საქართველოში. ამგვარად ის წყევლა და დალოცვა ჩვენც გვეკუთვნის. (ამიტომაც ვისჯებით დღეს ქართველნიც ცნებებს რომ არ ვიცავთ). და ჰქონდათ მათ ქანაანზე გამარჯვება. შემდეგ საქართველოში იყვნენ გამარჯვებულნი ბიბლიური დავითის ხელმძღვანელობით. (იღვწოდა ყველა თავადი რაც შეიძლება მეტი ებრაელი ყოლოდა ზ. ჭიჭინაძე) ამიტომ დაიწყეს ებრაელთა და ქართველთა დაპირისპირება რუსეთმა საქართველოში და დღეს იმასაც მიაღწიეს რომ თითქმის აღარ არის ებრაელი აქ. მიხვდნენ რომ ამ ორ ერთან ბრძოლა არ გამოდგება. როცა ერთად არიან ყველა მარცხდება რადგან ღმერთიც იცავს. ადრე დევნიდნენ ეხლა ეფერებიან რომ მათ სამსახურში იყვნენ. და ისევ სამხრეებს, ფულებს ეპოტინება ბევრი მათგანი, ასე უფრო ამარცხებენ მას. რადგან კერპების სამსახურში არიან. ამიტომ დაიწყეს ებრაელთა გადაბირება, ვითომ ინანიებენ რაც ადრე გაუკეთეს. გავიხსენოთ, მკვდარ სტალინს მიტომ დაუწყეს ბრძოლა რომ ყველა ებრაელი, რომელიც გვერდში ჰყავდა სტალინს მოეცილებინათ. ამიტომაც ეშინია ბოროტებას ამ ერთობის და ყველაფერს აკეთებს დასაპირისპირებლად. ამ ერთობას კი ეტრფის რუსთაველი ცოტა ზემოთ როცა ავთანდილი ტარიელს მოასულიერებს.

ასე ყველაი ასრეა, რაც არ ჩემგან თხრობილია,
ცრემლნი მოსნურნა თვალთაგან, ცოტად-რე მოაცსობილა
მაშინღა იცნა აკოცა, მოეჭდო მეძმობილა.
ვიმოწმებ ღმერთსა ცხოველსა, მათებრი არვინ შობილა!

ეხლაც მოცნობილება სურთ ებრაელებს – ქართველებთან დგომაა საჭირო. დღეს საქართველოა ასეთ გაუსაძლის მდგომარეობაში და დროზე უნდა უშველონ მათ უმცროსს

ძმას თუ საკუთარი თავის გადარჩენა ანუ ბიბლიის მცნებებით ცხოვრება უნდათ. ამაზე მიგვანიშნებს რუსთაველის ვესია. დავუბრუნდეთ ნაწარმოებს.

ამგვარად ავთანდილს ელოდება დედაკაცნი, რომელნიც ეპაკაცურად უდგანან გვერდში და ატანინებენ ტანჯვას. სხვათა შორის, საქართველოში დღეს თითქმის ანალოგიური სიტუაციაა. შემდეგ ავთანდილი კიდევ ეუბნება:

„ამას ეტყვის: „შენთვის დავსდებ გონებასა, სულსა, გულსა,
მაგრა შენცა ნუ აგრე ხარ, ნუ იწყლულებ ახლად წყლულსა;
არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა;
არ იხმარებ, რას ხელსა ხდი საუნჯესა დაფარულსა?

არას გარგებს შეჭირვება, რომ სჭმუნვიდე, რა გერგების!
არ თუ იცი, უგანგებოდ, არა კაცი არ მოკვდების?
მზისა მუქთა მომლოდინე, ვარდი სამ დღე არ დაჭკნების.
ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო–ცა–გხვდების".

ავთანდილის განსჯაში ისიც უნდა ვიგულისხმოთ, რომ მის მიერ ქრისტიანობის დანერგვამ შეანელა ებრაელთა დევნა, თუმცა ქრისტიანულ ქვეყნებში, საქართველოს გარდა, მაინც სდევნიდნენ მათ.

ავთანდილი მიუთითებს ბიბლიის იმ სიბრძნეზე, რომელიც აქვთ ებრაელებს დაფარულად და ის ყველამ უნდა გაიცნოს, რადგან ეს ღვთის სურვილია. შენი სიკვდილი კი ჭეცაში წყდებაო. შემდეგ ტარიელი უპასუხებს:

„მოახსენა: „ეგე სწავლა ჩემთვის ყოვლად სოფლად ღირდეს,–
გონიერთა მწერთველი უყვარს, უგუნურთა გულსა ჰგმირდეს, –
მაგრა რა ექმნა, რაგვარ გავსძლო, მეტის–მეტი რა მიმჭირდეს!
შენცა გჭირას ჭირნი ჩემნი, არ მამართლო, არ მიკვირდეს?"

ე.ი. ჩვენ ორივენი ერთ საქმეს ვემსახურებითო და მენც გდევნიან, გებრძვიან, გიჭირსო. შემდეგ ტარიელი უამბობს, თუ რა გადახდა:

„იმა ქვეყნსა გარდავვადეგ, შამბნი ისი მომეარნეს;
ერთი ლომი, ერთი ვეფსი შეკრბეს, ერთად შეიყარნეს,
ჰგვანდეს რაიმე მოყვარულთა, მათი ნახვა გამეხარნეს,
მათ რა უყვეს ერთმანერთსა, გამიკვირდეს, შემეზარნეს.

პირველ ამოდ ილაღობეს, მერმე მედგრად წაიკიდნეს:
თვითო ტოტი ერთმანერთსა ჰკრეს, სიკვდილსა არ დარიდნეს;
გამორიდნა ვეფხმან გული, – დედათამცა განარიდნეს! –
ლომი მედგრად გაეკიდა, იგი ვერვინ დაამშვიდნეს".

აქ არის აღწერილი სამყაროში ადამიანებს, სახელმწიფოებს შორის და ცხოველებთანაც დამკვიდრებული ცხოვრების წესი. ეს სახელმწიფოები და ადამიანები ცხოველური მისწრაფების მხეცებთან არიან შედარებული, მცნებებს რომ იცავდნენ, სიყვარულს ბოლომდე გააგრძელებდნენ. მაგრამ როცა არ იცავენ, ხან კარგად არიან, ხან კი წაეკიდებიან ერთმანეთს. ეს წაკიდება ოჯახიდან იწყება, ანუ მდედრიდან (ვეფხვით) და მამრიდან (ლომით). მათი სიყვარული იმპერიულია და არა ქართული, ან ებრაული – ბიბლიური, რადგანაც ერთმანეთის გამოყენებას ცდილობენ. დამნაშავე, რა თქმა უნდა, მამაკაცია, რადგან იგი ქალში გართობის საგანს ხედავს და არა დედას, შვილს, დას. ამიტომ ტარიელი გასწავლულობის შეტანას ცდილობს ლომში – მამაკაცში, რაც ჩანს შემდგომ სტროფში:

„ლომსა დაეუგმე ნაქმარი, ვარქვი: „არა ხარ ცნობასა,
შენ საყვარულსა რად აწყენ? ფუ მაგა მამაცობასა!"
ხრმალ–გამოწვდილი გავუხე, მივეც ლახვართა სობასა,
თავსა გარდავკარ, მო–ცა–ვკალ, დავხსენ სოფლისა თმობასა".

„დაესხენ სოფლისა თმობასა", — ეს ნიშნავს, რომ ამ ქვეყანაში მისმა ცოლნამ მამაკაცთა იმპერიული სულისკვეთება შეცვალა. ცხოვრებამ ქალიც გააფუჭა და ისიც ცოდნით გასაწვრთნელი გახდა:
ანუ აქ ლომის დამარცხებაში ტარიელის მიერ ქვენა ცნობიერებათა დამარცხებაა.

„ხრმალი გავსტყორცე, გარდვიჭერ, ვეფხი შევიპყარ ხელითა;
მის გამო კოცნა მომინდა, ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითა;
მიღრინვიდა და მაწყენდა, ბრჭკალითა სისხლითა მღვრელითა,
ვეღარ გავუძელ, იგიცა მოვკალ გულითა ხელითა."

მან გულით მოკლა, ანუ ქალებშიც ზნეობას ნერგავდა. შემდეგ ორივე ატირდებიან, რადგან ტარიელი თავის მიჯნურს გაიხსენებს, მეხისა ხომ ავთანდილის მიჯნურიც არის. ამიტომ უფლის სიყვარულის გამო ორივე მადლს აფრქვევს — ცნებებს ნერგავენ!

„იტირეს და გაემართნეს, ქვაბისაკენ თავნი არნეს;
რა ასმათმან დაინახა, განაღამცა გაეხარნეს!
მოეგება, მოტიროდა, ცრემლმან მისმან კლდენი ღარნეს,
აკოცეს და ა—ცა—ტირდეს, კვლა ცნობანი ააჩქარნეს."

ამგვარად, ბიბლიის მცნებები დანერგეს და იმპერიული სული, მისწრაფებები დახოცილი ლომის და ვეფხვის სახეში დაამარცხეს. ცა — აატირეს, გული მოულბეს ალბათ ზეცას და იქიდანაც მადლი — წვიმა — წყალობა წამოვიდა. ამგვარად ავთანდილის ძალისხმევით ტარიელი ისევ ბიბლიას რწმენას უბრუნდება რაც გამოიხატება ასმათთან — ქვაბში მისვლით. გულის წასვლა და სამხრეები — ნიშნავს იმპერიასთან მსახურებას და ტარიელის როგორც სულიერი მოძღვარის დაკარგვას. შემდეგ ტარიელი ამბობს:

„სწყუროდეს, წყალსა ვინ დალევის კაცი უშმაგო, ცნობილი?
მე თვალთა ჩემთა მით მიკვირს, რად ვარ ცრემლითა ლტობილი!
უწყლობა ჰკლავს და წყალი სდის, აროდეს არ გახმობილი!
ვა, წახდა ვარდი ჰობილი, ვა, მარგალიტი წყობილი!"

მესამე სტრიქონი იმას გვეუბნება, რომ ბიბლიის მცნებების დამნერგავ ტარიელს თვითონ უჭირს, უწყლობა ჰკლავს. მაგრამ ებრაელებს აქვთ ბიბლიის ცოდნა, მცნებების დაცვა. აი, ამ მცნებებს რომ იცავენ სხვა ქვეყნებში, ამიტომა აქვთ ამ ქვეყნებს წყალობა, ანუ მათ ნამოქმედარს მოაქვს წყალობა და ბარაქა. ის ხომ წყლის ხალხის — იბერიელთა ჯიშია:

„ტარიელ ეტყვის: „რად უნდა სიტყვისა თქმა მრავალისა?
რაცა შენ ჩემთვის გიქმნია, ღმერთი მზღველია ვალისა;
კმა ზენაარი ზენარად, არ ნაქმარია მთრვალისა,
არ დავიწყება, მოყვრობა მოყვრისა წარმავალისა.

გავიხსენოთ რაბინი დ. ბაამოვის ნათქვამი. ესეც იწინასწარმეტყველა რუსთაველმა.

აწ შემიხვეწე, ნუ დამწვავ კვლა წვითა უცხელესითა;
მე რომე ცეცხლი მედების, არ ნაგზებია კვესითა,
ვერ დაშრეტ, შენცა დაიწვი სოფლისა ქმნისა წესითა.
წადი, დაბრუნდი, შეიქეც მუნითვე, შენი მზე სით—ა."

ე.ი. „რაცა შენ ჩემთვის გიქნია", რომ აზრზე მომიყვანე ის იკმარეო, თორემ შენც ჩემსავით დაიწვები, ძალიან გაგიჭირდება და შენი ქვეყანაც, ჩემი ქვეყნის დღეში არ ჩავარდესო. ტარიელს უჭირდა სამყაროში ზნეობრივი ცხოვრების წესის დანერგვა. ამიტომ იყო იგი უკიდურესობამდე მისული. და შეუშველა მას ავთანდილი, სდება ქვეყნებში ქრისტიანული სულის განმტკიცება, ზოგში კი შეტანა.

ყველაფერს აკეთებს რომ ისრაელი დაბრუნდეს წმინდა მიწაზე გაეიხსენოთ სტალინის მხარდაჭერა ამისათვის. აგრეთვე ისიც, რომ საქართველო წარმართავდა სიკეთის პოლიტიკას სამყაროში. პალესტინას – წმინდა მიწას ის განაგებდა. ეხლა ისრაელი უნდა ჩაუსახლდეს მას. უნდა დაბრუნდეს წმინდა მიწაზე რაც კონსტანტინე გამსახურდიამ იწინასწარმეტყველა, ანუ ის ერთ-ერთი ავთანდილთაგანი იყო ვინც ოპტიმიზმს უნერგავდა ჩვენ მოძმეთ. საქართველომ კი ტანჯვის გზით უნდა იაროს.

მეორე სტროფში იგი ეუბნება, წინასწარმეტყველებს იმას რაც შემდგომ ანუ დღეს ხდება საქართველოში. რომ რაც ისრაელს დამართა ბოროტებამ, იგივე ელის საქართველოს და სთხოვს დაბრუნდეს, მიხედოს თავის ქვეყანას, რადგან საკმარისია ებრაელთა წამება. ახლა ამას ქართველთა წამება რატომ უნდა დაერთოსო? შემდეგ განაგრძობს:

„ვინ დამბადა, განკურნება ჩემი უჩანს მასცა ძნელად,
ვისცა გესმის, გაიგონეთ, მით გაჭრილვარ ხელი ველად:
რაცა მართებს გონიერთა, ერისხელ ვიყავ მეცა მქმნელად,
აწ ნობათი ხელობისა მომხვდომია, მით ვარ ხელად."

ავთანდილი პასუხობს:

„ავთანდილ ეტყვის: „რა გითხრა პასუხი მაგა თქმულისა?
შენვე სთქვი ეგე სიტყვაო კაცისა ბრძნად სწავლულისა;
ღმერთსამცა ვით არ შეეძლო კელა განკურნება წყლულისა?
იგია მზრდელი ყოელისა, დანერგულ–დათესულისა!

ღმერთსამცა ესე რად ექმნა, ვგვეთნი დაებადენით,
აღარ შეგყარნა, გაგყარნა, ხელი გქმნა ცრემლთა დაღვენით!
სდევს უათერაკი მიჯნურსა, გაჭერიტეთ, გაიცადენით,
თქვენ ერთმანეთი არ მოგხედეს, მე სულნი ამომხადენით!

ნეტარ, მამაცი სხვა რაა, არ გასძლოს, რაცა ჭირია!
ჭირსა გადრეკა რად უნდა, რა სასაუბრო პირია!
ნუ გეშის, ღმერთი უხვია, თუცა სოფელი ძვირია,
რასცა მიწერთისარ, იწვართე; გკადრო, უწერთული ვირია."

მეორე სტროფის მეოთხე სტრიქონში ავთანდილი მიმართავს ტარიელს, რომ თუ თქვენ ერთმანეთს არ შეხვდებით (ე.ი. ებრაული ცხოვრების წესის აღდგენა უნდა მოხდეს და შემხინაც დაბრუნდება), მაშინ მე სული ამომხდება. ეს მართლაც ასეა. მათი გაყრის გამო უჭირს საქართველოს. ღაირაზმა ბოროტება მხოლოდ ქართველთა წინააღმდეგ და ამიტომაც საქართველო სულს ღაფავს, რადგან ყველგან ბოროტება იმარჯვებს. ეს წესი მარტო ლოცვა არ არის. ეს არის სწორი მიწათმოქმედება. აქამდე კი მათ ბევრი უკლიათ. როცა ამ წესის აღდგენას დაიწყებენ, მაშინ მიხვდებიან, რომ იბ–ერიული – ქართული ცხოვრების წესის აღდგენა ჯერ საქართველოშია საჭირო. შემდეგი სტროფი კი გვეუბნება იმას, რომ საქართველოში დღეს გაჭირვებაა, სიდუხჭირეა, მაგრამ ღმერთი მაინც სიუხვეს არ აკლებს იბერთა ქვეყანას. აქვე იმასაც არიგებს რომ ღმერთისგან მიტომ ისჯებით შეცდომები აღარ გაიმეოროთ და მიხვდეთ მის გარეშე რა ძნელია ცხოვრება. შემდეგ ავთანდილი ეუბნება, რომ მისი წამოსვლის მიზეზი მისი მზის – საქართველოს მფარველი ზეციური არსის ნებაა:

„მან მიბრძანა: „მადლიერ ვარ, კარგად ხარ და მამაცურად,
შენგან მისსა გაძლენასა მე დავიჩენ სამსახურად".
მისით კითხვით წამოსრულვარ, არ მთრთალი და არ–შახმურად,
მივბრუნდე და რა ვუამბო, რად მოვეო ჯაბან–ხრდლურად?"

იგი განაგრძობს:

„სადაცა გწადდეს, მუნ იყავ, მითვე წესითა მაგითა,
გწადდეს, გულითა ბრძენითა, გწადდეს — ცნობითა შმაგითა,
მაგა ქცევითა ტურფითა, ანაგებითა ნაგითა,
ოდენ გამაგრდი, არ მოჰკვდე, არ დასდნე ცეცხლთა დაგითა."

იგი ეუბნება, ოღონდ მცნებები დაიცავი და სადაც გინდა იქ იყავი და ამ შემთხვევაში ბოროტება ვერას გიზამს. თუ ებრაელები ლოცულობენ, არსებობენ, ეს ამტკიცებს სიკეთეს იბერიული მოდგმისას. იგი იუდეველთა წესით თავის გაურთხილებას სთხოვეს და შემდეგ ეუბნება — ერთი წელი დამაცადეო.

„ამის მეტსა არას გნუკევ: წელიწადსა ერთსა მსგეფსსა.
აქა ქვაბსა მომნახევდი მე, ამბავთა ყოველგნით მკრეფსა;
ამა ყამსა ნიშნად მოგცემ, დროსა ამას ვარდ—იეფსა,
ვარდთა ნახვა გაგაკრთობდეს, მართ ვითამცა ძაღლი ყეფსა".

მაგრამ ისინი დიდხანს არიან ერთად, უადვილებენ ურთიერთს ცხოვრებას. დაშორება კი მათი ხდება დაახლოებით მეოცე საუკუნის დასაწყისში, რაშიც შემდგომ დავრწმუნდებით. ე.ი. მათი შეხვედრა 21—ე საუკუნეში უნდა მოხდეს, აი, მაშინ დაიწყება მესიის ერა. ერა სიკეთის გამარჯვებისა ბოროტებაზე. ესა აქვს ნაწინასწარმეტყველები რუსთაველს ამ გენიალურ ნაწარმოებში.

ამგვარად, იწყება შენაცვლების პერიოდი. გაჭირვებულ ებრაელობას ამ გაჭირვებაში ენაცვლება ქართველობა, რათა შეუმსუბუქოს ჭირი და ხილული გახადოს, გამოააშკარაოს ბოროტება. ამ საქმეში ერთად არიან იუდეველნი და ქართველი ქრისტიანნი. შემდეგ მათ იბერიელი მუსულმანნი შეუერთდებიან. ბოლოს სამივე მადლს ნერგავს, რაც შემდეგ ჩანს ნაწარმოებში.

## 2.7 XVIII–XXI საუკუნე

„დილა გათენდა, შესხდეს და მას ქალსა გაესალამნეს.
ტარიელ, ასმათ, ავთანდილ თვალთაგან ცრემლნი დალამნეს;
სამთავე ლაწვთა ალამნი არღავნის ფერად ალამნეს,
მათ ლომთა, მიწყივ მხეც–ქმნილთა, თავნი მხეცთავე ალამნეს.“

ამავე დროს, ისინი სხვა გარემომცველ სახელმწიფოებში ნერგავენ ჩრნობას. შემდეგი სტროფი ასევე მათი მადლის დანერგვას გვამცნობს, ბოროტების იმ ქვეყნებში, სადაც მღვიმ იარეს:

„მათ ყმათა, მუნით წასრულთა, იგი დღე ერთგან იარეს,
ზღვის პირს მივიდეს, მუნ დადგეს, არ ხმელთა არე იარეს,
არ გაიყარნეს მას ღამე, კვლა ცეცხლი გაიზიარეს,
ერთმანერთისა მორს ყოფა იტირეს, იმგლოვიარეს.“

ანუ ხდება ის რაც აღვწერეთ წინა თავში.

### ავთანდილი აგრძელებს თავის ტრადიციულ მედიატორულ მისიას

შემდეგ ავთანდილი ეუბნება, ჩვენ მარტო ვერ ვეყოფით სამყაროს ზნეობისაკენ მოქცევას. მარტო ავთანდილს არ შეუსვამს ტარიელი ცხენზე, როგორც წინა სტროფებშია გადმოცემული, არამედ ასევე იბერიელმა ფრიდონმაც შესვა ცოტა ადრე იგი.

ავთანდილმა იცის, რომ ამ იბერიელმა მუსულმანობა მიიღო, ანუ განამტკიცა მონოთეიზმის ეს მიმართულება იბერიული ზნეობით, ამიტომაც მხოლოდ იბერიელთ–იუდეველს, ქრისტიანს და მუსულმანს შეუძლიათ ერთობა – ისევე როგორც საქართველოშია, კავკასიაშია; სხვაგან დაპირისპირებაა. ამიტომ განსაზღვრავს ავთანდილი – მისი გვერდით დაყენებაა საჭირო, რათა ჩვენ მოვერიოთ ბოროტებასო:

„ტარიელს ეტყვის ავთანდილ: „რუ გახმა ცრემლთა დენისა!
რად მოიშორვე შენ ფრიდონ, მომცემი მაგა ცხენისა?
მუნით იცნობის ამბავი, ლონე მის მზისა ლხენისა,
აწ მე მუნ მივალ, მასწავლე გზა ძმად–ფიცისა შენისა“.

ამგვარად, ებრაელობამ კი არ უნდა მოიცილოს ფრიდონი, – მუსულმანობა, კი არ უნდა დაუპირისპირდნენ ისინი ერთმანეთს, არამედ უნდა შეკავშირდნენ და ებრძოლონ ბოროტებას. დღეს ბოროტების, იმპერიათა ერთადერთი დასაყრდენი რელიგიათა დაპირისპირებაა.

ცრემლი კი სდით მაღლს ჩადიან, მაგრამ უშედეგოა ყველაფერი. პირიქით რუ გახმა ასე რადგან დაპირისპირებაა.

გავიხსენოთ ქართველის მისია – რელიგიათა, სახელმწიფოთა მორის მედიატორობა. სწორედ ამიტომ ქართველმა უნდა დაამყაროს ძმური კონტაქტი ებრაელებთან, მუსულმანურ სამყაროსთან, ჩვენი მოძმე იბერიული მოდგმის საშუალებით და შემდეგ ამ სამი რელიგიის ხალხმა ძმურად უნდა იწყოს ბრძოლა ბოროტების წინააღმდეგ. თუ ეს სამი რელიგია ერთმანეთის დაუდგა გვერდით, ბოროტი უკვე დაძლეული იქნება. ტარიელი ეუბნება, როგორ ნახოს ფრიდონი ანუ არიგებს:

ტარიელ სიტყვით ასწავლის მხარსა ფრიდონის გზისასა,
მართ გააგონა, რაც ოდენ შეეძლო ძალსა თქმისასა:
აღმოსავლეთკენ წადიო, პირსა იარე ზღვისასა,
თუ ნახო, ჩემი უამბე, გკითხავს ამბავსა ძმისასა“.

მართლაც აღმოსავლეთისკენაა ფრიდონის – იბერიელთა ქვეყანა რუსეთიდან. რუსეთში აქვს გაუსაძლისი მდგომარეობა ებრაელობს – ტარიელს. „თუ ნახო ჩემი უამბეო“. ანუ ცოდნა,

ბიბლიის განათლება შეიტანეო. ამას აკეთებდნენ ქართველნი მცოდნენი დღენიადაგ და ბოლოს ეს დიდებულად განახორციელა ზეიად გამსახურდიამ.

## ძმების დაშორება ქართველთა გაუსაძლისი მდგომარეობა. ახლა როსტევანის შიში.

ბოლოს ასე ეყრებიან ერთმანეთს:

„ცისკრად ადგეს გასაყრელად, ერთმანეთსა მოეხვივნეს;
მაშინ მათგან ნაუბარნი, დადნეს, ეინცა მოისმინეს;
თვალთათ, ვითა წყაროს თვალი; ცრემლი ველთა მოადინეს.
დიდხან დგანან შეჭვდილნი, მკერდი მკერდსა შეარკინეს.

„გაიყარნეს ტირილით და პირსა ხოკით, თმათა გლეჯით.
ერთი აღმა, ერთი ჩაღმა, უგზოდ მიელენ შამბთა ეჯით;
ვირე უჩნდა ერთმანერთი, იმახდიან პირსა ბღნეჯით;
იგი ნახნეს დაღრეჯილნი, მზე დაიღრეჯს მისით ღრეჯით".

„ცრემლი ველთა მოადინეს", მაღლი დანერგეს ურთიერთობაში და ეს ასეცაა. როცა ებრაელები საქართველოში იყვნენ, ისინი სხვებივით მიწას არ დაპატრონებიან და როგორც საკუთარ სამშობლოს, ყოველთვის ერთგულად ემსახურებოდნენ საქართველოს.

ამ კუპლეტში სიმბოლურად უნდა ვიგულისხმოთ ებრაელთა და ქართველთა გაყრა, არა მარტო რუსეთში არამედ ამ ეპოქაში. იყო პერიოდი როცა ებრაელები საქართველოდან ისევ ისრაელში წავიდნენ. მე—18 საუკუნიდან დღევანდლამდე სწორედ ასეთი ტირილით, ძმური სიყვარულით შორდებოდნენ ისინი ერთმანეთს. არც ერთ ქვეყანაში არ იციან ასეთი სიყვარული და ამიტომაც ურთიერთდაცილებისას სხვაგან არ იყო ასეთი დიდი გულის ტკივილი.

იწყება ბოროტების დიდი შემოტევა საქართველოზე და მთელ იბერიულ მოდგმაზე კავკასიაში, სამი იმპერიული მისწრაფების ქვეყნების: რუსეთის, ირანის და თურქეთის მხრიდან. იუდეას ანალოგიით, აქაც მეორდება მორწმუნეთა დევნა, იდევნება, პირველ რიგში, ქართული ენა — ქართველთა მონოთეიზმის, ღმერთის, მოყვასის, სიყვარულის საფუძველთა საფუძველი. როგორც იცით, ჯერ ამისათვის გამოგვაცალეს ქართული ეკონომიკის, ზნეობის საფუძველი — ქართული ცხოვრების წესი. შემოიტანეს და თითქმის მიგვაჩვიეს უსულგულო, ერთის მიერ ათასების მიწების მითვისების წესს — კაპიტალიზმს. ამან ვერ გაჭრა — მიწების თანაბარი დაყოფა, თანასწორუფლებიანობა ქართველთა მოთხოვნილება იყო — ეს მას ენაში აქვს: თანა—ბარი, თანაბრად უნდა ჰქონდეს მიწა, ბარი, ეს მისი მცნებაა. ასე დაგვი—ბარა უფალმა. ბარვა მიწათმოქმედება ასე იქმნების. ამიტომ გამოიგონეს უღმერთოთა ეპოქა, რათა ენასთან ერთად რწმენაც დაგვეკარგა. ამანაც რომ ვერ გაჭრა, გაცოფებულმა ბოროტმა გეოპოლიტიკამ არნახული შიმშილი და სიდუხჭირე დააწია საქართველოს. დღეს უჭირს ქართველს საქართველოში და აქედან გამომდინარე, ქართველ ებრაელსაც, ანუ დღევანდელ დღეს არც ერთი ქართველი არ დარჩა სამაჩაბლოში — აფხაზეთში და ასევე არც ერთი ქართველი ებრაელი არ დარჩა იქ. გარბიან ქართველნი სრულიად საქართველოდან.

ტარიელი კი ბრუნდება ამ პერიოდში ისევ ისრაელში, მაგრამ ეს ის დაბრუნება არ არის. ჯერ ისრაელის სახელმწიფოა აღსადგენი. ტარიელი სრულყოფილად მაშინ დაბრუნდება, თუ იგი შექმნის ისეთი ცხოვრების წესს, რომ ექნება ზეციური წყალობა და შეხინა დაბრუნდება ისრაელში. ეს კი ქართველმა, სიკეთის ტრადიციულმა მედიატორმა უნდა გააკეთოს. მან ყველა ხალხი და რელიგიის წარმომადგენელნი ერთად უნდა დასვას.

ეს იცის ბოროტებამ და ამიტომ მძიმე დღეები უდგას საქართველოს — სიკეთეს. ბოროტება მას საკუთარ სამშობლოში ებრძვის და იძულებულია ავთანდილი გაექცეს გაჭირვებას. მრავალი ქართველი და ქართველი ებრაელი გაიქცა საკუთარი სამშობლოდან. საით გაიქცნენ? „ერთი აღმა, ერთი ჩაღმა, უგზო მიელენ შამბთა ეჯით?!". გადმოგვცემს რუსთაველი.

სხვათა შორის, იგივე სცენარი, რაც ადრე იყო ისრაელში, დღესაც მეორდება, ოღონდ ბევრად უფრო დიდი მასშტაბებით. ნახევარზე მეტი ქართველი გაიქცა საკუთარი სამკვიდროდან.

საქართველოს ხსნა კი ერთიანი კავკასიური სახლის შექმნაში არის, ძმურ კავშირში მოძმე იბერიულ–მუსულმანურ მოსახლეობასთან და ამიტომაც მიდის ავთანდილი ჯერ ფრიდონთან.

ეს დიდი გზაა. ამიტომ ამ პერიოდში აღწერილია ავთანდილის – საქართველოს გაუსაძლისი გაჭირვება, ის გაჭირვება, რაც იწინასწარმეტყველა როსტევანმა, თუ საქართველო აშკარად, ყველას დასანახად დაუდგებოდა გვერდში ებრაელობას – ტარიელს, დაადგებოდა სიკვდილის გზას. ბოროტება დაუწყებდა ღია ბრძოლას. ჩვენ ვიცით ეკატერინეს ლოზუნგი: – „ქართველს სულიერად რუსად გარდავქმნითო". მაგრამ სანამ ენა, მისი სულია ქართველთა მარადიული კონსტიტუცია, იგი სულიერად არ გადაგვარდება. ამიტომ ქართველთა ფიზიკური განადგურების მეშვეობით დაუწყეს ამ ენას ბრძოლა. საქართველოს ეს გაჭირვება აქვს აღწერილი რუსთაველს, როცა ებრაელობა გადის საქართველოდან. ეს გაჭირვება ცოტა უფრო ადრე რომ არ გამოაშკარავებულიყო, ამიტომ დაარქვა მან საქართველოს არაბეთი და ისრაელს – ინდოეთი. რუსთაველს ღვთის იმედი აქვს და გადასვეწილ ავთანდილს – ქართველებს ასე ამხნევებს:

„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა მზე გჭირსა!
ყოველი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუსერი სადით ძირსა?!
მაგრა ღმერთი არ გასწირავს, კაცსა, შენგან განაწირსა".

შემდგომი სტროფები მართლაც საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას აღწერს:

„ავთანდილ მისი გაყრილი ტირს, მისწვთომია ხმა ცამდის,
იტყვის, თუ: „ღვარი სისხლისა კვლავცა მდენია, კვლავცა მდის;
აწ გარე გაყრა ძნელია, ვით მაშინ, შეყრა და–ც–ამდის".
კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის".

„ველს მაშინ მხეცნი ძღებოდეს სისხლითა მუნ ნადირითა;
ვერ დაივსებდა სახმილსა, იწვის ცეცხლითა ხშირითა;
კვლა თინათინის გონება ავსებს უფრორე ჭირითა;
ბაცეთათ ვარდსა ანათობს ბროლი ძოწისა ძირითა.

ვარდი ჰკნებოდა, ღერებოდა, ალვისა შტო ირხეოდა;
ბროლი და ლალი გათლილი ლაჟვარდად გარდიქცეოდა;
გამაგრებოდა სიკვდილსა, ამისთვის არ უმხნეოდა,
იტყვის, თუ: „ბნელი რას მიკვირს, რათგან დაგაგდე, მზეო, და–!"

ამ სტროფებში საქართველოს დღევანდელი მდგომარეობაა გადმოცემული. სისხლი ადრეც მიდენია, საქართველოს რომ ვეყრებოდი, მაგრამ ახლა უფრო ძნელიაო. მეორე სტროფის პირველი სტრიქონი გვეუბნება, რომ ქართველი ხალხის გაჭირვებით მტერნი, ანუ „ველს მაშინ მხეცნი", იმპერიული სახელმწიფოები „ძღებოდეს სისხლითა მუნ ნადირითა" და ასე ძლიერდებიან, მდიდრდებიანო. დღეს ხომ ყველაფერი გაუყიდეს საქართველოს და უცხოელები დაეპატრონნენ. მილიარდობით გატანილი ქართველთა ქონება სხვა ქვეყანათა ეკონომიკას ამტკიცებს. „იწვის ცეცხლითა", ანუ ცეცხლ სასროლი იარაღით ხშირად ხოცავენ ქართველებს. დღეს ყველაფერი კეთდება, რომ ქართველი ერი მოსცილდეს თავის გამრავლების წყაროს – მიწას, აღარ იყოს ქართული სულიერება, ენის ხსენება. იქცეს მიწები ერთეული მილიარდერების საკუთრებად, ან არაქართველები ჩაასახლონ იქ. მთელი სამყაროს ისტორია არის ბოროტების ბრძოლა სიკეთის, იბერიული ცხოვრების წესის, შემოქმედის, მიწათმოქმედის – გლეხის წინააღმდეგ. დღეს მათ მოაღწიეს ამ სიკეთის ციტადელში, მიწათმოქმედთა ქვეყანაში და დიდია ძალისხმევა ბოროტებისა, რომ ამ ღვთით კურთხეულ ქვეყანაში ერი შიმშილით სიკვდილის ზღვარზე მიიყვანოს.

საკუთარ მიწაზე ბრძოლა აქვს გამოცხადებული ქართველს. ყველაფერი კეთდება, რომ მან გაყიდოს რაც გააჩნია, გადაგვარდეს ქართველთა სულიერი კულტურა, ენა, ქართველი ქალები, დედები. ყველა მასობრივი ინფორმაციის საშუალება მუშაობს იმაზე, რომ ერს შეუქმნას არასრულფასოვნების კომპლექსი, დააპირისპიროს ერთმანეთს რეგიონები შემოიტანოს უცხო-

თა სექსუალური აღვირახსნილობა, მოწამლული საკვები, ნარკომანია, დააკარგვინოს ბავშვებს ბავშვობა, ისინი ადრეულ ასაკში აქციონ მათხოვრებად, ნარკომანებად, მეძავებად. ამისთვის მუშაობს ინტელიგენცია პრესაში, ტელევიზიაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინიც შიმშილობას შეეწირებიან. რაც ამ 10 წელიწადში ხელისუფლებამ მოუტანა ქართველ ერს, რომ შევაჯამოთ, მტერთა მიერ ჩვენი ერის მიმართ ჩადენილი ბოროტება ვერ გადაწონის.

ჩვენ ვიცით, რომ ქართველი მათხოვრობაში ვერ მრავლდება. იგი მრავლდება მაშინ, როცა სიუხვეა და გასცემს. ამიტომ ამ პერიოდში ერი განახევრდა, დაიცალა სოფლები, რეგიონები, ორმილიონამდე ქართველი თვალსა და ხელს შუა გაქრა და თუ ასე გაგრძელდა, ის ერთადერთი ერი, რომლის გენეტიკა, სიკეთე, სიყვარულია, აღარ იქნება.

## ისრაელის ისტორია საქართველოს მიწაზე მეორდება

ამგვარად, მეორდება ისრაელის ისტორია. საქართველო იმართება ინტელიგენციის ხელშეწყობით, იმ ხელისუფლებით, რომელიც უცხოთა ნებას ასრულებს, ვისაც ეს ქვეყანა უქართველოდ და საკუთარი გამდიდრების წყაროდ უნდა. მე მინდა შევახსენო ამ ურწმუნოებს, ან ამ უვიცებს, კაცთა მოდგმის მტრებს, რომ ქართულ გენეტიკაში ენა მისი სულია და ამიტომაც სიყვარული ამოუძირკვავია. იგი უფლის მიერაა დანერგილი. ამიტომ ჩვენი ღრმა რწმენით, ენა ქართული, ქართველობა, სიყვარული არ გადაშენდება. გადაშენება, ოღონდ სულიერი, ელის ყველა იმას, ვინც ბოროტების სამსახურშია.

უნდა იცოდეს ყველამ, ისინი, ვინც უცხოეთიდან ფინანსდება ყველა სამშობლოს ჰყიდის – სექტა, პარტია, პრესა, სასელმწიფო იმ სატანების სამსახურშია ვინც უმწეობას, დაპირისპირებას ნერგავს.

საქართველო შეიქმნა ერთი ოჯახის მიერ სამართავ ქვეყნად, რომლის დასაყრდენი მისი ნათესავი ოჯახები და სასელმწიფო სადამსჯელო ორგანოებია. ამ უკანასკნელთ დროებით გადმოუგდეს რაღაც კაპიკებს, რომ ერის გამათხოვრებისათვის იღვაწონ. პარლამენტმა მიიღო ისეთი კანონები და კონსტიტუცია, რომ დაცული იყოს ეს ოჯახები, შერჩეს ნაძარცვი – ქვეყანას, საკუთარ ხალხს რომ წაგლიჯეს, და მოუწყეს გენოციდი. ერთეულებმა უნდა ჩაიჯიბონ ქვეყნის სახელით აღებული ვალები, მიითვისონ ერის სიმდიდრე.

ჩვენ არ გვსურს მათი სულიერი გადაშენება. ჩვენი ვალია აღდგეს ისეთი ცხოვრების წესი, სადაც ყველა ადამიანი საქართველოს საქმეს გააკეთებს და ცოდვილობიდან წმინდანად გადაიქცევა. არადა ახლოვდება განკითხვის დღე.

ამგვარად, თინათინის მიერ დაკისრებული მისია ატანინებს ქართველს ამ გაჭირვებას. მესამე სტროფის პირველი სტრიქონი გვიჩვენებს, თუ როგორ მიემალნენ ბოროტნი ქართულ სოფლის მეურნეობას, მაგრამ უმაგრდებიან ქართველნი სიკვდილს, რადგან მაინც აქვთ ბარაქა. მათი მადლი „ბროლი და ლალი გათლილი ლაჟვარდად გარდიქცეოდა". პატრონობს მამაზეციერი, მღვდრობითი არსი – თინათინი საქართველოს. ეს ხილულად ჩანს. ამისათვის რამდენიმე უდიდესი სასწაული უკვე მოხდა საქართველოში.

## უფალი როგორც ეგვიპტელებს ისე სჯის მთელს მსოფლიოს!
## ჩვენ და ისრაელს კი გვიცავს

დღეს სრულდება წინასწარმეტყველთა წინასწარმეტყველებანი. სიკეთის ციტადელის – საქართველოს იბერიული მოდგმის გასაქრობად მთელი მსოფლიო იღწვის, მაგრამ უფალი რომ ჩვენთან არის, ეს ხილულად ჩანს. გავიხსენოთ ეზეკიელი, 38 (1) „და იტყვი შენ: აღვლკები დაუცველი ქვეყნის წინააღმდეგ, წავალ დასამწყნარებლად და დასაცავად აქ მცხოვრებთა, არა აქვთ მათ არც კედლები, არც სიმაგრეები, არც კარები". ხსნის რამბამი: წავალ დასაწყნარებლად და შევხვდავ რისი იმედი აქვთ?! და მართლაც, იმ პერიოდში, როდესაც დაიწყო საქართველოს უბედურება – საზღვრების გახსნა – ეროვნული სიმდიდრის გადინება და სხვა, 1992 წლის აღდგომის პირველ დღეს, შუაღამისას, სხვენზე გამოსულმა ქართველმა ებრაელმა ნახა სასწაული: სიონის ეკლესიის ე.ი. ძველი თბილისის მიდამოებში, მოწმენდილ ცაზე, ზეციდან მოევლინა და საქართველოს დასცქეროდა დამაიმედებელი, კეთილი, სათნო, გასხივოსნებული მზერით, წელამდე თეთრ წვერა, ადამიანის გამოსახულება. ტანთ ეცვა გრძელი, თეთრი ანაფორა. მან გააღვიძა მეუღლე, მეზობლები – ორი ქართველი, მათ კიდევ სხვები. რამდენიმე

კაცმა იხილა ეს სასწაული, რომელიც დაახლოებით დილის 4–5 საათამდე გაგრძელდა. ჩვენ დღეს უიმედოდ მყოფებმა ეს უნდა აღვიქვათ დიდ იმედად. უნდა ვილოცოთ და ვიბრძოლოთ თავგანწირვით, უფლის მცნებების დასაცავად, რადგან ჩვენთან იყო ზეციდან მოვლენილი ღვთიური გამოსახულება. მან არა მარტო მოგვიტანა კეთილი, იმედის მომცემი, გასხივოსნებული მზერა, არამედ ყველაფრით გვიფარავს კიდეც იმ გაბოროტებულ ე.წ. ქართველთაგან, ვინც ასე წირავს საკუთარ ერს — შიმშილით და სიცივით. უფალს არ სურს მათი დასჯა. ისინიც მისი შვილებია და გვიგზავნის რამდენიმე სასწაულს, რათა სანამ დროა გონს მოეგონ. დღეს ეს სასწაულები გამოიხატება, პირველ რიგში, ამინდის რადიკალური შეცვლით, სურსათის სიუხვით და მარგებლობით. ამგვარად, სასწაულები ხდება — მხსნელად მათთვის, ვინც უსამართლოდ ისჯება და დასასჯელად მათთვის, ვინც ჩადის ბოროტებას, რათა მოეგონ გონს. ჩამოვთვალოთ ისინი: ჩვენ ყველა მოწმენი ვართ, როგორი სტიქიური კატასტროფებია, რა მოწამლული, ყოვლად უგემური საკვებია დასავლეთის იმ ქვეყნებში, ვინც საქართველოსთვის ბოროტებას სთესავს, რამდენი ხალხი იღუპება და ისჯება იქ. მარტო ამერიკაში დაღუპულთა რიცხვი მხოლოდ ჟანგბადის უკმარისობის გამო წელიწადში 100 ათასს სცილდება.

მეორე, უფლის უდიდესი სასწაულია საქართველოში ტრადიციული ამინდის შეცვლა, რათა არ გადაშენდეს სიკეთის ციტადელი. უკვე მერამდენე წელიწადია მოსავლისათვის აუცილებელი ტრადიციული სიცივე, თოვლიანობა, წვიმები, რომელიც ნოემბერ–იანვარში გვქონდა, ზამთრის მიწურულს და გაზაფხულის პირსაა, როცა დიდია დღის სინათლე და მზის სითბო. უფალი იფარავს თავის ერს, ამ შემთხვევაში, სიცივით სიკვდილისაგან, უშუქობის და უსახსრობის გამო.

მესამე სასწაული კი შიმშილით სიკვდილისაგან დაცვაა. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალურად არ მუშავდება მიწები, რათა ერს მოესპოს გამრავლების წყარო, ფანტასტიკურად გაიზარდა მოსავალი, მარცვლეულის, ციტრუსების, ხილის, ბოსტნეულის სახით. გაზაფხულზე გაიზარდა არა მარტო ნალექიანობა თბილ დღეთა რაოდენობაც. ამან გაზარდა მოსავლიანობაც. როგორც ადგილობრივ მცხოვრებთა დაკვირვებები მოწმობენ, მუხრანის ველზე პომიდორის მოყვანის ხანგრძლივობა 40 დღით გაიზარდა. შედეგად დაახლოებით 30 პროცენტით გაიზარდა მოსავლიანობა.აი ასე გვიცავს უფალი. 1999 წელს მოწეული ყურძნის 5%–იც არ ჩაიბარა ხელისუფლებამ. იგი ცდილობს დაღუპოს ყოველივე, ხოლო ჩვენ ვიკვებოთ შემოტანილი მოწამლული საკვებით. საკვირველია, — ქვეყანას, რომელსაც შეუძლია მთელი ევროპა კვებოს უნიკალური მარგებლობის სურსათით, ხელოვნურად აშიმშილებენ და წამლავენ. კომპოტები და წყლებიც კი რუსეთიდან შემოდის. ეს ხომ ვანდალიზმია. ხალხის დღეგრძელობისთვის ბუნებრივად მოცემული უკვდავების სასმელ–საჭმელი გადაღვარო და საწამლავით კვებო, როდემდის? საჭიროა ამ სასწაულის დანახვა. ეს სასწაული დიდი ხანია ხდება.

ჩვენ ვიცით ბიბლიიდან, რომ მარგებელი საჭმელი და სიუხვე იქ არის, სადაც ხალხი მცნებებს იცავს. სიყვარული არ ქრება და ამიტომაც ჩვენზე უგემრიელეს, მარგებელ სურსათს, წყლებს, ვერსად იგემებს კაცი.

დღეს ხდება კიდევ რამდენიმე ხილული სასწაული. ჩვენ ვიცით, რომ ეკლესიებში ძე ღვთისა და ღვთისმშობლის ხატების გამოსახულებები მიხაზე გადავიდნენ, რამდენიმე წმინდა ხატიდან გადმოვენთხევა მირონი, ეს მათ წუხილს უნდა ნიშნავთდეს იმ ულმერთობის გამო, ხელისუფლება რომ სჩადის. ამგვარად, დაახლოებით ხუთამდე ღვთის სასწაული უკვე მოხდა. (დღე–სასწაული სწორედ ამას ჰქვია, როცა უფლის სასწაული ხდება და არა ის დღესასწაული, ხელისუფლება რომ აწესებს). ამ დღესასწაულებს, არა მარტო საქართველოს ხელისუფლების მიერ, არამედ მთელი მსოფლიოს ხელისუფლებისგან უნდა დანახვა. გავიხსენოთ ბიბლია: უფალმა ხუთჯერ დასაჯა ეგვიპტელები, რათა ფარაონი მიმხვდარიყო დანაშაულს და დაეხსნათ ებრაელები მონობიდან, გაეშვათ ისინი მოსეს წინამძღოლობით კურთხეულ მიწაზე. მაშინაც ასეთი მსხვერპლი იყო ეგვიპტეში როგორც ახლა აქვს მსოფლიოს ეკოლოგიური კატასტროფების სახით. ეგვიპტის მმართველი ვერ ხვდებოდა თუ რისთვის ისჯებოდა იგი. განთავისუფლებას პირდებოდა მოსეს და არ ასრულებდა დანაპირებს, მსხვერპლი მსხვერპლს მოჰყვებოდა და ისჯებოდა ეგვიპტე. მისი გული კი არ ლბებოდა. როგორც დღეს ვერ ლბება ვერც შევარდნაძის და მით უმეტეს, ვერც მსოფლიოს მბრძანებელთა გულები; და დღეს როგორც მაშინ, ხუთი სასწაულის მერე თვითონ უფალმა გაუმკაცრა ფარაონს და ხელისუფალთ გულები, რათა დაესაჯა ისინი. იგივე მეორდება. ყოველივეს უფრო დაწვრილებით დასასრულს განვმარტავთ.

უფალმა სასჯელი მოუვლინა მათ რამდენიმეჯერ, შემდეგ კი სრულიად მოსპო და ზღვაში ჩაახრჩო არა ეგვიპტელი ხალხი, არამედ ფარაონის ის ერთგულნი, ვინც ებრაელებს გამოედევნენ. როდესაც ანგელოზებმა უფლის განდიდების სიმღერა დაიწყეს, მან აკრძალა ეს, რადგან ქვეყნიერების მამა ამ პერიოდში დამწუხრებული იყო, გლოვობდა საკუთარ შვილებს; დროზეა დასანახი ეს ყველაფერი, განსაკუთრებით წინასწარმეტყველებებს უნდა ჩაუქირება.

ამგვარად, ახდა ერთი წინასწარმეტყველება, მალე ახდება მეორე წინასწარმეტყველება (დანიელი 11:45): „და განალაგებს თავის მდიდრულ სასახლეებიდან კარვებს, ზღვასა და ლამაზ, ნათელ მთებს შორის, მაგრამ მოვა მისი აღსასრულის დღე. უკვე აღარავინ დაეხმარება მას". სადაა ზღვა და უკეთესი, ლამაზი მთები, თუ არა საქართველოში. სად უნდა წაიღონ ეს ფული მილიარდერებმა? რატომ იმასინჯებენ სულს? ისინი ხომ ქართველნიც აღარ არიან, რადგან ქართველობა გაცვეთაა, გაყოფაა, უფლის, მოყვასის, ქალის სიყვარულია, მათ კი ყველაფერი დაივიწყეს.

## გამოცდა ტრადიციული ერთობით სიყვარულით უნდა ჩავაბაროთ, როგორც ვეჩვევია: ლოცვისას, სიმღერისას, ცეკვისას, შრომის დროს, ჭირში და ლხინში

დღეს ყველა ჩვენგანი გადის გამოცდას, ეს არის გამორჩევის პერიოდი. მათ, ვინც გადაურჩა 200 წლოვანი ბატონობის პერიოდში, ჩადგა იმპერიის სამსახურში, უნდა აღიდგინონ თავის ზნეობა. ვინც გაუძლებს ამ გაჭირვებას, განსაცდელს, საკუთარი კეთილდღეობისათვის არ გაწირავს ერს, მისი შთამომავლობა იქნება დღეგრძელი და დაიმკვიდრებს სამარადჟამო სასუფეველს.

მაგრამ ამისათვის, გაძლების გარდა, საჭიროა სიცოცხლისათვის ყველა ქართველის გარჯა საკუთარი „მეს" თავგანწირვის ხარჯზე.

ნაწარმოებში ავთანდილი ევედრება მნათობებს, რომ უშუამდგომლონ თინათინთან, ზეციურ არსთან და დაეხმარონ გაჭირვებულ საქართველოს:

„მზესა ეტყვის: „მზეო, გიტყვი თინათინის დაწვეთა დარად,
შენ მას ჰგავ და იგი შენ გგავს, თქვენ ანათობთ მთალ და ბარად;
ხელსა მალხენს ნახვა შენი, ამად გიჭვრეტ არ-დამცთარად,
მაგრა ჩემი რად დააგდეთ გული ცივად, გაუმთბარად?

„თუ ერთისა მოშორება მზისა ზამთრის დაგვამცივნებს,
მე, გლახ, ორნი დამიყრიან, გული ამად რად არ ივნებს?
მაგრამ კლდესა არა შესწონს, არაოდეს არ იმტკივნებს;
წყლულსა დანა ვერა ჰკურნებს, გაჰკვეთს ანუ გაამსივნებს".

მიმავალი ცასა შესტირს, ევედრების, ეტყვის მზესა:
„აჰა, მზეო, გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა,
ვინ მდაბალთა აამაღლებ, მეფობასა მისცემს, სვესა,
მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა!"

პირველ სტროფში აღწერილია 90–92 წლები, სანამ საქართველოში ზეციდან შეცვლიდნენ ამინდს. მაშინ საქართველოს თინათინის წყალობაც აკლდა, რადგან კომუნისტებმა ურწმუნო საზოგადოება შექმნეს. მეორე სტროფში „ორნი დამიყრიან", პირველი არის მეხინა – თინათინი, რომელიც სითბოს, მზეს უგზავნის საქართველოს, მეორე კი ენაა – სამშობლოა. ასეთ დღეშია – დევნილობაშია დღეს ქართველობა. იგი ევედრება მნათობთ, რათა უშუამდგომლონ ზეციურ არსთან, საქართველოს მუდმივ მფარველთან, აღადგინოს ქართული ცხოვრების წესი. ოტარიდს და მთვარეს შესთხოვს:

"ოტარიდო, შენგან კიდე არვის მიგავს საქმე სხვასა:
მზე მაბრუნვებს, არ გამიშვებს, შემიყრის და მიმცემს წვასა:
დაჯე წერად ჭირთა ჩემთა, მელნად მოგცემ ცრემლთა ტბასა,
კალმად გიკვეთ გაწლობილსა ტანსა, წერილსა ვითა თმასა.

„მო, მთვარეო, შემიბრალე, ვილევი და შენებრ ემჭლდები,
მზე გამაესებს, მზევე დამლევს, ზოგჯერ ვსხდები, ზოგჯერ ეწელდები;
მას უამბენ სჯანი ჩემნი, რა მჭირს ანუ რაგვარ ებნდები,
მიდი, უთხარ, ნუ გამწირავს, მისი ვარ და მისთვის ვკვდები".

ბოლოს ასე ამთავრებს მნათობებთან ვედრებას. ასე უთანაგრძნობდნენ საქართველოს მნათობნი:

„აპა, მმოწმობენ ვარსკვლავნი, შეიდნივე მემოწმებიან:
მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან,
მთვარე, ასპიროზ, მარიხი, მოვლენ და მოწმად მყვებიან,
მას გააგონნენ, რანიცა, ცეცხლნი უმრეტნი მდებიან".

„თუ დავრჩეო, ესე მიჯობს, – სიცოცხლისა იტყვის თუსა, –
ნუთუ მომხედეს ნახვა მზისა, ნუ ვიმახი მიწყივ უსა".
მიიმღერის ხმასა ტკბილსა, არ დასწყვეტლის ცრემლთა რუსა,
მისსა ხმასა თანა ხმაცა ბულბულისა პყვანდის ბუსა.

რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან,
მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან,
ისმენდიან, გაპკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან;
იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან".

ბოლო სტროფი იმაზე მიგვანიშნებს, რომ საქართველო გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფია. მაგრამ მის სიმღერას, სასიამოვნო პანგებს – მხეცები, მსოფლიოს დამპყრობელი ქვეყნები, აღტაცებით უსმენენ. ისე მოსწონთ, რომ თვითონაც ცდილობენ მათ ხმაზე იმღერონ. ხომ მღერიან კიდეც ქართულად იაპონელები, ამერიკელები, სკანდინაველები და სხვები. ეს სიმღერის პანგები ენაში ჩაქსოვილი ცხოვრების წესი–გენეტიკაა, ზნეობაა: ამიტომაცაა, რომ მაინც აქვს ბარაქა საქართველოს. ისინი ხომ ქართველთა ქცევას, ლოცვა–კურთხევას გადმოგვცემენ.

რაც არ უნდა ებრძოლონ ენას, მასში ისეთი სულიერებაა ჩადებული ღვთის მიერ და ამიტომაც ისეთი მუქი და ძალა აქვს, რომ ვერ ამოკვეთენ, რადგან ყველაზე კარგად, პარმონიულად, შინაარსიანად ამ ენაზე მღერიან. ყველაზე ლამაზად ლექსი ამ ენაზე იწერება და ამ ენით იოქმება. ყველაზე ლამაზად, შინაარსიანად ამ ენით მოსაუბრე ხალხი ცეკვავს. მათი ყველანაირი ქცევა ისეა დასვეწილი, ისეთი მადლი აქვს, რომ ყველაზე მარცხებელი მოსავალი მოყავთ, ყველაზე პარმონიულად მიჰყავთ მაგიდის მსვლელობა. ჩვენი ყოფა, ანუ ერთიერთობაც ყველაზე ჰარმონიულია, რადგან ამ ენაზე მოსაუბრე კაცს სიყვარული არ უნელდება.

შეიძლება ყველანაირი უზნეობა დანერგო ცხოვრების წესში, მაგრამ ყველაფერი ქრება და სიყვარული იმარჯვებს. ეს არის ჩვენი ენის და ერის სულის გენის ძალა. საერთოდ ენა ქართული სიმ–ღ–ერ–აა, ანუ სიმებია ღ–მერთის მიერ, ეს ამ ერისთვის ღვთით ბოძებულია და სიმღერაა საქართველოსი.

უკვირთ უცხოელთ, რას ტირიან, რას მისტირიან ქართველები ამ სიმღერით. დიახ, იქაც ტირიან – ეს იმიტომ, რომ შესინის მადლი აქვთ. სხვაგან არა აქვთ ეს მადლი და არც ტირილი იციან – გული გაქვავებული აქვთ და არც ბარაქა აქვთ. ხედავენ რომ ეს არის მაღალი სულის სიმღერა და მღერიან ისინიც. ამიტომ ამით მადლის კეთებას იწყებენ. ამ სიმღერების მომღერალნი ხომ მხოლოდ მადლის მკეთებელნი არიან. ასე ადვილად ამარცხებს ენა ბოროტებს და ამიტომაც ფარულად ებრძვიან მას.

## აეთანდილთა მიერ უღმერთო იმპერიის დამარცხება. რელიგიათა, და-მოუკიდებელ იბერთა სახელმწიფოს აღდგენა.

კი გადაწყვეტს ავთანდილი, რომ სიკეთის გამარჯვებისათვის სამივე რელიგიის შეერთება საჭირო, მაგრამ როგორ მიაღწიოს ამას?

საბჭოთა კავშირში სამოცდაათი წელიწადი დუღდა დატყვევებული ეროვნული სული. შფოთავდა და ბობოქრობდა იმისათვის, რომ ამოეხეთქა და მაშინვე ისევ ატყვევებდნენ ჯალათები. ბოლოს საქართველომ პირველმა გაწყვიტა მონობის ჯაჭვი. პირველმა იმიტომ, რომ სხვა ქვეყნები ბოროტებას ისედაც თავისი გზით მიჰყავდათ. ისინი არ ედარდებოდა. მთავარი იყო სიკეთის საფუძველი — საქართველო დაეტყვევებინა, მას უჭერდნენ მარწუხებს.

ბევრი ამბობს, იმპერია მაინც დაინგრეოდაო. არა და არა! თუ არა ქართული სულის ამბოხი გადმოსული ავთანდილთა: მერაბის, ზვიადის და სხვათა სულში, თავისით არაფერი არ მოვიდოდა. ბოროტებისთვის მთავარია სიკეთის — საქართველოს დატყვევება. თუ ერთი მეთოდი არ ამართლებს, მეორეს მიმართავს, გაწყვიტეს კომუნისტური ჯაჭვები და მეორე ბევრად უფრო ულმობელი, ისევ ძველი, არანაკლებ ულმერთო, კაპიტალისტური მიმართულება უჭერს არტახებს საქართველოს.

ისმის კითხვა, თუ ეს უფრო ულმობელი იყო, რატომ მოიგონა ბოროტებამ კომუნისტური გზა? იმიტომ, რომ საქართველო აღწევდა რუსულ სულში, რუსულ იმპერიაში ქრისტიანული ძლიერების გამარჯვებას. განა ქართველი სულიერად იქცეოდა რუსად? რუსი იქცეოდა სულიერად ქართველად. იმასაც მიხვდნენ, რომ რელიგია კრავდა, აერთებდა ორ ძმას შემს და იაფეტს, ტარიელს და ავთანდილს, ერთ სულად ნოეს, აბრაამის, მოსეს, დავითის, ელიას სულად აქცევდა მას. და მოიგონეს ასეთი წესი ქართულ სულში — ღმერთის ამოძირკვისა.

გავიდა სამოცდაათი წელი და გაარღვია, დაამსხვრია საქართველომ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით ულმერთო კომუნისტთა იმპერია. იმპერია, რომელიც ჯერ ქართველმა კაცმა სტალინმა ნელ–ნელა შემოაბრუნა რელიგიისკენ, ისრაელს — ტარიელსაც, მან დაუდო საფუძველი, რომ საკუთარი სამშობლო აღედგინათ. დროებით საქართველოსაც აღუდგინა ეროვნული ეკონომიკა. გაიზიარა მან გეოპოლიტიკის მიმართულება, აჰყვა თამაშში, რათა ეხსნა იბერიული მოდგმა. მაგრამ გაუგეს და მოწამლეს. თუმცა შემდეგ საშინელი წლები გაიარა საქართველომ.

ყველამ უნდა გაიგოს! ყველამ უნდა იცოდეს! ულმერთო კომუნისტური ეპოქა ქართული სულის — სიკეთის ციტადელის გადასაგვარებლად უნდოდათ. ქართველთა ენითაუწერელი თვისება — სიყვარული — ღმერთის — მოყვასის, ქართული გენის ამოწყვეტა — გადაშენება, გადაგვარება, ყველა მეთოდით მიმდინარეობდა. სიყვარულის მრდა უფლისადმი, შესხინის, თორისა — ტარიელისა — ებრაელთა და ქართველთა უნდა გაეთიშათ. იციან ამას მოჰყავს მესია — ჰარმონია. უნდა გაეთიშათ კავკასიის იბერები. საქართველოც უნდა დაანაწილონ. ამიტომ პირველად საქართველომ დაამსხვრია ბოროტების იმპერია. დაამსხვრია და დაიწყო იბერიულმა მოდგმამ შეერთება თავის სისხლხორცთან, იბერიულ მუსულმანებთან. აი, ამას გადმოგვცემს ავთანდილის ფრიდონთან მისვლა:

„ყმა მტირალი სამოცდათ დღე ზღვისა პირსა მივა გზასა;
შორით ნახა, მენავენი მოდიოდეს შიგან ზღვასა;
მოიცადა, ჰკითხა: „ვინ ხართ, თქვენ ამისსა გნუკევ თქმასა,
ეს სამეფო ვისი არის, ან მორჩილებს ვისსა ხმასა?"

დღეში წელიწადი უნდა ვიგულისხმოთ და მართლაც, სამოცდაათი წელიწადი იყო ურწმუნო კომუნისტური ეპოქა. ეს აქვს ნაწინასწარმეტყველევი რუსთაველს. გავიხსენოთ ზ. გამსახურდია — ზღვა განასახიერებს ნეგატიურ სიღრმეებს, დაცემულ ყოფას, წარმავლობას, ქამიერებას. დიახაც, ულმერთო ეპოქა ქამიერია. ამიტომ ნახა მენავენი, ანუ ისევ იწყება ჩნეობის, მცნებების აღდგენის დრო და ეს მოახერხა ქართველმა — ავთანდილმა — ზვიად გამსახურდიამ. იგი ყმა მტირალია. ანუ რუსული ჩექმისგან გასანთავისუფლებლად მან მადლი მისცა სხვა ქვეყნებს. სწორედ მან 1990 წლის 30 მარტს ჩაატარა რეფერენდუმი სურს თუ არა საქართველოს მოსახლეობას დამოუკიდებლობა. 90%–ზე მეტმა დაუჭირა მხარი ამ აქტს. ამან უძლური გახადა იმპერია და გამსახურდიას ხელისუფლებამ 9 აპრილს მიიღო დამოუკიდებლობის აქტიც. ეს მაგალითი გახდა იმ დროინდელ საბჭოთა კავშირში შემავალი სხვა ქვეყნებისათვის. ამ მიმართულებით და გამსახურდიას კონსულტაციის საფუძველზე მიიღეს მათ დამოუკიდებლობა. დღეს ყველაფერს აკეთებს ეს ხელისუფლება რომ დაეკარგოთ დამოუკიდებლობა მაგრამ ვერაფერს ვერ ხდება. ამიტომ ზვიადის საქმე უკვდავია.

ამგვარად, ავთანდილი ანგრევს, ამარცხებს უზარმაზარ იმპერიას და კერპებს. 70 წელი ვერ ვერთდებოდით ჩვენ ძმებთან და ბოლოს ზეიად გამსახურდია ჩავიდა იქ:

მათ მოახსენეს: „ტურფაო სახით და ანაგებითა,
გვეუცხოვე და გვექეთე, მით გეუბნებით ქებითა;
აქამდის ზღვარი თურქთაა, მოზღერეა ფრიდონ ზერებითა:
ჩვენცა ვისნი ვართ, გიამბობთ, თუ ჭერეტით არ დაებნდებითა.

ნურადინ ფრიდონ მეფეა ამა ქვეყნისა ჩვენისა,
მოყმე მხნე, უხვი, ძლიერი, ფიცხლად მომხლტომი ცხენისა;
ენება არავის არ ძალ—უც, მის მზისა ოდნად მშვენისა,
იგია ჩვენი პატრონი, მსგავსი ცით მუქთა მფენისა".

„გვეუცხოვე და გვექეთე". მათ იცნეს სიკეთე, მო—კეთე, რომელიც ეუცხოვათ რუსული იმპერიისგან ორასწლიანი ტანჯვის მერე. ეუცხოვათ მისი იბერიული სული. მეორე სტროფის ბოლო სტრიქონში ჩანს, რომ ფრიდონის სახეში გამოხატულია მუსულმანური რელიგია. ქისტი კავშირი თავის მოდგმასთან აღადგინა ზვიად გამსახურდიამ. დაუმეგობრდა მას მაშინვე ჩეჩენი და ინგუში მოსახლეობა. ჩამოდიოდნენ მათი ლიდერები საქართველოში. მაგრამ ეს შეერთების და სიყვარულის აღდგენის პროცესი რთული აღმოჩნდა.* ვიცით, ამის გამო მოკლეს ისინი, ამ შეერთების აქტიური ლიდერები: ზვიად გამსახურდია და ჯოხარ დუდაევი.

დღეს საქართველოში მეტად გაუსაძლისი მდგომარეობაა და უცხო ქვეყანათა ბოროტი ნება—სურვილით ვიმართებით. რუსთაველი წინასწარმეტყველურად გვამცნობს, რომ ეს შეერთება ჩვენ მოდგმასთან — იბერიელებთან და შემდეგ მთელ მუსულმანურ სამყაროსთან 10 წელი გაგრძელდება და 2002 წლიდან განმტკიცდება. ალბათ ამ პერიოდში საქართველო ისევ აღიდგენს რეალურ დამოუკიდებლობას, გაიმარჯვებენ ნამდვილი ეროვნული ძალები. ეს ჩანს შემდეგ დიალოგში:

ყმამან უთხრა: „ძმანო ჩვენო, კარგთა კაცთა გარდგვკიდე;
მე მეფესა თქვენსა ვეძებ, მასწავლეთ, თუ სით წავიდე,
რა ვიარო, ოდეს მივალ, ან გზასა აქვს რა სიდიდე?!"
მენავეთა უწინამძღვრეს, არ დაადგეს გზამდის კიდე.

მოახსენეს: „ესე გზაა მულღაზანზარს მიმავალი,
მუნ დაგხვდების მეფე ჩვენი, მშვილდ—ფიცხელი, მახვილ—ხრმალი;
აქადაღმა ათ დღე მიხვალ, ნაკვეთად სარო, ფერად ლალი;
ვა, რად დაგვწვენ, უცხომ უცხო რად მოგვიდევ ცეცხლებრ ალი!"

10 დღე, ანუ 10 წელი მიმდინარეობს შეერთების პროცესი. ეს ათწლოვანი პერიოდია აღწერილი შემდგომ, მათ შორის, ზ. გამსახურდიას შეხვედრა ჯ. დუდაევთან. მეორე სტროფის ბოლო სტრიქონი უცხომ უცხო, რომ დაწვა, ეს არის ზ. გამსახურდიასდროინდელი საქართველო. ჩვენთვის და მათთვის უცხო რუსეთმა რომ დაწვა, შემდეგ ეს ალი ჩეჩნეთსაც გადაედო. მართლაც ცეცხლივით გადაედო, რადგან ზ. გამსახურდიას ნაკარნახევი გზით ჩეჩნეთმა სრული დამოუკიდებლობისკენ დაიწყო სიარული და ამიტომაც მოედო ჩეჩნეთს ცეცხლის ალი. შემდეგ სტრიქონებში ეს ათწლოვანი დაახლოებაა გადმოცემული:

„ყმამან უთხრა: „მიკვირს, ძმანო, რად ხარ ჩემთვის გულ—მოკლულნი,
ანუ ეგრე ვით გეკვთნეს ზამთრის ვარდნი ფერ—ნაღულნი!
თქვენმცა მაშინ გენახენით, ლაღნი ვსხედით, არ საპყრულნი!
ჩვენნი მჭერეტნი დავაშვენეთ, ჩვენგან სხდიან მხიარულნი".

---

*სიმბოლურია ისიც, რომ საქართველოს უმაღლეს საბჭოს მიერ მიღებული დამოუკიდებლობა 1990 წელს მხოლოდ იბერიელებს გაესარდათო და მხოლოდ მათმა წარმომადგენელმა ქართველმა ებრაელმა და ჩეჩნეთ—ინგუშეთის წარმომადგენელმა მიგვილოცა ეს დღე, პარლამენტში საჯარო გამოსვლით.

აქ ავთანდილი, ანუ დევნილი ზ. გამსახურდიას ხელისუფლება ეუბნება, ნუ ხართ ჩემი, ანუ საქართველოს შეჭირვების გამო გულ—მოკლულნი. ადრე ჩვენ ისეთი ძლიერნი ვიყავით, რომ ჩვენ ვინც გვეჭვრეტდა ანუ ჩვენთან იყო, მათ მიიღეს იმდენი ცოდნა, შნეობა, რომ ისინიც ჩვენგან მხიარულნი იყვნენო.

შემდეგ არის აღწერილი ის მოწამებრივი გზა, საითკენაც მიდის საქართველო:

„იგი წავიდეს; დაბრუნდა ყმა გზასა თავის—წინასა,
ვისი ჰგავს ტანი საროსა და ვისი გული — რკინასა;
მიაცორვებს და მიუბნობს, მოსთქვამს მისსავე ლხინასა,
ნარგისნი ქუხან. ცრემლსა წვიმს, ჩარეცხს ბროლსა და მინასა".

„დაბრუნდა ყმა გზასა თავის—წინასა", პირველ სტრიქონში ცოტა წინა პერიოდია მოცემული, რამეთუ იყო შეხვედრა ჯერ დულაევთან და მერე ბრუნდება ამ წინა გზაზე გამსახურდია და მას, როგორც ვიცით, კლავენ. ჩემი აზრით ეს აქვს რუსთაველს აღწერილი წინასწარმეტყველურად აქ. მაგრამ მან გზა ნათლისა დაუტოვა თავის მოდგმას. ანუ საქართველო თავისი გზით მიდის. ეს გზა თინათინის გონის მიერ ნაკარნახევია, მისთვის ხილულია, როგორც მინა. ამიტომ ეს გზა წმინდაა. სიწმინდის, ცოდნის წინაშე კი ყველა ქედს იხრის, ემსახურებიან, ეყმებიან, რათა ცოდნა—ნათელი შეიძინონ, რაც ჩანს შემდგომ სტროფში:

„ვინცა გზას ნახნის უცხონი, მსახურებიდან, ჰყმობდიან,
მოეხვივნიან საჭვრეტლად, მას ზედა სტრფიალობდიან,
ებნელებოდის გაშვება, გაყრასა ძლივ დასთმობდიან,
გზის ყოლაუზი მისციან, ჰკითხის რა, უამბობდიან",

შემდეგ აღწერილია გმირი ჩვენი ხალხის ყოფა:

„მულღაზანზარს მიეახლა, ადრე დალევს გზასა გრძელსა;
მინდორს ნახა სპა ლაშქართა და ნადირთა ჰგვანდეს მსრეველსა.
ყოველგნით ალყა შემოეკრა, მოსდგომოდეს გარე ველსა,
ისრიან და იზახიან, მხეცსა სჭრიან ვითა მჭლესა.

კაცი ემთხვია: მას ჰკითხა, ამბავი მის ლაშქარისა,
უბრძანა: „ისი ვისია ხმა ზათქისა და ზარისა?"
მან უთხრა: „ფრიდონ ხელმწიფე, მეფე მულღაზანზარისა,
იგი ნადირობს, შეუკრავს ნაპირი ველ—მაშნარისა".

„მხეცთა სჭრიან ვითა მჭლესა", „იგი ნადირობს" ანუ მჭლეში და ნადირში იმპერიული სახელმწიფო რუსეთი უნდა ვიგულისხმოთ, აქვე წინასწარმეტყველურად აღწერილია დევნილი საქართველოს ხელისუფლების მისვლა ჯოხარ დუდაევთან:

### ავთანდილს შეაქეს განსწავლულობა ეოძმე იბერიულ მოდგმაში

„მათ ლაშქართავე წავიდა მით უსახოთა ქცევითა,
გამხიარულდა; შვენება, მის ყმისა ეთქვიმცა მე ვითა!
მისთა გამყრელთა დააზრობს, შემყრელთა დასწვავს მზე ვითა,
ნასვა მჭვრეტელთა ახელებს, ტანი ლერწამობს რხევითა.

მათ ლაშქართა ყოლბსა შუა ორბი სითმე გარდმოფრინდა;
ყმამან ცხენი შეუტია, გაამაყდა, არ შეშინდა,
შესტყორცა და ჩამოაგდო, დაეცა და სისხლი სდინდა,
გარდახდა და ფრთენი დასჭრნა, წყნარად შეჯდა, არ აქშინდა.

იგი რა ნახეს, მესროლნი, სროლასა მოემლებოდეს,
ალყა დაშალეს, მოვიდეს, მოეხვეოდეს, ბნდებოდეს,

იქით და აქათ უყლიდეს, ზოგნი უკანა პყვებოდეს,
ვერა ჰკადრებდეს: „ვინ ხარო“, ვერცა რას ეუბნებოდეს.

მინდორსა შიგან გორი დგა, ფრიდონ მას ზედა დგებოდა;
ღირსი მას თანა სროლასა ორმოცი კაცი ხლებოდა;
მუნ დაემართა ავთანდილ, მას თანა ყოლბი ჰყვებოდა.
ფრიდონს უკვირდა: „რა ქმნესო“, მისთა სპათათვის წყრებოდა“.

აქ აღწერილია ქართული მებრძოლი სული და ცოდნა, რომელსაც ადამიანი ზნეობისკენ მიჰყავს, რაც გაკვირვებას და აღტაცებას იწვევს. ამავე დროს, ეს სცენარი ავთანდილის ფრიდონთან შეხვედრისა ჰგავს ტარიელის როსტევანთან შეყრას. აქაც ჩადირობაა ფრიდონისა და ამით ამ სახელმწიფოს მცნებათა დაცვით ცხოვრების მცდელობა. მსგავსება კიდევ ისაა, რომ ქართველი ავთანდილი, ტარიელივით — ებრაელთა ერივით დევნილი აღმოჩნდა, ოღონდ ავთანდილი, ოპტიმისტია. აღუღაბებს სიკეთეს, რათა სძლიოს ბოროტებას. იგი აკვირვებს ხალხს თავისი ცოდნით, თუ როგორ სძლიოს ბოროტს. ეს ორზის ჩამოყვდებაში გამოიხატება. აქ არის იმის დამთხვევაც, რომ ავთანდილს ცოდნა გააქვს. აგრეთვე ის ისტორიული კანონზომიერება რომ ჩვენ ერთი მოდგმის ხალხი ვართ — ერთი ცხოვრების წესის მქონე. ამ იბერიული წესით უნდა ვძლიოთ ბოროტს.

ამავე დროს, იგი დევნილი ილეწის სხვა დევნილთა კეთილდღეობისთვის, რადგან იცის, რომ თუ გაიმარჯვებს ზნეობრიობა, მცნებების დაცვა, მაშინ საქართველოს — იბერიულ მოდგმას ეშველება. მაშინ შეიცვლება ბოროტთა გეოპოლიტიკა საქართველოს მიმართ. ამისათვის ტარიელმა — ისრაელმა ისრაელში უნდა გაიმარჯვოს. ებრაელთა ერს დღეს შეუძლია სწორი გეოპოლიტიკა აწარმოოს, აკუთვნოს საქართველოს თავის თავი, დააჩქაროს მესიის გამობრწყინება და იხსნას ყველა ქვეყანა ბოროტისაგან. ამიტომ, როცა მონას აგზავნის ფრიდონი, ავთანდილი ტარიელივით არ გაურბის მას. არ გაურბის, რადგან მათ შორის მედიატორი ტარიელი — ბიბლიის მადლია:

„ფრიდონ მონა გამოგზავნა: „წა, ნახენი ისი სპანი,
რა ქმნეს, ალყა რად დაშალეს, სად წადიან ვითა ბრმანი?“
მონა ფიცხლა მოეგება, ნახა სარო, მორჩი ტანი,
დადგა, თვალნი გაურეტდეს, დაავიწყდეს სიტყვის თქმანი.

ავთანდილ ცნა, თუ: „ისია, მოამბედ ჩემად რებული.
— წა, ჰკადრე შენსა პატრონსა ეს ჩემი დავედრებული:
ვარ უცხო ვინმე ყარიბი, საყოფთა მოშორებული,
ძმად-ფიცი ტარიელისი, თქვენს წინა მომგზავრებული“.

„მონა წავიდა ფრიდონის თხრობად ამბისა მისისად,
უთხრა: „მზე ვნახე მოსრული, ჩანს მანათობლად დღისისად;
ვაზრობ, იგიცა დამმაგდენ, თუ ბრძენთა ნახონ ისი სად;
„ვარ ძმაო ტარიელისი, მეყრად ფრიდონის მქისისად“.

მეორე სტროფი გვეუბნება, რომ საყოფ მიწას მოშორებულია ქართველი. ამიტომ, ფულით მართლაც ღარიბია საქართველო, მაგრამ ქართული ცხოვრების წესი ბიბლიის შიშლები ერის ძმადნაფიცია. ამიტომ გაიმიარა დღეს საქართველომ ტარიელის ხვედრი. მესია ტარიელი რომ მოევლინოს სამყაროს, მუსულმანებიც ილეწიან მცნებათა დაცვისკენ:

„რა „ტარიელ“ მოისმინა, ფრიდონს ჭირი უსუბუქდა,
თვალთა ცრემლნი გარდმოსცვივდეს, გული უფრო აუჩუქდა,
მონაქროლმან ვარდი დაზრა, წამწამთაგან ბუქი ბუქდა;
შეიყარნეს, ერთმანერთი მათგან იქო, არ გაუქდა“.

ყველა რელიგიის წარმომადგენელნი ელოდებიან მესიას. სამყაროში ამაზე ლამაზი ნატვრა არ არსებობს და მართლაც უდიდესია ფრიდონის სიამოვნება, როცა გამოჩნდა კაცი, რომელიც

მესიასთან წილნაყარია. რომელსაც აქეს სრულყოფილი ცოდნა თავისი წინაპრების „ძველი და ახალი აღთქმის" „ყორანის". მან სრულიად საქართველო კავკასია რუსთაველის ეპოქისკენ შემოატრიალა. ამიტომ მათი შეხვედრა შემდეგნაირად არის გადმოცემული:

მოეხვივნეს ერთმანერთსა, უცხოობით არ დარიდონ;
თვით უსახოდ ფრიდონს ყმა და მოეწონა ყმასა ფრიდონ;
რა მჭვრეტელთა იგი ნახონ, მზე მათთანა გააფლიდონ,
მომკალ, ბაზარს სხვა მათებრი ივაჭრონ რა ანუ ყიდონ".

იბერიული მოდგმის ხალხი ყოველთვის სცნობდა საქართველოს წინამძღოლად. ჯოხარ დუდაევსაც ზვიად გამსახურდია სრულიად კავკასიის წინამძღოლად სურდა — ისინი საქართველოს შენატროდნენ, მან ცნო მასში კაცი — რომელმაც შესწირა სიცოცხლე სიკეთეს, იბერიულ მოდგმას:

„ცხენთა შესხდეს, გაემართნეს, ფრიდონისსა მიელენ სრასა.
დაიმალა ნადირობა, მოემალნეს მხეცთა სრევასა;
ავთანდილის ჭვრეტად სპანი იქით—აქათ იქმან ჯრასა,
თქვეს: „ასეთი ხორციელი, შეუქმნია, ნეტარ, რასა?"

ასეთი იყო ზ. გამსახურდიას სულიერი სამყარო და გარეგნობაც, ავთანდილი ასე უხსნის თუ ვინ არის იგი:

„მე ვარ ყმა როსტან მეფისა, მოყმე არაბეთს ზრდილობით
დიდი სპასპეტი სახელად მიხმობენ ავთანდილობით,
ძე დიდებულთა დიდგვართა, ზრდილი მეფესა შვილობით,
საკრძალავი და უკადრი, მყოფი არვისგან ცილობით."

აქ არის ახსნა იმისა რომ ქართულ ცხოვრების წესს რომელსაც როსტევანმა—ნოემ დაუდო საფუძველი ქართველი მეფეები აყალიბებდნენ. ავთანდილნი — განსაკუთრებულნი დიდგვაროვანნი იყვნენ. ისინი დევნიდნენ ბოროტს და არავის არაფერში არ ეცილებოდნენ.
შემდეგ ავთანდილი უამბობს ფრიდონს ტარიელთან შეხვედრის ამბავს. იგი ასევე უამბობს, თუ როგორ ცხოვრობს ტარიელი:

„ქალი მარტო ქვაბსა შიგან ზის მტირალი, ცრემლ—ნაწთომი;
ყმა ნადირსა უნადირებს, ლომის ლეკვსა ვითა ლომი,
მიართვამს და აგრე არჩენს იგი ერთგან ვერ—დამდგომი,
მისგან კიდე სანახავად, არა უნდა კაცთა ტომი".

აქ მიმდინარეობს ფრიდონის ანუ კავკასიის მუსლიმანების განსწავლულება ბიბლიით. ღმერთის რწმენის წინაპრების დონეზე განმტკიცება, რაც საფუძველი გახდა ჩეჩენი ხალხის გმირობის დღეს.
აქ ჩანს ასევე ებრაელი ქალების დიდი როლი მცნებების დაცვის საქმეში. ისინი ერთგულნი არიან, მადლს აკეთებენ და ყმაც ანუ მამაკაცნიც ბოროტების აღმოფხვრისათვის იბრძვიან, ანუ ნადირს უნადირებენ. ასე ირჩენენ ისინი თავს.
შემდეგ ავთანდილი განაგრძობს:

„მე უცხოს უცხო მანატრა მოსმენა სანატრელისა,
მითხრა ამბავი მისი და მისისა სასურველისა.
რა ჭირნი დასთმნა, ვერ იტყვის აწ ენა ესე ხელისა,
პკლავს სურვილი და ვერ—ჭვრეტა მისისა დამმარხველისა.

„მის ყმასა ცეცხლი მედების, ეტირი ცრემლითა ცხელითა,
შემებრალნეს და გავმმავდი, გავსე გულითა ხელითა;

მომინდა მისთა წამალთა ძებნა ზღვითა და ხმელითა;
შევიქეც, ენახენ შეუენი, მყოფნი გულითა ბნელითა".

პირველ სტროფში ჩანს, როგორი გაჭირვება გამოიარა ებრაელობამ, მაგრამ ყველაფერი გადაიტანა, რადგან აქვთ ერთი სურვილი – აღადგინონ სწორი ცხოვრების წესი, მოავლინონ მესია და დააბრუნონ შეხინა, რაზეც მეოთხე სტრიქონი გვეუბნება.

აქ ავთანდილი აცნობს ფრიდონს სამყაროს გადარჩენის და მესიის მოვლინების გეგმას, რათა გულით ბნელნი დაამარცხონ – გააკეთილშობილონ.

მარტო ქართველს მოუყვა ტარიელი, რაც გადახდა, რადგან მარტო ქართველი უგებს. ავთანდილს ძმასავით უყვარს ტარიელი. სხვა ყველა ქვეყანაში მეფენი „გულით ბნელნი" არიან.

ისიც გასახსენებელია, რომ ებრაელობა როგორც საქართველოში, ასევე იბერიული მოდგმის მუსულმანებში, არ დევნილა. ისინი აქაც ბევრნი იყვნენ ჩამოსახლებულნი. ისინი ღვენიადაგ იცავდნენ ტრადიციული ცხოვრების წესს, ქართულ–იბერიულს, და მუსულმანობა ჰარმონიულად შეერწყა მათ ყოფას. ამიტომაც ამ მხარეში გამოიარა შეხინამ, ამიტომაც ამ მხარეში იყო, როგორც წინა თავში აღვწერეთ, სწორი სოფლის მეურნეობა.

ავთანდილი აგრძელებს:

„შენი მან მითხრა ამბავი; მისგან ძმობისა შენისა,
აწ მიპოვნიხარ უებრო შენ, საქებელი ენისა;
გამომირჩიე, სით მიჯობს ძებნა მის მზისა ზენისა,
მისთა მჭვრეტელთა ლხინისა, ვერ–მჭვრეტთა ამაზრზენისა".

აქ იბერიელთა ძმობაზეა ლაპარაკი. ბიბლიით ვიცით ჩვენ რომ კავკასიიდან გამრავლდა იბერთა მოდგმა და ჩვენ ყველანი ძმები ვართ. საერთოდ პირველად ებრაელებმა გამოსცეს თუნდაც ფუნდამენტალური შრომები (იცხაკ დავიდი, ელდარ მამისთვალაშვილი ი. პაპიაშვილი და სხვა) რომ ჩვენ და ებრაელები ერთი მოდგმისანი იბერიელნი ვართ, რასაც აღრეც და შემდეგ აღასტურებენ ქართველი, რუსი და სხვა უცხოელი მკვლევარები. ეს ძმობა იგულისხმება აქაც.

იბერთა უფროსი ძმა ხომ შემია. მთავარი შემაერთებელი ჩვენ იბერიული წესი გვაქვს. ამავე დროს, მუსულმანთა პირველი წყარო ხომ მოსეს მცნებებია. ძმობა გვაქვს რელიგიურადაც, ჩვენი ძმობა – შეერთება მეტად ადვილი საქმეა. მაგრამ ეს არ სურს ბოროტებას. და ყველაფერს აკეთებს, რომ რელიგიები წაეკიდონ ერთმანეთს.

მას სურს მათ შორის იყოს უდიდესი ბიზნესი, ანუ ფულის კულტი იარაღის ათვისება – გამოყენებისათვის. მაგრამ ეს მუსულმანები არიან იბერიელები, ანუ მათაც ენაში აქვთ მცნებანი, რაც ჩანს სტროფის ყველა სტრიქონის ბოლოს. ისინი იაფეტის ძენი არიან. მათი ენაც ბიბლიის ენაა. ამიტომაც საუბრობს ავთანდილი „შენი მან მითხრა „ამბავი, მისგან ძმობისა შ–ენი–სა", ან: „აწ მიპოვნიხარ უებრო, შენ საქებელი ენი–სა", შემდეგ ფრიდონი იტყვის:

„აწ ფრიდონ იწყის სიტყვითა მის ყმისა ნაუბარითა;
ორნივე სწორად მოსთქმიდეს მოთქმითა საქებარითა,
გულ–ამოსკვნილნი გულითა ტირან ვერ–დამთმობარითა,
მუნ ვარდსა წყლითა ცხელითა რწყვენ ტევრთა საგუბარითა".

ამგვარად ფრიდონმა მიიღო ცოდნა. ის იწყის ყმის ნაუბარი ცოდნით. ანუ გულით მლოცველია. ამავე დროს აქ ჩანს ორივეს, ანუ ზ. გამსახურდიას და ჯ. დედავვეს სწორი მიმართულება მცნებების დაცვის საქმეში. შემდეგ ფრიდონი მოსთქვამს ტარიელის – ანუ ძველი აღთქმის მიმღები ერის, იუდეველთა ქებას და შედიან ქალაქში:

„ქალაქს შევიდეს, მუნ დახვდა სრა მოკაზმული სრულითა,
სახელმწიფოთა ყოვლითა გასაგებლითა სრულითა;
მონანი ტურფად მოსილნი წესითა იყვნეს რულითა!
შეპურფინეიდიან ავთანდილს გულითა სულ–წასრულითა.

შეეიდეს და დიდი შექმნეს ჯალაბობა, არ სალეათი:
იქით–აქათ დიდებულნი წარიგებით ათჯერ ათი;
თვით ორნივე ერთგან დასხდეს, ვითა ვინ თქვას ქება მათი!
ბროლ–ბალახშსა აშვენებდა, ზოგან მინა, ზოგან სათი".

## იეფეტის ძეთა ძალისხმევა სამყაროს გადასარჩენად მესიის - ტარიელის მოვლენისათვის

ავთანდილი, ქართული ცხოვრების წესი, მათი სულის და გულის ნაწილი, სისხლი და ხორცია. ისინი ორივენი იაფეტის შტონი არიან. ამიტომაც „შეპფრფინვიდიან ავთანდილს გულითა სულ–წასრულითა".

მეორე სტროფი გვეუბნება, რომ დიდებულნი ყველა ათივე მცნების დამცველნი იყვნენ. ამიტომ, სტროფი ასე მთავრდება: „ზოგან მინა, ზოგან სათი", აქ ჩანს, რომ იბერიული მოდგმის ეს კუთხე მღვდრობითი არსის — თინათინის გონით ნაკარნახევი, ჰარმონიული მიმართულებით ვითარდება.

„დასხდეს, შეიქმნა პურობა, გაამრავლებდეს მასალსა,
უმასპინძლებდეს ავთანდილს, ვითა მმასალი მშასალსა,
მოიღებდიან ჭურჭელსა ტურფასა, ახალ–ახალსა,
მაგრა მის ყმისა მჭვრეტელთა გული მიეცა, გლახ, ალსა.

მას დღე სვეს, ჭამეს, გარდახდა ნადიმი მსხმელთა დასისა.
გათენდა, ბანეს ავთანდილ, რიცხვი ძეს მუნ ატლასისა,
მესამისელი შემოსეს დრაპკნისა ბევრ–ათასისა,
შეარტყეს წელთა სარტყელი, დაუდებელი ფასისა".

აქ ჩანს იბერიული მოდგმის ერთობა. ისინი პირველად ენაზე არიან შეუღლებულნი, ამიტომაც სულიერი მძახლები არიან მისი, ვინც მოვცა ენა. მძახლები ყოველთვის გვერდში მდგომნი არიან, რადგან ერთ ოჯახს, ანუ სწორ მნეობრივ ცხოვრების წესს ეთაყვანებიან. ამიტომაც დიდ პატივს სცემენ სტუმარ–ავთანდილს, რომელსაც დაუდებელი ფასის სარტყელს აბამენ.

ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ ამ მნეობრივმა ხალხმა — იბერიულმა მოდგმამ, მუსულმანობა მიიღო. არიან ასევე წმინდა ქართულ–იბერიული მოდგმის ებრაელები. ისინი ყველგან იძახიან, ჩვენ ქართველნი ვართ, მაგრამ იუდეველნი. ასევე ამბობენ ჩვენი მოძმე იბერიელები, რომლებიც ამბობენ, ჩვენ მუსულმანები ვართ, მაგრამ იბერიული მოდგმის. ანუ ქართველთა ძმანი, თანამოაზრენი, სწორი მნეობის ცხოვრების წესის მიმდევარნიო. შემდეგ აღწერილია, როგორ სცემენ პატივს ავთანდილს. ბოლოს ავთანდილი ეუბნება:

„მართლ–ა, შენი გამყრელი თვალი თუ ცრემლსა ღვრიდესა,
დღეს წაუვალი ვერა ვარ, მით ცეცხლი სხვაცა მწვიდესა;
დგომა მგზავრისა ცთომაა, კარგსა იქმს, თავსა სწვრთიდესა;
სადა გინახავს იგი მზე, წამომყევ ზღვისა კიდესა".

ფრიდონი უპასუხებს:

„ფრიდონ უთხრა: „დასამლელი ჩემგან არა არ გეთხრობის;
ვიცი, რომე აღარა გცალს, შენ ლახვარი სხვა გესობის:
წადი, ღმერთი გიწინამძღვრებს, შენი მტერი დაემხობის,
მაგრა თქვი, თუ უშენობა ჩემგან ვითა დაითმობის?

ამას გკადრებ, არ ეგების მარტოსაგან წასვლა შენი;
თანა ყმათა წამოგატან, იმსახურენ, იასლენი,
აბჯარი და საგებელი, ერთი ჯორი, ერთი ცხენი.
არ წაიტან, გაირჯები ლაწვი–ვარდი, ცრემლთა მდენი.

მოასხნა ოთხni მონანი, მისანდობელნი გულითა,
სრული აბჯარი საკაცო, ქაფითა, საბარკულითა,
სამოცი ლიტრა წითელი აწონით, არ-ნაკლულითა,
ერთი ტაიჭი უებრო მით უნაგრითა სრულითა.

ერთსა ჯორსა წეივ–მაგარსა საგებელი აუკიდა;
წაეიდა და ფრიდონ შეჯდა, მასთანავე გამოვიდა.
აწ გაყრისა მომლოდნესა ედებოდა ცეცხლი, სწვიდა,
მოსთქვამს: „თუმცა მზე გვეახლა, ჩვენ ზამთარი ვერ დაგვზრვიდა".

ხომ არ არის აქ წინასწარმეტყველურად აღწერილი ზვიად გამსახურდიას გამოცილება. იგიც ხომ მიილტვოდა რომ შეხინა დაენახებულიყო. გაემარჯვა სიკეთეს, ხომ ასე ეტყოდა დუდაევი, ანუ ისტორიული ფაქტია რომ, იგიც ქართველთ ძმასავით დაუდგა გვერდში. ბოლო სტროფის ბოლო სტრიქონი გადმოგვცემს, რომ, მიუხედავად ავთანდილის – მზის, ცოლის, მუქის მოსვლისა ჩეჩნეთში, მაინც ზამთარია. ზამთარია, რადგან ზვიად გამსახურდიას სამშობლო–საქართველოში ბოროტება მძვინვარებს და იგი თითქმის გარდაუვალ სიკვდილზე მიდის, რათა იხსნას სიკეთის ქვეყანა, ხალხი. ამაზე შემდეგი სტროფის პირველი სტრიქონის წინასწარმეტყველური სიტყვები გვამცნობს:

„ზარი მის ყმისა წასვლისა გახდა, მიეცნეს წუხილსა.
მოატყდეს მოქალაქენი, ლარსა ვინ პყიდდა თუ ხილსა;
ხმა ზახილისა მათისა პგვანდა აერთა ქუხილსა,
იტყოდეს: „მზესა მოეშორდით, მო, თვალნი მიეცით წუხილსა!"

ზვიად გამსახურდიამ თავისი უდიდესი ცოდნით გაანათლა იქაური მოსახლეობა. ეს ისტორიული ფაქტია. გავიხსენოთ ტარიელი ხომ მოძღვრავს მას ამისთვის. მან იმპერიისგან დატყვევებულ სულს, გენს აჩვენა გზა დამოუკიდებლობისა, ხსნისა. ისინიც მუდამ ელოდნენ ასეთ წინამძღოლს. საქართველოს დედაქალაქი ხომ მათი დედაქალაქი იყო, საქართველოს მეფე მათი მეფე. იცოდნენ რომ იგი მიშველი ხელებით უნდა დაუპირისპირდეს იმპერიას, რათა იხსნას საკუთარი ხალხი, ენა, მამული, სარწმუნოება. ამიტომაც ამ სტროფში ზ. გამსახურდიას აშკარა სიკვდილზე წასვლის გამო წუხილი უნდა იყოს. მაგრამ ცხენის მიცემა გზაზე დაყენებაა. სინამდვილეში ეს ცხენი ის თვითმფრინავია, რითაც ჩამოფრინდა ზვიადი ჩეჩნეთიდან. შემდეგ აღწერილია, როგორ დაცილდნენ ერთმანეთს ფრიდონი და ავთანდილი.

„ქალაქი გავლეს, მიეიდეს პირსა დიდისა ზღვისასა,
მაშინ ფრიდონის ნახულსა, დასაჯდომელსა მზისასა,
მუნ დაადგენდეს ნაკადსა სისხლისა ცრემლთა ტბისასა,
ფრიდონ უამბობს ამბავსა მის მნათობისა ტყვისასა:

„აქა მათ ზანგთა მონათა მზე მოიყვანეს ნავითა,
კბილ–თეთრი, ბაგე–ბალასში, სახედავითა შავითა;
ცხენი გავქუსლე, გავაგე წავგერა ხრმლითა და მკლავითა,
შორს მნახეს, ადრე გამექცეს, ნავი მფრინვალე ჩნდა ვითა.

რატომ ასწავლის ფრიდონი შეხინის გზას? ეს ტარიელის იუდეველთა ქვეყნიდან გამომდინარეობს. თუ იბერიელნი: მუსლიმანები და ებრაელები შეერთდებიან, არ იომებენ ეს ერთობა უნდათ ზეცაში და ეს არის გზა შესინის ტყვეობიდან დახსნის.

მოეხვივნეს ერთმანერთსა, გაამრავლეს ცრემლთა ღვრანი,
აკოცეს და გაუასლდეს მათ ორთავე მათნი წვანი,
გაიყარეს გაუყრელნი ძმად–ფიცნი და ვითა ძმანი.
ფრიდონ დადგა, ყმა წავიდა, შემხედველთა მქვლელი ტანი".

წავიდა ქართული ცხოვრების წესი ავთანდილი, რომელიც იმ მიზნის აღსრულებითაა გამსჭვალული, რაც ტარიელმა დაისახა, დააბრუნოს მესიამ ისრაელში შეხინა. ზვიად გამსახურდიამ იცის, რომ იწყება მესიის ერა, რომ დღეს სამყაროს გადაარჩენს მხოლოდ მესია. ტარიელის და ავთანდილის ერთობა ისიც იცის, რომ ბოროტია დამარცხება საქართველოდან უნდა დაიწყოს. მან კარგად იცის ბიბლიის და ვეფხისტყაოსნის წინასწარმეტყველებაც, ამიტომ იღვწის რომ კიდევ უფრო გამოაღვიძოს საკუთარი ხალხი. მან უკვე გამოაღვიძა მთელი კავკასია, ევროპის ქვეყნები, დასვა ერთად ქრისტიანები, ებრაელები, მუსულმანები, რაზედაც შემდგომ კიდევ ვისაუბრებთ. დევნილია სიკეთე — ქართველები საკუთარ ქვეყანაში. ამიტომ ვერ ბრუნდება ავთანდილი, რომელიც მიილტვის სხვათა გადასარჩენად. მოკლეს ზვიადი, მაგრამ მან გადო ისეთი ხიდი, რაც იბერიულ — კავკასიურ — ქართულ სულიერ კულტურას აღორძინებს — საქართველოს, კავკასიას თავის დაკარგულ გზას აღადგენინებს და მასზე სხვა ღირსეული ქართველნი კავკასიელები ავთანდილები, ფრიდონები ივლიან, რათა მესია მოუვლინონ სამყაროს. ამგვარად ქართული გენეტიკა არ იცვლება:

„ავთანდილ მარტო ზღვის პირსა მივა ოთხითა შორითა,
წამალსა ტარიელისსა ეძებს ყოვლითა ღონითა,
დღისით და ღამით მტირალი იღვრების ცრემლთა ფონითა,
ჩალად უჩს ყოველი ქვეყანა, მისვე ჩალისა წონითა.

სადაცა ნახნის, ეუბნის, მეზღვაურნი ზღვის პირსა რებულნი,
ჰკითხის მას მზისა ამბავი; დღენი ელნა გაასებულნი.
ქედსა გარდადგეს, აქლემნი აუჩნდეს ლარ–კიდებულნი.
მოქარავნენი ზღვის პირსა დაყრით დგეს, შეჭირვებულნი".

ამგვარად, ავთანდილი, ქართველნი, თავის სამშობლოში ვერ ბრუნდებიან. ისინი იდევნებიან. და მართლაც, დღეს, უზნეობათა დანერგვის გამო, ყველა ქვეყანას ჩალის წონა აქვს. ამიტომაც მოქარავნენიც შეჭირვებულნი არიან. შეჭირვებულნი კი იმიტომ არიან რომ ფული ქაჯებს — უზნეო ხალხს ანუ მეკობრეებს აქვს. ახლა ეს ფული ზნეობამ ავთანდილმა უნდა იშოვოს რომ სიკეთემ გაიმარჯვოს, რათა შეერთდეს ერთმანეთთან მესია ტარიელი — ებრაელები და შეხინა — ნესტანი. იგივე მესია ავთანდილი და თინათინი.

რა ქნას ავთანდილმა, საქართველომ დღევანდელ პერიოდში. მას გადაუგვარეს მისი სახელმწიფოებრიობის საფუძველი — სოფლის მეურნეობა. მან არ იცის ვაჭრობა. მან იცის მიწათმოქმედება და ომი, რათა საკუთარი ზნეობა და სიმართლე დაიცვას. და იყენებს ქართველი თავის ვაჟკაცურ ბუნებას, რათა დაიცვას ჩარხ—ვაჭარნი და თვითონაც ივაჭროს. საკმარისი ფული დააგროვოს რომ ტარიელს შეეწიოს. ავთანდილი გადაეყრება მუსულმან, დევნილ ვაჭრებს. ისინი, მას თავის გასაჭირს შესჩივლებენ. ეს უკვე დღევანდელი პერიოდია, ანუ 21–ე საუკუნის დასაწყისი.

## 2.8. 2000 შემდგომი წლების მიმოხილვა

### ავთანდილთა — ვაჭრობა და საღვთო სიბრძნით მეეოსვა მიზნის მისაღწევად.

„თქვა: „ქარავანი ეგვიპტით გამოვემართეთ ერითა,
ზღვასა შევედით ტვირთულნი ლარითა მრავალ-ფერითა,
მუნ მეკობრეთა დაგვხოცეს, ძელის სახნისის წვერითა;
ყველაი წახდა, არ ვიცი, აქა მოსრულვარ მე რითა!"

ლომო და მზეო, ესეა მიზეზი აქა დგომისა,
დაბრუნებითა გვეცემის ზიანი არ-საზომისა;
შევიდეთ, ვა თუ დაგვხოცნენ, ძალი არა გვაქვს ომისა,
ვერცა ვდგავთ, ვერცა წავსრულვართ, ღონე წაგვხდია რჩომისა".

მეკობრეებში შეიძლება საბაჟოებიც ძალოვანი სტრუქტურებიც კი ვიგულისხმოთ. მაგალითად საქართველოში მათ ხელფასს არ აძლევენ. ისინი კი კანონის დარღვევით გამომძალველობის გზას ადგანან. ეს სპეციალურად ხდება დაპირისპირება და უზნეობა რომ იყოს. დგება დრო და ამას ასევე ზნეობრივ ქცევებს ვაჭრობისას მოაგვარებენ ავთანდილნი — ზნეობრივი ქართველნი.

და იმარჯვებდა ავთანდილი სხვათა დახმარებისას, რადგან მცნებებს იცავდა და ამიტომაც ღვთის შეწევნა ჰქონდა. ამ გამარჯვებას გადმოგვცემს რუსთაველი, როცა ავთანდილი მეკობრეებს ამარცხებს:

„გაუმარჯვდა ომი მათი, ვითა სწადდა მისსა გულსა.
ზოგთა ჰკადრეს ზენაარი: „ნუ დაგვხოცო, შენსა სჯულსა!"
არ დახოცნა, დაიმონნა, დარჩომოდა რაცა წყლულსა.
მართლად იტყვის მოციქული: „შიში შეიქმს სიყვარულსა".

კაცო, ძალსა ნუ იქადი, ნუცა მოჰკვეხ ვითა მთრვალი!
არას გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწევს ღმრთისა ძალი!
დიდთა ხეთა მოერევის, მცირე დასწვავს ნაბერწკალი,
ღმერთი გფარავს, სწორად გაჰკვეთს, შენა ვის ჰკრა, თუნდა ხმალი".

ეს იცის ჭეშმარიტმა ქართველმა. აი, რას ამბობს ავთანდილი:

„ყმამან უთხრა: „მადლი ღმერთსა, შემოქმედსა, არსთა მხადსა,
ვისგან ძალნი ზეციერნი, განაგებენ აქა ქმნადსა,
იგი იქმან ყველაკასა, იდუმალსა, ზოგსა ცხადსა;
ხამს ყოვლისა დაჯერება, ბრძენი სჯერა მოწევნადსა.

ღმერთმან სულსა ეგოდენსა თქვენ გაონია სისხლი თქვენი.
მე, გლახ, რა ვარ? მიწა ცუდი; თავით ჩემით რამცა ვქმენი?
აწ დავხოცნენ მტერნი თქვენნი, გავასრულენ, რაცა ვთქვენი;
ნავი სრულად საქონლითა მომიღია, ვითა ძღვენი".

მართლაც, ჩვენ ხომ მიწისგან ვართ შექმნილნი და იმ სიწმინდესთან შედარებით, რაც ზეცაშია, არარაობა ვართ. გამარჯვებული ავთანდილი არ ძალადობს, თუმცა, როცა ეუბნებიან ომში მოგებული ნადავლი თქვენიაო, იგი ასე უპასუხებს:

„ყმამან შესთვალა: „ჰე ძმანო, წეღანცა მოგისმენია,
ღმრთისა შევსმა, ნაკადი რაცა თქვენ თვალთა გდენია,
მან დაგარჩინნა; მე რა ვარ? მე, გლახ, რა მომილხენია!
რა გინდა მომცეთ, რას ვაქნევ? მე ვარ და ჩემი ცხენია!"

ე.ი. ჩემი თავი თქვენ ღმერთმა გამოგიგზავნათ. შემდეგ იგონებს, თუ რა მდიდარი იყო საქართველო:

„მე თუმცა რაცა მინდოდა, საჭურჭლე დასადებელი,
ჩემსაცა მქონდა ურიცხვი, უსასო ლარ–საგებელი;
რას ვაქნევ თქვენსა რას გინდა? ოდენ ვა თანა–მხლებელი;
სხვაგან რამე მიც, სხვა საქმე, თავისა წასაგებელი".

მართლაც მდიდრები იყვნენ ქართველნი აფხაზეთში, სამაჩაბლოში, ძალით აჰყარეს აქედან, ისევე, როგორც სხვა კუთხეებიდან, მაგრამ სულიერება, გენეტიკა არ იცვლება. ავთანდილი ისევ ამკვიდრებს გაცემის ტრადიციას.

„აწ როცა აქა ვიშოვე საჭურჭლე დაუთვალავი,
რაცა ვის გინდა, წაიღეთ, არვისი ვიყო მლალავი,
ერთსა ვიაჯი, მაავჯეთ საავჯო არ საკრძალავი:
საქმე რამე მიც თქვენშიგან თავისა დასამალავი".

ამგვარად, დღეს ქართველი იძულებული ხდება ვაჭრობაც დაიწყოს. მაგრამ კაცობას, მნეობას არ კარგავს, თუმცა ღლევანდელი ცხოვრების წესში ვაჭრობას მრავალი უმნეობაც ახლავს. ამავე დროს, ჩვენ ვიცით, ქართული ცხოვრების წესში, ქართველებს ვაჭრობა ეკრძალებოდათ. ეს ქართველი ებრაელების პრეროგატივა იყო. მაგრამ თავი ხომ უნდა შევინახოთ. ხომ გვინდა სახსრები რომ მესიის გამოელინებას შევუწყოთ ხელი. ქართველის სულიერი ადგილი — საღვთო სიბრძნით წარმოებული მიწათმოქმედებაა.

ზ. გამსახურდია განმარტავს: „ვაჭრად გადაცმა ნიშნავს საღვთო სიბრძნით შემოსვას", „ვაჭრულად გადაცმული ბრძენი ეს ის ბრძენია, რომელიც პრაქტიკულს ამროენებაში და ქმედებაში ახორციელებს. თეორიული სიბრძნის პრინციპებზე პრაქტიკულ ფილოსოფიას იყენებს თავისი მაღალი მიზნებისათვის". ზ. გამსახურდია (იქვე, გვ. 287—288).

მისი პრაქტიკა და მიზანი ცოდნის გაღრმავებაა და მესიის — ტარიელის მოელინების ჩრუნვაა. ამიტომ ცოტა ზემოთ სწერია „სადაცა ნასნის, ეუბრის, მეზავერნი ზღვის პირსა რებელნი", ამიტომაც იგი ვაჭრული სამოსელით იმოსება:

„ქამამდის ჩემსა ნუ იტყვით არ თქვენსა პატრონობასა,
თქვით თავადია ჩვენი — თქვა, ნუ მისმობთ ჭაბუკობასა,
მე სავაჭროსა ჩავიცვამ, დავიწყებ ჯუბაჩობასა;
თქვენ შემინახეთ ნამუსი, თქვენსა და ჩემსა ძმობასა!"

ქართველის მნეობა, ცოდნა, პატიოსნება უმნეობაზე იმარჯვებს და ამიტომაც ალტაცებით ემსახურებიან ასეთ ხალხს:

„ესე საქმე ქარავანსა გაეხარნეს მეტად დია;
მოვიდეს და თაყვანის–სცეს, ჰკადრეს: „ჩვენი იმედია,
რაცა აჯა ჩვენ გვმართებდა, იგი თქვენვე გიაჯია,
მას ემსახუროთ, ვისი პირი მზისა პირად გაგვიცდია".

ამგვარად, ქართველები იწყებენ ვაჭრობას და აღწევენ ამ საქმეში წარმატებას. წიგნში აღწერილია ღლევანდელის შემდგომი მოვლენები.

ავთანდილი შეეყრება ერთ ქვეყანას; იმთავითვე უნდა აღინიშნოს რომ ეს თანამედროვე იმპერიული სულისკვეთებით აღსავსე, საქართველოს მოსაზღვრე ქვეყანა უნდა იყოს, რაც ჩანს შემდეგი სტროფიდან.

„ზღვა გაიარა ავთანდილ, მივა ტანითა მჭვერითა.
ნახეს ქალაქი, მოცული გარე ბაღისა ტევრითა,
გვარად უცხონი ყვავილნი, ფერითა ბევრის ბევრითა.
მის ქვეყანისა სიტურფე რა გაგაგონო მევ, რითა!"

ჩვენ ვიცით, მითისა და ზღაპრის სიმბოლიკაში ძლიერ განსახიერებს დაცემულ ყოფას – ქამიერებას. ეს ყოველივე დაამარცხა ავთანდილმა. ვაჭრად იცმევს, ზნეობით უზნეობას ამარცხებს.

## შეყრა ფატმანთან და ფატმანის გამიჯნურება

შემდეგ სტროფში სტრიქონები: „დააბეს ნავი საბლითა სამითა", გადმოგვცემს ავთანდილის ზნეობრივ ქცევას. აქ გადმოცემულია ქართველთა ტრადიციული პატივისცემა სამივე რელიგიის წარმომადგენელთა მიმართ. ამავე დროს აღწერილია ამ ქვეყნის ზნეობრიობა!

„აქა მოსვლითა გაყმდების, კაციცა იყოს ბერები:
სმა, გახარება, თამაში, ნიადაგ არის სიმღერები,
ზამთარ და ზაფხულ სწორად გვაქვს ყვავილი ფერად-ფერები;
ვინცა გვიცნობენ, გვენატრიან, იგიცა, ვინ–ა მტერები".

ამას გადმოსცემს ავთანდილს ვაჭართა უხუცესის უსენის მებაღე. იგი ასე აღწერს ფატმანს, უსენის მეუღლეს:

„ფატმან ხათუნ შინა არის, ხათუნი და ცოლი მისი,
პურად კარგი მასპინძელი, მხიარული, არ თუ მქისი;
მას ვაცნობო მოსვლა თქვენი, წაგიყვანოს ქვითა თვისი;
წინა კაცსა მოგაგებებს, ქალაქს შესვალ ნათლივ, დღისი".

რატომ არის ფატმანის აღწერა ასე დაწვრილებითი? ყოველი სახელმწიფოს სახე ქალთა ყოფაა, თუ როგორ იცავენ ისინი მცნებებს, როგორია მათდამი მამაკაცთა დამოკიდებულება.

გამსახურდია აღნიშნავს: – „სახელი ფაჰმატ, ანუ ფატმანი უკავშირდება „ცოდნას", „გაგებას", „მიხვედრას", რაც ამ სოფლიურ სიბრძნეს, ცოდნას, ჭკუას გულისხმობს." ამგვარად მას აქვს ცოდნა იმ ცხოვრების წესისა, რაც დღევანდელმა უზნეობამ მოიტანა. ანუ აქ არ არის ის სულიერი, ჰარმონიული სამყარო, რაც დამახასიათებელია ავთანდილისათვის, ქართული ცხოვრების წესისათვის. ფატმანი ვაჭართუხუცესის მეუღლეა.

ამავე დროს ის წარმართავს ვაჭრობას ავთანდილთან, ანუ ფატმანი არის შემოსილი საღვთო სიბრძნით. მისი ქმარი მართალია ვაჭართ უხუცესია, მაგრამ არ ვაჭრობს – ანუ არ არის შემოსილი საღვთო სიბრძნით, იგი უბრალოდ ხელმძღვანელია ამ სახელმწიფოსი. ისიც ცნობილია, რომ ვაჭრობა ძირითადად ებრაელთა პრეროგატივა იყო, ამიტომ იბერიელიცაა და ამ დაკნინებული ცხოვრების წესში, თავისი ზნეობით უმაღლეს დონეზეა.

იგი შეძლებისდაგვარად იცავს მცნებებს. უყვარს სტუმარი, მაგრამ შორსაა იმ ზნეობასთან, რაც ავთანდილს ახასიათებს. ამიტომაც იხიბლება ფატმანი თავისი წინაპრით – ავთანდილით, ქართული ცხოვრების წესით და მისი მიჯნური ხდება. ამ წესთან – ავთანდილთან მისი შეხვედრა იწყება ავთანდილის საქონლის შეძენით, ანუ ფატმანი ავთანდილის პრაქტიკულ სიბრძნეზე შეყვარებული ხდება.

აქ ჩანს, რომ იბერიელებმა უნდა იხსნან სამყარო სხვა ქვეყნის ქალთა ხელშეწყობით. იმპერიული მისწრაფების ქვეყნებში მხოლოდ ქალი უგებს ქართველს.

„ფატმან ხათუნს ავთანდილის გულსა ნდომა შეუვიდა.
სიყვარული მეტის–მეტი მოუმატა, ცეცხლებრ სწვიდა.
დამალვასა ეცდებოდა, მაგრა ჭირთა ვერ მალვიდა,
იტყვის: „რა ვქმნა, რა მერგების!" აწვიმებდა, ცრემლთა ღვრიდა".

აქ ჩანს, რომ ფატმანს შეუყვარდა ზნეობრივი ყმა–ქართული ცხოვრების წესი. მას შეუყვარდება ის წესი, რომელიც საშუალებას აძლევს გამოავლინოს ძალისხმევა ჰარმონიის შესაქმნელად. ამ წესის დანერგვა სანატრელია ყველა ქალისათვის, იგი მიჯნური ხდება ამ წესის და ამიტომაც „აწვიმებდა, ცრემლთა ღვრიდა". ფატმანმა ავთანდილს სამიჯნურო წიგნი მისწერა:

„პე მზეო, ღმერთსა ვინათგან, მზედ სწადდი დასაბადებლად;
მით შეგქმნა მოშორვებულთა ჭირთა, არ ლხინთა მწადებლად,
ახლოს შემყრელთა დამწველად, მათად ცეცხლისად მადებლად,
მნათობთა შენი შეხედვა ტკბილად უჩს, დასაქადებლად".

მართლაც უფლის სურვილით შეიქმნა იბერია — კავკასია მაღალი სულიერი მნეობის მისახ-ლეობით შემკული. ამ მნეობიდან გამომდინარე მიტომ სწადის ჭირი, რომ ხალხის ბედს იმიარებს და მათაც კარგი ამინდი უნდა მოუტანოს. თუმცა შეუძლია, რომ ილხინოს. ამიტომაც მნათობნიც გწყალობენო.

ფატმანი თანამემამულეთაგან გამოირჩევა გულმოწყალებით, მაგრამ მისი სახელმწიფო იმპერიული პოლიტიკის მატარებელია. ანუ ამ შემთხვევაში მისი ქმარი არ იცავს ბიბლიის მცნებებს. ქართული ცხოვრების წესი კი სულ სხვაა. იგი, მისი სიწმინდე შეხინას ზეციურ არსის მიჯნურობას იმსახურებს, ამიტომ ავთანდილის გამიჯნურება ფატმანის მიმართ გამორიცხულია:

„თქვა: „ყვავი ვარდსა რას აქნევს, ანუ რა მისი ფერია!
მაგრამ მას ზედა ბულბულსა ჯერთ ტკბილად არ უმღერია.
უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია.
რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია!"

მაგრამ იგი ფატმანში მოკავშირეს ხედავს, ფატმანის პრაქტიკული ცოდნა, ინტელექტი მას დაეხმარება მიზნის მიღწევაში — ანუ ნესტანის დახსნაში:

„ისი დიაცი აქა ზის, კაცთა მნახავი მრავალთა,
მოსადგურე და მოყვარე მგზავრთა, ყოველგნით მავალთა;
მიეპყვე, მიამბობს ყველასა, რაზომცა ცეცხლი მწვავე ალთა,
ნუთუ რა მარგოს, მე მისი გარდახდა ჩემგან ვცნა ვალთა".

## ავთანდილი ნერგავს ფატმანის ქვეყანაში ცოდნას, რწმენას, მნეობას

„კაცთა მნახველი მრავალთა" არ არის ლაპარაკი მეძავობაზე. აქ საუბარია უმნეო კაცებზე — მათ მიერ დაწესებულ უმნეო ცხოვრების წესზე უმნეობა ამ ქვეყნის ქალებს უმნეო კაცებისგან ჭირთ, ესეთი კაცები უნდა ვიგულისხმოთ ამ სიტყვებში.

მაგრამ სანამ ავთანდილის მოკავშირე გახდება ფატმანი, ანუ ფატმანის ქვეყნის ქალები (რომელნიც აღტაცებაში მოდიან ქართული ცხოვრების წესით), ამ ქვეყნად უნდა მოიკვეთოს ის უმნეობანი, რომელიც ახასიათებს აქ მცხოვრებ მამაკაცებს და მათ გამო ქალებსაც.

ავთანდილს და ფატმანს გამიჯნურების დროს მოუსწრებს კაცი — რომელიც აიძულებს ქალებს იმრუშონ უმნეონი იყვნენ. ეს მიუღებელია ავთანდილისათვის. ხოლო ავთანდილის მიერ მისი მოკვლა, მნეობრიობის დანერგვად უნდა მივიჩნიოთ ამ ქვეყნის კაცებში. ანუ ქვეყანაში აღარ არის ისე დაცემული ეკონომიკა რომ ქალები იძულებით მეძავობენ რათა გამოკვებონ შვილები. ეს გასაგებიცაა ქართული ხომ ყოველთვის გასცემს, რაც მეტ გასცემ ღმერთი მეტს გიგზავნის. მდიდრდებიან ავთანდილები და სახელმწიფოებიც. ამით იგი განწმენდს ფატმანის სახელმწიფოს, ანუ რწმენა შეიძენს სიბრძნეს, სულიერად წმინდა ჰარმონიული ცხოვრების წესს. ამ წესის დანერგვისათვის ფატმანი (ამ შემთხვევაში ამ ქვეყნის ქალები უნდა ვიგულისხმოთ რომელთაც აღარა აქვთ ხელოვნურად შექმნილი პრობლემა ოჯახის შენახვისათვის) იწყებენ მცნებების დაცვას, და მოაქცევსენ ოჯახს — სახელმწიფოს, მნეობისკენ, რაც ჩანს შემდეგ სტროფში:

„მე და უსენი შევილითურთ აწ ახლად დავიბადენით;
ლომო, ქებანი შენნიმცა ჩვენ ვით ვადიადენით!
ვინათგან სისხლთა იმისთა დაღვრავე დავიქადენით,
თავითგან გითხრობ ყველასა, თქვენ სმენად დაემზადენით".

## ცოდნა და ზნეობრიობა გზაა შეხინის არსის შეცნობისა

ამგვარად ზნეობრიობაა საფუძველი შეხინის პოვნის. შეარიგა მუსლიმანები და იუდეველები ავთანდილმა, შემოიტანა ზნეობრივი ქმედება ფატმანის სახელმწიფოში და განგება აყენებს სწორ გზაზე შეხინის დასახსნელად. აი ეს ჩანს ამ ნაწარმოებში რადგან შემდეგ ფატმანი აღუწერს ავთანდილს ნესტან–დარეჯანის მის ქვეყანაში მოსვლას:

„მით ნავიდალმა მათ რომე გარდმოსვეს კიდობანითა,
ახადეს, ქალი გარდმოხდა უცხოთა რათმე ტანითა,
თავსა რიდითა შავითა, ქვეშეთ მოსილი მწვანითა,
მზესა სიტურფედ ჰყოფის, იყოს მისითა გვანითა.

რა მიბრუნდა ქალი ჩემკენ, შემოადგეს სხივნი კლდესა,
ლაწვთა მისთა ელვარება ელვარებდა ხმელთ და ზესა,
დავიწყუსენ თვალნი, ყოლა ვერ შევადგენ, ვითა მზესა,
უკმოვისაშ კარი, ჩემგან მათი ჭვრეტა ვერა ცნესა".

აქ ფატმანი აღწერს, როგორ შემოდის მის ქვეყანაში ტყვეობაში მყოფ შეხინის მადლი, რის შედეგადაც მის ქვეყანაში არის ამინდი, სიმწვანე, ბარაქა. ფატმანი შეეკითხება ნესტანს მისი ამ ქვეყანაში გამოჩენის მიზეზს, იგი ასე პასუხობს:

„მითხრა: „შენ ჩემთვის, დედაო, ხარ უმჯობესი დედისა,
რას აქნევ ჩემსა ამბავსა, ზღაპარი არის ყბედისა!
ღარიბი ვინმე, შემსწრობი ვარ უბედოსა ბედისა;
თუ რაცა მკითხო, ძალიმცა გიგმია არსთა მსჯდისა!"

ისმის კითხვა, რატომ არის ფატმანის ქვეყანაში მიწის ბარაქა, ქალთა სილამაზე, მათი ლტოლვა სიკეთის დასანერგად, თუ ეს ქვეყანა იმპერიულია? ჯერ როგორც ნაწარმოებში ჩანს, ეს ქვეყანა არის ვაჭრობის ცენტრი, დიდადაა განვითარებული აღებ–მიცემობა. ვაჭრობის ზნეობრივ წესს კი, როგორც ვიცით, სხვა ქვეყნებში ებრაელები აყალიბებდნენ და აწესრიგებდნენ. ეს არის მორწმუნე ხალხი, ანუ ისინი ფლობდნენ სიბრძნეს, სწორი ცხოვრების წესს – ბიბლიას, მაგრამ ვერ ნერგავენ ამ წესს, რადგან ისინი არ წარმართავენ სახელმწიფო მმართველობას. ამ შემთხვევაში სახელმწიფოში არის ვაკუუმი, ანუ მიმართულება, რომლის შევსება ებრაელებს შეუძლიათ. ეს არის ვაჭრობა. რატომ არის ვაკუუმი? საქმე ისაა, რომ თუ მიწას მცნებათა დაცვით ვერ მოუვლი, ის მაინც გაძლევს მოსავალს (მართალია, მეტად მწირს), რადგან ყველა უფლის შვილები ვართ და მამაზეციერი გვიცოდებს. ხოლო თუ უზნეოდ ივაჭრებ, მაშინ ხელი არ მოგემართება. ამიტომაც ნაწარმოებში ვაჭრობა აღნიშნავს სიბრძნეს, მიწიერ პრაქტიკას. ფატმანის ქვეყანაში რომ ჰარმონიული ცხოვრების წესი იყოს, ამისათვის მათ აკლიათ ის მიწათმოქმედება, რაც აქვს საქართველოს, და რაც დაკარგა ისრაელმა, რის გამოც არიან განდევნილობაში.

როგორც ვიცით, როცა ებრაელები განდევნილობაში აღმოჩნდნენ, შეხინაც მათ გაჰყვა და ისიც მათთან ერთად აღმოჩნდა დევნილობაში, ტყვეობაში, ანუ ივრითულად – გალუთში. ამგვარად, შეხინა გაჰყვა იმ ებრაელთ, ვინც იცავდა მცნებებს (თუ არადა ის ისრაელი არც არის) და ყველა მათ ოჯახში მისმა მადლმა დაიბუდა. ეს მადლი, ბარაქა, არა მარტო ებრაელებს, არამედ ქვეყანასაც ეტყობა.

რაც შეეხება ნესტან–დარეჯანის ტყვეობას, რაკილა ებრაელები და ასევე შეხინაც წმინდა მიწიდან განდევნილობაში არიან, ისინი თავს დროებით ტყვეობაში თვლიან. რატომ დროებით? იმიტომ რომ ყველა ებრაელი თავის ქვეყანა, – ისრაელში უნდა დაბრუნდეს, აღადგინონ ბიბლიური ცხოვრების წესი და მაშინ შეხინაც დაბრუნდება. მანამდე ისინი, რაც არ უნდა კარგად გრძნობდნენ თავს (ადგილობრივ მცხოვრებ ხალხთან შედარებით), ნებისმიერ ქვეყანაში თავს ტყვეობაში თვლიან, რადგან შორს არიან იმ ჰარმონიული ცხოვრების წესიდან, რაც ჰქონდათ. მათ იციან თავიანთი მთავარი მისია. მოუვლინონ ქვეყნიერებას მესია და მისი მეშვეობით დააბრუნონ შეხინა. ამით მოუტანონ კაცობრიობას, რომელიც ერთ ენაზე ილ-

ოცებს, შეელა. ამისათვის სწირაეღნენ ისინი თავს. ხოლო ის წესი, რაც მესიის მოელინებას შეუწყობს ხელს, ფატმანმა ნახა ავთანდილში და ამიტომ ხდება მისი მიჯნური. ამავე დროს, ებრაელები იცავდნენ რა მცნებებს, ყველა ქვეყანაში შეჰქონდათ ზნეობრივი ცხოვრების წესი, მონოთეიზმი.

ჩვენ ასევე ვიცით, რომ ქალების ორგანული მოთხოვნილებაა ემსახურონ ოჯახური სიწმინდის წესებს. ამიტომაც ყველა ქვეყნის ქალებს უყვართ რა სულით და მატერიალურად მდიდარი ქმრები, მოსწონთ ებრაელთა ცხოვრების წესი. მაგრამ მამაკაცნი, მათი უცოდინარობის გამო, იგივეს ვერ ასრულებენ. ფატმანი რაკიდა ვაჭრის მეუღლეა იბერიელია—ებრაელია. მაგრამ არა აქვს ცოდნა მიწათმოქმედების ქართული ცხოვრების წესის, თუმცა იგი ერთი მათგანია, ვინც მთელი შინაგანი ბუნებით იცავს მონოთეიზმს. მაგრამ ნესტანი ამ ქვეყნისათვის მიუწვდომელი იყო, რადგან არ არის ზნეობრივი ცხოვრების წესი — მიწათმოქმედება. ის, რაც დარჩა ავთანდილს. ამიტომაც არ ჰყავს დაკარგული ავთანდილს ნესტანის ფუნქციის მატარებელი თინათინი. შედეგად ფატმანი ავთანდილის, ანუ სარწმუნოებრივი მისწრაფების უსაზღვრო მიჯნური ხდება. ფატმანი მაშინ გაშლის ფრთებს, თუ დაინერგება ქართული ცხოვრების წესი — იქნება ჰარმონიული სამყარო.

დღეს იმპერიულ ქვეყნებში ქრისტიანობაც და მუსულმანობაც ფასადია და ისინი ულმერთო ადამიანის მიერ მოგონილი კანონებით იმართებიან. მორწმუნე ქალები კი მთელი შინაგანი ბუნებით, საკუთარი ბიოლოგიური მისწრაფებით იმიარცხებენ მცნებებს, შეიგრძნობენ გამჩენის მადლს. უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, ბოროტება ზეობს, ქვეყნები არ იცავენ მცნებებს, იმპერიული მისწრაფება აქვთ, უფალი — მამა ჩვენი, ლმობიერია და მოსავალი, სიცოცხლე, ნივთიერებათა ცვლა მაინც არის.

ჩვენ ვიცით, ებრაელი, ისრაელი არის თორის—ბიბლიის კანონთა ერთგული და, რაც მეტია ისინი სხვადასხვა ქვეყნებში, მით უფრო ჰარმონიაა იქ. გავიხსენოთ ტარიელის ვეფხის ტყავი რას ნიშნავს. ებრაელები კი მრავლობდნენ იქ, სადაც მიმოსვლაა ანუ ვაჭრობაა, ზღვაა. ამიტომაც რუსთაველს ზღვათა მეფის ქვეყანა, ანუ ვაჭრობა, განვითარებული ქვეყნები, გამოყვანილი ჰყავს შედარებით წარმატებული სოფლის მეურნეობით. მაგრამ შესინისთვის — ნესტანისთვის ეს იძულებაა, ანუ ტყვეობაა, რადგან იგი ტარიელის მიჯნურია, ანუ ქვეყნის, სადაც მცნებათა დაცვის ცხოვრების წესია. ამიტომ რუსთაველს ნესტან—დარეჯანი ალეგორიულად გამოყვანილი ჰყავს, ზღვათა მეფის ქვეყნის ტყვედ. თუმცა, იგი „უმჯობესი დღის" — ფატმანის ოჯახშია, მას მაინც დარდი და კაეშანი აქვს.

ჩვენ ვიცით, რომ რაც დრო გადის, ბოროტება იმარჯვებს და ზღვათა მეფე შეხინის, თავის შვილისთვის ცოლის შერთვას მოინდომებს. თუ ნესტანი მოყვა ამ ქვეყანაში ებრაელებს, ამ ქვეყნის მამაკაცები ფიქრობენ, რომ ნესტანი უნდა დაქორწინდეს მათ მიერ შექმნილ ცხოვრების წესთან, რაც გამორიცხულია. ამიტომ ნესტანი იძულებით ქაჯთა ტყვეობაში აღმოჩნდება, ანუ დღევანდელ ქვეყნებში, სადაც ბოროტების აპოგეაა, და სურვილი აქვთ, რომ შეხინაზე დაქორწინდნენ, ანუ ჰქონდეთ ულევი ბარაქა. მაგრამ როგორც ვნახეთ, ნაწარმოებში ეს გამორიცხულია, რადგან უფალი და ზეციური მღვდლობითი არსი მაშინ ხარობს, როცა ადამიანებს უყვართ ერთმანეთი და არ იმონებენ.

რა პარალელის გავლება შეიძლება აქ? გავიხსენოთ ავთანდილი უანგაროდ ეხმარება უსამს, რატომ? იგი ვაჭარია ანუ იცავს მისი სჯულის მუსლიმანურ რელიგიის მცნებებს.

„უსამ იყო ქარავნისა უხუცესი კაცი ბრძენი". შეიძლება დამთხვევაა მაგრამ ამ სახელში შეიძლება უსამა ბენ—ლადენიც ვიგულისხმოთ, რომელიც სადამ ჰუსეინისაგან გამოირჩევა იმით, რომ იგი მორწმუნეა და სახელმწიფოს მეთაური რომ გახდეს ბიბლიის მცნებებით წარმართავს მას. ამას ვერ ვიტყვით სადამ ჰუსეინზე, რომელიც ასევე შეიძლება ნაწარმოებში უსეინის სახელით არის მოხსენიებული. იგი მეფეა იმ ბაღისა სადაც საეაჭროდ შემოდის ავთანდილი.

ავთანდილის მიერ უსამის დახმარება უნდა აღვიქვათ იმ პერიოდათ როცა ქართველნი აღადგენენ ქართული ცხოვრების წესს და ერთი სიყვარულით დაჯდება სამივე რელიგია. ეს ის წესია, სადაც საყდრების და მლოცველების სიმრავლე სამივე რელიგიისა ჰარმონიას და სიყვარულს თესავს. ასე ადვილად ამარცხებს ავთანდილი ბოროტებას იმპერიულ პოლიტიკას, რომელიც საკუთარი მიზნების გამო ღვენის ამ ვაჭრებს სულიერ მოძღვართ. ამიტომაც ავთანდილი ქართული ცხოვრების წესი, ანუ ნათელი ცოდნა მარტო ადვილად ამარცხებს უზნეო პოლიტიკას, ბოროტებას სიბნელეს — ფულისკენ კერპობისაკენ მომხვეჭველობას.

„თქვენ ვაჭარნი, ჯაბანნი ხართ, ომისაცა უმეცარნი,
შორს ისრითა არ დაგხოცონ, ჩაისმენით თავსა კარნი:
მარტო მნახეთ, ვით შევება, ვით ვიხმარე ლომნი მხარნი
მეკობრისა ნავისანი სისხლნი ნახეთ მონადენნი"

შემდეგად ეს ქვეყნები დამოუკიდებლად იმართებიან თავიანთი რჯულის კანონების აღსრულებით. დაახლოებით იგივეს აღწევს იგი ფატმანის ქვეყანაში და ეს ხდება წინაპირობა რომ მან უნდა იპოვოს ნესტან დარეჯანი — ანუ სამყარო შეიცნობს რომ სიკეთე გაყოფა გაცემა ბევრად სჯობს წართმევას და ომებს.

აქ კიდევ ერთ ფაქტორს უნდა გაესვას ხაზი. მორწმუნე მუსლიმანი ხედება რომ ნესტანი — შეხინა ტარიელზე უნდა დაქორწინდეს, ანუ მესია უნდა იყოს იბერიელი — იუდეველი. ქიშპი არ არის საჭირო. იერუსალაიმში მშვენიერი ცხოვრების წესი დავითის შთამომავალმა მოშიახელმა მესიამ უნდა აღადგინოს. შეხინა — ნესტანი მხოლოდ მას ყვარობს და ელოდება.

ამას განმარტავს „ვეფხისტყაოსანი" და ამას განუმარტავს ავთანდილი მუსლიმანებს მთელ სამყაროს და რელიგიათა დაპირისპირებაც აღარ არის.

ამიტომ ნესტანის სულიერი ქორწინება მხოლოდ ტარიელთან მოხდება. ყოველივე ეს, შემდგომ მოცემულია ნაწარმოებში.

ამგვარად, რუსთაველმა შეხინა, რომელიც მოჰყვა ებრაელებს, და იგი თითოეულ ებრაელის ოჯახშია, ფატმანის — „უმჯობესი დედის" ოჯახში შეაჩერა. აქ ლაპარაკი უნდა იყოს ფატმანის, ანუ ამ ქვეყნის იბერიელ ქალთა ბიბლიის სიყვარულზე, მისი მცნებების დამკვიდრების სურვილზე, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, ბოროტების შეწოლაა. ეს მცნებანი ვერ დაიბუდებს ამ ქვეყანაში და სურვილი სურვილად დარჩება, შეხინა ვერ ნახავს აქ სამუდამო სამყოფელს, თუმცა მისი მადლი მაინც ატყვია ამ ქვეყანას:

„ავიყვანე იგი პირ-მზე ნაქები და ვერ ვთქვი ქები;
სურვილმან და მზემან მისმან, ძლივ დავმალე მისი შუქი,
ჩამოვჰბურე მრავალ-კეცი სტავრა მძიმე, არ-მსუბუქი;
ცრემლსა სეტყვეს და ვარდსა აზრობს, წამწამთაგან მოქრის ბუქი.

მოვიყვანე შინა ჩემსა იგი პირ-მზე ტანით ალვით,
მოვუკაზმე სახლი ერთი, შიგან დავსვი მეტად მალვით;
არვის ვუთხარ სულიერსა, შევინახე ფარვით, კრძალვით,
ერთი ზანგი ვამსახურე, მე შევიდი, ვნახი ხალვით".

„ძლივ დავმალე მისი შუქი", ანუ შეხინის ნათელი აქვს ფატმანს და მან ცოდნაც შეიძინა. სახლის მოკაზმვაში ებრაელთა სინაგოგა ანუ ტაძარი უნდა ვიგულისხმოთ, სადაც დავანებული ბიბლია მადლს აფრქვევს, რადგან ხალხი იცავს მის მცნებებს და ზეციური დედა — ნესტან-დარეჯანის სახით აძლევს ქვეყანას ბარაქას, რაც პირველი სტროფის ბოლო სტრიქონში ჩანს. ამიტომ იყო ლამაზი ბაღები ამ ქვეყანაში, მოიმატა მოსავალმა, რაც ამ ქვეყნის იბერიელ ქალთა დამსახურებაა. შემდეგ ფატმანი განაგრძობს:

„ჟამი ვერ ვპოვე კითხვისა ნიადაგ ცრემლთა ღვრისაგან,
თუმცა ვეკითხა: „ვინ ხარ და ეგრე გასრული — რისაგან?"
მჩქეფრად სისხლისა ნაკადი მოსდის ალვისა ხისაგან,
მას სორციელი რა გასძლებს სვეა, კიდეგანი ქვისაგან.

ვთქვი: „თუ არ ვუთხრა, რა ვუყო, ჩემგან რა მოეგვარების?
არცა რა ვიცი, რა უნდა, რა ვისგან მოესმარების;
ქმარი რა მიგრძნობს, მო-ცა-კლავს, ვეღარა მომეფარების;
ვითა დავმალო ნათელი, ვინ მზესა დაედარების?!"

ნესტანი ტარიელის მიჯნურია და ამ ქვეყანას მადლის იმ მცირე ნაწილსაც რომ აძლევს, რაც ისრაელის მნეობას უნდა ჰქონდეს, მას კაეშანი იპყრობს. ამიტომ ნიადაგ ცრემლთა დენა აქვს. ფატმანი ხედება შეხინა რომ დავანდეს, ცხოვრების წესი უნდა შეიცვალოს, რაც მხ-

ოლოდ მამაკაცებმა უნდა განახორციელონ. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ფატმანი ქმარს, აჩვენებს ნესტან–დარეჯანს, ანუ იუდეველები მუსლიმანებს ცოდნას, ბიბლიას შეასწავლიან, ხომ ბიბლიაზეა ყორანიც დაფუძნებული. და ხედავენ მისი მადლის ძალას თუ რა სიმდიდრე მოაქვს:

„რაცა მითხრა, სიკედილამდის არვის ეუთხრა სულიერსა,
არა ბერსა, არა ყმასა, მოყვარესა, არცა მტერსა".
მერმე ეუთხარ ყველაკაი უსენს, კაცსა ღმობიერსა:
„მოდი, მომყევ აქა სადმე, მო, გიჩვენებ მზისა ფერსა.

ადგა, ამყვა და წავედით, შეელენით კარნი სრისანი.
უსენ გაჰკვირდა, გა–ცა–კრთა, რა შუქნი ნახნა მზისანი;
თქვა „რა მიჩვენე, რა ენახე, რანია, ნეტარ, რისანი?!
თუ ხორციელი არისმცა, თვალნიცა მრისხვენ ღმრთისანი!

ეთქვი, თუ არცა რა მე ვიცი ამისი ხორციელობა;
რაცა არ გითხარ, მის მეტი არა მაქვს მეცნიერობა;
მე და შენ ეჰკითხოთ, ვინ არის, ვისგან სჭირს ისი ხელობა,
ნუთუ რა გვითხრას, ევაჯნეთ — ქმნას დიდი ღმობიერობა".

ეს წიგნი, მისი სიწმინდე სიბლავს ყველას. ამ წიგნით ყველა ხვდება რომ შეხინა განდევნილობაშია და თუ ყველა ისრაელი დაბრუნდება წმინდა მიწაზე, დაიცავენ ცნებებს იგიც დაბრუნდება. მაგრამ როგორ დაიცვან სრულყოფილად მისი მცნებები, არც ფატმანს და, მით უმეტეს, არც მის ქმარს, ამ შემთხვევაში მუსლიმანებს არ ყოფნით სიბრძნე, რომ ჩაწვდნენ ბიბლიის სიბრძნეს. „რაცა არ გითხარ — მის მეტი არა მაქვს მეცნიერობა";

ამის მეცნიერება აქვს მესიასთან წილნაყარ ავთანდილს. მან იცის რომ ის მისი მოძმის ტარიელის მიჯნურია. მხოლოდ ამ ორ ძმას, მესიას ავთანდილსა და ტარიელს ჰყავთ მიჯნური შეხინა ნესტანის და თინათინის სახით. მესამე ძმას ფრიდონს იგი არ ჰყავს, მაგრამ იგი ძმაა ტარიელის, ანუ აბრამის შვილია ისმაალის შთამომავალი და ასევე ძმაა ავთანდილის. ამიტომ ნესტანი ვერ გახდება სხვა ქვეყნის საპარტაძლო. ამისკენ მიმსწრაფველობა ძმობის უფლის წესების ღალატია. ამას მხოლოდ ურწმუნო მოინდომებს, იქნება ის მუსლიმანი, თუ სხვა რელიგიისა.

ნაწარმოებში ეს ჩანს იმაშიც, რომ ფატმანის ქმარი, მამაკაცი, (ამ შემთხვევაში მუსლიმანები, რომელნიც ბიბლიას სწავლობენ) მაინც ამ ქვეყნიური კანონებით ცხოვრობს. რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი გასცემს ფატმანის საიდუმლოს და მეფე ნესტანის რძლობას მოინდომებს. ანუ იმპერიულ ქვეყანას უნდა ბარაქა, თორის ძალით მცნებებს კი არ იცავენ. ბიბლია მათთვის ფასადია, საკუთარი ხელით დაწერილი კონსტიტუციებით იმართებიან, ეს ჩანს შემდეგ სტროფებში:

„დაავიწყდეს იგი ფიცნი, რა მუსაფნი, რა მაქანი!
მართლად თქმულა: „არა ჰმართებს ყვავსა ვარდი, ვირსა რქანი".

ჩვენ ვიცით, რომ მუსაფი ესაა თორაში მოცემული ლოცვანი, ხოლო მაქანი — მაშქანი უნდა იყოს, ანუ რჯულის კიდობანი, სადაც შეხინაა დავანებული. ეს გვაფიქრებინებს, აგრეთვე, ფატმანის ებრაულ ანუ იბერიულ წარმომავლობას. ამიტომაც ნესტანი ასე მიმართავს ფატმანს:

„არ ვარგვარ თქვენად დედოფლად, ჩემი გზა კიდეგანია;
მამორის ღმერთმან მამაცი, პირად მზე, სარო–ტანია!
სხვასა რას მნუკვეთ საქმესა, ჩემნი საქმენი სხვანია!
თქვენთანა ჩემი სიცოცხლე არ ჩემი შესაგვანია".

აქ მამაკაცებს აკლიათ ცოდნა და ამიტომაც მნეობა. „ჩემნი საქმენი სხვანია, თქვენთანა ჩემი სიცოცხლე არ ჩემი შესაგვანია"–ო, ანუ უფლის ნებით ხდება მისი აქ დავანება და

ამიტომაც იგი ტარიელის მიჯნურად რჩება. ამიტომ სძულს ფატმანს ისინი, ანუ ამ ქვეყნის ქალებს მამაკაცების, ცხოვრების წესი რასაც ასე გამოხატავს ავთანდილთან საუბრისას:

„სახლი და შვილი მომძულდა, ეჯდი უგულოთა გულითა,
მას ვიგონებდი მღვიძარე, რა მიეძინის ღულითა;
უსენ, გამტეხი ფიცისა, მიჩს უსჯულოთა სჯულითა,
ვერ მიშიახლის საახლოდ კრულმან პირითა კრულითა".

სახლი და შვილი, აქ ქვეყანა და შთამომავლობაა, ხოლო მისი ქმარი ტეხს ფიცს, რადგან კი შედის მეჩეთში უსენი, მაგრამ ქვეყანას არ წარმართავს ყორანით, ბიბლიის მცნებებით. ამიტომ ამბობს „უსენ, გამტეხი ფიცისა, მიჩს უსჯულოთა სჯულისა".

ეს ქვეყანა მუსლიმანურია, სადაც ნაკლებადაა ქალის პატივისცემა. მაგალითად, მრავალცოლიანობას ის მოაქვს, რომ ქალები კატორღულად ცხოვრობენ, ხოლო მამაკაცნი განცხრომაში არიან. ამ ქვეყნის ქალები ამიტომაც შეიყვარებენ იმ ქვეყნის ცხოვრების წესს, საიდანაც ავთანდილია... ამიტომ გულით იყვარებს ფატმანი ავთანდილს, მისი ზნეობის, მისი ცხოვრების წესის მიჯნური ხდება. ქალებთან სხვანაირ მოპყრობას, მათ ნივთად ჩათვლას მოაქვს მათი წყრომა. ისინი ხომ ჩვენი შვილების შეციური დედები არიან.

მხოლოდ იბერი, ქრისტიანი, ებრაელი, მუსულმანი არ იკადრებს ამას. მათ რაინდული სული გენეტიკურად მოსდევთ, ისინი მონოთეისტები იყვნენ, მანამდე, სანამ რელიგიები შეიქმნებოდნენ, ამიტომაც არის განსაკუთრებული, როგორც იბერიული მოდგმის ქრისტიანობა, ასევე მუსულმანობა და იუდეველობაც. აქ არის ამ რელიგიათა შერწყმა ადამიანებში გენეტიკურად ჩამოყალიბებულ სიყვარულთან. ყალიბდება ისეთი ცხოვრების წესი, რომელიც ბიბლიის მიძღები ტარიელისთვის მისაღებია. იგი, ტარიელი, სულიერად, გენეტიკურად იბერიელი, ვერ გუობს ისეთ ქრისტიანობას და მუსულმანობას, სადაც სუსტი სქესისადმი არ არის რაინდული, ჭეშმარიტი სამიჯნურო დამოკიდებულება. როცა ერთ კაცს რამდენიმე მიჯნური ჰყავს. ითრგუნება ქალში დედის ნაპერწკალი, უშნეობა იმარჯვებს. ქალებთან ასეთ მოპყრობას ყველა ქვეყანაში ქალები მეძავეობამდე მიჰყავს.

ნაწარმოებში ფატმანის მიერ ქმრის ღალატში კაცების მიერ დაწესებული ცხოვრების წესის ღალატი უნდა ვიგულისხმოთ. ქალები ვერ ღალატობენ უფალს. ჯერ კაცები ღალატობენ ბიბლიის მცნებებს, რაც ჩანს ნაწარმოებში, როცა ქმარი ტეხს ფატმანისადმი მიცემულ ფიცს, არად აგდებს მის ცრემლებს. ფატმანს სურს, რომ ქმარმა მცნებებით იცხოვროს, მან კი დაიწყო ისე ცხოვრება, როგორც მეფეს სურდა. მეფის სურვილი კი ადამიანის მიერ დაწერილი კანონებით ცხოვრებაა. მეფე ამ შემთხვევაში ბოროტების გეო-პოლიტიკაა ანუ არ იცავენ მცნებებს და ქორწილი გამორიცხულია რადგან შეხინა არ მისცემს ბარაქას. ამგვარად ქმრები ტეხენ ფიცს, არ ცხოვრობენ ღმერთის კანონებით.

შედეგად მოხდა ის, რომ დაკარგა ფატმანის ქვეყანამ შეხინა. იგი უფრო მეტად მავნებელ იმპერიულ ქვეყანაში ქაჯების ტყვე აღმოჩნდა. ეს ქაჯები ის ქვეყანაა, ანუ ამერიკა, რომელიც ყველაფერს გააკეთებს, რათა ყველაზე მდიდარი იყოს. ანუ ეხლა ის ცდილობს შეიპყროს და იგი გაამდიდროს შეხინამ. იგი დღევანდელი ომითაც ჰუსეინთან ხომ მდიდრდება. ეს არ მოსწონს რა თქმა უნდა ნესტანს. ეს შეპყრობაა მოყვანილი ქვემოთ.

„რომაქ გვიბრძანა: „ნუ ჰკითხავთ, აწ თურე არ–სათქმელია,
ამისი საქმე უცხოა, საამბობლადცა ძნელია;
ბედი მეფისა ჩვენისა არსთაგან სანატრელია,
მით რომე ღმერთი მას მისცემს, რაც უფრო საკვირველია."

### ცოდნა და ზნეობა გზაა, აგრეთვე ქაჯთა – მეცნიერთა – ბოროტთა შეცნობა დამარცხებისა

ამგვარად, სიკეთის დოყლაპიობის გამო, ღმერთი ბარაქას ბოროტებას აძლევს, რაც საკვირველია. მართალია, ნესტანი მათი ვერ გახდება. მაგრამ დროა ბოლოს და ბოლოს, გამოიღვიძოს სიკეთემ და ბოროტების დასათრგუნად გაერთიანდეს. ამ ბოროტებას ჩვენ ადამიანები

ვერ ეხელებით, რაც კარგად ჩანს იმ სტროფში – როცა ავთანდილი ეკითხება ფატმანს ქაჯეთის წარმომავლობის შესახებ:

„ფატმანს უთხრა: „საყვარელო, კმა ხარ ჩემგან სასურველად,
მე ამბავი სანატრელი მომასმინე არ პირ–ბნელად,
მაგრა საქმე ქაჯეთისა გამაგონე უფრო მრთელად,
ქაჯი ყველა უხორცოა, რამან შექმნა ხორციელად?

მის ქალისა სიბრალული ამანთებს და მიდებს ალსა,
მაგრა ქაჯნი უხორცონი რას აქნევენ, მიკვირს, ქალსა?!"
ფატმან უთხრა: „მომისმინე, მართლად გხედავ მანდა მკრთალსა,
არ ქაჯნია, კაცნიაო, მინდობიან კლდესა სალსა.

ქაჯნი სახელად მით ჰქვიან, არიან ერთად კრებულნი,
კაცნი გრძნებისა მცოდნელნი, ზედა გახელოვნებულნი,
ყოველთა კაცთა მავნენი, იგი ვერვისგან ვნებულნი;
მათნი შემბმელნი წამოვლენ დამბრმალნი, დაწბილებულნი."

„კაცნი გრძნებისა მცოდნელნი, ზედა გასხელოვნებულნი", ისინი ყველას ავნებენ, მათ კი მართლაც ვერავის ავნებს. რატომ? სიკეთეს ხომ ვნება არ შეუძლია. კეთილი ვნებს არ აღურევს, ბოროტი კი ცდილობს ყველა დააპირისპიროს, გათიშოს კეთილთა ერთობა. ისინი კი ყოველთვის ერთიანდებიან და იმარჯვებენ, „არიან ერთად კრებულნი".

როგორც ზ. გამსახურდია აღნიშნავს (იქვე, გვ. 275), სტრიქონში „დავარს დასა მეფისასა უთხრა ვინმე ღმრთისა მტერმან". შავი მაგიის ეს ადეპტები „ღვთის მტრებად" არიან მოხსენიებულნი. ამგვარად, ქაჯებში იგულისხმება დღევანდელი სამყარო, ანუ ბოროტების გეოპოლიტიკა, წიგნში, ამ გეოპოლიტიკის მსახური – თანამედროვე მეცნიერების მიღწევაცაა აღწერილი:

„იქმან რასმე საკვირველსა, მტერსა თვალსა დაუბრმობენ,
ქართა აღსძრვენ საშინელთა, ნავსა ზღვა–ზღვა დაამხობენ,
ვითა ხმელსა გაირბენენ წყალსა, წმიდად დააშრობენ,
სწადდეს – დღესა ბნელად იქმან, სწადდეს – ბნელსა ანათობენ."

დაბოლოს, ისინი რომ ხორციელნი არიან, ესეც აღნიშნულია:

„ამისთვის ქაჯად უხმობენ გარეშემონი ყველანი,
თვარა იგიცა კაცნია ჩვენებრვე ხორციელანი".
ავთანდილ მადლი უბრძანა: „ცეცხლნი დამივსენ ცხელანი,
დიდად მეამნეს ამბავნი, სიტყვანი აწინდელანი".

ამ სტროფებში აღწერილია ის, რაც დღეს ხდება – სიკეთის მიერ მტრის – ბნელის შეცნობა. რადგან ეს ბნელი ძალები მეცნიერულად ისე განვითარდნენ, რომ ბნელს, რასაც თვითონ ჩადიან, ხშირად ნათლად წარმოგვიდგენენ, ვითომ ხალხის ერთგულნი არიან. იღვწიან მხოლოდ იმისთვის ფული რომ დააგროვონ ყველაზე მეტი. ამიტომაც სიბნელის განათებაც შეუძლიათ ატომური ელექტროსადგურებით. ეს განათება კი ეკოლოგიური კატასტროფის მომტანია. მდინარეები რომ არ დააშრონ, უფრო დიდი განათება იქნება. მათმა გამეცნიერებამ მართლაც დააშრო წყლები, გაიკაფა ტყეები, უამინდობაა და ეკოლოგიური კატასტროფებია ყველგან და ეს ყველაფერი ვითომ მეცნიერებაა – ინტელექტუალური განვითარებაა. ჩვენ ვიცით, რომ ამ ინტელექტუალებმა ჯერ ისრაელი დაამხეს, დღეს კი საქართველოს ამხობენ.

ასეთ ინტელექტუალებზე სწუსან სამყაროს ქალები. ისინი მათი ქმრები არიან. ავთანდილი ასე ეუბნება ფატმანს, როცა ფატმანის მიერ მოძულებულ მამაკაცს მოკლავს, ანუ შეცვლის ცხოვრების წესს:

„ავთანდილ უთხრა: ნუ გეშის, წიგნსაცა აგრე სწერია,
მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია;
არ მიენდობის გულითა, თუ კაცი მეცნიერია,
ნუღარ იმიშეი იმისგან, აწ იგი მკვდართა ფერია."

ამგვარად, დღევანდელ სამყაროში ბოროტი გეოპოლიტიკის წარმმართველი არის ყველა ის მეცნიერი, ვინც თორაში–ბიბლიაში არ იხედება. მისი მცნებებით არ ცხოვრობს. არ არსებობს იმაზე დიდი მეცნიერება, რაც ამ წიგნშია – კაბალამია. სამყაროს ქმნადობა უფლის მიერ მისი უსასრულო ჩვენთვის მიუღწეველი ცოდნით მოხდა, რომელიც სიყვარულზე, ბარაქაზე, სიკეთეზეა აგებული. მთელი მეცსიერება რომ შეაერთო, იმაზე მეტს და მარგებელ საქმეს ვერ მოიყვანს, რომელსაც აწარმოებდა ქართველი კაცი მცნებათა დაცვით. ეს მეცნიერნი ფინანსდებიან იმისთვის, რომ ერთი გამდიდრდეს, ათასები გაღარიბდეს და ყიდიან სულს. ამ ე.წ. მეცნიერთა, სხვა ინტელექტუალთა ხელშეწყობით მოხდა საქართველოში პუტჩი და ეროვნული მთავრობის დამხობა.

ავთანდილი დევნის და ამარცხებს ფატმანის ქვეყანაში ამნაირ მეცნიერებს. ამგვარად, ავთანდილმა იცის, რომ ბოროტება სამყაროში ყოველი ადამიანის უმნეობის შედეგია. იგი მადლს სწირავს გამჩენს, რომ საქართველო დღესაც კეთილია. ამიტომ ის დღენიადაგ ცრემლთამდენელი, ანუ მადლის მკეთებელია:

„გულითა ღმერთსა ადიდებს ავთანდილ ცრემლთა მდენელი;
თქვა: „ღმერთო, გმადლობ, რომელი ხარ ჭირთა მომალხენელი;
ყოფილი, მყოფი, უთქმელი, ყურთაგან მოუსმენელი,
წყალობა თქვენი იჩქითად არს ჩვენი გარდმომფენელი!"

„ავთანდილ ცრემლთა მდენელი", ავთა მდევნელი და მადლის მდენელია. ნაწარმოებში ჩანს, რომ ავთანდილის გამიჯნურობა ფატმანთან თინათინისადმი ღალატი კი არ არის, არამედ თინათინის დავალების აღსრულებაა ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ მიჯნურობით მან მიაღწია იმას, რომ ფატმანი, რომელიც მიისწრაფვის ავთანდილის, ანუ სულიერი მიჯნურისაკენ და ავთანდილისეული ცხოვრების წესის დანერგვისაკენ, იმარჯვებს, რაც იმაში ჩანს, რომ ავთანდილმა ფატმანს ბეჭედი გადასცა, რომელიც ნაწარმოებში უმნეო კაცს, ანუ ქაჯთ აქვთ. ახლა უკვე მმართველობა ფატმანის მნეობის ხელში გადადის. აღარ არიან ცრუ მეცნიერნი – მოგვები – ქაჯნი. ამიტომაც მადლს აურქვევს ავთანდილი ფატმანის ქვეყანაში მნეობრივი ცხოვრების წესის – დანერგვით. ამით მდიდრდება ფატმანი, მაგრამ, რა თქმა უნდა, იგი თინათინამდე ვერ მივა, რაც ჩანს შემდეგ სტროფში:

„მუნ ცრემლნი, მისგან ნადენნი, ქვათაცა დასალბონია;
გიშრისა ტევრი აგუბებს, ვარდისა ველსა ფონია;
ფატმან მას ზედა იხარებს მართ ვითა იადონია.
თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია."
მთავარი აქ კიდევ ის არის რომ ავთანდილმა უკვე იცის, როგორ იმოქმედოს. საქართველო იღწვის თავის წესის აღდგენისათვის. დგება დრო, რომ ცოდნამ, სულიერებამ გაიმარჯვოს.

## სიკეთის დანერგვა, განათლების შეტანა ფატმანის ქვეყანაში უფლის ნებით გზაა შეხინის ადგილსამყოფელის შეცნობისა

„ავთანდილ თქვა: „საქმე ჩემი გავაცხადო ამა დღესა!"
სამოსისა ვაჭრულისა ცმა აქამდის დავწყესა;
მას დღე ყოველი საჭაბუკო შეიმოსა ტანსა მხნესა,
მოიმატა დაშვენება, დაემსგავსა ლომი მზესა.

ფატმანს პური შეეკაზმა ავთანდილის საწვეველად;
ყმა შეეიდა მოკაზმული მხიარულად, არ პირ–ბნელად;

ფატმან ნახა, გაუკვირდა ვაჭრულისა უმოსელად,
შემოსცინნა: აგრე სჯობსო შენთვის ხელთა სასურველად".

ფატმანს მოსწონს ავთანდილის ახალი სამოსელი. ეს რომ ავთანდილის სულიერი მისწრაფებაა, ბოლო სტროფში ჩანს. ამიტომ იხსნება ავთანდილი ბოლომდე, თუ ვინ არის და რატომ უყვარდა ფატმანს მისი მნეობა—ცხოვრების წესი.

„პური ჭამეს, გაიყარნეს, ყმა მივიდა მისსა შინა,
ღვინო—სმული, მხიარული დაწვა, ამოდ დაიძინა;
საღამო—ჟამ გაიღვიძა, შუქი ველთა მოაფინა,
ფატმან უხმო: „მოდი, მნახე, მარტო ვარო, თავის წინა".

ფატმან მივიდა, ავთანდილს ხმა ესმა მისგან ოხისა;
იტყოდა: „მომკლავს უცილოდ, ტანი ალვისა, მო—, ხისა!"
გვერდსა დაისვა, ბალიში მისცა მისისა ნოხისა,
ვარდისა ბაღსა უჩრდილობს, ჩრდილი წამწამთა ქოხისა.

ავთანდილ ბრძანა: „ჰე ფატმან, ვიცი ეს საქმე შენია,
დაპკრთები ამა ამბავსა, მართ ვითა ვეელ—ნაკბენია,
მაგრა აქამდის მართალი შენ ჩემი არა გსმენია
ჩემნი მომკვლეველნი წამწამნი, მავნი გიშრისა ხენია."

ბოლო სტროფი გვეუბნება, რომ ავთანდილის აზრით, უკვე დროა დაფარული ჭეშმარიტების გამომჟღავნებისა — სწორი ცხოვრების წესის ქართული მიწათმოქმედების აღდგენის, სადაც მნეობა და სიყვარულია. ამიტომ აქვს თინათინს ავთანდილის მიჯნურობა და ავთანდილს — ქართული ცხოვრების წესს — თინათინის. ავთანდილი განაგრძობს:

„გგონივარ ვინმე ვაჭარი, პატრონი ქარავანისა;
მე ვარ სპასპეტი მაღლისა მეფისა როსტევანისა,
თავადი სპისა დიდისა, მათისა შესაგვანისა,
მაქვს პატრონობა მრავლისა საჭურჭლე—ზარადხანისა.

შენ იცი კარგი მოყვარე, ერთგული, მისანდობელი,
მათ უვის ერთი ასული, მზე ხმელთა მანათობელი,
იგია ჩემი დამწველი და ჩემი დამადნობელი,
მან გამომგზავნა, დავაგდე პატრონი, მათი მშობელი.

რომე შენ ქალი გყოლია, მე ძებნად მისვე ქალისად
მიელია ყოველი ქვეყანა, მის მზისა მონაცვალისად;
მისთვის გაჭრილი მინახავს, წვეს ლომი ფერ—ნამკრთალი სად,
გამცუდებელად თავისად, მის გულისა და ძალისად".

„სპასპეტი მაღლისა მეფისა" — დიახ, სიკეთის ლაშქარია ქართველობა, იბერიული მოდგმა — მაღლისა ღმერთისა წარგზავნილნი, ელჩნი — ხოლო ავთანდილი მისი სარდალი.

„შენ იცი კარგი მოყვარე, ერთგული მისანდობელი", ე.ი. შენ იცი — ქართული ცხოვრების წესი, ანუ იბერიული მოდგმა, რომელსაც ჰყავს „ერთი ასული, მზე ხმელთა მანათობელი" და მისი დავალებით წამოვედიო. ამგვარად, თინათინი და ნესტანი ორივე მანათობელი მეხინაა, ერთი კავკასიის იბერიელთათვის, მეორე ისრაელის იბერთათვის, ანუ იუდეველთათვის.

შემდეგ იგი მოყვება ტარიელის ამბავს და იწყებს საქართველო თავის მისიის აღსრულებას. მან ერთი დიდი მისია აღასრულა: აღიდგინა რა პირვანდელი სახე, ანუ ის მიწათმოქმედების წესი, სიმდიდრე რაც შეენოდა მას, ეს წესი ნაწილობრივ დანერგა იმ ფატმანის ქვეყანაში, სადაც მრავლად ცხოვრობენ იბერიელნი — ებრაელნი — ქართველნი. ამიტომაც შემდეგ უფრო იმ დიდ საქმეში შეეწევა მას გამჩენი — რასაც შეხინის პოვნა ჰქვია. ანუ ქართველი იწყებს ახალ ერას. იმარჯვებს სიკეთე ბოროტებაზე, სულ სხვა ქვეყანაში, და ეს ქვეყანა რომ იმპერ-

იულია. ესეც ნიშანდობლიეია, რადგან ისინი წარმართავენ გეოპოლიტიკას. ამიტომაც იგი ღირსი ხდება, რომ უფლის შემწეობით ნესტანის ადგილსამყოფელი გაიგოს.

ამგვარად, ყველაფერი დაფარული სიკეთის მიერ იკითხება, თუ რა არის ბოროტების საფუძველი და რატომ არის ნესტანი მისი ტყვე. რა უნდა გაკეთდეს, რომ გამოიხსნას იგი. აქ მთავარია, რა თქმა უნდა, სამი რელიგიის ერთობაა იმ მეცნიერთა წინააღმდეგ, რომელნიც უფლის მცნებათა საპირისპირო, ქაჯების ცხოვრების წესს ქმნიან. ფატმანის მეშვეობით ავთანდილი ნესტანსატყობინებს, რომ მიხედნენ ყველაფერს თავიანთ შეცდომებს და იწყებენ ქმედებას, რათა მნეობრიობამ უმნეობაზე გაიმარჯვოს.

„ფატმან თქვა: „ღმერთსა დიდება, საქმენი მომხედეს, მო, რანი,
დღეს რომე მესმნეს ამბავნი, უკვდავებისა სწორანი!"
მოჰგვარა მონა გრძნეული, მავი მართ ვითა ყორანი;
უბრძანა: „ქაჯეთს გამგზავნი, წა, გზანი გისხენ შორანი!

აწ გამოჩნდების სახმრობა ჩემთვის შენისა გრძნებისა,
ფიცხლა დამივსე სახმილი შენ ჩემთა ცეცხლთა გზნებისა,
მას შმესა ჰკადრე მიზემი მისისა განკურნებისა".
მან უთხრა: „ხვალვე მოგართვა ყოელი ამბავი ნებისა".

## მეხინა იეფეტელს, მედიატორს, ელიას სულის გამგრძელებელს– ავთანდილს სწორ ცხოვრების წესს მართლაც ნატრულობს.

ხოლო, როცა ნესტან–დარეჯანი ფატმანისგან შეიტყობს, რომ მას ავთანდილი ეძებს, იგი სწერს:

„ვინცაღა ჩემი მძებნელი მოსრულა, ცუდ–მაშვრალია,
იჭირვის, იწვის, ენთების, ჩემი სწავს ცეცხლებრ ალია,
მაგრა მას ენატრი, უნახავს მზე, ამად არ–დამზრალია,
უმისოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე, რა დიდი ბრალია!"

რატომ შენატრის ნესტანი ავთანდილს? იმიტომ, რომ ჯერ ერთი ის არის ბუნებით მედიატორი, მოყვასთა რელიგიათა შემაერთებელი. ამავე დროს მან იცის პრაქტიკული მიწათმოქმედების გარეშე, ის, რაც საქართველოში ჯერ კიდევ არის, ბიბლიის მცნებანი ვერ დაინერგება და ჰარმონიული სამყარო ვერ შეიქმნება, რაც მესიის გამოვლინების წინაპირობაა. მეხინა ელოდება იმ იბერიულ ცხოვრების წესის აღდგენას, რაც ისრაელმა დაკარგა და რომელიც უნდა აღადგინოს იმ მოდგმამ – იმ ქვეყანამ, საიდანაც გადავიდნენ მისი მკვიდრი მცხოვრებნი, ისრაელის მიწაზე და სხვა ქვეყნებშიც. ანუ ისტორია ისევ უნდა განმეორდეს. ამიტომაც უიმისოდ, ამ წესის გარეშე მეხინა ვერ შეუღლდება ტარიელთან. შემდეგ ნესტანი წერს ტარიელს:

## მეხინა კარნახობს უფლის ნებით ტარიელს როგორ მოიქცეს

„ხედავცა, ჩემო, სოფელი რათა საქმეთა მქნელია!
რაზომცა ნათობს სინათლე, ჩემთვის ეგრეცა ბნელია.
ბრძენნი იცნობენ, სწუნობენ, მით მათგან საწუნელია;
უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე, რა დიდი ძნელია!

შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად,
გულისა ერთობ წყლულისა და ასრე დადაგულისად!
მომიგონებდე, გახსოვდე მე შენთვის დაკარგული სად;
ვმი მმრდელად სიყვარულისა მის, ჩემგან დანერგულისად."

ახლა რომ მათბობს სინათლე, ანუ რაც ბარაქაა მზისგან, უფლისგან მოცემული, ეს ძალიან ცოტაა. ასეთი წესი მისთვის სიბნელეა. ასეთი ცხოვრებით შეხინა არ დაუბრუნდება ისრაელს. მას უნდა ტარიელის — ბიბლიის ცხოვრების წესის აღდგენა.

ებრაელები მართლაც ოცნებობენ შეხინის დაბრუნებაზე და იციან, რომ ის ყველა მორწმუნე ებრაელთანაა, აძლევს ბარაქას დღეგრძელობისა, თუკი იცავს მცნებებს. ამიტომ, მხოლოდ სიყვარულის მზრდელია. და მაშინ დაბრუნდება, თუ მან გაზარდა სიყვარული ისრაელში და როცა ყველა ისინი ამ სიყვარულით იქნებიან ერთიანი, შეიკრიბებიან და ჩავლენ ერეც–ისრაელში. ახლა გავიხსენოთ რომ ეუბნება თინათინი ავთანდილს — შენ ზრდა გაქვს სიყვარულისა ჩემგან დანერგილისა. ანუ ორივე მდედრობითი არსი სიყვარულს ნერგავს. ეს მისია მთავარი სიხარულია უფლის, იუდეველთათვის გასაზრდელია ის სული, გენეტიკა სიყვარულისა, რაც იბერიელებს გააჩნიათ. შემდეგ იგი განაგრძობს:

„სხვად, ჩემო, ჩემი ამბავი ჩემგან არ მოგეწერების;
ენა დაშვრების, მოსმენით არვისგან დაიჯერების.
ფატმან წამგვარა გრძნეულთა, ღმერთიმცა მას ეტერების!
აწ კვლა ქმნა იგი სოფელმან, რაცა მას შეეფერების.

აწ სოფელმან უარესი ჭირი ჭირსა მომისართა,
არ დასჯერდა ბედი ჩემი მათ პატიჟთა მრავალ–გვართა,
კვლაცა მიმცა შესაპყრობლად ქაჯთა, ძნელად საომართა;
ბედმან გვიყო ყველაკაი, ჩემო, რაცა დაგვემართა!"

## მსგავსი მსგავს შეუერთდება უცილებელი კანონია უფლისა

ქაჯეთში ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ ბოროტთა აპოგეა — მათი ზეობა და დასასრულის დასაწყისი, რადგან რელიგიათა და ეროვნებათა შორის დაპირისპირებაა. ამერიკის, ევროპის ე.წ. მოწინავე ქვეყნების პოლიტიკის გამო, ძნელია ამ ქაჯთა მორევა. ამგვარად, იგი იმ დღეშია, რასაც იმსახურებს ჩვენი ქცევა.

მაგრამ სამყაროს უცილობელი კანონია, ერთგვაროვანი სხეულები ერთმანეთისკენ მიილტვიან, რადგან მათ შორის ყოველთვის არის კავშირი. რომ ეს ღმერთის მიერ არის ცნობილმა მეცნიერმა ვავილოვმა ჯერ კიდევ კომუნისტების დროს სთქვა. ამავე დროს ყველაში არაორგანულ სამყაროს ყველა ნაწილში არსებობს უფლის ნაპერწკალი და ისინი მოქმედებენ ცვლილებას. განიცდიან უფლის გეგმით. აი აქ ჩანს რომ არსებობს ღმერთი ამ კავშირის შემქმნელი, ამიტომ შეერთდება სიკეთეც, სხვადასხვა ქვეყანაში გარდასული იბერიელნი.

ყველამ უნდა იცოდეს ეს კანონი!

ბოროტნიც ერთმანეთან ერთდებიან შედეგად ნათლად ჩანს რას გვაძლევს მათი — ქაჯთა ერთობა.

უფალმა ისე შექმნა სამყარო რომ მისი შექმნილნი მსგავსნი ურთიერთისკენ რომ მიილტვიან შეერთებისას სიკეთეს ჩადიან. გასცემენ ჰარმონიისთვის, სიწმინდისთვის.

მიზიდულობა დედამიწისაკენ ეს მატერიალური სამყაროს კანონია. ჩვენ კი სულიერი სამყაროს კანონი უნდა დავიცვათ. ღვთიური სული რომელიც ადამიანის ტვინშია, მიილწევს უფლისაკენ, რათა შეერწყას მას, იმოქმედოს მისი კანონით ბიბლიით, მაგრამ არის ცხოველური სული, რომელიც გულის მარცხენა მხარესაა. მას მხოლოდ საკუთარი მე-ს განდიდება აინტერესებს. უცოდინარე ადამიანის ბუნება ყვება ამ მეს. იტანჯება ღვთაებრივი სული და ადამიანიც განსაკუთრებით სიკვდილის შემდეგ. მისი სული ვერ ერწყმევა მსგავს, რომ იყოს სამოთხეში. მისი მსგავსი ჯოჯოხეთი ხდება. დღეს მთავრდება სულთა გამორჩევის პროცესიც. ცოდნა მიეწოდება ყველას და შეერთდებიან მსგავსნი. როცა ცოდნა იქნება ორივე მხარეს, მაშინ ძალიან მშიშარი უღონო ხდება ბოროტი, ხოლო კეთილი მომძლავრებული, ღვთიური შუქით განათებული. შუქი ბნელს ადვილად ამარცხებს აქრობს, რამეთუ ალი ნათელი ღმერთისკენ მიილწვის, იქედანაც ენერგია, მადლი მოეფინება ქვეყანას და იკრება წრედი შემოქმედთან. ამგვარად, სულიერი სამყაროს კანონია ურთიერთ მისწრაფება. ზევიდან ჯერ სიყვარული, სიკეთე, ნათელი ენერგია ჩამოდის და ადის აქედანაც სიყვერული, სიკეთე, ნათელი ანუ არაფერი არ იკარგება. გაძლევს უფალი იმდენ სიკეთეს, რომ გასცე, აკრძალული სხვისი არ მიითვისო.

ამისათვის სული შენი ზეცისკენ უნდა მიისწრაფვოდეს. ის ვაშლიც ნიუტონს თავზე, რომ დავცა უფლის მადლის ნაყოფია.

ამგვარად, რაც მეტია სიყვარული უფლისა მით მეტია მადლი. რწმენა მცნების დაცვა, რომელიც ადის ზეცაში ზრდის მადლს ანუ მატერიალურ სიუხვეს ზეციდან ენერგიით — ფოტოსინთეზით ბოძებულს. რაოდენობა ამ მადლისა განუსაზღვრელია. მაგალითად, ბიბლიით ცნობილია რომ სანამ იქნებოდა წარღვნა ერთი წლის მოსავალი 40 წელს ყოფნიდათ. ხოლო ედემში მუშაობა თითქმის არ იყო საჭირო. საჭიროა გამოყოფილზე გამრავლება, სხვა ქვეყნების ტერიტორია შენი არ არის.

წყალი ზეციდან მიწას რომ ბარაქას მისცემს, შემდეგ შეუერთდება, მდინარეთ, ზღვად გადაიქცევა. მცენარეებს, ცხოველებს, ადამიანებს ამარაგებს წყლით. დალევთ წყალთან და უმალ იმ წყლის გამოყოფა მოგინდებათ, რაც სხეულში გაქვთ, რათა შეუერთდეს მსგავსს. ის იწვევს ორგანიზმის მუდმივმოქმედებას ანუ ფუნქციონირებას უჯრედების განახლებით — თუ თქვენ ამავე დროს საკვებით იკვებებით ამ საკვებით მიღებული ცილებით, ნახშირწყლებით და სხვა. მიმდინარეობს, შეერთება მსგავს ნივთიერებებთან და მათი შეცვლა. შეცვლილნი კი წყლის მოხმარებით გამოვყოფიან განახლებულ ორგანიზმს, თქვენ კი იწმინდებით შლაკებისგან. ეს თქვენი გამონაყოფი საკვებია მცენარისთვის, ცხოველისათვის. წყალი კი ისევ ზეცაში ადის რათა იგივე გაიმეოროს.

იგივე ითქმის გამოყოფილ ჰაერზე. ტყეში, სადაც ჰაერი სუფთაა, გამოყოფთ ნახშირორჟანგს ის მაღლა ადის მცენარეს არგებს, ისუნთქავთ ჟანგბადს.

მიწაც ასეა, ცოტა ცოტას შეუერთდება და მცენარეს წარმოშობს. ენერგიაც, რომელსაც ქართულად მადლი ჰქვია, მსგავსისკენ ანუ ვინც თორის მცნებებს იცავს ზრქობა აქვს იმისკენ, მიდის უფლის — მდიდრობითი არსის მიერ. ადამიანისთვის ეს არის ჯანმრთელობის და მოღვაწეობის ენერგია, მიწისათვის მოსავლის გაზრდის ენერგია. და მცენარეც მიიღწევს ზეცით და განა ესეც მადლი არ არის, რამეთუ ის ზნეობრივ ნამატს, სიმდიდრეს ამ მადლით სრულად გასცემს.

ვემცემნი, შემი და იაფეტი — ტარიელი და ავთანდილი — ებრაელნი და ქართველნი ფრიდონიც და საერთოდ იბერიელნი თორის ენის სიწმინდის დამცველნი, სამშობლოს მამულის მოყვარულნი ურთიერთს უერთდებიან, მხოლოდ ასწავლიან, ამდიდრებენ ერთმანეთს თორის სიბრძნით და აქვთ სულის ჰარმონია.

მცენარენიც გაამრავლებენ ნაყოფს, თესლს; მიილტვიან ურთიერთისკენ და ერთიანობა აქვთ, ჰარმონიაა ზვრებში, მიდამოებში. ასეა ცხოველნიც. ისინი მათთვის გამონაყოფ ტერიტორიაზე არიან და ერთმანეთს არ მტრობენ, ურთიერთს ამრავლებენ. სუსტი ცხოველი ყოველთვის აგდებს ძლიერს თუ მის გამოყოფილ ტერიტორიაზე შეიჭრა.

ამგვარად, ყველას სიყვარული ჰკრავს და ჰარმონიაა. ამავე დროს თანაფარდობაა სამყაროს ოთხივე ელემენტს შორის და ამიტომაც ზეობს სიყვარული მათ შორის. მიისწრაფიან ერთმანეთისკენ სიყვარულით, რათა ადამიანის მოქმედების გამო მათი დაბინძურება აღიკვეთოს. ამაში ერთმანეთს ეხმარებიან. წყალი ჰაერიდან მტვერს ჩამორეცხავს. მიწას ქიმიკატებს აცილებს, ჰაერი მიწას, წყალს ამდიდრებს მინერალებით და სხვა. ადამიანიც მიილტვის ადამიანისკენ და თუ ქვეყანაში გაყოფა — თანაფარდობა არ არის, იკარგება სიყვარული ატყუებს მოყვასს. ვითომ მეგობრობს მასთან, სინამდვილეში კი ყოველი, კაპიტალისტურ ქვეყანაში მისი კანონებით მცხოვრები ცდილობს დაამონოს მოყვასი და ის იქცეს მის გამდიდრების წყაროდ. ვინც გაყოფა იცის, სიყვარული აქვს, მიილტვის ურთიერთისკენ, რათა გასცეს.

ამიტომ უყვართ ქართველებს გაცემა, რაც დიუმამაც აღნიშნა. უყვარს ებრაელთ, ყველა იბერიელს გაცემა და მალე მსგავსებს, იბერიელებს შეართებს უფალი. უმსგავსონი, უზნეონი კი დაისჯებიან ისე, როგორც „ვეფხისტყაოსანშია" ცოტა ქვემოთ მოცემული.

## „შიში იქმს სიყვარულსაო", ანუ იბერიულობას მხოლოდ განათლებით-ცოდნით

ეს დასჯა რომ არ მოხდეს ყველა სიკეთისკენ დროზე უნდა შემოტრიალდეს, აღნიშნული კანონით მსგავსი მსგავსს შეუერთდება. ვისაც იაფეტის შემის სულ აქვს ერთად დადგებიან. მაგრამ ყველა იბერიელი უნდა გახდეს. როგორ? პირველ რიგში უფლისა უნდა მოიშიშო.

რატომ იქმს შიში სიყვარულს? საერთოდ ადამიანში სიმპათიას ან შურს იწვევს მასზე ძლიერი ცოდნით, ღონით, სიკეთით ან ფულით, სიმდიდრით, სხვა განზომილებებით. კარგია თუ ქვეყანაში ცოდნა სიკეთე ჭარბობს. თუ ბოროტება ზეობს და ადამიანი გაუნათლებელია, მაშინ იგი მოშიში ხდება მისი. ამიტომ ფიქრობს ის, რომ არ შეეშინდეს მისი, ისიც გასდეს ძლიერი. თუ შენ გეშინია ბოროტის ანუ დღევანდელ ხელისუფლების, რაც ურწმუნოთათვის რეალურია (ამიტომ შექმნეს ურწმუნო ეპოქა საქართველოში) სხვა გამოსავალი არა გაქვს და მიილტვი შენც სიძლიერისაკენ ბოროტებით. ადამიანთა დამონებით აკეთებ ფულს და გიყვარდება ფული, ბოროტება. ამავე დროს სწავლობ ბოროტებას, უზნეობას, თანამედროვე მეცნიერებას.

მაგრამ ასე უზნეობას ჩადიხარ, სული შენი ღარიბია, რადგან ცილდები შემომქმედს, (რომელსაც უყვარხარ) და სუყველაფრის გეშინია. გეშინია იმიტომ რომ მიილტვი არა იმისკენ ვისაც უყვარხსარ, არამედ იმისკენ ვინც გჩაგრავს. სამყარო კი სიყვარულზეა დაფუძნებული. ამიტომ გრძნობ ბოროტი, გამომძალველი, მატყუარა კაცი შენს აღსასრულს. გამოსავალი ერთია. თუ შენ გეშინია მშობლის, ის სიკეთეს გასწავლის, შეიძლება უზნეო მშობელმა ბოროტებაც გასწავლოს, რათა თავი შეინახო. ეს ახასიათებს კაპიტალისტურ სამყაროს, მშობლებს. ქართველი – იბერიელი მშობლების შიშით კი სიყვარულით იქმნება. რატომ? ჩვენში ყველა მშობელი კეთილია, ამიტომ ვამბობთ „შვილი მტრულად გაზარდე, მოყვარედ გამოგადგება“ მითუმეტეს თუ გეშინია გამჩენის, შენ მიილტვი სამყაროში უსასრულოდ კეთილის, ძლიერის ყველას მოყვარე, სიმართლით მოსამართლე შემწყნარებელის გამჩენის თვისებისაკენ. ანუ სწავლობ თორას. იმას კი მიჰყავხარ უსასრულო სიყვარულისკენ. ანუ შიშით ინერგავ, არა ბოროტებას, სიყვარულის, ზნეობის სწავლას. რაზეც დგას სამყარო. რაც რეალურია ჭეშმარიტებაა და მუდმივია.

ბოროტება კი დროებითია და მალე გაქრება. გაქრები შენც, ბოროტებისკენ მიმსწრაფველიც და ამიტომაც ნელნელა მიილტვი გამჩენისაკენ ძლევ შიშს უფულობისა, სიღარიბისა. მერე ხვდები რომ ამით შენ სული გააწვალე, გასტანჯე რადგან შენ მოიპოვე ნამდვილი შიში. დროზე უნდა მოეგო გონს. და რაც უფრო ახლო მიხვალ უფლის ამ უსასრულო სიყვარულთან, მით უფრო ნაკლები გაქვს შიში. იმიტომ რომ გამჩენს საერთოდ არავის შიში არ აქვს, ეს მისი ემინიათ გულბოროტებს.

ამგვარად, ბიბლიის სწავლა არის სიყვარულის სწავლა გამჩენისა. ამ ორი განზომილების გაზრდა გამჩენის შიშის და სიყვარულის პირდაპირ პროპორციულია სხვა ყველანაირი შიშის შემცირებისა. აი ამოცანის ამოხსნა როგორ მოიცილოს კაცობრიობამ შიში. იცხოვრონ ჰარმონიულ სამყაროში მარადიულად და მხოლოდ სიყვარულით. აი რატომ სთქვა სწავლულმა შიმონმა. სამ პრინციპზე რომაა დაფუძნებული სამყაროში შენი არსებობა. თორის სწავლება, ღმერთის მსახურება და კეთილი საქმეები. ცალ–ცალკე არც ერთი არ იქნება, თუ მეორე ან მესამე თვისება გაქვს გექნება დანარჩენი ორიც. ამიტომ შეერთდა შემი ტარიელი მეორე თვისების გამოკვეთილად მქონე ავთანდილთან იაფეტთან მის მსგავს ანუ სამი თვისების მქონესთან. ხოლო ქამი თორის სწავლით თუ გახდება მოშიში.

ქაჯები მოყვარე მტერთა მეშვეობით მართავენ, ებრძვიან იბერიელებს, მათი ცხოვრების წესს და ეს არის მათი ზეობის მიზეზი. შეხინა ამ წესში ვერ დაივანებს, ეს მისი ტყვეობაა.

„ციხეს ეზი ეზომ მაღალსა, თვალნი ძლივ გარდასწვდებიან,
გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა დგებიან,
დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდებიან,
მათთა შემბმელთა დახოცენ, მართ ცეცხლად მოედებიან.

ნუთუ ესენი გეგონნენ სხვათა მებრძოლთა წესითა?!
ნუცა მე მომკლავ ჭირითა, ამისგან უარესითა;
შენ მკვდარსა ვნახავ, დავიწვი, ვითა აბედი კვესითა;
მოგშორდი, დამთმე გულითა, კლდისაცა უმაგრესითა!“

ამ სტროფში დღევანდელი, უკვე განწირული ბოროტების სამყაროა აღწერილი. შემოდან უცქერის მდედრობითი არსი, როგორ მართავენ ქაჯნი, ანუ ბოროტნი ქვეყანას. მათ მიღებული აქვთ თავიანთი ქონების დამცველი კანონები და უშიშრად არიან. ანუ მათ იცავს პოლიცია და სამართალდამცავი ორგანოები, რომელთაც ძალიან კარგად ინახავენ. „მცველნი მუნ ზედა დგებიან, დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდებიან“, აქ წინასწარმეტყველურად აღწერილია ის, რაც ხდება საქართველოში და სხვა ქვეყნებში. თუ მათ, ქაჯებს – ბოროტებას ვინმე შეებმება, ეს გამძლარი მოყმენი ცეცხლად მოედებიან. ასე მოედნენ ისინი საქართველოს, ჩეჩნეთის ეროვნულ მოძრაობას.

შემდეგ სტროფში ნესტანი ეუბნება, რომ ესენი საერთოდ არ იბრძვიან ისე, როგორც მებრძოლნი უნდა იბრძოდნენ. ორპირობა, ცბიერობა და მშიშრობაა მათი სათავე.

ესენი არიან საიდუმლო მთავრობა და მართავენ მთელ სამყაროს. მათ ბრძოლის მზაკვრული წესები აქვთ, მაგრამ ცუდი ის არის, რომ ზოგიერთი იბერიელი: ებრაელი, ქართველნი და სხვა მათთანაა. ამიტომ საშიშროებაა, რომ ეს გეოპოლიტიკა ისრაელის მლოცველ დიასპორას მოეხვიოს, ანუ ტარიელს, რაც მათი სიკვდილი იქნება.

იბერიული ცხოვრების წესის აღდგენისკენ მისწრაფება ებრაელებს დაკარგული აქვთ და სოფელს ჯერ კიდევ ქაჯთა წესით მართავენ. ეს დათმეს მათ. ამის დათმობა ნესტანის დათმობაა. ამის დათმობა სიყვარულის, მოყვრის, მიწა–მამულის დათმობაა; მიწა იმისაა, ვინც მას ამუშავებს. ამგვარად, მიწათმოქმედების, ბიბლიის წესით წარმოების დაკარგვამ გამოიწვია ის, რომ ებრაელობა სიყვარულს კარგავს და ნესტანიც ამიტომ ისევ ტყვეობაშია. ამ სიყვარულის ზრდას ცდილობს დღეს ნესტანი. ამგვარად, მიწათმოქმედების წესი და სიყვარული განუყრელია. ამავე დროს, არ უნდა იყოს რელიგიათა, ეროვნებათა შორის დაპირისპირება.

## მეხინას დახსნა და ქაჯების დამარცხება მხოლოდ თორის წესით იბერიული ქართული წესის აღდგენაშია – ჯერ იბერიელებში ისრაელში, კავკასიაში

მესიის ერა, ეს არის ადამიანის ერთიანობა გამჩენთან და მეხინასთან, რაც სწორი მიწათმოქმედებიდან იწყება. ეს ჩანს შემდეგი სტროფის მეორე სტრიქონში. მესამე სტრიქონში ნესტანი ამბობს, რომ მისი სიცოცხლე მხოლოდ ტარიელის – ბიბლიური ცხოვრების წესის აღდგენაშია:

„შენ, საყვარელო, ნუ სჭმუნავ ჭმუნვითა ამისთანითა,
ჩემი თქვა: სხვათა მიხვდავ იგი ალვისა ტანითა.
არამ სიცოცხლე უშენოდ! ვარ აქამდისცა ნანითა;
ან თავსა კლდეთა ჩავიქცევ, ანუ მოვიკლავ დანითა.“

მაგრამ ეს მაშინ მოხდება, თუ სამივე რელიგიის წარმომადგენელნი შეიყვარებენ ერთმანეთს. ამავე დროს, ნესტანი შემდეგ სტროფში ეუბნება, რომ ამ სამ რელიგიაში შენ ხარ მთავარი (რადგან ხარ იბერიელთა უფროსი ძმა, საწყისი ამ რელიგიათა – იუდაიზმი) და ელოდება მასთან ერთად სამ მზეს, სამ რელიგიას, რათა ზეცად ინავარდოს მდედრობითმა არსმა.

„შენმან მზემან, უშენოსა არვის მიხვდეს მთვარე შენი,
შენმან მზემან ვერვის მიხვდეს, მო–ცა–ვიდენ სამნი მზენი!
აქათ თავსა გარდავიქცევ, ახლოს მახლვან დიდნი კლდენი,
სული ჩემი შეივედრე, ზეცით მომხვდენ ნუთუ ფრთენი.“

ამის მერე იგი ეუბნება, რომ ღმერთს შევევედრე, აღადგინო ის ტრადიციული შრომა, მიწათმოქმედება ანუ სიკეთე, სიყვარული, რაც მე დამაბრუნებს ისრაელში:

„ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამსხნას სოფლისა შრომასა,
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა,
მომცნეს ფრთენი და აღვფრინდე, მივხვდე მას ჩემსა ნდომასა,
დღისით და ღამით ვხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა.“

ანუ უნდა აღდგეს ოთხ ელემენტს შორის ჰარმონიულ თანაფარდობა სიყვარულის საფუძველზე. ცეცხლი ხომ მადლია და ეს ცეცხლი მღდრობითი არსის მიერ გამოგზავნილი სამი სამყაროს ჰარმონიული თანაარსებობის გამო იქნება. იგიც სიამოვნებით იფრენს ზეცაში, საიდანაც დაინახავს საერთო ჰარმონიისათვის როგორ ანათებს არემარეს მზის ცხოველმყოფელი სხივები. შემდეგ იგი ეუბნება, რომ უშენოდ, ამ ცხოვრების წესის გარეშე, სულიერი მზე ვერ იქნება სრულყოფილი, ანუ ბიბლიის მცნებების დაცვა ის წილია, რითაც ნესტანი მოაფრქვევს სასიკეთო სხივებს და იქნება უშლეავი ბარაქა. ეს კი მე გულს განმინათებსო.

„მზე უშენოდ ვერ იქმნების, რათგან შენ ხარ მისი წილი,
განალამცა მას ეასელ, მისი ეტლი, არ თუ წბილი!
მუნა გნახო, მანდვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი,
თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდა ტკბილი!"

ამიტომ თხოვს იგი წავიდეს ინდოეთს, ანუ ისრაელში და დანერგოს სწორი ცხოვრების წესი — მიწათმოქმედება.

„წადი, ინდოეთს მიმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა,
მტერთაგან შეიწრებულსა, ყოველგნით ხელ-აუპყრობელსა,
გულსა ალხინე ჩემისა, მოშორევებისა მთმობელსა,
მომიგონებდი მტირალსა, შენთვის ცრემლ-შეუშრობელსა!"

თუ წმინდა მიწაზე აღდგება ბიბლიური ცხოვრების წესი, ეს გამჩენის სიხარულია, რგებაა. მაგრამ იქ ჯერაც მტრები ბუდობენ.

ამგვარად, იგი ეუბნება, რომ ჯერ ისრაელში აღადგინე სწორი ცხოვრების წესი, რომ ებრაელები შეხინის დავანების ღირსი იყოთ. მართლაც დღეს ებრაელები უკვე დაბრუნდნენ ისრაელში. მაგრამ გამჩენს რომ ერგოს ეს დაბრუნება, იქ ყველა ებრაელი უნდა ჩავიდეს და აღადგინონ ტრადიციული მიწათმოქმედება. ისინი უნდა მოცილდნენ იმპერიებს, ქაჯთა სამეფოებს, რადგან აძლიერებენ მათ თავიანთი ლოცვით. (ებრაელთ ხომ დაწესებული აქვთ, სადაც არიან იმ ქვეყნის მმართველთ ემსახურონ და ილოცონ ქვეყნის ბედნიერებაზე).

## ზეციური არსი გადასცემს იმ ნიშანს რითაც ებრაელობა ირწმუნებს რომ ტარიელი მესიაა.

ზეციური არსი სრულყოფილად ფლობს სიტუაციას, რათა დააყენოს ტარიელი სწორ გზაზე. მრდა იყოს სიყვარულისა.

გავიხსენოთ, როცა ისრაელში დაიწყო დაპირისპირება, მაშინ ნესტანმა მოწერა „შენნი მჭვრეტნი (ანუ მცნებათა დამცველ ებრაელთა) ჩემთა მჭვრეტთა აგინებენ, არ იდენო". და მოსთხოვა ის ჩაცმულობა "რიდენი", რომელიც ომგადახდილ ტარიელს შვენოდა, ანუ როცა ისრაელი მცნებათა დაცვით — ერთობით ამარცხებდა ბოროტებას. ეიცით, რომ ებრაელები ცისფერ ძაფს ატარებდნენ ციციოის კიდის ბოლოს. როცა ნესტანმა მოთხოვა რიდენი დაიკარგა ამ ძაფის მიღების ტექნოლოგია. ებრაელებმა იციან, რომ მესია ჯერ ამ ძაფის ფერის მიღების ტექნოლოგიას აღადგენს. ეს ნიშანი იქნება იმისა, რომ ტარიელი — მესიაა, დავითის შთამომავალია.

ეს იქნება ღვთის ნიშანი რომ განდევნილობა — გალუთი — ტყვეობა მათი სხვადასხვა იმპერიული მიმართულების ქვეყნებში დამთავრდა და ყველა ებრაელი ერეც ისრაელში უნდა ჩავიდეს. ახლა უფლის ნებით ამ ფერის დამზადების ტექნოლოგია უნდა აღდგეს. აი, ასე გამოსახა რუსთაველის გენიამ უკვე მოახლოებული მესიის მოსვლის პერიოდი უფლის ნებით, რაც ჩანს შემდეგ სტროფში:

„აპა, ინიშნე ნიშანი, შენეულისა რიდისა!
გარდმიკვეთია ალამი, ჩემო, ერთისა კიდისა,
ესეღა დავრჩეს სანაცვლოდ, მის იმედისა დიდისა.
რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენზედა ცისა შეიდისა".

## აეთანდილი იწყებს მის მეორე, მედიატორული ფუნქციის აღსრულებას – იბერიელთა გაერთიანებას, რა თქმა უნდა ცოდნის შეტანით.

ეს ყოველივე აეთანდილის აზრს და მისწრაფებას ემთხვევა. ამიტომ არ ეპარება გამარჯვებაში ეჭვი და წერილის მიღების მერე ტარიელთან მოისწრაფის, რათა იგი სწორი ცხოვრების წესის აღდგენაში დაარწმუნოს. ეს რელიგიათა ერთობის შემთხვევაში ბოროტებაზე გამარჯვებაა:

„ფატმანს უთხრა: „გამისრულდა ქამად საქმე საწადელი,
დიდი შენი მოჭირვება ჩემგან არის გარდუხდელი,
წაეალ, დგომად აღარა მცალს, დრო მოსრულა მარშანდელი,
ფიცხლა ქაჯეთს მოეიყვანო მათი მომსპობ–ამწყვედელი".

დრო მოსულა შარშანდელი, ანუ გავიდა ერთი წელი. ტარიელის, აეთანდილის და ფრიდონის ერთობა ბიბლიის მცნებათა დანერგვის საწინდარია. შემდეგ იგი ფრიდონთან აგზავნის უსტარს:

„სახლი არ მახლავს, არ ძალ–მაქვს გაცემა საბოძვარისა".
მისცა მართ სავსე ხომალდი, რიცხვი ტურფათა ჯარისა,
უბრძანა: „წადით, წაიღეთ, გზა წაელეთ მისვე არისა,
ფრიდონს მიართვით უსტარი ჩემგან, ძმად–ნაფიცარისა".

ამ სტროფში ისევ ჩანს, რომ ქართველობა, ანუ აეთანდილი დევნილია და მას სიკეთის სამშობლოში სახლიც კი არა აქვს, მაგრამ აქვს ბარაქა, ფული (ალბათ დროა, რომ დევნილმა ქართველებმა, ვისაც ფული აქვთ ნამოვნი, მისდიონ რუსთაველს, დაიწყონ ქართული ცხოვრების წესის და ისტორიული მისიის აღდგენა და რელიგიათა შორის ძმობის ჩამოვლება).

ისრაელს, ეგვიპტეს, ავღანეთს, პალესტინას... ყველას, ყველას ამერიკა ვერ შეაერთებს. ამერიკელები ამ დაპირისპირებით მდიდრდებიან და ამიტომაც დაპირისპირებისკენ მიილტვიან. მათ მხოლოდ გამცემი და არა წამრთმევი, მოსიყვარულე ყველა რელიგიათა, სტუმრის, ეროვნებათა იაფეტი – ქართველი – აეთანდილი შეაერთებს.

საქართველოს, ანუ ქართველ ხალხს – ავთანდილს, მისიის შესასრულებლად მტრის – ქაჯთა შეცნობა სჭირდებოდა. აეთანდილმა შეიცნო ისინი (იქნებ ამიტომაც მოხდა დღეს ამ ნაწარმოების არსის ასე გამომზეურება მხოლოდ და მხოლოდ ღვთის შეწევნით) და დარწმუნდა, რომ მათზე გამარჯვება სწორი ცხოვრების წესის დანერგვით – სიყვარულით მიიღწევა. მაგალითისათვის ფატმანის ქვეყანაც კმარა. ასე შეიცვალა გეოპოლიტიკა ამ ქვეყნის რეგიონში. ამიტომ იგი დაიმედებულია. თუმცა დღევანდელმა მთავრობამ – უკვე ხალხის მიერ შეცნობილმა ქაჯებმა – ყველაფერი გაუყიდა ქართველებს: მიწა, მამული; ვალებიც ბევრი აიღო, მაგრამ მას, საქართველოს ძმადნაფიცების: ებრაელების, იბერიული მოდგმის – მუსულმანების ერთიანობის იმედი აქვს.

ამავე დროს, ჩვენ ვიცით, რომ რჯულის, ცოდნის კიდობანი, რაზედაც შეხინა ანუ ნესტან–დარეჯანი იყო დავანებული, ისრაელშია. ტაძარი რომ დაინგრა, მაშინ დაიმარხა და მესია რომ გამოვლინდება, ანუ აღდგება იბერიული ცხოვრების წესი, თვითონ ტაძარი და კიდობანიც ამოვა. ანუ გამოვა ტყვეობიდან და ნესტანიც დაუბრუნდება თავის ადგილსამყოფელს. მაგრამ ამისათვის ჯერ ქაჯეთის დამარცხებაა საჭირო და შეხინის განთავისუფლება იმ მოვალეობისგან, რაც ფულის მიერადაცაა დაკისრებული – მისცეს, მართალია მეტად მწირი, მოსავალი იმპერიულ ქვეყნებს.

ისმის კითხვა – რატომაა ამ ქაჯების ტყვეობაში ნესტანი და არა თინათინი? ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ შეხინა არ ტოვებს ებრაელებს მათი მადლის გამო. ღმერთს რომ გულწრფელად ემსახურებიან აძლევს მათ ბარაქას. ებრაელნი კი მთელ მსოფლიოში არიან გაფანტულნი. ამიტომ ცდილობს უზენაესი შეკრიბოს ისინი ერთად ისრაელში და აი, მაშინ მოხდება ამ სახელმწიფოთა დასჯა. ხოლო ვინც არ ჩავა იქ, საკუთარ თავს დააბრალოს.

კიდობანი რომ ქვესკნეთს არის დამარხული, ამასაც წერს აეთანდილი ფრიდონს:

„ჭირნი ვნახენ და მო–ცა–მხედა ნაცვალი ჭირ–ნასულისა,
კარგა მოხდომა საქმისა ჩემისა გაზრახულისა;
მიცნია მართლად ამბავი პირისა მზედ სახულისა,
დამარჩენელი ლომისა მის, ქვესკნელს დამარხულისა."

ესე იგი, ლომის – ტარიელის ამბავი, მარტო რომ დარჩა შეხინას გარეშე, სწორი ყოფილა. საერთოდ, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი მიწიერი წამება არის ღვთაებრივი შემოქმედებითი ენერგიის ემანაციის გათიშვის გამო. ემანაციის პროცესში მოქმედებს ორი ურთიერთდამაკავშირებელი ფაქტორი. ერთი, ყოვლად წმინდა, კურთხეული, კაბალისტიკის ენით მამაზეციური ასხივებს, ხოლო შეხინა მდედრობითი არსი მას აღიქვამს და გადმოსცემს მიწიერ სამყაროს. ეს კავშირი – მიწიერისა და ზეციერის შეწყვილება, ანუ ერთობა – წარმოქმნის უშრომ სიუხვეს, წყალობას, კეთილისმყოფელ ამინდს დედამიწაზე, იმ შემთხვევაში, თუ არის ჩვენში ზნეობა, პატიოსნება. ეს უკანასკნელი კი იწყება კავშირით, ანუ დიდი სიყვარულით, მდედრობითისა და მამრობითს შორის. იმით რაც ახასიათებს რუსთაველის გმირებს. მაშინ არის ოჯახი მყარი და მტკიცე. იზრდება მოყვასის მოყვარული შთამომავლობა.

ამგვარად, როცა არის შერწყმა–შეწყვილება, ერთობა დედამიწაზე, ზეციური სფეროებიდან მადლი გადმოიფრქვევა. როცა ქვეყანაში უზნეობა იბუდებს, ანუ არის გათიშულობა და ურთიერთდაპირისპირება, ის, რაც დაემართა ებრაელთა ერს (ჩვენ ვიცით, გასლეჩილობა არ აპატია უფალმა მათ და ამიტომ აღმოჩნდნენ საკუთარი მიწიდან განდევნილნი), მაშინ ხდება ღვთაებრივი შემოქმედებითი ძალების, ენერგიის ემანაციის გათიშვა.

შემოქმედებითი ძალების ერთობა, ანუ მდედრის და მამრის სიყვარული, პატივისცემა ჰქონდათ ებრაელებს, ქართველებს და სხვა იბერიული მოდგმის ხალხს. საჭირო იყო სამყაროსთვის მესამე ქვეყანაც და სიკეთე – უძლეველი აღმოჩნდებოდა. როგორც ვიცით, ისრაელში გარე სამყაროს უზნეობა შემოიჭრა და ემანაციის ძაფი გაწყდა, რამაც თავისებური გავლენა იქონია საქართველოზე და ამიტომაც ცდილობს ავთანდილი, შეაერთოს იგი. რომ შეაერთოს, საჭიროა მიზეზის პოვნა. მიზეზი კი ჯერ ებრაელთა, შემდეგ იბერიელთა დანაწევრებაა.

პირველი გადაწყდება იმით, რომ ყველა ებრაელი შეიკრიბოს ერეც ისრაელში ან უკიდურეს შემთხვევაში იმ იბერიულ ქვეყნებში, რომელთა დასჯაც, რა თქმა უნდა, არ მოხდება. უნდა გაერთიანდნენ იბერიელნიც – სამი რელიგიის წარმომადგენელნი, რომელთა მაგალითს სხვა ქვეყნებიც მიბაძავენ. ამას ცდილობს ავთანდილი. მისი ძალისხმევა მიმართულია უმაღლესი ღვთაებრივი მიზნის მისაღწევად, „შეხინის თავის სამყოფელში დაბრუნება და ზენაარსთან ხელახალი შერწყმაა". თუმცა საქართველოში დარჩა იგი (როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქ შეხინა ენის მცნებების დაცვის საფუძველზეა. ამიტომ თინათინის მეფობა ურყევია. იქ კი ბიბლიის მცნებათა დაცვის საფუძველზე, ცოტა რთული აღმოჩნდა).

მაგრამ ადრე შეხინა სამიდან ორ ადგილზე იყო, ახლა უპირატესობა დაჰკარგა და იქმნება აქედანაც განდევნის საშიშროება. თუმცა, ჩვენ ვიცით, რომ სანამ იარსებებს ქართული ენა – მდედრობითი არსი მუდამ იქნება საქართველოს მფარველი – რამეთუ მცნებათა დაცვა, შეხინის სიყვარული, პატივისცემა მდედრის – ენაში, მის სულში და ქართველთა გენეტიკაშია. ამიტომაც ამ მდედრობითი არსის მოთხოვნით ასრულებდა საქართველო იმ მისიას, რასაც ისრაელის სახელმწიფოს აღდგენა ჰქვია, რასაც უნდა მოჰყვეს იბერთა მესამე ძაფის აღდგენა. ამ შემთხვევაში ეს მესამე ძაფი ის მუსულმანური ქვეყანაა, რომელიც გმირულად ებრძვის რუსულ იმპერიას და იმსახურებს, რომ მას მიბაძონ სხვა ქვეყნებმა.

რაკიღა ავთანდილმა ყველაფერი იცის, შეხინის დახსნა მისთვის უკვე ძნელი აღარ არის, რადგან ჩვენ, ანუ იუდეველნი, ქრისტიანნი და მუსულმანნი ერთად ვიქნებით. ამას წერს ავთანდილი ფრიდონს:

„იგი მზე ქაჯთა მეფეს ჰყავს, ქაჯეთს პატიმარია.
მუნ მისლვა მიჩანს თამამად, თუცა გზა საომარია.
ნარგისთათ წვიმა ბროლისა წვიმს, ვარდი ნაწვიმარია,
ჯერთ ქალსა ქაჯნი არ ახლვან, მაგრა სპა უამარია."

როგორც აღვნიშნეთ, შეხინა დროებით უზნეო ცხოვრების წესს – ბოროტების სამყაროს ემსახურება, თუმცა, მწირ მოსავალს აძლევს. ამიტომ არის შეხინა ტყვეობაში – გალუთში.

სტროფის ბოლო სტრიქონი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ბოროტება — ქაჯნი ვერ იპყრობენ შეხინას, ანუ იგი სრულყოფილად არ მისცემს მათ მიწის ბარაქას, ამავე დროს ტარიელი — ებრაელობა მცნებათა დაცვისკენ მიილტვის, მაგრამ დიდია ბოროტთა რაოდენობა და ძალისხმევაც.

„ამა მონათა ჩემზედა გარდაუხდელი გულია;
ამოდ მმსახურეს, თქვენიმცა გული ამათთვის სრულია!
ქება რად უნდა მას, ვისცა თქვენთანა ხან-დაზმულია?
მსგავსი ყველაი მსგავსსა მობს, ესე ბრძენთაგან თქმულია".

ე.ი. დავალებულია საქართველო ჩინეთისგან. მესამე სტრიქონი იმ სიამდვილეს მიგვანიშნებს, რამაც იხსნა იბერიული წესი და ჩინები ჩინეთში. ესენი არიან უხუცესები, ანუ ალსაკალები, აღვსილნი ცოდნით, განსჯით, შნეობით და ტრადიციებით. აქვე, შემდგომ სტრიქონში, არის უდიდესი ჭეშმარიტება, რომ მსგავსი მსგავსს მობს, გენი არ გადაგვარდება. გავიხსენოთ კანონიც მსგავსი მსგავსიკენაც რომ მიილტვის. ამიტომ შეერთდებიან იბერნი!

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ რაკიდა ცოდნა დამალულია, ნაწარმოებში ტარიელიც და ასმათიც ქვაბულში არიან, ისევე, როგორც კიდობანი მიწაშია ჩამარხული და ნესტან-დარეჯანიც ქვირაბის ბოლოშია გამომწყვდეული.

რუსთაველი გადმოგვცემს, რომ სანამ ავთანდილი ტარიელთან მიდიოდა, მან — საქართველომ დიდი გზა იარა და ყველგან ცოდნა შეიტანა. „სადაცა ნახნის, დახოცნის, ლომ-ვეფხენი მოშამბნარენი", ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ცოდნა-შნეობა მას იმპერიული მიმართულების ქვეყნებში შეჰქონდა. იცლებოდა გეოპოლიტიკა. ლომსა და ვეფხვში ხომ მათი ცხოველური მისწრაფება უნდა ვიგულისხმოთ.

## მამა შეილი გამსახურდიების წინასწარმეტყველური ქმედებანი მომავალში იბერთა ერთობისათვის

ისმის კითხვა: ვინ გასდო ის ხიდი, ვინ დაიწყო იმპერიათა აღმოფხვრა და დანარჩენთაც მხილება, რომ ერთიანდება იბერიული მოდგმა, მიუხედავად სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობისა? ვინ იყისრა ის ავთანდილობა — ვინ გაწირა თავი, რომ ახლა მომავალმა ქართველმა ავთანდილმა იოლად ამოხსნა შეხინის დახსნის გზა — „ებრაელთა ერეც-ისრაელში თავმოყრა და იბერთა ერთიანობით იმპერიების, ბოროტების აღმოფხვრა? თამამადაც კი უდერს ის, რაც მესიის — ტარიელის გამოვლინების წინა პირობაა.

რა თქმა უნდა, ეს იყო ზ. გამსახურდია. და მან ეს გააკეთა არა მარტო პრაქტიკულად, — კალმოსნობითაც, რაშიც კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით ცოტა ქვემოთ მის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომში „რუსთაველი და ანტონ I". ხოლო მის ამგვარ მსოფლმხედველობას საფუძველი ჩაუყარა ეროვნული იდეალების მრავალმა სულიერმა მოძღვარმა. მათ მორის, მისი მამა, სულმნათი კონსტანტინე გამსახურდია გახლავთ. მან იცოდა ჩვენი ერთი წარმომავლობა და როგორც თავისი ღვიძლი ძმების ტკივილი ისე მიჰქონდა გულთან ებრაელთა გაუსაძლისი მდგომარეობა საქართველოს საზღვარგარეთ 18–19 საუკუნეებში.

ამავე დროს, იგი წინასწარმეტყველურად ხედავდა, რომ ებრაელთა განთავისუფლება მალე დაიწყება და რომ არ დაეკარგა თავისი ფესვები მრავალ ებრაელს, 1913 წელს, თავის წერილში — „ვაი მას, ვისაც სამშობლო არა აქვს" წერდა: „ფრთხილად შენსას ნუ დაჰკარგავ... სიონის მტვრიანი ბჭეების კოცნა გერჩიოს გრაალის ბრჭყვიალს, ვითომცდა ოქროს კერპების თაყვანისცემას... თორემ ინანებ! გვიან იქნება თითქმ კბენანი". მოგიერთი ებრაელის ქმედებას — სხვა ერებში აღრევას, კოსმოპოლიტობას უწოდა მან მცდელობა ისტორიის ჩარხის უკუღმა ტრიალისა.

ამავე დროს, ამხნევებდა იმ ებრაელთ, რომელნიც ტაძრის აღდგენის, შეხინის დაბრუნების, იერუსალიმში ჩასვლის ნატრულნი იყვნენ. „ეჰ, ვინ გაიგებს იმ შავ ჭმუნვას, რომელიც მშის ჩასვლისას მიმავალ ებრაელის სულში დუღს... რამდენი პატიოსანი, მხნე ახალგაზრდა ებრაელის სულს აცისკროვნებს ის აზრი, რომ ოდესმე ებრაელი ერი ნარ-ეკლით დაწყლულებულ ფეხს ერთხელ კიდევ დაიბანს იორდანის წმინდა წყალში". მისი ზემოთ აღნიშნული წინასწარმეტყველება საოცარი სიზუსტით ახდა. პირველი წერილი ისრაელის სახელმწიფოს აღ-

დღენის სიხარულის გამო ქართველთა შორის მან გამოაქვეყნა. მისმა შეილმა კი დაანგრია ბოროტების იმპერია და დაუდო საფუძველი მამის სიტყვების აღსრულებას, რათა ყველა ებრაელი აღთქმულ მიწაზე დაბრუნებულიყო. თუმცა, ქართველი ებრაელი ამისთვის არ ემეტებოდა. ამიტომაც ჰქონდა მას განსამღვრული ორმაგი მოქალაქეობა მარტო ქართველთათვის და ქართველ ებრაელთათვის, რათა დამტკბარიყვნენ ორივე დედა სამშობლოს სიკეთით. მაგრამ ვინ დააცალა.

## ორი ძეის შემის — იაკობის, იეფეტის — ელიას თავშეყრა

როცა ავთანდილი ტარიელთან ქვაბულს მიდა, იგი ეუბნება:

„ტარიელ ტირს და ავთანდილ სიცილით ეუბნებოდა;
გაღიმდის, ძონი გააპის, კბილთაგან ელვა ჰკრთდებოდა;
ეტყოდა: „ეცანო ამბავი, შენ რომე გეამებოდა,
აწ გაახლდების ყვავილი, ვარდი აქამდის ჰნებოდა".

ამგვარად, ტარიელმა და ავთანდილმა იცნეს ის, რაც ებრაელებს — შესინის დასაბრუნებლად სჭირდებათ. ბოლო ორი სტრიქონი გვეუბნება, რომ ეს არის ისრაელში ყველა ებრაელის — იუდეველის თავშეყრა და რელიგიათა ერთობა იბერიული წესის, სწორი მიწათმოქმედების აღდგენით. იქნება სიუხვე, დღეგრძელობა რაც გამოიხატება ყვავილის განახლებაში და ვარდის, ანუ სილამაზის არ დაჭნობაში, ანუ იქნება ჰარმონიული სამყარო წარმოებული შეხინის მიერ, რომელიც აღარ მოაფენს თავის კეთილმყოფელ სხივებს ქაჯებს, ანუ იმპერიულ სახელმწიფოებს.

ამგვარად ქაჯების დამარცხება მეტად ადვილი იქნება. ავთანდილი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ტარიელს — ებრაელებს, რომელნიც შესინას — ნესტან—დარეჯანის დაკარგვის გამო უდიდეს სულიერ ტანჯვას, მარტოობას განიცდიან, იმედი დაუბრუნოს. ეს იმედი ებრაელი ერისათვის ისევ ლომგულოვნების, ვაჟკაცობის აღდგენაშია. ეს ჩანს იმ სტროფებიდან, რომელშიც ტარიელს გული წაუვა, ნესტან—დარეჯანის ამბავს რომ შეიტყობს:

წიგნი და კიდე რიდისა იცნა და გა—ცა—შალა მან
პირსა დაიდვა, დაეცა, ვარდმან ფერითა მკრთალმამან,
სულნი გაიქცეს, მოდრიკა თავი გიშრისა ტალამან.
მისნი ვერ გასძლნეს პატიჟნი ვერ კაენ ვერცა სალამან

„კიდე რიდისა იცნა და გა—ცა—შალა მან" გავიხსენოთ განშორების წინ ტარიელს რომ მოსთხოვა რიდენი — ანუ ჩაცმულობა მისი. ვიცით ისიც რომ ცისფერი ძაფი ციცითის კიდეშია — ბოლოშია. იცნა კიდე რიდისა — ანუ მისი ფერი და ტექნოლოგია გაიხსენა ტარიელმა.

სიტყვა გა—ცა—შალა დამარცვლულია. ანუ ცა გამალა ზეცის აზრი შეიტყო რომ ის მესიაა. კიდე რიდისა ცისფერი ძაფით მიღების ტექნოლოგია ხომ მესიამ უნდა აუწყოს ებრაელებს. ტარიელი ანუ ებრაელთა ცხოვრების წესი კი არ არის მზად ამისათვის სულიერად. ამიტომაც ეს სულნი გაიქცეს. ავთანდილმა ელიამ უნდა შეძლოს მისი სულის დაბრუნება ანუ დაეხმაროს იბერიული ცხოვრების წესის თანდათანობით აღდგენაში:

## ავთანდილი ეხმარება ტარიელს იბერიული ცხოვრების აღდგენის დაწყებაში წმინდა მიწაზე

ჩვენ ვიცით რომ ელიამ უნდა ამცნოს ხალხს მესიის მობრძანება უფლის ნებით და ესეც ოღონდ შეფარულად აქვს გადმოცემული რუსთაველს ნაწარმოებში.

„ავთანდილ უჭვრეტს ტარიელს, უსულოდ ქვე—მდებარესა,
შეფრინდა, შეელად მიმართა მას, ტკბილად მოუბარესა,
ვერა ვერ არგო დამწვარსა, სრულად ცეცხლ—ნადებარესა;
მისთა ნიშანთა სიცოცხლე მართ მისი მიიბარესა."

ამ სტრიქონებში მოცემულია ალბათ ისრაელის სახელმწიფოს ცოტა მოგვიანებითი ხანა. აქ ჩანს საქართველოს მისია.

რატომ არის ტარიელი „უსულოდ ქვე–მდებარესა"? ისინი ხომ ლოცულობენ, იცავენ მცნებებს. მაგრამ ქვე–მდებარენი არიან ებრაელნი იმიტომ, რომ არის რელიგიათა მორის დაპირისპირება და არ არის ლტოლვა სწორი მიწათმოქმედების აღსადგენად. როცა სხვა ქვეყნებში იყვნენ ებრაელნი, ეს გასაგები იყო, მაგრამ ახლა, როცა ისრაელში დაბრუნდნენ, იგივე სურათია. მათ თან მოიტანეს იმპერიული ცხოვრების წესის მანკიერი მხარეები:

შემდეგ სტროფებში მოცემული ავთანდილის საშინელი განცდები. აქვე მოსაყვანია ცოტა ადრინდელი სტროფი როგორი სიყვარულით ხვდებიან ებრაელები საქართველოდან ჩასულ ქართველებს მის მოძმეებს, რაც ჩანს ტარიელის და ავთანდილის შეხვედრაში.

ტარიელ მოსთქვა ტირილით სიტყვა ნატიფი, მჭევრები:
სისხლისა ღვარმან შეღება წითლად გიშრისა ტევრები,
ალვასა წყარო ცრემლისა მორწყავს, ნაკადი ბევრები
„რათგან შენ გნახე, რა მგამა, პატიჟი მჭირდეს მევრები!"

მესამე სტრიქონში ჩანს, რომ ტარიელს ავთანდილის ხილვით იმედი აქვს რომ აღადგენს ზნეობრივ ცხოვრების წესს მიწათმოქმედებას, რაც ალვაშია გამოხატული. და ავთანდილიც იწყებს ამ ზნეობრივი წესის აღდგენას – რაც გამოიხატება ტარიელის ნელნელა მოსულიერებაში.

უცნობო–ქმნილი ტარიელ ძეს მსგავსად ნატუსალისად.
ავთანდილ ადგა. გამოვლნა შამბნი საძებრად წყალისად,
მან პოვა სისხლი ლომისა, მოაქვს სავსებლად ალისად,
მკერდსა დაასხა, გა–ვე–ხდა ლაჟვარდი ფერად ლალისად

ავთანდილ მკერდსა დაასხა მას ლომსა სისხლი ლომისა;
ტარიელ შეკრთა, შეიძრა რაზმი ინდოთა ტომისა,
თვალნი აასვა, მიეცა ძალი ზე წამოჯდომისა.
ლურჯად ჩანს შუქი მთვარისა მზისგან შუქ ნაკრთომისა

ჩვენ ვიცით, რომ რელიგიათ დაპირისპირების, არასწორი მიწათმოქმედების გამო ისრაელის წყლის დეფიციტი აქვს. დგება ეს მიწათმოქმედება ისრაელში ისპობა, დაპირისპირებაც და წყალიც მატულობს იმით რომ, ლომი ტარიელი იუდას შთამომავალი ავთანდილის შეშვეობით აღადგენს ზნეობრივ ცხოვრების წესს – ანუ იქმნება მიწამამულის გაყოფა, რელიგიათა ერთობა. აღარ არის დაპირისპირება სიამაყე ეგოიზმი. გავიხსენოთ ამას მოასწავებს ლომის სისხლით გონზე მოსვლა. ტარიელმა შეძრა „რაზმი ინდოთა ტომისა" ანუ იუდეველთა. რაკილა აქ მხოლოდ რაზმია ტარიელთან და არა ერი, ამიტომ ჯერ არ არის მზე ამ ქვეყანაში – სწორი მიწათმოქმედება ნელნელა ასე მალე ვერ აღდგება. ამას ცოტა მოგვიანებით შეძლებენ მიწათმოქმედთა ქვეყნიდან ჩასული ავთანდილები. მთავარია რომ ისრაელში რწმენა და ერთობა დგება ნელნელა რაც ჩანს შემდეგ სტროფებში:

„ზამთარი ვარდთა გაახმობს, ფურცელნი ჩამოსცვივიან,
ზაფხულის მზისა სიახლე დასწვავს, გვალვასა ჩივიან,
მაგრა მას ზედა ბულბულნი ტურფასა ხმასა ყივიან, –
სიცხე სწვავს, ყინვა დააზრობს, წყლულნი ორჯელვე სტკივიან.

აგრევე გული კაცისა მოსაგვარებლად ძნელია,
ჭირსა და ლხინსა ორსავე ზედა მართ ვითა ხელია,
მიწყივ წყლულდების, საწუთრო მისი აროდეს მრთელია.
იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია!"

აქ პირველ სტროფში ჩანს, რომ მათი ცხოვრების წესში, უზნეობათა გამო, არ არის ჰარმონიული თანაარსებობა. ებრაელებმა ბიბლიით უნდა იცხოვრონ. და მართალია, აქვთ ღმერთის

რწმენა სიყვარული ლოცულობდნენ ისინი, ანუ „ბულბულნი ტურფასა ხმასა ყივიან". მაგრამ ბიბლიით რომ არ ცხოვრებენ, გვალვას ჩივიან, უამინდობა, დაავადებებია, მოწამლული პროდუქტის გამო „წყლულნი ორჯელვე სტკივიან".

დღეს უკვე ებრაელი აღარ უნდა მიენდოს სოფელს. ისტორიამ არა ერთი ფაქტი იცის სხვა ქვეყნებში მათი დევნისა, სადაც ებრაელები არ იცავდნენ მცნებებს, არ ლოცულობდნენ. ახლა ებრაელობა დაბრუნებულია ისრაელში. მართალია, ლოცულობენ, მაგრამ ეს აღარაა საკმარისი. ის საკმარისი იყო იქ იმიტომ, რომ სხვები წარმართავდნენ ცხოვრების წესს. ისრაელში კი თვითონ არიან ხელისუფალნი და ლოცვის გარდა იბერიული ცხოვრების წესის — ზნეობრივი მიწათმოქმედების აღდგენაა საჭირო. საკვირველია ებრაელებო! თქვენი წინაპრები თავს წირავდნენ სრულყოფილად რომ აღედგინათ ბიბლიის მცნებანი. თქვენ კი შეგიძლიათ ეს და როგორც საჭიროა ისე არ აკეთებთ. აუცილებელია პრაქტიკული ნაბიჯები თორის, უფლის გზისაკენ.

ამავე დროს, მთავარია, ყველა ებრაელი ჩავიდეს ისრაელში. მაშინ დამარცხდებიან ქაჯები, ცრუ მეცნიერები, რომელნიც სალხს ატყუებენ და საკუთარი კანონებით წარმართავენ. მაშინ დაიხსნიან გალუთიდან მესინას. ამისკენ მოუწოდებს ავთანდილი ტარიელს. ეს კარგად ჩანს დღეს.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, ისრაელში როგორ მისტირიან ქართველი ებრაელნი — ქართულ ყოფას, ქართველთა ზნეობრიობას — ტრადიციებს. ამიტომ ისინი შემართებულნი ებრძვიან ისრაელში არსებულ უზნეობებს, მანკიერ ჩვევებს. ამხელენ ისრაელის ხელისუფალთ ბიბლიის მცნებების არ დაცვაში. ამისათვის მრავალი ჟურნალ—გაზეთი გამოდის. ერთ—ერთია ყოველკვირეული ფურცელი „რწმენის წყარო". ამავე დროს, ისინი ქართული ზნეობით ცხოვრობენ და აჩვენებენ სხვა ქვეყნის ებრაელებს როგორი იყო და უნდა იყოს იბერიელთა — ებრაელთა ყოფა. ქართულ ქორწილში მოხვედრა, სადაც ტრადიციული ქართული რიტუალები და ცეკვა—სიმღერებია — დიდი პატივია ყველაზე მაღალი ხელისუფალისთვისაც.

ამგვარად, ავთანდილის მეშვეობით, ტარიელის ხელშეწყობით ნელნელა მაინც აღდგება იბერთა ზნეობა—სილამაზე—სიწმინდე ვაჟკაცობა. აღნიშნულის დასტურად საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ისრაელში უფრო მიმდინარეობს ზნეჩვეულებათა, ქართული ენის სიწმინდის დაცვა, ვიდრე საქართველოში. ისე იდევნება ხელისუფალთა მიერ ყოველივე ეროვნული ჩვენს ქვეყანაში.

გავიხსენოთ დღეს ყველა ქარველი ებრაელი ლექსებს წერს ქართულად. ბიბლიასაც ქართულად თარგმნიან, ვერ ელევიან დედაენას.

„იტყვის, თუ: „ნაქმრად არ ვარგა კაცისა გასწავლილისად,
აწ რაღა გვემართებს ტირილი? ხამს, დავსხდეთ ქმნად ღიმილისად,
ადეგ, წავიდეთ საძებრად მის მზისა ნახდომილისად!
ადრე მიგვიყვან, მიყვანა არს შენგან მონდომილი სად.

ვითა გვემართებს გახარება, პირველ აგრე გავიხარნეთ,
მერმე შევსხდეთ, გავემართნეთ, ქაჯეთისკენ თავნი ვარნეთ,
ხრმალნი ჩვენნი ვიწინამძღვრნეთ, მათნი ზურგნით დავიყარნეთ,
უჭირველნი შემოვიქცეთ, იგი მძორთა დავადარნეთ".

ამ სტროფებში ავთანდილი მოუწოდებს მეგობრებს ბიბლიის ცოდნა—განსწავლულობა გამოიყენონ, ტირილი ღიმილით შეცვალონ, მზე — კარგი ამინდი დააბრუნონ.

ალბათ ამაში დიდი წვლილი შეაქვს ჩვენი დიდი წიგნის „ვეფხისტყაოსნის" არსის გადმოცემასაც რამეთუ ებრაელთათვის იგი ისევე დიდი და მშობლიურია.

ამგვარად, ქრისტიანი ავთანდილი — ქართული ცხოვრების წესი, ბიბლიის — ენის საფუძველზე აერთიანებს მუსულმან ფრიდონს და იუდეველ ტარიელს. დარწმუნებულია, რომ გაიმარჯვებს სიყვარული, სიკეთე. ეს გაერთიანება ამ რელიგიათა უკვე აღნიშნულის საწინდარია. ხ—მ—ალი აქ უნდა გავიგოთ როგორც ხელ მართალთა ალი, ანუ ცოდნა და მადლი, რითაც ბოროტება უნდა დაამარცხონ. აი, ეს ელემენტარული ჭეშმარიტება უნდა შეიცნონ დღეს ებრაელებმა და ქვეყანას მესიაც მოევლინება. ისრაელშიც ნელ—ნელა ნერგავენ იბერიულ მიწათმოქმედების წესს. და რაც მთავარია, იქ ნელ—ნელა წყდება რელიგიური დაპირისპირებები.

გავიხსენოთ შემის იგივე ტარიელის თვისება უშუალოდ ღმერთის მსახურება და რწმენა. ამ გაძლიერებულმა თვისებამ მათში გადაარჩინა ებრაელობა. იაფეტის, ავთანდილის გაძლიერებული თვისებაა — მოყვასის ყველა სულიერის მომსახურება. ანუ რელიგიათა მიმართულებების, ეროვნების მიუხედავად ჩვენ ყველას ვემსახურებით სიყვარულით ვაერთიებთ. ყველა სულიერის მომსახურება კი გაყოფით იბერიული წესით მიწათმოქმედებაა. მართალია პირველი თვისებიდან გამომდინარეობს მეორე და პირიქით, მაგრამ სიკეთის გამარჯვებისათვის ორივე საჭიროა ფანატიზმამდე იყოს. ფანატიზმამდე კი კაცს მხოლოდ ერთი თვისება შეიძლება ჰქონდეს. ცალკეულ პიროვნებებს აბრაამს, მოსეს ელიას კი ორივე ერთად.

აი ასე ფანატიკური ღმერთის მსახურება რწმენა მისი, სიყვარული, მოყვასისთვის თავდადება ერთმანეთს უწყობენ ხელს. შეერთებულნი ადვილად ამარცხებს ბოროტებას. შეაერთა ავთანდილმა ყველა მოყვასი რელიგიის მიუხედავად — დამყარდა მშვიდობა. ვერ ძლიბს ბოროტება. ასე უდგანან გვერდში ისრაელში ჩასული ქართველნი — ავთანდილნი უმფროსს ძმას. მადლიერი ტარიელი — ისრაელი ასე უპასუხებს:

„ავთანდილს მადლი უბრძანა, ქმნა იყო საუბარისა:
„მე შენი ქება ვითა ვთქვა, ბრძენთაგან საქებარისა!
ვითა მე—მთისა წყარომან, მორწყე ყვავილი ბარისა,
დამწყვიდე დენა ცრემლისა, ნარგისთად ნაგუბარისა.

მე ვერა გიყო, ნაცვალსა ღმერთი გარდიხდის ციერი,
ზეგარდმოთ მისით შემოგმღოს მუქაფა ჩემ—მავიერი!"
მესხდეს და შინა წავიდეს, მათ ლხინი ჰქონდა ძლიერი;
აწ გა—ვე—აძლო სოფელმან, ასმათ — ადრითგან მშიერი.

პირველ სტროფში ჩანს ქართველთა ცოდნა, მიწათმოქმედთა ცხოვრების წესი, ანუ მთავორიანი ქვეყანა საქართველო, როგორ ჰარმონიას იწვევს ისრაელში. ამიტომ მან „მთისა წყარომან მორწყა ყვავილი ბარისა". აქ ყოველ სტროფში ნათქვამია, რას მოუტანს ისრაელს ქართული მიწათთმოქმედება. ეს დიდი მადლი მათი საუბრიდან იწყება. ანუ ჯერ „ქმნა იყო საუ—ბარისა", ე.ი. პირველ რიგში, სწორი ცხოვრების წესის დანერგვის დიალოგი, საუბარი, რელიგიათა ურთიერთჰარმონიის საწინდარია. შეწყდა დაპირისპირება. ეს ქმედებები ბარში—ისრაელში „ბრძენთაგან საქე—ბარია". და შედეგად იწყება ზნეობრივი მიწათმოქმედების წესი ბარში, რაც ბოლო სტრიქონებში ჩანს. ზნეობრივი მიწათმოქმედების ერთ—ერთი ფუნდამენტური ცნება ასახულია ქართულ სიტყვაში თანა—ბარი. ეს სიტყვა ასევე ბარით მთავერდება, ანუ ბარში მიწა—მამულის თანაბრად გა—ყოფიდან იწყება ქართული ყოფიერება, ცხოვრების წესი. მაშინ არის საუბარი და მეგო—ბარი საქე—ბარი.

ეს სტროფები გვამცნობენ, სიკეთის აღდგენის გზას ისრაელში, რომ იქ შეხინის დაბრუნება ხელეწიფება მხოლოდ ორ სახელმწიფოს: ისრაელს და საქართველოს, თუ ისინი ძალისხმევას შეაჯერებენ. ჩადის ყველა იუდეველი ერეც—ისრაელში. შედეგად ასმათი (ისრაელის ქალები, რომელნიც სულიერ შიმშილს განიცდიან) სულიერად გაჯანსაღდება. ავთანდილი, ნესტანის წერილი როცა წააკითხა, ასე უპასუხებს ასმათს:

„ავთანდილ უთხრა: „ნუ გეშის, ეგე ამბავი მრთელია;
ლხინი მოგვეცა, მოგვეშორდა ყოველი ჭირი ძნელია,
მზე მოგვეახლა, უკუნი ჩვენთვის აღარა ბნელია,
ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!"

## იბერიული ცოდნის — მიწათმოქმედების დანერგვით ისრაელი ყველა იუდეველს დაიტევს, რადგან გაიზრდება მოსავალი და უსაზღვროდ გაემდიდრდებიან.

ამგვარად, უმთავრესია ყველა ებრაელი ჩავიდეს ერეც—ისრაელში. ეს ამრავლებს, ამდიდრებს მათ, რაც მთავარია, სწორი აზროვნებით, რაც ქვემოთ ჩანს, რადგან ტარიელს ამისთვის უკვე უღვაწია და ამიტომაც გაუიოლდა ავთანდილს თინათინის მოძებნა. შემდეგ კი მიწათმოქმედების დანერგვაა საჭირო.

დღეს ყველა ებრაელს უკეირს, როგორ უნდა იცხოვრონ ამდენმა ებრაელმა ამ მიწაზე? აი აქ არის არსი იბერიულ–ქართული მიწათმოქმედების აღდგენის. საქმე ისაა, რომ როცა გაყოფაა როგორც აღვნიშნეთ, მოსავალი ერთი ასად, მილიარდად უთვალავად იზრდება. არის გაცემაც და არის წყალი წყალობაც ზეციდან როგორც საქართველოშია დღესაც. ამგვარად, მიწაც ყველას ეყოფა და სურსათიც. აი აქ არის ახსნა ამ კითხვისას. რაც ამავე დროს (ებრაელთა ჩასელით) იმპერიების, დევთა დასების დამსხვრევაა:

„ტარიელ ეტყვის ავთანდილს: „ისმინე სიტყვა ასები,
გიამბობ რასმე ამბავსა, მოამბედ ნუ გენასები;
მე ოდეს ქვაბნი წავუხვენ, დავხოცე დევთა დასები,
მას აქათ მათი აქა ძეს საჭურჭლე ძვირ–ნაფასები.

მე აგრე არა მინახავს, მართ ვითა არა მდომია;
მოდი და გავხსნათ, შევიგნეთ, საჭურჭლე თუ რა ზომია“.
ვამა, ადგეს ორნივე, არცა ქვე ასმათ მჯდომია,
დალეწეს კარი ორმოცი, მათგან არ ზედა ომია.“

ქართულში სიტყვა დევ–ნა დევს შეიცავს. დევები დევნიდნენ იბერიელს, ზნეობას – სულს. „დავხოცე დევთა დასები“, და მათი საჭურჭლეც ტარიელის ხელშია. ანუ ყველა ებრაელი თავის რწმენით – ცოდნით და ქონებით ერეც–ისრაელშია. ბოროტებას – იმპერიულ სახელმწიფოებს მოაკლდათ ებრაელთა მადლი – შეხინის მიერ გადმოფრქვეული, აღარც ამინდი აქვთ – დარჩათ დაჩლუნგებული აზროვნება და გულქვა გული. შიმშილია, დანგრეულია მათი ეკონომიკა ეკოლოგიური კატასტროფებით.

ისედაც ისინი ხომ სხვა ქვეყანათა ეკონომიკური პოტენციის გაჩანაგებით მდიდრდებოდნენ. ახლა ერეც–ისრაელი იწყებს მეფობას სამყაროში. ვინც დროზე დაადგა ავთანდილის მოღვაწეობით სწორ გზას, რაც ნაწარმოებში ზღვათა მეფეთა მოქმედებაშია გადმოცემული, ისინი არ ისჯებიან. აი რატომ გაუიოლდა ავთანდილს ნესტანის მოძებნა. დალეწეს ტარიელმა და ავთანდილმა 40 კარი, ანუ გაუძლეს 4 ათას წლოვან დევნას სიკეთისა ბოროტთა მიერ და უომრად ეუფლებიან იმ სიმდიდრეს, რაც ებრაელებმა შეიძინეს ტყვეობაში – გალუთში ყოფნისას (ხომ ასევე უომრად წამოიღეს ეგვიპტიდან დიდძალი ქონება) და ეს ორივე შემთხვევაში უფლის შეწევით ხდება.

ამავე დროს ეს დაახლოებით ისეთი პერიოდია როცა იოსების დროს ყველა მოშიმშილე ქვეყანა მოაწყდა ეგვიპტეს და ეგვიპტე უსაზღვროდ გამდიდრდა. როგორც თორის კომენტატორები აღნიშნავენ იოსებმა დაგროვილი ქონება სამ ნაწილად გაჰყო. ერთი ნაწილი იპოვა და წამოიღო კორახმა მოსეს დროს, რომელიც იყო მსოფლიოში ყველაზე მდიდარი. მეორე ნაწილი იპოვა ერთერთმა ფარაონმა, ხოლო მესამე ნაწილს ნათქვამია მესია იპოვის. ალბათ ამ ნაწილის პოვნაზეა ლაპარაკი ნაწარმოებში ტარიელის მიერ.

ამგვარად, ქართველნო! დროა მოვეგოთ გონს, ნუ ვყიდით სულს და ნუ ვაკეთებთ ქაჯობას – ქაჯების საქმეს. სიკეთის გამარჯვება – ავთანდილზე ჩვენზეა დამოკიდებული.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, ზ. გამსახურდიას კვლევის საფუძველზე, ჩვენ ვიცით, რომ ქვაბი ღვთაებათა შეხვედრის ადგილია, აქ მოიპოვება მიუღწეველი საუნჯე, მისტერიული ცენტრი სულისა, უმაღლესი მე. ამგვარად აქ შეხვდა მართლაც ორი ძმა: ტარიელი და ავთანდილი და ახლა ორივე ერთად ჰპოვებს იოსების არა მარტო საუნჯეს მის ცოდნას იბერიული მოწყობისა, რომელსაც 40 კარი აქვს.

ორმოცი საკრალური რიცხვია, სიერცულ სამყაროში განწმენდის რიცხვი (40 წელი იარეს ებრაელებმა უდაბნოში). ხოლო საუნჯე საყოველთაოდ გავრცელებული სიმბოლიკაა. აი, ამ დონეზე არის ასული ეს ორი ზნეობრივი გმირი.

ამგვარად, ბიბლიის სულის მატარებელი ენის მცნებებზე დაფუძნებული იბერიული სული, მისი ცხოვრების წესი ქართველნი და ბიბლიის უმაღლესი სიბრძნის სრულად აღმქმელი და დამცველი ებრაელობა ერთადაა შეჯერებული. ეს ის ცოდნაა, გონია და ქონებაა, რაც მესიის გამოვლინებას სჭირდება.

და მართლაც ებრაელებს – ტარიელს, ხელთ უპყრიათ დევთა, ურწმუნოთა ქონება. ეს საკმარისია იბერიელებმა მოისმინონ: ჯერ ქაჯების იმპერიების დასამარცხებლად, შემდეგ

ქართული ცხოვრების წესს აღადგენენ საქართველოში, მერე მის მაგალითზე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში შეიქმნება მესიის გამოვლინების წინაპირობა. დღეს ებრაელებს, ტარიელს, ღმერთმა უზარმაზარი ქონება მისცა და ყველა ამ ქვეყნებში ისინი ისე მდიდრები არიან, რომ შეუძლიათ გეოპოლიტიკა წარმართონ. ეს გეოპოლიტიკა კი მათ ავთანდილთან – საქართველოსთან ერთად უნდა წარმართონ, რადგან საქართველო, ავთანდილი, მუდამ სწორ გზას ადგა გენეტიკურად მოყვასთან მიმართებაში რელიგიათა ერთობის საკითხში.

ისტორია უნდა განმეორდეს და ორმა ძმამ უნდა დააფუძნოს ჰარმონიული ცხოვრების წესი ჯერ საქართველოში. აქ ნოეს მისიას როსტევანი შეასრულებს. არაფერი არ ხდება შემთხვევით და რაკი დავითის შთამომავალმა უნდა იმეფოს, ჩვენში ხომ ბაგრატოვანნი მათი შთამომავლობაა.

ამგვარად, ორივე მოგზაურობდა, რათა მათზე დაკისრებული მისია შეესრულებინათ – ცოდნის გატანის, კერპთა მსხვრევის მისია, რათა ხალხს დაემსახურებინა სულიერ ტყვეობიდან დახსნა.* ამავე დროს, მომსდარიყო მათი ღვთის შუქის, ნათელის გამობრწყინება იმ მადლისათვის, რასაც ისინი უდიდესი განსწავლულობის გამო ჩადიოდნენ. ბევრი იმოგზაურა ამისათვის ორივემ, ებრაელმა და ქართველმა და ამიტომაც ისინი იღებენ უდიდეს ცოდნას, რომ მესიის გამოვლინებისათვის ორივემ შეასრულოს მათი მისია. მათ „დალეწეს კარი ორმოცი, მათგან არ ზედა ომია". ანუ ბოროტებაზე გასამარჯვებლად ომი აღარ სჭირდებათ მათ, იმხელა ცოდნა გააჩნიათ.

ებრაელები 40 დღეში უნდა შესულიყვნენ ქანაანში, მაგრამ შევიდნენ 40 წელში. როცა სულიერად განწმენდილი ახალი თაობა მოვიდა. სამყაროშიც 4 ათასი წელი, ანუ 40 საუკუნე მიმდინარეობდა ჩვენი სულების განწმენდა, ვინც განიწმინდება ის ეღირსება მესიის ერაში მარადიულ ცხოვრებას. იდევნებოდა ენა ქართული და ზეობდა ბოროტება. ახლა ბიბლიის და ამ ენის უდიდესი მცოდნენი იბერიელნი იწყებენ მის დამარცხებას, რადგან გავიდა 40 საუკუნე და დაგროვდა სათანადო ცოდნა, გამოიწრთო იბერიული გენი. აი, სად არის იოანე ზოსიმეს წინასწარმეტყველური ახსნა 4 ათასი წელი რომ იდევნებოდა ენა ქართული.

„იგი სახლი ორმოცივე შიგან იყო გატენილი.
პოვეს ერთი ზარადხანა, აბჯრისათვის სახლად ქმნილი;
მუნ აბჯარი ყოვლი–ფერი ასრე იდვა, ვითა მწნილი,
შიგან ერთი კიდობანი დაბეჭდული, არ–გახსნილი.

ზედა ეწერა: „აქა ძეს აბჯარი საკვირველიო,
ჯაჭვ–მუზარადი, ალმასი, ხრმალი ბასრისა, მჭრელიო;
თუ ქაჯნი დევთა შეებნენ, დღე იყოს იგი ძნელიო!
უმისჯამისოდ ვინც გახსნას, არის მეფეთა მქლეველიო".

## რელიგიათა ერთობლიობა სიყვარულისთვის ღვთიური სიწმინდის ზნეობის დასაცავად.

ეტყობა ეს მესამე ნაწილი იოსების სიმდიდრისა იმიტომ არ იპოვეს რომ არ იყო დამდგარი დრო იბერთა ერთობის, რელიგიათა ერთიანი ძალისხმევით ღვთიური კანონების სიწმინდის ზნეობის დაცვისა.

არ იყო დრო დამდგარი რუსთველის წინასწარმეტყველების ახსნისა.

აბჯარს, ქართულად ასევე ჰქვია თორი, ორი ხომ ნათელი, ცოდნაა, ხოლო ბიბლიას ებრაელურად ჰქვია თორა, ანუ სწორი ცხოვრების წესის კონცეფცია. აი, ამ კონცეფციას, ცოდნას, სწორი ცხოვრების წესს სრულყოფილად ეუფლებიან ჯერ ტარიელი და ავთანდილი, შემდეგ კი – ფრიდონი.

აქ არაა ლაპარაკი ცალ–ცალკე რელიგიაზე. ჭეშმარიტი ცოდნა მხოლოდ ერთია. 613 მცნება ჩვენ სულიერი, ფიზიკური ჯამრთელობის – მარადიულობის და სიუხვის საწინდარი იბერიელთათვის – ყველასათვისაა განკუთვნილი. ამ ცოდნას ღვთიური კანონების დაცვას, მარადიულ სიყვარულს ეუფლება სამივე რელიგია. ესე შეერთდება ერთი ჭეშმარიტი ცოდნა, სიყვარული,

*დღევანდელი თაობა მართლაც ბოროტი გეოპოლიტიკის წარმმართველთა მიერ სულის ტყვეობას განიცდის. მათ არ იციან რა, ჰარმონიაში იცხოვრებენ, თუ დაიხსნიან თავს.

რელიგიათა დაპირისპირების ნაცვლად, რისი მაგალითიც არის სამივე გმირი. დადგა ჟამი, სანი, როცა გმირები, რელიგიები დიდი ცოდნის აბჯარით, თორით, ბიბლიით, ენით შეიარაღებული იწყებენ ბოროტების დამარცხებას. ანუ ახსნილია ბიბლიის, ენის, ანბანის, მისი სულის კოდური საიდუმლოებანი. ამ შემთხვევაში სამი აბჯარი სამ ანბანსაც უნდა მიგვანიშნებდეს. სამი ულამაზესი ანბანი მხოლოდ ქართველებს აქვთ და ალბათ მალე მოევლინებიან ქვეყანას ის სწავლულები, რომლებიც სამივე ანბანის საიდუმლოებას სამყაროს ჰარმონიული მოწყობის შესახებ, ახსნიან. ამ სამივე ანბანით ქართველები ხომ ერთდროულად ემოლეაწეობდით ცოტა ადრე.

მთავარი ახსნა კი ისაა, რომ ამ ანბანით გაზრდილი კაცი ზნეორიეია. გენეტიკურად მცნებების ათი თვისების დამცველია. შეერთება ასეთი ცოდნით, განსწავლულობით, ბოროტებისთვის თავზარდამცემია, რადგან ამას ყველა ებრაელთა ერეც–ისრაელში ჩასვლაც მოყვება. ამიტომ ჰპოვეს ზარ–ად–ხანა, ანუ დროჟამი მოვიდა, 40 საუკუნე განწმენდის ხანა გავიდა ბიბლიური დავითის შთამომავლობამ რომ იმეფოს. ხოლო, როცა ბოროტება ზეობს, ისინი ვერ იმეფებენ. მაშინ არის დაპირისპირება და მეფობენ პრეზიდენტები, ჰარმონიული სამყაროს სულის ამომხდელი სალხი.

მაინც რატომ ჰპოვებენ ჯერ სამ აბჯარს ტარიელი და ავთანდილი? (რაც შემდეგ სტროფში ჩანს) საქმე ისაა, რომ საჭიროა ჯერ სამი ანბანის მცოდნე იბერიელთა ერთიანობა, რომ აღიგავოს რელიგიათა შორის დაპირისპირება. ეს სამი ანბანი ასევე შეიძლება იყოს პირველადი ქართული ენიდან გამომდინარე სამი ანბანი — ქართული, იერითული და არაბული. ამ დაპირისპირების მოსხნისათვის საჭიროა ბიბლიაზე და იმ პირველად ენაზე არსებული ცხოვრების წესი აღდგეს, სადაც ენის, სიტყვის, იაფეტელთა თვისების საფუძველზე ცხოვრობდნენ და ურთიერთპატივისცემით, სიყვარულით გამოირჩეოდნენ. აღნიშნულს გვიდასტურებს სიტყვა კიდო–ბ–ანის არსიც. ამ სიტყვის დაბოლოებას ანი–ს უნდა მიემატოს კიდო–ბ, ანუ ბანი და გამოვა ანბანი.

ამგვარად, ქართული ენა — მისი ანბანი არის ის კონცეფცია, ორი შუქი, რომელიც, როგორც ჩვენ აღვნიშნეთ, სწორი ცხოვრების წესს აყალიბებს. იმ ცხოვრების წესს, სადაც არის რელიგიათა, ხალხთა ერთობა, სიყვარული... ეს დევს ამ ენაში თორის საფუძველზე, ანუ კიდობანში სამი აბჯრის სახით.

ცხოვრება ამ ენის ცხოვრების წესით აერთიანებს რელიგიებს ერთი რწმენის, ღმერთის მიერ შექმნილი თორის ირგვლივ, რისი გეგმითაც შეიქმნა სამყარო. ამ გეგმით ადრე თუ ებრაელები განიწმინდნენ და მიიღეს იგი, ახლა სამყაროს ხალხთა განწმენდა მოხდება. არაიბერიელნი, ვინც მოეგებიან გონს, იწამებენ თორას - ბიბლიას ექნებათ მარადიული ცხოვრება. ყველა უფლის შვილები ვართ. მას უნდა ყველა ჩვენგანი, მისი შვილები მოვეგოთ გონს. ამასთვის დანარჩენი მისი ზნეობრივი შვილები უფლის ნებით 40 საუკუნე იღვწოდნენ. ებრძოდნენ ბოროტებს, ცდილობდნენ ესწავლებინათ მათთვის ზნეობა, თორა — ბიბლია და მშვიდობიანად მოექციათ უფლის გზაზე. ამიტომაც თავგამოდებით ებრძვის ბოროტება იბერიულ მოდგმას, თორას — ქართული ცხოვრების წესს. ამ ენით უნდა განიკითხოს უფალმა ყველა ხალხი. ისინი, ვინც დღეს დევნიან წიგნის — ქართულ ენაზე მოლაპარაკე ხალხს, ანუ უპირისპირდებიან იბერიულ ცხოვრების წესს, ჩადიან უდიდეს ცოდვას და თუ დროზე არ მოეგებიან გონს, განიკითხებიან განკითხვის დღეს. ამას გადმოგვცემს რუსთაველიც, რაშიც შემდგომ თავებში დავრწმუნდებით.

ამგვარად ენა — ანბანი, სწორი ზნეობრივი ცხოვრების წესის ანბანური ჭეშმარიტება, ის, რაც ბიბლიაშია, უნდა აღდგეს ჯერ საქართველოში, შემდეგ ხალხებს ექნებათ მაგალითი უმოკლეს ვადაში როგორ შეიძლება აღადგინონ ჰარმონიული თანაარსებობა. ამის შემდეგ კი ისრაელშიც ადვილად აღდგება ტრადიციული ცხოვრების წესი, დაეანდება ისევ შეხინა.

## რუსთაველის ხედვა რელიგიათა საკითხებში ახსნილი ზ. გამსახურდიას მიერ.

ნაწარმოებში ეს სამი რელიგია ისევ აღიარებს, ცნობს იმ ცხოვრების წესს, რომლის საფუძველი არის ბიბლიაც და ენაც. ასეთი ცოდნით შეიარაღებულნი დაამარცხებენ ბოროტებას, ქაჯებს და აღადგენენ ზნეობრივი ცხოვრების წესს ყველა ქვეყანაში, რაც მესიის გამოვლინებას, ანუ ჰარმონიული სამყაროს შექმნას ნიშნავს. ეს ჩანს ბოლო სტროფის ბოლო სტრიქონი-

დან. დრო უნდოდა განწმენდისა ანუ 40 საუკუნე ცოდნის კიდობანის – ქართული ენის ელემენტარული ჭეშმარიტების ჩაწვდომას, რაც გამოიხატება სწორი ცხოვრების წესში, სადაც სამი რელიგიის სამი ანბანის ერთობაა, სიყვარულია.

თანამედროვეობის უდიდესმა მოაზროვნემ, ზვიად გამსახურდიამ რუსთაველის მსოფლმხედველობაში ეს მომენტი კარგად შეამჩნია და თავის ნაშრომში „რუსთაველი და ანტონ I" დაასაბუთა, როგორც ქართული ხასიათის თვისება; იმ ხასიათისა, რომელიც გარედან, ბიზანტიიდან ეკლესიაში შემოტანილ უთანხმოებას არ ურიგდებოდა და მე–14 საუკუნემდე ინარჩუნებდა ეკლესიის მთლიანობას.

მაშინ, როცა ეს განხეთქილება დასავლეთში და ბიზანტიაში მე–11 საუკუნეში დაიწყო. ბატონი ზვიადი აღნიშნავდა: „ვეფხისტყაოსანში" აირეკლა საუკეთესო თვისებები ქართული ხასიათისა, ქართული ბუნებისა. ქრისტიანული ზოგადადამიანური იდეალის გარდა, „ვეფხისტყაოსანში" საოცარი სისავსით გამოვლინდა ქართული სული, ქართველი კაცის მსოფლმხედველობა და მსოფლშეგრძნება, რომელიც რელიგიური აღმსარებლობის სფეროში იმთავითვე შემწყნარებელი იყო თავისი ბუნებით, რამდენადაც შემწყნარებლობა უმაღლესი ჰუმანიზმია, უმაღლესი სინთეზი კაცობრიობის ეთიკურ, ფილოსოფიურ და რელიგიურ ძიებათა, ამიტომაც ჰპოულობდნენ და ჰპოულობენ მკვლევარნი „ვეფხისტყაოსანში" ყველა რელიგიისა და ფილოსოფიური მოძღვრების ანარეკლს, ოღონდ არა ეკლექტიური შეხამების სახით, არამედ, სინთეზის სახით, უმაღლესი ერთიანობის სახით!

უმაღლესი ერთიანობა დევს „ვეფხისტყაოსანში", რასაც ზ. გამსახურდია შემდეგნაირად ასაბუთებს: „სუფევს ისლამის სული და ამავე დროს, ქრისტიანული სული. იგრძნობა, რომ ავტორი ღრმა ქრისტიანია, ოღონდ არა იმ გაგების ქრისტიანი, რომელიც ყველა სხვა რელიგიას და თვით ქრისტიანობის სხვა კონფესიურ ნიუანსებს გმობს და ემიჯნება, არამედ ისეთი, რომელიც მიელტვის რელიგიათა შერიგებას, ერთი ჰარმონიული საყოველთაო რელიგიის ნიადაგზე. იგი ისეთივე ქრისტიანია, როგორც დავით აღმაშენებელი, რომელსაც ძალუძს ლოცვა, როგორც ქრისტიანულ ეკლესიაში, ასევე მეჩეთშიც და სინაგოგაშიც. იგი ბაბილონურ ენათა გამყოფის მსგავს ტრაგედიად თვლის რელიგიათა განყოფას და მიელტვის სინთეზს, ოღონდ, ცხადია, ამას ღიად ვერ იქადაგებს, ვინაიდან მისი ეპოქის კაცობრიობა ჯერ არ არის მომწიფებული ამგვარი იდეებისათვის".

ერთი ჰარმონიული საყოველთაო რელიგიის შექმნა – აი, რუსთაველის მესიანისტური მსოფლმხედველობის მთავარი მიზანი და საფუძველი. მხოლოდ ამის შემდგომ შეიძლება მოველინოს მესია – ტარიელი და ავთანდილი – კაცობრიობას. მაგრამ როგორც აღინიშნა, ამისთვის არ იყვნენ მზად იმ ეპოქაში. შემდეგ ზ. გამსახურდია განაგრძობს:

„ეზოტერულ ქრისტიანობას სწორედ ამგვარი შემწყნარებლობა ახასიათებდა შუა საუკუნეებში. საკმარისია განვიხილოთ პალესტინაში ჯვაროსან ტამპლიერთა, ანუ ტაძრელთა ორდენის მოღვაწეობა, რომელნიც ისლამურ სიმბოლოებს ქრისტიანულს უხამებდნენ, ისლამიდან ღებულობდნენ ესთეტიკური თვალსაზრისით ყოველივე საუკეთესოს და ქრისტიანულ ტრადიციებზე ამყნიდნენ. ტამპლიერთა გზით შემოვიდა ევროპაში აღმოსავლური სიბრძნე. მათ მრავალი რამ ისწავლეს მუსულმან ბრძენკაცთაგან, ვინაიდან ისინი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ისმაილიტების მოძღვრებასთან. მართალია, ერებსა და რელიგიებს შორის იმ ეპოქაში ფანატიზმი და ურთიერთ სიძულვილი სუფევდა, მაგრამ, როგორც ფრანგი მკვლევარი ჟ. შერპანტიე ტამპლიერებთან დაკავშირებით აღნიშნავს, „ელიტა ძველთაგანვე მიელტვოდა რელიგიებსა და ფილოსოფიურ მოძღვრებებს შორის სინთეზს, როგორც მაგალითად ესეველები პალესტინაში" (გავიხსენოთ იესეველი რომ გამხდარიყავი ჯერ იუდაიზმი უნდა შეგესწავლა).

შემდეგ იგი განაგრძობს დიდი ფრანგი ისტორიკოსის მიშლეს სიტყვების ციტირებას: „იდეა ტაძრისა, უფრო მაღალი და საყოველთაო, ვიდრე ეკლესიისა, თავს დასტრიალებდა ყველა რელიგიას. ეკლესიას აქვს დასაწყისი, ტაძარს კი – არა. ყველა დროში იგი იყო სიმბოლო რელიგიის მარადიულობისა... ეკლესია არის სავანე ქრისტესი, ხოლო ტაძარი სავანეა სულიწმიდისა". ტაძრელთა ორდენი იერუსალიმში დამკვიდრდა იმ ადგილას, სადაც გადმოცემით იყო სოლომონის ტაძარი, როგორც მათ ერქვათ – ქრისტესმიერი რაინდნი სოლომონის ტაძრისა, რაც მოასწავებდა ეკლესიური ქრისტიანობისა და სოლომონისეული სიბრძნის (ეზოტერიზმის) სინთეზს".

ჩვენ ვიცით ეკლესია, მეჩეთიც და სინაგოგაც დროებითია. მარადიული ტაძარია, რადგან აქ ყველა ერთად ლოცულობს — ერთიანია.

იერითულად ტაძარს ბეთამიკდაში ანუ სიწმინდის სახელი ჰქვია, სინაგოგას კი ბეითკნესეტი ანუ თავშეყრის სახლი.

ჩვენ აღვნიშნეთ შესინის და სულიწმიდის ერთი და იგივე ფუნქცია და მართლაც სოლომონის ტაძარში იყო შეხინა დავანებული.

„ტამპლიერები და სხვა ეზოტერული მიმდინარეობანი იმ თვალსაზრისს ადგნენ, რომ მსოფლიოს ყველა რელიგიები კაცობრიობის ერთი დიდი, პირველი რელიგიიდან არიან წარმოშობილნი და ყველა განკერძოებული კულტი, ბოლოს და ბოლოს, ამ ერთიანობას უნდა დაუბრუნდეს. ამგვარი თვალსაზრისი თანდათანობით მკვიდრდება თანამედროვე მეცნიერებაშიც. რელიგიათა შედარებითი შესწავლის, მათი სიმბოლიკის გამიფერის შედეგად, ცხადია, რომ მათ ჰომოგენური იდეები ასამრდოებენ და დიდ რელიგიებს გაცილებით მეტი რამ აერთებს, ვიდრე ყოფს."

ყველაზე მთავარი ეს უკანასკნელი ფრაზაა. დიდ რელიგიებს საფუძველი და ძირი ერთი აქვს — ერთი ღმერთი, სიყვარული, სწორი მიწათმოქმედება, ჰარმონიული ცხოვრების წესი და ეს ყველაფერი მესიამ უნდა მოიტანოს. მაშ რა გვაქვს ჩვენ გასაყოფი? გავიხსენოთ, ებრაელები გაქრისტიანდნენ ეზოტერულ იუდაიზმში და ქრისტიანობაში ამ ერთობას ხედავდნენ (ზ. გამსახურდია, იქვე, 209 გვ).

## დაპირისპირება რელიგიათა — სექტების, პარტიების ანუ ბოროტების გამრავლებით — გზაა ბოროტებისა: ქართული ცხოვრების წესი — ერთობა გზაა მესიის მოვლინებისა

გაყოფა გათიშულობა — აი გზა ბოროტებისა, სატანისა. ერთობა — აი გზა ღვთისა. ამიტომ მიდიოდა ჯერ პირველად ენის შებილწვა, ენების გაყოფას ზ. გამსახურდია იგივე ტრაგედიად თვლის, რაც რელიგიათა გაყოფას მოაქვს. ესეც არ გვეყოფა. ახლა პოლიტიკა შექმნეს ისეთი, სადაც მრავალი პარტიაა და სპეციალურად ხდება ამათი გამრავლება სიკეთის ციტადელში საქართველოში, ორასზე მეტი პარტია ბარე ორმოცდაათ ქვეყანას ერთად აღებულს არა აქვს. აი გეგმა ხალხისა, ვისაც საქართველოს დამონება უნდა და ამ გეგმას შესანიშნავად ავეირგვინებენ უკლებლივ ყველა პოლიტიკური პარტია და ყველა მოწვევის პარლამენტი, რომელიც „მოყვარე" მტრებით — მეცნიერებითაა სავსე. ამ მეცნიერებებს და მეცნიერთ — მოგვეებს ბიბლია კუდიანებადაც მოიხსენიებს. ბიბლიის კანონებით კი კუდიანი უნდა მოიკლას. დროა გამოფხიზლდნენ მეცნიერნი ვინც კუდიანთა ნებას ასრულებს შემდეგ ამბობენ მასონები გვემართავენო. რას მიზამს ის მასონი, ეს „მოყვარე" მტერი რომ არ იყოს? რომელია ერთი დიდი პირველი რელიგია? ან რომელია პირველადი ენა? ეს ის რელიგია და ენაა, რომელიც უფალმა შექმნა და არა ადამიანმა. თორა — ბიბლია და იბერთა ენა — ენა ქართული — სამ სახოვანი — სამი ანბანით (საერო და სასვთისმეტყველოთი) იბერიელთა დამწერლობა პირველადი ენიდან გამომდინარე, მათ შორის იერითული. ესენი უნდა იყოს საფუძველი ჩვენი ერთობის. უფრო კონკრეტულად კი ის იბერიული ქართული ცხოვრების წესი ნოემ, შემმა და იაფეტმა რომ დააფუძნეს საქართველოში, რასაც აღადგენენ ორი ძმა ანუ ახლა მეორე მესია და რაც კარგად ჩანს ვეფხისტყაოსანში.

ამგვარად, მთავარია, ჩვენ მოვერიოთ დოგმატურ აზრებს, ერების, რელიგიების, პარტიების დაპირისპირებას. გვქონდეს ნამდვილი ღვთიური ცოდნა. ანუ როგორც რუსთაველი ამბობდა:

„ანუ არის ბრძენი ვინმე, მაღალი და მაღლად მხედი,
არცა ჭირი ჭირად უჩანს, არცა ლხინი ზედა–ზედი,
ვით ზღაპარი, ასრე ესმის უბედობა, თუნდა ბედი,
სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს, გონება უცს ვითა ტრედი".

ამგვარად, სანამ არ იქნება რელიგიათა შერწყმა, მესია არ გამოვლინდება. ამ სიბრძნეს ქართული აზროვნება მე–12 საუკუნეში ჩაწვდა. ამისკენ მიილტვოდნენ ისინი (იქვე, გვ. 210–219).

ამისკენ მიილტვოდა დიდი ებრაელი მოღვაწე რამბამიც, როცა იგი ეუბნებოდა ებრაელებს, რომ ქრისტეც და მუჰამედიც ღვთის ნებით არიან მოვლინებული და მე–12 საუკუნეში ელოდა

მესიას. მაგრამ ბოროტებამ უფრო გააძლიერა მოქმედება და ქრისტიანული რელიგიაც კი გახლიჩა. ურწმუნონი დარწმუნდნენ, რომ ამ რელიგიათა ერთობის შემთხვევაში, საქართველოში ჰარმონიული ურთიერთობა დამყარდება. მაგალითად ისიც კმარა, რომ ყველაზე წმინდად აქ შემოინახა ებრაელობამ ზნე–ჩვეულებები, რწმენა და ნამუსი.

საერთოდ, დაპირისპირება მაშინაა მძაფრი, როცა ვინმეს გამოეყოფი და მერე იტყვი, „ჩემი ჯობსო". ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მაცხოვარი ამბობდა: „ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ დახსნად სჯულისა, გინა წინასწარმეტყველთა; არა მოვედ დახსნად, არამედ აღსრულებად". (მათეს სახარება, 5.17). იგი არავის არც ჰპარავდა, არც ხლეჩდა.

როცა ერთი მეორეს გამოეყოფა, როგორც წესი, გამომყოფი უფრო აგრესიულია. იმიტომ რომ ერთობა არ აწყობდა და მიილტვის რათა გამძაფრდეს დაპირისპირება. ეს კარგად ჩანს ქრისტიანობის გაყოფის შედეგადაც – ჯერ კათოლიკეების ქმედებაში. გავიხსენოთ ბართლომეს ღამე. დღეს კი კიდევ არიან გამოყოფილი სექტები: ბაფტისტები, იეღოველები. ასევე გაყოფილია მუსულმანური რელიგია და არის სამყაროში დაპირისპირება. ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ ახალს არავინ არ უმატებს ძველს და პირველადს. ამ ცისქვეშეთში არაფერი არ არის ახალი (სოლომონი). მაგრამ საკუთარ განდიდებას, ანუ მრევლის გამრავლებას ხალხთა დამათხოვრების ხარჯზე აღწევენ, რათა გამდიდრებულებმა მათხოვართ საკუთარი ბრწყინვალება დაანახონ. თუ ისინი ამ ბრწყინვალებას დაინახავენ, ძალლებივით გადმოუგდებენ სახრავს და ესენიც, ვინც მათი კუთვნილი მიითვისა, მათი ერთგული მონები ხდებიან. ასე ხდება ადამიანი — სამყაროს მეფედ დაბადებული — მონა. ასე ებრძვის ქართველ მართმადიდებლობას მრავალი სექტა.

ამგვარად, მიდის შეჯიბრი ფულის დაგროვებაში. პოლიტიკურ პარტიებსაც აარსებენ. ყოველი მათგანის მიზანია, რაც შეიძლება მეტი მიწა მიითვისონ, გაქურდონ გარემო – უსიცოცხლო, უნაყოფო გახადონ, რათა მეტი იყოს ღარიბი. არ ადარდებს არც სტიქიური უბედურებები, არც მოწამლული გარემო, უწყლო სამყარო და ამრავლებს ბოროტება პარტიებს, სექტებს, რომლებიც იღვწიან საკუთარი განდიდებისათვის – გაკერპებისათვის. და ამას ის აკეთებს ვისაც ბევრი ფული აქვს. ფული ხდება კერპი რელიგიებისაც.

ამგვარად, ქრისტიანულმა და მუსულმანურმა რელიგიებმა შეასრულეს თავიანთი მისია, ანუ სამყაროში აღგავეს კერპთაყვანისმცემელი ქვეყნები. ბოროტების საპირისპირო ხელა მათი გახლეჩა დაპირისპირების ჩამოგდება აღმოჩნდა. სიკეთემ კი ამას იმით უნდა უპასუხოს, რომ აღდგეს ბიბლიაზე და ენაზე დაფუძნებული ქართული ცხოვრების წესი.

ამგვარად, დრო მოიტანს, მესია – დავითის შთამომავალი, მირონცხებული მეფე გამოვლინდება. ეს დრო კი დღევანდელ ეპოქას უნდა უახლოვდებოდეს.

„კიდობანი გახსნეს, პოვეს მუნ აბჯარი სამი ტანი,
რასაცა ვით შეიმოსენ მეომარნი სამნი ყმანი:
ჯაჭვი, ხრმალი, მუზარადი, საბაკრული მათი მგვანი, –
ზურმუხტისა ბუდებითა იყვნეს ვითა ლუსკუმანი.

თვითომან თვითო ჩაიცვეს, თავის თავს გამოსცდიდიან,
ჯაჭვ–მუზარადსა, აბჯარსა მართ ვერა ვერ მოჰკიდიან;
ხრმალი რკინისა მოჰკრიან, ვით ბამბის მქედსა სჭრიდიან,
მათ უღირს ყოვლად ქვეყანად, შეეატყვე, არ გაჰყიდიან."

ამ სტროფიდანაც ჩანს, რომ კიდობანი ცოდნა იყო. ბოლო სტროფი გვეუბნება, რომ ერთმანეთის თორის – ენის ცოდნაში გამოსცდიან. ამის გამო აქვთ ძლევამოსილება. ერთმანეთზე მოქნეულმა ხმალმა ვერაფერი ავნო მათ ჯავშან მუზარადს, ანუ ცოდნას, თუმცა ხ–მ–ალი (ხელ მართალთა ალი–ცოდნა–მადლი) ისეთი იყო, რკინას ბამბის მქედივით ჭრიდა. მაგრამ მათ ორივეს ჰქონდა ცოდნა–სიკეთე. ეს ხმალი მხოლოდ ბოროტს კვეთს. ამიტომ ვისაც ეს ზნეობა – ცოდნა ექნება ის გადარჩება 40 საუკუნის ანუ კიდობნის გახსნის შემდგომ. ეს ორივე ცოდნა ბიბლიის – პირველადი ენის, ორი კიდობნით გვიბოძა უფალმა. ახლა დადგა ჟამი – მოვიდა დრო, რომ ისინი გაერთიანდნენ, რათა აღმოფხვრან ბოროტება.

ამგვარად, საჭიროა ორი დიდი ცოდნის – ჯერ ბიბლიის, შემდეგ პირველადი ენის, 10 სიტყვის საფუძველზე მიწათმოქმედების გაერცელება, მათი სინთეზი. ამიტომ იცვამს აბჯარს

ჯერ ტარიელი და შემდეგ ავთანდილი (ტარიელი ხომ უფროსი ძმის სემის შთამომავალია). კიდევ ერთხელ გამოცდიან ერთმანეთს.

ცოდნის კიდობანიდან მესამე აბჯარი ფრიდონს ერგო. უზომოა ფრიდონის სიხარული, როცა ავთანდილი და ტარიელი მის ქვეყანაში მოვლენ:

„ფრიდონ უთხრა: „რასა სდევით? მოგელოდი უწინარე,
მე მზა ვარო, სამსახური თქვენი რამცა დავიზარე!"
პგეანდა, თუმცა შეყრილ იყვნეს ორნი მზენი, ერთი მთვარე,
ერთმანეთი დაამშვიდეს, გაემართნეს, იქცეს გარე.

ფრიდონის სახლსა გარდახდეს ორნივე, ტურფად გებულსა.
ახლოს დაისვამს ავთანდილს, მისსა ძმად-შეფიცებულსა;
ტარიელ დაჯდა საჯდომსა, ოქსინო — გარდაგებულსა.
მათ უძღვნეს იგი აბჯარი ფრიდონს, ჭაბუკად ქებულსა."

„პგეანდა, თუმცა შეყრილ იყვნეს ორნი მზენი, ერთი მთვარე". პგეანდა, ანუ სამივეს უკვე ერთი მიმართულება — ცოდნა აქვთ, თუმცა შეყრილიყვნენ ორი მზე, ანუ იუდეველი და ქრისტიანი და ერთი მთვარე, ანუ მუსულმანობა. მეორე სტროფში ნათლად ჩანს, რომ ამ იბერიულ მოდგმაშიც ქართულის მსგავსი ცოდნა–წესი ინერგება, რაც დაამშვენებს სამივეს.

## სამი აბჯრის იბერთა სამი რელიგიის ერთობა ადვილად ამარცხებს ქაჯებს – კუდიან მეცნიერებს

მთავარი მაინც ის არის, რომ იბერიული ცხოვრების წესისთვის უცხოა მრავალრიცხოვნებით მტრის დაძლევა. ამავე დროს, იმპერიული სახელმწიფონი უკვე დაუძლურებულნი არიან. ამიტომაც ამ ცოდნით შემოსილი ფრიდონი მიმართავს მათ:

„დიდთა რას ვაქნევთ ლამქართა? კარგნი გვინდან და ცოტანი;
სამასი კაცი გვეყოფის, წავიდეთ მართ მეოტანი;
ჩვენ ქაჯეთს ქაჯთა საომრად დავაგნეთ ხრმალთა კოტანი,
მას ადრე ვჰპოვებთ, ვისიცა მოგვეკლავს ალვისა, მო–, ტანი."

ამ აზრს ადასტურებს შემდეგი სტროფი:

„გვირაბის კარსა ჭაბუკი ათი ათასი მცველია.
მათ ლომთა ნახეს ქალაქი, მთვარე დგას მუნ ნათელია;
თქვეს: „ვითათბიროთ, ვითა ვქმნათ, აწ გამორჩევა ძნელია;
ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩეეით მქმნელია".

აქ ჩანს, რომ მათი სამასი კაცი ცოდნით, ზნეობით მცოდნენი არიან და არ გაუჭირდებათ ბოროტთა დამარცხება. აქვე უნდა აღინიშნოს ავთანდილის და ფრიდონის ხასიათში იბერიული მობგმის თვისება. ისინი უდიდესი ცოდნის და ზნეობის გამო თითქმის დაუმარცხებელი მეომრები იყვნენ. ამიტომაც, როცა სხვა ეროვნებების ნარევი ჯარი იყო, ყოველთვის მეწინავეობდნენ ომში, ომს ესენი იწყებდნენ. ეს იყო მათი პრეროგატივა, მათი სიმამაცის და ძლევამოსილების გამო, რაც მხოლოდ მცნებების დაცვიდან მოდის. თითოეული ქაჯეთის ციხის აღების ისეთ გეგმას გვათავაზობს, რომ ჯერ მათ უნდა შეაღწიონ მტრის ზურგში, დახოცონ მეციხოვნენი და გააღონ კარი.

აქ ჩანს ტარიელის ბრძნეული საუბარი. არა განცალკევებით გმირობა, ვინმეს გამორჩევა, არამედ ერთობით სამივე რელიგია ცოდნით შეიარაღებული პირდაპირ მივიდეთ მტერზეო, რაც მოიწონეს:

„იგი ჭაბუკნი მუქითა ენახენ მზისაცა მეტითა;
მათ სამთა შეიდნი მნათობნი ჰფარვენ ნათლისა სვეტითა;

ტარიელ მაჟსა ზედა ზის ტანითა მით წერწეტითა;
დალიენეს მტერნი ომითა, ეითა მჭურეტელნი ჭერეტითა."

ანუ მათი სახე შუქი მენორისა, შვიდი სანთელისა მზეზე მეტ შუქს, ენერგიას გადმოსცემდა. ცოდნისა და რწმენის გამო, მათ ზეციური მნათობნიც, ნათელიც ჰფარაედა და მიჰყეებოდათ. როგორც ცნობილია, უფლის ასეთი ნათელი, სვეტი მიუძღოდა ებრაელებს ეგვიპტიდან გამოსვლისას.

შემდეგი სტროფი გადმოგვცემს:

„ჩემი აწ ესე ნათქვამი მათი სახე და დარია;
რა ზედა წვიმდენ ღრუბელნი და მთათა ატყდეს ღვარია,
მოეა და ხეეთა მოგრაგნის, ისმის ზათქი და ზარია,
მაგრა რა ზღვათა შეერთეის, მაშინ ეგრეცა წყნარია."

აქ ჩანს, თუ რა ძალა აქვს რელიგიათა ერთობას. ეს არის საფუძველი, საერო პარმონიით შექმნილი მშვენიერი ამინდისა. ეს სტროფი, როგორც ყველა დანარჩენი, ბრძნულად გადმოგვცემს შემდეგ აზრს: ცალ—ცალკე რომ იყვნენი ეს რელიგიები, იყო უამინდობა, ავდრობა, ზათქი და ზარი — არ იყო სიუხვე, პარმონია, ხოლო როცა ისინი შეერთდნენ, სიდიადე მათი სახე და დარი გახდა, ისე, ვითარცა წყნარი, ლამაზი, დიდსულოვანი ზღვა. ზღვა, რომელიც გამცემია (გავიხსენოთ სტრიქონი — „უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების") და არა პატარა, გულბოროტი საკუთარი მეს მცნობი ტბები, რომელნიც არ გასცემენ და ღლეს თუ ხვალ ჭაობად იქცევიან.
ამგვარად, ტარიელმა მოახერხა და ყველა ებრაელი ერეც—ისრაელშია. ავთანდილმა მოახერხა და სამივე რელიგიის მატარებელნი — იბერნი გაერთიანდნენ. ბევრი არა იბერიელი — იმპერიული სახელმწიფონი სიკეთისკენ მოაქციეს მათ. ახლა იწყება დანარჩენ იმპერიულ სახელმწიფოთა მოქცევა ზნეობისაკენ, თუ არადა მათი დასჯა. რუსთაველი გამოყოფს შემდეგ სტროფში იმ სარწმუნოებას, ტარიელის სახით, რომელმაც შექმნა ბიბლია, რადგან უფლის მიერ მოცემულია იგი:

„თუცა ფრიდონ და ავთანდილ სიკეთე—მიუწვდომნია,
მაგრა ტარიას შებმანი არვისგან მოსანდომნია;
მზე მნათობთაცა დაჰფარავს, არცაღა ნათლად ხომნია
აწ იყურებდით, მსმენელნო, გესმნენ ფიცხელნი ომნია!"

ამგვარად, ენა იბერიული, ქართველ და იბერიელ ქრისტიან—მუსულმანთა სიკეთე მიუწვდომია, მაგრამ გაუგებარია სხვა ეროვნებათათვის. რადგან ბიბლია ითარგმნება. ამიტომაც ადვილად ამარცხებს ბოროტებას ტარიელი და ის „არვისგან მოსანდომნია".
მაგრამ, როგორც ვიცით, ისრაელში სრულყოფილად ბიბლიური ცხოვრების წესის აღდგენას საუკუნეები დასჭირდება, რადგან გაყოფის, გაცემის და მოყვასის ყველა სულიერის სიყვარულის გენეტიკას, ანუ მიწათმოქმედების სწორ უკუ—თეს — უკეთ თესვის წესს ენა ნერგავს.
ბიბლიის მცნებები ჯერ საქართველოში, იბერიაში უნდა აღდგეს, რადგან ეს ავთანდილის და ფრიდონის გენეტიკაა. ისინი ენას რომ სწავლობენ, სწავლობენ ამ მცნებებს, ზნეობას. მაშინ თვითონვე დამარცხდება ბოროტი, დაკმორჩილდება, რადგან ცოდნა ის ნათელი ჩირაღდანია, რომელიც ანათებს და ბოროტს ამარცხებს. რაც შეეხება მათ, ვისაც დიდი ცოდვა აქვს ჩადენილი ებრაელების და იბერიელთა, ანუ ქართველთა, ჩეჩენთა, ინგუშთა და სხვათა მიმართ, თუ არ მოინანიებენ, მათი დასჯა მოხდება ზეციდან და არა ადამიანთა ხელით, რაც ჩანს შემდეგ სტროფებში:

„სამთავე სამად გაიყვეს, თვითომან თვითო კარები;
თანა ჰყვა კაცი სამასი, ყველაი გმირთა დარები.
მას ღამით უქმნეს სადარნო, უცრუო, ანაჩქარები,
გათენდა, გაჩნდეს, მიმართეს, თავის—თავ ჰქონდა ფარები.

პირველ ამოდ მიდიოდეს მგზავრთა რათმე მაგიერად,
მათ მიგანთა ვერა უგრძნეს, ვერცა დახედეს გულ–ხმიერად;
გულსა შიში არა ჰქონდა, ამოდ დგას და ნებიერად.
მიდგეს გარეთ, მუზარადნი დაიხურნეს ქამიერად.

ანაზდად ცხენი გაქუსლეს, მათრახმან შექმნა წრიალი.
რა ნახეს, კარნი გაახვნეს, ქალაქით გახდა ზრიალი.
სამთავე სამგნით მიმართეს, თავსა მით უყვეს რიალი,
იერეს ნობსა და დაბდაბსა, შეიქმნა ბუკთა ტკრციალი.

მაშინ ქაჯეთს მოიწია უსაზომო რისხვა ღმრთისა;
კრონოს, წყრომით შემხედველმან, მოიშორვა სიტკბო მზისა;
მათვე რისხვით გარდუბრუნდა ბორბალი და სიმგრგვლე ცისა,
ველნი მკვდართა ვერ იტევდეს, გაღიადდა ჯარი მკვდრისა."

პირველი ორი სტროფი გვამცნობს, რომ სამივე გმირი, ანუ რელიგია, ერთი ჭეშმარიტი გზით, ცოდნით მიდის. ქამიერად მუზარადის დახურვა ნიშნავს, რომ დრომ მოიტანა ბოროტებასთან ერთი ცოდნით, ერთი პირით ბრძოლა. მესამე სტროფში შეიქმნა ბუკთა ტკრციალი, ანუ ცოდნის მეშვეობით ცხენზე ამხედრებულებმა (რაც ნათელ გზას ნიშნავს) „თავსა მით უყვეს რიალი" – ანუ განანათლეს გაუნათლებელნი. ხოლო ურწმუნო ხალხის დასჯა – ვინც არ იწამა, ცოდვა არ მოინანია და ისევ ქაჯად დარჩა, მოხდა უკვე გამჩენის მიერ. ამის საფუძველი მისი ალი – ენერგიაა. ეს ენერგია თავზარს სცემს ბოროტს. ამიტომ არის, რომ ამ სტროფის ყველა თავზარდამცემი სიტყვები ალით მთავრდება. ღრი–ალი, ბრი–ალი, რი–ალი, ტკრცი–ალი. შედეგად მრავალი გარდაიცვალა, რაც ჩანს ბოლო სტროფში და მის შემდგომში:

## ტარიელი იბრუნებს ტყვეობაში მყოფ მიჯნურს, შეხინის ნათელს

„კაცსა უკრავად დაბნედდის ხმა ტარიელის ხაფისა,
აბჯარსა ფრეწდის, გაცუდდა სიმაგრე, ჯაჭმან–ქაფისა.
სამგნითვე კართა შესჯარნეს, ჭირი არ ნახეს კაფისა,
რა ქალაქს შეხდეს, შეიქმნა სიხარკე ცისეს სწრაფისა."

ტარიელის, ანუ ბიბლიის ხმაში მისი ცოდნა უნდა ვიგულისხმოთ. როდესაც ბრძოლა მთავრდება, ფრიდონი და ავთანდილი ერთმანეთს შეეყრებიან. ტარიელი კი არ ჩანს. როცა დაიწყეს ძებნა, წააწყდნენ ციხეს:

„ციხისა მცველი ყველაი იდეა მართ ეითა სნეული,
თავით ფერხამდის დაჭრილი, აბჯარი მუნ დახეული,
ციხისა კარნი განხმულნი, კართა ნალეწი სრეული,
ცნეს ნაქმრად ტარიელისად, თქვეს: „საქმე არს მისეული".

გზანი დახედეს შეკამშულნი, შევიდეს და გაძვრეს ხვრელსა,
ნახეს, მზისა შესაყრელად გამოვმეა მთვარე გველსა,
მუზარადი მოეხადა, შვენის აკრევა თმასა ლელსა,
მკერდი მკერდსა შეეწება, გარდაეჭდო ყელი ყელსა."

პირველი სტროფი გვამცნობს, რომ მცველნი სნეულნი, ანუ უცოდინარნი იყვნენ. სამოსელის – აბჯარის დახევა უცოდინარობას ნიშნავს. ყოველი ჩვენთაგანის სნეულება – დაავადება ხომ მცნებების არდაცვის გამოა. მეორე სტროფი გვაუწყებს, რომ გამოქვაბულიდან ტარიელი – ისრაელი, ბიბლია იხსნის ზეციურ ნათელს. იგი ავთანდილთან ერთად არის ის წმინდანი მეოცე მესია, რომელიც უკვე სამყაროს შექმნის ტაძრად. არის ზეციური ნათელი, შეხინა, სულიერი ერთობა. ამ ეტაპზე მოხდა მხოლოდ შეხინის დახსნა ტყვეობიდან.

გავეიხსენოთ, რამ გამოიწვია მისი ტყვეობა, მხოლოდ და მხოლოდ დაპირისპირებამ. ახლა, როცა ბიბლია და ენა პირველადი ერთიანია, ხოლო ისრაელი ერი ერეც–ისრაელშია, და იქ

მოისპო დაპირისპირება შეხინა იმპერიულ ქვეყნებს აღარ აძლევს ამინდს, ბარაქას. იქ ყველას დასჯა ხდება ზეციდან, რადგან აღივსო უფლის მოთმინების ფიალა მათი ულიდესი ცოდვების გამო. ადვილი ხდება რელიგიათა და ხალხის გაერთიანება, ჭეშმარიტების დადგენა. შესაბამისად ქაჯნი — ბოროტნი აღარ არსებობენ.

ბიბლიის და ენის სიბრძნის მეშვეობით დადგა სიყვარულის, სიკეთის, პოლიტიკის ერა. ამიტომაც პარმონიული ცხოვრების წესს, მესია — ტარიელი ისრაელშიც და სამყაროშიც შემდგომ აღადგენს ავთანდილის და ფრიდონის, იბერიელთა ხელშეწყობით. ნესტან—დარეჯანი რომ დედამიწაზე ნაყოფიერების, სიყვარულის მომტანი შეხინა — მზეა, ეს შემდეგი სტროფებიდანაც ჩანს:

„ეხვეოდეს ერთმანერთსა, აკოცეს და ცრემლნი ღვარეს;
ამას ჰგვანდეს, ოდეს ერთგან მუშთარ, ზუალ შეიყარნეს.
მზე რა ვარდსა შემოადგეს, დაშვენდეს და შუქნი არნეს,
აქანამდის ჭირ—ნახულთა ამას იქით გაიხარნეს.

მათ ერთმანერთსა აკოცეს, დგანან ყელ—გარდაჭდობილნი.
კელა შეეწებნეს ხშირ—ხშირად ვარდნი ბაგეთათ პობილნი.
აწ ესენიცა გაეიდეს, შეკრბეს სამნივე ძმობილნი,
მას მზესა მისცეს სალამი, წადგეს მართ ვითა ხმობილნი.

მზე მოეგება პირითა ტურფითა, მოცინარითა,
აკოცა მისთა მეშველთა, ლაღმან ცნობითა წყნარითა
მათ მდაბლად მადლი უბრძანა, სიტყვითა მით ნარნარითა,
ორნივე ერთგან უბნობდეს, ამოთა საუბნარითა.

ტარიელსცა უსალამეს, მას ალვისა მორჩსა ვით ხეს,
მიულოცეს გამარჯვება, ერთმანერთი მოიკითხეს;
არა სჭირდა, არ ინანეს, რომ აბჯარი არ გაითხეს,
თავნი მათნი გაალომნეს, მათი მბრძოლი იშელეს, ითხეს.

სამასისა კაცისაგან ას—სამოცი შეჰყოლოდა;
ფრიდონს უმძიმს სპათა მისთა, მაგრამ ერთ—კერძ უხაროდა;
მონახეს და არ აცოცხლეს, რაცა მბრძოლი დარჩომოდა,
რომე პოვნეს საჭურჭლენი, აწმცა თვალეით ვით ითქმოდა!

მოკრიფეს ჯორი, აქლემი, რაცა ვით პოვეს მალები;
სამიათასსა აჰკიდეს, მარგალიტი და თვალები,
თვალი ყველაი დათლილი, იაგუნდი და ლალები,
იგი მზე შესვეს კუბოსა, არს მათგან განაკრძალები.

სამოცი კაცი დააგდეს ქაჯეთს ციხისა მცველია,
წამოიყვანეს იგი მზე, მათიღა წაგერა ძნელია;
ზღვათა ქალაქსა დამართეს, თუცა გზა მუნით გრძელია,
თქვეს: „ფატმან ენახოთ, მუქაფა გვაც მისი გარდუხდელია".

„ეხვეოდეს ერთმანერთსა", ანუ იყო ერთობა, ერთი რელიგია, ერთი ცოდნა და ერთი გამჩენი მათთვის. ამიტომაც „ცრემლნი ღვარეს", ანუ ქვეყნიერებაზე მადლი მოაფრქვიეს, „გაიხარნეს". შემდეგ „მას მზესა მისცეს სალამი", ანუ შეხინას, რომელიც „მოეგება პირითა ტურფითა, მოცინარითა" და „მათ მდაბლად მადლი უბრძანა", ანუ მადლი, ბარაქა მოავლინა. მთელს მსოფლიოში იწყება მესიის წინა პერიოდი. ბოროტნი — მათი ცხოვრების წესი ალიკვეთა, ახლა ყველა ადამიანი მეტ სიკეთეს ჩადის. იქმნება პარმონიული სამყარო. სამოცი კაცი რომ ქაჯეთის ქვეყანას ვერ დაიცავდა, ეს ცხადია. უბრალოდ სამოცი ბრძენი, ნათელში მყოფი კაცი დატოვეს მათ, რომ თითქმის უმოსახლოდ დარჩენილი იმპერიული ქვეყნები საბოლოოდ მოექციათ მცნებათა დაცვისაკენ. ეს სამოცი იბერიელი მუსულმანი, ჩვენი აზრით, ჩეჩნები არიან.

მათი სულიერება, გენეტიკა ხომ შეურყვნელია. რაც შეეხება დანაკარგს, იბერიელებმა ხომ მართლაც ბევრი ხალხი დაჰკარგეს და ალბათ კიდევ დაკარგავენ იმპერიასთან ომში და დღეს ამ დანაკარგის უმრავლესობა სწორედ ჩეჩნებზე მოდის.

ჩვენ ვიცით, შეხინის საბოლოო დავანება ისრაელში მაშინ მოხდება, როცა ერები ერთად იქნებიან. ენის სიბრძნემ შემოინახა ქართველთა ის გრძნობა, გენეტიკა, რომელსაც ხელეწიფება აღადგინოს ის მიწათმოქმედება მთელს მსოფლიოში, რაც ბიბლიის მცნებათა დაცვის და ნესტანის წმინდა მიწაზე სრულყოფილად დაბრუნების საწინდარია. თუმცა ეს მიწათმოქმედება ჯერ არ აღდგენილა ისრაელში, მაგრამ ამისკენ ლტოლვა უკვე აქვს ტარიელს და კიდეც აღადგენს. ეს ჩანს სიტყვებში. „ტარიელსცა უსალამეს, მას ალვისა მორჩსა ვით ხეს". ყველაფერი რომ სწორ მიწათმოქმედებაზეა აგებული, ეს ჩანს წინა სტროფებში ქაჯთა დამარცხებისას უფლის შეწევნით. „კრონოს. წყრომით შემხედველმან, მოიშორვა სიტკბო მზისა; მათვე რისხვით გარდუბრუნდა ბორბალი და სიმგრგვლე ცისა". უზნეო მიწათმოქმედების გამო მზემ აღარ მისცა სიტკბო და ამინდი, და მოხდა ქაჯთა დასჯა. სოლო, როცა ტარიელი მიისწრაფვის აღადგინოს სწორი ცხოვრების წესი – მიწათმოქმედება, უკვე ნესტან–დარეჯანის ძალისხმევით, მზე ისევ აურქევს ცხოველმყოფელ ბარაქის მომტან სხივებს. „მზე რა ვარდსა შემოადგეს, დამზვენდეს და მუქნი არნეს", მეორე და მესამე სტროფებშიც ქვეყნიერების ბარაქისათვის მზის ნარნარია გადმოცემული.

მეექვსე სტროფი გვამცნობს, რომ ისევ აღდგება რჯულის კიდობანი „იგი მზე შესვეს კუბოსა" ანუ ტახტრევანზე. ეს ნიშნავს, რომ დაიხსნეს შესინა ტყვეობიდან. იგი აღარ მისცემს იმპერიულ სახელმწიფოებს მოსავალს, თუნდაც ძალიან მწირსაც. მაგრამ ის ჯერ არ უნდა დავანდეს ისრაელში. სანამ გრძნობრივ სიყვარულზე და გაყოფაზე დაფუძნებული მიწათმოქმედება, ანუ სულიერი მისწრაფება კოდი – გენეტიკა სურვილი, არ აღსდგება, ის ისრაელში არ დაბრუნდება. ამასთანავე შეცდომა არ უნდა განმეორდეს და მთელ გარემომცველ სამყაროში უნდა აღდგეს იბერიული–ბიბლიაზე დაფუძნებული ცხოვრების წესი. გენეტიკა იბერიული – იბერიის ციტადელის საქართველოს მაგალითზე. ამისათვის დიდი გზაა გასავლელი, რაც ჩანს ბოლო მეშვიდე სტროფში.

ამგვარად, აქ უნდა ვიგულისხმოთ ის უახლოესი მომავალი პერიოდი, როცა ხილულად ჩანს ღვთის რისხვა ქაჯებზე; უზნეობების გამო არსებულ სტიქიურ მოვლენებს დღეს ჯერ ანგარიშს არ უწევენ მსოფლიოს გეოპოლიტიკის მსახურნი. მათი დაღუპვით უკვე ყველა ქვეყანა ხდება ღვთის მოშიში. ეს ფაქტი და სამივე რელიგიის ერთობა, ტარიელს უადვილებს დანერგოს სწორი ცხოვრების წესი.

## მესია იწყებს ჰარმონიული სამყაროს შექმნას ზღვათა ირგვლივ მყოფ სახელმწიფოებში

ტარიელი, რომელიც წარმართავს სიკეთის გეოპოლიტიკას სამყაროში, წერილით მიმართავს ზღვათა მეფეს (ტყუილად არ უღვაწია ავთანდილს, როცა ფატმანის ხელშეწყობით დაიწყო ამ სახელმწიფოში სწორი ცხოვრების წესის დანერგვა), ანუ სრულიად მუსულმანურ და ქრისტიანულ სახელმწიფოებს, რომელნიც მოქცეულნი არიან საქართველოს და ისრაელის სახელმწიფოთა არეალში და მათ ყველას მართლაც გარს ზღვები აკრავს.

„ზღვათა მეფესა წინამე გაგზავნა მახარობელი,
შესთვალა: „მოვალ ტარიელ, მტერთა მძლე, მოსრვით მსპობელი;
ქაჯეთით მომყავს ჩემი მზე, ჩემი ლახვართა მსობელი.
მწადიან, განსხნე პატივით, ვითა მამა და მშობელი.

აწ მე მაქვს ქაჯთა ქვეყანა და მათი დანადებია;
მეფეო, კარგი ყველაი მე თქვენგან წამკიდებია;
ფატმანს უხსნია ჩემი მზე, სდედებია და სდებია,
ამისად მუქფად რა გიძღვნა, მძულს ცუდი ნაქადებია.

მოდი, განახენ, გაეიარდეთ ქვეყანასა შენსა ვირე,
სრულად ქაჯთა სამეფოსა გიძღვენი, ჩემგან შეიწირე,

კაცნი შენნი შეაყენენ, ციხე მაგრად დაიჭირე,
მე ვისწრაფი, ვერა განახავ, შენ წამოდი, ჩემ კერძ ირე."

დამარცხებულ ქაჯეთის ქვეყნებში უნდა ვიგულისხმოთ ყველა ის კონსტიტუციებით მართ-ეადი იმპერიული ქვეყნები, დანიელ წინასწარმეტყველმა რომ ნახა სიზმარში. ამგვარად, ტარიელმა, მესიამ, ისრაელმა დაიწყო მშვიდობის, ცოდნის დანერგვა. მან იცის, ზღვათა მეფესთან მიწათმოქმედების ქართული წესი ინერგებოდა, ამიტომ მას დამარცხებულ ქაჯთა და იმპერიულ სამეფოებს უძღვნის. ეს სიამოვნებთ ზღვათა ირგვლივ მყოფ სამყაროში.

„რა კაცი ტარიელისა ესტუმრა ზღვათა მფლობელსა, –
წესია, გული გაპკრთების ამბავსა გასაკრთობელსა, –
მისცა მადლი და დიდება ღმერთსა, მართლისა მბრჭობელსა,
მამინვე შეჯდა, არ უნდა მისვლა სხვასაღა მხმობელსა.

ბარგი აჰკიდა, გააგო ქმნა ქორწილისა მათისა,
მას მოაქვს რიცხვი ტურფათა, არ სიდიადე სათისა;
ფატმან ჰყავს თანა, იარეს სავალი დღისა ათისა;
უხარის ნახვა ლომისა და მზისა, ხმელთა მნათისა."

მეორე სტროფში ლომის ნახვა აღნიშნავს დავითის მთამომავლის – მესიის ნახვას. ქორწი-ლის ქმნა კი, მცნებების დანერგვის, გამარჯვების, სულიერების სამყაროს კვლავ დაბრუნებას უნდა აღნიშნავდეს. ებრაელი ერი ტარიელის ხელმძღვანელობით შეერწყა თორას. იწყობენ ცხოვრებას მისი წესებით და ტარიელი – ამ ერის ცხოვრების წესის წარმართველი, ღირსყო ფალმა ჰქონოდა სულიერი ქორწინება შეხინამე, რათა იყოს მათი ერთობა გამჩენთან. ჯერ არ არის მთელი ისრაელი ხალხის ქორწილი შეხინასთან. ამას კიდევ დამსახურება უნდა. შეხინასთან ქორწილის ღირსი არის ჯერ მესია – ტარიელი, ისაა ჯერ მხოლოდ სულიერად ამის ღირსი. იმასთანაა რჯულის კიდობანი, ის იწყებს სიარულს მისი ნათელით, იმ უდაბნოში მართლაც რაც დღევანდელი სამყაროა.

ფატმანის ყოლა მის სახელმწიფოში ქალთა პატივისცემის დაწყებას უნდა ნიშნავდეს. აქაც ჩანს ავთანდილის ღვაწლი და ტარიელიც ამას ავალებდა წინა წერილში, რადგან ქალები, დედები უფრო ინარჩუნებენ მზეობას, ამიტომ იყო, რომ შეხინა მაინც ცოცხლობდა. „ფატმანს უხსნია ჩემი მზე, სდედებია და სდებია", ანუ დედების დამსახურებაა მცნებათა დაცვა. ზღვათა მეფე ასეთ ცხოვრების წესს, რა თქმა უნდა, უცბად ვერ აღადგენს. ამას ათი დღე, ანუ 10 წელი მოუნდნენ. (იარეს, სავალი დღისა ათისა) სამივე გმირი პატივს სცემს ზღვათა მეფეს:

„შორს გაეგებნეს სამნივე დიდსა მეფესა ზღვათასა,
გარდახდეს, მდაბლად აკოცეს, გა–რე–სწყდეს ჯარსა სპათასა;
შეასხეს ქება ტარიელს, მან მადლი გაუათასა.
ქალი რა ნახეს, სტრფიალობს მუქსა მას ბროლ–ბაკმათასა."

ტარიელის ქება მესიის, ბიბლიის ქებაა. ამიტომაც მადლი გაუათასდათ, ბარაქა ექნათ, რადგან ნახეს ქალიც – შეხინაც ნათელი მისი. ამ ნათელით უნათდება ფატმანსაც გული:

„ფატმან ხათუნს, მისსა მჭვრეტსა, ედებოდა ცეცხლი ნელი,
მოეხვია, გარდუკოცნა ხელი, ფერხი, პირი, ყელი;
იტყვის: „ღმერთო, რა გმსახურო, განმინათლდა რათგან ბნელი
ეცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია შენი გრძელი".

უნათდება, რადგან უკვე დაუფლებულია ცოდნას, ბიბლიას. კეთილი იმარჯვებს ბოროტზე. ტარიელი რომ მესიაა, ეს შემდეგი სტრიქონებიდანაც ჩანს, როცა ზღვათა მეფე ქორწილს უხდის მათ, რაც ნიშნავს, რომ აღიარებს ბიბლიას. მაგრამ საჭიროა მისი ცოდნის დაუფლება და ამაში ეხმარებიან ტარიელიც და ნესტანიც. ქ–ორ–წილ, ორივეს წილს ნიშნავს – ზღვათა მეფე რომ ცოდნის ნათელ სხივს ეუფლება. ამ ცოდნის დაუფლება – გაცემას, მადლის ჩადენა-საც აღნიშნავს. ამიტომ გასცემს ზღვათა მეფეც მათზე სიკეთეს:

„მუნ იდეის გორი ლარისა, სტაერისა და ატლასისა;
ტარიელს უძღენა გეირგეინი, ეერ–დანადები ფასისა,
იაგუნდისა მრთელისა, ყვითლისა, მეტად სასისა,
კულა ერთი ტახტი ოქროსა, წითლისა მართ მალასისა.

ნესტან–დარეჯანს ყაბაჩა უძღენა, მემკული თვალითა,
იაგუნდითა წითლითა, ბალახშითა და ლალითა.
დასხდეს ორნიეე ქალ–ყმანი პირითა ელეა–მკრთალითა,
მათნი მჭვრეტელნი დაიწვნეს ცეცხლითა მართ ახალითა."

მის მიერ სიკეთის გაცემა, ტარიელის, ავთანდილის გამარჯვებაა, რადგან მცნებები ინ-ერგება. უფლის შუქი, ალი, ენერგია ემატება ტარიელს, რაც ჩანს მეორე სტროფში, სადაც სტრიქონის ბოლო სიტყვები ალით მთავრდება:

ტარიელი მადლობას უხდის ზღვათა მეფეს:

„ტარიელ მადლსა გარდისდის ტურფა სიტყვითა, ენითა:
„დიდად ვიამე, მეფეო, პირველ, ნახვითა თქვენითა,
მერმე, აგვაესენ მრავლითა ტურფა ფერითა ძღვენითა,
ვიცი, შორი–შორ არ – ჩაელა ჩვენ თქვენი კარგად ექმენითა".

ამგვარად, რადგან გასცა, მას უფრო მეტი შეუვა, რაც ჩანს მესამე სტრიქონში. ზღვათა მეფე ასე უპასუხებს მას:

„ზღვათა მეფე მოახსენებს: „ხელმწიფეო, ლომო, ქველო,
მოასლეთა სიცოცხლეო, ვერა–მჭვრეტთა შორის მკლველო,
მსგავსი თქვენი რამცა მეძღვნა, შვენიერო სანახველო,
რა მოგშორდე, რა მერგების, საჭვრეტელად სასურველო?!"

სტრიქონები: „ჩვენ თქვენი კარგად ექმენითა", „მსგავსი თქვენი რამცა მეძღვნა", მიგვანიშ-ნებს, რომ ზღვათა მეფეს ეძღვნა ტარიელის მსგავსი ცოდნა, ბიბლია, ანუ სწორი ცხოვრების წესი, ბარაქის და დოვლათის საწინდარი.

ეს სტრიქონები გვამცნობენ, რომ დაბრმავებული, ურწმუნო ხალხი, ვინც ვერ სჭვრეტს მესიას და უპირისპირდება სწორი ცხოვრების წესს, შორიდან, ზეციური სასამართლოთი კვდება.

## სამივე გმირი მოდიან ჯერ იბერიაში ჰარმონიული სამყაროს შესაქმნელად

ჰარმონიულ სამყაროს, რაც მესიის მეფობას განამტკიცებს, ზღვათა მეფე ვერ შექმნის. ეს სამყარო უნდა შეიქმნას ჯერ იბერთა მიწაზე – საქართველოში – სამივე გმირის მიერ და შემდეგ გავრცელდეს ყველა ქვეყანაში. ამიტომაც ამის მერე მეფე მათ მისცემს ხომალდს ფრიდონთან გასამგზავრებლად:

„მეფემან ნავი–ხომალდი მოკაზმა ზღვისა კიდესა.
გამოემართა ტარიელ, გამყრელნი ცრემლსა ღვრიდესა,
თავსა იცემდეს, იგლეჯდეს, თმა–წვერსა გაიყრიდესა.
ფატმანის ცრემლთა შედენით თვით ზღვაცა გაადიდესა."

ამგვარად, თვით ზღვა გადიდდა, რადგან მის ირგვლივ ქვეყნებში ქალის პატივისცემაა, მნეობაა. ქალებიც სწორი ქცევით მადლს იმსახურებენ და ეს მადლი, წყალობა ზეციდან არა-მარტო მიწის ბარაქას, ზღვის გადიდებას იწვევს. ზღვა ხომ გაცემის მაგალითია, რაც ბევრს გასცემს, უფრო მეტი შესდის.

შემდეგ შემოდიან ფრიდონის ქვეყანაში:

„იგი მზე შესვეს კუბოსა, იარეს გზა ზღვის პირისა,
მიყმაწვილობდეს, უხარის მათ გარდახდომა ჭირისა;
მივიდეს, სადა ქვეყანა იყო, ნურადინ გმირისა,
მოეგებნიან, ისმოდის ხმა სიმღერისა ხშირისა.“

„იგი მზე შესვეს კუბოსა“? ჩვენ უკვე აღვნიშნეთ რომ სამყარო უდაბნოდ უნდა წარმოვიდგინოთ და ეს სამი ძმა გზობისას ყველგან აღადგენენ ზნეობრივობას. ე.ი. ტარიელს თან ტახტრევანით მოაქვს ისრაელთა სჯულის კიდობანი, სადაც ბიბლიაა — ცოდნაა. ამიტომაც არის იგი მზე — ნესტანი — შეხინა მასთან. ეს ცოდნა ქართული ანბანით ნაკარნახევი, სულით, ზნეობით აღვსილი ქართველებით, მიწათმოქმედებისას უნდა დაინერგოს. ამიტომ აქვეა კიდობანი. ანუ ბიბლიასთან ერთად პირველადი ანბანია კიდევ საჭირო. ნაწარმოებში ჩანს ტარიელის მეფობა ზღვათა მეფესთან. აქ იგი ტახტზე ჯდება, ე.ი. არაიბერიული მოდგმის ქრისტიანულ—მუსულმანური სამყარო აღიარებს ბიბლიას და მესიას. მაგრამ ფრიდონთან იგი უკვე აღარ ჯდება ტახტზე. ეს იმიტომ, რომ ბიბლიის მცნებანი, ანუ მისი ცხოვრების წესის მატარებელი ტარიელი მესიად დიდი ხანია აღიარებულია ჩვენში და ველით მას.

ჩვენ ვიცით, რომ საქართველოშიც დავითის შთამომავალნი მეფობდნენ, იმ საქართველოში, რომელმაც თავი გასწირა ისრაელისთვის. გავიხსენოთ ქართული ინტელიგენციის ღვაწლი მათ დასაცავად. ტარიელი ავთანდილს სამაგიერო სიკეთეს უხდის, რათა საქართველოში ისევ იმეფოს მისმა შტომ ავთანდილმა — ბაგრატიონთა შთამომავალმა — ანუ სწორი ცხოვრების წესმა.

ამავე დროს, ტარიელი ასრულებს ღვთის მიერ დაკისრებულ მისიას. როგორც ვიცით, საქართველოში ყველაზე ადვილად აღდგება ის ცხოვრების წესი, რაც მცნებების დაცვის საწინდარია და ამის გადაღება შეუძლია ყველას. ამისკენ მიილტვის მესია — ტარიელი. იგი, მორწმუნე ებრაელობა, როგორც ვიცით, პოულობს იბერიელთა ერთობის, სულით, გენით ძლიერების, ერთიანობის კიდობანს, ქართულ ანბანს. ეს ის ანბანია, ანუ ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ მხოლოდ ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხს გააჩნია ის გენეტიკა, ვისაც უმტკივნეულოდ შეუძლია აღადგინოს ის ცხოვრების წესი, მიწათმოქმედება, რასაც ბიბლია გადმოგვცემს. გავიხსენოთ იაფეტის თვისებაც მოყვასისთვის თავგანწირვა. როცა აღდგება ავთანდილი — ანუ ქართული ცხოვრების წესი საქართველოში, მაშინ სხვებიც გადაიღებენ მას და იქნება ჰარმონიული თანაცხოვრება. ამას ამბობს ასმათი, ნესტან—დარეჯანთან შეხვედრისას:

„ასმათ ჰკადრა: „მადლი ღმერთსა, ვარდნი ვნახენ არ—დაზრულნი,
ბოლოდ ასრე გააცხადნა გონებამან დაფარულნი,
სიკვდილიცა სიცოცხლედ მიჩს, ოდეს გნახენ მხიარულნი“.
სჯობან ყოველთა მოყვარულთა პატრონ—ყმანი მოყვარულნი.“

## დატირება კავკასიის იბერთა - მამულიშვილთა რომელნიც დაეცნენ ქაჯებთან ბრძოლაში

პატრონყმობის უნიკალური ცხოვრების წესი ხომ საქართველოში იყო დამკვიდრებული. ამავე დროს ეტყობა საქართველოშიც იწყებს მეფობას ბიბლიური დავითის შთამომავალი — როსტევანის სახით. მაგრამ რატომ მიდიან ჯერ ჩეჩნეთში? ამ ხალხმა დაკარგა მრავალი მამულიშვილი, იბერიელთათვის ხომ უპირველესი მიცვალებულთათვის პატივის მიგებაა. ტარიელი — მეფე მესია შემდეგნაირად უთანაგრძნობს იბერიული მოდგმის მუსულმანურ მოსახლეობას და დაღუპულებს:

„თუცა მე მათი დახოცა მტკივის და სატკივარია,
მაგრა მათ მიხვდა უკვდავი მუნ დიდი საჩუქარია“.
ესე თქვა, ნელად ატირდა და წვიმა თოვლსა არია,
ნარგისთათ იძრვის ბორიო, ვარდსა ზრავს, იანვარია.“

იგიც და მთელი ჩეჩნეთიც ტარიელივით მადლს აურქეევენ:
„მუნ ატირდეს ყველაკანი, რა ტირილად იგი ნახეს,

რაცა ეისცა დაჰკლებოდა, მათ ტირილით, სულთქმით ახეს;
დადუმდეს და მოახსენეს: „რათგან ბრძენთა მზეებრ გსახეს,

თქეენია მჭვრეტთა მღერა მართებს, რასათვისმცა იეაგლახეს!"

აქ ჩანს რუსთაველის წინასწარმეტყველება. დღეს ხომ ჩეჩნები იმპერიულ რუსეთს ებრძვიან, რათა გაიმარჯვოს იბერიული მოდგმის ავთანდილმა და ფრიდონმა. იმპერიასთან ბრძოლაში მხოლოდ ჩეჩნები იღუპებიან. მართალია, იბრძვის ცოდნა, ზნეობა — ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონის სახით, მაგრამ ფიზიკურად ამ ცოდნისათვის დღეს ჩეჩნები იწირებიან. ქართველები ადრე ამოხოცეს და ისეთი ულმერთო ეკონომიკა, რეჟიმი დაამკვიდრეს, რომ უფრო მეტი ისოცება. აი, როცა ზნეობა გაიმარჯვებს, ამ ჩეჩენ გმირთა ხსენება და ხსოვნა, სამარადისოდ დარჩება.

## განმტკიცება იბერთა ცხოვრების წესისა

იბერიელი მუსულმანებიც, მეფე ფრიდონის სახით, სწორი ცხოვრების წესს ამტკიცებენ ტარიელის და ნესტან–დარეჯანის ქორწილით.

„მათ ქალ–ყმათათვის საჯდომი დაედგა თეთრ–ბოწეული,
წითელ–ყვითლითა თვალითა შედა კეკლუცად ფრქვეული;
ავთანდილისთვის — ყვითელი და მაეი ერთგან რეული;
მოვიდეს, დასხდეს; მჭვრეტელი ეცან მათი სულ–დალეული.

მეოსანნი მოდგეს, ისმოდა ხმა სიმღერისა ტკბილისა;
ქორწილი ქმნეს და გამრავლდა ძღვნობა ლარისა ლბილისა
ფრიდონის, პურად კარგისა, არ მასპინძლისა წბილისა;
ნესტან–დარეჯანს უშვენის ღიმილი, ჩენა კბილისა."

აქ ქორწილი უნდა მივიჩნიოთ, მთელი ქვეყნის მცნებათა დაცვისკენ მოქცევად. ფრიდონი ასევე უხვად გასცემს საბოძვარს. ეს ჩანს შემდეგ სტროფშიც:

„მოიღეს ძღვენი უსახო ფრიდონის არ–ალქატისა,
ცხრა მარგალიტი, სიდიდით მართ ვითა კვერცხი ბატისა,
კელა ერთი თვალი, სამსგავსო მზისა შუქ–მონამატისა,
მას წინა ღამით ძალ–ედვის მხატვარსა ხატვა ხატისა."

და აქ უკვე მზის შუქი, მეციური ცოდნა, მადლი, ბარაქისათვის, ჰარმონიისათვის, სილამაზისათვის ემატება ქვეყანას და ამიტომაც ფრიდონს ხელეწიფება შექმნას ისეთი სამყარო, რომელსაც შემომქმედი ვეიხატავს:

„ფრიდონისგან უსამომო ქორწილია დღესა რვასა;
ყოველთა დღეთა მიართმიდის უფასოსა ძღვენსა მზასა;
დღე და ღამე არ გასწყვედდის ჩაღანა და ჩანგი ხმასა.
აჰა, მიხედეს შესაფერნი ყმა ქალსა და ქალი ყმასა."

რადგან აქ უფრო მეტად მაღალ სულიერ დონეზე არიან, ვიდრე ზღვათა მეფესთან, რვა დღე გრძელდება ქორწილი, ანუ რვა წელს. ამავე დროს, აქ მაშინვე დაიწყეს მცნებების დაცვა, მიიღეს მესიის — ტარიელის ცხოვრების წესი. მაგრამ ჯერ არსად არ აღდგენილა ის მიწათმოქმედება, რაც ბიბლიის მიზანია, რადგან არ არის შექმნილი იბერიული ცხოვრების წესი. ის ხომ თორმეტ კუთხეში, საქართველოში უნდა შეიქმნას. ჯერ მიდის მხოლოდ ბიბლიის, ენის მცნებათა განმტკიცება სამივე რელიგიის მიერ, ანუ ერთად და ერთნაირად მცნებების დაცვა ღმერთის რჩეულთა მიერ, მათი რჩეულის — ტარიელის მეთაურობით. იბერიის ერთ–ერთ სახელმწიფოში რაკიღა ჯერ ერთობა, ერთნაირი დაცვით ყოფა მტკიცდება, ამიტომაც ბარაქა უშრობი ძღვენით მოედინება ქვეყანაში. ეს ჩანს მეორე სტრიქონში. მანას მსგავსი, ებრაელებს რომ ჰქონდათ უდაბნოში, აქაც მიეცა ფრიდონს მცნებების დაცვის გამო.

### ისტორია მეორდება. ძმები მემკვიდრენი შემისა და იეფეტის სულისა შემოდიან იმ საქართველოში სადაც ხალხი გენეტიკურად მზადაა აღადგინონ იბერიული ცხოვრების წესი.

ტარიელი ფრიდონს მიმართავს:

„ტარიელ ფრიდონს უბრძანა დღე—ერთ სიტყვები გულისა:
„არს გული თქვენი საჩემოდ უფროსი ძმისა სრულისა,
არ გემუქფების სიცოცხლე, არცა მოცემა სულისა,
მე თქვენგან ვპოვე მოკვდავმან ჩემი წამალი წყლულისა.

ავთანდილისგან შენც იცი ჩემთვის თავისა დადება,
აწ მე მაქვს ნაცვლად მისისა მოხმარებისა წადება;
შენ მიდი, ჰკითხე, რა უნდა, მან ქმნას ამისი ცხადება,
ვითა დამივსო სახმილი, ეგრე მისიცა კმა დება.

უთხარ: „ძმაო, რა გარდიხდის შენგან ჩემსა ჭირ—ნახულსა!
ღმერთი მოგცემს წყალობასა, მისგან ზეცით შესახულსა!
თუ ვერა ვიქმ საწადელსა შენსა, შენთვის გაზრახულსა,
არა ვნახავ სახლსა ჩემსა, არ დარბაზსა, არცა სულსა.

აწ მითხარ, ჩემგან რა გინდა, ანუ რით მოგეხმარები?
ვარჩევ, წავიდეთ არაბეთს, იყავ ჩემიცა მარები;
ტკბილით სიტყვითა გავმართოთ და ხრმლითა საომარები.
თუ შენ შენს ცოლსა არ შეგრთავ, მე ჩემსა არ ვექმარები.“

პირველ სტროფში და სხვა წინა სტროფებში ჩანს, რომ ებრაელობა იბერიიდან, კავკასიიდან გადავიდა ქანაანში. გავიხსენოთ ბიბლია სემი არის იბერთა უფროსი ძე, რომელიც გადავიდა ქანაანზე. მისკენ, ამ უფროს ძმისკენ არის მიმართული იაფეტელების — ფრიდონის და ავთანდილის გული. ამავე დროს, აქ სიტყვა „სრული“ აღნიშნავს, რომ სამყაროს დასაბამიდან მხოლოდ იბერიელები მოდიან სრულად.

ჩვენ ვიცით, უფლის მიერ განზრახული იყო, რომ ქანაანში გარდასულ იბერიელებს უნდა მიეღოთ ბიბლია და მისი მცნებები სხვადასხვა ქვეყანაში დაენერგათ. მაგრამ როგორ დაინერგოს ეს მცნებები. ამის წამალი იბერიული გენეტიკაა, სულიერებაა: ახლაც ისტორია უნდა განმეორდეს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იბერიელები საქართველოდან ჯერ მთელ მსოფლიოში აუძნებენ ამ წესს. მერე ისრაელში — წმინდა მიწაზე. ტარიელი ახლა უკვე იმედიანადაა. მისი მესიანური ქმედება მტკიცეა. მან იცის, რომ თუ არ აღადგინა ავთანდილი — ქართული ცხოვრების წესი საქართველოში, არ აღდგება ბიბლიის მცნებების დაცვა ისრაელში. „არა ვნახავ სახლსა ჩემსა, არ დარბაზსა, არცა სულსა“. ვერ ექმრება იგი ნესტან—დარეჯანს, თუ არ მოხდა ჯერ სულიერი ერთობა, ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა.

ამავე დროს, ტარიელი ფრიდონს აგზავნის ავთანდილთან, რათა მან სიკეთე გადაუხადოს და აღადგინოს ავთანდილის მეფობა მის რეგიონში, საქართველოში, კავკასიაში და მთელ იბერიულ მოდგმაში. ესე იგი, ტარიელმა იცის, იბერთა მიწათმოქმედება უნდა დაინერგოს ჯერ საქართველოში, შემდეგ კი ის აღდგება ყველგან. იბერიაში უნდა შეწყვილდეს ორი ცოდნა, ორი დედოფალი, ბიბლია, რომელმაც ებრაელ ხალხთან — ტარიელთან იქორწინა და ქართული ენა, რომელმაც ქართველებთან და მთელ იბერიელ მოდგმასთან იქორწინა. ამის მერე იქნება ავთანდილის ქორწილი თინათინთან და შეხინა — სრულყოფილად ჯერ საქართველოში უნდა დავანდეს, რადგან მხოლოდ საქართველოში მეფობს და მეფობდა იგი. მაგრამ ავთანდილი თავდამბლობს, მას ტარიელი სურს სამყაროს მეფედ. იგი პასუხში იმასაც ეუბნება, რომ თინათინი დევნილობაში არ არის, რადგან ენა ქართული ისევ ქართველთა კონსტიტუციაა (ებრაელებს შეხინა იმიტომ გამოეყო, რომ იქ ბიბლია აღარ იყო მათი კონსტიტუცია).

როგორც აღვნიშნეთ, ავთანდილის და ტარიელის ძალისხმევით შეცვლილი გეოპოლიტიკის შედეგად მსოფლიოში, საქართველოშიც გაიმარჯვა ეროვნულმა სულისკვეთებამ. ისევ მე-

ფობს ბიბლიური დავითის შთამომავალი როსტევანი, ოღონდ როსტევანში ნოე მისი წესი უნდა ვიგულისხმოთ. ისტორიის განმეორება კი ორი ლომის მესია ტარიელის — შემის და ავთანდილის იაფეტის მიერ უნდა მოხდეს. მეფობს შეხინაც, ოღონდ ქართველმა ხალხმა, რომ იქორწინოს მასზე, უნდა აღდგეს, როგორც ვიცით, უმწიკვლო, ავთანდილისებური ცხოვრების წესი, ანუ ავთანდილი უნდა დაბრუნდეს იქ. ავთანდილი ღმერთის სურვილს ელოდება. იგი თვლის, რომ ჯერ ადრეა და ტარიელის, ანუ ბიბლიის მონად აპირებს ყოფნას:

„რა ფრიდონ უთხრა ავთანდილს ტარიას მოციქულობა,
მას გაეცინნეს, გაღიმდა, შეენოდა მხიარულობა;
თქვა, თუ: „მეშველი რად მინდა? მჭირს არავისგან წყლულობა.
ჩემი მზე არცა ქაჯთა ჰყავს, არცა სჭირს ლხინ–ნაკლულობა.

ჩემი მზე ტახტსა ზედა ზის მორჭმული ღმრთისა ნებითა,
საკრძალავი და უკადრი, ლაღი, არვისგან ენებით–ა,
არცა რა უმძიმს ქაჯთაგან, არცა გრძნეულთა გრძნებითა,
მას ზედა შველა რად მინდა, რად მეჭვ რასაცა თნებითა?

რა მოვა ჩემთვის განგება, ზეცით მოსრულნი ზენანი,
ღმერთი იწადებს, მომიელენ, გულსა სახმილთა ლხენანი;
მაშინღა მომხედენ მოკვდავსა მზისა ელვათა ფენანი,
უმისვამისოდ ცუდია ჩემგან მი და მო რბენანი.

მიდი და ჰკადრე ტარიელს პასუხი, ჩემგან თხრობილი;
მადლი რად უნდა, მეფეო, ხარ რაზომ გინდა ლმობილი?
ვარ მუცლითგანვე დედისათ თქვენად სამონოდ შობილი,
ღმერთმან მუნამდის მიწა მყოს, ვირ მეფე იყო ცნობილი."

ამგვარად, ქართველი ბოლომდე თავს სწირავს ტარიელის, მესიის მეფობისათვის. ენის პრინციპებზე აგებული ცხოვრების წესის მეფობა მას ჯერ ნაადრევად მიაჩნია. ეს განგების ნებაა — ამბობს ავთანდილი, რაც ჩანს მესამე სტროფში, სადაც ყველა სტრიქონი „ენანი"–ით მთავრდება. ბოლო სტროფის მესამე სტრიქონი გვეუბნება იმ ჭეშმარიტებას, რაც ნოემ უანდერძა — იაფეტი უნდა გავრცელდეს სემის რწმენის კარვებში. ხოლო, როცა ტარიელი ინდოეთის მეფე გახდება, მერე დაბრუნდება ავთანდილი საქართველოში, ამიტომ იგი განაგრძობს:

„გებრძანა: „შეყრა მწადიან სიყვარულისა შენისა",
ეგე არს მსგავსი გულისა ლმობიერისა თქვენისა;
მუნა მე ხრმალი არ მიკვეთს, არცა სიერცელე ენისა,
მიჯობს მოლოდნა საქმისა მის განგებისა ზენისა.

ესეა ჩემი საწადი და ჩემი მოსანდომარე;
ინდოეთს გნახო მორჭმული, საჯდომთა ზედა მჯდომარე,
გვერდსავე გიჯდეს მნათობი, პირი ელვათა მკრთომარე,
მებრძოლნი თქვენნი მოგვსრნენ, არვის ჩნდეს მუნ მეომარე,

რა გამისრულდენ ესენი ჩემნი გულისა ნებანი,
მამინღა მივალ არაბეთს, მომხედენ მის მზისა ხლებანი;
ოდესცა სწადდეს, დამივსნეს ამა ცეცხლისა დებანი.
სხვად თქვენგან არა არ მინდა, მძულან რასაცა თნებანი".

ამ უარზე ტარიელი ფრიდონს ასე უპასუხებს:
„მიდი, უთხარ ჩემ მაგიერ სიტყვა ჩემგან არ–ნათნები:
„მე შენისა გამზრდელისა უნახავად არ დავდგები.
ვეჭვ, მრავალი დამეხოცოს მონა, მისგან საყვარლები,
ვითხოვ ხოლე შენდობასა, ეგვთიდა მოვბრუნდები".

„სიტყვა ჩემგან არ—ნ—ათ—ნები“, ე.ი. უშენაესის ნებაა მისი სიტყვა. ეს სიტყვა კი ასე ჟღერს: შენი გამზრდელის უნახაეად, ე.ი. ქართული ცხოვრების წესის აღდგენის გარეშე, მესია არ დადგება, არ იქნებაო.

მაშინ ავთანდილი მიდის ტარიელთან და ეუბნება, რომ მას ეშინია, რომ როსტევანმა თინათინთან დაქორწინება დაუშალოს, რადგან დაუკითხავად დატოვა სწორი ცხოვრების წესი. (მიტოვებას მოყვა მე—17 საუკუნე, როცა ვახტანგ მეექვსემ შემოიტანა იმპერიული ცხოვრების წესი. მაშინ უფლის წინაშე მართლაც დიდი ცოდვა იყო ჩადენილი, რომელიც ავთანდილს — საქართველოს ჯერაც გამოუსწორებელი პკონია). ავთანდილს ეშინია, რომ უფალმა შეიძლება ეს ცოდვა არ აპატიოს საერთოდ ქართველებს და ნაადრევია ქართული ცხოვრების წესის აღდგენა. არადა ავთანდილის სახით დღეს უკვე 2 მილიონამდე ქართველმა მიატოვა სამშობლო. ეს არის განსწავლულთა უდიდესი არმია, რომელიც წაადგებოდა ქართული სულის აღდგენას.

ტარიელი, რომელიც ახლა სრულყოფილად ფლობს სიტუაციას, უპასუხებს: (რატომ ფლობს იგი სრულიად სიტუაციას? ცოტა ადრე ჩვენ ვიცით ავთანდილი ფლობდა სიტუაციას. რადგან მას მეხინასთან — თინათინთან სულიერ მზესთან ჰქონდა კავშირი. გავიხსენოთ ტარიელის ლომად გარდასახვა ანუ აღიდგინა სულიერი მზე კავშირი უშენაესთან მას შემდეგ რაც ავთანდილმა ლომის სისხლით მოაბრუნა ის. ახლა კი იგი შეკავშირებულია ამ მზესთან მეხინასთან და მისი მეშვეობით, მედიატორობით ყველაფერს უფლის დავალებით აკეთებს).

„ტარიელ უთხრა სიცილით, მან მზემან მუქ—ნაფენამან,
ხელი მოჰკიდა ავთანდილს, ამართა, ააყენა მან:
„მიყოო კარგი ყველაი მომართებამან შენამან,
მაგრა სჯობს, შენცა გალხინოს ჩემმან შენითა ლხენამან.

დია მძულს მეტი მოყვრისა შიში, კრძალვა და რიდობა,
მძულს გაუწყვეედლად კუშტობა და სულ—მძიმობა, დიდობა;
თუ მოყვარეა, გულისა ქმნას ჩემკენ მონაზიდობა,
თვარა მე ჩემდა, იგ მისდა, დია სჯობს კიდის—კიდობა.

მე ვიცი გული საშენოდ შენისა საყვარელისა,
არ ეწყინების სტუმრობა შენისა მე შემყრელისა.
რადმცა რა ეპკადრე მეფესა თსრობა რასაცა ჰრელისა!
ოდენ ნახვითა მათისა ნატრა მაქვს სანატრელისა.

ამას ოდენ მოეახსენებ მუდარით და შეპოვნებით,
რომე მოგცეს ქალი მისი მან მისითა მოგონებით.
რათგან ბოლო მეყრაევა, სიშორესა ვით ეთნებით?
დაამშვენეთ ერთმანერთი, თავის—თავის ნუ დასჭნებით.“

ამგვარად, აქ ჩანს ტარიელის მისიონერობა. იგი, ავთანდილის უფროსი ძმა, უფლის ნებით იქცევა. უკვე იცის, რა არის სწორი და ამიტომაც მიისწრაფვის საქართველოში, თავის პირველად სამშობლოში პრაქტიკულად აღადგინოს ის მიწათმოქმედება, ცხოვრების წესი, რაც მესიის საწინდარია და ბიბლიაშია აღწერილი.

პირველი სტროფის ბოლო სტრიქონი გვაუწყებს, რომ ქართული ლხენით „ჩემმან შენითა ლხენამან“, ანუ ქართული ცხოვრების წესი, მისი გამოცდილება სჯობს დაინერგოს. ეს ჩემი ლხენაა, ოღონდ შენ უნდა ილხინო, რათა მესია გამოელინდეს. ანუ ორივე, ორი ლომი ფაქტიურად მესიაა. მეორე სტროფის პირველი სტრიქონით იგი შიშის, კრძალვის და რიდობის წინააღმდეგია, რასაც როგორც აღვნიშნეთ ქართული ენაც გვასწავლის.

მესამე სტროფი ავთანდილის თინათინთან შეუღლებაში ქართული ცხოვრების წესის აღდგენას გულისხმობს. და ეს საბოლოოა. ამგვარად, მეხინა საქართველოში უფრო გამობრწყინდება, რადგან ენის მცნებანი, სიყვარულის, გაყოფა—გაცემის მისწრაფებაა. მნეობა დასანერგი არ არის. იგი ქართველთა გენეტიკაა. ისინი ენასთან ერთად ამ წესს სწავლობენ. აღდგება ქართული ენის მნეობის განმამტკიცებელი ინსტიტუტი. ეს ინსტიტუტი რომ დაინერგოს, ქვეყ-

ნებიც უნდა მოამზადონ ისევე, როგორც ბლეაითა მეფე. ამიტომ სამივე ჯერ ტარიელის ძველ სამეფოში მიდის. გზად ყველგან ცოდნას ნერგავენ:

„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დიენოს გააცხადებს;
ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს,
ავსა წამ–ერთ შეამოკლებს, კარგსა ხან–გრძლად გააქელადებს,
თავსა მისსა უკეთესსა უმადო–ჰყოფს, არ ასადებს.

ფრიდონისით გაემართნეს იგი ლომნი, იგი მზენი,
თანა მიჰყავს პირი მზისა, ქალი მჭვრეტთა ამამრზენი,
ჰკიდავს ბროლსა ყორნის ბოლო დაწყობილი, დანათხზენი,
მუნ ბალახსა ამვენებდეს სინატიფე–სინაზენი.

იგი მზე უჯდა კუბოსა და აგრე არონინებდეს;
მონადირობდეს, ნადირსა მუნ სისხლსა დაადინებდეს;
სადაცა დახვდის ქვეყანა, მჭვრეტელთა მოალხინებდეს;
მოეგებნიან, სძღვნობდიან, აქებდეს, არ აგინებდეს."

გავიხსენოთ, როცა მოსე ებრაელებთან მიდის, ღმერთისგან მცნებანი რომ მიიღო, იგი ისე ანათებს, ახლოს ვერ ეკარებიან. ამავე დროს, ამ ცოდნის გამო, ყველა მას ემორჩილება. ასე არიან „ვეფხისტყაოსნის" გმირები. მათ თან დაჰყვება ცოდნა. გავიხსენოთ ადრე იყო ორი მზე და ერთი მთვარე ფრიდონის სახით. ეხლა სამივე მზეა და ლომია, ანუ რელიგიათა ერთობაა. სამივე ტოლად იცავს მცნებებს და მათი სახის შვიდივე სანთელი მენორა ანათებს. და ამ ცოდნის გამო, შეხინის ისეთი ნათელია, რომ ყველა ემორჩილებათ. როცა ქვაბულში მივიდნენ, გახსნეს უამრავი, უთვალავი ქონება და ტარიელმა ფრიდონს და მის ჯარს შესთავაზა მისი წაღება. ფრიდონი უპასუხებს:

„ფრიდონ მდაბლად თაყვანი–სცა, ჰკადრა მადლი მეტის–მეტი;
„მე, მეფეო, რად გგონივარ უჭკუო და აგრე რეტი?
მტერი ყოვლი ჩალად გიჩანს, ვინმცა იყო ვითა კეტი,
ჩემი ლხინი მუნამდის–ა, ვიდრე ვიყო შენი მჭვრეტი!"

ესე იგი, ქონებას იმ ცოდნას, მნეობას ამჯობინებს, რაც ბიბლიაშია და რითაც ტარიელი ყველას ამარცხებს. მისი ლხენაა ტარიელის, ბიბლიის ცოდნის ჭვრეტა. საყურადღებოა, რომ ტარიელი ავთანდილს ქონებას არ სთავაზობს. აქ ალბათ ისიც უნდა ვიგულისხმოთ, რომ ძმებს არაფერი აქვთ გასაყოფი. ერთის ქონება მეორესია, ერთის მისწრაფება მეორესი. ფრიდონიც ამასვე იმსახურებს მისი პასუხით და შთამომავლობით.

საქართველო უმდიდრესია თავისი სულიერების, გენეტიკის გამო. იქ სომ თინათინია. იგი მზადაა დაინერგოს ავთანდილისებური უმწიკვლო ცხოვრების წესი. რაც შემდეგი სტროფიდან ჩანს:

„მიხვდეს არაბთა საზღვარსა, რა ვლეს მრავალი ხანები.
დახვდა სოფლები, ციხები, ხშირ–ხშირად, თანის–თანები,
მუნ შიგან მყოფსა ემოსა ტანსა ლურჯი და მწვანები,
ავთანდილისთვის ყველაი ცრემლითა არს ნაბანები."

ეს მწვანე და ლურჯი ფერები სწორი სოფლის მეურნეობაა. ენა ქართული ზეობს და თინათინიც აძლევს ბარაქას ქვეყანას, მაგრამ არ არის ავთანდილისებური ქართული ცხოვრების წესი. სრულიად საქართველო ნატრობს მას.

შემდეგი სტროფი გვეუბნება:

„ტარიელ კაცი გაგზავნა წინაშე როსტან მეფესა,
შესთვალა: „გკადრებ, მეფეო, სურვილთა სიიეფესა;
მე მოვალ, მეფე ინდოთა, დარბაზსა თქვენსა სეფესა,
გიჩვენებ ვარდსა კოკობსა, უფურჭვნელსა, მოუკრეფესა."

ე.ი. უჩვენებს ავთანდილს ქართული ცხოვრების წესს, რისი სრულყოფილად აღდგენისასაც ვარდი აღარ დაჭკნება და იქნება ჰარმონიული სამყარო. გეოპოლიტიკის საშუალებით საქართველოს ბევრი ავი შეხვდა, ყველა ებრძოდა, რომ ქართული ცხოვრების წესი არ აღდგენილიყო. საქართველოს ეს სჭირდება და არა ფული, ქონება ან ფუფუნება. ამას პირდება მესია ტარიელი — ქართველებს:

„აწ ამად მოვალ წინაშე, დავეყარენ ჩემნი გზანია,
შემინდოთ, რაცა შევცოდე, ჰქმნენეთ გაწყრომისა კმანია.
ძღვენი არა მაქვს, მმოწმობენ ფრიდონ და მისნი ყმანია,
ოდეს ძღვნად თქვენი ავთანდილ მე თქვენთვის მომიტანია".

ჩვენ ვიცით, რამდენი ფული და ქონება ჰქონდა ტარიელს, ფრიდონს რომ შეაძლია, იქაც მოტყუვდა. საქართველოს კი ეს არ აკადრა. იცოდა, რომ აქ ეს განჩომილებები არ იყო საჭირო. ამავე დროს, იგი შენდობას ითხოვს იმის გამო, რაც ადრე ხდებოდა გეოპოლიტიკის მესვეურების მიერ საქართველოს მიმართ. ახლა საქართველომ თავისი თავი უნდა იკუთვნოს, უნდა დაინერგოს ავთანდილი, ის ქართული ზნეობრივი ცხოვრების წესი, სადაც უზნეობა გამორიცხულია. ამაზე დიდი სიხარული ხომ არ არსებობს საქართველოსთვის. ეს რომ მესიის წინამდებარე პერიოდია, ამაში შემდეგი სტროფი გვარწმუნებს:

„რა მიუვიდა მეფესა მახარობელი ჟამისა,
ვით გაეხარნეს, ვერ იტყვის ენა ერთისა წამისა;
თინათინს ღაწვთა ემატა ელვა მუქისა სამისა,
ბროლსა და ლალსა ამევნებს მუნ ჩრდილი წარბ—წამწამისა."

ესე იგი, დადგა გამარჯვების, გახარების დრო—ჟამი — ქართული ცხოვრების წესის, ავთანდილის აღდგენისა, რომელსაც ძალუძს გააერთიანოს ბიბლიის და ენის მცნებანი. „თინათინს ღაწვთა ემატა ელვა მუქისა სამისა", ანუ იწყება ჰარმონიული სამყაროს ისევ აღდგენა. სამივე სამყარო მცენარეული, ცხოველური, არაორგანული, ურთიერთჰარმონიულ თანაარსებობაშია. მათი ზეობა თინათინის ნათების გაძლიერებას იწვევს. და ეს სამი ანბანით, ქართული ენით ხდება.

ეს ჟამი ოცნებაა, რომელზეც ლოცულობს ქართველი ანუ მეოცე წმინდანი ორ—ძმა მესია ერთიანდება, რათა ახლიდან დაიწყონ იბერია — საქართველოში უფლის მიერ დანერგილი გენეტიკის საფუძველზე აღდგენა იბერიული ცხოვრების წესისა. აღსრულდა ოცნება იმისა, რომ იღვაწა უფროსმა ძმამ შემმა. ტარიელმა გაავრცელა წიგნთა წიგნი მთელს მსოფლიოში ავთანდილთან, ფრიდონთან ერთად. ეს უცდომელი სულიერი იარაღი ბოროტთა დამარცხებისა. იგი აბრაამისა, იაკობის, მოსეს და სხვათა სულით გაცისკროვნებული, ახლა რიგით მეათეა. ერთდება ისევ იაფეტთან——ავთანდილთან. ჯამში ეს საოცნებო ოცია. მეორედ გარდაიქმნა ვეფხი ტარიელი ლომად. ორგზის იშვა ის ვეფხიდან ლომად. ამიტომ ახლა სამუდამოდ დაიბრუნა სულიერი მზე. და ახლა ეს ორი ლომი ორი მესია ისევ ერთდებიან რათა გამეორდეს ისტორია. აღადგინონ საქართველოში ცხოვრების წესი რომელსაც უკვე სამუდამოდ დანერგავენ მთელ სამყაროში. აი რას აღნიშნავს ორი ლომი რაზეც უკვე ვისაუბრეთ. ნოეს მისიას როსტევანი ასრულებს, მას ხომ არ ჰქონდა ბიბლიის ცოდნა ასე სრულყოფილად.

„მეფე შეჯდა, გაეგებნეს, თავადნი და სრულად სპანი.
ვისცა ესმის, მოვიდიან, მას წინაშე სხვაგნით სხვანი.
ყველაკაი ღმერთსა მადლობს, გაამაღლნეს მათნი ხმანი,
თქვეს: „ბოროტსა უმყოფოო, კეთილნია შენთვის გზანი!"

ამგვარად, კეთილი იმარჯვებს ბოროტებაზე. ვისი ერიდება ავთანდილს, როცა მოდის საქართველოში? მას ერიდება თავისი წინაპრების, ნოეს სულის, რომელიც გარდასულია ქართულ მეფეთა დინასტიაში. რადგან აშკარად დაიწყო ბრძოლა ბოროტების წინააღმდეგ, რის გამოც მისი ქვეყანა გაუსაძლის მდგომარეობაში იყო. მაგრამ მან ამით სამყაროს მოუვლინა ვადარჩენის გზა — მესია — ტარიელი. ამიტომ ჯერ ტარიელი — მესია შედის საქართველოში,

რათა დაუბრუნოს ბაგრატოვანთა ტახტს უმწიკვლო ცხოვრების წესი — ავთანდილი — მისი სისხლით ძმა, ასევე მესიაა, რომელიც იმეფებს ქვეყნის ამ ნაწილში — იბერიაში. ამიტომაც შესინა შემთხვევით არ იყო მხოლოდ ამ ორ მირონცხებულ მეფეთა სამეფოში. იგი უწონებს მორიდებას ავთანდილს, ბიბლიის ქრონოლოგიით უმცროს ძმას:

„ტარიელ უთხრა: „კარგსა იქმ შენ პატრონისა კრძალვასა.
აწ დადეგ, იქი ნუ მოხვალ, იქმცა უჩემოდ ხალვასა.
მე მივალ, ვუთხრობ მეფესა შენგან თავისა მალვასა,
ვეჭვ, ღმრთითა აღრე შეგყარო მზესა მას, ტანად ალვასა".

მესია ასე მისვლისთანავე ვერ დანერგავს ავთანდილს — ქართული ცხოვრების წესს, ამას დრო უნდა. ღმერთს არ ეჩქარება. მაგრამ ტარიელი ცდილობს დააჩქაროს პროცესი, რაც ჩანს მეოთხე სტრიქონში. ტარიელს ფრიდონი თან მიჰყავს:

„ფრიდონ წაჰყვა. განაღამცა გაელეს ველი დიდსა ხანსა,
ცნა მეფემან, ტარიელი მარტო მოვა, მოხრის ტანსა;
გარდახდა და თავყანის-სცა მას უკადრსა, ლომებრ ჯანსა,
სდებს პატივსა ინდოთ მეფე, მართ მამისა შესაგვანსა."

მამის შესაგვანი აქ ნოე უნდა ვიგულისხმოთ.
აქ ტარიელი პატივს მიაგებს თავის მამა-პაპათ, ანუ თავის მტოს, რომელთა პირველი მამა ნოე იყო. ისინი ასე სცემენ ურთიერთს პატივს:

„ტარიელცა თაყვანის-სცა, მოვა კოცნად, სასალამოდ;
მეფე ყელსა აკოცებდა მართ ბაგისა დასაამოდ.
გაკვირვებით ეუბნების, არის მისგან სათამამოდ:
„შენ მზე ხარო, შენი გაყრა არის დღისა შესაღამოდ".

საქართველოს მეფე ტარიელში სცნობს ცოდნას, მესიას, იმ მეოცეს, რომელიც ეოცნა, რომელმაც უნდა იხსნას სალხები, რაც ბოლო სტრიქონში ჩანს. გაყრაში აქ ტარიელის და ავთანდილის ადრინდელი გაყრაა ნაგულისხმევი. ტარიელი მეფის მიერ მის შექებას ასე უპასუხებს:

„მეფე ტარიას ქებასა დაპკრთების, დაეღონების.
ტარიელ ეტყვის: „მეფეო, აწ გული შენ გემონების;
მიკვირს, თუ ეგრე სიკეთე თქვენ ჩემი რად გეგონების!
რათგან ავთანდილ შენია, სხვა რად ვინ მოგეწონების?"

ე.ი. ავთანდილი, პირველადი ქართული ენის, ბიბლიის საფუძველზე შექმნილი ქართული ცხოვრების წესი, მცნებების დაცვა, აქვთ იაფეტიდების ბაგრატოვან მეფეთა სახით საქართველოში და მე როგორ მოგწონვარო.

## იწყება უმწიკვლო ავთანდილისებური ცხოვრების წესის — მიწათმოქმედების აღდგენა

მესიამ იცის, რომ ნოე მისი მამაა, ამავე დროს ამ წესის აღდგენა მხოლოდ მის პირველად ისტორიულ სამშობლოში იბერია— საქართველოში უნდა მოხდეს და შემდეგ სხვა ქვეყნებიც გადაიღებენ მას, და ამიტომაც ეუბნება: „აწ გული შენ გემონების". ამგვარად, ტარიელი — მესიის ფუნქციის შესრულებას იმით იწყებს, რომ პირობებს ქმნის წმინდა ქართული ცხოვრების წესის აღსადგენად — სადაც ავთანდილი უპრობლემოდ იმეფებს და ღირსი გახდება თინათინთან შეუღლებისა.

„ნუ გიკვირს მისი ვერ-ნახვა და დაყოვნება ხანისა!
მოდი და დაესხდეთ, მეფეო, ამოა კორდი მწვანისა,
გკადრო მიზეზი მისისა თქვენს წინა ვერ-მოტანისა
ვიაჯი რასმე, აწ მმართებს მოთხოვა მე ფირმანისა".

„შახილი მესმა. შევხედენ, მოყმე ამაყად ყიოდა,
შემოირბეედა ბლეის პირ—პირ, მას თურე წყლული სტკიოდა;
ხრმლისა ნატეხი დასერილი აქეს, სისხლი ჩამოსდიოდა,
მტერთა ექადდა, წყრებოდა, იგინებოდა, ჩიოდა.

ზედა ჯდა შაესა ტაიჭსა, აწ ესე მე მითქს რომელი,
მართ ყიითა ქარი მოქროდა, გაფიცხებული, მწყრომელი;
მონა მიესწიე, მისისა შეყრისა ეიყაე მნდომელი;
შეესთვალე: „დადეგ, მიჩეენე, ლომსა ვინ გაწყენს, რომელი?"

აქ ჩანს, რომ ფრიდონს, მართალია, წინააღმდეგობები აქვს, სისხლი სდის, ებრძვის, მაგრამ იგი მაინც ამაყია.

ტარიელი ხედავს მის ეაჟკაცობას და სურს დაეხმაროს, რაც ჩანს მეორე სტროფის ბოლო სტრიქონში:

„მას მონასა არა უთხრა, არცა სიტყვა მოუსმინა;
ფიცხლა შეეჯე, ჩაეეტებე. მე ჩაეუსწარ, ჩაეე წინა,
ეუთხარ: „დადეგ, გამაგონე შენი საქმე, მეცა მინა!"
შემომხედნა, მოეეწონე, სიარული დაითმინა.

გამიცადა, ღმერთსა ჰკადრა: „შენ ასეთი ხენი ეით ხენ!"
მერმე მითხრა: „მოგახსენებ; აწ სიტყვანი რომე მკითხენ:
იგი მტერნი გამილომდეს, აქანამდის რომე ვითხენ,
უკამმაესა მიღალატეს, საჭურეელნი ასრე ეითხენ".

ფრიდონი შეიცნობს ტარიელში იბერიულ მიწათმოქმედს, მის ძმას. იგი ხედება, რომ ტარიელი არის დიდი ცოდნის მატარებელი, რაც ჩანს პირველი სტროფის ბოლო სტრიქონში და მეორე სტროფის პირველ სტრიქონში. აქ მიტომ სწერია „ღმერთსა ჰკადრა", რომ ვიცით, ტარიელის ცოდნა ბიბლიისა ღმერთიდან იყო.

სწორი მიწათმოქმედება რომ ღმერთიდან მოდის და სიკეთის, სიყვარულის სიმბოლოა, ეს ნაწარმოების მრავალ სტროფში ჩანს. ამიტომ ჰკადრა მან ღმერთს. აქ ფრიდონის გაკვირვებაც ჩანს; შენ ასეთი ზნეობრივი, მესიის — ნათელის მატარებელი, რომელ იბერიულ მიწათმოქმედთა ქვეყნიდან ხარო:

„მე ვუთხარ: „დადეგ, დაწყნარდი, გარდაეხდეთ ძირსა ხეთასა;
არ მეუდრკების ჭაბუკი კარგი მასვილთა კვეთასა".
თანა წამომყვა, წაეედით უტკბოსი მამა—ძეთასა.
მე გაეეკეირეე ჰერეტასა, მის ყმისა სინაზეთასა".

გარდაეხდეთ ძირსა ხეთასა, ანუ ჩაეხედეთ ჭეშმარიტების ძირს, ხოლო სიტყვებს — „უტკბოსნი მამა—ძეთასა—ს" გადმოგვეცემენ. რომ ებრაელები იბერიული მოდგმისა არიან, ნოეს ძენი, ანუ მისი მრწამსის გამგრძელებელნი. აი, ამ ურთიერთშორის სიყვარულის საფუძველს იხსენებენ და ამყარებენ ისინი.

შემდგომ ამისა, ფრიდონი უყვება მის გასაჭირს. ტარიელი გულით იყვარებს ფრიდონს:

„ამა ყმამან შემიკეეთა, გული მისკე მიმიბრუნდა.
მოეახსენე: „აჩქარება შენი ყოლა არა უნდა,
მეცა თანა წამოგყვები, დაიხოცნენ იგი მუნ, და —!
ჩეენ ორთავე მეომარი, განაღამცა შეტეიძრწუნდა!"

არიგებს მას, თუ როგორ დაამარცხოს ურწმუნონი ომით და უდიდეს ცოდნით. ფრიდონის გაბრაზებულობა ნათესავთა ღალატის გამო და ჭრილობები სულიერების წინააღმდეგ ბრძოლას მიგვანიშნებს. ტარიელი სულიერად განკურნავს მას და აქებს მის ომს და ცოდნის, სიბრძნის

დიახ, ბოროტი გეოპოლიტიკის გამო ფერ–ნამკრთალია ქართული ენა, მტირალია ქართველი ერი და დროა ქართველებმა აღადგინოთო ენის, სიბრძნის, ცხოვრების წესი – აეთანდილი, რომ მოხდეს სულიერი შეუღლება თინათინთან – შეხინასთან. დიდი ხანია ილეწის აეთანდილი ანუ სრულიად საქართველო ამისათვის. მათმა ერთგულებამ მოიყვანა ეს ქვეყანა უცვლელი გენეტიკით და აღთქმის მიცემის გამო, მდედრობითი შეხინა არ ტოვებს ქვეყანას.

„ამის მეტსა არას გკადრებ, არ მოკლესა, არცა გრძელსა".
ამოიღო ხელ–მანდილი, მოიწასკვა იგი ყელსა,
ადგა, მუხლნი დაუყარნა, ვაჟების ვითა მზრდელსა.
გაუკვირდა ყოველსა კაცსა, მის ამბისა მომსმენელსა.

რა ტარიელ მუხლ–მოყრილი ნახა, მეფე შეუშარდა,
მორს უკუდგა, თაყვანის–სცა, ქვე მიწამდის დაუვარდა,
მოახსენა: „ხელმწიფეო, ლხინი ყოველი გამიქარდა,
თქვენმან აგრე სიმდაბლემან ნახვა თქვენი ჩამადარდა.

მე სიძესა აეთანდილის უკეთესსა ვჰპოვებ ვერა;
თვით მეფობა ქალსა ჩემსა მიეცე, აქეს და მას ეფერა;
ვარდი ახლად იფურჭვნების, მე ყვავილი დამებერა,
რადმცა ვჰკადრე შეცილება, რასცა ოდენ იგი ჯერ–ა!

თუ მეგერთო ერთი მონა, თქვენთვის არცა მამინ მშურდა.
ვინმცა გკადრა მეცილება, უშმაგომცა ვინ მოგმდურდა!
იუ აეთანდილ არ მიყვარდა, ასრე მისთვის რად მომსურდა?
დია, ღმერთო, წინაშე ვარ, ესე ჩემგან დადასტურდა."

მესია პატივს სცემს მათ, იმ მეფეთ, ვინც აეთანდილი, ქართული ცხოვრების წესი შექმნა. „ვაჟების ვითა მზრდელსა", შემიც ხომ ნოეს გაზრდილია. შემმა კიდევ მისი შვილიშვილნი იბერი, აბრაამი, იაკობი აღზარდა ისრაელში მის სულიერების სასლში – იეშივაში. ებრაელები ხომ ჩვენგან გადავიდნენ, ჩვენი სისხლი და ხორცნი არიან. ნოე იყო ჩვენი მამა და მისი მრწამსით მოედიერთ. ამიტომ არიან მათთვის, ვითა მზრდელი ქართული ცხოვრების წესი, ზნეობა ქართველი მეფენი. ტარიელის ასეთი თავდამბლობა. ანუ მომავალი მესიისა, ყველას უკვირს. მამას კი დარდი გაუჩნდა. მას შვილის მეფობა სურს ის კი თვითონ ემდაბლება მას.

მესამე სტროფის მესამე სტრიქონის სიტყვებში „მე ყვავილი დამებერა", ყვავილში უნდა ვიგულისხმოთ ენა, იგი გაიფურჩქნება, როცა აღდგება ენაზე დაფუძნებული ქართული ცხოვრების წესი, ავთანდილი.

შემდეგ ჩანს როგორ ადვილად აღდგება საქართველოში ზნეობა, სწორი ცხოვრების წესი, აეთანდილი:

„მეფე ადგა, მოეგება; ყმა გარდახდა, რა მიეიდა;
ხელთა ჰქონდა ხელ–მანდილი, პირსა მითა იფარვიდა.
მზე ღრუბელსა მოჰფარვოდა, შუქდებოდა, ვარდსა მრვიდა,
მაგრა მისსა შვენებასა რამცა ვითა დაჰფარვიდა?!

მეფე კოცნასა ლამობდა, აღარა ცრემლნი სდენიან;
აეთანდილ ფერხთა ეხვევის, მუქნი ქვე დაუფენიან;
უბრძანა: „ადეგ, ნუ ირცხვი, შენ ზნენი გამოგჩენიან;
რათგან მერჩიო, ნუ მერცხვი, გავე, რასაღა გრცხვენიან!"

მოეხვია, გარდუკოცნა მას პირისა არე–მარე;
„დამივსეო ცეცხლი ცხელი, მაგრა წყალი არ ემარე;
ვინ გიშერი დააჯოგა და წამწამი არემა–რე,
გვალე, შეგყრი, ლომო, მზესა, თავი მისკე არე, მარე".

მეფე ყელსა ეხვეოდა მას ლომსა და ეითა გმირსა,
ახლოს უზის, ეუბნების, აკოცებს და უჩერეტს პირსა;
იგი მზე და ხელმწიფობა ასრე მიხედა, ეითა ღირს–ა.
მამინ ლხინი ამო არის, რა გარდიხდის კაცი ჭირსა.

ყმა მეფესა მოახსენებს: „მიკეირს, სხეასა რად რას პბრძანებ!
რად არ გინდა ნახეა მზისა, ანუ რადღა აგეიანებ?
მიეგებეი მხიარული, სახლსა თქეენსა მოიყეანებ,
შემოიმოს შუქთა მისთა, ნათლად გარე მოიეანებ".

ტარიელსცა მოახსენა; შესხდეს, ქალსა მიეგებნეს,
მათ სამთაეე გოლიათთა მზისა ფერად ლაწენი ლებნეს,
მიხედეს მათსა საწადელსა, იგი პოეეს, რაცა ძებნეს,
ხელი ხადეს ხმალთა მათთა, არა ცუდად წელთა ებნეს".

პირეელ სტროფში ჩანს ავთანდილს – ქართული ცხოერების წესის მატარებელ ყრმას, მესიას, იმხელა ნათელი აქეს, რომ პირს მანდილით იფარაედა. ორივე ლაეითის შთამომაეალი მესია ალადგენს ქართული ცხოერების წესს. ეს ჩანს მესამე სტრიქონის სიტყეებში „ეარლსა მრეიდა", შეიქმნა მშეენება, მნეობრიეი ცხოერების წესი. როსტეეანი – ნოეს სულის მატარებელი, ცდილობს კოცნას, მაგრამ ავთანდილი მის ფერსთ ეხვეეის ანუ ავთანდილის სულის სიწმინდე კი ზეცაში ასელას იმსახურებს, მაგრამ აეთანდილი თაემდაბლობს, მისი ნათელი ეფინება დედამიწას. შემდეგ უკეე უმენაესი ბრძანებით აყენებს მას: „ადეგ, ნუ ირცხეი, შენ მნენი გამოგჩენია". აქ ჩანს, რომ აეთანდილის – ქართული ცხოერების წესის ალდგენა საქართეელოში ადეილად ხდება მეციერის სიტყეით. (მას ხომ ჩეენც ეეარაუდობდით წინა თაეში). ადეილად ხდება, რადგან მნენი, სწორი ქცეეა, სიყეარული ღმერთის მოყვასის – იაფეტის თეისებები ისეე გამოაჩნდათ და გაუმტკიცდათ ქართეელებს. ამგეარად, სასირცხო ალარაფერი აქეთ მათ. მთაეარი ის არის, რომ მეორე სტროფის ყეელა სტრიქონი ენით მთაერდება. ანუ მტკიცდება ქართული ენა, მისი მცნებანი და უმენაესიც, მისი, აეთანდილის, ანუ საქართეელოს არე–მარეს, მოახეეეს ხეაეს და ბარაქას. ეს ერთობა რომ გამყარდეს იგი ეუბნება, რომ „შეგყრი, ლომო, მზესა", ანუ იქნება შეხინის ნათელიო. ეს სიუსეე მეოთხე სტროფში ჩანს, როცა ეხეეეა, ელოლიაეება, ანუ ამყარებს ქართულ ცხოერების წესს, აეთანდილს, ახლა უკეე საქართეელოს მეფე.

ბაგრატოეანთა შთამომაეალი ღირსია იმეფოს იმ ქეეყანაში, სადაც აეთანდილია ქართული ცხოერების წესი, რაც ჩანს ამ სტროფის მესამე სტრიქონში.

ეს წესი, აეთანდილი, უკეე მეხუთე სტროფში ეუბნება მეფეს, „რად არ ეინდა ნახეა მზისა", ანუ სრულყოფილად ალდგება ქართული ცხოერების წესი და შეხინამაც სრულყოფილად უნდა იმეფოს, რაც ჩანს მესამე და მეოთხე სტრიქონებში. „სიტყეები ნათლად გარე მოიეასნებ" ნიშნაეს რომ მთლიანად ქეეყანა ხდება ტაძარი ერთიანობით შეკრული. ყეელა ხედება, რომ მხოლოდ საქართეელოში შეიძლება დაინერგოს ბიბლიის მცნებანი ქართული ენის, 10 სიტყეის საფუძეელზე, რადგან ერი გენეტიკურად მზად არის მისთეის. ლომო აეთანდილისთეის თინათინის მიერ განათებულ ჰარმონიულ სამყაროს ემატება ლომი ტარიელისთეის ნესტანის მიერ განათებული. სამივე რელიგია ხედება, რომ მათ ნესტანის სახით ჰპოეეს ის, რასაც ეძებდნენ. რაც სჭირდებოდა მათ გაერთიანებას. ჰპოეეს ასეეე ერთადერთი ცხოერების წესი და მიმართულება, უფლის ხელშეწყობით ნოეს და მისი შეილების მიერ დანერგილი ქართული ცხოერების წესი, რომელიც შეიძლება იყოს ის ფუნდამენტი, რაც შეხინას დაავანებს დედამიწაზე, პარმონიულ სამყაროს შექმნის. შედეგად ის, რასაც ძეელ მისტერიებში ეძებდნენ, იგი თავისით მიდის იმ მნეობა–სიწმინდესთან, რასაც ქართული ცხოერების წესი ჰქეია. ანუ საქართეელოში ადეილად ალდგება ის, საითკენაც მიილტეიან: ებრაელნი, ქრისტიანნი, მუსულმანნი და არის ერთიანობა, აღსრულდა გამჩენის სურეილი ჰარმონიის შესაქმნელად. გაკეირეებული მეფე ქალს მიესალმება:

„მეფემან ქალს უსალამა, მან შორით გარდახდომილმან.
დაუყენა თეალნი ელეამან, მისთა ლაწეთაგან კრთომილმან;

გამოეცება, აკოცა კუბოსა შიგან სდომილმან,
დაუწყო ქება მეფემან, თეით ვერას ვერ–მიხედომილმან."

მეფესაც და ყველას გააკვირებს ბიბლიის ტარიელის, ანუ ნესტანის მიერ მოტანილი შუქი:

„გაჰკვირდეს ყოელნი მხედველნი მისთა ელვათა ფენასა;
ვით მზემან, დაყენა მჭვრეტელთა თვალნი ნათლისა ჩენასა;
მისგან დამწვარნი მისცნიან გულნი ჭვრეტითა ლხენასა,
სითცა გამოჩნდის, იქმოდეს ჯარნი მუნითვენ რბენასა.

შინა წავიდეს ყოველნი, მესხდეს თავისა დარებად,
ჰქონდეს მეიდნიეე მნათობნი მის მზისა დასადარებად,
არ მიისედომის სიტურფე, არს მათგან მიუმხედარებად,
ადრე მივიდეს მეფისა სახლად საყოფად, არებად."

სამივე მისედა, რომ საქართველოში ის ცხოვრების წესი აღდგება, რაც სამაგალითოა ყველასათვის. აქ ყველა რელიგიის, ეროვნების პატივისცემაა, სიყვარული მღვდრის, მოყვასის, მიწის და, რაც მთავარია, პირველ რიგში, დამბადებლის. ეს ის წესია, რომელშიც არის ბიბლიის ნათელი, ანუ ტარიელი და ნესტან–დარეჯანი და პირველადი ქართული ენის სიბრძნის ნათელი, ანუ თინათინი და ავთანდილი. ამიტომ პირველი სტროფის სტრიქონები ენით მთავრდება, ანუ ელვათა, შუქთა ფენაა, ლხენაა, რბენაა. ყველა კარგად არის, შინ წავიდნენ და ისხდნენ „თავისა დარებად", ე.ი. ყველას დარი – სიუხვე აქვს. ეს მეორე სტროფშიც ჩანს, სადაც ყველა სიტყვა სტრიქონის ბოლოში დარს შეიცავს.

„მეეიდეს, ნახეს თინათინ, მჭვრეტთა მიმცემი ჭირისა;
სკიპტროსან–გვირგვინოსანსა შვენოდა ცმა პორფირისა,
მოსრულთა პირსა მეადგა ელვა მისისა პირისა;
შეეიდა მეფე ინდოთა, იგი მზე, მსგავსი გმირისა.

ტარიელ და ცოლმან მისმან ქალსა მდაბლად უსალამეს,
მოეგებნეს, აკოცეს და საუბარი დაავამეს,
იგი სახლი გაანათლეს, არ ნათელი შეაღამეს,
ბროლ–ბალახში გაალაწეეს და გიშერი აწამწამეს."

აქ ჩანს, რომ ნათელმა ნათელი კიდევ უფრო გაანათლა. ამგვარად, ენის მცნებებს ამტკიცებს ბიბლიის მცნებანი, როგორც ტრადიციულად იყო. შემდეგ თინათინი მირონს სცხებს ბაგრატოვანთა ტახტს საქართველოში:

„თინათინ ზედა აწვიენა ტახტსა მეფეთა მეთასა,
ტარიელ უთხრა: „შენ დაჯე, სწადიან ბრჭესა ბრჭეთასა,
დღეს ტახტი შენი შენ გმართებს მეტად ყოველთა დღესათა,
მე ლომი ლომთა დაგისვა გვერდსა შენ, მზესა მზეთასა".

ამგვარად, ტარიელი მესია – ბოლომდე ასრულებს ღვთის მიერ დაკისრებულ მისიას – აღადგენს ენის საფუძველზე ავთანდილს – ქართული ცხოვრების წესს და ენა ქართულთან ერთად შეხინა – თინათინი, მისი ქართველი ერის, მუდმივი, სულიერი მეწყვილე ხდება. ანუ იკვრება ერთიანობის წრედი, ავთანდილის – ქართველი ერის ზეციური მღვდრობითი არსის მემკვეობით მამაზეციერთან.

„ორთავე ხელი მოჰკიდეს და დასვეს ტახტსა თავისსა,
გვერდსა დაუსვეს ავთანდილ, სურვილსა მოეკლა ვისსა;
უნასავსა და ნახულსა სჯობს ყოვლსა სანახავისსა,
ნუ ეჭვ მიჯნურთა მათებრთა ნუცა თუ რამინს და ვისსა.

ქალსა შესწბა, გაუკეირდა აეთანდილის გვერდსა ჯდომა,
ფერი პერთა და გაუყიცხა მე– და გამო– გულმან კრთომა.
მეფე ეტყეის: „შეილო, ჩემგან გაქეს სირცხეილი თუ რა ზომა,
ბრძენთა უთქეამს სიყეარული, ბოლოდ მისი არ–წახდომა".

ჯერ ნოეს შეილების მიერ და შემდეგ ბაგრატიონთა მიერ ქართულ ენაზე დაყრდნობილი ცხოერების წესის აღდგენა რომ ხდება, ეს მოხუცი მეფის შემდეგი სიტყვებიდანაც ჩანს:

„აწ, შეილო, ღმერთმან თქეენ მოგცეს ათას წელ დღეთა გრძელობა,
სეე–სეიანობა, დიდობა, კელა ჭირთა გარდუხდელობა!
ცამცა ნუ შეგცელის, მოგხედების თეით მისებრ შეუცელე– ლობა,
თქეენით ხელითა მეღირსოს მიწათა შემომყრელობა!"

მართ მეფემან სპათა ბრძანა აეთანდილის თაყეანება:
„ესეაო მეფე თქეენი, ასრე იქმნა ღმრთისა ნება,
დღეს ამას აქეს ტახტი ჩემი, მე — სიბერე ეითა სნება,
ჩემად სწორად მსახურებდით, დაიჭირეთ ჩემი მცნება!

ლაშქარნი და დიდებულნი დაღრკეს, მდაბლად ეთაყეანნეს,
მოახსენეს: „მიწად ეექმნეთ, ეინცა მიწად მიგეიყეანნეს,
მორჩილ–ქმნილნი დაგეადიდნეს, ურჩნი მკედართა დაგეაგგეასნეს,
მტერთა მკლაენი შეაძუნენეს, გულნი ჩეენნი აგულეანნეს.

ტარიელცა უთხრა ქებით იმედისა გადიდება;
ქალსა ეტყეის: „შემიყრიხართ, აღარა გწეაეს ცეცხლთა დება,
ქმარი შენი ძმაა ჩემი, ეგრეეე მწადს თქეენი დება,
ორგულთა და შემცილეთა თქეენთა მე ექმნა გაფლიდება".

მეორე სტროფი გვეუბნება, რომ იცაეენ იმ მცნებებს, რასაც ადრე „ჩემად სწორად მსახურებდით, დაიჭირეთ ჩემი მცნება". აქ ლაპარაკია 613 მცნებაზე ქართული ენის სიბრძნეზე დაფუძნებული ქართული ცხოერების წესი, ანუ აეთანდილი, ის უმწიკელო ცხოერების წესია, სადაც უზნეობა გამორიცხულია. როსტეეანის ცხოერების წესში კი, როგორც ადრე აღენიშნეთ, დასაშეები იყო სხეა ეროენებათა მიერ შემოტანილი უზნეობანი. ცოტა ზემოთ რუსთაეელი გადმოგეცემს რომ ამ წესს ყეაეილი დაებერა. ამიტომ ის რომ გარედან შემოეიდეს უზნეთა წესი — ენა მათი აღარ მოხდება, ისტორიას ჩაბარდა. ეს ახარებს როსტეეანს, ხალხს და ლოცაეენ აეთანდილს. ბოლო სტროფი გვამცნობს, რომ ერთი წინაპარი, შტო პყაეთ ტარიელს და აეთანდილს. ანუ ნოე არის მამა სემის და იაფეტის და აბრაამი ჩეენი მამაც არის, რამეთუ იბერიულ ნოეს მრწამს აფუძნებდნენ მისი შთამომაეალნი (ეს ორი ძმა). ბიბლიის და ქართული ენის ერთი შემქმნელი კი არის უფალი, რომელმაც მოგეცა ისინი და ასეეე იბერიული მოდგმა, ებრაელთა და ქართეელთა, ასეეე ერთი და იგიეე მეფეთა დინასტია, ბიბლიური დაეითის შთამომაეალი მეფობს ორიეე ქვეყანაში, რაც შემთხეეეითი არ არის. აი, აქ არის ახსნა ორი მესიისაც შემის და იაფეტის გარდმოსულს დაეითში და მისგან გარდასული ორ შტოში. მათ ორიეეს აქეთ დაპქონდათ შეხინას მადლი რომელნიც ასეეე დობილნი არიან.

ქორწილი თინათინისა და აეთანდილისა, მაყრობა ტარიელისა.

შემდეგ თაეშია აეთანდილის და თინათინის ქორწილი არაბეთში:

„მას დღე აეთანდილ პატრონად ზის და ხელმწიფე ზენია,
მასთანა მჯდომსა ტარიელს შეენიან სინაზენია;
ნესტანჯარ ასლაეს თინათინს, მჭერეტელთა ამაზრზენია,
პგაეს, თუ ცა მოდრკა ქეეყანად, შეყრილან ოთხნი მზენია.

დაიწყეს მორთმა პურისა ლაშქართა მის მესაესისა,
ძროხა და ცხეარი დაკლული არს უმრაელესი მხაესისა,

შეიქმნა ძღვნობა ძღვენისა, მათისა შესამსგავსისა,
მათ ყოველთა შუქი ანათობს პირისა მზისა მსგავსისა.

იაგუნდისა ჯამები იყვის, ლალისა ჭიქები,
კვლა უცხო ფერთა ჭურჭელთა სხდის უცხო–უცხო სიქები.
მის ქორწილისა მაქები, კაცი ბრძენთაგან იქები,
მჭვრეტელო, გულსა ეტყოდი: „ნუ აეხსნები, იქ ები!“

მუტრიბნი მოდგეს ყოველგნით, ისმოდის ხმა წინწილისა;
მეყრით ძეს გორი ოქროსა და ბალახშისა თლილისა;
მსმელთათვის წყარო ღვინისა ასგან დის, მსგავსი მილისა,
ბინდით ცისკრამდის ხმა იყო, გარდასდა ჟამი დილისა.

არა დარჩა უსაბოძვრო არ კოჭლი და არ საპყარი;
მოდიოდა მარგალიტი მოფანტული, მონაყარი;
გაბედითდა წასაღებლად ატლასი და ოქრო მყარი.
სამ დღე იყო ინდოთ მეფე ავთანდილის ვით მაყარი.“

პირველი სტროფი გვამცნობს, რომ აქ, საქართველოში, პირველად იქნება დანერგილი ჰარმონიული ცხოვრების წესი. აქ არის სემი ჩამოსული მამის მამულში, რათა უმცროს ძმასთან იაფეტთან ერთად აღადგინოს მის წინაპართა მიერ თორაზე და პირველად ენაზე დაფუძნებული იბერიულ–ქართული ცხოვრების წესი.

ავთანდილი თორაზე, ენაზე დაფუძნებული ქართული ცხოვრების წესია, ხოლო თინათინი, შეხინა, მდედრობითი არსი, რომელიც ზნეობრივი ცხოვრების წესის გამო ღმერთის შეწევნით ბარაქას და ჰარმონიას აძლევს ქვეყანას. ეს ბარაქა და ჰარმონია გადმოცემულია სტროფებში. ეს ჰარმონია და სიყვარული, ქართული გენეტიკის წყალობით დანერგილი ისეთი მუხტის საწინდარია, რომ აღარ არიან ცოდვილნი და ავადმყოფები ქვეყანაზე, აღარც კოჭლია, აღარც საპყარი.

სხვათა შორის, როცა ებრაელებმა მიიღეს თორა – ანუ ღმერთის შუქი, სწავლება სინას მთაზე, მაშინაც თუ ვინმეს რამე დაავადება ჰქონდა ყველა გამოჯანმრთელდა. სადაც სიწმინდეა – იქ ჯანმრთელი სხეული და სული ბუდობს აუცილებლად. ტარიელი – მესია ამ ჰარმონიის დამნერგავი, ანუ ხელის შემწყობი და მაყარია. ჟამენ იმას რაც სულის ჰარმონიის საფუძველია. სამ დღეში ანუ სამ წელიწადში ხდება საქართველოში მისი ხელშეწყობით ქართული ცხოვრების წესის აღდგენა, რასაც გადმოგვცემს ბოლო სტროფი ის ბოლო სტრიქონი.

აქ ერთ გარემოებას უნდა გავსვას ხაზი. როგორც აღინიშნა, ჯერ მარტო მესია ტარიელია სულიერად შეუღლებული შეხინასთან, ნესტანთან, ხოლო საქართველოში მთელი ერი, მესიის უმცროსი ძმა, ავთანდილის სახით, შეუღლებულია სულიერად თინათინთან, შეხინასთან. ანუ ტარიელის და ავთანდილის წინაპარი ერი – ქართველები გენეტიკურად, სულიერად მზად არი, ისევე როგორც ტარიელი და ავთანდილი, სულიერი ქორწინებისათვის შეხინასთან.

იქმნება იბერიელთა 12 კუთხე და ისინი მზად არიან სულიერ სამყაროში კვლავ დაბრუნებისთვის. აქ ჩანს ჩვენი მიგნების სისწორეც, რომ ჰარმონიული სამყაროს ცხოვრების წესი უმოკლეს ვადაში მხოლოდ საქართველოში აღდგება. შემდეგ ნაწარმოებში იგრძნობა ავთანდილის – ქართული ცხოვრების წესის დიდი პატივისცემა ტარიელისადმი, უფროს ძმისადმი:

„ხვალისა მეფე არაბთა კვლა პურობს, არ დაფალია;
ტარიელს უთხრა: „შენი მზე საჭვრეტლად სატურფალია.
მეფე ხარ ყოველთა მეფეთა და ეგე დედოფალია;
ხამს, ყურსა გვეგდოს საყურად ჩვენ თქვენი ნატერფალია.

აწ, მეფეო, არ ეგების ჩვენი სხდომა თქვენად სწორად“.
სახელმწიფო საჯდომი და სხვა დაუდგა ტახტი შორად.
ქვემოთ დასხნა ავთანდილ და ცოლი მისი მათად სწორად.
პირველ ძღვენი ტარიასთვის მოიღიან, იდვის გორად.

არაბთა მეფე მასპინძლობს, იქმს ოდენ არიფობასა,
ზოგჯერ მათ ახლავს, ზოგჯერ მათ, არ იხმობს ხელმწიფობასა,
გასცემს და უქებს ყველასა, უხვობა–იეფობასა,
ფრიდონ ზის ახლოს ავთანდილს, ჩვეული თვით მეფობასა."

რას ნიშნავს „შენი მზე საჭვრეტელად სატურფალია“. ქართული ცხოვრების წესი ენაზეა დაფუძნებული, ენის მცნებებს სხვა ქვეყნებში ვერ გაიგებენ. ბიბლიას გაიგებენ და ამლენად, ეს მზე–ცოდნა საჭვრეტელად სატურფალია. ამიტომ შენ ხარ მეფე ყოველ მეფეთა, ანუ მესია, ბიბლია კი, რომელიც საჭვრეტელად სატურფალია – დედოფალია. უფალმა ხომ მისი გეგმით შექმნა ენაც და სამყაროც. ჩვენ თქვენს ნასიარულებს – ნატერფალს მუდამ გავიმზიარებთ, რაკიღა ბიბლიის მცნებებია მთავარი. იგი ეუბნება, რომ „აწ, მეფეო, არ ეგების ჩვენი სხდომა თქვენად სწორად“. ეს ხდება იმიტომ, რომ თუმცა ორივე მესიაა სამყარომ მასში ერთი ტარიელი უნდა შეიცნოს, თორემ სხვა მხრივ ქართული ცხოვრების წესი მისი იდენტურია, თანასწორია, რაც ჩანს მეორე სტროფის მესამე სტრიქონში.

ამავე დროს იბერიულ,ქართული წესით მეფობა უფროსს ძმას ერგება. ამ მხრივ თუ რელიგიებით გავმიჯნავთ მას, ფრიდონი ყველაზე უმცროსია. ეს უმცროსიც როგორც ავთანდილი ისეთივე ერთგულობით გამოირჩევა ორივე ძმის მიმართ.

ბოლო სტროფი გვამცნობს, რომ ქართული ცხოვრების წესი სრულყოფილად აღდგა, რამეთუ ავთანდილი ყველაფერს გასცემს. ამავე დროს, ფრიდონი, თვითონ ჩვეული მეფობას, ახლოს უზის ავთანდილს. ეს იმას ნიშნავს, რომ მართლაც ახლოა ჩვენთან, იბერიელ ანუ კავკასიელ მუსულმანთა სამღერები. იქმნება ერთიანი კავკასიური სახლი, სახელმწიფო, მის მეფეთა ცენტრია საქართველოში. შემდეგ არის ნესტანისაგან ავთანდილისადმი და ფრიდონისადმი მიძღვნილი საჩუქრები.

ეს ჰარმონიული სამყაროს შექმნა საქართველოში დიდი ხანი გაგრძელდა. რადგან ჰარმონიული ცხოვრების წესი სრულყოფილად უნდა აღდგეს საქართველოში და მთელ კავკასია–იბერიაში. ფრიდონი ამიტომაც იქ არის თავის მისიის აღსასრულებლად. აქედან ნათლად ჩანს, რომ ფრიდონი იბერიული მუსულმანური სახელმწიფოს წარმომადგენელია.

## ორი ძმა, ორი მესია საქართველოში 30 წლის განმავლობაში მესიის ერაში გაზრდილი იბერიელნით ამტკიცებენ მთელ სამყაროში იბერიულ წესს.

მთელი სამყარო იბერიის – ისრაელის – იაკობის სახლი უნდა გახდეს, თორის და პირველადი ენის საფუძველზე იქმნება ერთი რელიგია ყველასათვის და შემდეგ მოსდება იერუსალიმში შეხინის დავანება.

თუ დავითის 120-ე ფსალმუნს დავეყრდნობით იგი გადმოგვცემს: ვცხოვრობდი მე – შეხიან ბინა მქონდა კედარის კარვებთან. როგორც შალომ დავიდი გადმოგვცემს – მეშეხი მესხეთია, კედარი კი დარის მომცემი ბიბლიაში დალოცვილი ხეა. (ეს ხე წამოიღო იოსებმა ქენაანიდან რათა შემდეგ სჯულის კიდობანის აგებისას გამოეყენებინათ). ჩვენ ვიცით დიდი იყო იბერიული მოდგმის განსახლების არეალი, ამიტომაც ალბათ შედიოდა დავითის დროინდელ ისრაელში საქართველოც. ასე რომ გასაკვირია არაა, თუ ეხლაც როგორც ნოეს დროს საქართველოდან დაიწყება იბერიული ცხოვრების წესის აღდგენა და სანამ ქენაანზე ჩავლენ ისევ გაიზრდება ისრაელი – იბერია. ბიბლიაშიც ალბად ესეთი გამრდაა ნაგულისხმევი.

„რას ვაგრძელებდე, გარდახდეს დღენი ერთისა თვისანი.
თამაშობდიან, არ იყვნეს ყოლა გაყრანი სმისანი.
ტარიელს სძლევნიან უცხონი თვალნი ლალისა ქვისანი,
მათ ყოველთა მათნი ელვანი ჰფარვენ მართ ვითა მზისანი.

ტარიელ ჰგვანდის ვარდსა და იყვის ფიფქისა მთოვლელად,
ავთანდილ როსტანს წინაშე გაგზავნა დასათხოვლელად,
შესთვალა: „შენი სიახლე კმა ჩემად ლხინად ყოველად,
მტერთა აქვს ჩემი სამეფო, ვიცი მუნ შიგან მძოვლელად."

მართალია, საქართველოში სამ წელიწადში აღდგა პარმონიული ცხოვრების წესი, მაგრამ მთელს იბერიაში მიწა–მამულის თანაბრად გაყოფის და, საერთოდ, ადმინისტრაციულ–ტერიტორიულ მოწყობას, ეკონომიკის ქართული და ბიბლიის წესით აღდგენას 1 თვე, ანუ 30 წელიწადი დასჭირდა. რაც ჩანს სიტყვებში: „დღენი ერთისა თვისანი". ეს პერიოდი საჭირო იყო აგრეთვე რომ გამოზრდილიყო ახალი თაობა, ახალი ცხოვრების წესში უეწიკვლო, შეუბღალავი დედა თორის, დედა ენის ქართული, ავთანდილისებური მნეობით.

ამ პერიოდში მესიის — ტარიელის, ავთანდილის, ფრიდონის ძალისხმევით მთელს იბერიაში — კავკასიაში ინერგება პარმონია, რაც ჩანს პირველი სტროფის მესამე სტრიქონში. რადგან ჯერ არ მომხდარა ისრაელი ერის და სხვათა შეხინასთან სულიერი შეუღლება – ქორწილი, ტარიელი ამბობს: „მტერთა აქვს ჩემი სამეფო", აქ ჩვენ (რადგან იგი მესიაა) ტარიელის სამეფოში მთელი ქვეყნიერება უნდა ვიგულისხმოთ, ხოლო „მუნ შიგან მძოვველად" ნიშნავს არასწორ სოფლის მეურნეობას მთელ ქვეყნიერებაში და მის ქვეყანა — ისრაელში. როსტევანი ამაზე უპასუხებს:

„როსტევანს ეთქვა: „მეფეო, რად ხართ რასაცა რიდითა?
რაცა გიჯობდეს, იქმოდით, გასჭვრეტდით, გაიცდიდითა,
ავთანდილ თანა წამოგყვეს, წადით ლაშქრითა დიდითა,
თქვენთა მტერთა და ორგულთა დაპურეწდით, და–ცა–სჭრიდითა".

აქ ისევ მეორდება ნოეს ანდერძი. უნდა იმეფოს შემმა მის კარვებში ვითარდება ავთანდილი. ამიტომ მიყვება მას ავთანდილი. ოღონდ როგორც ადრე, ასლაც დროებით. ავთანდილის – იაფეტის სულში კი ფრიდონის სულიც თავისთავად არის ჩასახული, ამიტომ ფრიდონს არ ასსენებს მათი წინაპარი.

დიდი ლაშქრით წასვლა ეს დიდი ცოდნით წასვლაა, იმ ცოდნით, რითაც ორგულებს დაამარცხებენ. დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ ავთანდილი როსტევანისგან განსხვავებით, ის ახალი მიმართულების ქართული წესია, რომელსაც აქვს ბიბლიის ცოდნა და ენაზე დაფუძნებულ იბერია ცხოვრების წესს ამდიდრებს ბიბლიის მცნებებით. ამიტომაც უფლის ნებაა, რომ მან უნდა წაიყვანოს ავთანდილი, რათა მთელ მსოფლიოში და ისრაელში ქართული ცხოვრების წესზე დაფუძნებული ბიბლიის ენის მცნებანი დანერგოს. მთელი მსოფლიოს კონსტიტუცია ხდება ბიბლია და ენა ქართული სამ სახოვანი ანბანით. ავთანდილმა უთხრა ტარიელს ეს სიტყვები — ორები ანუ ბრძნული სიტყვები, რათა ისრაელშიც და ყველგან „ორი"–ცოდნა — ქორწილი დანერგოს. ამ ცოდნის დასანერგად ავთანდილს სრულყოფილად მიაქვს ქართული ცხოვრების წესი და ამისათვის იგი ამ წესის გენეტიკურ მცოდნეთა დიდი ლაშქრით, ოთხმოცი ათასი კაცით მიდის.

„შეყარნა სპანი არაბეთის, აღარა ხანსა მმულია,
კაცი ოთხმოცი ათასი, ყველაი დაკაზმულია.
კაცსა და ცხენსა ემოსა აბჯარი სვარაზმულია.
არაბთა მეფე მათითა, გაყრითა ნაღვლელ–ჭმულია."

პირველ სტრიქონში ჩანს ტარიელის სიბრძნე. 30 წელიწადში მან გამოზარდა ახალი თაობა, რომელიც მტკიცე გენეტიკის, უდიდესი სიბრძნის მატარებელნი არიან და ხელეწიფებათ ხალხი, ქვეყნები მოაქციონ მნეობისაკენ.

ამ პერიოდში ენაც იწმინდება, იბრუნებს პირველად სახეს სულს.

ისინი მთელ სამყაროში და ისრაელშიც მიდიან იმისათვის, რომ ჩაიტანონ იბერიული ცხოვრების წესი, ქართული კულტურა, მიწათმოქმედება, ენის და თორის სულით მოხდეს ყველა ხალხის გენეტიკური სულიერი გარდაქმნა სიკეთისაკენ. ამისათვის ყველა რეგიონში, ისრაელსა და დანარჩენ სამყაროში უნდა ჩასახლდნენ ქართველნი და ამიტომ მიდის ამდენი ხალხი. ცხენით და აბჯარით, ანუ ცოდნით (ჩვენ აღვნიშნეთ, რომ აბჯარის სახელი ქართულად თ–ორი–ც არის. ორ ხომ ცოდნაა, ხოლო თორა, იგივე ბიბლია ანუ სწორი ცხოვრების წესის კონცეფცია). მათ უკვე შეასწავლეს ხალხებს ათი მცნება. მოამზადეს მიწათმოქმედებისათვის. ახლა უკვე მიაქვთ, შეაქვთ ენა ქართული, მისი სული სიყვარულისთვის შექმნილი უფლის მიერ. ანუ ინერგება 10 სიტყვა, ქართული მიწათმოქმედება და ხალხის გენეტიკა ხდება სიყვარული.

მიილტვიან ათი ძირითადი თვისების დანერგვისაკენ აი, აქ არის აღსრულება, იოანე ზოსიმეს წერილისა. ამ ენით უნდა განიკითხოს უფალმა ყველა ხალხი. ანუ, ვინც ენას ებრძოდა, ისინი უკვე დაისაჯნენ, დღეს კი ეს ენა სიყვარულს, ქართული ზნეობის ჰარმონიას უნერგავს ხალხებს. თუ კიდევ წავლენ უზნეო გზით ისინი, რა თქმა უნდა, განიკითხებიან კიდევაც. მომდევნო სტროფში რუსთაველი შემდეგს გვამცნობს:

„ერთმანერთისა გაყრილნი ქალნი ორნივე, დობილნი,
ერთმანერთისა დად-ფიცნი, სიტყვისა გამონდობილნი,
მკერდითა მკერდსა მეკრულნი, ყელითა გარდაჭდობილნი,
ტიროდეს; მათთა მჭვრეტელთა გულნიცა ესხნეს წდობილნი.

მთვარე ცისკრისა ვარსკვლავსა რა თანა-მეესწოროსა,
ორნივე სწორად ნათობენ, მოშორდეს, მოეშოროსა;
არა თუ იგი მოშორდეს, მართ ცამან მოაშოროსა
მათად საჭვრეტლად მჭვრეტელმან, ხამს, თავი იქედგორისა."

რას ნიშნავს პირველი ფრაზა? ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში ქართული ენის და ღვდავნის დაფუძნებისთანავე შესინა იყო. ენა იგი, ანუ ლოცვა და ზნეობა მოდიოდა მისგან, ღმერთიდან და ქართველ ხალხს ჰქონდა ციური დედის შეწევნა. ეს ენა — ცოდნა იყო სულიერი მანათობელი, შეუღლებული ქართველებთან და შეხისაც დავანებული იყო ჩვენთან. როცა ბიბლია — წინამორბედი ენისა, მნეობრივი სამყაროს შექმნის კონსტიტუცია მიეცა ებრაელებს, რომელიც იგივე ცხოვრების წესს, მიწათმოქმედებას ნერგავს, რაც ჩვენთანაა, აქაც მოხდა ებრაელი ერის შეუღლება ცოდნასთან. იქაც, უფლის ნებით მოევლინა შეხინა, მისი ნათელი, ნათელი, რომელიც საქართველოში არსებული ნათელის იდენტურია, დობილია. რადგომ დობილი. შეხინა თან დაყვებოდა ორ ძმას სემს და იაფეტს, ცალ-ცალკე. იაფეტი რომ გადავიდა ქანაანზე, მაშინ მოხდა გაყრა ამ დობილებისა. ხოლო, როცა მოსემ თორა მიიღო იგი უკვე სულიერ ტაძარში, ისრაელების გულში დავანდა — ანუ დავშვა დედამიწაზე. მეორე სტრიქონიც მიგვანიშნებს: „ერთმანერთისა დად-ფიცნი, სიტყვასა გამონდობილნი". სიტყვისა გამოდობილნი ანუ ენა ქართული და ბიბლიაც ხომ სწორი ცხოვრების წესის, ზნეობის სიტყვებია. ამიტომაც ორივენი სწორად ნათობენ. ამ სიტყვის გამო იყვნენ დობილნი. დების მოშორება კი როგორც ადრე, ზეციდან; გამჩენის ნებით ხდება, რაც ჩანს მეორე სტროფის მესამე სტრიქონში.

დღეს ანბანი, ქართული ენა დაბალი და დაწუნებულია, რაც ჩანს იოანე ზოსიმეს წერილში. ამ ენის ამაღლება მოხდება ტარიელის და ავთანდილის მიერ. ებრაელთა და ქართველთა, ანუ იბერიელთა მიერ, და მოხდება იმ ბოროტების მხილება, ვინც სდევნიდა ამ ენას. გავიხსენოთ, მხოლოდ ჩვენს ენებში არ არის სიმაღლით გამორჩეული ასოები-კერპები, სიმღერებში ყველა პირველი კაცი. ასე მიმდინარეობს ჩვენი ორივეს სიმღერები. სალოცავებში, ყოველდღიურ ყოფაში არსებული სალხური ფოლკლორი. გავიხსენოთ იოანე მოსიმეს წერილი „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს. და ოთხი დღისა მკუდარი ამისთვის თქუა დავით წინასწარმეტყველმან, რამეთუ წელი ათასი ვითარცა ერთი დღე". ამგვარად, ოთხი ათასი წელი იდევნებოდა ქართული ენა, მოდგმა მისი და ელის ის მესიის გამოვლინებას და შეხინაც, რომელიც ახლაც არ ტოვებს საქართველოს, უფრო სრულყოფილად მოგვევლინება.

ამავე დროს, საქართველო და ისრაელიც აღდგება თავის პირვანდელ სამღერებში. მათი სიკეთის საზღერები ხომ მთელი მსოფლოა. აი, ეს აქვს მხედველობაში ტარიელს, როცა წინა სტროფში ამბობს, რომ მისი სამშობლო მტრების ხელშია.

ამგვარად, ბიბლიის, ქართული ენის სიბრძნის დანერგვა,ნესტანის — თინათინის, ნათებაა. ისინი დობილნი არიან. დობილთა ერთსახოვნება, ერთი სულიერება იმდენად მსგავსია, იმდენად დიდია მათი სიყვარული, რომ ძალიან უჭირთ გაყრა, ისევე, როგორც ტარიელს და ავთანდილს და ალბათ ცოტა ადრე საქართველოდან ქანაანში გადასულ ქართულ ტომებს, რომელთაც შემდეგ იუდევური რელიგია და ბიბლია მიიღეს.*

---

*აქვე უნდა აღინიშნოს ერთ-ერთი მცნების მატარებელი სიტყვა შე-ნდობა. თუ კაცი კაცს არ შეუნდობს, ის არაკაცია, რადგან უფალი მოგვიწოდებს ამისკენ. ქართველი ამ სიტყვით შემცოდავს ეუბნება შ-მენ იმიტომ შეგინდე, რომ ქართული ენა მეუბნება ამას. ქართველს ყველას ნდობა აქვს.

„მათალეე სახედ, რომელსა ესენი დაუბადიან,
იგიეე გაჰყრის, სიშორე არა თუ ნებით სწადიან,
ვარდსა სწებვენ და აპობენ, ტირან და ცრემლნი ჩადიან.
მათთა გამყრელთა ყოველთა სიცოცხლე არ იქადიან."

ამგვარად, როგორც თავის დროზე გადავიდნენ იბერიელნი, ისრაელნი ქანაანში უფლის ნებით, ასევე მისი ნებით მოხდება ამ დების გაყრა.

„ნესტან–დარეჯან თქვა: „ნეტამც ყოლა არ შემოგმცნებოდი,
მმისა გამყრელი გაყრითა აწ ესე არ დაეჭნებოდი,
ამბავსა სცნევდი, მაცნევდი, წიგნითა მეუბნებოდი,
ვითა მე შენთვის დამწვარ ვარ, აგრევე შენ ჩემთვის სდნებოდი".

თინათინ უთხრა: „ჰე მზეო, შენთა მჭვრეტელთა ლხინებო,
რაღმცა გაგწირე, თუ ვითა გაყრასა მოვითმინებო!
ღმრთისაგან დღეთა თხოვისა ნაცვლად სიკვდილი ვინებო,
აგრემცა მივი, რაზომსა მე ცრემლსა დავიდინებო!"

პირველ სტროფში ჩანს, რომ დები ერთმანეთს გულშემატკივრობდნენ. ახლა უჭირთ გაყრა, მაგრამ ისინი უფლის ნებასურვილს ასრულებენ მიწიერთა სასიკეთოდ.

ამგვარად, მთელ სამყაროში და ისრაელშიც აღსადგენია ჰარმონიული სამყარო, მწეობა და სიყვარული, რაც მნათობებმა, მდედრობითმა არსებებმა უნდა შეასრულონ, ეს მათი ზეციური მისიაა.

„კვლა აკოცეს ერთმანერთსა, გაიყარნეს იგი ქალნი;
ქვე დამდგომმან წამავალსა ვერ მოსწყვიდნა ყოლა თვალნი;
იგი იჭვრეტს უკუღმავე, ედებოდეს ამით ალნი.
რომე მწადდეს, ვერ დავწერენ მე სიტყვანი ნაათალნი."

იგი ქალნი, ისეთი ზეციური ენერგიის ალის მატარებელნი არიან, რომ ქვე დამდგომნი, სიწმინდით ქვედა საფეხურზე მყოფი ადამიანები, თვალს ვერ წყვეტენ და ამით ალნი ედებათ. ეს ალი ზეციური არსებებისთვის დამახასიათებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი გამჩენს ვერ დაელაპარაკებიან. ჩვენ ვიცით, რომ მოსესაც ჰქონდა ეს ალი. იგი იმდენად ძლიერი იყო, რომ სახეზე პირბადე ჰქონდა აფარებული, რათა სხვებს მასთან ლაპარაკი შეძლებოდათ. ავთანდილიც ხომ პირბადეთი მიდის როსტევანთან. ასეთი ალი ედებოდათ ქვედა მჭვრეტთაც. ეს ალი მათთვისაც ძნელად გასაძლებია და ზევით მჭვრეტნი რომ ვერ უძლებდნენ, თვალების ქვევით ჭვრეტდნენ. ამ ალს უძლებდნენ ტარიელი და ავთანდილი, რამეთუ მათაც ჰქონდათ ასეთი ნათელი ალი, დიდი ცოდნა. კიდევ გავიხსენოთ ფრაზა, როცა ავთანდილი ვეზირთან შედის. „ყმამან სახლი განანათლა, ვით სამყარო კიდით კიდე". სამყაროს ანათებს ტარიელის შუქიც, ამიტომ ცოტა ზემოთ „ოთხი მზეო" ასე არქმევს მას რუსთაველი.

„როსტან მათითა გაყრითა ხელთაგან უფრო ხელდების,
ათასჯერ იტყვის ვაგლახსა, არ სულთქმა უერთხელდების,
ცხელი სდის წყარო ცრემლისა, მათ ვითა ქვაბი ცხელდების
ტარიელ არის დაღრეჯით, ფიფქი ნასდების, თხელდების.

ტარიელს ვარდსა დაუტყლეჯს მეფე ხვევნით და კოცებით;
იტყვის, თუ „თქვენი სიახლე მიჩს აქამდისცა ოცებით;
რათგან მოგშორდი, დავრჩები პატივთა გაასოცებით,
შენგან მოგვეცა სიცოცხლე, შენგანვე დავიხოცებით".

მეორე სტროფში ჩანს, რომ დაინერგა ათი მცნება – ბიბლია და ათი სიტყვა, ქართული ენა. ორმა ძმამ ორმა მესიამ რიგით მეოცემ შეასრულეს თავისი მისია. ამიტომ მიავრდება სტროფის სტრიქონები მათი ჯამით, ოცით, „თქვენი სიახლე მიჩს აქამდისცა ოცებით" ამაზე მეტყველებს.

აქ კიდევ ნათლად ჩანს, რომ თინათინი ზეციური მდედრობითი არსია. მან საქართველოს კელაეინდებურად უნდა მისცეს სიუხვე. ამიტომ ის ვერ გაჰყვება ავთანდილს ისე, როგორც ნესტანი მოყვა ტარიელს.

„ტარიელ შეჯდა, მეფისა გამყრელი, გამომსალამე;
სრულად ლაშქართა სდიოდა ცრემლი, მინდორთა სალამე;
„მზე შენ გელისო საომრად და თავი შენ მას ალამე"
უბრძანა: „თქვენთვის მტირალსა ყოლა რად მიჩნდეს სალა მე!"

აქ ჩანს, რომ ისევ უჭირთ გაყრა, აი, ეს არის სამაგალითო. თუმცა ქართული ცხოვრების წესი, ავთანდილი, ტარიელს თან მიყავს ფრიდონთან ერთად, როსტევანის მათი დიდი ჰაჰის რჩევის, ანდერძის შედეგად. თუმცა ეს ტარიელის მესიის გეგმაა «ეელაფერი. რათა ამ იბერიელთა მაგალითისამებრ დანერგონ სამყაროში მცნებები:

„გაემართნეს და წაეიდეს დია სჰითა და ბარგითა
ტარიელ, ფრიდონ, ავთანდილ თავითა მეტად კარგითა,
კაცი ოთხმოცი ათასი ჰყვა ცხენებითა ვარგითა,
მიელენ სამნივე გულითა ერთმანერთისა მარგითა.

სამ თვე ვლეს, — ღმერთმან მათებრი სხვა ნურა ნუ დაბადისა!
მოეგებნიან, მტერობა ვერავინ დაიქადოსა!
მინდორსა შიგან სადილად გარდახდეს უდილადოსა,
ვითა მართებდა, პურობდეს, ღვინოსა სმიდეს, არ დოსა."

ბოლო სტროფი მიგვანიშნებს, რომ ქართული ლაშქრით წამოსული სამი მნათობი ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი იბერიულ ცხოვრების წესს ნერგავენ.

ამ ქვეყნებში რომ ქართული მიწათმოქმედებაც აღდგება, ამიტომ სვამენ ღვინოს. ამავე დროს, ამ ქვეყნებში რომ დაინერგოს ქართული ცხოვრების წესი, დრო უნდა და ამიტომ სამ თვეს მიდიან ისრაელში. მიზანი ერთია, შეცდომა რომ არ განმეორდეს, ჯერ ისრაელის გარემომცველ ქვეყნებში საბოლოოდ უნდა დამარცხდეს ბოროტება, აღდგეს სიკეთე. შეუერთდეს ისრაელს დაკარგული ტერიტორიები, ე.ი. მსოფლიოში ინერგება იბერიული – ქართული ცხოვრების წესის მოდელი. და ეს პროცესი 3 თვეს ანუ 90 დღეს ე.ი. 90 წელი მიმდინარეობს.

ეს იმ შემთხვევაში ხდება, როცა მსოფლიოს აქვს მაგალითი, მაკეტი საქართველო – კავკასიის სახით, როგორ უნდა აღდგეს ჰარმონიული სამყარო. ამავე დროს, ქართველნი აღადგენენ ამას ყველგან და მაინც 90 წელს უნდებიან, რატომ? ჯერ ერთი სრულიად გალატაკებულია სოფლის მეურნეობა, მეორე და, რაც მთავარია, ამ შემთხვევაში სიყვარულის სული – გენეტიკაა აღსადგენი, გენეტიკა იმისა, რომ ქართველებივით გაყოფით დაიწყონ ცხოვრება. რაც მაშინ მოხდება, როცა პირველად ენაზე ისაუბრებენ.

მთავარი მაინც ისაა, რომ ამ ქვეყნებში ბიბლიის მცნებანი, 10 მცნება უკვე დანერგეს ადრე. ახლა უკვე ინერგება ადამიანებში 613 მცნება, ათი თვისება უფლისა 10 სიტყვა, იბერიული მიწათმოქმედება. ეს ქმნის საფუძველს რომ მოვა სრულიად ახალი თაობა, ახალი გენეტიკური სულით, კოდით, სადაც უმთავრესი არის სიყვარული. ეს მიზანი ჰქონდა სამივე რელიგიას და დღეს ისინი ამ მიზანმა გააერთიანა. გაერთიანებულნი ასრულებენ იმ მისიას, რომ ჯერ ბიბლიის, შემდეგ კი ენის მცნებანი მთელ მსოფლიოში დანერგონ.

## ისრაელში წმინდა მიწაზე მოხდება სულიერი შეუღლება ქორწილი ნესტანისა და ტარიელისა – ებრაელთა ერისა. აღდგება იბერიული ცხოვრების წესი, ეხლა უკვე მთელ სამყაროში

ამის მერე იწყებენ ისინი უზრუნველ მეფობას ერეც-ისრაელში, სადაც ასევე ინერგებოდა იბერიული მიწათმოქმედების წესი, ნესტანი კი ხდება შუამავალი მამაზეციერთან, რომ იყოს ჰარმონიული სამყარო ისრაელში:

„ტარიელს და ცოლსა მისსა მიხედა მათი საწადელი,
მეიდი ტახტი სახელმწიფო, სამეებელი გაუცდელი.
მათ პატიეთა დააეიწყებს ლხინი ესე აწინდელი.
ყოლა ლხინთა ეერ იამებს კაცი ჭირთა გარდუსდელი.

თეით ორნიეე ერთგან მსხდომნი ნახნეთ, მზეცა ეერა სჯობდეს;
ბუკსა პკრეს და მეფედ დასეეს, ქოსნი ხმასა დაატკბობდეს;
მისცა კლიტე საჭურჭლეთა, თაეთა მათთა მიანდობდეს.
„ესეაო მეფე ჩეენი", იზახდეს და ამას ხმობდეს.

აეთანდილ და ფრიდონისთეის ორნი ტახტნი დაამზადნეს, —
ზედა დასხდეს ხელმწიფურად, — დიდებანი უდიადნეს;
ღმერთმან სხეანი ხორციელნი მათებრნიდა რა დაბადნეს!
ამბობდიან ჭირთა მათთა, ყეელაკასა გაუცხადნეს."

აუსრულდათ ებრაელებს საწადელი, აღადგინეს ისრაელი თაეის საზღერებში. აღდგა იბერთა მმართეელობის პრინციპები, ცხოერების წესი, თორმეტიეე მუხლი ისრაელთა. ის სამი მიმართულება, რაზეც დგას სამყარო: სწაელა თორის, ღმერთის მსახურება, კეთილი საქმეები. გახდა ყეელა ადამიანის მიმართულება. თორის, დედაენის სწაელებით სული მათი სიკეთისკენ ილეწოდა. ამის მერე ყეელანი იქმნებოდნენ ბრძენად, სულიერად ამაღლებულებად. რაც შეეხება ნაწარმოებში გადმოცემულ შეიდ სამეფოს, ჩეენ როგორც ადრე აღენიშნეთ, რუსთაეელს დაფარული აქეს ისრაელი. არ ამხელს იგი იმ პერიოდში მას. თუმცა, ხომ ეიცით ებ—ერი შეიდს აღნიშნაეს და შეიდიც იბერიული ცხოერების წესის დანერგეას ნიშნაეს. რაც მთაეარია, აღდეება ის ადმინისტრაციული მოწყობის პრინციპები და ეკონომიკა, რაც ქართეელებს და ებრაელებს იდენტური ჰქონდათ. ჩეენ ეიცით, რომ საქართეელოს სამეფოს არსებობის ბოლო პერიოდში შეიდი სამთაერო არსებობდა.

ამაეე დროს, არ უნდა დაგეაეიწყდეს, რომ საქართეელოს დღეეანდელ ღერბს, სადაც წმინდა გიორგია ჩახატული, შეიდი ქიმი აქეს. ქართული ცხოერების წესით, თეთრი გიორგი არის ხალხსა და დიდ ღმერთს შორის შუამაეალი. კეირაშიც ხომ შეიდი დღეა და ებრაელთა სასანთლეზე — მენორაზეც ხომ შეიდი სანთელი ინთება.

ტარიელმა ისრაელში აღადგინა იბერიული ზნეობა, გენეტიკა, ცხოერების წესი, აეთანდილი და ფრიდონიც ბოლომდე ეხმარებიან მას. ამის მერე იქნება მესიის სრული გამობრწყინება ისრაელსა და მთელ სამყაროში. როგორც დაეიდი წინასწარმეტყეელებდა — ყეელა ხალხი განადიდებს უფალს. ეს მართლაც ასე ხდება. მეორე სტროფი გადმოგეცემს, რომ ისინი, ტარიელი და ნესტანი ისე ანათებდნენ ცოდნით, ისე იყენენ განდიდებულნი, რომ მზე მათ ეერ შეედრებოდა. ასეეე გახდა ფრიდონიც და აეთანდილიც, ე.ი. ქეეყნიერების სამ წერტილში და მათ ირგელიე, დამყარდა სწორი ცხოერების წესი, ერთი იბერიული რელიგია — სიყეარულის რელიგია. შემდეგ იხდიან ქორწილს, ეს ქორწილი აღნიშნაეს იბერთა, ისრაელის, შეხინასთან სულიერ შეუღლებას, ერთობას. და ეს მაშინ ხდება, როცა სრულყოფილად ინერგება სწორი ცხოერების წესი:

„სმა, პურობა, გახარება ქმნეს, ჯალაბი გაადიდეს;
ეითარიცა ქორწილობა ხამს, ეგეთსა გარდიხდიდეს.
მათ ორთაეე თაეს—თაეისა ძღეენსა სწორად მიართმიდეს,
გლახაკთათეის საბოძეარსა საჭურჭლესა ერთგან პყრიდეს."

ამის მერე დიდი სიყეარულით ცილდებიან ერთმანეთს, თუმცა უჭირთ დაცილება:

„აეთანდილ შეჯდა, წაეიდა, ტარიას გაესალამა;
იგი ორნიეე გაყრისა დაწენა ცეცხლისა ალამა;
სრულად ინდონი მისტირან, ცრემლმან მინდორი დალამა;
აეთანდილ იტყეის: „მომკლაო სოფლისა მე სამსალამა".

აქ ჩანს, რომ როგორც ტარიელს მისტიროდნენ ქართველნი, ისე ავთანდილს — ებრაელნი. ამავე დროს, ავთანდილი დალალა სიტყვის სამ-ს-ალა-მა, ანუ სამ რელიგიის ალის — ცოდნის გაერთიანებამ. შემდეგ ჩანს როგორ აქვთ ერთმანეთში მისვლა-მოსვლა:

„მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანერთი არა სძულდეს,
ერთმანერთსა ნახვიდიან, საწადელნი გაუსრულდეს,
ბრძანებისა შემცილენი მათთა ხრმალთა და-ვე-წყლულდეს,
მოიმატნეს სამეფონი, გახელმწიფდეს, გამორჩეულდეს.

ყოველთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს,
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრეს და გლახაკნი არ ითხოვდეს,
ავთა მქმნელნი დააშინნეს, კრავნი ცხვართა ვერ უწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს."

ამავე დროს, ვერავინ ეწინააღმდეგება მათ ცოდნას. შემდეგი სტროფი გვამცნობს, რომ ყველასათვის წყალობა თანაბარი იყო — სიმდიდრე, ვითა თოვლი. ყველა პირველკაცია, აღარ არის გაჭირვებული, ავთა მდევნელმა ავთანდილმა და მისმა ძმებმა ბოროტება სრულიად აღმოფხვრეს და ადამიანებში სიუხვე-სიკეთემ დაისადგურა. ეს სიკეთე ადეკვატურად ცხოველურ სამყაროზეც გავრცელდა და მგელი და კრავიც ერთად ძოვდა, რაც ნიშნავს, რომ ადამიანი დაუბრუნდა თავის ადრე განსაზღვრულ სულიერ მისწრაფებას, მცენარეულ სურსათს. ედემის ბაღში ხომ ადამიანი მცენარეული სურსათით იკვებებოდა, იგივე განმეორდა ცხოველებში. აღარ იყო მტრობა, იყო სიყვარული და ჰარმონიული სამყარო.

გავიხსენოთ ბიბლია, სანამ ადამი შესცოდავდა, ცხოველები ჭამდნენ მხოლოდ ბალახს. როცა ადამიანმა დაიწყო უზნეობათა დანერგვა, როგორც ჩვენ წინა მასალაში დავასაბუთეთ, უზნეობანი შესაბამისად განვითარდა ცხოველთა სამყაროშიც. გავიხსენოთ, რომ ნოემ ამ წესს ჯერ კიდობანში დაუდო საფუძველი. საერთოდ ადამიანი არის წარმმართველი რგოლი. თუ ჩვენში ზნეობა იბუდებს, ყველგან ჰარმონიაა.

ისმის კითხვა: მაინც რატომ დაიწყეს ცხოველებმა ურთიერთის ჭამა? რატომ გაჩნდნენ მათშიც ადამიანებივით ბოროტნი, ცხოველთა მჭამელნი და კეთილნი — ბალახის მჭამელნი? ამის ერთადერთ მიზეზად უნდა დასახელდეს ჩვენი დასჯა ჩვენივე უზნეობათა გამო. როგორც ვიცით, ადამიანები ჯანმრთელები რამდენიმე საუკუნეს ცხოვრობდნენ. შემდგომ გაჩნდა დაავადებები უზნეობათა მომატების გამო. ეს დაავადებები გადავიდნენ ცხოველებშიც. განსაკუთრებით სულიერი დაცემაა გასათვალისწინებელი. ცხოველებში რომ მასობრივი არ ყოფილიყო წყვეტა, გამჩენმა შექმნა სანიტრები. მტაცებელი ცხოველები, რომლებიც ძირითადად დაუცველ, სუსტ, დაავადებულ ცხოველებს კლავენ და შეექცევიან. ავთა მქმნელნი კი დაშინებულნი არიან და უზნეობას ვეღარ იკადრებენ. ეს მოახერხეს ავთამდევნელმა ავთანდილმა, ტარიელმა და ფრიდონმა.

და ბოლოს, რუსთაველი ასე ამთავრებს:

„გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა.
გარდახდეს, გავლეს სოფელი, ნახეთ სიმუხთლე ჟამისა!
ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა.
ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთაველისა ამისა.

ქართველთა ღმრთისა დავითის, ვის — მზე — მსახურებს სარებლად,
ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად,
ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად,
ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა გამახარებლად.

დავითის ქნანი ვითა ვთქვენე სიჩალხე-სისაფეთანი!
ესე ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი,
პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი,
ჰპოვენ და ლექსად გარდავთქვენ, ამითა ვილაყფეთანი.

ესე ასეთი სოფელი, არვისგან მისანდობელი,
წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი!
რასა ვინ ეძებთ, რას აქნევთ? ბედია მაყიენებელი,
ვის არ შეუცვლის, კარგია, ორისავ იყოს მხლებელი.

ამირან–დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა,
აბდულ –მესია – შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
დილარგეთ – სარგის თმოგველსა, მას ენა–დაუშრომელსა,
ტარიელ – მისსა რუსთაველსა, მისთვის ცრემლ–შეუშრობელსა."

პირველი სტროფის პირველი სტრიქონი თითქოს გვეუბნება, რომ დასრულდა სამყაროს ისტორიის ამბავი, მაგრამ აქ დასრულდა ავთა მქმნელთა ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა, ანუ ვით შავი ფერები. რაც სიმუხთლე იყო ეს დრო ჩვენ გრძლად გვგონია, ხოლო მისთვისცა ანუ გამჩენისთვის ერთი წამის ტოლფასია.

რაც შეეხება რუსთაველის მესხობას, ეს საქართველოს ის ისტორიული მხარეა, სადაც ტიგროსი და ევფრატი იღებს სათავეს, სადაც ჩაისახა ორი ცოდნა – შუქი, ნათელი, საიდანაც წავიდა სემი, ებერი, აბრაამის წინაპრები ქანაანში. აქედან იყო ბიბლიური დავითი და რუსთაველიც. როგორც ამტკიცებს პაელე ინგოროყვა და სხვა მკვლევარნი იგი ამავე დროს ბაგრატიონიც არის. ნოე ხომ ქართულ ენაზე საუბრობდა და ეს ენა რომ პირველადი ენაა, ანუ მისი მონათესევე ენა იყო, ამაზე სიტყვა – ნოეს კიდობანიც მიგვანიშნებს, ე.ი. ქართული ანბანის სიბრძნეზე დაყრდნობით ააგო მან კიდობანი. შემდეგ ორი სტროფი მიგვანიშნებს ქართველთა მეფე დავითის სულიერ მისწრაფებებს.

ჯერ კიდევ მე–12 საუკუნეში დავითს სურდა რელიგიათა ერთობა და სიყვარული. ჩვენ ვიცით, როგორ მედიოდა იგი მეჩეთშიც და სინაგოგაშიც, საქართველოს ხომ ამისათვის ეძახდნენ „მეფე ხუცესის", ანუ დავით აღმაშენებლის საბრძანებელს (ზ. გამსახურდია).

„ჭეშმარიტი ქართული ბუნება ეწინააღმდეგებოდა ყოველგვარ გათიშულობას, განკერძოებულებას, სარწმუნოებრივ არატოლერანტობას, ეროვნულს, ტომობრივს თუ ქონებრივ ნიადაგზე აღმოცენებულს". (ზ. გამსახურდია, იქვე, გვ. 89). ეზოტერიულ ქრისტიანობას სწორედ ამგვარი შემწყნარებლობა ახასიათებდა (იქვე, 91). ეს თვისებები იყო ავთანდილში. ამას ამბობს რუსთაველი „ვეფხისტყაოსნის" დასასრული მეორე და მესამე სტროფში და ბოლოს იგი ტარიელისთვის ცრემლ–შეუშრობელია. რატომ? დაჩაგრულია ებრაელთა ერი, ბიბლიის მიმღები ხალხი, მისი მოძმე იბერიელები. განსაკუთრებით, რუსთაველის მოღვაწეობის ხანაში.

„ჩვენ ვიცით, როგორ მეგობრობდა დავით აღმაშენებელი აღმოსავლეთის მუსულმან მეფეებთან. მისი, როგორც ტახტის რაინდის მისწრაფება გასლავთ აღმოსავლეთის კულტურის შერწყმა დასავლეთთან, მუსულმანურის – ქრისტიანულთან, რათა აღგვილიყო ხალხთა შორის დაპირისპირება და ყოფილიყო ერთობა. ორდენი კი დამკვიდრდა იერუსალიმში, სადაც გადმოცემით იყო სოლომონის ტაძარი. და შეხინაც ბუდობდა ამ ტაძარში. მათ სახელად ერქვათ „ქრისტესმიერი რაინდნი სოლომონის ტაძრისა", რაც მოასწავებდა ეკლესიური ქრისტიანობის და სოლომონისეული სიბრძნის (ეზოტერიზმის) სინთეზს (ზ. გამსახურდია, იქვე გვ. 93).

ამგვარად, იგი მიისწრაფეოდა სამი რელიგიის ერთობისაკენ და ეს ჩანს მეორე სტროფში. იგი არის „აღმოსავლეთის და დასავლეთის ზართა მარებლად". ამავე დროს, მან იცის, რომ ეს გზა სახიფათოა, რადგან ბოროტი უპირისპირდება მას. ცდილობს გახლიჩოს ხალხი, რელიგიები და იბატონოს მათზე. ეს ჩანს მესამე სტროფის პირველ სტრიქონში, ამიტომ მოჰყავს მას უცხო სახელმწიფონი და უცხო ხელმწიფენი, რომ არ უმტროს ბოროტებამ სიკეთეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსთაველმა გადმოგვცა დავითის გზის და საერთოდ, ქართველთა სულიერი მისწრაფებანი. ის იყო უდიდესი მცოდნე–ღვთისმეტყველი და პოემის უპირველესი ქურუმი, ამიტომაც მისი აუდიტორია ისეთი ჭეშმარიტი ცოდნის ხალხი უნდა იყოს, რომელთაც ღვთისმეტყველნი ჰქვიათ.

როგორც ზ. გამსახურდია გადმოგვცემს, ანტონ I ქართველი სღვთისმეტყველო აზროვნების კორიფე XVIII საუკუნეში, ოფიციალური საეკლესიო იდეოლოგიის წარმომადგენელი, თავად ძე იესე მეფისა, დავითიან–ბაგრატიონი, ისე ახასიათებს რუსთაველს (გამსახურდია, იქვე, გვ. 70), როგორც „ბრძენს", „სიბრძნის მოყვარეს" და „მაღალ ღვთისმეტყველს". „მაღალი

ღვთისმეტყველი“ ანტონი I ტერმინოლოგიით, კი ნიშნავს მისტიკურ, საიდუმლო ღვთისმეტყველებას, ეზოტერიულ— ქრისტიანული ინიციაციური გზის ადეპტს. ჩვენ დავამატებდით, რომ მას ზედმიწევნით უნდა სცოდნოდა სამივე რელიგიის ძირითადი საფუძვლებიც.

ამგვარად, რუსთაველი ყველა დალებითთან ერთად წამოგვიდგება როგორც ნათელმხილველი და გადმოგვცემს, როდის მოვა მესიის გამოცხადების დრო. ჩვენ მის მიერ მოცემული წლები შევადარეთ განვლილ პერიოდს და დავინახეთ როგორ ემთხვევიან ისინი ერთმანეთს. ცხოვრებითა — დასაზუსტებელი რომელ წლებში როგორ განვითარდება მესიის გამოცხადების შემდგომი მოვლენები.

ჩვენი საზოგადოება დგას ისტორიის იმ მიჯნაზე, რომ შეიგნოს, თუ რა ვაჟრობაა ყოველგვარი დაპირისპირება, რომელიც სჭირდებათ ერთეულებს, რათა მილიონებზე იბატონონ. ეს ერთეულები არიან ასევე სახელმწიფონი. გავიხსენოთ დანიელ წინასწარმეტყველის სიზმარი, გავიხსენოთ რუსთაველიც, როცა გამჩენი ზეციდან ამარცხებს ქაჯეთს. მისი შეწევნით იმარჯვებს სამივე რელიგია და ეს იმ შემთხვევაში ხდება, როცა ისინი ერთიანდებიან. მართლაც, ამ რელიგიათა ფუნდამენტური მიმართულება ღმერთის, მოყვასის, მიწა—მამულის სიყვარულია. მესიის მოვლინების რწმენა ხომ საერთოა მათში.

არის კიდევ დედა ქვაზე დაფუძნებული ქართული ცხოვრების წესი, მცნებები, სათანადო ქცევები („პირველ ზნესი და საქმესი, ქებასი მათ მეფეთასი“), ტრადიციები, ეკონომიკური ბერკეტები საფუძველია უნიკალური მიწათმოქმედების, ადმინისტრაციულ—ტერიტორიული მოწყობის, ბიბლიის ყველა მცნებათა აღსრულების, ზეციური მღდლობითი არსის — მესიის დედამიწაზე უწყვეტად დავანებისა.

როგორც ჩვენ წინა მასალით ვეარაუდობდით და რუსთაველიც ამასვე გვიდასტურებს, საქართველოში სამ წელიწადში მოხდება პარმონიის, ანუ ქართული ცხოვრების წესის აღდგენა. ხელთა გვაქვს სათანადო საკანონმდებლო მასალა, ხოლო წმინდა სულიერი მიჯნურობა — სიყვარული გენეტიკაა, ღვთიური ნიჭია ქართველთა.

ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ანალოგიური თვისებებით გამოირჩევიან ქართველთა მოძმენი. ეს იბერიული წარმოშობის მრავალათასიანი მუსულმანური მოსახლეობა ფრიდონის სახით და ასევე მრავალათასიანი ქართველი ებრაელნი, რომელნიც არც ქართულ ენას და ზნე—ჩვეულებას ივიწყებენ ისრაელში და ამაყობენ, რომ ქართველნი არიან. რომ მათი ენა ქართული დედაენაა. ამ ენით ითქმის პარმონიული სიტყვა სიმღერა, ლექსი.

მათ ხომ რჯული აქვთ იუდეველთა. არ უნდა დაგვავიწყდეს სხვა იბერიელნი. და მართლაც საკვირველია, როგორ დაემთხვა ჩვენი ნააზრევი წინა წიგნებში გადმოცემულ რუსთაველის წინასწარმეტყველებებს — მესიამ ჯერ საქართველოში უნდა იმოღვაწეოს, რადგან აქ შემონახულია ადამიანთა ზნეობის სულიერების გასაღები დედა ენა და მცნებების დაცვის ტრადიცია. შემდეგ კი ავთანდილი და ფრიდონი, ქართული — იბერიული ცხოვრების წესი — მესია — ტარიელთან აღადგენს მას მთელ მსოფლიოში. გენეტიკის სულიერების გარდაქმნა ქართულად დედა ენით, (ანუ ერთის მეორეზე ბატონობის, მიტაცების აღმოფხვრას) როგორც რუსთაველი გადმოგვცემს, საკმაო დრო, ანუ 90 წელი სჭირდება. ახალმა შთამომავლობამ უნდა აღზარდოს ახლებურ სულიერ სამყაროში კიდევ ახალი შთამომავლობა, ანუ ორჯერ ორმოცი წელი და პლიუს კიდევ ათი წელი მსოფლიოს ყველა რეგიონში დანერგვისათვის.

ამგვარად, ჯერ სა—ქა—რთველოში უნდა შეიქმნას პარმონიული სამყარო. ეს არის სახელმწიფო ქართველთა, სადაც რთველია, პარმონიაა, სიყვარულია უსაზღვრო.

# 3 ვეფხისტყაოსნის წინასწარმეტყველების შესაბამისობა წინასწარმეტყველთა ნაწინასწარმეტყველებთან

რომ სრულად ვირწმუნოთ ჩვენი განსჯა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" წინასწარმეტყველურ მნიშვნელობაზე, საჭიროა გავიხსენოთ წინასწარმეტყველთა წინასწარმეტყველებანიც. ვნახოთ, თუ როგორ ახდა ისინი საქართველოსთან და ისრაელთან, მთელ სამყაროსთან მიმართებაში და როგორ ხდება დანარჩენებიც.

ჯერ გავამახვილოთ ყურადღება რუსთაველის წინასწარმეტყველებაზე ე.წ. თანამედროვე მეცნიერთა ინტელექტუალთა მოღვაწეობაზე, ვითომდა სამყაროს საკეთილდღეოდ, სინამდვილეში კი იბერიული მოდგმის და მისი ცხოვრების წესის წინააღმდეგ.

ამისათვის გავიხსენოთ, როგორ ჩაისახა და განვითარდა სიკეთე იბერიულ მოდგმაში, რათა განვმარტოთ, თუ რა უსუსურია, დიდად ცოდვილია ბოროტება — ადამიანები, რომელნიც მისი გზით მიდიან. დავასაბუთოთ როგორ, რა ადვილად შეიძლება გადაწყდეს ყველა პრობლემა, თუ აღვადგენთ ბიბლიაზე, ენაზე დაფუძნებულ იბერიული ცხოვრების წესს, რომელიც არის იბერიული გენეტიკის მრწამსის მოთხოვნილება. კიდევ ერთხელ განვმარტოთ, თუ როგორ გადმოგვცემს რუსთაველი მესიის მოსვლას და, საერთოდ, რა დანიშნულების მატარებელია ვეფხის ტყავი.

# 3.1. სიკეთის მარადიული გენეტიკური კოდის ჩასახვა და განვითარება.

## რას ნიშნავს ადამიანი

არიან ადამიანები, რომელნიც მოშიშობის გამო მიდიან უფალთან, საქციელი მათი კი უმსეობაა და ბოროტება. ბევრჯერ გპატიობს უფალი, როცა არ იცი, რას აკეთებ, ხოლო თუ მიხვალ მასთან და მაინც ბოროტებას სჩადიხარ, მაშინ გაიტანჯება სული, ბოლოს კი გადაშენებაა შენი ხვედრი.

ჩვენ გვსურს, კიდევ ერთხელ გამოვკვეთოთ ჩვენი პოზიცია, რათა ყველამ იცოდეს, რა გზით წავიდეს ყმობილანეც; რა არის ჭეშმარიტი სიბრძნე, რა — გზა ნათელი, რა განათლება, ჰარმონია ელით მათ სულებს სიცოცხლეშივე და რა ტყუილად იტანჯებიან ისინი, თუნდაც მდიდრები, ამქვეყნიურ ცხოვრებაში რომ აშენებენ ქარის წისქვილებს. გავიხსენოთ უფლის ძალისხმევაც, ჩვენი მშობელი როგორ ზრუნავს ჩვენთვის.

უფალი, სანამ ადამიანს შექმნიდა, მას ჯერ სამყარო: დღე—ნათელი და ღამე, მიწა—წყალი, ხმელეთი, მცენარეულობა, მნათობები, ცხოველები, ფრინველები შეუქმნა და მხოლოდ ბოლო, მეექვსე დღეს შექმნა ადამიანი.

მესაქმე 127 და განსახა ღმერთმა ადამიანი თავისი სახიერებით. ღმერთის ღვთის სახიერებით განსახა ის. მამრად და მდედრად განსახა. პირველივე ფრაზაშია ჩადებული სურვილი გამჩენისა, რომ შექმნას ადამიანი, რომელიც მარადიული იქნება. ამისათვის ყველაფრით შეუწყო ხელი.

მან ჯერ შექმნა თორა და ეს სულიერი პროგრამა ენით მისცა ადამიანს. ეს ჩანს პირველივე სიტყვაში გ—ან—სახა. ანუ გ—გამჩენმა ან—ანბანით მისცა სულიერი პროგრამა, რათა შეექმნა სახე მისი. ეს იმას კი არ ნიშნავს რომ გარეგნულად დაემსგავსა უფალს, არამედ იმას რომ უფლის მსგავსად გააჩნია ადამიანს ინტელექტი, დამოუკიდებლობა (ღმერთმა ადამიანს მისცა დედამიწის მართვის უნარი) და სხვა. შემდეგი სიტყვები კი გვეუბნება, რომ ანბანით, პირველადი ენით ჩამოყალიბდა ხალხი ერად, ანუ ღვთის სასი—ერად. ამ აზრს სიტყვა ადამ—ან—ც ადასტურებს. ანუ თუ ადამ—ანი ანით ანბანით, პირველადი დედა ენით მეტყველებს, ამ ენის სული წარმოქმნის მას ადამიანად ანუ ანბანის, ენის არსს დაიცავს, მის სულში ჩაისახლება, და იქნება, ადამიანი მარადიული. თუ არადა მიწად გარდაიქმნება. ანუ ენის, ანის გარეშე დარჩება ადამა—დ, რაც იერითულ ენაზე იმ მიწას ნიშნავს, რისგანაც შეიქმნა იგი.*

სიტყვა ადამიანში ჩადებულია ერთი გარემოებაც. ჩვენ მიერ მოყვანილი პუნქტის ფრაზა გვეუბნება, რომ ღმერთის სახის ანუ ადამიანის თვისებათა მიღება იწყება მხოლოდ მაშინ, როცა მამრი და მდედრი ერთად სიყვარულით არიან შეკრული ოჯახის და შემდეგ სახელმწიფოს — ერის ჰარმონიისთვის, ანუ ორი ნახევარი ჰკრავს ერთ ჰარმონიულ სხეულს — ადამიანისას. ისე როგორც შეიქმნა ადამი. ჩვენ ვიცით რომ ადამის სხეული ჯერ შედგებოდა ორი ნაწილისაგან: ის იყო კაციც და ქალიც. როცა ადამმა შესჩიელა რომ ცხოველები ასე არ იყვნენ შექმნილნი მან დააძინა ადამი და გამოაცალკევა მისგან ქალის სხეული. ბიბლიაშიც

---

*რომ ქართულში ანი ანბანს მიგვანიშნებს, ამაზე მრავალი სიტყვა მეტყველებს, ჯერ თვითონ ადამიანი ანუ ადამი ანბანით. როცა იბერია—საქართველოში დამკვიდრდა ენა ეტყობა ნოეს საპატივცემულოდ, რომელიც სვანეთიდან ლემშვენიერიდან იყო, შემდეგ არის დასახელება სვ—ანი. ე.ი. სვ—სვე—ანი — იმიტომ რომ აქვს პირველადი ენა — ანბანი. ასევე ეძახდნენ სრულიად საქართველოს შვილებს გუ—ორ—გი—ანი, ანუ ორი ცოდნაა რგისა—დარგვისა მიწათმოქმედებისა ანიდან, ანბანიდან ჰქონდა. სიტყვები შვილდოს—ანი, ცხვირის—ანი ნაწარმოებში განსახიერებენ უდიდესი მცოდნეთ. იმიტომ, რომ ისინი ენის ანბანის ცოდნით არიან შეიარაღებულნი. ასევეა ხელოს—ანი, მგოს—ანი, საქმოს—ანი, ნიშნოს—ანი, მედალოს—ანი. ეს ცოდნა ადამიანის სხვის პრობლემების მზრუნველს რომ ხდის, იმიტომაა სიტყვა გულთ—მის—ანი. ანუ ცოდნა აქვს იმდენი, იცის როგორ უწამლოს მოყვასს მის—ან—ა იგი. ასეთ კაცს აქვს გასაქ—ანი, იგი ჩათლითაა პაერივ—ანი. იცის ყველა საგ—ანი ანი და ბ—ანი ანუ ანბანი. მისი აკვ—ანი ნა—ანი, ნა—ნანათი ანბანით იწყება. ხ—ან—ც, ჯ—ან—ც, ანუ დღეგრძელობა და ქართველობა მისი განისამღერება ანბანის აღსრულებით, ზნეობით. ტოპონიმებიც ბევრია ამ სიტყვის შემცველი, ვარ—ანი, სვ—ან—ეთი, ვაზ—ი—ანი, ალა—ზ—ანი. ეს მდინარე ალით, შუქით არის და ალაზნის ველის პროდუქციულობასაც განაპირობებს, რადგან მღვა ცოდნა აქვთ ანის, ანბანით მიწათმოქმედებს. ჩვენ საბ—ან—ც ანბანით გეხურავს.

ასეა სათქვამი შესაქმე 2.33: ადამმა თქვა: ამჯერად ეს ძვალია ჩემი ძვალთაგანი და ხორცია ჩემი ხორცთაგანი. ამიტომაც არის ქართულში სიტყვა მეორე ნახევარი. მათი ერთგულება, თაყვანისცემა ურთიერთის მიმართ მსგავსი უნდა იყოს, ისე როგორც ზეცაშია.

## ათი თვისების დანერგვისკენ მიმსწრაფველობა, გზა უფლის მიერ იბერიულად ჩამოყალიბებისა

ჩვენ ვიცით, უფალი გადმოსცემს თავის ენერგიას–ალს, ხოლო ზეციური მღვდრობითი არსი გვაძლევს ამინდს, მოსავალს ამ ენერგიის მეშვეობით, ჩვენი დამსახურების დარად. ანუ ზეცაში არის შესმატკბილებული ჰარმონიული წრედი სულიერი ერთობისა. ამიტომაცაა რომ კაბალისტიკაშიც ერთ სახელში არიან გაერთიანებული ყოვლად წმიდა კურთხეული უფალი და მღვდრობითი არსი (შალომ ღავიდი.). თუ დედამიწაზეც შეიკვრება ასეთი წრედი, ანუ უფლის სახიერი, ე.ი. ადამიანი მისი თვისებათა მსგავსი რომ გახდეს, მისი გენეტიკა უნდა იყოს ძირითადი 10 თვისება უფლისა ბიბლიიდან, ენიდან გამომდინარე:

1. აზროვნება, სიბრძნე, გონიერება; 2. მოთმინება და რწმენა; 3. მზეობა–თავდაბლობა; 4. სიყვარული; 5. თანაბრად გაყოფა; 6. მართლმსაჯულება – შემწყნარებლობით, ღმობიერებით; 7. ქველობა–გაცემა ყველაზე საუკეთესოსი; 8. ზრუნვა მთამომავლობისათვის და წინაპართა პატივისცემა; 9. ძლიერება; 10. მეუფობა;

განსხვავება იმაშია რომ ეს ძირითადი თვისებები უფლის უსასრულოა. ადამიანი უნდა მიისწრაფოდეს ამ უსასრულო თვისებებისაკენ და დაავგროვოს იმ დოზით, რომ მტკიცედ იყოს ამ თვისებათა მატარებელი. რა თქმა უნდა, უფალს აქვს სხვა მრავალი სასიკეთო თვისება სამყაროსათვის, რითაც არის იგი დაკავშირებული ჩვენთან და წაგვემართავს ჩვენ.

უფალი ძირითადად ამ განზომილებებით არის დაკავშირებული ჩვენთან. ისევე როგორც ნებისმიერი ჩვენგანი დაკავშირებული უნდა იყოს ურთიერთთან, საერთოდ, გარე სამყაროსთან. ამ თვისებებში შედის მრავალი სხვა თვისებაც, მხოლოდ ჩვენთვის აუცილებელი. მაგალითად, ზნეობაში თავდაბლობა, ზრდილობა და სხვა. თუ ეს ასეა, მაშინ უკვე არის ჰარმონიული ერთობის წრედი შეკრული ადამიანისა შემოქმედთან.

თუ ადამიანს ეს განზომილებები არა აქვს, მაშინ იგი ზიანს აყენებს როგორც გარე სამყაროს, ასევე იმ ადამიანთა ჯგუფს, რომელთანაც შეხება აქვს.

ეს სამყარო კი უფლისგანაა შექმნილი ჩვენი სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღისათვის. როცა ჩვენ ზიანს ვაყენებთ ადამიანს, რომელსაც აქვს ეს თვისებები უფლისგან ბოძებული, იგი იმ თვისებითაც არის დაჯილდოებული, რასაც მიმტევებლობა ჰქვია. იგი გვიტევებს ჩვენ და ზიდავს უდიდეს ტკივილს ჩვენს მიერ მიყენებულს. უზნეო შვილი დიდი ტკივილია მშობლისთვის ვინც გაზარდა. უფალს აქვს უსასრულო სიყვარული თავისი შექმნილისადმი. ამიტომაც ადამიანი ყველაზე დიდი ტკივილია უფლისა, მისი ცოდვები ზეცაში ადის და მან უნდა განიკითხოს ადამიანი. სამართალი კი მისი ერთია, როგორმე სწორ გზაზე დააყენოს გზასაცდენილი მისი შვილი.

დღეს ადამიანთა 99 პროცენტამდე არ ასრულებს ამ განზომილებებს იმ დარჩენილ ზნეობრივ, ვთქვათ, 1 პროცენტსაც უჭირს აღსრულება და აბა წარმოიდგინეთ, რამდენ ტკივილს ვაყენებთ შემოქმედს. რამდენ ჩვენ ცოდვას ზიდავს იგი და როგორ დღენიადაგ ცდილობს ყველა ჩვენგანი გამოასწოროს, სწორ გზაზე დააყენოს. ამისათვის ისურვებს იგი ყოველი შვილის მოშიშობას, რათა შვილები კერპების და მათ გზაზე არ წავიდნენ. ამიტომ აუცილებელია კიდევ ერთი თვისება – თავდაბლობა ისეთი, როგორიც იყვნენ ნოე, მოსე, მაცხოვარი. ქედმაღალი ავყია, მარტოკაცი წმინდანი ვერ იქნება. ის ამ თვისებებით ცილდება ერს, ღმერთს. მარტო, რაც არ უნდა ზნეობრივი იყო, ამ თვისებებს ვერ განახორციელებ. მას ახორციელებ შენ ერთან, მოყვასთან. მარტო არა ხარ მთელი, მთელი მხოლოდ შენს ღმერთთან, ერთან ხარ. და თუ ყველა ასეა, მაშინ იკვრება ჰარმონიული წრედი ერთობის შემოქმედთან.

ისმის ერთი კითხვა: თუ უფალი წარმართავს ადამიანთა ბედს, რატომ არ იცავენ ისინი თორის და ენის პრინციპებს, ამ ათ თვისებას? პასუხი მარტივია. რაკიღა განსახა უფალმა ადამიანი მის სახიერად, ანუ ანბანით გადასცა სიბრძნე, აზროვნება, სწორად ქცევისა, მან ისევე როგორც თვითონ არის დამოუკიდებელი, ასევე ადამიანს მისცა დამოუკიდებელი მოქმედების უფლება. ანუ გვენდო ჩვენ, რათა ვიმეფოთ მასსავით მისი ათი თვისებიდან გამომდინარე. ისე როგორც მშობელი ენდობა შვილს, როცა ასწავლის აზროვნებას, მზეობას. რწმე-

ნას, გონიერებას, სიბრძნეს... ამისათვის მოგვცა მან თორის გეგმით და სიბრძნით ჯერ პირველადი ენა, სულიერება, სადაც ახსნილია ეს.

როგორც ასრულებდა ამ თვისებებს მთამომავალი, ისეთივე იყო მოპყრობა მშობლისა. უზნეო შვილი ხომ მხოლოდ რისხვას იმსახურებს და დარდია მშობლისა. ასეა უზენაესიც ჩვენს მიმართ. ყოველი ჩვენი უზნეო საქციელი დარდია მისი. და თუ ჩვენ ამის გამო ბევრ რამეს გვაკლებს, გვსჯის, მხოლოდ ჩვენდა სასიკეთოდ აკეთებს ამას, რათა გამოვსწორდეთ და ვიაროთ ისე, რაც ჩვენ ჰარმონიას მოგვიტანს და სიხარული იქნება მშობელთა, განსაკუთრებით, ჩვენი დიდი მშობლისა.

ამგვარად, იგი მართლაც განაგებს ადამიანთა ბედს, ოღონდ ჩვენი მოქმედების ღარად. რადგან „ხატად თვისად" შექმნა ადამიანი და აქვს მისი რწმენა. ამიტომაც ადამიანმა თვითონ დამოუკიდებლად უნდა აირჩიოს, იაროს ბიბლიის – ენის გზით, იწამოს შემქმნელი მისი და მისი მოძღვრებანი, თუ იყოს ურწმუნო.

საბედნიეროდ, როგორც ჩვენ დავრწმუნდით, საქართველოში ეს მარადიულობის გზა დააფუძნა უფალმა და შემდეგ ერმა თვითონ განავითარა იგი. გავიხსენოთ, რომ გამრავლდა სულის მოდგმა, როგორც ენის და ბიბლიის მცნებათა დამცველი. რომ იბერიულობა ერის ქრისტიანობას განაპირობებს და ზენართან შერწყმას შეხინის – სულიწმიდას მეშვეობით. აღნიშნულის უფრო დამაჯერებლობისათვის საჭიროება მოითხოვს დავასაბუთოთ, რომ ქართულ გენეტიკურ კოდში, ჩვენდა საბედნიეროდ, მარადიულად არის გ–ან–სხეულებული, ჩაბეჭდილი ეს ათივე თვისება და, აქედან გამომდინარე, 10 მცნება, 10 სიტყვა და სანამ ქართველი ქართულად საუბრობს, ეს ასეც იქნება.

უნდა დარწმუნდნენ ბოროტნი ამაქვეყნისანი, რომ სიკეთე მარადიულია და ტყუილად ირყენიან სულს.

ამისათვის ჯერ საჭიროა დავასაბუთოთ, რომ, როცა ნახა უფალმა როგორ შეცდა ადამი, მან დიდი ძალისხმევა მოანდომა, რომ ეს შეცდომა არ გამეორებულიყო. ანუ მისი 10 თვისება გახდა გენეტიკური კოდი იბერიელთა და 10 მცნების, 10 სიტყვის დაცვით ჩამოყალიბა იბერიული ცხოვრების წესი.

## საფეხურები ათი თვისების დანერგვისა

ეს ძალისხმევა 10 თვისების დაფუძნებისა გენეტიკურ კოდში განისაზღვრება ასევე – 10 საფეხურით, ანუ თითოეული სახელი განსაზღვრავს არანაკლებ საუკუნოვან ეპოქას თითოეული თვისების დამკვიდრებისა, იბერიელთა გენეტიკურ კოდში, საბოლოო მიზნით იბერიული ცხოვრების წესის და იბერიული ერის, სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის, ანუ სიკეთის ციტადელის დასაფუძნებლად.

გავიხსენოთ, რომ სხვაც ბევრი დაიბადა, მაგრამ ბიბლია შემდეგ სახელებზე ამახვილებს ყურადღებას სიკეთის ჩამოყალიბებისათვის: 1. შეთი; 2. ენ–ოხი; 3. ქ–ენ–ანი; 4. მაჰ–ალა–ლელი; 5. ი–ერ–ედი; 6. ხ–ან–ოხი; 7. მე–თუშ– ელახი; 8. ლემ–ესი; 9. ნო–ახი; 10. სემი, შემი, იაფეტი.

უპირველესი თვისება, ანუ საფუძველი ყველა თვისებათა არის აზროვნება, სიბრძნე, გონიერება. რომელიც ყალიბდება თორის გეგმით, პირველადი ენით – სიტყვით, იგი საწინდარია ენების, ჰარმონიის. შემდეგში იგი ერის გონი უნდა გახდეს.

მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ერთობა და აღსრულდება ღმერთის ჩანაფიქრი. ადამიანი მართლაც იბატონებს დედამიწაზე. შექმნა კიდევაც უფალმა ასეთი პირველი ადამიანი, რამეთუ მას ჰქონდა თორის გეგმით მზეობრივი მოქმედების პროგრამა, კონსტიტუცია–პირველადი ენა, ადამიანის თვალები ხილული იყო და ჰქონდა უდიდესი ცოდნა. გავიხსენოთ ადამის მოქმედება (შესაქმე 2.19), და შექმნა უფალმა მიწისგან მინდვრის ყველა ცხოველი და ცის ყველა ფრინველი, და მოუყვანა ადამიანს რათა ენახა, რას დაარქმევდა. და რასაც დაარქმევდა ადამიანი ცოცხალ არსებას, ის იქნებოდა იმისი სახელი. რაკიღა ადამიანი მსგავსი იყო შემოქმედისა, მან სწორად შეარჩია – დაარქვა სახელები, ანუ სწორად განსაზღვრა მათი დანიშნულება, იმდენად ხილული იყო ადამიანის თვალები და ჰქონდა ენით ის ცოდნა, რაც ბიბლიაშია. უფალმა, ხომ ამ წიგნის გეგმითი სიტყვით ააგო სამყარო.

დღეს ყველა მეცნიერი ერთად რომ შეიკრიბოს, ვერ განსაზღვრავენ სახელით ყველა ცხოველის და ფრინველის ნამდვილ დანიშნულებას. პირველი ადამიანი, რაკიღა სწორად იცოდა დასახელება, ფლობდა სამყაროს მოწყობის და ფუნქციონირების კანონებს. პირველად ენაში

ჩასედვა და სიტყვების აზრის წაკითხვა, აი, მთავარი მეცნიერება. იგი ხომ იდენტურია ბიბლიის მცნებათა, ამიტომ შემეცნებასთან ერთად მნეობას განაპირობებს. ამ ენით რ–წმ–ენა (წმ) – სიწმინდეს ნიშნავს, რაც წინასწარმეტყველურ ცოდნასთან ერთად განაპირობებდა იმას, რომ ადამიანი ელაპარაკებოდა უფალს. აი, რა ფუნქცია და მნიშვნელობა ჰქონდა პირველად ენას. მაგალითად, ქართველისთვის ბელ–ურა პურის ბელელთან ასოცირებული, ბარაქის ჰარმონიისთვის აუცილებელი ჩიტია, რუსისთვის კი იგივე ჩიტი ქურდია: ვორო–ბეი, „დასცხე ქურდს".

ამგვარად, აზრი, სიტყვა, აზროვნება, გონი მიეცა ჯერ ადამს. ჩვენ ვიცით, სანამ იგი მასში გენეტიკურად კანონის დონეზე განმტკიცდებოდა, შეცდა ადამი.

და მაინც, რატომ შეცდა? დაწერილია: უხილველობა არს ჩვენი უფალი ღმერთისა (წიგნი მეორე სჯულისა 29; 28). აქ არის გამოთქმული აზრი, რომ ჯერ კიდევ არ შეიქმნა ქვედა სამყაროს მიწიერ–მატერიალური გამოვლინების პირობა საგნობრივ– სხეულებრივ ქმნილებითური, ანუ არ განვითარდა აზრი თორის, ბიბლიის ნათელის თვითგამოვლინების მატერიალურ სამყაროში. ანუ ადამიანმა პირის მეტყველების საშუალებით და ქცევით უნდა მოახდინოს ნებისა და აზრის მატერიალიზაცია. (შალომ დავიდი) ეს იგივეა, რაც უსასრულო ძალის, ღმერთის ნების და აზრის მატერიალიზაცია.

ამგვარად, საჭირო იყო ჯერ პირობა, უნდა გამრავლებულიყვნენ ადამიანები. მათი მოქმედებისას განმტკიცებულიყო გენეტიკური კოდი სიტყვის, ენის საფუძველზე უფლის 10 თვისების ჩანერგვით. და აღარ იქნებოდა უხილველობა და შემდეგ მივიღოთ წერითი თორა, მოძღვრება, რომელიც უფრო განამტკიცებდა ჩვენს გენეტიკურ კოდს, სრულყოფილად მოახდენდა უფლის ნების და აზრის რეალიზაციას. ხილული იქნებოდა ყველაფერი.

ისმის ლოგიკური კითხვა: რატომ არ მივიღეთ მაშინ ორივე ერთად? ჩვენი აზრით, დაწერილი თორით გენეტიკა, სიბრძნე არ განვითარდებოდა ყველასათვის თანაბრად, რადგან ზოგი ჩაიხედავდა იქ, ზოგი არა. თანაც, ძირითადი მოვლენები უნდა განვითარებულიყო რომ ხალხს ერწმუნა მისი – ესწავლა განვლილ შეცდომებზე. ეს შეცდომები ჭეშმარიტებამდე მისასვლელი საფეხურებია, დაწერილი რომ აღსრულდება, მაშინ იჯერებს კაცი.

უფალმა უთხრა სოლომონს – ცხენი არ გაამრავლო, რადგან ეგვიპტეში გადავა ებრაელობა და მნეობას დაკარგავს. ცოლები არ გაამრავლო, რადგან კერპის შეიქმნიო, არ დაუჯერა და გადავიდნენ სავაჭროდ ებრაელები ეგვიპტეში, ამან უმნეობა შემოიტანა ერში. შედეგად მან ძალით მოინდომა ზნეობა დაემყარებინა. წაართვა მტოებს დამოუკიდებელი მმართველობა და ამით თვითონაც გადაუხვია იბერიულ დემოკრატიულ მმართველობას და კერპებისთვის დამახასიათებელი ერთმმართველობა მოინდომა.

ამიტომ, რაც გვითხრა, დაწერა უფალმა, ის უნდა ვასრულოთ უყოყმანოდ. 613 მცნებიდან უნდა ასრულო 365 აკრძალვა და 248 მცნება ამას გვუბნება უფალი. მაშინ იქნები ჩამოყალიბებული იბერიელი – ისრაელი. ადამს რომ არ ეჭამა ის მიიღებდა თორას. ის ვეღარ დაეცემოდა ბოროტების შემცსობ მატერიალურ ყოფამდე, მოდგმაც მისი მსგავსი გამრავლდებოდა და მიაპოვებდა უკვდავებას. რასაც გვეტყვის მშობლები ისიც უნდა ვასრულოთ, რადგან ორივეს ჩვენთვის მხოლოდ კარგი უნდა. აი აქ არის სიბრძნე, აქედან იწყება გონიერება, აზროვნება. ყოველი უფლის თვისების დანერგვას დრო, სათანადო საფეხურების გავლა სჭირდება, რომ სიბრძნე სწორი ქცევისა, ათი თვისება, სულიერი მოთხოვნილება გენეტიკა გახდეს. შედეგად აღასრულებ 10, 613 მცნებას, სიტყვას. თორა კი მის ბაზაზე განვითარებულ წმინდა წიგნებთან ერთად არის ერთადერთი იარაღი სხვა უმნეო ჩვევათა დამნერგავ წიგნთა არმიის წინააღმდეგ ბრძოლისა. ამიტომ ამარცხებს ერთი ტარიელი, ავთანდილი ათასებს.

ამგვარად, ჯერ საფეხურებად თაობათა ცვლასთან ერთად უნდა ჩამოყალიბებულიყო, დანერგილიყო და განმტკიცებულიყო ტვინი, შინაგანი აზრი, სიბრძნე, გონი. შემდეგ მოთმინება და რწმენა, ზნეობა, სიყვარული. ეს არის სულიერების გენეტიკური კოდის ჩამოყალიბების პირველი ეტაპი. მეორე ეტაპია უკვე ამ „კოდურ თვისებათა" საფუძველზე ჩამოყალიბებული „საყოფაცხოვრებო თვისება" და ცხოვრების წესი. ამას კი დრო უნდოდა.

დღესაც ადამიანმა სანამ არ დაღვინდება, თუნდაც ამ გენეტიკური თვისებებით იყოს დაჯილდოებული, შეიძლება ისეთი შეცდომა დაუშვას, რომ შემდეგ მოწიფულობის ხანაში სანანებელი გაუხდება ეს. ეს რომ არ მოხდეს, ამიტომ არის საჭირო შეიქმნას ისეთი ცხოვრების წესი, სადაც ადამიანი თავისი ოთხი გენეტიკური თვისების გამეორება – განმტკიცებას იწყებს ბავშვობიდან.

ცხოვრების წესში, საყოფაცხოვრებო თვისებებიდან უმთავრესია გაყოფა. ეს არის ბაზისი დანარჩენ თვისებათა აღსრულების, ხოლო მისი ბაზისი რა თქმა უნდა, პირველი რიხი თვისება დამთავრებული ზნეობა — სიყვარულით.

აი რატომ რჩება ტარიელი 30 წელი საქართველოში, 90 წელი სხვა ქვეყნებში, ხოლო მისი 40 წელი უდაბნოში. გენეტიკურ კოდს და ცხოვრების წესს ქმნიან და ქმნიდნენ ისეთს, რომ მეცდომები არ განმეორებულიყო. მოსეს დროსაც შეიქმნა ასეთი უმწიკვლო ზნეობის ხალხი. აქაც დიდი ძალისხმევა დასჭირდა უფალს. (მაგრამ როცა გამოვიდნენ უდაბნოდან ნელ–ნელა იწყო შემოჭრა უზნეობამ მათ ცხოვრების წესში რადგან იყო მიმოსვლა). საწყისი ეტაპი კი ბაზისი ზნეობრივი წესისა გახლდათ იბერიული სულის ჯგუფის ჩამოყალიბება უფლის ათი თვისების შიგნის საფუძველზე. ეს ეტაპები კარგად ჩანს ბიბლიაში. მიყვევით მას თანამიმდევრობით.

სიტყვის, აზრის განმტკიცებისათვის საჭირო იყო დრო — მეორე შთამომავლობა. მაგრამ მოკლა ყაენმა აბელი. ვერ იზრუნა ადამმა თავისი შთამომავლობისათვის. ამიტომ შეეძინა ადამს შეთი. „მსგავსი ადამისა“ როგორც გადმოგვცემს ბიბლია. განმტკიცდა აზრი, სიტყვა, გონი, სწორი ცხოვრების წესისა და იშვა ენ–ოხი. გავიხსენოთ ი. დავითის დამაჯერებელი მტკიცება „მაშინ იქნა დაწყებული ლოცვა იჰვჰს სახელით, და შემდეგ: ესაა წიგნი ადამიანის წარმოშობისა, იმ დღეს, როცა ღმერთმა გააჩინა ადამიანი, ღმერთის სახისა განსახა იგი. მხოლოდ მაშინ, როცა პირველადი ენის სული მცნებანი გახდა ენ–ოხის გენეტიკა, მაშინ ლოცულობს იგი გულით ღმერთთან და ხდება იგი უფლის სახიერი. ღმერთშეცნობა, ნიშნავს ღმერთის სახის მატარებელი ადამიანის დაბადებას.“

ანუ აზროვნებასთან ერთად ადამიანს უჩნდება მოთმინება. იგი არაა სულ სწრაფი და ყოველი მოქმედებისას ლოცულობს. ლოცვა კი სწორ ქცევას მიწათმოქმედებას. ზნეობას, უფლის რწმენას გვასწავლის. მტკიცდება ამ ენით მოთმინება–რწმენა უფლისა. ე.ი. მეორე თვისება უფლისა, რომელსაც აქვს მოთმინება — ჩვენი რწმენა, ნდობა, რომ მართალი გზით ვივლით.

რა დოზითაც ვითარდება სიკეთე, ბოროტებაც უმატებს თავის უმსგავსობას. გავიხსენოთ იყო ედემი და შეცდა ადამი. ეხლაც ადამიანებს ეგონათ რომ საჭიროა იმ ქმნილებათა თავყვანისცემა, რაც უფალს ემსახურება. უფალმა კი ყველაფერი ეს ადამიანისათვის შექმნა. ამიტომ კიდევ უფრო დაისაჯა, როგორც ვიცით ხალხი. შედეგად რაკიდა მოვეცა დამოუკიდებლობა ენა, აზრი, გონი, სიბრძნე, თორის ენის საშუალებით წარმოშვა მესამე განზომილება, ანუ თვისება უფლისა, ზნეობა. ეს განზომილება მტკიცდება ჯერ ქ–ენ–ანიში. აქ ენა მრავლობითშია და მრავალი ხდება ენის მცნებათა დამცველი, იბერიელი.

სიტყვა, და სიყვა, ვიცით, რომ სინონიმები არიან, წარმოიქმნება სიყვარული მშობელი–შემქმნელი უფლის — დედაენის მოყვასის და იშვება ალალნი მაჰ–ალა–ლელი, ანუ ალალი ხალხი. გავიხსენოთ ძველი ისტორიული დასახელება ქართველთა ალაროდიელნი. შემდეგ იშვება ი–ერ–ედი ანუ ჯერ არ არის 12 ერი ჩამოყალიბებული, მაგრამ არის 10 მხარე, როგორც აღვნიშნეთ, და ამავე დროს, ყალიბდება 5 და 6 თვისება თანაბრად გაყოფა და მართლმსაჯულება ღმობიერებით. ამგვარად „კოდურ თვისებათა“ საფუძველზე ყალიბდება „საყოფაცხოვრებო თვისებები“ ანუ ერი — იბერი მისი ცხოვრების წესით. როგორც უფალი მართლმსაჯულებს ლმობიერებით, იგივე ყალიბდება ჩვენში, იბერიულ მოდგმაში. ამ განზომილების და სიყვარულის განმტკიცების საფუძველია თანაბრად გაყოფა. სადაც თანასწორუფლებიანობაა დემოკრატიული, ხალხის მმართველობაა, იქ მტკიცეა სიყვარული და მართალი მართლმსაჯულება. ამ განზომილებას ადეკვატურად მოსდევს მეშვიდე თვისება — ქველობა, ანუ სურვილი ყველაზე საუკეთესოს გაცემისა. როცა ზედმეტს სრულად გასცემს ვლეხი კომლი, სოფელი, ქალაქი, რეგიონი, სიკეთის, იბერთა სახელმწიფოს სიძლიერისათვის, სიმდიდრისათვის, ეს სიმდიდრე უფრო მეტია, და ყალიბდება სრულფასოვანი ერი.

ამგვარად, მიეცა ენა, გონი, 10 სიტყვა იბერიელთ, პირველი სიტყვით, ჩვენ ვიცით, რომ ღმერთი ერთია, ანუ მტკიცდება მონოთეიზმი — რწმესა მშობლისა. შედეგად გადმოდის ჩვენზე ზნეობა, სიყვარული. მეორე, მესამე და მეოთხე სიტყვა (გაყოფა, გაცემა და უფლება). საწინდარი მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე თვისებებისა. ამავე დროს, იბერთა სახელმწიფოს შექმნის საფუძველი არის თანაბრად გაყოფა და მართლმსაჯულება ლმობიერებით. დასტურად მხოლოდ ამ განზომილების დანერგვის შემდეგ ი–ერ–ედის შვილი ხან–ოხი ზეცაში ავიდა. ხანი უნდოდა, დრო უნდოდა, რომ უფლის თვისებები მოცემული ენით გამხდარიყო ხალხის გენეტიკა. ამიტომ ამ

პერიოდში ერში ყალიბდება უფლის მერვე თვისებაც და მეცხრე ნაწილობრივ, მაგრამ არ არის იბერიელები

ჩვენ ვიცით, რომ ჯერ ბარის ათვისება მიმდინარეობდა ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად. ტიგროსის და ევფრატის სათავე ხომ ბარშია. ამიტომ შემდეგ მოდის მთის ათვისება, იქმნება თუშეთი, ანუ იშვა მე–თუშელასი, და ამის მერე აითვისება სვანეთიც და იშვა ლემ–ეხი, მამა ნოესი.

მაგრამ ვერ მეფობს იბერია — მზეობა. როგორც ვიცით, გამრავლდა კაენის შთამომავლობა და ემალებოდა იბერთა მოდგმას უჩინობა. ორგვალია დედამიწა. თუ მის ერთ ნახევარში მზეობაა, მეორეში უჩინობაა. ამ მეორეს არ სძინავს, სურს დაამარცხოს სეთის შთამომავლობა. ვერ გამრავლდა 12 შტო. ეს უნდა გაკეთდეს შემდგომ ნოეს და მისი შვილების ძალისხმევით. ამიტომ იბერთა გენეტიკური კოდი შერწყმული აღმოჩნდა ასევე ერთ სახეში — ნოეში. გადაარჩინა უფალმა მხოლოდ ის და მისი ვაჟები.

ნოე გადასცემს თავის ორ შვილს შემს და იაფეტს უფლის ცხრავე თვისებას. განსაკუთრებით კი მეცხრეს, ზრუნვა შთამომავლობისათვის. ანუ იგი წარღვნის შემდეგ ცხოვრობს კიდევ 350 წელს. აყალიბებს იბერია–საქართველოში იბერიულ ცხოვრების წესს თორმეტ შტოში და ამავე დროს, გადასცემს მეცხრე და მეათე თვისებას თავის ორ შვილს იბერებს, ძლიერებას (როგორც ვიცით, ქენაანი ხდება მათი მონა). ამავე დროს, ამ ორ შტოს ეკუთვნის მეფობა. მეფობა იმისათვის რომ ყველა ადამიანი მეფე იყოს.

მეფობა რომ ეკუთვნის უფროსს, ბიბლიაში ესეც არის დაფიქსირებული, რამეთუ მალქიცედეკი ანუ სემი ხდება შალემის ანუ იერუსალიმის მეფე. საქართველოში კი იაფეტი მეფობს. აქ არის მშვენიერი ლამაზი წესი ცხოვრების. ამიტომაც სახელი იაფე, ივრითულში მშვენიერს აღნიშნავს. შემდეგ ორივე შტოში მეფობა მიეკუთვნება უფლის მიერ მირონცხებულ მეფეებს, დავითის შთამომავალთ. ისინი მეფობდნენ ჯერ ქენაანზე და მერე საქართველოშიც.

მაგრამ უფლის მთავარი მიზანია მათ ერთდროულად იმეფონ. ბრუნავს დედამიწა და ორ ადგილზე უნდა იყოს სიწმინდე. 24 საათი უნდა შეივსოს. ყოველთვის 12 მხარე იბერთა უნდა მეფობდეს. ერთს რომ ეძინება, მეორემ უნდა იფხიზლოს და იმეფებს სემი, იაფეტი, ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი. და დედამიწაზე დავითის შთამომავალთა მეფობა იბერიულ მოდგმასთან ერთად იქნება მარადიული, რათა დაამკვიდრონ სამყაროში ჰარმონია. ამოძირკვოს ქამის მოდგმაში ბოროტება და ყველა მოდგმამ იცხოვროს სიყვარულით.

ამგვარად, იყო 10 პერიოდი. საფეხური ადამ–შეთის შთამომავლობა გამრავლებისა და განმტკიცებისა იბერთა გენში. უფლის 10 თვისება ჩამოყალიბდა, მაგრამ მეფობა მაშინ ხდება მტკიცე, როცა ადამიანი იღებს წერით თორას — ბიბლიას. ახლა უფრო სრული ხდება თორის სიბრძნე — უფალი ჩვენი, ტვინი სახელმწიფოსია მართვისათვის. ამაზეა ნათქვამი — დასასრულს გაუწყებ დასაბამიდან ესაია 4.10. ამგვარად, როგორც „ვეფხისტყაოსანშია“, სასურველია პირველადი ენის და თორის შერწყმა. ესაა დასასრული. მათი დასასრული მათ საწყისშია. ანუ გავიხსენოთ სახელი ადამი ა— ადამიდან იწყება, მის საწყისში და შთამომავლობაში პირველადი ენით იქნა დანერგილი, განსაზღვრული ათივე თვისება. ამავე დროს, საწყისში იბერია–საქართველოში, სადაც არის 10 თვისება, ცხოვრების წესი, რომელიც უნდა გავრცელდეს სამყაროში, მოდის ტარიელი, მესია რითაც მთავრდება ადამის სახელი რათა გაავრცელოს ის მთელ სამყაროში და ეს არის დასასრული დაწყებული დასაბამიდან. მეფობაა ჯერ იბერთა მოდგმის, ანუ ბიბლიის ენის, შემდეგ ეს მეფობა ვრცელდება ყველა მოდგმაზე სამყაროში ისეთივე სიყვარულით, როგორსაც ჩვენი მშობლები იჩენდნენ.

ჩვენ ვიცით, ამ თვისებების მეფობით მოდიოდა და მოდის იბერია, იგი დღეგრძელია, ხოლო ბოროტება რამდენჯერ აღიგავა, იბერიული სახელმწიფოები ისევ მეფობენ.

დასტურად, რომ ეს 10 თვისება იბერიელთა სულიერი მოთხოვნილება, გენის გენეტიკა და მისი ცხოვრების წესი გახდა, ჩავიხედოთ ბიბლიაში და სახელების გარდა ცოტა სხვა კუთხითაც გავაანალიზოთ განვითარებული მოვლენები. მე–9–10 თვისების დანერგვის დასტური კი წარღვნის შემდგომ განვითარებულ მოვლენებით დავასაბუთოთ. ამას ნერგავენ მეათე საფეხურზე მყოფი სემი და იაფეტი.

ამგვარად, ჩამოყალიბდა პირველი ოთხი გენეტიკური კოდური თვისებები. მათი საბოლოო მიზანი არის სიყვარული. ეს არის საწყისი გაყოფისა — გაყოფით ცხოვრებისა და არა მისა. წართმევისა გაყოფა საფუძველია მეორე ეტაპის „საყოფაცხოვრებო თვისებათა“ „ცხოვრების წესის“. არის თანასწორუფლებიანობა, თანაბრობა, გაყოფით ყოფა — არის სიყვარული და

სიმყარე. ამ პრინციპით შექმნა უფალმა სამყარო. ამ პრინციპზე უნდა დაშყარდეს ისრაელთა ცხოვრების წესი. იგი არის მთავარი. ჩვენ ეს ჯერ ენის საფუძველზე დავასაბუთეთ. ახლა დავასაბუთებთ ბიბლიიდან, და ხილულად დავრწმუნდებით ამ ორი მოძღვრების (ბიბლია და ენა) შერწყმის ეფექტურობაში, როცა უნდა დანერგის „საყოფაცხოვრებო თვისებები" ანუ „ცხოვრების წესი".

## 3.1.1. თანაბრად გაყოფა, და მართლმსაჯულება ლმობიერებით

### ყოფა ჩვენი გაყოფაზეა დაფუძნებული

ჩვენი ყოფა რომ გაყოფაა, ამაზე ადრეც ვისაუბრეთ. ამ აზრს ადასტურებს ბიბლიაც. შესაქმე 1.4. იხილა ღმერთმა, რომ ნათელი კარგი იყო და გამოყო ღმერთმა ნათელი ბნელისაგან. ანუ თანაბრად გაყო ისინი, რომელნიც შეადგენდნენ ერთ დღეს — როგორც ქალი და კაცი ერთ მთელს, ადამიანს. ეს გაყოფის პრინციპი რომ სამყაროს სიმყარეს განაპირობებს, შემდეგაც ჩანს: 1.6. და თქვა ღმერთმა: იყოს მყარი წყალთა წიაღში — იქნეს განმყოფად წყლისა და წყალს შორის. 1.7. და გააკეთა ღმერთმა მყარი და გამოყო ერთმანეთისაგან წყალი, რომელიც არის მყარის ქვემოთ, და წყალი, რომელიც არის წყალს ზემოთ. და იქმნა ასე. ჩვენ ვიცით, რომ მყარს შემდეგ ეწოდა ცა, ანუ თანაბრად გაანაწილა წყალი ცის ზემოთ და ქვემოთ.

ახლა გავიხსენოთ პირველი სიტყვით რა უთხრა ადამიანს: შესაქმე 1.28 და აკურთხა ისინი ღმერთმა და უთხრა მათ ღმერთმა: ინაყოფიერეთ, იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაიპყრეთ იგი. დაეუფლეთ ზღვის თევზს, ცის ფრინველს და ყველა ცხოველს, რაც კი ქვემძრომობს დედამიწაზე. ანუ ადამიანი, რომელსაც ანბანი მისცა, მოქმედების წარმართველია მხოლოდ მაშინ, როცა ნაყოფზე მრავლდება. ამიტომაც ქართულში სიტყვა განაყოფიერება ითქმის სამივე სამყაროზე, ისინი ნაყოფზე მრავლდებიან. ადამიანის მტაცებლური სული კი ამ კანონსაც არღვევს.

ამრიგად, მისი პირველი სიტყვაა გა–ნაყოფი–ერ–დით, შემდეგ გა–გამრავლდით. ანუ ნაყოფზე მოხდება მხოლოდ გამრავლება და მაშინ იქცევით „ერ" — ანუ ერად, რომელიც მარადიულია. ამიტომ ეს სიტყვა „ინაყოფი–ერ–ეთ" კონსტიტუციური სიტყვაა. თუ აღსრულდება ეს სიტყვა, რომელიც არის პირველი ოთხი თვისების წარმონათქმი, მაშინ ექნება დანარჩენი უფლის თვისებები ადამიანს. მან, უფალმა ადამიანში ჩასახული სიკეთის მარადიულობა განსაზღვრა ერთი პირველადი სიტყვით, რომელიც ითქვა და რომელიც მიდის ღმერთთან, რადგან ამ სიტყვაში ჩადო უპირველესი საკუთარი თვისება ჩნეობრივად ცხოვრების წესისა — თანაბრად გაყოფა. ამიტომაც ვერ გაიმარჯვებს ბოროტება, რომელიც ებრძვის სიკეთეს, თუმცა ამავე დროს, უფალი მოქმედებს მართლმსაჯულებით, რომელსაც სდევს ლმობიერება და ამიტომაც გარკვეული დრო მაინც არსებობს რათა ვონს მოეგოს ბოროტება. მან მხოლოდ მთვარე დაინდო, რადგან ღამე უნდა ანათოს.* ადამიანებში კი, ვინც არ ყოფს, ის ერი არ მრავლდება. ეს ჩანს მესაქმის 1.12 პუნქტშივე, აღმოცენებულ ხეს ნა–ყოფი–ერი, ნაყოფის მომტანი ჰქვია. ანუ ნაყოფზე უნდა აღმოცენდეს. ქართულში ეს ისე დაკანონდა, რომ წარმოქმნა სიტყვა ნება–ყოფ–ლობა, ანუ ქართველთა ნებაა ეს ყოფა–გაყოფა. ამიტომ აქვს ქართველს ყველაფრის უფ–ლება, ანუ უფლის ნებით აკეთებს იგი.

შემდეგ უფალი წყლის და ცის ბინადრებს, ფრინველებს უწესებს გაყოფის წესს, 1.12. აკურთხა ისინი ღმერთმა ამ თქმით: ინა–ყოფიერეთ და იმრავლეთ... ანუ წყალში და ჰაერში აწესებს გაყოფის წესს. ამგვარად, 1.28 პუნქტიდან გამომდინარე. ვინც ყოფს, ის გასცემს, მრავლდება, ბატონობს და ჰარმონია აქვს. მაშინ არის იგი კ–ურ–თხეული. ეს კურთხევა კი ურვებს, პირველადი ენის მიმღებ ერს აქვს. ჩვენში ყოფა–გამრავლება გაყოფით იწყება. უპირველესი მსაჯულიც სახელმწიფოში და ქვეყნის პოლიტიკის წარმმართველი ხომ სასულიერო პირი იყო, ხოლო სახელმწიფოს რეგიონებს წარმართავდნენ ხალხის რჩეულნი.* ამგვარად, მართლმსაჯულებაც ზეციურის მიმსგავსებისკენ იყო მიმართული.

### გამნა–ყოფი–ერ–ებელი ითქმის ხუთ დედაზე

რაკიღა გამ–ნაყოფი–ერ–ებელი არის მდედრი, ანუ ერს იგი ამრავლებს, ამ სიტყვის ასევე იბერია, ერთა მარადიულობას და სიკეთის საბოლოო გამარჯვებას განაპირობებს ხუთი უწ-

---

*უფალმა ხომ ცის მნათობებიც თანაბარი ზომისა და ძალის შექმნა. მთვარემ კი შესთხოვა ორი მნათობი არ არის საჭირო, მარტო გაენათებო. ამ შურის გამო ის დააპატარავა მან. ეს ჩანს შესაქმის პირველი თავის მეთექვსმეტე პუნქტში, როცა ორივე მნათობი დიდია.

*მეფის მრჩეველი ქართველთვის სასულიერო პირი იყო. ამავე დროს მეფე თითქმის ყოველთვის აღასრულებდა დარბაზის გადაწყვეტილებას, რომელშიც ძირითადად გამორჩეული სასულიერო პირები შედიოდნენ.

მინდესი, უკედავი, გამნაყოფიერებელი, დიდი დედა. ამ დედებშია სიკეთის პირველი სიტყვა კოდირებული და ცდილობენ ერთიანი ძალისხმევით გონს მოაგონ ადამიანის პირველი ნახევარი—მამაკაცი. არ იქნება გა—ყოფა, არც ყოფა, არც გამრავლება იქნება ერისა. იქნება გაყოფა, იქნება სიკეთე. აი, ენა, სიტყვები, რომელნიც გვკარნახობენ სიკეთის მარადიულობის გასაღებს.

რადგან ბიბლიაში, დედა—წიგნში პირველივე სიტყვით არის ეს აღნიშნული, აქედანაც ჩანს ქართული ენის პირველადობა. ეს ენა მიგვანიშნებს რომ ქ—ორ—წილი ანუ ორის თანაბრად ნაყოფი წილია საჭირო, რომ ქ—ქართველი ღმერთის სახისმიერი, ანუ ათი თვისების მატარებელი გახდეს. აუცილებელია ჯერ მდედრის და მამრის თანაბარი ძალისხმევა იმ თვისებათა განხორციელებისათვის, რასაც ბიბლია და ენა გვკარნახობენ. ქალში, გამ—ნაყოფი—ერებელშია (ანუ გამრავლება თუ ნაყოფზეა) ძირითადად ენიდან ეს თვისებები კოდირებული. დედა –ნა—ნით გადასცემს ქართულ სიტყვებს ან—ბან—ს. ქალი რომ ანას ამბობს, მამაკაცი ბანს—ბანას უმატებს, სილამაზეს, სიძლიერეს, სულში შეღწევის ძალას აძლევს ნათქვამს. აქ არის თ—ან—ხმობა, რაც ან—ანბანის ჭეშმარიტების დაცვით ხდება: ამ ოჯახს აქვს შეხინის ნათელი, ბარაქა. აი, ის ანა—ბანა, ანბანური ჭეშმარიტება, რითაც ყალიბდება გენეტიკა იბერიელთა ორის სიყვარულით. ანბანის ხმას ეყვებით და ყალიბდება ორშივე ერთსულოვნება, ანუ ადამიანი. ეს ერთსულოვნება იყო სახელმწიფოშიც.

დედა ბიბლია და დედა—ენა დედის საშუალებით გვაძლევდნენ იმ ცოდნას, რომ გვეყვარებოდა კიდევ ორი უდიდესი სულიერი დედა: დედა—დედამიწა და ზეციური მდედრობითი არსი – შეხინა – სულიწმიდა. ამგვარად, ჩამოყალიბდა კოდური თვისებები. ამიტომაც ქართ ამ ენით გეორგია—ანი.

ხუთივე დედის ფუნქცია იყო უწყვეტად განაყოფიერება, განმტკიცება, გაგრძელება იბერიული გენისა თაობებში. ისინი იყვნენ სიკეთისა შთამომავალთა მასამრდოებელნი არა მარტო, ფიზიკურად (სურასათით), არამედ სულიერად.

მშობელი დედა გადასცემდა ბიბლიის და ენის სულს, აღზრდიდა შთამომავლობას ზეციური კანონების ბიბლიის და ენის დასაცავად, ეს ქმედება საფუძველი იყო ბარაქის, ნაყოფიერების (რასაც ზეციური დედა ახორციელებდა). სიტყვა ბარა—ქალა, ბარ—აქ—ალას მრავალნაირი ახსნა აქვს. ჯერ ერთი, ქალს მოაქვს სწავლებით შთამომავალთა ეს ბარაქა. ამიტომ იტყვიან ყოჩაღი – ბარაქალა ქალიაო. მეორე ამ სწავლებით, ბარით ანუ მიწათმოქმედებით არის აქ ალა—ალი ღმერთის შუქი – რაც ასევე ბარაქის საწინდარია.

ბიბლია გვკარნახობს, რომ, როცა სიტყვაში ჩაუდო ადამიანს განაყოფიერება და ყველა 10 თვისება, აქვს უფალსაც რწმენა მისი. მხოლოდ შემდეგ მიჰყავს ივი ედემში, სამოთხეში, მაგრამ არფერი გამოვიდა, რადგან არ იყო მტკიცე გენეტიკა მოთმინებისა და მშობლის სიყვარულისა. ჩვენ ხომ რაც უფრო ვიზრდებით მით უფრო გვიყვარდება მშობელი მერე და მერე ვგრძნობთ რომ ის ყველაფერში მართალია. ადამს რომ ჰყვარებოდა მშობელი მისი არ დაარღვევდა მცნებას. კაენიც საუკეთესოს გაიმეტებდა. ყოველი გენეტიკური კოდი, თვისება მომდევნოს განაპირობებს, პირველი მეორეს, მეორე მესამეს და ა.შ. მაგრამ გაყოფა ყოველივეს განაპირობებს, ყოველივეს შესრულების თანამგზავრია.

შეთი ბიბლიის ენაზე ნიშნავს საფუძველს. მან დაუდო საფუძველი ზნეობრივ თაობას.

პირველი სუთი თვისების დანერგვამ განაპირობა ასევე მეხუთე საფეხურის, სა—ხელის ი—ერ—ედის წარმოქმნა. ანუ მოვიდა დრო და დაიმსახურა ხალხმა ერად შექმნილიყო ენის სულის მცნებათა საფუძველზე. ანუ განხორციელდა სულიერი ქ—ორ—წილი, შ—უღ—ლება უფლის ტვირთვა სიკეთისა ქ—ქართველთა ენასთან და სიკეთის გენეტიკური კოდი ჩაისასა იბერიულ მოდგმაში. უფალმაც ღირსყო ერი, რომ ზეცაში დაიარებოდა ხანოსი და უფრო მტკიცდებოდა ცოდნა, გონი, სიყვარული უფლის. ინერგება მეცსრე—მეათე სიტყვები ერთო—ბა, ერო—ენება.

ამგვარად, ორის წილია ენის მდედრობითის და ერის მამრობითის. სამყაროს დასაბამიდან 930 წლამდე ხანოსის ძალისხმევით ხალხში კიდევ იყო ზნეობა. შემდეგ თაობებში მაინც იმძლავრა კაენის გენმა. ეცადა მეთეშთელახი ზნეობის დანერგვას მაგრამ ვერაფერი გამოუვიდა. ამიტომ მის შვილში და შვილიშვილში ჩაისასა უფლის ძირითადი თვისებანი, მათ შორის სიყვარული, რამეთუ „ღმერთის სიყვარული არს" (იოანე მახარობელი), არის სიყვარული უფლის ყველა სული—ერის, ხუთივე მდედრობითის.

თუ სიყვარულია, ყველაფერი მწყობრად ლაგდება, პროპორცია არ ირღვევა, არ არის მეტობა, და დღეგრძელია, არ დაინგრევა სოფელი, სახელმწიფო.*

ენასთან სულიერი შეუღლება როცა მოხდა, მისცა უფალმა მცნებად გამოყოფილი, ნაყოფის მოვლა და მხოლოდ მისგან კვება. აქედან იწყება მიწაზე, ყველა ნაყოფის მოვლა და მხოლოდ მისგან კვება. აქედან იწყება ყველა სულიერთან კონტაქტი და ამის მერე უნდა გამყარდეს სიყვარული. როგორც ითქვა, როცა ვინმეს ვინმეზე მეტი აქვს, მაშინვე წარმოიქმნება შური, დაპირისპირება. გაიხსენოთ. როცა ღმერთმა აიყვანა ადამი ედემის ბაღში, უთხრა: შესაქმე 2.17; კეთილის და ბოროტის შეცნობის ხიდან არ შეჭამო, რამეთუ რა დღესაც შეჭამ, მისგან მოკვდინებით მოკვდები.

ჩვენი აზრით აქ თავშეკავებაზეა ლაპარაკი. რაკიღა მშობელმა — უფალმა გვითხრა ასეა საჭირო, ასე უნდა აკეთო. გაიხსენოთ სოლომონის შემთხვევა. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ უფალს აქვს თვისება მოთმინებისა" ადამს კი არ ჰქონდა ეს ჩამოყალიბებული. თუ ადამიანს სული ძლევს საჭმელზე, უფრო ცხოველურისკენ მიილტვის, აქ სულიერი გამოცდა ჰქონდა ჩასაბარებელი ადამს და ვერ ჩააბარა. ასე სხვა მცნების აღსრულებაც გაუჭირდებოდა. პირველი და მთავარი 613 მცნებიდან მისი გამონაყოფიდან კვება მან მაშინვე დაარღვია. უფალმა ხომ ანბანში ჩაუდო გაყოფა და გამოუყო მისი წილი ამ ან–ანბანში მოცემული კანონის საფუძველით. უფალმა შექმნა სამყარო. ამ შემთხვევაში ის ხე მისთვის არ იყო გამოყოფილი და დაუკითხავად არ უნდა იგემო მისი ნაყოფი.

ასე შექმნა უფალმა სამყარო, რომ ადამიანის ჰარმონიისთვის შექმნილი საარსებო წყარო თითქმის თანაბრად იყოფა ყველაზე. ერთი ადამიანი მეორეზე მეტ ჰაერს არ სუნთქავს, წყალს არ სვამს, საჭმელიც დაახლოებით ასეა, ამიტომ მიწაც თანაბარ ნაწილებად უნდა გაიყოს. თუ ბევრს მოინდომებ ე.ი. სხვას უნდა წაჰგლიჯო. ეს ეწინააღმდეგება 10 მცნებას, 10 სიტყვას. ამავე დროს, ორ ქალთან სულიერი შეუღლება ვერ მოხდება. ბევრ ქალს ერთი კაცი ვერ მოუვლის. კაცი ერთი ქალის ნახევარია მხოლოდ. დასტურად გაიხსენოთ რომ ადამში ორივე იყო გაერთიანებული. ან უფლის მიერ დაწესებული კანონზომიერება, რომელიც მეცნიერებებს ვერ აუხსნიათ. ყოველთვის შეფარდება მამაკაცებსა და ქალებს შორის 50–50 ან უკიდურეს შემთხვევაში 49–51–ზე. თუ ომია, მაშინ უფრო ვაჟები იბადებიან.

ამგვარად, თუ ჩვენ ვარღვევთ თანაფარდობას, უფალი ასწორებს ამას, რათა ვიცხოვროთ მისი კანონებით. თანაბრობაა, ზომიერ–ებაა ყველგან საჭირო. თითოსათვის თითო ქალია განკუთვნილი. როცა ორს ან სამს ეუფლები ე.ი. სხვისას ისაკუთრებ, ისევე, როგორც მიწას, და ვერ უვლი.

ბოროტების მიზანია გახლიჩოს ორი ნახევარით შეკრული სიყვარული. აი, აქედან იწყება ბოროტების ზეობა. იგი სიყვარულს და სულიერ ჰარმონიას, ნაკარნახევს ბიბლიით, ენით, ქურდობასა და გამომძალველობას უპირისპირებს. ამ ქურდობის განმტკიცებისათვის ერთმა ათასის კუთვნილი მიწა რომ მიითვისოს, იგონებს კანონების სისტემას, ამ კანონებს არქმევს კონტიტუციას, ანუ სახელმწიფოს უზენაეს კანონს. მაგრამ სინამდვილეში იგი საკუთარ თავს ავნებს, ქურდავს. აკლდება გონიერება, და აკლდება ბარაქა, სიმდიდრე, დღეგრძელობა. ჰარმონია. ისე შექმნა უფალმა სამყარო, რომ სადაც სიყვარული არ ჩერობს — იქ შავი ფერებია, სიკვდილია, ამას ქვემოთ დავასაბუთებთ.

ეს სიყვარული რომ ვერ ნახა, გამოჩენილმა ჟურნალისტმა რუხაძემ საზღვარგარეთ სატელევიზიო გამოსვლაში აღნიშნა ამერიკელთა დაავადება, ამ კანონთა მორჩილება და სულის ჯანმრთელობის ყველაზე დიდ წამლად ქართველთა გენეტიკურ კოდში გამჯდარი სიყვარული აღიარა. აი, რა არის იბერიელობა, გესის ყვავილი, რაც არ უნდა ემსახურო ბოროტებას, უფლის მიერ დანერგილ, სიმართლეს ვერ გაექცევი.

ამგვარად, ენის სულიერი პროგრამიდან გამომდინარე, ჩვენი გენეტიკაა აზროვნება, ზნეობა, რწმენა, გონიერება, სიყვარული. გვაქვს გაყოფა – საფუძველი „საყოფაცხოვრებო თვისებათა", მათ შორის, მართლმსაჯულების ლმობიერებით, ანუ ხარ მიმტევებელი, შემწყნარებელი.

*გაიხსენოთ ბიბლია „და დაბანაკდა იქ ისრაელი მთის პირდაპირ" მოსეს წინამძღოლობით ბიბლიის მიღების შემდეგ ხდება, რომ ერი იყო შეკრული სულიერი ერთობით, როგორც ერთი კაცი, ერთი ღმერთის სიყვარულით.

## 3.1.2. ქველობა, მისწრაფელობა და სურვილი ყველაზე საუკეთესოს გაცემისა, ზრუნვა შთამომავლობისათვის

### იბერიელი ბასლება ის, რომელშიც სირცხვილის გრძნობა სჭარბობს ეგოიზმს

როდესაც შესცოდა ადამმა აქ მოხდა ერთი ფაქტი. ადამში 100% გამომჟღავნდა ერთი კარგი თვისება — სირცხვილის გრძნობა, რომ აკრძალული ან სხვისა შეჭამა, აზროვნებიდან, ზნეობიდან გამომდინარე. გაიხსენოთ როგორ დაემალნენ ცოლ—ქმარი უფალს.

მაგრამ იყო მეორე ცუდი, მონანიების მაგიერ გადაბრალება დედაკაცზე, ანუ სიყვარული მეორე ნახევრის ჯერ არაა ისე მტკიცე, თორემ ალბათ დარჩებოდა ედემში, რადგან მოწყალეა უფალი, როცა ადამიანი ინანიებს შეცდომას. (დასტურად გაიხსენოთ ბიბლია. ერთი შეცდომა დაუშვა საულმა და არ აპატია უფალმა, რადგან ვერ მიხვდა დანაშაულს, არ მოინანია და დაკარგა მეფობა. ორი შეცდომა დაუშვა დავითმა და ორივე გულით მოინანია. ამიტომაც შეპირდა ამ მოდგმას სამარადჟამო მეფობას).

ამგვარად, შერცხვა ადამს, რომელსაც დააკლდა უკვე გამჩენი, სხივი, რადგან მან გადაუხვია გამჩენის თვისებას მოთმინების და მისი ნებართვის გარეშე იმოქმედა.

ისმის ერთი კითხვა: ვისი რცხვენია ადამს? რცხვენია მისი, ქცევის. კუჭზე რომ იფიქრა და არა სულიერებაზე. ის ხომ მეფეა სამყაროსი აქვს ცოდნა, გონი და იცის მისი უფლის ღვაწლიც და რცხვენია მისი.

ალბათ ამ პერიოდში ჩაისახა სიყვარულის გრძნობაც. მიხვდა როგორ იზრუნა უფალმა, რა სამყარო შეუქმნა და მან ეს ვერ შეიფერა.

კაენმა კი, რომელმაც უფრო უარესი ჩაიდინა, სირცხვილის გრძნობა დაკარგა. 4.9. უთხრა უფალმა კაენს: სადაა აბელი, შენი ძმა? უთხრა: არ ვიცი. ნუთუ ჩემი ძმის მცველი ვარ მე? სიხარბემ გადასძლია სირცხვილს, ეს იქიდან ჩანს, რომ საუკეთესო არ გასცა. ამიტომ ძმაც არ უყვარდა მას.

რაკიდა ადამს აღმოაჩნდა სირცხვილის გრძნობა, ეს აღმოჩნდა მთავარი გამჩენის თვალში, ანუ, როცა შეიქმნებოდა მიწათმოქმედების დემოკრატიული მმართველობის იბერიული წესი, სადაც სოფელს, ქალაქს ხალხის მიერ რჩეულნი განაგებენ და იქ უმწეობა სირცხვილია, ანუ სიამოვნება რ—როცა ცხ—ცხოველური, სი—სირცხვილია და ინანიებ, სოლო გაყოფა, გაცემა უმდიდრეს მოსავალს და განუმეორებელ სიამოვნებას განიჭებს, მაშინ ადამიანი მხოლოდ გაყოფა—გაცემით იმოქმედებდა. მართლაც, როცა შეიქმნა ეს წესი, ნათლად გამოჩნდა, რომ ჩვენი მოქმედების ადეკვატურია სურსათის რაოდენობა, მარგებლობა და დღეგრძელობა ჩვენი. ამიტომ რუსთაველის სიტყვები: „რასაცა გასცემ შენია", დღეს რომ უცხოა — ქართულ სამყაროში ყველა მცხოვრებმა იცოდა და აღასრულებდა ამ თემას. ამიტომ იყო უფლის უზომო სიყვარული და თავგანწირვა უფლისათვის. ჩვენ გვინდა „შესაძლებისდაგვარად ამ სიტყვების სიბრძნე უფრო სრულყოფილად აეხსნათ.

უფალს სიამოვნებს, როცა სხვას ემსახურები. გასცემ, ყოფ. ეს ღმერთის მსახურებაა (ეს არის მისი სახიერება). მაშინ შემოდის გამჩენის სხივი შენთან, შენი თვალები ცოდნით არის სილული, სული გამოდის სხეულის ტყვეობიდან და გაქვს ერთიანობა შემოქმედთან.

რაც უფრო მაღლდები სულიერად, მით უფრო ხედავ ღმერთის სხივის ენერგიას, მადლის ძალას, ხედავ რა სრულყოფილია სამყარო და გამოსასწორებელი მხოლოდ შენი მოქმედებაა.

ეს მოქმედება კი ეგოიზმია — მისი გამოსწორება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ადამიანს სირცხვილის გრძნობა აქვს. სიყვარული კი გენეტიკური კოდია ადამიანში. თუ ეს კოდი გამქრალია, ეგოიზმი მეტად საშიშია. მითუმეტეს, თუ ადამიანები უცოდინარები არიან (მხედველობაშია ბიბლიის ცოდნა), მათში არც სიყვარულია და არც შიშია უფლისა, (ეს უკანასკნელი კაენსაც კი ჰქონდა) არც სირცხვილია და არც ზნეობაა.

ასეთ საზოგადოებაში, როცა ვინმე მიისწრაფვის მეტი სიამოვნება მიიღოს მოყვასის დამონების ხარჯზე, და თვითონ ამით ძლიერდება, ეს წარმოშობს შურს მეორეში და მისწრაფებას იგივესკენ. იქმნება ისეთი ცხოვრების წესი, სადაც მრუშობაა, უზნეო საქციელია. ნულამდე ეცემა სირცხვილის გრძნობა, სიყვარული და ასევე ნულამდე ეცემა აზროვნება, ზნეობა, რწმენა, ცოდნა. ადეკვატურად მტკიცდება, მატულობს ეგოიზმი. თუ ორივე განზომილებას,

ეგოიზმს და სირცხვილს 100 ერთეულად მივიღებთ, საზოგადოებაში, ანუ ადამიანებში სადაც 51 ერთეული მაინც სირცხვილის, ნამუსის გრძნობაა, ამ ადამიანებს 51 ერთეულით აქვთ ზნეობა. ამიტომ მათში სირცხვილი მუდამ სძლევს მათ ბუნებაში არსებულ ეგოიზმს, ინანიებენ შეცდომას. შემდეგ ისინი ისწრაფვიან ცოდნისაკენ, რწმენისაკენ. იზრდება აზროვნება ენით – ბიბლიით, იზრდება რწმენა, ცოდნა, და სირცხვილის, სიყვარულის და ზნეობის განზომილება მიისწრაფვის 100 პროცენტიანი ნიშნულისაკენ. ყალიბდება წმინდანთა წმინდა ცხოვრების წესი.

## იბერიულ ცხოვრების წესში მხოლოდ იბერიელნი იცხოვრებენ

ზნეობა, რომელშიც შედის თავდაბლობა, ჭეშმარიტება – სიმართლე, ზრდილობა და სხვა, ყალიბდება ბიბლიის, ენის ცოდნით. მაგრამ ცოდნა ჯერ კიდევ არ არის ზნეობის გარანტი. ზნეობის გარანტი მხოლოდ გენეტიკაა – გენეტიკური კოდია მოთმინება – რწმენისა, სიყვარულისა. ეს განზომილებები ყალიბდებიან თაობებში ბიბლიით, ან პირველადი ენით და უცვლელი ცხოვრების წესით. იმ წესით, სადაც ზნეობა სიამაყეა, უზნეობა კი სირცხვილია (ამ წესში მოსული უსირცხვილო ან განიკვეთება, ან ნელ–ნელა მისი შთამომავლობა მოექცევა ზნეობისკენ).

არიან ადამიანები, რომელთაც ისწავლეს ბიბლია, არიან მოშიშები უფლისა. იცავენ ყველა რიტუალს, ლოცულობენ და ამავე დროს არა აქვთ ზნეობა. მათი გამოსწორება მხოლოდ ზნეობრივი ცხოვრების წესით შეიძლება – სადაც უზნეობა სირცხვილია. მათი ზნეობაზე მოქცევა, ანუ სირცხვილი შეიძლება იბერიული ცხოვრების წესში მოსდეს. თვითონ კი ცხოვრების ისეთ წესში არიან, სადაც არა აქვთ გაყოფა, გაცემა, სიყვარული და არც ბარაქა, მადლიანი ლუკმა. იქ მოყვასს თუ არ წაგლიჯე ისე ვერ იცხოვრებ. ამიტომ დრო, გარემო და შესაბამისი ცხოვრების წესით უნდა რომ ჩამოყალიბდეს ზნეობა, გაყოფა, სიყვარული.

როგორც ვიცით, ბიბლიას ყველა არ სწავლობს. ამიტომ ასეთი გარემოს შექმნა წარმოუდგენლად ძნელია. ენას კი ჩანასახიდან ყველა ეუფლება, და აქ ერთხელ ჩამოყალიბებული გენეტიკური კოდი არ იცვლება. ის შეიძლება შემცირდეს იმ გარემოში, სადაც უზნეობაა, მაგრამ 51 ერთეულზე დაბლა არ დაეშვება, რადგან უზნეობა სტანჯავს მის გენეტიკას, სულს. სულ მუდამ ნოსტალგია ექნება რწმენა, გაყოფა, სიყვარულზე და შესაბამის გარემოში ქართულად მოლაპარაკე ეთნოსში ან იქ, სადაც ბიბლიის მცნებებს იცავენ, 100 ერთეული გახდება. ეს იმიტომ, რომ მათი უდიდესი სიამოვნებაა სულის ამაღლება, უფლის ათი თვისება. ეს ათი თვისება კონცენტრირებული იბერიელთა გენში არის მთავარი.

იმ შემთხვევაშიც კი თუ მოხვდი უზნეო გარემოში ღმერთი იბერიული სულის ადამიანს არ ტოვებს. ის მუდამ იცავს მის სიცოცხლეს და სურს რომ არ ჩაქრეს სამუდამოდ. ამავე დროს დაგსჯის ხოლმე, რათა სწორ გზას დაადგე. ეს უნდა გიხაროდეს კიდეც, რადგან შენი იმედი აქვს მას.

არიან ისეთი ადამიანებიც, რომელთაც არა აქვთ ცოდნა, აზროვნება ბიბლიით, ანუ არ ჰქონდათ საშუალება შეესწავლათ ბიბლია. მაგრამ გენეტიკურად არიან ზნეობრივი, რადგან ჩასახულია მათში უფლის სიყვარული და საუბრობენ ქართულ ენაზე. შეიძლება ისინი მოხვდნენ სხვა გარემოში, სადაც საუბრობენ სხვა ენაზე, მაგრამ გენეტიკა შემორჩათ.

როგორც აღნიშნავდა რამბამი, ეს ადამიანები უფრო ღირსეულნი არიან, ვიდრე ისინი, ვინც თითქოს იცავს ბიბლიის კანონებს და არა აქვს ზნეობა. აი, რას ნიშნავს ცხოვრების წესი და გენეტიკური კოდი. ამგვარად, საშურია ქართულად ლაპარაკობდე და ბიბლიის კანონებსაც იცავდე.

ამავე დროს, არის ერთი განზომილება – სიამაყე. ეს სიტყვა ასე გაიშიფრება: „სიამ" სიამოვნებაა, „ყე", ანუ გაყე, ნაყოფზე ცხოვრობ – ამაყი ხარ, რადგან იცავ უფლის მოძღვრებას, ანუ ქმარობ შენსას, არ გინდა სხვისი. არც შენსას მისცემ. არ შეაგინებინებ შენს მიერ მოვლილ მამულს და ხუთ გამნაყოფიერებელს – დედას. ქართველს რომ დედა შეუგინო, ამაზე მეტი სირცხვილი მისთვის არ არსებობს და უეჭველად სამკვდრო–სასიცოცხლო ბრძოლისთვის უნდა მოემზადო. მან იცის, რომ დედა გამნაყოფიერებელი უფლის მიერ არის შექმნილი და მან მისცა სულიერი ცოდნაც, თანაც ისეთი მზრუნველობით აღზარდა, რომ სიყვარული განუზომელია.

რუსეთში კი, თუნდაც სხვაგან, ასეთი მზრუნველობით არ ზრდიან, არც მღვდლის სიყვარული აქვთ. იქ ქალში გართობის საგანს ხედავენ და ღვინის გემოზე მათთვის დილემა არ არის. ასეთი ხალხი არ ამაყობს, ანუ არა აქვთ გაყოფა, გამნაყოფიერებლის სიყვარული. თუ არა აქვთ სიყვარული ვისი მათი აცვიათ. თუ ღვინები არ უყვართ, მით უმეტეს, არ უყვართ მოყვასი, მხოლოდ საკუთარი თავი უყვართ. იმიტომაც არიან აგრესიულები, პატივმოყვარეები, რომ მცირე შეცდომას არ პატიობენ მოყვასს და ბოროტებით უხდიან. მათი ეს ბრძოლა განისაზღვრება დაბალი ინტელექტით.

## იბერიელში სიყვარული მუდამ ფარავს სიძულვილს და წარმოიშობა სიბრალული

ქართველი კი ცდილობს შეცდენილი ადამიანი ცოდნით დაარწმუნოს მის უზნეობაში. ამისათვის იგი ღმერთის მიერ მუდამ ძლევამოსილია, რათა მოწინააღმდეგე თავს არ გაეცილოს. მაგრამ იგი უკიდურეს შემთხვევაში მოქმედებს ასე, თუ ეს უკანასკნელი ზღვარს სცილდება.

რა დოზითაც ილევა ქართველში სიძულვილი, სიამაყე, იმავე დოზით იღვიძებს მოყვასის სიყვარული, შეცოდება და თავმდაბლობა. იგი მასში შეცდომილს ხედავს. ეს სიტყვა „ცოდვ"-ას შეიცავს. ანუ ცოდვილია ის და იცის ქართველმა, რომ ეს ცოდვა, შეცდომა ავადმყოფობას მოუტანს. ამიტომ მას ის ეცოდება, ფუძე „ცოდ" ცოდ-ცოდნას შეიცავს. ცოდნით მუდამ შე-შეიცოდებს შეცდომილს. თავმდაბლობის მაგალითია ქართველის ქცევა, რათა ფულით გაამაყებულნი მოაქციონ ზნეობაზე. ცოდნით, გონით ცდილობს ქართველი მისი სიკეთისკენ მოქცევას, ყოველ ცუდს ბოროტებისას სიკეთით პასუხობს. ბოროტება ადვილად ილევა, ილევა ფულით გაამაყებული, ბოროტის მქნელი მარცხდება. ძალიან ადვილია სი-კეთე, სი-სიამოვნებაა, ამის კეთ-კეთება და მუდამ იმარჯვებს. აქვს იმიტომ ქართველს დღეგრძელობა, სულის ჰარმონია.

ბოროტების ჩამდენი კი სულ გა-ღიმიანებულია. მუდამ ზიანი დააავადებები აქვს ორგანიზმში. ბოროტის სიამაყეა სხვისი გამათხოვრებით გამდიდრება. ამიტომაც სიყვარული არა აქვს, და ავია იგი, ტანჯვაა მისი ცხოვრება. მისი ცოდვები გაუ-ნაყოფიერება მის შვილებზე გადადის და ვერ მრავლდება.

ოღონდ ერთს ვერ აპატიებს ქართველი ბოროტს — შეუ-რაცხ-ყოფას, გამნა-ყოფი-ერის შევინებას. იმპერიებსაც ასე ამარცხებდა ქართველი. ჯერ სიკეთით ცდილობდა მათში ბოროტის აღმოფხვრას. ხოლო, როცა ისინი ქართული ცხოვრების წესის დედათა წინააღმდეგ აშკარად ილაშქრებდნენ, მაშინ კი ერთიანდებოდა სრულიად საქართველო და აუცილებლად იმარჯვებდა. — გვქონდა ღვთის შეწევნა და ვიმარჯვებდით, სანამ მივდიოდით ღვთის გზით.*
ამგვარად, ცხოვრების წესი იყო ქართველისთვის მთავარი. ეს იყო პირველ რიგში უნიკალური ზნეობის ინსტიტუტი.

ამგვარად, ეგოიზმი, იქ არ არის, სადაც ზნეობაა, ანუ გენეტიკაა, ათივე განზომილება და უზნეობის ჩადენა სირცხვილს, სინანულს იწვევს იმდენივე დოზით, რამდენიც არის ზნეობა. ავყიაობა კი მათში ქარწყლდება, ვისაც სიყვარული აქვს. ასეთ ხალხს მუდამ აქვს ქართველობა, გამარჯვება.

## სიყვარული, სირცხვილი და სინანული საწინდარია იბერიულობის — ამ თვისების

ამგვარად, საქართველოში გენეტიკა გახდა ზნეობა, რწმენა, გაყოფა, გაცემა, სიყვარული. აქ მიწა, მამული ყველას თანაბრად უნაწილდებოდა. ამ შემთხვევაში ეგოიზმი იღვენებოდა ზნეობით, სირცხვილით.

როგორც კი ვინმეს ვინმეს კუთვნილზე გული გაუწევდა, თუნდაც ძალიან დაბალი დოზით, იმავე დოზით იღვიძებს სირცხვილი, რადგან სიყვარული აქვს მოყვასის და მესამე განზომილება

*გაყოფის, მიწათმოქმედების შებილწვას რომ არავის პატიობს უფალი, ეს ბიბლიაშიც ჩანს. უფალი ასე არიგებს მოსეს, რათა ელაპარაკოს ებრაელებს, დაიცვან მისი წესები, ასარში მოთ 18.28 რათა იქვენ არ ამოგანთხიოთ დედამიწამ, თუ წაბილწავთ მას, ვითარცა მოინთხია ხალხი, რომელნიც თქვენზე უწინ იყო. აქაც ჩანს მიწათმოქმედება — მიწის მოვლაა, პატრონობაა მთავარი — რაც გაყოფიდან იწყება.

სინანული. ეს სინანული ისეთია, რომ შემდგომ ადამიანი აღარ ფიქრობს ამ უზნეობაზე. ამგვარად 100 ერთეულით მტკიცდება მასში სირცხვილი.

ქართულ სოფელში იყო დამცავი მექანიზმიც, ანუ ცხოვრების წესი იმ ხალხისათვის, ვინც ქართველად ვერ ჩამოყალიბდნენ. თვითმმართველობის ინსტიტუტები — ხალხის რჩეულნი, არ დაუშვებდნენ უზნეობას და უზნეო კაცს მოკვეთავდნენ ქართული სოფლიდან. ეს დაახლოებით იგივე იყო მათთვის, უფალმა რომ მოკვეთა სამოთხედან ადამი და ევა. დღევანდელ ცხოვრების წესში ბოლომდე არ გაქართულებული ქართველნი სჩადიან უზნეობას. მაგრამ მაინც აქვთ სირცხვილის გრძნობა და გაცემის გენეტიკა. ქართულ გარემოში ეს მანკიერებები აუცილებლად იმრდება, რადგან ქართულად საუბრობს ის.

ასეა, როცა იბადები იბერიელად — ქართველად, ცხოვრების რომელიმე ეტაპზე მაინც ხდები და თუ რა დიდი ბედნიერებაა ეს.

ქართველი არც სხვაგან კარგავს მნეობას. ვთქვათ ბოროტების ცხოვრების წესში მდიდრდები ისე, რომ სხვას იმონებ, ანუ ბოროტებას აკეთებ, თუ არა და თვითონ იქცევი მონად. იბერიული, ქართული გენი ამავე დროს სიკეთესაც გაკეთებინებს. გასცემ და ხვდები, რომ ეს განუმეორებელ სულიერ განცხრომას, ჰარმონიას, აღმაფრენას გაძლევს. ამავე დროს, შემოსავალი გაცემულზე 10—100—ჯერ მეტია, პირველი კი მხოლოდ სულს გიმახინჯებს, გაცილებით ძნელია აკეთო სულის საწინააღმდეგო მოქმედება — ბოროტება და სასწაულად ადვილი აკეთო სულის აღმაფრენის მოქმედება — სიკეთე. შედეგად ეს ადამიანი ისევ უბრუნდება წინაპრების ფესვებს — ქართველობას. აი, რა არის ქართული მოდგმის გენი. ეს გენი მუდამ გამარჯვებული იქნება ბოროტებაზე.

## ვინც არ მიისწრაფვის იბერიულობისაკენ — ათი თვისებისაკენ, ეს საკუთარი თავის სიკვდილის განაჩენია

მაგრამ ვინც არ საუბრობს და არ იბადება ქართველად, ან არ იცავს ბიბლიას, ისინი ბოროტების მსხვერპლნი ხდებიან. მით უმეტეს, რომ დღეს რეკლამირება ხდება იმ უზნეობების, სადაც სირცხვილი ნულამდეა დასული და ზღვარი არა აქვს ადამიანთა გაჭირვებას.

კაცთა მოდგმის მტრებს ჰგონიათ, სხვას რომ გაამათხოვრებენ, თვითონ კარგად იქნებიან, რაც აბსოლუტური უცოდინარობაა. როცა ადამიანი არ გასცემს და ყაჩაღურად სხვას ართმევს, იგი ხომ ყველაფერს ვერ გადაამუშავებს. ადამიანის ორგანიზმი მოწყობილია ისე, რომ ზომიერება საჭიროა. იგი ზედმეტს რომ მიირთმევს, გარდა სულიერად დაცემისა, ეს იწვევს ორგანოთა გადატვირთვას. საჭმელი სისხლში გადადის, სისხლი მთელ ორგანიზმს ამარაგებს. ღვიძლი კი მისი ფილტრია. ხარბ ადამიანს შეუძლია 10 კაცის კუთვნილი ჭამოს. ეს კი ძაბავს მისი ორგანიზმის ყველა ორგანოს. ისინი ადრე გამოდიან წყობიდან და მალე ბერდებიან. ამავე დროს, ნორმაზე მეტს მაინც ვერ ჭამენ, თუ ადრე ათჯერ მეტს ჭამდნენ, ახლა ავადმყოფობის გამო 10—ჯერ ნაკლებს ჭამენ.

აი, რატომაა ბიბლიაში საჭმელზე გამახვილებული ყურადღება. საქმე ისაა, რომ ხარბი ადამიანი ნორმაზე მეტს ვერ მიიღებს. წყალი რომ მიიღოს ზედმეტი, ისიც გამოვა ორგანიზმიდან, თუ ცილებში ნახშირწყლები არ შეკავშირდა. ამისათვის მას შეუძლია საჭმელი მიიღოს ზედმეტი. ამიტომაა ბიბლიაში, რომ ადამიანმა ჭამის კულტურა დაარღვია. ამიტომაა დაწესებული მარხვები, რომ რელიგიურ დღესასწაულებში სულიერი განწმენდა მიიღონ ადამიანებმა და გამოვიდეს მათი ორგანიზმიდან უწმინდურება — სულს რომ ამძიმებს, რათა გაისანგრძლივონ ჯანმრთელობა, სიცოცხლე.

„თორის მიხედვით ვინც ჭამს არაწმინდა ცხოველის ხორცს, მას საკუთარ თავში გადააქვს ამ ცხოველის დამახასიათებელი თვისებები და ამით თვითონაც უხეში, ულმობელი, მტაცებელი და მკვლელი ხდება. თორის ეს ჭეშმარიტება დღეს უკვე მეცნიერების მიერ დამტკიცებულია. მაგალითად ცხოველთა ხორცით კვებისას მასში შემავალი ნივთიერებები ხვდებიან რა ადამიანის ორგანიზმში, იწვევენ სულიერი ფსიქიკური მდგომარეობის შესაბამის ცვლილებებს. ილია აიჟამაშვილი „ებრაელი ხალხის ისტორია" იერუშალაიმი 5760—2000 258გვ.

გავიხსენოთ საქართველოში როგორ მარხულობდა ყველა უკლებლივ. ვინც მარხულობს ის მუდამ გამყოფი, გამცემი იქნება, რადგან ამ შემთხვევაში იგი აბრუნებს, თუ ბევრი მიითვისა და ზომიერებას უბრუნდება. აქვს დღეგრძელობა, რადგან რაციონალურად ჭამს, სვამს, სუნთქავს, ცოცხლობს და ამავე დროს ჰარმონიაშია. შეიძლება ვიღაცამ თქვას, მიწები რომ

ბევრი აქვს მიტაცებული ხარბს და შთამომავლობას გადასცემს სიმდიდრესო. ჩვენ ვიცით, მათ გადაშენება ელით. ყველაზე დიდი სიმდიდრე კი სულიერების, ზნეობის გენეტიკაა.

ბევრის მიმტაცებელი ვერ ასწრებს დამუშავებას, იყენებს ქიმიკატებს, ჩეხავს ტყეებს, რადგან ხარბია და უნდა სწრაფად მიიღოს შემოსავალი. ზეციური სამართალი კი მწირ მოსავალს აძლევს, წაგლეჯილი მიწაც მწყობრიდან გამოდის, რადგან მას აკლდება მასზე ნორმით გათვალისწინებული მადლი — ენერგია მოსავლისათვის. შემდეგ სხვა სასიცოცხლო ელემენტები: წყალი, ჰაერი, აკლდება მიწას. როგორ? აქ არის რუსთაველის გამონათქვამის ახსნაც. ადამიანმა სხვას რომ წაგლიჯა, დაიმსახურა გაჰ—ენის წყრომა და მოაკლდა მადლი, ენ—ერ—გია (ეს სიტყვა კანონზომიერად გვევლინება ამ შემთხვევაში. „ენ" — ანუ ენის მცნება უნდა დაიცვა, მაშინ ხარ ერი მარადიული და გაქვს ენერგია, რგიათი მარგებლობა ის რაც გეორგიანელებს აქვთ).

რა თქმა უნდა, ენერგია, შუქი ძ—ალი ღმერთის ალი, როცა არ გასცა, მიითვისა ერთის, დააკლდა ამ ორ ნაკვეთს, დაახლოებით ერთი მთელი სამი მეათედი ერთეულით. რატომ? ვთქვათ, ორივე ნაკვეთს ჰქონდა თითო—თითო ერთეული ენერგია. მაგრამ უფლის მიერ ერთი ერთეული სხვაზე იყო გამოყოფილი. ამიტომ მან ისევ მისი დოზა მიიღო. და ისიც შემცირებული, დაახლოებით 0,3 ერთეულით, რადგან კი არ გასცა, პირიქით, წაგლიჯა სხვას ერთი ერთეული. ეს ერთეული კი განუზომელი სიუხვის მომტანი იყო იმ სხვისათვის, რადგან ის ერთი გასცემდა დღენიადაგ. მიითვისა ათასის და ახლა უკვე ათას—ჯერ დააკლდა ეს ენერგია მას, იგი მის ნაკვეთსაც აღარა აქვს.

ჩვენ ვიცით, თანაბრად არის გაყოფილი ოთხივე კომპონენტი: წყალი, ჰაერი, მიწა, ენერგია. შემცირდა ენერგია და ადეკვატურად შემცირდა ჰაერი, წყალი, ეს ორივე ასევე განაპირობებს მიწის მოსავალს (არა აქვს მოსავალი და ცდილობს ადამიანი მიწა გაამდიდროს ქიმიკატებით. მონოკულტურებისთვის იყენებს შხამქიმიკატებს. ეს და მოსავლის შემცირება აბინძურებს ჰაერს.). დადგენილია: იქ, სადაც ჰაერი დაბინძურებულია, რამდენჯერმე ეცემა მოსავალი, აღარ არის ნარგავები და მცირდება ჟანგბადი, წყალიც. ეს უკანასკნელი მცირდება, რადგან გამოფიტული მიწა ვერ იმაგრებს წყალს, ნიაღვარი კი ფიტავს, რეცხავს გრუნტს და იმას, რასაც სიუხვე, ჰარმონია უნდა მოეტანა, მიწის გამოფიტვა, ეროზია მოაქვს. არის მტვრის კორიანტელი. ჰაერის კიდევ მეტი დაბინძურება.

ამგვარად, ვთქვათ, ერთ სოფელში ჰქონდათ 1000 ერთეული ენერგია, ეს იმდენი სიუხვე იყო, რომ უსასრულოდ შეეძლო გაეცა ათასივეს (ამიტომაც ასვენებდნენ მიწას 4 წელიწადში სამჯერ საქართველოში). ახლა, როცა ერთმა 1000—ის მიითვისა, ენერგია დააკლდა 1000—ჯერ და არამცთუ სხვისი მიწები, თავისი მიწაც არ აძლევს მოსავალს და მალე იქცევა ეს მიწა უდაბნოდ (ის რაც ისრაელს დაემართა, როცა ებრაელები განიდევნენ იქიდან, ან დღეს რომ ხდება — თითქმის მიწების ნახევარი მსოფლიოში ეროზირებულია). აი მიზეზი ყველა არსებული პრობლემისა.

არა მარტო ეს ოთხი კომპონენტი — ფიზიკური საზრდო აკლდება ადამიანებს, შესაბამისად აკლდება ოთხი უმაღლესი ზნეობრივი განზომილება:

— სიკეთე, რომელიც მიწის სინონიმია (ანუ ადამიანი აღარ ყოფს).

— სიყვარული, რომელიც ჰაეროვანია და ჰაერის სინონიმია;

— ძლევამოსილება მშვენიერებით წყლის სინონიმია, იგი სასიკეთოდ იხარჯება, როცა არის პირველი ორი, მაშინ არის წყალობა და შენც გასცემ, შედეგად მშვენიერებაა. ჰარმონიაა ირგვლივ და ხარ ძლევამოსილი, როგორც ყველა იბერიელი, ქართველი, ებრაელი, ჩეჩენი და სხვა. ხოლო თუ ბოროტება ბუდობს სიკეთის მაგიერ, სიყვარულის მაგიერ დაპირისპირებაა, მაშინ სტიქიური მოვლენებია და მას შეუძლია ყველაფერი წალეკოს — რათა დაამარცხოს ბოროტი ისე, როგორც არაერთგზის. სამყაროს ისტორიაა ამის მაგალითი. ხოლო აზროვნება —სიბრძნე, რომელიც ენერგიის სინონიმია, არის ძალაური — ბიბლიის, ენის გარეშე, ანუ ცოდნის — რწმენის გარეშე არ არის სიბრძნე — ანუ ენერგია, მადლი. თუ დაეუფლები უზენაესის სიბრძნეს, გაქვს იბერიული დემოკრატიული მიწათმოქმედების წესი, ანუ სირცხვილია უზნეობა, არის იმდენი ენერგია ბარაქისათვის, რომ მას მადლს ეძახიან ისე, როგორც საქართველოშია. ეს განზომილება იმდენივე დოზით არის, რა დოზითაც ზეობს სიბრძნე ბიბლიისა და ენის მცნებათა დაცვა — ენერგია, ანუ არის სიყვარული ჰაერივით სუფთა, სიკეთე, წყალობა, მიწა უგემრიელესი ნაყოფით, მშვენიერება — ძლევამოსილება. ამ თვისებათა მატარებელი არიან „ვეფხისტყაოსნის" გმირები და სრულიად საქართველო.

აი რა საყოველთაო ბარაქა, სიუხვე—ჯანმრთელობის ელექსირი, აკლდება კაცობრიობას, თითოეულთა უმწეობის გამო — იკარგება იმდენი მადლი—სურსათი, რომელთა დათვლაც წარმოუდგენელია.

## ზრუნვა შთამომავლობისათვის

დედამიწა შეხინის ხელშეწყობით იძლეოდა უსაზღვრო ფიზიკურ საზრდოს, რათა განემტკიცებინა იბერიელთა ზნეობრივი ქცევა ანუ ყოველივე ზედმეტი გაცემა. იცოდა ქართველმა ზეციური დედის მზრუნველობა ყველა სულიერზე. იცოდა, რომ გაცემაში, მოძრაობაში სხვათა ზრუნვაშია, სამყაროს მუდმივმოქმედების არსი, ასწავლი სხვას გაცემას, გასცემ და ისიც გასცემს. უხარია უზენაესს ზეცაში და უფრო მეტს გიგზავნის.*

აი, აქედან გამომდინარეობს მეორე თვისებაც — ზრუნვა შთამომავლობისათვის სულიერად უნაკლოდ აღზრდისა, რაც სიბრძნის გაცემით იწყება. მატერიალური ბაზაც სოფლის სარეზერვო მიწიდან გამოეყოფოდათ ახალშეუღლებულთ. მშობლები დაასახლებდნენ მათ სოფლის ხელშეწყობით — ხოლო უმცროსი შვილი იყო მემკვიდრე მშობლების მიწისა, როგორც იაფეტი ნოეს სამშობლოსი — იბერიისა.

## მამულიშვილობა — დასრულებული ფაზა იბერიულობისა

ამგვარად, აღმზრდელი დედა მისცემდა რა აზროვნებას, ანუ შეაუღლებდა სულიერად ორ დიდ დედასთან — ენასთან და ბიბლიასთან, ამით ჯერ განამტკიცებდა 4 საწყის კოდურ თვისებებს. შემდეგ გადასცემდა მომავალ თაობას მეოთხე დიდ დედას, დედამიწას (როდესაც უფალმა მისცა თორა ებრაელებს, მან ერთადერთი გარანტი მოსთხოვა რომ ყოველი თაობა შვილებს შეასწავლიდა მას.), მაშინ გაყოფით გამოყოფილ მიწაზე შეიქმნებოდნენ ისინი მიწათმოქმედად. ყველაფრის ბაზისი ჰქონდათ მათ, რომ მიწა მამულისთვის მცნებების დაცვით მოევლოთ, დაეცვათ ექვსი იბერიელთა საყოფაცხოვრებო თვისებები. მიწაც, როგორც მშობელი, უკემრიელეს მარგებელ საკვებს აძლევდა, ამიტომაც ერქვათ მეტად საამაყო სახელი მამულიშვილი, ანუ მიწათმოქმედი — გეორგიანი. ეს იყო დასრულების ფაზა ქართველად—ქართველობად ჩამოყალიბებისა. სხვაგან არსად ასე არ იზრდებიან. ეს ათი თვისება, გენეტიკა არ გადადის, ამიტომ კაცად, ქართველად, მიწათმოქმედად მიწის შვილად ჩამოყალიბების სიტყვა — მამულიშვილი — არსად არ ჰქვიათ. არც ერთ ქვეყანაში

მიწის შვილობა მათ აზროვნებას განსაზღვრავდა. მიწა ცვლიდა აღმზრდელ დედას და ტყუილად არ არის ჩვენში გამოთქმა „დედის რძესავით შეგერგოსო" — ერგებოდათ კიდეც. საერთოდ დედაშვილობა ჩვენში უმწიკვლო, უდიდესი სულიერი სიყვარულითაა, ზნეობითაა და, როცა ამ ზნეობას ახორციელებ, გაქვს ცოდნა, ღირსი ხდები გქონდეს სულიერი მიჯნურობა ზეციურ მღვდლობით არსთან.

როგორც რუსთაველიდან ვიცით, სულიერი შეუღლების, ქორწილის ღირსი მასთან მაშინ გახდები, როცა შეასრულებ შეხინის, სულიწმიდის, თინათინის მოძღვრებას: გაიტანო ცოდნა, დაეხმარო ტარიელს, ფრიდონს, გახდე მედიატორი, ანუ შეაერთო სხვადასხვა ჯურის, აზროვნების ხალხი და შეუწყო ხელი მესიის გამოვლინებას.

ჩვენ ვიცით, ამ ორი თვისების გარდა მესამე ისტორიული თვისებაც ქართველთა, ლტოლვილთა შეფარება, ხოლო დევნილნი, სხვა მწეობის, არამიწათმოქმედნი იყვნენ. რომ არ ეგრძნოთ მათ ობლობა, (რადგან სხვაგან მიწა წაართვეს) მათაც ეძლეოდათ მიწა—მამული იმდენი, რამდენიც ყველა ქართველს.

*ასე ააგო უფალმა სამყარო, რომ უნდა გასცე. აბა წარმოიდგინოთ ადამიანი, რომელიც ცდილობს არ გასცეს სახლში ან ორგანიზმში დააგროვოს საკვები. პირველ შემთხვევაში აყროლდება იგი. თუ ჭამას დაიწყებს ზედმეტი არაფერი არ ვარგა და თუ სიხარბის გამო ისიც არ გასცა მეორეული პროდუქციის სახით, რაც მიწის ნაყოფიერებისათვისაა, მაშინ ხომ სიკვდილი გარდუვალია. ამიტომაა, რომ გასცემ საუკეთესოს, სხვაც გასცემს. და მეჯიბრია, ვინ უფრო კარგს, საუკეთესოს გასცემს და ამით მოიწონებს თავს, ეს არის დიდი სიამოვნება მისთვის — ვიდრე წართმევა. შედეგად სახარებიდან ვიცით, რომ მაცხოვარი ათასობით კაცს აპურებს იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება ვინმე, ვინც უკანასკნელ ლუკმას გაიღებს. ასეთები იყვნენ საქართველოში. მათ სტუმრისთვის, დევრდომილისთვის არაფერი ენანებოდათ.

ამგვარად, არ იყვნენ ქართველი დედის შვილნი, მაგრამ ავანსად ენიჭებოდათ მეტად საამაყო სახელი მამულიშვილი და ხდებოდნენ ისინი ქართული მიწის შვილნი. ჩვენი მიწაც, ქართველთა სოფლის ხელშეწყობით, მაშინვე აგრძნობინებდა დედობრივ, ქალურ სითბოს უგვმრიელესი ნაყოფით. ჰქონდათ ქართველებზე ნაკლები გადასახადი. აქ არის ახსნა ასიმილაციის, ანუ ქართველობაზე, გზნებაზე მოქცევისა — რამაც შეუნარჩუნა საქართველოს სახელმწიფოებრიობა და სიკეთის მარადიულობა.

მამულის დედობრივი სითბო მოსულთა ოჯახის დედებში აღიქმებოდა ალალ ნაყოფად, ალალი დედის რძე, საქართველოს მიწის სურნელი გადმოდიოდა. ამ მიწას კი მოსავლელად, მოსაფერებლად, სასიმღეროდ ქართული ენა უდგებოდა. პირველადი ენა, იავნანა და ათი თვისება ქართველთა აბრუნებდა მათ წინაპრების წიაღში. ქართველ დედათა უპირველესი საშინაო წიგნი, კონსტიტუცია მათი ქცევისა „ვეფხისტყაოსანი", მათ მზითვადაც იქცეოდა. იგი ენასთან ერთად, სულიერი შეუღლების მედიატორი ხდებოდა ბიბლიასთან, მიწასთან. და დიდი დედის მიჯნურობაც ყალიბდებოდა. გადმოდიოდა მათშიც ღმერთის, მოყვასის უზომო სიყვარული ცხოვრების წესიდან გამომდინარე.

ამგვარად, მამულიშვილი იგივე ქართველი ერის კონსტიტუციური სიტყვა იყო. ამ სიტყვით მოსულთ ეძლეოდათ სრულფასოვანი მოქალაქეობის უფლება და საშუალება, სიყვარულით გაჯერებული სტუმართმოყვარეობა, სითბო, ასევე სიყვარულით და სითბოთი გაეცათ. ისევე შეეყვარებინათ ყოველი გოჯი მიწისა, მამულისა — ქართველობა, მისი გზნება და ღმერთი, რომ მზად ყოფილიყვნენ უანგაროდ შეეწირათ სიცოცხლე ღმერთისათვის, მამულისათვის, სამშობლოსათვის.

მამულიშვილი — აი, სიტყვა, სადაც დევს სიკეთის, იბერიული მოდგმის სულიერი პროგრამის, გენეტიკური კოდის, უფლის ათი თვისების მარადიულობა და დაუმარცხებლობა. იგი სიტყვა — მიწათმოქმედების სინონიმია.

საერთოდ, როცა უფალმა შექმნა სამყარო, შექმნა ცხოველი, მცენარე და ა.შ. ყველაფერზე თქვა კარგიაო, ადამიანზე არ უთქვამს, ეს, იმიტომ, რომ ადამიანმა ეს კარგობა თვითონ უნდა დაიმსახუროს. მან მთავარი ადამიანის ამროენების, კარგობის პროგრამა — თორა, ესა გადასცა ადამიანს. ჯერ ენა უარყვეს, დღეს თორას უარყოფენ, ის რითაც შექმნა უფალმა სამყარო და განა კარგია ეს? სამყარო ხომ არ არის ისეთი ჰარმონიული, როგორც უფლის მიერ არის განსაზღვრული. ქართველთ კი აქვთ, თორაც და ენაც შენარჩუნებული.

ერთიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლოში თქვა უფალმა: ყველაფერზე ძალიან კარგია ანუ მისი გეგმით თორა, ენა ეს სულიერი დედები გაამარჯვებინებენ სიკეთეს.

ბიბლიით ვიცით: შვილებს ჯერ დედა არქმევს სახელებს, ანუ აძლევს ღმერთის მიერ მოცემულ თორის — ენის ცოდნას. შემდეგ იგი ირქმევს სახელს. სიკვდილის შემდეგ კი, ხალხი, შთამომავლობა არქმევს ადამიანის გარჯას სათანადო სახელს, საქმენი არიან ადამიანი და არა ჩინმედლები, რითაც აჯილდოებენ მათ ბოროტების მესვეურნი. ეს საქმენი კი მაშინ არის უკვდავი, თუ სრულფასოვნად აღასრულე შენი სიცოცხლის მანძილზე ათივე თვისება. და დანარჩენი თვისებებიც, რომელნიც ასევე სრულდება ამ ათი თვისების აღსრულებისას. შენც და შენს მიერ შექმნილი მიკრო სამყარო უკვდავია შენს შთამომავლობაში — შენს ერში.

რა თქმა უნდა, აღნიშნული ათი თვისება, თუნდაც უდიდეს წმინდანთა, უსასრულოდ, ძალიან შორსაა იმ დოზასთან, რაც უფლის მიერ ელინდება ჩვენს მიმართ. ის ჩვენთვის სულს არ იშურებს, განა ჩვენ შეგვიძლია არ დავიშუროთ სული მოყვასისათვის. ამავე დროს, მისი ენერგიის გარეშე ხომ არარაობა ვართ ჩვენც და ჩვენთვის შექმნილი სამყაროც. მან ხომ ამხელა სამყარო ჩვენთვის შექმნა. ჩვენ კი მის მიერ მოცემული ზედმეტის გაცემაც გვენანება. როცა ვიცით, რომ უფრო მეტს გამოგვიგზავნის გულუხვობის გამო, სიყვარულის გამო, მის თვისებათა თუნდაც სულ მცირე პროცენტის აღსრულების გამო. ამგვარად, უფალი ადამიანზე მაშინ იტყვის კარგიაო, თუ ის დაიცავს ბიბლიის, დედა—ენის მრწამსს და 613 მცნებას.

თითოეული ამ თვისების აღსრულებისათვის, ალბათ, კარგს იტყოდა უფალი ჩვენზე, ხომ მშვენიერი ჰქვია იაფეტს. და იყო კიდევაც იგი ასეთი, ჩვენში იუდეველს ერთი ერთეულით ნაკლები გადასახადი ჰქონდა ხუთი ერთეულიდან, მუსლიმანს ორით. ეს იმიტომ რომ იუდეველნი იბერიელნი იყვნენ. მაშინ ჯერ არ იყო იბერიელი მუსლიმანი. ამიტომაც აქვს იბერიულ გენს, მოდგმას ძლიერება ისეთი, რომ ამარცხებდნენ და დაამარცხებენ ბოროტს, ისე როგორც ამას აკეთებდნენ რუსთაველის გმირები და აქვს ამ მოდგმას მუდმივი მეუფობა იბერია, საქართველოში — როსტევანი. ხომ ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. მაინც რა ცხოვრების წესი იყო და როგორ ჰქონდა საქართველოს ძლიერება, ძლევამოსილება და გამარჯვება, ალბათ, საჭიროა ფაქტების მოყვანა.

## 3.1.3. ძლიერება – ძლევამოსილება და მეფობა

### როგორ მეფობდა და ძლევდა საქართველო – იბერია ბოროტებას

გარდა ბოროტების სურვილისა – ადევაა სიკეთის ციტადელი, ქართული მიწის ბარაქა, საქართველო მუდამ იზიდავდა იმპერიებს, როგორც იაფი ნედლეულის წყარო. უტევდნენ იმპერიები, არაბები, ირანი, თურქეთი და სხვანი და ყოველთვის მარცხდებოდნენ ისინი, რადგან მეფობა ქართველთა, ანუ მეათე თვისება უფლისა გამომდინარეობდა პირველი ცხრა თვისებიდან. მთავარი კი ნოეს ანდერძი იყო რომ ემეფა სიკეთეს – იბერიელთ შემს და იფუკტ ბოროტებაზე პირველადი ენით, რომელიც განმტკიცდა თორით და იქცნენ ისინი საქართველოს კონსტიტუციად.

ქართულ ენასთან ერთად ქრისტიანული რელიგია ერის ერთობის ერთიანი სახელმწიფოს ფუნქციას ასრულებდა. მცხეთის კათალიკოსის ხელისუფლება სრულიად საქართველოს ტერიტორიულ რეგიონში ვრცელდებოდა. ეს იყო მთავარი ნიადაგი ერთიანი ქართველი ხალხის ძლევამოსილებისა. ეკლესიის მხარდაჭერით ბიბლიური დავითის შთამომავალნი და საქართველოს ხალხი ცხოვრობდნენ 10 თვისებით, მცნებით, სიტყვით. ბოროტება ყოველთვის ცდილობდა (დღევანდელის მსგავსად) უზნეობა დაენერგა საქართველოში. უნდოდა შერყვნილიყო ენა და ამას პერიფერიებიდან იწყებდა.

სიკეთით ვეინდოდა გეეძლია და ამიტომაც, ქართველი მეფეები ყოველთვის ცდილობდნენ ჯერ მშვიდობიანი, გონიერი პოლიტიკით, თუნდაც მცირე რეგიონული მნიშვნელობის ომებით, ზავით დადებით, ზოგჯერ ხარკის გადახდითაც საქართველოს ტერიტორიაზე აელაგმათ მასობრივი მოზღვავება იმ ხალხისა, რომელიც კაენის ცხოვრების წესსა და უზნეობას შემოიტანდა. ზოგიერთ წლებში, ქართველი მეფეები დასტურსაც კი იღებდნენ მეფობაზე ირანისა და თურქეთისაგან, მაჰმადის რჯულსაც იღებდნენ. მაგრამ, როცა ისინი გადააჭარბებდნენ თავის უფლებებსა და საქართველოს საქმეებში ჩარევას, მისი ტერიტორიის მითვისებას, ქართველი ხალხის აყრას მოისდომებდნენ, საკადრის პასუხს იღებდნენ ქართველი მეფეებისაგან და კუდამოძუებული უკან იხევდნენ. ასე იყო მეფეების: ლუარსაბის, სიმონისა და სხვათა დროს.

არც პატრიოტი, თავდადებული მეფეები აკლდა საქართველოს და, არც ხალხში ქრებოდა მამულისადმი თავდადება და პატრიოტიზმი. ხოლო როცა უზნეობის მოზღვავება აპოგეას მიაღწევდა და ივსებოდა მოთმინების ფიალა, მაშინ მოიცლიდა ეს კეთილი, უძლეველი, გონიერი ხალხი და, იმარჯვებდა გონიერი ქართული პოლიტიკა. ანუ ქვეყანა იბერიულ დემოკრატიული, რეგიონალური კუთხეებით მმართველობიდან გადადიოდა ცენტრალიზებულ მმართველობაზე. იბადებოდნენ მეფეებიც, რომელნიც აერთიანებდნენ ჯერ სრულიად საქართველოს, შემდეგ მთელ კავკასიას, ანუ იბერიულ მოდგმას. ძლევდნენ რა მოძალადეებს, პირველ რიგში გონიერებით, შემდეგ კი უამრავი სისხლის ღვრისა და ბრძოლების მეშვეობით, ხარკს უკვე მომხდურებს აღებდნენ. კარგა ხნით მკურნალობდნენ ქართული ცხოვრების წესში შემოჭრილ უზნეობებს, იწმინდებოდა ენა ქართული, ქართველთა ზნეობა. შემდეგ, საქართველო ისევ დემოკრატიულ სამხარეო მმართველობაზე გადადიოდა, იბერიულ კულტურას, კაცთმოყვარეობის ინსტიტუტს აღიდარებდა. რამდენიმე საუკუნის შემდეგ ისევ იწყებოდა ნელ–ნელა მუმლი–უზნეობა პერიფერიებიდან შემოსვლას, ისევ იძალებდა ამირანიევით, გმირი საქართველო და კავკასიის კეთილდღეობისა და სიყვარულის ქართული წესი.

თუ რამდენი საუკუნე ძლებდა ეს წესი, ეს მოძალადეთა სიმრავლეზე, მათი შემოსევების ინტენსიურობაზე იყო დამოკიდებული. დავიწყოთ თუნდაც ფარნავაზის ეპოქიდან. ამ ეპოქამდე ჩვენ ვიცით, რომ მრავალ დევნილს იფარებდა საქართველო. ქართლის მეფენი 6 ენაზე ლაპარაკობდნენ. ზოგმა მათგანმა კერპთაყვანისმცემლობა შემოიტანა. ეს ასუსტებდა სახელმწიფოს ძლიერებას, მხოლოდ მონოთეისტურ საქართველოს წყალობდა უფალი. ამიტომაც, შეიქმნა საჭირო იბერიული ცხოვრების წესის მკურნალობა – მისი კონსტიტუციის პირველადი ენის აღდგენით. საჭირო იყო ერის ერთობა ღმერთის მიერ მოცემული ენის და მის მცნებათა დაცვისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, ძვ. წ. აღ. IV–III საუკუნეებში მოხდა ასეთი გაერთიანება. ამ პერიოდში კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ენა ქართული პირველი შემაკავშირებელი იყო სრულიად საქართველოსი, მისი კუთხეებისა. როგორც „ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცემს, „ფარ-

ნავაზმა განაერცო ენა ქართული და არღარა იმრახებოდა სხვა ენა ქართლისა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული".

რას ნიშნავს ეს ფრაზა? თუ განაერცო ენა ქართული ე.ი. ისევ განმტკიცდა როგორც საქართველოს ყველა რჯულის მოსახლეობის კონსტიტუცია – ქართული ენა. სხვა გარედან შემოსული ენები თავის კერპთაყვანისცემლური მისწრაფებით და უცხო წესი აღარ იყო საქართველოში.* შემდეგი ფრაზა კი „ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული" მიგვანიშნებს რომ მტკიცდება ენის მცნებანი. იწერებოდა ქართლის ცხოვრებაც. ხუთ საუკუნემდე გაძლო მაშინ საქართველომ. ქართული ცხოვრების წესი რომაელთა და სხვათა შემოსევებს უძლებდა. მაგრამ მის გასამყარებლად ისევ გახდა საჭირო მტერთა განდევნა საქართველოს მიწიდან. პირველ რიგში კი ისეთი ძლიერი იმპერიების, როგორიც იყო პართია და რომი. მეორე საუკუნეში საქართველოს მოევლინა ფარსმან მეორე „ქველი". მისი მეფობის პერიოდში საქართველომ ისევ თავის ძლიერების მწვერვალს მიაღწია. ქართველთა მეფის ძლიერებას განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა რომის ხელისუფლება. იმპერატორმა ანტონიუს პიუსმა მეფე ოჯახით საგანგებოდ მიიწვია რომში. რამდენიმე დღის ნადიმის შემდეგ, ქართველებმა და მათმა მეფემ, რომაელებს უჩვენეს ცხენზე ჯირითის უნიკალური ხელოვნება. აღფრთოვანებულმა იმპერატორმა მარსის მოედანზე აღმართა მოჯირითე ქართველი მეფის ქანდაკება.

რამდენიმე საუკუნის შემდეგ, საქართველოს კვლავ დასჭირდა გამაერთიანებელი მეფე ვახტანგ გორგასალი. შემდეგ, IXსაუკუნეში, ბაგრატ III. ისევ დაახლოებით 100 წლის შემდეგ, დავით აღმაშენებელი. 30 წლის შემდეგ – გიორგი III და თამარი. 200 წელი გაძლო ამ მეფეთა მოღვაწეობის შედეგად აყვავებულმა, ცხოვრების საკუთარ წესზე მდგარმა საქართველომ. და, კვლავ დასჭირდა ერს გაერთიანება, მკურნალობა ქართული ცხოვრების წესსა და მოავლინა უფალმა გიორგი ბრწყინვალე. დავით აღმაშენებლისა და სხვათა დარად, მან ჯერ საქართველოს გაერთიანება დაიწყო. სრულიად აღადგინა ცხოვრების ქართული წესი, სოლო შემდეგ, მთელი კავკასია გააერთიანა. ისევ მოისრნენ, დამარცხდნენ მომხდურნი, აღდგა სრულიად საქართველო „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე". ისევ დაიწყო უდიდესი კულტურული აღმავლობა. თუმცა ცდილობდნენ რელიგიური დაპირისპირებები მაინც გაეღრმავებინათ რომის პაპმა იოანე XXII და კარდინალთა საბჭომ კათოლიკობის საქრისტიანო კათედრა ქ. სმირნიდან თბილისში გადმოიტანეს და საკათედრო ტაძრის აგებაც გადაწყვიტეს.

საქართველოსა და კავკასიის გაერთიანების პერიოდი ისე არ უნდა გვესმოდეს, თითქოს საქართველო მხოლოდ მახვილით იბრძოდა. იგი იბრძოდა გონიერი, კაცთმოყვარე, ურთიერთმოყვარე პოლიტიკითაც და ამით უფრო მეტს იგებდა. იგი მხოლოდ ტერიტორიებს იბრუნებდა, არასდროს არ ცდილობდა სხვის მითვისებას. მისთვის ერთნაირად მისაღები იყო ყველა რელიგიისა და ყველა მრწამსის სახელმწიფო, სალხი. ხელს უწყობდა, რომ კავკასიის ყველა ხალხს დამოუკიდებლად ემართა თავისი ქვეყანა და სიყვარულით ყოფილიყვნენ საქართველოსთან დაკავშირებული. ამიტომაც ეჭირა მას სულიერი ლიდერის როლი მთელს კავკასიაში, აზიასა თუ ევროპაში.

ყველგან სალხი იყო მადლიერი ქართველისა, რადგან ქართველი მათ მხოლოდ ათავისუფლებდა, სიკეთე, სიყვარული, ცოდნა შემოჰქონდა. შესანიშნავად აღნიშნა ეს ფრანგმა სამოგზაურო მოღვაწემ რ. ჟანენმა, 1921 წელს, თავის ნაწარმოებში – „ქართველები იერუსალიმში". აღმოსავლეთის ეკლესიებში საქართველოს ეკლესია უსათუოდ ერთი უწარჩინებულესთაგანია, არა მარტო იმ წმინდანებითა და მეცნიერებით, რომლებიც მან წარმოშვა, და სასულიერო ხელოვნების ნამოქმედარით, რომლის ზოგიერთმა ძვირფასმა ნიმუშმა ჩვენამდე მოაღწია, არამედ თავისი ბრწყინვალებითა და ზეგავლენით მრავალ უცხო ქვეყანაში რომ მოიპოვა და, აგრეთვე, მუდმივი ბრძოლით, ყოველთვის რომ აწარმოებდა თავის შვილთა სარწმუნოების დასაცავად. მისი ეს ბრწყინვალე სხივოსნობა თვალსაჩინო შეიქმნა განსაკუთრებით ბიზანტიის იმპერიის საზღვრებში, უფრო მეტად კი მთაწმინდასა და პალესტინაში. საშუალო საუკუნეთა რამდენიმე ასი წლის განმავლობაში მას სახელი გაუთქვა მისმა სამხედრო ძლიერებამ, საზღვარგარეთ გაფანტული ასობით ბერ–მონაზვნის სათნოებამ, სასულიერო საქველმოქმედო დაწესებულებებსა და მისი მწერლების სამწიგნობრო და სასულიერო ღვაწლმა...

*რომ საქართველო მუდამ მონოთეისტური იყო ამას ასაბუთებს ვახუშტი ბაგრატიონი. (ქართლის ცხოვრება.) თვითონ იბერიული ცხოვრების წესი აკ. ი. დავიდი და სხვა. ეს ყოველივე წინა მასალაშია. ჩვენ შევეცდებით მალე გამოვაქვეყნოთ ისიც.

ინებოს ღმერთმა და წარსული დიდების ხსოვნამ შთააგონოს ქართველებს, რათა დაიბრუნონ ის საპატიო ადგილი, რომელიც მათ უნდა ეკუთვნოდეს ქრისტეს მიერ მსოფლიო ეკლესიის წიაღში.

გავიხსენოთ როგორ იხსენიებს აღიარებულსა და უდიდეს პოლიტიკოსს გიორგი ბრწყინვალეს, ეგვიპტის სულთანი. „... სახელოვანი და სახელგანთქმული, მამაკაცი, უშიშარი, ძლიერი, ლომი, ტახტგვირგვინის მპყრობელი, მართლმადიდებელთა შორის საუკეთესო, რომისა და ირანის ქვეყნების დამცველი ქრისტიანთა საყრდენი, რომის პაპის მეშველი, მუსლიმანთა მეგობარი, სულთანთა უგულითადესი მეგობარი..." და სხვა.

უფრო ადრე კი თამარ მეფეს შემდეგნაირად მოიხსენიებდა იმდროინდელი სამყარო: „მშვიდმართობელი დედოფალი, ყოველისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, ჩრდილოეთისა და სამხრეთისა; მზეთა მზე და დედოფალთ დედოფალი, მარავანდედთა შორის უმეტეს ამობრწყინებული" და სხვა. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ ირანის კარზე, თეირანში სწავლულთა და წარჩინებულთა სალაპარაკო ენა ქართული იყო. ყოველივე ამ საქმეში საქართველოს უფალი ეწეოდა.

აქ ამ მიწაზე ახლაც ყველაზე მაღალი და ასაკოვანი ხეები იცის. ასეთი ხეები მხოლოდ რუსთაველს აქვს აღწერილი. სხვაგან ვერ შეხვდებით ვერსად. ამიტომაც განსაკუთრებული სისასტიკით იჭრება დღეს ისინი – ბარბაროსი ხელისუფლების ნებით. თუ როგორ ერეოდა საქართველო მომხდურებს, მღრღნელებს, მატლებს, კარგად ჩანს ქართულ სალხურ სიმღერაში „მუმლი მუხასა".

„მუმლი და მუხასა პე
გარს ეხვეოდა პე
მუმლი და წყდებოდა პე
სე არ ხმებოდა პე
მუხა და დამძიმდა პე
წყალში და ჩავარდა პე
წყალი და შევუბდა პე
ნაპირს და გადეიდა პე
მუმლი და დაიხრჩო პე
მუხა და გადარჩა პე".

ამ სალხურ სიმღერებში ჩანს საქართველოს ბედი. აქ წყალი მუხისათვის – საქართველოსათვის წყალობაა. მისი მტრებისთვის, მატლებისთვის, მუმლისათვის, იგი უზენაესის ნებით რისხვაა, დახრჩობაა.

გიორგი ბრწყინვალის შემდგომ, 100 წელი, საქართველო იყო ერთიანი და ძლიერი. ცხოვრებამ მოიტანა და 100 წლის შემდეგ საქართველო 7 ნაწილად, 3 სამეფოდ და სამთავროებად დაიყო, რათა მხარეებს თვით დაეცვათ თავი, აღორძინებინათ ეკონომიკა, ენა, მამული, სარწმუნოება და ერთიანი საქართველოს კულტურისა და ეკონომიკის მოძლიერებაში თავისი წვლილი შეეტანათ. სწორედ ასეთ საქართველოს იხსენებს აკაკი და მოუწოდებს ერს გამოღვიძებისაკენ: „შვიდ სამთავროს მოგვაგონებს მოელვარე ის შვიდფერი და გვანიშნებს, არ მომკვდარა, გაიღვიძებს ისევ ერი". მისტიროდა იმ დროს იმიტომ, რომ სწორედ მაშინ, ცოტა მოგვიანებით, XVII საუკუნეში, ქართველებმა რუსეთთან მეგობრობაზე დაიწყეს ფიქრი.

სხვათა შორის ამ იბერიულ ცხოვრების წესს თვითონ მხარეებიც არეგულირებდნენ. როცა ძალიან გაუჭირდებოდათ და გაერთიანება საჭირო იყო, ისინი თვითონ იკრიბებოდნენ მეფის ირგვლივ. პირიქითაც ხდებოდა. იყო დრო რომ მეფეებიც ცდებოდნენ. ხანდისხან ეგონათ, ბიბლიური სოლომონ მეფის დარად, ერთიანი მმართველობით მეფობა უფრო წაადგებოდა საქმეს.

მაშინ მხარეები არ ემორჩილებოდნენ მეფეს არა იმიტომ რომ არ ცნობდნენ მას, პირიქით, მისივე და სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის ხდებოდა ეს, რათა არ დარღვეულიყო პირველკაცობის ინსტიტუტი. ყოფილიყო ერთობა და მცნებების დაცვა. დემოკრატიული მმართველობა ქვემოდან ზევით. როცა ყველა, მეფეც და გლეხიც პირველი იყო თავის საქმეში. ისინი ემსახურებოდნენ ურთიერთს და შემდეგ ღმერთს.

ასე, მაგალითად, გიორგი VIII ცდილობდა გიორგი ბრწყინვალეს შემდეგომ ერთიანი მმართველობა გაეგრძელებინა. დაიწყო ჩარევა მხარეთა საქმეებში. ეს კი მხოლოდ ეკლესიის საქმე იყო. მთავარი იყო რომ მათი წირვა – ლოცვები მიმართული ყოფილიყო ერთიანობისაკენ და მეფის ხელისუფლების განმტკიცებისკენ. გიორგი VIII მრავალი შეტაკება ჰქონდა

ამის გამო სამცხის მმართველთან ყვარყვარესთან. ყვარყვარემ ამის გამო წირვა — ლოცვებიც კი შეწყვიტა მეფის და სახელმწიფოს ერთიანობისათვის, რომელიც ისევ მხოლოდ ეკლესიის ჩარევით აღდგა. ხოლო როცა საქართველოს დასჭირდა გაერთიანება საერთო მტრის ოსმალებთან საბრძოლველად, მაშინვე შეიკრა გიორგი მერვეს ირგვლივ მთელი საქართველო, მათ შორის ყვარყვარეც (ჩვენ ვიცით ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ არ შედგა, მაგრამ მთავარი აქ ფაქტია. შემდგომ როცა გიორგი VIII არ ისვენებს, ყვარყვარე ატყვევებს მას. და როცა გაათავისუფლებს, იგი შეიქმნება საქართველოს ერთ–ერთი რეგიონის კახეთის მეფე. მან შესანიშნავად გაართვა თავი კახეთის მეფობას და ამ კუთხის დიდად განვითარებას აღნიშნავს მემატიანე.

გასახსენებელი კიდევ მრავალია. მათ შორის ნიშანდობლივია ერეკლე მეფის ეპოქა. ჯერ იყო და იმერეთის მეფე სოლომონი ცდილობდა რომ ერთიანი საქართველო კვლავ აღმდგარიყო. შემდეგ კი მისი სიკვდილის მერე ამას შეეცადა მთელი დასავლეთ საქართველო. მათი წარმომადგენლობა ესტუმრა კიდეც ერეკლეს, რათა დაედგა თავზე ერთიანი საქართველოს გვირგვინი. მაგრამ, როგორც ვიცით, მაშინ გონიერება დააკლდა მეფეს. არ დაუჭირა მხარი დარბაზის უმრავლესობას. მოექცა ის მოღალატეთა გავლენის ქვეშ და საქართველოც გაიწირა. ჩვენ ვიცით ამის საწყისი ქართველთა კონსტიტუცია იყო,ხოლო ვახტანგ VI შერყვნა წმინდა ქართული სამართლის ძეგლები ბიზანტიის სამართლით.

ამის გამო იყო რომ საქართველო, ვახტანგ VI–დან მოყოლებული, აშკარა რუსულ ორიენტაციას დაადგა. ეს იყო შეცდომის დასაწყისი. რას იზამ, როცა იარაღით ვერ ვერევიან, ცდილობენ, გონიერებაზე ცბიერებით გაიმარჯვონ. მართლაც, მომხიბვლელი ჩანდა ძლიერ, ვითომდაც ქრისტიანულ რუსეთთან ერთად ბრძოლა ქრისტიანობის გავრცელებისათვის, სიკეთის გამარჯვებისათვის. ამიტომ ამ უგანათლებულესმა მეფემ, როგორც თავის დროზე, გაჭირვების ჟამს, სხვა მეფეებმა, კულტურული აღზევება კი დაიწყო, მაგრამ ტრადიციული ქართული პოლიტიკა დაივიწყა. საქართველოს ბარაქიანი ეკონომიკა, მისი ძლევამოსილება, სრულ გარანტიას აძლევდა, გაერთიანების შემთხვევაში ისევ აღედგინა მის პერიფერიებში ქართული ცხოვრების წესი; გადაერჩინა საკუთარი თავიცა და კავკასიაც იმპერიული დამპყრობლებისაგან.

აი, ეს მეფობა ძლიერება და დანარჩენი 8 თვისება იყო დამახასიათებელი ქართული გენისათვის. ეს თვისებები დღესაც ჩვენი გენეტიკაა. ამიტომაც დაუმარცხებელია სიკეთის ციტადელი და გაიმარჯვებს იმ სცენარით, რაც „ვეფხისტყაოსანშია" აღწერილი.

გაიმარჯვებს, რადგან სამყაროს და დედამიწის ქმედება უფალმა მისი თვისებათა ანალოგიით შექმნა. შემდეგ ასეთივე ანალოგიით ჩამოაყალიბა იბერიული მოდგმა.

როგორც წყალთა კრებულს ჰქვია ზღვა და ის დიდი მდინარეებით ივსება, ასევეა ებერ–იბერ–ივერი, უფლის ნებითაა გენეტიკურად სულით წმინდა, ღიდგვაროვნებით შეკუმშული, რათა წარმართონ სხვა გვარებიც, შეერწყან ურთიერთს და იქცნენ ერთ წმინდა კამკამა კუთხედ. ამ კუთხეების ნაკრები ქმნის იბერთა მოდგმას, ისევე როგორც მდინარეები — ზღვას. ასეთი კუთხეებითაა შექმნილი საქართველო, ისრაელი და არიან ზღვასავით გამცემი და როგორც ზღვაა ერთიანი და მარადიული, ასევეა იბერიელი მოდგმა.

დასტურად გაცემის გარდა ზღვის ფუნქციონირებაც გავიხსენოთ. მისი წყალობით სარგებლობენ, აბინძურებენ მას. აგვისტოს ბოლოს კი აბობოქრდება ზღვა, მოისვრის ჭუჭყს და კამკამა რომ გახდება, მერე დაწყნარდება. განა ასე არ მოდიოდა დღევანდლამდე საქართველო? ხომ პერიფერიებიდან იჭრებოდა ჩვენში ჭუჭყი, უმნეობა. ვერთიანდებოდით ყველა ჯვარი, კუთხე–წყლები, ვბობოქრობდით, ვამარცხებდით, ვისროდით იმპერიებს — წამრთმეველთ, ისე როგორც ჭუჭყს. აღვადგენდით ენის საფუძველზე წყალივით კამკამა, ზღვასავით, მიწასავით ბარაქიან იბერიულ ცხოვრების წესს.

ბოროტება კი გვავიწყებს ჩვენს ისტორიულ წარსულს. ვითომ სხვა ხალხზე დამოკიდებული ვიყავით და ახლაც სხვამ უნდა გვმართოს.

## მდიდარი, პატივცემული ბრძენი და გმირი მხოლოდ იბერიელია

ჯერ საქართველოს, ქართველ ხალხს ენა, ბიბლიის რწმენა, ცოდნა აქვს. ეს იმიტომ, რომ ქართველთა გენეტიკაა გაყოფა, ამიტომაც მადლი, ენერგია, სიკეთე და მიწის ბარაქა — საყვარული და ჟანგბადი, წყალი ამ ქვეყანას არ აკლდება.

ამგვარად, რას ნიშნავს ქართველობა, ქართულად მიწათმოქმედება, პირველ რიგში, გაქვს უფლის ათი თვისება, შესაბამისად გაქვს მადლი და სიბრძნე და ხარ ბრძენი, გაქვს მიწა, მისი ბარაქა და სიკეთე და ხარ მდიდარი, გაქვს ჰაერი, სიყვარული და ხარ პატივცემული, გაქვს წყალი — ძლევამოსილება, სილამაზე, ნიჭი, ჭკუა, ჯანმრთელობა ჰარმონიული თანაარსებობა და ხარ გმირი როგორც კაცი, ასევე ერი. ამიტომაც ხარ მეუფე სამყაროსი, ანუ გაქვს მეუფობა.

ნოეს ანდერძი— მეუფობა ერისა რომ სრულდებოდა ეს ვიცით წინა მასალიდანაც. კერძოდ დასტურდება რომ წმინდა მიწის ფაქტიური პატრონი ჩვენ ვიყავით, I –დან XVII საუკუნეებამდე, ე.ი. ჯერ იყვნენ ებრაელნი, ჩვენ შევენაცვლეთ ეხლა კი ისევ ებრაელნი — იბერიელნი პატრონობენ მას და წარმართავენ გეოპოლიტიკას სამყაროში. ვეფხისტყაოსანშიც ხომ ასეა. ჯერ ტარიელია წარმოჩენილი, შემდეგ ავთანდილი მეფობს, როცა ტარიელს უჭირს. ბოლოს კი მისიის მოვლინებამდე უფროსი ძმა განკარგავს სიტუაციას.

ათი თვისება რომ ქართველთა გენეტიკური კოდია, ამის დასტურია დღევანდელი სამყარო. ამდენი ენერგია, მადლი, ანუ ამდენი ბიომასა და ასეთი გემრიელი ნაყოფი არავის არა აქვს.

დასტურად ისიც გამოგვადგება, რომ მარტო ჩვენი გრუნტის წყლების 20 პროცენტი მსოფლიოს დეფიციტს შეავსებს. გრუნტის წყლებით კი მაშინ ხარ მდიდარი, როცა მიწა მდიდარია ჰუმუსით და ბიომასით. ხრიოკ მიწაზე კი წყალი არ კავდება და ყველაფერს ლექავს.

ამგვარად, ამ გენეტიკურ თვისებათა გამო, მთელი მსოფლიოს მადლი წყალი—წყალობა ჩვენი და კიდევ ისრაელის მიწაზეა გადმოფრქვეული. თუ რატომ გვაძლევს ამ ბარაქას თინათინი, შეხინა, ესეც ნაწინასწარმეტყველევი აქვს რუსთაველს. ხოლო ისრაელში წმინდა მიწაზე გუგუნებენ სალოცავები. სხვაგან კი არა აქვთ ენერგია, მადლი და არც ჟანგბადი აქვთ. დაბინძურებულია ჰაერი. გაიხსენოთ ამერიკაში 100 ათასი კაცი ყოველწლიურად მარტო ამ მიზეზით იღუპება, მათ კონდიციონერებიც ვერ შველით, რადგან ბირთვული ენერგია, რადიაციის, სიკვდილის მომტანია მხოლოდ. მალე იქ ენერგია, მადლი ნულამდე დავა, რადგან ნულამდე უკვე რწმენა, ცოდნა, სიყვარული, სიკეთე, მშვენიერებაა დასული. დაიკარგება ძლევამოსილება და გადაშენდებიან ბოროტების მსურველი ერები, ანუ განმეორდება ის, რაც კაენის შთამომავლობას დაემართა.

სიკეთის ციტადელი — იბერიული მოდგმა კი გააგრძელებს არსებობას, რადგან უფლის ენერგია, მადლი მარადიულია, ნებისმიერი ადამიანის მიერ შექმნილი ენერგია და იარაღი კი უძლურია. ამიტომ გვებრძვის ბოროტება. შინაგანი მტრების მეშვეობით ჩეხავენ ტყეებს, გენოციდი აქვს მთელ ქართველ ერს, სიკეთის ციტადელს. მაგრამ გენეტიკა — კოდი, ქართული იბერიული სული კურთხეულია, გასხივოსნებულია უფლის მიერ და ამიტომაც დაუმარცხებელია, ხოლო ბოროტება დღემოკლეა.

მთავარი არსი ბოროტებისა არის ისტორიის ყოველ ეტაპზე შექმნას საკუთარი მიმართულება, მიაწოდოს ხალხს საკუთარი მცნებანი, რათა განდიდდეს, გამდიდრდეს, ათასების დამათხოვრებით, შექმნას თავისი თავიდან კერპი და დაიკავოს უფლის ადგილი.

არქმევს ამ მცნებებს მეცნიერებას. ეს მეცნიერებები, რომ დღემოკლეა და დროებითია, ამას გვიდასტურებს ბიბლიაც, „ვეფხისტყაოსანიც" და სამყაროს ისტორიაც.

# 3.2. „მეცნიერება" – საყრდენი ბოროტებისა

„არ მიენდობის გულითა
თუ კაცი მეცნიერია".
რუსთაველი

როგორც ბიბლიის კომენტატორები აღნიშნავენ ადამის გაძევების მერე იგი ასრულებდა ყველაზე მძიმე სამუშაოს, ვიდრე სხვა რომელიმე ადამიანი მის მერე. სამოთხეში პარმონიული ყოფის მერე მას უნდა შეექმნა საყოფაცხოვრებო პირობები რომ ვარსება შთამომავლობას, რომელიც ძალიან დამძიმებული იყო ცოდვებით. როცა ადამმა პკითხა უფალს რამდენი ხანი იქნება დედამიწა დაწყევლილი, მან უპასუხა – როცა მოვა ადამიანი რომელიც წინდაცვეთილი იქნება. ლაპარაკი იყო ნოეზე. ნოეს და მის ვაჟებს ზნეობრივი მიწათმოქმედებით, ანუ მცნებათა დაცვით უნდა აღედგინათ ის, რაც დაკარგა ადამმა.

რატომ იყო ადამის ყოფა ყველა ადამიანზე მძიმე? იმიტომ რომ მისმა ცოდვამ გამოიწვია მის შვილთა ცოდვები და დასჯა. ეს ნებისმიერი მამისათვის და მით უმეტეს ადამისათვის ყველაზე დიდი დარდია. ამავე დროს მას ადარდებდა ის რაც დაკარგა: ჯერ ერთი შეხინა –სულიერი მზე ანუ ადამის სახეს ანათებდა უფლის ნათელი და შეეძლო უფალთან ლაპარაკი. მეორე არის სამარადჟამო სიცოცხლე, ანუ ეს ნათელი ისე ასულიერებდა ადამს, რომ მას ღვთიური სული სამარადისო სიცოცხლეს ანიჭებდა. მესამეა ის ლაპატარაველა სიმაღლეში; მეოთხე — მეტად დაეცა ნიადაგის პროდუქტიულობა, მეხუთე – მიწაზე გაჩნდა სარეველები ეკალი და ნარშავი, რათა გვეწვალა და მეექვსე – დიდი ნათელი, რის გამოც სულ დღე და სითბო იყო, მაშინვე დაიკარგა.

მიუხედავად ამისა ადამის თაობას ნოეს თაობასთან ჰქონდა შემდეგი უპირატესობები: ადამიანები ძალიან ძლიერები იყვნენ. მათთვის ლომები რწყილებივით იყვნენ და სიბერეში მათი ძალა უფრო მატულობდა. არ ბერდებოდნენ, ცხოვრობდნენ დიდხანს და როცა შეცოდეს 120 წელი დაუწესა ღმერთმა. არ იცოდნენ ავადმყოფობა და წვალება. ორმოც წელიწადში ერთხელ თესავდნენ მოსავალი ყოფნიდათ ამდენ ხანს. იყო მუდამ გაზაფხული თბილი ამინდი.

მხოლოდ წარღვნის მერე თქვა უფალმა: „თესვა და მოსავლის აღება, სიცივე და სიცხე, ზაფხული და ზამთარი დღე და ღამე მუდამ იქნება.

აი ასეთი კეთილი იყო უფალი თავის შვილებისადმი და დაინახა მან, რომ ვერ ხედავდნენ ისინი ამას. სთქვეს მათ – რად გვინდა ღმერთი, არ გვინდა მისი შეწევა. იმისათვის კი წყალი რომ მოვიპოვოთ გვაქვს წვიმა, ანუ რაც სიკეთე მისცა უფალმა ადამიანს იმ სიკეთის გამო დაივიწყეს იგი. და თუ რამე აკლდებოდათ განა მცნებებს იცავდნენ რომ ეს ჰქონოდათ, არამედ საკუთარი მუცლის ცხოველური სულის მოთხოვნით ანვითარებდნენ ღვთიური სულის საწინააღმდეგო ქმედებას – მიგნებას, რომელსაც მეცნიერება ეწოდება. პირველი ეს მეცნიერება იყო კერპთაყვანისმცემლობა. რატომ უნდა იყოს ღმერთი ყოვლისშემძლე? რატომ ვილოცოთ მის წინაშე? შექმნეს სპეციალური მეცნიერება კერპთა შექმნისა და ჯადოქრობისა – ანუ იმ მოგვეებისა რუსთაველით კი ქაჯებისა, რომელნიც ჯადოქრობით უფალს უპირისპირდებოდნენ.

მეორე იყო მეცნიერება უზნეობისა, ისინი არღვევდნენ მცნებას განაყოფიერდით და გამრავლდით. ერთს ყველაზე მეტი უნდოდა და ცდილობდნენ შვილები არ გაეჩინათ არ გამრავლებულიყვნენ, ამისათვის ქორწინდებოდნენ მხეცებთანაც კი. მოსამართლენი კი თვითონ იყვნენ უზნეობის მაგალითი როგორც დღეს. ყველა დროში მათი მეცნიერება იურისპრუდენცია აგებულია ადამიანთა კანონებზე და იგნორირებულია უფლის უპირველესი მცნება ნაყოფზე გამრავლების. ისინი იცავენ უფლებებს ყველაზე მეტი ფულიანის, ანუ ვინც გამოყოფილზე კი არა მიტაცებულზე მრავლდება. ამან მოიტანა მესამე ცოდვა ქურდობა. რომ არა ეს ცოდვა უფალი მაინც გულმოწყალეა და არ მოავლენდა წარღვნას, რატომ? ამან მთლად დაარღვია გაყოფით გამრავლების პრინციპი, ყველა მიწების მიტაცებით მოსავლის ქურდობით იყო გატაცებული. დღეს ხომ იგივე სურათია და არც უნდა გაგვიკვირდეს რომ დასჯა მალე იქნება. საქართველოში და სხვაგან სასამართლო და სამართალდამცავი ორგანოები, პარლამენტიც მხოლოდ მიმტაცებელთა უფლებებს იცავს და ცრუობენ, ვითომ ადამიანებისთვის იღწვიან.

ეროვნება იმითაა რომ მათ სამოსახლო ადგილზე უნდა გამრავლდნენ. ხალხები კი მიტაცებით სხვათა დამონებით იყვნენ გატაცებული როგორც დღეს.

სწორედ ასეთმა ქმედებამ განარისხა უფალი. მაინც არ უნდოდა ადამიანის მოდგმის დახრჩობა. წარღვნამდე შვიდი დღე ყოფილა ისეთი რომ ხალხს ეგონა ედემში დაბრუნდნენ. ვერც ამას მიხვდნენ რომ ეს უფლის სასწაული იყო და ყველაფერი მისგან მოდის. მაინც არ მოეგეს გონს. ისიც ცნობილია რომ შვიდი დღე გლოვობდა უფალი მის შვილებს, რომელთაც არ მოისურვეს სიკეთე, სიყვარული ჩვენი მშობელი უფლისა, ამიტომაც მოიყვანა იმდენი წყალი რომ მოხდა წარღვნა.

თურმე დიდი სიკეთე ადამიანს რჩეს უზნეობის მორევში. ამ შემთხვევაში მხსნელად სამყაროს მოევლინა ნოე.

სამ წმინდანზე არის დამყარებული სამყარო: ადამზე, ნოეზე და აბრამზე. ნოეს მოქმედება წარღვნამდე და წარღვნის შემდეგ უნაკლო იყო. კიდობანში მან და მისმა ოჯახმა ერთი წლის განმავლობაში არ იცოდნენ ძილი. ემსახურებოდნენ ყველა ცხოველს. ეს პროცესი იყო განწმენდისაც, რადგან კიდობანი უფლის კარვასით ააგო ნოემ და იქ სიწმინდემ დაისადგურა. კიდობანში წმინდა ცხოველები, რომელსაც შემდეგ ბიბლია ცნობდა ასეთად შვიდ- შვიდი წყვილი შეეყვანა, ხოლო უწმინდური თითო წყვილი დედალ-მამალი. მაგრამ მათშიც წმინდა ზნეობრივი აირჩა, რომელთაც არ ჰქონდა ცოდვა ჩადენილი, იმხელა სიწმინდე იყო კიდობანში.

ნოემ როცა შესწირა მსხვერპლი უფალს, მას შემდეგ დართო მას ნება ეჭამა ცხოველური საჭმელი, რადგან იგი უმწიკვლოდ ემსახურებოდა მათ. (ჩვენ კი ვაკეთებთ ამას, მით უმეტეს ნოემ მხოლოდ ერთხელ გასინჯა ცხოველის ხორცი).

მოეხსნა წყევლა დედამიწას.

სანამ ნოე დაიბადებოდა ცხოველები არ უსმენდნენ ადამიანს. როცა თესავდნენ მარცვალს, ამოდიოდა ეკალი და ნარშავი. ეხლა კი პირიქით მოხდა.

ადამიანს ჰქონდა ერთიანი ხელი, ეხლა კი გამოუცალკავდავთ თითები რათა იოლად ემუშავა. ნოემ შექმნა იარაღები და ჩამოყალიბდა უნიკალური იბერიული მიწათმოქმედების წესი და ამიტომაც დაგვერქვა ჩვენ და მხოლოდ ჩვენ მიწათმოქმედნი. (ერეკლეს დროს ცხოველთ შევიწებაზეც კი სასჯელი იყო დაწესებული).

და ბოლოს, რაც მთავარია, სანამ ნოე დაიბადებოდა მიცვალებულებმა არ იცოდნენ მოსვენება მათი ცოდვების გამო. ყოველ დილას და ღამეს წყლისქვეშა წყლები ამოდიოდნენ საფლავში და აწვალებდნენ მათ. ნოეს შემდეგ, ესეც შეწყდა.

ამგვარად, მიწათმოქმედ ნოეს იბერიული წესით უნდა შეექმნა სამყარო, რითაც ადამიანი ცნობდა უფლის ძალას, მის წესებს და არ დაუპირისპირდებოდა თავისას და შეიქმნებოდა უმრუნველი ცხოვრების წესი. აი ეს წესი და იბერიელნი ჩამოაყალიბა ნოემ იბერია — კავკასიაში სემთან და იაფეტთან ერთად.

რომ მიიღოს სამყარომ ეს წესი მაშინვე მოვა მესია, რადგან ის იქნება ჰარმონიული უდრტვინველი ცხოვრება სამოთხეში.

ბოროტება კი ებრძვის იმ მიწათმოქმედს, რომელიც უფლის კანონებით მოქმედებს. ადამიანებიც ადვილად ებმიან ამ ანკესზე. გავიხსენოთ ანგელოზებს თავიდანვე შეშურდათ ადამიანების სამყაროში მეფობის და სწორედ ერთ- ერთი ანგელოზი დაეშვა დედამიწაზე და მაშინ ადამიანის ენით მოლაპარაკე გველის პირით შეაცდინა ევა. მან კი ადამი, რადგან აკრძალული ხილი წვენის სახით მიართვა. ევა მიხვდა თვითონ მომაკვდავი რომ გახდა და შეშინდა ადამისათვის სხვა მეორე ნახევარი არ შექმნილიყო.

ამგვარად, ყველაზე დიდი უმეცრებაა ადამიანის წასვლა თავისი ნიჭის გამო უფლის მცნებათა საწინააღმდეგოდ და ამისათვის იყენებს მეცნიერებებს — ეჯიბრება შემოქმედს სიითბოს სიუხვის შექმნაში და ამით მხოლოდ თავის თავს აუბედურებს.

ყველა ერთდროულად სახელმწიფოები რომ შეიკრიბონ, მიიღონ კონსტიტუცია, ბიბლია, მისით დაიცვან გაყოფა გაცემის წესი ათი თვისება უფლისა, 613 მცნება მაშინვე ყველა პრობლემა გადაწყდება.

ამგვარად ენის საფუძველზე სწორად ცხოვრობდა ადამიანი. სულიერი ჭურჭლის თავი და ტანი მიილეწოდა აღნიშნული ათი თვისების 613 მცნების აღსრულებისათვის. ადამიანის ზნეობიდან გამომდინარე — სწორად ცხოვრობდა ცხოველური სამყაროც. ისინი ერთმანეთს არ

ერჩოდნენ. რადგან როგორც ადამიანი, ისინიც ბალახეულით იკვებებოდნენ, რაც ჩანს შესაქმის მეორე თავში, 30–32 მუხლებში.

მაგრამ ადამიანი იყო ღმერთის მსგავსი და არა ღმერთის დონისა, პირველივე გამოცდაზე წასძლია სულმა და დაუშვა შეცდომა. მან ვერ შეასრულა მხოლოდ ერთადერთი მცნება. მან უარყოფითად ჩააბარა გამოცდა. გამო–ყოფილზე ნაყოფით კვებისა.

გავიხსენოთ ბიბლია, რომ იგრძნეს თავისი დანაშაული, ამიტომაც დაემალნენ უფალს. შესაქმე 3.10, და უთხრა: შენი ხმა მოვისმინე და შემეშინდა. რადგან შიშველი ვარ და დავიმალე. 3.11. და უთხრა: ვინ გითხრა შენ, რომ შიშველი ხარ? ნუთუ იმ ხიდან ჭამე, მე რომ გითხარი არ ჭამო–მეთქი? აქაც ქართული ენა კარგად განმარტავს ამ სიტყვათა არსს. დააკვირდით სიტყვებს „შიშველი", „შიში", „მშიერი", მათ ერთი ძირი აქვთ. ასეა, როცა არ გასცემ და დაუკითხავად სხვისას მიირთმევ ეს შიშს იწვევს. მდიდრებიც ხომ მუდმივად შიშში არიან. შეეშინდათ ღმერთის, რადგან მოხდა მიტაცება დაუკითხავად. არ გამცემის ხელდრი შიშთან, სი–შიშ–ელესთან ერთად შიმშილია მეტწილად. ხედავთ რა გენიალურად განმარტავს ქართული ენა ღლეკანდელ სამყაროსაც?

ძლიერნი ამა ქვეყნისანი, რომელნიც პოტენციური ქურდები არიან, რადგან თვალი სხვის ქონებისკენ მიუდით, შიშვლები არიან სულიერად და მშიშრებიც. ეშინიათ უფლის სასამართლოსი, მალავენ თავიანთ ნამოქმედარს. იგი კი ყველაფერს ხედავს და საშინელი განკითხვაც არ დააყოვნებს, თუ არ გამოსწორდებიან. მათ ეშინიათ გაკოტრებისა, შიმშილისაც, რომელიც ყველა ქურდის ხვედრია. როცა ადამიანს არა აქვს გა–ყოფა, მაშინ ხომ ყოფაც, მნეობაც ეცემა.

მორწმუნე ადამიანი ყველა ხიდან და უწმინდურს არ უნდა ჭამდეს. ეს რომ გააკეთა ადამმა მაშინვე აღმოჩნდა მატერიალურ ყოფაში, ამიტომ არასოდეს არ უნდა დაუჯერო ცხოველურ სულს. ცოდნა გაქვს და ტვინს ღვთიურ სულს უნდა უსმინო. უწმინდურობა სიწმინდეს ლახავს, ღვთიური სული უწმინდურობაში ვერ იქნება. ის ტოვებს ასპარეზს და ცხოველური იმარჯვებს.

სთქვა უფალმა ნაყოფზე გამრავლდითო ანუ რაც გამოგიყო. სხვის ხიდან არ უნდა ჭამო. დღეს მეტს კი არ აკეთებენ იმპერიები, ისინი დაუკითხავად ძალადობით ითვისებენ სხვა ქვეყანათა მიწებს. რომელ ერსაც რა აქვს გამოყოფილი ის უნდა იკმაროს. აქედანაა ეროვნებაც ჩამოყალიბებული.

ამგვარად, მათი სულიერი ჭურჭლის თ–ავი, რომ შეცდა, მაშინვე შეცდა ტანიც. მან აკრძალული იმ მომენტისთვის უწმინდური შეჭამა. ასეთი ცხოველური ჭურჭლით ადამიანი მარადიულ სიცოცხლესაც მოისურვებდა. ამიტომ განდევნა ედემის ბაღიდან, რათა არ ეჭამა სიცოცხლის ხიდანაც.

შედეგად უფრო მეტი მოუვიდა კაენს მას ერთს მთელი სამყარო მოუნდა, მაგრამ შიშის მეტი ვერარა ჰპოვა, გავიხსენოთ ბიბლია შესაქმე 2.13, და უთხრა კაენმა უფალს: იმდენად დიდია ჩემი შეცოდება, რომ ვერ ვზიდავ მას. 2.14, აი, გამაძევე მე დღეს დედამიწის პირისაგან, შენც დაგემალები და ვიქნები უსახლკარო და მოხეტიალე დედამიწაზე: და ყველა, ვინც კი მიპოვის, მომკლავს. აქ ჩანს, რომ ის მიწათმოქმედი სცილდება მიწათმოქმედებას და, რა თქმა უნდა, ღმერთს. სოლო ღმერთის ძალის შეწევნა თუ არ ექნა, უსუსური ხდება. კაენი შიშველი აღმოჩნდა. ანუ შიშით მოხეტიალე, მშიერი ხდება. მაგრამ უფალი დაიცავს მას, მისცემს აღთქმას, რათა გამოსწორდეს. ეს ვერ ასწორებს ასეთ ადამიანს. ამიტომაც მისი ბოლო გადაშენება იყო. დღეს კი იგივე ელის უკვე ნოეს შვილის, ქამის მიმდევართაც, თუ დროზე არ მოეგნენ გონს.

ამგვარად, ადამიანმა, რომელსაც ჰქონდა ჰარმონიული სამყარო, მოწესრიგებული კვება და ზნეობა, მოინდომა აკრძალული. ამიტომაც წაართვა უკვდავება უფალმა ადამიანს.

გააძევა, რათა შეიცნოს, რას მოუტანს მას უფლის კანონების უგულებელყოფა და ადამიანის მიერ შექმნილი „განათლება მოგვეთა, მეცნიერ–ინტელექტუალთა – რომელნიც ამართლებენ გამოძალვას თავიანთი კონსტიტუციებით."

პირველივე ეტაპზე ჩვენ ვიცით, რომ კაენის შთამომავლებში გამრავლდა უზნეობა, მრუშობა.

ამიტომაც არ გაამრავლა კაენის შთამომავალი და მხოლოდ შემდეგ შობილი სეთის შთამომავალი გაამრავლა უფალმა.

# დღეგრძელნი და დღემოკლენი

არის ასეთი სიტყვა: დღე–გრძელი. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი სულიერად არსებობს, ნეტარებაშია, ანუ ყოველი დღე მისი ლოცვით იწყება და მთავრდება, შევსებულია სასიკეთო ქმედებებით. დღემოკლე იგივე სულმოკლეა. შეიძლება ბევრი ფული დააგროვა კაცმა, ბევრიც მიირთვა, მაგრამ სასიკეთო სხვათათვის, ანუ მისი სულისათვის მას არ გაუკეთებია. ამიტომ კვალს ცხოვრებაში დატოვებს პირველი, გამრავლდება პირველი და მასზე ითქმის სულგრძელი. მეორეს არსებობა კი სამყაროსთვის საზიანოა.

დღეს ნათლად ჩანს კეთილი დღეგრძელია, ბოროტს კი ყოველი დღე უმოკლდება, რადგან უკვალოდ ნავალი კაცი უკვალოდ ქრება, ასევეა სახელმწიფოებიც. დღეგრძელია იბერიული მოდგმა, რადგან მისი ენა დღეგრძელთა ენაა, ბიბლია დღეგრძელთა წიგნია. ამ წიგნის საპირისპირო მეცნიერები კი დღემოკლეთა მეცნიერებებია.

ეს დღემოკლენი ცდილობენ რომ შეკავშირდნენ და ისე სძლიონ დღეგრძელთ. მაგრამ უფალი იცავს სულ–გრძელთ. სული სისხლშია, სისხლი ეწამლებათ სულმოკლეობით და დაავადებები აქვთ. სამყაროშიც წყალს, ყველაფერს წამლავენ მათი ქმედებები, რაც სიკვდილის, დაავადებათა მომტანია.

დღეგრძელი კი სამყაროში მიწათმოქმედია. იგი ცხოვრობს ათი მცნებით, ათი სიტყვით, ათი თვისებით, აქვს სიყვარული. აი, ახსნა იმისა, რატომ აქვს სახელმწიფოებრიობა და ენა შემონახული მხოლოდ საქართველოს. სხვა მოდგმის ხალხიც იმიტომ მრავლდება, რომ ღვთისმა დალო უფალმა წარღვნის შემდეგ რომ სამივე შვილს გაამრავლებდა, რადგან ქამიც კვებავდა ცხოველებს. ამიტომ დაწყევლა ნოემ ქამის შვილი ქენაანი. უფალი ყველას აძლევს საშუალებას მოინანიოს და დაადგეს ჭეშმარიტ გზას, მაგრამ ისინი თავისას არ იშლიან. ამიტომაც ისჯებიან. ყველა კერპთაყვანისმცემელნი ქვეყნები თავიანთი ენით გადაშენდნენ. მაინც ცდილობენ ღმერთის ადგილი დაიკავონ, შექმნან თავის თავისაგან კერპი, რომელებსაც შეეძლებათ როგორც უფალს, შექმნან მუდმივმოქმედი მექანიზმი, უკვდავება მოიპოვონ. უმდიდრესი იქნენ. ამისათვის ავითარებენ მეცნიერებებს. გავიხსენოთ ალქიმიკოსები.

ვერაფერს მიაღწევენ, რადგან განდევნა ისინი უფალმა ედემის ბაღიდან და ელემენტარული ცოდნაც არა აქვთ. ამიტომ მეცნიერებებს, რომლებიც თითქოს ადამიანის ყოფა–ცხოვრების გაუმჯობესებას ემსახურებიან, სინამდვილეში უბედურება მოაქვთ სამყაროსთვის. ჭეშმარიტ საბუნებისმეტყველო კანონებსაც ძირითადად იბერიული მოდგმის ხალხი აღმოაჩენს, რადგან ისინი უფლის მიერ დიდი ნიჭით არიან დაჯილდოებულნი და პარალელურად ვითარდება სწორი მეცნიერებები: გეოგრაფია, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, მექანიკა და სხვა. მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, როცა არის კეთილი და ბოროტი, ეს უკანასკნელი — გამმეტებელი იმარჯვებს. ამიტომ ეს მეცნიერება გამოიყენება იმისათვის, თუ როგორ გახდნენ ერთეულნი კერპები სამყაროს წარმმართველნი.

ამიტომაც ძალიან შორს არიან დღევანდელი მეცნიერები სამყაროს მუდმივ მოქმედების წესის ახსნასთან – როგორ იმართება სამყარო ზეცით, როგორია სულიერი გამრავლება, რა არის მათი დანიშნულება, ემორჩილებიან თუ არა ისინი მიზიდულობის კანონს და სხვ.

მაგრამ მათ სჭირდებათ იარაღი. ადამიანთა დასამონებლად იგონებენ მას და ამაყობენ ამით. ყველა მათგანის თვისებაა, რომ ათასების მიწა მათ ჰქონდეთ, ეს ათასები და მათი წილი მიწა გამოიყენონ და ისინი მონებად, იაფფასიან მუშახელად აქციონ. ამისათვის მიილტვიან, რომ მოსავალიც შემცირდეს. გავიხსენოთ, კაპიტალიზმის განვითარების გასვითარებისას როგორ ანადგურებდნენ სურსათს, რათა ყოფილიყო მაღალი ფასები და მშიერი ხალხი, დღეს კი ეს ყველაფერი დაფარულად ხდება. კაცობრიობის მომავალი მათ არ აინტერესებთ.

მსოფლიოს მართავს სამი ბიზნესი: საწვავი, იარაღი, ნარკომანია. სამივე ადამიანისათვის ზიანის მომტანია. დღესვე შეიძლება იარონ მანქანებმა, რომელნიც საწვავს, ბენზინს არ გამოიყენებენ. მოსახლეობას ექნება დიდი ეკონომია და არ გაბინძურდება გარემო. დღესვე შეიძლება შეწყდეს ომი და თუ მოინდომებენ, არც ერთი ნარკოტიკი არ დამზადდეს. მაგრამ ეს ძლიერთა ამა ქვეყნისათა არ აწყობთ და ავითარებენ მეცნიერებებს, განსაკუთრებით პოლიტიკურს, სამხედროს და სხვა, რომელნიც ღმერთის მიერ აწყობილი ერთიანი მექანიზმის დაშლისკენაა მიმართული, ე.ი. ბოროტებას ემსახურება.

ისიც ადვილი მისახვედრია, რომ არსებობს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი მეცნიერება, — ღმერთის მიერ მოცემული. ისევე როგორც არსებობს ერთი ღმერთი. ყოველი ადამიანი, რომელიც

ილეწის მისი კანონები შეცვალოს, დაპირისპირების მეტს არაფერს მოგვიტანს და მხოლოდ საკუთარ უვიცობას ამჟღავნებს, რისი დასტურიცაა ადამიანთა დაავადებები, ეკოლოგიური მდგომარეობის დარღვევა და სხვა... ვერავინ ავა ღმერთის სიბრძნემდე, ვერავინ ჩამოაყალიბებს ახალ მუდმივმოქმედ სამყაროს. ამგვარად, ჭეშმარიტება მხოლოდ ღვთის მიერ მოცემული ბიბლიის და ენის, წეს—კანონებით ცხოვრებაა. სხვა მეცნიერება არ არსებობს.

გავიხსენოთ ნოეს და აბრაამის ეპოქამდე მაინც ცხოვრობდნენ ადამიანები. საუკუნეები, არ იყო დაავადებები, ადამიანი არ ბერდებოდა — ჭაღარავდებოდა, არც წვალობდა ძლიერ. მაგრამ განვითარდა მეცნიერება — ბაბილონის გოდოლიც აიგო და უფალმა მოგვივლინა ეს დაავადებები არა იმიტომ რომ შური იძიოს არამედ არ დავიტანჯოთ და არ მოვხვდეთ ჯოჯოხეთში. უფლის სასწორზე როცა ერთ მხარეს იდება ცოდვები მეორე მხარეს სიკეთე, — ტანჯვა ადამიანთა სიკეთის მხარეს იდება. აცილებს უფალი ბევრს ჯოჯოხეთის საშინელებას. მღდლები კი თუ წმინდა ხალხი არ იყო.

სიტყვა — წიგნიერი — იმასაც მიგვანიშნებს, რომ წიგნა—წიგნით ხარ ერი. როგორც კი ამ წიგნს მოსცილდები და რაღაცას იგონებ, მაშინვე უწიგნური ხდები. მიტომაა ეს წიგნი წიგნთა — ანუ მეცნიერებათა წიგნი. ამდენად, უწიგნურია ყველა ის მეცნიერი, ვინც ამ წიგნს სცილდება, არღვევს მის დამოძღვრებებს. თუ საძირკველი სახლისა გამოცლილი გაქვს, დაინგრევა, ქარს გაატან შენ შრომას. დღეს ყველა „ქარის წისქვილის მეცნიერნი" არიან და უკვალოდ გაქრებიან. მათ დედაწიგნი, დედაენა, დედამიწა ვერ მიიღებს. მათ ფესვები არ აქვთ დედამიწაში. უფესვო ხე კი მალე ხმება. ხოლო ვინც ბიბლიას — ენას ეყრდნობა — აქვს სწორი მიწათმოქმედება — ცხოვრების წესი, მისი ფესვები მეტად ღრმადაა მიწაში „ხის სიმაღლე კი ფესვებიდან იწყებაო", აი, რატომაა ჩვენში ყველაზე მაღალი ხეები. ასეა მომაღლებული ზნეობით და ცოდნით ჩვენში კაციცა და ერიცა.

თუ ჩვენ ვიცხოვრებთ ბიბლიის კასონებით, ზეციდან წამოსული მუდმივმოქმედი ენერგია მხოლოდ მადლის, წყალობის მომტანი იქნება და არა სასჯელის. საქართველოში იცავდნენ მცნებებს და, როგორც აღვნიშნეთ, ქართველები ამ ენერგიას მადლს უწოდებენ. სხვათათვის, იმპერიული სახელმწიფოთათვის, ანუ ბერძნულად, მას ენერგია ჰქვია, რადგან ისინი ცდილობენ ეს ენერგია თავისი კანონებით, მცნებებით, ცოდნით გარდაქმნან მადლად. სინამდვილეში ამ ე.წ. „ცოდ—ნით", ანუ უვიცობით, დიდ ცოდვას ჩადიან. ქართული ენაც ამას გვკარნახობს. ამ შემთხვევაში სიტყვა ცოდნ—ას ასო ნ—ნათელი ღმერთის მიერ მოცემული ბიბლიის შექი აკლია. იგი შეცვლილია ასო ვ—ვაების მომტანი ცოდნით და ვიღებთ ცოდვას. ენ—ერ—გია, პირდაპირ გვკარნახობს ენის მცნებებით უნდა რგოს ერმა.

როცა ადამმა დაკარგა ედემში ცხოვრების უფლება იგი მაშინვე მიხვდა რა მოუტანა მას ღვთის ზნეობრივი კანონის უგულვებელყოფამ. ადამს და ევას ჰქონდათ ყველაფერი და ექნებოდათ ასევე ის რასაც მოისურვებდნენ ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე. დაუშვეს შეცდომა და შემორჩა ადამს ცოდნა. დაიწყო ამ ცოდნით ბრძოლა იმ ბნელის წინააღმდეგ რაც კაენში აღმოჩნდა. ანუ ევეხეს ნათელი მაშინ ექნებოდა როცა მის უფლის მცნებებს დაიცავდა. აი ეს ნათელი შეხინა ნესტანი თინათინი — მიჯნური იბერელთა რომ არ იყოს ამიტომ დიდი ბრძოლაა გამოცსადებული ბოროტების მიერ იმ ცოდნის წინააღმდეგ რაც ადამს ჰქონდა, რათა ადამიანებმა არ დაიცვან 613 მცნება, არ ჰქონდეთ ათი თვისება უფლისა მათ შორის სიყვარული და ანვითარებენ ცრუ მეცნიერებებს.

ამისთვის თვითონ წერენ კონსტიტუციებს რათა უგულვებელყოფილი იყოს ღმერთის მიერ მოცემული ნამდვილი ცოდნა და კონსტიტუცია ჩვენი ბიბლია.

## პრობლემები და თანამედროვე მეცნიერება

ამგვარად, ადამიანთა მეცნიერება მხოლოდ და მხოლოდ სამყაროს მუდმივმოქმედების, ჰარმონიულ თანაარსებობის წინააღმდეგაა მიმართული, ანუ ებრძვიან ენაში, 10 სიტყვაში ჩადებულ ზნეობას, მიწათმოქმედების წესს. საითკენაც მიგვყავართ ბიბლიას.

გაყოფის მცნების დარღვევით იწყება ყველაფერი. ადამიანებს წაგლეჯენ მიწას, შეუქმნიან პრობლემას ჯერ საკუთარ მეურნეობაში, ანუ ჯერ ეკონომიკურს, შემდეგ გარე მომცველ სამყაროში ანუ ეკოლოგიურს და თავისი მოქმედებით გამოწვეულს, ასეთ პრობლემებს არქმევენ მეცნიერებას. ამ ორი პრობლემიდან ე.წ. მეცნიერებებიდან წარმოიქმნება ყველა სხვა პრობლემა, ასევე მეცნიერებები: სოციალური, ჯანმრთელობის, სასურსათო, განათლების, კულ-

ტურის, ენერგეტიკის, (არაფის სჭირდება ატომური ელექტრო სადგურები, თუ წყლებს არ დააშრობენ წარმოებული მიწათმოქმედებით და გამოიყენებენ ენერგეტიკის არატრადიციულ წყაროებს და) ა.შ.

ეინც გაამათსოვრეს, იმ ხალხის თვალისასახვევად იწყებენ შესწავლას, რატომ წარმოიქმნა პრობლემები, როგორც გადაწყდეს ისინი და იმ მთავარ მეცნიერებას, რომელიც სათავეა ყველა პრობლემების – „მეცნიერების" წარმოქმნისა, არქმევენ პოლიტიკას. ამგვარად, – „პოლიტიკა არის სათაეეთა სათავე მოქნილი აზროვნებით ტყუილისა ანუ მეცნიერება – როგორ გასაღონ ხალხი ამ მეცნიერებებით უცოდინარები გამოიწვიონ ეკოლოგიური კატასტროფები, უმნეონი გახადონ, დაამათსოვრონ, დააბეჩაეონ ხალხი, რათა დააგროვონ ბევრი ფული და იქცნენ კერპებად".

ყველაზე დიდი ტყუილის, ბოროტების დოკუმენტი კი ყველგან კონსტიტუციაა და მისგან გამომავალი კანონთა პაკეტები, რათა დაიკანონონ უმნეობით მიტაცებული სხვისი კუთვნილი მიწა, მამული. სამართლებრივ სახელმწიფოს ეძახიან ისინი იმას, სადაც სასამართლოც და პოლიციაც მიმტაცებელთა უფლებებს იცავს და არა დაბეჩაეებულ ხალხს. ყველა მეცნიერება ბოროტების მიერ ბიბლიის მცნებათა დაცვის წინააღმდეგაა შექმნილი.

ამგვარად, სინამდვილეში არსებობს მხოლოდ ერთი პრობლემა, რომლის გადაწყვეტა მეტად ადვილია. ეს არის ბიბლიის ან ენის პრინციპებით ცხოვრება ისე, როგორც საქართველოში იყო. აი, ასეთი მმართველობის დროს იქნება ჰარმონია, არ იქნება პრობლემები და არც ეს მოგონილი მეცნიერებები და პოლიტიკა ტყუილის ხელოვნებისა.

ეს ცოდეილები კი საქვეყნოდ გაჰკიეიან, მაქსიმუმს ვაკეთებთო, სინამდვილეში კი ამ პრობლემათა უფრო გაღრმავებისკენ, ხალხის დამათსოვრებისკენ და საკუთარი განდიდებისკენ მიილეწიან. „ერთმა რომ მილიონებზე იბატონოს", ამ თეზიდან გამომდინარე, მათი ქმედებები უფრო და უფრო აღრმავებენ ამ პრობლემებს და ამას ისე წარმოსახვევენ, რომ უფრო ღრმავდება მათი მეცნიერული მიღწევები. ამისათვის აკადემიებსაც ქმნიან. სინამდვილეში კი პრობლემებს პრობლემები ემატება. იქმნება ახალ–ახალი მეცნიერებები სამართლებრივი, იურიდიული, სამედიცინო, ფსიქოლოგიური, სამხედრო და სხვა. მათგან კიდევ სხვა მეცნიერებანი მრავლდება. მრავლდება მე–ცნი–ერები ანუ, ყოველი მე და ერები, თავისი მოქმედებით – „გამეცნიერებით", ნებსით თუ უნებლიედ, ჩადის ცოდვას. ამ ცოდვის ჩადენის ფერხულში აბამენ შთამომავლობასაც, ახალგაზრდობას, რადგან ასწავლიან საკუთარს და არა უფლის მოძღვრებას, მათ შორის სამართალს, ანუ „სიბრძნეს". მათ კი ჰგონიათ განათლება, ნათელი მიიღეს. ისე ლამაზად ჩააბა ადამიანები ბოროტებამ ღმერთის მცნებების წინააღმდეგ ქმედებაში. სურს ბოროტებას გაამრავლოს უცოდინარობა და ეს ე.წ. მცოდნე ინტელიგენცია ბოროტების სამსახურში ჩააყენონ.

ერთი ცოდვაა, შენ აკეთო ბოროტება, მილიონჯერ დიდი ცოდვაა შთამომავლობა აღზარდო ასე, შედეგად ცოდეილია მთელი სამყარო, რადგან ღრმავდებიან და მრავლდებიან მეცნიერები. ბოროტება კი ამ მეცნიერებს ტიტულებს, ჯილდოებს ურიგებს, ფულიც არ აკლიათ და პატივსაც უქმნიან. თითქოს დიდი მეცნიერი, მამულიშვილი, დიდი პიროვნებაა. სინამდვილეში კი მრავალი მათგანი (ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ყველა ასეთი იყოს) ბოროტების სამყაროს იმ მეცნიერად მოგვევლინა, ფარაონს რომ მოგვები ჰყავდა, და რუსთაველს ქაჯად რომ ჰყავს მოხსენიებული. იმ ქაჯებად, რომელნიც მრავალ სასწაულს ახდენენ სამყაროს სამიანოდ.

ბევრი ადრე, ზოგიც სიცოცხლის ბოლოს ხედება თავის შეცდომას და, თუ მოინანია, მშობელი ჩვენი, რა თქმა უნდა ამდენი ტკივილის მიუხედავად, დიდი სიხარულით პატიობს.

ეს მეცნიერები ადამიანის წარმოქმნის ისტორიასაც უპირისპირდებიან დარვინიზმით, ანუ ცხოველურამდე დაყავთ ის კეთილშობილება, სულიერება, რაც ადამიანს ჩაუდო შემოქმედმა. რატომ? სულიერების, მისი მარადიულობის ღრმა შესწავლა აუცილებლად მიგვიყვანს ვაყოფასთან, სიყვარულთან, ანუ შემომქმედთან. საჭიროა არ ვიფიქროთ იმ ჭეშმარიტების გაღრმავებაზე და ფიზიკური, ხორციელი გადარჩენის ზრუნვა იყოს ჩვენი სიცოცხლის აზრი, ისევე როგორც ცხოველთა სამყაროშია, სადაც ჯუნგლების კანონებია.

ყველაფერი კეთდება, რომ ადამიანის სულიერი ჭურჭელი დაცარიელდეს. ანუ, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენს სულიერ ჭურჭელში, ღმერთის რწმენა, მის მიერ მიცემული უდიდესი ცოდნა შეიცვალოს ადამიანთა მიერ შექმნილი ამ მეცნიერებებით, ჩამოყალიბებული რწმენით და ცოდნით, რომელთა მეოხებით ადამიანები ქურდობენ, წაგლეჯენ ურთიერთს დიდ დედას, მი-

წას. ანუ ადამიანთა სულიერება ცხოველურ დონემდე ეცემა, მიისწრაფვის ტანის, სატანის. ანუ სა–ტანი–ს მოთხოვნები დაიკმაყოფილოს, მაგრამ ეს ვნებს ხორცს, ისევე სულს. ქონ–ება ე.ი. ქონი ედებათ ასეთ ადამიანებს, ვერც ტვინი ფუნქციონირებს ნორმალურად. ივი თ–ავში რომაა, ავობას ნერგავს და ყველაზე ძლიერი ფუ–ლიანი, ფუ–ფუ–ნებაში მყოფი, ყველაზე ვერაგი, გულბოროტი, ავი, ანუ ავა–დმყოფია. შემდეგ სხვა უფრო ულმობელი დაიკავებს მის ადგილს. რადგან ადამიანი ქმნის ასეთ ჯუნგლის კანონებს.

რათქმა უნდა მათში ბიბლიის მოყვარულნი და ქველმოქმედნიც ბევრი არიან, მაგრამ ამინდს ისინი ვერ ქმნიან.

აი, ასე დაპყავეთ ღმერთის მიერ მოცემული უმაღლესი სულიერი ჭურჭელი თავი – რწმენა, ტანი – გაცემა, მეცნიერებამდე, ანუ პოლიტიკამდე, რომელიც ათასების კვრპად ქმნის ერთეულებს. მილიონებს ამონებენ, რათა სულიერი დეგრადაცია განიცადონ. სინამდვილეში ამ ერთეულებს უფრო ეცლება უცოდინარობის გამო სულიერი ჭურჭელი და ადამიანები იმ ცხოველებად, ქაჯებად იქცევიან, რომლებიც ცდილობენ ყოველნაირი ხერხებით ერთმანეთს რაიმე წაგლიჯონ, ერთმანეთი დაიმორჩილონ.

ფუ–ლიც იმიტომ შეიქმნა, სჭირდებათ, რომ დააფინანსონ ის სწავლება, მეცნიერება, სერიალი, ფილმი, ტელეგადაცემა და გაზეთი, ვინც უზნეობის, ქაჯების პრინციპებს ემსახურება. აი, ასე უპირისპირდება ინტელიგენცია მთელი ისტორიის მანძილზე ღმერთის სწავლებას, სიკეთეს, იბერიულ მოდგმას და ემსახურება ბოროტების პოლიტიკას.

ამ საცოდავებმა არ იციან, რომ ისინი აღარ გამრავლდებიან. ალბათ საინტერესოა ისტორია, თუ როგორ ებრძვის ინტელიგენცია სიკეთეს.

## იბერიული მოდგმის ცხოვრების წესის წინააღმდეგ მეცნიერ–ინტელექტუალთა ბრძოლის ისტორიული ფაქტები

ჯერ ისრაელის ისტორია გავიხსენოთ. ბოროტებამ ინტელიგენციის საშუალებით საბოლოოდ დაამარცხა მლოცველთა მიმართულება. საქართველოშიც ინტელიგენცია გამოვიდა იმ სულიერი პროგრამის წინააღმდეგ, რისი მეოხებითაც ეროვნულ მთავრობას ქართული ცხოვრების წესის აღდგენა უნდოდა.

დასაბამიდან მოყოლებული ეს ინტელექტუალები, თავიანთი უზნეობა რომ გაჩამტკიცონ, მხოლოდ ასეთი პოლიტიკისთვის იღვწიან. ამიტომაც იგონებს ახალ–ახალ წყობებს. ყოველი ახალი წყობა უფრო გაქნილი, ვერაგული პოლიტიკური „მეცნიერებაა“ მიმტაცებლობის, უზნეობათა დასანერგად. ამიტომაც ბოლო ორი, კაპიტალისტური და სოციალისტური, ბოროტების აპოგეაა. იქამდეც კი მივიდნენ, რომ უღმერთო საზოგადოება შექმნეს. როგორც ყველა საზოგადოებაში, აქაც თავისი სათანადო მეცნიერებები განავითარეს, განსაკუთრებით, ათეისტური.

ულმობლობა ბოლო ორი წყობისა, იმაშიც გამოიხატება, რომ მათ არა მარტო პრობლემები – მეცნიერებები გაამრავლეს და გააღრმავეს, რომ ხალხი მოხერხებულად ატყუონ; შექმნეს პოლიტიკური პარტიები, მათ მიერ შექმნილი ინტელექტუალებით, რომელნიც თითქოს ხალხის რჩეულია და მათი ნებით დემოკრატიულად წარმართავენ სახელმწიფოს და თითქოს პრობლემებს გადაუწყვეტენ ხალხს.

ამ პარტიებს, სათითაოდ, ლომბუნგებად აქვთ წინასწარ განაწილებული პრობლემები და ჰქვიათ მათ დემოკრატიული, სოციალისტური, მწვანეები და სხვა. სინამდვილეში ისინი საკუთარი პარტიის განდიდებისათვის, გამდიდრებისათვის იღვწიან, ხალხის უფრო გაღარიბების და დაბეჩავების ხარჯზე. ხალხიც ადვილად ტყუვდება, რადგან პარტიათა სიმრავლესთან ერთად მძაფრდება დაპირისპირებები. ისინი თითქოს ხალხის გულისათვის იხეთქენ გულს, სინამდვილეში კი მხოლოდ დემოკრატიულობის იმიჯს იქმნიან. ასე უნდათ საბოლოოდ დაავიწყონ ერს ჭეშმარიტი სახალხო იბერიული მმართველობა.

როგორც კი მოახერხა ეს ბოროტებამ ისრაელში, ანუ მოშალა ადმინისტრაციული მოწყობის დემოკრატიული ინსტიტუტი, საგვარეულოთა მმართველობა, ვეღარა და ვეღარ დადგა ფეხზე ისრაელის სახელმწიფო. მართალია, ორთოდოქსები გასდნენ, რწმენა გაამტკიცეს, მაგრამ დაკარგეს ხალხის მიერ ყველა კუთხის შეთანხმებული სიყვარული, მმართველობის ცხოვრების წესი.

## იბერიულ – კავკასიური – ქართული სული დაუმარცხებელია, მისი მადლი ჯერ კიდევ აცილებს ბოროტებას დასჯას ზეციდან

იგივე გაიმეორა ბოროტებამ საქართველოში: როგორც კი საქართველო რუსეთს შეუერთდა, მოშალეს იბერიული ცხოვრების წესი, იყო გაუსაძლისი შიმშილი ხელოვნურად შექმნილი, მაგრამ ქართველთა მნეობის გამო იცავდა მათ უფალი. ღვთისმშობლის მადლით სიუხვე არ აკლდა ქართულ მიწას, იყო რწმენა უფლისა.

იმპერიის ლოზუნგმა, ქართველი სულიერად რუსად უნდა გარდაიქმნასო, კრახი განიცადა. ცხოვრების წესის მოშლამ, შიმშილმა რომ არ გაჭრა გადაწყვიტეს ჩვენი ღმერთან ჩამოშორება. იბერიამ გაიმარჯვა ულმერთობაზე, ზ. გამსახურდიასა და მ. კოსტავას ხელმძღვანელობით. აქედან, საქართველოდან დაინგრა ულმერთოთა იმპერია. ამიტომაც უფრო ულმობლად გვექცევიან, რადგან სულიერი გადაგვარება არ გამოუვიდათ. რაკიღა ყველა ქართველი რწმენისკენ, ღმერთისკენ მიტრიალდა, მათ სურთ ფიზიკურად გაანადგურონ ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხი.

მთელი მსოფლიო აწყობს გეგმებს, როგორ ამოხოცონ შიმშილით ქართველები. ამ გეგმას ახორციელებს ეს ხელისუფლება. ეგონათ ჩაკვდაო ქართული სული, ღმერთი დაავიწყდათო, ახლა შიმშილის მარწუხებში მოვამწყვდიეთო, მაგრამ ვერც ამან გაჭრა. ფიზიკური შიმშილი აიტანა ხალხმა, სულიერი ვერა. სულიერად ძლიერებმა და შიმშილით ძალაგამოცლილებმა ყველგან ტაძრების აღდგენა, მშენებლობა დაიწყეს. არც უფალი გვაკლებს სიუხვეს.

მართალია, ყოველნაირად ცდილობენ, რაც შეიძლება მიწების მცირე რაოდენობა დავამუშაოთ. კიდევ უფრო გამძაფებით უტევს ბოროტება სიკეთის ციტადელს. გვართმევს ტერიტორიებს, რაც შეიძლება მეტი სიმები უნდა დაუწყვიტო ჩონგურს იბერიას, აფხაზეთის, სამაჩაბლოს და სხვა კუთხეების მოწყვეტით. რომ აღარ იყოს 12 კუთხე, 12 კვისის მოსახლეობის სიყვარულით აღვსებული ერთობა და მათი წინამძღოლი დედაენა ქართული, სრულიად კავკასიის იბერიელთა მეთაური დედაენა.

ბოროტების გავლენით ხალხი სოფლის, რეგიონის რჩეულებს, მნეობრივ კაცებს კი არ ირჩევს საკრებულოებში, არამედ ბოროტების მსახური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს. ყველა პარტია კი იღვწის იმისკენ, რომ მეტი ფული დააგროვოს ხალხის გაღარიბების, მოტყუების ხარჯზე. ეს არის ბოროტების მსახური ინტელექტუალთა ერთობა, რაც მეტია ისინი მით უფრო მეტია პრობლემა, გაჭირვება, სიდუხჭირე და, რაც მთავარია, დაპირისპირების ინსცენირება.

ამას მეორე მხარეც აქვს. იქ არის საჭირო ეს ყველაფერი, სადაც უჭირს ბოროტებას, სადაც სული მიილტვის ღმერთისკენ, სიყვარულისკენ და ამიტომაც მილიარდები იხარჯება ამ პოლიტიკური პარტიების გამრავლება– დაფინანსებისათვის. მრავლდება სექტებიც, რათა იყოს დაპირისპირება სიყვარულისა და სულიერების მაგიერად.

როცა ეროვნული ხელისუფლება იარაღით დაამხეს, 2,5 მილიარდის პროდუქცია იყო სახელმწიფოში. ნახევარი მილიარდი კიდევ რესპუბლიკებს ემართათ. მზადდებოდა ისეთი აღორძინება, ისეთი ჰარმონია, რომელთანაც იაპონური სასწაული არაფერი იქნებოდა. მთელ ევროპას და ასევე სხვა ქვეყნებს დავეხმარებოდით სურსათით. ამიტომ დაგვეპირისპირდა ბოროტება. ეს თანხა და კიდევ სამი მილიარდი კრედიტი (თითქოს საქართველოს აღორძინებისათვის გამოყოფილი), ამასთანავე 40 მილიარდამდე ხალხის ქონება ეგრეთ წოდებულმა ინტელექტუალებმა და კრიმინალებმა ჩაიჯიბეს იმ დამსახურებისათვის, რომ მოქმედებენ ქართული მიწათმოქმედებისა და ცხოვრების წესის სრული გადაგვარებისათვის. ლომის წილი ამ თანხისა უცხო ქვეყანათა ბანკებში დევს და მათი ეკონომიკის აღმავლობას ემსახურება. ჩვენს მიწას, ქარხნებს, ბანკებს, ელექტროენერგიას, ხე–ტყის რესურსებს, ხალხის პირად ქონებას კი უცხოელები ჩალის ფასად ყიდულობენ და ესეც მათი ჯიბის გასქელებას, ე.წ. ინტელექტუალთა „მეცნიერებათა განვითარებას" ემსახურება.

ასე ებრძვიან მიწათმოქმედების წესს, მადლს რომ იმსახურებს ზეციდან.*

---

*საქართველო – ამირანში ნახეს ბერძნებმა დიდი მადლი და ქართველ ხალხს, ამირანს – პრომეთე დაარქვეს ბერძნულად (იგი ხომ კავკასიის მთებზეა მიჯაჭვული), მითიც შექმნეს. პრომეთე მათ კვრას – ბოროტებას, ზევსსართმევს ცეცხლს, ენერგიას, ე.ი. პრომეთეს ანუ საქართველოს მიქმედება, ცხოვრების წესი, ამ ენერგიას მადლად აქცევს.

ამ მადლს, მადლიან ქვეყანას, გლეხს – შემოქმედს, გეორგიანელებს ებრძვიან ზევსების, მრავალღმერთიანობის, საკუთარი თავის გამშვენიერებით კერპის რანგში აყვანის მეხოტბეები. ამ გეორგიანებს, სადაც უზნეობა – ბოროტება ვერ ხარობს, აქ ამ ენის საფუძველზე აღზრდილნი და აღსაზრდელნი, მხოლოდ ზრდილობიანი, ზნეობრივნი არიან, რასაც ეს სიტყვაც ადასტურებს. მიწის ბარაქაც, სა–ზრდო რომ ასეთი ხალხისგან იქმნება, ამაზე მიგვანიშნებს ქართულში ეს სიტყვაც.

გავიხსენოთ უფალი რომ შეჰპირდა, აღარ მოვავლენ წარღვნას, ვიდრე ქვეყნიერებაზე იქნება თესვა და მკა ანუ მიწ–ათ–მოქმედება. ეს სიტყვა კი მიწაზე ათი სიტყვით მოქმედებას ნიშნავს (საყურადღებოა, რომ –თ–, ნართანიანი მრავლობითის ნიშანი, სწორედ „ათი"–დან მომდინარეობს). ჯერ კიდევ ასეთი მიწათმოქმედებაა საქართველოში და ამიტომაც საქართველო იფარავს სამყაროს წარღვნისაგან.

## 3.3. როგორ გადავწყვიტოთ ყველა პრობლემა – იყოს ჰარმონიული თანაარსებობა

ამჟღარად, ყველა წყობა, ყველა მეცნიერება ყველა პარტია და მოგონილი სექტებიც, ისინი ყველა გლეხის, შემოქმედის, ანუ მიწათმოქმედების ქართული იბერიული წესის წინააღმდეგ არიან შექმნილი. არ უნდა იყოს გლეხი, ოჯახები, სოფლები, კუთხეები და სახელმწიფო, ანუ ღმერთის მიერ ბიბლიის და ენის მცნებებზე შექმნილი იბ–ერთა ჰარმონიული თანაარსებობის ცხოვრების წესი. დღეს იბერიის მიწაზე ბოროტების ყველა მეთოდია კონცენტრირებული. უნდათ ამოძირკვონ ენა, მამული გაგვიყიდონ, სარწმუნოება შეგვილახონ, მაგრამ უფლის მიერ მოცემული ცოდნის ჩირაღდანს, გენეტიკას უკვდავება უწერია.

როგორც კი დაამსხვრევს ამირანი – საქართველო ბოროტების მარწუხებს, ანუ ჩვენი ჭკუით დავიწყებთ მართვას, მაშინვე იქნება შვება, ყველა პრობლემა უმალ გადაწყდება. იბერიელთა ცოდნის აღდგენის შემთხვევაში არც ერთი პოლიტიკური პარტია აღარ იქნება საჭირო. როგორც აღინიშნა, ყველა პრობლემა, მათ შორის უმთავრესი: სულიერი, ზნეობრივი, აღმზრდელობითი მაშინვე წყდება, თუ ვიცხოვრებთ ბიბლიის მცნებებით, ანუ აღვადგენთ ენაზე დაფუძნებულ ქართული ცხოვრების წესს. ჩვენ გვინდა დავიცვათ ქართული ენის სიწმინდე. აღდგება ბიბლიის მცნებანიც და სიყვარულისკენ, გაყოფისკენ, გაცემისკენ მებრძოლი შეურყვნელი ქართული სული. იქნება გაყოფა–გაცემა, სიყვარული და მადლი ზეციდან გადმოფრქვეული. იმაზე ვმრიელი, მარგებელი, ასი–ათას ჯერ, უთვალავჯერ მეტი სურსათი იქნება, ვიდრე ახლაა საქართველოში. პრობლემა გვექნება მხოლოდ ერთი (როგორც ადრე, ტრადიციულად): როგორ გავცეთ ნამატი, სტუმრის ძიებაში ვიქნებით. ეს ის წესია, სადაც სტუმარი უფრო დიდ მადლს ჩაიდენს, რადგან მან მასპინძელს გაცემის საშუალება მისცა. ჩვენში ჯერ მასპინძელი ეუბნება მადლ–ობას სტუმრობისათვის.

როგორც წესი, ტრადიციულად, ნამატს გლეხი უკლებლივ სახელმწიფო ბიუჯეტში შეიტანს – გაივსება ხაზინა, არ იქნება საჭირო არც საგადასახადო და არც ეკონომიკური და სხვა, ხალხის გასაძურცვი წამგლეჯი სამინისტროები, ბანკები, რომელნიც ცდილობენ ხალხი დაამათხოვრონ, ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემებით აცხოვრონ. მთელი შემოსავლით, ხალხის ნაჯაფი ბიუჯეტით კი მხოლოდ ის ინტელექტუალები და სამართალდამცავები შეინახონ, ვინც ხალხის ხელისუფლების მორჩილებაში ყოფნას ემსახურება. იქნება მხოლოდ გაცემა. ვალი–ვახში, ბერბიჭა, შინაბერა, მაწანწალა, ქურდი და სხვა ქართულმა ყოფამ არ იცოდა. ქართველი კაცი ზედმეტს გასცემს სოფლის ბიუჯეტში მისი სიძლიერისათვის, ხოლო 12 ძმური რეგიონი, ოჯახი სახელმწიფოს ძლიერებისათვის იყო თავდადებული. იყო თანადგომა და სიყვარული. იბერიელთა ეს სიბრძნე ადმინისტრაციულ–ტერიტორიულ მოწყობის, საკუთრების მიწათმოქმედების მმართველობის წესი ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობის პერიოდში აღადგინა და მზად აქვს მამულის აღორძინების საზოგადოებას წეს–კანონებში. ამისათვის მზადაა ქართველი კაცი. მისი სულიერება ვერ გადაკეთდა რუსულად, რადგან აქვს ენა და გაყოფისკენ, გაცემისკენ, სიყვარულისკენ სწრაფვა.

### დღევანდელი სწავლებით სურს ბოროტებას გადააშენოს იბერიელი, ქართველი სულიერად.

მთავარია ცოდნა. თუ ცოდნა გაქვს ბიბლიის, იბერიული ცხოვრების წესის, ასე მოქმედების წინ ტვინს დაეკითხები. მაშინ ღვთიური სული მცნებებით უვნებელს გატარებს რუსთაველის გმირებივით. იქნები სამარადჟამო ჰარმონიაში რადგან შერწყმული იქნები უსასრულო სიყვარულთან, სიკეთესთან, სიწმინდესთან. დაიცავ ხალხებს უფლისაგან მიღებული ენერგიით, სიყვარულით.

რატომ აღვწერეთ ეს ყველაფერი ზოგადად? მიზანი ერთადერთია: შთამომავლობის ტრადიციულად, იბერიულად აღზრდის გამტკიცება. გამტკიცება, რადგან ქართულ ოჯახში ენა – მისი ზნეობრივი კანონები მეფობენ და ახალგაზრდობა ზნეობრივია. ბოროტება ცდილობს მოწიფულობის ასაკში დაუმახინჯოს მათ სული. ახალგაზრდობა, განსაკუთრებით, საზღვარგარეთ,

იღებს იმ განათლებას, რომელიც ნელ–ნელა უმახინჯებს სულს და ცილდება ზნეობას, ტრადიციულ ენაზე დაფუძნებულ იბერიული განათლების სისტემას, ანუ ენას და მის ფესვებს. ფესვები კი ქართველს მიწაში აქვს.

ამიტომაა ჩვენში რომ იტყვიან: — ხის სიმაღლე ფესვებიდან იზომებაო. ხის და არა ბალახის, რადგან ბალახი მალე ჭკნება, იფერფლება, მიდის და მოდის. ხე კი საუკუნეების მანძილზე დგას. ტრადიციას ის აგრძელებს.

ამიტომაა ქართველი კაცი სულიერად, ცოდნით, ზნეობით მაღალი, გამორჩეული გენეტიკის. ამ ფესვებს, ანუ მამულს დაცილებული ქართველი აღარ არის მამულიშვილი. ასეთი კაცის ბოლო არის სულიერი სიკვდილი, ანუ გადაშენებაა. უმეტესობა არ ცილდება წინაპართა ტრადიციებს, ზნეობის — ფესვებს. გაჭირვებამ არ უნდა მოგწყვიტოს ჩვენ გენეტიკურ აზროვნებას. მოსეს ერთი მესამედი გამოჰყვა ეგვიპტიდან, მათი რწმენა მონობამ და გაჭირვებამ ვერ შელახა. საზღაურად ამისა ისინი გამრავლდნენ და დღეს, როგორც ყველა იბერიელნი, გამოირჩევიან ჭკუით, ზნეობით. დანარჩენი ორი მესამედი აღარ არსებობს, გადაშენდა. ამ უკანასკნელისკენ მიდის ყველა იმპერიული ქვეყანა. ყველაზე დიდი ეკოლოლგიური კრიზისი და, აქედან გამომდინარე, უსუსური ეკონომიკა, ეკოლოგიური, განათლების, სულიერი, მსგავსი პრობლემები აშშ–ს და სხვა ე.წ. მოწინავე ქვეყნებს აქვთ. მათი ეკონომიკა არსებობს ჯერჯერობით მხოლოდ იმიტომ, რომ მსოფლიოს ეკონომიკას განაგებენ. ე.წ. დაბალგანვითარებული ქვეყნების დამონების ხარჯზე ისინი მდიდრდებიან. მაგრამ როდემდის? (ასე იყო ეგვიპტე, დღეს კი აღარ არსებობს მისი დიდება) მათ ეკოლოგიურ კრიზისამდე მიჰყავთ ისინი.

უზენაესი საბჭოს მოღვაწეობის პერიოდში ჩამოვიდა ჩვენთან ერთი ყველაზე ცნობილი ეკონომისტი, რომელიც რამდენიმე სახელმწიფოს ეკონომიკური მრჩეველი იყო. როდესაც მას აეუხსენით რას ნიშნავს ქართული ცხოვრების წესი, მან გაკვირვებით თქვა: მსოფლიომ ასე რომ იცხოვროს, ჰარმონიული სამყარო შეიქმნებაო.

გაეიხსენოთ ილია, როცა კითხულობდა — რა სასწაულმა გადაგვარჩინაო, იგი ასკვნიდა: „მიწათსარგებლობის ქართული წესი სათემო– სასოფლო საკუთრების უპირატესობით" აი, საგანი ღირსშესანიშნავი, რომელიც რომ თვალწინ ჰქონდეს ჩვენს მემატიანეს, გზას გაგვინათებდაო. (იხ. ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები, ტ. IV, თბილისი, 1987, გვ. 150).

უფრო მეტად ქართული გენეტიკა უმახინჯდება იმათ, ვინც უცხოეთში უცხო ენაზე ეუფლება უზნეო ზნეს და მეცნიერებებს, როგორ მოწამლოს, გაქურდოს საკუთარი სამშობლო. იქ ითრგუნება მისი ღვთიური სული და ჩამოაქვს ცოდნა რომელიც ცხოველურ სულს კვებავს. მიილტვის ქონებისკენ, მიმტაცებლობისკენ. სიყვარულის მაგიერ ადამიანშიც და საკუთარ ქვეყანაშიც მხოლოდ გაძარცვის ობიექტს ხედავს. ასეთი განსწავლით უნდათ დააკარგვინონ ერს ქართველობა, იბერიელობა. თუმცა გენის ყივილი ხშირად დროზე აჩერებს მათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართული ენა უსულგულოს ვერ დაიტევს, ვერ მიიღებს. იგი უზნეობით ვერ გამდიდრდება. არ შეიბილწება და ეს კაცი სულიერად გაღარიბებული თავისთავად მეწყვეტს იმ სანატრელ, ჰარმონიულ სიცოცხლეს, რომელსაც ქართული, იბერიული კაცის მსგავსი სიცოცხლე ჰქვია: ამიტომ გამოგვარჩია უფალმა ჩვენ და ამიტომაც აღვნიშნეთ დასაწყისში, ქართველობა მარტო გვარი არ არის. იგი მარადიული მნეობაა, ენიდან რომ იღებს უწყვეტ და უშრეტ სულიერ ენერგიას.

## იბერიელთა ანუ სიკეთის ისტორიული მისია

ამის გამო, როგორც რუსთაველი წინასწარმეტყველებს, ჩვენ უნდა ვასწავლოთ კაცობრიობას, თუ როგორ შეიძლება დაინერგოს იბერიული ცხოვრების წესი. ამას ასწავლიდნენ ბიბლიით მთელი ისტორიის მანძილზე იბერიული განმანათლებელი მამები საზღვარგარეთ.

მაგრამ ყველგან ყველა სხვა ხალხისათვის ბიბლია მხოლოდ თეორიაა, რადგან საქართველოს გარდა, არსად ყოფილა გაყოფა ცხოვრების წესის საფუძველი, რაც აუცილებელია ბიბლიის მცნებების პრაქტიკაში დანერგვისათვის. ასეთი მმართველობის წყურვილი მხოლოდ პირველად ენაზე აღზრდილი ხალხის გენეტიკურ კოდშია. ენის საფუძველზე არსებული უდიდესი გენეტიკური ცოდნა, ჯიში, მოდგმა, რწმენის, უფლის უსაზღვრო სიყვარულის საფუძველია. აქ მყარად არის მცნებათა დაცვის გენეტიკური მოთხოვნილება.

სხვაგან ამისათვის ჩანასახიდან ბიბლიის ენით უნდა ილაპარაკონ, რაც მეტად ძნელია. ამას მრავალი წელი, თაობები უნდა. ამიტომაცაა, რომ, მართალია, ისრაელში ბიბლია გამო-

აცხადეს სახელმწიფო კონსტიტუციად, მაგრამ ვერ ინერგება ხალხში ის ზნეობა, რაც საქართველოში იყო, რადგან არ არის აღდგენილი იბერიელთა ცხოვრების წესი. იქ ებრაელები სხვა ქვეყნებიდან იმ ცრუ მეცნიერებებით, წყობებით, ჩამოყალიბებული გენეტიკით ჩავიდნენ, სადაც სხვისის მისაკუთრება კანონიერად ითვლება. ამ მენტალიტეტით ვერც სათემო საკუთრებას და ვერც ხალხის ჩრეულთა მმართველობის ადმინისტრაციულ—ტერიტორიულ მოწყობას აღადგენენ. ზნეობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. როცა ისინი ეგვიპტეში ტყვეობაში იყვნენ, არ ივიწყებდნენ, რომ იბერიელები, იუდეველები იყვნენ, რომ პირველ რიგში — ეს დემოკრატიული მმართველობის ცხოვრების წესი უნდა აღედგინათ, ეს მათი გენეტიკა იყო. ამისთვის იტანჯებოდნენ ისინი. ამიტომაც ჰქვია იმ ერთადერთ კაცს, ვინც ღმერთის შეწევნით გადაარჩინა ისინი მოსე ანუ „წყლიდან ამოსული".

დღეს კი, როცა დამოუკიდებელნი გახდნენ, არ იღვწიან ამ წესის აღდგენისათვის, თუმცა გულმხურვალედ ლოცულობენ.

ის ებრაელები, რომელნიც საქართველოდან, კავკასიიდან არიან, მკვეთრად განსხვავდებიან ზნეობით, ანთროპოლოგიური მონაცემებით მათგან, ვინც იმპერიულ ქვეყნებში ცხოვრობდნენ (ი. დავიდი). ამიტომაც ქართულ ზნეობას მისტირიან დღესაც ისრაელში ჩასული ქართველი ებრაელები, რასაც ასახავენ იქ გამომავალ ყოველკვირეულ ჟურნალ „რწმენის წყაროში". ეს ჟურნალი ყველა ქართველს ურიგდება. მოვიყვანთ ერთი ლექსის სტროფს („რწმენის წყარო", №212, გვ. 82).

„იქ, საქართველოში, გალუთში ვიყავით,
ვიცოდით ჩვენ ლოცვის ყადრი,
აქ კი მთლად დავკარგეთ ის ჩვენი ღირსება,
დავკარგეთ მიცვა და მადლი.

მიცვა ეს მცნებების შესრულებაა: გაყოფის, გაცემის, სიყვარულის სურვილია, ზნეობაა, რაც ქართველთა გენეტიკაა. მადლი კი უფლის საზღაური, დოვლათი, რომელიც ჰქონდათ იბერიელებს.

ცნობილია მომავალი გამოცხადება მოხდება საფარისა და წინასწარმეტყველის გარეშე. ხალხი უნდა იყოს მოსის დონის სიახლოვეს, რომ გაუძლოს უფლის სხივოსნებას — შეხინის ნათელს. ანუ ყველა უნდა იცავდეს 613 მცნებას ისიც ცნობილია, რომ ყოველი ადამიანი რომელიც დღენიადაგ სწავლობს თორას — ბიბლიას 613 მცნების დამცველზე მაღლა დგას რადგან ისიც ცხოვრობს ბიბლიის კანონებით. სოლო მათზე უფრო მაღლა დგას პიროვნება ვინც ყოფს და გასცემს ანუ გულმოწყალეა. საქართველოში ყველა გასცემს. აი რატომ შემოდიან რუსთაველით აქ სამი გმირი და სალხიც ჭვრეტს შეხინის — თინათინის — ნესტანის ნათელს.

ამგვარად, ბიბლიის მცნებათა დანერგვა იქ შეიძლება, სადაც მიწათ—მოქმედებაა, ანუ საქართველოში. ტყუილად არ წერს იოანე ზოსიმე: „ყოველი საიდუმლო ამა ენასა შინა დამარხულ არს" და ყოვლსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა, ანუ განიკითხოს უფალმა ყველა ხალხი. ამ ენას ჩასწვდა უნდა.

## რატომ არის ენა გონიერისათვის?

გავიხსენოთ, ქართველი ახალ წელს სექტემბრის თვეში აღნიშნავდა, ანუ როცა ღმერთმა შექმნა ადამიანი და მისცა ენა. ამიტომაც ჰქვია ამ თვეს ენ—კ—ენ—ისთვე. ეს ენა კი საფუძველი იყო სწორი მიწათმოქმედების, ანუ ენით კ—კალოობა, რაც ჩვენში პურის აღებას ნიშნავს. პური კი დოვლათის განმაპირობებელია, ანუ დარია. ამიტომაა სიტყვა კალე—ნდარი. ჩვენში სულ მიწათმოქმედებაა, ზნეობრივი 12 კალენდარული თვის განმავლობაში არის დარი და ხალხიც სულიერად მდიდარია. ამ ენაში, ანბანშია ახსნა სამყაროს ჰარმონიული მოწყობის, მუდმივმოქმედების, თორმეტი მხარის, საგვარეულოს, თორმეტი თვის განმავლობაში. ამ იბერთა ერთობის, კალენდრის, ბარაქის გახლეჩა სურს ბოროტს დაპირისპირების ხერხით. მთელი ისტორიის მანძილზე გვიტევდნენ, გვართმევდნენ ტერიტორიებს, მაგრამ ასევე იყო კალენდარი, დარი, რჩებოდა. 7 სული ერთ სულიერებაში ანუ 7 მხარე ერთ ერ—ში და მაინც იბერში, ანუ 12 სულში, მხარეში, რადგან ასე დაიწყო იბერიამ, საქართველომ და ასე დაიწყო ისრაელმა. თუ მხარე დარჩა შვიდი, თვე მაინც ხომ თორმეტია. ამიტომ იბერთა მიწა მხოლოდ იკვეცება. თავის დროზე ბიბლიაშიც წერია, რომ შეიკვეცა იერუსალაიმი, ისრაელი. ანუ როცა ებრაელებმა დაკარგა იბერიელთა ცხოვრების წესი (მანამდე ხომ ერთიანი იყო იბერია).

იბ—ერი 12 თვის და, როგორც ცოტა ადრე აღვნიშნეთ, 12 საათის ქვეყანასაც ნიშნავს, რადგან ჰარმონია, დარია ყველა ამ თვეში, დღეში—საათში ისეთი, რომ სიუხვეა, ყველა სულიერის ჰარმონიული თანაარსებობაა.

ამიტომ ჯერ მთავარია ენა არ დავკარგოთ, დარი გავათორმეტოთ. დღეს მხოლოდ ენა ქართული კრავს ამ მხარეებს. შემდეგ დარჩენილი მხარეებიც აღდგება საქართველოსა და ისრაელში, ანუ ისევ გაღიღდება იბერია. ამისათვის შემონახული გვაქვს ყველა წესი – თუნდაც ცეკვა, სიმღერა. ისამებსო, ანუ იცეკვებს, ასე იტყვიან საქართველოში. სიმღერასაც იტყვიან. ანუ სიტყვის სიბრძნით იმღერებენ, ხოლო ქართული ცეკვა სამი სამყაროს ჰარმონიული თანაარსებობის სიყვარულს გადმოგვცემს. ერთ ჰარმონიულ ცეკვას ასრულებს, სიმღერას მღერის ქართველი, ვინდაც სამი ხმა დარჩეს, რადგან 12 თვეა წელიწადში, ანუ ენა და მისი ბ—ანი ერთია. არის ან და ბანი, ანბანი, ენა, ჩვენი სულიერი ჭურჭლის საზრდო. ქართული ანბანიც ხომ ერთი ჰარმონიული მუსიკაა. აქ ასოთა ჰარმონიული ქღერადობა ანით და ბანით იწყება. მთლიანად ანბანი კი ლამაზ ასოთა შენაცვლების ჰარმონიაა. როგორც ყველა ასოს თავისი დამოუკიდებელი ულამაზესი ხელწერა აქვს, ასევეა ყველა მხარე საქართველოსი და ეს მხარეები ასევე განსხვავებულნი არიან სილამაზითა და ბარაქით. ყველა მხარეს, როგორც ყველა თვეს და წელიწადის დროს, საკუთარი ლამაზი სულის სიმღერა გააჩნია ანბანიდან გამომდინარე. და ეს კრებულია სიმღერათა, სიტყვათა სიუხვისათვის, სილამაზისათვის, ჰარმონიისათვისაა მთელი წლის განმაელობაში.

ამასთანავე ყველა სიმღერა რაც მთავარია, აერთიანებს ერს. ზოგი სამკურნალოა, მისტიური მნიშვნელობისაა ამა თუ იმ მიმართულების დასაძლევად სოფლის მეურნეობაში, სხვა ყოველდღიურ ყოფაში. ზოგი საგალობელია, ზოგი ლოცვაა, ზოგი საომარია. /ცნობილია, ყირიმის ომის დროს ძალიან გაჭირდა ერთ—ერთი ციხესიმაგრის აღება. ქართველებმა იმერული საომარი შემოსძახეს და ნაცარტუტად იქცა გერმანელთა ზღუდეები/. ისინი სულიერ სიმტკიცეს ერის ერთობას, ჰარმონიას განაპირობებენ მნეობრივქმედებათა შედეგად. ყველა ისინი ერთად იმ სიტყვათა, სიბრძნის კონათა კრებულია, რომელსაც გ—ალ—ო—ბა, —ლ—ოც—ვა, ქცევა, —სიმ—ღ—ერაა ანუ კუთხეებიდანაა შემდგარი ერი, სადაც არის ალი—ღმერთის შუქი, მაღლი და ოცი (ათი მცნების და ათი სიტყვის) დაცვა.

ებრძვის ბოროტება ამ სულიერების —გ—ალობას. ფინანსდება ათასი უშნო სიმღერა, ცეკვა, მაგრამ ქართულთან ისინი ფერმკრთალნი არიან. თვითონაც იხიბლებიან და საკუთარ სამშობლოშიც კი ქართულად იწყებენ სიმღერას. მალე ეს ენა იმ ბოროტებას ამხელს, რომელიც დევნის მას ოთსი ათასი წლის განმაელობაში.

აქამდე ამ ენაში ჩახედვა, ანუ ცოდნის კიდობანის გახსნა და მისი მისიის გამომზეურებანაადრევი იყო.*

დღეს, როცა გამომჟღავნებულია ბოროტება, მესიის ერაა, დადგა დრო ჩაიხედოს ქართველმა თავის ცოდნის კიდო—ბ—ანში, რათა განვამტკიცოთ გაყოფ—გაცემა— სიყვარულის ცოდნა, ჩვენი სულიერი ჭურჭელი, შეუდრეკელი, ეროვნული სული ჩვენი სიმდიდრით. ჩვენ ღირსეულო უფალმა და მოგვეცა ეს კიდობანი, ანუ გონი – ერებისა, ანუ ენა გონია ერთათვის საქართველოში შემონახული. რატომ?

როგორც აღვნიშნეთ, ბიბლიის მცნებანი არა ისე, როგორც დღეს არის მწყობრად ჩამოყალიბებული, იცოდნენ უძველესმა იბერიელებმა. ამას ასწავლიდნენ სემი, ებ—რთა მამა და ებერი იერუსალიმში ებრაელებს. სანამ ამ მიწათმოქმედებას აღიდგენდნენ, დასჭირდათ ათი მცნების და მთელი ბიბლიის მცნებათა უნაკლო შესრულება ედაბნოში, რათა ქანაანში აღედგინათ მათი წინაპრების მიწათმოქმედების წესი (ისინი ხომ საუკუნეებით იმპერიულ გარემოში იყვნენ).

შემდეგ ებრაელებს კი ჰქონდათ შემორჩენილი იბერიული გენეტიკა ენიდან გამომდინარე, მაგრამ ქანაანზე იმპერიული მისწრაფების ხალხით გარშემორტყმულმა ისრაელის სახელმწიფომ დიდხანს ვერ გაძლო. ქართულ სოფელში კი ნელ—ნელა ჩამოყალიბდა საუკუნეების მანძილზე ენის მცნებანი როგორც ქართველთა გენეტიკა. ის დედიდან ბავშვის სულში იბუდებს ჩანასახიდან და შემდეგ პიროვნების სულიერი მოთხოვნილება ხდება ენის, მცნებების, უფლის 10 თვისების აღსრულება.

---

*მართლაც ის, რაც დღეს ხილულად წავიკითხეთ „ვეფხისტყაოსანში", რომ საქართველოში ანუ იბერიაში უნდა აღდგეს ჰარმონიული ცხოვრების წესი ქართველთა ურყევი გენეტიკის საფუძველზე და შემდეგ სხვა ქვეყნებში დაინერგოს, ადრე ჩვენს მიერ ვერ იკითხებოდა.

ეს იმდენად მტკიცეა დღეს ქართულ გენში, რომ სამასწლოვანმა ცხოვრების წესის აღრევამაც ვერ ამოძირკვა. აი, რა გონი, გონიერებაა ენა ქართული.

ენაა მედიატორი, შუამავალი სიკეთის ხუთ გამნაყოფიერებელ დედას და ქართველს შორის.

ამ ენით ზრდის დედა იმ ზნეობრივ შთამომავლობას, რომელთაც მხოლოდ სიყვარული და ცოდნა აკავშირებთ მიწასთან, ბიბლიასთან და ზეციურ მღვდრობით არსთან. აი, რატომაა ენა გონი–ერებისათვის და ქართველი გონი–ერი.

## ბოროტების აღსასრული ახლოვდება

ამ ხუთი დედის წინააღმდეგ იბრძვის ბოროტება. იცის მან, რომ გამნაყოფიერებელი და სულიერი პროგრამის მატარებელი, გადამცემი ქალია, ანუ ხუთი დედაა. არ აწყობს მას ამ დედათა ნაყოფიერება, რადგან ნაყოფზე სიკეთე მრავლდება. იგი ილტვის, რომ დირღვეს კანონზომიერება. ერთობის მაგიერ იყოს დაპირისპირება, სიყვარულის მაგიერ წამგლეჯობა, რაც სიძულვილის, ეკოლოგიური კატასტროფის საფუძველია.

გარე სამყაროში კი მოახერხა ბოროტებამ ქართველის ათივე თვისების აღმოფხვრა. რადგან იბილწებოდა ენა, ამიტომ აღრია ენები უფალმა და ყველა ეს თვისებები საპირისპირო თვისებებით შეიცვალა. შედეგად ბოროტებამ მიაღწია, იმას, რომ იყოს წაგლეჯა და ეს არის მისი უდიდესი სიამოვნება.

თუ ქართველი ყოფს, ენის, ბიბლიის საფუძველზე გასცემს მოყვასზე ბარაქას და შთამომავლობაზე ცოდნას და ეს არის მისი უდიდესი სიამოვნება, ჰარმონია სხვაგან ბოროტებამ მიაღწია იმას, რომ წამგლეჯველობა იყოს და მართლმსაჯულებაც მისია, რადგან მოსამართლეც წამგლეჯელის პრინციპს იცავს (იგი ფულით არის დაინტერესებული). მოყვასშიც იგი ხედავს მისი გამდიდრების წყაროს და ამიტომაც უდიდეს სიამოვნებას იღებს, თუ წაგლეჯს. შთამომავალსაც იგი იმ პრინციპით ზრდის, რადგან ცხოვრების წესი ჩამოყალიბდა ასეთი და ჰგონია, რომ ასეთი სიამოვნება ყველაზე კარგია. ამ ბრძოლის გამოა, რომ სრულყოფილად ვერ ვნერგავთ ათივე თვისებას და ჯერ მხოლოდ სულიერი მიჯნურობაა შესინასთან.

ჩვენ „ვეფხისტყაოსნით" ვიცით, რომ იბერიულ მოდგმაში, ქართველებსა და ებრაელებში არის ეს თვისებები და არის მიჯნურობა ავთანდილისა, ტარიელისა, თინათინთან, ნესტანთან. ამ მიჯნურობის შედეგია, რომ, როგორც ერი, დასაბამისად დღევანდელამდე ჩვენ და ებრაელები მოვდივართ.

ამავე დროს, საქართველოში იყო და არის წყალობა, ბარაქა. ხოლო ებრაელებს შეხინა ბარაქას უგზავნიდა სხვადასხვა იმპერიულ ქვეყნებში („ვეფხისტყაოსანში" ეს ფატმანის ქვეყანაა). შემდეგ, როგორც ვიცით, რაც დრო გადის უფრო მძლავრობს ბოროტება და ამიტომაც შეხინა იძულებით ტყვეობაში აღმოჩნდება უკვე ქაჯებთან, ანუ ბოროტებაში უფრო განსწავლულ ხალხთან, რაც დღევანდელი თაობაა. მაგრამ იქ შეხინა ბარაქას თითქმის აღარ აგზავნის, და, როგორც ვიცით, მალე განთავისუფლდება ამ ტყვეობიდან, რადგან ყოველი ებრაელი საკუთარ მიწაზე დაბრუნდება. ამიტომ მადლი დღეს, როგორც აღვნიშნეთ, აქვს საქართველოს, იბერიას, კავკასიას და ისრაელს.

ამგვარად, ბოროტებამ მიაღწია თავის აპოგეას, ბიბლია და ენა კი ისევ არსებობენ, უკვდავნი არიან, ისე როგორც დანარჩენი სამი დედა. ამიტომ ქართველი, მიუხედავად გაჭირვებისა, ისევ უბრუნდება რწმენას – ეს არის მისი გენის ყივილი, მოთხოვნილება, რადგან ბიბლიაა, ენაა, ქართველთა გონის, გენის კონსტიტუცია. ხუთივე დედა ჩვენთანაა, ჩვენს მიწაზეა. ამიტომ ჩვენ ნაკლებად გვეპატიება თუ ენას დავამახინჯებთ, დავკარგავთ ბოროტთა მეწოლით და ვისწავლით იმ მეცნიერებებს, რაც უვიცობაა. ეს გენეტიკას, გარეგნობას, ნიჭს და სხვა სიკეთეს დაგვიმახინჯებს და სულსაც გაგვიტანჯავს. ცოდვილად ვივლით, ცხოვრებაც გაგვიმწარდება, სანამ გონს არ მოვეგებით.

მსოფლიოს ხალხების სულები დღეს იმ ბოროტების, ქაჯების ტყვეობაშია. შინაურ ქართველთაგანაც შექმნეს მათ მოყვარე მტრის, მეცნიერთა სახე, რათა მათ ჩვენთანაც იბატონონ, მაგრამ არაფერი გამოუვათ. ისინი 1 პროცენტიც არ არიან. თუ ამ ენაზე ილაპარაკებ, მხოლოდ ერთი ხე – ხე სულიერებისა ამოვა. მეორე ხე მხოლოდ მოგონილია და უკვალოდ გაქრება. ამიტომაა, რომ მხოლოდ ნესტანია ბოროტების ტყვეობაში. მათ ეშინიათ ღმერთის, ბიბლიის, მაგრამ არ ცხოვრობენ მისი კანონებით. ეს სევდი, ხე სულიერებისა, შეხინა, ნესტან–დარეჯანი,

მიუძღოდა ებრაელებს წინ ფარაონის ტყვეობიდან გამოხსნისას. მოახერხეს მისი დატყვევება, ახლა თინათინი დარჩათ დასატყვევებელი. ებრძვიან ენას, ქართულ ეთნოსს. სანამ ენა გვაქვს თინათინი ჩვენთან არის, რომ თანამედროვე ფარაონის, მეცნიერთა ტყვეობიდან გამოგვიხსნას. ამის საფუძველი ჩვენი გენია, ენაა.

ქართველი ქართულად საუბრობს და თინათინი დღესაც (მიუხედავად დღევანდელი ხელისუფლების ანტი ქართული პოლიტიკისა!) ჰარმონიულ ამინდს, ბარაქას უგზავნის საქართველოს, როცა მთელი მსოფლიო თითქმის ინგრევა სტიქიური მოვლენებით.

რაც უფრო მეტი აქვს ადამიანს ბიბლიის, ენის ცოდნა, მით უფრო უყვარს უფალი, აქვს მისგან შთენილი სიყვარული, გაყოფა, გაცემა. სანამ ქართველი ქართულად მეტყველებს, მის გენეტიკურ კოდში უფლის სიყვარული და, აქედან გამომდინარე, ყველა მისი შვილის, მოყვასის სიყვარული ამოუძირკვავია. აი, რატომაა, რომ საქართველოს მიწაზე სიყვარული და იბერიელობა დაუმარცხებელია. ის აუცილებლად გაიმარჯვებს ბოროტებაზე.

აი რატომაა „ვეფხისტყაოსანში" მთელს მსოფლიოში ქართველები აღადგენენ კონსტიტუციას: ბიბლიის მცნებებს და ენა ქართულს. ჩვენში იბერიული მოსახლეობის მოთხოვნილებაა, გენეტიკური კოდია, ათი ზემოთ აღწერილი თვისება. აი, ეს გენეტიკური მიმართულება ნელ–ნელა ენასა და ბიბლიის საფუძველზე ისე აღდგება ხალხში და გაიმარჯვებს სიკეთე, სიყვარული ბოროტებაზე ისეთი სცენარით, როგორც „ვეფხისტყაოსანშია".

## 3.3.1. როგორ აღვადგინოთ ჩვენი ცოდნის კიდობანი?

ამ საქმეს დიდი სიფრთხილით და სინატიფით უნდა დაწყება.

ორასი წელიწადი ჩვენ მოგვაცილეს ჩვენი ცოდნის კიდობანს. იდევნებოდა ენაც და ქართველიც. ბოროტთა კარნახით ყალიბდებოდა ყველა მეცნიერება, თვით ლიტერატურა, ისტორია.

კაცს, რომელსაც ღმერთი არ სწამს, არ სცნობს სამყაროს ისტორიის ხანგრძლივობას მოცემულს ბიბლიაში, არა აქვს უფლება საქართველოს ისტორია დაწეროს. დღეს აპოგეაა ამ დევნისა. ახლა ეროვნული სული უფრო იდევნება, ვიდრე უღმერთო კომუნისტურ ეპოქაში.

ამიტომ იწყება ბოროტების მსახურ მეცნიერთა ზოგჯერ ფარული, ზოგჯერ აშკარა შემოტევა, დიალოგის მაგიერ იქმნება დაპირისპირებები. მაგრამ საქმე არ უნდა მივიყვანოთ იქამდე, რაც ებრაელებს დაემართათ. დაპირისპირების გამო აიყარნენ ისინი საკუთარი ტერიტორიიდან. დღეს ასეთ დაპირისპირებას ცდილობენ „მეცნიერნი", რათა საქართველო საბოლოოდ გადაგვარდეს. ამიტომ სხვის შეცდომებზე უნდა ვისწავლოთ.

დღეს ებრაელები ეროვნულ საკითხებში საოცრად ერთიანნი არიან. რატომ? გაქრნენ, განადგურდნენ, გადაშენდნენ კერპთა მსახური ინტელექტუალები, მეცნიერები და მათი მეცნიერული დოქტრინები. გაქრნენ ცრუ მეცნიერები და ებრაელებიც მხოლოდ და მხოლოდ ბიბლიის სიბრძნის ირგვლივ არიან გაერთიანებულნი. მათ მრავალი წიგნი გამოსცეს. ბიბლიის სიბრძნის ასახსნელად მრავალი კომენტარი იწერებოდა. იმიფრებოდა თითოეული სიტყვა, რომელსაც მრავალნაირი ახსნა და გაგება აქვს.

ასეა ენაც. აქ თითოეულ სიტყვას მრავალი ახსნა აქვს. ორივე ხომ ღმერთის მიერაა მოცემული. ამიტომ, რაც უფრო მეტი იქნება ქართული ცხოვრების წესის, ქართული სულის აღდგენის მოსურნეთა, ქართულ სიტყვათა კომენტარები, მით უფრო მეტი სიბრძნე დაგროვდება.

რა თქმა უნდა, არც ფილოლოგი და ენის სპეციალისტი ვარ, მაგრამ მთავარი ჩვენი წინაპრების მიერ განმტკიცებული ქართული გენია. საერთოდ ასეთი წიგნების წერა ერთი კაცისთვის დიდი ჯაფაა და უშეცდომოდ არ იქნება. იგი ადამიანთა, თანამოაზრეთა ჯგუფმა უნდა დაწეროს. მაგრამ მაინც ვერ ამოწურავენ სათქმელს. მთავარია, რომ ერი შემობრუნდეს ქართული ცნობიერებისკენ, მისდიოს ქართული გენის მოთხოვნილებას ზნეობის აღდგენისკენ. აქეთკენ მივილტვოდით მუდამ.

ასეთ საქმეთა ირგვლივ ათეულობით ეროვნულად მოაზროვნე მეცნიერი იყო ყოველთვის შემოკრებილი და ბევრჯერ დავამარცხეთ ბოროტება. თუნდაც, როცა გამოვეცით მამულის აღორძინების კონცეფცია და აღარ იძახდნენ მწირი რესურსების ქვეყანა ვართო. ან მიწის გაყიდვა 8 წლით რომ შევაჩერეთ. მაშინ მრავალი მასალა გამოვაქვეყნეთ და კოდექსიც შევქმენით. დღეს, სამწუხაროდ, ამის საშუალება არ არის ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, არადა გვიანდება. ვიღაცამ ხომ უნდა აიღოს თავის თავზე ჩვენი ერის დღეს უაღრესად დამახინჯებული, მაგრამ მეტად გამორჩეული და საამაყო ისტორიის აღდგენის მცდელობა, რომ შემდეგ და შემდეგ სინათლე, ნათელი მოეფინოს ამ საქმეს.

ნათქვამია, დაწყება ნახევარი საქმეაო. ჩვენც უნდა დავიწყოთ. საკუთარ თავზე მივიღოთ დარტყმები, როგორც არა ერთგზის, რადგან ეს ცხოვრებაა ასეთი!

ცნობილმა მეცნიერმა ალბერტ შვეიცარმა თქვა: „ნებისმიერი ჭეშმარიტება, რომელიც პირველად გამოითქმება დაცინვის ობიექტი ხდება", ანუ თუ ჩვენ ნათქვამზე შემოტევა არ მოხდა ე.ი. ის ბოროტებას აწყობს, მას ემსახურება. დიდი ვაჟას ენით კი – „ცუდას რად უნდა მტერობა". თუ მიზანს მივაღწიეთ და სიკეთის, სიმართლის გამომმჟღავნებას დაედო საფუძველი, მაშინ ხომ ყველა ჩვენგანი ბედნიერი იქნება. რა არის იმაზე დიდი ბედნიერება, როცა შთამომავლობა თავისუფლად იმსჯელებს, პოლიტიკური ფონდების, სპეცსამსახურების დაკვეთას არ შეასრულებს.

უნდა დავიწყოთ ენის, სიბრძნის სიღრმეებში ჩაწვდომა. გასაკეთებელია უზარმაზარი და ფასდაუდებელი საქმე.

ნებისმიერი ფონდით დაფინანსება ხდება იმიტომ, რომ დაგვამონონ. უცხოური ინვესტიცია ეს ნიშნავს მათ მიერ ჩვენი შემოსავლის დაუფლებას, ბიუჯეტის გაქურდვას.

ვიცი ბევრი გამაკრიტიკებს, როცა სიტყვებს ვმარცვლავ და თითო ასოს ან რამდენიმეს დასრულებულ სიტყვათა აზრსს ვანიჭებ. ებრაელები კი თუ ამას აკეთებენ, ერთმანეთის ფუფქებიან, რადგან სიტყვაში ჩადებულ სიბრძნეს აღიქვამენ. ჩვენ კი არ გვინდა ეს სიბრძნე აღმო-

ცენდეს. შეიძლება იყოს შეცდომები, მაგრამ ამის გამო არ უნდა შევშინდეთ, ვილაპარაკოთ ისე, როგორც ებრაელები. მაგალითად, „რაბი" – სწავლული იერითული ენის ასოთა მნიშვნელობით ნიშნავს რ–თაეი, ბ– ძეები ი–ისრაელი (ასო „ა" და საერთოდ ხმოვნები იერითულში დამხმარე ნიშნებით იწერება.). ანუ ისრაელის შეილების თავი. სიტყვა ცადიკიც, ანუ წმინდანი, ასოებითაა გაშიფრული და ნიშნავს ჭეშმარიტების მეტყველი, ღვთის მოშიში, მორიდებული წმინდანი.

სიტყვათა ახსნით, ენის სიბრძნის გამომჟღავნებით ჩვენ იმ სულს ავალაპარაკებთ, აღმაფრენას მივსცემთ, რომელიც დღესაც ქაჯთა–ბოროტების ტყვეობაშია. ქართველისათვის კვლავ მრავალი საიდუმლო გაიხსნება, განსაკუთრებით საიდუმლო სამყაროს ჰარმონიული კეთილმოწყობისა, უმაღლესი გნეობისა, რომელიც ენაშია ჩადებული, მის ციფრულ მნიშვნელობებშია მოცემული. ამ აღმაფრენას ქართველი ხალხისას ვეღარ გაუძლებს ბოროტია გეოპოლიტიკის აღმსრულებელი ჩვენი ხელისუფლება. თვითონაც სიკეთისაკენ მოიქცევიან. გაწყვეტს ამირანი ბორკილებს!

## ბიბლიით რუსთაველით, ისტორიის აღდგენით – ტრადიციისაკენ შემობრუნებით აღდგება ჩვენი ცოდნა – ეს არის სამყაროს ხსნის გზა

ამოუწურავი სიამოვნება, ჰარმონია ელის მას, ვინც ენაში, საკუთარი სულის სამყაროში, გენში დაიწყებს ჩახედვას. (თუმცა ბოროტების მიერ ყველაფერი კეთდება, რათა გონი, ქართველთა ენის ამოუწურავი სიბრძნისგან ჩამოყალიბებული, ტყვეობაში იყოს). მათ გონებას მიეცემა წეს–კანონები სწორი ქცევისა, ზნეობის, სულიერი აღზრდის, ფიზიკური ჯანმრთელობის, გონიერების საზრდო. ამოუწურავი სიბრძნის შემეცნება ელით მათ ქართველი ხალხის ზეპირსიტყვიერებაში, ქცევაში, წარმოსახულის გათვითცნობიერებისას. ეს არის უმთავრესი თემა, აქ ხალხის სული და გული ბიბლიას, რუსთაველს არ სცილდება. აქ ტრიალებს ცეკვა, სიმღერა და მარადიული ხალხური ფოლკლორი.

ავიღოთ თუნდაც ხალხური ნათქვამი: პაპის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოჭრა კბილიო. ბიბლიით ვიცით, უფალი ეუბნება მოსეს, მესამე – მეოთხე თაობას მოეკითხავ ცოდვასო.

ბიბლიისკენ, რუსთაველისკენ შემობრუნებაა საჭირო ჩვენი იბერიული მისიის აღსასრულებლად, რაც ჩვენი გენეტიკაა, სულის ჰარმონიაა და მოსასვენებელია. როგორც სხვა ხალხური ფოლკლორი, ზეპირსიტყვიერება, ასევე „ვეფხისტყაოსანი" ამოუწურავია, როგორც ცოდნის და ზნეობის წიგნი. ეს არის წინასწარმეტყველება ბიბლიიდან გამომდინარე. კომენტარი ბიბლიის და პირველადი ენის მცნებათა განვითარებისა. აქ ღრმა დეტალური ჩაწვდომა სჭირდება თითოეულ სიტყვას, სტრიქონს, სტროფს, – ისინი გადაგვიშლიან ჩვენს ენაში მონიჭებულ უმაღლეს სულიერ კულტურას, ცოდნას, დატყვევებულს ბოროტი გეოპოლიტიკის მიერ.

რაც არ უნდა ჯაჭვებით დაგვაბან, გვაშიმშილონ, ყველა ქართველი გენეტიკურად უმალ აქეთკენ მოტრიალდება. ჭეშმარიტების ნამდვილ ცოდნას დაეწაფება სულიერი შიმშილის დასაძლევად. ისე გაიხსნება იბერიელთა ცოდნის კარები, ხილული გახდება. მათი თვალები შეიცნობენ ცხოვრების წესს, სამყაროს ფუნქციონირების, მუდმივმოწყობის მექანიზმებს. შემოვა მათში ზეციური ნათელი შეხინის – სულიწმიდის სახით. დაისადგურებს განუზომელი სიყვარული. ამგვარად, რაც მეტი გვაქვს ჭეშმარიტი ცოდნა, მით უფრო შევიცნობთ და უსაზღვროა სიყვარული სამყაროს შემოქმედისა. ზეციდან ბარაქა, სიუხვე და ჰარმონია მიემადლება დედამიწას.

ყოველი ახალი მეცნიერების შესწავლა, რომელიც ადამიანთა გარემოს დამონებისთვისაა მოგონებული, ცდილობს დაგვაცილოს ქართულ სულს, ზნეობას, გენეტიკას.

გვტანჯავენ ჯერ ფიზიკური, შემდეგ ზნეობრივი დაავადებებით, რადგან უნდათ ქაჯებისკენ, ულმერთოებისკენ მოგვაქციონ, და დავმარცხდეთ ბოროტებასთან. სულის და სხეულის გამტანჯველია ისინი, რადგან გვაცილებენ ჭეშმარიტ ცოდნას, რელიგიას. რაც უფრო ვითარდებოდა ეს მეცნიერებანი, მით უფრო ნაკლებს ცხოვრობდა ადამიანი. უზნეობის სწავლებასთან ერთად მატულობს ტანჯვა–წამება, ჯიბრი, დაავადებები.

უგუნური და უბედურია ისეთი ადამიანი, რომელიც ვერასოდეს ვერ შეიცნობს იმ უსაზღვრო ჰარმონიულ ნეტარებას, რაც უფლის უსაზღვრო სიყვარულს, ანუ ჭეშმარიტ ცოდნას მოაქვს. იბერიელს რაც მეტი აქვს ცოდნა, მით უფრო მეტი აქვს უფლის სიყვარული, არის უშიშარი, ბრძენი, დაუმარცხებელი გმირი. ცოდნა და სიყვარული ლაუცილებელი, ერთიანი სხეულია.

ისევე როგორც ბიბლია და ცოდნა, ენა და ცოდნა. ვისაც ცოდნა აქვს, ყველაფერი უყვარს, ეფერება, ჯანმრთელია, დღეგრძელია და პირიქით – ვისაც ცოდნა, ნათელი არა აქვს, ყველაფერს ებრძვის, ღიზიანდება, იღლება, მახინჯდება, ავადმყოფი ხდება და მისი ფინალი გადაშენებაა.

არც უსამართლობას, ისტორიის დამახინჯებას პატიობენ მეცამი. სპეციალურად მახინჯდებოდა ჩვენი ისტორია. ჩვენი მწყობის ბალავარი უნდა აღვადგინოთ, თორემ ბოროტების მიერ წარმოსახული ისტორიული მეცნიერებაც ჭუჭყით და ტყუილით არის შეთითხნილი. 200 წელზე მეტია გვიყალიბებდნენ ყოფას, გაუტანლობის სინდრომს გვისახავდნენ. გაუტანელი ერი კი ყველა გადაშენდა. მხოლოდ ჩვენ ჩვენი ღირსებისათვის ღირსეულ უფალმა, რომ ოთხ ათას წელზე მეტია მოვდივართ, როგორც იბერიელთა ერთიანი სასელმწიფო. ეს ყოველივე ჩვენი ცხოვრების წესის შიწათმოქმედების გამოა, ამის საფუძველი კი სამი წმინდანთაგან რაზედაც დაფუძნდა სამყარო ადამი და ნოეა. ეს არის ჩვენთვის ყველაზე საამაყო. ამ წესს, ისტორიას ებრძვის ბოროტება. ქრისტეშობიდან მხოლოდ დღევანდელი სახელმწიფოები არსებობენ. ჩვენი მომავალი და სამყაროსიც ჩვენს წარსულშია. მესია ამ წარსულს აღადგენს. ამის დავიწყება არ იქნების, ეს დიდი ცოდვაა!

როცა კითხულობთ თორას, ბიბლიას არ გიქვეითდება მხედველობა, ხოლო უმწეო მეცნიერებათა მკითხველთ ყველას უუარესდება მხედველობა. თ–ორ–ა თვითონ ხომ მუქია. ასეა ჭეშმარიტებასთან ერთად, ჯანმრთელი სულის ნათელი გაჰყვება ადამიანს, რაც სხეულს გაჯანმრთელებს.

ამგვარად, ცდილობს ბოროტება, ენა ანუ სული გამოგვიცვალოს, მოგვაცილოს წიგნთა წიგნს, თორას და მისი დანერგვის გზას – რაც ასახულია „ვეფხისტყაოსანში“

ამას ძირითადად უცხო, უმწეო „განათლების“ შემოტანით ცდილობენ.

მე–19 საუკუნეში ასეთი მეცნიერებით საზღვარგარეთ ნასწავლმა ახალგაზრდამ საჯაროდ უარყო მარხვის დაცვის აუცილებლობა. იმდენად დიდი იყო ჩვენში რწმენა – ნოეს, შემის, იაფეტის გენი განმტკიცებული, რომ მხოლოდ ერთი კაცი იყო მარხვის წინააღმდეგი. მაგრამ აკაკი წერეთელმა იგრძნო საიდან უბერავდა ეს უმწეობა და იწინასწარმეტყველა ამ შემთხვევის გამო დიდი უბედურების დასაწყისი. ეს უბედურება სოციალიზმი და უღმერთო კომუნისტური ეპოქა გახლდათ.

ჩვენში ხომ ისტორიულად საოცრად დიდი იყო ეს რწმენა, მსოფლიო აღაფრთოვანა ქეთევან წამებულის მაგალითმა და ასეთი ხომ თითოეული ქართველი იყო, რომელსაც არ იცნობდა მსოფლიო. ავიღოთ თუნდაც ერთი ეპიზოდი. როდესაც 1226 წელს ქართველების მიერ შეფარებულმა მუსულმანებმა ღალატით გაუღეს ჯალალედინს თბილისის კარები. ამ უკანასკნელმა მოსთხოვა თბილისელებს დაებიჯებინათ ღვთისმშობლის და მაცხოვრის ხატისთვის. ასი ათასამდე თბილისელმა არ გააკეთა ეს და ყველას სული ერთბაშად აღმოჩნდა ზეციურ სასუფეველში. ერთ დღეში მთელი ქალაქი აღმოჩნდა ქრისტეს სჯულის დამცველი. როცა ბიბლიაში მთელი სახელმწიფოდან ერთია სტუმართმოყვარე – ხოლო თბილისში ქრისტეს სჯულის მიმდევარნი ქუდზე კაცი აღმოჩნდა. მათ სიცოცხლე გაიმეტეს სჯულისათვის და როგორც ადრე ქრისტემ, ქართველებმაც, სულიერად სძლიეს მაშინ ბოროტს. ამდენი წმინდანი კი თითქმის ყოველ საუკუნეში ჰყავდა საქართველოს. არ აწყობს ბოროტებას ამის გამომზეურება. ჩვენ მაინც უნდა ვაკეთოთ ეს საქმე. რადგან გვინერგავენ ნიჰილიზმს და ქართველებზე იძახიან მცირერიცხოვანი ერიაო. ერის რიცხოვნება კი ზეციურ სასუფეველში უნდა დაითვალო. ეს წმინდანნი გამეფდებიან ქვეყანაზე მესიის ერაში.

ამდენად, ქართველობა დღეს ყველაზე მრავალრიცხოვანია. ამ წმინდანთა ნათელი სულების მადლი იცავს ჯერაც საქართველოს. როსტევანები და ავთანდილები მრავლად იყვნენ ყველა ეპოქაში, ესაა ერთ–ერთი მიზეზიც, რომ ზეციდან მადლი ეფინება ქვეყანას. ეს იმიტომ, რომ ქართველთა კონსტიტუცია მუდამ იყო ენა და ბიბლია. ყველა წიგნი, რაც დღემდე დაიწერა, ბიბლიის, ენის, „ვეფხისტყაოსნის“, იბერიელთა ხალხური შემოქმედების – მითების კომენტარები, ან მათი აზროვნების გაგრძელება თუ არაა, მხოლოდ ბოროტებას ემსახურება. ამიტომაც ტყუილად წერენ და ტყუილად კითხულობენ, რადგან მათ ნაწერებს სიცოცხლე არ უწერიათ, ხოლო ბიბლია, ენა, „ვეფხისტყაოსანი“ და იბერიელთა სხვა შემოქმედება, ძირითადად მე–17 საუკუნემდე, უკვდავია.

დღეს საქართველოში ყველა სწავლება, მათი განმარტებები, კომენტარები უნდა იყოს: ენის, სულის გახსენებაა საჭირო. იგი ზედაპირზე, თვალწინ დევს ჩვენს, გენეტიკურ კოდშია.

საჭიროა მხოლოდ ჩახედვა, ცხოვრების დაწყება ენის შუქით. მართალია, არ გეიშვებს, გაუ-ბრძეის ბოროტი, მაგრამ, როცა ასეთ გამოცდას გაუძლებ, შენს გენეტიკას, ზნეობას არ გადაუხვევ, მაშინ შემოვა ღმერთის შუქი, ნათელი, შეხინა – სულიწმიდა შენში და დამარცხდება ბოროტი ყველა ჩვენგანში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართულად ვერ ილაპარაკებ, ქართველად ვერ დარჩები, ვერ შეთავსდება ამ ენაზე მოლაპარაკე კაცში ბოროტება.

დედის მუცლიდან მოყოლებული ენა სიყვარულს, სიკეთეს გვინერგავს. ყოველ ჟამს. ყოველი სიტყვა თვითონ გვკარნახობს როგორ მოვიქცეთ, ზნეობის სული დევს მხოლოდ ამ სიტყვებში. ჩვენ მიერ შედგენილი ათი სიტყვაც, მან, მისმა სულმა გვიკარნახა, ენა თვითონ გვეუბნება, რომ ჩვენ არ გვჭირდება გრძელი პოსტულატები.

მთავარია, ენაში ჩაისედონ სულით, გენეტიკით შეურყვნელმა იბერიელებმა, რომელთაც უცხო სამსახური არ აუინანსებს. მაშინ მათში აუცილებლად გაიხსნება კოდი და შემოვა ღმერთის შუქი – სიტყვა, ანუ სიყვარული – ცოდნა. სულის ჰარმონია და ზნეობა, მხნეობა იქნება მისი მეგზური.

კიდევ აღვნიშნავთ, სხვამ შეიძლება სხვაგვარად შეადგინოს 10 სიტყვა და ძალიან კარგი იქნება ეს, რადგან ჰარმონიული სამყაროს შექმნისათვის, ანუ ერთი და იგივე მიზნისათვის იქნება მოწოდებული.

ჭეშმარიტი 10 სიტყვა კი უფალმა იცის და გამომჟღავნებული იქნება ის მესიის ერაში.

დღეს ხდება გამორჩევაც იბერიელთა, ყველა ჩვენგანი გადის გამოცდას. ვისი გენეტიკაც შეუბილწავია, მყარია და, პირიქით. უფალმა ადამიანებს, მის შვილებს თვალნათლივ დაანახა, რა მოაქვს მათ მოქმედებას.

ამგვარად, ყველა ადამიანს აქვს ორი არჩევანი. ჭეშმარიტება კი ერთია – უნდა შეიცნოს უფლის სწავლება – ცოდნა მასზედ, თუ როგორ იცხოვროს მან და დაეუფლოს სამყაროს მუდმივმოქმედების მექანიზმებს. გააგრძელებს ცხოვრებას მათი სულები, ვინც გაუძლებს დღევანდელ გამ–ოც–დას. უფალი ასეთ ხალხს ყურადღებას, ჯანმრთელობას, სიყვარულს, დღეგრძელობას არ მოაკლებს.

ჩვენ გვაქვს სიტყვა, რომელიც მიდის ღმერთთან. და აქედან გამომდინარე, გვაქვს სიმღერა, ლექსი, ცეკვა და ყველა ქცევა, რომელიც მიდის ღმერთთან. ყველა ქართველის ლტოლვაა ეს სიწმინდე, ზნეობა, გაიხსენოს, ისწავლოს და ასწავლოს.

რად გვინდა ის ჭუჭყი, რომელიც გვაღიზიანებს, სიცოცხლეს გვიმოკლებს, სულს გვიხუთავს, წინაპრებს, ტრადიციებს უნდა მოგვწყვიტოს. მართალია, გაუსაძლის მდგომარეობაში გვაგდებს ბოროტება, მაგრამ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება. ეს ყოფაც დღევანდელი ხელისუფლის მიერ მოტანილი სასადია – გამოცდაა ჩვენი უზომო ცოდვათა გამო. დრომე მოვინანიოთ, გავერთიანდეთ და იქნება ჰარმონიული ცხოვრების წესი.

## 3.4. როგორ ემთხვევა „ვეფხისტყაოსნის“ წინასწარმეტყველება ნაწინასწარმეტყველევს

როგორც ვიცით, წინასწარმეტყველია ისრაელის გაჭირვება დღეთა დასასრულის ჟამს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ისრაელი – სიკეთე არის იბერიული მოდგმა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ის რაც ისრაელს ელის ჟამი განსაცდელისა, ეს განსაცდელი მოველინა კავკასიის იბერებს და ასცდა ისრაელის სახელმწიფოს. შეიძლება ჩვენ ვცდებით. ეს უფალმა იცის. მაგრამ თუ გადავხედავთ მოვლენებს, ნაწინასწარმეტყველებანი ემთხვევა დღევანდელი კავკასიის იბერების გაუსაძლის მდგომარეობას და რუსთაველის ნაწინასწარმეტყველებს.

### ისრაელის გაჭირვებაში დღეთა დასარულის ჟამს, კავკასიის იბერთა გაჭირვება უნდა ვიგულისხმოთ

უკვე მოახლოებულია ჟამი სამყაროში ბოროტების დასასრულისა. ამიტომაც გაუსაძლისია სიკეთის ციტადელის იბერიული მოდგმის მდგომარეობა. დღეს ახლა საპედისწერო წარწერა საქართველოს სახელმწიფო გერბზე „განიყვნენ სამოსელი ჩემი და კვართს ჩემსა ზედა იყარეს წილი“. ახლა სხვა წინასწარმეტყველებანიც.

გავიხსენოთ ამ პერიოდზე რას გადმოგვცემს ბიბლიური დავითის 22–ე ფსალმუნი.

16. გამოიფიტა ჩემი ძალა, ვითარცა თიხა:
ენა სასაზე მიმეკრა
და სიკვდილის პირას მიმიყვანა.
17. რამეთუ გარს შემომესხნენ მე ძაღლები,
ბოროტთა ხროვა წრედ შემომერტყა
ლომის მსგავსად – ჩემი ხელფეხის გასაგმირავად.
18. მთელი ჩემი ძვლები დაითვალება,
ისინი მიჭვრეტდნენ ნიშნის მოგებით.
19. ჩემს ტანისამოსს ინაწილებენ
და წილს იყრიან ჩემს ჩასაცმელზე.

ეს სიტყვები არის დღევანდელი საქართველოს ზუსტი კარდიოგრამა. ენა იდევნება, მართლაც სასაზეა მიკრული. ქართველთა მწეობა, სიწმინდე. ცხოვრების წესი იდევნება. ქართველი სიკვდილის პირასაა. ინაწილებენ საქართველოს ტერიტორიებს, უღმერთოდ იყიდება ქვეყანა, სადაც მეფობდნენ ბიბლიური დავითის შთამომავალნი.

ისიც გავიხსენოთ, რომ სწორედ ბიბლიური დავითი ამბობს ვცხოვრობდი მესხეთში და ეს იგივე ისრაელი– იბერიული ტერიტორია იყო.

დასტურად გავიხსენოთ სხვა წინასწარმეტყველებანიც, რომელნიც ასევე ადვილად აიხსნება საქართველოსთან და მის მიმდებარე ქვეყნებთან მიმართებაში. მოვიყვანოთ ისინი იმ თანმიმდევრობით, როგორც გადმოცემული აქვს რაბი რაფაელ ალვევი აიზენბერგს ნაწარმოებში „ებრაული წინასწარმეტყველება სამყაროს ხალხთა მომავალზე დღეთა დასასრულის ჟამს.“

(ზოჰარი, თავი ვაიერა, 32) „გააჩაღებენ ისმაილის ძეილები ძლიერ ომს, წამოვლენ მათზე ედომის ძეილები. იქნება ომი ზღვაზე, ხმელეთზე, იერუსალიმთან და დაიპყრობენ ისინი მათ (ე.ი. ედომის ძეილები ისმაილის ძეილებს), მაგრამ იერუსალიმის წმინდა მიწა არ გადავა მათ ხელში“.

(დანიელი 11:40:43) „და ბოლოს შეებრძოლება მათ სამხრეთის მეფე, ბორბალა ტექნიკით, ცხენოსნებითა და მრავალი გემით. და მოვა ის ლამაზ ქვეყანაში და დაზარალდება ბევრი. იმეფებს ის სხვა ქვეყნებზედ, არც ეგვიპტე გადაურჩება მას. მის ხელში ჩავარდება ოქრო, ვერცხლი და ყველა სიმდიდრე ეგვიპტის: ლუვიმი და კუშიმი გაჰყვებიან მათ“.

(მალბიმის ახსნა იოელის წინასწარმეტყველებისა 4:9) „მე უკვე ავხსენი, რომ (წიგნში „იეხისკელი“): ედომის ხალხი აღდგება, რათა დაიპყრონ წმინდა მიწა და დაამარცხებენ ეგვიპტის მოსახლეთ, ისმაილის სარწმუნოების მიმდევრებს და მაშინ აღდგებიან ისმაილისტები, რათა შური იძიონ თანამორწმუნეებზე და ბევრს დაამარცხებენ და, მაშინ დაბრუნდებიან

ედომელები და დაამარცხებენ ისმაილის შეილს, და ასე იქნება მესამედიც, და ეს ომი — ომი „გოგისა და მაგოგისა“ დღეების ბოლომდე“.

იმ დროში ერთ—ერთი ქვეყნის ბოლოს მცხოვრები ერი ომს დაუწყებს „ჩრდილოეთის მეფეს“.

(დანიელი 11:43:44): „დაეუფლება ის ოქროს, ვერცხლს, სიმდიდრეს ეგვიპტესას, ლუვიისა და კუშიმიც მის ხელში აღმოჩნდება. მაგრამ ხმები აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან შეაშინებს მას, და იქნება იგი გააფთრებული, რათა გაანადგუროს და დახოცოს ბევრი“.

ნაწინასწარმეტყველევთა გასაგებად საჭიროა ზოგიერთი განმარტება:

ისმაილის შვილებში იგულისხმება მუსულმანური რწმენის ხალხები, რომლებიც გამრავლდნენ აბრაამის შვილიდან ისმაილიდან. ედომში იგულისხმება იაკობის ძმის ესავის შთამომავლობა, რომელნიც არიან იმპერიული მიმართულების, ანუ ინდოევროპელები და ებრძვიან იბერიულ მოდგმას. ამ იმპერიულ სახელმწიფოებს ყველა დროში ჰყავდა მეთაური და წინამძღოლი. წინასწარმეტყველთა განმარტებით სხვადასხვა ეპოქაში ეს წინამძღოლები მემკვიდრეობით იყვნენ: ბაბილონი, ეგვიპტე, რომი, ქრისტეშობის შემდეგ რომის მემკვიდრეობა გადავიდა ჯერ ბიზანტიაზე, შემდეგ რუსეთზე. გავიხსენოთ რუს მეფეთა გამონათქვამიც: „რუსეთი მეორე რომია. მესამე რომი არ არსებობს“, ესავი წითელი ყოფილა, ისევე როგორც წითელი რუსეთი და მისი ბოლო პერიოდის წითურა წინამძღოლები: გორბაჩოვი, შევარდნაძე. ამ უკანასკნელის სახელიც ედუარდიც წააგავს ედომს.

რაც შეეხება იერუსალიმს, ჩვენ ვიცით, რომ არსებობს ორი იერუსალაიმი. ამ შემთხვევაში რომ თბილისი უნდა ვიგულისხმოთ, ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ დღევანდელი ედომის მეთაური სახელმწიფოები გამძაფრებით ებრძვიან იმ სიქეთის ციტადელს, რომელსაც საქართველო ჰქვია და არა ისრაელს.

ასევე შეიძლება ითქვას ეგვიპტეზე. დღეს ეს ქვეყანა თავისი პირველადი ენით და იმ ტრადიციული იმპერიული ფუნქციით აღარ არსებობს. ეს მისია რუსეთს აქვს. ამიტომ ქვეყნებში ლუვიმი და კუშიტი — რუსეთის მოსაზღვრე მუსულმანური ქვეყნები უნდა ვიგულისხმოთ, მართლაც ხომ გამორიცხულია დღეს ომი ედომის, ანუ რუსეთის ეგვიპტესთან, ლუვიმთან და კუშიმთან იმიტომ, რომ დაიპყროს იერუშალაიმი. (პირიქით, ისინი შეუერთდებიან რუსეთს თუ იგი ამას მოინდომებს. ისინი ხომ ტრადიციულად ერთი სულიერი მისწრაფებისანი არიან.) ედომის მემკვიდრე რომ მხოლოდ წითელი რუსეთია, ამას ყველა ერთხმად აღიარებს. რუსეთი კი დაიპყრობს წმინდა მიწას იმ შემთხვევაში თუ საქართველოს იერუშალაიმს — „თბილისს“, იბერიელთა მოდგმის გულს დაიპყრობს. მაგრამ მან ჯერ მისი მოძმენი, იბერიული მოდგმის მუსულმანური ქვეყნები ჩეჩნეთი, ინგუშეთი და სხვა უნდა დაიპყროს. ეს ქვეყნები ტრადიციულად იყო ფარი იბერიის გულისა საქართველოსი. მალბომის ახსნა რომ ასე უნდა გავიგოთ, ამაში თანდათან კიდევ დავრწმუნდებით.

რაც პირველ აბზაცშია აღწერილი, ჩვენი აზრით, უკვე მოხდა 90—იან წლებში. ედომის შვილებმა ე.ი. რუსებმა, ავღანელებთან, შემდეგ ყოფილ საბჭოთა კავშირში არსებულ ქვეყნებთან (ტაჯიკეთი, აზერბაიჯანი და სხვა) დიდი ხანია ომი გააჩაღეს და ხელმეორედ დაიპყრეს ისინი. ამ სახელმწიფოთა მმართველებად თავიანთი კაცები დასვეს და გადააყენეს ხალხის მიერ არჩეული კანონიერი პრეზიდენტები. ეს რაც შეეხება ომს ზღვასა, ხმელეთზე და იერუშალაიმთან. რის შემდგომაც, ჩვენ ვიცით, თბილისში — იერუსალიმში არავინ შესულა. ანუ რუსეთი არ შესულა.

მეორე აბზაცი დასტურია გამონათქვამის: სამხრეთის მეფე, რომელიც შეებრძოლება რუსეთს, ზვიად გამსახურდიას დროინდელი ლამაზი ქვეყანა, საქართველოა. მათ, აქაც, ჯერ კანონიერი პრეზიდენტი ჩამოაგდეს, ზ. გამსახურდიას ე.წ. ოპოზიციონერთა, კრიმინალთა ძალისხმევით. დასვეს თავიანთი კაცი და ცბიერებით, მოტყუებით ამოხოცეს, დაამონეს ქართველები. დაიპყრეს მისი ტერიტორია. გააძევეს ქართველები აფხაზეთის და სამაჩაბლოს ომის შედეგად ბორბალა ტექნიკის, მრავალი გემის საშუალებით. დაბრუნდა რუსეთი სამეფოდ მართლაც ლამაზ ქვეყანაში. დღეს საქართველო ისევ იმპერიაში, „ეს—ენ—გე“—შია. ისევ რუსის ჯარია საქართველოს ტერიტორიაზე.

რუსეთმა ისევ განიმტკიცა ძველებური ძალაუფლება. ისეთი რეფორმები ჩაატარეს, რომ რუსული კაპიტალი დომინირებს. ჩვენ უარი ვთქვით საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ჩვენს წილ მილიარდებზე, სამხედრო ფლოტზე. განა ეგვიპტის ქონება, ნავთობი, ოქრო ჩაუვარდება ხელში რუსეთს, არამედ საქართველოსი, იბერიელთა ქვეყნების. ამ შემთხვევაში

ეგვიპტეში იბერიული მუსლიმანური მოსახლეობა უნდა ვიგულისხმოთ. მათაც ბევრი აქვთ ნავთობი.

მოსაზღვრე იბერიელთა მუსულმანურ ქვეყნებშიც (დაღესტანი, ინგუშეთი, ჩეჩნეთი და სხვა), რუსეთმა უფრო განიმტკიცა ბატონობა და დაეუფლა მათ ეროვნულ ფასეულობებს.

ამას ადასტურებს მესამე აბზაციც. ეგვიპტის მოსახლეთა დამარცხება ედომის ხალხის მიერ, ხომ არ ნიშნავს წმინდა, ე.ი. ისრაელის, მიწის დაუფლებას, რაც შემდეგი წინადადების შინაარსია, „რათა დაიპყრონ წმინდა მიწა და დაამარცხებენ ეგვიპტის მოსახლეთ". ხოლო თუ საქართველოს ვიგულისხმებთ წმინდა მიწად, ჩეჩნეთის დამარცხება სწორედ ამას შეუწყობს ხელს.

ჩეჩნეთი დღეს არა მარტო თავის, არამედ მთელი კავკასიის დამოუკიდებლობისათვის იბრძვის. იცის რუსეთმა, თუ არ დაამარცხა ის, ისევ აღდგება ქვეყანა — საქართველო, რომელმაც გმირი ჩეჩენი ხალხის ასეთ სულისკვეთებას ჩაუყარა საფუძველი. რომ ეგვიპტეში ჩეჩნეთი და იბერიული მოსახლეობა უნდა ვიგულისხმოთ, ეს გამომდინარეობს იგივე იეხისკელის წიგნიდან. ამ წიგნით როგორც გადმოგვცემს რაბი მოშე ვეისმანი ხუთწიგნეულის კომენტარში „მიდრაში გვიყვება" დაბადება გვ.138 გამომც. შეუტ ამი იერუშალაიმი 1980 წ. წმინდა მიწაზე ღირსეული ადგილი ექნებათ იაფეტელებს დასამარხავად, რადგან ნათქვამია: (იეხისკელი 39:11) „მივცემ გოგს ღირსეულ ადგილს დასამარხავად. ანუ დღეების ბოლომდე ომი გოგისა და მაგოგისა —ეს არის ომი იაფეტელების და არა შემიტების მაგოგის ანუ იმპერიული რუსეთის წინააღმდეგ. რაც მტკიცდება დღეს. ებრაელებო დროზე დაუჭირეთ მხარი თქვენს სულიერ მოძმეებს.

როგორც ჩანს, ეს ომი განუწყვეტელი იქნება მეორედ მოსვლამდე, რაც საქართველოს აღდგენა–გამარჯვების შემდეგ მოხდება.

როცა დუდაევმა განდევნა და დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მეორედ რუსეთმა თითქოს დაამარცხა ჩეჩნეთი, მისი 80% ტერიტორიისა ისევ დაიპყრო, მაგრამ მაინც განდევნეს ისინი. დღეს უკვე მესამედ, როგორც ნათქვამია, თითქოს კიდეც დაიმორჩილეს, მაგრამ ჩეჩნეთი დაუმარცხებელია, სანამ ერთი ჩეჩენი მაინც არსებობს, ერის გაწყვეტას უფალი არავის დაანებებს. ამავე დროს, როგორც ნაწინასწარმეტყველებია, ისმაილის შვილები მართლაც ეხმარებიან ჩეჩნეთს როგორც ფულით, ასევე ცოცხალი ძალით.

რაც შეეხება მეოთხე აბზაცს, ისიც ადვილად იხსნება: ქვეყნის ბოლოში არსებული ქვეყანა ამერიკაა. მას დიდი ხანია აქვს იდეოლოგიური და ეკონომიკური ომი რუსეთთან. დღეს მან მოიგო ეს ომი, რუსეთს თავს მოახვია საკუთარი კაპიტალისტური ცხოვრების წესი. რუსეთისა და მის მიერ დაპყრობილი ქვეყნების, აფრიკის, აზიის და სხვ. სიმდიდრეებს (მიწას, ნავთობს, მადნეულს) საკუთარი ვალუტის, ეკონომიკის განსამტკიცებლად იყენებს. დღეს უკვე კავკასიასაც ეცილება. რაც შეეხება წინადადებას – „ხმები აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან შეაშინებს მას", დღეს რუსეთის ხალხი მართლაც ხმას იმაღლებს იმპერიის დაძაბუნებისა და მისი ეკონომიკის სხვა სახელმწიფოს მიერ გამოყენების წინააღმდეგ და ბევრიც იხოცება. მოვიყვანთ კიდევ ერთ აბზაცს.

(ზოჰარი, თავი ვაერა, 32) „ამავე დროს, მიწის ბოლოში გაიღვიძებს ერთი ხალხი და აღსდგება ბოროტების სამეფოს, რომის მემკვიდრის წინააღმდეგ და, შეებრძოლება სამი თვე. და შეიკრიბება სხვადასხვა ქვეყნის ხალხი, რათა გაანადგურონ ისრაელი".

ბოროტების სამეფოდ დღეს აღარ უნდა ვიგულისხმოთ მარტო რუსეთი. ეს, ჩვენი აზრით, დღევანდელი მსოფლიოს გეოპოლიტიკაა, რის გამოც, ამერიკასაც და რუსეთსაც განაწილებული აქვთ გავლენის სფეროები და რის გამოც თითქმის გაჩერებულია, ხმას არ იღებს მთელი მსოფლიო იმ საშინელ ვანდალიზმზე, რასაც ისინი სჩადიან, იბერიული მოდგმის წინააღმდეგ.

ზ. გამსახურდიას ხელისუფლებას დაძაბული პერიოდი სამი თვე ჰქონდა. ამ სამ თვეში მოახერხეს მისი განდევნა და ამის მერე მთელი მსოფლიოს ფულიანთა ელიტა საქართველოს ტერიტორიებს ნაკუწ–ნაკუწ გლეჯს და ინაწილებს. ეს ფრაზაც ადასტურებს, რომ იგი არის სიკეთის ქვეყანა, ბოროტება ყველაფერზე მიდის, რათა გაანადგუროს, გაინაწილოს ეს კრავი სიკეთისა.

ბოროტების, ედომის სამეფოს მიზანია, საბოლოოდ განდევნოს ქართველები და მოსპოს საქართველო. ამ პროცესს ხელს უწყობს მსოფლიოს ყველა იმპერიული ქვეყანა, მსოფლიოს ბანკის სავალუტო ფონდის, ევროპის სხვა პოლიტიკური ორგანიზაციების რეკომენდაციათა მეშვეობით, როგორც ვიცით, მიმდინარეობს ისეთი ეკონომიკური რეფორმები, რის შედეგადაც

ქართველები ან იხოცებიან, ან გარბიან. საქართველოს მიწები, ქარხნები, სხვა ეროვნული სიმდიდრე კი მათ ხელში აღმოჩნდება უახლოეს მომავალში.

უნდა ვეწამლეს, რომ დღეს ჯერ სიკეთის ეს კერა, ეს ბასტიონი უნდათ აღგავონ და შემდეგ ისრაელისთვისაც მოიცლიან. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველო სულს ღაფავს, ისევ აგრძელებს თავის ავთანდილურ ისტორიულ მისიას, იგი არის ფარი ისრაელისა, სიკეთისა და საკუთარ თავზე იღებს მომაკვდინებელ დარტყმებს. მას ავთანდილს, ფრიდონს კავკასიის იბერებს დროზე უნდა შევლა და დახმარება, თორემ შემდეგ ტარიელს ისრაელს ძალიან გაუჭირდება.

ტრადიციულად მხოლოდ ჩვენ ვედექით გვერდში ურთიერის და ეხლაც ასე უნდა იყოს.

მივყვეთ შემდეგ ნაწინასწარმეტყველებს.

(ხელნაწერი, რამბანის, 11 ნაწილი, გვ. 517) „... და აი, დაიპყრობენ მთელ მსოფლიოს 9 თვით, მაგრამ გაიგებენ: დიდიერი მოდის, – ეს არის 10 შტო და გამოვლენ საომრად, როგორც დაწერილია: მაგრამ ხმები აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან შეაშინებს მას, და იქნება ის ამის გამო უდიდესად გაშმაგებული".

სიკეთის ბასტიონის, ევროპისა და აზიის კვანძის, გასაღების, კავკასიის და საქართველოს დაპყრობა–განადგურებით მართლაც დაპყრობილი ჰყავთ ედომის შვილებს მთელი მსოფლიო. გავიხსენოთ საქართველოს 12 კუთხე, ადმინისტრაციული ოლქი, დღეს დარჩა თითქმის 10. აფხაზეთისა და მესხეთ–ჯავახეთში, დღეს, საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია თითქმის აღარ ვრცელდება. ამ კუთხეებში, რუსულ – სომხური, ოსური არა იბერიული – ინდო–ევროპული მოსახლეობა და ჯარი გაბატონდა. დარჩა 10 შტო, 10 მხარე, და ეს დიდი ერი, 10 შტო იბრძვის უსამართლობის წინააღმდეგ. აქ, ამ მხარეებშიც, უნდა ჩასახლებულიყო ის 10 შტო, ისრაელიდან რომ განიდევნა და ისინი აბორიგენ ქართველ მოსახლეობასთან ერთად იწირება სიკეთის, ისრაელის წმინდა მიწის დასაცავად.*

წინა მასალაში მოგვყავს იცხაკ დავიდის მტკიცებანი და ქართლის ცხოვრება, ეს უტყუარი ისტორიული დოკუმენტი რომ დევნილი 10 შტო საქართველოში ჩამოსულა.

ამასვე (რომ ებრაელები 28 საუკუნის წინათ ჩამოვიდნენ) ადასტურებენ კირიონ მეორე, იცხაკ დავიდი და სხვა.

ამგვარად, ისინი ქართველებთან ერთად იცავენ სიკეთეს, რომელსაც, ამ შემთხვევაში, შეიძლება ვუწოდოთ ერეც–ისრაელიცა და საქართველოც.

როდესაც ზ. გამსახურდია განდევნეს ეს მოვლენები ქრონოლოგიურად ასეც განვითარდა. მართლაც ბოროტებამ ედომმა დაიწყო მეფობა სამყაროზე. გამსახურდია ხელს უშლიდა ადრე მათ ამისათვის. იგი ცდილობდა შეექმნა დამოუკიდებელი იბერია–კავკასია და ეს სული, მისწრაფება იბერიელთა განზოგადოებულიყო მთელ მსოფლიოში. ამიტომ მსოფლიოს დაპყრობაში უნდა გაეიგოთ საქართველოს და ჩეჩნეთისა და სხვა იბერიული მოდგმის ქვეყნების დაპყრობა და ბოროტი გეოპოლიტიკის გატარება. 1993 წელს კი მეიად გამსახურდია მართლაც ჩამოდის საქართველოში. სრულიად საქართველოს დარჩენილი 10 მხარე სამაჩაბლოს და აფხაზეთის გარდა, უდგება მას მხარში (აქ ნუ მიაქცევთ ყურადღებას 9 თვეს, რადგან განთავისუფლების პერიოდში მომხდარი მოვლენები სხვადასხვაგვარად არის ნაწინასწარმეტყველები, მაგ: ტრაქტატ „სანედერინში" (97, ა) ედომი იმეფებს ისრაელზე, ანუ იბერიაზე არა უმცირეს 7 თვისა და არა უმეტეს 7 წლისა. შემდეგ ისრაელი მოერევა მათ. ანუ ეტყობა ედომის – რუსეთის გარდა სხვა დასავლური ორიენტაციის სახელმწიფოთა მეფობის წლებია ნაგულისხმევი).

რაბი ალევი აიზენბერგის ადრეული განმარტებაც ემთხვევა შემდგომ უკვე მომხდარ მოვლენებს. იგი გადმოგვცემს: დღეს აღმოსავლეთის ქვეყნებში ცხოვრობენ ხალხები, რომელთა

---

*გავიხსენოთ უამრავი ქართული გვარი ებრაული წარმოშობისა – ურიათმოყვარელი, ებრაელიძე, ჭანტურია, ბალათურია... გავიხსენოთ, რამდენია ერთი და იგივე გვარის მატარებელი ქართველიც და ებრაელიც – ჯანაშვილი, მაღალაშვილი, ბერიძე. ასეთი გვარები ასობით არის. გავიხსენოთ უამრავი გვარი საქართველოში, რომელსაც ფუძე ებრაული აქვს: შელეგია, ბასარია, სართანია, ბახტაძე, ხომერიკი და სხვა. შელეგ არის თოვლი, ბასარ – ხორცი, სართან – კიბო, ბახტა – ტიროდა, ხომერიკი ცარიელი სისხე (ხომ – სიცარიელე, რიკ – სისხე). ანდა თუნდაც ის, რომ ყველა დიდი ებრაელი მოღვაწის სახელი ქართული გვარების ფუძეა. მოსეშვილი, აბრამისშვილი, დავითშვილი, სოლომონია და სხვა. ჩვენ აღვნიშნეთ რომ სადაური სიტყვა ნიშნავს სადაური რომელი კუთხის თორმეტიდან ური ხარო. ჭანტურია ჭანის ტომისაა, რადგან თური მეგრულ დიალექტში აღნიშნავს სადაურობას.

წეს–ჩვეულებანი ადასტურებს, რომ ისინი 10 მუხლიდან არიან (წეს–ჩვეულებაში ბიბლიის უნაკლო დაცვა უნდა ვიგულისხმოთ. ეს კი მხოლოდ საქართველოში ხერხდებოდა. რადგან ებრაელები ყველგან იდევნებოდნენ). ებრაელი ბრძენი კომენტატორის განმარტებით, დღეთა დასასრულისას გაილევიძებენ ისინი, რათა შეუერთდნენ თავიანთ მოძმეებს და დაბრუნდნენ ერეც–ისრაელში.

გამსახურდიას ოცნება იყო, რომ იბერიულ–ისრაელის ხალხში ამდგარიყო რწმენა და იბერიული ცხოვრების წესი. შემდეგ დასმარცხდა იგი — ავთანდილი ისრაელს, რათა აქაც აღმდგარიყო იბერიული ცხოვრების წესი, აღდგენილიყო მესამედ ტაძარი და ეხსნათ მეხინა, ნესტან დარეჯანი ტყვეობიდან. ამიტომ ჩამოვიდა ჩეჩნეთიდან, რათა ეხსნა ჯერ საკუთარი სამშობლო, მას შემდეგ, როცა იქ შეასრულა მისია — მთელი კავკასიის და სამი რელიგიის ერთობის სამყაროს გადასარჩენად, ის, რაც რუსთაველსაც აქვს გადმოცემული (თუ როგორ ალასრულა ეს, ამაზე ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ). შემდეგ თავისი მხედრობით დარჩენილი 10 მტო ქართველთაგან წამოვიდა თბილისის გასათავისუფლებლად მან არ ისურვა საკუთარ მოდგმასთან ომი და დამარცხდა.

რაბი რაფაელ ელეეი აიზენბერგი აღნიშნავს: „გამორიცხული არ არის, რომ წინა აბზაცში" ზაორი სხვა ერს გულისხმობდაო. ეს სხვა ერი ჩვენ უკვე ავხსენით, რომლის გასანადგურებლად შეკრებილია ბოროტების სამეფოს შვილები, ამ შემთხვევაში საქართველოა იბერიული მოდგმა". რომელიც დამარცხდა ფაქტობრივად რუსეთის იმპერიასთან ბრძოლაში. ამიტომაც ასხნა მოეძებნება რამბანის ბოლო ფრაზასაც: „სმები აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან შეაშინებს მას და იქნება ის ამის გამო უდიდესად გაშმაგებული". ალბათ, მსოფლიოს პროგრესული ძალები აღიმაღლებენ ხმას საქართველოს გადასარჩენად.

(ზაორ, შესაქმე, 119) „... და აი, ჩრდილოეთიდან დაიწყება ომები... და შეერთდებიან ყველა ხალხი იაკობის შვილის წინააღმდეგ, რადგან მოისურვებენ გააქრონ იგი ქვეყნიერებიდან. ამაზე წერია: ეს არის საათი უბედურების და ასევე გადარჩენის იაკობისა".

ეს აბზაცი ჩვენი ვარაუდის კიდევ ერთი მტკიცებაა. ბოლო წლების მოვლენები ადასტურებენ, რომ საქართველო — იბერია — ისრაელი — იაკობი გარშემორტყმულია ბოროტებით. აქ ომი, ჩვენი აზრით, მიდის იმ სიმართლის წინააღმდეგ, რომელიც ჩასახულია იაკობის სახელში და, ამ შემთხვევაში, საქართველოში (ამის დამამტკიცებელ მასალას ქვემოთაც შემოგთავაზებთ) და ამ ომს აწარმოებს მეორე მხარე ბოროტებისა ქამის — ესავის მიმდევრების, ჩრდილოეთის იმპერიის სახელით. ამ აბზაცის ბოლო წინადადება კი ასე უნდა გავიგოთ: ეს არის გამძაგებული ომი, ერთის მხრივ, საათი სრულიად საქართველოს უბედურებისა და, ამავე დროს, იაკობის, ე.ი. ისრაელის გადარჩენისა. ე.ი. როლები შეიცვალა. თუ ადრე, სიკეთის სახით ისრაელმა ქანაანში გამოუცხადა ხილული ბრძოლა ბოროტებას რათა არ მიდგომოდა იგი იბერთა სამშობლოს საქართველოსსაზღვრებს, რის შედეგად ისრაელში თითქმის აღარ დარჩა ისრაელელი. დღეს ისრაელი იბრუნებს თავის ტერიტორიებს სიკეთის მისიის აღსასრულებლად, ხოლო სიკეთის ფუნდამენტი — საქართველო, სილულია ბოროტებისათვის და იცლება იგი ქართველებისაგან, იღებს მომაკვდინებელ დარტყმებს. გავიხსენოთ ის, რაც გააკეთა ავთანდილმა — ქართველმა ერმა, რისი წინააღმდეგიც იყო როსტევანი. დაბოლოს, დღეს მართლაც, ყველა რუსეთის ხმას აჰყოლია და ისინი შეერთებული ძალით ებრძვიან საქართველოს.

## დასტურად ჩვენი ძნელი დღეებისა გავაანალიზოთ მოვლენები.

ჩვენი ვარაუდის მტკიცებაა ასევე შემდეგი წინასწარმეტყველის ნათქვამი:

(ეზეკიელი, 38:11) „და იტყვი შენ: ავედგები დაუცველი ქვეყნის წინააღმდეგ, წავალ დასამშვიდებლად და დასაცავად აქ მცხოვრებთა. არა აქვთ მათ არც კედლები, არც სიმაგრეები, არც კარები". ხსნის რამბანი: „წავალ დასაწყნარებლად" — და შევხედავ რისი იმედი აქვთ?!

ჩვენ ამაზე უკვე აღვნიშნეთ: როდესაც დაიწყო საქართველოს უბედურება — საზღვრების გახსნა, ეკონომიკის დაძაბუნება და სხვა, 1992 წლის აღდგომის პირველ დღეს, შუაღამისას, ადამიანებმა დაინახეს სიონის ეკლესიის, ე.ი. ძველი თბილისის მიდამოებში, მოწმენდილ ცაზე, ზეციდან იყურებოდა საქართველოს დამაიმედებელი, კეთილი, სათნო, გასხივოსნებული მზერის, მკერდამდე თეთრწვერა ადამიანის ზეციური გამოსახულება. ტანთ ეცვა გრძელი, თეთრი ანაფორა.

ეს ფაქტი ჩვენ, უიმედოდ მყოფმა, დაუცველმა, ყოველი მხრიდან გაწირულმა საქართველოს მოსახლეობამ უნდა აღვიქვათ დიდ იმედად, არ უნდა დავკარგოთ იმედი. უნდა ვიბრძოლოთ თავგანწირვით, რადგან ჩვენთან, ზეციდან მოვლენილი, ღვთიური გამოსახულება იყო. გვათვალიერებდა, რა მდგომარეობაში ვართ და რისი იმედი გვაქვს. ვინახა რა უიმედობა, მოგვაურქვია კეთილი, სათნო, იმედისმომცემი, გასხივოსნებული მზერა, რომ დაუწყნარდეთ და დარწმუნებული ვიყოთ ჩვენს გადარჩენასა და გამარჯვებაში. ამგვარად, ეს წინასწარმეტყველებიც ახლა და მოვა დრო, რომ იგი ღმერთის შეწევნით სრულიად ახდება. ამას ადასტურებს შემდეგი წინასწარმეტყველება.

(დანიელი, 11:45): „და განალაგებს თავის მდიდრულ სასახლეებიდით კარვებს, ზღვასა და, ლამაზ, ნათელ მთებს შორის, მაგრამ მოვა მისი აღსასრულის დღე, და უკვე აღარავის დაეხმარება მას“.

შეეხერდეთ ამ წინასწარმეტყველებაზე და ეღომის დამარცხებამდე სხვა აზრებიც მოვისმინოთ. დღეს, მართლაც, რუსეთს შესანიშნავი სასახლეები, აგარაკები აქვს აგებული საქართველოს ზღვასა და მთაში.

აი, რას წერს ცნობილი კაბალისტი რაბი აბრამ აზულაი თავის კაბალურ წიგნში: „ჩვენი ტყვეობის ბოლოს, ისრაელის უბედურება გაიზრდება ისე, რომ მთებსა და მინდვრებს დაეუბნებიან: „დაინგრიეთ და ჩაგვიტანეთ ჩვენ“. საშინელებები გაგრძელდება იმდენად, რომ ვერ შეძლებენ მამები მიხედონ შვილებს, და ყოველი, ვინც გადაირჩენს თავს, დაუძახებენ გამარჯვებულ გმირს“.

ეს სურათი სრულყოფილად ასახავს დღევანდელი საქართველოს უბედურებას.

მართლაც, აფხაზეთის და სამაჩაბლოსქართული 400 ათასამდე მოსახლეობა, მათ შორის ყველა იქ მცხოვრები ებრაელი სრულიად საქართველოს მოსახლეობა წინასწარ გაყიდულ, წაგებულ ომში ზუსტად ასეთ დღეში აღმოჩნდნენ. ბევრჯერ ინატრეს მათ სიკვდილი. დღესაც, სრულიად საქართველოს მოსახლეობა, ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, თითქმის ანალოგიურ მდგომარეობაშია. ჭეშმარიტი პატრიოტი ქართველები ქართველობისთვის ოჯახებით იდევნებიან. არ ეძლევათ საშუალება რომ თავი ირჩინონ. მათი ყველაზე დიდი დანაშაული ქართველობაა: ღმერთის, მოყვასის, სამშობლოს სიყვარულია დღეში 30–50 კაცი თვითმკვლელობით, ან შიმშილით იღუპება. ყველა დროს ყველა ერის უბედურება რომ შეაჯამო, იგი ახლოსაც ვერ მოვა იმ უბედურებასთან, რაც საქართველოში ბოლო 10 წელია ტრიალებს.

იმპერიული ძალების მიერ მოწყობილი სისხლიანი სპექტაკლი გამოირჩევა ვანდალიზმით, სადიზმით, სისასტიკით. საზღვარი არ აქვს უდანაშაულო, დაუცველი ადამიანების უბედურებას. ამიტომ, გამარჯვებისას ვინც გადარჩება, მართლაც გმირი იქნება.

და ამავე დროს ნათქვამია, რომ ეს გადარჩენა ისეთი სასწაულებით მოხდება, რომ ამის გამო, თითქმის დავიწყებული იქნება სასწაულები, ეგვიპტიდან განთავისუფლებისაც კი.

(იერემია, 23:7–8) „ამიტომ დადგება დღეები – თქვა ღმერთმა, როცა აღარ იტყვიან. ცოცხლობს გამჩენი, რომელმაც გამოიყვანა ისრაელის შვილები ეგვიპტედან“... და იტყვიან: ცოცხლობს გამჩენი, რომელმაც გამოიყვანა და მოიყვანა შთამომავლობა ისრაელის სახლისა ჩრდილოეთის ქვეყნიდან და ყოველი ქვეყნიდან“... ესეთი უდიდესი საკვირველებანი დაემთხვა ჩვენს გათავისუფლებას, და ყოველი, რომელიც შეძლებს შეიცნოს ეს, წამოიძახებს: „აი – გამჩენი ჩვენი, რომელზეც ვიყავით მინდობილი ჩვენ“ და ხელით უჩვენებენ „შეხინას“ (ღმერთის სხივოსნებას)“.

გაეიხსენოთ ვეფხისტყაოსანი, როცა უმზერდნენ ორ დას ნესტანს და დარეჯანს, შეხინის, ღმერთის სხივოსნებას, სალხი ასე განიწმინდება.

გმირობის ტოლფასი იყო არა მარტო ქართველთა რამდენიმე ასეული ებრაელი ოჯახის გამოხსნა და ისრაელში ჩამოყვანა ალყაშემორტყმული სოხუმიდან, სამაჩაბლოდან და სხვა. იქ დღეს, ყველგან უბედურებაა. ეს უდიდესი საკვირველება ყველას ჯერ ვერ გაუთვითცნობიერებია, თუ რა უბედურებისგან იხსნა ერეც–ისრაელში ჩამოსული ებრაელები გამჩენმა. ისინი, ვინც ამას შეიცნობენ, უნარი ექნებათ შეიცნონ შეხინაც (გამჩენის სიდიადე).

როგორც წმინდა წიგნები გადმოგვცემს, „იმ დღეებში გამრავლდება უბედურება სხვა ქვეყნებში მათი ცოდვების გამო, და ყველა დაიტანჯება იმდენად, რამდენადაც შესცოდა. ყოველი დაიღუპება, ვინც არ დაუბრუნდება სარწმუნოებას!... ისინი განწმენდას განწმენდაზე უნდა გადიოდნენ, სანამ არ განიწმინდებიან, როგორც ვერცხლი ნარევის გარეშე იქნება მათი ტან-

ჯეა. დროა ყველა გონს მოეგოს და, ნუ სჩადიან თითქმის გამოუსწორებელ ცოდვებს, დაიცვან გამჩენის მცნებანი.

„მტკიცედ მივენდე მე გამჩენს, და წამოვიდა ის ჩემსკენ, ისმინა ჩემი ტანჯვები და მომამაღლა მან მე". (მიდრაში „თეილიმი", 40).

„აი, იგი — გამჩენი ჩვენი, ვისაც მივენდეთ ჩვენ, ის გადაგვარჩენს? არა აქვს ისრაელის ხალხს არაფერი, იმედის გარდა, და ღირსნი არიან ისინი გადარჩენისა ამ იმედის გამო". (იეშაუ, 15:9).

„შეეწევა გამჩენი, ვინც მას მიენდობა, სულით ეძებს მას". (ეისა, 3:5).

ამგვარად, მხოლოდ გამჩენთან მიახლოება, მის დამოძღვრათა შესრულება მოუტანს ხალხს შვებას და გადარჩენას.

დაბოლოს,

„იმ დღეებში გამოჩნდება უსირცხვილო მეფე „ღარიბი და უბედური ხალხის მეთაურად" და იმეფებს ცრუ დაპირებებით". ასეთნაირად იმართება დღეს საქართველო. (ასაკით—გუტრაგა, თავი ბალაკ).

მაგრამ როგორ უნდა იყოს საქართველოს ხსნის გზა? წმინდა წიგნში, ბრძენთა ასსნით, ამას გააკეთებს დავითის შთამომავალი მიხეილი (მაშიახი).

„აღდგება მაშინ მიხეილი დიდი თავადი, შენი მფარველობისათვის და ისეთი უბედურების დღე დადგება დამპყრობლებისათვის, როგორიც არც ჰქონდათ და, გადარჩება შენი ხალხი". (დანიელი, 11:45).

სიტყვა „დიდი თავადი" აღნიშნავს მეფის, მეფე დავითის შთამომავალს. ჩვენში დიდნი თავადნი ბაგრატიონების — დავითის შთამომავლობა იყვნენ. დღეს საქართველოს ეროვნული მოძრაობა მიმართულია იქითკენ, რომ აღდგეს ამ დინასტიის მეფეთა მეფობის ტრადიცია.

იგივეს გადმოგვცემს ზაქარია წინასწარმეტყველი (12:2): „და გავხდი იერუშალაიმს უსამის ქალაქად ყველა მოსაზღვრე ხალხისათვის და იუდეას მტრებისათვის, როცა მის გარშემო შემოირტყმებიან". დღეს თბილისი მართლაც გარშემორტყმულია იუდეას, ანუ იბერიის — სიკეთის მტრებით.

და რაკიდა დღეს თბილისი ე.ი. საქართველო გარშემორტყმულია, გამარჯვების საათი შორს არ არის.

მანამდე შეიკრიბება ისრაელის წინააღმდეგ (ე.ი. ამ შემთხვევაში სიკეთის და, ამიტომაც, აგრეთვე, საქართველოს წინააღმდეგ) ყველა შვილი ედომის სამყაროს ყველა კუთხისგან და მაშინ აღდგება გამჩენი ღმერთი მათ წინააღმდეგ. (ზოჰარი, თავი ვაიკრა 32). როგორც ამ წიგნის წინა თავები გვამცნობს, დღეს საქართველოს წინააღმდეგ მართლაც ყველა ედომის შვილი იბრძვის და საქართველო მართლაც უღმერთოდაა გაყიდული. მმართველი ელიტის მეშვეობით ყველა ცდილობს რაღაც ნაწილი წაგლიჯოს ამ კურთხეულ, ბარაქიან ქვეყანას საკუთარი გამდიდრებისათვის. და სისხლისგან იცლება ამ ყვავ—ყორნების მიერ დაჭრილი საქართველო. დაახლოებით იმავეს გადმოგვცემენ წინასწარმეტყველები დანიელი და იესაისკელი.

## განთავისუფლების დღე რომ კარზეა მომდგარი ამას ადასტურებს „ვეფხისტყაოსანი". ებრაელებმა დროზე უნდა ჰპოვონ სულიერი მოძმენი.

მაგრამ ყველამ ერთი რამ უნდა დაიმახსოვროს: ამ ომში ქართველებიდან თუ სხვა ეროვნებიდანაც, მხოლოდ გამჩენის, სიკეთის, სიყვარულის მოყვარულნი გადარჩებიან — ასე ხსნიან ბიბლიის წინასწარმეტყველნი.

ამგვარად, ჩვენი აზრით, განთავისუფლების დღე კარზეა მომდგარი და, ტყუილად ელოდება ებრაელი ხალხი ერეც—ისრაელის დაპყრობასა და შემდეგ განთავისუფლებას. მას არავინ დაიპყრობს, ჩვენი აზრით, დღეისათვის ეს ტანჯვა სამყაროს, სიკეთის, ისრაელის, იბერიის გადასარჩენად საქართველომ იკისრა, ისევე, როგორც ცოტა ადრე ებრაელმა ხალხმა რამდენიმე ათეული საუკუნის ტანჯვა—წამება იკისრა სამყაროს გადასარჩენად, რაც კარგად ჩანს „ვეფხისტყაოსანში".

გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსანი", როგორ არ უნდათ როსტევანის სახით ქართველ მეფეებს, რომ ხილული ბრძოლა გამოუცხადოს ავთანდილმა — საქართველომ ბოროტებას. მაგრამ მაინც მიდიან ამაზე, რადგან უნდა იხსნან უფროსი ძმა, სემის მოდგმა, ტარიელი, რომელიც თითქმის განწირულია. თუმცა ხსნის შემდეგ მეორე უკიდურესობაში ვარდება ტარიელი. რატომ?

ჯერ გავიხსენოთ, ზ. გამსახურდია და მისი ახსნით რას ნიშნავს ტარიელის მამის სახელი სარიდანი — ოქროს თავი, ე.ი. პიროვნება, რომლის ცნობიერება გარდაქმნილია ოქროდ, ე.ი. გაასულიერა. მისტერიათა სიბრძნის ერთ-ერთი დარგი — ალქიმია მიზნად ისახავს მატერიის, ანუ ფიზიკური სამყაროს გარდაქმნას ოქროდ — ეძებს ფილოსოფიურ ქვას, ე.ი. მიილტვის მატერიალური სამყაროს განწმენდისაკენ, სულიერ სამყაროსთან ზიარებისაკენ — რაც უმაღლესი მიზანია ინიციაციისა. მისი ძე — ტარი-ელ, ანუ ტარი-ელ საღვთო გზის კაცი, ანუ ლომი — არიელი ის ცხოვრების წესია, რომელსაც აქვს ეს ოქრო — გზა სულიერებისაკენ, ანუ კონსტიტუცია — ბიბლია — თორის სახით. ოღონდ მან დაკარგა ქვეყანა, ცხოვრების წესი — შემეცნების ობიექტი.

ქვეყანას ისრაელს კი დაიბრუნებს იგი, იცის, ეს იქნება ღვთის ნებით, მაგრამ იგი ვერ ჭვრეტს მომავალს. ამ ქვეყნის გარდაქმნა ინდუსტრიულად უნდა მოხდეს იმპერიული ქვეყნების კანონებით. ყველა ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მიწა, მამული, ქონება ჩაიგდოს, იქცეს მაგნატად, კერპად, რადგან ისინი იმპერიული მისწრაფების ქვეყნებიდან მოდიან. კი ცდილობენ დაიცვან თორის კანონები, მცირე ნაწილი გასცეს კიდეც 10 პროცენტს საერთო შემოსავლიდან, მაგრამ ცხოვრების წესი აიძულებს, რომ მისი გულიც გაბოროტდეს. მიზეზი ერთადერთია, არ არის მიწა-მამულის თანაბრად გაყოფა და არც ის სოფლის მეურნეობა, რომელიც ჰქონდა ამ მდიდარ ქვეყანას. არ არის გაყოფა და არის შური, დაპირისპირება — არ არის სიყვარული. შედეგად არც გაცემაა, არც მოყვასის პრობლემებზე ზრუნვაა, რომ არავინ დაითრგუნოს, რომ ყველას ნიჭის მიხედვით თავის საპირველო ადგილი ჰქონდეს. არის ღმერთის მსახურება, მაგრამ არ არის მოყვასზე ზრუნვა — იაფეტის თვისება. ეს კი ერთ-ერთი მთავარია იბერიული წესის აღდგენისათვის. ამიტომ ტარიელი ერთი ლომი მეორე ლომის ავთანდილის გარეშე ვერ იქნება მესია. ერთი სიტყვით, არ არის იბერიული ცხოვრების წესი. ასეთი ქვეყანა მსოფლიოში გაფანტულს ყველა ისრაელს ვერ დაიტევს, რადგან ასეთ ქვეყანაში შეხინა ვერ დაეახლება.

ამიტომაც ტარიელი ანუ ისრაელი კაეშანშია. მაგრამ მისი კაეშანი მაშინ გაქარწყლება, როცა ჰპოვებს მოყმეს, ანუ იმ ცხოვრების წესს, რომელიც ყოველი იმ თვისებებით არის დაჯილდოებული ისტორიულად, რაც ტარიელს ჰქონდა. ანუ ჰპოვა მან თავისი წინაპარი, რომელსაც ზნეობრივი ცხოვრების წეს-კანონები ენაში აქვს შემონახული, კოდირებული. ამიტომაც მოყვასის სიყვარული მის პრობლემებზე ზრუნვა, გაცემის სურვილი, მიწა-მამულის ყველასათვის თანაბრად გაყოფა და, რაც მთავარია, მრავალფეროვანი ჰარმონიული სოფლის მეურნეობის, იბერიული ცხოვრების წესის შექმნის სურვილი მისი სულიერი მისწრაფებაა, გენში აქვს და ცხოვრების წესშიც აქვს დაკანონებული (თუმცა ბოროტება ცდილობს, აქაც ყველაფერი აურდაუროს), მაგრამ სიყვარული — ქართველთა სულიერი მისია ენიდანაა კოდირებული და აქ ყველას გული კეთილია დაბადებიდანვე.

აი, ის შემეცნების ობიექტი, რომელიც ჰპოვა მესიამ, ტარიელმა, იბერსა მამის სემის მოდგმამ, მისი უმცროსი ძმის იაფეტის — ავთანდილის ზნეობრივი ცხოვრების წესის — საქართველოს სახით. ეს წესი აკავშირებს, აერთებს, პირველ რიგში, რელიგიებს. მას სხვანაირად არ შეუძლია. ყველასთან ერთად აქ ამ ცხოვრების წესით სიყვარულით ცხოვრობდნენ იუდეველნი, ქრისტიანნი, მუსულმანნი. ქართულ ენაზე აღზრდილნი იცავდნენ ზნეობრივ კანონებს. ამიტომაც იბერიელნი — იუდეველნი — ქრისტიანები, მუსულმანები ყველა კავკასიელის რელიგიათა ასეთი შერწყმა, სამი ძმის მიერ მესია ტარიელის წინამძღოლობით მთელ სამყაროში, არის გამარჯვების დასაწყისის საფუძველი. მთავარი კი ის არის, რომ იბერია-საქართველოში მოხდება იმ იბერიული ცხოვრების წესის აღდგენა, ერთი ღმერთის მიერ მოცემული ბიბლიის და ენის საფუძველზე, რომელიც ჰარმონიის საწინდარია.

შემდეგ ის გავრცელდება მთელ სამყაროში ორი ლომის ორი მესიის მიერ. უფროსის, მესია ტარიელის ხელმძღვანელობით და დააბრუნებს იგი შეხინას წმინდა მიწაზე. მოხდება სულიერი ქორწინება ისრაელის, იუდეველთა შეხინასთან.

ამგვარად, როგორც რუსთაველი წინასწარმეტყველურად გადმოგვცემს, ტარიელის ქორწილი ნესტანთან მაშინ იქნება, როცა ტარიელი ჰპოვებს იმ ბიბლიური ცხოვრების წესს, აღსადგენ ობიექტს, ანუ საქართველოს, ოქროს საწმისს, გრაალის ქვას, რასაც ეძებდნენ ძველ მისტერიებში. ამის გამო იყო, რომ შუა საუკუნეების რაინდებს ერქვათ ოქროს საწმისის რაინდები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ზ. გამსახურდია აღნიშნავს, კავკასია, სადაც ეგულებოდათ ოქროს საწმისი, იწოდებოდა ზეციური რწმენის მადნად (მას ეწოდებოდა აგრეთვე

ფილოსოფოსთა მთა, ბუნების დასელოვნების საუფლო და სამწდეური და სხვა). ოქროს საწმისის ძიება ჩვეცნობიერების, უმაღლესი სულიერების ძიებად იყვლებოდა.

ვერძი ნიშნავს უმანკოებას, ხოლო საწმისი უმაღლესი სულიერების სიდიადეს და ბრწყინვალებას.

ამგვარად, ტარიელი, რომელიც არის საღვთო გზის კაცი, რომელსაც გასულიერებული აქვს თავის ცნობიერება, ჯერ კარგავს თავისი შემეცნების ობიექტს, ცხოვრების წესს. მიუხედავად იმისა, რომ აქვს უმაღლესი მწეობა, რისი დასტურიც ნესტან–დარეჯანის მიერ ნაჩუქარი ციციტ კატანის და იეფილიმის ტარებაა, ანუ იგი ფლობს ბიბლიას, 613 მცნებას. ამავე დროს, მას ახლავს ასმათი, ანუ ქალი–დედა ებრაელთა თორის, მცნებათა უპირობო დამცველი – ისევე, როგორც სარიდანი, ვისთვისაც იგი ცხოვრების წესი – ტარიელი იშვა (აღნიშნულის დასტურად ნაწარმოების ფინალში ტარიელი ასმათს ისევ იმ 1/7 სახელმწიფოს მმართველობას შესთავაზებს, რაც მის მამას ჰქონდა, მაგრამ ასმათი მუდამ მასთან რჩება, რადგან მათ სამეფოს, ცხოვრების წესს უზნეობის შემოჭრა აღარ ემუქრება), ამავე დროს, იგი ტარიელს ვეფხის ტყავს, ანუ საფუძველს რომ 613 მცნება მუდამ ახსოვდეს – ციციტს (დიდ ციციტს და არა ციციტ კატანს) ასმათი უკერავს, რომელიც მას არ მიატოვებს.

ამგვარად, დღეს ებრაელებმა იპოვეს ყველაფერი და მაინც ვერ ცხოვრობენ ზნეობრივი ცხოვრების წესით, თუმცა ელოდებიან მესიას. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ამ ცხოვრების წესს, ანუ მათი შემეცნების ობიექტს იპოვებენ. ეს ობიექტი კი საქართველო, ავთანდილი, იაფეტი თავის ცხოვრების წესით მათ ხელისუფალთ წინ უდევთ. რამეთუ სიყვარული და მეგობრობა (თორისა და ენისა), მელქისედეკი, სემი – ტარიელი და იაფეტი ავთანდილი და ბოლოს, დავითის შთამომავალნი დიდი ხანია ერთად მოდიან. მათ საღვთო გზას, უდიდეს სიყვარულს, განგების მიერ გამოგზავნილი და შემონახული ჰყავთ საქართველო – ავთანდილი, სადაც სიყვარული მუდმივია, რადგან აქ უყვართ ყველაფერი, მდედრობითი–დედა, მიწა, მას არ მტრობენ, არ ჯიჯგნიან, არამედ სათუთად უვლიან, ცოტ–ცოტას თანაბრად ინაწილებენ, რათა კარგად მოეფერონ – იყოს ჰარმონიული სამყარო. „ვეფხისტყაოსანშიც" ხომ ყველა მწეობრივი გმირი მიწას, ან ხეს, ან ბალახის კორდს ანაყოფიერებს.

ებრაელებმა ეს შემეცნების ობიექტი დროზე უნდა იპოვონ.

ასმათმა, ებრაელმა ქალებმა ალბათ უნდა გამოიღონ ხელი, როგორც „ვეფხისტყაოსანშია", რომ დროზე იპოვოს ისრაელმა, ტარიელმა თავისი მოძმე ავთა–მდევნელი ავთანდილი; ერთად შეაერთონ ერები, მოსპონ დაპირისპირება და მესიაც გამოჩნდება.

ყველა ერთი მოდგმიდან, იბერიიდან მოვდივართ. კიდევ ერთხელ ჩავიხედოთ მითოსში: ამირანი, ქართული ცხოვრების წესი, ბერძნულად პრომეთე, კავკასიის ქედზეა მიჯაჭვული. ისხსის ამირანი ამ ჯაჭვებს და ახალ–ახალი, უფრო მაგარი ჯაჭვებით აბამენ მჭედლები, ბოროტების მესვეურნი ქართულ სულს – ცხოვრების წესს. ბოლოს, ზ. გამსახურდიამ გაწყვიტა ეს ჯაჭვი, ანუ უღმერთო კომუნისტური რეჟიმი: ამიტომ საქართველო სასტიკად დასაჯეს, შიმშილი და სიკვდილია დღეს ქართველთა ხვედრი. ასეთი ბორკილები ადევს მას, ბოროტების გეოპოლიტიკისაგან. ისეთი გაჭირვებაა, რომ სულს ღაფავს ამი–რანის მოდგმა, იბერთა ქვეყანა. აქ დატოვეს ებრაელებმა სიკეთის სამჭედლო, მათი გენეტიკური წინაპარი და დროზე უნდა მას ხსნა.

დღეს ეს ქვეყანა იწირება იმიტომ, რომ იგი ხილულია ბოროტთათვის, როგორც სიკეთის ციტადელი. დიდად სამწუხაროა, რომ ის ხილული არ არის სიკეთისათვის – იბერთა, ისრაელთა უფროსი ძმისათვის, იბერია – ისრაელი, სიკეთე, სიყვარული ხომ ერთი და იგივეა.

ერთნაირად, ერთდროულად ერთი და იგივე მტრისგან, ბოროტებისგან იტანჯება ებრაელი, ქართველი და სხვა კავკასიელი, იბერიელი ხალხი. მუდამ ებრაელთა სიხარული ჩვენი სიხარული იყო. გავიხსენოთ „ქართლის ცხოვრება", როცა მოსეს ამბავი მოვიდა, მეტად გახარებულმა ქართველებმა – „აქვს ღმერთი ისრაელთა" მაშინ იყო ისრაელთა 270 წლიანი ტყვეობა. მაშინ მარტო ებრაელებმა იტანჯეს. ახლა კი ტანჯვა ჰქონდა მთელ ისრაელს, ანუ იბერიელ ტომებს ტარიელთან ერთად ავთანდილს, ფრიდონს, რათა ეჩვენებინათ სამყაროსთვის რელიგიათა ერთობის ძალა, ერთიანად ეხსნათ სამყარო და ამიტომაც გაგრძელდა იბერიელთა ტყვეობა–გალუთი, 2000 წელზე მეტი.

დღეს ჩვენ მათთან ერთად 2000 წელზე მეტია ვართ ბოროტებით გარშემორტყმული და ბოროტების ტყვეობაში.

## 3.4.1. როგორი ნიშნებია ზეციდან, მხნედ რომ ვიყოთ. გაიმარჯვებს სიკეთე, რომელიც სამყაროში ათი საფეხურებით იქმნება.

იბერიელთა ტანჯვას ზღვარი არა აქვს. ბოროტებამ კარვებით და სასახლეებით აავსო იბერია. საბოლოოდ უნდა გადააგვარონ სიკეთის ციტადელი – მიწათმოქმედთა ქვეყანა. დაიყვანონ იგი იმ დონემდე, როგორც სხვა ქვეყნებია და ამიტომაც არის მათი დასჯა. აღარა აქვთ მადლი – ენერგია.

საერთოდ, თუ დავაკვირდებით სამყაროს ქმნადობას, მის მოწყობას და ისტორიას, სამყაროში სიკეთის დანერგვისათვის განსაზღვრულია 10 საფეხური.

ელიაუ წინასწარმეტყველი გვამცნობდა, (შალომ დავიდი-ქართულ – ებრაული სიდური – ლოცვანი) რომ უფლის მიერ გამოწვიალებულია ათი შემოქმედი სულიერი არსი – სეფიროთი, რომელიც მართავს ფარულ, უხილავ და ხილულ სამყაროებს. ყოველ მათგანს აქვს თავისი დანიშნულება და განაგებენ სამყაროს ჩვენი მოქმედების ღარად.

უფალმა ექვს დღეში სამყაროს შესაქმნელად 10 მოქმედება განახორციელა ჩვენ ვიცით, ათი მცნებაც, ათი სიტყვა, ათი თვისება უფლისა, რომლის დასანერგად 10 მოქმედება, საფეხური განახორციელა უფალმა იბერია–საქართველოში და ყველა სიტყვა, სიმღერა, საქართველოში მისი საგალობელია, მისი დიდებაა, ამ ათი საფეხურის განხორციელების გამო. ამ ტრადიციის გაგრძელებისთვის მოუწოდებს დავითი 33–ე ფსალმუნში. 2. ადიდეთ უფალი ქნარით, ათსიმიანი ებნით უგალობეთ მას. 3. უმღერეთ მას სიმღერა ახალი, უკეთ ააწყვეთ მოტივი გამოძახილით. და ყოველ სიმღერას თავისი მისტიური დანიშნულება აქვს.

საერთოდ სამყაროში, როგორც ბიბლიის კომენტატორები აღნიშნავენ, სულ ათი ასეთი სიმღერა იქნება. პირველი სიმღერა იმღერა მოსემ ზღვაში რომ შევიდნენ. ანუ სიმღერით მოხდა დახსნა ხალხისა ბოროტთა ტყვეობიდან. მას მერე კიდევ იყო რვა სიმღერა. ერთი ისევ მოსეს ეკუთვნის სანამ ებრაელნი შევლენ ქანაანზე. ერთი სოლომონ ბრძენს ეკუთვნის, მეათედ ის მესია იმღერებს, რომელიც სამუდამოდ დაიხსნის ხალხს ბოროტთა ტყვეობიდან.

ალბათ ამ ახალ სიმღერას ამბობს დავითი. ამიტომაც არის ნათქვამი ათსიმიანი მოტივის აწყობა გამოძახილით. ეს იმ მრავალხმიანობას უნდა აღნიშნავდეს იბერიულ სიმღერებს რომ ახასიათებს.

ათი გამოცდა გამოიარა აბრამმა, სანამ შეიქმნებოდა იბერთა ძეთა მამად. ერთ–ერთი იყო გამოცდა – შვილს თუ შესწირავდა.

დღეს ჩვენ ვართ მრავალი ფარაონის მსგავს მონარქთა ტყვეობაში და თვალსათლივ ვხედავთ ამ კერპების უმნეობებს. ამიტომ დროული იქნება მესიის მოვლინება, რომელიც როგორც „ვეფხისტყაოსანშია" აღწერილი, იღვაწებს მოსესავით რამდენიმე წელი ზნეობრივ თაობათა შესაქმნელად. აი კიდევ სად ჩანს რუსთაველის გენიალურობა. აღსანიშნავია რომ იგი რიგით მეათე იქნება ანუ ნოეს შემდეგ იყვნენ მეათენი შემი და იაფეტი, რომლებშიც კონცენტრირებული აღმოჩნდა წინა ცხრის დადებითი თვისებები. ახლაც იგი მეორე მეათე იქნება და აქაც. როგორც რუსთაველი გენიალურად გადმოგვცემს, ეს მეათე ძირითადად იქნება ამ ორი ძმის სულიერი მემკვიდრე, ანუ შემი, რაც რუსთაველს ტარიელის სახით ჰყავს ასახული, ხოლო იაფეტი – ავთანდილის სახით. ფაქტიურად ეს ორივე მესიაა. ამგვარად, მათი ჯამი არის ოცი და ეს მეოცე ე–ოც–ნა როსტევანს ტარიელთან შეხვედრისას. რაკიღა ეს ჯერ ადრე იყო, მიტომ გაეცალა ტარიელი როსტევანს, როსტევანისთვის – ქართველთათვის კი ეს მეოცე ანუ მესიის მოვლინება ოცნებად დარჩა.

10 სასჯელი მიაყენა ეგვიპტელებს, რომელნიც ტანჯავდნენ ებრაელებს და მეათე სასჯელზე გაანადგურა ისინი (აი, რატომაა ქართულ სიტყვებში ხშირად ათი). ეგვიპტე იყო უზარმაზარი იმპერია, რომელიც ბატონობდა სამყაროში. დღეს ასეთი იმპერია რამდენიმე სახელმწიფოა და ყველა ამ ქვეყანაში ეს დასჯა დიდი ხნის დაწყებულია.

ათ–ათი საფეხურით დაწყევლა უფალმა გველი, ევა და ადამი. მეათე მათვის სიკვდილი იყო.

ათი სასწაული იყო ზღვაზე, როცა ის გაიყო: ჯერ თვითონ გაყოფის ფაქტი; მეორეც, ებრაელები მშრალ გზაზე მოდიოდნენ; მესამე, ეგვიპტელები იღლობოდნენ; მეოთხე, როცა წყალი მოუნდებოდათ ებრაელებს, მარილიანი ყინული წყლად იქცეოდა და სხვა.

ისიც ცნობილია ბიბლიიდან — ათი კაცია საკმარისი რომ აზრი, მისწრაფება გაერცელდეს. მაგალითად, თორმეტიდან ათმა კაცმა როცა დაზვერა ქანაანი, დაარწმუნა ებრაელები რომ არ შესულიყვნენ იქ. ამიტომაც ებრაელები, როცა ლოცულობენ, მინიმალური რაოდენობა ათი უნდა იყოს. მაშინ აქვს მათ ლოცვას ძალა.

## ბოროტების ბრძოლა 10 საუფხურების და განაყოფიერების წინააღმდეგ.

საერთოდ ათი საუფსური დაკავშირებულია განაყოფიერებასთან — ესე აქვს უფალს შექმნილი სამყარო.

გავიხსენოთ უსასრულო გამრავლებაა მაშინ როცა ყველაფერი და წრეხაზიც შუაზე იყოფა. თუ ადამიანი მიილტვის ყველაფრის მითვისებისკენ ანუ მას უნდა შეიქმნას კერპად და ყველაფერი მისი იყოს, რადგან ითვისებენ ეს კერპები დედამიწას გაყოფის გარეშე მათ საყოფაცხოვრებო გარემოში წრეხაზის დიმეტრიც მცირდება. ბოლოს ის ნულად უსიცოცხლო მიდამოდ გარდაიქმნება მათი საყოფაცხოვრებო ადგილი. აქეთკენ მიისწრაფვიან ძლიერნი ამა ქვეყნისა. არ სურთ გაყოფა!

უბედურება იმაშია რომ დღევანდელი ცხოვრების წესი — კაპიტალიზმი და მისი იდეოლოგნი ვითომ ღმერთს ემსახურებიან. სინამდვილეში კი დედამიწა მიჰყავთ კატასტროფამდე. წრეხაზში დედამიწა უნდა ვიგულისხმოთ თუ მათ მიაღწიეს და ყველგან შექმნეს ასეთი კერპები მთელი დედამიწა უსიცოცხლო სამყაროდ გარდაიქმნება. აი რას ნიშნავს ასე ნაქები კაპიტალიზმი — ეს არის ბნელეთის იდეოლოგია და ბნელეთის მოციქულნი არიან ყველა ამ დოქტრინის მესოტბე ქვეყნები. აი რატომ ებრძვიან ისინი მთელ სამყაროს არსებობის პეროდში იბერიულ ფენომენს, ებრაელებს, ბასკებს, ირლანდიელებს, ჩეჩნეთს და დღეს განსაკუთრებით ქართველს. იციან ჩვენი სულიერი მისწრაფება გაყოფა გამცემაა უფლის ათი თვისებაა. ამის ამოძირკვა უნდათ ჩვენი გენიდან.

მსოფლიოს უდიდესი ეკონომისტებო! ელიტარული საზოგადოებავ. აი რა ტყუილზე აგებული თქვენი ეკონომიკა და ე.წ. მეცნიერებები აი რა არის ფინალი კაპიტალისტური ეკონომიკისა და საითკენ მიგყავთ თქვენ სამყარო გლობალური სიკვდილისაკენ, შავი ფერებისაკენ. აი რას ნიშნავს თქვენი სატანური — სატანო მიმარულება და დროზე გამოდით ამ სატანის ტყვეობიდან.

დაიმახსოვრეთ ხსნა გაყოფაშია. თუ არ გაყავით თქვენ გადაშენდებით. უფალი არ დაუშვებს რომ სამყარო იბერიული მოდგმა გადაშენდეს. დედამიწის გაყოფის შემთხვევაში მთელ დედამიწაზე იმ მრგვალ სისტემაზე ერთიანი გამოდის წის და ვიღებთ სრულყოფილ ციფრს ათს. ანუ ღმერთი ერთია. და გაყოფაზეა მის მიერ აგებული მთელი სამყარო. მის უსასრულო განაყოფიერებაზე რისი მნიშვნელობაც არის პი რიცხვი. ანუ ამ შემთხვევაში უსასრულოა სურსათი სიუხვე ჰარმონია და სიცოცხლე. უსასრულოა პირველ რიგში სიყვარული უფლის და დიდი ცოდნაც. გაყოფა კი იბერიელთა მიზანია. იაფეტელთა ცხოვრების წესია. ღმერთის სიყვარული კრავს შემოქმედებს და იაფეტელებს. იბერიულ მოდგმას. პირველი უფლის სიყვარულის სწავლებას ანვითარებს, მეორე მოყვასზე ზრუნვას. და გაგრძელდება ათი ქმედებებით არსებობა სამყაროში ისე როგორც უფალმა დააფუძნა. ათი ქმედებაა ს—ათ—ავე ყველაფერი სიკეთისა. დასჯაც რითაც უნდა გაიმარჯვოს სიკეთემ ათი ქმედებით იქნება.

ამიტომ ცბიერი ხართ თქვენ ყველა თანამედროვე კაპიტალისტის მეხოტბე მეცნიერები. თქვენ ყველა განუდექით ღმერთს და დიდად ცოდვილნი ბრძანდებით. დროზე მოეგეთ გონს და აღიარეთ ყველაფრის წესი და თავი თქვენი ლოზუნგებისაც არის გაყოფით, უფლის ათი თვისებით ცხოვრება. არადა საშინელი სასჯელი გელით, რაც არ გეინდა არავის, მითუმეტეს ჩვენს საერთო მშობელს უფალს.

## რა დანიშნულება აქვს 10 სასჯელს. როგორ მიმდინარეობს იმპერიათა დასჯა

დაბოლოს, ამიტომაც სანამ სამყაროს მოევლინება მესია, 10 შიმშილობა უნდა გაიაროს. ყოველი შიმშილობა ხვედრი იყო სულიერი შიმშილისა, ანუ ზნედაცემულობისა. ჯერ იყო და კაენის დროს, შემდეგ ლემეხის, აბრაამის, იაკობის და მსოფლიომ უკვე გამოიარა ცხრა შიმშილი. მეათე შიმშილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იქნება მხოლოდ სულიერი შიმშილი, ე.ი.

ეინც ვერ მიხედება, რომ უნდა იაროს უფლის გზით, ის ხალხები დაისჯებიან სიკვდილით ანუ გადაშენდებიან.*

დღეისათვის ამ მეათე შიმშილის დროს ბოროტებამ– ქაჯებმა–ცრუ მეცნიერებამ ათი მიმართულების გლობალური პრობლემა შექმნეს (რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ). ცდილობენ დაარღვიონ უფლის მიერ სიყვარულზე დაფუძნებული ჰარმონია სამყაროში. რომ ვონს მოიყვონ ბოროტების იმპერიები, მათი ხალხის დასჯა მიმდინარეობს ეგვიპტელთა დასჯის სცენარით. უფალი, ისევე როგორც ფარაონს, ცდილობს ჩვენც დაგვანახოს უმწეობას რომ ჩაედიეართ, არარაობა გაეხდებით და უნდა მოეეგოთ გონს. ე.ი. როგორც მაშინ მიდიოდა ბრძოლა მისეს ანუ ღმერთის იდეოლოგიის წინააღმდეგ, იგივე მოელენები ეითარდება.

მოსე უფლის დაეალებით მიღწოდა დაერწმუნებინა ფარაონი სამ ძირითად პრინციპში. 1) ღმერთის არსებობა, 2)ღმერთის განგება მისგანვე შექმნილ სამყაროზე, 3) ღმერთის შესაძლებლობა შეცვალოს სამყარო საკუთარი სურვილისამებრ. უფალს არ სურდა თავისი შეილების დასჯა და არც ახლა სურს.

თავისთავად ეს ათი სასჯელი სამ ჯგუფად იყოფა. 1. სისხლი, ძაღლდობა და ტილები, 2. მხეცები, ჭირი და მუწუკები, 3. სეტყვა, კალიები, სიბნელე და პირმშოთა სიკვდილი. ამ სამივე ჯგუფის სასჯელთა მიმართულება იყო ფარაონის დარწმუნება, ზემოთაღნიშნულ სამ ძირითად პრინციპში — ანუ პირველი ჯგუფის სასჯელი იყო, რომ პირველ პრინციპში დარწმუნებულიყო ფარაონი. მეორე — მეორეში და მესამე — მესამე პრინციპში. და მართლაც, ფარაონი ყოველი ჯგუფის სასჯელისას რწმუნდებოდა სათანადო პრინციპში. მაგალითად, როცა დარწმუნდა პირველ პრინციპში, არ სჯეროდა მეორესი, დარწმუნდა მეორეში და არ დაიჯერა მესამე პრინციპი, რომ უფალს შეუძლია შეცვალოს სამყარო საკუთარი სურვილისამებრ. მას ეგონა, რომ ზღვის გაპობა ბუნებრივი მოვლენა იყო და არა უფლის მიერ მოვლენილი ებრაელთა გადასარჩენად. ამიტომაც შევიდა ზღვაში და ამ ურწმუნოების ფინალი მისი გადაშენება იყო. ეს იყო მისი ურწმუნოების ბოლო გამოცდა ღვთისგან ამიტომ უნდა ვირწმუნოთ ყველამ იგი. დღეს ეგვიპტის ძლიერებიდან და ბატონობიდან არაფერი დარჩა. დაკარგეს ენაც და ეროვნებაც. გაქრა ყველაფერი.

ახლა გადავხედოთ როგორ ვითარდება ანალოგიური დასჯა იმ იმპერიული ქვეყნების, ვინც იბერიულობას — ისრაელობას ებრძვის.

ქრისტეშობამდე საქართველოს – კავკასიის იბერთა და ებრაელთა გარდა ქანაანში, ყველა კერპთაყვანისმცემელნი იყვნენ. არ იწამეს ერთი ღმერთი და განხორციელდა პირველი ჯგუფი სასჯელისა.

ხალხი ერთმანეთს დაერია, იყო სისხლი, ცუდი ამინდი, ანუ წვიმები, ბაყაყები და ჭუჭყი, ტილები, ქრისტეშობამდე ვინც არ იწამა, რომ ღმერთი ერთია, ყველა ერი გადაშენდა. როგორც ვიცით, მხოლოდ იბერიული მოდგმა, საქართველო და ებრაელები გადარჩნენ ამ სასჯელს.

შეიქმნენ ახალი ერები, ახალი ენით, დამწერლობით, ცივილიზაციით, რომელნიც აღიარებენ ღმერთს. მაგრამ ისინი არ ცნობენ მეორე პრინციპს: ღმერთის განგებას მისგანვე შექმნილ სამყაროზე. უნდათ, თვითონ განაგონ მსოფლიო თავიანთი კონსტიტუციებით, რადგან ჰგონიათ, რომ უფალი ვერ შეცვლის სამყაროს საკუთარი სურვილისამებრ და არ იქნება მათი დასჯა. ჩვენ დღეს ამ მეორე და მესამე პრინციპში რომ დავრწმუნდეთ, გავიარეთ პირველი ჯგუფის დასჯა და მესამე ჯგუფის სამ დასჯას გავდივართ, მაგრამ პირველი ორი ჯგუფის სასჯელიც მეორდება. თუმცა მხეცები, ჭირი და მუწუკებიც განვლილ საუკუნეებში იყო უფრო საშიში (ახლა მხეცებიც კი თითქმის განადგურებულია), ხოლო სეტყვა, კალიები, სიბნელე და პირმშოთა სიკვდილი დიდი ხანია მიმდინარეობს.

ამგვარად, თუ ჩავიხედავთ ბიბლიაში, ეგვიპტისთვის ამ სამი ჯგუფის სასჯელით უფალმა დაგვარწმუნა, რომ იგი განაგებს მთელ სამყაროს და არ არსებობს მისი მსგავსი დედამიწაზე. ანუ ადამიანი ვერ შეცვლის მას და მის მიერ დაწესებულ წესობას, სიყვარულის კანონებს.

---

*ეს ათი ქმედება, რაც ბიბლიით ვიცით, ქართულ ენაში სიტყვებითაა მოცემული. სამყაროს საფუძველი და ათ–ელა ათვლის წერტილი, აელა ჰარმონიულ სულიერ სამყაროში 10 ქმედებიდან იწყება. შაბ–ათიც იგივეს გადმოგვცემს და გვეუბნება დაისვენეთო, ანუ მეშვიდე დღეს დაისვენა უფალმა 10 ქმედების, ანუ ჰარმონიული სამყაროს შექმნის მერე. ჰარმონიული რომ იყოს სამყარო, ჩვენც მეშვიდე დღეს უნდა დავისვენოთ, ოღონდ ქმედება ჩვენი უნდა იყოს 10 მცნების აღსრულება. აი, რას ნიშნავს ათ–ელა და შაბ–ათი. ათ მცნებას, ათ სიტყვას რომ ვასრულებდით, ამიტომაც რუსთაველმა ჩვენს მფარველს თინ–ათ–ინი უწოდა. იქნებ ამიტომ საქართველოც ათი ასოსგან შედგება.

თვით სასჯელთა სახეობების დანიშნულებითაც მტკიცდება, რომ ღმერთი ყველას და ყველაფერს განაგებს:

ახლა მთავარია, ჩვენ დავიჯეროთ მეორე და მესამე პრინციპი, თორემ ფარაონივით დაგვემართება. იმის დასტურად, რომ მიმდინარეობს ანალოგიური პროცესი და სამი ჯგუფის ცასჯა ერთად – მეათე საბოლოო სულიერი შიმშილის დასჯის წინ, და რომ საქართველოს – სიკეთის ციტადელს, იცავს უფალი, გადავხედოთ მიმდინარე მოვლენებს:

განა ეკოლოგიური კატასტროფები, როგორც ეგვიპტელებს წყალში გაუწყდა თევზი, ვეღარ სვამდნენ ისინი წყალს... ასე არ არის ახლაც?

განა ბაყაყები არ არის დამშრალ წყლებში?

განა ტილები, კალიები, კოღოები და სხვა მავნებელი არ შეესია მოსავალს, ადამიანებს, ცხოველებს?

განა არ არის გავრცელებული ჩირქოვანი, ვენერიული დაავადებები და არ იღუპება ხალხი, ცხოველები?

განა არ არის ქარი, სეტყვა, რომელიც ამიანებს მოსავალს?

განა არ არიან ცრუ მეცნიერები, რომელნიც ებრძვიან უფლის სასწაულებს? მაგრამ ვერაფერს ხდებიან. ასევე იყვნენ ფარაონის კარზე მოგვები, რომელნიც ფარაონის დავალებით ვერ აჩერებდნენ სტიქიას.

განა ახლაც, როგორც მაშინ, როცა გადაიელის ერთი უბედურება, ავიწყდებათ ბოროტებს უფლის სასჯელი, ჩაიდენენ ისევ სისასტიკეს. თავს ატყდებათ მეორე უბედურება – ეხვეწებიან ღმერთს, როგორც ფარაონი ეხვეწებოდა მოსეს, უფალთან შუამდგომლობას.

ყოველი ახალი სტიქია ყველა წინანდელთან შედარებით, რეკორდული არ არის თავის სისასტიკით და მასშტაბით? გადაიელის სტიქია და ისევ ავიწყდებათ ღმერთი. უღმერთოდ სტანჯავენ ხალხებს – იბერიულ მოდგმას.

და განა როგორც მაშინ, ახლაც იმპერიულ ქვეყნებში ამ სტიქიური უბედურებებით არ იღუპება მილიონობით ხალხი? თანამედროვე მეცნიერების, ანუ მოგვების გამეცნიერებით მიიღეს მხოლოდ მომწამლელი დაავადებები. საქართველოში კი სიუხვეა, მარგებელი უგემრიელესი ნაყოფია, არც სტიქიური მოვლენებია.* არ არის სტიქიური მოვლენები და ეპიდემიები ისრაელშიც.

განა ასე არ იყო ეგვიპტეშიც? რაც ეგვიპტელს ეწია, უფალმა ებრაელს აიცილა. როგორც პირველი დასჯის დროს ებრაელებს და იბერიას – საქართველოს ასცდა იგი, ასევე მეორე დასჯის დროს, როცა ყველა ქვეყანა აღიგავა. ქრისტეშობის მერე შემორჩა მხოლოდ ებრაული და იბერიული მოდგმა. ახლაც მოვლენები ასეთივე სცენარით ვითარდება. მადლი, ენერგია, წყალობა, ბარაქა, მარგებელი სურსათი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ ისრაელს და საქართველოს აქვს. ებრძვის ხელისუფლება საკუთარ ხალხს. უსასრულოდ გაიზეზა ტყის რესურსები. მაინც სამყოფზე მეტი გვაქვს ყველაფერი. გავიხსენოთ მეცხრე დასჯა, სიბნელე, წყვდიადი იყო და განა ახლაც რამდენიმეჯერმე არ მოსდა მზის დაბნელება?

მაგრამ უფრო საშიში დაბნელებას იწვევს გაუთავებელი ხანძრები მთელს მსოფლიოში განსაკუთრებით რუსეთში.

ბოროტთა გეოპოლიტიკის მესვეურნო, გაფრთხილდით!

ეგვიპტის გაკვეთილი, დასჯა, სრულად განმეორდა, ახლა დაწყებულია ორი ყველაზე სასტიკი დასჯა, შვილების, მომავლის სიკვდილი, მასთან ერთად ყველა პირუტყვის. გავიხსენოთ როგორ დაიღუპა ფარაონის შვილი და ამოწყდა ყველა ახალგაზრდა. თქვენ შეგიზერდათ გამრავლება, უკვე ვერ მრავლდებით. ის მიკრობი, რომელიც პირუტყვს კლავს, ადამიანებშიც ვრცელდება და მთელ ევროპას, ამერიკასაც მოედო. ამერიკაში კატასტროფულია თეთრი რასის კლება როგორც ფიზიკური, ასევე ზნეობრივი თვალსაზრისით. მსგავსი სურათია იმ ქვეყნებშიც, რომელნიც ქკვეთნენ საქართველოს, რომ გაგლიჯონ და განაწილონ სიკეთის ეს

---

*ჩვენ უკვე აღვნიშნეთ – რომ ჩვეული სიცივე საქართველოში მხოლოდ გაზაფხულის მოახლოებისას იგრძნობა, მაშინ, როცა დიდია დღის ხანგრძლივობა და მზის აქტივობა. უფალი ამით სიცივისაგან და უბედურებისგან გვიფარავს. ამავე დროს, ამ პერიოდში მოდის დიდი რაოდენობის ნალექებიც ზამთრის მაგივრად. რათა ავიცილოთ მეწყერები. რომ ძალიან დიდი მასშტაბით იჭრება ტყეები. შეილები ახალ ხეთა ზრდასაც განაპირობებენ. გაიზარდა მოსავლიანობაც. მაგალითად, როგორც დაკვირვებები მოწმობენ, მუხრანის ველზე პომიდორის მოყვანის ხანგრძლივობა 40 დღით გაიზარდა, შედეგად ყოველ ძირზე სულ ცოტა 30%–ით გაიზარდა მოსავლიანობა. აი, ასე გვიცავს უფალი.

კრავი. ისინი მალე უფრო სასტიკ საზღაურს მიიღებენ. ამაზე წინასწარმეტყველურად წერს იოანე ზოსიმე. ფინალი ფარაონის მეომართა ქვეყნების წყალში ჩახრჩობაა. და ეს დასჯაც მოახლოებულია. წყალდიდობები ყოველწლიურად მატულობს იმპერიულ ქვეყნებში. ეს ჩვენ არ გვინდა, მოილბეთ გული, ქენით სიკეთე! ნუ გასწირავთ სიკეთის ციტადელს, იბერიულ მოდგმას, საქართველოს, ისრაელს, მთელ კავკასიას. მიეცით საშუალება გაიგონ მათ, როგორ უნდა ჰარმონიული ცხოვრება სამყაროში და თქვენც გადაურჩებით უფლის რისხვას, მკაცრ სასჯელს — დაღუპვას.

იცოდეთ! მას არ უნდა თქვენი დასჯა, და დროზე მოეგეთ გონს. „ვეფხისტყაოსანშიც" ხომ ზოგი მოეგება გონს. მაგალითად, ზღვათა მეფე და, ხომ ნახეთ, ყველაზე უკეთ მას აჯილდოებს მესია — ტარიელი, ყველა დამარცხებულ ბოროტთა სამეფო მას გადაეცემა. მომნანიებელი ხომ უფრო ფასდება უფლის თვალში.

ახლოვდება ხანა სიკეთის გამარჯვებისა. დროა შეერთდნენ სიკეთის მესვეურნი, იბერიელნი, სამი მუზარადი დროზე უნდა დაიხურონ ებრაელებმა, ქრისტიანებმა და მუსულმანებმა. სამი ულამაზესი ანბანის ერთობით დაამსხვრიონ ყოველგვარი დაპირისპირება, რათა იმეფოს თორამ, ბიბლიამ და არა ფუ—ულმა, ედომმა. ანუ შემოტრიალდნენ სულიერებისაკენ, რათა არ გადაშენდნენ.

ჩვენი ვარაუდით, ედომის სამეფოს მეფობა საქართველოში დაიწყო მაშინ, როცა ედომის შვილთა რჩევით და კარნახით 1995 წელს კონსტიტუცია მიიღეს. ედომი კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 7 წლამდე იმეფებს, ანუ მალე უნდა დაიწყოს განთავისუფლება. და მართლაც 2002 წლიდან ნელნელა თხელდება რუსის ჯარი ჩვენთან. თუმცა შეიძლება ამან კიდევ დაიგვიანოს, რადგან ადამიანის, ანუ ჩვენი ქმედებები უნდა იმსახურებდეს ამას.

ამ დღის დადგომას ასე გადმოგვცემს ბიბლიური დავითი.

7. გიამბობთ უფლის წესდებას:
მითხრა ძე ხარ ჩემი, დღეს გშობე შენ,
8. მთხოვე და მოგცემ ხალხებს სამემკვიდრეოდ,
ხოლო ქვეყნის კიდეებს სამკვიდრებლად.
9. შენ დალეწავ მათ რკინის კვერთხით,
მეკეცის ჭურჭელივით დაამსხვრევ".
10. ეხლა კი გონს მოდით მეფენო!
განისწავლენით მსაჯულნო ქვეყნისა!
11. ემსახურეთ უფალს შიშით
და შეჰღაღადეთ თრთოლვით.
12. პატივი ეცით ძეს, რომ არ განრისხდეს უფალი
და არ დაიღუპოთ გზაში, რამეთუ მალე აინთება რისხვა მისი.
ნეტარ არს ყველა, ვინც მასზეა მინდობილი.

აქ მესიის მოსვლის წინაპერიოდია აღწერილი. ეს დღეც მოახლოებულია და დღევანდელ მსაჯულებს ეხებათ. „განისწავლენით მსაჯულნო ქვეყნისა!" ეს გაფრთხილებაა მათთვის, ვინც ავითარებს და აღასრულებს იმ მეცნიერებებს, უზნეო კანონებს, კონსტიტუციებს ხალხის სატანჯველად, რომელნიც საპირისპიროა ბიბლიის, „ვეფხისტყაოსნის", მზეობის და ტანჯავს ხალხებს. გაფრთხილება ეხება ყველა ადამიანს, ნუ სწავლობთ უზნეობას, ისწავლეთ ის, რაც თქვენ სულიერ ჭურჭელს გაამდიდრებს. გავიხსენოთ, სულ მალე გამხელილი იქნება ყველა ცრუ მეცნიერება, ბოროტება. აი, ამის შემდეგ იხდის ავთანდილი ტანსაცმელს, ანუ იცილებენ ქართველნი მისთვის უჩვეულო ვაჭრულ მიმართულებას და იწყებენ იმ ღვთის სიბრძნეზე დაფუძნებული უდიდესი მეცნიერების „ქართული ცხოვრების წესის", „მიწათმოქმედების", ანუ ზნეობის აღდგენას.

ავთანდილ თქვა: „საქმე ჩემი გავაცხადე ამა დღესა!"
სამოსისა ვაჭრულისა ცმა აქამდის დავწყესა:
მას დღე ყოელი საჭაბუკო შეიმოსა ტანსა მისსა,
მოიმატა დაშვენება, დაემსგავსა ლომი მზესა.

ამგვარად, მომავალი თაობა, ზნეობრივად იცვამს — ანუ აღარ სწავლობენ ბოროტებას, უზნეობას, აღადგენენ იმ მიწათმოქმედების წესს, რომლის არსებობის დროსაც უფალი არ მოავლენს წარღვნას.

ისევ დაიწყება ენაში, ბიბლიაში არსებულ ამოუწურავ სიბრძნეთა წვდომა. „ისწავლე სწავლის მძებნელო" რომ გვემოძღვრავს გურამიშვილი, მაშინ მხოლოდ ასეთი სწავლება იყო. მხოლოდ ასეთი სასწავლებლები უნდა არსებობდეს საქართველოში, ფუნდამენტური მეცნიერებებიც განვითარდება. სწავლულთა და მოსწავლეთა ჯგუფები შეცდომებს ერთმანეთს ფრთხილად შეუსწორებენ. ასეა, როცა უფლის საქმეს ემსახურები. დაპირისპირება მხოლოდ ბოროტების სამყაროშია, ჭეშმარიტების აღდგენა ყველას სიხარულია. ეს სხვა მრავალ აღმოჩენას დაუდებს საფუძველს, რადგან აღდგება პატრონყმობის ის ინსტიტუტი, სადაც ყოველი ყოველს სწორ გზაზე დააყენებს, ყველას თავისი საპირველო საქმე ექნება.

განსაკუთრებით საყურადღებოა ფსალმუნის მე—12 პუნქტი. დღეს არის დამდგარი მესიის ერა და ყოველ ადამიანს აქვს გადარჩენის უკანასკნელი შანსი. ვინც არ დაიწყებს სიკეთით ცხოვრებას, ის დაიღუპება უფლის რისხვით, ისევე, როგორც „ვეფხისტყაოსანშია" მოცემული.

## 3.4.2. როგორ ემთხვევა მეორედ მოსვლა „ვეფხისტყაოსნით“ ნაწინასწარმეტყველებს

ახლა გავიხსენოთ, როგორ ხდება მეორედ მოსვლა საქართველოში რუსთაველის მიხედვით, კიდევ გავიმეოროთ რას ნიშნავს ვეფხის ტყავი და ორჯერ შობილი.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ვეფხის ტყავი დაკავშირებულია შობასთან და ინიციაციალქმნილის ხელახლა შობასთან და ეს ერთხელ მოხდა, როცა პირველკაცი შეიმოსა ამ ტყავით. ანუ როცა ადამმა არ დაიცვა მცნება უფლისა და დაკარგა სულიერი მზე შეხინა.

საერთოდ, თუ კარგად წავიკითხავთ ბიბლიას, პირველ ადამიანთა ცოდნა და სიწმინდე განაპირობებს იბერიელობას, ისრაელობას. ადამი იყო ამ ცოდნით შემოსილი და ეს ცოდნა გადაინაცვლებს შეთში, შემდეგ ენოშში და, როგორც ვიცით, ბოლოს მკვიდრდება ნოეში.

უდავოა, რომ ამ ადამიანებმა იცოდნენ 613 მცნება. მართალია, ბიბლია არ იყო მიღებული ჯერ ადამიანთათვის, მაგრამ ამ მცნებათა შესრულებით ყალიბდება ზემოთ აღნიშნული 10 თვისება—გენეტიკა. ნოეს შვილები ადამის მეათე თაობა შემი და იაფეტი იბრუნებს ამ მზეს. ანუ ითარებენ იბერიულ მიწათმოქმედებას იბერია—კავკასიაში და მეორედ იშვა ორი ლომი ორი მესია — რამეთუ მზეობრივია ამ ორი ძმის მოდგმა. დავანდა შეხინა — თინათინი კავკასიაში. მეორედ შობილებმა სამუდამოდ დაავუძნეს სიკეთე და ამიტომაც ვეძახით იბერია—კავკასიას სიკეთის ციტადელს.

ამგვარად აქ არის ახსნა ორჯერ შობილის. პირველად იყო ადამი, მეორედ კი ორი ლომი შემი და იაფეტი შეხინის ნათელით და დიდი ცოდნით მოსილნი.

მაგრამ როცა მოძალა ბოროტება იბერია კავკასიის ნოეს ანდერძის თანახმად შემი გადადის ქანაანზე, რათა იქაც დაამყაროს იბერიული ცხოვრების წესი და დააბრუნოს შეხინა მთელ სამყაროში. აღმოფხვრას ბოროტება მისი ძმის ქამის შტოდან გავრცელებული.

რაკილა ქანაანზე არის ეს ბნელი ძალები ჩვენ ვიცით მასთან ბრძოლის სიმბოლოა ვეფხის ტყავი, ანუ ვეფხის—ტყაოსანი, ანუ შეთი, რომელიც ფლობს 613 მცნებას ებრძვის ბოროტებას. ამიტომ იმოსება იგი უფლის მიერ ციციტით. ამ უდიდესი ცოდნის გამო ხდება იგი შალემის მეფე და აარსებს სულიერ სასწავლებელს იეშივას. მისი იბერიული ცოდნის მემკვიდრე ხდება მისი შვილთაშვილი, რომელსაც სიმბოლურად ჰქვია კიდევაც ებერი.

ჩვენ ვიცით რომ ის მოღვაწეობდა შემთან ერთად სულიერ სასწავლებელში, სადაც სწავლობდნენ ყველა იბერიელნი აბრაამი, იცხაკი, იაკობი იოსები. როგორც ვიცით შემი აძლევს კურთხევას აბრამს და ეხლა ის ხდება იბერთა ძეთა მამა. ამგვარად, შემის — მელქიცედეკის და იბერის მემკვიდრე ხდება აბრაამი. აბრაამის მემკვიდრე, იცხაკი. ხოლო იცხაკი იაკობს აძლევს მემკვიდრეობას. იაკობი რომ იცავდა 613 მცნებას ეს ჩანს მისი ტექსტიდან ხუთწიგნეულში. „მე ლავანთან ვცხოვრებდი“. „იმ ლავან გაართი“, „გართი“ — „ცხოვრება“ იერიტულად გემატრიით 613 ნიშნავს. ანუ როგორც კომენტატორები აღნიშნავდნენ, ცხოვრება მისი 613 მცნებათა დაცვით მიმდინარეობდა.

იაკობის ამ ცოდნის მემკვიდრე ბიბლიაში ხდება იოსები. ვაიეშებ 37.3, ხოლო ისრაელს ყველა შვილზე მეტად უყვარდა იოსები, ვინაიდან მისი სიბერის შვილი იყო და შეუკერა მას ზოლიანი პერანგი. ანუ ამჯერადაც იოსების ცოდნა — მზეობა გამოირჩა იმით რომ აქვს ზოლიანი ტანისამოსი, ანუ ვეფხის ტყავი, რაზეც ასე გენიალური მინიშნება ჯერ კიდევ ზ. გამსახურდიამ გააკეთა.

ჩვენ ვიცით, რომ იაკობი ძლიერ განიცდიდა იოსების დაკარგვას. არა იმდენად როგორც შვილის, არამედ როგორც მისი ცოდნის იბერიელის — ისრაელის სულიერ მემკვიდრის, რომელიც იცავდა 613 მცნებას. ანუ იაკობი შემის ებერ აბრამ სულის და მის მემკვიდრეობის გამგრძელებელს ხედავდა იოსებში. მან იცოდა რომ ეს მემკვიდრეობა იბერიელობის — ისრაელობის არ უნდა დაკარგულიყო. დაბოლოს ამ ვეფხისტყავით შემოსილთ უნდა დაებრუნებინათ სულიერი მზე შეხინა — ისრაელში. ქანაანზე გარდაქმნილიყვნენ ისევ ლომად, რომელშიც შემის სულია მისი მემკვიდრეობაა. და ის უნდა შეუერთდეს მეორე ლომს იაფეტის სულის მემკვიდრეს. ანუ ერთი ლომის მისწრაფებაა — უშუალოდ ღმერთის მსახურება. მის კარვებში ვითარდება მეორე ლომიც, რომლის მისწრაფებაც — უშუალოდ მოყვასის მსახურება მისთვის თავდადებაა.

მაგრამ ლომად რომ იქცეს შემის მემკვიდრენი, ანუ დაამარცხოს ბოროტება მთელს სამყაროში, ისტორია ისევ უნდა განმეორდეს. ორჯერ უნდა იშვას ეს ლომი ვეფხისტყაოსნიდან, რასაც ასევე ათი წმინდანი 613 მცნებათა დამცველი გააკეთებს. ათივეში იქნება ადამის – სეთის სული ცოდნისაკენ მისწრაფება. საყურადღებოა ისიც, რომ ყველა ისინი, ვინც ფლობდნენ 613 მცნებას სიცოცხლეშივე იღებდნენ კურთხევას მემკვიდრეობით. ამ კურთხევებით ჩანს, რომ ბოლოს ეს ლომი იქნება დავითის შთამომავალი. (იხ. განმარტება №3 ნაწარმოების ბოლოს).

ამგვარად პირველად ვეფხისტყაოსნიდან გარდაიქმნენ ისრაელები ლომად მოსეს დროს. მან როცა უდაბნოში გამოეყენებ სამყაროს მიიღო თორა და დააბრუნა სულიერი მზე ისრაელებში. ჩვენ ვიცით, რომ სჯულის კიდობანში, რომელიც ააგეს უდაბნოში დავანდა შეხინა – ნესტანდარეჯანი. აღარ იყო შემის სასწავლებელი. ე.ი. შემი, იბერი პიროვნებები რომელნიც გადაცემდნენ შთამომავლობას უდიდეს ცოდნას რათა დამკვიდრებულიყვნენ უფლის კარებში. ამიტომ ტყვეობაში მყოფ ებრაელებს უკვე სჭირდებოდა სრულყოფილი წიგნთა წიგნი რომ აღედგინათ იბერიული შემის იაფეტის ცხოვრების წესი.

ჩვენ ვიცით შემის კარებში უნდა გამრავლდეს იაფეტი. უფალმა აირჩია მოსე, და ახლა უკვე დაწერილი მისცა ებრაელებს თორა, ბიბლია წიგნთა–წიგნი, მოძღვრება იბერიული ცხოვრების წესისა. ანუ როგორ უნდა დაეცვათ 613 მცნება. ამ წიგნში სპეციალურად არის მოყვანილი კურთხევანი დიდი მამების, მათი მრწამსის მემკვიდრეობაზე. ძირითადად იბერიულ წესს ამკვიდრებენ იოსების და იუდას შთამომავალნი.*

ისმება კითხვა, მაშინ რატომ აცვიათ ჭრელი სამოსი მოსეს და ებრაელთ ხომ გარდაქმნეს ლომად დააბრუნეს შეხინა? საქმე ისაა, რომ დააბრუნეს ჯერ კიდობანში შემდეგ ტაძარში და არა მთელ ისრაელში – ქანაანში სადაც ამ იბერიელთა გარდა უფრო მეტი უზნეო ხალხი ცხოვრობდა. მაგრამ რაც მთავარია ისრაელი არ იყო საქართველოსავით იბერებით გარშემორტყმული, ამიტომ მათ როგორც აღვნიშნეთ მთელ სამყაროში იბერიის გარეთ უნდა დაამყარონ იბერიული ცხოვრების წესი. ამისათვის დიდი ბრძოლები მოუხდებათ ბოროტობასთან. თუნდაც იმისათვის რომ შეინარჩუნონ სულიერი მზე. ამიტომ ისინი ისევ აგრძელებენ ვეფხის ტყავში ყოფნას, რაც ნიშნავს ბნელეთთან გარე სამყაროსთან კერპებთან ბრძოლას. ამისათვის უნდა ეცვათ ეს სამოსი, რაც მანიშნებელია რომ უნდა იღწვოდნენ ასრულონ 613 მცნება. გავიხსენოთ როცა ტარიელს უჭირს შესრულება მცნებათა, როგორ გაუსაძლის მდგომარეობაში ვარდება და როგორ მოასულიერა ავთანდილმა. ამასთანავე ამ სამოსის ტარებისას ხალხს უნდა ახსოვდეთ მუდამ უფლის სასწაულები ეგვიპტედან გამოსვლისას რათა არ გადაუხვიონ მცნებებს.

როგორც ვიცით, მარტო ებრაელებს გაუჭირდათ ამ მცნებების დაცვა თუმცა ცხრა წმინდანმა იღვაწა ამისათვის. ამიტომაც ისინი აფარებენ თავს თავის სამშობლოს, სადაც ხვდება მათ სტუმრის მოყვარე ლომი ავთანდილი. შემოაქვთ მათ ის ცოდნა ნათელი ქრისტიანობის სახით,

*ამ კურთხევის ღირღვევა დიდი დანაშაულია იბერთა მტომი. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ისრაელის სახელმწიფომ მაშინ შეწყვიტა არსებობა, როცა არ დაიცვა სოლომონმა იბერიული ცხოვრების წესი. არ გაითვალისწინა ის, რაც იაკობმა და მოსემ დაუწერა მოქმედების გეგმად. იღწოდა იაყეგიდი ნეტარხსენებული ელია ისრაელში რომ შერთებულიყო ისრაელის და იუდას სახელმწიფო, ემეფა დავითიანს, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. სოლომონის შეილმაც არ გაითვალისწინა იაკობის დარიგება. შედეგი აქაც საყალალო მივიღეთ. ამას მშვენივრად აღწერს რუსთაველი ტარიელის განცდებში და ჩვენ ვხედავთ როგორ მიექანება იუდეას სახელმწიფო უფსკრულისაკენ. მიუხედავად მრავალი მცდელობისა, იგი არ აღდგა. ამის მთავარი მიზეზი კი იყო არა იმდენად მტრთა ნაკლებობა, არამედ იუდას შთამომავალი რომ არ მეფობდა. მხოლოდ იუდას შთამომავალს აქვს დანათლებული ტახტი. იაკობის კურთხევის დარღვევა დიდი ცოდვაა. ამიტომ იმჟორებს მოშუ მას. დასტურად გავიხსენოთ 12 შტოდან 10 შტო გამოეყო და ისინი უფრო მეტნი იყვნენ, მაგრამ რაკიდა მეფედ მათ არ ედგათ დავითის შთამომავალი, ისინი აღიგავნენ ისრაელიდან, იუდეამ კი იარსება.

სამაგალითოა ქაკაველთა შეცდომაც. მიუხედავად მათი უდიდესი გმირობისა, ერი დააბრუნეს თავიანთ სულიერ კარებში, არ დასვეს იუდას – დავითის შთამომავალი მეფედ. მათ თვითონ დაიკავეს ტახტი, რომელიც განკუთვნილი იყო იუდას შთამომავალზე. როგორც რაში გადმოგვცემს, ამ დანაშაულის გამო არ გამრავლდა მათი შტო. ანუ იყო მამა და ხუთი შვილი, საბოლოო მათმა წარმომადგენელმა ქალიშვილმა კი თავი მოიკლა, რათა არ გაყოლოდა იროდს. შეიძლება ესეც ერთ–ერთი მიზეზი იყო რომ მოსე არ შევიდა იერუსალიმში. იგი მეფე იქნებოდა ისრაელისა, რომელსაც საულის მეფობამდე ქურუმები მართავდნენ.

ეს კურთხევა და ალბათ მოსალოდნელი შედეგებიც კარგად იცოდნენ საქართველოში და ამიტომაც ერთი მცდელობაც კი არ ყოფილა ბაგრატიონთა იუდას – დავითის შთამომავალთა ტახტის დაუფლების. ასეთი სულიერი ცოდნა იყო ჩვენში.

რითაც მეტ ძალას შემატებენ ამ ლომს ბოროტებასთან საბრძოლველად. ამგვარად ტარიელი კი არის რიგით მეათე წმინდანი 613 მცნების დამცველი მესია ადამის – შემის – აბრაამის სულის მატარებელი, მაგრამ ჯერ ნაადრევია მისი მისიის აღსრულება. ჯერ მან უნდა გააქრისტიანოს ავთანდილი, მუსლიმანობა შეიტანოს ფრიდონთან ამ იბერიულ მოდგმაში. მათ კი უნდა გაავრცელონ ეს მწეობის წესი კერპთაყვანისმცემელთა აღმოსაფხვრელად და შემდეგ მოევლინება სამყაროს როგორც მესია ორი ლომი შემი და იაფეტი. ჯამში მეოცე რაზეც ოცნებობს როსტევანი.

„ვეფხისტყაოსანშიც" ერთხელ, როცა შემოდის ტარიელი – მესია, შემოაქვს მას ბიბლიის მცნებანი ქრისტიანობის ღრმად დასამკვიდრებლად. ამიტომ აცვია მას ვეფხის ტყავი ციცირი, მათი მამის შემის სამოსი – იოსების ჭრელი სამოსი, შემდეგ მოსეს წამოსასხამი.

რუსთაველის გენიამ იცოდა რომ ვეფხის ტყავით უპირველესად შემი შეიმოსა.

ქართველები ხდებიან ღრმა და ჭეშმარიტი ქრისტიანები. გამორჩეული მწეობით, ანუ ამ რელიგიის სრულყოფილი დაცვით და მას შემდეგ აქვთ კავშირი, ანუ ელოდებიან მეორედ მოსვლას. ამას გამოხატავს როსტევანი, რომელსაც „ე–ოც–ნა" იგი. ანუ მეორედ უნდა დაბადებული ლომი ვეფხისტყავიდან. ტარიელი მართლაც არის მეათე წმინდანი ებერიდან თუ დავიწყებთ დათვლას. იგი მეორედ უნდა იშვას ლომად, მაგრამ კერპთაყვანისმცემელთა, სამყაროს განათლებაა საჭირო ქრისტიანობით, მაჰმადიანობით, რათა იწამონ ღმერთი. ამისკენ მიისწრაფის ავთანდილი, ქართველი ერი, რომელიც მზად არის თავი გასწიროს ტარიელისათვის და სხვა ქვეყნებში ნერგავს ქრისტიანობას. ეს დააჩქარებს მის მეორედ მოსვლას და ეს ხალხი დაიხსნება საშინელი სასჯელისაგან.

ვინც არ მოეგება გონს მათ ელის მისი მეორედ მოსვლა მოხდება ცეცხლით და მახვილით. ხოლო როცა დადგება დრო, საქართველო აღმოჩნდება ის ქვეყანა, სადაც მცნებების დაცვა გენეტიკაა.

გარე სამყაროში ბოროტებამ მიაღწია თავის აპოგეას. ტარიელი იგივე მთამომავალი ადამის იაკობის, დავითის, იუდეველი, სამივე რელიგიის მწეობრივი ერთიანობით მოდის ცეცხლით და მახვილით, რაც ნაწარმოებში გამოიხატება ქაჯეთის ციხის აღებაში. ამარცხებს ბოროტებას უფლის ხელშეწყობით და მხოლოდ ამის შემდეგ შემოდის საქართველოში, ახლა უკვე როგორც მესია, ანუ ხდება „ვეფხისტყაოსნის" მეორედ კვლავ დაბადება გარდასახვა ლომად (პირველად იყო ლომად გარდასახვა მოსეს მიერ) და ორი ლომი ორი მესია ამკვიდრებს იბერიულ წესს. ეს მეოცენი ჯერ საქართველოში, შემდეგ სამყაროში ამკვიდრებს იბერიულ ცხოვრების წესს. ანუ შემი თავის სამშობლოში საქართველოში როგორც კი შემოდის ისევ თავის პირვანდელ მდგომარეობას იღდგენს და ეს მოსვლა უკვე განაპირობებს სიკეთის საბოლოო გამარჯვებას, ჰარმონიული სამყაროს შექმნას ჯერ საქართველოში ქართველებთან, ანუ ავთანდილთან.

მეორედ და საბოლოოდ მოხდება სჯულის გამტკიცება, ბიბლიის, ენის უპირობო დაცვა. შემდეგ კი ორივე ლომად გაელევს სამყაროში და არა ვეფხად რადგან იქ უკვე დამარცხებულია ბნელი ძალები. ტარიელი იბერიელ ქრისტიანებთან და მუსულმანებთან, ანუ ავთანდილთან, ფრიდონთან ერთად, იოსების შტოსთან ერთად (ეფრაიმი, მენაშე) მთელ სამყაროში აღადგენს ჰარმონიულ ცხოვრების წესს. ოღონდ ჩაყავთ ამისათვის ის ხალხი (ანუ ქართველები) იაფეტელები, რომელნიც ცოდნით, გენეტიკურად მზად არიან დაამყარონ დამოუკიდებელი – ჰარმონიული სწორი მიწათმოქმედების, ანუ იბერიული ცხოვრების წესი.

მთავარი არის ის რომ მათ ქართული ენა უნდა განავითარონ ყველავან. ამ ენაში ის სული, სულიერებაა, რომელიც გაყვარებს უფალს, მოყვასს. გაყოფა–გაცემაა და უპირობოდ იცავ ბიბლიის მცნებებს. თუ ამ ენაზე მოლაპარაკეც უზნეო შეიქნა, მაშინ ის ვერ გამოსწორდება. აი, ჩვენი აზრით, საიდუმლოება ამ ენისა. საიდუმლოება, რომელიც ხილულად ჩანს. განაერცობ მას და ერცელდება ზნეობა, ყველა ათი თვისება.

აი, მოკლედ ვეფხის ტყავის და "ვეფხისტყაოსნის" ნაწარმოების ახსნა.*

---

*საერთოდ ქრისტიანობა რომ წმინდა ქართული, იბერიული მოძღვრებაა. ეს მრავალი ფაქტორიდანაც ჩანს. ჩვენ აღვნიშნეთ იესეველთა სექტაზე, რომელიც იმდენად წმინდა იყო, რომ ჯერ მოსეს სჯულის მიმდევარი უნდა გამხდარიყავი და შემდეგ, თუ დაიმსახურებდი, გახდებოდი იმ უმაღლესი მწეობის მატარებელი, რაც სწორი მიწათმოქმედებაა, 20 მიმართულების – 10 მცნებისა და 10 სიტყვის დაცვაა. იბერიული მოდგმა ხომ თორმეტი საგვარეულო მხარეა და ამიტომაც ჰყავდა თორმეტი მოციქული ქრისტეს, რომელნიც სხვა ქვეყნებში გადადიოდნენ, ანუ ალბათ ჯერ ძველი ისრაელის ტერიტორიაზე დაიწყეს ქრისტიანობის დამკვიდ-

აი, როგორ მარტივად აქვს ახსნილი რუსთაველს მეორედ მოსვლა საქართველოში.

ამგვარად, სულ მალე რომ გამხელილი იქნება ეს ბოროტება, ამაზე ვემოძღვრავს დავითიც და პატივი უნდა ვცეთ ძეს, მის მთამომავალს. ამაზე გვაფრთხილებს იგი, რადგან ისეთივე უფლის რისხვა დაგვატყდება, რაც დაატყდა „ვეფხისტყაოსანში" ქაჯეთს, ამ ცრუ მეცნიერებს, დემოკრატებს.

ამ ქაჯეთს რომ მანამდე ამარცხებდა ავთანდილი, ეს ჩანს ნაწარმოებში.

„ავთანდილ უთხრა: ნუგეშის წიგნსაცა აგრე სწერია,
მოყვარე მტერი ყოლასა მტრისაგან უფრო მტერია,
არ მიენდობის გულითა, თუ კაცი მეცნიერია;
ნუღარ იშიშვი იმისგან, აწ იგი მკვდართა ფერია".

ამგვარად, მეორედ მოსვლა, ქართული ფენომენის, ენაის, ლაზარეს, მიწათმოქმედების, ქართული ცხოვრების წესის ნოეს მიერ დანერგილის აღდგენაა. ენა და ეს წესი უკვე ოთხი ათასი წელია იდევნება, იოანე გოსიმეს წინასწარმეტყველებით, კი იგი ოთხი ათასი წლის შემდეგ აღდგება.

ბიბლიიდან ცნობილია, რომ ნეტარხსენებული ელია წინასწარმეტყველი ამცნობს სამყაროს მესიის მობრძანებას. ჩვენ ვიცით, რომ ელია საქართველოდან იყო, ანუ იაფეტის შთამომავალი იყო. საქართველოში ხომ ელიას ასევე ევედრებოდნენ და სწამდათ მისი, როგორც წმინდა გიორგისა (ივანე ჯავახიშვილი). ავთანდილის მისიაც წააგავს ელია წინასწარმეტყველის მისიას. ქართველი ერი ხომ ყველაფერს აკეთებს, თავს სწირავს და მოჰყავს მესია — ტარიელი, დავითის შთამომავალი სამყაროს დასახსნელად. ანუ უმცროს ძმას მოჰყავს უფროსი. შემდეგ კი ისრაელში მიდიან, რათა წმინდა მიწაზე დაავანონ შესინა — ნესტან დარეჯანი. ამისათვის იტანჯება დღეს საქართველო, სხვა იბერიელებიც. მათი ვალია გაუძლონ ამ ტანჯვას; მწეობა და გენეტიკა არ გადაიგვაროს.

უკვე აღვნიშნეთ: რაც უფრო მეტი აქვს ადამიანს თეორიული ცოდნა ბიბლიის, მით უფრო უყვარს უფალი, მაგრამ თუ ის ადამიანი ამ ცოდნას პრაქტიკაში გენეტიკურად ახორციელებს ენის საფუძველზე, მის გენეტიკურ კოდში უფლის სიყვარული და, აქედან გამომდინარე, ყველა მისი შვილის, მოყვასის სიყვარული ამოუძირკვავია. ეს გენეტიკაა დაბადებიდანვე ჩადებული შემის და იაფეტის მოდგმაში როგორც ვიცით უფლის მიერ. ეს ადამიანი მუდამ გამარჯვებულია და სრულ ჰარმონიაშია. აი, რატომაა, რომ საქართველოს მიწაზე სიყვარული და იბერიელობა დაუმარცხებელია ბოროტებისგან.

რება. საქართველოში ხომ 12 ასურელი მამა მოღვაწეობდა. ლაზ—არე—ს აღდგენაც ქართულ ფენომენის ლაზი ანუ ერის მიერ არემარეს აღდგენაა, ენის საფუძველზე. ეს არის ნაგულისხმევი სახარებაში, რადგან ქრისტე მას ოთხი დღის მკვდარს აღადგენს. და ეს ოთხი დღე ოთხი ათასი წელი უკვე გასულია. ამიტომაც, იოანე გოსიმეს გადმოცემით, იგი მალე აღდგება.

## 3.4.3. დაუკვირდით! მსოფლიო ისტორიას იბერიულ–კავკასიური მოდგმა წარმოშობს. ყველა გაითხრის სამარეს, განიკითხება, ვინც ამ მოდგმას, ენას, გონს დევნის.

მალე ახდება მეორე წინასწარმეტყველება ქართული ეპოსისა, „მოვა დრო და იმ ჯაჭვს გაწყვეტს, თავს აიშვებს გმირთა გმირი, სიხარულით შეეცვლება ამდენი ხნის გასაჭირი". საქართველო მიჯაჭვულია იბერია – კავკასიას. დიდია ინდოევროპელთა დაწოლა. 30 საუკუნეა მცირდება იბერიული საზღვრები. განსაკუთრებით კი XVII საუკუნის შემდეგ. მთელი ამ ხნის განმავლობაში იბრძოდა იგი მონობის ჯაჭვის გაწყვეტისათვის. რამდენიმეჯერ თითქმის აისრულა საწადელი. უკანასკნელ ხანს გასწყვიტა კიდეც იგი, მაგრამ...

მსოფლიო გეოპოლიტიკის მიერ მიჯაჭვული საქართველო, სიმბოლოა მსოფლიო ხალხთა გასაჭირისა. იგი ყველაზე უფრო გაჭირვებულია და მედგრად იტანს უსამართლობას. უსამართლობას კოსმოპოლიტიკური გეოპოლიტიკისა. ამ ერთფეროვან მასაში ითქვიფება სხვა ტრადიციული იბერიული მოდგმის ქვეყნები და ახლოვდება საშინელი დღეები, ხალხთა უგუნურობამ რომ მოიტანა, მსგავსად ნოეს კიდობანისა. ასეთი დღეების აცდენის იმედი ამაყად აღმართული კავკასიონია. იგი თავისი სიმშვენიერით, მოუდრეკელობით, ქედმოუხრელობით და სიამაყით აცვიფრებს ყველას. ხვდებიან უკვე, რომ კავკასიონს ვერ გასტეხენ, ვერ დააჩოქებენ. იმასაც მალე მიხვდებიან, რომ ერთადერთი გზა, გზა თავისუფლებისა, დამოუკიდებლობისა და სიყვარულისა, აქედან უნდა დაიწყოს.

უნდა მიხვდეს ყველა, რომ ჩეჩნეთის, მთელი კავკასიის და სხვა მუსულმანური სამყაროს დაშოშმინება მის წინამძღოლს – საქართველოს შეუძლია. ეს არაერთხელ აღნიშნა თვით ჯოპარ დუდაევმაც. ამ აზრზეა ეს ხალხიც. დღეს ნათლად ჩანს რამდენად მოიგებს მთელი მსოფლიო, თუ კავკასია ადრინდელ ფუნქციას აღიდგენს და საქართველო ისევ იტვირთავს მედიატორის, შუამავლის, მშვიდობის ჩამგდების როლს მუსულმანურ, ქრისტიანულ და სხვა რწმენის ხალხთა შორის. ამ დაპირისპირების საშინელი ფინალი უკვე ჩანს. დროა, დავიწყოთ სვლა მშვიდობისაკენ, სიყვარულისაკენ.

მე–18 საუკუნემდე, სანამ საქართველო თავის ფუნქციას ასრულებდა, მისი ცხოვრების წესი არ მიიღეს. დღეს კაცობრიობა უნდა მიხვდეს და გამოიჩინოს ძალისხმევა, რათა საქართველომ და ისრაელმა აღიდგინონ თავიანთი ფუნქციაც და მისიაც.

საქართველოში სულიერება, სიკეთის გენეტიკური კოდი უძლეველია, რადგან იგი, იბერთა სემის და იაფეტის თვისება ხუთ დიდ დედაში სულიერ და ფიზიკურ გამნაყოფიერებლებშია და მათ მიერ ქართველ ერშია ჩასახული. ამიტომაცაა ქართველ ერში სხვაზე მრქსეა, გაცემა, ავთანდილობა მეტად საამაყო თვისება და ჩვენთან ავთანდილი უპირველესი მხედრული გმირია. გარე სამყაროში კი 7 საუკუნით გვიან, როცა ცივილიზაცია თითქოს უნდა განვითარებულიყო, დონკიხოტი დაცინვის საგანია. სასაცილო კი არა სატირალნი არიან ისინი, რომლებსაც უფლის მიერ დანერგილი სიკეთის კოდი აღარა აქვთ. მათ გადაშენება ელით, თუ გონს არ მოეგებით. რა თქმა უნდა, ეს ჩვენი წუხილიც უნდა იყოს.

იბერია–კავკასია რომ არის სიკეთის ციტადელი, ღერძი სამყაროს გადარჩენისა, სხვა დიდ მოაზროვნეებთან ერთად, ჰეგელიც აღნიშნავდა: კავკასიურ რასაშიღა აღწევს გონი აბსოლუტურ იგივეობას თავისთავთან. აქღა შედის გონი სრულყოფილ დაპირისპირებაში ბუნებითობასთან, თავისთავს იმეცნებს თავის აბსოლუტურ დამოუკიდებლობაში, თავს აღწევს მერყეობას ორ უკიდურესს შორის, აღწევს თავისი თავის განსაზღვრას, თავისი თვითობის განვითარებას და ამით მსოფლიო ისტორიას წარმოშობს. მონღოლებს, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, თავის დამახასიათებლად აქვთ გარეთკენ მისწრაფებული მოქმედება, წყალდიდობისას წყლის ამოვარდნის მსგავსი, რომელმაც მხოლოდ გამანადგურებელი მოქმედება იცის და ვერაფერს აშენებს, რომელსაც ისტორიისთვის არავითარი პროგრესი არ მოაქვს. ეს პროგრესი მხოლოდ კავკასიური რასის გზით იწყება.

აქ ნათლად ჩანს, რომ ქართული–იბერიული გონი, სული, გენეტიკა ისეა განვითარებული, რომ რაც უზენაესის მიერ ჩადებულია მისი სულის განვითარების პროგრამაში, ენიდან გამომდინარე, ის არის მისი მოქმედების კრედო, კონსტიტუცია. იგი დამოუკიდებელია აზროვნებაში,

მისი დამოუკიდებლობა, უფლისგან მინიჭებული მხოლოდ უფლის მიერ დანერგილ იაფეტისებურ, შემისებურ თვისებებს ექვემდებარება.

ორ უკიდურეს შორის (ბოროტებასა და სიკეთეს შორის) იგი მხოლოდ სიკეთეს თესავს. თავისი თვითობის განვითარება კი მიგვანიშნებს, რომ აქ საზოგადოება განვითარდა დემოკრატიული მმართველობის იბერიული წესით. არის თან–ხმობა, ანუ ხალხის, ყოველი ადამიანის ხმით იმართება ქვეყანა. ყველას თავის საქმე აქვს და პირველი კაცია ამ საქმეში. შედეგად, არ არსებობს დაჩაგრული, მათხოვარი, ღარიბი, ქურდი, უზნეო. ურთიმანეთის პრობლემის მოგვარებაა, გაცემაა. დღეგრძელია ყველა და ჰარმონიაა. მთელი ერი არის ერთი მიზნით, ერთი სულით შეკრული და შერწყმული, სულიერად ერთი ღმერთის სიყვარულით. ამიტომაც აქ მუდამ ადამი–ანი – პირო–ვნება იყო. ქართულმა ენამ სხვა სახელი არ იცის.

„ისტორიაც მისგან ამიტომაა წარმოშობილი" რომ ეს გონი არის მხოლოდ მსოფლიოში მარადიული უფლის მიერ ნოეს ენით კურთხეული დასაბამიდან.

მონღოლების მსგავსი იმპერიული მიმართულების ქვეყნები კი დროებითი მოვლენაა და მათ მხოლოდ სიკეთის, ჰარმონიული სამყაროს განვითარების შენელება შეუძლიათ. ამ დროებითობას განაპირობებს ცხოვრების წესი, რის გამოც ადამიანი „გულბოროტია დაბადებისთანავე". ანუ ერი ხდება სული–ერად, ფიზიკურად და–ავად–ებული ე.ი. ავად დებული. რახან დევს და ასევე უფლის მცნებით არ არსებობს, წერტილია ნული გასდება და გადაშენდება, რადგან სელყოფს უფლის კანონებს. ანადგურებს სულიერებას, გარემოს მდგრადობას.

სიკეთე კი სამყაროში მხოლოდ კავკასიურმა რასამ უნდა დანერგოს, იმათი მეშვეობით, ვინც უფალზეა მინდობილი. ისინი კი ნეტარ არიან.

აქ არის მესიის მოქმედების, შემეცნების არეალი, ის ქვეყანა, სადაც რეალურად შეიძლება აღდგეს ჰარმონიული სამყარო, საქართველოა. აქ არის პრაქტიკა სწორი ცხოვრების წესისა. ქართველებს გენეტიკურ კოდში აქვთ ბიბლიიდან გამომდინარე ადამის ის პირველადი ენა, რითაც ჰარმონიაა მიწათმოქმედებისას.

სხვაგან ბიბლიას ყველა არ სწავლობს, შედეგად დიდ წმინდანებსაც კი იაკობთან ერთად ესავი უნდებათ. ამიტომაც არის იერუსალიმში ორი სვეტი ერთ ტაძარში. ისიც ნიშანდობლივია, რომ მხოლოდ მცხეთაში და იერუსალიმის ტაძარში არის აღმართული სვეტი, სიმაღლე, ცოდნა, შუქი, სულიერება. ოღონდ მცხეთაში ერთი სვეტია. იერუსალიმის ორი სვეტი ალბათ ადასტურებს ორი სიწმინდის, ორი იერუსალიმის არსებობას.

ორი სვეტი იმასაც უნდა აღნიშნავდეს, რომ ქანაანში, იერუსალიმის სულიერ კარვებში იძულებულნი არიან გაუწიონ ანგარიში მეცნიერულ, ცხოვრებისეულ მისწრაფებას. და ეს ორი ხე, ხე სულიერებისა და ხე ცხოვრებისა ისე მერწყმოდნენ ერთმანეთს რომ გაემარჯვა ჰარმონიას, სიწმინდეს, ღმერთის სიყვარულს, რაც ამ ტაძარშია, ანუ მეცნიერთა მოქცევა ყოფილიყო ზნეობისაკენ.

ჩვენთან კი, სვეტიცხოველში, ერთი სვეტია. ეს სვეტი კე–დარის ადგილზე, ანუ კეთილი დარის მიმცემ ადგილზეა აღმართული... სიკეთე არის ჩვენი სულის მისწრაფება და ამიტომაც ჩვენთან მხოლოდ სულიერების ხე ამოდის, რადგან ენა ჩვენი შემომქმედის მცნებებითაა კოდირებული. ტვინიც ამ მცნებებით მოქმედებს. სული კი, რომელიც შემომქმედმა მოგვცა, სრულ ჰარმონიაშია.

მსოფლიოს ხალხნო! კიდევ დაიმახსოვრეთ ამ ენაში დამარხული არის მრავალი საიდუმლოება და ამ ენით უნდა განიკითხოს უფალმა ყველა ხალხი. ე.ი. ვინც ამ ენას დევნის, ის ბოროტების მსახურია, რადგან სიკეთეს, ანუ უფლის მიერ იბერიულ გენში კოდირებულ ათ თვისებას დევნის. ამიტომ ისინი განიკითხებიან.

ამიტომ, ღვთის გულისათვის, მიყევით რუსთაველის მოძღვრებას, შეუწყვეთ ხელი, რომ იბერიაში – საქართველოში აღდგეს ზნეობრივი ცხოვრების წესი. ნელ–ნელა გადაიღებთ ამ წესს და იქნება მარადიული სიყვარული, ჰარმონიული სამყარო, არ იქნება ტანჯვა–წამება, დაავადებები...

წინააღმდეგ შემთხვევაში, კატასტროფაა მოსალოდნელი – რუსთაველის ყველა წინასწარმეტყველება ახდა. ჩვენი ვალია სიკეთის გამარჯვება მოხდეს, რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლით. ქაჯთა, ბოროტების მსახურთა ზნეობაზე მოქცევით და არა მათი განადგურება – გადაშენებით. ბიბლია – მოსეს სამართალი და პირველადი ენა, ეს ორი წმიდა ძეგლი ერთად 3000 წელია ბოროტებას წარმატებულად ებრძვის.

## ენა ჩვენი სულიერი წინამძღოლი

ყოველ ათასწლეულს ხდებოდა ენის აღდგენა. იგი დაიწყო ფარნავაზმა და განმტკიცდა მისი ნათელი სწორედ ბიბლიით, იუდეველ იბერიელთა, ებრაელთა მიერ საქართველოში ქრისტიანობის შემოტანით. განმტკიცდა მონოთეიზმი და ერთიანობა საქართველოში და იყვნენ უგანათლებულესი მეფენი, რამდენიმე მათგანი კი წმინდანად შერაცხა ქართულმა ეკლესიამ.

მეორე ათასწლეულის დასაწყისში ისევ ენამ შეკრა, გააერთიანა საქართველო. ნეტარხსენებული იოანე მთაწმინდელის ეპოქა ექვთიმე თითქმის გამოტირებული იყო. ხულიმობრძაეს გამოეცხადა ღვთისმშობელი და დამოძღვრა: „არარაი არს ენებაი შენ თანა, აღდეგ, ნუ გეშინიან და ქართულად სხნილად უბნობდი.“ ექვთიმემ ისწავლა მშობლიური ენა ქართული და მოხდა სასწაული. ავადმყოფი გამოჯანმრთელდა და იმ ორმა წმინდანმა მამა–შვილმა, აგრეთვე თორნიკე ერისთავმა, გიორგი მცირე ჭყონდიდელმა და სხვებმა დაუდეს საფუძველი თავიანთი მოღვაწეობით ენის განმტკიცებას, საქართველოს გაერთიანებას — აღმავლობას.

მკურნალია ღვთის მიერ მოცემული ენა სულის და მთელი ერის თუ სწორად ვუპნობთ და მას არ ვბილწავთ, სხვა უზნეობებით.

რუის–ურბნისის კრებაზე მონაწილე წმინდა მამები სწორედ მათი აღზრდილნი იყვნენ. მათი ხელშეწყობით შეძლო აღმაშენებელმა საქართველოს გასხივოსნება. ამ მამებმა კი დააარსეს ათონის იბერთა მონასტერი (ამავე დროს, თორნიკე ერისთავმა ქართული ჯარით დაამარცხა ბიზანტიის დასაპყრობად მოსული ბარდა სკლიაროსი) და საფუძველი ჩაუყარეს მართლმადიდებელი სარწმუნოების რენესანსს მთელ მსოფლიოში. შემდეგ იქმნა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც გვემოძღვრავს, რომ ენა და საქართველო უკვდავია, გაიმარჯვებს ბოროტებაზე და დღეს, მეორე და მესამე ათასწლეულის მიჯნაზე ახალ რენესანსს, მესიის გამოვლინებას ჩაუყრის საფუძველს.

ქართველნო! სანამ ამ ენით ვილაპარაკებთ, მანამდე ჩვენთან იქნება ხე სულიერებისა და მეციური დედა. მივყვეთ ღვთისმშობლის დამოძღვრას და მესამე ათასწლეულში დავუდოთ საფუძველი იბერიული მოდგმის გამარჯვებას. ვიმეტყველოთ, ტყვე ვიყოთ მხოლოდ ჩვენი რწმენის, ენის, სი–ტ–ყვის, რომელიც სიყვარულს ნიშნავს. სიყვარული მოავლენს ჩვენში და მთელ სამყაროში მესიას, იქნება შ–ენ–ება და გათ–ენ–დება.

ამგვარად, მესიის გამოვლინების წინაპირობა რომ შევქმნათ, უნდა აღვადგინოთ ქართული ცხოვრების წესი, ის წესი, სადაც ფულის კულტია, მისი მრუდბრივი კოდექსების და არა ფულის, უზნეო კონსტიტუციების მომხვეჭელთა ფულებას რომ იცავენ. ამ წესში სულიერი და ფიზიკური გამხაყოფიერებლები, ყველა სულიერი უყვართ. აქ სიყვარულით იწყება ყველაფერი, ყველა პირველკაცია. აქ ლაზარს ვერ ნახავთ. ადვილად შეიძლება აღდგეს 2–3 წელიწადში ის ძლეხი, შემოქმედი — მიწათმოქმედების წესი, რითაც გვემოძღვრავს ბიბლია. საქართველო მუდამ იყო კავკასიის — იბერიის გული, თბილისი კი მისი დედაქალაქი. აქ ყველა კავკასიელს — იბერიელს ისე უყვარს თბილისი, როგორც ქართველს. მათ ერთმანეთიც გულით უყვართ. ამიტომ აქ რელიგიათა სიყვარულიც სამაგალითო იქნება. განვავრცოთ ეს წესი მთელ სამყაროში, რაც დღეს ხელეწიფება ტარიელს — მესიას, ავთანდილს დავითის შთამომავალთ, რომელნიც ალბათ დაბადებულნი არიან და ელიან მეფობას, მეშკვიდრეობის აღდგენას ისრაელსა და საქართველოში. მუზარადი დროზე უნდა დავიხუროთ, რათა მეფობა მათი მარადიული იყოს ჩვენს სამყაროში. ამისათვის ებრაელებმა თითქმის ყველგან დაამარცხეს დევები — იმპერიები — თორის ძალით და მათი ქონებაც მათ ხელშია.

## აწმყო წარსულიდან უნდა იშვას, წარსული კი ადამიდან — ნოედან იწყება

ამგვარად, იბერიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

თქვენი ისტორია ადამიდან, სემის–ნოეს შთამომავლობა, იბერიიდან იწყება და აქედან უნდა დავიწყოთ სიკეთის ციტადელის აღდგენა. ეს არის მისი ათვლის წერტილი. ნახევარი გზიდან სრული გზა არ აღდგება.

პირველ კიდობანს ნოემ ჩაუყარა საფუძველი, მაშინ, როცა ირგვლივ უზნეობა იყო. ის, რაც დღეს არის სამყაროში და დაფუძნდა იბერიაში სიწმინდე, ზნეობა, სულიერება, რომელიც მარადიულია. ამ ჯიშის იყო აბრაამი და ამიტომაც დაერქვა ებერი. აქედან გადადიოდნენ სხვა მრავალი განმანათლებელი მამები, რომელთა სახელშიც იყო იბერიული წარმოშობა,

თუნდაც პეტრე იბერი, რომელიც პალესტინაში მოღვაწეობდა V საუკუნეში, ძმები ბაკ–ურია–ნელები, რომელთაც განანათლეს ბულგარეთი და ფიცოდით, რომ ისინი ურია, ურები იყვნენ. ანდა, ანთიმოზ იბერიელი. ამ უკანასკნელმა სრულიად განანათლა რუმინეთი, დააარსა სტამბა, მშობლიურ ენაზე ამიარა რუმინელები წირვა–ლოცვას. 30–ზე მეტი მონასტერი მისი ხელმძღვანელობით აიგო იქ. მან სტამბა დააარსა არაბეთშიც და ამიტომ შერაცხეს იგი წმინდანად.

მსოფლიოს ყველა ქვეყანათა განათლების მაგალითები კიდევ მრავალია. თუნდაც ძველი ბერძნული დასახელება ჯერ იბერიელნი პე–ლაზ–გები იყვნენ და ამიტომაც ეწოდათ ბ–ერ–ძ–ენი (იბერთა ძენი). ამავე დროს, ამ სიტყვაში ერიც არის და ენაც.

ამიტომ ჯერ ეს კიდობანი – პირველადი ენის სიწმინდე, ბნეობრივი ცხოვრების წესი უნდა აღდგეს. იბერია, საქართველო სიკეთის ციტადელია. ეს ადგილი უფალს დიდი ხანია შემონახული აქვს და ამიტომაც მეფობს თინათინი – შეხინა. ენის სიწმინდე, სულიერება იბერიელებში გენეტიკურად არის შთენილი. იგივე იქნება ყველასათვის, ვინც ამ ენაზე ისაუბრებს. ხალხთა შორის სამი ძმის, სამი რელიგიის და სხვა რელიგიათა ერთობა, სიყვარული, ბარაქის, პარმონიის მომტანი ცხოვრების წესი დაისადგურებს, რაც მესიის წინაპირობაა. შემდეგ ისევე, როგორც იბერიელნი გადადიოდნენ სხვა ქვეყნებში, ასე უნდა გადავიდნენ ავთანდილთან, ფრიდონთან ერთად მესია – ტარიელის ხელმძღვანელობით, აღადგინონ იქ იბერიული ცხოვრების წესი და ისევ დაისადგურებს ირგვლივ სიწმინდე. იერუსალიმის წმინდა მიწაზე დაიხსნება შეხინა, იმ ადგილზე, სადაც უფალს ასევე მინიშნებული აქვს მისი სამყოფელი და მაშინ უკვე ქვეყანას მოევლინება მესია – ტ–არიელი სრულყოფილად.

ამგვარად, დროზე მოქმედებაა საჭირო. სიკეთის გამარჯვების, სამყაროს გადარჩენის გასაღები კავკასიაშია.

## 4. იბერიელობა — თვით შემქმნელის განუყოფელი ნაწილია იბერიულობა — ეს ყველაფერზე მეტია

> იბერია თავისი მიწათმოქმედებით ტაძარია, სადაც მეფობს შესინა — სულისწმინდა და იბერი. რელიგიები კი დროებით არსებობენ რომ დააბრუნონ შეხინა — სულისწმინდა და სამყარო იქცეს ტაძრად. რუსთაველით ეს მაშინ მოხდება, როცა იბერთა ერთობა იქნება — ეს მცნებაია დაცვით ხდება. აწმყო წარსულიდან უნდა იშვას. იგი არც შუიდან და არც დღევანდელიდან არ იშვება, წარსული კი სამოთხეში ცხოვრებაა.

და ბოლოს, მაინც რას ნიშნავს იბერიელი და რას ნიშნავს რელიგიები? დღეს როცა მესიის ერაა, დადგა დრო განიმარტოს ის, რაც მარადიულია, ის რასაც არა აქვს არც საწყისი და არც სასრული. ქვეყნიერება ტაძარი იბერიელებით შეიქმნება მხოლოდ. იბერიელი იყო ადამი სანამ შესცოდებდა. შესცოდა და დაკარგა სულიერი მზე. რომ დაებრუნებინა ეს მზე, არ დაუშვა შეცდომა, დაეცვა 613 მცნება, მიტომ ჩააცვა მას პირველად უფალმა ტყავი სიბრძნისა.

გაეიხსენოთ იერითულად სიტყვა ცხოვრება გემარციით 613 უდრის: ამგვარად იბერიულობა — ადამიანის ცხოვრება და 613 მცნების დაცვა ეს ერთიდაიგივეა. ოღონდ მარტო ადამს არ უნდა დაეცვა. ეს მცნებანი უნდა დაეცვა ყაენსაც სხვებსაც და ქვეყანა ისევ ტაძრად და ადამიანთა ცხოვრება ისევ იმ მარადიულ ჰარმონიით იქცეოდა. მაგრამ ვერ იქნა ეს ადამიანთა მოდგმაში. სამოსები იბერიელთა რომელთაც ადამი შეიმოსა მემკვიდრეობით გადადიოდა მის მოდგმაში იმ წმინდანობისათვის, რომელნიც გამორჩეულნი იყვნენ თავისი მნეობით. მაგრამ არ იყვნენ იბერიელები. იმიტომ რომ ცხოვრების წესი არ იყო ჩამოყალიბებული ისეთი რომ ემეფა იბერიელთ. იმიტომ რომ იბერიულობა ეს უსასრულო სიკეთეა, სიყვარულია, გაყოფაა, ბარაქაა, მეფობაა ყველას პირველკაცობაა, სხვა ათი უსასრულო თვისებაა უფლისა. ეს რელიგიურობაც არის და ეროვნულობაც რამეთუ აქეთკენ მიისწრაფიან რელიგიები. აი რატომ გვეამაყება ჩვენ ქართველობა — ეს ხომ როგორც ისრაელობა იგივე — იბერიულობაა.

ამგვარად ჯერ, არ ჰქონდათ სრულყოფილად განმტკიცებული ათი თვისება უფლისა. ჩვენ ვიცით მეცხრე იყო ნოე, როგორც თორის კომენტატორები აღნიშნავენ ნოეს მოპარა ადამის სამოსელი ქამმის შეილმა და თავის ნაშიერს ნემროდს ჩააცვა. ამით ნემროდს ჰქონდა უძლეველი მონადირის სახელი. მას ცხოველნი ემორჩილებოდნენ უყოყმანოდ. ამ სიძლიერის გამო შეიქმნა იგი მეფედ ბაბილონისა. ოღონდ დაავიწყდა ღმერთი და თავისი თავი უნდოდა აეყვანა კერპის რანგში. ამიტომ მოკლა იგი იაკობის ძმამ ესავმა და ეს სამოსელი იაკობის ხელში აღმოჩნდა, რომელმაც სამუდამოდ გადამალა. რატომ გადამალა ისმის კითხვა? გადამალა იმიტომ რომ ღმერთისგან კურთხეული სხვა სამოსელი შეიქმნა.

აღსანიშნავია რომ ათ თვისებას ფლობდნენ შემიც და იაფეტიც. მეფობდა იაფეტი იბერიაში, იყო აქ სულიერი მზე შესინა და შეიქმნა იგი ლომად. იგივე იყო შემიც, მაგრამ იგი უნდა გადასულიყო ქანაანზე და რომ დაემკვიდრებინა ათი თვისება მას სჭირდებოდა 613 მცნების დაცვა როგორც წინა ცხრა წმინდანს. ამიტომაც გაეიხსენოთ ჩააცვა მასაც უფალმა ციციტი. მიტომაც ეწოდა მას იბერთა ძეთა მამა.

ამ იბერიელთათვის შემის და იაფეტისათვის იყო განკუთვნილი მესიონისტური მოვალეობა იბერიული ცხოვრების წესის — 613 მცნებათა დაცვის დამკვიდრება ეხლა უკვე მთელ სამყაროში და ამისათვის შემს უნდა მიეღო თორა ბიბლია და იაფეტი შემის კარვებში ორივე და უფლის კარვებში უნდა განვითარებულიყვნენ. ეს ის სათაყვანებელი წიგნია წიგნი, რომელსაც არა აქვს საწყისი და სიბრძნეს მისას სასრული. ამიტომ შეშურდათ ანგელოზებსაც კი ის, რომ ადამიანს მიეცა.

იბერთა ძეთა მიმათ კურთხევა რჩეულთა სვედრია. მათ უნდა უხელმძღვანელონ რათა განავრცონ ქვეყნიერებაზე ბიბლიით იბერიული ცხოვრების წესი. საერთოდ იბერნი ავრცელებენ ჭეშმარიტ ცოდნას ღვთაებრივ სიმართლეს და უპირისპირდებიან ბოროტების სამყაროს

რომელნიც მხოლოდ ფარულად მტრობენ. რატომ? მართალის ეშინია ბოროტს. იგი მეუფე – იბერიელია ღვთით კურთხეულია. ამიტომაც იბერიელთ და მით უმეტეს იბერთა ძეთა მამის ლოცვას უსმენს და ასრულებს უფალი. უფალი ირჩევს მათ მათი ზნეობით. უფალი ელაპარაკება და იცავს მათ. გაიხსენოთ ნემროდს უნდოდა აბრამის დაწვა და როცა უვნებელი გამოვიდა ის იქიდან მიხვდა ნემროდი რომ მასთან ღმერთი იყო და განთავისუფლდა. მიიღო კურთხევა აბრამმა და სახელიც იბერიელებისა აბრამ ებერ–იბერ–ყიბერი–უძლეველობისა. მისი სახელი აბრამი „ამაღლებული მამა" შეიცვალა აბრაჰამით, რაც ნიშნავს მრავალ ხალხთა მამას. მართლაც წარმოიქმნენ მისი შვილისგან ისმაილისგან მუსლიმანები, ხოლო მისი შვილიშვილი ესავისგან ევროპული ქრისტიანები. ხოლო კურთხევა იბერთა ძეთა მამისა გადადის ისაკზე. რომ იბერი მეუფეა ეს კარგად ჩანს ბიბლიაში ისაკის მიერ იაკობის კურთხევისას. დაბადება27.29. გმონობდნენ შენ ხალხები და თაყვანს გცემდნენ ერები! იყავ მეუფე შენი ძმებისა და თაყვანს გცემდნენ ძენი დედაშენისა. წყეულიმც იყოს მაწყევარი შენი, კურთხეული იყოს მაკურთხეველი შენი. ამგვარად ისაკის შვილი იაკობი ამრავლებს იბერელთა მოდგმას იბერიის საზღვარგარეთ და სახელი იბერიელი იცვლება ისრაელით, ქართულად კი ისევ ებრაელი რაც იგივე იბერიელია, რაზეც წინა ნაწილში ვისაუბრეთ. ხოლო არა იბერიელ ესავს ასე აკურთხებს: დაბადება 27.40. შენი მახვილით ცხოვრობდე, შენ ძმას ჰმონობდე და როცა აღდგები – ჩამოიხსნი მის უღელს შენს ქედიდან. დღეს მართლაც წარმართავენ ებრაელები მთელს ევროპას, ეს იმიტომ რომ აღდგნენ ისინი დაადგნენ ჭეშმარიტობის გზას. ამიტომაც ანიჭებს უფალი ებრაელთ კურთხევის უფლებას. გაიხსენოთ ბიბლია, როგორ ეუბნება უფალი იაკობს სიზმარში: რომ გაამრავლებს მას როგორც ქვიშა და მისით იკურთხება ყველა ხალხი. ანუ შემის შტოს წინამძღოლს მოუსმენს უფალი ყველა ეპოქაში.

ამ 613 მცნებას როგორც შემამლე – იაფეტამლე იცავდა აქამდე 9 წმინდანი მესია წინამძღოლი იბერიულ–ისრაელთა მოდგმისა და დღეს სამყარო ელოდება მეათეს. თუმცა შემის კარვებში ყოველთვის არის წინამძღოლი, რომელიც იცავს 613 მცნებას და მას სიტყვას უსმენს უფალი. უკანასკნელად ასეთი იყო ადმორი ლუბოვიჩი – რაბი მენახემ მენდელ შნეერსონი რომელიც სასწაულებს ახდენდა.* თუნდაც ის რაც მედიცინას არ შეუძლია თვალის შუქის დაბრუნება და სხვა მოვიყვანთ ერთ მაგალითს როდესაც სლოვენიის მთავრობამ დამოუკიდებლობით გამოაცხადა კომუნისტურმა, იუგოსლავიამ დაიწყო საომარი მზადება – უიარაღო სლოვენიამ თავის თანამემამულე ებრაელ მირიან ფურმანს მიმართა. იქნებ ისრაელის სახელმწიფო დაგვეხმაროსო, მან კი თხოვნით მიმართა ადმორ ლუბოვიჩს. თან მიიტანა ორი გულში ჩამწვდომი წერილი ერთი სლოვენიის ელჩიდან, მეორე კი ტორონტოში სლოვენური ეკლესიის მღვდლისგან. იგი წერილში სთხოვდა „გადაარჩინა სლოვენია კომუნიზმისაგან ისე როგორც მოშემ გადაარჩინა ებრაელები", იმ დროს როცა რებე ლოცვის სიტყვებს იძახდა, იუგოსლავიის ბომბდამშენები სლოვენიის დედაქალაქთან რამდენიმე წუთის საფრენ სიახლოვეს იყვნენ: დღემდე გაუგებარია მიზეზით იუგოსლავიის მთავრობამ 7 ივნისს 16:00 საათზე ცეცხლის შეწყვეტის და სლოვენიისთვის თავისუფლების მინიჭების შესახებ გამოაცხადა.

როდესაც სლოვენიაში სახელმწიფოს შექმნის და დამოუკიდებლობის მოპოვების ბუკლეტი დაიბეჭდა პირველ და ბოლო გვერდზე ეწერა: „სლოვენელმა ებრაელმა პირადად მიართვა სლოვენიელთა რამოდენიმე წერილი მსოფლიოს ებრაელთა ლიდერს, რაბი მენახემ–მენდელ შნეერსონს, და სწორედ იმ დღეს, როდესაც მან დალოცა სლოვენელი ერი, საომარი მოქმედებები შეწყდა და ჩვენ დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ". (თორის სინათლე: ქართველ ებრაელთა ფედერაცია საქართველო თბილისი. გვ, 1–3 18.02.2002 წ. გამომცემელი რ. ბენციონ ისრაელაშვილი.) აი სად არის და სად ჩანს რელიგიათა ერთობა, მეგობრობა კერპთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

როცა ჩემს სამშობლოს საქართველოს პუტჩი ემუქრებოდა, იგივე აზრი გაუჩნდა ერთ–ერთი უზენაესი საბჭოს დეპუტატს. მან მოუხმო ორ ცნობილ ებრაელს ჯ. აჯიაშვილს და გ. ბათიაშვილს. შედგა წერილიც ებრაელი ხალხის და მისი მეთაურის სახელზე მეტად გულში ჩამწვდომი. მოიტანა უზენაეს საბჭოში სათანადო დონის ორ ქალბატონთან გვარებს არ დავასახელებ. მათ იუკადრისეს გადარჩენის ეს შანსი. ეხ როგორ იყო ჩემი სამშობლო განწირული ყველა

*როდესაც ლუბავიჩელი რებე ერთ სოფელში შეჩერდა სადაც ებრაელები არ იყვნენ ყველამ ქედი მოიხარა მის წინაშე. გაკვირვებულ თანხლებს მან უთხრა: განა გამჩენმა არ უთხრა აბრამს: და შენ იქნები კურთხევად!

მხრიდან. სლოვენიელმა მღვდელმა იცოდა კურთხევის ძალა ჩვენებმა კი... იგი მაინც იმედს არ კარგავდა გადაწყვიტა პრეზიდენტთან შესვლა, მაგრამ მეორე დღეს დაიწყო პუტჩი და ამისათვის არავის ეცალა.

ამგვარად, იბერიულობა ეს უსასრულო სიკეთეა, სიყვარულია, გაყოფაა, ბარაქაა, მეუფებაა ყველასი მათი პირველკაცობაა, სხვა უსასრულო ათი თვისებაა უფლისა. აქეთკენ მიისწრაფიან რელიგიები. აი რატომ გვეამაყება ჩვენ ქართველობა – ეს სწორ იგივე იბერიულობაა – ისრაელობაა. ის რაც მთელმიეია ამიტომა იბერიულობა–ისრაელობა ეს უფლის სამყაროს შემქმნელის განუყოფელი ნაწილია. უფალს არ მიესადაგება არანაირი განმირძილებანი და რელიგიები. ესევე იქნება მესიის ერაში აქ წარმართველი იბერიულობაა ცხოვრებაა ექსახცამცდი მცნებით უფლის ათი თვისებით. იბერიელები გამორჩეულნი რჩეულნი არიან სხვა ხალხისგან. იმით ისინი ქმნილების ნაწილნი არიან. ჩვენ კი თვით შემქმნელის განუყოფელი ნაწილი ანუ მეფე რომ ვიყოთ უფლის კარავში უნდა გქონდეს ბინა როგორც მის შვილებს. (გაიხსენით ადამს ჰქონდა უდერტვინეველი ცხოვრება ანგელოზები მას ემსახურებოდნენ. ამიტომ შემურდათ მისი და შეცდა იგი ერთ-ერთი მაიგანის ძალისხმევით რომელიც განდევნა უფალმა და ჩამოაქვეითა.)

გენეტიკა უნდა გახდეს შენი სიკეთე სიყვარული ამისათვის უნდა დაიცვა 613 მცნება რომ გქონდეს ათი თვისება. და შენც უნდა ქმნიდე ქმნილებიდან შემქნელის ნაწილს, იბერიელს ამიტომაც იბერიელნი–ისრაელნი არიან კურთხევის მატარებელნი მთელი კაცობრიობისათვის.

რუსთაველის გენიამ იმიტომაც დაგვიწერა დაგვიტოვა ეს ნაწარმოები რომ გაეიხსენით ჩვენი ძმობა, ერთობა. სად არის ჩვენი სულიერი კარავი. რა უდიდესი განძი გვაქვს ჩვენ წინაპრებისგან. აწყო ამით უნდა იშვას ეს არის ნათელი მომავლისა. ამიტომაც ქადაგებს იბერიელების ერთიანობას რელიგიათა რუსთაველი და ამიტომაც ებრძვის ბოროტება ამ ერთობას დაპირისპირებას ხერგავს – რელიგიებსაც და სექტებსაც უმრავლეს. თავის დროზე ამ ნაწარმოებსაც ებრძოდნენ. ხსნა იბერიული ცხოვრების წესის აღდგენაშია ეს არის უფლისგან მოცემული, აქ არის უფლის ყველა თვისება უსასრულო სიყვარული ერთობა და ცხოვრება მარადიული!

ეს რომ მოხდეს მიმაჩნია ყველა იბერიული ღადგეს ერთად. მათმა წმინდა წარმომადგენლებმა ხასებმა უნდა შექმნან წმინდანთა იბერთა – უმაღლეს სწავლულთა საკრებულო კონგრესი. უპირველესი მიზანი უნდა იყოს იბერთა ერთობა – მათ ექნებათ ღმერთის შეწევნა და ძალაც მარიონ სამყარო სიყვარული სიკეთით წიგნთა წიგნის საფუძველზე. უნდა შეჯამდეს ცოდნის სამართლის სიყვარულის სასხრები. ასე ჩვენ აეთანდილნი შევიერთებთ ტარიელს და ეს იქნება მესია, რის შემდეგაც აღვადგენთ იბერიულ წესს ჯერ მისი ციტადელში. და იქნება დახსნა და ქორწილი შესინასთან უფლის ნათელთან. ყველა ხალხი დაემორჩილება იბერიელთ, მათ სამი რელიგიის წმინდა წარმომადგენელთ ხასებს ტარიელს, ავთანდილს, ფრიდონს, რუსთაველის გეგმით.

მესიის ერაში მოხდება სულიერი და ფიზიკური განკურნება ყველასი ღმერთის ნათლის მიერ როგორც ნაბრძანებია წინასწარმეტყველთა მიერ: და იქნება ბოლო დღეებში, და გაძლიერდება უფლის სახლის მთა, როგორც მწვერვალი /ყველა/ მთისა... და დაიძვრებიან მისკენ ყველა ერები... და წავლენ ბევრი ერები... იაკობის ღმერთის სახლში. იაკობი ისრაელი–ებრაელი იბერიელი ხომ ერთი და იგივეა.

## 5. ბოლოთქმა?

მაინც ვინ იყო ზვიადი? მერაბი?

კაცი, ქართული სული, რომელიც მოევლინა ერს და გაუქარწყლა ბოროტებას სამასწლოვანი ღვაწლი. გავიხსენოთ, დაახლოებით 300 წლის წინათ ვახტანგ VI, ეს უგანათლებულესი დავითის შთამომავალი, უშვებს გამოუსწორებელ შეცდომას ქართველთა ზნეობაში, სიწმინდეში, ღმერთის მიერ მოცემულ ქართულ კონსტიტუციაში, სამართალში შეაქვს უწმინდურობა, რომის მემკვიდრე, იმპერიული ბიზანტიის სამართალი. იაფეტი კი ნოეს დამოძღვრით სემის კარვებში უნდა გაერცელებულიყო. გატეხა საუკუნო აღთქმა.

ზოგადად, გავიხსენოთ, როგორ დამოძღვრა დავითის შთამომავლობა უფალმა: თუ იველი ჩემი მოძღვრებით არ მოგაკლდება მეფობაო. დაარღვია სოლომონმა ის და აღარაფერი დარჩა ისრაელის ძლიერებისგან. საქართველოც ამ შეცდომის შემდეგ დაეშვა ამ გზაზე.

უამრავი გულანთებული მამულიშვილი ეწირებოდა ენის, მამულის, სარწმუნოების მრწამსს და უშედეგოდ, რადგან მთავარი იყო გამოსასწორებელი — სახელმწიფოს მართვის დოკუმენტი — ბიბლიაზე — ენაზე — „ვეფხისტყაოსანზე" — აგებული ცხოვრების წესით მოქმედებას უნდა გადმოსცემდეს. მხოლოდ. თორით მოგვცა უფალმა სამართალი და განა შეიძლება მისი შებილწვა. შეიბილწა სამართალი და შეიბილწა იბერთა ცხოვრების წესი. დავითის შთამომავალთაც აკლდებოდათ გონიერება. გავიხსენოთ, როგორ თქვა უარი ერეკლემ სრულიად საქართველოს ტრადიციულ გაერთიანებაზე გასაჭირის ჟამს. დაავიწყდა დასაწყისი — იბერიელთა 10 თვისებიდან გონი და ვერ აღასრულა დასასრული მე—9, 10 თვისება უფლისა — ძლიერება, მეფობა. და საბოლოოდ, როგორც ისრაელში, დაიკარგა ტახტი.

### ქართველთა სულიერება, გენეტიკა ხუთი დედიდანაა, ამიტომაც დაუმარცხებელია

მაგრამ ჩვენ შემოგვრჩა გენი — გენეტიკური კოდი იაფეტის. ენა სულის სიწმინდის, ქართველობის შეურყვნელი კონსტიტუცია. იგია პირველადი, შემდეგ მამული, სარწმუნოება, თქვა ილიამ, რადგან სიტყვებშია ათივე სიტყვაც — იბერთა ცხოვრების წესის აღდგენაც, ერთობა, ეროვნება და შეერთდა მის ირგვლივ ერი. იგი იქცა უგვირგვინო მეფედ საქართველოსი. აი, რა ძალა აქვს ენას. ენაში ხომ ბიბლიის მცნებებია ჩადებული. ებრაელებმა ტერიტორიაც დაკარგეს, მაგრამ რაკიღა ჰქონდათ ბიბლია ეროვნება—რჯული შეინარჩუნეს. ჩვენ ენა ჩვენი ერის — რჯულის სულიერი კონსტიტუცია არ უნდა დავკარგოთ.

ენამ ათქმევინა ილიას მეორე და მესამე პოსტულატიც, რაც მამულის, სარწმუნოების სიმტკიცეს განაპირობებდა. „ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეყუდნოდესო" და აღდგეს მიწათსარგებლობის ქართული წესი „სათემო, სასოფლო საკუთრების უპირატესობით". ელოდა ამას ქართველი ერი, და ამიტომაც იქცა ილია უგვირგვინო მეფედ.

და მოიგონა ბოროტებამ პოლიტიკური პარტიები, „დაპირისპირება" და არა ერთობა, „ეროვნება". აი, მისი იდეა, საფუძველი.

მაგრამ ხალხს ერთობა სურს გენეტიკურად. იგი სხვა სიტყვებთან ერთად საამოა. ამიტომაც ლოზუნგებად მიითვისეს ქართული ცხოვრების წესის დამახასიათებელი სიტყვები სხვადასხვა პარტიებმა: სოციალური გარანტიები — სოციალისტებმა, დემოკრატია — დემოკრატებმა, კუთხეებად დაყოფა — ფედერალებმა და ა.შ. უმატებდნენ მიტაცებულ ლოზუნგებს ეროვნულს ან ქრისტიანულს ან ორივეს ერთად. ყველა პარტიის სახელი ამ ორიდან იწყება, კოსმოპოლიტურს კი აყითარებდნენ. დაიწყო დაპირისპირება: ჩემი ჯობსო, უფრო ეროვნულიაო. ამ დაპირისპირებაში ულმერთო მეცნიერ ინტელექტუალთა ურთიერთ რეკლამა მიდიოდა და თითქოს ილიაზე არა ნაკლები მამულიშვილები იყვნენ.

იქმნებოდა ახალ—ახალი კერპები, რომელთა ფარული ერთობა დაპირისპირების გაღვივებაში იყო გამოსახული. ისინი შინაგანად ერთმანეთის უჭერდნენ მხარს. ასეა, ბოროტებს ერთმანეთთან შეკვრა შეუძლიათ, ილია კი მარტო აღმოჩნდა. მისი სულიერი მრწამსი ვარგის კაცთა — თავადაზნაურთა ინსტიტუტი და მეთაური მათი მეფე აღარ არსებობდა. მას ერთს ათასების წინააღმდეგ თავად უხდებოდა თავის დაცვა. ისინი კი ერთმანეთს შეფარულად

აქებდნენ, რომ როგორმე ილიას დონემდე ასულიყვნენ ხალხის თვალში. ბოლოს იარაღით განგმირეს ერის უპირველესი მამულიშვილი.

და მაინც ქართულ სულს, მნეობას ვერაფერი მოუხერხეს. იფიქრა ბოროტებამ – რა საშინელებაა, როცა ენაა წინამძღოლი, მაშინ სარწმუნოება უფრო მყარია, შეუვალია, ისინი ერთმანეთს ამშვენებენ, ერთი სხეულია, ორი დედაა, ხოლო მამული მესამე. არის კიდევ ქართველი ქალი და ზეციური დედა, უმთავრესი ჩვენი სულის სიწმინდისა. მასთან, თინათინთან სულიერი შეუღლებისკენ მიილტვის ქართველი ერი, როგორმე უნდათ გადაგვახვევინონ ამ ღმერთისკენ მიმავალი გზიდან. ამისათვის წინა სამ დედას უნდა მოგვაცილონ. ესეც არ გამოუვათ, თუ ქართველი ქალი, დედა არ მოგვაცილეს.

აი, რა სიწმინდის ჯაჭვით და სიყვარულით შეკრა ღმერთმა იბერთა მოდგმა.

ისრაელში ამ ერთობის დარღვევა ადმინისტრაციულ–ტერიტორიული მოწყობის იბერთა წესის დაშლით დაიწყო, იგივე გაიმეორა ბოროტებამ საქართველოში: როგორც კი საქართველო რუსეთს შეუერთდა, მოშალეს იბერიული ცხოვრების წესი, შეიქმნა რაიონები მათი ნება–სურვილით. მაგრამ ქართველს სულიერება ისევ მაღალი ჰქონდა, რადგან ენა ვერ გამოაცალეს, იგი სარწმუნოებასთან ერთად აღუღაბებდა ჩვენ მნეობას, ყოფას, ანუ გა–ყოფის ტრადიციებს, სიყვარულს, სათემო – სასოფლო საკუთრების ინსტიტუტებს. ქართული სულის სიკეთისადმი ლტოლვას ვერ მოერია ბოროტება. სოფელი, თემი. ქალაქი, მაინც ხალხის მიერ იმართებოდა. ამ ენით ახალგაზრდობა მაინც მრდილად, მნეობით, სარწმუნოებით იზრდებოდა: თუმცა გაუსაძლისი შიმშილით მოინდომეს საუკუნის დასაწყისში ჩვენი მნეობის დაცემა. კოლონიური სტატუსი და კაპიტალისტური წყობა მძიმე არტახებს უჭერდა ქართველს. მაგრამ ქართულ სულს ვერაფერი მოუხერხეს და ამ მნეობის გამო იცავდა ქართველთ უფალი. ღვთისმშობლის მადლით სიუხვე არ აკლდა ქართულ მიწას. იყო რწმენა უფლისა, იბერიული რწმენა, განათლება ძლევდა მათ სულში.

## ვერც უღმერთო საზოგადოებამ დაამარცხა იბერიული სულიერება

ყველამ გაიგოს! უნდა იცოდეს! მხოლოდ იმიტომ, რომ მტრებს სურდათ (ახლაც სურთ!) გაეხლიჩათ ენის და სარწმუნოების ერთობა. ქართველი მოსცილდებოდა მამულს და ღმერთს, და გენეტიკა გადაეგვარებინათ, შექმნეს უღმერთო კომუნისტური საზოგადოება მთელს კაეშირში.

ოთხი ათასი წლის მანძილზე ძლივს შემოაღწია ბოროტებამ, მოტყუებით დაეკარგეთ დამოუკიდებლობა და მაინც არაფერი გამოუვიდათ. საქართველო ისევ იყო სიკეთის ციტადელი, რადგან სადაც ქართველია იქ ღმერთისათვის თავდადებაა. უნდოდათ გაყოფის წესი ღმერთის მცნებების გარეშე საკუთარი გამეცნიერებით შეექმნათ – სულიერი ჭურჭელი გაეღარიბებინათ, ანუ რწმენა დაევიწყებინათ ქართველებისათვის. მაგრამ ულმერთოდ ეგოიზმი უფრო მოემატათ, მთელი საბჭოთა მოსახლეობა მიმტაცებლად იქცა. ვერც ამან გადააგვარა ქართული სული. იმპერიის ლოზუნგმა – ქართველი სულიერად რუსად უნდა გარდაიქმნასო, კრახი განიცადა. აი, რა მაგიური ძალა აქვს ენას, სიტყვას, რომელიც პირველადია.

თითქოს ყველაფერი ისე გააკეთა სტალინმა, როგორც გეოპოლიტიკის მესვეურთ უნდოდათ. მაგრამ ყველგან მნეობრივი ოჯახების მცნებებს ნერგავდა ბიბლიიდან, ენიდან გადმოსულს. ყოველგვარი სექსუალური აღვირახსნილობა, უმნეო ჯაზური სიმღერები, უმნეო ჩაცმა, დაპირისპირება – ანუ პოლიტიკური პარტიები აკრძალული იქნა. დაიხურა ფარდა. მოწყდა ბოროტ სამყაროს, განვითარდა ეროვნული ფოლკლორი, ითარგმნებოდა სხვა ენებზე „ვეფხისტყაოსანი“ და ისევ გაგვქონდა განათლება, მნეობა. გოგონები ცალკე, ბიჭები ცალკე სწავლობდნენ. ამოიწია ქართული ეროვნული ეკონომიკაც, ფოლკლორი. ქართველებს ჩვენი პური გვყოფნიდა, სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიც იყო ხვავი და ბარაქა, აღდგა ტრადიციული ვენოფონდი.

კომუნისტების პერიოდში სტალინმა ლენინის მიერ დაკანონებულ მღვდელმთავრების დევნა ნელ–ნელა შეარბილა და ბოლოს აკრძალა. რუსი ჯარისკაცი კი არ ყვიროდა კომუნიზმისათვის, არამედ სამშობლოსათვის, სტალინისათვის. მან ნელ–ნელა მოიცილა ლენინის მიერ შექმნილი კერპები. ცხადია, კომუნისტთა იდეოლოგიამ თავისი გაჭრა და ხალხმა თავისი კერპი შექმნა. თუმცა არის ფაქტები, რომ სტალინი ამ იდეოლოგიას ნელ–ნელა უთხრიდა

საფუძველს. მან ნებაც კი დართო ელესიის მსახურს პარაკლისი აეგოთ მისთვის სიკვდილის შემდეგ.

ამის გარდა, როცა სტალინს შესთავაზეს დიდების ორდენზე გამოესახოთ ჯერ ხუთქიმიანი ვარსკვლავი, შემდეგ მისი პორტრეტი, მან მიუთითა, სხვა ფანტაზია არა გაქვთ? ხომ გვაქვს მაცხოვრის კოშკი, მოსკოვის და მთელი ქვეყნის სიმბოლო, სწორედ იგი მოათავსეთ ორდენზე.

ასე ნელ–ნელა, ფრთხილად ამსხვრევდა იგი კერპთაყვანისმცემელთა, კომუნისტთა მარქსის–ლენინიზმის იდეოლოგიას. ფრთხილობდა, რადგან ბოროტი დევნიდა ყველგან სიკეთეს. ეს იცოდა მან. 52 წელს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა პრიორიტეტიც აღიარა. იმავე წელს მსოფლიოს საამკარაოდ გამოაცხადა მსოფლიო იმპერიალიზმის აღმოფხვრის მიმართულება. აშკარად წავიდა კერპთაყვანისმცემელთა წინააღმდეგ. სარწმუნოებაც ნელ–ნელა ღდგებოდა, ამ განზომილებებს ლენინის დროს ბრძოლა გამოუცხადეს, და მიხვდა ბოროტება, როგორ მოტყუვდა, ამიტომაც მოწამლეს იგი. 30 წელიწადში ისეე მონოკულტურები დანერგეს, ქართული ხორბალი, უნიკალური ყურძნის ხუთასამდე ჯიში და სხვა გენოფონდი თითქმის სრულიად გადაგვიგვარეს. ასე იქცეოდნენ თემურ ლენგი, ჯალალედინი და სხვები.

ტრადიციულად, როცა მტერი იბერთა 12 კუთხიდან რომელიმეს მიადგებოდა, ის კუთხე, ის ხალხი იქცეოდა გმირად. გავიხსენოთ როგორ მოინდომა შაჰ აბასმა ეროვნული გენოფონდის გადაგვარება, კახელთა გადასახლება, და მთელი კახეთი იქცა გმირად. დაიწყო მეფის რუსეთმაც განაპირა კუთხეების მითვისება. დაიწყო აფხაზეთით და იქცა ეს ქართველთა ეთნოსი გმირად, აკი არ აპატიეს – დამსჯელი რაზმებით აფხაზთა ნახევარი სხვა ქვეყნებში გაასახლეს. რუსული განათლების შეტანაც ამით დაიწყეს მორჩილ ე.წ. „სწაველულ აფხაზთა", ანუ ქაჯთა მოგვთა მეშვეობით.

შემდეგ მოადგნენ სამეგრელოს: „თქვენ აფხაზებივით სხვა ერი ხართო" და იქცა ყოველი მეგრელი ყველაზე დიდ ქართველად. ახდა ილიას ისტორიული ფრაზა: „საქართველო აქა ენახეო", თითოეულ ამ კუთხის ადამიანში მან თავისი ქართული სული დაინახა. ართმევდნენ ეროვნებას, და უფრო მტკიცდებოდა მათ სულში სათაყვანებელი ეროვნულობა (ნაციონალიზმი), ქართველობა. ამ კუთხიდან იშენენ გმირები, რომელთაც სრულიად საქართველო გმირად აქციეს, ამიტომაც მოუწყეს იარაღით მოსულებმა ხუთჯერადი ეგზეკუცია, უნდათ აჰყარონ სამკვიდროდან, ისევე როგორც აფხაზები, დაამშიონ, მაგრამ არაფერი გამოსდით, მეგრელები სულიერად არ ტყდებიან.

## ორმა ძმამ შეგირდებმა კონსტანტინესი უფლისკენ შემოატრიალეს სამყაროს ქვეყნები

დიახ, ქართულ ენერგიას უნდა დაენგრია უღმერთოთა საზოგადოება, რომელიც იბერიული მოდგმის კავკასიისა, ანუ ღმერთის, მოყვასის, სამშობლოს სიყვარულის, ხალხისათვის იბერიული სულის გადასაგვარებლად იყო შექმნილი. რათა ამოეძირკვათ სიკეთე მათ სულებში, რომ ღმერთი არ ყვარებოდათ. არ ურიგდებოდა – ეწირებოდა უამრავი მამულიშვილი ამ რეჟიმს.

დიდოსტატურად წარმართა ეს ბრძოლა უღმერთოთა წინააღმდეგ დიდმა კონსტანტინემ. ადამიანის დიდოსტატობა შეგირდობით არისო, თქვა მან. გაუძლო კომუნისტთა ზეწოლას და აღზარდა ის შეგირდები, გმირები, ორი ძმა, ხორცი ხორცთაგანი და სული სულთაგანი, ვითარცა მოსე და აჰარონი. როგორც მათ ისრაელი ერი ისრაელობისაკენ მოატრიალეს, გადაარჩინეს გენეტიკურ გადაგვარებას, იმპერიულ მონობას, უფლის შეწევით ასევე ამათ გაწყვიტეს უღმერთოთა მონობის ჯაჭვი.

ეს ორივე ძმა, ვითარცა შემი და იაფეტი, ავთანდილი და შერმადინი, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ სამყაროს ბედნიერებისათვის. მათ სულში ნახა ხალხმა მხსნელი. გავიხსენოთ: იყო უღმერთობა და „პერესტროიკით" შიმშილით, ორივე უბედურება ერთად ახლოვდებოდა – იბერიული გენის საბოლოო გადაშენებისათვის. და ამ ორმა ძმამ, ორმა ტიტანმა გაუძლო „კონცლაგერების"დევნას. ქართული სულის ყვავილი, გენეტიკა იყო ღმერთისათვის, მისი მცნებებისათვის თავდადება, სიყვარული. და შეერთდა ერი ზ. გამსახურდიას, მ. კოსტავას ირგვლივ. ყველა მამულიშვილი გმირად იქცა და მათი წინამძღოლობით დაანგრია იმპერია ქართველმა, იბერიელმა ხალხმა. აჰყვა ბალტიისპირეთი, უკრაინა, ჩეჩნეთი, ინგუშეთი, კავკასიის

და იმჟამინდელი საბჭოთა რესპუბლიკების სხვა ხალხები და გუგუნებდნენ ქრისტიანული, მუსულმანური, იუდეური სალოცავები.

იბერებმა შესთხოვეს ღმერთს საქართველოს, სრულიად იბერიის თავისუფლება და გაისმინა უფალმა. გაისმინა, და მხოლოდ ამ გმირებმა შემოატრიალეს სამი საუკუნის შემდეგ იბერიული მოდგმა — საქართველო ღმერთისკენ, ტრადიციისკენ, რუსთაველის მიერ აღწერილ საქართველოსკენ. დაანგრიეს ულმერთოთა იმპერია, მოაცილეს საქართველოს, მთელ სამყაროს არნახული ჭირი, სახადი. შემოატრიალეს საქართველო ქართული ცნობიერებისაკენ.

და იდგა 9 აპრილს რუსთაველის პროსპექტზე მოთას და სხვა წინაპართა სულით გაძლიერებული, ერთ მუშტად, სიყვარულით შეკრული, მომაღლებული ღვთიური ძალით ერი, ვით ისრაელი სინას მთაზე. ამიტომაც შემოესივნენ ბოროტების იმპერიები, „ტანკებიანი" რუსეთი.

ზემოთ აღვნიშნეთ, ყველა იმპერიას ქართველ ქალთა, დედათა სიკვდილი სურდა. პირიქით კი ხდებოდა, ქეთევან წამებული, ხერხეულიძეთა და სხვათა დედანი ამარცხებდნენ მათ.

„დედა" ეს სიტყვა ისეთი ანთებული, ჩაუცხრომელი სიყვარულის მუხტის მატარებელია, რის ძალითაც ღმერთს, ენას, მამულს ვერ დაივიწყებს ქართველი. მაშინ იწყება შეულავებელი ცხოვრების წესის დამკვიდრება, მაგრამ ქართველ ქალს, მის პატიოსნებას, პატრიოტიზმს დედურ სიყვარულს ვერავერი მოუხერხეს. ქართველი ქალები წინა რიგებში იდგნენ, გულს გვიმაგრებდნენ, გვახსენებდნენ გმირულ წარსულს. ეს ისინი მღეროდნენ „დაიკარით რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს", ამხნევებდნენ წრფელ გულებს. ზურგი არ აჩვენეს პირისისხლიანებს. ისინიც ლაჩრულად, ვაჟკაცებს ვერას აკლებდნენ, ქალებს უსწორდნებოდნენ.

თუ მამაკაცებმა გაუძლეს დარტყმებს, 18 ქალი უსულოდ დაეცა საქართველოსათვის, შვილებისათვის: 18 გმირი ქალის, ქართველი დედების სიკვდილით დამარცხდნენ ისინი და მოვიღეთ ნანატრი დამოუკიდებლობა; ქართულმა მეხსიერებამ კი აღიდგინა თავისი ისტორიული მისია, თავისი ცხოვრების წესი, გარანტი პარმონიული თანაარსებობისა.

ამან ძლიერ ჩააფიქრა იმპერიის მესვეურნი, გამოუცხადეს ბრძოლა ქართველ ერს და ქართველ დედებს. ეს დედები მამულს, მიწას მოწყვიტეს, რათა იმათხოვრონ შვილებისათვის. და მრავალი ათასი ქალი დღეს გაუსაძლისად შრომობს, რათა არც მათ, არც შვილებმა იმათხოვრონ.

ამიტომაც გაშმაგებით ეკვეთნენ ბოროტების მსახურნი სიკეთის ციტადელს. სწავლულმა, კომუნისტურმა ინტელიგენციამ მოიგონა ლოზუნგი „ჯერ დემოკრატია და შემდეგ დამოუკიდებლობაო" ეს უცოდინრები, უვიცები! განა შეიძლება დემოკრატია რუსული ან ამერიკული იმპერიული ცხოვრების წესში? ჯერ ერთი, — ის ხომ დამოუკიდებელი იბერიელის სულშია! ცრუდემოკრატია მოთხოვნა იგივე იყო, მოსეს რომ მონობაში მიეღო ბიბლია.

მეორე, — სად, როდის, რომელ ქვეყანას განუხორციელებია დემოკრატიული რეფორმები დამოუკიდებლობის გარეშე?!

## ზვიადი იბერიელთა გამაერთიანებელი სარწმუნოების მიუხედავად.

და, მაშინ პირველად, მედგრად და ამაყად რუსთაველის გზაზე მაღალმა გმირმა უარყო ლეშების — დინებისკენ მავალ „სწავლულთა" გზა, ეს გზა დაარქვა მან დასავლურ — ამერიკულ დემოკრატიას, ხოლო მეცნიერებს, ინტელიგენციას — „კრიმინალური ინტელიგენცია". არ მიენდო გულით მათ, რადგან უღალატეს, დღენიადაგ გვღალატობენ. ამიტომ განუგმირეს უერთგულესი ძმა, რათა მარტო დარჩენილიყო ზვიადი. ისიც მარტო შეებრძოლა იმპერიას.

უნდა აღმდგარიყო ერთიანი იბერიული მოდგმის სიკეთის ციტადელი. გაიხსენოთ, როგორ ჩადის აეთანდილი — ზვიადი ჩეჩნეთში და არა მარტო ჩეჩნები, მთელი იბერიული მოდგმის თავკაცები ჩადიან იქ მასთან. უსმენდნენ და იზიარებდნენ იბერთა დამოუკიდებლობას კავკასიელთა ერთობისა და, რაც მთავარია, ერთი ღმერთის მსახურების პრინციპს. მთელი კავკასია მისი იდეოლოგიისკენ შემოტრიალდა. აქ მეორე იბერიელი ფრიდონი — მუსულმანი ჯოხარი უდგება მას მხარში.

შეასრულა ზვიადმა რუსთაველის წინასწარმეტყველება, მასზე დაკისრებული მისია. ჩავიდა ჩეჩნეთში და თან ჩაიტანა სული რუსთაველისა. გამაერთიანებელისა, „იბერიელთა" სარწმუნოებათა განსხვავების მიუხედავად.

კავკასიის იბერთა რამდენიმე ათეული მოდგმა ისევ გულით მიუბრუნდა სარწმუნოებას. ავად. ი. დავიდი, რომელიც იყო ისრაელის ოთხი მეთაურის მრჩეველი ერთენებათა საკითხებ-

ში, იქ გროზნოში ჩავიდა ვითარცა მოწაფე მასწავლებელთან. და ისხდნენ ერთად, ერთი სიყვარულით შეკრულნი, ზვიადის სულით ანთებულნი იბერიელნი მუსულმანი, იუდეველი და ქრისტიანი, რათა გადაერჩინათ სიკეთის ციტადელი, იბერთა მოდგმა.

იგი იყო ის ერთადერთი გმირი, რომელმაც გაუქარწყლა ბოროტებას ნაღვაწი და დაიწყო ავთანდილივით იბერიელთა შეერთება. გავიხსენოთ, პირველი, რაც რუსეთმა განიზრახა და ასრულებდა იბერიელთ, შორის, დაპირისპირება იყო, რათა ცალ–ცალკე დაენგრიათ სიკეთე. გავიხსენოთ ცხრა შარის საქმე – ქართველთა და ქართველ ებრაელთა დასაპირისპირებლად, გამსახურდია კი ამზადებდა კანონს ორმაგი მოქალაქეობის მხოლოდ ქართველთა და ქართველ ებრაელთათვის. ყველგან უნდა მიჩნეულიყვნენ ისინი როგორც ქართველნი ერთი დედის საქართველოს შვილნი. ასევე ილტვოდა ის მთელი კავკასიის იბერიული მოდგმის გასაერთიანებლად, რაც გააკეთეს რუსთაველის გმირებმა. ეს არის ბოროტების დამარცხების გზა.

მაგრამ სამყაროს გარემოცვა არ იყო მზად რომ ყველა რელიგიას ეხელმძღვანელა იმ ერთადერთი წიგნთა–წიგნით, რაც უფალმა შექმნა. რათა აღმოიფხვრას დაპირისპირება. ამას გააკეთებს ტარიელი დავითის შთამომავალი, ხოლო ავთანდილი – საქართველო ნიადაგს ამზადებს ამისათვის. თუმცა ეწირება იმ საქმეს, რაც ადრე განჭვრიტა რუსთაველმა. (გავიხსენოთ თუნდაც როსტევანის პროტესტი.) აკი დატოვა კიდეც ი. დავიდმა პროტესტის ნიშნად ისრაელში მაღალი პოსტი. ინტელექტუალებმა კი საქართველოში კერპი შექმნეს, და მიდიან ამ კერპთან. ამ კერპის წინააღმდეგ გამოდის ი. დავიდი ამერიკის ხმით, როცა საქართველოს ე.წ. მეთაურებმა, – კრიმინალების მხარდაჭერით მოსულმა, საკუთარ მოდგმას, ქართველებს პროვინციული ფაშიზმი დაგვწამა. მაშინ ი. დავიდმა ამცნო მსოფლიოს, შეახსენა მათ, რომ სწორედ ზ. გამსახურდიასთან ერთად გმირმა ქართველმა ხალხმა არა მარტო დაანგრია წითელი იმპერია, არამედ ამ იმპერიის ქვეყნები, თითქმის მთელი ევროპა ღმერთისკენ შემოატრიალა. ამიტომაც არ აპატიეს. განგმირეს ზვიადიც და ჯოჰარიც.

განგმირეს, მაგრამ ისინი იცხოვრებენ ხალხის გულებში. მათ ხომ შეგვახსენეს ჩვენი გმირული წარსული თუ ვინ ვართ. ჩვენ დაგვაბრუნეს ჩვენ სალოცავებში, წინაპრების წიაღში, ქართულ–იბერიულ ცხოვრების წესში. ჩვენ, იბერიელები კავკასიაში, ისრაელში, ბრიტანეთში, ესპანეთში, საფრანგეთში სიყვარულით მივილტვით ურთიერთისკენ, რათა ეს სიყვარული ჩავნერგოთ მთელ სამყაროში. გადარჩნენ ჩვენი ძმანი საშინელ სასჯელს. ისევ გაავლვივეს ჩაუქრობი ნაკვერცხალი ჩვენ სულებში. ჩვენი სული აღარაა უღმერთოთა ტყვეობაში. იგი დაუბრუნდა ღმერთს და ილტვის დაამკვიდროს ათი თვისება, იბერიელთა 10 მცნება, ენა, მამული, სარწმუნოება. შემუშავებულია სათანადო კონცეფციები, წეს–კანონებიც.

ჩვენ ვიცით, ყველაზე სასტიკი მეათე, სულიერი შიმშილი დამთავრდება ბოროტების საბოლოო განადგურებით. ერის სულიერმა შვილმა ევრაზიის ქვეყნები ბიბლიისკენ, სარწმუნოებისაკენ მოატრიალა და ამიტომაც ეს დასჯა, ეს შიმშილიც ბევრ მათგანს ააცილა (განა ეს არ გააკეთა, ავთანდილმა ზღვათა მეფის ქვეყანაში). მანვე საქართველოშიც 99% მამულიშვილი ღვთისკენ შემოატრიალა. სულ 1% ინტელიგენტი ემსახურება ბოროტებას და, დროა, ისინიც მოვიდნენ გონს. მათ შევახსენებთ, რომ არსებობს ორი სამყარო. ეს სამყარო სამზადისია მეორე, ან სულიერ ნეტარ სამყაროში დამკვიდრებისა, ან გადაშენებისა.

## და მაინც ვინ იყო ზვიადი?

საოცარია, ამდენი წელი გავიდა, ხალხს კი ისევ ცოცხალი ჰგონია ზვიადი. ასევე ამბობენ ჯოჰარ დუდაევზეც.

და მაინც ვინ იყო ზვიადი? მან იცოდა თავისი გარდაუვალი სიკვდილი და მისიაც. სიკვდილ–სიცოცხლის ზღვარზე დადიოდა და როცა აღასრულა თავისი დანიშნულება უფლის, ერისა და კაცობრიობის წინაშე, პირნათელი შეხვდა მუხანათურ სიკვდილს. სიკვდილს, რომლითაც უფრო გაიმარჯვა ბოროტებაზე, ვიდრე სიცოცხლეში. მისი მკვლელები მას ნატრობენ, განდევნეს ბოროტი სხეულიდან და სულიერად იწმინდებიან. მასაც ეს უნდოდა, იქმნება წინა პირობა. ქართული ფენომენი ასრულებს ავთანდილის მისიას. მოველინოს მესია სამყაროს. ჩვენ შევეცდებით დავასაბუთოთ, რომ ზვიადმა შეასრულა ეს მისია. არავინ არ იცის უფლის გზები. ახლა გადავხედოდ, რა არის წინაპირობა მესიის გამოვლინებისათვის.

წინაპირობაა: 1. ყველა ხალხი თავისუფალი, დამოუკიდებელი გახდეს.

2. ყველამ დაიწყოს ბიბლიის, 613 მცნების შესწავლა, დაცვა და ეს კანონი გახდეს სამყაროს მარადიული კონსტიტუცია.

3. ამ კონსტიტუციის საფუძველზე აღადგინონ იბერიული ცხოვრების წესი – მიწათმოქმედება, დაფუძნებული ბიბლიაზე.

ახლა ზ. გამსახურდიას ნამოღვაწარიც აღვნიშნოთ: მისი მეთაურობით დანგრეულ კომუნისტურ იმპერიაში ათეულობით სახელმწიფო გახდა დამოუკიდებელი. მართალია ბოროტება ცდილობს იბატონოს ამ სახელმწიფოზე, თითქოს „ზე" სახელმწიფოების მეშვეობით, მაგრამ ეს დრობითი მოვლენაა.

სრულდება მეორე წინაპირობაც: ყველა ნელ–ნელა ბრუნდება ღმერთისაკენ და სწავლობენ ბიბლიას. მთელი კავკასიის ხალხები შემობრუნდნენ ბიბლიისკენ და დაიწყეს მისი სწავლა და ეს რომ სხვა ქვეყნებმაც დაიწყეს, ესეც ხომ საყოველთაო ფაქტია.

და მესამე: საქართველოში ყველა პირობას ჩაეყარა საფუძველი, რომ უნაკლოდ აღდგეს ტრადიციული მიწათმოქმედება ბიბლიის, ენის, რუსთაველის "ვეფხისტყაოსნის" საფუძველზე. მის ძალისხმევაზე სამი რელიგიის წარმომადგენელთა სიყვარულით გაერთიანებაზე უკვე აღვნიშნეთ. ამგვარად, წინაპირობა შექმნილია. ბიბლია რომ გახდეს ქვეყნების, მთელი სამყაროს მარადიული კონსტიტუცია, ეს ჩვენზეა, თითოეულ ადამიანზეა დამოკიდებული. რაც უფრო მალე ვისწავლით ბიბლიას და დავიცავთ მას, დავიწყებთ სიკეთით ცხოვრებას, მით მალე მოვევლინება სამყაროს მესია – ბიბლიური დავითის შთამომავალი. ამას კი დრო უნდა. ზვიადმა აღასრულა თავისი უდიდესი მისია: შეგვიქმნა წინაპირობა, რომ სწორად ვიაროთ და ქედმოხრილი წავიდა.

ტერმინი — „ზვიადისტი" თუ „ზვიადიზმი" — ჩვენი სამშობლოს – მსოფლიოს ხალხთა დამოუკიდებლობაა, ბიბლიით ცხოვრებაა, სწავლაა მისი. მოყვასზე, საკუთარ ხალხზე ზრუნვაა. შეკავშირებაა საქართველოსი სრულიად კავკასიისა ჯერ იბერიული მოდგმის, შემდეგ მთელი მსოფლიოსი ჩვენი გენეტიკური ათი თვისების საფუძველზე. და, ბოლოს, დაუღალავი შრომაა ბიბლიის სიბრძნის შესასწავლად, ქართული ცხოვრების წესისა და მიწათმოქმედების აღსადგენად. რაც მთავარია, ამ სულისკვეთებით მომავალი თაობის აღზრდაა. საქართველოს ბიბლიის, რუსთაველის იდეოლოგიაში დაბრუნებაა.

## მოყვარე მტრები

აი, რა საამაყო სიტყვაა ის და როგორ იბილწება პოლიტიკოსთა მიერ, რომელნიც ერში ამ ტერმინის საპირისპირო მნიშვნელობას, დაპირისპირებას ნერგავენ, ამით ცდილობენ პოპულარობა მოიხვეჭონ. საქმემან უნდა გამოგაჩინოს. პოლიტიკური პარტიისა და პოლიტიკოსის საქმენი საქართველოს დანგრევაა. ნუ დავაბრალებთ ერთ კაცს ყველაფერს. ჩვენ რომ ბიბლიით ვიცხოვროთ, არ აღურიოთ ენები, ის ვერაფერს გახდება. საბედნიეროდ, პროცესი დაწყებულია: ახალგაზრდობა ღმერთს უბრუნდება, ქართულ სულს ვერ მოდრეკენ. მაშინ ისმის კითხვა: რატომ მივდივართ უზნეოთა გზით, რა ბაცილა, პარაზიტი – სინდრომი მუშაობს ასეთი და რატომ აშავებენ პოლიტიკოსები? და მაინც რა დაამავეს პოლიტიკოსებმა?

სამჯერ დავაპირეთ ქართული ცხოვრების წესის აღდგენა ეროვნული ყრილობის მოწვევით და სამჯერვე უშედეგოდ. ჩვენი ერთ–ერთი მიზანია ზ. გამსახურდიას მემკვიდრეობის, ანუ ერთიანი ეკონომიკური პროგრამის ირგვლივ მომხდარიყო მთელი ეროვნული ენერგიის საზოგადოებრივ–პოლიტიკური სპექტრის გაერთიანება. ეს კი დაპირისპირებას აღკვეთდა. რადგან შეიქმნებოდა მხოლოდ ერთი, სიკეთის პარტია. ტრადიციულ ადმინისტრაციული მოწყობის აღდგენა წარმოაჩენდა ხალხის რჩეულთ – ზნეობრივებს. ესენი კი ბოროტების მსახურნი დაკარგავენ იმ პრესტიჟული განდიდების წყაროს, რასაც დაპირისპირების ინსცენირების გენიოსები – პოლიტიკური პარტიების მეთაურნი ჰქვია. ხალხის რჩეულნი, ზნეობით გამორჩეულნი, საკრებულოები კი ამხელდნენ ბოროტს, დღევანდელი პოლიტიკური პარტიებით მართვად საკრებულოებს, პარლამენტს, პრეზიდენტის მიერ მართვად მთავრობას.

ასეა, ძალიან ძნელია ხსნა, როცა ამდენი ხანი ტყვეობაში ხარ და კიდევ მუშაობენ ძველი მანქანები, ქაჯები. როცა წითელი გერმანია დაინგრა, აღმოჩნდა, რომ თითქმის ყოველი მეოთხე სუკში მომუშავე იყო. ჩვენშიც არიან მათი მსგავსები. შემორჩა ჭუჭყი – სულ მცირე 1–2 პროცენტი ინტელექტუალთა გაერთიანება პარტიებში, პარლამენტებში, მთავრობაში და ებრძვის სიკეთეს, საკუთარ მოდგმას, საკუთარ სულსაც. შემდეგ უტიფრად აცხადებენ მასონების ბრალიაო

ეს. კი მაგრამ, ვინ ახორციელებს მათ იდეოლოგიას? დაპირისპირებას? ამიტომ მასონი თითოეულმა საკუთარ თავში მოიკითხოს. ჩვენც მაგას ვჩივით, რომ სხვისი ჭკუით ვემართავენ ამ ერთი კაცის ირგვლივ შემოკრებილნი. იყოს ის მასონი, ან მათი იდეოლოგია ვის რას დაუშლის, სხვა მისნაირი უტიფარი მატყუარა „მოყვარე მტრები“ ჩვენს სულში შემოპარული რომ არ გვყავდეს? დღეს არც ერთი პოლიტიკური პარტია სხვის მსახურობას არ დაიბრალებს. მაგრამ როცა დასჭირდება და რაც დასჭირდება უცხო ჭკუას, ყოველთვის იმას გააკეთებენ. ხომ იდგნენ ზვიადის გვერდზე, მაგრამ როცა მან სამშობლოს ქონება არ გაყიდა, ხალხისთვის იზრუნა, უცებ შეიკრნენ მასთან დასაპირისპირებლად. ამიტომაც ფინანსდებიან. საწევრო შემონატანებით 16 კაციანი პარტიების ოფისები არ შეინახება.

280 წელი გრძელდებოდა ეგვიპტის ტყვეობა და 40 წელი დასჭირდა ხალხის განწმენდას. დაახლოებით ამდენივე ხანი გავიდა, რაც რუსული ორიენტაციას დავადექით. საკვირველია, იერითულად გემატრიით რიცხვითი მნიშვნელობა 280 წელი იმდენივეა, რაც წითელი საბჭოთა კავშირი.

დღეს ისინი მძლავრობენ და ეს არის აპოგეა ბოროტებისა. საბოლოოდ ხომ უნდა გამოაშკარავდნენ ისინი ყველა ერთად, რომ გადაწყდეს, ვინ გამრავლდეს და ვინ არა.

გავიხსენოთ, იმ ათი შტოდან რომელნიც დამოუკიდებლად ცხოვრების და ქანაანზე შესვლის წინააღმდეგი იყო, არცერთი არ შევიდა კურთხეულ მიწაზე.

ერის გაერთიანების მესამე მცდელობა ახლახან იყო, გაცხადდა მიზნები და ამოცანები, შეიკრა ხალხი. გავიდა ორი თვე და მოვიდნენ ახალნი. მათ ცალკე თავიანთი ჯგუფი შეკრეს სულ მალე. დაუპირისპირდნენ ამ მიზნებს და ამოცანებს. მოგვიყვანეს ცნობილი პოლიტოლოგი, კაცი, რომელიც ზვიადს აქებს, მაგრამ მის საქმეებს აიგივებს დღევანდელობაში. ადრე ტელევიზიით განაცხადა: ზ. გამსახურდია და დღევანდელი ხელისუფლება კორუფციამ იმსხვერპლაო. ზვიადმა კი სინამდვილეში კორუფცია არ დაუშვა, ყველაფერი ხალხისთვის უნდოდა. ამიტომაც შეკრიბა ბოროტებამ მის წინააღმდეგ პარტიები და განდევნეს.

ასეთ ხალხს უწევს რეკლამას პრესა, ტელევიზია და იქცა ეს კაცი ეროვნული ძალების ე.წ. ზვიადისტების იდეოლოგად.

აუცილებლად ეს კაცი გვინდაო იდეოლოგად, იყო ახალი ჯგუფის მოთხოვნა. დიდი იმედი ჰქონდათ მისი მართლაც დიდი ნიჭის. მაგრამ სიმართლესთან ფერმკრთალია ყველა ნიჭიერი, გენიოსი. მან გადარჩენის გზად აზრთა დაპირისპირება აღიარა. ამ გზით უნდა ვიაროთო. მამული, ენა და სარწმუნოება ეს ძველია, თანამედროვეობა კი ეს არისო. გაეცა მას სათანადო პასუხი. მიხვდა რომ დამარცხდა, ვერც მისმა მეგობრებმა დაიცვეს იგი, მაგრამ მთავარი მოხდა. დარჩენილებმა ეს დამოძღვრილი დაპირისპირება გააგრძელეს. იძულებული შევიქენით გავცლოდით, რადგან ეს მათ წისქვილზე ასხამდა წყალს. და ეს ხალხი ამ საქმის მემკვიდრედაც მოგვევლინენ დღეს.

ასე იყო სხვა ვითომცდა ზვიადისტური მოძრაობები, შევლენ პარლამენტში და პოზიცია—ოპოზიციონერობის თამაშ—თამაშით, დაპირისპირებებით ანგრევენ სიკეთის ციტადელს. ყველაზე დიდი ცოდვა კი დაპირისპირება და ენების აღრევაა. იკითხავთ, მაშ სად არის ხსნა?

სად არის ხსნა?

ისრაელი ბროწეულივით მდიდარიაო, ნათქვამია ბიბლიაში. ეს სიმდიდრე მისი გენეტიკური კოდია. რაც არ უნდა ცუდი აკეთოს ამ ხალხმა, თუ ისინი ისრაელნი—იბერიელნი არიან, სიკეთეს, მადლს მაინც უფრო მეტს გააკეთებენ.

ბევრი გაუსაძლისი გაჭირვების გამო იძულებით მოქმედებს ასე. ავიწყდებათ ერი, სამშობლო და, რაც მთავარია, ღმერთი. კიდევ მუშაობს მათში განა ღმერთის და ერის მსახურება, არამედ კერპის და კერპთა და ასე „მონობაში გადიდკაცებულის“ სინდრომი, ბაცილა.

ერის პრობლემა არ აინტერესებს, საკუთარ განდიდებას, პატივმოყვარეობას, სიამაყეს ეძებენ და ჰპოვებენ მას დაპირისპირებაში. ამას წინათ კარგად თქვა მათზე ასლან აბაშიძემ: „თუ ღელვა არ არის სერფინგისტებს ზღვაში არაფერი ესაქმებათ. მათი საქმეც ქიშპი და მღელვარებაა“.

ჩვენ მაინც უნდა გვიყვარდეს ისინი. თუმცა ქამელეონივით იცვლებიან. ადრე რუსული, ახლა ამერიკულ—დასავლური ორიენტაციის ტყვეები და თაყვანისმცემლები არიან. იქნებ მოეგონ გონს. მაგრამ სანამ ეს უფროსი თაობის დიდი ნაწილი, რომლებმაც შეავსეს მთელი პოლიტიკური სპექტრი და ე.წ. „ეროვნული მოძრაობაც“, გონს თუ არ მოეგება, ჩვენ არ გვემ-

ველება. არ გვეშველება, რადგან ახალგაზრდობასაც ურყვნიან სულს. თბილისის უნივერსიტეტში 90 პროცენტი სტუდენტთა პოლიტიკურ პარტიებშია გაერთიანებული.

გავიხსენოთ, რატომ არ შევიდნენ პირველივე წელს ისრაელნი წმინდა მიწაზე. მაშინ მათ არ დაუჯერეს უფალს, მოსეს — მისი აზრის გამომხატველს, რომ ეს არის უმდიდრესი ქვეყანა და არ შევიდნენ ქანაანში. ჯერ მზვერავები გავგზავნოთო.*

ამიტომ, სანამ წინა თაობა, მონობაში გაზრდილი, არ გარდაიცვალა, მანამ არ ეღირსნენ ჭეშმარიტ თავისუფლებას. მაშინ უფალს ამის გამო ხმა არ ამოუღია. ერმა ვერ დაინახა უფლის ძალა და მისი სიტყვების სიმართლეში დარწმუნება მოინდომა. ახლაც ეს თაობა ვერ ხედავს უფლის სასწაულს.

იყო ზვიადი და იყო გზა ღმერთისკენ, ეროვნული ცნობიერებისკენ. ვერ დავდექით ერთად, ვერ გადავარჩინეთ სიკეთე, რადგან ერთი მუჭა ბოროტება დიდი ფულით, ბოროტი გეოპოლიტიკის მხარდაჭერით ერთად შეიკრა. მოიყვანეს მათ თავისი კერპი, რომელიც ყოველ წამს იტყუება, და მიდის ყოველი ჩვენგანის გამოცდა გაუძლებთ თუ არა შიმშილს? დაიმახინჯებთ სულს თუ არა უზნეობით და მივალთ კერპთან, რომელიც მატყუარებს იზიდავს? საერთოდ ყოველი ჭუჭყი, ქაფი ზევით იკრიფება, მოსწონთ ამ კერპივით მონობაში განდიდება. ამიტომაც ჰქონდა მას დიდი არჩევანი, ყოველი ტყუილის შემდეგ წირავს თავის თანამოძმეებს. ისინიც ქამელეონივით მის მოწინააღმდეგედ, მაგრამ იგივე მისივე საქმის მკეთებლად გარდაიქმნებიან, რათა მოჩვენებითი დაპირისპირება იყოს, მხოლოდ სიტყვით ლანძღონ იგი. ასეთ კაცს ნაკლებად დაუჯერებენ, თუ აჯობებს და ხალხს დააჯერებს, ახალი კანდიდატურა იქნება ბოროტთა იდეოლოგიებისა. დღეს ამ მატყუარებითაა გავსებული ყველა სფერო. სპორტიც კი. ფეხბურთს ხომ შეუძლია ერი შეკრას, გააერთიანოს, ამიტომ დასვეს ისეთი კაცი, რომელზეც გავლენა ექნებათ. ნახეს, რომ ძოძუაშვილს შეეძლო გაეყვანა გუნდი მსოფლიო ჩემპიონატზე და სრულიად მოაშორეს ნაკრების მწვრთნელობას.

ამ ხალხის უბედურება ჩვენი უბედურებაა, ჩვენი ტკივილია. ხალხო, მიაფურთხეთ ეშმაკს! გადადექით ყველა თანამდებობიდან, ნუ გადაიგვარებთ თქვენ სულს! ერთად მოითხოვეთ ამ კაცის წასვლა, რადგან ბოლო გამოცდაა თქვენი, საქართველოს მაინც არ გაწირავს უფალი! იარეთ არა ფლიდურად, არამედ ღმერთის გზით, რათა თქვენ შვილებს არ შერცხვეთ თქვენი! დაუჯერეთ უფალს! ნუ, ნუ უჯერებთ თქვენ კერპს!

პარლამენტარებო და მთავრობის წევრებო, პირველ რიგში თქვენ გეხებათ ეს.

## ხსნა მომავალ თაობაშია. მამების თაობა კი ხელის შემშლელია

დღეს სრულდება წინასწარმეტყველება, რომ მესიის პერიოდში შვილები მოაქცევენ მშობლებს ზნეობისკენ — ღმერთისკენ. ახალგაზრდობა, ახალი თაობა, რომელიც დღეს სალოცავს არ სცილდება, ჩაუყრის საფუძველს მესიის მობრძანებას საქართველოში. მოსეს დროსაც ხომ მეორე თაობა გახდა ღირსი ისრაელის წმინდა მიწაზე შესვლისა. მათთან ერთად შევიდა ასაკოვანთა ის ორი მტო, რომელმაც არ მოისურვა მზვერავების გაგზავნა. ამიტომ უნდა მოვეგოთ გონს, არ ჩავიდინოთ ცოდვები, რათა მოვესწროთ იმ ერას, რომელშიც ჩვენი შვილები სიყვარულით, ერთობით იქნებიან შეკრულნი, ისე როგორც ერთ დროს ჩვენი წინაპრები იყვნენ.

არ ვიცი, ეს მესამე მცდელობა ჩემ თანამოაზრეებთან ერთად ბოლო იყო თუ არა. კიდევ შევძლებთ თუ არა ჩვენ, უფროსმა თაობამ, გამოვისყიდოთ ჩვენი ცოდვა და პირნათელი ვიყოთ ჩვენი ერის, შვილების, და, პირველ რიგში, უფლის წინაშე. თუ ახალგაზრდობა თვითონ დაადგება მემკვიდრეობის იმ გზას, რაც ზვიადმა დაგვიტოვა? მაგრამ, ვიღაცამ ხომ უნდა დააყენოს ისინი ნავალ და უკვე გაკაფულ გზაზე. მას, დავითის შთამომავალს, ველით ყველა მორწმუნე. ის კი, რომ მოვიდეს, ღირსნი უნდა ვიყოთ. ამიტომაც ვიღვწით. ამიტომაც ამ თავს სათაურთან კითხვის ნიშანი აქვს დასმული. ბოლო თქმაა თუ არა მესამე მცდელობა ქართული ცხოვრების წესის აღდგენისა. იქნება ამ მესამე მცდელობაზე გაკეთდეს საქმე, რადგან დიდია ქართველი ერის ვაება. ქართული სული კი ვაჟკაცურად უძლებს ყველაფერს. იციან დადგება ნანატრი დღე.

---

*იყო თორმეტი მტო და ბელადები მათი, რომელნიც მონობაში ყოფნისას — განდიდნენ იმით, რომ უცხო ჭკუით მართავდნენ ხალხს. დამოუკიდებლად ყოფნისას — ღმერთის კანონებით მხოლოდ ცოდნით დიდდებიან და ის განდიდება აღარ ექნებოდათ.

ახალგაზრდობაში სულ მიკვირდა, რატომ მიანიჭა დიდმა კონსტანტინემ დიდ ილიას მოსეს მისია ერთი ფრაზის გამო. „ჩვენი თავი ჩვენ გვეყუდნოდესო", განა ასე ყველა ქართველი არ უნდა ფიქრობდეს? და როცა თავად აღმოვჩნდი ეროვნულ მოძრაობაში, მაშინ მივხვდი რა ძნელი ყოფილა იმპერიის დასაყრდენ „ნიჭიერ ინტელექტუალებთან" ერთად ქართული ცხოვრების წესის აღდგენისათვის ბრძოლა. სამინელებაა! მათი შენიღბული, მონური სული – მორჩილება. ან რუსული ან დასავლური ორიენტაციის. ამავე დროს, ამ ხალხს ნამუსის ნატამალი არ გააჩნიათ. ზოგიერთები ეროვნული – ზვიადისტი ვართ გაჰკივიან, სამშობლოს კი ჰყიდიან. ასე გვეცლებოდნენ ისინი, გვღალატობდნენ მაშინ, როცა გვეგონა მართლა ჩვენი თანამოძმენი იყვნენ. ეს ყოველთვის დიდი ტკივილი იყო. ეს დღესაც გრძელდება. ასე ატკინეს გული ამ „ნიჭიერებმა" მერაბს, ზვიადს, სრულიად საქართველოს. მოსემ 40 წელი მოანდომა ღმერთის მორწმუნე ერის შექმნას. ჩვენთან გენეტიკა ისეთია, რომ უკვე თითქმის ყველა სალოცავში დადის. სულის შემშლელი მამების თაობაა. ანუ დღევანდელი პოლიტიკოსები უნდა წავიდნენ პოლიტიკიდან. რადგან ისინი სატანას, კერპს, უცხო ჭკუას ემსახურებიან. დაიმახსოვროს ყველამ! უნდა დარჩნენ მხოლოდ ისინი ვისაც გულწრფელად უნდა ქართული ცხოვრების წესის, სულის აღდგენა!

ჩვენ, მთელ ერს, შეგვიძლია დავაჩქაროთ ეს ნანატრი დღე. სულ ერთი პროცენტი მართავს დემონივით ჩვენს სულებს. ჩვენ კი მონუსხულივით შევყურებთ მათ, ამ მონობაში განდიდებულთ. ისე დავცილდით უფალს – სწორ აზროვნებას, რომ არც იმის უნარი შეგვწევს დავინახოთ მისი სასწაულები, რაც ჩვენი გენეტიკის ხალხისთვის მეტად ადვილია. სანამდე უნდა ვიყოთ ასე მონურად და ვუყურებდეთ როგორ ყიდიან მიწებს — მამულს, ქარხნებს, მთლიან ეროვნულ შემოსავალს – ხალხის ფული როგორ ხმარდება ერთი მუჭა მაფიოზებს და უცხოელთა ჯიბეების გასქელებას. იქნება ეს შემოსავალი ჩვენი ენერგორესურსებით, ბუნებრივი წყლებით თუ სხვა საბადოებით მიღებული. გვამათხოვრებენ, გვართმევენ ყველაფერს იმიტომ, რომ არაფერი გვქონდეს გასაყოფი, არც გასაცემი – არც სიყვარულისთვის, არც ურთიერთთანადგომისათვის მოვიცალოთ. ლუკმა პურის საშოვნელად ქანცგამოცლილებს არაფრის თავი არ უნდა გვქონდეს.

ასეთი სცენარი ქართული ყოფის, რომელიც ბუნებაში არ არსებობდა, დიდი ხანია დაწერილია ჭაბუა ამირეჯიბის მიერ, სეთურის სოფლის სახით და მიდის ყველაფერი ამ გზით. შეიქმნა მმართველი ოჯახები — დამსახურება მათი უცხოელთა დაკვეთით ერის გამათხოვრებაა, რათა მთელი ეროვნული სიმდიდრე უცხოელებს და მათი ქვეყნების ეკონომიკას ამდიდრებდეს. ჩვენთან კი არც ბიუჯეტია და არც ხელფასები. ამ ოჯახების შემოსავალი კი უცხოური კრედიტებია და გაყიდული ეროვნული სიმდიდრე. წარმართავენ ჩვენ ოჯახებს ისე, როგორც სამოვარზე გამოსულ მშიერ ძაღლებს, ლუკმას რომ გადმოუგდებენ და მადლობა უნდა ეუთხრათ ნაგვის ყუთში რომ არ ეიქქებით. ან მონად უნდა იქცე, ან არადა თავმოყვარეთ თვითმკვლელობის, ბანდიტობის, ან საზღვარგარეთ გაქცევის ხვედრი აქვთ. არის კიდევ ერთი გზა – სამსახური ხელისუფლების პოლიციურ რეჟიმში. იმ რეჟიმში, რომელიც იცავს ერთი მუჭა უკანონოდ გამდიდრებულ უზნეოდ მოქმედ ქონ—ებ—იანთა, ფუ—ლიანთა, ფუ—ფუ—ნების მოყვარულთა ინტერესებს. შექმნეს უხელფასოთა, მშიერ გამომძალველთა არმია, რომელთაც კანონიც იცავს და გეგმაზომიერად აპირისპირებენ ხალხს, რათა უკანასკნელი კაპიტალი წაგლიჯონ. ცემონ, დაარბიონ, რომ არ დაიცვან საკუთარი და ამ პოლიციელთა უფლებები, რომ ტრადიციული ერთობა არ გვქონდეს. „ძალა ხომ ერთობაშია". ამისათვის ერთი დიდი მუშნის გარდა, მრავლად ჰყავთ პატარა მუშნები, სულის გამყიდველები...

კარიერისტობა, მონობაში განდიდება გინდა? ემსახურე იმპერიას ისე, რომ ძმა არ დაინდო, წაჰკიდე მამას შვილი, მეზობელი მეზობელს, სოფელი – სოფელს, რეგიონი – რეგიონს, ამოხოცონ ერთმანეთი და იბატონე. და გამოჩნდებიან უფრო მეტი მუშნები ყველა სოფელში. ლოზუნგიც აქვთ დაწერილი ამისათვის: „კაციჭამია მით გამოდის ვირთაგვები სამკვდრო–სასიცოცხლოდ რომ გადაეკიდებიან ერთანეთსო". უნდათ მოშიმშილე ქართველი ერი ამ ვირთაგვებს დაამსგავსონ და მრავალი მუშნები მონობაში განდიდების მძებნელნი გამოიყვანონ.

ბრძენს უთქვამს: შემაძლებინე ის გამოვასწორო, რისი გამოსწორებაც შემიძლიაო. ვერაფერს ვერ ვასწორებთ, ვცდილობთ, მაგრამ ამაოდ. მთელ ქართველ ხალხს დასჩემდა თუთაშხიას სინდრომი – გულგატეხილობა – უფრო მეტს – შიში. რადგან დევნა და რბევა არ გვაკლდა.

ასეთი თუთაშხიების საქართველოს ბოლო სიკვდილია. სიკვდილია პირმშოს მიერ, რადგან ისინი უზნეობაში იზრდებიან. იმ პოლიციელებად გარდაიქმნებიან მამულს რომ დევნიდნენ და ახლაც დევნიან.

რომანის მიხედვით თუთაშხია ინტელექტუალებთან მიდის — და არა ღმერთთან, ღვთის მსახურებთან. ამიტომ ვერ ნახა მან გზა ქართული სულის გადარჩენისა. ქართველი კაცის გზა კი ღმერთთან მიდის — ენა მისი სულის კონსტიტუციაა, ტრადიციები ამ გზაზე აყენებს. დიდი ხანია დგას კიდევაც ქართველი ამ გზაზე ვინც არ ადიდგენს ამ გზას, ის ქართველი არ არის — ენის არ არის მისი სული. ვინც დგას ამ გზაზე მას შიშიც არ აქვს, არ აქვს, რადგან მიილტვის უფლის უსასრულო თვისებებისკენ. ამისათვის, როგორც აღვნიშნეთ, სწავლაა საჭირო იმ ჭეშმარიტების, რასაც ბიბლია, ენა „ვეფხისტყაოსანი" გვასწავლის და არა იმის, რასაც ინტელექტუალები გასწავლიან. სწავლა ამისა უსასრულო ღვთის თვისებებისაკენ, სიყვარულისაკენ, სიკეთისაკენ წაგვიყვანს და სძლევ ყველა შიშს. ეს კი სეფურის კი არა ნამდვილი ქართული სოფლის აღდგენით დამთავრდება, იმ დემოკრატიული მმართველობით, სადაც „ხმა ღვთისა ხმა ერისაა", უნდა ვიაროთ ღვთის გზით და არა პოლიტიკური საზიზღრობის გზით! მთელმა ერმა უნდა დაგმოს ეს კაცთმოძულეები. რომანში კი თუთაშხია უღმერთო კომპლექსების გზას დაადგება და იმიტომაც კვდება. ეს კი სიცრუეა, ქართველი უფლის გზაზე სიარულისთვის არის დაბადებული. ამიტომ მარადჟამს არსებობს და იარსებებს საქართველო.*

აი, რატომ მისცა ბოროტებამ ამ ნაწარმოებს უმალ სახელმწიფო პრემია. უმალვე გადაიღეს კიდევაც ფილმი, რომელიც გვხიბლავდა და რა ბოროტი სული, სცენარი — ჯუჯმა იყო მასში სეფურის სოფლის შექმნისა, ვერ ვხედავდით. ამ სცენარის ბოლომდე განხორციელებას ცდილობდნენ სიკეთის ციტადელის — საქართველოს საბოლოო განადგურებისათვის.*

### ქართველმა სულმა — გენმა იცის გამარჯვების გზა. ის უფლის გზით დადის

იყო შიმშილი, მერე უღმერთობა, ახლა გაუსაძლისი შიმშილია, თითქოს უღმერთონიც უნდა ყოფილიყვნენ მათი ვარაუდით. მაგრამ არა, აი აქ დამარცხდა, მწარედ მოტყუვდა, ბოროტება, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გზების გარდა — არის გზაც, სადაც გამარჯვება გარდაუვალია. — ეს ღვთის მსახურების გზაა. მიხვალ შემოქმედთან, ერთი ნაბიჯით, ის ასი ნაბიჯით მოდის შენთან. და ყველა პრობლემა წყდება. ამავე დროს, ქართველი ერი გენეტიკურად ღმერთს ვერ დასცილდება, ვერ უღალატებს. მოთხოვნილებაა ჩვენს სულებში, სხეულშიც მისი მსახურებისა. მისი 10 თვისების აღსრულებისკენ მივილტვით მხოლოდ. ეს მუშნებიც ვეღარ მუშნობენ. ღმერთი ახსენდებათ და ფერმკრთალდებიან. იგი ხომ ყველაფერს ხედავს, მას ხომ ვერაფერი დაემალება. გავიხსენოთ დავითის 19 ფსალმუნი.

7. ცათა დლიდან არის მისი აღსავალი
და მისი ბრუნვა მათ კიდეებამდე,
და ვერაფერი ემალება მის მხურვალებას.
8. სჯული უფლისა სრულყოფილია, სულს განამტკიცებს;
მცნება უფლის ჭეშმარიტია,
გააბრძნობს გულბრიყვებს
9. მართებულია უფლის ბრძანებანი, გულს ახარებენ;
მცნება უფლისა სპეტაკია, შუქს აძლევს თვალებს.
შიში უფლისა წმინდა არის, მარადიული.
უფლის განსჯანი — ჭეშმარიტი ყველა მართალი.
11. სასურველი არიან ოქრომე და თვით ბაჯაღლოზე მეტად და
უტკბილესი თაფლისა და გოლეულისა.

---

*ახლა, როცა დაინგრა უღმერთოთა იმპერია და იციან ყველა ქართველი გენეტიკურად დაუბრუნდება ღმერთს, სპეციალურად გვამიმშილებენ და მილიარდები იხარჯება იმისთვის, რომ ქართველი ცრუ რელიგიისკენ — სექტანტობისკენ წავიდეს, დაკარგოს მართმადიდებლობა.

*2002 წ. იელისში პრეზიდენტმა გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი მიანიჭა ამ ნაწარმოების ავტორს /ის ხომ მეომარი არ იყო/. მოხდა მეორე უპრეცედენტო შემთხვევაც. მან მანქანამდე მიაცილა მისი მასწავლებელი.

12. და შენი მონა მათზე არის მოკრძალებული:
დიდია საზღაური მათი დაცვისათვის.
დიახ, დიდია საზღაური, სოლო ბოროტი და ავის ჩამდენნი უკვალოდ, უჯიშოდ გაქრებიან.

## ან იბერიულობა ჰარმონიაა და მარადისობა ან სულიერ — ფიზიკური სიბინძურე პრობლემები და გადაშენება

კიდევ ერთხელ გვსურს გავაფრთხილოთ ყველა. დაფიქრდნენ, საით მიდიან, რა სიმდიდრე, ჰარმონია, სურნელი უდევთ წის და რა ჭუჭყს, სიბინძურეს, შავ ფერებს ეტანებიან. ამ სამყოროსაც მათი მეოხებით აქვს ათი ძირითადი პრობლემა:

1. სულიერი; 2. ზნეობრივი; 3. სამართებლივი. 4. საურთიერთო; 5. ეკონომიური; 6. ეკოლოგიური; 7. სასურსათო; 8. ჯანმრთელობის; 9. დემოკრატიული; 10. სოციალური.

საეროოდ ადამიანები არიან ორი ცხოვრების წესის: პირველი — წიგნის, თორის ხალხი, მიწათმოქმედნი, შემომქმედნი გარემოს, ჰარმონიის და მათ არავითარი პრობლემა არა აქვთ. არიან ჰარმონიაში, რადგან მათი ცხოვრების კრედო გაცემაა, ათი თვისებაა უფლისა. ამას გვასწავლის „ვეფხისტყაოსანი". ესაა შეთის, სემის, იაფეტის მოდგმა, იბერიელნი.

მეორენი მოქმედებენ წიგნის, თორის საწინააღმდეგოდ, ანუ არ არიან მიწათმოქმედნი. მათი მთავარი თვისებაა წართმევა, გამოძალვა, მხოლოდ მოყვასის გამათხოვრების ხარჯზე, მისი კუთვნილის მითვისებით თავის თავის მდიდრად წარმოჩენა. ამისათვის ბიბლიის მაგიერ საკუთარი კონსტიტუციები აქვთ. ესაა ქამის მოდგმა — არაიბერიელნი.

ლტოლვა რომ — რაც შეიძლება ბევრი ჰქონდეთ, რათა იქცნენ კერპად, ანუ მარტო მათ ჰქონდეთ ფული, სურსათი, მათ ემსახურებოდნენ მეცნიერნი, რომ მითვისებული გადაამუშაონ /მოგონილი და არა უფლის მიერ დაწესებული წესებით/. დღენიადაგ ფულის, სურსათის ძიებაში ამყოფებს მათ.

ამისათვის, პირველ რიგში, აქვს მას ეკონომიკური პრობლემები. რაც არ უნდა სურსათი ჰქონდეს კი არ გასცემს, არამედ ფულად უნდა აქციოს, გაყიდოს. სულ ფულის მოხვეჭის, გამრავლების ძიებაშია. ანუ ფული ხდება მისი კერპი. რათა თვითონაც კერპად იქცეს. ჩვენ ვიცით, რომ არ გასცემს, აკლდება მადლი, ბარაქა და ამიტომ ხდება წამართმევი, გამომძალველი. თუ ეს არ გააკეთა, მაშინვე გაღარიბდება და ამიტომაც არა აქვს დარი. გავიხსენოთ მდიდარი ის არის, ვისაც გაცემის არ ეშინია/. მან კი, რომ გასცეს ეშინია დამათხოვრების. და ამიტომაც მდიდარი კი არა, წამგლეჯელია. რომ მოასწროს მითვისებულის გადამუშავება, ავითარებს მონოკულტურებს. ვიცით წერტილად ნულად გადაიქცევა იქნება შავი ფერები, რადგან იგი გარემოსაც მრავალფეროვნებას უკარგავს.

ხალხს მიწები წაართვა, ყველას პირუტყვი მიითვისა. არა აქვს მრავალფეროვნება, საძოვრები, მადლი და დიდი მეცხოველეობის კომპლექსები განავითარა. ბუნებრივ პირობებში პირუტყვს მრავალფეროვანი საკვები, მწვანე მასა აქვს და თვითონ იცის რა სჭირდება, რომ არც დაავადდეს და მარგებელი პროდუქცია ჰქონდეს /დადგენილია ბუნებრივ პირობებში დაახლოებით 10 ჯერ მეტი მეცხოველეობის პროდუქცია იქმნება ერთიდაიგივე ფართობზე/. კომპლექსებში კი უმოძრაოდ მყოფნი მიირთმევენ ქიმიური, ბიოქიმიური ტექნოლოგიებით მოყვანილს, რომ არ დაავადდნენ, მედიკამენტებით კვებავენ და მომწამვლელია მათი პროდუქცია. ყუათიანობაც დაბალია და ჩალის გემო აქვს.

პრობლემა ხდება უზარმაზარი რაოდენობის ფუნის, შარდის უცილიზაცია. არის უმოძრაო, ავადმყოფი პირუტყვი, ტალახი, ჭუჭყი, ფუნა, რასაც ბუზი, ჭიანჭველა ეტანება. ამგვარ მოქმედებას ეკონომიკური პრობლემების გარდა, ყველა ზემოთ აღნიშნული პრობლემები მოაქვს, ამიტომაც ფუ–ნასთან ერთად მის კერპს ფუ–ლსაც და ფუ–ფუ–ნებასაც აფურთხებს ქართული ენა. აფურთხებს, რადგან ასეთი ცხოვრების წესში ყოველი ნარჩენი განა საერთო ჰარმონიისთვის გამოიყოფა, არამედ ნაგავად იქცევა – სიმყრალეა, რაც უზომოდ ამრავლებს ბუზს, ჭიანჭველას, ღორებს.

ადამიანებიც ასე საკერპოდ აღზევებულნი ვერ ხედებიან, რომ თავიანთი ზნეობით მიისწრაფიან ფულისკენ — ფურთხისკენ, სიმყრალისკენ და ემსგავსებიან იმ ბუზს, ჭიანჭველას, რომელნიც არაფერს არ ქმნიან და სიბინძურეზე მრავლდებიან. თუმცა თავის ზნეობით მათზე დაბლაც ეშვებიან.

ეს ღორმუცელა ცხოველები სიბინძურეს მაინც გალაამჟღავნებენ. ამისათვის შექმნა უფალმა ისინი. ბუნებაში ისინი ნაკელს სუნს უკარგავენ, რის შემდეგ იგი მიწას ანაყოფიერებს.* იქ, სადაც ჭუჭყი და ოფლია, ანუ მეცხოველეობის კომპლექსებია, არ მრავლდება ფუტკარი. შედეგად, თუ საქონელი საძოვარზე არ არის, უზარმაზარი ზარალი აქვს სოფელს. დადგენილია, რომ ენტომოფილური კულტურების დამტვერვის 80% ფუტკრის მეშვეობით ხდება. მოსავლიანობაც ასე იზრდება: ხეხილოვანი კულტურების, სამყურას წიწიბურას 65–80%, ბალჩეულის 150–165%, ადარაფერს ვამბობთ ფუტკრის მიერ მიღებულ პროდუქტებზე, მათ მარგებლობაზე. ამავე დროს დამტვერვა მომწამლავი, არა ტრადიციული მეთოდებით მიმდინარეობს. ცხოველებს, მცენარეებს მიეცათ ფუნქცია, მიმართულება სიტყვით და ისინი საერთო ჰარმონიას არ არღვევენ: ადამიანი კი, სამეფოდ დაბადებული, ჭუჭყისკენ, ცხოველურისკენ მიილტვის.

ამიტომაა უფალმა რაც შექმნა, ყველაფერზე თქვა, კარგიაო, ადამიანის გარდა. დაუკვირდით ამ სიტყვას, ქართული ენის სიბრძნეს, კა–რგია. ე.ი. ღარგო მან კა–კარგი სიკეთე, ანუ მნეობრივი, აბსოლუტურად უნარჩენო მიწათმოქმედება. გავიხსენოთ ჩვენი სახელი გე–ორგია.

ვის შეეძლო დაერღვია ეს ღმერთის მიერ გენიალურად უნარჩენოდ შექმნილი მიწათმოქმედება, მხოლოდ იმას, ვინც თავის ფუნქციას არ ასრულებს. ანუ აკრძალულს, სხვისთვის განკუთვნილს ამუშავებს მიირთმევს.

დაუკვირდით, ჭიანჭველა არ მიდის ხილზე მანამ ლპობას, გაფუჭებას არ დაიწყებს. ადამიანმა კი სხვისაზე და წართმევაზე დაიწყო ფიქრი. გავიხსენოთ უფალმა არ თქვა – კარგიაო, მაგრამ აკურთხა ადამიანი სიტყვით განაყოფიერდით, ანუ ნაყოფზე გამრავლდითო. იმავე დღეს შექმნილ ყველა ცხოველზე კი თქვა – კარგიაო. ოღონდ ბოლოში თქვა. დაბადება 2.30, ხოლო დედამიწის ყოველ ცხოველს, ცის ყოველ ფრინველს და დედამიწაზე ყოველ მოძრავ ცოცხალ არსებას – მთელი მწვანე ბალახეულობა საჭმელად: და ასეც მოხდა. ანუ მწვანეს სჭამდა ცხოველი, ერთმანეთს არ ერჩოდნენ და არ იყვნენ კომპლექსებში გამომწყვდეული. ე.ი. ადამიანი ვით სხვისას არ ითვისებდა და ამაზე თქვა უფალმა – ძალიან კარგიაო.

შემდეგ ვიცით რაც მოხდა და როდის შექმნა მან რამდენიმე საუკუნის შემდეგ მიწათმოქმედი–იბერიული მოდგმა. ეს მოდგმა ამის გამოც ფუტკარივითაა. გარდა იმისა, რომ აწარმოებს სურნელოვან, ჰარმონიულ მიწათმოქმედებას, გასცემს, სხვასაც ეხმარება – იფარავს დევნილს, გადის სხვა ქვეყნებში, რათა ეს სიბრძნე, ფუტკრის ცხოვრების წესი, ზნეობა ასწავლოს.

ეს კატეგორია ადამიანთა ფუტკარს ემსგავსება და უფალი მათზეც იტყოდა – კარგიაო. ამიტომაც არიან იბერიელები დღეგრძელი და დაუმარცხებელი, მართალნი მწყემსნი. იცავენ უფლის მცნებებს. აქვთ შუქი თვალებში, სიმდიდრე ოქროზე და ბაჯაღლოზე მეტი, თაფლზე უტკბილესი ჰარმონიული ცხოვრება და არა აქვთ არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემა. სული მათი ჰარმონიაშია. სიყვარული აქვთ ყველასი და გაცემა მათთვის ხეტარებაა. აქვთ სიწმინდე სულიერი და ფიზიკური.

გავიხსენოთ „ვერაფერი ემალება მის მზერვალებას. სჯული უფლისა სრულყოფილია, სულს განამტკიცებს". ამიტომ ქვეყანა მისთვის უფლის მიერ მოცემული სულიერი, ზნეობრივი სიწმინდის ტაძარია. იგი არ მიეტანება ხელის ჭუჭყს, ფულს. რადგან ფულს ფუნასავით ცუდი სუნი ასდის, რადგან ფუ–ფუ–ნებას წამგლეჯელობა მოაქვს.

აბა, შეადარე საქართველოში მოყვანილი პროდუქტი სხვა ქვეყანაში მოყვანილს. ან სურნელებით, ან სიტკბოთი, ან გემოვნებით. ქართულ მიწაზე მოყვანილს ვერაფერი შეედრება, ვერც წყალს დალევ უკეთესს. უცხო ქვეყნის კულტურები ლობიო, ლიმონი და სხვა, ისინიც საუკეთესოა.

მსოფლიოში ვერც ერთი ქვეყნის ფუტკარი ვერ მოვა თვისებებით ქართულ ფუტკართან და მის პროდუქტთან. ისევე როგორც სხვა ცხოველურ სამყაროსთან.

---

*ჩვენ უკვე აღვწერეთ როგორ მოქმედებს მიწათმოქმედი. აქ ყველაფერი გაყოფილია. აქვს უნარჩენო მეურნეობა ქართველ მიწათმოქმედს, თუ დიდ წარმოებაში რძის შრატს აქცევენ. ჩვენში ნადუღს იღებენ, დარჩენილ შრატს კი საქონელს asmeven. იგი სამკურნალოა ადამიანისათვისაც. ნაკელი ნიადაგში შეაქვთ, იალაღზე გამევებული პირუტყვი კი გარემოს ანაყოფიერებს. ხევსურული ძროხა, რომელიც მწირ ალპურ საძოვრებზე იკვებება მსოფლიოში რეკორდულია რძის რაოდენობით. მისი ცოცხალი წონიდან გამომდინარე. დაახლოებით ორჯერ აღემატება ცხიმით, ცილებით კომპლექსებში მიღებულს. ადარაფერს ვამბობთ გემურ თვისებებზე.

რაც უფრო მრავალფეროვანია ნაყოფით გამოყოფილი საკვები, მით უფრო ბარაქაა. ოჯახს რაც სჭირდება ყველაფერს თვისავს ქართველი და აქვს სისუფთავე, ლამაზი ფერები, ჰარმონია.

ამგვარად, ქართულ-იბერიული მოდგმა იაფეტი კარგი, მშვენიერი სამჭედლოა სიკეთისა.

არ გაცვმენ ის ადამიანები, რომელნიც სულ ჭუჭყისკენ, ფულის, ფუ-ფუ-ნებისკენ მიილტვიან, ბუზის ბუნებისა არიან. მეურნეობასაც ისეთს აეითარებენ, რომ სულ ჭუჭყია, სუნია და მრავლდება ბუზი, ჭიანჭველა, ღორი.

ზამთარში, როცა სიცივეა, არაა საზიზღარი სუნი და ბუზიც გადაშენდება. ეს ადამიანებიც დროებით არიან, როგორც ბუზები. იგონებენ ახალ წყობას — ფორმაციას, მიმართულებას, ჭუჭყს, სიბინძურეს, რომ გამრავლდნენ, მაგრამ მართალნი-მლოცველნი იმარჯვებენ და ადარაფერი რჩება არც ამ მიმართულებიდან, არც სალსებიდან. მათ ხომ სარგებელი არაფერი მოაქვთ. მოდიან ახალი ფორმაციის, მოძღვრების — ჭუჭყის მიმდევრები და იგივე ემართებათ, რაც ზამთარში ბუზს. ფუტკარი კი ზამთარშიც ჰარმონიისკენ მიილტვის. იბერიელნიც სურნელს, ჰარმონიას, თორას, წმინდა წერილს, პირველად ენას არ ცილდებიან და ამიტომაც მოდიან უწყვეტლივ.

ამგვარად, ყოველი წყობა, სახელმწიფო უკვალოდ ქრება — ჭუჭყისკენ, ნულისკენ მიმართული აზროვნება არ ეცვლება ადამიანს. სასჯელის მიუხედავად ვერ ისწავლა ჭკუა. იბადება ახალი ბოროტი მიმართულება, წყობა, ჭუჭყი, ფუნა და იბადებიან ახალი ბუზები, ბოროტება. არაა დღეგრძელი მათი აღზევება, ბზუილით, დაპირისპირებით უნდათ წალეკონ ქვეყანა, თვითონ კი გადაშენდებიან. უცბად მრავლდება ბოროტება — ჭუჭყი, ერთმანეთს სერიან, ფუტკარზე მეტნი არიან, მაგრამ ფუტკარი მაინც მარადიულია. ხალხური ანდაზაა — „ბუზი ბევრი ბზუის, ფუტკართან ყველა ტყუის“. ყველა ტყუის იბერიელთან, ვინც დაპირისპირებას ნერგავს. ისევ იმარჯვებს ფუტკარი წმინდა, გამრჯე, წიგნის ხალხი, ტკბილი საქართველო, ისრაელი, იბერიული მოდგმა მოდის და მოდის. ბოროტნი კი არ ისვენებენ და ჯოჯოხეთია, ჭუჭყი, უზნეობა, საძაგლობა, სიმყრალეა მათი ნეტარება. შემდეგ კი ისევ გადაშენება ელით.

## დღეს მიმდინარეობს გამოცდის პროცესი რათა განვიწმინდოთ

დღესაც ფულით ფინანსდება ეს ჭუჭყი, სერიალები, სიმღერები. ყველაზე საცოდავია ის ქართველი, ვინც მათ აყვება. უფალი რჩეულს უფრო სჯის. გავიხსენოთ კერპის შექმნის გამო 3 ათასი ისრაელი დახოცა უფალმა უდაბნოში, ხოლო ისინი, ვინც აყვნენ უზნეობას ჯერ კიდევ უდაბნოში 10-ჯერ მეტი დაიხოცა.

იბერიელს, ისრაელს, ქართველს ყველაზე მეტი მოეთხოვება. და ეს უფრო უნდა გვიხაროდეს ჩვენ. რა ლამაზია ის ქართველი, ვინც ბიბლიაში, ენაში იხედება, ქართულად მღერის — ცეკვავს, ანუ ქართულად მეტყველებს, ქართული გარეგნობა და სამოსელი აქვს და რა საზიზღრობაა, როცა უზნეო, უკულტურო, უცხო მიმართულებით მღერის, ცეკვავს, მოკლე შარვლით დადის, ტანს მოუხატავს, საყურეს იკიდებს, გრძელი თმები აქვს. უზნეობით მდიდრდება, ვაჟკაცობა ავიწყდება და ქალური ჩვევებით იბილწავს თავს. ვაჟკაცებმა იციან, რომ გარეთ ისე უნდა მოიქცენ, როგორც ტაძარში, უფლის სახლში. ჩვენ ვერიდებით ადამიანებს და გვავიწყდება რომ პირველ რიგში უფალს უნდა მოვერიდოთ. ის ყველგანაა ყველგან გვითვალთვალებს რადგან ქვეყანა ტაძრად უნდა შექმნას და ამ ტაძარში უზნეთ არ გაამრავლებს. ვერაფერი ემალება მის მხურვალებას და გადაშენდებიან უზნეონი, ბრიყვნი, ჭუჭყის, სიბინძურის, საზიზღარი სუნის მოყვარულნი, ჭიაჭველანი, მუმლი, მუხას რომ ესევა.

ხოლო ვინც გასცემს, ცნებებს იცავს, მარადიულია მათი ხსოვნა და მათი შტოც მრავლდება. გავიხსენოთ ნოე, შემი, იაფეტი, აბრაამი, ისაკი, იაკობი, მოსე, ელია, დავითი. გავიხსენოთ მრავალი წმინდანი, რომელთა საპატივცემულოდ საეკლესიო დღეებია დაწესებული. გავიხსენოთ ქართველი მეფენი. მთამომავლობა მერე არქმევს ყველას კუთხნილ სახელებს მათი ნამოღვაწარის მიხედვით.

წმინდანები გამეფდებიან მესიის ერაში, კიდევ გავიმეორებთ, უფალი მომნანიებელს და მის გზაზე მავალს იმ წმინდანზე მაღლა აყენებს, ვინც მარდქამს უფლის გზაზეა.

იმპერიებო და იმპერიის ხალხნო! მოეგეთ გონს. თქვენი ბოლო გადაშენებაა. იარეთ უფლის გზით, დაიცავით მისი მცნებანი, ისინი გასდნენ თქვენი სულის, სახელმწიფოს კონსტიტუცია და დაიმკვიდრებთ სამარადისო სასუფეველს მესიის ერაში: ვიმეორებთ-დღეს მიმდინარეობს გამორჩევის პროცესი.

მსოფლიოს იმპერიული მისწრაფების ქვეყნების ხალხნო! განიწმინდეთ ამ ჭუჭყიდან — სიბინძურიდან, სიმყრალიდან. რა უფრო გიჯობთ თაფლობა ანუ სხვისი კარგი რომ გიხარიათ,

გაქეთ სიყვარული, უყვარხართ მშობელს, შემოქმედს, ყველას გვაქვს ჰარმონია, ანუ ფუტკრობა თუ ფუნაში ყოფნა, დაპირისპირება, მხოლოდ საკუთარი რომ გიხარიათ, ბუზიეით ბზუით არ უყვარხართ არავის, ყველას ძულხართ, გდევნიან. დროზე უნდა აირჩიოთ, რადგან ახლოვდება მესიის ერა და საშინელი სასჯელი.

დაიმახსოვრეთ! დღეს უდიდესი ფარისევლობაა, სიცრუეა, ღალატია უფლის სწავლებისა. ბიბლიისა, თუ იმართები და აღიარებ ადამიანის მიერ დაწერილ კონსტიტუციას. ეს შეჯიბრია ადამიანისა უფალთან — მის გენიასთან.

მას ვუყვარვართ, ჩვენ შვილნი მისნი და რომ ჰარმონიულად, სიყვარულით, ძმობრივად, სამართლიანად ვიცხოვროთ, მოგვცა თორა, ბიბლია. ჩვენ კი ვქმნით კონსტიტუციებს, რათა იყოს დაპირისპირება, უმწეობა, ჭუჭყი, სიბილწე, ჩაგვრა—წაგლეჯა—ქურდობა, უამრავი პრობლემები. გვინდა მისი ადგილი დავიკავოთ, ვეჯიბრებით მას და იმ ტოტს ვჭრით, რაზეც უნდა ვიდგეთ.

ამგვარად, ეს არის პირწავარდნილი მიმართულება გაკერპებისკენ, კერპთაყვანისმცემლობისკენ. ასეთ სახელმწიფოში, ერთეულების გარდა, ყველა აქეთ მიილტვის, ანუ კერპთაყვანისმცემელია. ბიბლიით, მისი სიმართლით, წესებით უნდა იცხოვრო. არა აქვს მნიშვნელობა ქრისტიანი, იუდეველი თუ მუსლიმანი ხარ. ყველა ერთი სჯულის კანონიდან მოდის. ისიც დავიმახსოვროთ, რომ უფლის შემოქმედება ძველი აღთქმა, ენა პირველადია. ბიბლია ერთადერთი სრულყოფილებით შემკული წიგნთა წიგნი დავიდოთ საფუძვლად მის კომენტარებთან ერთად და დაპირისპირებაც მოისპობა.

## რჯულის კანონები და ჰარმონია

მაცხოვარიც ხომ რჯულის კანონების განმტკიცებისკენ მიილტვოდა და, რა თქმა უნდა, არცთუ უსაფუძვლოდ. ამ კანონების დაცვისას ჰარმონიაშია ადამიანის სული და არც ერთი პრობლემა არ აწუხებს, ხარ სრულყოფილი, ჯანმრთელი. 613 მცნებიდან 248 უნდა ასრულო, ხოლო 365 აკრძალვის მცნებაა. ისინი ერთმანეთზეა დამოკიდებული და თუ ასრულებ 248 მცნებას, ასრულებ დანარჩენებსაც. ამასთანავე ასეთი ადამიანი რომ უფლის რჩეული ხდება, ბიბლიაში ჩანს აბრაამთან მიმართებაში. აბრაამს შვილი არ უჩნდებოდა და როცა სრულად დაიწყო აღსრულება 248 მცნებისა, მაშინ მის ყველა ორგანომ სრულყოფილად დაიწყო ფუნქციონირება და 96 წლისას ეყოლა შვილი. შეიძლება ვინმემ თქვას სარა იყო უშვილოო, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ცოლ—ქმარი ერთი სხეულია და როცა აბრაამმა დაიწყო შესრულება, იმავეს აკეთებდა სარა, რომელიც არანაკლები წმინდანი იყო აბრაამზე. ყოველივე სიკეთესთან ერთად, ამ ცნების შესრულებით აბრაამს შეენიჭა სახელი აბრაჰამი. ანუ დაემატა ჰეი. იერითულად კი ეს სახელი გემატრიით უდრის 248. მთავარი კი ამ შინიჭებული სახელის მნიშვნელობაა, იერითულად იგი უკვე აღნიშნავს „ურიცხვი ერების მამას". აი რა დონეზეა უფლის თვალში ბიბლიის მცნებათა დამცველი.

ამიტომ, როგორც ნაწინასწარმეტყველი აქვს რუსთაველს, ყველა შეერთდება და გაიზიარებს თორას — ბიბლიას, იბერიულ მიწათმოქმედების წესს.

ამისათვის სულ ხუთი გრძნობელობითი ორგანო უნდა დაიმორჩილო:

თვალები, ცუდად, შურით კი არა სიყვარულით შეხედე ყველაფერს. უმწეობას, მრუშობას კი არ უნდა დაუწყო ყურება.

ყურები, ცუდი ჭორი არაფერსმე არ ისმინო. პირი — არაფერსმე არ თქვა ცუდი. უკიდურეს შემთხვევაში ეს მხოლოდ ცუდის მქმნელს უნდა უთხრა გამოსასწორებლად.

ცხვირი, სიბინძურე არ უნდა იყნოსო ამიტომ სიბინძურეში არ უნდა იყო. სიწმინდე და სისუფთავე უნდა დაიცვა ლოცვის დროს.

ხელები, არ უნდა შეეხო იმ ხელით სიბინძურეს, რომლითაც წმინდა წიგნს კითხულობ—ილოცები.

ამგვარად, თუ სახელმწიფო არ იმართება ბიბლიით, გამცემი კი არა მიმტაცებელი, ბუზის მწეობის, ჭუჭყის, ფუ—სის მოყვარული ხდება ყველა ნებით თუ უნებლიეთ. დღეს ისინი ყველა დროში არსებულებზე უფრო დიდი კერპთაყვანისმცემელნი არიან და გადაშენებაა მათი ბოლო.

ხსნა ერთია! ყველა ადამიანის სულის კონსტიტუცია უნდა გახდეს თორა, ენა პირველადი, მაშინ ეს სახელმწიფოც აღიარებს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა წავიდეს ამ სახელმწიფოდან, რადგან დაისჯებიან ყველანი.

საქართველოში არავინ აღიარებს ბოროტების მიერ ძალით მოხვეულ კონსტიტუციას. აქ ყველა ქართველის სულის კონსტიტუცია — გაცემა, გაყოფა, სიყვარული — ბიბლიაა უფლის მიერ სამუდამოდ მოცემული. ქართველი ასეთ უძველეო წესში, ჭუჭყში ვერ გამრავლდება, ისე როგორც ფუტკარი, ფუნაზე — ჭუჭყში.

ამიტომ, რაც კონსტიტუცია მიიღეს, შვიდ წელიწადში ქართული მოსახლეობა განახევრდა, ქართველი ებრაელნიც თითქმის აღარ დარჩა. მაშინ, როცა სხვა ეროვნებათა მატებაა. ამგვარად, ფაქტი ქართველთა სიწმინდე სასეზეა.*

იბერიელნო! ქართველნო! უფალი ჩვენი გზნეობის გამო ჩვენთანაა. არ არსებობს კაცი მას მიენდოს ბოლომდეს და პრობლემები შეექმნას. თუმცა საერთო გაჭირვებაა. ესეც ჩვენი გამოცდაა, ისე როგორც არა ერთგზის გამოიცადნენ წმინდა მამანი. დღეს ჩვენი ხსნა გაქცევაში კი არა, ტრადიციული ქრისტიანული წესით შეერთება — თანადგომაშია, სიყვარულით ანთებულ გულთა შეერთებაშია — უფლის მიერ ბოძებული მჭექარე ენით მეტყველებაშია, მისი სიწმინდის, გზნეობის კიდევ უფრო წარმოჩენაშია და გაუკეთებლად დამარცხდება ბოროტი. იგი ლაჩარია, მშიშარაა მართალთან. გადაშენდება შემოდგომის ბუზივით.

## აღვადგინოთ იბერიული წესი, მედგრად ძლიერად ვიმეტყველოთ ქართული ენით

ხსნა თვითოეულ ჩვენგანშია, თუ არ გვინდა სრულიერი გადაშენება. ჩვენ შემოგვრჩა, მოგვეცა თვით ბაჯაღლოზე უდიდესი განძი და თაფლზე უტკბილესი ენა ქართული. ჩავიხედოთ ჩვენ ამ ენაში, მის მეგრულ–ლაზურ–სვანურ–ებრაულ–ბასკურ–ჩეჩნურ და სხვა იბერიულ დიალექტებში. მედგრად, ძლიერად ვიმეტყველოთ ამ ენით.

ენიდანაა ჩვენი ფოლკლორი, რომელსაც მსოფლიო აღიარებს როგორც ეროვნული ფოლკლორის დედას. ისე არსად მღერიან, როგორც აქ, იმიტომ, რომ უფლის სიტყვაა, 10 თვისებაა, ჩვენი ქცევა, სიტყვა და მიდის ეს სიტყვა ღმერთთან. როგორც დავითი გადმოგვცემს იმავე ფსალმუნში, არც მოქმედია და არც ნათქვამი, სადაც მათი ხმა არ ისმოდეს.

ჩვენც ვთქვათ ეს სიტყვა, სიტყვა სიყვარულის, უფლის მცნებათა დაცვის, რათა მივიდეთ უფალთან და მან თავისუფლების ღირსგვყოს. მოგვცა მან ენა, ენა ჩვენი ერთობის, ერის, ვნების, სიყვარულის და მედგრად, ძლიერად ვი–მე–ტყვე–ლოთ ქართული ენით, ანუ ტყვე ვიყოთ მისი და არა კერპების.

როგორც დაგვმოძღვრა მარად წმინდაქალწულმა მარიამმა.

ამისათვის ყველგან, ყველა კომლი, სოფელი, რაიონი, ქალაქი, რეგიონი, უნდა დაუბრუნდეს ტრადიციებს, წინაპართა ფესვებს. ისევ უნდა დავიწყოთ იბერთა წესის, ფუნდამენტის სახალხოდ საკრებულოებზე რჩეულთა არჩევით. აირჩევა სიბრძნით, პატიოსნებით, ღმერთისა და ერისათვის თავდადებული პიროვნებები, უსუცესებით გაძლიერებული. შევქმნათ მათგან საკრებულოები. შეიქმნება მართლაც ხალხის მიერ და არა პოლიტიკურ პარტიათა რჩეული ორგანო. და თქვენ თვითონ მართეთ თქვენ სოფელი, თქვენ თვითონ შექმენით ბიუჯეტი, იზრუნეთ მოსახლეობისათვის, პირობების გაუმჯობესებისათვის, როგორც ქართული წესი იყო.

ნუ გაყიდით მიწებს, არამედ ერთმანეთს გვერდში დაუდექით და შეინარჩუნეთ თითოეული ოჯახი, მასზე გამონაყოფი მიწა–მამულით. თქვენ გამოიყენეთ თქვენი ოჯახებისათვის პროპორციულად სოფლის, ქალაქის, რეგიონის სიმდიდრე. ნუ ჩაუგდებთ უცხოელებს და ნახავთ რა უმდიდრესი გახდებით. გლეხი სოფლის, სოფელი რაიონის, ქალაქის, ისინი კი რეგიონის ბიუჯეტს ისე შეავსებენ, რომ სხვა ქვეყნებს იქეთ დაეხმარებით — ხელფასებიც გაიზრდება. დამრღვევებიც, როგორც ტრადიციულად იყო, თვითონ აღკვეთეთ. შექმენით ქართველ ვაჟკაცთა სახალხო ლაშქარი. ყველგან ერთნაირად გადაეჭრათ ყველა პრობლემა.

ვიმოქმედოთ ისე, როგორც ვმოქმედებდით — როგორც ქართული მაგიდის მსვლელობაა. თამადა და მაგიდის წევრები ერთმანეთის სიყვარულით ლოცულობენ. შესთხოვეთ ღმერთს

---

*იმ პერიოდში ცოლნის სასახლეში, მერაბ კოსტავას ქუჩაზე იყო შეხვედრები პოლიტიკურ ძალთა გაერთიანების. საზოგადოებრიობასთან რამდენჯერმე მოვითხოვეთ ჩვენ პარლამენტში მყოფ პოლიტიკურ პარტიებს რომ არ მიეღოთ კონსტიტუცია. მათ მოგვცეს ამის პირობა. საჯაროდ ასეთივე მოთხოვნით გამოქვეყნდა ჩემი წერილი გაზეთ „იბერია სპექტრში" 18.07.95 წ. სათაურით „მიმართვა პარლამენტის წევრებს". იქ დაწვრილებით იყო აღწერილი რა უბედურებას მოგვიტანდა ეს. მაგრამ მათ გატეხეს სიტყვა.

მოყვასის და არა მარტო საკუთარი პრობლემების მოგვარება. და მიეა უურო მეღგრად თქვენი ხმა ღმერთთან.

ვიმეტყველებთ, ვიცხოვრებთ მეღგრად, ძლიერად, ქართული ენით და ივუგუნებს ქართული ფოლკლორი. აყვავდება სოფელი, იქნება ხვავი და ბარაქა, რადგან იქნება 10 თვისება, შნეობა და სიყვარული მისგან შექმნილი, იქნება ლოცვა, პატიოსნება, სისპეტაკე, პარმონია და ყველა კარგი მხოლოდ მისგან, ამ დედა–ენისგან შექმნილი. და მოევლინებიან ჩვენს ქვეყანას ავთანდილი, ფრიდონი, ტარიელი — დავითის ბაგრატოვანთა შთამომავალი.

ჩვენ სულიერად, გენეტიკურად მზად ვართ იმისათვის, რომ საქართველოდან დაიწყოს მესიის ერა — რომ ჩვენმა გენმა ასწავლოს ხალხებს სიყვარულით ცხოვრება.*

## ახლოვდება მეათე დასჯა, გადარჩენა საქართველოს ტრადიციულად ტაძრად აღდგენაშია

ამის ყველა ნიშნები ახლოვდება. ერთ–ერთი ღვთისმოსავ ქალბატონს რამდენიმეჯერმე ხილულად ემმანა ყოვლად წმინდა ქალწული მარიამი და აუწყა მას რომ ის იმ ეკლესიაში არ დავანდება. მან სასწაულებრივ მიანიშნა ადგილი, სადაც უნდა აშენდეს საყდარი — ტაძარი. რატომ ტაძარი. ეკლესია სავანეა ქრისტესი, ტაძარი სულიწმიდასი. (ზ. გამსახურდია.)

სულიწმიდა — შეხინა — თინათინი საქართველოს ნიადაგ მფარველობს. მაგრამ ღვთიანდელი უშნეობათა გამო იგი ძალიან დაცილებულია ჩვენგან. ჩვენი ქვეყანა მუდამ იყო ერთი დიდი სიყვარულის, ერთობის ტაძარი. ახლა ერთი მუჭა პოლიტიკოსების გამო ამ ტაძარს ეთხრება საფუძველი. დღეს არის მესიის ერა. ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი სამი რელიგია შემოვლენ აქ, როცა ქვეყანა როგორც ტაძარი აღდგება. ამიტომ მოითხოვა მარად წმიდა ქალწულმა მარიამმა ტაძრის აშენება და ადგილიც მიუნიშნა. ჯერ ამ ტაძარში დავანდება შეხინა, თინათინი აქ მიიღებს მას, — ნესტანს, ტარიელს, და ეს რომ მოხდეს, ასეთმა სიწმინდემ რომ დაისადგუროს ტაძარში, იგი მთელმა ერმა უნდა ააშენოს. სუყველამ უნდა გაიღოს 1 ლარის ნახევარი 50 თეთრი. ყველამ უნდა იგრძნოს რომ ისინი ერთი მთელის ნახევარი არიან. ყველამ სწორად უნდა გაიღოს ეს თანხა. აშენდეს მე–17 საუკუნემდე არსებული ქვეყნის ტაძრის — საქართველოს ჯერ პატარა მაკეტი, როგორც რჯულის კიდობანი იყო. აქ ყველა ეროვნების წარმომადგენლებმა გულმხურვალე სიყვარულით უნდა ილოცონ. გავიხსენოთ მეფეთა წიგნში მოყვანილია: სოლომონმა ტაძარი რომ ააგო შესთხოვა უფალს ყველას ლოცვის ასრულება მათ შორის არა ისრაელის განსაკუთრებით, ხოლო ისრაელის იმ შემთხვევაში თუ ის გულით ილოცებდა. ყველას ის უნდა აერთიანებდეს რომ პირველად ქართულ ენაზე ილოცონ და წინ დაიდონ თორა — ბიბლია, იყოს ერთობლივად ერთი ღმერთის მსახურება, თორას სწავლება, კეთილი საქმეები.

ამ ტაძარს აშენებს 12 მხარე იბერია — საქართველოსი. ამ ტაძარს ააშენებს მთელი იბერთა მოდგმა კავკასიისა და შეიქმნება ის კავკასიის სახლი ტაძრით გაერთიანებული, ზ. გამსახურდია რომ მიისწრაფოდა. ამ ტაძრის აშენების მონაწილე, ალბათ მსურველნი იქნებიან ალბათ ყველა იბერი მთელი მსოფლიოსი. ყველას, შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა, ამ ტაძარმა — ქართველმა უნდა დაუდოს მსოფლიოს ხალხების და რელიგიების ერთობას საფუძველი. მედიატორი ავთანდილი უნდა იყოს. მით უმეტეს რომ გასულ წელს, 24 ნოემბერს, იმ ადგილზე, სადაც ტაძრის ნიშაა, ხალხმაც და ქალბატონმა გულნარამაც იხილეს მეორე დიდი სასწაული.

ციეი დღე იყო. ხალხი იყო შეკრებილი და მოესმა ხმა რომ გამოყოფილიყო ხალხიდან. ზეცით აიხედა და ყველამ იხილა სასწაული — ღრუბლებში კაშკაშებდა მზეზე უფრო ძლიერი საამო სულიერი მზე. და გამოჩნდა ყოვლადწმიდა ქალწული ზეცაში.

ქალბატონმა გულნარამ მეორე მხარესაც იხილა სულიერი მზის ნათელი. ამას კი ვერავინ ხედავდა. იმ მეორე მხარეს, მისი აღწერით, ასეთივე თეთრწვერა, გასხივოსნებული, კეთილი მზერის მქონე გამოსახულებას 1993 წელს, აღდგომის დღეს რომ იხილა ხალხმა ზეცაში, ეჭირა

*ბიბლიაში მოცემულია, რომ მთელ სახელმწიფოში მხოლოდ ერთი სტუმართმოყვარე გამოჩნდება და გადარჩება. ჩვენთან ქართულად მეტყველ მამულიშვილებში, სოფლებში ყველა კარი ღიაა სტუმრისათვის, ვერდში დგომისათვის, სარჩოს გაყოფისათვის, გაცემისათვის.

სხვაგან კი, თითოეული ცდილობს თუ როგორ მოატყუოს ათასები — დაამონოს და გამდიდრების წყაროდ გამოიყენოს.

კიდობანი. მან გახსნა იგი და გაიფანტა ზეცაში ულამაზესი სამი ანბანი, ულამაზესი ასოები, ციფრები მარგალიტებიყით, ულამაზესი ფერები.

ამგვარად, ოთხიათასი წლის მკვდარი ენა დახსნილი აღმოჩნდა ტყვეობიდან. ამით დასტურდება ჩვენი მიგნებაც, ხომ კიდობანი არის ანი და კიდო ბანი, ანუ ანბანი. ანბანი სამ სასოეანი ზეცით გახსნა. გაეიხსენოთ რუსთაველი, უქამისოდ არ გაიხსნება იგი, ლადგა ქამი და გაიხსნა — სამი მუზარადი, ანუ სამმა იბერიულმა რელიგიამ ამ ენით, ანბანით უნდა ისელმძღვანელოს.

შემდეგ მოხდა კიდევ სასწაული — დამრგვალდა ცისარტყელა. ანუ ვიცით რომ ის, როცა გამოდის ღრუბლებშია მაშინ უფალი იხსენებს აღთქმას და არ სჯის ხალხს. ახლა კი იგი დამრგვალდა ანუ ახლოვდება დასჯა ვინც არ მოეგება გონს, ნიშნად ამისა ზეცით გაისვა ჯერ ხაზი და შემდეგ გამოჩნდა ასო ი. ასომთავრულით ეს ხაზი ღმერთს აღნიშნავს, ხოლო ი გემატრიით ათია. ანუ მალე იქნება მეათე დასჯა. ამიტომ საჭიროა დროზე მოვეგოთ გონს და ის ვიწამოთ რაც სამარადჟამისოა ჩვენი სულისათვის, სამყაროსათვის.

ზ. გამსახურდია გადმოგვცემს: ეკლესიას, სინაგოგას, მეჩეთს და ქრისტეშობის მერე შექმნილ ენებს აქვთ საწყისი და სასრული — ანუ რაც ადამიანთა დროს შეიქმნა. ხოლო საწყისი არა აქვს და მარადიულია ის, რაც გამჩენმა შექმნა — ბიბლია, ენა და მათი წესით მართული თვითონ ქვეყანა, რომელიც ტაძარია ამ შემთხვევაში. ანუ ქვეყანა ტაძარი იქნება თუ მოსახლეობა აღიზარდა ბიბლიის და ენის მცნებათა დაცვით. ბიბლია იყო ჯერ მოსეს მიერ შექმნილ ტაძარში. შემდეგ სოლომონის მიერ და იქ ბუდობდა შეხინა — სულიწმიდა, ყველა ერთი ღმერთის მორწმუნე ერთნაირად ლოცულობდა, არ იყო დაპირისპირება.

სრულიად საქართველოში კი ენა. მისი სული, მცნებანი იყო გამეფებული და ამიტომაც სრულიად საქართველო იყო ტაძარი. ჩვენი საყდარი, ანუ საყრდენი დარიის ჰარმონიის ამ ენით ყველა ერთნაირად ილოცებოდა და ამიტომაც ჩვენში სული წმინდა თინათინი — შეხინა ამ დიდ ტაძარში საქართველოში მუდამ იყო და არის. ამ ენით ახლაც ვსაუბრობთ. აი ახსნა, რატომ არაა ჩვენთან ტყვეობაში თინათინი. და აი ახსნა, რატომ ებრძვის ბოროტება ამ ენას! მაგრამ რაც ღვთით არის დაბადებული ის მარადიულია. როგორც შეხინა — სულიწმიდა.

მაგრამ დღეს შერყვნილია ენის მცნებანი. ხელისუფლება ცდილობს დააპირისპიროს ეროვნებანი. მარიამი ხედავს ამას — ხედავს როგორ ცდილობენ ენის დამდაბლებას. ყველას საშველად მას ჯერ ტაძრის აგება სურს. აქ უნდა შევაერთოთ ყველა რელიგიის წარმომადგენელნი. ამ ენით, საერთო ლოცვებით უნდა დავსვათ ყველა რელიგიის წარმომადგენელნი ერთ ტაძარში, რათა იყოს სიყვარული და არა დაპირისპირება, ხოლო ტრადიციები ყველა რელიგიის და ხალხის წარმომადგენლებმა აღასრულოს თავის სურვილით. მართლმადიდებლობა ქართველთათვის ხომ ქართული ცხოვრების წესის ენას შერწყმული სულის საუნის რელიგიაა. უნდა იყოს ერთი საერთო დასვენების დღე, საერთო, გარდა არსებული დასვენების დღეებისა. როდესაც მესია გამოვლინდება სურსათი ალბათ ჯერ ორმოც წელიწადში ერთხელ მიიღება, როგორც წარღვნამდე იყო, ედემში კი სულ დასვენება — ჰარმონიაში ვიქნებით.

ამგვარად, ქართველნო! ანბანის გახსნა გვაუწყებს რომ ამ ენაზე მეტყველთან დაისადგურებს შეხინა—სულიწმიდა, რადგან ის უფლის მიერ არის მოცემული. ამ სულიერების გამო ამ ენაზე მეტყველთ აქვთ სიყვარული, ათი თვისება უფლისა, რაც „ვეფხისტყაოსანმა" და ჩვენს მიერ მოყვანილმა ფაქტებმა დაადასტურა. გაიხსნება კიდევ მრავალი საიდუმლოება. ამავე დროს „ვეფხისტყაოსნით" ავთანდილმა, ჩვენ, ქართველებმა უკვე ვიცით როგორ მოვერიოთ ბოროტებას, ქაჯებს, როგორ გამოვიყვანოთ კაეშანიდან ტარიელი ებრაელთა ერი, როგორ მოგვევლინოს მესია. ამისათვის ტაძარი უნდა ავაშენოთ, უნდა შევაერთოთ ფრიდონი, ტარიელი მთელი კავკასია ერთი ენით და ერთი წესით უნდა ვილოცოთ.

ადრე ამაზე არ ვწერდით, ახლა ყველაფერი ცხადია,მხოლოდ უგუნური იქნება საპირისპირო მხარეს! მედგრად, ძლიერად ვიმეტყველოთ ქართული ენით, ენა ჩვენი სულის საზრდოა: მან გვიხსნა ფარნავაზის დროს, მან გვიხსნა მარიამის დამოძღვრით წინა ათასწლეულს, მან უნდა იხსნას ახლა ჩვენც და მთელი კაცობრიობა.

აი ჩვენი მისია, რეალობა, უფალი მაშინ შეგვეწევა ჩვენ და მოევლინება სამყაროს სამი მზე, სამი ანბანი, თორა, ნესტანი, თინათინი. დაიბუდებს ჰარმონია, სიყვარული.

აღვადგინოთ ტრადიციული იბერიული მმართველობის ცხოვრების წესი. ყველასგან დამოუკიდებლად, სამღვდელოებასთან შეთანხმებით — მჭიდრო კავშირში. ვიყოთ მხოლოდ უფ-

ლის მოყვარულნი, შიშიც მისი ჯობს, ვიდრე კერპთა. ისევ ბიბლია და ენა, „ვეფხისტყაოსანი", ხალხური სიტყვა, სიბრძნე გავხადოთ ჩვენი ცხოვრების სულის კონსტიტუცია.

მხოლოდ ეს ვისწავლოთ და ვისწავლოთ. მაშინ ვიქნებით ყველა სულით და ცოდნით მომაღლებულნი. იქნება უპრობლემო, სიყვარულით მთენილი ჰარმონიული ქვეყანა. გავიტანთ ამ ცხოვრების წესს, სხვა ქვეყნებშიც და სამუდამოდ ამოიძირკვება ბოროტი.

ამგვარად, ვიმოქმედოთ, ვილვაწოთ იმისათვის, რომ ჩვენი მომავალი, შთამომავლობა გადავარჩინოთ და არა იმისათვის, რომ მონად ვიყოთ და როგორმე მუცელი გავიძღოთ, სული და შთამომავლობა კი გადაშენდეს. ჩვენი ერის ბედი ყოველი „მე"–ს, პიროვნების ხელშია.

ნუ იზამთ! ნუ წარმართავთ თქვენს ოჯახს, სოფელს, ქალაქს, რეგიონს, საქართველოს უზნეობათა წესით, გარყვნილებით, რაც ქართული სულის ტკივილი, ტანჯვაა, ჩვენი ფიზიკური არამყოფობაა, გადაშენებაა. წარვმართოთ ისინი ქართული ტრადიციული ზნეობით, სიყვარულით, ერთობით, რაც სულის ჰარმონია, დღეგრძელობა, მნეობაა, სიხარულია, სიკეთეა, ჯანმრთელობაა.

დავაჩქაროთ ის, რაც ნაწინასწარმეტყველევია და სიხარულია უფლისა.

დასასრულს ერთი შემთხვევა მინდა გავიხსენო. მეჩქარებოდა „მოძმეთაგან" განწირული, ნაღვლიანი მერაბ კოსტავას ქუჩის აღმართს ავყევი. როცა ორ პიროვნებას მივუახლოვდი „მაღლევგო" წამოიწყეს. გამიკვირდა, დარდიც გადამავიწყდა სიამოვნებით ვუსმენდი. როცა გავცდი სიმღერა შეწყვიტეს. ერთმა მათგანმა გვარით შემომძახა: ნუ გეშინია, მაგრად იყავიო. ურთიერთთანადგომის, სიყვარულით სავსე მზერით დავცილდით, ზეიადის დროს რომ ეწევდით ხელს, ისე.

მსგავსი შემთხვევები მრავალი ყოფილა. ერი როცა „შავლეგოს", „მუმლი მუხასას", „შენ ხარ ვენახს" მღერის, წინაპრების სულიც მღერის მაშინ და ძალიან, ძალიან ბევრი ვართ ქართველნი, ერთ მუშტად ღმერთის და სამშობლოს სიყვარულით შეკრულნი. აი, საიდანა აქვთ ძალა ავთანდილს, ტარიელს, ფრიდონს, ჩვენ მოდგმას, ათასებს რომ ერთი ამარცხებდა. სიმღერაა, ენაა ქართული, სიტყვაა ის გამკურნავი ფენომენი, რომ სასიკვდილოდ განწირულნი სხვათათვის გაუსაძლისს ვუძლებთ და დღესაც გმირია მთელი ერი. იქ, პარლამენტში თუ ენას, ზნეობას იმახინჯებენ — უპირისპირდებიან, ერი მაინც ერთიანია, სიყვარული აქვთ. მაღლევგოთი და ქართული სიტყვით ჰკურნავენ ურთიერთს. გამოცდის, გაძლების და ქართველობის შენარჩუნების, ჩვენი ცხოვრების წესის აღდგენის გასაღებიც აქ არის. აღიზიანებდა ეს ბოროტებას — არა იბერიულ სულს. ენა ქართული და მისი სიმღერა, ბიბლია და მისი საგალობლები კი მიდიოდა და მიდის ღმერთთან, ამარცხებდა და დღესაც დაამარცხებს ბოროტებას. რიცხობრივადაც მცირდებიან ისინი, სული ხომ ღმერთთან მიდის,...

# განმარტება №1

## იბერიული-ქართული ენა, დედა ენა – შუძე, ანუ პირველადი ენაა

როგორც ვიცით ნოეს დაერქვა სახელი ალალი. გამოჩენილი გერმანელი სწაელული ფრიც გომელი ასაბუთებს ალა–როდიელური ოჯახის შთამომაეალნი ქართველები არიანო. ეს აღიარა მთელმა მეცნიერულმა ელიტამ, თუმცა ბიბლიის ჭეშმარიტებას ეინ გაექცევა – კიდობანი ხომ კაეკასიაში გაჩერდა და აქ გამრაელდა იბერიული მოდგმა. თუ ადრე ალაროიდული ოჯახი არსებობდა მათი სალაპარაკო ენა როგორც მეცნიერნი ასაბუთებენ თაედაპირველად ალარდოდიული უნდა ყოფილიყო. ე.ი. იბერიულ კავკასიური. რომ ეს ასეა ამაზე მრაეალი აზრი არსებობს. მოდით მიეყვეთ ცნობილ მეცნიერთა კვლეევებს.

მიხაკო წერეთელი ასაბუთებს, რომ ქართველი ტომები ლ·ურსმ·ული დამწერლობის შემქმნელნი არიან. მის აზრს იზიარებენ ცნობილი მეცნიერები ეუკოლ ბერიძე, თედო სახოკია და მრავალი ევროპელი მეცნიერი. მათ შორის პოლანდიელი იან ბრაუნი. /გელოვანი „მარად ცოცხალი ხელოვნება“ გე 47–54/ თუ ლურსმული დამწერლობის პიონერები ქართველები არიან, მაშინ, მართლაც ელემენტარულად მტკიცდება, რომ ქართულიდან განეითარებულა ყველა კულტურა და ენაც.

გასულ საუკუნეში გამოჩენილი ფრანგი არქეოლოგი, დიდი ორიენტალისტი სორბონის უნიეერსიტეტის პროფესორი ფრანსუა ლენორმანი ასკენის, რომ ურარტუს მკეიდრნი, ალაროდიელნი, იგიეე არარუდელნი იბერები, ანუ ქართველები ყოფილან და მათი ლურსმული წარწერებიც უფრო ადრინდელია, ვიდრე ამ მიწაწყალზე მოგვიანებით მოსული სხეა რომელიმე ხალხისა. იგი ამავე დროს აღნიშნაედა: ურარტუს ენის გაგება შეუძლებელია ქართულის გაუთეალისწინებლად. ამ მეტად ავტორიტეტულმა მეცნიერმა, ბოლოს და ბოლოს, დაძრა ყინული მსოფლიოს მეცნიერებაში. ბეერმა მეცნიერმა აღიარა, რომ ლურსმული დამწერლობის პიონერები ქართველები იყვნენ, ხოლო ქართველთა მონათესავე ტომები შუმერები და ურარტუელები იყვნენ.

ქართველ–ებრაელ მკელეეარს ი. პაპიაშვილს /ი. პაპიაშეილი „პურიანი ქართველნი“ ეინ იყენებენ ისინი მენორა № 7,8, 1996 წ/ მოჰყაეს ამ ფრანგი მეცნიერის ლენორმანის მიერ პარიზში 1874–83 წლებში გამოკელეული მასალა, სადაც შესწაელილია ნინეეიის ნანგრეეებში აღმოჩენილი თიხის ფირფიტებზე აღბეჭდილი ლურსმული დამწერლობის გრაფიკული სისტემა, როგორც ამ დამწერლობის წაკითხეის სახელმძღვანელო. ამ კელეეის შედეგად ლენორმანი იმ დასკენამდე მიეიდა, რომ შუმერული აქადური ენა საერთოდ არ არსებობდა.

ი. პაპიაშეილი ფუნდამენტალურ კვლევათა საფუძეელზე ასკენის თუ დაკეირეებით წაეიკითხაეთ „ქართლის ცხოვრებას“, მისი რამდენიმე ეპიზოდის გადმოცემა მიგვიყვანს აზრამდე, იგი იწერებოდა ისტორიულ პერიოდთა შესატყვისად და ქართული დამწერლობა არსებობდა უფრო ადრე, ვიდრე შუმერული. თუმცა მისი დახეეწაც შემდეგ საუკუნეებში ხდებოდა. „ქართლისიანები მეტყველებდნენ ქართულად ამდენად ქართ·ული ენა ისევე უძეელესია, როგორც ქართველი ერი და მას ოთხათასწლოეანი ისტორია აქეს“. ამაეე დროს ასაბუთებს, რომ ქართლის ცხოვრება იქმნებოდა ძეელი აღთქმისგან დამოუკიდებლად და თაეისთავად.

იგიეეს ადასტურებს დ. ბაქრაძე „საქართველოს ისტორია უძეელესი დროიდან იწერებოდაო“, /მ. ლორთქიფანიძე, რა არის ქართლის ცხოვრება გე 29/. საინტერესოა მეცნიერთა აზრი ოქროს საწმისის თაობაზე.

მე–II–III საუკუნეში მოღეაწე ხარაქსი პერგამონელი გადმოქეცემს: ოქროს საწმისი არის ტყავზე, ეტრატზე დაწერილი ოქროს მოპოეების წესი. რისთვისაც, როგორ სარწმუნოა, „არგოს“ ლაშქრობა მოეწყო. /ე. ვაშაკიძე, დ. პაიჭაძე, ქართველი ერის ჩამოყალიბება, თბილისი, 1990წ. გვ. 13/ იგივე აზრისა იყო ცოტა მოგეიანებით, VII საუკუნეში იოანე ანტიოქელიც იგი ოქროს საწმიის ტყაეზე ნაწერ წიგნად თვლიდა.

ცნობილი ლექსიკოგრაფი სეიდა კოლხთა ოქროს საწმისს ტყავზე დაწერილ წიგნად მიიჩნეედა.

აპოლონიოს როდოსელიც კი, მათზე უფრო ადრე, ძ.წ. III საუკუნეში აცხადებს, რომ ამ პერიოდში ქართველებს ჰქონდათ თავისი მამებისგან შემონახული ქვისა და ხის კეირბები ე.ი. წიგნები, სადაც წყლისა და ხმელეთის ყველა საზღვარია მოგზაურთათეის ნაჩვენები.

მრავალი ევროპელი მეცნიერი ქართული დამწერლობის 1500 წლოვან ასაკს საბჭოთა მკვლევარების მიერ აღიარებულს ასევე ათეული საუკუნეებით უკან სწევს. მათ შორის ოლდენბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ვინფრიდ ბოდერი ( წკთსრგგპ ვბე უ ღკუ ფქღგბპბ 1979)ძ

და მართლაც უდიდესი მეცნიერები ნ. მარი პ. ჯონსტონთან ერთად ვარაუდობდა, რომ პრეისტორიულ ხანაში არსებობდა პირველადი ბასკურ—კავკასიურ—დრავიდული ენა, სუმერულისა და ელამურის პარალელურად და რომ სუმერული, შესაძლოა, ყოფილიყო შემაერთებელი რგოლი პირველად ბასკურ—კავკასიურსა და პირველად მონგოლურ ჯგუფებს შორის, ვინაიდან არსებობდა პირველადი და უძველესი ბასკურ—კავკასიურ—დრავიდულ—სუმერულ—მონგოლური.

სხვა მეცნიერები ამ ბასკურ—კავკასიურ დრავიდულ ენას აიგივებდნენ ალაროდიულ ენასთან. ჩვენ კი ვიცით, რომ ალაროდიელები ქართველები იყვნენ. აქედან ჩანს ქართული ენა ყოფილა პირველადი.

არც ბასკური და ქართული ეთნოსის ერთი ფუძის წარმომავლობაა საკამათო. ლენორმანმა, გომელმა და სხვებმა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში აღმოაჩინეს ბასკურ და ქართულ ენათა, ფოლკლორის მსგავსება, ერთი ფუძე და ფესვი. დღეს ეს მთელმა მსოფლიომ იწამა. ესპანელი სწავლული დასარო კარსტი წერს: უსხოვარ წარსულში, შესაძლოა, მთელი ხმელთაშუა ზღვის აუზში არსებობდა ლანგვისტური ერთგვარობა, საიდანაც შემორჩა მხოლოდ კავკასიური ენები და ბასკური ენა. ამ კავშირის აზრს იზიარებენ ანტონიო ტოვასო და ლუის მიჩელენა.

ფრიდრიხ ენგელსი არც თუ უსაფუძვლოდ თვლიდა ბასკებს, როგორც იბერიული რასის უკანასკნელ დიდ წარმომადგენელთ ევროპაში. მხოლოდ ბასკებმა, ამ მთის ხალხმა შეინარჩუნეს ნაწილობრივ მათი წინაპრების სიკეთე, სიწმინდე და კულტურა. იგივე შეიძლება ითქვას დიდ ბრიტანეთში არსებული მთის მოსახლეებზე შოტლანდიელ, ირლანდიელ და თვით ინგლისელებზეც, რომელნიც ძნელად თმობენ წინაპრების ტრადიციებს, რაც კეთილკაცობის სამჭედლოა.

ნ. მარი და პ.გ. უელსი აღნიშნავდნენ, რომ ბასკები იბერების შთამომავალნი ეკუთვნიან ნეოლოთიურ ხმელთაშუა ზღვის მოდგმას /პ.გ. ჯელსი, ისტორიის კურსი ინგლისურ ენაზე, გვ. 91/.

ამგვარად, ალაროდიული ენა ფუძე ენა ქართული ან მისი მსგავსი უნდა ყოფილიყო და აქედან უნდა გავრცელებულიყო სხვა ენები. აღნიშნულის დასტურად საჭიროა მკითხველი გაეცნოს ვ. ჰუმბოლდტის დასკვნებს გადმოცემულს ზ. გამსახურდიას მიერ. /ზ. გამსახურდია, იქვე 192—199/.

## ქართულ კავკასიური – იბერიული მიწათმოქმედება დედაა ყველანაირი კულტურული განვითარებისა.

ამგვარად ფაქტია რომ მხოლოდ ქართულ კავკასიურ კულტურას რომელიც დედაა ყველა კულტურისა აქვს მსგავსება ძველ კულტურებთან. და მხოლოდ ქართული ენები წააგავენ კავკასიურს და უძველეს ენებს. ქართველური ენები არიან ფუძე ენები სხვა ენათა (მაგალითად მსგავსება ივრითულისა და ქართულისა იმაშიც გამოიხატება რომ წინადადებას არ ვიწყებთ დიდი ასოებით ანუ არ გვყავს კერპები ისევე როგორც ჩვენი ცხოვრების წესში. ლურსმული ანბანიც ხომ საოცრად წააგავს ივრითულს.).

ცნობილ ქართველ ებრაელთა კვლევებით ცნობილია რომ სემიტები კავკასიიდან – იბერიიდან გადავიდნენ ქანაანზე (აკად. ი. დავიდი, პროფ. ე. მამისთვალაშვილი, ი. პაპიაშვილი.) ამას ადასტურებს ბიბლიაც როცა ნოემ დაწყევლა ქამის შვილი ქენაანი რომელიც უნდა იყოს მონა სემიტების და იაფეტიდების რომელნიც ასევე გადადიოდნენ იქ. (უშუალოდ ქამი იმიტომ არ დაწყევლა რომ მანამდე ღმერთმა აკურთხა სამივე ძმა სიტყვებით რომ განაყოფიერებულიყვნენ.)

დაბოლოს თ. გამყრელიძე და დ. ივანოვი ნაშრომში „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“ თბილისი 1998 წ. რუსულ ენაზე გვ 90. ასკვნიან: ზოგად ქართველური ფუძე ენის დიფერენციაცია ცალკე ენებად შეიძლება დათარიღდეს ძ.წ. მეორე—მესამე ათასწლეულებში. ეს კიდევ ერთხელ ასაბუთებს რომ აქედან განვითარდა ყველა ერის კულტურა.

სწორედ ქართულიდან პოვა განვითარება დიდი დედის სალოცავმა ბერძნებში და რომაელებში. ქართული ღვთაება კვირია კი ეგვიპტელთათვის აღოჩნდა დამახასიათებელი.

ელ. ალფანიძე აღნიშნავს რომ სიტყვა ბასქი მეგრულად „ფაშქის" ფაზისის შვილს ჰქვიოდა. ფაზისი კი როგორ ვიცით რიონის ძველი სახელია, როგორც შუმერებმა განადიდეს რიონი ასევე მოიქცნენ ბასკები და ამერიკელები, ამერიკაში ხომ ორმოცზე მეტი მდინარის დასახელება და სხვა ტოპონიმი რიოდან იწყება.

ცნობილი მეცნიერის ა. დორინგის გამოკვლევით, პირინეიზე ჩამოსულმა ბასკებმა აღმოსავლეთის „ყველაზე უფრო ცივილიზირებული ქვეყნიდან, საქართველოდან ჩაიტანეს შეუდრეკელი მებრძოლის, საომარი იარაღის ჩინებული მცოდნისა და ბრინჯაოს, რკინის, ფოლადის ნაკეთობათა ხელოვანი ოსტატის ტრადიცია". (აკაკი გელოვანი იქვე გვ 45—65).

როგორც მტკიცდება, ჭიათურის მიდამოებში ცხოვრობდა უძველესი ქართული ტომი — ხალიბები რკინის მადნის პიონერები. სვანეთში არის სოფელი ხალდე, ხოლო ჭიათურის რაიონში სოფელი ხალიფაური — ხალიბაური. ბერძნებმა ხომ რკინას ხალიბთა სატომო სახელი ხალიფსი უწოდეს. ამ ქართულმა ტომმა კაცობრიობას რომ აჩუქა რკინის მოპოვება—გადამუშავების ხელოვნება, ამას ადასტურებენ ანტიკური ხანის მთელი რიგი მოღვაწენი — ქსენოფონტე, აპალონიოს როდოსელი, ფსევდოარისტოტელე, სტრაბონი, პლინიუსი. დღეს კი ამ ფაქტს მრავალი არქეოლოგიური მონაპოვრების საფუძველზე ადასტურებენ ცნობილი უცხოელი მეცნიერები ე. გორდონჩაილეი, ფ. ლენორმანი, ასიროლოგი ებერჰარდ შრადერი და სხვა.

მსოფლიო მეტალურგიის პირველი ისტორიის ავტორი რ. ფორბსიც ინგლისელ ლ. ეიჩოსთან ერთად ამტკიცებს, რომ ქართველთა ტომებმა მოსინიკებმა და ხალიბებმა /ქალდეებმა/ კაცობრიობას მისცეს ვერცხლიის, ტყვიის, რკინის, ფოლადისა და თითბერის წარმოების საიდუმლო. მათი ნაწარმი აღმოჩნდა კვიპროსზე, ბაბილონში, ბალკანეთში.

ხალიბებსა და ტიბარენებს პირველ მელითონეებად თვლის დიდი გერმანელი მეცნიერი, ათასზე მეტი შრომის ავტორი რუდოლფ ვირხოვი /გარდ. 1902 წ/, რომელიც გადაჭრით ამტკიცებს: პონტოში /ე.ი. კოლხეთის მიწა—წყალზე/ მცხოვრებმა სახელოვანმა მოსინიკებმა, ხალიბებმა, ტიბარენებმა აღმოაჩინეს თითბერი, ფოლადი. ამასვე ამტკიცებს ივ. ჯავახიშვილი და აქ სადავო აღარაფერია. სახელებიც ამასვე გვიდასტურებენ: ბერძნული „ქალკოს", „ხალკოს" /სპილენძი/ ამ ტომის /ხალიბთა/ სახელია. /იგივე სიტყვა ნიშნავდა ბრინჯაოს, თითბერს/. /გ. კვირკველია, უცხოელი მეცნიერები უძველესი ქართველი ტომების მელითონეობის შესახებ, „საქართველო", 1997/.

იგივე ძველი ბერძნები კოლხურ მოსახლეობას „რკინის გამომგონებლად" თვლიდნენ. მათ ისტორიულ წყაროებში ასახულია, თუ როგორი მეტალურგია იყო განვითარებული საქართველოში რკინის მისაღებად. ისინი აღნიშნავდნენ, რომ მხოლოდ აქაურ რკინას არ ეკიდება ჟანგი და ვერცხლში ძნელი გამოსარჩევიაო. აღწერილია, ასევე, უმაღლესი ხარისხის სპილენძის მიღების ტექნოლოგია. აღნიშნულია, რომ ეს არის უმდიდრესი ქვეყანა ოქროთი, ვერცხლითა და სხვა მინერალებით. მაგალითად, იბერიაში წარმოებდა სინგურის მოპოვება, რისგანაც წითელ საღებავს ამზადებდნენ. აღნიშნავდნენ მედიცინის უმაღლეს დონეს, ოქროს წარმოების პირველადობასაც, რაც მითოლოგიურად მტკიცდება. „საქართველოს ისტორია" მეცნიერება. მესამე გამოშვება 1990 წ. გვ. 382.

ცნობილია, რომ გაშენებული იყო მეფე იაზონის მეუღლის ჰეკატეს ბაღი, სადაც ორმოცდაათამდე სამკურნალო მცენარე იზრდებოდა. მსგავსი რამ მსოფლიო კულტურამ არ იცის, არამცთუ 3500, 2000 წლის წინათაც. ამავე დროს, საქართველოში, კეთდებოდა თავის უნიკალური ქირურგიული ოპერაციები.

და ბოლოს, როგორც ცნობილია მეცნიერებაში, ბევრი მიმართულება პიროვნების სახელიდან ვითარდება — ვენერა ვენეროლოგია, აფროდიტა აფროდიტოლოგია, ასევეა ფარმაკოქიმია და სხვა. უეჭველია, რომ მედიცინაც კოლხი ქალის მედეას სახელს უკავშირდება. ამას ამტკიცებს ის ფაქტიც, რომ ბერძნულ წყაროებში სიტყვა მედიცინა მოგვიანებით ძ.წ. 13—12 საუკუნეებში ჩნდება. მედეას ბაღის 50—მდე სამკურნალო მცენარეც ხომ მსოფლიო მედიცინის მონაპოვარია. ამაზე ჯერ კიდევ 1792 წელს წერდა დიდი გერმანელი მეცნიერი კურტ პოლიკარპ იოახიმ შპრენგელი. იგი იყო „პათოლოგიისა და ბოტანიკის ისტორიის" ავტორი. მისი კაპიტალური 5 ტომეული „მედიცინის პრაგმატული ისტორია" იწყება სწორედ კოლხური მედიცინით.

აპოლონიოს როდოსელი ძვ.წ.აღ. III ს. პრომეთეს ქართულ წარმომობასაც ადასტურებს, ოღონდ; იგი ამირანის მაგიერ პრომეთეს უწოდებს მას. იქ უკანვავე სპილენძის ჯაჭვით დაუკრავთ კლდეზე დიდი პრომეთე". არგონავტების მითი გვეუბნება, რომ მანამდე მხოლოდ

კოლხთა მეფე აიეტი მზის შვილი ხნავდა სპილენძის ჩლიქებიანი ხარებით, რომელიც ცეცხლს აფრქვევდნენ. (აპოლონიოს როდოსელიც „არგონავტიკაში" იხსენებს ფოლადის სახნისიან გუთანს). ცეცხლი ხომ ყოველთვის ცოდნასთანაა დაკავშირებული, ამ შემთხვევაში კი უდიდესი მიწათმოქმედების ცოდნასთან. მზის შვილიც იმიტომ ვეწოდებოდა. სხვა კიდევ ბევრი რამაა ისეთი ამ მიწაზე, საქართველოში, რომელსაც ძალიანაც რომ მოინდომონ, ვერ მიაწერენ ვერც შუმერებს, ვერც ბერძნებსა და ვერც ევრაელს.

საქართველოში შემორჩენილია 5000-ზე მეტი ხუროთმოძღვრული ძეგლი. მსოფლიოს ყველა მეცნიერი გაკვირვებულია ამ და სხვა მრავალი სასწაულით. 1978 წელს, საფრანგეთის დიდ სწავლულთა ჯგუფი წერდა: დედამიწის ზურგზე არ გვეგულება ქვეყანა, ეგზომ მცირე მიწაწყალზე ამდენი ძეგლი რომ გააჩნდესო.

იქნება ეს რუსი თეორეტიკოსი სტასოვი, თუ უცხოელი მკვლევარი ქალი ედით ნოიბერგი, ყველა აღნიშნავდა ჯვარის, სვეტიცხოვლის, ნოკორწმინდის, სვანური კოშკებისა და სხვა ნაგებობათა შთამაგონებელ ძალასა და თავისთავადობას.

დ. აინალოვი აღნიშნავდა ბიზანტიურისკენ ელინისტურ ხელოვნებას საფუძვლად ედო ქართული ხელოვნება. გერმანელი მოღვაწე გუსტავ კირვი: ქართულმა ხუროთმოძღვრებამ, ბერძნულ ბიზანტიურისა და რომის გზით, ზეგავლენა მოხდინა გერმანულსა და, საერთოდ, ევროპულ ხუროთმოძღვრებაზე". /საქართველოს ბუნება, 1979, 109.

XVI საუკუნის სერბიული ქვის მექანდაკებლობაშიც ფრანგი მეცნიერი გაბრიელ მეი და იუგოსლავიელი პეტკოვიჩი XV–XII საუკუნეების ქართველ მოქანდაკეთა ზეგავლენას ხედავენ. (აკაკი გელოვანი გვ. 54–66).

ამგვარად, ქართული კულტურა და ისტორია ვითარდებოდა რა თავისთავად, განვითარების პერიოდში მას შეჰქონდა ცოდნა, სინათლის შუქი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ბერძნული კულტურის — მედიცინის, ხელოვნების, რენესანსი საქართველოში, კავკასიაში, არსებული ცოდნის გაზიარების შემდეგ იწყება. იგი ხდება უმდიდრესი ქვეყანა, რაც საფუძველია მისი შემდგომი სამხედრო ძლიერებისა.

სოფლის მეურნების პირველადობასა და ვაჭრობის განვითარებასაც საქართველოში, ძირითადად, მრავალი ბერძნული წყარო მოწმობს.

ისინი ადასტურებენ, რომ ძ.წ. 10 საუკუნიდან მოყოლებული ქართველები ენითა და კულტურითაც უკვე საგრძნობლად გამოირჩეოდნენ მეზობელი ქვეყნებისაგან. განსაკუთრებით, მნე–ჩვეულებებით, მატერიალური და სულიერი კულტურის მხრივ. აღებ–მიცემობა და ვაჭრობაც დიდად იყო განვითარებული.

უხვად გადიოდა საქართველოდან როგორც სურსათი: განსაკუთრებული გემოვნების თაფლი, ხეხილი, პურეული, ასევე სამრეწველო საქონელი, სელი და სელის ქსოვილები, ბეწვეული, ტყავეული, აბრეშუმი, ძვირფასი ხის, მაგალითად ბზის, მასალა, ოქრო, ვერცხლი და სხვა ლითონები. მრავალი სახის ხეხილი, ხორბალი და სხვა კულტურა საქართველოდან გავრცელდა სხვა ქვეყნებში. პური იმდენი მოჰყავდათ, რომ წინა წლის მოსავალი ყოველთვის ბევრი რჩებოდა. იტალიელი მისიონერებიც აღნიშნავდნენ რომ ნახევარზე მეტი მოსავალი არ იკრიფებოდა. არისტოტელე წერდა, რომ ფაზისში ჰყავთ პატარა ძროხები, რომელნიც ბევრ რძეს იძლევიანო. /საქართველოს ისტორია, მესამე გამოცემა, გიორგი მელიქიშვილის რედაქციით 1990 წ. მეცნიერება 382 გვ/ მადლობა ღმერთს მთის ეს საქონელი დღემდე არის შემორჩენილი საქართველოში.

ჯერ კიდევ მე–10 საუკუნეში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ჰომეროსი აღნიშნავდა: „ქართველები მჩქეფსა და სურნელოვან ღვინოს აყენებდნენ". ისტორიულ და არქეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით, პროფ. კუფტინი, ადასტურებს, რომ ვაზის კულტურასა და მევენახეობას საქართველოში 7000–წლოვანი ისტორია აქვს. პროფესორი კ. მოდებაძე კი ასკვნის, რომ ვაზის კულტურა და მევენეობა ეგვიპტელებს საქართველოდან გადაუღიათ. /ზაზა ნერსეზაშვილი „ღვინოშია ჭეშმარიტება" <გეა> 1993 წ. გვ.43/

თუ გავითვალისწინებთ, რომ ბრინჯაოსა და, განსაკუთრებით, რკინის იარაღმა ადამიანის შრომა უფრო ნაყოფიერი გახადა, გასაკვირი არ უნდა იყოს ქართული მიწის ბარაქა, ოდითგანვე განთქმული რომ იყო ისევე, როგორც ხუროთმოძღვრება, ოქრომჭედლობა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე სტრაბონი ამბობდა: „ეს მდიდარი ქვეყანაა, რომელსაც შეუძლია ძალიან ხშირი მოსახლეობა ჰყავდეს. შემდგომ, იგი დასძენდა: „არიან ქვეყნები, სადაც სილამაზე უპირატე-

სად არ ითელება, რადგან ყველა ლამაზია. მოგზაურები ამას ერთხმად ამბობენ საქართველოზე".

მე–18–20 საუკუნეებში მოპოვებული მასალებიც თვალნათლივ ადასტურებს, რომ ამ პატარა ქვეყანას სოფლის მეურნეობაში აბორიგენულ–ენდემურ სახეობათა და ჯიშთა სიმრავლით კი ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეედრება, რაც უდიდეს სამიწათმოქმედო კულტურაზე მიუთითებს. ავიღოთ თუნდაც ხორბალი, რომელიც სახელმწიფოს ძლიერებას გამოხატავს. საქართველო კულტურული ხორბლის წარმოშობის პირველად და დამოუკიდებელ კერადაა აღიარებული. ათასწლეულთა მანძილზე სახეობათა და ფორმათა წარმოქმნის უწყვეტი პროცესის შედეგად გავრცელებული იყო ამ კულტურის 12 სახეობა. მსოფლიოში კი 25 სახეობაა ცნობილი. ტყუილად არ ამბობდა ქართველი: „პური ჩვენი არსობისა". ან ვაზი, ჩვენ ხომ მისი 600 ჯიში გვქონდა, თითქმის ნახევარი მსოფლიოში არსებული ჯიშებისა. დაახლოებით ასეთი პროპორციაა სხვა კულტურებშიც: 150–ს სცილდება ვაშლის ჯიშები. მსხლის 50 და კომშის 75 უნიკალური მარგებლობის ჯიში არსებობდა. აქ იმდენი ყველის სახეობა იწარმოება რომ იგი აღემატება მსოფლიოში არსებულ რაოდენობას. /თ.მდინარაძე, მესიაკ 1991 წ/

როცა მსოფლიოს რუკაზე პატარა წერტილად მოსჩანხარ და კულტურათა ნახევარი აქ წარმოიქმნება, ეს ამტკიცებს აზრს სოფლის მეურნების და კულტურათა აქედან გაერცელების.

/ქართული ფოლკლორის, ხელოვნებისა და, საერთოდ, ცხოვრების წესის პირველადობაზე, უნიკალურობაზე და გამორჩეულობაზე, და ქართული ტოპონიმების გავრცელებაზე აღარ გადავტვირთავთ ამ მასალას. ამაზე ცოტაოდენი მასალა ნაწარმოებშიცაა.

უეჭველია, აქ უნდა დარწეულიყო კაცობრიობის განვითარების აკვანი. სამოთხე, ქვეყანა – ედემის ბაღი. ამ გამონათქვამს ყველა ადამიანთა მიერ ჩვენ არაერთხელ შევხვდებით საქართველოზე. და ეს არცაა გასაკვირი რადგან მხოლოდ ჩვენს ქვეყანას მფარველობს შესინა – სული წმინდა – დიდი დედა – ზეციური მდედრობითი არსი.

## განმარტება №2

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ პირველი სიტყვა: ღ–მ–ერთი, აღნიშნავს ღ–ღვთიურს, მ–მაღალს, ერთს. ეს ერთი სიტყვა ცვლის პირველ სამ მცნებას ათ მცნებაში. ვისაც ახლად უნდა შეეცნო, რომ უფალი ერთია, მისთვის საჭირო იყო დამატებითი მცნებანი, რათა გამტკიცებულიყო ეს უმთავრესი თეზისი, ყველაფერი ხომ მასზეა დაფუძნებული. ამას არეგულირებს: მეორე მცნება, „არა ჰქმნა თავისა შენის კერპი", სიტყვა კ–ერ–პი გვეუბნება კ–კაცი, ერ–ერის პირისპირ, ანუ ერს დაპირისპირებული. ასეთ კაცს ერი აუცილებლად მოკვეთდა.

ამავე დროს, ქართველის ნებაც, სურვილიც იყო მცნებების დაცვა. ამას თვითონ სიტყვა მც–ნება გვეუბნება. ეს მცნებათა დაცვა იყო სიყვარულის – გაყოფის საფუძველი. ღმერთმა საფუძვლად სიყვარული ჩადო მის მიერ შექმნილ სამყაროშიც. სიყვარული იქ არის, სადაც ჩანს კავშირი და არა დაპირისპირება.

მეორე სიტყვა გაყოფაა. ნებისმიერი კავშირი იმ შემთხვევაშია უმშვენიერესი, როცა დაცულია პროპორცია, თანაბრად დაყოფის თეორია. ამ შემთხვევაში პროპორციის წევრებმა შეიძლება შეცვალონ ერთმანეთი, კავშირი – ბალანსი კი არ ირღვევა. გავიხსენოთ პლატონის მიგნება, რომ ღმერთმა პროპორციული რაოდენობის მწყობრი კავშირით შექრა: ცეცხლი – ანუ ალი, მადლი, ენერგია; ჰაერი, წყალი და მიწა. ხოლო ამის შემდეგ მათში აღმოცენდა სიყვარული და ამ კავშირის დარღვევა არავის ძალუძს, გარდა უზენაესისა. მან ასე ააგო კოსმოსი – მილიონი ნაწილისგან შემდგარი, სრულქმნილი, უბერებელი, სნეულებისათვის მიუწვდომელი არსი, რომ ნაშთი არ დაუტოვებია. ე.ი. ვერც ერთი ვერაფერს ვერ მოიმატებს, რომ მეორეში წარმოქმნას შური. აი, რატომაა უბერებელი, სნეულებისათვის მიუწვდომელი სამყარო. ჩვენ ვიცით, რომ შური და დაპირისპირება საფუძველია იმისა, რომ ადამიანი ბერდება და კვდება, ეს მოდის კაენიდან, რაც უფრო იმატებდა ბოროტება – შური, მით უფრო უმცირდებოდა ადამიანს სიცოცხლის ხანგრძლივობა. ემატებოდა დაავადებანი: ავ–ად–მყოფი. ე.ი. ავადმყოფობა, არა სწორი გაყოფაა. ბევრს ავი იმატებს, როცა სხვისაზე მიუდის თვალი – ავად ყოფს იგი. ამიტომაც ქართველი თითქმის არ ავადმყოფობდა.

პროპორციული გაყოფა, ზომი–ერად (ანუ უსაზღვრო მომატებისას ზომაზე მეტს იღებ და არ ხარ ერი). აი, სად არის უბერებლობის, ჯანმრთელობის, გაუ–ღიზიანებლობის და მუდმივი სიყვარულის არსებობის კანონი. პროპორციულად იქნება ჩვენთვის, ჩვენი სიცოცხლისათვის

გაუბინძურებელი ოთხივე კომპონენტი. ამგვარად, გაყოფა და ზომი–ერება – აი, სად დევს სამყაროს მუდმივმოქმედების კანონი და კანონი იმისა, რომ სიყვარული, სიკეთე უძლეველია. ამავე დროს, იგი სამყაროს მდგრადობის საფუძველია. ადამიანის უვიცი მოქმედება ვერ ცვლის ამ პროპორციას. რაც უნდა მავნებლურად იმოქმედოს მან, სამყაროს გააჩნია დამცავი მექანიზმები. გა–ყოფა ქართული ენის ერთ–ერთი საყრდენი სიტყვაა. ამაზე მიგვანიშნებს სიტყვა ნაყოფი–ერი. ნაყოფიერება აქვს იმ ერს ვინც ყოფს, ხოლო როცა ყველა ცდილობს მეტი ჰქონდეს, ეს იწვევს ურთიერთქიშპობის, ნერვების, სულიერი და ფიზიკური რესურსების ცვეთას. ადამიანი მალე გამოდის წყობიდან და მიდის ამ ქვეყნიდან.

მესამე სიტყვა – გაცემა – ჩუ–ქებაა.

ჩვენ ვიცით, რომ უ–ფ–ალი ჩვენი დღენიადაგ გასცემს თავის ალს – ენერგიას, ნაყოფი კი უხვი ფერები, სიუხვე, ჰარმონიაა. ადამიანი თავის ხატად რომ შექმნა, იმავეს მოითხოვს მისგან. სიტყვა მო–სავ–ალი მრავალნაირად შეიძლება განიმარტოს. ამ სიტყვაში ჟღერს სიტყვა ალი, რომელიც მოდის შენი დამსახურების მიხედვით. უპირველესი დამსახურება კი შენი ვალის, ანუ მოვალეობის აღსრულებაა. მოვალეობა კი, რადგან უფლის მსგავსი ხარ, გაცემის ხელოვნებაა. ბიბლიაში ხშირად მეორდება, რომ უნდა გამოყო მეათედი შენი ნათესის ყოველი ნაყოფიდან, რომელიც მინდორში მოდის წლითიწლობით და ის უნდა განაწილდეს თავლებზე – ანუ ლევზე, ხიზანზე, ობოლზე, ქვრივზე. ებრაელებში თავადი ხომ პატრონი, განსწავლული კაცი იყო, ისევე როგორც საქართველოში. მას უნდა ეპატრონა ხალხისთვის, სოფლისთვის უნდა მიეხედა. დარჩენილი თანხა სოფლის ბიუჯეტში მიდიოდა. სოფლები რეგიონის ბიუჯეტს ავსებდნენ, რეგიონები კი – სახელმწიფოს. მოსული ან შემოხიზნული, ობოლი ან ქვრივი, საჭიროებდა დახმარებას. სტ–უ–მ–არი შეიძლება ასე გაიშიფროს: სტუმარი უფლის მიერ არის მოვზავნილი. ამგვარად, შენი მო–ვალეობაა მიწის მოვლა, ვალი კი გაცემაა მეათედისა. ამას აღნიშნავს სიტყვა გა–სა–ვალი ანუ გა–გამჩენის მიერ დაწესებული ვალის გაცემა სა–საკეთილდღეოა შენთვის.

გა–სა–ავ–ალზეა ანუ გაცემაზე დამოკიდებული გამჩენის მიერ მონიჭებული შუქის, ენერგიის, ალის კეთილმყოფელობა – მადლი. რაც მეტია ცოდნა, მით მეტია მცნებების დაცვა, გაცემა, მით მეტი გაქვს შუქი, მადლი და მოსავ გარე სამყაროს. ეს შუქი, ალი, ენერგია, მცენარეებში ფოტოსინთეზის ეფექტების საშუალებით იწვევს დიდ მოსავლის სიუხვეს. ამიტომაც ქართულში ძირითადი კულტურების სახელები: ხორბ–ალი, ბ–ალი, კაკ–ალი, მსხ–ალი და სხვა შეიცავს ალს. ალ–ალიც ამიტომ შეიცავს ალს და ტყუილად არ იყო იგი ქართველთა დასახელება, ეს ენერგია, ალი არ ღლიდა ქართველს. საერთოდ სიტყვა დავი–დ–ალ–ე მიგვანიშნებს, რომ დავი–დავლივე ღ–ღმერთის მიერ მოცემული ალი. სიტყვა ც–ოც–ხ–ალისგან განსხვავებით მკვდარი არ შეიცავს ალს. არ ვიღლებოდით, არ ილეოდა ალი იმიტომ, რომ გვქონდა გასავალი და იგი შემოსავ–ალს უდრიდა. ვიყავით მნეობით, ცოდნით მაღ–ალ–ნი, მრავ–ალ–ნი. ვისაც უყვარს მოყვასი – ბევრს გასცემს და უფრო მეტი შემოსდის. ეს სწავლება შემდეგ ორ სტროფშია გადმოცემული:

„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების!
უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების,
უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების“.

„მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა, რგულია;
უხვსა მორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია,
სმა–ჭამა – დიდად შესარგი, დება რა სავარგულია?!
რასაცა გასცემ, შენია, რაც არა დაკარგულია!“

ამიტომაც უზომოდ გასცემდა ქართველი, მას არაფერი არ ედო, არ უფუჭდებოდა და ჰქონდა ზღვასავით უზომო ბარაქა. აბა წარმოვიდგინოთ ზღვა, რომელსაც შესდის წყლები და გასცემს აორთქლების, მდინარეების სახით, რათა მორწყას არემარე, იყოს სიუსვე. რომ არ გასცეს, ვერ დაიტევს წყლებს და წალეკავს მიმდებარე რაიონებს. სიუხვის ნაცვლად, დოვლათის სიმცირე, ადამიანთა უბედურება იქნება. ასევეა ადამიანიც, რომელიც, თუ არ გასცემს, ქონ–ებიანს ეძახიან. ამგვარად, ორივეს მოვალეობა გაცემაა – სიყვარული მაშინ ზეობს. ამიტომ შევქმ-

ნა უფალმა. თუ არ გაეცი, რაც მოგეცა მღედრობითმა არსმა, ანუ ხორციელ ქვენარე ქცევებს დაემორჩილე, ეს შენ ავადმყოფობას, გნეობრივ, სულიერ დაცემას და ადრეულ სიკვდილს იწვევს. ამავე დროს გადაავაგვარებთ სამყაროს, მის მრავალფეროვნებას, რადგან მონოკულტურებს, შავ ფერებს ვამეფებთ. აი, რა მოაქვს ზღვას — ადამიანს, რომელიც არ გასცემს. ამგვარად, გაეცი, ისიამოვნე იმ გრძნობით, რომ სხვასაც ახარებ. და რასაც მეტს გასცემ, უფრო მეტს მოგცემს გამჩენი. ამას გვასწავლის ჩვენი წიგნთა წიგნით რუსთაველი: „უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების“.

ჩვენში ზღვისებრი დიდსულოვნება ქართული ენიდან მოდის. სიტყვები შემღ—უდეა, ზღვა—რი, სა—ზღა—ური მრავლის მთქმელია. ე.ი. ადამიანო, შენ ზღვასავით შემღუდული უნდა იყო, ზღვარი უნდა იცოდე და სა—ზღა—ური ანუ ზღა — ზღვასავით ულევი შემოსავალი გექნება. ამგვარად გასცემ, და ზღვასავით მდიდარი ხარ. თვითონ ზღვაც ალით — წყ—ალით, წყალობით წარმოიქმნება, იმიტომაც გასცემს იგი მუდმივად. ასევე იქნება სახელმწიფო, სადაც ადამიანები ზედმეტს გასცემენ. აი, რას გვასწავლის ენა ქართული. ამგვარად, გაცემა როგორც ზღვის, ასევე ადამიანის მოვალეობაა, ფუნქციაა. ამ პრინციპზეა აგებული მთელი სამყარო. თუ ხემ ან მცენარემ არ გასცა ნაყოფი, იგი კარგავს თავის ფუნქციას. ადამიანის მოქმედების შესაბამისია ყველა სულიერის მოქმედება, სამყაროს ფუნქციონირება. თუ არ არის მრავალფეროვნება, არც წყლების სიუხვეა; იწამლება გარემო, ზღვაც, რომელიც გაცემით არ განიცდის წმენდას, ჭაობად გადაიქცევა, არ არის ნალექი — მწირია მოსავალი. ამგვარად, თუ ადამიანები ძუნწები არიან, იგივე თვისებები უჩნდება მიწას, მცენარეებს. ხოლო სადაც ცოდნაა, სიკეთის გაცემაა, იქითკენ მიილტვის მთელი სამყარო. მცენარეებსაც გულით უნდათ ნაყოფის გაცემა. ისინი არომატს გამოსცემენ, ლამაზად ისხამენ ნაყოფს, რომ მოიზიდონ ადამიანი, ცხოველთა სამყარო, რათა გასცეს და მათ კი მცენარეთა თესლი გაამრავლონ.

ამგვარად, მცენარეები თავისი სილამაზით, ნაყოფის გემოვნებით, არომატით გაცემაში ეჯიბრებიან, რადგან იციან, ვინც მეტს გასცემს, მისი ჯიში მრავლდება, უფრო ლამაზდება, მარგებელი, გემრიელი ნაყოფი უხდება გამჩენისაგან. ასეა ადამიანიც — გამცემი მუდამ გამარჯვებული — დღეგრძელია, როგორც ქართველი ერი. ისეთი ნაყოფიც მათ მიეცემათ, ვინც გულით, სიყვარულით გასცემს. თუ ადამიანი გასცემს მოსავალს, უფრო მეტს და გემრიელს მოიწევს იგი შემდგომ წელს. ძუნწი ადამიანი არ გასცემს, მაგრამ გაცემის კანონი მაინც არ ირღვევა. მას აუცილებლად გაუფუჭდება. ეს გადაყრილი კი მიწას, ცხოველს წაადგება. ბუნებაში არაფერი არ იკარგება. ეს იმიტომ ხდება, რომ დაინახოს ძუნწმა და გაცემა დაიწყოს, თავისი მოვალეობა შეასრულოს. ამას გვასწავლის ბიბლიაც. გავიხსენოთ, რატომ არ მიიღო უფალმა კაენის ძღვენი. მან არ გაიმეტა აბელივით საუკეთესო. უფალს რომ არსებობისთვის მათი ძღვენი არ სჭირდებოდა, ყველამ იცის.

ავთანდილობა, მოყვასის პრობლემებზე ზრუნვა ქართველთა ცხოვრების წესია. ამ თვისების გამო დღესაც ბარაქიანია ქართული მიწა, უგემრიელესია ნაყოფი. ვერ შეხვდები ქვეყანას, სადაც ასეთი არომატის, სურნელის ნაყოფი იყოს. ადრე გაცემის ხელოვნება სიტყვის ცოდნით ჩამოყალიბდა და ამიტომაც გენეტიკურად გადაიზარდა ადათ—წესებში, ყოველდღიურ ყოფაში, ტრადიციებში. ქართული მაგიდის სურნელიც ხომ სტუმრისათვის საუკეთესოს გაცემის ხელოვნებაა, ხოლო მისი სადღეგრძელოები ლოცვაა გაჭირვებულთა შველის, სიუხვისა, მშვიდობა — გამრავლებისა. საქართველოში ყველა ოჯახი სალოცავია, ტაძარია და ამ ტაძრებმა, ტრადიციამ გადაარჩინა ქართული სულიერება ურწმუნო კომუნისტების ეპოქაში. ეს ყოველივე ქართველთა გენეტიკაა.

ეს სამი სიტყვა წარმმართველია სიკეთის — იბერიული ცხოვრების წესისა. მეორე და მესამე თვითონ უფლის თვისებაა. ეს თვისება კი მაშინ გაქვს, როცა ფლობ სამყაროს მოწყობის ცოდნას. აი, მაშინ გიყვარს ენით აუწერელი სიყვარულით მშობელი — უფალი ჩვენი, რადგან ხედავ იმ აუწერელ მზრუნველობას, სიყვარულს, რომელიც მას აქვს ყველა ჩვენგანის მიმართ. ყველას, დამსახურების—დარად, თანაბრად უყოფს იგი ხვავს და ბარაქას. ყველა მისი შვილია და ამ გაყოფას მოითხოვს ჩვენგანაც; თუ გაქვს გაყოფა ოჯახში — სოფელში, ქალაქში, რეგიონსა და სახელმწიფოში, როგორც იბერთა წესია, მაშინ იმდენი სიუხვეა, რომ გვაქვს სურვილი მივცეთ ობოლს, ლტოლვილს, სახელმწიფოს, სტუმარს, მაშინ უფალი გაძლევს ყველაფრის უფლებას. სიტყვა უფლ—ება გაიშიფრება როგორც უფლის ნება, ანუ ქართველს ყველაფრის უფლება უფლის ნებით ჰქონდა. გავიხსენოთ, დავითის 110—ე ფსალმუნში იბერთა წინამძღოლი როგორაა მოხსენიებული: „შენ ხარ მღვდელი უკუნისამდე, წესსა ზედა მელქისედეკისსა“.

მისი წესი, სიტყვა კი იბერიელთა პირველი ენაა. ენის ზნეობრივი კანონების დაცვის გამო მოძღვარია, წარმმართველია ქართველი ერი უკუნისამდე. ჩვენ გვაქვს ამის უფლება. ხოლო აბრაამი, რომელსაც უთხრა ეს სიტყვები, მაშინ გახდა ამის ღირსი, როდესაც გასცა მან მეათედი. იგი ხდება ებერთა მამა, პატრიარქი. გავიხსენოთ ლოტიც, მთელ სახელმწიფოში მხოლოდ მან გასცა სტუმრებისათვის საუკეთესო და მხოლოდ ის გადაარჩინა უფალმა.

ქართველს აქვს ცოდნა და იცის, რომ „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების". თვით თავის–უფლებაც ანუ უფლება ქართველს უნდა უფლის ნებით, რადგან უყვარს იგი გულით. მისი მოქმედება ღირსი უნდა იყოს თავისუფლებისა. ამ სიტყვით ქართველი აღასრულებდა ყველა უფლის სურვილს, ანუ მიიღო ენა, სიყვარულის, მიწათმოქმედების წესი და აღასრულებდა ს–ასოებით ენის სიბრძნეს. შედეგად, იყო ქართველი თავის–უფალი თავის ქმედებაში, რადგან მისი ქმედება – უფლება, უფლის ნება იყო, ეს ნება ჩაუდო მან ენაში და აღისრულებდა ქართველიც ამ ნებას.

ამგვარად, თუ მეოთხე მცნება ათ მცნებაში შაბათი დღის წმინდად ყოფაა, იბერიელებს მეოთხე სიტყვა იმიტომ ჰქონდათ, რომ შაბათს თავისთავად იცავდნენ და მათთვის ყველა დღე იყო უფლის სიყვარულისა. ამიტომაც ისინი უფალთან იყვნენ ლოცვით და ფიქრით, რის გამოც იმარჯვებდნენ. ამ შემთხვევაში ბიბლიის დანარჩენ ექვს მცნებას, რომელნიც მოყვასის სიყვარულს განაპირობებენ, ისედაც აღასრულებდა, რადგანაც ათივე სიტყვა უფლის და მოყვასის სიყვარულსაც განაპირობებდა და მათი აღსრულება ქართველის გენეტიკა იყო. სრულდებოდა შემდეგი ექვსი სიტყვაც.

მეხუთე სიტყვა სამშობლოა. ათ მცნებაში უფალი მოითხოვს მეხუთე მცნებაში მშობლების სიყვარულს. ეს სიტყვა განგვიმარტავს იმას, რაც უნდა ვიგულისხმოთ მშობლებში. ანუ სამ – მშობელში. უფლის მიერ არის მოცემული სა–მშობლო. უპირველესი სამი მშობლიდან, მშობლიურიდან თვითონაა უმთავრესი, ის გვაძლევს სულს – სულიერებას. ამ სულიერებას, რომლითაც სუნთქავ – ცოცხლობ – მოქმედებ ანუ მიწ–ათ–მოქმედებ ათი მცნების სიტყვის დაცვით. მეორე მშობელია, ვისგანაც შევიქმენით და ვისაც ვუბრუნდებით. მკვებავი ჩვენი, რომელსაც უნდა მოუარო და დაიცვა დედა–მიწა, მშობელი – მშობლიური მიწა სამკვიდრებელი. მესამეა უშუალო მშობელი ჩვენი დედ–მამა. ისინი ერთი სიტყვით წარმოიქმნებიან, რადგან ნაწევრები არიან ერთი მთელისა. ენა იმასაც განგვიმარტავს, რას ნიშნავს მშობ–ელი. მათ გვშობეს, შემდეგ მოგვცეს დამოუკიდებლობა, შეგვიქმნეს ყველა პირობა – ზნეობრივად მოგვამზადეს და ელიან იმ სულიერი პროგრამის აღსრულებას, რაც ჩადო უფალმა ბიბლიაში, 10 სიტყვაში, მთლიანად ენაში, ანბანში. ამიტომ ელიან ს–ასო–ებით. ხომ სამივეს კეთილდღეობა, სიხარული ჩვენს აღზრდაზეა დამოკიდებული. მოგვცა ანბანი სულთან ერთად შემოქმედმა. მშობლების, დედის საშუალებით, ენით გადმოგვეცემა სიბრძნე, ზნეობა. შემდეგ დედასთან, მიწასთან ურთიერთობა, გვიმტკიცებს ამ განზომილებებს ყრმობისას. აი, რა არის სამშობლო, ამ სამის ენით აუწერელი სიყვარულია ენასთან და ბიბლიასთან ერთად. მათი დამოძღვრებათა აღსრულებაა – ქართველისათვის სამშობლო. იგი ხომ „როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა". ამიტომაც უყვარს ქართველს მოყვასი, ყველა სულიერი და უსულო, რაც მის მიწაზეა. უყვარს, რადგან სამშობლოს მესამე ახსნა იმაშიცაა, რომ სამი სამყაროს – ცხოველური, მცენარეული და არაორგანულის სამშობლოა მისი მიწა, მამული. – გავიხსენოთ სიტყვა მამულის–შვილი. მცენარეულ და ცხოველურ სამყაროსაც სამი მკვებავი მშობელი ჰყავთ. ამ მშობლებიდან, ჩვენდა სასიკეთოდ, ჩვენი ზნეობისათვის ყველაზე მზრუნველი, უზენაესია. მან შეგვიქმნა ჩვენი მკვებავი სულიერი აღმზრდელნი მშობლები, დედამიწა და დედ–მამა. სამშობლო იმითაც განისაზღვრება, რომ არსებობს სამი ზნეობის, სულის პროგრამის მკვებავი მდედრობითი არსი: თორა–ბიბლია, დედაენა და წმინდა ენა, ზეციური მდედრობითი არსი. პირველ ორთანაა იმთავითვე სულიერად შეუღლებული იბერიული მოდგმა და, როცა ეს შეუღლება, უმწიკვლო ზნეობის დანერგვის საწინდარი იქნება, მაშინ მოხდება სულიერი შე–ულ–ლება ზეციურ მდედრობით არსთან. შეიქმნება ჰარმონიული სამყარო. სიტყვა ულ–ელი განმარტავს, რომ ჰარმონიისათვის უნდა ეზიდოთ  ურღვევი უღელი. ამიტომაცაა, რომ გურულ დიალექტში ცოდნას, ცოლს და ცას გოგოს ეძახიან. ცოდნა, ბიბლია, ენა მდედრობითია, ხოლო ცაში ყველაზე დიდი დედაა, ამიტომაა ქართველი მას დიდი დედით მიმართავდა. გავიხსენოთ უხსოვარი დროიდან შემორჩენილი ლექსის დასაწყისი:

„დიდო დედაო, ცაო მშვენიერო"...

ამგვარად, სიტყვა სამშობლო განსაზღვრავს ყველა სულიერი მშობლის და მღვდრობითის გამნაყოფიერებლის, შენი მიწის, ქვეყნის ენით გამოუთქმელ სიყვარულს, მათ უდიდეს პატივისცემას იმისათვის, რომ კეთილი გვეყოს ჩვენ. აი, რატომაა ქართველისათვის საამაყო მიწ–ათ–მოქმედება და მეხუთე სიტყვა კი მეტად ფართო გაგებისაა. ამ გაგებას რომ ჩაეწვდეთ, მაშინ იქნება ქართველობა და ჰარმონიული სამყარო. ყველა დედას და მიწას, ვინც გასაზრდოებს, მშობლიური სიყვარულით უნდა მოექცე. როგორც მშობელი დედის მოწამვლა არ გინდა – ასევე მიწა არ უნდა მოწამლო ქიმიკატებით, არ უნდა გამოიწვიო მისი ეროზია – დაავადება, სიკვდილი. ეს ხომ შენი ხელით შენი მშობელი დედის, მარჩენალის სიკვდილია. ეს უდიდესი ცოდვაა. ამ ცოდვის გამოა ადამიანთა დაავადებები, გარემოს მოწამვლა. ყველაფერი ამ სამყაროში სიტყვას ემორჩილება. თქვა უფალმა და აღმოცენდა სიყვარული. გვითხრა განა–ყოფიერდით, ე.ი. ნაყოფზე გამრავლდითო და მხოლოდ ჩვენ ვასრულებთ ამ თემას, სიტყვას. გავცემთ და სხვა. ამიტომ არა აქვთ სხვა ხალხებს სიტყვა უფლება. ანუ არ არის მათი ქცევა უფლის ნება. ჩვენ კი გვიყვარს მიწა, ჩვენი წიგნთა წიგნიც „ვეფხისტყაოსანი“ ამასვე გვმოძღვრავს. ამიტომაა მფარველი ჩვენი მღვდრობითი არსი, რომ ჩვენ გენში გვაქვს მიწის მზრუნველობითი მოვლა.

სოლომონ ბრძენი წმინდათა წიგნში კოჰოლეთი სვამს კითხვას: რა უნდა გააკეთონ ადამიანებმა თავიანთ სიცოცხლეში, ბედნიერნი რომ იყვნენ? იგი პასუხობს: ადამიანი, რომელიც მიწას ამუშავებს, არ ჩქარობს გამდიდრებას. ამიტომაა ტკბილი მშრომელის ძილი, მდიდარს კი ძილი არ ეკარება მეტისმეტი სიხარბისაგან. იგი ასევე ასკვნის: „უპირატესობა ხვდება იმ ქვეყანას, სადაც მეფეც კი მინდორში მუშაობს“ (სიბრძნე სოლომონისა 6,8). მეფე კი ამ შემთხვევაში იმ ქვეყანას ჰყავს, სადაც სამ–ეფოა, ანუ სამივე სამყაროს წარმომადგენელნი მეფობენ, პირველობენ ჰარმონიაში და მტრობაში არ არიან. ყველა მხეცს, ყველა ცხოველს, ყველა მცენარეს თავისი საპირველო, გამორჩეული ადგილი აქვს, რათა იყოს ჰარმონია, ბარაქა და მარგებელი საკვები. გაეიხსენოთ უფლის სიტყვები: „სანამ იქნება მკა და ხვნა, არ მოვაკლენ წარღვნას“. ესაიამ კი იწინასწარმეტყველა: „წარიღვნა მიწა მის მკვიდრ ქვეშ, რადგან განუდგნენ სჯულს, დაარღვიეს კანონი, გატეხეს საუკუნო აღთქმა.

ამიტომ წყევლა სჭამს მიწას და ისჯებიან მისი მკვიდრნი. ამიტომ გადაშენდნენ მიწიერნი და მცირედნიღა დარჩნენ...“ დღეს ისრაელში ებრაელები მართლაც არღვევენ სჯულის კანონებს მიწასთან მიმართებაში. არ არის გაყოფა, არ არის თანადგომა, გაცემა. უფალი გვეუბნება: „ნუ შერყვნით მიწას, რომელზედაც თქვენ ცხოვრობთ, სადაც მე ებინადრობ, რამეთუ მე ვარ უფალი, ისრაელთ შვილთა მობინადრე“.

ქართულ ენაში მიწა რომ ჩვენი მშობელია და არ უნდა შევრყვნათ, ამას მეტად საამაყო სიტყვა – სახელი მამულის–შვილი გვეუბნება. შერყვნილი მამულის შვილი ჩვენში არ არსებობს. ის აღარაა ქართველი. უნდა მოუარო მამულს და კეთილი გექნება შენ. აქედან სიტყვა უკე–თესი ანუ თესვით კეთილი ნაყოფი, სიკეთე აღმოცენდება ჩვენი მშობლიდან, დედის მუცლიდან და აღარ იქნება დაავადებები. დღეს კი ვიმეტებთ მათ. გაეიხსენოთ, ამიტომაა კაემანში ტარიელიც. ამიტომ დროზე უნდა მიეცეს საშუალება საქართველოს. აღადგინოს თავის მიწათმოქმედება, რათა არ იყოს უფრო დიდი დასჯა, ვიდრე დღეს ხდება.

ამგვარად, დიდი ცოდნიდან, გონიდან იწყება მიწათმოქმედება. მაშინ შენთვის ყველა დღე იქნება უფლისა. ეს ცოდნა მიგვიყვანს იმ ჭეშმარიტებამდე, რომ სიკეთის, ბარაქის, დოვლათის, სიყვარულის და დღეგრძელობის საწყისი უფალია. ვის არ უყვარს კეთილი. თანაც თუ იგი სიცოცხლეს, სარჩოს, საკვებს გიგზავნის, მხოლოდ გვეუბნება, შენც ასევე კეთილი, მოწყალე იყავი სხვა სულიერთა მიმართ. ჩემი გამოგზავნილი უწილადე, არ დაიშურო სხვისთვის და ნახავ, უფრო მეტად დიდ სიამოვნებას მიიღებ, ვიდრე წართმევისას, რადგან უფრო მეტს და უფრო მარგებელს გიგზავნის, დღეგრძელობას, ჯანმრთელობას გაძლევს. შენ კი თვითონაც სიკეთეს რომ აკეთებ, ბოროტების მაგიერ, სულიერ ჰარმონიას, სიმშვიდეს გრძნობ. შენი თემაა სიკეთით იმოქმედო, საუკეთესო მიიღო. იმისათვის, რომ გასცე და ასიამოვნო მოყვასი. მაშინ შემოდის შენში უფლის სხივი – შეხინა და გამარჯვებული ხარ ყველაფერში. ამგვარად, უფლის სწავლება გაყოფა–გაცემით ენიდან, ქართული გონიდან დანერგილი, საფუძველია ყველაფერში ხელის მომართვის, უმადო ხელ–მარჯვეობის, ხელო–ვნების, დანარჩენი ოთხი სიტყვის დანერგვის. ეს ცოდნა–გონი მიწიერი მშობლებიდან გადმოდის შენში დედ–მამიდან და დედამიწიდან. მასში, ქ–ალ–ში ის დამატებით ალი, მადლი, უფლის მიერ ცოდნაა ჩადებული,

რომელიც ერის გონს — ენისა სიწმინდეს სრულყოფილად გადასცემს მთამომაელობას.* თორა-ში მამაკაცზე წერია — მიწისგან შექმნა უფალმა იგი. ხოლო ქალზე წერია: და გარდაქმნა უფალმა ღმერთმა ნეკნი, რომელიც ადამიანისაგან გამოიყო. შესაქმე თავი 2.22. კომენტა-ტორები აღნიშნავენ რომ გარდაქმნა სრულყოფილებას მოასწავებს, ერთგულებას მცნებათა დაცვისა. რაც შეეხება ევას ჭამის აქტს, უფლის მიერ ევა გაფრთხილებული არ ყოფილა როგორც ადამი, რომ არ ეჭამა.

სულიერება და სწორი მიწათმოქმედება საწინდარია სასულიერო ხის აყვავების და ჩვენთვის ხეთა, მცენარეთა ნაყოფის სიუხვეა, მარგებლობაა, ამ დროს არაა დაავადებები, რადგან ჩვე-ნი მოქმედება არ იწვევს დასჯას.

ამიტომაა ქართულ ენაში სიტყვა ხე (რომელშიც ხე სულიერებისა, ანუ ხე სწორი მიწათმო-ქმედებისა უნდა ვიგულისხმოთ) დიდი მნიშვნელობისა. მაგალითად, ხე—ირი — ე.ი. შენი კეთილ-დღეობა ხეთა სწორი მოვლიდან და მისი ნაყოფიდან იწყება. ეს ყველაფერი ხელით ხორ-ციელდება. აქედან სიტყვა ხე—ლი მოგვმართოს, რაც ასევე საქმით სწორი მოვლით იწყება. ჩვენში რომ ორივე ხელი სწორად ენის სიბრძნით მოქმედებდა, ამაზე სიტყვები მარცხ—ენსა და მარჯვ—ენა მიგვითითებს. რაკილა ქართველთა სა—ხე, ანუ საწყისი, ათვლის წერტილი სულიერების ხეა, ამიტომ ყოველნაირი ხელოვნება ანუ მეექვსე სიტყვის აღსრულება ჩვენში მიწის მოვლით იწყება და არის მათი ანუ ხეთა ენება ჩვენი ხე—ლით.

ნ—ერ—გი ანუ ნერგის — რგის დარგვიდან იწყება ხე და ერის ჩამოყალიბება. ერი რგავს მას, ამიტომაც სიტყვები კარგი — ვარგი — მარგი რგი—ს შეიცავენ.

ჩვენი ქვეყნის სახელი გეორგია რგი—საც შეიცავს და ორ—საც. მეგრულად ხომ გეორგე ნიშნავს „დარგე", რაკილა ორ—ი არის ამ სიტყვაში ე.ი. დარგვა ღმერთის მიერ მოცემული ცოდნით, რომელიც ორ მდინარეს შორის მცხოვრებ იბერიელებს მიეცათ. ეს ცოდნა რომ ღმერთის მიერ არის მოცემული ამიტომაც ჰქვია მეგრულად ქართველს ქ—ორ—თუ. ეს სიტყვაც ხომ ორს შეიცავს.

ამგვარად, ჩვენში ხე—ლოვნებაა გარე სამყაროს, მიწის უპირველესი მოვლა და ჰარმონიუ-ლი თანაარსებობა. ყველაფრის ენება ყველაზე დიდი სიამოვნება მაშინაა, როცა ცოცხალი ბუნების სილამაზეს, ღვთის მიერ მოცემული სულიერი, ლამაზი ფერების შექმნას ყველა სულიერი სამყაროს ურთიერთსიყვარულს, ჰარმონიას უწყობს ხელს. ვერ შეედრება ამ სიყვარულს, სიკეთეს, ის უსულო ფერწერა ან გრაფიკა, ადამიანი რომ ქმნის. დღეს ბოროტი ადამიანი კლავს იმ სულიერებას, რაც უფალმა მოგვცა და მისი მოვლა დაგვავალა. ნელ—ნელა ებილ-წავთ ჩვენ სულიერ ჭურჭელს, რწმენას — სურვილით თვითდაკმაყოფილებისა და ამისათვის თითქოს მეცნიერებას, ცოდნას ვაფეთარებთ. ეს ცოდნა კი მეტი არაფერია, თუ არა უვიცობა. საქართველოს ფარგლებს გარეთ ამ უვიცობით მოსულ ნაყოფს მხოლოდ ნაყოფის გარეგნობა აქვს. იგი ადამიანის ორგანიზმის მომწამლველია. არც გარემოშია მის გამო მრავალფერ-ოვნება და მას სიკვდილი, შავი ფერები მოაქვს. ღმერთმა ჩვენ სული მოგვცა. არის ამაზე ძვირფასი რამე? მშობლებმაც კი შეიძლება დაინანონ სული შვილისთვის. ჩვენ კი, როცა საკმარისზე მეტი გვაქვს, მაინც სხვაზე მეტი გვინდა გვქონდეს და ვიღვწით ეს სულიერება მოვუსპოთ ადამიანებს, გარესამყაროს.

შემდეგ ჩვენი ცოდნით ვქმნით ჩვენ მიერ განადგურებულ ცოცხალ არსთა სურათებს, ქანდაკე-ბებს, რომლებიც აუწერლად უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე ადამიანის, სხვა სამყაროს წარმო-მადგენელთა სიცოცხლე. სიმახინჯეს, კერპებს ვეთაყვანებით. სათნოებას, სიყვარულის ლამაზ ფერებს ვებრძვით, ანუ ვებრძვით უფალს, ვეჯიბრებით მას, იგი სიკეთეს, სიუხვეს, აღმაფრე-ნას გვაძლევს. ბუნებაზე ლამაზ ფერებს ადამიანი ვერ შექმნის. რაც ფულზე იყიდება, ადამიან-იც, ეს სურათებიც, პირველნი სულით, მეორენი კი შეხედულებით მახინჯები, ჯოჯოები არიან მასთან შედარებით, რაც უფლის მიერაა შექმნილი, — სულიერება, სიწმინდე. ასეთ ქვეყნებში ხეებიც ჯოჯოებივით პატარა იზრდებიან, უგემური ნაყოფით, ან სულ არ ხარობენ, სწორედ ამ ქვეყნების სახელია ჯო—ჯო—ხე—თი. მაინც რა გენიალურია ქართული ენა. ე.ი. არასწორი ხეთა მოვლაა, მიწათმოქმედებაა — ჯოჯოხეთი. ასეთი მწარმოებელი ადამიანები იმ ქვეყნად-აც ჯოჯოხეთში მიდიან. კიდევ ერთი გენიალური ქართული გამოთქმა: „ფული ჯოჯოხეთს

*ათი წელზე მეტია ვარ ეროვნულ მოძრაობაში და მე ჯერ ღალატიანი ქალი, რომელიც სპეცსამსახურებით იმართება, ჩემთან ერთად მდგომი არ შემხვედრია, ქალები მუდამ იყვნენ ვაჟკაცობის, პატრიოტიზმის და, რაც მთავარია, ერთგულების მაგალითი.

ანათებს" ჯოჯოხეთს და არა სამოთხეს, სამოთხე ხომ ისედაც ნათელია, ანუ სწორი მიწათმოქმედებაა. აქედან სიტყვა სამ–ოთ–ხე სამი სამყარო (მცენარეული, ცხოველური და არაორგანული) ოთხში (მიწა, ჰაერი, წყალი, ენერგია) რომაა ჩატეული ხე–ხეთა ჰარმონიული თანაარსებობა, ანუ საამოა – ე.ი. საამოა მათი არსებობა, მწვანე და არა შავი ფერებია. თვითონ სიტყვა მწვანეს თუ შებრუნებით წაიკითხავთ ენავ–წმ – აღნიშნავს. ე.ი. ენა წმინდას და სული წმინდას – შეხინის დამსახურებაა, ანუ ქართული ენის, სიბრძნის მრავალი მწვანე ფერი – აი ეს არის სიმწვანეში კოდირებული. საერთოდ ფ–ერი ერის კულტურას ახასიათებს. ვის როგორი მიწათმოქმედება აქვს, ამიტომ შეიცავს ეს სიტყვა ერს. რაც მეტია ფერი, მით უფრო ჰარმონიაა – აქედან მეშვიდე სიტყვა მრ–ავ–ალ–ფ–ეროვნება, მრ–მრავალ ავ და ალ–ალალ–ფ–ფერთა ურთიერთობა – შერწყმა არის ერის ვნება, ანუ ნებელობა. როცა მონოკულტურა ბატონობს ზვრებში, ერთი ფერია გაბატონებული, არ არის მცენარეთა მრავალფეროვნება. ჩვენ არ უნდა ვეცადოთ ავთა მოსპობას. ის რომ გააჩინა გამჩენმა, მას თავისი ფუნქცია აქვს სიუხვისათვის, სიყვარულისათვის, საერთო სულიერი სამყაროს ნებელობისათვის, ამიტომაა ტყის ბიომასა სულ ცოტა 6–7–ჯერ ჭარბობს ადამიანის მიერ ყველაზე კარგად მოვლილ სავარგულებს. მრავალფეროვნებაში რომ არის სიუხვე, სიმწიფე, ხელმწიფეთა – სახელმწიფოთა, ხელის მწიფობა, რუსთაველიც ადასტურებს:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოველი ხელმწიფე სახითა მის მიერითა".

ქართული ენაც ამ საკითხში კანონმდებლად გვევლინება. ჩვენ ერთმანეთს ვეკითხებით, როგ–ორ, ან „რაფერ ხარ". „ორ" ვიცით ცოდნაა, თუ ცოდნა გვაქვს, გვაქვს ფერებიც, მრავალფეროვნებაა. ამიტომ ისინი ერთი და იგივე აზრსს გამოხატავენ. ვისაც არა აქვს ცოდნა, მასზე იძახიან „ვერაფერი კაციაო". ასეა ქვეყანაც. თუ არა აქვს ცოდნა, არა აქვს მრავალფეროვნება, არა აქვს ყველაფერი. ე.ი. არა აქვს სიმ–დიდრე, ანუ მდიდარი (მერვე სიტყვა) მაშინ ხარ, როცა არის მრავალფეროვნება და დარი. ე.ი. ვერაფერი ერია, ქვეყანაა, ამიტომ მეორე მხრივ სიტყვა მრავ–ალ–ფეროვნება აღნიშნავს მრავალი ალი, მადლი, სხივი ღმერთის მიერ წარმოგზავნილი არის მიზეზი ფერთა სიუხვის და არის ყველაფერში – მრავალფეროვნება. მისი მოსპობა ღვთის მცნებათა დაცვის, ერის წინააღმდეგ წასვლაა. ამას სიტყვა უფ–ერ–ულიც მიგვითითებს, ანუ უფლის და ერის წინააღმდეგ წას–ული.

თ–ვ–ალის ალიც, სხივი იმიტომ მოგვცა უფალმა, რომ ვ–ვალი, მოვალეობა ჩვენი ვასრულოთ. მივცეთ სიცოცხლე ბუნებრივ ფერებს, სულიერებას. ციცინათელებიც, ფუტკარი და სხვა იქ არის, სადაც ბუნებრივი მრავალფეროვნებაა და არ არის სიბინძურე, რადიაცია. ისინი და სხვა მწერები ყვავილების დამტვერვას იწვევენ და არის მარგებელი, შხამების გარეშე მიღებული ნაყოფი. ასეა ჩვენი მხედველობაც, თუ სიწმინდის დანერგვა, ბიბლიის სწავლება იქნება, სათვალეები არ დაგვჭირდება, რომ დავინახოთ ალი, ლამაზი ფერები და არა ავი, ანუ მხოლოდ საკუთარი თ–ავი. ამიტომ შეიცავს ეს სიტყვა ავს, სიავეს. საკუთარ თავზე ზრუნვა და თვ–ალი იმიტომ მოგვცა გამჩენმა, რომ სილამაზე დავინახოთ და ამ სხვათა გარემოს სილამაზეზე ვიზრუნოთ. ამავე დროს როგორც სიტყვა მრავალფეროვნება შეიცავს ავ და ალს და მათი შერწყმით არის ჰარმონია, ასევე უნდა შეერწყას შენ თავს შენი თვალი, მოვალეობის ხედვა, რომ ეს ჰარმონია დაამყარო. ამიტომ სიტყვა მრავალფეროვნება კანონმდებელი კონსტიტუციური სიტყვაა, ისევე როგორც ყველა ათი, სამივე სამყაროს ყველა სულიერთა ჰარმონიული თანაარსებობისა. აქ არ უნდა იყოს მიმართულება ბუნებრივი სახეების გადაშენებისა, რომელიმეს უპირატესობისა, ყველა პირველი უნდა იყოს. თავის გამორჩეული და განსხვავებული საპირველო სილამაზით, საჭიროებით. ყველამ, – ადამიანმა, მცენარემ, ცხოველმა თავისი მისია, ერთადერთი და საპირველო მისია უნდა ასრულოს საერთო სიცოცხლის ჰარმონიის საქმეში. არის სწორი მიწათმოქმედება – არ არსებობს ავი. მზე ყველას ერთნაირად მოეფინება. ყველა თავის მისიას ასრულებს.

მრავალფეროვნებას მეორე კანონიც ახლავს. რაც მეტია ფერები, მით უფრო მეტად ყველა არის თავის საქმეში პირველი, მარგებელია მოსავალი, ქანჯბადი, წყალი. სადაც ხალხი ხორციელ ნეტარებას მისდევს, იქ მცნებათა დაცვით მიწათმოქმედნი კი არა, მოხეტიალენი, მომთა-

ბარენი არიან. მათ ხე, სულიერება კი არაა, ქართველისთვის ტიალია, აქედან სიტყვა ხე–ტიალი ანუ მომ–თაბარეობა, რაც, ხენა–მოელის გარეშე მთის და ბარის ნაყოფის ათვისებას – მონოკულტურულ მეურნეობას ნიშნავს და არა მიწათმოქმედებას. იქ ხეები იჩეხება და არის ქარისმიერი, წყლისმიერი ეროზიები.

ქართველი არასდროს ხეტიალობდა. თუ იგი სადმე ჩ–ადიოდა, იგი იმდენად მაღლა მდგომი იყო ცოდნით, რომ მაღლა ადიოდა, ამას ეს სიტყვაც განვვიმარტავს. იგი უდიდესი ცოდნით მიდიოდა იქ, რადგან ჰქონდა დიდი სამიწათმოქმედო კულტურა, ხე სულიერებისა. აქედან ქართველ ტომთა ერთ–ერთი დასახელება ხე–თები. ჩვენი სულიერი ცენტრის მც–ხე–თის დასახელება მც–მცნებათა დაცვით ხე–თა ანუ მიწათმოქმედების წარმოებას აღნიშნავს. ხომ ჩაიტანეს მათ ქანაანში უდიდესი მიწათმოქმედების კულტურა. თუ ადამიანი სულიერების ხეს იეიწყებდა, მაშინ იგი მახეში გაბმულიეით იყო. აქედან სიტყვა მა–ხე. მოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში" მრავალ ადგილას იყენებს სიტყვა ხეს, იმ მაღალი სულიერი, ზნეობრივი ცხოვრების წესის გამოსახატავად, რაც საქართველოში იყო. გაეიხსენოთ როგორ მიმართავს ფრიდონი ტარიელს, როცა გაოცებული ამოიკითხავს მის უდიდეს ცოდნას: „გამიცადა, ღმერთსა ჰკადრა: „შენ ესეთნი ხენი ეინ ხენ!" ანუ ღმერთიდანაა ტარიელის უდიდესი ცოდნა მიწათმოქმედებისა.

ზ. გამსახურდია აღნიშნავს (იქვე გვ. 120, 121):

„ბიბლიურ ცხოვრების ხეს, როგორც სიმბოლოს, უკავშირდება აგრეთვე იესიან–დავითიან–ბაგრატოვანთა წარმოშობა. ამ დინასტიის მეფენი არიან „მორჩნი", ანუ რტონი, ამ ცხოვრების ხისა; ამიტომაც ქართველი მეფეების სიგელებზე გვხედება წარწერა „დავითის მორჩნი", ხოლო გერბზე – დავითის ქნარი და შურდული. ხე ცხოვრებისა, რომლის ძირიც იესეს უჭირავს და რომლის შტოებშიც იესიან–დავითიანი მეფეებია გამოსახული, საყოველთაოდ ცნობილი მოტივია შუა საუკუნეთა ქართულ ჭედურ ხელოვნებაში. ხე ცხოვრებისა გამოსახულია საქართველოს ეკლესიის მთავარ საკათედრო ტაძარზე – სვეტიცხოველზე, რომლის მიდა სვეტიც აგრეთვე სიმბოლურად ცხოვრების ხეს განასახიერებს.

„ვეფხისტყაოსანის" ამგვარ კავშირს ცხოვრების ხის სიმბოლიკასთან კარგად აცნობიერებდა დავით გურამიშვილი, რომელიც დავითიანში „იგავთ ხეს" უწოდებს „ვეფხისტყაოსანს".

არის ზეცაში დიდი დედა. მ–დე–დრი – ეს მის მიმართ ითქმის მ–მაღალი, დე–დედა, დარის მომცემი ჩვენი მოქმედების დარად.

ამგვარად, სიმდიდრე, რომელიც დარით მთავრდება, დედაკაცისგან განისამღერება. ასევე ჯამრთელობაც და გაეიხსენოთ სახსარიც ანუ შესაძლებლობა მაშინ გექნება 613 მცნებას თუ ასრულებ.

გასავ–ალი უნდა იყოს. დედაკაცი უნდა იყოს გამცემი. ვაჟი კი სიუხვის მომტანი, ერთგულების, მცნებათა დაცვის ნიმუში. მას ეს გენეტიკურად უფრო შეუძლია. ეროვ–ნება იმასაც მოასწავებს, რომ, თუ სწორი ცხოვრებით არ ცხოვრობ – შენი ერი არ გიყვარს, მაშინ ნება არა გაქვს გამრავლების, ე.ი. შთამომავალი, მემკვიდრე, ანუ ნაში–ერი რომ გყავდეს. ამიტომაც ყველა – ერი გადაშენდა. ხოლო ერო–ენება მიგვანიშნებს, რომ ადამიანი ენებას, ნებელობას მაშინ განიცდის, თუ ერი ჯანსაღია, მდიდარია, მადლიანია ე.ი. მას პირველ რიგში მეგობრის, მოყვასის კარგი უხარია. მოყვასზე, ერზე ფიქრობს, ამიტომ გასცემს იგი სიკეთეს, მადლს. ასეთი კაცი სხვა ერსაც იყვარებს. ამიტომ აქაც, ამ სიტყვაში, როგორც ყველა ათივეში, სიყვარულია ჩადებული. აქ არის კავშირი ერის და მოყვასის სიყვარულს შორის. შენ თუ ხარ ეროვნული პრობლემებით დაკავებული, ე.ი. დაკავებული ხარ მოყვასის პრობლემებითაც. შენთვის მათი პრობლემები უფრო მაღლა დგას პირადულზე. ეს ის თვისებაა, რაც უდიდეს კმაყოფილებას, ჰარმონიას გაძლევს. ამიტომ ხარ ბედნი–ერი. სიტყვა ერ–ოვნება ერთიდან, ერთობიდან იწყება და ენებით მთავრდება. ანუ, ერის ცხოვრებაში ერთობაა მთავარი. ერთის, შემოქმედის სიყვარული საფუძველია ერთობის, ერის ვნების და ყველაფერი კარგის. ამიტომ ეროვნებას და ერთობას ერთი და იგივე აზრი აქვთ. ირივე სიტყვა იმიტომ შეიცავს ერს, რომ თუ არის სიყვარული, უპირველესად, ერთი ღმერთის, არის ეროვნება, არის ერთობაც. ისინი ერთმანეთზე დამოკიდებული არიან. თუ ერთობა არა გაქვს, ერი არ იქნება და პირიქით. ერის, სიყვარულით მაშინ არსებობს, როცა არის ერთობა. ეს ერთობა ჰქონდათ ძველ ქართველებს, ურებს ური – ხომ მანათობელს ნიშნავს და აქედან სიტყვა ურ–თი–ერ–თობა. ურ–იათა ერის ერთობა. ქართველნი იღეწოდნენ, რომ სხვაგანაც ერო–ენება, ერთა–ენება, ერთობა ცოდნის საფუძველზე ყოფილიყო.

ჩვენ ევძებდით საჩუქრის მიმღებს და მას ვაგრძნობინებდით, რომ უფრო დიდი მადლი გააკეთა, რომ მადლი ჩაგვადენინა. ამგვარად, თუ არის ეროვნება ისე როგორც ეს სიტყვა მიგვანიშნებს, არის ერის სიმრავლე და სიუხვე. ვისაც უზნეო ცხოვრების წესი აქვს, მას თავისი ერი არ უყვარს, არც ერთობა და სიყვარული აქვს, რადგან სხვა მას მონად უნდა და არც მდედრი (მდედრობითი არსი, მიწა–მამული, ქალი, დედაკაცი) უყვარს.

## ათის და ოცი სიტყვის დაცვის აუცილებლობა სიტყვებით ენით კოდირებული

სიტყვა ხასი–ათი, გვეუბნება ათი სიტყვის დაცვა ჩვენი გენეტიკაა.

ქართული ენა, ანბანი მიგვანიშნებს: ღმერთი ერთია, ხოლო 10 მცნება მის მიერაა მოცემული. ჩვენ ღირსეული გამჩენმა ვყოფილიყავით მიწათმოქმედნი. ამ მიწათმოქმედების აღსრულება მაშინაა, როცა დაცულია 10 სიტყვა და ის სიტყვათა კრებული, რომელიც მცნებათა სახით არის ქართულ ენაში. ამიტომაა იბერიულ ცხოვრების წესში ხალხის სასამართლო თვითონ განსჯიდა ამა თუ იმ საქციელს. თუ ათ სიტყვას შელახავდა ვინმე, როგორც იცით, ის მოიკვეთებოდა. ამიტომაც მართლმსაჯულება ნაკლებ ვრცელდებოდა ჩვენში. სიტყვა მ–სა–ჯული მათთვისაა, ვისაც არა აქვს ქართული მიწათმოქმედება. იგი იშიფრება მოსეს სამართლით სჯულის კანონთა დამცავი. ჩვენ ვიცით, ეს სამართალი მოქმედებდა საქართველოში ქრისტეს შობამდე (ისიდორე დოლიძე). ამ სამართლით შეიძლება განისაჯოს სხვადასხვა სჯული. ის, ვინც მოსული იყო საქართველოში. ახალ მოსულს მაშინ ათი სიტყვის აღსრულებას ვერ მოთხოვდი, მანამ სანამ მისი ჩნეობა ქართველთა დარი არ გასდებოდა. ამიტომ მიწა დროებით სარგებლობაში ეძლეოდა, ის არ იყო მკვიდრი. აი, სადაა ახსნა, რატომ იყო ჩვენში სამართალი და კონსტიტუცია დაფუძნებული, როგორც ენაზე, ასევე ბიბლიაზე – მოსეს სამართალზე (ვახტანგ VI ორივე სამართალი შეიტანა). იმიტომაა, რომ თუ ათ მცნებას არ იცავ, მაშინ ხარ განსასჯელი. სიტყვა მო–სამართლეც მოსეს სამართლიდან უნდა იყოს.

ჩვენი განსჯა უფრო მკაცრი იყო. თუ ათი მცნება მოითხოვდა ღმერთისა და მოყვასთან ურთიერთობის დარეგულირებას, 10 სიტყვა – დამატებით ძირითად მიწასთან და ყველა სულიერ არსებასთან კონტაქტს არეგულირებდა. ქართველობის ანუ მკვიდრის „დიპლომი" მოსულს ამ ნიშნით მიეცემოდა. მას ძვალ–რბილში უნდა ჰქონოდა გამჯდარი გაყოფა–გაცემა, ერის ერთობის სიყვარული. უნდა ჰყვარებოდა ყველაფერი, რაც მშობლიურია და მიწაზეა – მცენარე თუ პირუტყვი. როცა რუსეთიდან უზნეობა შემოიჭრა, ერეკლე II–ემ კანონი გამოსცა, რითაც ისჯებოდა ის კაცი, ვინც პირუტყვს შეაგინებდა. ყველგან ყველაფერში სიწმინდე ენის, 10 სიტყვით იყო დაცული. ამიტომაც 10 სიტყვის დაცვა ეს იყო ქართველთა ხასიათი, ანუ სულიერი მოთხოვნილება, გენეტიკა და ამ სულიერების შერყვნა არ გვეპატიებოდა. ჩვენ რომ „ხასნი", წმინდანი, ბრძ–ენი, მცოდნე ერი ვიყავით – ენის სიბრძნიდან გამომდინარე. აქედანაა სიტყვა ად–ათი. ადათი იყო ჩვენში 10 სიტყვის დაცვა, ანუ ეს იყო კანონი ქართული ცნობიერების, მისი ზომიერებისა. როცა ზომიერი ხარ, სხვისას არ ითვისებ. ზომა–გაყოფა გაქვს სწორი და გაცემის სურვილი. ეს სიტყვა არა მარტო ჩვენთვის, არამედ სხვა ერებისთვისაა საჭირო. ჩვენ ლაზ–ათიანი ერი ვართ, ანუ ლაზარეს ენაა ქართული, ლაზები ათი სიტყვის კანონებს იცავდნენ. ამ 10 სიტყვას ვერ შეასრულებ, სანამ ათ მცნებას არ დაიცავ. იაზონმა ვერ შეასრულა, რადგან მას გული ეთქმოდა სხვისაზე, ანუ ათი მცნების შესრულების ზომიერების დონეზე არ იყო ის. ჩვენში ხასნი (ამ სიტყვის ახსნას შემდგომ შემოგთავაზებთ) – ერის ბრძენი წინამძღოლნი – ათი მცნების, სიტყვის დამცველნი იყვნენ. ხასი–ათი ამასაც გვეუბნება. ისინი ასჯერ ზომავდნენ და ერთხელ სჭრიდნენ სამართალს.

ერთიდან იწყება ყველაფრის ათელის წერტილი, რაც მთავარია, ღმერთი ერთია, ხოლო ორი ცოდნა მის მიერ მოცემული, მისი ნათელია. როგორც ეს ციფრებია ყველაფრის ბაზისი ჩვენთან, ასევე 10 და 20. ესე იგი, ამ რიცხვებს რომ ნული მივუმატოთ, ანუ ერთი ღმერთია, ხოლო 10 მის მიერ მოცემული 10 მცნებაა, ან 10 სიტყვაა. ე.ი. 1 ღმერთი და 10 მცნებაა, ხოლო ორ–ორი, როგორც ვიცით, ცოდნაა, ნათელი. ეს ცოდნა, ნათელი კი ჰქონდათ ურებს – იბერიელებს (ტარიელს, ავთანდილს, ფრიდონს). ამ ციფრში – 20–ში იყო ეს ცოდნა გამოხატული. ამას კი მხოლოდ იბერიული ცხოვრების წესზე მომქმედი მიწათმოქმედი ფლობდა. ამგვარად, როცა რომელიმე სიტყვაში ათია, შინაარსის მიხედვით შეიძლება ვიგულისხმოთ ათი სიტყვის, ან ათი მცნების დამცველი. განსხვავება იმაშია, რომ 10 მცნების დამცველი მზადაა მიწათმო-

ქმედებისათვის, სიყვარულისთვის, ხოლო 10 სიტყვის მცოდნე სიყვარულით მიწათმოქმედია. მოყვასისთვის თავს გასწირავს და იცავს ოცს, ანუ ათ სიტყვას და 10 მცნებას.

ამგვარად, 10 მცნების დაცვით იწყება საქართველოს გარეთ მცხოვრებთა მომზადება მიწათმოქმედებისათვის. ეს ხალხი თუ მიხვდება, რა თქმა უნდა, თანდათან – მათი სა–ხე, სურ–ათი იქნება 10 სიტყვის დაცვა. უდაბნოში ებრაელთა ერმა აღადგინა წინაპრების გენეტიკა 10 მცნების დაცვისა და შემდეგ შეიქმნა ქანაანში მიწათმოქმედ ერად – იბერიულად, ანუ იცავდა 10 სიტყვასაც.

უფლის რწმენის, ანუ ცოდნის – გონის გარეშე არ არსებობს სწორი მიწათმოქმედება და, პირიქით, სწორი მიწათმოქმედების გარეშე არ არსებობს მცნებების დაცვა. გავიხსენოთ, ღმერთმა მიწათმოქმედების დაცვის წესი ჩაუდო ადამიანს პირველად ენაში. მან დამოუკიდებელი შეგვქმნა, მოგვცა თავისუფლებაც – ის, რასაც მხოლოდ ჩვენ ვართმევთ ურთიერთს. ასევე მისი ნებით, სურვილით გვაქვს გასავალი. შედეგად უფლისაგან ყველა ადამიანი იქნება მდიდარი, ე.ი. დარისა და სიუხვის განმაპირობებელი. ასეთ ერს ექნება ენება.

ამგვარად, 10 სიტყვა – ეს არის სიბრძნე სწორი ცხოვრების წესის, მიწათმოქმედების და 10 მცნების შესრულება და 20 ძირითადი მიმართულების შესრულებაც. ამიტომ ქართულში ციფრებს 10 და 20 თითქმის ერთი და იგივე დატვირთვა აქვთ. ამიტომ მეორდებიან მხოლოდ ეს ციფრები დათვლისას (რაც სხვა ენებში გამორიცხულია): ათი, ოცი, ოც–და–ათი, ორ–მ–ოცი, ორ–მოცდა–ათი, სამ–ოცი, სამ–ოც–და–ათი, ოთხმ–ოცი და ა.შ. ჩვენში 10 და 20 ცვლიან ერთმანეთს. ჩვენს მსჯელობას ისიც ადასტურებს, რომ სხვა ციფრები (25 – 30 – 15 – 5) არ მეორდება, ანუ ჩვენი სიბრძნის ათვლის წერტილი 10 ან 20 ციფრია. რუსულში, მაგალითად, ასამდე არ არის არც 10 და არც ოცის დაბოლოება. სიტყვა ათ–ელაც ხომ ათ სიტყვას შეიცავს. ამავე დროს რაკიღა ეს სიტყვები 1, 2 ან 10, 20 ჩვენთვის საკრალურია, მოხვედრილია ისეთ სხვადასხვა სიტყვებში, რომელნიც მიგვითითებენ პირდაპირ, რომ სიკეთის გამარჯვებისათვის უნდა იყოს ათი მცნების ან ათი სიტყვის ან მათი ჯამის დანერგვა. ეს ისეთ სიტყვებშია: ნ–ათ–ელი, ად–ათი, ქ–ათ–ქ–ათ–ა, ს–ათ–ნო ე.ი. ცოტა ნათელი მაშინ აქვს ადამიანს, როცა იცავს ა–დ–ათს, ანუ 10 სიტყვას, ეს საფუძველია სიწმინდის, სიქათქათის. არის ადამიანი სათნო, კეთილი.

10 სიტყვა, ისევე როგორც 10 მცნება, სინათლეა და განაპირობებს მცნებათა დაცვას. ივი აქამდე დაფარული იყო ჩვენთვის, რადგან ჩვენ უკეთეს შემთხვევაში შეიძლება გვევარაუდა, რომ აქ ათი მცნების დაცვაზეა ლაპარაკი, მით უმეტეს, დაფარული იყო ჩვენთვის მათი ჯამის, ანუ ოცი მიმართულების დაცვა. დღეს ეს გამ–ოც–ანა ამოხსნილია. აქედან სიტყვა გა–ოც–ება: გაოცებაა ალბად სხვისთვის, როგორ მიგვანიშნებს ენა მცნებათა დაცვას. გა–ოც–და ეს სიტყვა თვითონ გვეუბნება, რომ ოცმა მიმართულებამ გააოცა. (როსტევანი ტარიელზე იძახის: „მე–ოც–ნაო“, ანუ ოცნება იყო მისთვის ტარიელის დონის, 20 მიმართულების მცოდნე მოყმესთან შეხვედრა. ამ სიტყვის სხვა საიდუმლოებაზე ცოტა ქვემოთ აღვნიშნავთ). გააოცა იმანაც, რაც დაფარულია და ამავე დროს რაც ასე ღიადაა ქართულ ენაში.

ენა იმასაც გვეუბნება, რომ ეს ოცი მიმართულება, ის მუდმივი კ–ოც–ონია, რომელიც საფუძველია მიწათმოქმედების, ნათ–ლის, გან–ათ–ლების, ანუ ცოდნის სხივის და ისეა გაღვივებული, რომ არ ქრება იგი. ეს მიწათმოქმედება რომ 10 სიტყვის დაცვითაა, ამას სიტყვა დ–ათ–ესვა გვეუბნება, სურს–ათ–იც ხომ ათი სიტყვის დაცვით მიიღება. სიტყვა ნობ–ათ–იც ხომ იგივეს აღნიშნავს და ბოლოს, რაიმე გამოგზავნილსაც ამან–ათ–ი ჰქვია.

მაგრამ სხვებმა ეს რომ განახორციელონ, მისთვის ოცნებობს ქართველი და იცის, რომ ოცი მიმართულება უნდა დაინერგოს ამისთვის. ამიტომ გაჰქონდა მას ცოდნა სხვა ქვეყნებში. ამიტომ შეიცავს სიტყვა ლ–ოც–ვა ოცს. ოცი მიმართულების დანერგვაზე ლოცულობს დღენიადაგ ქართველი. მაშინ იქნება სა–ოც–ნებო, სა–ოც–არი გარე სამყარო, რომელიც გა–ოც–ებას იწვევს მნახველში. ეს გაოცება მოაქვს მაღალ სულიერ–ზნეობრივ სიწმინდეს. წმინდაა ყველაფერი, რაც კ–ოც–ნის სურვილს აღძრავს, ამიტომ ეს სიტყვაც შეიცავს ოცს, ეს არის ერის სწ–ორ–ი სიც–ოც–ხლე, არსებობა. სიცოცხლეც ანუ ც–ოც–ხ–ალი ოცს შეიცავს. ქართული ენის გაგებით ც–ოც–ხალი მაშინაა კაცი, ვინც 10 მცნებას და 10 სიტყვას იცავს. მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდე მიწათმოქმედი და სიყვარული გქონდეს, უსიყვარულოდ კი სიოც არ ჰქრის ქვეყანაზე. ასე ამბობდა გალაკტიონის ენით ქართველი.

ამგვარად, სიცოცხლე ქართველისათვის არის მაშინ, როცა არის მიწათმოქმედება – ე.ი. მიწაზე ათი მცნებით და ათი სიტყვით მოქმედება და სიყვარული. თუმცა დახ–ოც–ვაც ოცს

შეიცაეს. ესეც აუცილებელი ყოფილა ქართულ ყოფაში. „ვეფხისტყაოსანშიც“ ხომ ძირითადად ბოროტთა დახოცვით ხდება მათში სიკეთის შეტანა და იმარჯვებს სიკეთე. შესანიშნავად თქვა ამაზე ვაჟამ:

„შენი ჭირიმე, სიკედილო, სიცოცხლე ხარობს შ–ენითა“.

სხვათა შორის, რუსთაველი ბევრჯერ იმეორებს ოცს, როგორც საკრალურ ციფრს. თუნდაც როსტევან მეფისა და ავთანდილის გაჯიბრების შეფასება ავიღოთ:

„ორთავე ერთგან მოკლული ყველაი ათჯერ ოცია,
მაგრა ავთანდილს ოცითა უფროსი დაუხოცია:
არ დასცთომია ერთიცა, რაც ოდენ შეუტყ–ოცია,
თქვენი მრავალი მიწითა დასვრილი გაგვიხ–ოცია“.

აქ ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ ამარცხებს ოცი მიმართულების ცოდნა ბოროტს, ცხოველურ მისწრაფებებს. ამიტომ მოკლული ათჯერ ოცია, მაგრამ ავთანდილს ერთი ოცით მეტი აქვს. ე.ი. ცოდნით უფრო მეტი ბოროტი დახოცა, ანუ სიკეთემ იმარჯვა ადამიანებში.

ამავე დროს, ავთანდილთან სიკეთე სრულყოფილად იმარჯვებს, როსტევანის შემთხვევაში კი არა, რასაც მოწმობს ბოლო სიტყვები: „მრავალი მიწით დასვრილი გაგვიხოცია“. ანუ ბოლომდე ვერ დანერგა სწორი მიწათმოქმედება, ცხოვრების წესი.

ტარიელის მოქმედებანიც, როგორც როსტევანისა და ავთანდილისა, ოცი მიმართულების დაცვაა.

„მე რა მნახა, ცხენსა შეჯდა, თვალთა ცრემლნი მოიხ–ოც–ნა,
მესაპყრობლად შევუზახენ, სპანი სრულად დამიხ–ოც–ნა
ვითა ემმა დამეკარგა, არ კაცურად გარდამკ–ოც–ნა,
ჯერთცა ესე არა ვიცი; ცხადი იყო თუ მ–ოც–ნა“.

აქ ჩანს, რომ ტარიელიც დიდი ცოდნით, ოცი მიმართულებით ირჯებოდა და ამარცხებდა მომხდურთ. იგი ხომ იბერიელია. უკვირს როსტევანს მისი ცოდნა და ამიტომ ამბობს: ცხადი იყო თუ მ–ოც–ნაო“. ესე იგი, როსტევანისთვის საოცნებო და გასახარელი ოცი მიმართულების ცოდნა ჰქონდა ტარიელს – უცხო მოყმეს. ეს ცოდნა ბიბლიის – თორის, ქრისტიანობის ცოდნაა.

ეს ქვეყანა გამ–ოც–ანა აღარ არის, ოცი მიმართულების სიბრძნეს თუ ჩაწვდები, მაშინ ხარ სრულყოფილი ცოდნის მატარებელი, საზოგადოებისა ჯამა–ათის სრულყოფილი წევრი. ე.ი. ჯამში იცავ 10 სიტყვას. ასეც შეიძლება აიხსნას სიტყვა ჯამაათი. სხვათა შორის, მეფე ებრაულად ხ–ათ–ანია, ანუ ხასია ის და იცავს ათ–სიტყვას ანის – ანბანის საფუძველზე.

ციფრ ოცს აქვს კიდევ ერთი საიდუმლოება რასაც ნაწარმოების განხილვისას აღმოვაჩენთ.

უდიდესია სამშობლოს სიყვარულიც, რადგან აქ სამი მშობლის, ყველა სულიერის სიყვარულია გაერთიანებული. აი, რატომ იცავდა ქართველი ასე შემართებით ქართულ მიწას და სამშობლოს. მიწათმოქმედთათვის ამ ათი სიტყვის შესრულებაა კრიტერიუმი, თუ იცავ მათ, თავისთავად იცავ 10 მცნებას და მაშინ ხარ წმინდანის დონეზე. თუ არა და მრუშობ, უზნეობ, მიწის, ქალის, მოყვასის, გარე სამყაროს მიმართ და შენ უფრო განიკითხები. არაიბერიელი იგივე ქმედებისას შეიძლება არც განიკითხოს ღმერთმა, მაგრამ შენ განიკითხები, რადგან უფალმა მოგანიჭა სიკეთის ციტადელის მისია და დამოუკიდებლობის უფლება. ამისათვის სხვაზე მეტი ნიჭი, გონიერება, პოტენცია მოგცა და დიდი უბედურებაა ქვეყნისათვის, თუ იბერიელი ბოროტების მსახურია. ის ნათელიდან შავ გენიოსად გარდაიქმნება. 10 სიტყვის ყოველი სიტყვის აღსრულება მომდევნოს აღასრულებს. ვის არ უყვარს უფალი? – ვისაც ცოდნა არა აქვს. მისი სიყვარული პირდაპირ პროპორციულია ცოდნის. თუმცა ეს ცოდნა უსასრულოა და როგორც სიყვარული მისი ჩვენდამი მიუწვდომელია ჩვენთვის. ამიტომ უნდა მივილტვოდეთ ამ უსასრულობამდე. გემატება ცოდნა და მაშინ ხვდები, რომ არცერთი მშობელი, დედაც კი არ ზრუნავს შენზე ისე, როგორც უფალი. ამიტომაც სამყაროს მოწყობის და მართვის უდიდესმა მცოდნემ დავითმა მასზედ დაწერა ყველა საგალობელი. დაწერა, რადგან იგი მშობელია შენი და მშო-

ბელი მშობელთა, რათა შენ გეყოს კეთილი. თუ სხეა ხალხი ამ ენის დევნისთვის განიკითხება, ქართველნი — იბერიელნი განიკითხებიან 10 სიტყვის არ აღსრულების გამო.

ამგვარად, მცნებათა დაცვას განაპირობებს ენის სიწმინდე, რომელიც ყველაფერში სიყვარულს ნერგავს, რადგან არის ათი მიმართულების სიტყვა, სიტყვა სწორი ცხოვრების წესისა. ამ ათ მიმართულებას განამტკიცებს ენაში არსებული თითქმის ყველა სხვა სიტყვათა კრებული, რომელთა სიბრძნეზე შეიძლება ტომები დაიწეროს. თითოეული სიტყვა თითოეული მცნებაა ქართულში. ამიტომ ისიც აღსანიშნავია, რომ შეიძლება გამოიძებნოს ამ ათი სიტყვის სინონიმი, შემცველელი, ან სხვაარსის სიტყვები იქნენ შერჩეული და სხვამ სხვაგვარად შეადგინოს იგი. ამ საკითხზე მუშაობას მრავალი ქართველის ერთობა, ძალისხმევა სჭირდება. ეს უფრო მომავალი თაობის საქმეა. ერთია მთავარი, ეს ენა, სიტყვები განაპირობებს უშწიკვლო ქცევას, სულიერებას — გენეტიკას, უპრობლემო ჰარმონიული სამყაროს შექმნის ცხოვრების წესს. ამიტომ სანამ არის ენა ქართული, არ შეიცვლება სიკეთის გენეტიკა, ქცევა — სიყვარული და ვერ მოერევა მას ბოროტი. იგი პირველადი ენაა, შუქია, ნათელი, ცოდნა უზენაესიდან წამოსული, რომელიც ააშკარავებს ბოროტს, ლაჩარს წვავს, აუერკმთალებს და ამარცხებს.

ტყუილად არ ამბობდა იოანე — ზოსიმე, ამ ენით უნდა განიკითხოს უფალმა ყველა ხალხიო. ჩავუფიქრდეთ ათივე სიტყვას და ჩავუფიქრდეთ სიტყვა შ—ენ—ებას. ამ—ერ—და მ—ენ—ი ოჯახიო, რომ ლოცავენ. ე.ი. აშენდა ენის მცნების დაცვით იწყება — „ება"—თი მთავრდება სიტყვები: ცხო—ნ—ება, მშვენ—ება, სიამოვნ—ება და სხვა. სიკეთეც ხომ კეთებაა, ანუ შე—ენება ენის მცნებათა დაცვითაა.

ამგვარად, სიკეთის მთესველი ენა, სიტყვა გვეუბნება, რომ ღმერთი ერთია, სიყვარული და მიწათმოქმედება 10 სიტყვაში დევს. მაშინ დაცული გვქნება ყველა სულიერის მრავალფეროვნება, ჰარმონიული თანაარსებობა. გვქნება უფლება, ნება უფლისა, დამოუკიდებლობის, თავისუფლების, დღეგრძელობის. გიყვარს მოყვასი, გაჩუქება, გაცემა, გაყოფა — ხარ მდიდარი, ისე რომ დარია, არის ერთობა და ერის ენება ანუ ეროვნება. არის დაცული ქალის ღირსება, მისი ადგილი ოჯახში, სახელმწიფოში.

## განმარტება №3

იოსები რომ ფლობს ამ ცოდნას, ეს იქიდან ჩანს, რომ იოსები მართლაც იბერიულ ცხოვრების წესს ამკვიდრებს ეგვიპტეში: როცა ყველას ჩამოართვა მიწები შვიდწლიანი შიმშილის დროს და ეს მიწები მეფის განკარგვაში შევიდა. დაეკისრათ მათ ხარკი 1/5 შემოსავლიდან. ანუ მიწა არ არის ყიდვა — გაყიდვის საგანი. ამავე დროს ქურუმებს მიწა არ ჩამოერთვათ ანუ როგორც საქართველოში იყო. /ოღონდ საქართველოში შემდეგ ამ მიწებს საეკლესიო მიწები ერქვათ/. ამავე დროს მიწას ასვენებს იგი. გავიხსენოთ, როგორ ეუბნება ძმებს დაბადება 45.6, იმიტომ, რომ ეს ორი წელიწადია შიმშილისა ქვეყანაში და კიდევ ხუთ წელიწადს არ იქნება ხვნა და მკა. ამავე დროს გაყოფის წესს აწესებს. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, თუ როგორ ასაზრდოებდა იოსები თავის ახლობლებს. დაბადება 47.12 და ასაზრდოებდა იოსები თავის მამას და ძმებს და თავის მთელ სახლეულს პურით, ბავშვების რიცხვის მიხედვით. და მეორე, იოსები ქორწინდება ასენათზე დაბადება 41.45 და უწოდა ფარაონმა იოსებს სახელად ცაფენად—ფანეახი, და მისცა მას ცოლად ასენათი, ონის ქურუმ ფოტი—ფერას ასული, და გამოვიდა იოსები ეგვიპტის მიწა—წყალზე.

ჯერ ახალი გადასული იყო იბერიული მოდგმის ხალხი ეგვიპტეში და, როგორც ფარაონი, ასევე თავისთავად ქურუმები იყვნენ მორწმუნენი, შემდეგ განვითარდა მათში კერპთაყვანისმცემლობა და ცრუმეცნიერები, ჯადოქრები, მოგვები. ამიტომაც დაუწყეს დევნა ებრაელებს — იბერიელებს, რომლებიც ღმერთის ერთგულნი იყვნენ.

ამიტომ დაუჯერა ფარაონმა იოსებს და გახადა ეგვიპტის გამგებელი, ხოლო შემდეგმა ფარაონმა უკვე აღარ დაუჯერა მოსეს.

ქართველებმა ვიცით, რომ ტოპონიმებიც ჩაპქონდათ სხვა ქვეყანებში. ჯერ თავად სახელი ონი ხომ ქართულია. ამავე დროს ონის ქურუმის ასულს ჰქვია ას—ნათი. ეს სახელი ბიბლიაში სამჯერ მეორდება. ახლა შევადაროთ სახელი ას—ნათი, ას—მათი და თინათინი. პირველი და მესამე ნათებასთანაა დაკავშირებული. სამივე შეიცავს 10—ს, ანუ ათი მცნების დაცვაა და სამივე ამავე დროს ქართული სახელია.

საყურადღებო კიდევ ის არის რომ იაკობი სთხოვს იოსებს რომ მისი შეილები გახდეს ასენათის და იოსების შეილი მენაშე და ეფრაიმი და მათ აძლევს კურთხევას. ანუ ისრაელის, იბერიელის, ჩნეობის და დიდ მცოდნეთა სახელს მათ აკუთვნებს, დაბადება 48.16, ანგელოზმა, რომელმაც მიხსნა ყოველგვარი ბოროტებისგან,აკურთხოს ეს ყრმები და დარქმეულ იქნას მათში ჩემი სახელი და ჩემი მამების აბრაჰამისი და იცხაკის სახელი, და სიმრავლით მოშენდნენ დედამიწაზე, ხოლო მარჯვენა ხელი ედო ეფრემზე, უმცროს შვილზე.

იოსებმა შეახსენა კურთხევა უფროს შვილს ეკუთვნისო. იაკობმა უპასუხა 48.14, და გაუძალიანდა მამას და უთხრა ვიცი, შვილო, ვიცი, ისიც ხალხად იქცევა, ისიც განდიდდება, მაგრამ მისი უმცროსი ძმა მასზე დიდი იქნება და მისი შთამომავლობა მრავალრიცხოვანი ხალხი გახდება, 20. და აკურთხა ისინი იმ დღეს ამ სიტყვებით: შენში აკურთხებ ისრაელ ასე: გაგხადოს ღმერთმა ვითარცა ეფრაიმი და ვითარცა მენაშე: და დააყენა ეფრაიმი მენაშეზე წინ. 21. და უთხრა ისრაელმა იოსეფს. აჰა, მე ვკვდები და ღმერთი იქნება თქვენთან და დაგაბრუნებთ თქვენი მამების ქვეყანაში. 22. და შენ მოგეცი შენს ძმებზე ერთით მეტი ნაკვეთი, რომელიც დავიპყარი ამორელის ხელიდან ჩემი მახვილით და ჩემი მშვილდით:

გავიხსენოთ წინა თავიდან იუდას კურთხევა და მოვიყვანოთ იოსების კურთხევაც:

დაბადება 49.22 ნაყოფიერი ტოტია იოსები, ნაყოფიერი ტოტი — წყაროს თავზე; მისი ყლორტები გალავანზეა გადაჭიმული. 23 გაამწარეს კიდეც; ესროლნენ კიდეც, მოიძულეს კიდეც მშვილდოსნებმა. 24 და დარჩა შეუდრკელად მის მშვილდი, და შემართული ჰქონდა მკლავები, იაკობის მეუფის შემწეობით, იქიდან გახდა მწყემსი და ბურჯი ისრაელისა. 25 მამაშენის ღმერთისაგან, დაე ის დაგეხმაროს, და ყოვლისშემძლისაგან, დაე, მან გაკურთხოს ზეცის კურთხევით მაღლიდან, დაბლა გაწოლილი ნაპრალის კურთხევით, ძუძუებისა და საშოს კურთხევით 26. მამაშენის კურთხევა უპირატესია ჩემი მშობლების კურთხევაზე, მარადიული ქედების მწვერვალებამდის: და იყოს იოსების თავზე და ძმებში რჩეულის კეფაზე.

რა თქმა უნდა, რასაც ჩვენ შემოგთავაზებთ ამ სტრიქონების ასახსნელად, მხოლოდ ვარაუდია, რამეთუ ბიბლიის ყველა სტროფი დიდ საიდუმლოებას შეიცავს და ის მესიის მობრძანებისას გაირკვევა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ყოველ კურთხევას ბიბლიაში აქვს თავის დანიშნულება, ის ტყუილუბრალოდ არ ითქმება და აუცილებლად ახდება. მაგალითად, რატომ ეუბნება იაკობი იოსებს რომ შენ ერთით მეტი ნაკვეთი მოგეციო. იოსების შტოს მართლაც ორი ნაკვეთი ერგო ქანაანში.

იუდეას კურთხევისას კი იაკობი ეუბნება „ძალმომრეობას ჩემო შვილო განერიდე" არ შეისმინა ეს მისმა შტომ. თუ დავითმა მოინანია 120 ფსალმუნში /ისევე როგორც დავით აღმაშენებელმა/ სოლომონმა ეს ძალმომრეობა დააწესა იბერიული მმართველობის მაგივრად. ისრაელის სახელმწიფოს დაბაბუნებისათვის ეს მიმართულება გადამწყვეტი აღმოჩნდა, რადგან იგივე გზას დაადგა მისი შვილი რობოამში, როცა იყო მომენტი გაერთიანებული ყოფილიყო ისრაელის 12 შტო. აბრევ ბათოშვილი, „ებრაელი ხალხის ისტორიიდან" საქინფორმკინო, თბილისი 1991 წელი, 68 გვ. აქვე კიდევ ერთხელ ესმევა ხაზი რომ მეფობა — მესია ამ შტოდან უნდა იყოს.

აი ასე არ გაიხსენა იაკობის კურთხევა არც სოლომონმა და არც მისმა ვაჟმა, რაც საბედისწერო აღმოჩნდა. ეს კურთხევა ებრაელებს ეხლაც უნდა ახსოვდეთ. პალესტინელებთან პრობლემა მშვიდობით, რელიგია ერთიანობით გადაწყდება. ქართველმა ავთანდილმა უნდა მოაგვაროს ეს. ჩვენ ეხედავთ, რომ იუდას შტოს კურთხევაც მეფობისა სრულდება. ამიტომ უნდა ამხდარიყო იაკობ—იოსების, ეფრაიმის და მენაშეს ამ მრწამსის — მიწათმოქმედთა დიდ ხალხად გადაქცევის კურთხევა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს 10 შტო დაკარგულია. ამავე დროს შენი მამების ქვეყანაში რომ არის ნათქვამი, მათი მამა ანუ აბრაამის დიდი პაპა იყო შემი და ნოეც.

ამდენად, როგორც ის ათი შტო, ასევე ეს ორი შტო უნდა არსებობდეს. როგორც აღვნიშნეთ, მეცნიერთა მტკიცებით ეს ათი შტო საქართველოში, კავკასიაში ჩამოსახლდა. აქ შემის, ნოეს სამშობლოში უნდა მომრავლებულიყო ეფრაიმის შტო. ხოლო მენაშეს შტო შეიძლება ასევე იბერიული მოდგმების იმ მუსლიმანურ სახელმწიფოში მომრავლდა, რუსთაველს ფრიდონად რომ ჰყავს მოხსენიებული. რა თქმა უნდა, აქაც და იქაც ჭარბობდნენ იაფეტიდები ავთანდილი და ფრიდონი, რომელნიც მრავლდებოდნენ შემის კარვებში.

აქ მთავარი იბერიული სულის, მიწათმოქმედების მრწამსის გამრავლებაა. რაც საქართველოში მოხდა. აი ეს არის კურთხევის ახდენა. ამ მიგნებას ადასტურებს ის ფაქტი, რომ როდესაც ნაბუქოდონოსარის აოხრების მერე დაბრუნდნენ ებრაელები ისრაელში, მათ სულიერი შევსება სწავლულთა ლევიტების და ქოენების სახით საქართველოდან მიიღეს, ხოლო დანარჩენი ათი ტომი არ გადავიდა, რადგან ისინი იერუსალაიმის დონეზე იყვნენ. ამ დონეს კი მიაღწიეს უფრო ადრე გადმოსახლების გამო ძ.წ. 722 წ. რასაც ადასტურებს კირიონ მეორეც.

იოსების კურთხევა გავიხსენოთ: იგი ნაყოფიერი ტოტია წყაროს თავზე, მისი ყლორტები გალავანზეა დალაგებული. წყალი და გალავანზე გადადებული ყლორტები ვაზისა საქართველოშია დღეს მხოლოდ. გავიხსენოთ, ხომ იგი გააწამეს მშვილდოსნებმა, ანუ მკოდნეებმა, მისმა ძმებმა /რუსთაველსაც ხომ მშვილდოსნობაში შეჯიბრი აქვს ასახული ცოდნის დასადგენად/. და დარჩა შეუცვლელად მისი მშვილდი, იაკობის მეუფის შემწეობით. იქიდან გახდა მწყემსი და ბურჯი ისრაელისა. ანუ ცოდნა იაკობის იბერიულ მოდგმაში, კავკასიაში განმტკიცდა. აქ იყო მწყემსი ხალხი. ხალხი, რომელიც იოსებივით მუდამ მიმტევებელია და მოყვასზე ფიქრობს. გავიხსენოთ ასევე სიტყვები „ზეცის მაღლიდან – დაბლა გაწოლილი ნაპრალი კურთხევით". კომენტატორების აზრით, იაკობი სთხოვს უზენაეს მიეცეს იოსებს მიწა წვიმებით და მიწისქვეშა წყლებით სავსე. ეს რომ მხოლოდ საქართველოშია, დღეს უდავო ფაქტია. სიტყვებში „ძუძუების და საშოს კურთხევით მარადიული ქედების მწვერვალამდის", კავკასიაა აღწერილი, ხოლო ძუძუ და საშო ანუ მდედრი აქ არის სულ მუდამ კურთხეული.

ახლა გავიხსენოთ როგორ აკურთხებს იოსების მტოს მოსე: (წიგნი მეხუთე) 33.13 და იოსების შესახებ თქვა: კურთხეულია უფლის მიერ მისი მიწა ცის სიკეთით, ნამით და ძირს გართხმული უფსკრულით, 14 და მზის ნაყოფთა სიკეთით და მთვარის მოსავლის* 15. ოდინდელ მთათა თავანკარით* და მარადიულ ბორცვთა სიკეთით. 16 დედამიწისა და მისი სისავსის სიკეთით; და დავე მაყვლოვნის მკვიდრის ნება – სურვილით მოვიდეს ყოველივე იოსეფის თავზე და ძმებს შორის რჩეულის თხემზე. 17 ამშვენებს მას პირველშობილი ხარი მისი და ანტილოპის რქები მისი რქებია, რომლებითაც ურქენს ხალხებს ერთიანად დედამიწის კიდემდის: ესენია ათიათასები ეფრაიმისა და ესენია ათასეულები მენაშესი.

ამგვარად, ბუნების მადლი მიწათმოქმედების ქვეყნის შექმნის კურთხევა, როგორც იაკობის, ასევე მოსეს მიერ, იოსების მტოზე მოდის. პირდაპირი მემკვიდრეა ნოეს, შემის, აბრამ ისხაკ იაკობის მრწამსის იოსები, მისი შვილები და ვითარდება იაფეტი ქართველნი შემის იოსების – ეფრაიმის – მენაშეს კარვებში. ჩვენ აღარ გავაგრძელეთ იუდას კურთხევა, მასაც მიწათმოქმედთა ქვეყნის შექმნის კურთხევა აქვს. იქ ნაკურთხი აქვს ქვეყანა სამეფოდ, სადაც სათესი მიწები იქნება წითელი ყურძნისგან და საძოვრები თეთრი უთვალავი ცხვრების გამო. მისი ნაკვეთები წითელი იქნება ღვინით და კბილები თეთრი რძისგან. ამავე დროს, ძალიან დიდი იქნება მტევნები ყურძნისა. მხოლოდ საქართველოს ყოველ კუთხეში იყო ასეთი განვითარება მევენახეობის. საქართველოს სულიერი ემბლემაც ხომ ვაზია. მისი მტოც ხომ საქართველოში მეფობდა. ამიტომაც მსოფლიოში დღესაც უგემრიელესია ქართული მიწის ნაყოფი, სიუხვეა წყლების, ულამაზესია ქართული სამყარო და ქართული სული. სული, რომელშიც ჩასახულია ყველა ის დალოცვა, რაც იაკობის მოშეს პირით ითქვა, და მართლაც ამ რქებით მიწათმოქმედებით ურქენენ ხალხებს მესია ტარიელი შემის იუდეს შთამომავალი და ავთანდილი იაფეტის შთამომავალი „ვეფხისტყაოსანში". რათა დანერგონ ის მიწათმოქმედება, რაც იაკობის მრწამსია. ხომ მართლაც ათიათასობით იბერიელნი გადადიან საქართველოდან ამისათვის. აი როგორ ემთხვევა „ვეფხისტყაოსანის" წინასწარმეტყველება მოსეს წინასწარმეტყველებას. და საიდან არის ჩვენში ეფრემიანი, ბაგრატოვანი დავით სოსლანი, რაც ზ. გამსახურდიას მიერ არის აღნიშნული.

აი ასე უნდა ახდეს, ჩვენი აზრით, იაკობის და მოსეს კურთხევა. ეს არის აზრი, რომელიც მოვლენათა ლოგიკიდან გამომდინარეობს. სიმართლეს კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მესია აუწყებს ხალხებს. ჩვენ მხოლოდ უნდა ვიღვაწოთ და ვილოცოთ რომ დაჩქარდეს მისი გამოვლინება და შევთხოვოთ უფალს მოგვიტევოს შეცდომები.

ამგვარად, საქართველოში სწორედ ეფრემიანი დავით სოსლანი იოსების მტოდან, შეუღლდება თამართან რათა არ მოხდეს სისხლის აღრევა. 12 თაობის განმავლობაში.

---

*იგულისხმება ბოსტნეული და ზოგიერთი სხვა ხილი, რომელთა მოსავალი, წინაპართა რწმენით, მთვარის ზეგავლენით მოდიოდა.

*აქ ბუნების მადლზეა ლაპარაკი. შეიძლება პირდაპირი გაგებითაც გავიგოთ. ძველი მთების მწვერვალების.

# რა არის იბერიელობა – ქართველობა

ავღნიშნავთ რომ ქართველებში ვგულისხმობთ ყველა იბერიელს.

დღეს როცა გეგმაზომიერად მოამრავლა ბოროტებამ გვარგადაკეთებული ინდოევროპული მოდგმის ქართველები და ისინი ხელისუფლების სათავეშია – ან ხელისუფლების დასაყრდენია, ქართველობა მარტო გვარი არ არის.*

1. ქართველობა, უპირველეს ყოვლისა, ენის სიწმინდის დაცვაა, მისი სულით სულიერებაა, მის სიბრძნით აზროვნება და ზნეობაა.

ენას არა აქვს არც საწყისი და არც სასრული. მისი სიბრძნით შექმნა უფალმა ჩვენში ათი თვისება, როგორც მარადიული და წარუშლელი გენეტიკური კოდი.* გენეტიკური კოდი შემისა – უშუალოდ ღმერთის მსახურებაა და სიყვარული, იაფეტისა კაცთმოყვარეობა – მოყვასის სიყვარული. ამ თვისებებით შეერწყნენ ისინი ენის სულს და ამიტომაც ქართულ ენას დედაენას ეძახიან. თორას – ბიბლიას – დედა წიგნს. მიწას დედამიწას, დიდ დედას – ზეციურდედას და ამიტომაც მადლიანია აქ ყველაფერი ხალხიდან დაწყებული.

ამიტომაც ქართველი გენეტიკურად მიილტვის, როგორც უფალს აქვს ყოველივე უსასრულო /მათ შორის სიყვარული/, მიუახლოვდეს ამ განზომილებათა უსასრულობას. აი, რატომაა რომ მხოლოდ იბერიელები ოთხი ათასი წელია ვარსებობთ და გვაქვს უკვდავება. ყოველი ნაბიჯის გადადგმის წინ ჩვენ გენეტიკურად ამ ჩვენი სულის კონსტიტუციაში ვიხედებით და ვიცავთ მის სიწმინდეს. თუ ურიგო აზრი შემოიჭრა ჩვენში, მაშინვე ვგრძნობთ სინდისის ქენჯნას, რადგან ტვინშია კოდირებული ენა და წუხს დიდი დედის – ენის სული, დედა ენა; ენა ზნეობის და კეთილკაცობისა ღვთაებრივ სულთან ერთად.

2. უფლის 10 თვისებათა უსასრულობისაკენ ზრდას ტრადიციულად განაპირობებდა ყველაზე დიდი სიბრძნის ბიბლიის ყოველდღიური სწავლა.

თორის, ენის სიბრძნე იყო და არის ჩვენი მარადიული კონსტიტუცია და განაპირობებს იბერიულ–ქართული ცხოვრების წესს – უნიკალურ მიწათმოქმედებას.

3. რაკიდა ბიბლიის, ენის სიბრძნე უსასრულოა ქართველის ერთადერთი და აუცილებელი მისწრაფებაა – სწავლობდეს ბავშვობიდან სიკვდილამდე, დღითი დღე უფლის მიერ მოცემულ წიგნთა წიგნს – ბიბლიას, მისგან გამომდინარე სხვა საღვთო წმინდა წიგნებს. მათ შორის

---

*საერთოდ ადრე ყველა უფრთხილდებოდა თავის გვარის სიწმინდეს, სახელს. გვარგადაკეთებულს კი თავისი არ უყვარდა, სხვისას რად შეიყვარებს? გვარი კი ქართველთა ცხოვრების დედაბოძი რომაა, ენაც გვკარნახობს. „მოგვარდა საქმეო",ანუ გვარში სიმართლით, ზნეობით გადაწყდა იგი. გვარიანად ანუ საკმაოდ კარგად, რიგიანად გაკეთებულ საქმეზე იტყვიან ჩვენში.

*რას ნიშნავს გენეტიკური კოდი. ჩვენ ვიცით როგორიცაა ადამიანის გენის თვისებები, ანუ მოქმედება, მისი ზნეობა, ანუ ათი თვისების დაცვა ადეკვატურია ამ ადამიანის ნიჭი, ზნეობა, სულიერება, დღეგრძელობა და ბარაქიანობა. ბარაქიანობას წარმოშობს დედამიწა. თუ თბილია, კეთილია ადამიანის მოქმედება, დედამიწიდანაც სიკეთე იფრქვევა, ამიტომაა ის დედა. ამიტომ ამ მიწაზე არსებული მცენარეულ – ცხოველური სამყაროც გამოირჩევა სიკეთით, ზნეობით, ქველმოქმედებით; ცხოველთა გენეტიკაც ადამიანისას ემსგავსება. მაგალითად, კავკასიელი მგელი მოძმის ხორცს არ ჭამს, რაც უნდა მშიერი იყოს. ხოლო კავკასიურ ნაგაზს გაწვრთნა არ სჭირდება. მას დავალება უნდა მისცე და ის ამ დავალებას შეასრულებს, რადგან მას აქვს ზნეობა, სიყვარული, გონიერება.

ქართველივით ის ბრძანებას ვერ იტანს. რადგან უყვარხარ და ურთგულესი მეგობარია შენი. მბრძანებლობა, კერპობა კი ამ სიყვარულს ლახავს. მეგობრული სიტყვით კი ყველაფერს აკეთებს. სხვა ნებისმიერი ნაგაზი კი უნდა გაწვრთნა, ანუ კანონები ცხოვრებისა ასწავლო და მკაცრად მოსთხოვო მისი შესრულება, შიშით უნდა გაზარდო ის. თუ არადა შენს მითითებებს არ შეასრულებს. სიხარბე იქნება მისი კრედო – რაც ბოროტების საფუძველია. კავკასიური ნაგაზი კი არ გაეკარება მას, რაც მისთვის არ არის განკუთვნილი, /ადამსაც ხომ სიხარბით მოუვიდა უფლის მცნებათა არ აღსრულება/. გაეიხსენოთ დუმბაძის ნაწარმოებში აღწერილი მამალი, რომელიც დატუქსეს ფრთები დააჭრეს. მას კი პატრონი უყვარდა. ამის გამო საჭმელს აღარ გაეკარა და შიმშილით მოიკლა თავი. აი რა გენეტიკაა სიკეთის, სიყვარულის, ერთგულების უფლის მცნებათა აღსრულების, მისი 10 თვისების ენიდან გამომდინარე კოდირებული ქართველში და ამ მიწის ცხოველურ, მცენარეულ სამყაროში. აი რატომ სჭირდებათ ზნეობრივი კანონები და მოშიშობა უფლისა კავკასიის მიწას მოცილებულ არა იბერებს. მათი ზნეობაზე მოქცევისათვის მიიღო ეს კანონები – თორა – მოსემ. და, კიდევ, ამიტომაც ჰარმონიული ცხოვრების წესი ჯერ საქართველოში უნდა აღდგეს, რადგან აქაც საჭიროა გენი გენეტიკური კოდი. გაეიხსენოთ აკაკი: წვრთნა არ უშველის თუ ბუნებამ არ უშველა. ამიტომ გადადიოდნენ იბერიელნი სხვა ქვეყნებში რომ გაეუმჯობესებინათ მათი კოდი სიყვარულისა სიკეთისა...

„ეეფხისტყაოსანს". ეს წიგნები არიან ბაზისი და უსასრულო, ამოუწურაეი ცოდნის კიდობანი, ადამიანთა ქცევის, ზნეობის სამყაროს ქმნადობისა და სხვა. /სხვა ყველაფერი არარაობაა. ყველა სწავლება წიგნთა — წიგნიდან უნდა გამომდინარეობდეს/.

იბერობა—ქართველობა ნიშნავს ყოველი ახალი დღის უმჯობესობას წინარეზე რადგან ამოუწურავია სიმდიდრე — სახსარი უფლის სწავლებისა — თორისა და ენისა. ეუფლები ამ სიმდიდრეს და ყოველდღე გემატება სიუხვე, ბარაქა, ნიჭი, სიყვარული გამჩენისა და ხალხისა. გიმტკიცდება ათი თვისება უფლისა, იცავ 613 მცნებას რასაც უზადო ჰარმონია მოაქვს. ყველაფერი რაც ხდება ხედები რომ ეს უფლის მიერ დაწესებული კანონზომიერებაა ადამიანთა სასიკეთოდ და ეს ცხოვრება ნაწილია სხვა უფრო დიადი, ჰარმონიული ცხოვრებისთვის.

4. ქართველები, იბერიელები ეს არის ნიადაგ გამჩენთან შეერთების მოსურნე, სულიერად მაღალი, მეტად განსწავლული მოდგმა ანუ შემქმნელის ნაწილი, სხვა ხალხი კი ქმნილებაა.

იბერიელობა — ქართველობა — მეფობაა და ყველას მეფედ პირველკაცად ჩამოყალიბებაა. ყველა პირველკაცი ცდილობს ურთიერთს და უფალს ემსახუროს. უპირატესობა ამ მსახურებაში განსწავლულებს თორის და ენის სიბრძნის მცოდნეთ ენიჭებათ. რაც მეტია ცოდნა, მით უფრო მეტია ზრდა ათი თვისების უსასრულობისაკენ, მათ შორის გამჩენის ყველა სულიერის სიყვარული. ამიტომაც აქვთ უდიდესი ამოუწურავი სიყვარული გამჩენისა. ეს წარმოშობს ლტოლვას, კიდევ განსწავლულობისაკენ, მოყვასის კეთილდღეობის ზრუნვისათვის. მათში დღენიადაგ გამჩენის თვისებების და მოძღვრებათა დანერგვისათვის.

უცხო გარემოში ამ ხალხს, გაღმელს, სხვა სულიერი სამყაროდან მოსულს, ამაღლებული ცოდნის დონის ხალხს ანუ „ებერ—ივერს ყივერს" — „ივრს" უწოდებენ.

ქართველობა — სიკეთის მონოთეიზმის საფუძველია უფლისათვის, მოყვასისათვის თავგანწირვაა, ყველა სულიერის პრობლემაზე ზრუნვაა.

5. იბერიელთ—ქართველთ აქვთ უდიდესი სიყვარული, პატივისცემა, სულიერი მიჯნურობა, სულიერ—ზნეობრივ მასწავლებელთა, აღმზრდელი ხუთი დედის. ესენია: დედა წიგნი — ბიბლია, დედა ენა, ზეციური მდედრობითი არსი, დედა მიწა და ყველა ქალი, როგორც ღვთაებრივი მოვლენა და მისი ერთგულების ნიმუში. იბერიელნი — ქართველნი მზად არიან თავი შესწირონ ამ მიჯნურობას.

ქართველი ქალი განსახიერებაა დედის: უფლის სიყვარული მასში ჩაუქრობელი ნაპერწკალია. მისი გარეგნობაც, სიბრძნე, შრომისმოყვარეობა, ჩაცმულობა, განსწავლულობა და ოჯახის ერთგულება — მხოლოდ მისაბაძია.

6. სახელი იბერი ნიშნავს: — მცოდნეს, მეუფეს, ათი თვისების მატარებელს, ჭურჭელს რომელიც მზადაა დაიცვას 613 მცნება და ამისათვის მიილტვის გახდეს სამყაროს მარადიული კონსტიტუცია — ბიბლია. დანერგოს მისი მცნებებიდან გამომდინარე დემოკრატიული ქართული ცხოვრების წესი, მისი მმართველობითი სტრუქტურები, — უდიდესი სტუმართმოყვარეობა* იბერიელობა, ქართველობა სამი ძირითადი თვისებაა: გაჭირვებულთა შემფარებლობაა, მშვიდობის ჩამოგდებაა, — მედიატორობაა დაპირისპირებულ მხარეთა შორის — ბოროტების აღმოფხვრაა ცოდნის გატანით — ღმერთმა მოგვანიჭა მისია და ჩვენი გენეტიკური მოთხოვნილებაა ამ ცოდნის გავრცელება — განმტკიცება შინ და საზღვარგარეთ.

7. იბერს აქვს ცოდნა, ნიჭი, გამბედაობა და ძალა, დათრგუნოს ბოროტი. ამიტომ ცდილობს ცოდნით, განათლებით დაამარცხოს უკეთური, მოაქციოს იგი სიკეთისკენ, ზნეობისკენ. ძალას უკიდურეს შემთხვევაში იყენებს.

8. იბერიულობა მოყვასთან მიმართებაში განისაზღვრება შემდეგი საფეხურებით, მისი განათლების — ასაკის მიხედვით:

ა/ იბერიის — ღმერთის მოსიყვარულეს — გენეტიკურ—სულიერი მისწრაფებაა დაბადებიდან ფიქრი და ლოცვა მოყვასის კეთილდღეობისათვის.

ბ/ სწავლობს, სწავლობს და სწავლობს როგორ შეუქმნას ჰარმონია მოყვასს.

გ/ ეუფლება ისეთ ცოდნას, რომ ასწავლოს მოყვასს უფლის, მოყვასის ყველა სულიერის სიყვარული. ცოდნის გაცემა უიმედოსათვის რწმენის ჩანერგვა არის ყველაზე დიდი მადლი მისთვის, რადგან უფლის კარავს — სულიერებას უბრუნდება მისი შვილი. ეს არის მისი იბერიელის მისია და სულის ჰარმონია.

დ/ ნადიმობა, ქეიფი, ძილი და ყველა მისი მოქმედება, საკუთარი სულის სიამოვნებისა მიმდინარეობს აღსრულებით უფლის მიმართ მადლობის გამოთქმისა და ფიქრით მოყვასის

*სხვა ხალხს აკვირვებს აბრამის სტუმართმოყვარება. ჩვენში ყველა ასეთი თვისებით გამოირჩევა.

სიამოენებისათეის. ამ პროცესების (განსაკუთრებით საუზმის დროს) იგი, უპირეელესად, ფიქრობს მოყეასზე და ისინი მაშინ არის სასიამოენო თუ იგიეე სიამოენებას მისი ძალისხმეეით იღებს მოყეასი.

ქართული მაგიდის მსელელობა მისი ასეთი ქცეეის გამოელინებაა. ამიტომაც მხოლოდ ქართეელი სეამს ჯერ უფლის სადიდებელს, უფლისადმი მადლიერების სადღეგრძელოს; ყეელა სულიერის ჰარმონიული თანაარსებობის, სიუხეის, ყეელა გაჭირეებულთა შეელის, მოყეასის, პირადული პრობლემის მოგეარების და სხეა სადღეგრძელოებს. ეს არის ჭეშმარიტი ქართეელობა – აეთანდილობა. პირუტყეი ამას ეერ აკეთებს, მიტომ რომ პირუტყეია, ჭამის დროს მისთეის არაეინ არ არსებობს.

9. გულით უყეარს მშობლები, წინაპრები, მათი ტრადიცია, ყეელაზე უფრო კი უფალი როგორც ჩეენი ყეელაზე დიდი მშობელი: – შემქმნელი, სულის მომცემი; – ზნეობრიეი ცხოერების წესის მესაძირკელე – ამ სულის ჰარმონიისათეის თორის და ენის საშუალებით, – დღენიადაგ ჩეენზე მზრუნეელი.

10. მზადაა თაეი გასწიროს უფლის დამოძღერებათა აღსრულებისათეის, მისი სიყეარულისათეის, მოყეასის სიყეარულისათეის, მთელი კაცობრიობის ბედნიერებისათეის.

11. იგი არის პოტენციური მიწათმოქმედი – ბუნების შეილი. უყეარს მცენარეული და ცხოეელური სამყარო. ცდილობს მისი მოქმედება საწინდარი იყოს მხოლოდ და მხოლოდ ყეელა სულიერის ჰარმონიის, სიუხეის, სილამაზისა... მისი ერთადერთი სურეილია გააერცელოს ღეთაებრიეი სიმართლე, კეთილი ნება უფლისა და დაანახოს ადამიანებს რა სულიერი ჰარმონია, სიუხეეა ამ შემთხეეეაში.

12. პატიეს სცემს უფლის მიერ შექმნილ, წიგნთა წიგნისგან გამომდინარე, სამიეე რელიგიას. იუდაიზმს, ქრისტიანობას, მუსლიმანობას. ისწრაფეის აეთანდილიეით, ურთიერთ თაედაუზოგაეი სიყეარულის მეშეეობით, დაამარცხოს ბოროტება—უზნეობა და გაიმარჯეოს სიყეარულმა, ზნეობამ.*

13. ერთობა – ერთპიროენება და არა ორპირობა, არის ქართეელთა ერთადერთი მისწრაფება. ამისათეის იხედება ის ენაში. ენაა მისი სულის კონსტიტუცია და, აქედან გამომდინარე, იგი მუდამ ყოფს და გასცემს. იგი არაეის არ ემონება და არ იმონებს. ერთობისთეის ცდილობს სხეებიც აპირეელოს და თეითონაც იპირეელოს, რაც მისი სულის ჰარმონიაა, ქართული მაგიდის მსელელობაც, ცეკეაც, სიმღერებიც და ყეელა ქცეეა ქართეელთა ამის მაგალითია.

იგი ცდილობს არ შებილწოს დედა ენა, არ შეიგინოს, არ შეიტანოს უზნეო სიტყეები და ზეცაში სიკეთე, სიყეარული აუშეას. მისი გარეგნული სახე არის სისუფთაეის, სილამაზისა და ზნეობის ნიმუში, რადგან მან იცის, ყოეელ მის ქცეეას უფალი, დიდი მშობელი – მამა ადეენებს თეალს. ამიტომ ქართეელი დაუბანელი დამოუწესრიგებელი არ გამოეა.

14. ქართეელობა – იბერიელობა განსწაელულობაა და ამ განსწაელულობით კაეკასიელთა იბერიული მოდგმის წინამძღოლობაა, რათა მტკიცე იყოს იბერიული ცხოერების წესი და დაცული იყოს ბიბლიის ყეელა მცნება.

15. ქართეელობა იბერიელობა რომ უმაღლესი მცნებაა, ამიტომ არსებობენ მხოლოდ ქართეელი მუსულმანები და ქართეელი ებრაელები.

ორი სულის, ორი თეისების, ორი ძმის, სემისა და იაფეტის ერთ სულში გაერთიანებაა, მდედრის და მამრის ერთგული სიყეარულით ერთ სულში გაერთიანებაა და ამ ერთი სულით წმინდა შთამომაეალობის აღზრდაა, ანუ ოჯახთა, სახელმწიფოს სიყეარულით ერთობაა.

16. ჩეენში მოწინაეეობა წინამძღოლობა მოყმეთა პატრონობისთეისაა.

ქართეელთა ამ ზნეობის გამო მათზე ღმერთის მეხინის – სულიწმინდის მფარეელობაა. ამიტომაც ჩეენ არ გეაკლია მისი მზრუნეელობა – ბარაქა, სიყეარული, ნიჭი, ძლეეამოსილება.

---

*უნდა ახსოედეს ბიბლიიდან და ისტორიულადაც ებერთა ძეთა მამის შემის კარეებში ეითარდება იაფეტი. ამ უმცროსი ძმის იბერიელთა შტომ მიტომ მიიღო ქრისტიანობა და მუსულმანობა, რომ ეხსნა ასეეე უფლის შეილები, ჩეენი მოძმე არაიბერიული ხალხი კერპთაყეანისმცემლობისაგან და გადაშენებისაგან, რაც დაემართა ყეელა ერს ქრისტეშობამდე, გარდა იბერიელებისა /მხოლოდ ისინი კითხულობენ წინაპრების ენაზე/.

იბერიელთა მისია იყო რომ სრულყოფილი იბერიული გენეტიკური, სულიერი სიწმინდით, ზნეობით, ჩეეეებით სულიერად ამაღლებული სიყეარულით განემტკიცებინათ ეს რელიგიები და შემდეგ გაეერცელებინათ, რაც ახასიათებს აეთანდილს – იბერიული ცხოერების წესს, ქრისტიანს, ფრიდონს – იბერიულ—ქართული ცხოერების წესს, მუსილმანს. ამაში დიდი როლი მიუძღეით თეით ებრაელებს, რომელნიც პირეელნი გაქრისტიანდნენ მხოლოდ ორ ქეეყანაში: იუდეასა და საქართეელოში. შემდეგ მოხდა არაიბერიელთა გაქრისტიანება.

ჩვენი მიჯნური ჩვენთანაა. ამიტომაც ეს ერთადერთი ქვეყანაა მისი ხალხის კულტურით, სიძლიერით, საკვებით, ქცევით სამოთხეს რომ არ ადარებენ.

უნდა იცოდე, ქართველო!

ბოროტება ხლეჩს სამივე რელიგიას და ამრავლებს რელიგიებს, სექტებს, რათა იყოს დაპირისპირება–კინკლაობა – „ჩემი ჯობსო". საბედნიეროდ, ქართველებს, იბერიელებს სულში რჯულში – ენაში აქვთ ისეთი სიყვარული, რომ ეს დაპირისპირება ჩვენში გამორიცხულია. რატომ? ჩვენ ხომ შემომქმედის ნაწილი ვართ. საბედნიეროდ იბერიელობა ისრაელობა, ებრაელობა, ქართველობა ეს რელიგიებზე მეტია. რელიგია ეს ცხოვრების ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია მორწმუნე ადამიანისთვის. იბერიულობა კი თვით ცხოვრებაა მისი ნაწილი, რადგან იბერიულობა მარადიული მცნებაა სულის, გენის უკვდავებაა. ეს არის წინამძღოლობა რათა ყველა ხალსი მესიის ერაში შევიდნენ იბერიელთა, იაკობის უფლის სახლში. აი რა მისია გვაქვს ჩვენ და რატომ გვაქვს ასეთი თვისებები. როცა ებრაელები ამ მისიას აღადგენენ ავთანდილთან ერთად იქნება მშვიდობა და დადგება მესიის ერაც. ამიტომაც გააფთრებით ებრძვის ბოროტება ქართველობას იბერიელობას ენას – სიკეთის ციტადელს.

სანამ ბიბლიური დავითის მთამომავალნი იცავდნენ საუკუნო აღთქმას უფლის წინაშე, დაცვეათ მისი მცნებანი, დაუმარცხებელი იყო ქართული სახელმწიფო – ძლეული იყო მის მიერ ბოროტი.

ენის და ქართველის სულიერება ერთი სხეულია. ამიტომ არ უნდათ ქართველი გამრავლდეს, განსაკუთრებით სიკეთის მიწაზე. გვაჭრიან ტერიტორიებს. იქ სხვა ეთნოსს ამრავლებენ.

ქართული ენა და მიწა, დედულ–მამულეთი განუყოფელია. ამიტომაც ყველაფერს აკეთებენ, რომ მიწა არ დამუშავდეს, რათა არ იყოს გაყოფა–გაცემა–სიყვარული.

მაგრამ ვერავინ მოერევა უფლის მიერ მთანა–ბ–ერ ერის სულს. ჩვენი ენა ხომ დღლაა, ლოცვის, მცნებათა დაცვით ზნეობის მასწავლებელია. ამ ენით მხოლოდ სიყვარულის ლექსი, სიმღერა ანუ ლოცვათა, ქცევათა კრებული იწერება.

ქალის ლეჩაქის ღირსია და წყეულიმც იქნება, ვინც ძალადობით ბილწავს ენის სულიერებას, სიწმინდეს.

ენა ის წმინდა დედაა, ღვთიური სულიერებაა, სადაც უზნეობა ვერ თავსდება. იგი როგორც ყველა აღმზრდელი დედა, თვითონ ირჩევს, გვიჩვენებს რა უსდება მის სიწმინდეს, ჩვენს სულიერებას, ჰარმონიულ ცხოვრების წესს. დღესაც, რაც დაიწერა ამ ენით ზნეობრივი ხალხის მიერ – „ვეფხისტყაოსანი", „ვეფხვი და მოყმე" და სხვა ქართული ფოლკლორი – საუკეთესოა.

ენა ასე გვილაგებს წინ შავ და თეთრს – უზნეობას და ჰარმონიულობას და გვემუდარება, გვევედრება არ წავბილწოთ მისი სული – პატიოსნება, სიმართლე. მხოლოდ არაქართველს შეუძლია შეურაცხყოს ენა, დედის ლეჩაქი – და არის დაახლოებით 1 პროცენტი მხოლოდ გვარით და არა ზნეობით ქართველი.

სრულიად საქართველო ზიზღით უყურებს ენის, ისტორიის შებილწვას, შეგინებას. სიცოცხლე არ უწერია ყველა იმას, სადაც ბოროტის მიერ ოდნავი სიბილწეა შეპარული. მით უმეტეს, რეპებს, უზნეო სცენარებს, სერიალებს. მაგრამ გვიტევს ბოროტება, მილიარდებს ხარჯავენ, აფინანსებენ თითოოროლა გამყიდველებს – უღირსობა–უზნეობა–ტყუილი რომ გააერცელონ.

ქართველთ მაინც ვერ აცდენენ, რადგან ჩვენს კონსტიტუციაში – ენაში მხოლოდ ზნეობა და სიყვარულია. ქართველს დედა დამბადებლისგან, ყოველთა ქართველთა დედებისგან, ზნეობა, მხოლოდ საღვთო ცოდნა, სული–ერი განათლების პროგრამა გადაეცემა. სიტყვაში სული–ერი ერი და სულიერება განუყრელია.

ამ საღვთო სიყვარულის გამოა, რომ ქართველის სულის აღმაფრენაა მოყვასთან შეხვედრა და მხარზე ამბორით იკმაყოფილებს ამ აღმაფრენას. დედაზეციერის მადლი – შეხინა – წმინდა სული ბუდობს მასში.

იგი ხშირად ტირის – ცრემლი ხომ სული წმინდის მადლია. მწერალ რეზო მიშველაძეს ვერ აუხსნია, რატომ ტირიან მხოლოდ ქართველნი და ქართველი ებრაელები ისტორიულ სამშობლოში რომ მიდიან, ან ებრაელნი ისევ ისტორიულ სამშობლოში, საქართველოში რომ ბრუნდებიან. უმაღლესი სულიერებაა იმაში ჩადებული, რომ შორიდან მოსული ეს იბერიული ტომები ჩამოსვლისას ქართულ მიწას, დედამიწას კოცნიან, ამ დედა მიწას ნაჭერში გახვეულს ატარებენ, რათა არ მოსწყდნენ მის სითბოს, იმ ფესვებს, საიდანაც იბერიელნი ასე სულიერად

მაღალნი იზრდებიან. დედა – მიწასთან ერთად მათ ყველა დედათა სითბო–სამშობლო დააქვთ გულით, სულით, აზროვნებით. ამიტომ ქართველი უზნეობას სამშობლოს გარეთაც არ იკადრებს.

ამ ენაზე მოსაუბრე მამაკაცნი ზნეობის, ვაჟკაცობის, სულიერი სიყვარულის მაგალითნი არიან. ისინი საყურეს არ ჩამოიკიდებენ. ვერც გრძელ თმას ატარებენ, მოკლე შარვლითაც არ გაივლიან, ისინი თავის კუთხისთვის დამახასიათებელი იმ ნამუსის ქუდით დადიან, დედამ რომ მოუქარგა, შემოსა და ტვინში ჩაუდო დიდ დედათა პროგრამა. ამ პროგრამით ვართ ჩვენ შემომქმედის ნაწილი. ამიტომაც ჩვენში ნათესავ–ნათლულში კი არა, გვარშიც არ ალირევა სისხლი. ენა მათ მხოლოდ ჩვენშია კანონი ქალიშვილობა და უბიწობა დაქორწინებულთათვის. გვარგატეხილებს უწოდებს. გვარიშვილობის შემა– რცხვ–ენელებს, შეურა–ცხ–ყოფას ანუ ცხ–ცხოველურობას ქართული სული ვერ ზიდავს. ეს ყოველივე არა იბერიელთა, არა მიწათ-მოქმედ, ველზე მოხეტიალე მომთაბარე ერს ახასიათებს. აქედანაა სიტყვა ცხო–ველი, ცხო–ველ–ური, გარედან მოსულთა ჩვევები რომაა, ამიტომ დამკვიდრდა სიტყვები: გარე–წ–არი, გა–რყვნ–ილი, ამ წ–წარმაელობას ნოესი ყვ–ყვარებას ლახავენ ისინი. ამან წარმოშვა სიტყ-ვა ოხ–ერი. ოხ შეწუხების ნიშანია სხვა ეროვნებათა უზნეობების გამო.

ჩვენში ყველა სა–ჭიროა, ანუ ჭირში ვადგებით ერთმანეთს. მოყვასის პრობლემები გვაწუხ-ებს, ავთანდილივით. აი, ამ სულიერ მისწრაფებაზე, ცოდნაზეა ლაპარაკი რუსთაველის „ვეფხ-ისტყაოსანშიც". ამ ზნეობის სამოსელს კერავენ იბერიელი დედები და ებრძვის ბოროტება ამ ზნეობათა სამჭედლოს. დღეს ამ იბერიელ დედებს, ამირანის, ცისკარას, ავთანდილის, ტარიე-ლის მშობელთ გამოუცხადა სასტიკი ომი ბოროტებამ. იტაცებენ მედეას, ნესტან–დარეჯანს, სხვა ქართულ მითოსში მზიას, თამარს. ვერაფერს ხდებიან.

ქართველებში – იბერიელებში რომ ამოვძირკვათ ყველა დედათა და შემქმნელის მამაზე-ციერის სიყვარული, იმიტომ გვატარეს უღვთო ეპოქაში, ბოლო 70 წელი. 9 აპრილს ქართველი დედები მღეროდნენ საქართველოს სიყვარულის ჰიმნს და იმიტომაც ეძგერნენ პირსისხლიანი ჯალათები. ისინიც არ შედრკნენ, შვილებს გადაეფარნენ, თუმცა ბოროტნი მამაკაცებთან ვე-რას გახდნენ, ქალებს მოერივნენ... ახლაც შიმშილის, უზნეობის მარყუჟებში აქცევენ ქალებს. აყარეს საკუთარი მიწიდან. ისინიც უზნეობას, მათხოვრობას არ კადრულობენ, სიკვდილს ირჩევენ და იზრდება უდედოდ ათასობით ბავშვი. ეს უნდა ბოროტებას. ამიტომ მოდის შეუმღვ-დავი უზნეობა პრესით, ტელევიზიით. ახლა ენა, ზნეობა უნდა შერყვნან. ამით პირო–ვნება, აზრო–ვნება, ერო–ვნება, ხელო–ვნება, ერთობა და ის ყველაფერი, რაც ვნებას გვაძლევს, უნდა გადააგვარონ.

უნდა იცოდე, გახსოვდეს ქართველო:

ენის არსებობა შენი უფლის კარავში სამარადჟამო არსებობაა. მიწის ბარაქა, სიუხვე, გაცემა, გაყოფა სიყვარულია, ყველა სულიერის ჰარმონიული თანაარსებობაა. დღეს მიმდინ-არეობს გამორჩევის პერიოდი, ვინც ვერ გაუძლებს დუხჭირ ცხოვრებას და შეურაცხყოფს ენას, ვერ მოიპოვებს სამუდამო სასუფეველს.

ენის ცოდნა, უმაღლესი ცოდნა სიბრძნეა, ისევე, როგორც ბიბლია. მათ არ აქვთ არც საწყი-სი და არც სასრული სხვა განათლება არარაობაა მათთან. არ დაკარგო. კბილებით დაიცავი შენი იბერიელობის, სიცოცხლის, სულის, ბარაქის, ჯანმრთელობის, უძლეველობის, დღეგრძელო-ბის, ზნეობის და ცოდნის ნათელი ლამპარი; დედა შენი, მამაზეციერის მიერ მოცემული დედავ-ნა. მხოლოდ იგი, მისი სული ცოდნა, გენეტიკა, შენში დედის მუცლიდან გარდმოსახული, შექმ-ნის სიყვარულით იმ ჰარმონიული ცხოვრების წესს, რაც ბიბლიის მოთხოვნაა და მესიის გამოცხადების წინაპირობაა.

არიან ხალხები, რომლებმაც იციან ბიბლია, დღენიადაგ ლოცულობენ, მაგრამ ზნეობა მაინც არა აქვთ, რადგან სული ბიბლიისა ჯერ არ არის მათი სული. მშობელი უფლის სიყვარული შიშითა აქვთ და არა სულით, გენით. ენის სული კი ქართველის სული და გენეტიკაა.

ამ სულის, იბერიელობის წესის არ დაცვა როგორც ადრე სოლომონს, ასევე არ ეპატია მის შთამომავალს უგანათლებულეს მეფეს, ვახტანგ VI–ს–საც.

გავიხსენოთ დავითის ანდერძი, სოლომონს რომ დაუტოვა:

„აღუსრულე ვალი უფალს, შენს ღმერთს, იარე მის გზაზე, დაიცავით მისი წესები, მისი მცნებანი, მისი სამართალი. მისი მოწმობანი, როგორც წერია მოსეს სჯულში, რომ ხელი მოგემართოს ყველაფერში, რასაც გააკეთებ და ყველგან, საითკენაც პირს მიაბრუნებ, რომ აღასრულოს უფალმა ჩემზე ნათქვამი სიტყვა: „თუ შენი შვილები დაიცავენ ჩემს გზასა და

იელიან ჩემს წინაშე ჭეშმარიტებითა და მთელი გულითა და სულით, არ დაგელეეათ კაცი ისრაელის ტახტზე".

იცაეღნენ ამ აღთქმას ისრაელში და უძლეეელი იყო იგი, იცაეღნენ საქართეელოში და 12 საუკუნე იპირველკაცა დაეითის შთამომაეალმა. უძლეეელი იყო საქართეელო. დაირღვა საუკუნო აღთქმა, როგორც აეღნიშნეთ, წაბილწული აღმოჩნდა ქართული და მოსეს სამართლის ძეგლები, იმპერიული, ბიზანტიური კანონმდებლობით და დაიწყო დაღმასელა ქართულმა სახელმწიფომ. დაიწყო, რადგან ბიბლია, ენა, ის სიწმინდე – ნათელი ჩირაღდანია უფლის მიერ მოცემული, რომელშიც უსამართლობა, უზნეობა ეერ თაესდება. მოგვიანებით თვითონ ეს უგანათლებულესი მეფე აღიარებდა, რომ ქართულ კანონმდებლობასთან ეერ მოეაო სხეა სამართალი. მაგრამ უდიდესი შეცდომა მას უკეე დაამეებინეს. ეერც ერთმა მეფემ და ხელისუფლებამ ეერ გამოასწორა ეს შეცდომა და მას მერე იბილწება ენის სიწმინდე. უტეეს და უტეეს გააფთრებით ბოროტება მას, რადგან მასში ის სულია, რითაც ქართეელი იბერიელად ქართეელად, რჩება. ეერც რუსად და ეერც ეეროპელ, აზიელ, ამერიკელად ეერ გარდაიქმნება.

როცა ისრაელმა გადაუხეია იბერიული მმართეელობის წესს, დაღმა სელა დაიწყო ერმა. გაყოფა–სიყეარულის მაგიერ – დაპირისპირება – წამგლეჯელობა გამეფდა. თუმცა სახელმწიფო აღიდგინეს, მაგრამ იბერიული ცხოერების წესი – ეერა. ორთოდოქსობა–მორწმუნეობის გარდა, ყეელაზე მთაეარი გაცემაა და არა წაგლეჯა.

ჩეენ იბერიული მმართეელობის ცხოერების წესი იმპერიამ შეგვიცეალა, მაგრამ ქართეელთან დარჩა მისი სულიერების საზრდო–ენა. იბერიელობა სიყეარულის, გაყოფის, გაცემის გენეტიკა, ღირსება ქართეელთა არ შეიცეალა. ერთობა და სიყეარული იყო და არის ახლაც ქართეელთა რელიგია.

თუ ჩეენი თაეი ჩეენ გეეკუთენის, უმალ აღდგება იბერიული ზნეობრიეი პარმონიული ცხოერების წესი. ქართულ ენას – გენს სხეანაირად არ შეუძლია, ამიტომ გეებრძეის გააფთრებით ბოროტება. რას არ გეაბრალებდნენ, რა ცილის წამება, ჭუჭყი და ტალახი არ მოგეაყარეს. დაიწყო ჩეენი სულის–ენის წამება, მისი გოლგოთა. თითქოს ეიყაეით კერპთაყეანისმცემელი და სხეა რამ უზნეობა გეახასიათებდა.

ქრისტიანული სექტა ქრისტეშობამდე ორი საუკუნით ადრე, არსებობდა, რაც აღნიშნულია ბიბლიაშიც. თუ ეინმე მოინდომებდა ქრისტიანობას, მას ჯერ იუდაიზმი უნდა ეღიარებინა (აბრეკ ბათოშეილი, 1991 წ. გურამ პაატაშეილი, 1998 წ.). მაშინ უკეე აღარ იყო ისრაელში იბერიული მიწათმოქმედების წესი – რის თანახმადაც ათ მცნებასთან ერთად უნდა დაეცულიყო ათი სიტყეა, ანუ გაყოფა–გაცემის, უპირეელესად მოყეასზე უანგარო ფიქრის, სიყეარულის წესი.

შეიძლება ეს სექტა ამ გამკაცრებულ ცნებებს მოითხოედა იმ ცხოერების წესში, სადაც დაპირისპირება აპოგეას აღწეედა, ამისთეის ჯერ, რა თქმა უნდა, ათი მცნება უნდა დაიცეა, ჩეენ კი რადგან გეაქეს ენა, მთელი ერი ეართ გენეტიკურად მზად მიწათმოქმედებისათეის, სიყეარულისათეის, ქრისტიანობისთეის.

თითქმის არც ერთი კლასიკოსი გურამიშეილის შემდგომ, აღარ ასულა რუსთაეელის დონეზე. იყო თითო–ოროლა: გოგებაშეილი, ეაჟა, აკაკი, რობაქიძე კონსტანტინე... ბოლოს, ასეთებს აღარ ბეჭდაედნენ და თითქმის ყეელა, მათ შორის, ისტორიკოსები (აქაც იყო გამონაკლისი). თითო აგურს აცლიდნენ ჩეენი ზნეობის წიგნს ბოროტთა დაკეეთით, რომ გაეყალბებინათ ქართეელთა ისტორია. ის სიყეარულის ისტორია, რომელიც უფალმა დაგეიფუძნა და ამიტომაც მხოლოდ ჩეენ ეარსებობთ როგორც სახელმწიფო 4000 წელზე მეტია.

ნელ–ნელა მოამრაელა იმპერიამ არა ქართეელები – უღმერთო ინტელიგენცია. ჯერ ფრთხილად მოქმედებდნენ, რადგან ფერმკრთალნი იყენენ ენის სიწმინდესთან. ბოლოს კი ძალით. მსოფლიო ბოროტების გეოპოლიტიკამ გაუსაძლისი არტახები დაადო ზ. გამსახურდიას მიერ სულიერად გამოღეიძებულ და რუსთაეელის საქართეელოსაკენ შემოტრიალებულ გამოღეიძებულ ერს – ცისკარ–ას, მზი–ას, ამირანს. ამის გამო გააფთრებულმა ბოროტების მსოფლიო გეოპოლიტიკამ ბრძოლა გამოუცხადა სიკეთის სულიერ ციტადელს – ენას – მამულს – ქართეელთა ზნეობას – სარწმუნოებას. ყეელა დროის ბოროტება რომ შეეაჯამოთ, ახლოც ეერ მოეა მასთან, რაც ამ ათ წელიწადში მოიმოქმედეს.

გაუფრთხილდი, შენ იბერიელობას, გიყეარდეს როგორც ყეელა შენს წინაპარს, შენი გამნაყოფიერებელი და ცოდნის მომცემი. ყეელა მდედრობითი–ენა – ბიბლია, – ზეციური დედა, დედამიწა, დედასამშობლო, დედატაძარი, დედაქალაქი და ბოლოს დედა მშობელი და ყეელა

ქ—ალი, რადგან მამის, მამაზეციერის კეთილი სული, ალი, ცოდნა და ზნეობაა მათში შთ—ენ—ილი. ხედავ, ეს სიტყვაც ენას შეიცავს!

## უნდა იცოდე, ქართველო შენი მისწრაფებაა:

აღსრულება ორი ძმის მესიონისტური მიმარულებისა, დაკისრებული უფლის მიერ, წმინდანთა მეოცე თაობამია. ამის ოც—ნებაა — ამაზე ლო—ცვაა და ამისთვის უფროსი ძმის მემის სულიერ კარეებში განვითარებაა. მისი სიხარული შენი სიხარულია. მისი გლოვა შენი გლოვაა — მისი ჭირის გათავისებაა, რადგან უფროსმა ძმამ იკისრა იბერიის — სამშობლოს მიტოვება და ბოროტებასთან ხილული ბრძოლა წიგნთა წიგნის მეშვეობით /რისთვისაც ყველა დროში, ყველა ქვეყნებში იდევნებოდნენ ებრაელები/. მანამდე კი დაკარგეს მიჯნური შეხინა და დაინგრა მათი სულიერი ტაძარი, რისთვისაც ყოველ წელიწადს გლოვობენ ებრაელები.

ყოველივე ამის გამო, როცა როსტევანს არ უნდა ხილული ბრძოლა გამოუცხადოს ბოროტებას, ავთანდილი ამბობს, რომ მან ჩემთვის დადო თავიო, ამ ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად და ახლა ჩემი ჯერიაო. აი, რატომ გადის ქართველობა რომ ყველა ქვეყნებში იხსნან ებრაელობა, ააგონ იქ ტაძრები, ცოდნის შეტანით დაამარცხონ კერპთაყვანისმცემლობა და ამით იხსნან ებრაელთა დევნა.* ქართველთა და ებრაელთა — ორი ძმის ერთობლივი ბრძოლას კერპების წინააღმდეგ ისტორია ადასტურებს. დასტურია მრავალ ქართველთა თავდადებაც ფიზიკური საშიშროების მიუხედავად ებრაელთა გადასარჩენად.

## „ვეფხისტყაოსნიდან" გამომდინარე ქართველთა მისია დღეს

ქართველნო! სული წმინდის — თინათინის, იგივე უფლის დავალებით, დაკისრებული მისიის ბოლომდე აღსრულებისათვის ჩვენი მესიონისტური მოვალეობაა დღეს სამივე რელიგიის ერთად დასმა. ეს ჯერ უნდა განხორციელდეს იბერიელთა მოდგმაში. მედიატორობა, მშვიდობის ჩამოგდება და წინამძღოლობა ჩვენი მოვალეობაა. ისევე როგორც ყველა სახელმწიფოსათვის ერთი კონსტიტუციის მიწოდება ანუ წარიმართონ ისინი ბიბლიის მცნებებით ენის სულით. ბიბლია, ტარიელი — უნდა გახდეს მათი კონსტიტუცია, რათა დაინერგოს ქართული ცხოვრების წესი — ავთანდილი და გარდაიქმნან იბერებად.

ეს არის ქაჯეთის ციხის აღება, ანუ ქაჯების ფულის კერპობის მოყვარულთა ლამქართა დამარცხება /ბევრმა ქართველმა — ავთანდილმა იშოვა დღეს სწორი გზით ფული და დადგა დრო ეს ფული სამშობლოს, ქართული ცხოვრების წესის აღდგენას მოახმარონ, როგორც რუსთაველი გადმოგვცემს — აი ეს არის ავთანდილობა — უკვდავება სულისა/. იგივე ითქმის ებრაელებზე. ხოლო ებრაელებს ამ ჭკუაზე ავთანდილი აყენებს. გავიხსენოთ ლომის სისხლით გონზე მოყვანა ანუ წყენა გვერდზე უნდა გადადონ ყველა რელიგიამ. სამივე რელიგია უნდა შევიყვაროთ. იბერიელის მისია მათი უფლის კარაეში შეყვანა რათა გახდნენ შემომქმედის ნაწილი იბერიელნი! შემდეგ ამ ფულს საუნჯეს იყენებს ტარიელი და ერთად ამარცხებენ ბოროტებას.

ქაჯებია ყველა, ვინც საკუთარი დაწერილი კანონებით მართავს ქვეყანას, ვინც ამ წესდებას არ მიიღებს იმ სახელმწიფოს არ დააკლდება უფლის რისხვა. ასე ვიხსნით ქაჯთა ტყვეობისაგან შეხინას, ნესტანს, რომელიც იძულებულია მთელ სამყაროს მისცეს ბარაქა. არის მათ

---

*ებრაელი, იბერიელი, სიკეთე წიგნის ხალხი ამ წიგნით დაუპირისპირდა გარე სამყაროს — კერპებს. ის ხილულად ებრძოლა, — ბოროტება — ფარულად. კი ემინოდათ ღმერთის, მაგრამ მაინც კერპებისკენ ისწრაფოდნენ. აი რატომ იყო გაუსაძლისი მათი ცხოვრება მთელს ქვეყნებში საქართველოს გარდა. დიდი ვაჟკაცობაა მართლაც ტარიელობა, ავთანდილობა უნდა საკუთარ სამშობლოში ასწაველო ბოროტს ჭკუა და მუდმივად ამარცხო. აი რას ეჭიდებოდნენ ებრაელები და ქართველები. აი რა არის ტარიელობა, ავთანდილობა. ახლა ბოროტების — კერპების ზეობაა საკუთარ სამშობლოში ებრძვის ავთანდილებს, ტარიელებს, მეტად დიდი გამეტებით. უნდათ აქ ყველაზე დიდი კერპი შექმნან. ამიტომაა ამდენი პარტიები, ხალხი დაბეჩავებულია.. მანამდე კი ჩვენ ორი ძმა ერთად ვებრძოდით მრავალ კერპებს. აი ეს გმირები, ლომები ჰყავს რუსთაველს გამოყვანილი, რომელნიც ღმერთის და ერის სახელით ომობდნენ. ჭეშმარიტად იბერიულობა — ქართველობა, ებრაელობა, ჩეჩნობა, ირლანდიელობა, ბასკობა და სხვა, ღმერთის ლაშქარში ყოფნაა, უფლის მსახურებაა. უფლის დავალებით ზეციური დედები წარმართავენ ამ ლაშქარს. შეხინა — სულიწმინდა ნესტანდარეჯანი და თინათინი. ამიტომაა ჩვენში სულიერი მიჯნურობა მათდამი თავდადებული.

ტყვეობაში, რადგან ისინიც უფლის შვილებია და არ უნდა შიმშილით დაიხოცონ. თუმცა დასჯაც მათი დიდი ხანია დაწყებულია. ამ ცხრა დასჯას, რაც ჩვენ მივიყვანეთ დანახვა უნდა.

მეათე დასჯა დაიწყება მაშინ, როცა სამი რელიგია, სამი გმირი იბერიელი აუწყებს მთელ მსოფლიოს — მიიღოს ბიბლია კონსტიტუციად. ეს საბოლოო გამოცდა იქნება მათი.

ვინც არ მიიღებს ბიბლიას, ისინი განადგურდებიან.

შემდეგ ეს სამი ძმა — სამი რელიგია ბრუნდება საქართველოში და მეორდება ისტორია. მეოცენი შემი და იაფეტი — ამ შემთხვევაში ებრაელები ტარიელი და უმცროსი ძმები ავთანდილი იბერები — ქართველები ფრიდონი იბერები — კავკასიელები — აღადგინენ ნოესეულ ქართულ ცხოვრების წესს.

მყარდება ედემისეული ჰარმონია. თინათინი და ნესტანი გვივზავნიან სიუხვეს, დღეგრძელობას. საქართველო სიკეთის ციტადელი ხდება, მაგალითი მთელი მსოფლიოსათვის. მოდის ახალი შთამომავლობა შემის — ტარიელის — იაფეტის — ავთანდილის — ფრიდონის ხელით აღზრდილი — ხასები. ისინი მიჰყავთ სამივე ძმას — სამ რელიგიას. მთელ მსოფლიოში რომ დანერგონ ქართული მნეობა — ცხოვრების წესი შემდეგ ბრუნდებიან წმინდა მიწაზე ისრაელში. იქ ბრუნდება ნესტანი — შეხინა.

იქმნება მთელ მსოფლიოში ხალხისმიერი — იბერიული მმართველობა. არის ჰარმონია. ვერავინ არღვევს ტარიელის — ავთანდილის მიერ შექმნილ ცხოვრების წესს.

აი, რატომაა მიჯნური ქართველთა — ავთანდილთა მღვდრობითი არსი თინათინი სულიწმინდა შუამავალი უფლისგან და გვაქვს უფლისგან მომადლებული ყოველგვარი სიკეთე.

ადრე და ახლაც ეს თვისებები არის ქართველთა მოქმედების კონსტიტუცია. ბოროტება, თავისი უმნეო ცხოვრების წესის დამკვიდრებით, სწორედ ამ თვისებებს ებრძვის. ამიტომ საჭიროა შევახსენოთ ყველა ქართველს ეს თვისებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვერ იქნება ქართველი და ვერ მოიპოვებს სამუდამო ზეციურ სასუფეველს. ყველამ იცის, უფალი თავის რჩეულთაგან უფრო მოითხოვს. ამიტომ თუ იგი სხვანაირად მოქმედებს — უნდა გარდაიქმნას. უნდა იცოდეს, რომ მისი მისია — შეისწავლოს სამყაროს იბერიული ცხოვრების წესი, მნეობა, სიყვარული, გაყოფა, გაცემა, ყველამ ერთი ენით უნდა ილოცოს. ბიბლიიდან გამომდინარე — ქართული ცხოვრების წესით უნდა იცხოვრონ. ამას გვასწავლის ჩვენი ბიბლია და „ვეფხისტყაოსანი“.

# წიგნი მეორე

## რუსთაველი და კაბალა

მრავალი მოღვაწე მართებულად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „ვეფხისტყაოსანი" ალეგორიული იგავეური ენით გვესაუბრება ყოფიერების ჭეშმარიტებაზე. ვახტანგ VI გამოთქვა აზრი, რომ (ზ. გამსახურდია „ვეფხისტყაოსნის" სახისმეტყველება" გვ.6) „ვეფხისტყაოსანი", ისევე როგორც სოლომონის „ქებათა ქება" ამსოფლიური მიჯნურობის შესახებ თხრობით– ალეგორიულად ასახავს საღვთო მიჯნურობის დრამას, რასაც გვიცხადებს თავად ავტორი პროლოგში:

მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანი ვერ მიხვდებიან,
ენა დაშვრების მსმენელისა ყურნიცა დავალდებიან,
ვთქვათ ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ხვდებიან
მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდეს არ სიძვენ, შორით ბნდებიან.

ამიტომაც, რომ ჭკვიანი, ანუ საღვთო მსოფლმხედველობის უცოდინარი მეცნიერნი ვერ მიხვდებიან მან აირჩია ალეგორიული გზა – შეაქო რა ხელობანი ქვენანი, რომელიც ხორციელთა ხვედრია, ანუ ამსოფლიური მიჯნურობა. შედეგად, რუსთაველის გენიალური პოეტური სამყარო, ერთდროულად, სასიამოვნო გახდა წასაკითხად მათთვის და ათასჯერ სასიამოვნო მათთვის, ვინც „ჭკვიანი-მეცნიერნი" კი არა ღვთისმეტყველნი და ღვთისმსახურნი არიან. აქაც რა თქმა უნდა, ცოდნის რანგით განისაზღვრება ეს სიამოვნება.

მაგრამ უფრო სრულფასოვნად შეაფასა რუსთაველის ალეგორიულობა დავით გურამიშვილმა იგი დავითიანში გადმოგვცემს:

როდესაც ბრძენმან როტორმან, მოთამ რგო იგავეთ ხეო და
ფესვ ღრმა – პყო, შრტონი უჩინრ, ზედ ხილი მოიწვეოდა,
ორ გზითვე ნაყოფს მისცემდა ვისგანაც მოირჩეოდა,
ლექსი რუსთელისებრ ნათქვამი, მე სხვისი ვერ ვნახეო და

გარდა იმისა, რომ როგორც ზ. გამსახურდია განმარტავს „ორგზითვე ნაყოფს მისცემდა", (ანუ ლაპარაკია მის მნიშვნელობაზე, როგორც ერისათვის და ღვთისმსახურეობისთვისაც), აქ არის დანახული ის რისი დანახვაც შეეძლებოდა ღვთისმეტყველების ღრმა მცოდნეს და კაბალას ნაზიარევ პიროვნებას, რაზეც ცოტა ქვემოთ აღვნიშნავთ. ასევე ალეგორიულ ნაწარმოებად მიიჩნევდა „ვეფხისტყაოსანს" ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე, რა თქმა უნდა ზ. გამსახურდია და სხვა მამულიშვილი.

და მაინც ასეთი ნაწარმოები, რომელშიც არის გადმოცემული ბრძენთა — საღვთომეტყველების დიდი ცოდნა, მათ შორის ისეთის როგორიც კაბალაა, იგი დღესაც მიუწვდომელია, თუნდაც ღვთისმსახურთათვის. უდავოა, ისეთი ცოდნის ნიადაგი, როგორსაც ეზიარა რუსთაველი — დიდიხანია შექმნილი იყო ქართველთათვის, რომელნიც როგორც ცნობილია ძველთაგანვე იერუსალაიმის ცოდნაზე იყვნენ ორიენტირებულნი და არა ბერძნულზე. (პირიქით ისინი ამდიდრებდნენ ბერძნულ ღვთისმსახურებას, რათა აღკვეთილიყო იმპერიული მისწრაფებანი). ამის ახსნას თვითონ რუსთაველიც გვაძლევს, როცა ავთანდილი ტარიელის მეშვეობით უფრო ღრმად ეუფლება თორას — ბიბლიას, ცოდნას, ანუ ნოეს ანდერძის თანახმად ვითარდება შემის კარვებში.

იყო უკუპროცესიც; მაგალითად, ელია წინასწარმეტყველის სიბრძნე, რომელიც საქართველოდან იყო. სწორედ შალომ დავითის მიერ გადმოცემულმა ამ სიბრძნემ (ქართულ–ხალხური სიდური ლოცვანი 1989წ.) დაუდო საფუძველი „ვეფხისტყაოსნის" ჩვენს მიერ ასეთი არსით ჩაწვდომას. ელიას სიბრძნე, ჩემი აზრით, საწყისია კაბალის სწორედ აღთქმისა და ალბად

აქედანაც განაეითარეს ეს უმაღლესი საღვთისმეტყველო მეცნიერება შემდეგ და შემდეგ უდიდესმა ბრძენებმა: რამბანმა და სხვებმა.

უნდა აღინიშნოს რომ უმაღლეს სრულყოფილებას ამ საქმეში მიაღწია რაბი შნეურ ზალმან–ლიადელმა. ამიტომაც მის მიერ გადმოცემული ებრაულ–კაბალისტური ფილოსოფია შალომ დაეიდის მიერ აღწერილ ნაწარმოებში „სულის უკვდავება" – არის დღეს ძირითადი სახელმძღვანელო კაბალის პრინციპებისა.

ცნობილია, ასეთი ცოდნის მატარებელი გახლდათ პეტრე იბერიც. ზ. გამსახურდია აღნიშნავს (იქვე გვ.14–15); შეუძლებელია რუსთაველის გაგება პეტრე იბერის გარეშე" იგივეს აღნიშნავდა შალვა ნუცუბიძეც. მას განხილული აქვს შემდეგი სტროფი:

მაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,
საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი,
კვლა აქაცა ვამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი,
გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის შაირია ამად კარგი.

ზოგიერთი თორის კომენტატორები აღნიშნავენ რომ ლოცვა, აბრამის ეპოქიდან იწყებაო, რაც მცდარად მიმაჩნია. აქ ჩანს პირველადვე ანუ დასაბამიდან იყო მაირობა საღმრთოდ გასაგონი და მარგი. მარგი კი ნიშნავს სულიერების –სულის გამარჯვებას, რაც გულმხურვალე მიმანდასახული ლოცვით მიიღწევა. ამიტომაც გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის. მაირობა რომ, ლოცვაა ამას ადასტურებს მოსაზრება – აუდიტორია უნდა იყოს ვარგისი კაცნი, ანუ სასულიერნო პირნი – ღვთისმეტყველნი.

აქედან გამომდინარე – პოეზია საღმრთო წარმოშობისაა. ღვთისმეტყველება და ჭეშმარიტი პოეზია განუყრელია, რამეთუ იგი მარგია სულისა. ამაზე სრულყოფილი გამოკვლევა აქვს გამოქვეყნებული ზ. გამსახურდიას „რუსთაველი და ანტონ I", იხ. „მაცნე", 1984 № 1, № 4. იგი ასაბუთებს რუსთაველის და ანტონ I–ის შეხედულებათა ერთობას პოეზიის საღმრთო წარმოშობაზე – დანიშნულებაზე.

ამგვარად პოეზია უწინარეს ყოვლისა საღვთოა, რელიგიურია, პოეზია დარგია საღვთო სიბრძნისა. პოეზიას, ქებათა ქებას უფლისა ლოცვებისას სულის ჰარმონიისათვის მიმართავდნენ დავითი, სოლომონი და მათი ბაგრატოვანი შტამომავალნი, მათ შორის რუსთაველი (ჩვენ ვიცით პაველ ინგოროყვას შრომებით, რომ იგი იყო ბაგრატოვანთა შთამომავალი და ჰერეთის ერისთავი)

ისიც ცნობილია, რომ უპირველესი აუდიტორია პოეზიისა არის სასულიერო წრე ანუ „ვარგისი კაცნი".

რაკილა აუდიტორია სასულიერო წრეა, ანუ წმინდანები ხასნი – ცადიკები არიან, მათი მოსასმენი პოეზია დაიწერება მხოლოდ და მხოლოდ იმათ მიერ ვინც ფლობს უმაღლეს საღვთო მეცნიერებას - კაბალას. უდავოა, მას ფლობდნენ დავითი, სოლომონი, იოანე პეტრიწი მრავალი ქართველი მოღვაწე და მათ შორის, რა თქმა უნდა, რუსთაველი.

ნურავინ იფიქრებს, რომ რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" სრულად განიმარტა და ამოიწურა. მისი სიბრძნე სრულიად ამოუწურავია, ამიტომაც არის უკვდავება სულისა და ადამიანთა ჰარმონია სიცოცხლის ბოლომდე, თუ ისინი შეეცდებიან შევიდნენ მისი სიბრძნის კარებში, რამეთუ ეს იგივე უმაღლესი საღვთო სწავლების კარებში შესვლას ნიშნავს.

ჩვენი ადრინდელი და ახლანდელი მსჯელობაც მოკრძალებული გაბედვაა ამ კარების ჭიშკართან მისვლისა და მგონია მოვლენ მერმინდელნი, რომელნიც უფრო განავითარებენ და ღირსეულ ადგილს მიუჩენენ მსოფლიო ღვთისმეტყველების მეცნიერებაში ამ ნაწარმოებს. ჩვენის აზრით ხომ – თუ მეცნიერება ღვთისმეტყველებიდან არ წამოვიდა, ის ყოვლად უაზროა.

იმისათვის, რომ მივუახლოვდეთ რუსთაველის სიბრძნეს, ჩვენც და ჩვენი მკითხველნიც, აუცილებლად მიგვაჩნია, რამდენადაც მოგვცემს ჩვენი გონი ამის საშუალებას, ჯერ მოკლედ, ნებისმიერისათვის გასაგებ ენაზე, განვმარტოთ თვითონ კაბალა – ხვთაებრივი მეცნიერების ეს უმაღლესი დარგი. აქვე აღვნიშნავთ, ნებისმიერი მეცნიერული აღმოჩენები, რომელიც დღეს ზოგიერთს გენიალურად მიაჩნია – ბრმა უნაყოფოა და უაზრო, თუ ეს მეცნიერნი არ არიან დაუფლებულნი კაბალას.

მრავალი მეცნიერული კონცეფციები, აღმოჩენები ცნობილი იყო უხსოვარი დროიდან კაბალისტიკისათვის და ისინი არ მჟღავნდებოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ მთლიანი საზოგადოე-

ბა არ იყო მმაღ აღეთქვა ერთადერთი რეალობა — „სამყარო ეს იდუმალი, უხილავი ძალით შერწყმული მთლიანობაა. მას ძალუძს უზრუნველყოს მყისიერი კავშირი კოსმოსის ნებისმიერ მონაკვეთთან (შალომ დაეიდი)". უფრო მეტიც, ყველა ამ კავშირს წარმართავს ეს იდუმალი ძალა მისი ენერგიით, შუქით სხვასხვა ფორმებით დასაბამიდან, რათა დასასრულს მიღწეულ იქნეს ჰარმონიული ცხოვრების წესი და მარადისობა.

ამიტომ ჩვენ შევეცდებით მკითხველს განუმარტოთ ჰარმონიული სამყაროს არსი და რაობა, ასე რომ არის ბოროტთა ძალისხმევით გაყალბებ·ული და მათ მიერ შექმნილი ქაოსის გამო უჩინო და უსილავი. თუ რაოდენ რთულია ეს აღვნიშნავთ, რომ აქამდე სრულყოფილად ამ მეცნიერების არსს ფლობდნენ თითზე ჩამოსათვლელი ადამიანები. ისინი იყვნენ წმინდანები, 613 მცნების დამცველი და დღენიადაგ წმინდა წიგნებში მოჭირხახულენი. მაშინ გაძლევს უფალი სათანადო გონს. აი რამდენი გვაკლია ჩვენ ყველას, ჯერ მხოლოდ იმისათვის რომ ჩავწვდეთ ამ მეცნიერებას.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ ძირითადად ვხელმძღვანელობთ შალომ დაეიდის მიერ გამოქვეყნებული წიგნით „სულის უკვდავება, ებრაულ–კაბალისტური ფილოსოფია" რაბი შნეურ ზალმან–ლიადელის წარმოსახვაში" და მოვიყვანთ მის სიტყვებს:

„ეს ფრიად საოცარი წიგნი, თავისი შემეცნებითი უნარით, სამყაროში გასამგზავრებლად იწვევს მკითხველს და მას წარმართავს მკვეთი სინამდვილისაკენ. მკითხველი შეაღწევს კაბალის ძველებრაულ სამყაროში და მის წინაშე სიკვდილ–სიცოცხლის იდუმალების კარიბჭე აღიმართება.

წარმოჩნდება სამყარო, სადაც ცნობიერება გამგებლობს მატერიაზე. გამოწვიაღდება მეგარდმო არსი, რომელშიც ადამიანური აზრი და მთლიანი კოსმოსი იდუმალად ზავდება ღმერთში". რომ არ დავარღვიოთ ავტორის უფლებები აღვნიშნავთ, ადგილები რომელნიც ბრჭყალებში არის წიგნიდანაა გადმოღებული უცვლელად. მთლიანობაში კი ჩვენ შევეცადეთ უფრო მოკლედ გადმოგვეცა ეს ნაწარმოები

## ადამიანის ორი სული
## კაბალისტური მოძღვრებით არსებობს ორი სული:

პირველი — „ცხოველური სული" (ნეფეშ ჰა–ბაჰამით) — ეს სასიცოცხლო საწყისია, რომელიც ასულდგმულებს ფიზიკურ სხეულს. ამიტომ მეორე მისი სახელია სასიცოცხლო სული (ნეფეშ–ჰა–ხიენით):

ეს სული არის წყარო სხეულის ინსტიქტების და სწრაფვებისა: გრძნობათა ორგანოები მისგან იღებენ აღთქმის უნარს. ეს სული ენათესავება იმ ვიტალურ ძალას, რომელიც ასულდგმულებს ნებისმიერ ქმნილების საგანს და მათი არსებობის და ქმედების არსია. კაბალისტიკით ეს სულია როგორც არაორგანულ მცენარეულ და ცხოველურ ფორმებში. განსხვავება იმაშია, რომ ადამიანის სასიცოცხლო სულს მინიჭებული აქვს ერთგვარი ინტელექტუალური და ემოციონალური ნიშნები, რომელნიც გარდაქმნის ადამიანს ადამიანად, ანუ ეს თვისებები არ არის დამახასიათებელი ცხოველთა უმდაბლესი ტიპებისათვის. ამ თვისებებში შედის კეთილი და ცუდი ადამიანთათვის დამახასიათებელი: თვითშეფასება, უნარიანობა, სიამა, პატივმოყვარეობა — ანუ ადამიანური ბუნებას.

მეორე სული სრულიად სხვა ბუნებისაა; ის განისამღვრება, როგორც ღმერთის ნაწილაკი და იწოდება ღვთაებრივ სულად (ნეფეშ ჰაელოჰით). ეს სული არის მარადიულობის განმსაზღვრავი ადამაინისა და არსებობა მისი არ არის დამოკიდებული სხეულზე. იგი ცოცხლობს სხეულის სიკვდილს შემდეგ. ღვთაებრივი წარმომავლობა მას ანიჭებს იმ ზებუნებრივ განზომილებას, რის მეშვეობითაც იგი მაღლდება სხეულსა და ცხოველურ სულზე, რომლებშიც ის სუფევს და მოქმედებს ინდივიდის ბუნებრივ მიდრეკილებათაგან დამო·უკიდებლად.

ამგვარად, პირველი სული ბუნებრივია და მიწიერი. მეორე ზებუნებრივი — ადამიანის ცხოველური სული წარმოადგენს რა ინტელექტუალურ აღთქმის წყაროს, იგი იმღუდება ინდივიდის ბუნებრივ–გონებრივი უნარიანობით. ეს აღითქმება როგორც ადამიანის გონება — სეხელ ენოში. ამ გონებას ძალუძს იმოღვაწეოს როგორც მეურნეობრიობაში, ასევე ხელოვნებაში, მეცნიერებაში და ა. შ.

მაგრამ მხოლოდ ღვთაებრივი სული ქმნის ადამიანის ნამდვილ არსს. საქმე იმაშია, რომ ადამიანი, არსებითად, ზნეობრივი ქმნილებაა, ამიტომაც გამოწვიაღებულ ორ წყაროში, მიწი-

ერში და ღვთაებრივში, იმარჯვებს ეს უკანასკნელი, ანუ სიბნელეში ნათელი მუდამ იმარჯვებს.

მოდით, ცალ–ცალკე დავახასიათოდ ეს ორი სული, რომელიც შემოქმედის მიერ გეგმაზომიერად არის შექმნილი, თუნდაც იმ თვალთახედვით, რომ ადამიანი გაერკვეს რომლისკენ სჯობია წასვლა.

უნდა ვიცოდეთ, რომ საბოლოოდ ყოველთვის ღვთაებრივი სული მაინც წარმართველი იქნება, მაგრამ შემოქმედის მიერ თავისი შესაძლებლობის გამოვლენის განსაზღვრული საშუალება ეძლევა მეორე სულმაც და როცა მისი ეგოისტური ბუნება მიიყვანს ადამიანს ცხოვრების კატასტროფამდე (რაც დღეს ხდება სამყაროს მიმართებაში), მაშინ დაიწყება გამგებლობს ღვთაებრივი სულისა. ეს გამგებლობა წარიმართება არა დაპირისპირებაში, არამედ შეხმატკბილებულ ურთიერთობაში.

რაც შეეხება სხეულს — იგი მიწაა, ნეიტრალური არსია და მისი მუდმივმოქმედება განისაზღვრება ამ სულთა მიერ. საბოლოო დასკვნისათვის არ იქნება ურიგო ცალ–ცალკე დავახასიათოთ ისინი.

## ღვთაებრივი სული

იგი არის „ზეცაში არსებული ღმერთის ნაწილაკის არსი. ღვთაებრივი გონების ემანაცია, რომელიც ფიზიკურ პროცესში ისახება მამაკაცის სპერმიდან, მისივე ტვინიდან რომ მოედინება. ამიტომაა ბიბლიურ–თანახისეული გამოთქმა უფლის „თქვენი ღმერთის ძენი ხართ თქვენ" (მეორე სჯ. 14:1).

„იმ დროს როცა მამა და შვილნი მისნი შეადგენენ ორ ცალკეულ არსს ღვთაებრივი სული და მისი მამაზეციერი არასდროს არ განკერძოვდებიან, რამდენადაც მეტაფიზიკურ თანმიმდევრობაში არ არსებობს შეზღუდვები" . . .

ამიტომაც ღვთაებრივი სული ორიენტირებულია მხოლოდ ღმერთისადმი. ის არ ცნობს არავითარ სხვა გარემოებას. მთელი მისი მისწრაფება და მთელი ქმედება თავმოყრილია ღმერთში. ღვთაებრივ სიყვარულშია და კრძალვაშია ჩაქსოვილი მისი განმასხვავებელი ნიშნები: ის განიცდის ღმერთისადმი მორჩილების და ზიარების წყურვილს.

ამავე დროს არსებობენ ელფერთა მირიადები სულების სახით, რომელნიც ასევე არიან უზენაესის გონის ემანაციები. ყველას ჰყავს მხოლოდ ერთი ღმერთი. ამიტომაც სულები როცა აღწევენ გარსში ერთიანობის შეგნებით უფრო არიან აღვსილნი, ვიდრე განცალკევების შეგრძნებით. ნამდვილი ძმობის ეს გრძნობა შეუზღუდავია. არსებობს სულის ვრცელი ანატომია. ძირითადად კი ეს არის სულის ტრიადა.

## სულის ტრიადა

სულის ტრიადა გაგებულია როგორც სამი განზომილება თვით სულიერი არსისა. პირველში არის ნეფეში — ანუ, აზრი სიტყვის და ქმედების შესაძლებლობა. მეორე არის რუახი — ანუ სულის ემოციონალური ნიჭიერება. მესამე კი ნეშამა — უმაღლესი განზომილება სულის ინტელექტუალური შესაძლებლობებისა.

ისინი შეადგენენ ღვთაებრივ სულს და გვევლინებიან ემანაციებად უზენაესი გონისა, რომელიც ზეციური სიბრძნეა (ხოხმა ილაა). ისინი მიეკუთვნებიან უზენაეს წყაროს და არა აქვთ არავითარი ურთიერთობა უმდაბლეს ინსტიქტურ იმპულსურ სიცოცხლესთან ცხოველური სულის მფლობელობაში რომ არის დავანებული.

სული მოქმედებს ძალთა შემწეობით და ეს ვლინდება სხეულებრივი ორგანიზმის საშუალებით. სულის ძალები იყოფა ორ კატეგორიად: ზოგადი და კერძო.

ზოგადი ძალები — ეს განცხრომაა (ონეგ), წადილია ან ნებელობაა. ეს ორი იწოდება „რაცონ" —ად. მათ იმიტომ ჰქვიათ ზოგადი, რომ არ არიან დაკავშირებული სხეულის რომელიმე ორგანოსთან სპეციალური ფორმით.

შეიძლება განცდილი იქნეს ტკბობა ინტელექტუალური მიმართულებისას, ემოციონალურ ცდაში ან ფიზიკურ ორგანოთა ამა თუ იმ ქმედებისას. ამგვარად წადილსა და ნებისყოფას გააჩნია გამგებლობა ინტელექტუალზე და ემოციაზე და ისევე სხეულის ორგანოთა შეგნებულ

მოძრაობაზე. ანუ ის ზოგადი ძალები კარნახობს რა არის მისთვის სასიამოვნო და მისაღები საერთო ჰარმონიისათვის.

კერძო ძალები იყოფა ორ კატეგორიად: ინტელექტის (სერელ—ის ძალად და ემოციონალურ თვისობრიობად. (როგორც ესედებით ამ კერძო ძალებზე გამგებლობს ზოგადი ძალები, რათა ყველაფერი სიკეთეზე იყოს დაფუძნებული). ინტელექტის ძალები ეკუთვნის ტვინს, ესე იგი ქმედებს ტვინის საშუალებით, საიდანაც მათი ზემოქმედება ერცელდება გულზე. თუმცა ტვინში დავანებული ინტელექტუალური ძალები თავდაპირველად ერცელდება სხვა ორგანოებზე ნერვიული სისტემის მეშვეობით. ამგვარად ავლენს იგი თავისთავს სხვადასხვა ხელოვნებასა და ხელობაში, რაც რეალურად ხდება სხეულებრივ ორგანოთა მონაწილეობით.

ინტელექტს მინიჭებული აქვს სამი უნარი: ხოხმა, ბინა და დაყათ—ი. ეს ტერმინები ითარგმნება როგორც „სიბრძნე", „გაგება" და „ცოდნა". მაგრამ თანიაში ანუ რაბი შნეურ ზალმანის ნაწარმოებში სულ სხვანაირი გაგება აქვთ.

ხოხმა არის შემოქმედებითი ძალა, ანუ უნარის და გაგების ძალა რისი მეშვეობითაც აზრი პირველად ისახება. შემდეგ განიცდის ევოლუციას აზრის გაანალიზების საფუძველზე. ეს უმაღლესი უნარიანობა არის ბინა, ხოლო დაყათი ანუ ჭკუა - გონება არის დამარგვირგვინებელი. აზრი აღწევს საბოლოო მდგომარეობას, ანუ აზრი ისეა გარკვეული, რომ გვეელინება წყაროდ გონებრივ უნარიანობით გარდაისახოს მოტივირებული განზრახულ ქმედებად.

ყველაფერი დამოკიდებულია ობიექტის ტიპზე, რითაც დაკავებულია ცნობიერება. თეორიაში ეს არის ეერდიქტი მხოლოდ რომელიმე იურიდიული პრობლემების გადაწყვეტისა. მორალური შეფასების დროს ეს არის სულის განწყობილების წყარო, ანუ მიმზიდველობა ან ზიზღი განსახილველი საქციელის მორალური შეფასებისას.

საერთოდ, ხოხმა ეს არის საწყისი და დამარგვირგვინებელი სტადიის კონცეფცია, ანუ აქ ჩანს საქმის პოტენცია მისი საწყისი და სასრული, მსგავსად იმისა, როგორც მთლიანი ხე ნაყოფებით ერთი პოტენციალურად მოცემულია სათესურში. ჯერ კიდევ ამორთვური ნებისმიერი ნების ფორმირებამდე, რომ წარმოიქმნა, სინათლის აფეთქება განიფანტებოდა, რომ არ ყოფილიყო სათანადოდ, განეითარებული საწყისი „პუნქტი", შემდეგ არის ბინა, ანუ ეს არის ინტელექტის უნარიანობა შენების იდეის, რომელიც იძენს სახესა და ფორმას, სიღრმესა და მასშტაბურობას, ანუ იძენს თავის სტრუქტურას — სახეს, სახლს, რაც შეესატყვისება ამ სიტყვის ქართულ გაგებას.

კაბალის მისტიკურ ენაში ხოხმა და ბინა გამოთქმულია მამის და დედის ტერმინებით, როდესაც ხოხმა ანაყოფიერებს ბინას და ამ კავშირიდან ამოწიაღდება ამაღლებული გრძნობები, ანუ კონცეფცია წარმოიქმნა და იგი გაგებულია, მაგრამ თუნდაც მას შემდეგ, როდესაც იდეა გაგებულია და განეითარებულია — იგი მაინც რჩება აბსტრაქციად, რომელიც დავანებულია სუფთა გონების ჭვრეტების სფეროში, სანამ არ გაჟღენთს სულს სავსებით, რათა აამაღლოს მომწიფებული მრწამსისა და სრული ერთგულების საფეხურამდე.

ასეთია ინტელექტის — დაყათის — „ცოდნის" მესამე უნარის ფუნქცია იმ სიტყვის ბიბლიურ მნიშვნელობით „და ადამმა შეიცნო ევა" (დაბ. 4:1) მაშასადამე ერთგულებისა და კავშირის მნიშვნელობით, რომლის შედეგსაც წარმოადგენს ინტელექტისა და ემოციის მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულება.

ეს კავშირი არის საერთო ჰარმონიის იმ შემთხვევაში თუ ადამიანთა ნაყოფიერება, მათი გამრავლება დაემორჩილება ამ სულის ნებას და არ ჰყვება ცხოველური სულის მავნე ინსტიქტებს; ანუ დაცული იქნება წრეხაზის თეორია, ჩვენს მიერ აღნიშნული, რის შედეგადაც ხაზი ყოფს წრეს, ანუ ცოლ—ქმარი თავის გამონაყოფზე ეითარდებიან და არ ცდილობენ მიითვისონ სხვისი, მაშინ მათი განაყოფიერება — გამრავლებაც ჰარმონიულია.

ამგვარად უნარიანობა ინტელექციისა — დაყათისა არის აზროვნების პროცესის დამარგვირგვინებელი ფაზა, ინტელექტის ის ძალაც, რომელიც აკონტროლებს ცნობიერებას:

დაყათი დამაკავშირებელი რგოლია გონებასა და გრძნობას შორის და თამაშობს გადამწყვეტ როლს პიროვნების ქმედების განსამღვრაში, მის ჩამოყალიბებაში.

„ღვთაებრივი სულის ინტელექტის ძალებით ვლინდება ეინ სოფ—ის ღვთაებრივი არსების ჭვრეტაში, ამ ძალების მიერ გამოწვეული ემოციები წარმოადგენს შიშს და მოკრძალებულ თრთოლას ღვთაებრივი სიდიადის წინაშე, განსაკუთრებით კი ღმერთის სიყვარულისა და მასთან შერწყმის მგზნებარე ლტოლვას.

ინტელექტის სამი ძალის გარდა, ღვთაებრივი სული ფლობს შვიდ არსებით თვისებას ანუ ემოციონალურ თვისებრიობას (მიდოთ). სიტყვა მ ი დ ო თ იურითზე ნიშნავს „ზომებს", ხოლო ემოციები (თვისებრიობა) ასე იმიტომ იწოდება, რომ ღირსება თითოეული მათგანისა შეესაბამება კონკრეტული ინდივიდის გამოწვევი ძალების თვისებრიობას.

სამი პირველი ემოციონალური თვისებრიობა წარმოადგენს ძირითადს. ესენია: ხესედ (სიკეთე), გევურა (ძლიერება, თავშეკავებულობის მნიშვნელობით) და თიფერეთ (მშვენიერების, ჰარმონიის შესატყვისობით). მომდევნო სამი თვისებრიობანი – ნ ე ც ა ხ (გამარჯვება) ჰ ო დ (დიდმშვენიერება) და ი ე ს ო დ (ფუძე) – გვევლინებიან მეორად და დამხმარე არსებად, მეშვიდე თვისებრიობა – მ ა ლ ხ უ თ –ად (სამეუფოდ) იწოდება, მისი არსი გაგებულია როგორც არსი, რომლიდანაც წიაღდებიან ყველა ემოციები.

ხ ე ს ე დ (სიკეთე) ეს ისეთი თვისებაა, რომელიც ვლინდება კაცთმოყვარეობის გამოვლენაში. ის წიაღდება გულისხმიერებაში, ცოდნის გადაცემაში, სიყვარულისა და ღვთისმოსავობის ყველა აქტში. ფაქტიურად იგი გაიგივებულია სიყვარულის ძირითად ემოციასთან.

გ ე ვ უ რ ა (ძლიერება) ვლინდება თვითშეზღუდვასა და თავშეკავებაში. ის მიეკუთვნება სხვა ძირითად ემოციას – შიშს (ანუ მორიდოლვარე კრძალვას).

თ ი ფ ე რ ე თ (დიდმშვენიერება) წარმოადგენს პირველ ორ თვისებათა სინთეზს, რომელშიც ჭარბობს ხ ე ს ე დ – ი; ეს თავშეკავებული გულკეთილობაა, ხ ე ს ე დ –ის და გ ე ვ უ რ ა – ს ურთიერთქმედებათა რეზულტატია.

თავისთავადი სიკეთე, რომელიც განუსაზღვრელია და არაზომიერია, თავისი გარეგანი მიმზიდველობის მიუხედავად, შესაძლოა მოგვევლინოს თვითდამანგრეველ და დამღუპველ არსად. გადაჭარბებული სიყვარული იწვევს ბავშვის წახდენას, ზომაგადასული გულუხვობა გარყვნის ადამიანს. ნამდვილად ქმედითი რომ იყოს სიკეთე, იგი ჰარმონიულად უნდა ერწყმოდეს სიმკაცრეს, რომელიც მიმღების უნარით ზღუდავს შეწირულებას, რათა გამოყენებულ იქნეს ის სიკეთისათვის, სიმკაცრისა და სიკეთის ნარევი ქმნის ახალ თვისებას, რომელსაც ეწოდება გ ე ვ უ რ ა შ ე ბ ი – ხ ე ს ე დ (სიმკაცრე სიკეთეში). უთუოდ არასასურველია დაუცხრომელი სიმკაცრე. იგი უნდა შეერწყას სიკეთეს. ამ თვისებას ეწოდება ხ ე ს ე დ შ ე – ბ ი – გ ე ვ უ რ ა (სიკეთე სიმკაცრეში) ტრივიალური მაგალითის სახით შეიძლება მიუთითოთ ბავშვების დამსჯელ მშობლების ქმედებაზე, უფრო ნათელი მაგალითია უფლის ქმედება ჩვენს მიმართ".

გავიხსენოთ ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული ათი თვისება უფლისა. 1 სიბრძნე, აზროვნება, გონიერება; 2. მოთმინება და რწმენა; 3. ზნეობა 4 სიყვარული; 5 თანაბრად გაყოფა; 6. მართმაჯულება – შემწყნარებლობით; 7 ქველობა გაცემა; 8 ზრუნვა მთამომავლობისათვის; 9. ძლიერება; 10 მეუფობა.

რამდენადაც ღვთაებრივი სული და მამაზეციერი ერთიანი და განუცალკევებელია, ეს ათი თვისებაც უნდა ედარებოდეს ამ სამი ძალის და შვიდ თვისებას. საერთოდ ეს სამი ძალა და 7 ემოციანალური თვისება შეესაბამება ათ ღვთაებრივ სფიროთს (ემანაციებს, რომელთა მეშვეობით ღმერთი ვლინდება ქმნადობაში, ანუ ქმნადის დასრულებამდე ჩვენ ვასრულებთ, ანუ ჩვენი ქმედება ანალოგიურია ამ სფიროთებისა

ამგვარად, პირველი თვისება უფლისა 10 თვისებიდან სამსახიერონია: სიბრძნე, აზროვნება, გონიერება, შეესაბამება პირველ სამს: სიბრძნე, გაგება, ცოდნა. სიბრძნე ორივე შემთხვევაში ერთია. აზროვნება შეესაბამება გაგებას და გონი – ცოდნის სინონიმია. მეორე და მესამე თვისება რწმენა და ზნეობა – მოთმინება აზროვნების ფაქტორია, კაბალისტიკურად კი ეს იგივე ცოდნა და ჭკუაა, ამიტომ ეს თვისებები პირველ სამს მიეკუთვნებიან.

ეხლა გადავხედოთ მეოთხე თვისებას ხ ე ს ე დ, როგორ იხსნება კაბალისტურად. ფაქტიურად იგი გაიგივებულია სიყვარულის ძირითად ემოციასთან, რაც ჩვენ შემთხვევაში მეოთხე თვისებაა, ანუ სიკეთე და სიყვარული თითქმის ერთი და იგივეა. შემდეგ მოდის მეხუთე თვისება ძლიერება, ჩვენს შემთხვევაში იგი მეცხრეა, თუმცა შეიძლება მეოთხეც იყოს, რადგან ადამიანი როცა კეთილია და უყვარს უფალი მოყვასი, იგი უკვე ძლიერია.

მერვე თვისებაა დიდმშვენიერება, იგი მეოთხე და მეხუთეს სინთეზია. ეს თუ შეკავებული გულკეთილობაა და მეხუთე თვისება – გაყოფაც ხომ ასევე თავშეკავებული გულკეთილობაა.

ამავე დროს სიკეთეც და სიყვარულიც გადაჭარბებული არ უნდა იყოს. მაგალითად, აღსაზრდელის მიმართ. მას უნდა ჰქონდეს შიშიც, თორემ ზედმეტი გულუხვობა ყვნის ადამიანს. აქაც რუსთაველი სწორედ მიგვითითებს, „შიში შეიქმს სიყვარულსაო", ესეც მიესადაგე-

ბა კაბალისტურ მიმართულებას. ამის სინონიმია ხალხური გამონათქვამიც „ბავშვი მტრულად გაზარდე, მოყვარედ გამოგადგებაო", ამიტომაც მოითხოვეს უფალი ჩვენ მოშიშობას, ეს ჩვენი სიკეთის საწინდარია.

მეშვიდე თვისება ნების გამარჯვებაა, რაც შეესაბამება მართლმსაჯულობას ღმობიერებით, ასეთი ცხოვრების წესის დამკვიდრება მართლაც გამარჯვებაა.

მეცხრე არის ფუძე. ჭეშმარიტად ფუძე მაშინ არის მყარი თუ მრუნავს მთამომაელობისათვის (როცა ოჯახის სიმყარეა). ეს ჩვენს შემთხვევაში მერვე თვისებაა.

ყოველივე ეს ცხრა, ორივე შემთხვევაში ადამაინს სდის მეფედ, ანუ მეათენი ორივე შემთხვევაში ემთხვევა.

ამგვარად, ათი სფიროთი მიიღწევს რომ იყოს უფლის და ზნეობრივ ადამიანთა გამგებლობა — მეფობა. იგივე ხდება ათი თვისების აღსრულების შემთხვევაში, ანუ იბერიული ცხოვრების წესის დამკვიდრებისას.

ეს არის აზრი, სიტყვა და ქმედება, მათ ეწოდებათ სულთა „სამოსელნი", რამდენადაც სულისადმი დამოკიდებულებაში ესენი გარეგან ფაქტორებს წარმოადგენენ. აზრი ინტელექტის იარაღია. იგი უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული სულთან და ფლობს დიდ ერთიანობას მასთან, ვიდრე სიტყვა და ქმედება. აზრის რუდუნი უწყვეტია, რამეთუ მას ასაზრდოებს მუდმივმოქმედება — სულის ამოუწურავი ინტელექტუალური წყარო.

სიტყვა და ქმედება მკაცრად რომ ეთქვათ, გვევლინებიან ემოციათა დამხმარე იარაღებად, რამდენადაც ამ უკანასკნელთა არსებობა აუცილებლობით წიაღდება ობიექტურად და ითხოვს გარეგან გამოსახვას.

აზროვნების პროცესი აღინუსხება სამ კატეგორიაში, რომელიც შეესაბამება გონების სამ უნარს, როგორც უკვე მოვიხსენიეთ: ს ო ხ მ ა, ბ ი ნ ა და დ ა ყ ა თ ი. აზროვნება პირველ საფეხურზე წარდგება სუფთა დაუკავშირებელ ფორმაში. მეორე საფეხური არის იდეათა ყოფიერება, რომელიც იღებს თავისებურ გონებრივ „ვერბალიზაციას". ამ საფეხურს შეეფარდება „ასოებრივი აზრი". მესამე საფესურზე აზრი აღწევს სრულ მოწიფულობას და ითხოვს რეალურ გამოვლენას.

რამდენადაც სული განისაზღვრება როგორც ღვთაებრივის ნაწილაკი, ამით ივარაუდება, რომ მთელი მისი ძალები ორიენტირებულია ღმერთისადმი მთელი მისი მისწრაფება და მთელი ქმედება თავმოყრილია ღმერთში. ღვთაებრივ სიყვარულსა და კრძალვაშია ჩაქსოვილი მისი განმასხვავებელი ნიშნები: ის განიცდის ღმერთისადმი მორჩილებისა და ზიარების წყურვილს.

ამგვარად, აზრი, სიტყვა და ქმედება „ღვთაებრივი ბუნებისანი არიან, რამდენადაც გვევლინებიან სულის განჭვრეტის, საშეტყველო და პრაქტიკული ქმედების გამოვლენად, თავმოყრილნი რომ არიან ღვთაებრივ სიბრძნესა და ნებაში, თორისეულ მცნებებში არიან განსახიერებულნი ეს სამოსელნი. ამრიგად, გამოყენებულნი არიან იარაღებად, რომელთა მეშვეობითაც ღვთაებრივი სული არის ზიარი თავის შემოქმედისა."

## ბუნებრივი არსი

„ცხოველური სული წარმოგვიდგება ღვთაებრივი სულის ორეულად. ამ უკანასკნელის მსგავსად, ცხოველური სულისათვის დამახასიათებელია ათი ძალა: სამი ძალა ინტელექტისა და შვიდი ემოციონალური ძალა; ამასთან ერთად, ეს უკანასკნელი ძალები ჭარბობენ, მაგრამ, ღვთაებრივი სულის ათი ძალის საპირისპიროდ, რომელშიც დამალულობს სიწმინდის ათი ს ფ ი რ ო თ –ი და მასში მიმდინარეობს მათი კელავწარმოება, ცხოველური სულის ძალები პირიქით წიაღდებიან და ასახავენ ბიწიერების ათ სფიროთ –ს, ეგერთ წოდებულ „პროფანაციის ათ გვირგვინს ბიწიერების ეს ს ფ ი რ ო თ –ები გვევლინებიან ს ი ტ რ ა ა ხ ა რ ა–ს – „უკანა მხარის" ემანაციებად, ე. ი. სიწმინდის დაპირისპირებულ არსად."

აქ არის მქნადობის ანუ სიკეთის და ბოროტების ძალთა ბრძოლის არსი, რაც გამოიხატება დაპირისპირებაში, განცალკევებაში. არის და არსებობს ერთი ჭეშმარიტება – ღმერთი, მისი მცნებები, სხვა ყველაფერი დაპირისპირებაა და ბოროტებაა. ამგვარად ყველაზე დიდი ცოდვა ადამიანთა დაპირისპირებაშია. საინტერესოა მაინც როგორ ყალიბდება ეს განცალკევება – დაპირისპირება კაბალისტური ენით?

ქმნადობას აქვს თანმიმდევრობა „ყველაზე უმაღლესიდან ყველაზე უმდაბლესთან" ჩვენს მატერიალურ სფეროში რომ დამაელობს. ამ პროცესში იქმნება სამყაროთა იერარქია და მისი ყოფიერება განიხილება სხვადასხვა საფეხურზე როგორც შემოქმედებითი პროცესის შედეგი, რომლის წყარო ღმერთშია. ეს არის სასურველი და მთავარი ყველა სტადიაში, ანუ ჩვენ მივილტვოდეთ მისი მსგავსებისაკენ, მაგრამ მუდამ ხდება ადამიანის ქმედებაში წყაროსგან განშორება, ანუ თუ აზრი მოდის უზენაესიდან — მისი მატერიალიზაციის პროცესში იზრდება მანძილი დაშორებისა პირველწყაროდან. ხდება მათი განცალკევება დაშორება ამ იდეიდან. ასე მაგალითად:

„ვივარაუდოთ, რომ ადამიანის ცნობიერებაში იბადება იდეა. უწინარეს ყოვლისა ხდება მისი გადადება კონცეფციად, რომელიც ჯერ კიდევ იმყოფება სუფთა ინტელექტუალურ დონეზე, შემდეგ ვლინდება მისი გამოთქმის სურვილი, ესე იგი იდეა განიცდის დამაელობას ემოციის სფეროში. აზროვნების უნარი შემდეგ გვაძლევს შესაძლებლობას განვიხილოთ იდეა გამოთქმის საშუალებათა და წესების თვალსაზრისით. რაკამს, აზროვნების სფეროში ხდება ფორმირება იდეისა, იგი აისახება სიტყვაში, რეალურ არტიკულაციაში. დასასრულს, ადამიანს ქაღალდზე გადააქვს იდეა ან უშუალოდ დაიწყებს მის რეალობად ქცევას. იდეა წარმოდგენილია მთელ ამ სტადიებზე, მაგრამ „დამაელობის" „მატერიალიზაციის" პროცესის სხვადასხვა დონეზე.

ამრიგად ქმნადობის აქტი გაგებული უნდა იყოს როგორც „დამაელობა" პირველწყაროდან, რომლიდანაც დასაბამი ეძლევა მთელ რიგ სამყაროებს, უმაღლესიდან სულ უფრო უმდაბლეს „მატერიალურ" არსამდე, თავიანთი წყაროდან „განშორების" მიხედვით.

არსებანი, რომელნიც ახლოს არიან თავიანთ წყაროსთან, ინარჩუნებენ კავშირისა და ერთიანობის უმაღლეს ხარისხს; ხოლო ისინი, რომელნიც წყაროსგან უფრო დაშორებულნი არიან, მათთვის დამახასიათებელია დამოუკიდებლობა და განცალკევებულობა".

ამგვარად დამოკიდებულება, რომელიც გვიბოძა ჩვენმა უფალმა როგორც მეუფეებს, ჩვენ მისგან განცალკევებას მისი მცნების მითითებით უგულვებელყოფის მიზეზი აღმოჩნდა. ის რაც პირველად მოუვიდა ადამს, ყაენს, ანუ უხილველობაა მიზეზი ყველაფრისა.

შედეგად ემანაციის ამ პროცესის დაბალი საფეხური შეესაბამება თითქმის სრული განცალკევებულობის სფეროს. ამ სფეროს ეწოდება ს ი ტ რ ა  ა ხ ა რ ა („უკანა მხარე"). იგი შემოსილია რაღაცა არსებით — კ ლ ი ფ ო თ —ებით („გარსებით"). ამდენად მათი გარეგანი „გარსი" სავსებით აბნელებს ღვთაებრივ ნათელს, რაც განაპირობებს მათ არსებობას. ბოროტი ვლინდება კ ლ ი ფ ო თ —ისა და ს ი ტ რ ა  ა ს ა რ ა —საგან ან დაკავშირებულია მასთან. მორალურ ბოროტებად გვევლინება ნებისმიერი საქციელი, რომელიც ხასიათდება ღმერთისადმი დაუმორჩილებლობით და მისგან განკერძოება—განდგომილობის სწრაფვით". ეს დაუმორჩილება ისიც იყო, რომ უგულყვეს პირველადი ენა, რომელიც გვეუბნება რომ ღმერთი ერთია! მათ თავიანთი კერპთაყვანისმცემელთა ენა განავითარეს.

„ კ ლ ი ფ ო თ —ის ორი სახე არსებობს. სულ ბოლოში იმყოფება ე. წ. „სამი ბიწიერი კლიფოთით", სრულიად „შეუღწევლნი" და დამღუპველნი, რომლებშიც არ არის არავითარი სიკეთე; მათ გარდა არსებობს მბრწყინავი გარსი" („კლიფა ნოგა"), რომელიც არის სიწმინდისა და „უკანა მხარის" მიჯნაზე. კ ლ ი ფ ა  ნ ო გ ა შეიცავს სიკეთის რაღაც მინარევს, თუმცა თავისი არსებით სხვა კ ლ ი ფ ო თ — ებისადმი მიიზიდება. მორალის სფეროს შესაბამისად არსებობს თავისებური „ნეიტრალური" კატეგორია, რომელსაც მიეკუთვნებიან არც ცუდი და არც კეთილი არსის მქონე არხები, რომლებიც ხორციელდება ღვთაებრივი კანონისადმი დამორჩილების პოზიციებიდან კი არა, არამედ უბრალოდ თანაგრძნობიდან, სიბრალულიდან გამომდინარე.

როდესაც ასეთი სახის ქმედებას გააჩნია ეგოისტური წადილის ელფერი, ის მიეკუთვნება „სამი არაწმინდა კლიფოთის" თანრიგს და წარმოადგენს ბიწიერ არსს".

ამგვარად ეგოიზმი ამდაბლებს ადამიანის ქველმოქმედებასაც კი. „ცხოველური სულის სამყოფელი გულშია, უფრო ზუსტად, „გულის მარცხენა პარკუჭში", საიდანაც მისი ქმედება სისხლის ცირკულაციის მეშვეობით ვრცელდება სხეულის სხვა ნაწილებზე, ტვინის ჩათვლით. აი რატომ არის ნათქვამი, რომ ყველა მდაბალი გრძნობა იქმნება გულში. ამის საპირისპიროდ ღვთაებრივი სულის უშუალო სამყოფელი არის ტვინი, საიდანაც ის ავრცელებს თავის ქმედებას სხეულის სხვა ნაწილებზე, გულის ჩათვლით, სახელდობრ მის მარჯვენა მხარეში. სხვანაირად რომ ვთქვათ, უმაღლესი განცდები თავისი არსით ინტელექტუალურია.

ამრიგად, შეიძლება ეთქვათ, რომ გულსა და გონებას შორის არ არის გამორიცხული კონფლიქტი, მაგრამ, ასეთი მტკიცება – მხოლოდ რიტორიკული ფიგურაა, რამდენადაც როგორც უკვე განიმარტა, ფიზიოლოგიური მიზეზები არ შეიძლება მოგვევლინოს წინააღმდეგობის წყაროდ."

კონფლიქტის ჭეშმარიტი მიზეზი მხოლოდ ორ სულს შორის უთანხმოებაა და ეს უთანხმოება გულიდან იწყება. გაეიხსენოთ რუსთაველი: „გული კრულია კაცისა უტყვი და დაუნდობელი", ამ კონფლიქტში სხეული მხოლოდ ნეიტრალური ბრძოლის ველია. მიმდინარეობს მუდმივი ბრძოლა რომელთაგანაც თითოეული ისწრაფვის გარდაქმნას სხეული თავისი ასოებითურთ „სათავსად" თავისი ათი უნარისათვის და სამი „სამოსელისათვის". რატომ აღწევს პირველ ეტაპზე ცხოველური სული წარმატებას? ესეც რუსთაველშია ახსნილი

„გული ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდიან;
რა გული წავა, იგიცა წაელენ და მისკენ მიდიან;
უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განიკიდიან".

აქ არის ახსნა მთელი კაბალისტიკის ანატომიის, ეს 10 განზომილება ერთმანეთზე ჰკიდიან და როცა გული წავა ანუ არ ემორჩილება ღვთაებრივ სულს— ორივე მისკენ მიდიან. ასეთი კაცი უგულოა და არ კაცობს, მაგრამ ღვთაებრივი სულის დაჩრდილვა შეიძლება მხოლოდ დროებით. ეს მხოლოდ იმიტომ რომ მიხედეს ინდივიდი თავის შეცდომას, რადგან ასეთი ადამიანი უმადურია და იგი თავს უბედურებას მოუტანს. იგი ეხვევა ისეთი უზნეობის მრუშობის მორევში რომ იქ ღვთაებრივი სული, (რომელიც ტვინიდან მოედინება) ცდილობს განერიდოს ამ პროცესს. ამიტომ ჩვენის აზრით აქ კონფლიქტიც არ გამოდის. უფალი არავისთან შედის კონფლიქტში, რამეთუ ასეთი მოქმედება მისი უპირობო გამარჯვებაა. მას უნდა რომ ადამიანი თვითონ მოევოს გონს. ამგვარად, ღვთაებრივი სულის დაჩრდილვა დროებითია. მისი ხმის სინდისის ხმის ჩახშობა დათრგუნვა არავის ძალუძს. ეს წინააღმდეგობაა ქმნადობისა, სადაც წინასწარ განზრახულია სიკეთის გამარჯვება. ეს გამარჯვება კი მაშინ ხდება, როცა ღვთაებრივი სული, აკონტროლებს ცხოველურ სულს. მაშინ არის მათი ერთობა, ანუ ერთი ღმერთის ნებაა წარმართული, რაც ჰარმონიის საფუძველია.

მაშინ ასეთი ადამიანი ავთანდილის დონეზეა, სადაც სული, გული და გონება ერთიანია. გაეიხსენოთ მისი სიტყვები „გულსა ეტყვის დათმობა სჯობს" ან სტროფი ავთანდილი რომ ეუბნება ტარიელს, რომელსაც მოეძალება ცხოველური სული:

ამას ეტყვის: „შეანთების დაესლებ გონებასა, სულსა გულსა,
მაგრა შენცა ნუ აგრე ხარ, ნუ იწყალებ ახლად წყლულსა:
არას გარგებს სწავლულობა, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა
არ იხმარებ, რას ხელს ხდი საუნჯესა დაფარულსა?

საუნჯე დაფარული აქ ღვთაებრივი სულია – თორაა – ბიბლიაა – კაბალაა, ცოდნაა.

ამგვარად უფალი გვაძლევს აზრს ზნეობისათვის, სიკეთისათვის, ადამიანის სწორად ცხოვრებისათვის. ამ აზრის მატერიალიზაცია უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ თორის - ბიბლიის კანონებით – შენ არ უნდა შექმნა ახალი, რათა ცხოველური მიმსწრაფველობა დაიკმაყოფილო. ამისათვის კი უნდა გქონდეს ცოდნა ბიბლიის და სიყვარული შენი გენეტიკა უნდა იყოს.

## ადამიანთა კატეგორიები

იმისდა მიხედვით, თუ რომელი სული იღებს ადამიანის სხეულში უპირატესობას ადამიანი იყოფა ხუთ კატეგორიად.

საერთოდ ცხოველური სული თავისთავად არ არის ბოროტება. არ შეიძლება ითქვას რომ უმდაბლესი ბიოლოგიური არსებანი კარგნი ან ცუდნი არიან, იმ გაგებით რომ მათი ქცევა განპირობებულია ბუნებრივი მიდრეკილებებით, ინსტიქტებით.

სსეაა ადამიანი ამ მიმართულებით, იგი ხშირად ნებდება ამ ინსტიქტებს ეძლევა ცდუნებას. ყოველ ბუნებრივ სახეს თავისი მიდრეკილებებით თავისი ფუნქცია გააჩნია. ქმნადობის პროცესში ეს არის უფლისგან დადგენილი, რათა საბოლოოდ გაიმარჯვოს სიკეთემ.

ცხოველური სულის საცდუნებელ წარმოსახულს პქვია (იეცერ ჰარა). (ლაპარაკი დაპირისპირებისათვის). იგი განუყრელი თანამგზავრი და მოკავშირეა ცხოველური სულისა. ისინი ერთმანეთს აქეზებენ.

წინააღმდეგობა რომ გაეწიოს იეცერ ჰარა–ს, ღვთაებრივ სულის უნარს „სიკეთისადმი ლტოლვისა ეწოდება (იეცერ ჰატოვ). ეს არის მთავარი, რადგან მას აიგივებენ სინდისის ხმასთან. ამათი პაექრობა ყოველთვის წინაპლანზეა, მათ უკან დგანან ცხოველური და ღვთაებრივი სულები.

მაგრამ რადგან ცხოველური სული არ შეიცავს სასრულს თავის თავში, რამეთუ ადამიანი ქმნადობით უნდა შეიქმნას ადამიანად, ამიტომაც, უპირობო გამარჯვება საბოლოოდ ღვთაებრივ სულს დარჩება.

ამაში ცხოველური სულიც იღებს თავისებურ მონაწილეობას. ადამიანი ხომ ტვინიდან წარიმართება. აქ არის ღვთაებრივი სულის სამყოფელი, ცხოველური კი გულის მარცხენა მხარესაა. მისი დანიშნულებაა, გარდა იმისა რომ ის შეისუნთქავს სიცოცხლეს და ასულიერებს ფიზიკურ სხეულს, ის იარაღად ემსახურება ღვთაებრივ სულს, რათა ადამიანმა შეიცნოს ბოროტება — სიბნელე. ჩვენ ვიცით წყვდიადში უფრო ჩანს ნათელის შუქის სიდიადე, რომელიც ასხივოსნებს მას. ანდა წყურვილი აძლიერებს სიამოვნების გრძნობას. ამგვარად ეს არის ის გამომწვევი ძალა, რომლის პასუხად ღვთაებრივი სული თავის შინაგანი სამყაროდან გამოანაწილებს მშვენიერებას, სინატიფეს — სინარნარეს, მნიშვნელოვნებას.

ამავე დროს ცხოველურ სულს გააჩნია დაუდგომელი მგზნებარე ბუნება და როცა ის დგება ღვთაებრივი სულის სამსახურში ეს უკანასკნელი იძენს მგზნებარების დიდ ძალას ღმერთისადმი სიყვარულში. საკუთარი ბუნება კი ცხოველური სულისა უპირატესად ინტელექტუალურია, ანუ ეს არის ეხლანდელი თანამედროვე მეცნიერნი და კულტურის მოღვაწენი, ინტელიგენცია. აი, სად არის არსი და რატომ წერს რუსთაველი:

„არ მიენდობის გულითა თუ კაცი მეცნიერია"

მაგრამ თუ ეს მეცნიერი ჭეშმარიტად გამეცნიერდა ანუ ალეგორიულად რომ ვთქვათ ცხოველური შებმულია ფორანში და ადამიანს ემსახურება, მისი შრომის ნაყოფიერება ათასჯერ იზრდება. ამ შემთხვევაში ცხოველური ასრულებს თავის უმაღლეს დანიშნულებას. წმინდა ნაწერებიდან ვიცით: — სადა ხარები არ არის — ბაგა ცარიელია: „დიდი მოსავალი ხარის ძალით არის" (იგავნი14 : 4) აი ამ ძალით, ამ სულთა პარმონიით იყო მუდამ საქართველოში დიდი მოსავალი. იბერიული ცხოვრების წესში ორივე სული ასეთ ჰარმონიაში არიან და ბოლოს გადამწყვეტი აქ არის ის რომ ცხოველურ სულს თავისი ბუნების შესაბამისად „მგზნებარედ სურს" რომ იყოს: ძლეული და გარდაქმნილი, აი აქ არის ქმნადობის არსი.

ამგვარად ამ კონფლიქტის დასარული დამოკიდებულია ადამიანზე როდის მიხვდება მისი ინტელექტი უაზრო ბრძოლას და მის უაზრო დამღუპველ მოქმედებებს. ცხადია ღმერთმა სამყარო შექმნა იმიტომ რომ სიკეთემ, ნათელმა, მართალმა გაიმარჯვოს.

ამგვარად კლასიფიკაციის სათავეში სრულქმნილი წმინდანის (ცადიკ გამურის პიროვნებაა. ეს ისეთი ადამიანია, რომელიც არა მარტო დასძლევს ცდუნებას, არამედ ძალუძს ამაღლება თავის ბუნებისა და სიკეთისაკენ მისი წარმართვა. იგი წინამძღოლია. მისი არსებობის გამო აქვს სამყაროს არსებობას არსი, რამეთუ ბოროტს გარდაქმნიან კეთილად, ხელს უწყობენ ღვთაებრივი ერთიანობის განმტკიცებას.

ღმერთისადმი „ქველმოქმედების" უნარი, რომლითაც დაჯილდოებულია ც ა დ– ი კ გ ა მ უ რ – ი, როდი ებოძა მხოლოდ მას. თითოეული მ ი ც ვ ა (მცნება), თითოეული კეთილი ქმედება, პიროვნების სტატუსისაგან დამოუკიდებლად, ქმნის იმავე ეფექტს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ც ა დ ი კ –ის მიერ აღსრულებული კეთილი ქმედება მიეკუთვნება უმაღლეს საფეხურს.

პიროვნების მომდევნო ტიპია – ცადიკ მ ე – ე ი ნ ო  გ ა მ უ რ, ე. ი. არასრულქმნილი ც ა დ ი კ – ი. სრულქმნილ ც ა დ ი კ –ს იგი ჩამოუვარდება იმდენით, რამდენითაც მან ვერ მიაღწია ბოროტების სრულ სიძულვილს. ბუნებრივი ცდუნებანი და ვნებები ბოლომდე არაა აღმოფხვრილი და ამაღლებული, ხოლო ეს ნარჩენი აბრკოლებს ღმერთისადმი მის სიყვარულს, რომ იყოს იმდენადვე სრული, უსაზღვრო და მგზნებარე, ვით სიყვარული სრულქმნილი ც ა დ ი კ –ის. მაგრამ ამ უკეთურებას არ შეიძლება ჰქონდეს რეალური შედეგი, რამდენადც არასრულქმნილ ც ა დ ი კ – ში არსებული სიბოროტე ფრიად მცირეა და უმნიშვნელო. ამ კლასში შესაძლებელია უამრავი გრადაციები იმ სიბოროტის ნარჩენის სასიათის და საზომ–საწყაოს მიხედვით, რომელნიც ჯერ კიდევ დაფარულია მის ბუნებაში.

ამ სკალის ქვედა მიწურულში –უზნეო ადამიანის ორი ტიპია (რ ა შ ა  გ ა მ უ რ და შ ე ე ნ ო  გ ა მ უ რ ). სრულიად ბიწიერმა ადამიანმა სავსებით წააგო თავისი „გამაგრებული ქალაქი" ბოროტ ძალებთან ბრძოლაში, არავითარი სიკეთე არ შემორჩა მის შინაგან სამყაროს ანდა ყოველდღიური ენით რომ ვთქვათ, სინდისი მას აღარ ქენჯის.

მიუხედავად ამისა, ღვთაებრივი „ნაპერწკალი" არ ქრება ასეთი ადამიანის სულშიც კი. ის თითქოსდა „განდევნილობაში" არსებობს თავისი ცნობიერების კიდეზე. აი, სრულიად უზნეო პიროვნებასაც კი რად ძალუძს (თუმცა იშვიათ შემთხვევებში), კვლავ აღიძრას მონანიებისადმი (თ ე შ უ ვ ა ), სრული გადავვარების ზღვარზეც რომ იყოს, მაგარამ მანამდე, სანამ ეს არ აღსრულდება, იგი მთლად ბოროტების გამგებლობაშია. საბედნიეროდ, პიროვნების ასეთ ტიპს იშვიათად ვხვდებით.

ყველაზე გავრცელებულ ტიპად მიიჩნევა „ბოლომდე გაუბიწიერებელი ადამიანი". ეს ისეთი ადამიანია, რომელიც ემორჩილება ცთუნებას და იმეორებს მორალურ შეცდომებს, რომელნიც შენაცვლებულნი არიან სინანულით და მონანიებით. ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია უამრავი გრადაციები იმაზე დამოკიდებულებით თუ რამდენად ხშირია მორალური ბოროტების რეციდივები და რომელ საზღვრამდეა ბოროტი ძალებით შეპყრობილი „გამაგრებული ქალაქი". ასეთი ადამიანი განიცდის სინდისის მტანჯველ ქენჯას, თუმცა იმდენად სუსტად, რომ ეს არ არის საკმარისი დასაძლევად ცდუნებისა, რაჟამს ის გამეორდება. სრულიად ბიწიერი არ წარმოისახება ასეთ ადამიანად. სიკეთე მასში მთელი თავისი არსით ჩასრმობილია და მაინც უიმედო შემთხვევაშიც კი სრულიად უზნეო ადამიანის უარყოფა არ შეიძლება. კეთილი, რომელიც ნებისმიერ ადამიანს ებოძა დასაბამიდან, კვლავ ბჟუტავს სრულიად ბიწიერ ადამიანშიც კი, სადღაც ცნობიერების კიდეზე; ის არ მოქმედებს, მაგრამ არ არის მკვდარი; იგი თითქოს „გაყინულ" მდგომარეობაშია.

სწორედ ეს გარემოება იძლევა შესაძლებლობას, თუმცა ფრიად იშვიათად, რომ სრულიად ბიწიერმა ადამიანმაც კი განიცადოს რადიკალური გარდაქმნა და გარდასახვა.

ღირსეულ და ბიწიერ ადამიანთა ამ ორ უკიდურეს ტიპებს შორის არსებობს შუალედური კლასი, ბ ე ნ ო ნ –ის პიროვნება.

ბენონი შუალედური პიროვნებაა, იგი შეგნებულად არ ქმნის ცოდვას, არ ეძლევა ცდუნებას.

ღვთაებრივი სულის ცხოველურ სულზე გამგებლობა ვრცელდება ბენონის შემთხვევაში სამ სამოსელზე – აზრი, სიტყვა, ქმედება, მაგრამ არა მას ათ არსებით უნარიანობაზე.

„სხვანაირად რომ ვთქვათ, ბ ე ნ ო ნ –ის ცხოველური სული სუფევს მორჩილებაში; მისი ვნებები და გულისთქმანი კონტროლქვეშ არიან, მაგრამ არაამაღლებულნი, ის მაშასადამე, შეიძლება გადაიქცეს ცდუნების ობიექტად, მაგრამ თუ ერთი შეხედვით ბ ე ნ ო ნ –ის პიროვნება წარდგენილია „გათიშულად", ხოლო მის ორივე ბუნებას, კეთილს და ბოროტს, გააჩნიათ, როგორც ჩანს, თანაბარი ხმა, აქედან არ გამომდინარეობს პრაქტიკული შედეგები. რამდენადაც, არსებითად, კონფლიქტი შეიძლება იყოს მხოლოდ ხანმოკლე და უცვლელად მთავრდება ღვთაებრივი სულის სასარგებლოდ. ეს იმიტომ, რომ იგი ასხივებს ღვთაებრივ ნათელს, ხოლო იქ სადაც ნათელი შეხვდება ბნელს, ბნელმა გზა უნდა დაუთმოს ნათელს.

ჩვენ ვამბობთ „უცვლელად", რამდენადაც უცვლელობა მოცემულია ბ ე ნ ო ნ ი –სთან მიმართებაში განსაზღვრულობით, რამეთუ ეს სახელწოდება მიეკუთვნება ადამიანს, რომელიც სინამდვილეში არასდროს არ ქმნის ბოროტს.

ბ ე ნ ო ნ ი , ამრიგად განწირულია იმისათვის, რომ განიცადოს უწყვეტი შინაგანი დაძაბულობა, რომელიც ცხრება მხოლოდ შინაგანი ჰარმონიის სასურველ მომენტებში, მაგალითად, ლოცვის ჟამს, როდესაც ცხოველური სული დროებით სავსებით ჩახშული და დამორჩილე-

ბულია. წრფელი და ექსტაზური ლოცვის მომენტში ცხოველური სული, ასე ვთქვათ, დაჰიპნოზებულია.

ერთობის ასეთ პერიოდში, როდესაც ცხოველური სული „უმოქმედობს", განიდევნებიან ხორციელი სურვილები და ზრახვები, მაგრამ რაჟამს ბ ე ნ ო ნ ი უბრუნდება თავის ყოველდღიურ საქმიანობას, ცხოველური სული კვლავ იღვიძებს, ხოლო ადამიანს ეუფლება მავნებარე სურვილთა და ცდუნებათა მკვეთრი შეგრძნება და მან კვლავ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რომ ისინი ალაგმოს. მას ძალუძს მათი ალაგმვა იმ შემთხვევაში, როდესაც „ადამიანის თავი თავისი არსით განაგებს გულს". რამეთუ ღვთაებრივი სულის ცხოველური სულისადმი უპირატესობა შეედრება სინათლის ბნელისადმი უპირატესობას. სინათლის მცირე ფიზიკური წყარო ფანტავს ბნელს საკმაოდ დიდ სივრცეში; ბნელმა გზამ უნდა დაუთმოს ნათელს, ამის მსგავსად, გასხივოსნებული ღვთაებრივი სული ზღუდავს ცხოველურ სულს და ის ჰყავს ფხიზელი ზედამხედველობის ქვეშ, არ აძლევს უფლებას გამოისახოს აზრში, სიტყვაში და ქმედებაში.

სხვანაირად რომ ვთქვათ, მას არ ძალუძს თავისი გონების დაცვა ცოდვილ ზრახვათა შემოღწევისგან, მაგრამ არც ერთი ცნობიერი წუთით არ უნდა მიეპყროს მას; მას ძალუძს თავისი ყურადღება დაუყოვნებლივ სხვა საგანზე გადაიტანოს, რადაც დიამეტრალურად განსხვავებულ არსზე".

ერთი სიტყვით იბერიულ ცხოვრების წესში ბენონი მუდამ მაღალ დონეზე იქნება, რადგან იქ ასეთი ცდუნებები გამორიცხულია, რამეთუ ღვთაებრივი სული თავისი ნამუსის გრძნობით მუდამ თავის ჩარჩოებში ჩააყენებს ბენონს, რომელსაც 50 პროცენტი მაინც აქვს შემორჩენილი სირცხვილ — ნამუსის გრძნობა. ასეთ წესში ის მუდამ დაძლევს ადამიანურ სისუსტეს და ნელ—ნელა გარდაიქმნებიან ცადაკებად. ის რომ ბენონის კატეგორიის ხალხი უმრავლესობაა ოთხივე კატეგორიაზე — ესეც გვაფიქრებინებს სიკეთის გამარჯვებას ბოროტებაზე.

ბენონის დონის მიღწევას ყველა შესძლებს. რომ მივაღწიოთ ბენონის დონეს, საჭიროა მხოლოდ თვითკონტროლი.

## კოსმიური ყოფიერების არსებობის ორი წყარო

მთლიანი სამყაროს ბედი დამოკიდებულია თვით ადამიანზე და მთელი სამყაროც ადამიანის სხეულის ანალოგიად შეიცავს ბოროტ და კეთილ ძალებს. ჩვენ ვიცით, რომ არსებობს ეინ სოფ—ი — ღმერთის უსასრულო ძალა — ადამიანის სული, რომელიც აცისკროვნებს, აცოცხლებს ორგანიზმს. არის ეინ სოფ—ის ნათელის არეკლა, რომლითაც განიმსჭვალა პირველი ადამიანი — ადამი და მთელი სამყარო — კოსმიური თანამიმდევრობა.

ამის მსგავსად ადამიანის სულის მთელი ძალები ონეგ—ი, რაციონ—ი და მიდოთი გამომდინარეობენ თავიანთი ზებუნებრივი პროტოტიპიდან.

ადამიანის სრული შესწავლით ჩვენ შევიცნობთ სამყაროს რაობის და ქმედების არსს.

ადამიანი ფლობს ორი დონის ცნობიერებას „ბუნებრივს" და ზებუნებრივს". ანალოგიურად კოსმიური ყოფიერება შეეფარდება არსებობის ორ წყაროს.

„კოსმიური ყოფიერება, მსგავსად ადამიანური პიროვნებისა, ეძებს განხორციელებას. ადამიანურ არსებაში განხორციელებისადმი სწრაფვა შეიძლება იყოს შეცნობადი ან შეუცნობადი; კოსმოსურ ყოფიერებაში იგი შეიძლება იყოს შეუცნობადი, მაგრამ სხვა მიმართულებით ეს ორი ყოფიერება იდენტურია.

აქ რომ სწორედ შევიცნოთ ქმნადობის არსი — საჭიროა ორიოდ სიტყვა ითქვას სინათლეზე. სინათლე — ყველაზე იდუმალი და ყველაზე ნათელი მოვლენაა ნებისმიერ ფიზიკურ მოვლენათა შორის. ფიზიკური სამყაროს ყველა საგნიდან ის გვევლინება ყველაზე არანივთიერად; ის წარმოადგენს მიჯნას მატერიალურსა და არამატერიალურს შორის.

სინათლე არის ენერგია; ესაა წყარო არსებობისა და სიცოცხლისა. სინათლეს აღვიქვამთ მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი აირეკლება მატერიალური საგნებიდან. არის სინათლე ხილული და უხილავი. სინათლე ფლობს ტრანსცენდენტალურობის თვისებას; ის თანაბრად ვრცელდება ყველგან და ასხივოსნებს ყველა საგანს, დანაკარგისა და გაბუნდოვანების გარეშე. აქაც გავიხსენოთ რუსთაველის გენია: „ვარდსა და ნეხვსა ვინათგან მზე სწორედ მოეფინების". სინათლის სხივი შეიძლება აირეკლოს და გარდაიტეხოს, მაგრამ ეს გავლენას არ ახდენს გამოსხივების წყაროზე. ის შეწყდება, როდესაც წყარო გადაიკეტება და ამიტომ შეიძლება იარსებოს მხოლოდ წყაროსთან ერთად.

ქმნადობა იწყება ე ი ნ ს ო ფ –ის სინათლიდან (ო რ ე ი ნ ს ო ფ ), დაიაელობს რა თავისი წყაროდან, განიცდის მეტამორფოზებს და კონდენსაციის სხვადასხვა სტადიებს გაივლის,სანამ, დასასრულ ის არ შეერწყმის ბუნებაში მყოფ სასრულ ძალას, რომელიც დაკავშირებულია უსასრულო ძალასთან, უნივერსუმის საზღვრებს რომ მსჭვალავს. უსასრულობიდან სასრულისაკენ გადასვლა თავის განმარტებას პოულობს ც ი მ ც უ მ –ის მოძღვრებაში, რაც განხილულ იქნება ქვემოთ, ახლა ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ამ შემოქმედებითი პროცესის უკანასკნელ შედეგზე, როგორც არის ჩვენი ორგანზომილებიანი სამყარო.

არსებობს ორი წყარო, საიდანაც წარმომავლობს კოსმოსური ყოფიერება, იწოდება რ ა ს ო ვ ე ე –ად ანუ (მ ა კ ი ფ –ად პერიფერიულად) და . მ ე მ ა ლ ე –დ, რომელიც სიტყვა სიტყვით თარგმანში ნიშნავს „გარემომცველს" და „შემავსებელს" ან უფრო ცნობილ ტერმინებში, ტრანსცენდენტურს და იმანენტურს. ეს ორი წყარო, რომელიც გაგებულია სასრულო სინათლის (ორი ეინ სოფის) შემოქმედების გაგრძელებლად, ქმნის ძალას, რომელიც მუდმივად იცავს ყოველივე არსებულს. მაშასადამე, ყოველივე არსებობის ჭეშმარიტ რეალობას. რამდენადაც სინათლე არ არსებობს თავისი წყაროს გარეშე ვინ სოფ–ით მუდმივად უნდა მოქმედებდეს იმისათვის, რომ ქმნიდეს, იცავდეს და ნერგავდეს სიცოცხლეს ყოველივე არსებულში. სწორედ ამ საბოლოო აზრში შეიძლება ვილაპარაკოთ შექმნილ სამყაროში ღმერთის იმანენტური და ამავე დროს ტრანსცენდენტური ყოფნის შესახებ.

მაიმონიდი 12 საუკუნეში ღმერთის ტრანსცენდენტურობას და ემანენტურობას მიიჩნევდა სრულიად საიდუმლოდ. რაბი შ. ზალმანი კი თვლის რომ ქმნადობის პროცესი მისაწვდომია ჩვენი გაგებისათვის და აუცილებელიც არის, რათა შევიგნოთ ჩვენი ადგილი სამყაროში. ალბათ ეს დრომ მოიტანა. ამ დროზე ლაპარაკობს რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში" როცა ტარიელი და ავთანდილი ნახავენ ზარდაფხანას. რუსთაველი გადმოგვცემს „უკამისოდა ვისც გახსნას არს მეფეთა მკვლელიო" ამგვარად ეტყობა დადგა ეს დრო.

„გრძნობადაღქმადი სამყაროს რეალობა – განმარტავს რაბი შ. ზალმანი – წარმომავლობს ღვთაებრივი ელემენტიდან, წყაროდან, რომელიც იწოდება მემალედ. ქმნის რა რეალობას, შემდეგ ეს უსასრულო სინათლის ემანაცია ეშვება ისეთი „შეკვეცილი" და „შესუსტებული" ფორმით, როგორადაც შესაძლებელია მისი „განსახიერება" ან მოვანება ბოლოვად ობიექტებში. ეს ეგრეთ წოდებული გ ი ლ უ ი ო რ , უსასრულო სინათლის „გამოწიაღებული" ფორმაა, რომელიც ვლინდება თვითქმნადობასა და შექმნილი ობიექტების ვიტალობაში, მათ სასრულ მდგომარეობაში, ის „შესუსტებულია" ისე, რომ ვერავითარ შედარებას ვერ უძლებს და არასგზით არ მიეკუთვნება „ფარულ" სინათლეს (ო რ გ ა ნ უ ზ), რომელიც ინარჩუნებს უსასრულობის თვისებებს და არ სახიერდება ბოლოვად სამყაროებში, მაგრამ მათ „გარემოიცავს" განაპირებიდან, ასე ვთქვათ, რჩება რა მათში წვდომის მიღმა; ამიტომ ეწოდება მას ს ო ვ ე ე –ი ანუ მ ა კ ი ფ –ი.

მაგალითად განვიხილავთ რა დედამიწას, ჩვენ ვწვდებით ღვთაებრივ დასწრებას, კერძოდ, მინერალებისა და მცენარეთა სიცოცხლის შექმნას, მაგრამ ეს უსასრულოდ მცირე ნაწილია იმ შემოქმედებითი ძალისა – უსასრულო სინათლისა, რომელსაც დედამიწა უნდა უმადლოდეს თავის არსებობას და რომლის შესახებ ჩვენ არ ძალგვიძს წარმოდგენის შექმნა.

ტერმინი მ ა კ ი ე (პერიფერიული) თავისთავად ცხადია, არ უნდა გავიგოთ ზუსტი მნიშვნელობით, რამდენადაც ეს უკანასკნელი ასოცირდება სივრცის შეზღუდვასთან; ამ ტერმინით აღინიშნება ძალა, რომელიც ტრანსცენდენტურია ყოველივე არსებულისადმი და იმავე დროს მსჭვალავს მას და ამრიგად, არის მისი უწყვეტი არსებობის ნამდვილი წყარო.

ემპირიულად მოძღვრება ტრანსცენდენტურობის შესახებ შეიძლება ილუსტრირებულ იქნეს გონების ტრანსცენდენტურობის მაგალითზე, რომელიც მჟღავნდება გაგების აქტში, როდესაც ადამიანი იხსენებს რაღაცას, მის მიერ ნანახს ან ფიქრობს რაიმეს შესახებ, მის თვალთა წინ რომ იმყოფება, მისი გონება სავსებით მოიცავს ამ საგანს პერიფერიებით, ან სხვანაირად რომ ვთქვათ, „საკუთარ თავში შეიცავს". ეს საგანი, რა თქმა უნდა, დამოუკიდებელია ადამიანის აზრისაგან, ის მასზე არ ახდენს არავითარ გავლენას.

ამით მთავრდება შედარება, რამდენადაც ღმერთის აზრი და მისი ცოდნა საგნებზე მოიცავს და წვდება თითოეულ მის ატომს სინამდვილეში (საგნების ადამიანური თვისებისაგან განსხვავებით, რაც მხოლოდ მის წარმოსახვაში არსებობს) და სწორედ ეს ღვთაებრივი ცოდნა შეადგენს საგნების არსებობასა და ნამდვილ სიცოცხლეს, რომელსაც მუდმივად ქმნის არაფრიდან, მაგრამ, რამდენადაც ეს ძალა უსასრულოა, რჩება რა თავის საწყის მდგომარეობაში,

მას არ შეეძლო სასრული ობიექტის შექმნა. ამიტომ, იგი იმგვარად „პროეცირდება" უსასრულო სინათლის (შესუსტებული" ფორმიდან, რომ ს ო ე ე ე –ი (ანუ მ ა კ ი ფ –ი) და მ ე მ ა ლ ე ქმნიან რა ბოლოებად ობიექტებს, ქმედებენ სრულ თანხმობაში".

ეს ორი ძალა წარმავლობენ ერთი და იგივე წყაროდან უსასრულო სინათლიდან და თითოეული მათგანი ასრულებს თავის ფუნქციას საგანთა არსებობისათვის. ამისათვის სოფეტი სახიერდება მემალე–ში.

ფიზიკური სამყაროს ყველა ობიექტი ორგანზომილებიანია. თუ ადამიანზე ვილაპარაკებთ ეს არის სხეულის და სულის ორგანზომილიანობა, ანუ ფორმისა (სხეული) და შინაარსისა (სული). ეს ორი ელემენტი შერწყმის შედეგად უცილელად აღიქვამენ გრძნობად სამყაროს თითოეულ საგანს.

ამგვარად ყოველი სუბსტანტი ღვთაებრივ ძალაზეა დამოკიდებული. ჩვენ ადრე აღვნიშნეთ რომ არსებობს სამი სამყარო, არაორგანული, მცენარეული და ცხოველური. რამდენადაც ადამიანშია ქმნადობის არსი კაბალისტიკაში ცხოველური იყოფა ორ კატეგორიად: საკუთრივ ცხოველური და ადამიანი, ისევეა ქმნადობის წიგნში მათი შექმნის თანამიმდევრობა.

ისმევა კითხვა: რატომ არის მკვდარი ბუნება არაორგანული სამყარო? ლურიანულ კაბალაში ირკვევა რომ მასაც გააჩნია „სული". ეს სული პა– ფოყლმინისიფალ – არის „ქმნადობის ძალა" ქმნადში რომ სუფევს. ეს ის ძალაა, რომელიც მხარს უჭერს ყველა არსებულის უწყვეტლივ არსებობას და გვევლინება საგანთა ჭეშმარიტ სიცოცხლედ და სინონიმია ღმერთის „სიტყვისა".

ამ აზრის დასამტკიცებელია შემდეგი მსჯელობა: მცენარეულობა სასიცოცხლე საშუალებას იღებს ძირითადად მისი უმდაბლეს ფორმიდან არაორგანული მატერიიდან, ცხოველური – ერთიდანაც და მეორედანაც, სოლო ადამიანი ცოცხლობს ყველა სამი სამყაროს შეწევნით.

ანუ ფიზიკური ძალების მიღმა მუდამ დგანან სულიერი ძალები ღვთაებრივი სინათლით გამოვლენილნი. გარემომცველი და შემაერთებელი და წიაღდება ყველა საგნებში, ანუ პრინციპის თანახმად „უმაღლესი დამაელობს უმდაბლესისაკენ", რის შედეგადაც „უმდაბლესი" არსი ინარჩუნებს ქმნადობის თავდაპირველ არსის „ნაპერწკალს", რომლის წყარო არის უმაღლესი სფერო. აქედან გამომდინარე ეს ნაპერწკალი არის ის ენერგია, რომელიც ემორჩილება რა ღმერთის ნებას სიტყვას ღმერთის სურვილისამებრ გარდაიქმნება პურად ჩვენი არსებისა, აქედან წმინდა წერილის ციტატაც„რომ მხოლოდ პურით როდი ცოცხლობს ადამიანი, არამედ უფლის პირიდან გამომავალი სიტყვით" (მეორე სჯული). აი არსი ამისა, რომ ყოველივე ემორჩილება სიტყვას და ფიზიკური პური არის ღმერთის სიტყვა, ნება სულიერი ძალებით რომ მართავს ყოველივეს. მისი ნების გარეშე ფოთოლიც კი არ მოძრაობს. სხვაგვარად როგორ გავიგოთ იმის არსი, რომ ველურ ბუნებაში შეიძლება მეტი ბიომასაა, ვიდრე ადამიანის მიერ ყველაზე უკეთესად შექმნილი საფარველში ყველაფერი თავის დროზე მიმდინარეობს: ფოთოლცვენა, მათი გარდაქმნა ორგანულ საკვებად, თესლების გაღვივება – აღმოცენება და სხვა ყოვლისშემძლე ტექნიკის გარეშე.

ყოველივე ამას რუსთაველის ერთი სტროფი – ასახავს

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა, ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა მოგვეცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოველნი ხელმწიფე სახითა მის მიერითა".

ე.ი. ყველა არსი, ყველა სამყარო სულით ზეცით მონაბერით შეიქმნა. ეს უთვალავი ფერით ჩვენ მოგვეცა, ხელმწიფემაც გვიბოძა, ანუ უნდა შეექმნათ მის ნაირი კეთილშობილი. ჭეშმარიტად რუსთაველმა იცოდა კაბალა. მაგრამ მაიმონიდისა არ იყოს, რომელიც 12 საუკუნეში მოღვაწეობდა, ნაადრევი იყო მისი ახსნა სამყაროსათვის, რამეთუ მისგან ხომ არს ყოველივე ხელმწიფე და ამ ხელმწიფეთა მეფეთა მკვლელი იქნებოდა ეს. მათ იცოდნენ ქმნადობის არსი და არ ჰქონდათ უფლითა უფლება ამ ჭეშმარიტების გამჟღავნებისა.

რუსთაველი მხოლოდ ასე გვმოძღვრას ყველას

„ჰე ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა,
შენ დამიფარე ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა"

აქ ღმერთი ერთია და თხოვნაა ცხოველური სული რომ დაემლია ღვთიურ სულს.

ამგვარად, არსებობს რაციონალური გრადაცია ოთხი სამყაროს „არაორგანული მატერიიდან ადამიანისაკენ. მისტიკურ დონეზე კი ეს დამაელობის გრადაციაა, რამდენადაც ღვთაებრივი „ნაპერწკალი" ინერტულ ნივთიერებაში ზოგიერთი მიმართებით ხასიათდება უფრო მაღალი თანმიმდევრობით. მიზიდულობა შემომქმედისკენ ანუ სასიკეთო ქმედება არის მარადისობის და ერთიანობის გარანტი.

ჩვენი აზრით უფალი სამყაროს წარმართავს მიზიდულობის კანონით. ამ კანონით მსგავსი მსგავსისაკენ მიილტვის რამეთუ უფლის მარადისობა ერთიანობაშია ღმერთთან. მაგრამ არიან ბოროტი ძალები, კერპნი, რომელნიც საკუთარ თავს და საკუთარ კანონებს, კონსტიტუციებს ცნობენ. ისინი უპირისპირდებიან უფალს. ამით ძლიერ უსუსურნი არიან, მაგრამ მათი დოქტრინები რომ გაამყარონ ესენიც უფლის კანონით, მსგავსთა, შეერთებისა ერთიანდებიან. ამას უფრო მეტი ძალა აქვს, ვიდრე როცა დადებითნი ერთიანდებიან, რადგან ალგებრიდან ვიცით, რომ მინუსის და პლიუსის შეერთება მინუს წარმოშობს. აი რატომ იმარჯვებს ბოროტება.

ერთიანობაში არის მათი ძალა და ამავე დროს როცა მოვა დრო ასე შეკრებილნი ადვილად დამარცხდებიან. ქაჯებიც ამიტომ ჰქვიათ, რომ ამ ერთობით ღმერთს უპირისპირდებიან, მაგრამ ნათელი უფლისა მათ ადვილად დაამარცხებს მაშინ, როცა ცოდნა ყველაფრისა ხილული იქნება.

ღვთაებრივი ნაპერწკალი, ისევე როგორც ღვთაებრივი სული მიისწრაფვის შეერწყას შემოქმედს, ისე როგორც ნებისმიერი ალი მიისწრაფვის ზევით. ამგვარად სიკეთის ძალები მსგავსნი მსგავსისკენ მიილტვიან, რათა შეიქმნას საერთო ჰარმონია და სიუხვე. აქა დევს მარადისობა. ამ მარადისობას უმლის ბოროტნი, მაგრამ სამყაროს ვერ შეცვლიან. სამყარო ამიტომაც ფუნქციონირებს და იმიტომ არის მუდმივი, რომ არიან კეთილი ძალები. ისინი ასრულებენ სასიკეთო მისიას სამყაროში, რის გამოც ისინი მუდმივი არიან და ურთიერთისკენ მიისწრაფვიან, რათა შეასრულონ თავიანთი მისია უფლისაგან დაკისრებული. მაგალითად ჭურჭლიდან ბოლომდე დავლიეთ წყალი. როცა ამ ჭურჭელს დავაყოვნებთ მასში ისევ გროვდება დარჩენილი წვეთებიდან გადმოსასხმელი წყალი, ანუ წვეთები ერთდებიან, რათა არ აორთქლდნენ. აქ მათი ერთობა მათ რაობას და მოვალეობის შესრულებას განსაზღვრავს. გარკვეულ დროში და სივრცეში. მაგალითად ამ წყლის ისევ დალევა რომ გავეიადვილდეს. ამავე დროს როცა წყალი ორთქლდება, მისი მისიის შესრულება სამყაროს ჰარმონიისათვის ზეცაშიც ერთობაშია. აქ ერთიანდებიან მსგავსნი აორთქლებულნი და ისევ სიკეთეს ჩადიან, მიწას რომ უბრუნდებიან. ამ ბრუნვაშია მისი სასიკეთო მოქმედება და სიხარულიც, ჰარმონია, რადგან სიყვარულით ერთდება მსგავსთან. სასიხარულოა რომ სიკეთეს ჩადის და მარადისობაც, რადგან ვიცით — მატერია არ იცვლება, ის მხოლოდ გადადის ერთი აგერგატული მდგომარეობიდან მეორეში. ასე ისინი მარადისობენ, ჰარმონიაში არიან, რადგან ემორჩილებიან უფლის სიტყვას. ჩვენ კი არა ვართ ჰარმონიაში და მარადისობაში, რადგან არ ვემორჩილებით მის სიტყვას — თორას — პირველად ენას, ვუპირისპირდებით უფალს, საკუთარს ვიგონებთ. მიზიდულობა ხდება მხოლოდ მსგავსთა რადგან იციან მათი მარადისობაცა და რაობაც ერთობაშია.

ყველა ორგანული და არაორგანული სამყარო მოკლებულია ღვთაებრივ სულს. ამიტომაც ისინი ემორჩილებიან სიტყვას და სიტყვითა აქვთ კავშირი შემოქმედთან. ჩვენ კი უფალმა მისი მსგავსნი შეგვქმნა, მოგვცა ღვთიური სული და საშუალება შერწყმისა მასთან. მის სიტყვას, მცნებებს თუ დავუჯერებთ ჩვენი სიტყვაც სამყაროსთან მიმართებაში აღსრულდება როგორც უფლის სიტყვა. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ასრულებს ყველა საგანი მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

ყველაფერში არსებობს ღვთიური ნაპერწკალი და მიილტვის ზევით შემოქმედისკენ. არაორგანული ამას აღწევს მაშინ, როცა ის მცენარეში — ორგანულში გარდაისახება. ეს მცენარეც მიიღწვის ზევით, რადგან რაც ზევით წავა მცენარე უფრო მეტი არაორგანული შეერთდება და ჩაებმევა იმ სიცოცხლის პროცესში ჰარმონიას და სილამაზეს, სიუხვეს რომ იწვევს. ეს კი ადამიანზეა დამოკიდებული, მის სწორ ქცევაზე. იმდენჯერ მრავლდება არაორგანული, რამდენიც სჭირდება ადამიანს. არის ჰარმონია, სილამაზე, მწვანე ფერები, სიუხვე იმის სარჯზე, რომ უფლის ნებით უფრო მეტი მკვდარი ბუნება ებმება სასიცოცხლე ციკლში. არ მოქმედებს

ასე? არა გვაქვს ერთობა, მაშინ არაორგანულ ნივთიერებათა ერთობაც ეცემა. ჭარბობს მკვდარი ბუნება და მკვდარი ფერები. შემდეგად უკუპროცესი მიმდინარეობს და ქვეყნდება სიუხვე, ჩნდება უდაბნო ხრიოკი, რაც დაემართა ისრაელს.

არაორგანული გამანაყოფიერების შეტანა მოსავლისათვის, ადამიანი რომ ცდილობს — ღმერთის ნების გარეშე მხოლოდ ადამიანის მიერ საკუთარი დასჯაა, რადგან ისინი მიიწვამელელნი არიან და სიცოცხლეს გვიმოკლებენ

ამგვარად, ღმერთის ნებაა მხოლოდ ჩვენი სიცოცხლის ხანგრძლივობა, სიუხვე და ჰარმონიის ის უწყვეტი პროცესი, როცა არაორგანული და ორგანული გარდაიქმნებიან მცენარედ. აქ არ არსებობს არავითარი ფიზიკური კანონები, კანონი ერთია — მსგავსი მიილტვის მსგავსისაკენ.

ხოლო ნებისმიერი საგანი შემოქმედიდან გამომდინარეობს. ამიტომ ყველა არსებული მიისწრაფვის შემომქმედისკენ, რათა შეიტანოს წვლილი საერთო ჰარმონიაში და თვითონაც ჰარმონიულად შეერწყას უსასრულო სასიცოცხლო ციკლს.

საერთო მიმართებაში კი ყველა და ყველაფერი — ღვთაებრივი სულის და ღვთაებრივი ნაპერწკალის საშუალებით მიილტვის ღმერთისაკენ, რაც უფრო ბევრი არსებაა, მათ შორის არაორგანული, ჩაებმება ამ ფერხულში, მით უფრო მეტია სიუხვე, სიყვარული და ჰარმონია. აი სად არის მიზიდულობის კანონი. იგი არის შემომქმედისაკენ. ეს პირველ რიგში უნდა იცოდეს ადამიანმა. მხოლოდ მას შეუძლია შეერწყას უსასრულოს და აამაღლოს აქეთკენ სამი სამყარო, რომელიც მისი ჰარმონიის, სიცოცხლის არსებობის საწინდარია. მაგრამ თუ იგი დაემორჩილება ცხოველური სულის ინსტინქტებს — დათრგუნულია სამყარო და მისი სულიც წვალობს. ვერ აღის ზევით ნეტარებაში, რადგან ცხოველური ბალობს, ეს კი მიწისკენ იზიდავს მას.

ამგვარად ადამიანი დამაკავშირებელი რგოლია დედამიწასა და ზეცას შორის, მისი ქმედების დარად გარდაიქმნება ფიზიკური — სულიერად, მას შეუძლია თავის ამაღლებასთან ერთად აღმამაღლოს გარემომცველი ფიზიკური სამყარო.

ადამიანი თუ დაიცავს 613 მცნებას, ანუ იქნება წმინდანის დონეზე, მოხდება მისი ფიზიკური ენერგიის გასულიერება. ამით შეუწყობს ხელს გარე სამყაროს გასულიერებას, რამდენადაც სამი უმდაბლესი სამყარო მისი საკვებია.

## მიზიდულობის კანონი მხოლოდ ერთია — უფალთან შეერთება

ამრიგად, ჩვენ უნდა გვახსოვდეს მხოლოდ ერთი მიზიდულობის კანონი — კანონი უფალთან შეერთებისა, რამეთუ აქ არის მარადისობა, მიწიერებისაკენ მიზიდულობა დროებითია.

აღნიშნულის დასტურად დავაკვირდეთ ერთ ბუნებრივ მოვლენას. ჩვენ ვიცით, ორი ნათება უფლისა: — როცა შეხინაა - დედამიწაზე მუდამ დღეა ნათელი, ერთობაა, გაყოფაა, გასხივოსნებულია ყველაფერი სიწმინდით და ეს სამარადჟამო ნათებაა.

არის მეორე სინათლე — ნათელი უფლისა — მზე. ეს დროებითობის ნათელია. მის ნათებაში იგრძნობა დღევანდელი, ამქვეყნიური პერიოდულობა სიცოცხლისა — ანუ შექმნისა, სიბერე—სიკვდილის და შემდეგ კვლავ წარმოებისა. კვლავ წარმოება ხდება უკვდავი სულის მეშვეობით.

ქართული ანდაზაა „თვალი სულის სარკეაო" ე. ი. უფალი გვაძლევს, გვახედავს სარკეში დღევანდელი სამყაროს პერიოდულობის, რადგან ამ პერიოდულობას ჩვენი თვალები გადმოგვცემენ: თუ მზეს თვალს გავუსწორებთ ჩვენ რა თქმა უნდა, დავხუჭავთ მას. აი ამ დახუჭვას თუ გავაგრძელებთ თუნდაც ორ—სამ წუთს ჩვენ დავინახავთ იმ ფერებს, რაც ბუნებისათვის არის დამახასიათებელი: ჯერ ცისფერია ალი, როგორც ზეცაა, ამ ალს ფუძე ზევით აქვს, რადგან მოქმედების არეალი ზევიდან ქვემოთ ამ მიწაზე აქვს. შემდეგ ის მწვანე ფერად გარდაიქმნება და ფუძეც საპირისპიროდ შეიცვლება ანუ მწვანე ფერი უკვე დედამიწისაა, ეს ცისფერი ალი ზეცის ფოტოსინთეზის საშუალებით დაბალმოლეკულურ ნივთიერებებს: წყალი, მინერალური და სხვა — გარდაქმნის მაღალმოლეკულურად და ქვეყანა მწვანეში იმოსება. ეს გაზაფხულის დროა, როცა ფოთლებიც მწვანედ იმოსებიან. ალის ზედა ნაწილი თანდათან წვრილდება და ზეცისკენ მიისწრაფვის — ისევე როგორც ფოთლები ხის ტოტებთან ერთად ზეცისკენ მიისწრაფვიან, ანუ მიზიდულობა მათი არის შემოქმედისაკენ, მისი იმ ცისფერი

ალისკენ, რომელიც აერთებს ნივთიერებებს და წარმოქმნის მცენარეს, ყველა სულიერთა სიცოცხლის წყაროს. ამ პერიოდში სჩქეფს სიცოცხლე, მაგრამ ეს ცისფერი ფერი საწყისი ალი შეერთებისა არაა ამარადიული. იმატებს მზის მცხუნვარება და მატულობს სიმწვანე. ეცემა შემოდგომაზე მისი ალი და ვეღარ იზრდება მცენარე. ფოთოლიც ჭკნება. ცოცხალ– მკვდარივით ჰკიდია, ვეღარ ისწრაფვის ზეცისკენ. რომ გაგრძელდეს მზის ნათება მარად, რაც სულიერი ნათებისათვის არის დამახასიათებელი ანუ მარად მწვანე ფერი იყოს, მაშინ იქნება მარადისობა – რამეთუ იმეფებს ადამიანის ღვთაებრივი სული, რომელიც ზეცისაკენ ერთობისაკენ მიილტვის.

სამწუხაროდ, დღეს ჩვენ რეალურ სამყაროში ეს ლტოლვა – ზეცისაკენ ფოთოლთა ზრდისა მისი მწვანე ფერად ჩამოყალიბებისა გაზაფხულზე იწყება. ზაფხულში მწვანდება კარგად და შემოდგომაზე მისი შეყვითლება იწყება. ისევე იცვლება ჩვენს თვალებში ფერთა გამა ყვითელ ფერად, შემდეგ ფერები ორ სამ წუთში დაახლოებით ასე იცვლებიან: სტაფილოსფერი, ალისფერი, წითელი, ღვინისფერი, ანუ მუქი მეწამული წითელი, ასევე იცვლება ფოთოლთა ფერები შემოდგომიდან ზამთარში. ზამთარში შემორჩენილ ფოთლებს მე–წამებული ფერი აქვთ ხეებზე: ალბათ ეს სიტყვა მე–წამებულს აღნიშნავს, რადგან ფოთოლმა დაკარგა წყალი და წამებულივით უსიცოცხლოდ ჰკიდია ხეზე. ფოთლის ფინალი ადამიანისას გავს. იგი მიწაში უნდა ჩავიდეს გაანაყოფიეროს, მაგრამ ამით მარადჟამს ცოცხლობს, რამეთუ წყალი და მზე ისევ გარდაქმნიან მას მცენარედ. უფალი განაგებს ამ პროცეს. ფოთოლს არ სჭირდება ღვთაებრივი სული და იგი არ კვდება. ადამიანი კი როცა მიწაში ჩადის წყვეტს სიცოცხლეს, სული კი როგორც ყოველი ფერი, რომელიც ჩვენ თვალებში იცვლება – ზეცისკენ, შემოქმედისკენ მიილტვის და ტოვებს ფოთლივით გამხმარ გაჩანაკებულ სხეულს. სხეულს, რომელიც მიწაში ჩადის ფოთოლივით, რათა მიწა გაანაყოფიეროს და ისევ მწვანე ფოთლად გარდაისახოს – ზეციდან წამოსული მზის ალის შეწევნით. მიიღოს ნაყოფიც, რომელიც სხვა ადამიანს კვებავს. (თვალ–იც იმიტომ ჰქვია რომ ეთვლით მზის ალს – თვლაა ალის. აი ასე დაარქვა უფლის ნებით ალს რომლის ფერებიც იცვლება და ამაში არის სიცოცხლის რაობა, ანუ რაობა მარადჟამი სიცოცხლის ზევითაა და არა ქვევით – „ქვევით მიზიდულობის კანონი სიკვდილის კანონია". ის ვაშლიც, რომელიც ჩამოვარდა, მიწაში მოხვედრა იმიტომ უნდა რომ ისევ ზევით მიისწრაფოდეს როცა მცენარედ გარდაიქმნება. ამიტომ უნდა მივისწრაფოთ რომ დაწესდეს და იყოს ზევით მიზიდულობის, მარადისობის, მარადჟამობის კანონი, რაც ჩვენი ქცევით, ანუ თორის წესებით ცხოვრებისას მოსდება. სულიერი ანუ მუდმივი მზე შეხინა უფლის ნათება იქმნება დედამიწაზე – რაც უფლის მიზანიცაა.

ამგვარად ყველაფერშიც, რაშიც სულია – სიცოცხლეა, მიისწრაფვის ზევით ღმერთისაკენ, შემოქმედისაკენ. ხოლო ადამიანის შემთხვევაში ქვევით რჩება სათავსო დამჭკნარი, რომელიც ფერფლად გადაიქცევა. როგორც წერია თორაში: „და რაკამს ჩემი ტანი მიიქცევა ფერფლად, უსხეულმყოფელი ვიხილავ ღმერთს".

ამგვარად, ღმერთისაკენ მიდის ყველა სიკეთე: ლამაზი ფერები, უყვართ მათი შემოქმედი. კანონებს იცავენ. ჩვენ ვართ, მაღლა ჰარმონიაში, თუარა და წვალობს ჩვენი სული.

ფერთა გამის ცვალებადობას შეესაბამება ჩვენი სულის მდგომარეობა, სული, რომელიც თუ ზნეობრივენი ვართ მწვანე, ხასხასა ფერივით ზეცაში ადის სრულ ჰარმონიაშია. ნაკლებ ჰარმონიაში არიან ფერები სტაფილოსფერი, ალისფერი, წითელი–ღვინისფერი, ანუ მეწამული. თუ მწვანე ფერის შებრუნებით წავიკითხავთ ენა წმინდაა, ანუ წმინდა ენის ე.ი. ბიბლიის მცნებათა დამცველი (ბიბლია ხომ ამ ენით დაიწერა) სრულ ჰარმონიაშია. ხოლო მეწამული ბოლო ფერი ფოთლისა მიწაში ემვება, ანუ წამებული იქნება ესეთი ადამიანის სული. სხვათა შორის ესავი – იაკობის ძმა წითური იყო, ეს წითური ფერის ხალხი ებრძვის სამარადჟამო სიმწვანეს – სიკეთეს, რამეთუ მათი ქმედება სისხლიანი გზაა. ამიტომაა კომუნისტური ფერი წითელი, წითელი ლაქა ჰქონდა გორბაჩოვს, ასეთი წითური ფერი აქვს, მათ ბოროტების უკანასკნელ მეფეს – შევარდნაძეს.

იაკობის ისრაელ–იბერის ქმედება კი სიმწვანეა, მარადიული სიცოცხლეა.

ამგვარად, მიწიერებისკენ, მიწისკენ, სიკვდილისაკენ, ჯოჯოხეთისაკენ არ უნდა იყოს ჩვენი მიზიდულობა, არამედ ზეცისკენ. ესაა მიზიდულობის სამარადჟამო კანონი, ანუ კანონი მესიის ერისა, როცა სულ სიმწვანე იქნება. ხოლო მიზიდულობა ამქვეყნიური მიწიერი გრძნობისაკენ, რაც შეიძლება მეტი მიწის დაუფლებისაკენ ეს არის კანონი სულის გაწამება – გადაშენებისა.

მეცნიერება ეს არის, მოქმედებას ცნებების მეშვეობით, ანუ როგორ აეიდეს ჩვენი სული ზეეით, ასევე ორგანული, არაორგანულიც იქითკენ მიისწრაფვიდეს. ამიტომაა ნათქვამი კაბალაში: სწორი კვებით, რელიგიური აქტებით, მცნებათა აღსრულებით ხდება მატერიალური საგნების გასულიერება. ფინალი ასეთი პროცესისა ის არის რომ უსასრულო სინათლე აღწევს ფიზიკურ სამყაროში და მატერიალური გარსი „კლიფა" იხსნება მთელს ყოვლისმომცველ ერთიანობაში. სამყარო მუდმივად იმყოფება ამაღლებისა და გასულიერების პროცესში. შედეგად საფარი უსასრულობის სინათლეს რომ აბუნდოვნებდა გრძნობად აღქმად სამყაროში თანდათან დაიკლებს.

შედეგად მომავალი გამოცხადება აღსრულდება საფარსა და ისეთი შუამავლის გარეშე როგორიც იყო მოსე — ჩვენ ვიცით რომ მაშინ ისრაელებმა ვერ გაუძლეს უფლის ღვთიურ ნათელს — უფლის გამოცხადებას.

ეს ძალიან მარტივად აქვს ახსნილი რუსთაველს: ავთანდილი რომ ეუბნება როსტევანს „რად არ გინდა ნახვა მზისა", ეს ხომ ნესტან-დარეჯანზეა — უფლის ნათელზე შეხინაზეა ლაპარაკი, რისი ნათელიც დაივანებს საქართველოში, რასაც ასე აღწერს რუსთაველი:

„გაკვირდეს ყოველნი მხედველნი მისთა ელვათა ფერისა;
ვით მზემან, დაყვნა მჭვრეტელთა თვალნი ნათლისა ჩვენისა;
მისგან დამწვრნი მისცხიან გულნი ჭრეტითა ლხენისა,
სითცა გამოჩნდის, იქმოდეს ჯარნი მუნითკენ რბენასა".

ჩვენ ვიცით რომ როცა ივანებს უფლის ნათელი შესინა, მაშინ ყველა გამოჯანმრთელდება, რასაც მესამე სტრიქონი გვამცნობს.

შემდეგ აღწერილია ორი ღვთის ნათელის — ნესტანისა და თინათინის გაყრა:

„კვლა აკოცეს ერთმანეთსა გაიყარნენ იგი ქალნი:
ქვე დამდგონამ წამავალსა ვერ მოწყვიდინა ყოლა თვალნი;
იგი იჭვრეტს უკუღმავე ედებოდეს ამით ალნი
რამე მწამდეს, ვერ დავწერენ მე სიტყვები ნაათალნი"

ამგვარად, აქ ის დროა მოცემული, როცა განიწმინდება მატერიალური სამყარო, ღირსი „მეცნიერთაგან" და მაშინ ღმერთი მთელი თავისი სიდიადით იკაშკაშებს თვით ჩვენი გრძნობებისათვის, რომელიც მიაღწევს სრულყოფილების ზღვარს, ანუ მოხდება ის, რომ როცა სიკეთე თავის გზას დაადგება, ხორციელი თავისთავად გაქრება, რადგან ის არსებობს მანამ, სანამ მასში არსებობს სიკეთის ნარევი, ანუ ღმერთის შუქი, ნათელი, ცოდნა რომელსაც ის უპირისპირდება. როცა ადამიანი შეიცნობს სრულყოფილად უფლის არსს და მის სხივოსნებას, მასში უკვე აღარ დარჩება ბოროტის კვალი. ის თავისთავად არ მოითხოვს თ ი კ უ ნ —ს*. ფიზიკურ სამყაროში მისი დამავლობის მიზანი იმაშია, რომ „შეასწოროს" ცხოველური სული და ფიზიკური სხეული, რომელშიც ის, ქვევით წარმოგზავნილი უნდა ჩაინერგოს. ეს უკანასკნელი ემორჩილება რა თავის გავლენას, ღვთაებრივი სული აღწევს პირად ჰარმონიას და ერთიანობას, ასრულებს რა ამით თავის პირად დანიშნულებას.

ამ განხორციელებას გააჩნია ორმხრივი ასპექტი, სუბიექტურად, სული აღწევს ღვთაების შეცნობის უმაღლეს დონეს, თორისა და მიცვოთ—ის რელიგიური ცდის განხორციელების მეშვეობით მიწიერი სიცოცხლის დროს. ობიქტურად, პირადი დანიშნულების განხორციელება დაკავშირებულია სამყაროს დანიშნულებასთან, რამდენადაც სულს შეაქვს თავისი წვლილი კოსმოსური ერთიანობის აღდგენაში (თ ი კ უ ნ ჰ ა ო ლ ა მ) და დედამიწაზე ზეციურის საბოლოო ხელმწიფებაში.

---

*თავის ღასაბამიერ აზრში თ ი კ უ ნ —ის დოქტრინა ეხება ქმნადობის პირველ აქტს. ამის შესახებ ილუზია მოიპოვება ა გ ა დ —ის გამონათქვამში: —„(თქვა უფალმა): მე რომ შემექმნა სამყარო მართლმსაჯულების (დ ი ნ —ის) ატრიბუტის ძალით, ის ვერ იარსებებდა; მე რომ შემექმნა ის ლმობიერების ატრიბუტის ძალით, ის მაინც ვერ იარსებებდა, ამიტომ შევქმენი მას მართლმსაჯულებისა და ლმობიერების ატრიბუტების შერწყმული ძალით" („ბერეშით რაბა 12:5). მსგავსნი აზრია მოცემული აგრეთვე რაბი აბაჰუს მტკიცებაში: ვიდრე ეს სამყარო შეიქმნებოდა, ღმერთმა შექმნა (უამრავი) სამყარონი და აღგავა ისინი ამ თქმით: „არ ესატყვისებაო ჩემს წადილს" და ა.შ. („ბერეშით რაბა" 3:9, ზ ო ჰ ა რ —ი I,24 ბ).

ამგვარად, ცოდნა ადამიანის საწინდარია შემოქმედის და სამყაროს შეცნობისა, რამეთუ ადამიანის ღვთაებრივი სული ზებუნებრივია და არ ექვემდებარება ადამიანის მიერ აღმოჩენილ ბუნებრივ კანონთა ქმედებას, (თუნდაც მიზიდულობის კანონს). იგი თავისუფალია თავის მოქმედებაში.

ჩვენ ეხლა შეიძლება დავასკვნათ რა არის სიკეთე და ბოროტება. სიკეთე არის ერთიანობა ღმერთთან, ლტოლვა მისი მითითების აღსრულებისა მისი მსგავსებისათვის ანუ მისი თვისებების დანერგვის სწრაფვა. ბოროტება არის ღმერთთან გათიშულობა, ანუ დაპირისპირება არ დაცვა მცნებების.

კაბალა ყველა მეცნიერებისგან განსხვავებით გვმოძღვრავს: სამყარო შეიქმნა არაფრიდან და დროში.

ისმება კითხვა: მაშ როგორ გავიგოთ შექმნა უსასრულოდან ბოლოვადი საგნების, არამატერიალურიდან — მატერიალის, ერთისგან — მრავლის მიღება?

ე ი ნ ს ო ფ — მ ა განახორციელა შეკუმშვა—კონცენტრაცია (ც ი მ ც უ მ —ი) თავის წიაღში, თავი მოიყარა ცენტრალურ პუნქტში, თავისი სინათლის შუაგულში, შეკუმშვა სინათლე და „წავიდა" ამ შუაგულის პერიფერიისაკენ, დატოვა დაუკავებელი სივრცე, სფეროც და სიცარიელეც თვით ამ ცენტრის შუაგულში.

ამის გაგება არის მეტად რთული. ჩვენ შევეცდებით მოკლედ, განვმარტოთ ეს, რამდენადაც ჩაწვდება ჩვენი გონი.

ისაკ ლურიას შეხედულებით ქმნადობა წარმოდგენილია „შეკუმშვით", მიღებული „სიცარიელის შევსებით" და „განაწყვეტილების" პროცესის სახით.

ვიდრე ემანაცია დაიწყებდა გამოვლინებას და შეიქმნებოდა ქმნილებანი— სუფევდა მხოლოდ მარტივი სინათლე, რომელიც ავსებდა მთლიან ყოფიერებას, არსად არ იყო თავისუფალი სივრცე . . .

შემდეგ გამოწვიაღდა სამყაროთა შექმნისა და ემანაციიდან ცოცხალ არსებათა გამოწვევის მარტივი სურვილი, რათა გამოევლინა თავის ქმედება თავისი სახელებისა და ატრიბუტების სრულყოფილება, ეს გადაიქცა სამყაროს შექმნის მიზეზად.

ტერმინი ციმცუმი ჩვენ უნდა გავიგოთ როგორც შეკუმშვა — „წასვლა", „დაშორება", ღმერთის ყოვლად ძლიერებას შეუძლია როგორც გაფართოება, ისევე შეკვეცა, აქედან გამომდინარეობს სასრული არსებათა შექმნაც, შეკვეცა რომ არ შეიძლებოდეს ყველა მოვლენილი არსება იქნებოდა მასავით უსასრულო.

„ქმნადობის პროცესი, რომლის განმარტებასაც საფუძვლად უდევს ც ი მ ც უ მ —ის პრინციპი, წარმოდგენილია შემდეგი სქემით: ვიდრე შეიქმნებოდა სამყარო, არსებობდა მხოლოდ ე ი ნ ს ო ფ —ი, უსასრულო, ერთიანი, აბსოლუტური მთლიანობა, რომლის უსასრულო სინათლე ავსებდა მთელ „კოსმოსს", შემდგომ შექმნილი სამყაროს სივრცის ჩათვლით (აქ გამოყენებული ტერმინი „კოსმოსი" არ უნდა გავიგოთ სიტყვასიტყვით, რამეთუ თვით კოსმოსის არსებობა შედეგია ქმნადობისა). უსასრულო სინათლეში არ იყო „ადგილი" სასრული არსებობისათვის, მაგრამ შემოქმედის ყოვლად ძლიერებამ მას თავის თავში უსასრულო სინათლის შესრუტვის საშუალება მისცა, რათა შეექმნა „სიცარიელე", რომელშიც სასრული არსებობის გამოწვიაღება შესაძლებელი იქნებოდა, სინათლის სუსტი ზომის მეშვეობით, ამ „სიცარიელეს" რომ მოეფინებოდა.

ასეთია ც ი მ ც უ მ —ის პროცესის დასაბამითობა, რომელშიც უსასრულოს სინათლე რედუცირებულია ისეთი სიმკვეთრითა და თანამიმდევრობით, რომ სასრულ არსებებს ძალუძთ მისი ატანა.

ქმნადობის პროცესში გაფართოების უსასრულო ძალა (უსასრულო სინათლე) იყო შეზღუდული, მაგრამ ის არ ყოფილა რედუცირებული სავსებით, დაკავებული „ნაშთი" ინარჩუნებდა რაღაცას სინათლის პირველსაწყისი თვისებიდან, რომელიც წინამავლობდა ც ი მ ც უ მ ს. ამ „ნაშთმა" სინათლის სხივის შეკუმშვასთან ერთად გამოიწვია ახლის „ორმაგი" თვისება, სინათლის პოსტ — ც ი მ ც უ მ ი მისთვის დამახასიათებელი სასრულისა და უსასრულოს ელემენტებით, რომელთაგან წარმოიქმნა „ჭურჭელთა" ანუ „სათავსთა" (ქ ე ლ ი მ ) და „ცეცხლთა" წრედი და ეს „ცეცხლი" ავსებს ამ ჭურჭელ—სათავსებს", მაგრამ ქმნადობის პირველსაწყის ფაზაში „ცეცხლი" იყო ფრიად ძლიერი „ჭურჭელსათავსისათვის", რამაც გამოი-

წეია „ჭურჭელ—სათაესთა მსხვრევა" (შეირათ პაქელიმ). ამ პროცესში ცეცხლი გაიფანტა ურიცხვ მცირე „ნაპერწკლებად" (ნ ი ც ო ც ო თ), რომლებიც მიმოფანტულია მთლიან კოსმოსურ სამყაროში.

პრინციპის მიხედვით, რომლის თანახმად უმაღლესი ეშვება უმდაბლესისაკენ, ღვთაებრივი ნაპერწკლები „ჩარითულნი" აღმოჩნდნენ მატერიალური არსებობის უმდაბლეს ფორმებში და იქ, „განდევნილობაში" დაივანეს, ისწრაფიან რა „გამოსყიდვისაკენ" ადამიანთა კეთილშობილურ ქმედებათა წყალობით.

ღიდ ც ი მ ც უ მ —ს კვალდაკვალ მიჰყვება სხვა ც ი მ ც უ მ —ები, წარმოიქმნა რა „შეკუმშვათა" და „გაბნევათა" უსასრულო რიგი და ამ პროცესში გამოწვიაღდა სულიერ არსთა ანუ ემანაციათა უსასრულო რიცხვი, თანაც თითოეული შემდგომთაგან აღმოჩნდა უფრო „ქვემოთ" თავისი წინამავალისაგან იმ აზრით, რომ ის უფრო ფარავდა თავის თავში სინათლესა და სიცოცხლეს ე ი ნ ს ო ფ —იდან რომ გამომდინარეობდნენ.

ჩვენი სამყარო წარმოადგენს „უმდაბლესს" უსასრულო სინათლის მაქსიმალური დაფარვის სარისხის მაჩვენებლის მიხედვით — ეს ის სამყაროა, რომლის გარეგანი მატერიალური არსი საესებით ფარავს მის ჭეშმარიტ შინაგან რეალობას".

აქვე უნდა აღინიშნოს რომ კონცენტრაციის და გაფართოების აქტი არ ახდენს ღვთაებრივი სუბიექტის ცვლილებას, უსასრულო სინათლის შეკრულების ანალოგია მოყვანილია ადამიანის გონების ქმედების სფეროდან, იმ მიზნით რომ ადამიანის ტვინის ფუნქციონირება ანალოგი უნდა იყოს ქმნადობის. ვთქვათ ადამიანს აქვს რაღაცა შესაქმნელი. ვთქვათ მანქანა. ჯერ ის სწავლობს როგორ შექმნას კარკასი, დიზაინი, შემდეგ საცდელი ნაწილების სისტემა, შემდეგ ძრავი და ა.შ. მაგრამ ყოველი ცოდნა, რომელიც ადამიანმა შეიძინა ამა თუ იმ პროცესისათვის იგი იკუმშება, მის ტვინში, რათა მან დაისვენოს და შეიძინოს ახალი. შემდეგ კი როცა იწყებს მანქანის აგებას — ის ცოდნა ისევ ფართოვდება, შეიქმნება მთლიანი კონცეფცია მანქანის შექმნისა. წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიერ დაგროვილი ცოდნა გაიფანტებოდა და რაიმე გონიერ შედეგს ვერ მივიღებდით. ისიც ცნობილია, რომ გაფართოების და კონცენტრაციის ეს პროცესი არ იწვევს თვით სუბსტრატში არავითარ ცვლილებებს.

ამგვარად, ადამიანის აზრის გაფართოების და შეკუმშვა არის მისი ნორმალური ფუნქციონირების საშუალება შექმნილი ღმერთის მიერ, რათა მან შექმნას ანალოგიური სასიკეთო ქმედებანი, რაც შექმნა უფალმა. ოღონდ არ უნდა დაირღვეს მისი მცნებანი და არ ვეცადოთ ახალი შევქმნათ რამე. მაგალითად საკვები პროდუქტების რაფინაციამ გამოიწვია ადამიანის დაავადებანი. შაქრის გამოყოფა ამ მეთოდით ღმერთის მიერ მოცემული პროდუქტიდან მიზეზი შეიქმნა დიაბეტური დაავადებისა. ღმერთის მიერ მოცემულ პროექტში ხომ ისეთი ოპტიმალური დოზით არის განლაგებული მიმდებარე ნივთიერებები, რომ არ დაიძაბოს ინსულინის აპარატი შაქრის შემცველი მქონე პროდუქტის გადამუშავებისას. როდესაც ამ ნივთიერებებს ვაცლით შაქრის შემცველი ნედლეულს და ვიღებთ მისგან შაქარს, ამ შაქრით ინსულინის აპარატი იძაბება, უჭირს მისი გადამუშავება და წარმოიქმნება დიაბეტური დაავადება.

წელიწადის ყოველ დროს ჩვენ გვაქვს სხვადასხვა პროდუქტი, ადამიანი კი ცდილობს, რომ ყველა საკვები გამოიყენოს მთელი წლის განმავლობაში. მაგალითად პომიდორი, კიტრი და სხვა. ისინი კი მარგებელია იმ პერიოდში როცა მოდის, შემდეგ სხვა პროდუქტით უნდა შეივსოს რაციონი, ჩვენ კი ერთმანეთს ვამატებთ, რაც დაავადებებს იწვევს. მარხვები იმიტომაა დაწესებული რომ მავნეა ესა თუ ის პროდუქტი გარკვეულ პერიოდში. სწორედ ამ მიზეზის გამოა რომ თუ ადამიანი ღრმად ჩაწვდება თანახს, სახარებას, ყურანს და კაბალას მაშინ ის უკვე მართლაც მივა იმ აზრამდე რომ დაიცვას ის წესები, რაც უფლის მიერაა ჩადებული ჩვენ სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის.

## კოსმოსური მოწოდება

„კოსმოსური თანამიმდევრობისათვის, ც ი მ ც უ მ —ის პროცესის შედეგად რომ გამოწვიაღდა, დამახასიათებელია ოთხი ძირითადი კატეგორია, ანუ დონე, ოთხ სამყაროდ რომ იწოდება: ა ც ი ლ უ თ ი* (ე მ ა ნ ა ც ი ა), ბ რ ი ა ქმნადობა — ზღვრული მდგომარეობა, რომელიც

*ხაბადის ფილოსოფიაში ა ც ი ლ უ თ ის ტერმინს „სიახლოვის" მნიშვნელობაც გააჩნია ძველებრაული სიტყვისაგან ე ც ე ლ, „მახლობლად, გვერდი—გვერდ"

რადიკალურად განსხვავდება მისი წინამავალი სამყაროს მდგომარეობისაგან, ა ც ი ლ უ თ ი –საგან (ბ რ ი ა ‍– იხ. შენ. რ ე ც ი რ ა) განსასვა – ფორმირება – შეზღუდული არსებობის უმდაბლესი მდგომარეობა და ა ს ი ა სიტყვასიტყვით ნიშნავს „ქმედებას" ანდა კეთებას"* რომელიც ჩვენი გრძნობადაღქმადი სამყაროს არქეტიპია.

თითოეული ამ ოთხ სამყაროთაგანი –ეს მოწესრიგებული სამყაროა, რომელიც აღწერილია ს ე ფ ი რ ო თ –ად წოდებულ ათ ზოგად კატეგორიაში, უამრავი ქვედანაყოფებით, თავადვე რომ სახიათდებიან „სამყაროებად".

ქმნადობის ეს პროცეს ერცელდება უკიდურესობის ერთი წერტილიდან მეორემდე, ე ი ნ ს ო ფ –ის სინათლიდან, რომლის პირველი ემანაცია ერწყმის ე ი ნ ს ო ფ –ს და იხსნება მასში, „უკანა მხარემდე" („ხიტრა ახარა"), კლიფოთის („გარსის") სამყარომდე, ბოროტ ძალებამდე, რომელთა სფეროში „ნაპერწკალი", მათ ჭეშმარიტ არსებობას რომ შეადგენს, იმ დონემდე რედუცირდება, ისსნება, რომ მას საესებით ფარავს და აბნელებს გარეგანი გარსი.

ამის მსგავსად, კოსმოსური თანამიმდევრობა „უკანა მხარისა" შეიცავს ოთხ ძირითად კატეგორიას ანუ დონეს, თანამიმდევრულად, იმის საპირისპიროდ, რაც დამახასიათებელია ოთხი სამყაროსათვის სიწმინდის სფეროში. მათ მიიღეს ოთხი კ ლ ი ფ ო თ – ის წოდება, წარმოდგენილია „მბწყინავ კ ლ ი ფ ა –დ, რომელშიც ჭარბობს უღირსობა, მაგრამ ამავე დროს, შეიცავს სიწმინდის რაღაც ნაწილს. გადასვლის ეს კატეგორია, სიწმინდის მხრივ ბიწიერების მხარემდე გვევლინება ჩვენი ფიზიკური სამყაროს სულიერ ორეულად.

უეჭველად, ქმნადობის ერთიანობა ინახება. „უკანა მხარე" არ არის დამოუკიდებელი სამყარო: ეს მხოლოდ უკიდურესი წერტილია ქმნადობის იმავე პროცესისა. სიწმინდე და ბიწიერება ერთმანეთს უპირისპირდებიან ერთი მაგნიტის ორი დაპირისპირებული პოლუსის მსგავსად;

ე ი ნ ს ო ფ –ის სინათლე წარმოადგენს ამ ორი დაპირისპირებული არსის სუბსტრატს. იგივე შემოქმედებითი ძალა, სინათლე ე ი ნ ს ო ფ –ისა, რომლისადმიც სიკეთე და სიწმინდე დავალებულნი არიან თავიანთი არსებობით, პასუხისმგებელია აგრეთვე ბიწიერებისა და მანკიერების არსებობისათვის, იმავე სხვაობით, რომ ამ უკანასკნელ არსებაში ე ი ნ ს ო ფ –ის სინათლე რედუცირებულია თითქმის გაქრობის წერტილამდე, მაგრამ მთლად არა, ეს არის უპრავი, თითქმის მკვდარი წერტილოვანი სამყარო. მათი შეუვალობა შემოქმედებითი ძალისადმი, რომელიც აარსებს კ ლ ი ფ ო თ –ებს, ანუ ბოროტ ძალებს, ცდომილებას იწვევს მათში, ასე ეთქვათ, მიიჩნევენ რა საკუთარ არსს დამოუკიდებლად, თვითშემძლედ და აშკარად არ ემორჩილებიან თავიანთი არსებობის შემოქმედს".

აი, არსი იმ რაობისა, წინა მასალაში რომ აღვნიშნეთ, თუ აქ, ამ სამყაროში, იგნორირებულია გაყოფის პრინციპი. აქ არის მიტაცების პრინციპი და დაპირისპირება. ამის გამო წრეხაზის პრინციპი ქმნადობას რომ განახორციელებს დარღვეულია, რადგან ხაზი წრეს ყოფს. ყველანი მიილტვიან მიითვისონ ყველაფერიდა წერტილის მაგვარი დაუტოვონ დედამიწიდან მოყვასს, რათა ისინი მონად ჰყავდეთ.

„რაც შეეხება ე ი ნ ს ო ფ –ის მათდამი ურთიერთობას, სიწმინდე, არის რა ღმერთის ნების საგანი, სასურველია, ხოლო ბიწიერება –მოსათმენი. სიწმინდე მხარდაჭერას იღებს უშუალოდ ე ი ნ ს ო ფ –იდან, ხოლო ბიწიერება მას ეუფლება შეპარვით, ზურგს უკან, მას ითვისებს ღვთაებრივი „ნაპერწკალიდან", რომელიც იმყოფება ბიწიერების სამყაროში „განდევნილობაში".

მაგრამ ყველა საგანი არსებობს მხოლოდ ღმერთის ათი ქმედების ძალით 7 დღეში რომ განახორციელა, როგორც ნათქვამია თორაში: „მარად, უფალო, შენი სიტყვა დაფუძნებულია ზეცაში". („ფსალმ. 113:89) მისი სიტყვით კი სამყაროში ყველაფერი იყოფა. სიტყვა გაყოფა დაბადების 1:6 პუნქტშია, ხოლო განაყოფიერდით და გამრავლდით, ანუ ნაყოფზე გამრავ-

* წინამდებარე სიტყვის ა ს ი ა –ს თარგმანი როგორც „ქმედების სამყარო" არ არის არც აღწერითი, არც სიტყვასიტყვითი. რამეთუ ოთხ სამყაროთაგან თითოეული გვევლინება ღვთაებრივ „ქმედებად". ეს ოთხი სამყარო გაგებულ უნდა იყოს როგორც განვითარების ოთხი საფეხური. ამ ტერმინთა მნიშვნელობა ნათელი გახდება შემდეგ მარტივი ილუსტრაციის წყალობით. ვივარაუდოთ, რომ დასახულია სახლის მშენებლობა. ამ იდეის განხორციელებამ უნდა გაიაროს ოთხი საფეხური: 1. სახლის შენების სურვილი, თუმცა ჯერ კიდევ გაურკვეველი: 2. ზოგადი გონებრივი წარმოდგენა ამ სახლის შესახებ: 3. დაწვრილებითი არქიტექტურული პროექტი: 4. საბოლოო მშენებლობა. ეს ოთხი საფეხური მთლიანობაში შეესაბამება ოთხ სამყაროს.

ღვთიურ ცხოველურ სამყაროს და ადამიანს რომ მიუთითა – ორჯერაა მოხსენიებული (1:22, 1:28 პუნქტებში). მისი სიტყვანი და ეს კონსტიტუციური სიტყვა შეადგენს ჩვენი ყოფის არსებობის გამრავლების ანუ ქმნადობის არსს. ეს ნათქვამი, როგორც აღვნიშნეთ არ დაირღვევა.

უფრო მეტიც, რაკიღა ეს სამყარო ბოლოს შეიქმნა და ის ქმნადობის საბოლოო მიზანს წარმოადგენს, ამ მიზნის განხორციელებით მცნებათა დაცვით ადამიანი ღმერთს აძლევს ქვემო სამყაროში დავანების და „ტკბობას" მიღების საშუალებას.

ყოველი კეთილი საქმე ყოველი ადამიანისა გროვდება და თანდათან მიგვიყვანს ჩვენი ფიზიკური სამყაროს სრულ განწმენდამდე. მორალური დაცემა დღეს რომ მიმდინარეობს ესეც საჭიროა საბოლოო განწმენდისათვის, რათა ნათლად გამოჩნდეს ჭუჭყი და სიწმინდე, სიბნელე და ნათელი.

განწმედნს რა თავის მიწიერ მიდრეკილებას, ადამიანის ფიზიკური სხეული და ცხოველური სული გარდაიქმნება ღვთაებრივი სულის ღირსეულ ნაწილად.

ჩვენ უნდა ჩავინერგოთ ერთი რამ, ყველა არსებული ადამიანისათვის არის შექმნილი და ადამიანი კი ღმერთის იარაღი, რითაც ეს არსებულნი აღწევენ სრულყოფილებას. ამიტომაც ღმერთს ახარებს როცა ადამიანი ასრულებს უფლის ნებას, ამას ბიბლიაში ხშირად, ეხედებით. (იხ.ფსალმუნები, 104:3, 115:2 და სხვა) ბენონის ტიპის ადამიანი აკონტროლებს სამ სამოსელს: აზრს, სიტყვას და ქმედებას. როცა მისი ორჭოფული ბუნება ახშობს ცოდვილ აზრს, სიტყვას, უმრეო საქციელისაკენ მიდრეკილებისა იგი ანიჭებს უდიდეს ტკბობას შემოქმედს და მონაწილეა ფიზიკური სამყაროს გასულიერებისა.

ამისათვის ბენონს და ნებისმიერს აქვს ორი მთავარი გზა: ერთი არის ბიბლიის – თორის მესწავლა, მეორე გაცემა.

როცა ადამიანი სწავლობს თორას, ხორციელდება სულიერი ერთობა შემოქმედთან. ეწაფები სიბრძნეს და ნიჭიერება შენი იზრდება, რადგან სისამღვილეს სწავლობ, გეძლევა ნიჭი რომ შეისწავლო თორა. უფლისაგან გიჩნდება აზრი, რათა დღითიდღე ახალ–ახალი აღმოჩენით და ცოდნით მიიღო უდიდესი სიამოვნება, რადგან ახლოვდები შემოქმედთან. შენ დაკავებული ხარ არა ფულის შოვნით, არამედ სხვა უთვალავჯერ უფრო მეტად შენი სულის პარმონიის მომტანი საზრის, ცოდნის შეძენით.

რატომ არის, რომ თორის სწავლა წინაა 613 მცნების აღსრულებაზე, – იმიტომ რომ, მისი სწავლით დაიცავ მას. სამი გარეგანი სამოსელიდან მთავარია აზრი, სიტყვა და ქმედება. უაზრო კაცს გაუჭირდება მცნების დაცვა.

მხოლოდ მცნებათა, რიტუალთა დაცვის უსასრულო ნათელი ეფინება სულს, ანუ სამოსელია მისი, მაგრამ თორას შესწავლა არის საზრდოც და სამოსელიც, ანუ იზრდება სიბრძნე ადამიანისა. როგორც ჩვენ წინა მასალაში აღვნიშნეთ სიბრძნის გაზრდა იწვევს უფლის სხვა თვისების სიყვარულის გაზრდას.

ეს რუსთაველს შესანიშნავად აქვს გადმოცემული. როცა ავთანდილი ტარიელთან შეხვედრისას ეუფლება ბიბლიას, სწავლობს თორას. ამიტომაც ეუბნება თინათინს ავთანდილი, რომ ებრაელები იმიტომ გაეიდნენ იბერიიდან, რათა ბოროტება თავისივე ბუნაგში მოესპოთ და იბერიისათვის აეცილებინათ.

„მან ჩემთვის დაწვა თავისი დადვა, არ – დასაწვავისა"

ამავე დროს ეუბნება „ქალი ახლავს სასურველად, სულთა დგმად და ჭირთა თმენად". რუსთაველმა იცის, რომ ებრაელებმა ბიბლიასთან განასორციელეს სულიერი შეუღლება – ქორწინება. ეს სწორედ ის არასასურველი ქალია, სულს რომ უნარჩუნებს მას და ჭირს ათმენინებს. ამიტომაც ეუბნება თინათინი მას „მერმედ ზრდა სიყვარულისა გაქვს, ჩემგან დანერგილისა". თინათინისგან დანერგილი ენის მცნებებიდან გამომდინარე საღვთო ღვთის მიჯნურია იგი. ღმერთის უზადო თავგანწირული სიყვარულია პირველ რიგში და მეორე საგრო. აქ დასტურდება ისიც, რომ სიყვარული იბერიულ მოდგმაში ღვთით არის დანერგილი ათ წმინდანში.

აი რატომაა კაბალისტიკის მცნებით თორის შესწავლა ყველა სხვა მცნებების ტოლი.

მაგრამ კაბალი უფრო მაღლა აყენებს გაცემას, იგი აჭარბებს ყველა დანარჩენ მითითებას ერთად აღებულს. რატომ? ფიზიკური სხეულის (თიკუნ–ის) და გარე სამყაროს გასულიერების თვალთახედვით პირველ ადგილზეა გაცემის მცნება, რამდენადაც ის წარმოადგენს საზოგადო ღონისძიებას. თორის სწავლებაც კი უნდა შეწყვიტო ამისათვის. მხოლოდ იმ

შემთხვევაში არ წყვიტავე, მას თუ იმავეს სხვაც შეასრულებს, ანუ მოხდება სამყაროს გასულიერება.

„გაცემაც" ჩვენ კარგად ვიცით რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში" უპირველესი ადგილი აქვს მიკუთვნებული. ისევე როგორც საღვთო მიჯნურობას. ამაზე ჩვენ წინა მასალაში..

მხოლოდ ერთს ვიტყვით, კომენტატორები აღნიშნავენ, რომ გაცემა აჩქარებს მესიონური ერის დაწყებას (ჰაბა—ბართა 10ა : შაბათ—ი 138ა)., რადგან სულიერდება ფიზიკური სამყარო, ანუ ის, რაც რუსთაველში არის ნაჩვენები და ჩვენც ვიცით, ადამიანებს შეუძლიათ ღვთაებრივი ჭვრეტა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ რომ გაცემა გენეტიკურად ჩვეულებად გვაქვს ქართველებს. ამიტომაა ჩვენთან ასეთი მოსავალი, ბარაქა და ამან შემოგვინახა კომუნისტების პერიოდში მიწის ბარაქა, უგვმრიელესი ნაყოფი.

დღეს, როცა ამდენი მათხოვარია საქართველოში — ყველა ჩვენთაგანს ეძლევა საშუალება განახორციელოს ეს აქტი. მართალია მწირი შემოსავალია, მაგრამ ახლა გაცემული — ათასმაგად დაგვიბრუდება ყველას. მიმდინარეობს ჩვენი გამოცდა და დღეს ხალხი, მართლაც, უყოფს ერთმანეთს ისედაც უმნიშვნელო შემოსავალს. გაიზარდა მათხოვართა რაოდენობა და გაიზარდა გაცემა. აი, სად არის ახსნა რომ უბედურება გვაახლოებს სიკეთეს. ამ გაცემაზე რომ აქვს რუსთაველს გამახვილებული მთელი ნაწარმოები, იმიტომაა მესიის დავანება რომ ხდება საქართველოში. მისი არსი ხომ გაცემაა. გავიხსენოთ დიუმა.

## მისწრაფება (ქავანა) ლოცვისას

მისწრაფება კი ჩვენი უნდა იყოს ღმერთთან ერთიანობის მიღწევა. ეს როგორც წინა მასალაში აღვნიშნეთ მიიღწევა, როცა იღწვი ღრმად დაეუფლო უფლის ათ თვისებას.

ერთ-ერთი ქმედებაა ლოცვა. თუ ლოცვას არა აქვს ეს მისწრაფება, ზრახვა, იგი უსულო სხეულს ჰგავს.

ლოცვის მეშვეობით მორწმუნე იღწვის ეინ სოფისაკენ, სიწმინდისაკენ, იგი ინანიებს და განიწმინდება უღირსი თვისებებისაგან. ამ დროს ღვთაებრივი სული — ეს სიწმინდის მედიატორი საუბრობს უფალთან და მაშინ ცხოველური სულიც სიწმინდით ივსება. იგი ხომ იწოდება „ღმერთის სანთელად", სანთლის ალი ხომ მიიღწვის მსგავსისაკენ, ეინ სოფისაკენ და ჩვენს მიერ აღნიშნული კანონით მსგავსი მსგავსისკენ რომ მიიღწვის — ჩვენში საბოლოოდ ჰარმონია დაისადგურებს.

რადგან სულის სულიერების გარეშე ეს ჰარმონია არ მოხდება, ჩვენ უკვე ვხედებით რომ სიცოცხლე სულის გარეშე არ არსებობს. ამიტომაც სიცოცხლე მარადიული სულისა და ცოცხალი ღმერთის შერწყმის ცდაა. აქედან გამომდინარეა „ჯანმრთელობა" რამეთუ ღმერთიდან, მისი ნათელიდან არის კეთილდღეობა, სიწმინდე, ბედნიერება.

ლოცვა ის ატრიბუტია, რომელიც აღაგზნებს ღვთაებრივ სულს, მის თვისებებს —კრძალვას ღმერთის წინაშე და სიყვარულს მისადმი. ეს ემოციები ლოცვისას თავისუფლდებიან, იპყრობენ ადამიანის მინაგან არსს. მასთან ერთად ცხოველურ სულსაც, რომელიც მარწუხებით არის მოდებული ორგანიზმს.

ეს უნდა გავაიგივოთ ამირანის მისწრაფებაში. ტყუილად არ ნიშნავს ებრაულად მომაღლებულ ერს ამირანი —ანუ ჩვენ ვართ დღეს ბოროტთა ბოროტი სულის ტყვეობაში. ისინი ყველანაირად ცდილობენ მოგვაცილონ ლოცვას. ზ. გამსახურდიამ ეს მთავარი დაგვიბრუნა. მოვწყდით უღმერთო სამყაროს. ახლა ჩვენი ვალია ვილოცოთ. აქვთ წარვმართოთ ჩვენი ქცევა და ბოროტება, რომელიც ჩვენ გვებრძვის — შემოვიყვანოთ სალოცავებში. მაშინ ის ადვილად დამარცხდება და სიკეთე გაიმარჯვებს მასში. ხოლო ლოცვა ქართულ ენაზე ოცს შეიცავს, ანუ ჩვენი საბოლოო მიზანი მეოცე მესიის მოსვლაა. შეხინის დახსნა მასზედ ლოცვაა.

ამგვარად, ჩვენი ამირანის ხსნა ყოველდღიურ ლოცვამია, მაშინ უკვე ბოროტი გაუვრმკრთალებულია და ჩვენ მოგვყვება.

ამიტომ არის, რომ ვეფხისტყაოსანში ავთანდილს —ქართველთ, წესად აქვთ ლოცვა, ლოცვა იმისა რომ არ წავიდეს ცხოველური ჩვევებისაკენ.

„ილოცებს იტყვის: მაღალო ღმერთო ძალთა და ცათაო,
ზოგჯერ მომცემო ჭირთა, ზოგჯერ კეთილთა მზათაო,
უცნაურო და უთქმელო, უვალო უფლებათაო,
მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულისთქმათაო".

ე. ი. ცხოველური მისწრაფეელობა ჩვენი იცის მუდამ უფალმა და იმის ლაიმობაზე ლოცულობს ავთანდილი. ლოცულობს, რათა ჰქონდეს სიყვარული და ლტოლვა უზენაესთან შერწყმისა თინათინის, ანუ შეხინის სულიწმინდას ღმერთის– სხივოსნების მეშვეობით:

„ღმერთო, ღმერთო, გევაჯები, რომელი ფლობ ქვეყნათ ჩვსსა,
შენ დაჰბადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა
მე სოფელმან მომაშორვა უკეთესსა ჩემსა მზესა,
ნუ ამოფხვრი სიყვარულსა, მისგან ჩემთვის დანათესსა!"

ლოცვა ავთანდილის – ეს არის ლოცვა განსწავლულისა კაცისა, მეხიის ღონისა. აქ ჯერ ერთი ჩანს, რომ ის მის სოფელს – საქართველოს მოშორდა, სადაც შეხინაა დავანებული და ამიტომ მის მზეს მოშორდა. იმ სულიერ მზეს, რაც მას ლომად აქცევდა. ეხლა კი მოცილებულია იმ ჰარმონიულ სამყაროს, რასაც საქართველო ჰქვია. აი რატომ ჰქონდათ ღღენიაღაგ ნოსტალგია სამღვარგარეთ ქართველი. კი ჰქონდათ მათ ავთანდილს, ტარიელს ღვთის სოფის ნათელი, მაგრამ შეხინა სულ სხვა არის. ერთია ლტოლვა ლოცვით ეინ სოფ–ში გაერთიანებისა და შერწყმისადმი, ხოლო შერწყმა ანუ კურთხეულ უზენაესთან კავშირია შეხინის მეშვეობით. რა თქმა უნდა ეს უფრო ამაღლებულია. ეს მისტიური იდეა გამოთქმულია წვრილი შრიფტით აწყობილ ლოცვებში, წარმაელობენ სხვადასხვა ლოცვებს: ყოველად წმინდა კურთხეული უზენაესის სახელისა და შეხინის ერთიანობისათვის . . .

კაბალისტიკაში ეს „წმინდა კავშირი" ხანდახან მეტაფორად მოიხსენიება, როგორც კავშირი „მეფესა და დედოფალს" შორის. ანდა, „საქმროსა და სარძლოს შორის" და ა. შ.

ამგვარად, იმ დროშივე რუსთაველს ეს ცოდნა მთელი სიგრძე–სიგანით ჰქონდა გათვითცნობიერებული და ამიტომაც უძღვნა ეს ნაწარმოები იმ საღვთო მიჯნურობას, რაც ამირანის – იბერიელთა – მომაღლებულ ქართულ ერთა მისიაა, რათა იხსნას სამყარო ბოროტი ძალებისაგან. ამირანისაგან ჯაჭვის გაწყვეტა სწორედ სამყაროს ხსნაა, რადგან ის მისცემს ნათელს შეხინას სახით ხალხებს, რასაც ასრულებს კიდევაც ის ვეფხისტყაოსანში ორ გმირთან, მის ძმებთან ერთად.

შეხინის არსი უფრო ადვილად რომ გავიგოთ, საჭიროა განიმარტოს: სული– როგორც ვიცით, განაპირობებს თითოეულ ორგანოს მოქმედებას, ხოლო მისი სამყოფელი და ცენტრი ორგანოთა ქმედებისა არის ტვინი. აქედან ავრცელებს იგი გაელენას ორგანოებზე. თითოეული ორგანო სულისაგან აღითქვამს სასიცოცხლო ძალას.

მაგრამ სული საკუთარ არსს ტვინში აღლევს ხოხმა ბინას და დაათის წყალობით. ისინი წარაელენენ  იმპულსებს სულისა და თითოეული სხეულის ორგანო მათი წყალობით გულის ჩათელით აღიქვამს ამ იმპულსებს (აი რატომაა რომ გონება გულზე გამგებლობს).

ასე რომ, ის ტვინიდან გამგებლობს. ანალოგიურად მოქმედებს ეინ სოფიც, რომელიც მსჭვალავს და სიცოცხლეს ანიჭებს ყველა უმდაბლეს და უმაღლეს სამყაროებს. ეინ სოფიც როგორც სული მიუწვდომელია და განუყოფელია, ხოლო სამყარონი მის ღვთაებრივ ციალს სხვადასხვარად აღიქვამენ. უმაღლესი სამყარონი (სულიერნი) აღიქვამენ უსასრულო სინათლეს უფრო ძლიერად, ხოლო უმდაბლესნი ითვისებენ სინათლისა და სიცოცხლის მცირე საწყისს, რომელიც სულ უფრო იფანტება და ბნელდება ფიზიკური სამყაროს მომავალ გზაზე. შეუღწევი მატერიალური საფარი ფარავს თითოეული საგნის „სულს" ანუ ჩვენი უჩნეო ქცევა ასუსტებს ღვთაებრივ ნათელს და ინერტულ ობიექტებს აძლევს მკვდარი მატერიის გარეგნობას. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ სულის ძირითადი სამყოფელია ტვინი, რომლის მეშვეობითაც სულს სიცოცხლე შეაქვს თითოეულ ორგანოში.

ასევეა ეინ სოფიც, რომელიც თავის თავს აწიაღებს უზენაესის გონის კატეგორიებით: ნებისყოფა, სიბრძნე, შეგნება, ჩვენს მიერ აღნიშნული ათი თვისებით, რომელთა სამოსელად გვევლინება თორა, მისი მითითებანი, ე. ი. შეხინა არ არის დამვებული დედამიწაზე როგორც

ადამის დროს იყო, მაგრამ წმინდანები იმსახურებენ ეინ სოფის ნათელს თორის მოძღვრების საშუალებით ისე როგორც ტარიელი.

შესინა კი გენერალური ძალაა ღვთაებრივი ნათელისა, თითოეულ საგანს რომ ანიჭებს სიცოცხლეს და არსებობას. იგი იწოდება სხვადასხვაგვარად: ალმა დეით გალია („ხილული სამყარო"), „მატრინა" (დედა) (ქართველები რომ დიდ დედას ეძახით) და შეხინა (ღვთაებრივი დავანება, (განსხივება მატერიალურ სამყაროში) ანუ ის არის დასაბამი და წყარო სიცოცხლისა ყველა არსებისათვის.

ჩვენ აღვნიშნეთ რომ საგნები სინათლისა და სიცოცხლის ამ წყაროსგან იღებენ იმდენ საწყაოს, რამდენსაც იმსახურებენ. შესინას რომ არ ჰქონდეს სამოსელი, მის ნათებას ჩვენს უმსეო სამყაროში ვერ გაუძლებდნენ: ეს არის საფარი – ჩვენი თორა და მისი მცნებანი, ანუ ღმერთის სიბრძნე დედა ენა და ნება, ჩვენ რომ გვეუწყება . . მათთან ერთად ეშვება შეხინა . . .

ჩვენ ვიცით, რომ ნოეს მიერ საქართველოში თორის გეგმით ენის სიბრძნით დაფუძნებული ცხოვრების წესში ქართველთ ჰქონდათ და აქეთ ათი თვისება უფლისა. მეათე არის მეფობა ანუ აქ ყველა პირველი და მეფე იყო. ასე გააჩინა უფალმა ადამიანი და ასე იყო ადამის დროს. აი ამ შემთხვევაში შეხინა ეშვება დედამიწაზე, ანუ არის ახლო, რადგან ხალხი უძლებს სიწმინდის გამო მისი სხივების შუქს, რითაც აქეთ დიდი ნათელი ცოდნა და გამარჯვება. სწორედ ამიტომაა კაბალისტიკით შეხინა გაიგივებულია სამყაროს უკანასკნელ სფეროს ემანაციასთან („მალხუთ ბუაცილეთ"), რაც მეფობას აღნიშნავს, ანუ ადამიანი მეფობს დედამიწაზე. ამგვარად მეფობა პროპორციულია ცოდნის, ნათლისა ანუ შეხინაში შერწყმის. ამიტომ აქვს მიჯნურობა აღწერილია, როგორც ღვთაებრივი ნიჭი რუსთაველს. როცა შეიძინა ცოდნა ავთანდილმა – ტარიელისაგან გაემარდა სიყვარული.

ხალხი ამ შემთხვევაში სულიერად უღლდება იმ ნათელთან. იგი არის პატარძალი, ხოლო ჩვენ მეფედ გაჩენილნი და ამ შემთხვევაში ვმეფობთ. აი რატომა აქვს რუსთაველს ქორწილი გამოყენებული შეხინა, – ნესტანი ტარიელთან რომ უღლდება, ასევეა ავთანდილთან მიმართებაშიც.

ამავე დროს კაბალისტიკის ცნებით ეს არის ქმნადობის (ბრიას) დასრულებული ეტაპი და შეხინა ჩვენს სამყაროში „ეშვება სამყაროსეული წრედით, იმოსება რა თორაში და მის მცნებებში. ამიტომაა თორის მცნებათა დამცველნი ადვილად უჰრეტნენ მას. გავიხსენოთ სოლომონმა რომ შემოატანინა რჯულის კიდობანი, სადაც იგი იყო დავანებული და ყველა ბავშემა ხომ დახარა თავი, გარდა მონათლულისა, რომელიც თორის მცნებით იზრდებოდა.

ამგვარად. თორის და მის მცნებებში მოთავსებული ღვთაებრივი სიბრძნე და ნება, შესინაზე უსასრულოდ მაღალნი არიან, რადგან ხოხმა – სიბრძნე ეს პირველია ათ სეფიროტ–იდან, მალხუთი–მეფობა კი მეათე. ცოდნიდანაა ყველაფერი. მისგანაა ნათელი. გავიხსენოთ თორის გეგმით უფლის მცნებანი – თვისებები რომ დაინერგა და იყო მეფობა, იმიტომ დავანდა შეხინა საქართველოში.

ჩვენ ვიცით უსასრულო ნათელის დაყოფა არ იწვევს ცვლილებებს ეინ სოფ–ის არსში. ეს მტკიცება ყოველდღიურ ლიტურგიაში: „შენ ხარ უცვლელი სამყაროს შექმნამდე და მის შემდეგაც", მაგრამ ამის გამო რომ არ ვიცავთ ცნებებს, არსებობს დიდი უფსკრული ფარულსა და ხილულს შორის.

კაბალისტიკური ტერმინითა და სიმბოლოთა ლექსიკონში უფალი, რომელიც ყოვლად წმინდაა, „კურთხეულმც იყოს იგი", აღნიშნავს „ფარულს", ხოლო შეხინა – ეინ სოფ–ის „ხილული" ასპექტია.

ამიტომაც შეხინის მეშვეობით შეიძლება ამ უფსკრულის დაძლევა, თუ ადამიანი იცავს მცნებებს. იგი არა მარტო შეხინითაა მოსილი (ამ შემთხვევაში მისი ღვთაებრივი, ცხოველური სულები, სხეულიც ჩართულნი არიან აზრობრივად, სიტყვიერად და ფიზიკურად ღმერთის მსახურებაში) იგი ახორციელებს ერთიანობის შემომქედთან მისი მეშვეობით.

სწორედ ამ სულიერი თვალსაზრისით უნდა გავიგოთ ტერმინები „იხუდ" (ერთიანობა და სოფეგ, „მეწყვილება – ქორწინება"), რაც რუსთაველს აქვს გამოყენებული.

შეხინის მედიატორული როლი ანუ მდედრობითობა ჩანს იმაში, რომ ასხივებს ყოვლად წმინდა, ხოლო იგი აღიქვამს, ანუ მამამთავრი გასცემს, შეხინა – აღიქვამს. აქ მამრობითი და მდედრობითი ტერმინები გამოიყენებიან სინონიმებად გამოდინებისა და ჩადინების ტერმინებად. იმის მსგავსად, როგორ ბუნებაშია მდედრობითი საწყისი, სტიმულს აძლევს მამრო-

ბით. სწორედ ასეა კაბალაში, („ქვემოური სტიმულები") აღავზნებენ („ზემოურს სტიმულებს") ანუ ადამიანის ღვთაებრივი მსახურება განაპირობებს ამ ქვეყანაზე ბარაქას. ადამიანთა დამსახურების დარად ანაწილებს შეხინა ამ ბარაქას დედამიწაზე, მიღებული უფლის ენერგიის გამოყენებით. აქ ჩანს რომ ეს სამყარო მლოცველებზე დგას. მათი გამრავლება ამრავლებს სიკეთეს, ამიტომ უნდა მომრავლდეს ცადაკები, ხასნი და მესიაც მოევლინება სამყაროს, რამეთუ შეხინა დაიხსნება უზნეოთა ტყვეობიდან. ამ წმინდათა მადლით იძლევა იგი ბარაქას. ამიტომაა ბიბლიაში, რომ ყველა უნდა ჩაეიდეს კურთხეულ მიწაზე, რათა მოხდეს ქაჯთა ბოროტთა განცალკავება და დასჯა თუ არ მოევებიან გონს.

## სიყვარული მემკვიდრეობით არის

კაბალისტიკის მცნებით არსებობს შიში და სიყვარული, რაც დამოკიდებულია ადამიანის სიბრძნეზე (ხოხმა, ბინა დაათზე), ანუ შიში ღმერთის ძლევამოსილებისა გამო და სიყვარული მისი ქველმოქმედების გამო სიცოცხლესთან ერთად საარსებო წყაროს რომ გვაძლევს. ადამიანმა იცის რომ მასზეა დამოკიდებული და ეშინია რომ ეს წყალობა არ შეუწყდეს უშნო საქციელის გამო. ამიტომ შიშის გამო ცდილობს კარგად მოიქცეს და აქვს წყალობა. ეს წყალობა კი სიყვარულს იწვევს. არსებობს ქართული გამოთქმა „შიში შეიქმს სიყვარულსო".

ანალოგია იბერიული ცხოვრების წესში არსებული სიყვარულისა, იგი დამახასიათებელია მხოლოდ იბერიელთათვის. ეს არის მშობლის მიმართ არსებული შიში და სიყვარული, რამეთუ იბერიელ მშობლებს ახასიათებთ თვისება უფლისა— მრუნვა შთამომავლობისათვის. ისინი გენეტიკურად მოქმედებენ უფლის ორივე ატრიბუტით, მართლმსაჯულებით და შემწყნარებლობით. როგორც წინა მასალაში დავასაბუთეთ. ამ შემთხვევაში ბავშვი იზრდება ზნეობრივი, მაგრამ უზნეობას მაინც ჩადის, რადგან მშობელი არაა ყოველთვის მის სიახლოვეს. ამიტომაც იბერიელთათვის უფლის შიში და სიყვარული უფრო ძლიერია, რადგან მცოდნე ადამიანმა იცის, რომ ის ყოველივე მშობლები რომ აძლევს, ყველას მშობლისგან— უფლისგან აქვს. მან ისიც იცის, რომ ღმერთი მუდამ ჩვენთანაა. მითუმეტეს მორწმუნესთან, თვალს ადევნებს ჩვენს ცხოვრებას, რათა დაგვიცვას კიდევაც, როგორც ყველას მშობელი მამა, თუ ხიფათი გველის. ამავე დროს ბედის წიგნში აღრიცხავს ჩვენს ყველა საქციელს. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში იყო პატრონყმობა. ეს იყო ერარქია განსწავლულთა, ანუ როგორც ვეფხისტყაოსანშია— ავთანდილი შერმადინის პატრონია, შერმადინი სხვათა პატრონი, რადგან ის მასზე დაბლაა ცოდნის დონით, სხვანი სხვათა, რათა იყოს აღმასვლა, განსწავლულობის ცოდნის კიბეებზე. ავთანდილის, ტარიელის და ყველა ამ მოსწავლეთა პატრონი კი ყველაზე განსწავლული უფალია, მისი წიგნთა წიგნი თორაა. როგორ დიდი პატრონყმური სიყვარულია ავთანდილისა შერმადინთან, ავთანდილისა უფლისა ან პირიქით, ეს ნაწარმოებში შესანიშნავად ჩანს.

რაც უფრო მაღალია ერარქია განსწავლულთა, მით უფრო წმინდა და ღრმაა სიყვარული. ნაწარმოებში მიღებულია ეს ღრმა სიყვარული საღვთო მიჯნურობათ, ანუ ავთანდილის სიყვარული შერმადინისადმი უფრო მაღალია, ვიდრე შერმადინისა მის მოყმეებზე — მოსწავლეებზე. ამავე დროს მისი სიყვარული ღმერთის სხივოსნებაზე — შეხინაზე კიდევ უფრო მაღალია . . . აქ ჩანს ჩვენი ადრინდელი გამონათქვამის არსიც, რაც მეტი გვაქვს ცოდნა, მით მეტი გვაქვს სიბრძნე, საღვთო სიყვარული — მიჯნურობა ჰარმონია, სისპეტაკე, ზნეობა. ამიტომაც არის რომ უფალს ყველაზე დიდი აქვს სიყვარული მისი შემქმნელის, ის ხომ ყოველ წამს გვითვალთვალებს ავს რომ არ გადავეყაროთ. თუ არა ეს ფაქტორი ჩვენი უზნეობა აპოგეას რომ აღწევს — დავისჯებოდით.

ახლა ისიც აღვნიშნოთ, რომ კაბალისტური მოძღვრებით არსებობს დასაბამიერი კრძალვა და სიყვარული ღმერთის წინაშე, რომელიც დამახასიათებელია ღვთაებრივი სულისათვის. იგი გამოწვიაღებულია გულის ღრმა იდუმალი ჭერეტისაგანაც.

ამიტომაც ასეთი ადამიანი, იბერიელი დაბადებისთანავე სიყვარულით განიმსჭვალება მშობლის მიმართ და შემდეგ უზენაესის მიმართ კიდევ უფრო დიდი სიყვარულით და კრძალვით, როცა შეიცნობს სამყაროს რაობას და ყველა მშობელს.

რაკიდა მშობელი ვახსენეთ, ყოველი ადამიანი — იბერიელი იდგამს ამ უფლის მიხედვ კეთილდღეობისათვის, რასაც ჰქვია პატრონყმობა, ანუ პატრონთა მამათა და დიდი მამის

მიერ ყმათა აღზრდა. ზოჰარ–ის წიგნში ეს განმარტებულია როგორც „ციური სამეუფო უღლის მიღება", რათა წარმართოს ადამიანი მართალი და მარადიული ჰარმონიის გზით. ჰარმონია ეუფლება მართლაც ადამიანს ყოველდღიურად და ამოუწურავი, როცა პატრონი მამა ან აღმზრდელი დააყენებს მას ცოდნის გზაზე. ის ეუფლება ისეთ ცოდნას, რომ დღითიდღე იზრდება სიყვარული– კრძალვა – მორჩილება უფლისადმი, რის გამოც იგი ძლევამოსილია და ყოველ დღე უკეთესია წინარესი, რამეთუ ყოველი ე.წ. დამამწუხრებელი შემთხვევა მას შეგნებული აქვს როგორც ნიშანი, აუცილებლობა მისი რომელიმე არასწორი მოქმედების გამო, რათა გამოასწოროს შემდეგში ეს მოქმედება.

არსებობს ორი შიში და სიყვარული: თანდაყოლილი ქვემორე და ზემორე შიში. ისევე როგორც სიყვარული მარადიული და უფრო ამაღლებული „დიადი, ნეტარი სიყვარული. შიშის და სიყვარულის პირველი ასპექტი განიხილება სამყაროს მნიშვნელობით ანუ როგორც სამყაროს შიში და სიყვარული. ე. ი. ღმერთისადმი შიში და სიყვერული წარმოიქმნება ბუნების ჭვრეტიდან, ანუ ადამიანს აქვს გაგება რომ ბუნების მშვენიერება სასწაული – უზარმაზარი ხეები, მარჯვებელი სურსათი მხოლოდ ღმერთის შემოქმედებითი ძალების გამოწიაღებაა.

ასეთი მედიტაცია ასაზრდოებს ღმერთისადმი ამაღლებულ სიყვარულს. სწორედ ასეთი მედიტაციით განასახიერებს რუსთაველი თავის გმირებს და მათ მოქმედებას, ადარებს "რა მათ ბუნების ქმნილებას, ან მათი მოქმედებით, მცნებათა დაცვით, სიყვარულით რომ აღმოცენდება ბუნების სილამაზე. ეს მარადიული სიყვარული იბერიული მოდგმისათვის გენეტიკურად დამახასიათებელი, თორის ცოდნის გაზიარებით გადაიზრდება ნეტარ დიად საღვთო სიყვარულში რუსთაველის გმირებს რომ ახასიათებთ და ამიტომ აქვთ ძლევამოსილება, რაც ჩანს შემდგომ სტროფში:

„მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს, მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიუხვე, სიმდიდრე, სიყმე და მოცალეობა;
ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა,
ვისცა ეს სჯულად არა აქვს, აკლია მიჯნურთ ზნეობა".

ანუ ასეთი ძლევამოსილი ადამიანი მხოლოდ ცადაკია ხასია, ანუ ის არის იბერიელი, იბერიულობა – აქ როგორც სჯულია წარმომადგენილი. ეს არის ადამიანის შემქმნელის ნაწილი. აქამდე მიყავს სიყვარულს ადამიანი მედიტაციის საშუალებით, ანუ როგორც გადმოგვცემს მალომ დავიდი:

„ბუნებაში ღმერთის დასწრების წარმომსახველი მედიტაციის შემწეობით სულში დავანებული სიყვარული თავისუფლდება სამოსელისაგან, ე. ი. რომელიღაც სხეულებრივი ანდა სულიერი ტკბობისა და განცხრომისაგან, თუნდაც ამქვეყნიური ყველაზე უმნიშვნელო სურვილისაგან, გარდა თვით ღმერთის წყურვილისა, რომელიც ყველა ნეტარებისა და სიცოცხლის არსის წყაროა, რომელშიც ყველა უკვალოდ უჩინარდება . . . როგორც საგალობელი გალობს:

„უმესთავსში ვინ არის ჩემთვის, შენს გარდა, დედამიწაზეც არავინ არს, რომელსაც ვინებებდი შენს თანასწორად; ჩემს ხორცსა და ჩემს გულს შენი არსი სწყურია. ოი, უფალო, ჩემი გულის საყრდენო, ჩემო რაობავ, სამარადჟამოდ!" სული, რომელსაც აქვს უნარი ღვთაებრივი სიყვარულისა, არ არის მოსილი სხეულებრივ-მიწიერი, წარმავალი ტკბობა-განცხრომით. მას ძალუძს აღიგზნოს ვით ალმოდებული ღადარი და ეს ძალოვანი ცეცხლი შეცისკენ ამართოს . . ."

ამგვარად, არსებობს სიყვარული თანდაყოლილი, რომელიც გააჩნია იბერიულ გენს და უფლის ნებით ის განვითარდა შემის და იაფეტის შთამომავლობაში იბერებში.

იბერიული სული თავისი ბუნებით ისწრაფვის ღმერთისადმი, როგორც სიცოცხლის წყაროსადმი შეხინის მეშვეობით. ნატვრა საღვთო მიჯნურებსა ნატვრაა ღმერთის ჩვენი მამის და გაიგივებულია სიცოცხლის ნატვრასთან, რამეთუ ღმერთი არის სიცოცხლეც და სიყვარულიც. ამიტომ რუსთაველის გმირები თავს დებენ ამ საღმრთო მიჯნურობისათვის.

არსებობს მეორე სიყვარული – შეძენილი, როცა ადამიანი დაუძლურებულია და ძალთა აღდგენას რომ ლამობს მაშინ იყვარებს ღმერთს, ანუ საზღაურს მოითხოვს სიყვარულში. იბერიელნი კი არ ფიქრობენ თვითდაკმაყოფილებაზე და საზღაურისთვის, ამიტომ მათ უნდა იხსნან ეს მეორენიც, რათა შეიყვარონ ღმერთი, თუნდაც ამ გზით და მერე შეიძლება მათი გენეტიკაც გახდეს თანდაყოლილი სიყვარული.

ამგვარად ჭეშმარიტი სიყვარული და შიში მემკვიდრეობითია და დამახასიათებელია იბერიელთათვის.

ღვთისმსახურების ორი განზომილება — სიყვარული და შიში იბერიელთათვის მემკვიდრეობითია და მიმდინარეობს ნოედან — მათი შეილებიდან, შემიდან და იაფეტიდან. ამიტომ ამით გამოირჩევა იბერიული მოდგმა რომ ის შესაბამის გარემოში უბრუნდება აუცილებლად მის სულიერ ადგილს ღმერთს და მზადაა თავი შესწიროს მას. ასეთ შემთხვევაში ის ხელ გამარჯვებულია.

## თანაზიარობა

ცოდვის ჩამდენი ადამიანი ბიწიერების გარემოში რევს უფლის სახელსაც, მის ღვთაებრივ ნაპერწკალს, რომელიც ადამიანის სიცოცხლის მიმცემია „აი მას ვინც ყოვლად წმინდაა, რად ეწოდება დამცირებული მეფე . . .

ეს უნდა დაინახოს ადამინმა, ძირითადად არა იბერიელმა, აი აქ არის მისი ხსნა, სწორ გზაზე დაყენება

## სიხარული

სიხარული ანუ იერითულად სიმსა, ეს არის ატრიბუტი ყველა მცოდნესათვის ღვთისმსახურებისა, რამეთუ უსაზღვრო ჰარმონიაშია მათი სული ამ დროს.

## უ ბ ე დ უ რ ე ბ ა

ნებისმიერი იბერიელისათვის უბედურება ნიშნავს სიკეთეს, რამეთუ ის სულიერი შეწყალებაა. ქმნადობის არსი იმაშია, რომ სრულყოფილი იქმნას ადამიანი, ამიტომ ყოველი იბერიელი ასეთ რამეს სიხარულით იღებს, აანალიზებს მიზეზს უბედურობისა და აღარ იმეორებს მას.

ამგვარად უბედურების სიხარულით მიღება გვათავისუფლებს ჩვენ განწმენდის აუცილებლობისაგან მიმავალ სამყაროში. გაჭირვებამ არ უნდა დათრგუნოს ადამიანი, პირიქით ის სიხარულით უნდა მიიღოს, რადგან ეს ცოდვებისგან განწმენდის ერთ-ერთი გზაა. არ უნდა შეშურდეს ამ დროს სხვისი კარგი მას. ამ პერიოდში საჭიროა ყოველი ცოდვილი აზრი განიდევნოს მისი გონებიდან.

თითოეული დათრგუნული ცდუნება, გამოდევნილი ცოდვილი აზრი ჯერ ზეცაში და შემდეგ თავად იბერიელში უდიდეს სიხარულს და თვითკმაყოფილების გრძნობას იწვევს. განსაკუთრებით დიდი სიამოვნებაა, როცა ბოროტებას სიკეთით პასუხობ და აღწევ უდიდეს სულიერ გამარჯვებას, რამეთუ ცოდვის ჩამდენი აშკარად გრძნობს სინდისის ქეჯნას. დამცირებას და შეეცდება გამოსწორდეს.

თუ ეს გვიჭირს ჩვენ უნდა ვაელვენდეთ ლოცვას — შეეწიოს უფალი ჩვენს მებრძოლ ღვთაებრივ სულს. გავიხსენოთ ავთანდილი როგორ ამბობს ამ დროს „კვლავეაც იტყვის დათმობა სჯობს".

შეხისა მიჯნური ტარიელის, ავთანდილის —იბერიელთა ივანებს მხოლოდ სიხარულის წიაღში —ეს იცის იბერიელმა. არა იბერიელთ ამ დონის მისაღწევად სჭირდებათ მეტი სწავლა თორის, რათა მიხვდეს მის საშინელ მომავალს და შეეწიოს, შეუწყოს ხელი მის სხეულში არსებულ ღვთაებრივ სულს.

მან უბრალოდ უნდა შეძლოს ღვთაებრივი სული გარდაქმნას ჭეშმარიტ არსად. ამისათვის მას ყოველთვის უნდა ახსოვდეს:

მშობლებზე უფრო მზრუნველი, უფრო მოყვარული, აღმზრდელი ჩვენი, ღმერთი ყოველთვის ჩვენთან არს, რამეთუ გვითვალთვალებს სიფათს რომ აცვაცილოს. უფალი არის მშობელი მშობელთა, მაგრამ მისი სიკეთე დაფარულია. ცნობილია, რომ ყველაზე დიდი გაცემა დაფარული გაცემაა. როცა მადლობის თქმაც არ შეუძლია საჩუქრის მიმღებს, არ მცირდება მისი პატივმოყვარეობა. მითუმეტეს არ გვამცირებს უფალი, რომელმაც არც მეტი, არც ნაკლები სიცოცხლე გასცა, სული გასცა შენთვის, აღარაფერს ვამბობ ყოველდღიურ საურსათზე, წყალზე.

პაერზე. თუ ცოდნა არა გაქეს, ეერ შეიცნობ ამ სიკეთეს. მისი ნაწილი ნაპერწკალია ყეელა ჩეენთაგანში. ამღენად, ჩეენ და — ძმანი ეართ ყეელანი. განსხეაეება მხოლოდ ჩეენი სიყეარულის გენეტიკაშია. არც ეროენებით განესხეაედებით, განსხეაედებით მხოლოდ ცხოერების წესით. იბერიელთა წესია გაყოფა-გაცემა, არაიბერილთა — ძალმომრეობა — წართმეეა და დამონებაა. კი მაგრამ ეის დაიმონებს? მათში ხომ ისეთიეე სულია, როგორც ჩეენში, ან ჩეენ შეილებში. მოგეწონს როცა ეინმე გეტანჯავს ჩეენ? ან ჩეენ შეილს? ხომ გეეცოდება საკუთარი თაეი, ასეეე შეიცოდე ისინი, მისი ტანჯეა და სიხარული ისე გაითაეისე როგორც შენი შეილების. ეს კი მხოლოდ იბერიელს შეუძლია, რამეთუ მოგიერთს შვილებიც და ძმანი აღარ უყეარს. ამიტომ ნუ გამოარჩეე უმნეოს და მნეობრიეს, კარგს თუ ცუდს, სიკეთე გაუკეთე ყეელას თანაბრად, რათა გაღეიეღეს მათში ღეთაებრიეი სული. ესეც მეტად შეუარულად და ბრწყინეალეღ აქეს ნათწეამი რუსთაეელს.

„ეარდსა და ნეხესა ეინათგან მზე სწორად მოეფინების
დიდთა და წერილთა წყალობა შენაც ნუ მოგეწყინების".

ამ სიტყეებით დაწყებულია და დამთაერებულია ქმედების არსი — კაბალის რაობა. უფლისათეის ყეელა ქმნადობის ნაწილია, რათა გაიმარჯეოს სიკეთემ, მისი ნაპერწკალია ყეელგან. ბიზლი მნეობრიეს უმნეოდ გარდაქმნის. ზიმლი — სიძულეილი ცოდეილისა, ეს არის ზიმლი ღეთაებრიეი სულისა — უფლის ნაწილისა, გეაქეს კი ამის უფლება? ჩეენ ეარღეეეთ უფლის თანამიარობის არსს ამით, ასეეე ურთიერთთანამიარების არსს. ცოდეილს თავის უბედურებაც ეყოფა, შენ თუ წმინდა ხარ რად გინდა კიდეე გააუბედურო, სიკეთე უკეთ და კეთილ მოგეზღება შენ.

ამგეარად, უფალმა შექმნა სამყარო, მისი სულით, სულიერებით. ყველა ფერი ჩეენ დაგეიმორჩილა, წყალი, ჰაერიც, მიწაც, ენერგიაც ჩეენთეისაა. როგორც მე გაძლეეთ ეს ჩემი მოცემული ჩემნაირად გაეცითო. ჩეენ კი რა ექენით ბრძოლა გამოეაცხადეთ ურთიერთს, რომ ეს ყეელაფერი ერთს გექონდეს. ეებრძეით ღეთაებრიე სულს, რაც ყოეელ ჩეენგანშია. ამიტომ დაეიყეანეთ მატერიალურამდე ყეელაფერი, ეს სულიერი აღმაფრენის სამყარო დაემალეთ, ჩაეფლეთ. დაპირისპირება შეექმენით, ამისათეის ჩეენ კანონებით დაეუპირისპირდით უფალს. მხოლოდ ადამიანს შეუძლია გამოასწოროს თაეისი შეცდომა. გზა ერთია. ყეელამ ერთად ერთ მშეენიერ დღეს დაეიწყოთ ცხოერება უფლის მიერ დანერგილი იბერიული ცხოერების წესით, ყეელამ ერთი კონსტიტუცია — უფლის მიერ ბოძებული ბიბლია ეიწამოთ. გარდაექმნათ ფიზიკური სამყარო ღეთაებრიეი შეხინის შესაფერ საეანედ, შეექმნათ ამისათეის ნიადაგი. ეს ყეელაფერი რო[illegible]ოხდება — სწორედ ამას გადმოგეცემს გენიალური წინასწარმეტყეელი რუსთაეელი. მისი მიჯნურობა ხომ ჭეშმარიტი საღეთო მიჯნურობაა, მისი პოეზია ჭეშმარიტი საღეთო პოეზიაა, ხოლო ნაწარმოებში მთლიანობაში ჩადებულია ქმნადობის არსი და მისი სასიკეთო დასასრული. ღეთაებრიეი დიდების საბოლოო ზეიმიც ხომ იბერიელთა ქორწილში შეხინასთან აქეს გამოსახული. ამგეარად ყეელამ იზრუნეთ რომ გარდაიქმნათ იბერიელად, ანუ სიყეარული მემკეიდრეობითი გასდეს, იყოთ შემომქმედის ნაწილი რათა მონაწილენი გახდეთ ამ უსასზღერო ბედნიერების — ჰარმონიისა.

## რა არის გენი

ჩეენ ხშირად ეიმეორებთ სიტყეას „გენეტიკა". რა არის იგი? ეს არის მიმართულება ადამიანთა, რომელთა გენეტიკური მიდრეკილება ძირითადად ორი ტიპისაა. პირეელი ეს არის ტიპი ადამიანთა, რომელშიც ეინ — სოფი, სინათლე რედუცირებულია გაქრობამდე, ანუ საკუთარ არსს მიიჩნეეენ დამოუკიდებლად და არ ემორჩილებიან მას, ეისგანაც არის მათი სიცოცხლე. ეს არის ფენა ან გაუნათლებელთა, ან ყოელად უმადურთა, უზნეოთა და ბიწიერთა.

მეორენი — არიან ბენონის ტიპის, მაგრამ ისიც იყოფა ორ ნაწილად: პირეელნი ბენონამდე მიეიდნენ შიშით, იციან თორა, ანუ სწაელით, ცოდნით გახდნენ ბენონი და თაობანი სჭირდება, რათა გარდაიქმნენ იბერიელად — მნეობრიე ხალხად, უყეარდეთ — გაყონ — გასცენ, ანუ ეინ სოფი რედუცირებული აღმოჩნდეს მათში. მეორე ნაწილმა არ იციან თორა, მაგრამ დედა ენის საფუძეელზე გენეტიკურად ჩამოყალიბდნენ იბერიელად — არიან მნეობრიენი და შესა-

ჰამის იბერიულ ცხოვრების წესში, ან ბიბლიის სწავლისას აღიდგენენ ცოდნას და გარდაიქმნებიან ცალკეებად. მათში ღვთის სოფი რედუცირებულია. ეს არის არმია იბერიელთა, რომელნიც ღმერთის სიმღიდრეა. პირველი ტიპის ბენონთ მხოლოდ შიში უფლისა აწერებს უმსეობის ჩადენას, მაგრამ მაინც ჩადიან, რადგან დაკარგეს, არა აქვთ სიყვარული, ღვთის სოფის, სინათლის სუსტი შემცველობაც აქვდანაა.

ღვთაებრივი სული ფაქტიურად გამგებლობს ბენონის მეორე ტიპის ადამიანში. დარჩენილია მხოლოდ ერთი რამ ცოდნა.

ამ ტიპის ადამიანნი, ფაქტიურად, მთელი საქართველო — კავკასიელთა და სხვა ქვეყნების იბერიული მოდგმაა. ისინი — ამირანნი დაატყვევა იმპერიამ და ორასი წელიწადია უყალბებს ისტორიას. მეცნიერებიც და მეცნიერნიც შექმნა ისეთი, რომ ყველაფერი იბერიული — ცხოვრების წესის საფუძვლები და ისტორიაც, ახალი დასაწერია და გასახსენებელია.

გასაოცარი ის არის, რომ სპეციალურად შექმნილია მეცნიერება და მეცნიერნი, როგორც კი შეესები მათ მიერ ტაბუდადებულ კანონებს ქორებივით დაგესხმევიან თავს*. განსაკუთრებით ეს ეხება ეტიმოლოგიას. სიტყვაში, რომელიც ღმერთმა მოგვცა. ყველას აქვს უფლება ჩაიხედოს, რამეთუ ის გასწავლის სწორ ქცევას, ცხოვრების წესს. მაგალითად, „განაყოფიერდით ბიბლიაში" რომ არის, გვეუბნება, ნაყოფზე გამრავლდითო. ანდა ფუ—ლი ფუ—ფუ— ნება რომ იფურთხება და სხვა რამეც პირველ წიგნში აღვნიშნეთ. ისიც აღვნიშნეთ რომ თითოეულ სიტყვას მრავალი ახსნა აქვს, როგორც უფლის ცოდნაა უსასრულო — ასევეა ის. ვერც ერთი ადამიანი და ყველა ადამიანის ცოდნა შეერთებული — უფალის მიერ მოცემულ ცოდნას ვერ მიუახლოვდება. მოქმედების მიმართულების გზა — სიბრძნე, ყოველი პრობლემის წარმოქმნისას სხვადასხვაგვარია. უფალი ამის რომ გვაძლევს, სიტყვებიც მოგვცა ისეთი, რომ აზრი სწორად აღითქვა — ჩამოაყალიბო და შემდეგ განახორციელო. ეს არ უნდა ბოროტებას და ამიტომაც აქვთ ენა, სული, ცოდნა ჩაკეტილი. ეს იოანე ზოსიმეს მიერ აღნიშნული დამდაბლებაა ენისა, რომელიც შეირყვნა დღეს ბილწსიტყვაობით და ბილწსიმღერებით. მაგრამ გასულია ოთხი ათასი წელი და მალე გამობრწყინდება მისი სულიერება. ის რაც ყველა ქართველს ქვეცნობიერად კარნახობს მნეობრივ მოქმედებებს. მადლობა ღმერთს, რომ არის კიდევ თორა — ბიბლია, მისი წესდებები და ამ შემთხვევაში აზრი, რომელიც მოდის შემოქმედიდან ღვთაებრივ სულში, პპოვებს თორის მცნებათა საშუალებით სწორ გზას . . .

ეს არის გენი იბერიელთა. გენი, რომელიც უმსეობას არ ჩადის. ამ უმსეობას, გაფიქრებასაც კი მაშინვე ახშობს სინდისის ხმა ღვთაებრივი სულისა — სინდისის ხმა ღვთის სოფიდან რომ არის რედუცირებული ამ ადამიანში, ანუ სიყვარული ამ კაცში სიძულვილით არ იცვლება.

ამგვარად, საჭიროა სწავლა თორით — ბიბლიით, ენაში ჩახედვა, მათი სიწმინდით ცხოვრება იბერიელთა. მაშინ ხდება ფიზიკური სამყაროს გასულიერება და ცხოვრება იმ კანონით, რასაც ჰქვია მსგავსისკენ შეერთება, ანუ უმესავსთან შეერთება. აი, მაშინ შეიცვლება მიზიდულობის კანონი, რომელიც ამ მატერიალური სამყაროს კანონია მიწიერებისაკენ, მატერიისაკენ.

მაშინ იწყებს იბერიელი გულწრფელ ლოცვას უფლის წინაშე და ცხოველური სულიც ტყვე ხდება ღვთაებრივისა, მას მიყვება. ყველა ელის მეოცე მესიას. ვიცით ოცს შეიცავს სიტყვა ლოც-ვა და მაშინ ეხედებით ჩვენ მიჯნური შეხინის — სული წმინდის, რომელიც ღვთის სოფის ხილული ასპექტია (უფალი ხომ ფარულია კაბალისტიკური ენით), ამ უკანასკნელის ნათელი კი ჩვენში მუდამ არსებული მთელი საესებით იღვიძებს.

და ეს ნათელი სამყაროს გასულიერება შეგვაძლებინებს, როგორც აღვნიშნეთ, გვქონდეს სულიერი ერთობა შესინასთან წინასწარმეტყველთა გარეშე, ანუ გაუძლოთ მის სხივოსნებას. მაშინ უფლის ენერგია გარდაქმნის საჭირო რაოდენობის არაორგანულ ნივთიერებებს ორგანულად და სულ სიმწვანე, ჰარმონია იქნება დედამიწაზე.

ამგვარად, ბენონის იბერიულ ტიპს გენეტიკურად აქვს თანდაყოლილი სიყვარული უფლის, მოყვასის ბუნების გარემოსი. გაცემა, რაც მისი მიწათმოქმედებიდანაა გამოწვეული და ის ცოდნის გაზიარებისას აუცილებლად გადაიზრდება დიდ ნეტარ სიყვარულად უფლის, მის ხილული ასპექტის შესინის მეშვეობით. ქვემორე შიში კი, რომელიც იბერიელთ ახასიათებს ბუნებისადმი და თუნდაც მშობლებისადმი მათი პატივისცემის გამო გარდაისახება უფლის მოშიშობად.

---

* მახსოვს როცა კოლონიურ მონოკულტურათა შემცირების ხარჯზე ჩვენს მიერ გაკეთდა მათემატიკური ანალიზი და აღმოჩნდა რომ ჩვენ ყველა პროდუქტით დავიკმაყოფილებდით თავს და ნახევარ ევროპასაც გამოვკვებავდით, ჩემს სამარცხვინო ბოძზე გაკვრას 7 აკადემიკოსი აწერდა ხელს.

მეორე ნაწილი ბენონთა, არაიბერიელთა, გენეტიკურად გამომძალეელსი არიან. ისინი რეალობას ვერ ექცეეიან და სიცოცხლე რომ უნდათ ამიტომ მოიშიშებენ, თუ არადა უსიცოცხლოდ გაქრებიან. ამიტომ გაიმარჯეებს იბერიული ფენომენი გენეტიკა გაცემისა, ლოცეისა, მიმსწრაფეელობა ცოდნის შეძენისა.

ამგეარად, მალე გასულიერდება ეს სამყარო. იგამგებლებს უფალთან მიზიდულობის კანონი და არა მატერიალურისკენ ბოროტთა მიდრეკილებანი. თუ არ მოეგებიან გონს, ბოროტნი გადაშენდებიან. ე.ი. აზრი წამოსული უფლისა გარდაიქცეეა სიტყეათ, რომელიც მის სიტყეას ბიბლიის მცნებებს არ სცილდება და ქმედება ჩვენი მიისწრაფეის იმოქმედოს ისე, როგორც უფალი, მის უსასრულო სასიკეთო თეისებებიდან გამომდინარე.

## ამქვეყნიური ცხოვრების ფასი

ამქვეყნიური მონანიებისა და ქველმოქმედების ერთი საათი სჯობს მიღმური ქვეყნის მთელ ცხოვრებას და იმქვეყნიური ნეტარების ერთი საათი უკეთესია მთელ ამქვეყნიურ ცხოვრებაზე" (ტრაქტატი აკოთ-ი 4, მიშნა 17).

აი, ასეთი სიამოვნება რომ დაეიმსახუროთ იმ ქვეყნიურ ცხოვრებაში, ყველამ უნდა მოინანიოს და დაიწყოს ქველმოქმედება. ეს სიამოვნება ღმერთთან ერთიანობის გრძნობაა. არ არსებობს არაეითარი სხვა სიამოვნება, ტკბობა, გარდა მიწედომისა შეცნობისა ჩვენი გონის ეინ სოფის, შეხინის ნათელის. ეს უდიდესი სიამოვნება— სიყვარული იბერიული გენისა შესანიშნავად აქვს გადმოცემული რუსთაველს ტარიელის, ავთანდილის განცდებში. ასევე ფრიდონიც ხომ მის შეხინის დაეანებას შენატრის. ის არ შეედრება ამ ხორციელ ნეტარებას. თუნდაც გაეიხსენოთ ეპიზოდი, როცა ფატმანი შეიყვარებს ავთანდილს . . .

ყოველი მცნების დაცვა ჩვენ გვაახლოებს იმ უდიდეს სიამოვნებასთან შეხინის — საღვთო სულიერ მიჯნურობასთან, რასაც ეს სამი გმირი განიცდის. ისინი არიან უმაღლესი ცადიკგამურის დონეზე და ისინი გრძნობენ ამ სიყვარულს. ბენონის ტიპის ადამიანიც ეზიარება ამ განცდებს ნაწილობრივ ლოცვის, ღვთისმოსავეობის ფიქრის, უმაღლესი რელიგიური მოვალეობის რეალიზაციის მომენტში.

ვეფხისტყაოსნის არსი ემთხვევა კაბალის არსს იმ მიმართებით რომ მტაცებლები აღარ შეჭამენ ხორცს, ყველა მცენარეულ საკვებს შეექცევა. ამას ასაბუთებს რაბი ზელმანიც, რუსთაველმა კი უფრო ადრე სწორედ იწინასწარმეტყველა.

ამგვარად, მესიის ერაში ის ცხოვრების წესი დამკვიდრდება, რომ ცდუნება ბენონისა აღარ იქნება და ისიც გარდაიქმნება წმინდანად. ეს იქნება სულიერი ნეტარების წარმოუდგენელი სამყარო, იმით რომ ყველა შეიცნობს უფალს.

რუსთაველი აი აქ ჩერდება. კაბალისტიკის სახით შემდეგი პერიოდი მკვდრეთით აღდგენაა. აღარ იქნება სიკვდილი, უფლის მოსიყვარულე სული დაჯილდოებული იქნება ისეთი სულიერი ტკბობით, რომ სხეულს აღარ დასჭირდება ფიზიკური საზრდო ანდა სასმელი, რამდენადაც ღვთაებრივი ზემოქმედება მიანიჭებს მას ძალებს, — იმდაგვარად როგორც მოსეს მიენიჭა სინას მთაზე ორმოცდღიანი ყოფნის ჟამს.

ქმნადობის არსიც აქ მთავრდება. ისინი ეინც სამოთხე — სასუფეველში არიან, ეს დროებითი სავანეა მისი სულისა. მკვდრეთით აღდგენას უპირატესობა აქვს სულის ჰარმონიის სიამოვნების მხრივ მიღმურ სამყაროზეც კი.

როგორ აღწევენ დღეს ამ სასუფეველს, უდიდესი წმინდანები? რა თქმა უნდა, სიყვარულით. ჩვენ აღვნიშნეთ სიყვარულის სხვადასხვაობა არსებობს. არის კიდევ სიყვარული თავისი ემოციონალური თვისებებით „მშვიდი, სევდიანი, ლტოლვით და ნატვრით გატანჯული სიყვარული, რომლის სიმბოლოდ გვევლინება ვერცხლი და არსებობს მეორე მშფოთვარე, მგზნებარე — ვნებიანი სიყვარული, რომლის სიმბოლო არის ოქრო — სიყვარული, რომელიც სულში ნერგავს მტანჯველ „წყურვილს", ავადმყოფური სიყვარულის ვითარებამდე რომ დამავლობს".

ეს არის უდიდესი სიყვარული უფლისა მისი სხივოსნების შეხინის მიმართ. ასეთ სხეულში სრულიად გამარჯვებულია ღვთაებრივი სული, ის გამგებლობს მაგრამ იძულებულია სხვათა მიერ დანერგილ ბიწიერ ცხოვრების წესში იტანჯოს ამ სიყვარულისათვის.

ასეთი სიყვარული ჰქონდათ რუსთაველის გმირებს. სიყვარული სულისა, რომელიც მთელი არსით მიილტვის. აქვს წყურვილი ყოვლისშემძლე მთქმელი იყოს. ის გაერთიანებულია ღმერთან შეხინის სატრფოს – მისი მიჯნურის მეშვეობით.

მაგრამ ადამიანი თავისი არსით არის სულისა და მატერიისაგან შექმნილი ქმნილება. ის იმიტომ ცხოვრობს სხეულში ხორცში, რომ ერთად მიახლოვდნენ ზეციურს, სიცოცხლის თორის მცნებათა დაცვის საშუალებით. ყოველი უზნეო ქმედება ავნებს ჯერ სხეულს, მის ჰარმონიულ არსებობას, მისი სიცოცხლის ხანგრძლივობას და რა თქმა უნდა, მერე სულს. გენიალურად აქვს რუსთაველს ნათქვამი „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა."

რუსთაველისეული გმირების სიყვარული ჰქონდა უფლის სხივოსნებისადმი შეხინისადმი სოლომონს. გავიხსენოთ „ქებათა-ქება", „მოდი, მეტრფევ ჩემო, გავიდეთ ველად, ღამე სოფლებში ვათიოთ. ეს ის შერწყმაა „სატრფოსი" და „მეტრფის" რითაც მიწიერი სამყარო უნდა გარდაიქმნას ღმერთის გეგმის მიხედვით თორის გეგმით ჩვენს საუკუნეს. მაშინ შეხინა იყო ისრაელში და შეეძლო სოლომონს ასე ემღერა, ხოლო შემდეგ როცა იგი აღარ იყო ისრაელში დავანებული, თავის წერილში ნესტანი ტარიელს ამ შემთხვევაში მიმავალ მესიას ასე სწერს: „ხელდავ ჩემო, ვით გაგვყარნა სოფელმან და ჟამმან კრულმან? შემდეგ იგი ინდოეთში, ანუ ისრაელში დაბრუნებას სთხოვს ლტოლვილ ებრაელებს. მანამდე კი სწერს „ღმერთსა შემვედრე, სთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა". ცოტა ადრე კი ასე სწერს „აწ სოფელმან უარესი ჭირი ჭირსა მომისართა".

ამგვარად ყველგან ამაოება ამ ქვეყნიური სოფელია. სოფელი ტრფობისა და სოფელია კაეშანისა. ემთხვევა რუსთაველის ენა სოლომონის ენას, მისი გმირების სიყვარული მის სიყვარულს, ოღონდ აქ ტრფობის, ტანჯვის გზაა. იქ ზეობს სიხარულის გზა. სხვაგვარად შეხინა ამ სოფლად არ იქნება. ასეთი ტრფობით სიხარულისაკენ, სიყვარულისაკენ მიილტვიოდნენ ტანჯვის გზით, ავადმყოფური სიყვარულით – რუსთაველის გმირები.

აქ ისმის შეკითხვა, რომელიც უნდა გასწვდეს მთელ „ვეფხისტყაოსანს". თუ ტარიელი ასეთი სიყვარულით ცოდნით არის დაჯილდოებული, რატომაა დაცილებული მის მეტრფეს? ტარიელს აქვს კაეშანი დარდი ამ ქვეყნიურ სამყაროში ადამიანთა მიერ შექმნილი მატერიალური წესის გამო, ხოლო შესხინა – ღვთაებრივი ნათელი იქ იბუდება, სადაც თორის გზაა, ჰარმონიაა, სიწმინდეა და სიმხიარულეა. თვით ნათელი სიტყვა არ შეიძლება იყოს სევდაში, ბნელში. მან იგი უნდა გააცისკროვნოს, გაანათოს და ეს განათება ხვდრია სწორედ ისეთ პიროვნებათა, როგორიც ტარიელია, ანუ იაკობია, მოსეა ტანჯვის გზით. დასტურად გავიხსენოთ ბიბლია: როგორც კომენტატორები აღნიშნავენ, როცა იაკობი ჩავიდა ეგვიპტეში, მან აკურთხა ფარაონი. ჩვენ ვიცით უფალი უსმენს ასეთ პიროვნებათა კურთხევას და ვგალვა – შიმშილობა, რომელიც ეგვიპტეში შვიდწლიწადს უნდა გაგრძელებულიყო– მესამე წელს შეწყდა. ისმის შეკითხვა: მაშინ, რატომ იყო ქენაანზე შიმშილი და ძმები რად წავიდნენ იოსებთან პურის საყიდლად? ხომ შეეძლო იაკობს ქანაანის მიწის კურთხევაც. საქმე იმაში იყო, რომ იაკობი დარდობდა და გლოვობდა მის ღირსეულ სულიერ მემკვიდრის იოსების დაკარგვას, რომელსაც გადასცა ჭრელი ტანისამოსი. ტანისამოსი შემისა, უფალმა რომ უბოძა მეფობისათვის. (და ჩვენ ვიცით მეფობისათვის გაჩენილმა მართლაც იმეფა, ფაქტიურად ეგვიპტეში. იოსებს გაატანა მან შესხინის ნათელი. ამავე დროს სადაც გლოვა – კაეშანია იქ შესხინა არ დავანდება. აი რატომ იყო ქენაანზე შიმშილი, აი რატომაა ტარიელის ქვეყანა რომ უდაბნოდ იქცა და დამწუხრებულია ტარიელი, ხოლო ავთანდილი და როსტევანი მხიარულობაში არიან, რადგან მათთან თი – ნათინია – ნათებაა. აქვს მიჯნურობა– ტრფიალი მასთან ავთანდილს.

ამავე დროს, ეს ტრფიალი – მიჯნურობა, სიხარული, სიყვარული და საოცარი ნეტარი ჰარმონია მატულობს, ვეფხისტყაოსანში ტარიელის ნესტანთან შეყრის შემდგომ და ავთანდილის თინათინთან შეყრის შემდგომ. ჩვენ ვიცით, როგორ გრძელდება ქორწილები. ქეიფობს, სიხარული ბედნიერებაა ყველგან. ასეთია ნეტარი ცხოვრება, როცა მეფობს ჩვენში ღვთაებრივი სული.

ახლა უკვე ვრწმუნდებით, როგორც კაბალის განხილვით, ასევე „ვეფხისტყაოსნის" ასეთი ცხოვრება იქნება უახლოეს ხანაში. როგორ უნდა დავიმსახუროთ ის? აღვნიშნოთ კიდევ ერთხელ, რომ უფალი ზრუნავს ნებისმიერ ჩვენგანზე, ჩვენი აღზრდისათვის, რომ მოვეცეს მარადიული სიცოცხლე, იგი არავის უკარგავს მის დამსახურებას. მისი ცოდნა მოიცავს ყოველ ჩვენს მოქმედებას. არაფერს ივიწყებს. იგი ფლობს ჩვენ ნებისმიერ აზრსაც.

ამდენად კაბალისტიკური გაგებით ადამიანის მთლიანი ინფორმაციული ცხოვრება არსებობს ღმერთის მეხსიერებაში. აქ შეიძლება ასეთი შედარება მოვიყვანოთ მშობლის მეხსიერებაში შვილის ბავშვობის წლები უფრო აღითქმება, ვიდრე ზრდასრული ბავშვისა, ოღონდ უფლის მეხსიერება ბევრად სრულია და ტევადი და აქ არაფერი არ არის გამოპარული.

ამგვარად სიცოცხლეში ჩვენ ვარსებობთ ღმერთის ცოდნაში („დაათ'' ში), ხოლო სიკვდილის შემდეგ მის მეხსიერებაში „ბინა'' ში. ეს ღვთაებრივი გონი მისი გაგებაა. ამ საფეხურზე სული ბინა-ს დინამიურ მდგომარეობაშია, ანუ უბრუნდება მის აღვილსამყოფელს, ბინას – (ხედავთ როგორ არის გამოყენებული – ქართული სიტყვა ივრითულში) სამოთხეში, ანუ ერწყმის მის მსგავსს, სადაც მარადიული სიცოცხლეა. როგორც ამბობდა სოლომონი „მტვერი მიიქცევა მიწად, როგორც იყო, და სული დაუბრუნდა ღმერთს, რომელიც შთაბერა''. კოჰელეთი – ეკლესიასტე (12, 7)

ისმება კითხვა, რა უპირატესობაა აქ?

მთავარი ის არის, რომ ადამიანის ტვინის და ნერვიული სისტემის ერთ-ერთი ფუნქციაა შემეცნების დამუხრუჭება, რადგან ამდენს ინფორმაციას შეეძლო ცნობიერება ქაოსად გადაექცია, ანუ რჩება მხოლოდ ინფორმაციის, მხოლოდ, სასიცოცხლო მცირე ნაწილი. ამგვარად აზრი, რომელიც შემოდის ტვინში, მუდამ რჩება მხოლოდ მისი ნაწილი.ხოლო შიშველ სულში ღმერთის თანდასწრებით აზრი გახსნილია და ხილულია მთელი სისრულით. შემასუსტებელი სარქველები ტვინის ნერვიულ სისტემასთა სახით აღარ არსებობენ. ამდენად ცოდნა – სახსრები იზრდება, რადგან იზრდება წარმოსახვა – შეცნობა. ეს არის უმაღლესი ბედნიერება – ჰარმონია. ყველა ნაწერი გასაგებია და როგორც დაწერილია: „წმინდანნი სხედან გვირგვინოსანნი და განიცდიან განცსრომას ღვთაებრივი შარავანდების ბრწყინვალებით''.

„იგივეს იმეორებს თორას სიტყვებიც: და რაჟამს ჩემი კანი მიიქცევა ფერფლად, უსხეულმყოფელი ვიხილავ ღმერთს''. და მაშინ ადამიანს საკუთარი თავის დანახვაც შეეძლება სრულიად ახალ სინათლეზე, ყოველი აზრი, ყოველი მოგონება, გაცისკროვნდება ღვთაებრივი ნათელით და გაქრება მესუსტების ეფექტი.

და წმინდანები დაეუფლებიან ისეთ ცოდნის წყაროს, რომელიც შეაწყვეტინებს მათ სულს უზენაესთან. ამ ცოდნის ნეტარება იგრძნობა ყოველ ადამიანში, რამეთუ იზრდება სიყვარული, საღვთო საამო მიჯნურობა.

## ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲝ ᲡᲐᲜᲐᲛ ᲓᲠᲝ ᲒᲐᲥᲕᲡ ᲒᲐᲜᲘᲬᲛᲘᲜᲓᲔ!

ყოველი კეთილი საქციელი, ქმედება, მცნებების აღსრულება დედამიწაზე ღმერთის წინაშეა გაშიშვლებული, იგი ახალ შუქზე წარმოისახება. ეს იქნება უდიდესი ბედნიერების წყარო. სული გასხივოსნდება ღვთაებრივი ნათელით. მაგრამ შეუძლებელი ხდება იმ მოგონებათა მიჩქმალვა, რომლისათვის უდიდესი შეუცნობადი სირცხვილით დაეიწვებით. უდიდესი იქნება დამცირების გრძნობა. ყველა უღირსი საქციელი გამოჩნათდება ზევით. „მრავალ ფერფლში მიძინებული გამოიღვიძებს, ზოგი სამარადჟამო სიცოცხლისათვის, ზოგი საუკუნო ლანძღვისა და გმირობისათვის'' (დანიელი, 12 : 2).

ებრაელი სწავლულები გამოთქვამენ აზრს: ჯოჯოხეთი ალი – ადამიანის მიერ განცდილი მწველი სირცხვილია, რომელიც გააზრებულია როგორც მის მიერ ჩადენილი ბოროტება, ამასვე მეტყველებენ წინასწარმეტყველის ბაგენიც (ესაია, 66:24): „გამოვლენ და იხილავენ ჩემდამი ამხედრებულ ადამიანთა გვამებს, რამეთუ მათი მატლი არ მოკვდება და მათი ცეცხლი არ ჩაქრება. და საძაგლად იქნებიან ყოველი ხორციელისათვის''. წინასწარმეტყველთა წიგნში (ირმეია, 7:19) ნათქვამია, რომ ცოდვას მოაქვს გაწბილება: „განა მე მანრისხებენ ისინი, ამბობს უფალი, თავად წბილდებიან''. მიზღვა უნდა განხორციელდეს სირცხვილის გრძნობის უქონლობის მომენტში, როგორც ნაუწყებია: „თქვენ ჭამთ და დანაყრდებით . . . ჩემი სალხი კი, არასდროს ივემებს სირცხვილს.''

თალმუდი მოწმობს, რომ სირცხვილი წვავს ცეცხლის სადარად. რაბი ხანინა ამბობს: თითოეულს (სულების სამყაროში) წვავს თუნდაც დასჯილი მეზობლის სიახლოვე. „ო რა სირცხვილია! როგორი გაწბილებაა! (ბაბა–ბათრა 75ა). მიდრაშში ნათქვამია, რომ სირცხვილი სასჯელის ყველაზე მძიმე ფორმაა. განმარტავს რა ფსალმუნების სტყვებს – „ყველა ჩვენი მტრები გაწბილდებიან, შერცხვებიან'') თეჰილიმი – ფსალმუნი: 6:13) რაბი იეჰოშუა ბენლევი ამბობს: „ღმერთი წყევლის ბოროტს შერცხვენის მეშვეობით'' (მიდრამთეჰილიმი; 1). ეს მინიშნებ-

ულია თალმუდისტურ გამონათქვამშიც: „დამცირების ატანა უკეთესია ამქვეყნად, ვიდრე მომავალ ქვეყანაში" (კიდუშინ, 81 ა) აგრეთვე სხვა ადგილზეც მინიშნებულია: „კურთხეულია უფალი, რომ მან ამქვეყნად შექმნა სირცხვილის განცდის შესაძლებლობა . . " ზოგიერთის ცხოვრება იმდენად სამარცხვინოა, რომ მის წამებას დასასრული არ ექნება.

აი სად ელინდება და სად ჩანს რუსთაველის გამონათქვამი „სიცრუე და ორპირობა". აქ ჯერ სორცს ავნებს, სულს კი იქ, ზეციურ სამყაროში ავნებს. ამიტომ ამქვეყნად სანამ დრო გვაქვს განვიწმინდოთ ცოდვებისაგან.

## სწავლა, სწავლა და სწავლა ჭეშმარიტების გზა გადარჩენისა

ჩვენ კიდევ ერთხელ გვინდა განვმარტოთ, რომ იბერიელნი თითქმის, ყველანი ისეთი გენეტიკის არიან — გაყოფა, გაცემა, სიყვარული აქვთ თანდაყოლილი, მათი კეთილი საქმეები გადააჭარბებენ ცოდვას. ავიღოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ დღეს, როცა აღარ იკრძალება სალოცავებში სიარული, ყველამ შეაღო მისი კარი. საშინელი შიმშილია და მაინც ჩვენ ჩვენს სალოცავებში ვბრუნდებით, ეს საჭიროა ჩვენი განწმენდისათვის — უღმერთო ეპოქაში რომ ვიცხოვრეთ. უფალს სურს, რომ ჩვენმა კეთილმა საქმეებმა გადააჭარბოს ბოროტეულს. ამიტომ გვაგდებს განსაცდელში, რათა დავიმკვიდროთ ღირსეული ადგილი უფლის სასუფეველში. დღეს სალოცავებში გულით ვბრუნდებით. ვინც ასე არ აკეთებს ისინი არაიბერიელნი არიან. მათი დაბრუნებაც სურს უფალს, მაგრამ როგორ? არადა, დღეს არის ამის შანსი: გაჭირვებაში მცნებების დაცვას უდიდესი ძალა აქვს. ამ ხალხმა აუცილებლად უნდა ისწავლოს თორა—ბიბლია. ამიტომ არის ნათქვამი: თორის სწავლა ყველა მცნებათა აღსრულებას უდრის. რაც მთავარია უნდა ისწავლონ გაცემა და არა წართმევა, აი, მაშინ იქნებიან იბერიული გენეტიკის და გადარჩებიან. ჩვენ ვერ ამოვწურავთ ბიბლიის სიბრძნეს. ვხედავთ რომ ბევრი დარჩა სათქმელი, რამეთუ ყოველი იქ ნათქვამი სიტყვა შეესაბამება ბრძენთა წიგნებს — კაბალის უდიდეს ცოდნას. ეს მერმიდელთა ვალია. დისერტაციები მხოლოდ „ვეფხისტყაოსანზე" უნდა იწერებოდეს დღეს.

სწავლა, სწავლა და სწავლა ჭეშმარიტებისაი არა იბერილთა გადარჩენის გზაა. ყველა სასწავლებელი საბავშვო ბაღიდან დაწყებული ბიბლიის, თორის, სხვა წმინდა წიგნების, რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" სწავლებიდან უნდა იწყებოდეს და მისით მთავრდებოდეს. სული უნდა ზეცით შემოქმედისკენ მიისწრაფვოდეს და არა ქვევით, მიზიდულობა ზევითაა. მესიის ერაში ესეც იქნება.

დღეს რომ შეგნებულად ფინანსდება უზნეობა, მაშინ ზნეობა დაფინანსდება. როგორც ვიც ით იოსების მიერ გადამალულ ქონების მესამედს იპოვნის მესია. ალბად ეს მესამე — ყველაზე დიდი სიმდიდრე და სიბრძნე იპოვა ტარიელმა „ვეფხისტყაოსანში". იოსები იყო წინასწარმეტყველი. მასზე იყო გადმოსული კურთხევის ძალა, შემის პერანგით დადიოდა ის და რასაც იქმნოდა, ისიც მეხინის ნესტანის კარნახით უფლის ნებით იქმნოდა. გაეისხსენოთ ზ. გამსახურდია. „ვეფხისტყაოსნის" ახსნაც იოსების ჭრელი სამოსელია.

ამგვარად, სწავლა გადაარჩენს ამ არაიბერიული მოდგმის ხალხს. დასტურად იბერიული გენის მარადიულობისა ებრაელთა ცხოვრებაც გამოდგება. ქართველი ებრაელნი დღენიადაგ იცავდნენ (კომუნისტების პერიოდშიც კი) თორის წესებს, ჰქონდათ ქაშერი ოჯახი. ისინი კითხულობდნენ თორას ივრითულად და მისი მნიშვნელობა არ იცოდნენ. ამგვარად, გენეტიკურად მათში ღვთიური სული გამარჯვებული იყო. რუს ებრაელებში კი გაუსაძლისმა მდგომარეობამ ბოროტ სულს გაამარჯვებინა და ერთეულები თუ იცავდნენ. დღეს მათ უმაღლეს დონეზე განავითარეს თორის სწავლა, ისევ დაიმორჩილეს წესებს ცხოველური სული და ყველას გადააჭარბეს მცნებათა შესრულებაში. ჩვენ აღვნიშნეთ ცხოველური სულის მიზანსწრაფვის შესახებ. ამგვარად, ისინი ცოტა საშიშ ორთოდოქსებადაც კი მოგვევლინენ. აი რას ნიშნავს სწავლა.

სწავლა ეს ის ატრიბუტია, რის შედეგადაც ვაღწევთ რა სრულ ერთიანობას თორის შემეცნების საშუალებით ღმერთთან, სული ადამიანის სიკვდილის მერე თანაზიარი ხდება მისი ყოვლადგამგებლობისა. ამგვარად, ასეთი მიცვალებული ინფორმირებული ხდება მატერიალურ სამყაროში მიმდინარე მოვლენებისა.

ამგვარად, ის ეინც საგანთა მატერიალურს, მიწიერ დიდ ყურადღებას ანიჭებდა, ანუ მისთვის მეცნიერება დედამიწის მიწიერი მიზიდულობის კანონით იწყებოდა და არა ღმერთისა, მისი თორის კანონებით, ის დიდ ტანჯვა — წამებას განიცდის ფიზიკური სამყაროსაგან განშორების ჟამს და პირიქით, მართალნი, რომელიც ხედავენ ამ ცხოვრებას, როგორც შესასვლელს ნეტარ სამყაროში პირზე ღიმილით სტოვებენ.

ამგვარად, ყველამ ვისწავლოთ როგორ ვიყოთ მართალნი, როგორ იხაროს სიცოცხლემ გავიხსენოთ ვაჟა — „შენი ჭირიმე სიკვდილო, სიცოცხლე ხარობს შენითა".

ამგვარად, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" არის ისტორია და სახელმძღვანელო იმისა თუ როგორ მივაღწიოთ სულიერ ნეტარებას. ამ ქვეყნიური გამრავლება სხვათა ერიქვნებისა არ ნიშნავს მათ მარადისობას, მარადისობა სულით, ანუ ჩვენი მწეობით განისაზღვრება. ამისათვის საჭიროა სწავლა, რაც გვიანდერძა რუსთაველმა, (ავთანდილი ხომ თორის სწავლების მერე უწოდებს ძმურ ხელს, მის ძმას — ტარიელს).

## რას ნიშნავს ოთხი დღის მკვდარი ენა

გავიხსენოთ დავით წინასწარმეტყველის ციტატა „წელი — ათასი ვითარცა ერთი დღე".

ეხლა გავიხსენოთ ბიბლიური ნოე, რომელმაც დააფუძნა საქართველოში მწეობრივი ცხოვრების წესი. დაბადება 9.10 დაიწყო ნოახმა მიწის დამუშავება და ვენახი დარგო. 9.21. შესვა ღვინო, დათვრა და თავის კარავში გაშიშვლდა. 9.22. იხილა ქამმა — ქენაანის მამამთავარმა, თავისი მამის სიშიშვლე და უთხრა გარეთ თავის ორ ძმას. 9.23. აიღეს შემმა და იეფეტმა სამოსელი, ორივემ დაიდვის მხრებზე. უკუსვლით წავიდნენ და დაფარეს თავიანთი მამის სიშიშვლე, სახე პირუკუ ჰქონდათ, მამის სიშიშვლე არ დაუნასავთ.

თორის ამ ოთხ პუნქტში მოცემულია სამყაროს ისტორია ნოედან დღევანდლამდე. აგრეთვე მოცემულია მეორე და მესამე დანაშაული ადამიანთა. კერპთაყვანისმცემლობა და ფულის გაკერპება. მანამდე იყო თაობა, რომელთა პირველი დანაშაული იყო გადამეტებული უზნეო სიყვარული, ცხოველებთანაც კი, რომ მიწის მოწილე არ გამრავლებულიყო.

ჩვენ ვიცით ვენახი საქართველოს სულიერი ემბლემაა, აქ ჩაეყარა ამ სულიერებას საფუძველი ქართული ენით. ნოემ როგორც თორის კომენტატორები აღნიშნავენ, სატანის კარნახით ოთხი ცხოველის სისხლით მორწყა მიწა, სადაც დაირგა ვენახი: ცხვარის, ლომის, მაიმუნის და ღორის.

როცა ადამიანი ღვინის სმას იწყებს ის ცხვარივით, ბატკანივით დამყოლია ღვინისა, უზნეობსაკენ, რომ უბიძგებს, ანუ მისი ცხოველური სულის ზეობა. ღვთაებრივი სული ამ პერიოდში გვერდზე დგება და მედვგს ელოდება. იგი როგორც მამა, ისე უშვებს შვილს, რომ თავის შეცდომაზე ისწავლოს. ეს პერიოდი ის პირველი ათასწლეულია როცა საქართველოს გარეთ გასულებმა დაივიწყეს ენის სიბრძნე, მოსცილდნენ ღვთაებრივ სულს და მათი გონება დამყოლი ცხვრის გონებამდე დაეცა იმ უდიდესი სიბრძნიდან, რაც ადამს — ნოეს ჰქონდა. დარჩნენ ამ კერპის ცხვარის ამარა, ხოლო მწყემსი ჩვენი მეუფე ღმერთი მიივიწყეს.

დაივიწყეს პირველადი ენის სიბრძნეც, დაიწყეს მისი დამახინჯებაც. ჩვენ ვიცით, რომ ღვთაებრივი სული ტვინშია, ანუ ტვინი, გონებრიობა დაუჩლუნგდათ და დაავიწყდათ რომ ყველა მეფეთ შეგვქმნა, ანუ ერთის მეფობა მეორეზე, საკუთარი თავის კერპის რანგში აყვანა და უფალთან შეჯიბრი გამორიცხულია. ამიტომ უფლის მიერ მოცემულ დედა ენას, მის სიბრძნეს დაცილდნენ ისინი და განავითარეს ის ენა, რომელიც მათ უზნეობას ესადაგებოდა. ამგვარად, უ — ტვინო შეიქმნენ და მიენდენენ ცხოველურ სულს, რომელიც გულშია. კიდევ გავიხსენოთ რუსთაველი „გული კრულია კაცისა, უტყვი და დაუნდობელი". და მართლაც ისინი გადაიქცნენ მეორე ათასწლეულში ისეთ დაუნდობელ ცხოველებად, რომელთაც ერთს უნდათ მეფობა. შედეგად როცა გამრავლდა ცხვრები, ბატკნები, მოინდომეს მეფობა, კერპობა, ლომობა და დაიწყო ამ პერიოდში ურთიერთის მიწების მითვისება დამპყრობითი ომები. (გავიხსენოთ მეორე ათასწლეულს საქართველოს მიწას რომ მოაწყდნენ ლტოლვილები).

ეს პერიოდი არის ადამიანის მიერ ღვინის სმის მეორე ეტაპი, როცა იგი ლომად იქცევა. ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად. ანუ უზნეო სიყვარული არსებული ნოემდე, შეიცვალა კერპთაყვანისმცემლობით.

შემდეგ ადამიანი იღლება, იცელება ამ ლომობისაგან, რადგან ეს ღმერთის, უფალს მოცილებული უაზრობაა — და როგორც ეიცით ქრისტეშობის მერე ყველა კერპთაყვანისმცემელი ქვეყანა აღიგავა. ამგვარად ეს პერიოდი ემთხვევა კერპთაყვანისმცემლობას — რადგან ეინც არ იწამა ღმერთი — ყველა გადაშენდა.

ამიტომ მოიშიშეს უფლისა მაგრამ არ დაიწყეს მისი მცნებებით ცხოვრება. განდიდება — გაკერპება ყველას ისევ უნდოდა. არ დაივიწყეს მიტაცება ანუ მაიმუნებიეით მატყუარა გახდნენ. საყდარში დადიოდნენ უფლის საწინააღმდეგო კანონებს კი ნერგავდნენ, ანუ ლომი დიდხანს ვერ ცოცხლობს და მეფობა რომ შეინარჩუნოს მაიმუნად იქცევა. სახეც ისე ემანჭება და თვითონაც მანქია — მატყუარა პოლიტიკოსი ხდება. იგი ასვითარებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებებს და ამ მაიმუნური პოლიტიკით ასერხებს იმას, რომ მლოცველები იბერიელები ეისშიც ღვთაებრივი სული, ანუ ნიჭიერებაა, ჩართონ ამ უაზრობაში. როგორ? დაიწყო მესამე ეტაპი უზნეობათა, ფული ხდება კერპი — ყოვლისშემძლე მათი კანონებით.

ამით მოახერხეს რომ გაუნათლებელი გახადონ ხალხი, ანუ ცოდნას კი არა, ფულს ეძიებდნენ, შედეგად ისინი (მათ შორის იბერიელები) ეშვებიან მატერიაში. იმეცნებენ ამ სამყაროს და ანვითარებენ იმ უაზრო მეცნიერებებს, რომლის არსი მიზიდულობისა არის მიწა და არა ზეცა.

რატომ ანვითარებენ სწორედ იბერიელნი? გავიხსენოთ — უფალი ეგვიპტეში შესვლის წინ ყველაფერში, რასაც მოინდომებდა იბერიელი — ისრაელი — ხელის მომართვას უკაპირდა, რათა თვითონ აერჩია მერე სწორი გზა. ისინი კი მრავალი დაცილდა თორას. შედეგად, უფლის ჭეშმარიტი აზრი მათ სიტყვით და საქმით გამოიყენეს მაიმუნური წესის გამყარებისათვის. ამგვარად მესამე ათასწლეულია დიპლომატიის, მატყუარობით, მაიმუნობის (აქაც ენის გენიალობასთან გვაქვს საქმე) სიმასინჯის წელია, როცა დიპლომატიით, ტყუილით იმარჯვებენ. რა თქმა უნდა, არის ცხვრის და ლომის არსებობაც ამ პერიოდში, ანუ უტვინობა და ომები. მეოთხე ათასწლეულს ამ სამს ემატება მეოთხე ანუ ღორის მდგომარეობა. როცა ადამიანმა იმდენი ფული იშოვა რომ არ იცის სად წაიღოს — უკვე გადამეტებულად სვამს. საერთოდ კარგავს აზროვნებას, არწყევს და მისი ნარწყევის სუნში, ანუ ღორივით წუმპეში ძინავს და მზადაა სიბინძურეში ნახოს თავისი კმაყოფილება. აი, ასეა დაცემული ადამიანი ღორის დონემდე დღეს და ვერ ამჩნევს ამას, ანუ ამ პერიოდში ოთხივე სულის სიმდაბლეა უმაღლეს პიკამდე ასული. ამავე დროს, სამივე ცოდვა რაც გაიარა სამყარომ: უზნეო სიყვარული, კერპობა და ფულისკენ მიმსწრაფველობა ანუ გაკერპება მისი, დღეს ერთად მეორდება და აპოგეაა მათი. რატომ? როცა ფული დააყენეს ღმერთის ადგილზე, უკვე ამ ფულით საკუთარი თავის გაკერპება დაიწყეს და ჩავარდნენ მრუშობის მორევში, ეს იმას ნიშნავს, რომ ახლოა მესიის ეპოქა, რადგან სახეზეა, როგორც უტვინობა, გაუნათლებლობა, ასევე მეფობის — კერპობის წყურვილი, მაიმუნობა პოლიტიკოსთა და ბოლოს, წუმპეში ამოსვრა.

დღეს ეს ეპოქაა მთელი თავისი სიგრძე — სიგანით დამდგარი, მაგრამ იწყება გამოფხიზლების პერიოდი, ანუ მძინარე ტვინგათიშული ადამიანები თვალებს ალებენ ხედავენ ნათელს, სიწმინდეს და საშინლად რცხვენიათ ღმერთის, მისი სიწმინდის, ღვთაებრივი სულის. უკვე დაწყებულია პერიოდი ამ ხალხთა სალოცავებში შესვლის მოსანანიებლად.

ახლა გადავხედოთ მეორე წინადადებას თორისა. შესვა ღვინო და გაშიშვლდა, ანუ ამ პერიოდში ნოემ ოთხივე ათასწლეული გაიარა. გავიხსენოთ ადამიც: შიშველი აღმოჩნდა როცა შესცოდა და შერცხვა ღმერთისა. ნოეზე მხოლოდ სიშიშვლე წერია. რატომ? ძმების მოქმედება მხოლოდ ქამს მოსწონს და არ მალავს ამ 4000 წლის განმავლობაში ამ სიშიშვლეს. ამ მდგომარეობას ანვითარებს და უნდა ამ წუმპეში თავისი ძმები ჩაითრიოს. გამოსდის, კიდევაც, ზოგიერთი უნებისყოფო იბერიელთა გამო, მაგრამ ეს სიშიშვლე , უზნეობა ვითარდება იბერიის საქართველო კავკასიის საზღვრებს გარეთ. ამგვარად ნოეს ადამივით არც რცხვენია, რადგან ორი ძმა მალავს ამ სირცხვილს საქართველოში. ამიტომაც სწერია იმავე პუნქტში ქამზე, — ქანაანის მამამთავარი".

ამგვარად, საქართველოში — კავკასიაში ეს ორი ძმა საპირისპირო გზით, ანუ უკუსვლით — ქამის მიმართულებისა — დადიან. მათ უკუ მზეობრივი გზით მხრებზე დადებული ზეწრით დამალეს თავიანთი მამის სიშიშვლე. ე. ი. ის რაც რუსთაველს აქვს, აზრი განვითარებული და გადმოცემული რომ ორი ლომი სემი და იაფეტი, ტარიელი და ავთანდილი დაამარცხებს ბოროტებას, ეს ისტორიაა აქ დაწერილი. ანუ გამოფხიზლებული ნოე მიხვდა თავის შეცდომას, ისე მიხვდება მთელი კაცობრიობა, ამ ორი ძმის შეოხებით, თავის სირცხვილს.

ამგვარად, ეს ოთხი ათასი წელი ენა, მისი სიბრძნე რომ არის დავიწყებული, არის უტვინობის უმეცრების წლები. წლები, როცა ცხოველური გამგებლობს. საქართველოში სწორი გზით დავდიოდით. არ ვიცოდით არც კერპი. ჩვენთან ძეგლები და მხატვრობაც ხომ რუსეთთან შეერთების მერე განვითარდა. არც მასხოვრობა იცოდა ქართულმა ყოფამ. ჩვენ აქ უფლის გასაცემ ხალხს ქერივ – ოხრებს ვეძახდით. ქერივ ქალს ყველა ეხმარებოდა, ოხ–ერი კი ეს სხვა ეროვნების მასხოვარზეა ნათქვამი. ამ გზაზე უკუ მიმართულებით ამ სამყაროსი დადიოდა შემიც – მისი მოდგმა, ისინი ვინც თორაში ჭირნახულობდნენ. დღეს იწყება ორი ძმის მესიის ხანა – ეპოქა. ხანა განკითხვისა, რადგან ღვთაებრივი სული ზევიდან უყურებს დაცემულ წუმპეში ამოთხვრილ უზნეო რომელნიც ცხოველურს აყოლია. დაიწყო ეს ენათა აღრევით. ბოლოს კი შემორჩება ისევ ერთი დედა ენა წმინდა ენა და ზნეობა. ვინც ენას დევნიდა, ანუ უზნეონი ყველა დამდაბლდება.

გავიხსენოთ ასეთი ყოფა, როცა დათვრება ადამიანი დაკარგული აქვს გონება და ამ ოთხივე ცხოველის დამახასიათებელ სისულელეს ჩადის. რომ გამოიღვიძებს რცხვენია, საშინლად რცხვენია ღვთაებრივი სულის – უფლის, რომელიც გვიყურებს ზევიდან და ჩვენს გონზე მოსვლას ელის. ამ სირცხვილის ტანჯვის და გადამვნების წინააღმდეგია იგი. უყვარს იავისი შვილნი და ამ სირცხვილიდან იხსნის კაცობრიობას შემი და იაფეტი, რომელნიც გადაარჩენენ მეწარს კაცობრიობას.

აი, ეს მეწარი უჭირავთ მათ, ორ ლომს ბაგრატოვანთა გერბზე და ებრაელთა სინაგოგებშიც, რომ არის გამოხატული. აი, აქ არის სამყაროს და მესიის არსი. იოანე ზოსიმეს და რუსთაველის წინასწარმეტყველებით ადამის მოდგმას, იხსნის ორი ძმა და იგამგებლებს, ამის მერე ადამიანში ღვთაებრივი ზნეობრივი სული, რომელიც შეგვაერთებს ყოვლადწმინდასთან სიყვარულით. იქნება ცოდნა, ტვინი იგამგებლებს მთელ ორგანიზმზე, სამყაროზე. უფლის ცოდნისკენ, მისი თვისებებისაკენ იქნება ჩვენი მისწრაფება.

## ძირითადი ლიტერატურა


1. „თორა“ – ხუთწიგნეული ქართულ ენაზე, ებრაულ ტექსტთან ერთად. მთარგმნელები: აბრამ მამისთვალოვი, თამარ მამისთვალოვ – კეზერაშვილი, გერშონ ბენ–ორენი (წიწუაშვილი). „შუქურა“, იერუშალაიმი, 1995 წ.

2. „თორა“ – ხუთწიგნეული ქართულ ენაზე ებრაულ ტექსტთან ერთად. შალომ დავიდის (დავითაშვილი) თარგმანი „საქართველოს ებრაელთა კულტურის ცენტრი“. თელ–ავივი, 1996 წ.

3. დავითის საგალობელნი. დედანთან ერთად, იცხაკ მამისთვალოვის თარგმანი. /„შუქურა“/ თელ–ავივი, 1989 წ. 535 გვ.

4. ქართულ–ებრაული სიდური–ლოცვანი, მთარგმნელი შალომ დავიდი. „საქართველოს ებრაელთა კულტურის ცენტრი“. თელ–ავივი, 1993 წ. 400 გვ.

5. ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაშვილმა. თბილისი, 1979. 643 გვ.

6. „ვეფხისტყაოსანი“, „საბჭოთა საქართველო“ თბილისი, 1966, 319 გვ.

7. შალომ დავიდი: ებრაულ კაბალისტური ფილოსოფია რაბი შნეურ ზალმან – ლიადელის წარმოსახვებში. ხულონი 2002 წ. 202 გვ.

8. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“, მეცნიერება, 1991 წ. 353 გვ.

9. ზვიად გამსახურდია. „წერილები, ესეები, „გამომცემ“ ხელოვნება“, თბილისი, 1991 წ. გვ. 573.

10. გრიგოლ ფერაძე: ქართული ეკლესიის ისტორია მასალები და გამოკვლევები. გამომც. კანდელი თბილისი 1995 წ. 167 გვ.

11. ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, თბილისი, 1985.

12. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბილისი 1960.

13. მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, „ქართველი ერის წარმოშობის შესახებ“, „მეციხე“, თბილისი, 1997 წ. 36 გვ.

14. „ქართული კილო – თქმათა სიტყვის კონა“, შემდგენელი ალ. ღლონტი. „განათლება“, თბილისი 1984 წ. 798 გვ.

15. იცხაკ დავიდი. კავკასიოლოგიური ცენტრი, ორტომეული. ნაწერები. თელ–ავივი, 334 გვ.

16. ი. პაპიაშვილი, „ქართველ ებრაელთა წარმავლობისათვის და ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის საკითხებისათვის“, ჟურნ. განთიადი, 1991. 9, გვ. 183–191.

17. ი. პაპიაშვილი, „პურიანი ქართველნი“ ვინ იყვნენ ისინი, გაზეთ „მენორა“, 7, 8, 9, 1996 წ.

18. აკაკი გელოვანი, „მარად ცოცხალი ხელოვნება“, ხელოვნება, თბილისი, 1980, გვ. 532.

19. რაფაელ ალევი აიზენბერგი, „ებრაელთა წინასწარმეტყველებები ხალხთა მომავლისა დღეთა დასასრულის ჟამს“. ხაიმ ქოენის თარმგმანი ივრითულიდან რუსულ ენაზე. იერუშალაიმი, 1984, 112 გვ.

20. თემურ მდინარაძე, „მამულის ეკოლოგიურ–სოციალური ინსტიტუტის აღორძინების კონცეფცია“, სამშობლო, თბილისი 1991 წ. 79 გვ.

# შინაარსი


ავტორისაგან — 3

წიგნი პირველი – "ეეუხისტყაოსნის წინასწარმეტყველება"
წინათქმა – გამოუქვეყნებული მასალის მოკლე შინაარსი, ზოგიერთი განმარტებანი, ბრძოლა სიკეთისა და ბოროტებისა — 10

1.1. რას ეფუძვნება სამყაროს ისტორია, რა მისია აქვს ბიბლიას, ქართულ ენას და მათზე დაფუძნებულ ქართული ცხოვრების წესს — 11
1.1.1. ბოროტების მოკლე ისტორია — 18
1.1.2. სიკეთის ჩამოყალიბების მოკლე ისტორია — 20
1.1.2.1. წიგნთა წიგნი ასახული სიკეთის ჩამოყალიბების ისტორია — 21
1.1.2.2. იბერია–კავკასია – საქართველო დედაა – საწყისია იბერიული მოდგმის – სიკეთის — 25
1.1.2.3. ენა ქართულ–იბერიული მოდგმის სიკეთის ციტადელის დამფუძნებელი — 32
1.1.2.4. რას ნიშნავს იბერიული გენი? — 39
1.1.2.5. კავკასია – სიკეთის ციტადელი, იბერიული მოდგმის ორი რჩეული ერის სამშობლო — 40
1.1.3. ორი ერის გამორჩეულობის დასტური ბიბლიაში. იბერიელობის დამახასიათებელი მათი ცხოვრების წესის იდენტურობა — 49
1.1.4. მოკლედ ძმურ ისტორიულ კავშირებზე — 57
1.1.5. მარადიული სიყვარულის ათი სი–ტ–ყვა — 64
1.1.6. ქართველთა დანიშნულება, ისტორიული მისია ჰარმონიული სამყაროს დამკვიდრებისათვის — 67
1.2. ზოგიერთი სხვა განმარტებანი გამოუქვეყნებელი მასალიდან გამომდინარე — 69
1.2.1. ოჯახური სიწმინდის წესი — 75
1.3 სიმბოლიკები — 77
1.3.1 რომელი ეპოქიდან იწყება ნაწარმოები, მიზეზი დღეს არსებული ბოროტების შეობისა — 85

2. „ეეუხისტყაოსნის" წინასწარმეტყველება — 90

2.1. ძველი წელთაღრიცხვით III–I და ახალი წელთაღრიცხვით I საუკუნეების მიმოხილვა — 90
2.2. I–XII საუკუნეების მიმოხილვა — 113
2.3. ტარიელის ანუ ისრაელი ხალხის იტორია მათი ჩამოყალიბებიდან XII საუკუნემდე — 133
2.4. მეთორმეტე საუკუნის მიმოხილვა — 169
2.5 XIII–XVII საუკუნეების მიმოხილვა — 176
2.6. XVII საუკუნე — 189
2.7. XVIII–XXI საუკუნე — 199
2.8. 2000 შემდგომი წლების მიმოხილვა — 215

3. „ვეფხისტყაოსნის" წინასწარმეტყველების შესაბამისობა წინასწარმეტყველთა ნაწინასწარმეტყველებთან — 276

3.1. სიკეთის მარადიული გენეტიკური კოდის ჩასახვა და განვითარება. — 277
3.1.1. თანაბრად გაყოფა, და მართლმსაჯულება ლმობიერებით — 284
3.1.2. ქველობა, მიმსწრაფელობა და სურვილი ყველაზე საუკეთესოს გაცემისა, ზრუნვა შთამომავლობისათვის — 287

3.1.3. ძლიერება – ძლევამოსილება და მეფობა — 294
3.2. „მეცნიერება“ – საყრდენი ბოროტებისა — 299
3.3. როგორ გადაეწყვეიტოთ ყველა პრობლემა – იყოს ჰარმონიული თანაარსებობა — 308
3.3.1. როგორ აღვადგინოთ ჩვენი ცოდნის კიდობანი? — 314
3.4. როგორ ემთხვევა „ვეფხისტყაოსნის“ წინასწარმეტყველება
ნაწინასწარმეტყველევს — 318
3.4.1. როგორი ნიშნებია ზეციდან, მხნედ რომ ვიყოთ. გაიმარჯვებს სიკეთე, რომელიც
სამყაროში ათი საფეხურებით იქმნება. — 327
3.4.2. როგორ ემთხვევა მეორედ მოსვლა „ვეფხისტყაოსნით“
ნაწინასწარმეტყველევს — 333
3.4.3. დაფიქრდით! მსოფლიო ისტორიას იბერიულ–კავკასიური მოდგმა წარმოშობს.
ყველა გაითხრის სამარეს, განიკითხება ვინც ამ მოდგმას, ენას, გონს დევნის. — 337
4. იბერიელობა – თვით შემქმნელის განუყოფელი ნაწილია
იბერიულობა – ეს ყველაფერზე მეტია — 341
5. ბოლოთქმა? — 344
განმარტება № 1 — 362
განმარტება № 2 — 366
განმარტება № 3 — 379
რა არის ქართველობა — 381

წიგნი მეორე – “რუსთაველი და კაბალა” — 388

რაც ღვთითა აზრი მომესმა და წავიკითხე ის ვწერე,
თორა-ბიბლია ვიმოწმე მათითა წიგნი დავწერე,
სასწაული ხარ რუსთველო - სამყაროს არსი აღწერე,
ღმერთო შემინდე ცოდვილსა, თუ რამ სწორედ ვერ აღვწერე.

თუ ვინმე შემოგვედავა ტარიელ არ არს მესია,
ვერ გაუგია, ან არ ცნობს რაც უფალს დაუწესია,
ვეფხისტყაოსნის მიზანი, მიმართება და წესია
სიყვარულს იბერიულსა აღადგენს მხოლოდ მესია.

ტექნიკური რედაქტორი
და გამომცემელი: ნ.დარბუაშვილი

მხატვარი: მ.ფილფანი

ბეჭდვა და კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ანა ქველიძე, ქართლოს დიაკონიძე, კახა სულაბერიძე

გარეკანზე გამოყენებულია ირაკლი თოიძის ნახატები

## შეცდომების გასწორება

| რიგით | გვერდი | სტრიქონი | არის | უნდა იყოს |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 11 | ისრაელის სხვა და | ისრაელის და სხვა |
| 2 | 4 | 2 | დამათხოვრება | გამათხოვრება |
| 3 | 5 | 12 | ჩემი რადიკალური | ჩემს რადიკალურ |
| 4 | 10 | 1 | არ | არა |
| 5 | 12 | 28 | ზოგიერთ | ზოგიერთი |
| 6 | 14 | 17 | დონეა | დონე |
| 7 | 16 | სქოლიო | რისი | რის |
| 8 | 29 | სათაური | ორ გზის | ორგზის |
| 9 | 59 | 30 | დაიკარგეს | დაკარგეს |
| 10 | 77, 79, 81 | სათაური | სიმბოლოები | სიმბოლო |
| 11 | 107 | 13 | მას და არ | მას და არა |
| 12 | 107 | 28 | ორჯერ იშვა ლომი | იშვა ორი ლომი |
| 13 | 108 | ბოლო სრტიქონი | რაც ჩანს ბოლო სტროფში | ამოსაღებია |
| 14 | 110 | სათაური | მაგრამ იბერები | იბერები |
| 15 | 119 | 5 | კი არ იცავდნენ | კი იცავდნენ |
| 16 | 119 | 19 | მიმართულება | მიმართულებას |
| 17 | 119 | ბოლოდან 9 | მეაბჭრენი | მეაბჯრენი |
| 18 | 122 | 3 | სოლიდარულ | სოლარულ |
| 19 | 122 | 10 | ამგვარადვე | ამგვარად |
| 20 | 125 | 6 | ქალას | ქალს |
| 21 | 126 | სათაურში | ორი მოყმის მიისის | ორი მოყმის მესიის |
| 22 | 130 | 18 | გამორჩეულობა | გამორჩეული |
| 23 | 130 | 21 | ვიდთავე | შვიდთავე |
| 24 | 137 | 12 | მიწათმოქმედს | მიწათმოქმედთა |
| 25 | 137 | 20 | ლეეიბის | ლევების |
| 26 | 184 | სათაურში | მიმდინარეობდა | არ მიმდინარეობდა |
| 27 | 236 | სათაურში | ორი ძმის: | ორ ძმის: |
| 28 | 236 | სათაურში | ავტანდილი | ავთანდილი |
| 29 | 252 | სათაურში | გმირი მოდიან ჯერ | ჯერ იბერიაში მოდის |
| 30 | 267 | სათაურში | გაზრდილი იბერიელნით | გაზრდილი იბერიელებით |
| 31 | 298 | 11 | მისიის | მესიის |
| 32 | 298 | ბოლოდან 14 | ნულამდე | ნულამდეა |
| 33 | 328 | სათაურში | ათი საფეხურების | ათი საფეხურის |
| 34 | 353 | მეორე სქოლიოში | გამოტოვებულია | ჩვენ კი გვჯერა, რომ მწერალმა მოვლენები გამოიცნო. |
| 35 | 357 | ბოლოდან 21 | ამ ცნების წინააღმდეგ შემთხვევაში | ცნებათა ასეთ შემთხვევაში უზნეო |
| 36 | 374 | სათაურში | ათი და ოცი | „ათი" და „ოცი" |
| 37 | 380 | სქოლიო ბოლოდან მეორე სტრიქონი | რადგან აქაც საჭირო | აქ არის საჭირო გენი |
| 38 | 383 | 2 | რომ არ | რომ ადარებენ |
| 39 | 384 | 8 | ენა მათ უწოდებს | ენა მათ გვარგატეხილებს უწოდებს |
| 40 | 384 | 9 | გვარგატეხილებს უწოდებს | ამოსაღებია |
| 41 | 422 | 18 | ძამას | ძმას |
| 42 | 423 | ბოლოდან 13 | რატომ? | რატომ? გავიხსენოთ |